

დევან მენაბდე

ძველი ქართული მწერლობის, კერები

ტომი I

ნაკვეთი პირველი

თბილისის უნივერსიტეტის
გამომცემლობა
თბილისი — 1962

-ქველი ქართული მწერლობის კერების“ პირველ ტომში მოცემულია საქართველოს ტერიტორიაზე არსებული კერების ისტორია. ეს საკითხი სამეცნიერო ლიტერატურაში კარგა ხანია დგას, მაგრამ მონოგრაფიულად შესწავლილი არ ყოფილა. წინამდებარე შრომა ჩვენი ლიტერატურათმცოდნეობის ამ ხარეხას შევსების ცდას წარმოადგენს.

მეორე ტომში მოცემული იქნება მიმოხილვა ქველი ქართული მწერლობის სან-ლვარგარეთული კერებისა.

ტექნიკური მიზეზების გამო პირველი ტომი ორ ნაკვეთად გამოდის. პირველი დაეთმო შესაქალსა და აღმოსაქლეთ საქართველოს, ხოლო მეორე — სამხრეთსა და დასაქლეთ საქართველოს.

კერძოპოეზია

ბევლი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრის თანამშრომელმა დოც. ლ. მენაბდემა დაასრულა „ბევლი ქართული მწერლობის კერების“ პირველი ტომი, რომელშიც განხილულია საქართველოს ტერიტორიაზე არსებული კერების ისტორია. ეს საკითხი აღძრულია სამეცნიერო ლიტერატურაში, მაგრამ იქ მიმოხილულია მხოლოდ მთავარი, წამყვანი კერები. საქართველოში არ უფიქრა არც ერთი ისეთი სავანე, — რაც არ უნდა პატარა უფიქრია ის, — რომ რაიმე წვლილი არ შეეტანა ამა თუ იმ სახით ჩვენი ბევლი კულტურის ისტორიაში. აი, ამ წვლილის ცნობაში მოგვანა დაუსახავს მიზნად ჩვენს მკვლევარს. მას დაუწერია საკმაოდ დიდი მოცულობის შრომა, რომელშიც განხილულია ბევლი მწერლობის კერები ქართლში, კახეთში, სამხრეთ საქართველოში, დასავლეთ საქართველოში. ავტორს შეუსწავლია არსებული სამეცნიერო ლიტერატურა, გადაუთვალა იერები ჩვენი სიმედიტონატიკების ხელნაწერები და ამოუკრებია საჭირო ცნობები, უზოგჯერ სრულიად ახალი და უცნობი. ნაჩვენებია: ვინ რა დაწერა ან თარგმნა, რა გადაწერა ან რა შესწირა ამა თუ იმ კერას.

ავტორის შრომას მარტო რეგისტრაციული ხასიათი კი არ აქვს, ის არკვევს ამავე დროს მრავალ სამეცნიერო საკითხს ჩვენი მწერლობისა და კულტურის ისტორიიდან და გარკვეული სინათლე შეაქვს სადისკუსიო საკითხში.

ერთი სიტყვით, შესრულებულია შრომა, რომელიც ავსებს ერთ-ერთ ხარკებს ჩვენი ლიტერატურის ისტორიისა და რომელიც არასდროს არ დაკარგავს მნიშვნელობას მოსწავლე ახალგაზრდობისა და საერთოდ მკითხველი საზოგადოებრიობისათვის.

აკად. კ. ქეცილიძე

წი ნ ა ს ი ტ ჯ ვ ა ო ბ ა

ძველ ქართულ მწერლობას მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. ქართველი მწიგნობრები საუკუნეთა მანძილზე ენერგიულად იღვწოდნენ ლიტერატურულ სარბიელზე და ყოველდღიურად ამდიდრებდნენ მშობლიური კულტურის საგანძურს. უკვე ადრეულ ხანაშივე აღმოცენდა არა ერთი კერა, სადაც ვითარდებოდა ქართული ლიტერატურული აზროვნება და იქმნებოდა ახალი თხზულებანი, ითარგმნებოდა უცხოური სულიერი კულტურის ღირსსახსოვარი ძეგლები და მზადდებოდა ძვირფასი ხელნაწერები. წინამდებარე შრომა ამ კერების აღმოცენებისა და განვითარების ისტორიის მოცემის ცდას წარმოადგენს.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრა, სხვა მრავალ პრობლემასთან ერთად, გულდასმით მუშაობდა ძველი ქართული მწერლობის კერების ისტორიის საკითხზე, რომელსაც სპეციალური ნაკვეთი დაეთმო აკად. კ. კეკელიძის „ქართული ლიტერატურის ისტორიის“ პირველსავე გამოცემაში. სხვადასხვა დროს გამოქვეყნდა არა ერთი საუბარდებო წერილი, მაგრამ დიდძალი მასალა კვლავ დაუმუშავებელი რჩებოდა.

აღნიშნული მდგომარეობის ნაწილობრივი გამოსწორების მიზნით ჩვენ ხელი მოვიკიდეთ ამ საკითხს და ეცადეთ, შეძლებისდაგვარად, გვეჩვენებინა მოკლე ისტორია ძველი ქართული მწერლობის კერებისა; ეცადეთ გვეჩვენებინა თუ სად, რა ვითარებაში, როგორ პირობებში იქმნებოდა ძველი ქართული მდიდარი სულიერ-კულტურა. საკითხის სრულად გაშუქების მიზნით გამოვიყენეთ თითქმის ყველაფერი, რაც კი დაწერილა ძველი ქართული მწერლობის აღ-გილობრივი თუ საზღვარგარეთული კერების შესახებ.

„ძველი ქართული მწერლობის კერები“ იბეჭდება ორ ტომად. პირველ ტომში მიმოხილულია საქართველოს ტერიტორიაზე არსებული კერების ისტორია, ხოლო მეორე ტომი, რომელიც, ალბათ, უახლოეს წლებში გამოვა, გაგვაცნობს უცხოეთში არსებული ქართული კოლონიების თავგადასავალს. იქვე ნაჩვენებია იქნება, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ უცხოეთში არსებულ ქართულ კერებს ჩვენი კულტურისათვის, ჩვენი ეროვნული მწერლობის ზრდა-განვითარებისათვის. ადრე ყოველთვის ეს ერთ ტომად იყო ნაგარაუდები, მაგრამ მასალას სიუხვემ გვიკარნახა მისი ორად გაყოფა. ამავე მიზეზმა განაპირობა პირველი ტომის ორ ნაკვეთად გამოცემა.

წიგნი ასაწყობად საქმაოლ რთული აღმოჩნდა და მისი გამოცემა რამდენადმე გაკვიანურდა. წიგნზე გულმოდგინე მუშაობისათვის გესურს მადლობით მოვიხსენიოთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტამბა-გამომცემლობის კოლექტივი, რომელსაც არაფერი დაუშურებია. რათა წიგნი შედარებით კარგი სახით გამოსულიყო.

დიდი მადლობა უნდა გადავუხადოთ მეცნიერ რედაქტორს, აკად. კ. კეკელიძეს, რომელიც მიუხედავად ხანდაზმულობისა და მძიმე ავადმყოფობისა, გულდასმით კითხულობდა ჩვენს წიგნს და საუბარდებო შენიშვნებსა და მითითებებს გვაძლევდა.

მადლობით უნდა მოვიხსენიოთ აგრეთვე თამარ ხეთერელიც, რომელიც წიგნზე მუშაობისას განსაკუთრებულ დახმარებას გვიწვედა. მან გაამზადა წიგნი სასტამბოდ, მანვე გაიზიარა კორექტურის კითხვის მთელი სიმძიმე; ხოლო მის მიერ შედგენილმა საძიებელმა შესაძლებლობა მოგვცა ზოგიერთი სახელის დაწერილობა დაგვეზუსტებინა და რიგ გაუგებრობათაგან თავი დაგვეზღვია.

შ ე ს ა ვ ა ლ ი

წარსულის კულტურული მემკვიდრეობის შესწავლა ჩვენს საპატრიო მოვალეობას წარმოადგენს.

მარქსიზმ-ლენინიზმი დაბეჯითებით მოითხოვს ძველი კულტურის შეთვისებასა და გადამუშავებას. როგორც ცნობილია, „მარქსიზმმა, როგორც რევოლუციური პროლეტარიატის იდეოლოგიამ, თავისი მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა მოიპოვა იმით, რომ არათუ უკუაგდო ბურჟუაზიული ეპოქის უძვირფასესი მონაპოვარნი, არამედ, პირიქით, შეითვისა და გადაამუშავა ყველაფერი, რაც კი ძვირფასი იყო ადამიანის აზრისა და კულტურის ორიონათას წელზე უფრო ხანგრძლივ განვითარებაში“¹.

ძველი საზოგადოებრივი ურთიერთობის დროს შექმნილი კულტურა დარჩა სოციალიზმის მატერიალურ ბაზისად². ამ გარემოებამ განაპირობა მთელი ძველი კულტურის, კაცობრიობის მიერ დაგროვილი ცოდნის ათვისებისა და გამოყენების აუცილებლობა. ვ. ლენინი ჯერ კიდევ 1919 წელს წერდა: „ჩვენ გვსურს სოციალიზმი ავაშენოთ დაუყოვნებლივ იმ მასალიდან, რომელიც კაპიტალიზმმა დაგვიტოვა გუშინდლიდან დღეისთვის. მაგრამ გასრესილი კაპიტალიზმი ვერ გაგაძღებს. უნდა ავიღოთ კაპიტალიზმის მიერ დატოვებული მთელი კულტურა და მისგან ავაშენოთ სოციალიზმი. უნდა ავიღოთ მთელი მეცნიერება, მთელი ტექნიკა, მთელი ცოდნა, ხელოვნება. უამისოდ კომუნისტური საზოგადოების ცხოვრებას ვერ ავაშენებთ“³.

ძველი კულტურა გარკვეულ საზოგადოებრივ ფორმაციაში ყალიბდებოდა. ეს ის ხანა იყო, როდესაც „ადამიანის მთელი გონება, მთელი მისი გენია ქმნიდა მხოლოდ იმისათვის, რომ ტექნიკისა და კულტურის მთელი სიკეთე ერთისთვის მიეცა, სხვებისთვის კი მოესპო უსაჭიროესი რამ—განათლება და განვითარება“⁴. ამის შედეგად ძველი კულტურული მემკვიდრეობა არაა დაზღვეული ობიექტური ვითარებით გამოწვეული არსებითი ხასიათის ნაკლოვანებათაგან, რომელთა გამოვლენა და დაძლევა აუცილებლობას წარმოად-

¹ ვ. ლენინი, თხზულებანი, ტ. 31, თბ., 1952, გვ. 381.

² ვ. ლენინი, თხზ., ტ. 27, თბ., 1952, გვ. 359.

³ ვ. ლენინი, თხზ., ტ. 29, თბ., 1952, გვ. 66.

⁴ ვ. ლენინი, თხზ., ტ. 26, თბ., 1952, გვ. 563.

ვენს. ამასთანავე, ჩვენი ხალხისთვის ცხადია, რომ მემკვიდრეობას დაცვა-უნდა „არა ისე, როგორც აჩქივარიუსები იცავენ ძველ ქალაქებს. მემკვიდრეობის დაცვა სრულიადაც არ ნიშნავს მხოლოდ მემკვიდრეობით დაკმაყოფილებას“¹. წარსული ხანიდან მემკვიდრეობით მიღებული კულტურა, — რაოდენ მნიშვნელოვანი და საყურადღებო არ უნდა იყოს ის, — რასაკვირველია, ყოველ მხრივ ვერ დააკმაყოფილებს ჩვენს გაზრდილ მოთხოვნილებას, მაგრამ კულტურული მემკვიდრეობის შესწავლა და ათვისება წინაპირობაა ახალი კულტურის შექმნისათვის.

პროლეტარული კულტურის შესაქმნელად ვ. ლენინს აუცილებლად მიაჩნდა ძველი კულტურის შესწავლა, გადამუშავება და გამოყენება. „პროლეტარული კულტურის შენება შესაძლებელია კაცობრიობის მთელი განვითარებით შექმნილი კულტურის მხოლოდ ზუსტი ცოდნით, მხოლოდ მისი გადამუშავებით“².

ჩვენს სამშობლოში ჯეროვან სიმაღლეზე დაყენებული წარსული ხანის კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისა და შეთვისების საქმე. კერძოდ, დიდი გულისყურით შეისწავლება ქართველი ხალხის მდიდარი და მრავალფეროვანი კულტურული მემკვიდრეობაც, რომლის ისტორიული მნიშვნელობა და მეცნიერული ღირებულება დღეს საყოველთაოდ ცნობილი და აღიარებულია. ძველი ქართული კულტურის მაღალი შეფასებაა მოცემული მ. კალინინის სიტყვებში: „ქართველი ხალხი კულტურის მხრივ ერთ-ერთი უძველესი ხალხია ჩვენს ქვეყანაში. ქართველი ხალხის კულტურა ჩაისახა ჯერ კიდევ ქრისტიანობის წინა ხანაში, იგი ვითარდებოდა მსოფლიოს უძველეს და უახლეს კულტურებთან ურთიერთმოქმედებაში. ვგონებ, ჩვენს ქვეყანაში არც ერთ კულტურას არა აქვს ისეთი ხანგრძლივი ისტორია, როგორც ქართულ კულტურას“.

ძველი კულტურული მემკვიდრეობის საბჭოთა ეპოქამდე მოტანა ერთობ ძნელი იყო. ქართველ ხალხს საუკუნეთა მანძილზე უხდებოდა უთანასწორო ბრძოლის წარმოება მოძალდებული მტრის ურდოების წინააღმდეგ. ჩვენი სახელოვანი წინაპრები გმირულად იბრძოდნენ სამშობლოს პოლიტიკური და კულტურული დამოუკიდებლობისათვის.

კულტურული მემკვიდრეობის დაცვასა და საუკუნეთა მანძილზე გამოტარებას საქმაოდ აფერხებდა საქართველოს სახელმწიფოებრივი ორგანიზმის სისუსტე, ქართული სამეფო-სამთავროების შეუთანხმებლობა, ძმათაშორისი ქიშპი და ბრძოლა.

როგორც ცნობილია, საუკუნეთა მანძილზე საქართველო დანაწილებული იყო ერთმანეთისაგან მოწყვეტილ სამეფო-სამთავროებად. ქართველები არ ცხოვრობდნენ საერთო ეკონომიური ცხოვრებით, არ მოქმედებდნენ შეთანხმებულად. პირიქით, ძალზე ხშირად ებრძოდნენ ერთმანეთს, ერთიმეორის წინააღმდეგ იწვევდნენ სპარსელებს, თურქ-ოსმალებსა თუ სხვა დამპყრობლებს. ქართული სამეფო-სამთავროების გაერთიანება, რასაც ზოგჯერ ჰქონდა ადგილი, შემთხვევით ხასიათს ატარებდა, მხოლოდ ზედაპირულ-ადმინისტრაციულ სფეროს ეხებოდა და მალე ირღვეოდა დიდებულთა გამთიშველი საქმიანობისა და მშრომელი საზოგადოებრიობის გულგრილობის შედეგად.

¹ ვ. ლენინი, თხზ., ტ. 2, თბ., 1948, გვ. 657.

² ვ. ლენინი, თხზ., ტ. 31, გვ. 343.

ქართველებმა დაძლიეს აღნიშნული წინააღმდეგობა, სათანადოდ უპასუხეს მომხდურ დამპყრობლებს, შეინარჩუნეს თავისი ეროვნული ფიზიონომია და დღევანდლამდე მოიტანეს თავისი მატერიალური და სულიერი კულტურის დიდებული საგანძური.

ქართული კულტურა დღეს მთელი საბჭოთა ხალხის მრავალეროვანი კულტურის ერთ-ერთი ძირითადი შემადგენელი ნაწილია და საერთო კუთვნილებას წარმოადგენს. დახვეწილი მხატვრული გემოვნების მქონე, მომთხონი საბჭოთა საზოგადოებრიობა დიდად აფასებს იმ სასახელო წვლილს, რომელიც ქართველობას შეუტანია და შეაქვს მსოფლიო კულტურის საგანძურში.

დღეს საკამათო აღარაა, რომ ყოველ ერს, — როგორც ხალხმრავალს, ისე მცირერიცხოვანს, თავისი თვისებრივი თავისებურებანი აქვს, თავისი სპეციფიკა მოეპოვება. სწორედ ეს თვისებრივი თავისებურება, ეს სპეციფიკა განასხვავებს მას სხვა ერებისაგან და სრულად წარმოაჩენს მის დამოუკიდებელ ეროვნულ სახეს. ამასთანავე, ეს თავისებურებანი ის წვლილია, რომელიც ყოველ ერს შეაქვს მსოფლიო კულტურის საგანძურში.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ამა თუ იმ ერის თვისებრივი თავისებურება პირველ რიგში თავს იჩენს ხალხის ფსიქიკაში, თავის გამოვლინებას პოულობს ლიტერატურაში. ლიტერატურა რაც უფრო მეტად გამოხატავს ერის გულსწადილს, რაც უფრო მეტად და სრულად ასახავს მის სულიერ ზრახვას, მით უფრო ეროვნულია და მისი თვისებრივი თავისებურებაც ადვილად შესაცნობია.

ქართველი ხალხის თვისებრივმა თავისებურებამ მკაფიო გამოვლინება პოვა ქართულ ლიტერატურაში; მასში აღიბეჭდა ხალხის ღაღადი სულიერი თვისებანი, მისი ფიქრები და გრძნობები, განცდები და მისწრაფებანი, მისი კეთილშობილური ზრახვანი და ნათელი ოცნება ბედნიერ მომავალზე. თავისი ესთეტიკური იდეალებით, თავისი სასიცოცხლო შინაარსით ქართული ლიტერატურა ხალხის ფიქრებსა და გრძნობებს გამოხატავდა.

ქველი ქართული მწერლობის კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობა

ქართული ლიტერატურა ერთ-ერთი უძველესი ლიტერატურაა; თავისი იდეური სიღრმითა და მრავალფეროვნებით მას უაღრესად საპატიო ადგილი უჭირავს მსოფლიო კულტურის საგანძურში.

ქართულ ლიტერატურას, — წერს აკად. კ. ქეკელიძე, — მეტი თუ არა თექვსმეტსაუკუნოვანი ისტორია მაინც აქვს, — ლიტერატურული ძეგლები ჩვენ უკვე მეხუთე საუკუნიდან მოგვეპოვება, — ამ მხრივ ჩვენი ლიტერატურა მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესი ლიტერატურაა. დიდია და განუზომელი, მეცნიერული თვალსაზრისით, ამ ლიტერატურის მნიშვნელობა; იმაში აღბეჭდილია ქართველი ერის კულტურულ-ისტორიული ცხოვრების პერიპეტები;

მის ძეგლებში, ორიგინალურსა და ნათარგმნში, განოვლინებულია უდავო ნიშნები ქართველთა შემოქმედებითი პოტენციისა¹.

დიდი კულტურულ-ისტორიული და მხატვრულ-ლიტერატურული ღირებულება აქვს ძველ ქართულ მწერლობას (V—XVIII სს.). მართალია, მისი იდეოლოგია და მსოფლგაგება ჩვენთვის ყოველთვის მისაღები არაა, მაგრამ, საყურადღებოა, რომ მასაც აინტერესებდა ის აქტუალური პრობლემები, რომელთაც დღემდე არ დაუპარგავთ მნიშვნელობა.

ძველი ქართული მწერლობა კარგად გვაცნობს ჩვენი ხალხის ისტორიული ცხოვრების გზას, მის პოლიტიკურსა და ეკონომიურ მდგომარეობას, სოციალურ წყობას, ეთნოგრაფიულ ყოფას, სახელმწიფოებრივ მშენებლობას, საეკლესიო ორგანიზაციას: მას კარგად შემოუნახავს და დაუცავს ქართული ლიტერატურული ენა, უცილობელია მისი მხატვრულ-ლიტერატურული ღირსება. ძველ ქართულ ძეგლებში ოსტატურადაა ასახული სამშობლოსათვის ბრძოლის, მისთვის თავდადებისა და თავგანწირვის კეთილშობილური იდეა. ძველი მწიგნობრები დიდი გატაცებით ხატავდნენ სამშობლოს უანგარო სიყვარულის უწმინდესი და უფაქიზესი გრძნობით აღსავსე ქართველ ვაჟკაცთა სახეებს და თანამემამულეებს აღავსებდნენ ეროვნული სიამაყის კანონიერი გრძნობით. ისინი ჯეროვნად წარმოგვიდგენენ იმ რთულსა და მრავალსაუქუნოვან ბრძოლას, რომელსაც ქართველები აწარმოებდნენ პოლიტიკური და კულტურული დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად თუ შესანარჩუნებლად².

ძველი ქართული მწერლობის დიდი მეცნიერული ღირებულებით აინსნება ის გარემოება, რომ მას ეწაფებიან სხვადასხვა დარგის სპეციალისტები; ძველ ქართულ წერილობით კულტურას ეცნობიან, სწავლობენ და იკვლევენ არა მხოლოდ ლიტერატურათმცოდნენი, ისტორიკოსები, ხელოვნებათმცოდნენი, ფოლკლორისტები და ენათმეცნიერები, არამედ ფილოსოფოსები³ და

¹ კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია და უნივერსიტეტი, თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები, XIX, 1941, გვ. 141; მისივე, ქართული წვლილი ბიზანტიურ ლიტერატურაში, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, III, თბ., 1955, გვ. 1 (ქვემოთ—ეტიუდები).

² კ. კეკელიძე, კულტურული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ანარეკლი ძველ ქართულ ლიტერატურაში, თბ., 1949 (==ეტიუდები, IV, თბ., 1957, გვ. 110—133). შდრ. კ. კეკელიძე, ლ. მენაბდე, ქართული ლიტერატურის ისტორია, თბილისის სახ. უნივერსიტეტის საიუბილეო კრებული, მიძღვნილი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 40 წლისთავისადმი, თბ., 1957, გვ. 47—48.

³ შ. ნუცუბიძე, ქართული ფილოსოფიის ისტორია, I, თბ., 1956; II, თბ., 1958; შ. ხიდაშელი, გიორგი მერჩულის მსოფლმხედველობა ძველი ქართული საზოგადოებრივი და ფილოსოფიური აზრის განვითარების თვალსაზრისით, ფილოსოფიის ინსტიტუტის შრომები, III, 1951, გვ. 233—260; მისივე, საზოგადოებრივი და ფილოსოფიური აზრის ძირითადი მიმართულებაში ფეოდალურ საქართველოში, თბ., 1952; მისივე, ჰუმანიზმის ზოგიერთი საკითხი ფეოდალური ხანის ქართულ მწერლობასა და „ვეფხისტყაოსანში“, ფილოსოფიის ინსტიტუტის შრომები, V, 1954, გვ. 267—292; მისივე, ქართული საზოგადოებრივი და ფილოსოფიური აზრის ისტორიიდან, თბ., 1954.

ლოგიკოსები¹, ფსიქოლოგები² და ფიზიოლოგები³, გეოგრაფები⁴, პედაგოგისა⁵ და მედიცინის⁶ ისტორიკოსები, სამართლისმცოდნენი⁷, თეატრის ისტორიკოსები⁸ და სხვ.

¹ Г. К а т а п д а р и ш в и л и, Очерки по истории логики в Грузии. Т., 1952.

² ა. თ რ ა ნ გ ი შ ვ ი ლ ი, სულხან-საბა ორბელიანის ფსიქოლოგიური შეხედულებანი „ქართულ ლექსიკონში“ მოცემულ ფსიქოლოგიურ ცნებათა განსაზღვრების მიხედვით, ფსიქოლოგიის ინსტიტუტის შრომები, IV, 1947, გვ. 263—324; მ ი ს ი ე ვ, მასალები ფსიქოლოგიური ცოდნის ისტორიისათვის საქართველოში (XVIII ს. მეორე ნახევარი), იქვე, VII, 1950, გვ. 237—266; მ ი ს ი ე ვ, ფსიქოლოგიურ ცოდნათა-სისტემა ანტონის „სპეკალში“, თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები, XXXIX, 1950, გვ. 85—120; მ ი ს ი ე ვ, ფსიქოლოგიური ცოდნა იოანე ბაგრატიონის ნაწარმოებებში, ფსიქოლოგიის ინსტიტუტის შრომები, IX, 1954, გვ. 353—401; მ ი ს ი ე ვ, ადამიანის სულიერი ცხოვრების საკითხი აღორძინების ხანის ქართულ ლიტერატურაში (სულხან-საბა ორბელიანის წიგნის „სიბრძნე სიცრუის“ მიხედვით), დ. უხუნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის შრომები, XI, 1957, გვ. 45—59; მ ი ს ი ე ვ, ფსიქოლოგიური ცოდნა საქართველოს სემინარიებში XVIII საუკუნეში, იქვე, გვ. 61—82; მ ი ს ი ე ვ, ნარკვევები ადამიანის ფსიქოლოგიური ცოდნის ისტორიიდან საქართველოში (XVII—XVIII სს. და XIX ს. დასაწყისში), თბ., 1959. იხ. აგრეთვე А. П р а п г и ш в и л и, Очерки по истории психологических знаний в Грузии (XVII в.—первая треть XIX в.), Т., 1957 (Автореферат).

³ ი. ბ ე რ ი ტ ა შ ვ ი ლ ი, მოძღვრება ადამიანის ბუნების შესახებ საქართველოში (ძველი დროიდან მეთოთხმეტე საუკუნემდე), თბ., 1957.

⁴ გ. გ ე ხ ტ შ ა ნ ი, XVIII საუკუნის გამოჩენილი რუსი და ქართველი გეოგრაფები (მ. ლომონოსოვი, ვ. ტატიშჩევი, ვახუშტი ბაგრატიონი და სულხან-საბა ორბელიანი), ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის შრომები, I, 1947, გვ. 241—256 (იხ. აგრეთვე მ ი ს ი ე ვ, ნარკვევები გეოგრაფიის ისტორიიდან, თბ., 1955, გვ. 402—450); ლ. მ ა რ თ ა შ ვ ი ლ ი, XVIII ს. ქართველი გეოგრაფები და მოგზაურები, თბ., 1954; მ ი ს ი ე ვ, Вахушти Багратиони, его предшественники и современники, М., 1956; დ. დ ო ნ დ უ ა, სულხან-საბა ორბელიანის ევროპაში მოგზაურობის გეოგრაფიული მნიშვნელობა, საქ. სსრ მეცნ. აკადემიის საიუბილეო კრებული: „სულხან-საბა ორბელიანი“, თბ., 1959, გვ. 77—103; გ. ხ ა რ დ ა ლ ი შ ვ ი ლ ი, გამოჩენილი ქართველი მოგზაურები, თბ., 1958; მ ი ს ი ე ვ, სულხან-საბა ორბელიანი, როგორც მოგზაური და გეოგრაფ-ქართველი, თბილისის სახ. უნივერსიტეტის საიუბილეო კრებული: „სულხან-საბა ორბელიანი“, თბ., 1959, გვ. 71—90.

⁵ გ. თ ა ე ხ ი შ ვ ი ლ ი, ადამიანის დანიშნულება და აღზრდის იდეები „ვეფხისტყაოსანში“, თბ., 1937; მ ი ს ი ე ვ, სულხან-საბა ორბელიანის პედაგოგიკა, თბილისის სახ. უნივერსიტეტის საიუბილეო კრებული: „სულხან-საბა ორბელიანი“, გვ. 91—116; ი. ჯ ღ ა რ კ ა ე ა, სულხან-საბა ორბელიანის პედაგოგიკური იდეები „სიბრძნე სიცრუის“ მიხედვით, ა. წულუკიძის სახელობის ქეთაისის სახ. პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, XI, 1952—1953, გვ. 211—243; ე. ლ ო რ თ ქ ი თ ა ნ ი ძ ე, დ. გურამიშვილი—დიდი ქართველი დიდაქტიკოსი, თბ., 1955.

⁶ მ. ს ა ა კ ა შ ვ ი ლ ი, ა. გ ე ლ ა შ ვ ი ლ ი, საქართველოს მედიცინის ისტორია, ტ. III, წიგნი I, თბ., 1956; М. С а а к а ш в и л и, А. Г е л а ш в и л и, Сухая-Сана Орбелиани и древнегрузинская медицина, „Журн Востока“, 25, X, 59, № 250 (10664); მ. შ ე ნ გ ე ლ ი ა, ძველი ქართული მწერლობა და მედიცინის ისტორიის ზოგიერთი საკითხი, „მნათობი“, 1956, № 4, გვ. 171—176; მ ი ს ი ე ვ, ნარკვევები მედიცინის ისტორიიდან საქართველოში, თბ., 1956.

⁷ ი. ს უ რ გ უ ლ ა ძ ე, საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის, I, ქართლის სახელმწიფოებრივი წყობილება გვიანფეოდალურ პერიოდში, თბ., 1952; მ ი ს ი ე ვ, სულხან-საბა ორბელიანის პოლიტიკური და იურიდიული შეხედულებანი, თბ., 1959; მ ი ს ი ე ვ, სულხან-საბა ორბელიანის პოლიტიკურ შეხედულებათა შესახებ, თბილისის სახ. უნივერსიტეტის საიუბილეო კრებული: „სულხან-საბა ორბელიანი“, გვ. 203—213; გ. ნ ა დ ა რ ე ი შ ვ ი ლ ი, ქართული სამართლებრივი კულტურის ზოგიერთი საკითხი XI—XII სს. საქართველოში, თბ., 1959.

⁸ დ. ჯ ა ნ ე ლ ი ძ ე, სახიობა (თეატრალური ნარკვევები და წერილები), თბ., 1958, გვ. 193—223; მ ი ს ი ე ვ, ძველი ქართული დრამატული პოეზიის შესახებ, „საბჭოთა ხელოვნება“

ძველი ქართული მწერლობის დიდ მეცნიერულ ღირებულებას მკაფიოდ და ნათლად აელენს აგრეთვე სხვა ხალხებთან ქართველთა ლიტერატურული ურთიერთობის ისტორია და ამ ურთიერთობის შედეგად ქართულ ენაზე შემონახული ძეგლები, რომელთა ორიგინალები დაკარგულია, ყოველ შემთხვევაში, დღემდე მიკვლეული არ არის, ან ცნობილია განსხვავებული რედაქციით. ამჯერად საკმარისია მოვიგონოთ ქართულ-ბიზანტიური კულტურული ლიტერატურული ურთიერთობა.

დღეს აღარაა საკამათო, რომ ბიზანტიური კულტურის შექმნაში, აღმოსავლეთის სხვა ხალხებთან ერთად, მონაწილეობას იღებდნენ ქართველებიც, რომელთაც ბიზანტიელებთან ცხოველი კავშირურთიერთობა ჰქონდათ კულტურული ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში, განსაკუთრებით კი — ლიტერატურაში¹.

წლების მანძილზე ჩატარებული კვლევა-ძიების შედეგად ქართულ-ბიზანტიური ლიტერატურული ურთიერთობა ასე წარმოგვიდგება: „1. ქართულ ენაზე შენახულა ისეთი თხზულებები ბიზანტიური მწერლობისა, რომელთა ბერძნული დედნები დაკარგულია, მათი აღდგენა მხოლოდ ქართული თარგმანითაა შესაძლებელი; 2. ქართულ მწერლობაში შემონახულა ისეთი ცნობები ზოგიერთ ბიზანტიელ მწერალთა შესახებ, რომელნიც ავსებენ და სულ ახალ ასპექტში აშუქებენ ამ მწერლების ცხოვრებასა და შემოქმედებას; 3. ქართულ მწერლობას შემოუნახავს ცნობები ბიზანტიური მწერლობის ისტორიაში სრულიად უცნობი მწერლების შესახებ; 4. ზოგიერთი ნაწარმოები ბიზანტიური ლიტერატურისა ქართულ მწერლობაში გადმოსულა. ისეთი ვარიანტებით, რომელნიც სხვა აზრსა და მნიშვნელობას აძლევენ ამ ნაწარმოებთ“. მეტიც, დღეს ისიც ცხადი გახდა, რომ ქართველთა წვლილი ბიზანტიური მწერლობის ისტორიაში მართკ ამით არ ამოიწურება; ქართველები მონაწილეობას იღებდნენ ბიზანტიური მწერლობის საკუთარი შემოქმედებით შევსება-გამდიდრებაში².

აღნიშნულის საილუსტრაციოდ საკმარისია მოვიგონოთ ბიზანტიური მწერლობის ის ძეგლები, რომლებიც მხოლოდ ქართული თარგმანითაა მოღწეული. მაგალითისათვის დავასახელებთ პეტრე კაპეტოლელისა³ და აგათან-

ნება⁴, 1956, №3, გვ. 27—28; 1957, № 1, გვ. 22—26; 1959, № 1, გვ. 68—72; №6, გვ. 33—41; მისივე, თეატრი და სახიობა სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში, „საბჭოთა ხელოვნება“, 1960, № 4, გვ. 89—96; მისივე, „ეფესოსტყაოსანი“ და სახიობა, „ლიტერატურული გაზეთი“, 10. I. 60, №3 (1225); მისივე, „რუსულდანიანი“ და ძველი სანახაობრივი კულტურა, „ლიტერატურული გაზეთი“, 13. II. 59, № 7 (1125).

¹ История греческой литературы, I, М.—Л., 1946, გვ. 8. შდრ. ს. ყაუხჩიშვილი, ლექციები ბიზანტიის ისტორიიდან, I, თბ., 1948, გვ. VI, 32—33; მისივე, ბერძნული ლიტერატურის ისტორია, II, თბ., 1949, გვ. IX, 277; მ. კახაძე, ქართველები ბიზანტიის პოლიტიკურსა და კულტურულ ცხოვრებაში, თბ., 1954, იხ. აგრეთვე М. Левченко, А. Грегуар и его работы по византистике, ВВ, III, 1950, გვ. 233. შდრ. ВВ, V, 1952, გვ. 292; БСЭ, VIII, 1952, გვ. 43, 47.

² კ. კეკელიძე, ქართული წვლილი ბიზანტიურ ლიტერატურაში, ეტიუდები, III, გვ. 1—11; მისივე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბ., 1960, გვ. 62—63; მისივე, ქართული ლიტერატურის ისტორია და უნივერსიტეტი, თსუ შრომები, XIX, 1941, გვ. 141—154.

³ К. Кекелидзе, Жизнь Петра Нового, мученика Капетолийского, XV, 1915, ტ. IV, ნაკვ. I, გვ. 1—71.

გელოსის¹ ცხოვრებათა ტექსტებს, ლუკიანოზის, ელიანოსისა და ბოას მარტილობათა წიგნებს² და ა. შ.³

თუ ამას დაეუმატებთ იმ ძვირფას ძეგლებს, რომლებიც ქართულადაა შემონახული კოპტური, არაბული, სირიული („ცხოვრება და განგება ნისიმესი, რომელი იყო ასული მეფისა ეგვიპტისაჲ“⁴, „წამება წმიდისა და ნეტარისა ფილეთეოსისი“⁵, „ცხოვრება და მოქალაქობა ტიმოთე ანტიოქელისაჲ“⁶, იოანე დამასკელის ცხოვრება⁷, იოანე ურპაელის ცხოვრება⁸) და სხვ. მწერლობიდან, კიდევ უფრო ნათელი გახდება, თუ რა დიდი ზოგადსაკაცობრიო კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობა აქვს ძველ ქართულ მწერლობას⁹.

ძველი ქართული მწერლობისადმი (— კერძოდ ქართული სასულიერო-საეკლესიო მწერლობისადმი) ჩვენი დამოკიდებულების ზოგიერთი საკითხი, აგრეთვე ქრისტიანული რელიგიის ბატონობისდროინდელი კულტურის შეფასების, მისი ისტორიული ღირებულების, მისი ავკარგიანობის საკითხები განიხილა დოკ. მ. ალექსიშვილმა შრომაში: „ქრისტიანული რელიგიის გაგებისა და შეფასების საკითხისათვის“.

მისი დასკვნით, საქართველოში ჯერ კიდევ არაა სათანადოდ შესწავლილი ქრისტიანობის კლასობრივი არსი, ჯერ კიდევ არ შეინიშნება გარდატეხა ქრისტიანული რელიგიის ხასიათის გაგებისა და შეფასების საკითხში, არაა გარკვეული თუ რა როლს ასრულებდა ქრისტიანობა ჩვენში, არ დაწერილა სპეციალური გამოკვლევა, რომელშიც საქართველოს ისტორიასთან კავშირში მოცემული იქნებოდა ქრისტიანული რელიგიის ევოლუცია მთელ მის სიგრძეზე, ნაჩვენები იქნებოდა მისი კლასობრივი ხასიათი და ის გზა, რომლითაც იგი ბოჭავდა და აძნელებდა ქართული კულტურის წინსვლას¹⁰. ამასთანავე, — მისი განცხადებით, — ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში.

¹ К. Кекелидзе, Жизнь Агафангела, католикоса Дамасского, ХВ, 1916, т. IV, нак. III, гл. 246—283.

² ქართული აგიოგრაფიული ძეგლები, ნაწილი I, კიმენი, ტ. II, გამოსცა კ. კეკელიძემ, თბ., 1946, გვ. 3—16, 27—50 (ქვემოთ—კიმენი, II).

³ დაინტერესებულნი მკითხველი ბევრ საყურადღებო ძეგლს გაეცნობა აკად. კ. კეკელიძის „ეტიუდებში“ (ტ. I—VII).

⁴ К. Кекелидзе, Эпизод из начальной истории египетского монашества, ТКДА, 1911, № 3, гл. 1—48; ქართული აგიოგრაფიული ძეგლები, ნაწილი I, კიმენი, ტ. I, პროფ. კ. კეკელიძის რედაქტორობით, თბ., 1918, გვ. 202—204 (ქვემოთ—კიმენი, I).

⁵ კ. კეკელიძე, ფილეთეოსის მარტილობა (ქართულ-კოპტური კულტურულ-ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან), ეტიუდები, VI, თბ., 1960, გვ. 81—102.

⁶ ტიმოთე ანტიოქელი, უცნობი სირიელი მოღვაწე VIII საუკუნისა, პროფ. კ. კეკელიძის რედაქციითა და გამოკვლევით, ენიმკის შოაპზე, VII, 1940, გვ. 1—150 (=ეტიუდები, VI, გვ. 276—413).

⁷ К. Кекелидзе, Грузинская версия арабского Жития Иоанна Дамаскина, ХВ, 1915, т. III, нак. II, гл. 119—174.

⁸ К. Кекелидзе, Жизнь и подвиги Иоанна, католикоса Урхайского, ХВ, 1914, т. II, нак. III, гл. 301—348.

⁹ ლ. მენაბდე, ქართული აგიოგრაფიის შესწავლის ისტორიიდან, საიუბილეო კრებული, მიძღვნილი აკად. კ. კეკელიძის დაბადების 80 წლისთავისადმი, თბ., 1959, გვ. 233—245.

¹⁰ მ. ალექსიშვილი, ქრისტიანული რელიგიის გაგებისა და შეფასების საკითხისათვის, თბ., 1957, გვ. 16.

შეინიშნება სიკარბე ქრისტიანობის კება-დიდებისა, მისი კრიტიკა მოიკოქლებს და ჩამორჩება, ხოლო იდეალიზაციის ტენდენციების წინააღმდეგ ბრძოლა სათანადო ძალით არაა გაჩაღებული.

დოც. მ. ალექსიშვილი მკაცრად აკრიტიკებს ცნობილ დადგენილებას, რომელშიც საუბარია ქრისტიანობის „შედარებით პროგრესულობაზე“. მისი დასკვნით, არ შეიძლება „პროგრესულად“ ან „შედარებით პროგრესულად“ მიჩნეულ იქნას რომელიმე რელიგია, რადგანაც ყოველ რელიგიაში უარყოფითი გაცილებით ჭარბობს დადებითად მიჩნეულ მომენტებს¹. ქრისტიანობის პროგრესულ რელიგიად მიჩნევა ბურჟუაზიული ლიტერატურისთვისაა დამახასიათებელი, ხოლო მისი „შედარებითი პროგრესულობა“, — უკანასკნელ წლებში რომ გავრცელდა საბჭოურ ლიტერატურაში, — არავის გაურკვევია და არ უჩვენებია. ჩვენი ავტორი ცდილობს დაუპირისპიროს ერთმანეთს ბერძნულ-რომაული წარმართობა და ქრისტიანობა, გვიჩვენოს თითოეული მათგანის სახე და არსი. მისი დასკვნით, ქრისტიანობის „შედარებითი პროგრესულობა“ არაფრიდან არ ჩანს.

დოც. მ. ალექსიშვილი ვრცლად იხილავს ქრისტიანული რელიგიისა და კულტურის ურთიერთობის საკითხებს. მისი აზრით, ქრისტიანობა პროგრესულ მოვლენას არ წარმოადგენდა არც რუსეთისათვის, არც საქართველოსათვის; ის არსად, — არც ჩვენში და არც სხვაგან, — ხელს არ უწყობდა კულტურის განვითარებას, სდევნიდა თავისუფალ აზრს, ებრძოდა ქვეშაობას და ა. შ.²

ძველი ქართული მწერლობის მნიშვნელობისა და მეცნიერული ღირებულების საკითხს შეეხო დოც. შ. ხიდაშელიც. მისი დასკვნით, ძველი ქართული მწერლობა, როგორც მწერლობა ფეოდალური, ანტაგონისტური კლასობრივი საზოგადოებისა, ერთგვაროვანი არ იყო. მასში მრავალგვარი იდეოლოგიური მიმდინარეობა აისახებოდა. ქართველი ხალხის ცხოვრება და მისწრაფებანი ერთნაირი სიმკვეთრით, ერთნაირი სიმართლით, ერთნაირი თანმიმდევრობით არ იყო ასახული ძველი ქართული მწერლობის ყველა დარგსა და ყველა ძეგლში. ამასთანავე, ქართული მწერლობის განვითარებას ხელს უშლიდა ქრისტიანული რელიგია, ეკლესია და მის ნიადაგზე აღმოცენებული საეკლესიო მსოფლმხედველობა.

დოც. შ. ხიდაშელი არაა კმაყოფილი იმ შეფასებით, რომელიც ჩვენში ეძლევა ძველ ქართულ მწერლობას. მისი აზრით, ქართული სასულიერო-საეკლესიო მწერლობის არასწორი შეფასების ერთ-ერთი მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ თანამედროვე გამოკვლევებში მკვეთრად არაა გამოიჯნული იდეები, შეხედულებები, მოტივები და თავისებურებანი, რომლებიც მწერლობაში ერთის მხრივ ქრისტიანული მოძღვრებითა და საეკლესიო მსოფლმხედველობით, ხოლო მეორეს მხრივ — თვით ცხოვრებით, რეალური სინამდვილით, ხალხის უშუალო მოთხოვნილებებითა და მათი ასახვით არიან განსაზღვრულნი³.

¹ მ. ალექსიშვილი, ქრისტიანული რელიგიის გაგებისა და შეფასების საკითხისათვის, გვ. 49.

² იქვე, გვ. 51, 126, 142.

³ შ. ხიდაშელი, საზოგადოებრივი და ფილოსოფიური აზრის ძირითადი მიმართულებანი ფეოდალურ საქართველოში, თბ., 1952; მისივე, ქართული საზოგადოებრივი და ფილოსოფიური აზრის ისტორიიდან, თბ., 1954; მისივე, რამდენიმე შენიშვნა ქართული

რადგან უკანასკნელი წლების სამეცნიერო ლიტერატურაში ასე მკვეთრად დაისვა საკითხი როგორც ქრისტიანული რელიგიის გაგებისა და შეფასების, ისე ძველი ქართული მწერლობის კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობისა და მეცნიერული ღირებულების შესახებ, ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია მასზე საგანგებოდ შეჩერება.

ძრისტიანული ჩელიგიის გაგებისა და შეფასების საკითხისათვის

დღეს ყველა პროგრესულად მოაზროვნე ადამიანისათვის გასაგებია რელიგიის არსი, ადვილად შესაცნობია რეაქციული რელიგიისა და გახრწნილი იმპერიალიზმის პოლიტიკური და ეკონომიური მიზნებისა და ინტერესების თანხედენილობა და ერთიანობა.

რელიგია ბურჟუაზიული იდეოლოგიის საყრდენია, ანტიმეცნიერული და რეაქციულია. რელიგიური ცრურწმენა გადმონაშთია, ის სავსებით უცხო და მიუღებელია ჩვენი მსოფლმხედველობისათვის, მავნე და შეუფერებელია კომუნისმის მშენებლებისათვის. გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყანაში რელიგიისათვის ნიადაგი კარგა ხანია აღარ არსებობს. ჩვენს ქვეყანაში ექსპლოატატორული კლასების ლიკვიდაციის შედეგად ძირგამოთბრილია რელიგიის სოციალური ფესვები, მაგრამ ის კიდევ ბოგინობს კაპიტალისტურ სამყაროში. მართალია, მისი დაღუპვა გარდაუვალია ისევე, როგორც გარდაუვალია განადგურება კაპიტალისტური წყობილებისა, მაგრამ მისთვის, რელიგიისათვის, კაპიტალისტურ ქვეყნებში ჯერჯერობით კიდევ არსებობს საყრდენი ბაზა და ისიც ენერგიულად იღვწის თავისი მდგომარეობის განმტკიცებისათვის, არსებული წყობილების გაძლიერებისათვის, კაპიტალიზმის არსებობის გახანგრძლივებისათვის. კაპიტალისტურ ქვეყნებში თავშეფარებული და ფეხმოკიდებული რელიგია თავის პოზიციას იმაგრებს იდეალიზმის არსენალიდან ამოღებული არგუმენტებით, ეწვევა ანტიმეცნიერულ პროპაგანდას, ქადაგებს რეაქციულ სოციალურ პრინციპებს; ის ბურჟუაზიული მთავრობებისა და პარტიების საყრდენს წარმოადგენს. ამჟამად რელიგიამ განსაკუთრებით გამძაფრებული რეაქციული სახე მიიღო, ბურჟუაზიის სამსახურში ჩადგა და მისი კლასობრივი მიზნების შენიღბვა და აგრესიული გეგმების განხორციელების გამართლება იწყო¹.

სამწუხაროდ, აქა-იქ ჩვენშიც აქვს ადგილი რელიგიურ ცრურწმენათა გამოვლინებას. ამის გამო რელიგიურ ცრურწმენასთან,—წარსულის ამ უბადრუკ გადმონაშთთან,—ბრძოლა—ჩვენს ყოველდღიურ ამოცანას წარმოადგენს. ჩვენი პარტიისა და მთავრობის, ჩვენი მრავალმილიონიანი ხალხის დამოკიდებულება რელიგიური ცრურწმენებისადმი ნათლად ჩანს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ისტორიულ დადგენილებაში: „მოსახლეობაში მეცნიერულ-

საზოგადოებრივი და ფილოსოფიური აზრის ისტორიის საკითხებზე, „ლიტერატურული გაზეთი“, 31. XII. 54, № 52 (910); 14. I. 55, № 2 (912). ამ უკანასკნელზე იხ. კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ნიჰილისტური შეფასება, ვტიუდები, III, გვ. 146—156.

¹ ს. სახაროვი, რელიგიური იდეოლოგიის რეაქციულობისა და მასთან ბრძოლის შესახებ, თბ., 1953; მ. ალექსიშვილი, კათოლიკური ეკლესია იმპერიალიზმის სამსახურში, თბ., 1954

ათეისტური პროპაგანდის დროს დაშვებული შეცდომების შესახებ“ (10. XI. 1954 წ.)¹.

მეცნიერული კომუნისტური ფუძემდებელი კ. მარქსი გვასწავლის: „რელიგიის კრიტიკა ყველა კრიტიკის წინამძღვარია“². ეს მარად სახელმძღვანელო მითითება—გარკვეული მოწოდებაა.

ჩვენს ხალხს არ შეუძლია გულგრილობის გამოჩენა ცრურწმენათა გამოვლენისადმი, ჩვენს პარტიას არ შეუძლია ყურადღების შენელება ამ საკითხისადმი.

ამჟამად ცრურწმენათა წინააღმდეგ გაჩაღებულია გადაწყვეტი ბრძოლა; ეს ბრძოლა ახლა უმნიშვნელოვანეს ეტაპზეა.

ცნობილ ნაშრომში „ბრუნო ბაუერი და ადრინდელი ქრისტიანობა“ ფ. ენგელსი წერდა: „შეუძლებელია ერთბაშად უკუაგდო და მატყუარათა მიერ შეთითხნილ აბდაუბდად გამოაცხადო რელიგია, რომელმაც რომის მსოფლიო იმპერია დაიპყრო და რომელიც 1800 წლის განმავლობაში გაბატონებული იყო ცივილიზებული კაცობრიობის უმნიშვნელოვანეს ნაწილზე. რელიგია რომ გაიგოთ, საჭიროა შეძლოთ მისი წარმოშობისა და განვითარების ახსნა იმ ისტორიული პირობებით, რომლებშიც იგი აღმოცენდა და გაბატონდა მიაღწია“³. მართალია, ეს განცხადება ეხება ქრისტიანობას, მაგრამ საესებით ვრცელდება სხვა რელიგიაზეც. რელიგიის,—რა ხასიათისა და შინაარსისა არ უნდა იყოს იგი,—გასაგებად აუცილებელია მისი აღმოცენების პირობებისა და განვითარების გზების გათვალისწინება. ფ. ენგელსის მითითება სახელმძღვანელოს წარმოადგენს და მის შუქზე უნდა წარმოებდეს რელიგიის მეცნიერული შესწავლა. აქვე არ შეიძლება არ მოვიგონოთ ის სიტყვები, რომლებიც კარგა ხნის წინათ წარმოთქვა მ. გორკიმ: „Я полагаю, что следует написать историю происхождения религии более солидную, чем те очерки, которые у нас есть. Они легковесны, а надо дать более серьезное, научное оружие, надо его хорошо знать, вообще должно быть знакомо то оружие, с которым против вас выступает враг“⁴. მართალია, უკანასკნელ წლებში ამ მიმართულებით ბევრი რამ გაკეთდა, მაგრამ დიდი სამუშაო კვლავ წინ გვიდევს.

რელიგიას სათავე შორეულ წარსულში აქვს. ის წარმოიშვა მაშინ, როდესაც ხალხის განათლების დონე ძალზე დაბალი იყო. ის წარმოიშვა „მეტად ადრინდელ პირველყოფილ ხანაში ადამიანის უვიცური, ველური წარმოდგენებიდან თავისთავისა და გარეგანი ბუნების შესახებ“⁵. გასაგებია, რომ უვიცი ადამიანისათვის რელიგია გადამწყვეტი მნიშვნელობისა იყო.

¹ ს. სახაროვი, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების დამოკიდებულება რელიგიისა და ეკლესიისადმი, კრებული: „რელიგიისა და ათეიზმის საკითხები“, თბ., 1957, გვ. 5—22.

² კ. მარქსი, ჰეგელის სამართლის ფილოსოფიის კრიტიკისათვის, შესავალი, თბ., 1946, გვ. 5.

³ ფ. ენგელსი, ბრუნო ბაუერი და ადრინდელი ქრისტიანობა. ადრინდელი ქრისტიანობის ისტორიისათვის, თბ., 1955, გვ. 4.

⁴ М. Горький, Собрание сочинений, XXV, М., 1953, гв. 35.

⁵ კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, II, თბ., 1950, გვ. 478.

რელიგია სინამდვილის, რეალური ყოფის დამახინჯებული და ფანტასტიკური ასახვა ადამიანის ცნობიერებაში. რელიგიური რწმენით დაბრმავებული ადამიანის შეხედულება ბუნებაზე ნცდარი და მანკიერია. რელიგია არის „ადამიანური ყოფის ფანტასტიკური ასახვა ადამიანის თავში“¹.

რელიგიური წარმოდგენების შემუშავება განაპირობა ადამიანთა უძლურებამ ბუნების ძალთა და მოვლენათა წინაშე, საწარმოო ძალთა პრიმიტიულმა მდგომარეობამ. როდესაც ბუნების ზემოქმედებას დაემატა სოციალური ჩაგვრაც, დაჩქარდა და გაძლიერდა რეალური სამყაროს ფანტასტიკური წარმოსახვა.

რელიგიის წარმოშობის ნამდვილი მიზეზი და ვითარება მარქსიზმ-ლენინიზმმა ახსნა, მანვე მოგვცა მისი ანალიზიც.

რელიგია,— გვასწავლის მარქსიზმ-ლენინიზმი,— საზოგადოებრივი ცნობიერების ერთ-ერთი ფორმაა. მისი წარმოშობა და გავრცელება უნდა აიხსნას ცხოვრების მონაცემების საფუძველზე, მისი ფესვები ადამიანთა მატერიალურ ყოფიერებაში უნდა ეძებოთ. ბუნების ძალებისა და შემდეგ ხანაში საზოგადოების ე. წ. მაღალი ფენის წარმომადგენლების გავლენამ და ზემოქმედებამ იდამიანებში გააძლიერა რეალური სამყაროს ფანტასტიკური წარმოსახვა. რელიგია თვით ხალხმა შექმნა საზოგადოებრივი ცხოვრების გარკვეულ ეტაპზე. კ. მარქსის დასკვნით, „ადამიანი ქმნის რელიგიას, რელიგია კი არ ქმნის ადამიანს“².

ადრეულ ხანაში ადამიანებს ძალზე პრიმიტიული წარმოდგენა ჰქონდათ სამყაროს შესახებ, სათანადოდ არ ჰქონდათ შეცნობილი ბუნებისა და საზოგადოების განვითარების ობიექტური კანონები. სოციალური ჩაგვრით შეწუხებული ხალხი მთელ თავის იმედს ანყარებდა გარე-სამყაროზე, ზეციურ ძალაზე. ჩაგრული მასის წარუმატებელი ბრძოლა ექსპლოატატორთა წინააღმდეგ კიდევ უფრო ავრცელებდა და ამტკიცებდა რელიგიურ ცრურწმენას.

მარქსიზმ-ლენინიზმმა სავსებით ნათელყო, რომ ექსპლოატირებულ კლასთა უძლურება ექსპლოატატორებთან ბრძოლაში გარდუვალად წარმოშობს საიქიო ცხოვრებისადმი რწმენას.

მარქსიზმ-ლენინიზმის ერთ-ერთ დამსახურებას კაცობრიობის წინაშე რელიგიის სოციალური ბუნების, მისი კლასობრივი არსის გამოაშკარავება წარმოადგენს. მარქსიზმ-ლენინიზმმა ამხილა, რომ რელიგიის მიზანია ექსპლოატაციის გამართლება, არსებული სოციალური მდგომარეობის,— საზოგადოების ერთი მცირე ნაწილის მიერ მეორე ძალზე მოზრდილი ნაწილის ჩაგვრის,— დასაბუთება, მზრომელთა ბრძოლისუნარიანობის შემცირება და შესუსტება.

ყოველგვარი რელიგია კლასობრივია, ის იცავს და ამართლებს ექსპლოატატორებს, მორჩილებისაკენ მოუწოდებს ჩაგრულებს. საუკუნეთა მანძილზე რელიგია ამართლებდა ანტიკურ მონობასა და შუა საუკუნეების ბატონყმო-

¹ ფ. ენგელსი, ბუნების დიალექტიკა, თბ., 1954, გვ. 182; მისივე, ანტი-დიურინ-გვ. 378.

² კ. მარქსი, ჰეგელის სამართლის ფილოსოფიის კრიტიკისათვის, შესავალი, გვ. 5.

ბას, ხოლო შემდეგში ერთგულად ემსახურებოდა და ემსახურება კაპიტალიზმს. ის ყველგან და ყოველთვის გაბატონებული კლასის იარაღს წარმოადგენდა.

„რელიგია არის ჩაგრულ ქმნილებათა ამოოხვრა, უგულო ქვეყნის სული და გულია, ისე როგორც იგი არის სული უსულო მდგომარეობათა. ის ოპიუმია ხალხისა“¹. კ. მარქსის ამ უკანასკნელ გამონათქვამზე ვ. ლენინი წერდა: „მარქსის ეს თქმა ქვაკუთხედია მარქსიზმის მთელი მსოფლმხედველობისა რელიგიის საკითხში“².

რელიგია „ადამიანის თვითგაპარტახების აქტია“ (ფ. ენგელსი), ის ხალხის გამაბრუებელია, „მასების გამოსათავყვანებლად ძალიან გამოსადეგია“³. მას არ შეუძლია არ დაიწყოს ხალხის მოტყუება, ფაქტების ფალსიფიკაცია, არ მიმართოს მატყუარობასა და ისტორიული ფაქტების დამახინჯებას⁴.

რელიგია იყო და დარჩა ხალხის ოპიუმად, ის იყო და არის რეაქციული. ამიტომაც ყველა თანამედროვე რელიგიასა და ეკლესიას, ყველა და ყოველგვარ რელიგიურ ორგანიზაციას წარქსნიზმით განიხილავს, როგორც ბურჟუაზიული რეაქციის ორგანოებს, რომლებიც ექსპლოატაციის დაცვასა და მუშათა კლასის გაბრუებას ემსახურებიან“⁵.

რელიგია ასრულებს სოციალურ დაკვეთას, მისი ფესვი „მშრომელთა მასების სოციალური დაბეჩაეება“⁶. ის აუცილებლობას წარმოადგენს გაბატონებული ექსპლოატატორებისათვის⁷.

რადგან რელიგია რეაქციულია, რადგან მისი იდეოლოგია მშრომელი მასებისათვის საზიანოა, მას აქვს კლასობრივი დანიშნულება—ის ექსპლოატატორებთან ჩაგრულების შეგუებას ქადაგებს და აბრკოლებს ტანჯულ-წამებულთა, დამონებულთა ბრძოლას, გასაგებია, რომ მან მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა გახრწნილი იმპერიალიზმის იდეოლოგიურ არსენალში.

ყველაფერი ის, რაც ზემოთ ითქვა, საესებით და სრულად ეხება ქრისტიანობას, რომელიც ამჟამად ყველაზე მძლავრსა და ფრიად გავრცელებულ რელიგიას წარმოადგენს. საგულისხმოა, რომ ისტორიულად ქრისტიანული რელიგია მეტწილად წარმოადგენდა გაბატონებულ იდეოლოგიას იმ ქვეყნებში, რომლებიც საზოგადოებრივი განვითარების მიხედვით, შედარებით, მაღალ საფეხურზე იდგნენ. თავის მხრივ, ამან განაპირობა ქრისტიანობის დახვეწა, დამუშავებული სახით ჩამოყალიბება და მჩაგვრელთა ხელში მძლავრ იარაღად და იდეოლოგიურ წახმად ქცევა, ექსპლოატაციის, საკმაოდ მოქმედ საშუალებად გადაქცევა.

ქრისტიანობის აღმოცენების მიზეზის გასარკვევად საჭიროა გათვალისწინება სათანადო ხანის პოლიტიკური და ეკონომიური მდგომარეობისა. ფ. ენგელსი, —როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ,—ამას აუცილებლობად მიიჩნევდა. მას საჭიროდ მიიჩნდა გარკვევა იმისა, „თუ როგორ მოხდა, რომ

¹ კ. მარქსი, ჰეგელის სამართლის ფილოსოფიის კრიტიკისათვის, შესავალი, გვ. 6.

² ვ. ლენინი, თხზ., ტ. 15, თბ., 1950, გვ. 493.

³ კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული წერილები, თბ., 1949, გვ. 438.

⁴ ფ. ენგელსი, ბრუნო ბაუერი..., გვ. 4.

⁵ ვ. ლენინი, თხზ., ტ. 15, გვ. 493.

⁶ იქვე, გვ. 497.

⁷ ვ. ლენინი, თხზ., ტ. 21, თბ., 1951, გვ. 272.

რომის იმპერიის ხალხთა მასებმა ყველა სხვა სარწმუნოებათა შორის უპირატესობა მიანიჭეს ამ აბღაუბდას¹.

ფ. ენგელსმა მისთვის ჩვეული გულისხმიერებით ღრმად და საფუძვლიანად შეისწავლა აღნიშნული საკითხი და ნათელყო, რომ ქრისტიანობა გაჩნდა „საყოველთაო ეკონომიური, პოლიტიკური, გონებრივი და მორალური დაშლის პერიოდში“². მანვე მოგვცა მეცნიერული ახსნა და მატერიალისტური ანალიზი ქრისტიანობის აღმოცენების მიზეზებისა.

ქრისტიანობა რომის იმპერიაში ახალი ეკონომიური და პოლიტიკური ურთიერთობის გამოხატულებაა, მისი აღმოცენება იმდროინდელი პოლიტიკურ-ეკონომიური ვითარებით აიხსნება³. ახალი სარწმუნოების აღმოცენება და გავრცელება იყო უშუალო შედეგი I საუკუნეში (ახ. წ.) მძვინვარე კრიზისისა⁴.

რომის რესპუბლიკის უკანასკნელ წლებში მონათმფლობელური საზოგადოება ჩიხში მოექცა. ძლევაშოსილი ომების შედეგად რომში გაიზარდა მონების რიცხვი, მონის შრომა გაუფასურდა, მწარმოებელ ძალთა განვითარება შეიზღუდა, ანტიკური წარმოების წესი დაეცა, მშრომელთა ექსპროპრიაცია და ჩაგვრა გაიზარდა, რომელ მოხელეთა თავაშეებული მოქმედება აუტანელი გახდა, არმიაში დეზორგანიზაცია დაიწყო. მონათმფლობელური წყობილების ხრწნამ ყოველ ნაბიჯზე იჩინა თავი. რომის სამხედრო ძლიერების შესუსტებამ, კლასობრივი ბრძოლის გაძლიერებამ, ქვეყნის ეკონომიკის მოშლამ და წარმოების დაცემამ შესაბამისი ცვლილება გამოიწვია საზოგადოების იდეოლოგიაშიც. შეიქმნა ობიექტური პირობები ძველი რელიგიების კრახისათვის. დამარცხებული ადამიანი საკუთარ რელიგიას უნდობლად უცქერდა, მისი დახმარების იმედი აღარ გააჩნდა. მსოფლიო იმპერია ახალ რელიგიას საჭიროებდა. ასეთი იყო ქრისტიანობა, რომელშიც შევიდა მრავალი ელემენტი იზიდას კულტისა, მითრიაიზმისა და სხვ. ის ყალიბდებოდა არსებული რელიგიებიდან მითვისებული ელემენტებისა და ბერძნულ-რომაული ფილოსოფიის მისტიკური წარმოდგენებისაგან, მაგრამ ის არ ყოფილა მხოლოდ ელინური რელიგიების უბრალო კომბინაცია, ის წარმოდგენდა საკმაოდ ახალ მოვლენას⁵.

ზუსტად გარკვევა თარიღისა, თუ როდის წარმოიშვა ქრისტიანობა, ძნელია; ასევე ძნელია მისი აღმოცენების ზუსტი ლოკალიზაცია. აკად. რ. ვიპერის აზრით, „христианство составилось из нескольких провинциальных направлений—палестинского, сирийского, египетского, малоазийского, объединившихся в центре империи“⁶.

¹ ფ. ენგელსი, ბრუნო ბაუერი..., გვ. 4.

² იქვე, გვ. 14.

³ ქრისტიანობის აღმოცენების ხანის გასაცნობად და რომის იმპერიის პოლიტიკურ-ეკონომიური მდგომარეობის შესასწავლად გარკვეული სამსახურის გაწევა შეუძლია პროფ. ა. რანოვიჩის მიერ გამოკრებილ ტექსტს (А. Р а н о в и ч, Первоисточники по истории раннего христианства, материалы и документы, М., 1933). იხ. აგრეთვე Р. В и п е р, Рим в раннее христианство, М., 1954.

⁴ А. Б о ж щ а н и е, Социальный кризис Римской империи в I веке н. э., М., 1954.

⁵ ს. ს ა ხ ა რ о ვ ი, ქრისტიანული რელიგიის შესახებ, თბ., 1956, გვ. 26—93.

⁶ Р. В и п е р, Возникновение христианской литературы, М.—Л., 1948 გვ 282.

ქრისტიანობის გავრცელებისას ხალხის განათლების დოხე, „შედარებით პირველყოფილი ადამიანების კულტურასთან, მაღალი იყო. მაშ, რამ შეუწყო ხელი ახალი სარწმუნოების სწრაფად გავრცელებას?

„ქრისტიანობა თავის ჩასახვისას ჩაკრულთა მოძრაობა იყო: თავდაპირველად იგი გამოდიოდა როგორც მონათა და თავდახსნილთა, ღარიბთა და უუფლებოთა, რომის მიერ დაპყრობილ ან გაფანტულ ხალხთა რელიგია“¹. ის ჩაკრულთა აზრს გამოხატავდა, მათ სწრაფვასა და ზრახვას ეხმაურებოდა. მბრძანებელთა წინააღმდეგ ხანგრძლივმა ბრძოლამ ჩაკრულნი დაარწმუნა საკუთარ უძღურებაში. მათ დაკარგეს რწმენა საკუთარი თავისა, საკუთარი ძალებისა. კლასობრივი ბრძოლის წარუმატებლობამ, ხელისუფალთა რებრესიების ზრდამ, მონობის უღლის დამძიმებამ წარმოშვა რწმენა „უკეთესი საიქიო ცხოვრებისადმი“². ექსპლოატირებულნი იმედსა და ნუგეშს სულიერ სამყაროში პოულობდნენ, ხოლო ახალი რელიგია ხალხს ხსნას ჰპირდებოდა, ოცნების ასრულებას უქადდა. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ქრისტიანობა რომის იმპერიის ჩაკრულ და დაბეჩავებულ მონებს შორის ხსნის იმედად ითვლებოდა. ჩაკრულთათვის იმედის მიცემის წყალობით „მონათა, დევნილთა, განწირულთა, ჩაკრულთა რელიგია“³—ქრისტიანობა,—„პირველ შესაძლო მსოფლიო რელიგიად“⁴ იქცა. მასში აისახა ჩაკრულთა სულიერი განწყობილებანი, მათი იდეალების, იმედებისა და მოლოდინის პერსონიფიკაცია მოხდა არარსებული ქრისტეს პიროვნებაში⁵.

არ შეიძლება ყურადღება არ მიექცეს იმ გარემოებას, რომ ქრისტიანობა ხსნას ჰპირდებოდა ჩაკრულებს მხოლოდ იმქვეყნად და არა სააქაოს. ის ადამიანის ხსნას მონობისა და სილატაკისაგან იმქვეყნიურ ცხოვრებაში, სიკვდილის შემდეგ, ზეცაში ეძებდა⁶. მაგრამ, რადგან ის მშრომელთა ფენებს აერთიანებდა და რაზმავდა, არსებული წყობილების ე. წ. ზედა ჯგუფი, გაბატონებული ხელისუფლება და ოფიციალური რელიგია, მას მტრულად შეხვდა, ბრძოლა გაუჩაღა და დევნა დაუწყო. მიუხედავად დევნისა, ახალი რელიგია, რომელსაც „არ ჰქონდა სამშობლო, ინტერნაციონალური იყო“, „გავრცელდა იმპერიის ყველა პროვინციაში, გალიიდან აზიამდე და იმპერიის საზღვრებს იქითაც“⁷. ქრისტიანობა სასტიკი დევნის მსხვერპლი ხდება, მის მიმდევრებს სდევნიან, მათ მიმართ საგანგებო კანონებს იყენებენ, მაგრამ ის მაინც „ძლევამოსილად, შეუჩერებლად“ იკაფავს გზას და „წარმოშობის სამასი წლის შემდეგ რომის მსოფლიო იმპერიის აღიარებულ სახელმწიფოებრივ რელიგიად ხდება“⁸.

მართალია, ჩვენთვის ძნელია ზუსტად გარკვევა ქრისტიანობის პირვანდელი სახისა, მაგრამ თვით ის ფაქტი, რომ ახალი რელიგია მალე სახელმწიფოებრივად გამოცხადდა, ბევრ რამეს მოწმობს.

¹ ფ. ენგელსი, ბრუნო ბაუერი..., გვ. 18.

² ვ. ლენინი, თხზ., ტ. 10, თბ., 1950, გვ. 83.

³ ფ. ენგელსი, ანტი-დიურინგი, გვ. 410.

⁴ ფ. ენგელსი, ბრუნო ბაუერი..., გვ. 15.

⁵ კ. კეკელიძე, მეცნიერება ქრისტეს შობის შესახებ, თბ., 1954, გვ. 13.

⁶ ფ. ენგელსი, ბრუნო ბაუერი..., გვ. 18.

⁷ კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, I, თბ., 1950, გვ. 135.

⁸ ფ. ენგელსი, ბრუნო ბაუერი..., გვ. 18.

„დღეს, — წერდა ფ. ენგელსი, — მხოლოდ რთული კვლევა-ძიების გზით შეიძლება გავიგოთ, როგორი იყო ქრისტიანობის პირვანდელი სახე, იმიტომ, რომ ჩვენ იგი იმ ოფიციალური ფორმით გვაქვს გადმოცემული, როგორც მას მისცა ნიკეის საეკლესიო კრებამ, რომელმაც იგი სახელმწიფოებრივი რელიგიის მიზნებს შეუფარდა. მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, ის ფაქტი, რომ ქრისტიანობა წარმოშობიდან 250 წლის შემდეგ უკვე სახელმწიფო რელიგიად იქცა, ნათელყოფს, თუ რამდენად შეეფერებოდა იგი იმ დროის გარემოებებს“¹.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ქრისტიანულ რელიგიას, გარდა ჩაგრული მასისა, დიდებულთა ნაწილიც თანაუგრძნობდა. პროვინციების² მიერ დამოუკიდებლობის დაკარგვამ ბევრი ადგილობრივი დიდებული დაჩრდილა და ზედმეტ არსებად აქცია; საკუთრივ რომშიც იყვნენ სხვათა განდიდებითა და მათდამი მორჩილებით უკმაყოფილო დიდებულები. ასეთი უკმაყოფილო ელემენტები შეუერთდნენ ახალ მოძრაობას, შეიწყნარეს ახალი რელიგია და მისი დახმარებით იმედოვნებდნენ მიზნების მიღწევას³.

მას შემდეგ, რაც ქრისტიანობა ოფიციალურ-სახელმწიფოებრივ რელიგიად გამოცხადდა და ძლევამოსილად დაიმკვიდრა არსებობის უფლება, მან დაივიწყა ძველი დაპირება და ჩაგრულთა ხსნის აღთქმა, მან დაივიწყა დემოკრატიულ-რევოლუციური სულისკვეთებით განსკვალული პირვანდელი ქრისტიანობის „გულუბრყვილობანი“⁴, მასში გაქრა დემოკრატიული მოტივები და განწყობილებანი. ის უკვე ადვილად ეგუებოდა მონებით ვაჭრობას, ხალხის ყვლეფას, ძალადობას. „საუკუნეების მანძილზე იგი ეგუებოდა რომის იმპერიაში მონობის არსებობას და შემდეგშიც მას არასდროს ხელი არ შეუშლია მონებით ვაჭრობაში ქრისტიანებისათვის, არც გერმანელებისათვის ჩრდილოეთში, არც ვენეციელებისათვის ხმელთაშუა ზღვაზე, არც კიდევ მერმინდელი ზანგებით ვაჭრობისათვის“⁵. ქრისტიანობა დიდხანს უწყევდა სამსახურს მონათმფლობელებს. ის ადვილად შეეგუა მონათა ჩაგვრის არსებობას. მან კიდევ უფრო გააძლიერა მონების ჩაგვრა. როდესაც მბრძანებელი სიძალეები ფეოდალებმა დაიკავეს, ქრისტიანობა სწრაფად ჩადგა მათ სამსახურში და ენერგიულად იწყო არსებული სოციალური უთანასწორობის კანონიერების ქადაგება, მისი არსებობის გამართლება და დასაბუთება. ის ორგანულად შეეზარდა ფეოდალიზმს, მისი ერთგული მომხრე და მოკავშირე გახდა. „შუა საუკუნეებში ქრისტიანობა ფეოდალიზმის განვითარების მიხედვით ამ წესწყობილების შესაფერ რელიგიად იქცა და შესაფერი ფეოდალური იერარქია შექმნა“⁶. ფეოდალი ამაგრებდა სამღვდელეობას, ეკლესია აკურთხებდა

¹ კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, II, გვ. 479.

² აღმოსავლეთ პროვინციებზე იხ. А. Рапович, Восточные провинции Римской империи I—III в.в., М.—Л., 1949.

³ А. Рапович, Очерк истории раннехристианской церкви, М., 1941, გვ. 53; იხ. აგრეთვე მისივე, Раннее христианство, კრებული: „Вопросы истории религии и атеизма“, М., 1950, გვ. 249—281.

⁴ ვ. ლენინი, თხზ., ტ. 25, თბ., 1952, გვ. 518.

⁵ კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, II, გვ. 360.

⁶ იქვე, გვ. 479.

ფეოდალურ წყობილებას; „ხუცესი ყოველთვის ფეოდალთა ხელიხელჩაკიდებული დადიოდა“¹.

რამ განაპირობა მათი ურთიერთკავშირი და თანამშრომლობა? რამ დაახლოვა სამღვდლოება ფეოდალთა წრესთან? „სამღვდლოება სოციალური ფენაა“², მას საკუთარი მიზანი აქვს, მას სურს მოიპოვოს საარსებო საშუალებანი. ამ მიზნით ის უერთდება და უკავშირდება ფეოდალებს და მათთან ერთად ყვლფეს მშრომელ მასებს. იყენებს რა ღვთის სახელსა და ავტორიტეტს, სამღვდლოება ძარცვავს ხალხს, ადიდებს ბატონყმობას, ქადაგებს გაბატონებული და დამონებული კლასების არსებობის აუცილებლობას; ხუცები და ფეოდალები ლაპარაკობდნენ ღვთის სახელით, „რათა გაეტარებინათ თავიანთი ექსპლოატატორული ინტერესები“³. კიდევ უფრო ნათლად გამოაშკარავდა ქრისტიანობის კლასობრივი ხასიათი და სოციალური პრინციპები კაპიტალიზმის დამკვიდრების შექდეგ⁴.

ეკლესია მკიდრო კავშირში იყო სახელმწიფო ხელისუფლებასთან, ის აქტიურად ეხმარებოდა ფეოდალიზმს. ყოველივე ეს მას უქძნიდა საკმაოდ მნიშვნელოვან მატერიალურ ბაზას. ჩადგა რა ხელისუფლების სამსახურში, გეფე-დიდებულთა უხვი შეწირულებით ეკლესია იქცა მძლავრ ფეოდალურ-მემამულურ დაწესებულებად, მან უდიდესი სიმდიდრე მოიპოვა⁵.

ფეოდალთა მიერ ძალმიცემული ეკლესია მამულს მამულზე იძენდა. მიწისმფლობელობის მხრივ ის იყო საერო სენიორიის მსგავსი, მაგრამ, როგორც საკულტო დაწესებულებას, თავისებური მიზანი, ცხოვრების წესი და რიგი ჰქონდა. თავისი მრავალრიცხოვანი მონასტრებით ეკლესია შუა საუკუნეებში მნიშვნელოვან საზოგადოებრივ-ეკონომიურ ფაქტორად იქცა.

თითქმის ყველა ქვეყანაში ეკლესია მსხვილ ფეოდალურ ორგანიზაციას წარმოადგენდა და დიდ მამულს ფლობდა. ეკლესიის გამდიდრებაზე უკვე პირველი ქრისტიანი იმპერატორი ზრუნავდა⁶. საფრანგეთში „ბევრად უფრო ადრე კარლოს დიდის გამეფებამდე ეკლესიას ეკირა მთელი ადგილ-მამულის მესამედი“⁷ (განსაკუთრებით გამდიდრდნენ ცალკეული მონასტრები. მაგალითად, სენ-გერმენ დე პრეს მონასტერი IX საუკუნეში ფლობდა 429.989 ჰექტარ მიწას, მისი წლიური შემოსავალი მილიონ ფრანკს აღემატებოდა)⁸. აურაცხელი ყმა-გლეხი და მამული იყო რუსეთის ეკლესია მონასტრების განკარგულებაში⁹. მრავალ სოფელს ფლობდნენ ქართული ეკლესია-მონასტრები: სეტი-

¹ კ. მარქსი, ფ. ენგელსი, კომუნისტური პარტიის მანიფესტი, თბ., 1952, გვ. 72.

² ვ. ლენინი, თხზ., ტ. 18, თბ., 1951, გვ. 373.

³ ვ. ლენინი, თხზ., ტ. 31, გვ. 349.

⁴ ქრისტიანობის სოციალური პრინციპების ხუსტი მეცნიერული ანალიზი და დიდებულად ჩამოყალიბებული დახასიათება მოგვცა კ. მარქსმა (К. Маркс, Ф. Энгельс, Сочинения, IV, М., 1955, გვ. 204—205).

⁵ К. Маркс, Ф. Энгельс, Сочинения, ტ. XVI, ნაწ. I, 1937, გვ. 295.

⁶ М. Левченко, Церковные имущества V—VII вв. в восточно-римской империи, ВВ, II, 1949, გვ. 20.

⁷ ფ. ენგელსი, გლეხთა ომი გერმანიაში, თბ., 1956, გვ. 144.

⁸ К. Маркс, Ф. Энгельс, Сочинения, ტ. XVI, ნაწ. I, გვ. 376.

⁹ Е. Грехулов, Русская церковь в роли помещица и капиталиста, М., 1929; В. Писарев, Церковь и крепостное право в России, М., 1930.

ცხოველი, გელათი, შიომღვიმე, გარეჯა, ალავერდი და სხვ. ქართული ეკლესია დიდძალად ორგანიზაცია იყო¹. ამ გარემოებას ნათლად ასახავს როგორც მათინე, ისე მრავალი სიგელ-გუჯარი. განსაკუთრებით საყურადღებოა ქართული ეკლესიის მესვეურებისა (კათოლიკოსები, ეპისკოპოსები) თუ მონასტრის წინამძღვრების მიერ შედგენილი წერილობითი ანგარიშები, რომლებშიც ასახულია მათ გამგებლობაში მყოფი ეკლესია-მონასტრების მატერიალური მდგომარეობა. ამ მხრივ საინტერესოა მეტქისედეკ კათოლიკოსის „დაწერილი“ XI საუკუნისა², ნიკორწმიდლის „დაწერილი“ XI საუკუნისა³, დოროთეოს კათოლიკოსის საქმიანობის ამსახველი საბუთი XVI საუკუნისა⁴, ონოფრე მაკუტაძის საბუთი 1712 წლისა⁵ და სხვ⁶.

ამრიგად, „უცოლობისა და საეკლესიო წესწყობილების წყალობით“⁷ სამღვდელოებამ დიდი სიმდიდრე დააგროვა. ამ სიმდიდრეს ის თვალისჩინსავე უფროსი ილდებოდა. ერთ გვიანდელ ეკლესიაზე კ. მარქსი წერდა: „ინგლისის უზენაესი ეკლესია მისი სიმბოლო სარწმუნოების 39 მუხლიდან 38-ზე თავდასხმას უფრო ადვილად შეუძლებს, ვიდრე მისი ფულადი შემოსავლის 1/39-ზე თავდასხმას“⁸. ასეთი თვისება ჰქონდა ძველ ეკლესიასაც, სათანადო მაგალითებს ისტორია ქარბად გვაწვდის.

უზომოდ გამდიდრებული ეკლესია თავს არ ზოგავდა არსებული წყობილების განმტკიცებისათვის, მეფობის ინსტიტუტის შენარჩუნებისათვის⁹.

ამრიგად, მშრომელი მასების მოტყუებითა და ძარცვით გამდიდრებული ფეოდალური საზოგადოებრიობის ე. წ. მაღალი ფენა და სამღვდელოება ერთმანეთის ხელისშემწყობის, ერთმანეთის გამაძლიერებლის როლში გამოდიოდნენ. არსებითად ისინი წარმოადგენდნენ ქვეყნის ბატონ-პატრონებს.

¹ ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორია მე-13—14 სს., თსუ შრომები, VI, 1938, გვ. 287—288; მისივე, Очерк из истории развития феодальных отношений в Грузии (XIII—XVI вв.), Т., 1938, გვ. 4. იხ. აგრეთვე Е. К., Харптийская система и ее влияние на церковно-попечительные отношения в древней Грузии, კრებული: „Весь Кавказ“, Т., 1913, ნაწ. II, გვ. VI, გვ. 6—15.

² ნ. ბერძენიშვილი, მეფეთის საბუთი XI საუკუნისა, საქართველოს მუზეუმის მოამბე, VI, 1931, გვ. 229—296.

³ ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. ყორღანიას მიერ, II, თბ., 1897, გვ. 43—49 (ქვემოთ—ქრონიკები). იხ. აგრეთვე ა. ბაქრაძე, ნიკორწმიდლის მონასტრის მეურნეობა (XI საუკ. საბუთის მიხედვით), თსუ ასპირანტთა სამეცნიერო შრომების კრებული, I, 1950, გვ. 25—34.

⁴ საქართველოს სიძველენი, III, ე. თაყაიშვილის რედაქტორობით, თბ., 1910, გვ. 124—129 (ქვემოთ—საქ. სიძველენი).

⁵ ქართლ-კახეთის მონასტრებისა და ეკლესიების ისტორიული საბუთები, შეკრებილი თ. ყორღანიას მიერ, ფოთი, 1903, გვ. 47—70 (ქვემოთ—ქართლ-კახეთის მონასტრების საბუთები).

⁶ ნ. ბერძენიშვილი, ქართული დიპლომატიკის ერთი სახეობის წარმოშობისათვის, თსუ ასპირანტთა სამეცნიერო შრომების კრებული, I, 1950, გვ. 35—50.

⁷ ფ. ენგელსი, გლეხთა ომი გერმანიაში, გვ. 28. იქვეა მოცემული შუა საუკუნეების სამღვდელოების ზუსტი და სრული დახასიათება (გვ. 28—29).

⁸ კ. მარქსი, კაპიტალი, I, თბ., 1954, გვ. 9.

⁹ М. Горький, Собрание сочинений, XXVII, М., 1953, гв. 22.

„ყოველ ეპოქაში გაბატონებული კლასის აზრები გაბატონებული აზრებია, ე. ი. კლასი, რომელიც საზოგადოების გაბატონებულ მატერიალურ ძალას წარმოადგენს, იმავე დროს ამ საზოგადოების გაბატონებული სულიერი ძალაა“¹.

სამღვდელოება გაბატონებული იყო, მას ჰყავდა ერთგული დამცველი ხელისუფლების სახით, მას შეეძლო უდიდესი გავლენა მოეხდინა მასაზე, გაეფრცვლებინა და გაეგბატონებინა საკუთარი შეხედულება, საკუთარი იდეები, მართლაც, ძველად გაბატონებული იდეები სამღვდელოებისა და ფეოდალების იდეები იყო; „ამა თუ იმ ხანის გაბატონებული იდეები ყოველთვის იყო მხოლოდ გაბატონებული კლასის იდეები“².

სამღვდელოებამ ხელთ იგდო სწავლა-განათლების საქმის მონოპოლია, მეცნიერება ეკლესიის მორჩილი მსახური გახდა³, გაბატონდა თეოლოგია. შუა საუკუნეების ისტორია „არ იცნობდა იდეოლოგიის სხვა ფორმას, გარდა რელიგიისა და თეოლოგიისა“⁴. გაბატონებულმა თეოლოგიამ თავის სამსახურში ჩაიყენა იდეოლოგიის სხვა ფორმები: „შუა საუკუნეებმა თეოლოგიას შეუერთა და დაუმორჩილა იდეოლოგიის ყველა დანარჩენი ფორმა: ფილოსოფია, პოლიტიკა, იურისპრუდენცია. ამით მან ყოველი საზოგადოებრივი და პოლიტიკური მოძრაობა აიძულა თეოლოგიური ფორმა მიეღო“⁵.

შუა საუკუნეებში ღვთისმეტყველებამ ძლიერების მწვერვალს მიაღწია. ეს გარემოება არსებული მდგომარეობიდან გამომდინარეობდა. „ღვთისმეტყველების უზენაესი მბრძანებლობა გონებრივი მოქმედების ყველა დარგში აუცილებელი შედეგი იყო ეკლესიის მდგომარეობისა, როგორც არსებული ფეოდალური წესწყობილების საერთო განზოგადოებისა და სანქციისა“⁶.

სამღვდელოება, — ეს „შუა საუკუნეობრივი ფეოდალიზმის იდეოლოგიის წარმომადგენელი“⁷, — მეცნიერულ აზრს ახშობდა და სდევნიდა. „განათლებამ უაღრესად თეოლოგიური ხასიათი მიიღო“, „ხუცების ხელში პოლიტიკა და იურისპრუდენცია, ისევე როგორც ყველა დანარჩენი მეცნიერება, ღვთისმეტყველების უბრალო დარგებად იქცა და იმავე პრინციპებს დაექვემდებარა, რომელიც ამ უკანასკნელში ბატონობდა. ეკლესიის დოგმები იმავე დროს პოლიტიკურ აქსიომებადაც იქცა და ბიბლიის ტექსტებმა ყოველ სასამართლოში კანონის ძალა მიიღო“⁸.

მდგომარეობას კიდევ უფრო ართულებდა ის გარემოება, რომ შუა საუკუნეებში ერთადერთ განათლებულ კლასს სამღვდელოება წარმოადგენდა⁹. ქრისტიანული ეკლესია სასულიერო-რელიგიური წიგნებით იმონებდა ხალხს, ის წიგნს იყენებდა თავისი აზრების გასაავრცელებლად¹⁰.

¹ კ. მარქსი, ფ. ენგელსი, გერმანული იდეოლოგიიდან, თბ., 1948, გვ. 54.

² კ. მარქსი, ფ. ენგელსი, კომუნისტური პარტიის მანიფესტი, გვ. 65.

³ კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, II, გვ. 113.

⁴ იქვე, გვ. 457.

⁵ იქვე, გვ. 479.

⁶ ფ. ენგელსი, გლეხთა ომი გერმანიაში, გვ. 39.

⁷ იქვე, გვ. 28.

⁸ იქვე, გვ. 39.

⁹ К. Маркс, Ф. Энгельс, Сочинения, т. XVI, № I, гл. 295.

¹⁰ М. Горький, Собрание сочинений, XXVII, гл. 118.

ამრიგად, ქრისტიანობა ისევე, როგორც ყველა სხვა რელიგია, კლასობრივი იყო და სოციალური ჩაგვრის იდეოლოგიას წარმოადგენდა. ის ყველგან და ყოველთვის ექსპლოატატორთა სამსახურში იდგა და არსებული სოციალური უსამართლობისა და უთანასწორობის კანონიერებას ქადაგებდა¹.

მიუხედავად აღნიშნულისა, მაინც არ შეიძლება უარყოფა იმისა, რომ ქრისტიანობამ, რამდენადაც, აქა-იქ დადებითი როლიც შეასრულა. რასაკვირველია, ეს დადებითი ოდნავადაც ვერ შეედრება იმ უარყოფით როლს, რომელიც ქრისტიანობამ, — როგორც რელიგიამ, — შეასრულა საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მაგრამ არც იმისი მიჩქმალვა შეიძლება, რომ ქრისტიანობა ამა თუ იმ ხალხის ცხოვრებაში საზოგადოებრივი პროგრესისათვის ხელშემწყობის როლში გამოდიოდა (სხვა საკითხია, ეს ხდებოდა შეგნებულად თუ შეუგნებლად, ნებისთ თუ უნებლიეთ). საყოველთაოდ აღიარებულია და სასკოლო სახელმძღვანელოებშიც კი აღნიშნულია, რომ ქრისტიანობამ გარკვეული როლი შეასრულა ფეოდალური ურთიერთობის დამყარება-განმტკიცებაში (საკამათო არაა, რომ ეს უკანასკნელი მონათმფლობელობასთან შედარებით მაღალ საზოგადოებრივ ურთიერთობას წარმოადგენდა), ქრისტიანი ხალხების დაახლოება-დაკავშირებაში, მწიგნობრობის განვითარებაში და ა. შ. მაგრამ ხედავითი წონა დადებითი მომენტებისა რეაქტიულთან შედარებით, რასაკვირველია, მცირეა.

დღეს უცილობლადაა მიჩნეული, რომ ქრისტიანობის გავრცელებას მრავალ უარყოფით შედეგთან ერთად მოჰყვა დადებითი შედეგიც, რომლის უგულვებელყოფა არათუ არაა გამართლებული.

„ქრისტიანობის შემოღება პროგრესი იყო წარმართულ ბარბაროსობასთან შედარებით“, — ასეა აღნიშნული მთავრობის კომისიის ვიურის დადგენილებაში საშუალო სკოლის მე-3 და მე-4 კლასებისათვის სსრ კავშირის ისტორიის საუკეთესო სახელმძღვანელოზე კონკურსის განო².

ამა თუ იმ ხალხის მიერ ქრისტიანული რელიგიის მიღების მნიშვნელობის უგულვებელყოფას არადამაკმაყოფილებელ შედეგადღე მივყავართ. ცნობილია, თუ რა დიდი შეცდომა დაუშვა ამ საკითხში დემიან ბედნიმ, რომელმაც დაწერა პიესა „გოლიათები“. პიესაში დაცინვით იყო წარმოსახული რუსეთის მონათლვა, რაც ისტორიულად პროგრესულ მოვლენას წარმოადგენდა³. სსრკ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულმა ხელოვნების საქმეთა კომიტეტმა სპეციალური დადგენილებით რეპერტუარიდან ამოიღო იგი. დადგენილებაში ვკითხულობთ: დ. ბედნი „даёт антиисторическое и издевательское изображение крещения Руси, являющегося в действительности положительным этапом в истории русского народа, так как оно способствовало сближению славянских народов с народами более высокой культуры“⁴.

¹ რელიგიის, კერძოდ, ქრისტიანობის აღმოცენებისა და განვითარების საკითხები საფუძვლიანადაა შესწავლილი და ჯეროვნადაა გაშუქებული ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში, მაგრამ, რადგან ზოგჯერ კიდევ ვხვდებით არასწორ მსჯელობასა და ობიექტური რეალობის დამახინჯებულ სახით წარმოდგენას, ჩვენ საჭიროდ ჩავთვალეთ ამ საკითხზე ერთხელ კიდევ შეგვეჩერებინა მკითხველის ყურადღება.

² „კომუნისტი“, 26. VIII. 37, № 194 (4995); კრებული: „ისტორიის შესწავლისათვის“, თბ., 1937, გვ. 88.

³ დ. ზასლავსკი. დემიან ბედნი, „კომუნისტი“, 25. V. 50, № 108 (8668).

⁴ „Известия“, 14. XI. 36, № 263 (6120).

ქრისტიანობის გავრცელების მნიშვნელობა ამა თუ იმ ხალხისათვის ნათლად ჩანს ცალკეული ქვეყნების (რუსეთის, საქართველოსა და სხვ.) მაგალითზე.

რუსეთში ქრისტიანობის გავრცელება უდიდესი მნიშვნელობის მოვლენას წარმოადგენდა; ეს იყო პირველხარისხოვანი კულტურულ-ისტორიული აქტი.

რუსეთში ქრისტიანობის შექრა, გავრცელება და სახელმწიფოებრივ რელიგიად გამოცხადება მოწმობდა დიდ ძერას რუსთა იდეოლოგიაში¹. ამ ისტორიული აქტის შედეგად რუსეთში ბოლო მოეღო გეაროვნული წყობის გადმონაშთებს; იწყება ფეოდალურ ურთიერთობათა განმტკიცება, ქვეყნის ცალკეული ნაწილების შეკრება-შეკავშირება და რუსთა მიწა-წყლის გაერთიანება, საერთაშორისო ურთიერთობათა გაზრდა-გაფართოება, რამაც ხელი შეუწყო მეცნიერების, ტექნიკის, ხელოვნების, ვაჭრობისა და ხელოსნური წარმოების ზრდა-განვითარებას². რუსეთი დაუახლოვდა ქრისტიანულ ევროპას, ეზიარა ბიზანტიურ კულტურას³.

საგულისხმოა, რომ რუსეთმა მიიღო რა ქრისტიანობა ბიზანტიისაგან, მაინც შეინარჩუნა თავისი ეროვნული სახე. იყო ცდა რელიგიასთან ერთად ბიზანტიური ეკლესიის გავლენის გავრცელებისა, მაგრამ სათანადო შედეგი არ გამოიღო. რუსეთის ეკლესია დარჩა ეროვნულ დაწესებულებად, ის წარმოადგენდა რუსული ეროვნული პოლიტიკის მძლავრ იარაღს⁴.

ასევე დიდი მნიშვნელობის კულტურულ-ისტორიულ აქტს წარმოადგენდა ქრისტიანობის გავრცელება საქართველოში. აღიარებულია, რომ ქრისტიანობა „ემსახურებოდა ჩვენში ფეოდალური ურთიერთობის განვითარებასა და განმტკიცებას, ფეოდალიზმი კი მონათმფლობელობასთან შედარებით პროგრესული წესწყობილება იყო. ქრისტიანობა აგრეთვე, გარდა იმისა, რომ წარმართობასთან შედარებით უფრო პროგრესული იდეოლოგია იყო, ხელს უწყობდა საქართველოს კულტურული კავშირების დაცვასა და განვითარებას ევროპის ქვეყნებთან“⁵.

უცილობელია ქრისტიანობის როლი ძველი ქართული მწერლობის განვითარების საქმეში, საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში, უცხოეთის კულტურასთან საქართველოს დაახლოების საქმეში და ა. შ.

¹ რუსთა გაქრისტიანებას 988 თუ 989 წელს დებენ, მაგრამ ეს არაა სწორი; გაქრისტიანება იყო ხანგრძლივი, თანდათანობითი რთული პროცესი (М. Левченко, Взаимоотношения Византии и Руси при Владимире, ВВ, VII, 1953, გვ. 194—223; მისივე, Очерки по истории русско-византийских отношений, М., 1956, გვ. 340—365).

² Б. Греков, Киевская Русь, М.—Л., 1953, გვ. 475—480; შდრ. История СССР, I, М., 1947, გვ. 82—84; მეორე გამოცემა, 1948, გვ. 82—84; История СССР, I, М., 1956, გვ. 80—81; М. Левченко, Очерки по истории русско-византийских отношений, გვ. 379.

³ История русской литературы, I (литература X—XVIII веков), М.—Л., 1958, გვ. 26.

⁴ В. Мавродин, Древняя Русь (происхождение русского народа и образование Киевского государства), Л., 1946, გვ. 235—236, 239—240, 243—248; Д. Лихачев, Национальное самосознание древней Руси, Очерки из области русской литературы XI—XVII вв., М.—Л., 1946, გვ. 18—19.

⁵ ბ. ბერძენიშვილი, ი. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია, I, თბ., 1948, გვ. 91.

ქრისტიანობის როლი ძველი ქართული მწერლობის განვითარების საქმეში

ძველი ქართული მწერლობის განვითარების საკითხებზე მსჯელობისას ჩვეულებრივ ქრისტიანობის როლსაც აღნიშნავენ, მაგრამ ზოგჯერ ამას ძალზე აზვიადებენ და შეცდომებს უშვებენ. ზოგიერთი მკვლევარი ქრისტიანობის უკავშირებდა არა მხოლოდ ქართული მწერლობის განვითარებას, არამედ მის აღმოცენებას და ქართული დამწერლობის ჩამოყალიბებასაც კი. ასეთივე შეცდომები შეინიშნებოდა რუსული დამწერლობის საწყისებისა და ძველი რუსული მწერლობის საკითხების კვლევაშიც.

რუსული დამწერლობის საწყისების კვლევის საქმე კარგა ხანს ჩამორჩებოდა; არამეცნიერულად იყო ახსნილი რუსული ანბანის ჩამოყალიბება, რუსული დამწერლობის აღმოცენება დაკავშირებული იყო რუსეთში ქრისტიანობის სახელმწიფოებრივ რელიგიად გამოცხადებასთან.

უკანასკნელ წლებში განსაკუთრებული ვულისყურითა და სერიოზულობით შეისწავლებოდა რუსული კულტურის, რუსული სახელმწიფოს თვითმყოფადობის საკითხი. ხანგრძლივი მუშაობით, სპეციალური კვლევა ძიებითა და ღრმა მეცნიერული ანალიზით გაიარკვა რუსული კულტურის ადგილობრივი ფესვები. დღეს რუსული სახელმწიფოებრიობის წარმოშობა ახსნილია რუსი საზოგადოებრიობის შინაგანი მოთხოვნებით¹, რუსული ლიტერატურული ენის საფუძველი, ფესვი დაძებნილია რუსულ სინამდვილეში², რუსული ლიტერატურის აღმოცენება ახსნილია რუსი საზოგადოებრიობის შინაგანი მოთხოვნებითა და სათანადო კულტურული ვითარებით, ხალხური სიტყვიერების ცხოველყოფელი გავლენითა და ლიტერატურული ენის განვითარებით³.

ასევე ახლებურად დაისვა და აიხსნა რუსული ანბანის წარმოშობის პრობლემა. როგორც გაიარკვა, ქრისტიანობის სახელმწიფოებრივ რელიგიად გამოცხადებამდე რუსეთში უკვე არსებობდა დამწერლობა. ეს საფესვით დადასტურდა საბჭოთა არქეოლოგების უაღრესად საინტერესო და მნიშვნელოვანი აღმოჩენებითა და გამოკვლევებით. თუ ადრე მე-11 საუკუნის უწინარესი ხანის რუსული წარწერები მიკვლეული არ იყო, ამჟამად ცნობილია მე-10 საუკუნის პირველი ნახევრის წარწერები სმოლენსკიდან⁴. საინტერესოა ნოვგოროდთან აღმოჩენილი წარწერებიც⁵. საკითხის გულდასმითი შესწავლით

¹ Б. Греков, Киевская Русь, М.—Л., 1953.

² В. Виноградов, Великий русский язык, М., 1945; С. Обдорский. Очерки по истории русского литературного языка старшего периода, М.—Л., 1946.

³ Д. Лихачев, Возникновение русской литературы, М.—Л., 1952.

⁴ П. Черныж, Две заметки по истории русского языка, Известия отд. литературы и языка АН СССР, IX, № 5, 1950, стр. 399; Д. Авдусин, М. Тихомиров, Древнейшая русская надпись, Вестник АН СССР, 1950, № 4, стр. 76.

⁵ А. Арциховский, Арх. открытия в Новгороде, Вестник АН СССР, 1951, № 12, стр. 60—70; მისივე, Новые открытия в Новгороде, „Вопросы истории“, 1951, № 12, стр. 77—87; მისივე, Раскопки 1952 года в Новгороде, „Вопросы истории“, 1953, № 1, стр. 113—124; მისივე, Новгородские грамоты на бересте, М., 1954; მისივე, Основы археологии, М., 1955, стр. 241. იხ. აგრეთვე Ф. Кузьмин, Новгородская берестяная грамота № 9, „Вопросы языкознания“, 1952, № 3, стр. 140.

უცილობილი გახდა, რომ დამწერლობა რუსეთში არსებობდა ჯერ კიდევ ქრისტიანობის სახელმწიფოებრივ რელიგიად გამოცხადებამდე¹. მაშასადამე, ქრისტიანობის წინა პლანზე წამოწევა და მისთვის რუსული დამწერლობის აღმოცენების გადაწყვეტი ფაქტორის პატივის მიპყრობა უადგილო და არსებითად არამეცნიერულია. ამასთანავე არც იმის უგულვებლყოფა შეიძლება, რომ ახალმა სახელმწიფოებრივმა რელიგიამ გაზარდა მოთხოვნილება მწერლობისადმი და დააჩქარა ანბანის სრულყოფა².

აზრთა სხვადასხვაობა შეინიშნება ქართული დამწერლობის წარმოშობისა და ქართული მწერლობის აღმოცენების საკითხების კვლევაში. მეცნიერთა ერთი ნაწილი ქართული ანბანის წარმოქმნას ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ ხანაში დებს და ქრისტიანული რელიგიის საჭიროებით ხსნის. ასეთი კონცეფციით, ქრისტიანობის წინარე ხანაში არ არსებობდა ქართული დამწერლობა.

მეცნიერთა მეტი ნაწილის აზრით, ქართული დამწერლობის წარმოშობა არაა დაკავშირებული ჩვენში ქრისტიანობის, — ან რომელიმე სხვა რელიგიის, — გავრცელებასთან, მას ფესვები შორეულ წარსულში, საუკუნეთა წყვილიაღში აქვს³. ქართული დამწერლობა წარმოიშვა არა ამა თუ იმ რელიგიის გავლენით, ის შექმნა არა ვინმეს სურვილმა და გონებამ, თხზვის უნარმა და გამომგონებლობამ, არამედ ხალხის საზოგადოებრივი ცხოვრების გაზრდილმა მოთხოვნილებამ.

ზოგჯერ ქრისტიანობას უკავშირებენ ქართული მწერლობის აღმოცენების საკითხს. ვფიქრობთ, არც ეს არაა სწორი. გარკვეული მიზეზების გამო ქრისტიანობა ჩვენში ხელს უწყობდა მწერლობის განვითარებას, მაგრამ მისთვის ქართული მწერლობის აღმოცენების ხელშემწყობი ფაქტორის პატივის მიპყრობა არაფრით არაა გამართლებული.

ქართული მწერლობის აღმოცენების ძირითადი მიზეზი ხალხის წიაღში, ხალხის მოთხოვნილებებშია სძიებელი. ქართულმა საბჭოთა მეცნიერებამ საესებით გამოააშკარავე ჩვენი ძველი კულტურის სახე და დაადასტურა მისი თვითმყოფადობა. ქართული მწერლობა ქართულ, ეროვნულ ნიადაგზე წარმოიშვა. მან განვითარების საკუთარი, დამოუკიდებელი გზა განვლო.

ქართული მწერლობა არ აღმოცენებულა ერთბაშად, შემთხვევით ან მექანიკურად, ის თანდათანობით ყალიბდებოდა. ის არაა უცხო გავლენით აღმოცენებული და არც ამა თუ იმ რელიგიის გავრცელების შედეგადაა შექმნილი.

ქართული მწერლობის აღმოცენებას ხელი შეუწყო უაღრესად მდიდარმა და მრავალფეროვანმა ხალხურმა სიტყვიერებამ, დახვეწილმა და ჩამოყალიბებულმა, გამართულმა და სრულყოფილმა ენამ, დიდად განვითარებულმა

¹ Д. Лихачев, Возникновение русской литературы, гл. 15—24.

² В. Греков, Киевская Русь, гл. 390—391.

³ ი. ჯავახიშვილი, ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლა, წიგნი III, 1, ნაკვეთი პირველი, ქართული დამწერლობათა-მცოდნეობა ანუ პალეოგრაფია, მეორე გამოცემა, თბ., 1949, გვ. 194—238 (ქვემოთ—ქართული პალეოგრაფია).

ორატორულმა ხელოვნებამ¹. შემდეგში მის განვითარებას, უთუოდ, ხელს უწყობდა ქვეყნის ქრისტიანიზაციის საქიროება²:

სამწუხაროდ, სათანადო მასალის მოუღწევლობის გამო ჩვენთვის ძნელია დაბეჯითებითი მსჯელობა წარმართულ ქართულ მწერლობაზე. მაგრამ ქართული მწერლობის განვითარების ზოგადი ხაზების გათვალისწინებით შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ ძველმა ქართულმა მწერლობამ გამოიყენა ადგილობრივი შესაძლებლობანი და უცხოეთთან კულტურული ურთიერთობით გაიმდიდრა თავისი საგანძური.

როგორც ცნობილია, ქრისტიანული ეკლესია თავისი გავლენის სფეროს გასათართობლად, ავტორიტეტის განსამტკიცებლად, რელიგიური იდეების პროპაგანდისა და მრეელის მოზიდვის მიზნით საქიროებდა მწიგნობრობას. აქედან გამომდინარე ქრისტიანული ეკლესია ჩვენში ხელს უწყობდა სასულიერო-საეკლესიო მწერლობის ზრდა-განვითარებას. რასაკვირველია, ქრისტიანობა არ წარმოადგენდა აუცილებლობას ქართული მწერლობის აღმოცენებისათვის, — ეს უკანასკნელი წარმართობის ხანაშიც უნდა არსებულიყო, — მაგრამ არც იმისი უარყოფა შეიძლება, რომ ქართული ქრისტიანული მწერლობის განვითარებას ხელს უწყობდა ქრისტიანობა. აქ არა აქვს ადგილი ქრისტიანობის როლის გაზვიადებას, როგორც ზოგიერთს ეჩვენება. მარქსიზმი გვასწავლის, რომ მწერლობის განვითარებისათვის მნიშვნელობა ჰქონდა ძირითადად ეკონომიურ პირობებს, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ქრისტიანული მწერლობის გავრცელებისათვის ქრისტიანობას მნიშვნელობა არ ჰქონდა.

ქართული მწერლობა ქრისტიანული რელიგიის გარეშე არსებობდა (წარმართობის ხანაში) და არსებობს (ამჟამად), ე. ი. ქრისტიანობა არ წარმოადგენს აუცილებლობას ქართული მწერლობის არსებობისათვის, მაგრამ ქართული ქრისტიანული მწერლობა ვერ იარსებებდა ქრისტიანობის გარეშე; ქართული ქრისტიანული მწერლობის განვითარებას ხელს უწყობდა ქრისტიანობა. ეს უკანასკნელი დებულება ზოგს ძალზე აეჭვებს. ცხადია, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიურმა პირობებმა განსაზღვრეს მწერლობის განვითარება, მაგრამ მას, უთუოდ, ხელი შეუწყო ქრისტიანობის საქიროებამ. რასაკვირველია, ჩვენ არ ვთვლით, რომ ქართული მწერლობა „ქრისტიანობის იდეებზე დაყრდნობით განვითარდა“³, გვესმის, რომ არ შეიძლება ერთი ზედნაშენი მეორე ზედნაშენის განვითარების საფუძვლად გამოვაცხადოთ, მაგრამ აქ სხვა მომენტიც უნდა გვახსოვდეს: სულიერი ცხოვრების სხვადასხვა მხარე ურთი-

¹ ნ. კანდელაკი, ქართული კლასიკური მკვერმეტყველება, თბ., 1961; ქართული მკვერმეტყველება, ძეგლები და მასალები შეკრება, ნარკვევი წაუშმდღვარა და საძიებლები დაურთო ნ. კანდელაკმა, თბ., 1958 (ქვემოთ—ქართული მკვერმეტყველება).

² ქართული ლიტერატურის ისტორია, I, კ. კეკელიძე, ა. ბარამიძე, ძველი ქართული ლიტერატურა (V—XVIII სს.), თბ., 1954, გვ. 12.

³ მ. ალექსიშვილი, ქრისტიანული რელიგიის გავებისა და შეფასების საკითხისათვის, გვ. 239 (მ. ალექსიშვილის ზოგიერთი მოსახრება გაკრიტიკებულ იქნა ჩვენს პრეჟანში იხ. გ. ბარამიძე, გაუგებრობა თუ ფალსიფიკაცია, „მნათობი“, 1958, № 3, გვ. 157—163).

ერთკავშირშია, ისინი მოქმედებენ ერთურთზე და, თავის მხრივ, შესაბამის უწყეაღელენას ახდენენ თავის ბაზისზე. ფ. ენგელსი აღნიშნავს, რომ „პოლიტიკური, იურიდიული, ფილოსოფიური, რელიგიური, ლიტერატურული, მხატვრული და სხვ. განვითარება ეკონომიურ განვითარებას ემყარება, მაგრამ ყველა ესენი გავლენას ახდენენ აგრეთვე ერთიმეორეზე და აგრეთვე ეკონომიურ საფუძველზეც“¹.

ამრიგად, ჩვენ არ ვასკენით, რომ „ქრისტიანობის იდეებზე დაყრდნობით“ განვითარდა ქართული მწერლობა, მაგრამ, ვფიქრობთ, არ ვცდებით, როდესაც ვაცხადებთ, რომ ქართული ქრისტიანული მწერლობის განვითარებას ხელს უწყობდა ქრისტიანობა, რომელსაც, რასაკვირველია, პირველ რიგში თავისი პირადი მიზანი ამოძრავებდა.

ძველი ქართული სასულიერო-საეკლესიო მწერლობის განვითარება და მწერლობის საკითხისათვის

ძველ ქართულ მწერლობას, კერძოდ, ძველ ქართულ სასულიერო-საეკლესიო მწერლობას ზოგჯერ ნიჰილისტურად აფასებენ. ზოგიერთი მკვლევარის აზრით, რადგან ქრისტიანობა ქადაგებს ამქვეყნიური სამყაროს არარაობას, უარყოფს ამქვეყნიურ სინამდვილეს და ადამიანის ყურადღებას საიქიოსაკენ, იმქვეყნიური სამყაროსაკენ წარმართავს, რადგან ეკლესიის ყურადღება „მშრალი, უსიცოცხლო, მკვდარი და შინაარსისაგან დაკლილი დოგმატების „ახსნა-განმარტებისაკენ“ იყო მიმართული, მისი მწერლობის დაღებითი შეფასება არ შეიძლება; ე. ი. რადგან ძველი მწერლობა ქრისტიანულ ნიადაგზე ვითარდებოდა, მისი დადებითი შეფასება შეუძლებელია. ასეთი აზრის გამტარებელნი და დამცველნი იგიწყებენ, რომ საუკუნეთა მანძილზე ქრისტიანული დოგმების სამოსელში პოლიტიკურ-სოციალური და კულტურული ცხოვრების საკითხებიც იყო გახვეული. ამ დოგმებში ხშირად თავისებურ ასახვას პოულობდა რეალური ცხოვრებაც“².

განსაკუთრებით საგულისხმოა, რომ, მიუხედავად იმქვეყნიური ცხოვრების ქადაგებისა, ქრისტიანობა საკმაოდ ენერგიულად მოქმედებდა სააქაოშიც, ხელს არ იღებდა რეალურ სამყაროზეც. ამას თვალნათლივ წარმოაჩენს მთელი ისტორია ქრისტიანული რელიგიისა. განა საყოველთაოდ ცნობილი არაა, რომ ე. წ. საეკლესიო მამები გულმოდგინედ იღვწოდნენ ამქვეყნიურ სამყარო „სახელისა“ და „ავტორიტეტისათვის“, სიმდიდრის დაგროვებისა და მამულეების გაზრდისათვის, პირადი ზრახვებისა და მიზნების განხორციელებისათვის? განა შუა საუკუნეების ქრისტიანობა შორს იყო ამქვეყნიური საქმეებისაგან? რასაკვირველია, არა.

იგივე შეიძლება ვთქვათ სასულიერო-საეკლესიო მწერლობაზეც. მართალია, ის არარეალურ სამყაროს ქადაგებდა, მაგრამ არც ამ ქვეყანაზე იღებდა ხელს, არც ამას ივიწყებდა.

¹ კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული წერილები, გვ. 518.

² კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ნიჰილისტური შეფასება, ეტიუდები, III, გვ. 147.

თავისთავად ის ფაქტი, რომ ძველი ქართული მწერლობის ერთ-ერთი ძირითადი ნაწილი სასულიერო-საეკლესიო შინაარსისა იყო, არ ნიშნავს იმას, რომ ის არ ცდილობდა ობიექტური რეალობის ასახვას, ცხოვრების ნამდვილი სურათების დახატვას.

როგორც ცნობილია, ძველი მწერლობა არ იფარგლებოდა მხოლოდ რელიგიური თემატიკით. ნ დობროლუბოვი (1836—1861) წერს: „О степени участия народности в развитии русской литературы“ მართებულად აღნიშნავდა: „Почти при самом же своем начале письменность не ограничивается уже, однако, исключительно религиозными интересами: она служит также оружием власти светской, хотя все еще не выходит из круга духовных предметов“¹.

სასულიერო-საეკლესიო მწერლობის ყველა წარმომადგენელი ვერ წყვეტდა კავშირს ამქვეყნიურ სამყაროსთან, ვერ ივიწყებდა არსებულ გარემოცულობას. მიუხედავად ეკლესიის ძლიერებისა და რელიგიის ბატონობისა, — რაც საკმაოდ ზღუდავდა მწერალთა მხარგრულ შესაძლებლობას, — ზოგიერთი ძველი ავტორი მაინც ახერხებდა რეალური ვითარების ასახვას. ამ გარემოებაზე საგანგებოდ ამახვილებდა ყურადღებას აკად. რ. ვიპერი. განსვენებული მეცნიერი წერდა: „Своеобразие религиозных документов состоит в том, что их авторы, говоря о благах воображаемого потустороннего мира будущего, не могут отрешиться от современных им отношений, от будничных забот, от актуальных запросов, от своей ближайшей обстановки. Они сами рисуют нам свои собственные портреты, открывают свои сокровенные надежды и страхи. Иначе и быть не могло. Ведь прекрасная жизнь в раю обещала как награда за хорошее поведение в адепном мире“².

ბევრი ძველი მწერალი თავს აღწევდა რელიგიურ ტრაფარეტს, ქარბად ესესხებოდა ხალხურ სიტყვიერებას³, რეალურად ასახავდა ცხოვრებას და ასკეტიზმის იდეალების გადმოცემის პარალელურად, ზოგჯერ, უშუალოდ და გულწრფელობით გვამცნობდა თავის სიყვარულს ამქვეყნიური სამყაროსადმი, ობიექტური რეალობისადმი. ასე იქცეოდა არა ერთი წარმომადგენელი რუსული⁴, ფრანგული⁵ და სხვ. მწერლობისა, ასევე იქცეოდა ბევრი წარმომადგენელი ძველი ქართული სასულიერო-საეკლესიო მწერლობისა.

ძველი ქართული სასულიერო-საეკლესიო მწერლობა ცხოველ ინტერესს იწვევს თანრობლივი სიმდიდრითა და თემატიკური მრავალფეროვნებით. მართებულად ასკვნის აკად. კ. კეკელიძე, რომ „ჩვენი დროის თვალსაზრისითაც რომ მიუვდგეთ ძველ სასულიერო მწერლობას, დავინახავთ, რომ ამ მწერლობას აინტერესებს ისეთი აქტუალური თემებიც, როგორცაა პატრიოტიზმი, სახელმწიფოებრივი მშენებლობა, ტომობრივ-ეროვნული მთლიანობა, სამშობლოს დაცვის მიზნით მოძალადეთა და დამპყრობელთა წინააღმდეგ თავდა-

¹ Н. Добролюбов, Собрание сочинений в трех томах, I, М., 1950, гл. 299.

² Р. Виппер, Возникновение христианской литературы, гл. 281.

³ М. Горький, О литературе, М., 1953, гл. 767. იხ. აგრეთვე М. Горький, Собрание сочинений, XXIII, М., 1953, гл. 193—194.

⁴ Н. Гудали, История древней русской литературы, М., 1945, гл. 5.

⁵ История французской литературы, I, М.—Л., 1946, гл. 14, 71—72.

დებული ბრძოლა, გმირობა-მამაცობა, ცოდნა-განათლების შეძენის საჭიროება.¹

როდესაც ძველ ქართველ მწერლებზე ვმსჯელობთ, რასაკვირველია, მათგან რაღაც განსაკუთრებულის მოთხოვნა შეუძლებელია; ჩვენ ყოველთვის უნდა გვანსოვდეს, რომ „ისტორიული დამსახურება ფასდება არა იმის მიხედვით, თუ რა არ მოუციათ ისტორიულ მოღვაწეებს თანამედროვე მოთხოვნებთან შედარებით, არამედ იმის მიხედვით, თუ რა მოგვეცეს ახალი თავიანთ წინამორბედებთან შედარებით“².

ქართულ სასულიერო საეკლესიო მწერლობაში, მიუხედავად იმის იდეური მიზანდასახულებისა და ეპარქიოლოგიური სპეციფიკით გამოწვეული შეზღუდულობისა, შედარებით, სრულად აისახა სინამდვილე, ყოფითი ცხოვრების სხვადასხვა მხარე, საზოგადოებრივ პოლიტიკური მდგომარეობა. ტრაგადრამატული ძეგლების გვერდით შეიქმნა ისეთი ძეგლები, რომლებიც ვერ თავსდებიან სასულიერო-საეკლესიო მწერლობის მიერ შემუშავებულ ჩარჩოებში. მათი იდეური შინაარსი სცილდება ქრისტიანული რელიგიის სარწმუნოებრივი დოგმების ახსნა-განმარტებასა და ქადაგებას. ქართველი მწერლები (იაკობ ცურტაველი, იოანე საბანისძე, გიორგი მერჩულე, ბასილ ზარზმელი, გიორგი მთაწმიდელი და სხვ) ძლევდნენ ფორმალურსა და შინაარსობრივ ჩარჩოებს, ქმნიდნენ მალაქმბატვრულ ძეგლებს, თავიანთ ნაწერებში ავითარებდნენ პატრიოტულ გრძნობებს, ცხოვრებას ასახავდნენ საკმაოდ ღრმად, ადამიანთა სახეებს იძლეოდნენ ცოცხლად და დამაჯერებლად, პერსონაჟებს წარმოადგენდნენ ადამიანური განცდებითა და მისწრაფებებით და ა. შ. ისინი უშუალოდ მათა და რეალისტური ტენდენციებით წერენ და ქმნიან მათი მსოფლმხედველობისათვის შეუფერებელ სურათებს, იკრებიან სოციალური საკითხების სფეროში, გვაწვდიან ფართო ხასიათის იდეურ გააზრებებს, რომლებიც ზოგჯერ კიდევ ეწინააღმდეგებიან თვით მათ მსოფლმხედველობას. აქ თავს იჩენს წინააღმდეგობა მეთოდსა და მსოფლმხედველობას შორის, რომელიც სხვაგანაც შენიშნულია და ახსნილია მარქსიზმის კლასიკოსების მიერ. ძველი ქართული მწერლობის იდეური შინაარსისა და მხატვრული მხარის ანალიზი უცილობლად ავლენს, რომ ზემოდასახელებულ ავტორთა თხზულებანი თავისი ეპოქის შესაჩივნავ მხატვრულ ნაწარმოებებს წარმოადგენენ³.

აღსანიშნავია, რომ ის მკვლევარნიც კი, რომლებიც ერთგვარი ნიჰილისტური აზრების ავტორებად გვევლინებიან, ვერ უარყოფენ, რომ ქართული სასულიერო-საეკლესიო მწერლობა არ იყო დაცლილი სასიცოცხლო მოტივებისაგან, რომ ის „მწრალი დოგმების“ ახსნა-განმარტებასთან ერთად იძლევა სხვა მასალასაც, სცილდება საეკლესიო ჩარჩოებს, შეიცავს მოპირდაპირე, განსხვავებული მსოფლმხედველობის განწყობილებებსა და წარმოდგენებს.

¹ კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, 1⁴, გვ. 12.

² გ. ლენინი, თხზ., ტ. 2, გვ. 217.

³ რ. ბარამიძე, ნარკვევები. ქართული აგიოგრაფიის ისტორიიდან. (V—XI სს.), I, თბ., 1957. ქართული ჰიმნოგრაფიის მხატვრულ ღირებულებაზე იხ. გ. იმედაშვილის საინტერესო ნარკვევი: ქართული კლასიკური საგლობლის პოეტური მეტყველების ზოგი საკითხი, საიუბილეო კრებული, მიძღვნილი აკად. კ. კეკელიძის დაბადების 80 წლისთავისადმი, გვ. 149—182.

დოც. შ. ხიდაშელი წერს: „ფაქტია, რომ ქრისტიანობამ საქართველოში მართლაც ითამაშა ერთგვარი როლი ეროვნულ თაყვანისა და თვითმყოფობის განმტკიცების თვალსაზრისით. ქრისტიანული რელიგია ერთგვარი ზღუდე იყო წინააღმდეგ მაზდეიანური და შემდეგ მაჰმადიანური. ქვეყნებისა, რომლებსაც არა ერთხელ უცდიათ საქართველო კულტურული, პოლიტიკური და ზოგჯერ ფიზიკური განადგურება. ისიც ფაქტია, რომ საეკლესიო მწერლობის ზოგიერთ ძეგლში პოვა გარკვეული გამოხატულება ეროვნული მთლიანობის იდეა და პატრიოტულმა განწყობილებამ (აბო თბილელის იარტილოზა, გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება. კონსტანტი კახის მარტილობა და სხვ.). ხსენებული ლიტერატურული ძეგლების მნიშვნელობა ამ ნხრით უფრო დიდია, რომ საქართველოს უცხო დამპყრობთაგან (არაბთა ბატონობისაგან) განთავისუფლებისა და ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური გაერთიანების ხმა ამ ძეგლებში ბევრად უფრო ადრე გაისმა, ვიდრე საქართველოს განთავისუფლება და გაერთიანება ფაქტიურად განხორციელდებოდა“¹.

დოც. შ. ხიდაშელი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს იმ საგულისხმოდ ფაქტს, რომ ჩვენი მწერლობის ადრეული ხანის მრავალი ძეგლი არ ეტყვა საეკლესიო მსოფლმხედველობის ტიპობრივ ჩარჩოებში. ის საგანგებოდ უყრის თავს ჩვენი მეცნიერების (აკად. ი. ჯავახიშვილი, აკად. კ. კეკელიძე) გამონათქვამებს ქართველ აგიოგრაფთა შესახებ და ამხსვილებს ყურადღებას მათ დაკვირვებებზე. მას სავალალოდ მიაჩნია ის გარემოება, რომ მკვლევართა მიერ შენიშნული საინტერესო მასალის შესახებ სათანადო დასკვნები არაა გამოტანილი. ზემოაღნიშნული მოვლენა არაა ახსნილი იმ იდეოლოგიური წინააღმდეგობებით, რომელთაც ადგილი ჰქონდათ კლასობრივ საზოგადოებაში; მ მოვლენას ხსნიან ამა თუ იმ „ავტორის ლიტერატურული უნარიანობით და მხატვრული გემოვნებით, ანდა პოეტური ნიჭით“. სათანადო სამეცნიერო ლიტერატურაში უკვე აღინიშნა, რომ მისი ბრალდება უსაფუძვლოა. კარგა ხანია შენიშნულია და სახელმძღვანელოებშიც აღნიშნულია, რომ ძველ საქართველოში ადგილი ჰქონდა სხვადასხვა ბრძოლას (სოციალურ-კლასობრივს, დოგმატიკურ-ფილოსოფიურსა და სხვ.) და თუ ამა თუ იმ ძეგლის განიხილისას აღნიშნულია მისი ავტორის შესაძლებლობანი, ეს არა იმიტომ, რომ ამით აიხსნას მთელი პრობლემა, საერთოდ დადებითი მხარე ამ ნაწარმოებისა, არამედ იმიტომ, რომ რეალური სინამდვილის ისეთი ასახვა, რომელსაც ამ ნაწარმოებში აქვს ადგილი, „ავტორის ლიტერატურული უნარიანობისა და მხატვრული გემოვნების, ანდა პოეტური ნიჭის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა“².

ამრიგად, ქართული სასულიერო-საეკლესიო მწერლობა შეიცავდა ერთმანეთის საწინააღმდეგო იდეებსა და ტენდენციებს. მასში, მიუხედავად მისი თეოლოგიური ხასიათისა, შეინიშნება „ადგილობრივი სუბსტრატის ანარეკლიც“³. ზოგიერთ შემთხვევაში ორი სხვადასხვა, მოწინააღმდეგე მსოფლმხედველობის ერთსა და იმავე ძეგლში თანაარსებობა უცილობელი ფაქტია. ხშირად ვიწრო თეოლოგიურ სპეციფიკას ძლევს არსებული სინამდვილე და

¹ შ. ხიდაშელი, რამდენიმე შენიშვნა ქართული საზოგადოებრივი და ფილოსოფიური აზრის ისტორიის საკითხებზე, „ლიტერატურული გაზეთი“, 31, XII, 54, № 52 (910).

² კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ნიჰილისტური შეფასება, ვტიუდები, III, გვ. 149.

სასულიერო-საეკლესიო მწერლობაში იჭრება ზოგადსაკაცობრიო ჰუმანური პრობლემები და უაღრესად ადამიანური თემატიკა.

ბუნებრივად წამოიჭრება საკითხი: სადაა იაკობ ცურტაველის, იოანე საბანისძის, გიორგი მერჩულისა და სხვა ქართველ კალმისოსტატთა კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობა ძველი ქართული მწერლობის ისტორიის, ძველი ქართული საზოგადოებრივი აზრის განვითარების თვალსაზრისით? იქ, სადაც ისინი ეტევიან საეკლესიო ჩარჩოში და იცავენ შემუშავებულ ტრაფარეტს, თუ იქ, სადაც ისინი სცილდებიან მას? იქ, სადაც ისინი ქრისტიანობის დოგმებს განპარტავენ თუ იქ, სადაც ცხოვრების რეალურ სურათებს აღწერენ და ადამიანთა ფსიქოლოგიურ განცდებს გადმოსცემენ?

აქ ორი აზრი არ შეიძლება არსებობდეს.

როდესაც ვაფასებთ ქართულ სასულიერო-საეკლესიო მწერლობას და მის ავკარგიანობაზე ვმსჯელობთ, უნდა გვახსოვდეს შემდეგი: მართალია, რელიგიური მსოფლმხედველობა განსაზღვრავდა სასულიერო-საეკლესიო მწერლობის სწორეც იმ მხარეს, რომელიც ქრისტიანული იდეების პროპაგანდას ეწეოდა და ძველ ავტორებს, რამდენადმე, ხელსაც კი უშლიდა ცხოვრების რეალურ ასახვაში, მაგრამ ძველ საქართველოში შეიქმნა მრავალი ისეთი ძეგლი, რომელიც შეიცავდა ჯანსაღ აზრებსა და მოწინავე იდეებს. რასაკვირველია, ეს ჯანსაღი და მოწინავე უშუალოდ ქრისტიანული დოგმატიკისაგან არ გამომდინარეობდა, ის ცხოვრების კარნახით შეიქრა მწერლობაში და საკმაოდ დაიპყვიდრა იქ ადგილი. აქედან გამომდინარე ხელაღებით უარყოფა ქართული სასულიერო-საეკლესიო მწერლობისა ყოველად გაუმართლებელი შეცდომაა. საჭირო და აუცილებელია ქართული სასულიერო-საეკლესიო მწერლობის, — როგორც ქრისტიანული იდეოლოგიის გამომხატველი მწერლობის, — ნაკლოვან მხარეთა ჩვენებისას არ უგულვებელყოთ ის დადებითი და მნიშვნელოვანი, რაც ჩვენმა ძველმა მწიგნობრებმა შექმნეს.

უკანასკნელ ხანს მწვავედ დაისვა შემდეგი საკითხი: შეიძლებოდა თუ არა ქართულ ეკლესიას და ქართულ სასულიერო-საეკლესიო მწერლობას ექადაგა პატრიოტული იდეები? ზოგიერთი ძველევარი ამ კითხვაზე უარყოფით პასუხს იძლევა.

დოც. შ. ხიდაშელის აზრით, ქრისტიანობა, — როგორც კოსმოპოლიტური რელიგია — პრინციპულად გამორიცხავდა პატრიოტულ სულისკვეთებასა და ეროვნული მთლიანობის იდეას. ქართული ეკლესია „ხელს უწყობდა ქვეყნის ეროვნული მთლიანობის დარღვევას“, „ახშობდა და აღუნებდა პატრიოტული სულისკვეთების ყოველგვარ გამოვლინებას“, ხელს უშლიდა საქართველოს გაერთიანებას; დავით აღმაშენებელმა საქართველოს გაერთიანების ეს მიზნად დაისახა ბრძოლა ქართული ეკლესიის წინააღმდეგ და ს.ვ.¹

რამდენად სწორია ყოველივე ეს?

¹ შ. ხიდაშელი, საზოგადოებრივი და ფილოსოფიური აზრის ძირითადი მიმართულებანი ფეოდალურ საქართველოში, გვ. 88; მისივე, ქართული საზოგადოებრივი და ფილოსოფიური აზრის ისტორიიდან, გვ. 60; მისივე, რამდენიმე შენიშვნა ქართული საზოგადოებრივი და ფილოსოფიური აზრის ისტორიის საკითხებზე, „ლიტერატურული გაზეთი“, 31. XII. 54, № 54 (910).

სწორია განცხადება, რომ ქრისტიანული რელიგია კოსმოპოლიტური იყო, მაგრამ ეს სრულებით არ ნიშნავს, რომ ქრისტიანებს საწმინდო არ უყვარდათ. განა ქრისტიანები არ იყვნენ ქართელები, რომლებიც თავვამოდებით ებრძოდნენ ქრისტიან ბიზანტიელებს, მაზღვიან სპარსელებს, მაჰმადიან არაბებსა და სხვებს? რასაკვირველია, მათი მამულისმოყვარეობა არ შეიძლება ავხსნათ ქრისტიანული რელიგიის ყოვლისშემძლეობით, მაგრამ ის ზომ ფაქტია, რომ ქრისტიანობის სიყვარულმა მათ ვერ დაუჯარგა მამულის სიყვარულის გრძობა, რომ ქრისტიანობის კოსმოპოლიტურმა ხასიათმა არ დააეიწყა მათ სამშობლო (ასევე შეიძლება განვიხილოთ რუსეთისა და სხვა ქრისტიანული ქვეყნების საკითხებიც).

არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ ყველა ქრისტიანული ქვეყანა და მისი ეკლესია, თუ სათანადო ძალა შესწევდა, ენერგიულად ისწრაფოდა და იბრძოდა ავტოკეფალიისათვის. განა ის გარემოება, რომ გიორგი ათონელი (1009—1065) და სხვანი თავგამოდებით იბრძოდნენ ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობისათვის, არ მოწმობს მათ პატრიოტიზმს? განა იოანე საბანისძე (VIII ს.) ან იოანე-ზოსიმე (X ს.) ბიზანტიის ქრისტიანულ ეკლესიას რომ უპირისპირდებოდნენ, ეს არ იყო განპირობებული მაღალი ეროვნული გრძობით?

„განა იაკობ კურტაველი, იოანე საბანისძე, გრიგოლ ხანძთელი, გიორგი მერჩული და სხვა მრავალი ცნობილი და უცნობი საეკლესიო მწერალი და მოღვაწე სამშობლოს განმტკიცება-გაერთიანებასა და ეროვნული თვითშეგნების საქმეს არ ემსახურებოდნენ? განა კათოლიკოსები კირიონი და არსენ საფარელი ჩვენს მეზობლებთან პოლემიკაში ქართულ ეროვნულ საქმეს არ ემსახურებოდნენ? განა ექვთიმე ათონელი, გიორგი მთაწმიდელი, გიორგი შავმთელი ეროვნული საქმისათვის არ ებრძოდნენ ქედმაღალ ბერანებს? ნუთუ ეროვნული საქმე არაა ის სწავლა-განათლება, მდიდარი ლიტერატურა, რომელიც მონასტრებისა და ეკლესიის მსახურთა მიერ იქმნებოდა? ის მდიდარი პოლემიკური ლიტერატურა, რომელიც ჩვენი ქვეყნის დაუძინებელი მტრების, აღმოსავლეთის მაჰმადიან-დამპყრობლების წინააღმდეგაა მიმართული, ეროვნული შეგნების დაცვასა და განმტკიცებას არ ემსახურებოდა? განა გიორგი მთაწმიდელის დემოკრატიული საქმიანობა ბაგრატ IV დროს სახელმწიფო და საეკლესიო სფეროში, განა ჯეორგი-მწიგნობართუხუცესების, კერძოდ, გიორგი ჯეორგი-მწიგნობართუხუცესების საქმიანობა დავით აღმაშენებლის დროს ქართული ეროვნული და პატრიოტული საქმიანობა არ იყო?“¹

ზოგიერთი მკვლევარი უარყოფს რა ქართულ სასულიერო-საეკლესიო მწერლობაში პატრიოტული იდეების არსებობას, ვერ ჩქმალავს საკითხის არსს, იძულებულია აღიაროს, რომ ზოგიერთ ძეგლში შეინიშნება პატრიოტული სულისკვეთება, მაგრამ ეს იშვიათი გამონაკლისია, საერთოდ კი „ქართული საეკლესიო მწერლობის ტიპური ძეგლებისათვის“ უცხო იყო პატრიოტული იდეები. არ ვიწყებთ იმის განხილვას თუ რამდენად ტიპურია ქართული სასულიერო-საეკლესიო მწერლობისათვის ის ძეგლები (ეგსტათი მცხეთელის მარტვილობა, გობრონის მარტვილობა), რომელთაც დოც. შ. ხიდაშელი

¹ კ. ქეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ნიჰილისტური შეფასება, ეტიუდები, III, გვ. 150—151.

ასახელებს, არც იმას ვეხებით, თუ რამდენად სწორად აქვს მას გაგებული ამ ძეგლების არსი. ჩვენ სხვა რამ გვაინტერესებს: ძველი ქართული მწერლობისათვის დამახასიათებელია ეს ორი ძეგლი და მასში გატარებული აზრები თუ აკობ კურტაველის, იოანე საბანისძის, ბასილ ზარსმელის, გიორგი მერჩულას, გიორგი ათონელის, გიორგი მცირისა და სხვათა მაღალმატერული და ღრმაშინაარსიანი თხზულებანი?¹

ძნელია გავიზიაროთ დებულება, რომ ქართული ეკლესია ძირს უთხრიდა ქვეყნის მთლიანობის იდეას. საგულისხმოა, რომ, როგორც არა ერთგზისაა აღნიშნული სათანადო ლიტერატურაში, ქვეყნის მთლიანობის იდეა გაცილებით ადრე შეიქრა ქართულ მწერლობაში, ვიდრე ეს საქმე პრაქტიკულად განხორციელდებოდა. აქ არ შეგვიძლია არ მოვიგონოთ გიორგი მერჩულის (X ს.) ცნობილი სიტყვები: „ქართლად ფრიალი ქუეყანაჲ აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაჲ ყოველი აღესრულების, ხოლო კვრიელეასონა ბერძულად ითქუმისო“². სავესებით ცხადია, რომ აგიოგრაფი აქ თვალნათლივ გამოხატავს იმ კულტურულ-ეროვნული ერთობის იდეას, რომელსაც მის ეპოქაში უკვე ჰქონდა ფესვი გადგმული ქართველ საზოგადოებრიობაში.

არაა სწორი, რომ, თითქოს, დავით აღმაშენებელმა მიზნად დაისახა ბრძოლა ქართული ეკლესიის წინააღმდეგ. პირიქით, დავითს აწუხებდა ის გარემოება, რომ „წმიდანი ეკლესიანი, სახლნი ღმრთისანი, ქუაბ ავაჯაკთა ქმნილ იყვნეს, და უღირსთა და უწესთა მამულობით უფროს ვიდრე ღირსებით დაეპყრნეს უფროსნი საეპისკოპოსონი“³. ამიტომაც ის ენერგიულად იბრძოდა ქართული ეკლესიის სიწმინდისათვის, იქ მოკალათებულ უღირს პირთა საქმიანობის აღკვეთისათვის, გულუხვად ეხმარებოდა ეკლესია-მონასტრებს, აარსებდა ახალ საეკლესიო-საგანმანათლებლო ცენტრებს (გელათი), გულდასმით კითხულობდა სასულიერო-საეკლესიო ძეგლებს და თვითაც შეჰქონდა წვლილი ქართული მწერლობის ზრდა-განვითარებაში. ამრიგად, განცხადება, დავითმა მიზნად დაისახა ბრძოლა ეკლესიის წინააღმდეგო, არსებითად მცდარია.

თავისთავად ის ფაქტი, რომ ეკლესიის წიაღში მრავალი უღირსი პირი იყო მოკალათებული და შავზნელ საქმეებს აკეთებდა, არ ნიშნავს იმას, რომ ქართული ეკლესია სახელმწიფოს მთლიანობაზე არ ზრუნავდა, ან პოლიტიკურ-კულტურული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაზე ხელს იღებდა.

ზოგჯერ უარყოფენ რა სასულიერო-საეკლესიო მწერლობის მნიშვნელობას, გვთავაზობენ ხალხური სიტყვიერების საგანძურს და მოგვიწოდებენ მისი შესწავლისა და მისი მონაცემებით დაკმაყოფილებისაკენ.

უნდა გვახსოვდეს, რომ სასულიერო-საეკლესიო მწერლობა და ხალხური სიტყვიერება ერთმანეთს აესებენ; ერთს ხშირად აკლია ის, რაც მეორეში

¹ ს. ყუბანეიშვილი, სამშობლოსათვის ბრძოლისა და თავდადების მოტივები ძველ ქართულ ლიტერატურაში (V—XII სს.), თბ., 1942. იბ. აგრეთვე რ. ბარამიძე, რამდენიმე შენიშვნა ძველი ქართული ლიტერატურის საკითხებზე, „ლიტერატურული გაზეთი“, 4. III. 55, № 9 (1919).

² ТРА-ГФ, VII, СП6., 1911, გვ. 80.

³ ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, 1, თბ., 1955, გვ. 327 (ქვემოთ—ქართლის ცხოვრება).

სრულადაა წარმოდგენილი. ამდენად მიოლოდ ერთით (რომელიც არ უნდა იყოს ის) დაკნაყოფილება მართებულად არ იქნება.

ძველი ქართული მწერლობა ფეოდალური ხანის მწერლობაა. ის თავისი ბაზისის შესაბამისი იყო და აქვე ასახავდა ხალხის ცხოვრებას. რასაკვირველია, ფეოდალური მწერლობა ვერ იქნებოდა დაცლილი კლასობრივი გრძობისაგან. კლასობრივ საზოგადოებაში მწერლობაც კლასობრივი იყო, გარკვეული კლასის იდეოლოგიას გამოაჩვენებდა და მის სამსახურში იღვავდა¹. ის არა მარტო ასახავდა არსებულ ვითარებას, არამედ გავლენასაც ახდენდა თავის ბაზისზე, ამტკიცებდა და ამაგრებდა არსებულ წყობილებას. თავისდათავად ის ფაქტი, რომ ზედნაშენს ბაზისი წარმოშობს, არ ნიშნავს იმას, რომ მას შემქმნელზე გავლენის მოხდენა არ შეუძლია, რომ ის პასიურია; პარტიკით. ბაზისი სწორედ იმ მიზნით ქანის ზედნაშენს, რომ ზედნაშენი მას ემსახურებოდეს და აქტიურად ეხმარებოდეს ჩამოყალიბებასა და განმტკიცებაში.

ამრიგად, ქართულ ფეოდალურ მწერლობას, როგორც ზედნაშენს, გარკვეული ვალდებულება ჰქონდა. ის კლასობრივი იყო და გაბატონებული კლასის იდეოლოგიას ატარებდა. ბუნებრივია, რომ მის ზრდა-განვითარებაში მშრომელი ხალხი არ მონაწილეობდა სათანადო აქტიურობით, რადგან ცენტურა ახშობდა მის თავისუფალ, ლალ აზრსა და მის მხატვრულ გემოვნებას. რადგან ოფიციალურ მწერლობაში მშრომელთათვის კარი დახშული იყო, მისმა შემოქმედებითმა ენერგიამ გასაქანი პოვა სხვა ასპარეზზე. მშრომელმა ხალხმა შექმნა უაღრესად მდიდარი, ღრმა შინაარსისა და მაღალმხატვრული ფორმის ხალხური სიტყვიერება, რომელიც ზუსტად გამოხატავდა მის ინტერესებს. თუ ფეოდალური მწერლობა ძირითადად ექსპლოატატორთა იდეოლოგიას გამოხატავდა, ხალხური სიტყვიერება მშრომელთა გულისთქმას გადმოსცემდა. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ პროგრესული იდეებით აღსავსე ზეპირსიტყვიერების გვერდით არსებობდა გაბატონებული კლასების იდეოლოგიის გამოხატველი ზეპირსიტყვიერება, რომელიც ბოგინობდა ე. წ. ზედა წრეში, მეფე-დიდებულთა სასახლეებში, მოწყვეტილი იყო ნამდვილ ხალხურ ნიადაგს. გასაგებია, რომ ორი სხვადასხვა კლასის, — გაბატონებულისა და დამონებულის, — იდეოლოგია სხვადასხვა იყო. ხალხური სიტყვიერებაც შესაბამის იერს ატარებდა²; სოციალურ-კლასობრივ ბრძოლას სხვადასხვა მხარე სხვადასხვაგვარად აშუქებდა³. რასაკვირველია, განსაკუთრებული ღირებულებისაა მშრომელთა მიერ შექმნილი ზეპირსიტყვიერება, რომელშიც მამულის-მოყვარე და შრომისმოყვარე თავისუფლების მოტრფილად და უკეთესად

¹ В. С в а т е р ш я о в, Искусство как форма общественного сознания. კრებულ: „Вопросы марксистско-ленинской эстетики“, М., 1956, გვ. 45—46.

² Русское народное поэтическое творчество. Под общей редакцией проф. П. Богатырева. М., 1951, გვ. 4—5.

³ В. А д р и а н о в а - П е р е т ц, Древнерусская литература и фольклор, Труды отдела древнерусской литературы ИРЛ АН СССР, VII, 1949, გვ. 5—16.

მომავლისათვის მებრძოლი ხალხის იდეალებია მოცემული, რომელიც პატრიოტიზმისა და ჰუმანიზმის დიდი იდეებითაა გამთბარი¹.

ხალხური სიტყვიერება არსებით მონაწილეობას იღებდა მწერლობის განვითარების პროცესში. ის ყოველთვის არსებობდა როგორც ოფიციალური ცხოვრების გარეშე-დარჩენილი შემოქმედებითი საწყარო, რომელიც დიდ გავლენას ახდენდა მწერლობაზე². ხალხური სიტყვიერება ეხმარებოდა მწერლობას, ხელს უწყობდა მის განვითარებას, აჩქარებდა მის წინსვლას. ზეპირი მხატვრული შემოქმედება გააძა წყარო წერილობითი შემოქმედებისა. საყოველთაოდ ცნობილია, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ხალხურ სიტყვიერებას მწერლობისათვის³. მწერლობის ისტორიის შესწავლა ცხადყოფს, რომ ადრეული ხანიდან მოყოლებული დღემდე ყველა მნიშვნელოვანი მწერალი რამდენადმე დავალებული იყო ხალხისაგან, საზრდიობდა ხალხური მასალით, ხარბად ეწაფებოდა ხალხურ შემოქმედებას. მაღალმხატვრული ქართული ზეპირსიტყვიერება ყოველთვის ახლოს იყო მწერლობასთან და ცხოველმყოფელ გავლენას ახდენდა მასზე⁴.

მიუხედავად აღნიშნულისა, უნდა გვახსოვდეს, რომ ხალხური სიტყვიერების მონაცემებით ლიტერატურული პროცესების სრულად გათვალისწინება შეუძლებელია. მართალია, ხალხური სიტყვიერების საუნჯე იძლევა ძვირფას მასალას, მაგრამ მხოლოდ ამით არ შეიძლება შევისწავლოთ და შევიცნოთ, გაითვალისწინოთ და წარმოვიდგინოთ ამა თუ იმ ქვეყნის ისტორია, მწერლობის განვითარების გზა, საზოგადოებრივი და ფილოსოფიური აზრის ძირითადი მიმართულებანი. ამ მომენტის გათვალისწინებლობა და ხალხური სიტყვიერების მონაცემების გადაქარბებით შეფასება შეუძლებელია. უნებლიეთ გვაგონდება ი. სერგიევსკის სიტყვები: „В той прямолинейности, с какою фольклор провозглашается „чужь ли не единственным достоверным источником“ для характеристики нужд и чаяний народных, нельзя не видеть проявления старинного вульгарно-социологического упрощенчества. Не воскрешается ли здесь усиленно культивировавшееся вульгарными социологами представление о том, что в качестве идеолога того или иного класса может якобы выступать только человек, по рождению принадлежащий к данному классу“?⁵

ქრისტიანობის როლი საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში

ქრისტიანობას, უთუოდ, ერთგვარი როლი მიუძღვის საქართველოს თავდაცვის განმტკიცებასა და დამოუკიდებლობის შენარჩუნებაში, მანვე შე-

¹ ქართული სახალხო გმირები, კრებული შედგენილი ქ. სიხარულიძის მიერ, მისივე რედაქციით, წინასიტყვაობითა და შენიშვნებით, თბ., 1952; ქ. სიხარულიძე, ქართული ხალხური საგმირო-საისტორიო სიტყვიერება, თბ., 1949.

² ვ. კოტეტიშვილი, ხალხური პოეზია, თბ., 1934, გვ. III.

³ М. Горький, О литературе, гв. 767.

⁴ ქ. სიხარულიძე, ქართველი მწერლები და ხალხური შემოქმედება, I, თბ., 1956.

⁵ И. Сергиевский, До конца преодолеть схематизм и вульгаризаторство, „Литературная газета“, 23. XI. 54, № 139 (3323).

უწყო ხელი ჩვენი წინაპრების სწრაფებას ჩრდილოეთისაკენ. რასაკვირველია, დიდი შეცდომა იქნებოდა ამ შემთხვევაში ქრისტიანობის მიჩნევა გადამწყვეტი ნიშნის მქონე ფაქტორად, მაგრამ არც იმის უარყოფა შეიძლება, რომ ის დიდად უწყობდა ხელს ქართველთა თავდადებულ ბრძოლას არაქრისტიანული ქვეყნების წინააღმდეგ; ეროვნული კატასტროფის მოახლოების ქამს ქრისტიანული ეკლესია ხელს უწყობდა ქართველთა შეგავშირება-გაერთიანებასა და ქართული სამეთო-სამთავროების ერთობლივ ბრძოლას მოძალბებული მაჰმადიანური ურდოების წინააღმდეგ. — ქრისტეს რჯული ქართველებისათვის მარტო სარწმუნოებითი აღსარება კი არ იყო, იგი ახასთან ერთად პოლიტიკური ქვეითი იყო იყო საქართველოს მრავალ ნაწილების გასაერთებლად და შემოსაკრებად, — წერდა ი. ჯავახიძე 1889 წელს¹.

საესებით ცხადია, რომ ქართველი მამულიშვილების თავგანწირული ბრძოლა მტრის წინააღმდეგ მხოლოდ რელიგიური მოტივებით არ აიხსნება; ქართველი მტერს თავს აკლავდა და სიცოცხლეს არ იშურებდა სამშობლოსათვის. ეს იყო მისი ძირითადი მიზანი და ამოცანა. ხშირად სამშობლოსათვის ბრძოლა გადაეჯაჭვებოდა სარწმუნოებისათვის ბრძოლას. ამ შემთხვევაშიც ქართველი სამშობლოსა თუ სარწმუნოებისათვის ენერგიულად იბრძოდა. ჩვენი წინაპრების მრავალსაუკუნოვანი ბრძოლის ძირითად მიზანს რომ სამშობლოს დაცვა წარმოადგენდა, ეს საესებით უცილობელია; ამას ისიც ადასტურებს, რომ ქართველები თავგანწირვით ებრძოდნენ მოძალბებულ ბიზანტიელებს, თუმცა მათ შორის სარწმუნოებისათვის ბრძოლას ადგილი არ ჰქონია. ჩვენი წარსული რომ გვამცნობდეს ქართველების განსაკუთრებულ ბრძოლას მაჰმადიან-დამპყრობელთა წინააღმდეგ და მსგავსს არას გვაუწყებდეს ბიზანტიელთა წინააღმდეგ ქართველთა ვაჟკაცური ბრძოლების შესახებ, მაშინ შეიძლებოდა მკდარი დასკვნებისათვის ადგილი დარჩენილიყო. პატარე კი სურათს თვალნათლივ წარმოაჩენს: ქართველი მამულიშვილები ერთნაირი თავგამოდებით ებრძოდნენ როგორც მაჰმადიან სპარსელებს, ისე ქრისტიან ბიზანტიელებს. მაშასადამე, ქართველთა თავგანწირულ ბრძოლას მტრის წინააღმდეგ სამშობლოს სიყვარული განაპირობებდა. ამ უკანასკნელს ხშირად (მაჰმადიანთა წინააღმდეგ ბრძოლისას) ემატებოდა სარწმუნოებრივი მომენტიც, რაც ხელს უწყობდა მაჰმადიან დამპყრობთა თუ თავდამსხმელთა მიმართ სიძულვილისა და ზიზლის გაძლიერებას. აღნიშნული გარემოება ქართველს ძალას მატებდა სამშობლოს ეროვნულ-სარწმუნოებრივი თვითმყოფლობის შენარჩუნებისათვის ბრძოლაში. ასე გვესახება ჩვენ ქრისტიანობის როლი საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში.

ზოგიერთ მკვლევარს ნიანჩია, რომ ქრისტიანული რელიგია კოსმოპოლიტობის გამო გამოიციხავდა პატრიოტულ გრძნობას. ამ საკითხზე ჩვენ შემოთავისუფლებით, ამჯერად მხოლოდ იმას დავუმატებთ, რომ ეკლესიის ზოგიერთი წარმომადგენლისათვის ქრისტიანული რელიგიის კოსმოპოლიტობას ხელი არ შეუშლია სამშობლოსათვის თავდადების მაგალითი გამხდარიყო. თუ ზოგიერთი საეკლესიო მოღვაწე შორეულ მხარეშიც არ ივიწყებდა მშობლიურ მამულს და „ქართლისა მწვიდობისა, საზღვართა განმავრებისა,

¹ ი. ჯავახიძე, თხზულებათა სრული კრებული, პ. ინგოროვას რედაქტორობით, IV, თბ., 1955, გვ. 65—66.

მეფეთა და მთავართა დაწყნარებისა, მტერთა გარეშეიქცევისა, ტყუეთა მოქცევისა, ნამთა დაწყნარებისა [და] ქრისტიანობისა დამტკიცებისათვის“ ლოცულობდა¹, ზოგიერთი ხმლით სელში იბრძოდა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის, მისი ღირსების, საბელისა და ავტორიტეტისათვის. საყოველთაოდ ცნობილია ათონელი ბერის თორნიკეს გმირობა ბარდა სკლააროსის მხედრობის წინააღმდეგ ბრძოლაში (979 წ.)². სანშობლოს სიყვარულისა და მისთვის თავდადების შესანიშნავი მაგალითები უჩვენებს თავიანთ თანამემამულეებს საბა მტბეყარმა³, თეოდორე კეალთელმა⁴, თელაველმა ხუცესმა⁵, იესე მაქავარიანმა⁶ და სხვ.

ქრისტიანობის როლი უცხოეთის კულტურასთან საძაბოვლო დაახლოების საქმეში

ქრისტიანობამ ხელი შეუწყო ქართველი ხალხის დაახლოებას უცხოეთის კულტურასთან, „საქართველოს კულტურული კავშირების დაცვასა და განვითარებას“ ევროპის მოწინავე ქვეყნებთან, კერძოდ ბიზანტიასთან.

საქართველოს ტერიტორიაზე ქრისტიანული ეკლესიის აღმოცენებამ და მისმა შემდგომმა ორგანიზაციამ ხელი შეუწყო ბიზანტიასთან როგორც სარწმუნოებრივი, ისე პოლიტიკური და კულტურული ურთიერთობის გაძლიერებას. რასაკვირველია, მხოლოდ ქრისტიანობა არ იყო ამის მიზეზი, ამ მოვლენის მხოლოდ რელიგიური ნოტივეებით ახსნა არ შეიძლება, მაგრამ ბიზანტია-საქართველოს ურთიერთობის ისტორიის გათვალისწინებისას ქრისტიანობის როლის დაკნინება და უგულვებელყოფაც გამართლებული არაა.

უცხოეთის, კერძოდ, ბიზანტიის, კულტურასთან საქართველოს დაახლოებაში გარკვეული როლი შეასრულეს უცხოეთში არსებულმა ქართულმა ეკლესია-მონასტრებმა, რომლებიც ხშირ შემთხვევაში კულტურულ-საგანმანათლებლო კერებს წარმოადგენდნენ. „ჩვენ წინაპართა დაუცხრომელმა მხნეობამ და სულიერი განვითარებისა და ცოდნისმოყვარეობისადმი შეუფერხებელმა მისწრაფებამ ქართველობას საზღვარგარეთ ისეთი დაწესებულებანი შეუქმნა, რომელთა წყალობით საქართველოს საშუალება ჰქონდა მეზობელთა სამეცნიერო, სამწერლობო და საკულტურო წარმატებისათვის თვალყური ედევნებინა და, რაც მისთვის საჭირო იყო, დროზე შეეთვისებინა კიდევ“, —წერდა

¹ Н. Марр, Описание грузинских рукописей Синайского монастыря, М.—Л., 1940, გვ. 85.

² ცხოვრება იოვანესი და ეფთჳმესი, გამოსაცემად დაამზადა ი. ჯავახიშვილმა, თბ., 1946, გვ. 18—20.

³ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 386.

⁴ ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, II, თბ., 1959, გვ. 386 (ქვემოთ—ქართლის ცხოვრება). იხ. აგრეთვე იოსებ ტფილელი, დიდმოურავიანი, გ. ლეონიძის რედაქციით, თბ., 1939, გვ. 7—8.

⁵ ქართლის ცხოვრება, დასაბამითგან მეათცხრამეტე საუკუნემდის, ნაწილი მეორე, ახალი მოთხრობა 1469 წლიდან ვიდრე 1800 წლამდე, გამოცემული დ. ჩუბინოვისაგან, სპბ., 1854, გვ. 139 (ქვემოთ—ქართლის ცხოვრება, II (1854).

⁶ საქართველოს სიძველენი. III, გვ. 197—198.

აკად. ი. ჯავახიშვილი¹. უკოვთში აჩვენებულ ქართულ კულტურულ-საგან-მანათლებლო კერებზე, რომლებიც განსვენებულ მკვლევარს „სამეცნიერო ინსტიტუტებს, სადგურებსა და მისიებს“ აგონებდნენ, და მათ როლზე უკო-ეთის კულტურასთან საქართველოს დაახლოების საქმეში ვრცლად ბეორე წიგნში ვისაუბრებთ და ამჯერად სატყუას აღარ გავაგრძელებთ.

აღსანიშნავია, რომ ქრისტიანობის გავრცელებას საქართველოში და უცხოეთის ეკლესიასთან დაახლოებას, ქართულ-უცხოური კულტურული ურ-თიერთობის გაცხოველებას შეიძლებოდა მოჰყოლოდა ქართველთა მოქცევა გამქრისტიანებელთა გავლენის ქვეშ. არ იყო გამორიცხული იმის შესაძლებ-ლობა, რომ ქართული ეკლესია დაემორჩილებოდა უცხო საპატრიარქოს, სხვა ქვეყანას, რაც, თავის მხრივ, შეასუსტებდა ქართველთა სახელმწიფოებრივ ორგანიზმს. ქართველებს უნდა ჩაეტარებინათ დიდი ბრძოლა, რათა შეენარ-ჩუნებინათ თავიანთი დამოუკიდებლობა. ჩვენი წინაპრების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ კარგად გაითვალისწინეს, რომ კულტურულ-სარწმუნოებრი-ვი აგრესია არანაკლებ საფრთხეს უქადდა ეროვნულ თვითარსებობას და წარმატებით დაიცვეს როგორც თავისი სარწმუნოებრივ-საეკლესიო, ისე კულ-ტურულ-ლიტერატურული დამოუკიდებლობა².

მონასტერი - ქაიბა ძველი ქართული მწიგნობრობისა

ძველი ქართული მწიგნობრობა მეფე-დიდებულთა სასახლეების გარდა ეკლე-სია-მონასტრებშიც ვითარდებოდა. მართალია, „მონასტრები წარმოადგენდნენ უცოლქმრობაზე დაფუძნებულ არანორმალურ საზოგადოებრივ ორგანიზმებს“³. მაგრამ მათი, როგორც მწიგნობრობის კერების მნიშვნელობა უცილობელია. „მონასტრების, როგორც დამწიგნობრობისა და საკოლონიზაციო ბაზების დამ-ნერგავთა, პროგრესული როლი“⁴ ერთობ დიდი იყო თითქმის ყველა ქრის-ტიანულ ქვეყანაში.

საყოველთაოდ ცნობილია ის ფაქტი, რომ რუსული მწიგნობრობის განვი-თარებაში ეკლესია-მონასტრებს გარკვეული როლი შეუსრულებიათ. მონასტე-რი რუსული მწიგნობრობის თვალსაჩინო კერას წარმოადგენდა⁵. მწიგნობრო-ბის განვითარება (ხელნაწერთა გამრავლება, მთარგმნელობითი მუშაობა, ორიგინალური შემოქმედება) კიევის რუსეთში ქრისტიანობის პირველსავე ეტაპზე შეინიშნება. უკვე აღრევე განათლებისა და მწიგნობრობის კერებად იქ-ცნენ კიევის მღვიმეთა ლავრა, სადაც რუსეთის ისტორიის დაწერაც კი ცადეს, მიხაილოვსკ-ვიდუბიტკის მონასტერი და სხვ. თუ ერთის მხრივ ითარგმნებო-

¹ ი. ჯავახიშვილი, ქართული უნივერსიტეტის დაარსების აუცილებლობის შე-სახებ, თსუ შრომები, XXXII, 1946, გვ. 1—2.

² კ. კეკელიძე, კულტურული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ანარეკლი ძველ ქართულ ლიტერატურაში, თბ., 1949 (=ეტიუდები, IV, გვ. 110—124).

³ კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, II, გვ. 366.

⁴ დადგენილება მთავრობის კომისიის ეიუჩისა საშუალო სკოლის მე-3 და მე-4 კლასე-ბისათვის სსრ კავშირის ისტორიის საუკეთესო სახელმძღვანელოზე კონკურსის გამო, „კო-მუნისტა“, 26. VIII. 37, № 194 (4995); კრებული: „ისტორიის შესწავლისათვის“, თბ., 1937, გვ. 88.

⁵ Д. Длхачев, Культура Руси эпохи образования русского национального государства (конец XIV—начало XVI в.), М., 1946, гв. 47.

და და ითხზებოდა სქოლასტიკური იდეებით აღსავსე ძეგლები, მეორეს მხრივ ადგილი ჰქონდა ფრიად საყურადღებო ორიგინალური ნაწარმოებების შექმნის ცდებს (თანდათანობით ჩამოყალიბდა „Повесть временных лет,“ დაიწერა თხზულებები ბორისისა და გლების შესახებ, რუსეთში ქრისტიანობის გავრცელების შესახებ, თეოდორე მღვიმელის შესახებ და ა. შ. იმავე ეპოქაში ილარიონმა და კირილე ტუროველმა დაწერეს ქადაგებანი, დანიელმა აღწერა პალესტინაში მოგზაურობა და სხვ.)¹. აღნიშნული მონასტრები თანდათანობით რუსული ეროვნული აზრის კერებად იქცნენ, იქ დაწერილ ორიგინალურ თხზულებებში ნათლად გამოსჭვიოდა მძლავრი პატრიოტული გრძნობა, ადგილი ჰქონდა საკიბოროტო საკითხების განხილვას².

მწიგნობრობის კერას წარმოადგენდა მონასტერი სომხეთშიც³. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა, რომელსაც ეწეოდნენ სანაინ—ახპატის, ხორანაშტის, ნორავეანქის, ტათევისა და სხვ. ეკლესია-მონასტრები⁴.

მონასტერი საქართველოშიც მნიშვნელოვან კულტურულ-საგანმანათლებლო კერას წარმოადგენდა. იქ საკმაოდ შეიგრძნობოდა ეპოქის კულტურული ტერატურული ცხოვრების მაჯისცემა.

ქართულ მონასტრებში თავმოყრილი იყვნენ მწიგნობრები—მწერლები, მეცნაურები, მთარგმნელები, კალიგრაფები, „ეტრატის შემქმნელნი“ და წიგნების „მკაზმეველნი“ ანუ „მმოსველნი“⁵. იქ წარმოებდა ორიგინალურ ნაწარმოებთა თხზვა, უცხო ენებიდან თარგმნა და რედაქტირება, ახალი ნუსხების დამზადება, ძველი ხელნაწერების გაცხოველება და აკინძვა და ა. შ. სხვათა შორის, წერა-კითხვის ცოდნის აუცილებლობა საგანგებოდაა აღბეჭდილი ძველ ძეგლებში (იხ. მაგალითად, ვაჰანის ქვაბთა განგება⁶, 1748 წლის საეკლესიო კრების დადგენილება⁷, ერეკლე მეორისა (1744—1798) და ანტონ პირველის (1720—1788) ცნობილი მიმართვა ეპისკოპოსებისადმი⁸ და სხვ.).

¹ История СССР, I, М., 1947, გვ. 62, 89, 127—128; მეორე გამოცემა, 1948, გვ. 62, 89, 127—128; История СССР, I, 1956, გვ. 62, 89, 90, 116—118; Н. Г у д з и й, История древней русской литературы, გვ. 108.

² Б. Греков, Киевская Русь, გვ. 410—412.

³ М. А б е г я н, История древнеармянской литературы, I, Ереван, 1948, გვ. 80—81.

⁴ ლ. მელიქსეთ-ბეგი, „ჩრდილო მხარეთა სომეხთა მოძღვარნი“ და მათი ვინაობა, სომეხ-ქართველთა ურთიერთობის საკითხებთან დაკავშირებით (უდა ისტორიულ-ლიტერატურული გამოკვლევისა), თბ., 1928; მისივე, საიათნოეას ვინაობა, თბ., 1930, გვ. 17—18; მისივე, რუსთაველი და სომხური ლიტერატურა, კრებული: „შოთა რუსთაველი სკოლაში“, თბ., 1937, გვ. 284; მისივე, ძველი სომხური ლიტერატურის ისტორია, თბ., 1941, გვ. 115—126, 129—132, 153—156.

⁵ შ. მესხია, ხელნაწერი წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის საკითხისათვის X—XII სს. ქართულ მონასტრებში, „მიმოხილველი“, I, 1949, გვ. 69, 71—73.

⁶ ვაჰანის ქვაბთა განგება (XIII ს.), გამოსცა ლ. მუხსელი შვილმა, თბ., 1939, გვ. 67.

⁷ Q № 412; მეფე ერეკლეს დროს მომზადარი საეკლესიო კრება, „კვალი“, 1894, № 37, გვ. 17—20; დ. მეტრეველი, 1748 წლის საეკლესიო კრების დადგენილება, აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახ. მუზეუმის მოამბე, XIX—A და XXI—B, 1957, გვ. 419, 425—426.

⁸ A № 317, 181 r; პ. კარბელაშვილი, იერარქია საქართველოს ეკლესიისა, კათალიკოსნი და მღვდელთმთავარნი, თბ., 1900, გვ. 180.

კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობისათვის მოსამზადებლად ძველ ქართველ მწიგნობრებს რამდენიმე ხელობის შესწავლა უხდებოდათ. მაგალითად, ლარგველი მოღვაწის, ავგაროზ ბანდაისძის (XIV ს.) ცნობით, მას ბევრი რამ შეუსწავლია, ვიდრე ლიტერატურულ საქმიანობას შეუდგებოდა. ერთი ხელნაწერის ანდერძში ის გვაუწყებს: „წყალობითა ღმრთისათა მომეცა თვნიერ მოძღურისა, კელოვნებაჲ ესევეითარი: პირველად ჴელი სწავაჲ ჴუცობისაჲ, ჴელი მეორე მწიგნობრობისაჲ... წერაჲ ხუცურისაჲ... შექმნაჲ ეტრატისაჲ... შეკრვაჲ წიგნისაჲ... მხატვრობისაჲ... მკერვალობისაჲ... ტყაყის კერვისაჲ... ხუროვნობისაჲ... ჴელი მეათე მსოფლიო მუშაობისაჲ“ (A № 575, გვ. 311). ბუნებრივია, ასეთი მრავალმხრივ მომზადებული ადამიანების თავმოყრა მონასტერში ქცენიდა უაღრესად ნაყოფიერ პირობებს კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის გაშლისათვის.

თუ თავდაპირველად მონასტრებში მხოლოდ და მხოლოდ სქოლასტიკით გაკლენთილი ძეგლები იწერებოდა, შემდეგ ხანაში იქ განვითარდა მრავალფეროვანი და ღრმაშინაარსიანი ქართული სასულიერო-საეკლესიო მწერლობა, ჩამოყალიბდა მაღალმხატვრული ძეგლები. მონასტრებში შექმნილი კულტურულ-ლიტერატურული მემკვიდრეობის შესწავლა ნათლად წარმოაჩინეს მონასტრის—როგორც ძველი ქართული მწერლობის კერის მნიშვნელობას.

თუ ამას დაემატებთ იმ საყურადღებო გარემოებას, რომ გვიან ხანაში მონასტერში მძლავრად იჩინა თავი კულტურული ცხოვრებისადმი მიდრეკილებამ, რაც ნათლად გამოიხატა უბრალო ძველი სამლოცველოების დიდებული არქიტექტურული ნაგებობებით შეცვლაში¹, რამაც, თავის მხრივ, ხელი შეუწყო ქართველი ხუროთმოძღვრების შემოქმედებითი გენიის სრულად გამოვლენას, მაშინ კიდევ უფრო ნათელი გახდება მონასტრის—როგორც კულტურულ-საგანმანათლებლო კერის მნიშვნელობა².

როდესაც მონასტრის,—როგორც მწერლობის კერის,—შესახებ ვმსჯელობთ, უნდა გვახსოვდეს შემდეგი: მონასტერში ხშირად იწერებოდა ჯანსაღი აზრის შემცველი ძეგლები, მაგრამ, რასაკვირველია, მონასტერი ასეთი საქმიანობისათვის არ იყო შექმნილი, მოწინავე იდეების ქადაგება მის მიზანდასახულობას არ შეეფერებოდა. მონასტრის იდეოლოგიური მუშაობის საერთო შეფასება დადებითად, რასაკვირველია, არ შეიძლება³. და თუ ჩვენ მაინც გავსახავთ მონასტრის როგორც მწერლობის კერის მნიშვნელობას, ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ ჩვენ საერთოდ დადებითად ვაფასებთ მონასტრებსა და იქ გაჩაღებულ საქმიანობას, არამედ მხოლოდ იმას, რომ გვსურს გამოვეყოთ ის მცირეოდენი დადებითი, რაც კი შექმნილია მონასტრის წიაღში. ამასთანავე ძველი ქართული მწერლობის კერების შესწავლისას მონასტრების უგულებელყოფა ყოველად შეუძლებელია.

¹ ი. ჯაქაეზიშვილი, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, I, მშენებლობის ხელოვნება ძველ საქართველოში, თბ., 1946, გვ. 79.

² გარკვეულ ინტერესს იწვევს მონასტერში შემუშავებულ-შექმნილი ძეგლების ენაქ (თ. გონიაშვილი, დიალექტიზმებისათვის ჰადიშის ძეგლში, ენიშის ჰოამზე, IV, 2, თბ. 1938, გვ. 122).

³ შტრ. მ. ალექსიშვილი, ქრისტიანული რელიგიის გაგებისა და შეფასების საკითხისათვის, გვ. 144—147.

წინამდებარე შრომაში საუბარია არა ერთ ქართულ მონასტერზე და ნაჩვენებია ის კულტურულ-ლიტერატურული საქმიანობა, რომელსაც კი იქ ჰქონია ადგილი. საერთო შეფასება ამ საქმიანობისა მოცემული იქნება შრომის მეორე ნაწილში.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ძველი ქართული მწერლობის კერების ისტორიის წარმოდგენას ძალზე უშლის ხელს ის გარემოება, რომ ძველი ქართული კულტურულ-ლიტერატურული მემკვიდრეობა არაა მოღწეული სრული სახით. საჭიროა გავარკვეოთ თუ რამ განაპირობა ეს სავალალო მდგომარეობა. ამ საკითხზე სპეციალურად უნდა შევიჩინოთ.

ძველი ქართული კულტურულ-ლიტერატურული მემკვიდრეობის სრული სახით მოუღწევლობის მიზეზები

[ძველი ქართული კულტურულ-ლიტერატურული მემკვიდრეობის სრული სახით მოუღწევლობის, ძველი ქართული ხელნაწერების დიდი ნაწილის დაღუპვისა და განადგურების ერთ-ერთ ძირითად მიზეზს გამუდმებული ომი წარმოადგენდა] როგორც ცნობილია, ქართველი ხალხის ისტორია თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, ფიზიკური არსებობისა და ეროვნული ფიზიონომიის შენარჩუნებისათვის გაუთავებელი თავდაცვითი, სამართლიანი ომების ისტორიაა. ქრისტიანული მწერლობის აღმოცენების შემდეგ ჩვენს სახელოვან წინაპრებს უხდებოდათ თავგანწირული ბრძოლების წარმოება სპარსელებისა და არაბების, ბიზანტიელებისა და თურქ-სელჩუკების, ხვარაზმელებისა და მონღოლების, თურქ-ოსმალებისა და ჩრდილო კავკასიელი მთიელების მრავალრიცხოვან ურდოებთან. მომხდურ მტერს არა ერთხელ დაულაშქრავს და დაურბევია ჩვენი სამშობლო. ჯამთა სიაკისა და ძნელბედობის ხანაში მრავალი ხელნაწერი განადგურდა. სისხლისმღვრელი ბრძოლა ნთქავდა ლიტერატურულ მემკვიდრეობას. მტერი უღმობლად ანადგურებდა ციხე-სიმაგრეებს, დაუნდობლად არბევდა ეკლესია-მონასტრებს, ტყვედ იგდებდა ან წვავდა ძველ ხელნაწერებს. თავისთავად ის ფაქტი, რომ ბევრი ქართული ხელნაწერი მწერლობისა და სიძველეთა მოყვარულთ სპარსეთში, თურქეთსა თუ სხვაგან დაუხსნიათ ტყვეობიდან, უკვე ნათლად ადასტურებს ზემოთქმულს. ეჭვი არაა, რომ ბევრი ქართული ხელნაწერი სწორედ ბრძოლისა და დარბევის ჯამს გაიტანეს უცხოელებმა ჩვენი ქვეყნიდან. ბევრ ხელნაწერს შემოუნახავს საყურადღებო ცნობები. ასე, მაგალითად, მე-11 საუკუნის დიდი სვინაქსარის მინაწერი საგანგებოდ გვაუწყებს: „ოღდეს თათარნი მოვიდეს და ქართლი ამოწყვიტეს, მაშინ ესეც წაიღეს“¹. სხვა წყაროებითაც კარგადაა ცნობილი, რომ მონღოლთა ლაშქრობისას მრავალი ძვირფასი ხელნაწერი გატანილ იქნა საქართველოდან. იოანე ბაგრატიონი (1768—1830) მოგვითხრობს: „მეისტორიენი და მოგზაურნი კაცნი იტყვიან და მსმენიეს მე თვით, რომელ ლანგ-თემურმან, რაჟცა საღმრთო ანუ სხვანი წერილნი წარიღო საქართველოდამ თურქისტანსა შინა, გააკეთებინა ქვიტკირისა დიდი სახლი

¹ А № 626; Описание рукописей Тифлисского церк. музея, составленное Ф. Жордания. II, Т., 1902, გვ. 118.

² П. Иоселиани, Описание древностей г. Тифлиса. Т., 1866, გვ. 152, შენ.

და რკინისა ყანჯარანი და კარნი შეესხა და მას შინა დასდო ყოველივე წერილნი და წიგნი“¹.

↑ ბევრი წიგნი განადგურდა ლეკთა თარეშის შედეგად. ამ გარემოებას გულისტყვივით აღნიშნავს ჩვენი სახელოვანი პოეტი დავით გურამიშვილი (1705—1792):

ჩვენში ლეკთ დაღამა
წიგნი წარსტყვენა!²

ქართულ წერილობით კულტურას არანაკლები ენება მიაყენეს თურქ-ოსმალებმა. როგორც მდივანი დავით თუმანიშვილი შენიშნავს მის სიერ გადანუსხული ერთი წიგნის მინაწერში, „მოაწია ქართლსა შინა მრავალი მწუხარება და დაიპყრეს ქვეყანა ესე ყოველი ურუმთა... წარსტყვენეს მრავალი სული ქრისტიანე და მოაოხრეს ყოველნი ეკლესიანი და დაბანი და დაალმურნეს წმიდანი წერილნი“³.

განსაკუთრებით მძიმე შედეგები მოჰყვა ალა-მაჰმად-ხანის სისხლიან ლაშქრობას. ცნობილი ქართველი მწიგნობარი დავით რექტორი (1744—1824) გვაუწყებს რა „ეამთა ვითარებისაგან და სპარსთა და უცხოთა თესლთა უსჯულოთა შემოსლვითა“ ქართული ხელნაწერების განადგურებას, დასძენს, რომ ბევრი ძველი ქართული ხელნაწერი „წარტაცებულ იქნა“ 1795 წელს, ალა-მაჰმად-ხანის შემოჭრისას⁴. სხვათა შორის, სათანადო მინაწერი არა ერთ ხელნაწერს დაუტავს. მაგალითად, ერთი ხელნაწერის ანდერძი გვაუწყებს: „1795 წელს, ოდეს ტფილისი ალაოხრა ხოჯამ, მაშინ დატყვევებულიყო ეს პასხალია“⁵.

აღსანიშნავია, რომ ძველი ქართული ხელნაწერების ადგილგადანაცვლებას, მიტაცებასა და მითვისებას ადგილი ჰქონდა ქართველთა შორის გაჩაღებული ბრძოლის დროსაც. მაგალითად, ოდიშის დედოფლის გულქანის დაკვეთით შესრულებული ლექსიკონი სულხან-საბა ორბელიანისა 1773 წელს იმერლებს ჩაუვარდათ ხელთ. სათანადო მინაწერში ეკითხულობთ: „სოლომონ ამხედრდა. ოდიშს გაუხდა. მრავალნი და[ა]კრბივა და მრავალი ნაშოვარი წამოიღო მაშინ მისმა ჯარმა. და ეს ლექსიკონი მაშინ იშოვნეს“⁶. მე-13 საუკუნის ოთხთავი „წედის ციხე რომ აღიღო ერისთავმან, მაშინ წულუკი-

¹ იოანე ბატონიშვილი, კალმასობა. II, კ. კეკელიძისა და ა. ბარამიძის რედაქციით, თბ., 1948, გვ. 131 (ქუმოთ—კალმასობა). შდრ. კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, II¹, თბ., 1948, გვ. 167.

² დ. გუარამიშვილი, თხზულებათა სრული კრებული, თბ., 1955, გვ. 247.

³ R № 242, 72 r: ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობა, I, შედგენილია და დასაბუქდად მომზადებული ე. ნიკოლაძის მიერ, აკად. კ. კეკელიძის რედაქციით, თბ., 1953, გვ. 427.

⁴ სსრკ მეცნ. აკადემიის აზიის ხალხთა ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილების ხელნაწერი H № 46, 1 r. იხ. აგრეთვე ტ. რუხაძე, ვინ არის 1810 წლის „ძველი ქართული მწერლობის კატალოგის“ ავტორი? „ლიტერატურული საქართველო“, 24, I, 40, № 3(122).

⁵ A № 637, 56 v; კ. შარაშიძე, იესე რაეს ძის „ქორანიკონი“, ვნიშვის მოამბე, XIII, 1943, გვ. 131, 137.

⁶ H № 172, I ყდის v; საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფილი მუზე-

ძემ წაიღო¹. ლარგვისის ზატიკი ხევსურებმა ჩაიგდეს ხელთ ქსნის ერისთავების დახოცვისას (1545 წ.)² და სხვ.

აქვე გვსურს აღვნიშნოთ, რომ ხელნაწერების ხელში ჩაგდებასა და წამოღებას არც უცხოეთში მოლაშქრე ქართველები ერიდებოდნენ. დასავლეთსა თუ აღმოსავლეთში ლაშქრობისას მათ არა ერთი უცხო წიგნი მოუპოვებიათ. ამ მხრივ ინტერესმოკლებული არაა „წიგნი სააქიმოჲს“ ქართულად მთარგმნელის ცნობა აღნიშნული თხზულების დედანზე: „ესე წიგნი სააქიმოჲ, ოდეს რუქანდან სულტანი კარნუ ქალაქისა კართა ზედა გააქციეს, მუნით ალაფად მოიღეს (ქართველებმა—ლ. მ.)“³.

ჩროგორც ცნობილია, მრავალი ხელნაწერი ინახებოდა ეკლესია-მონასტრების წიგნსაცავებში. მტრის ლაშქრის შემოსევისას ეკლესია-მონასტრების დარბევა ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენდა და ასეთ შემთხვევაში, ბუნებრივია, ხელნაწერთა კოლექციაც არ აღმოჩნდებოდა კარგ დღეში. დაინტერესებული მკითხველი წინამდებარე შრომაში ბევრ ცნობას პოეებს მომხდური მტრის მიერ ქართული ეკლესია-მონასტრების (შიომღვიმე, გარეჯა, ალავერდი, სვეტიცხოველი, ვარძია, ბოლნისი, ქვათახევი, გელათი და სხვ) დარბევისა და იქაური წიგნსაცავების გაძარცვის შესახებ. ჩვენ პირდაპირი ცნობები მოგვეპოვება ეკლესია-მონასტრებიდან წიგნების გატანის შესახებ. ასე, მაგალითად, ისტორიკოსი, თ. გორგიჯანიძე (XVII ს.) საგანგებოდ აღნიშნავს შაჰ-თამაზის შემოსევისას მტრის ლაშქრის მიერ ვარძიიდან წიგნების გატაცებას⁴. ამას ზოგიერთი ნუსხის მინაწერიც ადასტურებს. მაგალითად, ვარძიის ოთხთავის მინაწერში ვკითხულობთ: „ოდეს ყენმან ჯავახეთი ალაოჭრა და ვარძიის საყდარი დაღეწა... ესე ოთხთავი დატყუ[ე]ვდა“⁵.

სვეტიცხოვლის წიგნსაცავის გაძარცვას გვაუწყებს თამაზის მინაწერი: „...ჯერ ლეკთა გასტეხეს სვეტიცხოველი და შერმე ოსმალნი-ურუმნი მოვიდნენ, დაიპყრეს ქვეყანა ესე ჩვენი ქართლი. მაშინ იავარ ჰყვეს და წარმოსტყვევნეს საყდარი და ტყვე ჰყვეს საყდრისა ამისა რაოდენი წიგნები ჰპოვეს“⁶. სხვათა შორის, მტრის შემოსევისას ეკლესია-მონასტრების მესვეურნი ხელნაწერ წიგნებს, შედარებით, საიმედო ადგილას ხიზნავდნენ და მათ გადარჩენას ლამობდნენ. სვეტიცხოვლის ერთი ხელნაწერის ცნობით, „ქრის-

უმის ხელნაწერები (H კოლექცია), აკად. ს. ჯანაშიას საერთო რედაქციით, I, დასაბუქდად მომზადებულია ლ. ქუთათელაძისა და ნ. კასრაძის მიერ, ილ. აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბ., 1946, გვ. 126.

¹ A № 1459, 54 v; საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი საეკლესიო მუზეუმის ხელნაწერები (A კოლექცია), ა. ბარამიძის რედაქციით, V, შეადგინა ლ. ქუთათელაძემ, თბ., 1955, გვ. 6.

² A № 25; ქრონიკები, II, გვ. 20, 386, 437; Описание рукописей Тифлисского церк. музея, составленное Ф. Нордана, I, Т., 1903, გვ. 19.

³ S № 1274,7 r; ქრონიკები, II, გვ. 156; Е. Такайшвили, Описание рукописей „ОРГСГН“, I, Т., 1902—1904, გვ. 641.

⁴ თ. გორგიჯანიძის ისტორია, ს. კაკაბაძის გამოცემა, თბ., 1926, გვ. 6.

⁵ Q № 859, 286 r; ხელნაწერთა ინსტიტუტის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (Q კოლექცია), II, შედგენილია და დასაბუქდად დამზადებული თ. ბრეგაძის, თ. ენუქიძის, ნ. კასრაძის, გ. მეტრეველის, ლ. ქუთათელაძისა და ქ. შარაშიძის მიერ, ილ. აბულაძის რედაქციით, თბ., 1958, გვ. 338.

⁶ A № 84,166v; პ. კარბელაშვილი, იერარქია საქართველოს ეკლესიისა, გვ. 125.

ტეს აქეთ ჩღკ (=1723) წელს ყოველი სვეტიცხოვლის სამკაული ლარგვის-
[ის] მონასტერს იყო ხიზნად: გვირგვინი გ(=3), ხატი ჭურასა დ(=4), ბისონი
ვ(=6) და წიგნი მრავალი და გუჯარნი სრულნი ყოველნი სამსახურებელნი
დიდისა კათოლიკე ეკლესიისა. ოდეს ურუმთ შეიპყრეს ყოველი საქართველო,
კახეთი და ყიზილბაში ვიდრე თავრიზამდი და ლქეთ გააოხრეს კახეთი და
საქართველო“¹.

მტრის შემოსევა ხშირ შენთხევაში მოულოდნელი იყო და ხელნაწერთა
გახიზუნა არ ხერხდებოდა. ამის შედეგად მრავალი ძვირფასი ხელნაწერი წიგ-
ნი სამუდამოდ დაიკარგა.

დიდი ზიანი მიაყენეს ძველ ქართულ კულტურულ ლიტერატურულ მემ-
კვიდრეობას ჩვენს სამშობლოში გაბატონებულმა მაჰმადიანებმა. უცხო ეროვნე-
ბებისა და სარწმუნოების დამპყრობლები შეგნებულად სპობდნენ და ანად-
გურებდნენ ქართული ქრისტიანული მწერლობის ძეგლებს. ეს მოვლენა გან-
საკუთრებით შეინიშნებოდა და გვიან ხანამდე გრძელდებოდა მაჰმადიანთა-
გან შიტაცებულ ქართულ ტერიტორიაზე (აქარა, ნესხეთი, ჯავახეთი...).

ზ. კიკინაძის ცნობით, მისთვის გამაჰმადიანებულ ქართველს თვედორე
სააკოლღის უამბნია აქარელთა გამაჰმადიანების ისტორია და სხვათა შორის
უთქვამს: „ოსმალოს ხოჯებმა დაიწყეს ქართული ენის მოსპობის შესახებ ქა-
დაგება რომ მუსლიმანი კაცი ქართულს ენაზედ არ უნდა ლაპარაკობდესო...
ამით ენა კი ვერ მოსპეს და რაც ქართული ძველი წიგნები იყო, ესენი კი
სულ ცეცხლში დააწვევინეს, რადგან ესენი ხალხს ეუბნებოდნენ, რომ სახლში
ქართული წიგნების შენახვა ჩვენის რჯულის წინააღმდეგიაო. ხალხს არაფერი
ესმოდა, მოლებს უჯერებდა და ბევრს ძვირფას ქალღმერთს წაგებდა. ასეთი ქა-
ღმერთები თვით ჩვენს ძველებსაც დაუწვევთ. მე მახსოვს, რომ აქეთკენ დიდ-
რონი წიგნების ტყავებიხაგან ჩასაცმელ წულებს აკეთებდნენ; ქალამნებს,
პატარა გულებს და სხვადასხვა რამეს აკრავდნენ ზევიდან. ზოგიერთი ისეთი
წიგნი ყოფილა აქეთ, რომ თითო წიგნი ნახევარი ფუთი გამოვიდოდა, ხო-
ჯებისა და მოლების ქადაგების მეოხებით იყო, რომ ჩამ ხუთშეტი წლის წინათ
აქარის ორს სოფელშიც დაუწვევთ წიგნები, სახელდობრ ხერთვისსა და კაპ-
ნისტაფში“².

ძველი ქართველი მოღვაწენი ზემოაღნიშნული მოვლენის გამო დიდად
წუხდნენ და გულისტკივილით ჩიოდნენ: „წიგნები წაგდა თათრობასაო“³.
ისინი გულმოდგინედ ცდილობდნენ, რადაც არ უნდა დაჯდომოდათ, (დაეცვათ
და გადაერჩინათ ქართული ხელნაწერები, მაგრამ მათი ცდა ყოველთვის
დადებითი შედეგით არ მთავრდებოდა.)

ხელნაწერი შემოღობვისათვის დიდი ზიანი მიუყენებია ხანძარსაც.
ჩვენი ცნობით, ხანძრის მსხვერპლი გამბდარა არა ერთი ქართული ხელნაწერ-
ი განსაკუთრებით დიდი ვნება მიაყენა ხანძარმა ცნობილი ქართველი

¹ პ. კარბელაშვილი, ივრარქია საქართველოს ეკლესიისა, გვ. 135; ნ. გულა-
ბერიძე, საკითხავი სუშტისა ცხოველისა, კუართისა საუფლოთა და კათოლიკე ეკლესი-
ისა, ვ. კარბელაშვილის რედაქციით, თბ., 1908, გვ. 1.

² ზ. კიკინაძე, ქართველების გათათრება ანუ ისლამის გავრცელება დასავლეთ სა-
ქართველოს ქართველებში (XVII და XVIII საუკ.), თბ., 1901, გვ. 81.

³ A № 1459, 87 v; ხელნაწერთა აღწერილობა (A), V, გვ. 7.

⁴ Н. Марр, Дневные поездки в Шавшетию и Кларджетию, ТРА-ГФ, VII
1911, გვ. 9.

მწერლის არჩილის (1647 – 1713) მხატვრულ-ლიტერატურულ მემკვიდრეობას. პირველად ხანძარმა არჩილის ნაწერები იმსხვერპლა ასტრასანში 1685 წელს¹, მეორედ—მოსკოვში, 1695 წლის ოქტომბრის დამდეგს² და მესამედ იქვე 1703 წლის 26 სექტემბერს³. -საკამათო არ უნდა იყოს, რომ სამი ხანძარი დიდად შეამცირებდა არჩილის პოეტურ ქმნილებათა რიცხვს და საკმაოდ შთანთქავდა ძვირფას ხელნაწერებს/ ჩვენი დასკვნა ეწყარება არა მხოლოდ ვარაუდს, არამედ ხელნაწერთა პირდაპირ ჩვენებასაც. არჩილის თხზულებათა უძვირფასეს ხელნაწერში ვკითხულობთ: „ვისრამიანი უწინ რომ ამთარხანს მივიდა, იქ იწყო, მაგრამ წვაში ნუსხები დაიკარგა“⁴.

\\არა ერთი ხელნაწერი დაეწვა მოსკოვში (1737 წ.) ქართველ საეკლესიო მოღვაწეს რომანოზ ერისთავს./სათანადო ცნობები დაკულია მის ავტოგრაფულ ჩანაწერებში, რომლებიც ძველ ნუსხებს შემოუნახავთ⁵. სხვათა შორის ხანძრის მსხვერპლი გამხდარა სულხან-საბა ორბელიანის მიერ რედაქტირებული ტექსტი ბიბლიისა (თუ ბიბლიის სიმფონიისა)⁶.

ხანძარმა იმსხვერპლა დ. გურამიშვილის ბევრი პოეტური შედეგრი. „დაიფითიანში“ ვკითხულობთ:

შურმან მე დიდათ დამკოდა. ემალი შემომკრა მისრისა,
მსხვილს შეიღებს ყელი დამიჭრა, წვრილები ფეჭით მისრისა;
ცეცხლით დამიწო სახლ-კარი, ვაჟე, ჯაერი მკლავს მის სრისა!
ვით აღლესილი ლახვარი, მით სევდა გულსა მისრისა?⁷

პოეტის გულის სიღრმიდან აღმოხეთქილი გრძნობის გამომხატველი სიტყვებიდან ნათლად ჩანს, რომ ხანძარს გაუნადგურებია მისი კულტურული-ლიტერატურული მემკვიდრეობა, მოზრდილი თხზულებანი და ლირიკული ლექსებიც.

1 ძველ ქართულ ხელნაწერ მემკვიდრეობას აღარიბებდა ის გარემოებაც, რომ ბევრი ხელნაწერი გაჰქონდათ კათოლიკე მისიონერებს, დიპლომატიურ მოღვაწეებს, მოგზაურებს და ა. შ. ისინი ჩვენში (აგრეთვე უცხოეთშიც) ყიდულობდნენ ქართულ ხელნაწერებს და საკმაოდ შორს გზავნიდნენ მათ და-ვისახელებთ რამდენიმე მაგალითს.

¹ ქართლის ცხოვრება, II (1854), გვ. 208. იხ. აგრეთვე S № 424, გვ. 2.

² Письма и бумаги имп. Петра Великого, I, СПб., 1887, გვ. 541.

³ ე. ტ ა ტ ი შ ვ ი ლ ი. ქართველები მოსკოვში, თბ., 1959, გვ. 181, 200. 216. იხ. აგრეთვე История Москвы, II, М., 1953, გვ. 166.

⁴ S № 424, გვ. 2; Е. Такашвили, Описание рукописей „ОРГСГН“, II, Т., 1906—1912, გვ. 157; არჩილი, თხზულებათა სრული კრებული ორ ტომად, ა. ბარამიძისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, I, თბ., 1936, გვ. XVII (ქვემოთ—არჩილიანი).

⁵ A № 161, 97 r; Опис. рукописей (A), I, გვ. 165; არქ. ხელნ. № 252, ფ. 23; საქ. სსრ ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივის ქართულ ხელნაწერთა კოლექციის აღწერილობა, I, შედგენილი პროფ. ს. კაკაბაძისა და პ. გაგოშიძის მიერ, აკად. პ. ქეკელიძის რედაქციით, თბ., 1949, გვ. 219.

⁶ A № 51, 344 r, 647 v; ილ. აბულაძე. სულხან-საბა ორბელიანის სომხური წყაროები, თსუ შრომები, III, 1936, გვ. 261—262; პ. ინგოროყვა, ქართული მწერლობის ისტორიის მოკლე მიმოხილვა, „მნათობი“. 1939, № 4, გვ. 125; ქ. შარაშიძე, პირველი სტამბა საქართველოში (1709—1722), თბ., 1955, გვ. 166—167; ა. ბარამიძე, სულხან-საბა ორბელიანი, თბ., 1959, გვ. 111—113.

⁷ დ. გურამიშვილი, თხზულებათა სრული კრებული, გვ. 107.

ტე-11 საუკუნის ძვირფასი ხელნაწერი, რომელიც იერუსალიმის განჩინების საყურადღებო ტექსტს შეიცავს („კანონი წელიწადისაჲ წესისაებრ წმიდისა ქალაქისა იმრუსალიმისა“), ამჟამად დაკუთვნილია პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში¹. ნისა ნინაწერი გვამცნობს, რომ იგი თბილისიდან ევროპაში გაუგზავნია კაპუცინთა წინაძღვარს 1731 წელს².

სახელგანთქმული ბერთის ოთხთავი (Xს.) 1830 წელს ყარსიდან გაუტანიათ ამერიკელ მისიონერებს. ამჟამად ის ინახება ქ. ნიუტონში (ბოსტონის ახლოს)³.

პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში დაკული ორი მნიშვნელოვანი ხელნაწერი (ვეფხისტყაოსანი, ქართული სამართლის კრებული) თბილისიდან 1824—1825 წლებში გაუტანია საფრანგეთის ელჩს გამბას⁴.

მღვდელ-მონაზონ ევსევი ცინცაძის ცნობით, მას სურდა სპარსეთში გადასახლებული ქართველებისაგან სახარების შესყიდვა თეირანში, მაგრამ საფრანგეთის კონსულს მეტ ფასად შეუძენია და ქართული ხელნაწერის სამშობლოში დაბრუნება ჩაუშლია⁵.

უცხოელთა ხელში ჩაეარდნილი ზოგიერთი ხელნაწერი ბედნიერი შემთხვევის წყალობით გადაჰრჩა საზღვარგარეთ გამგზავრებას. მაგალითად, პარხლის ოთხთავის დიდებული ხელნაწერი (A №1453), რომელიც კარგა ხანს დაკარგულად ითვლებოდა, 1922 წელს შესაძენად მიუტანეს გერმანიის კონსულ თბილისში Dr. O. G. von Wesendonk-ს, რომელმაც მისი ღირებულების გასაგებად უნივერსიტეტს მიმართა. აკად. კ. ქეკელიძემ და აკად. ა. შანიძემ სწრაფად გაარკვიეს რა ღირებულების განძთან ჰქონდათ საქმე და ითანხმდნენ ბერაის (Xს.) ნამუშავევი შმობელ ხალხს შეენარჩუნეს⁶.

სხვათა შორის, „ვეფხისტყაოსნის“ ერთი ძვირფასი ხელნაწერი (S №5006) აკად. ე. თაყაიშვილის მცვალინეობით გადაურჩა უცხოეთში გატანას⁷.

¹ გამოიქნა H. Goussen-მა: Über georgische Drucke und Handschriften. Die Festordnung und den Heiligenkalender des althechristlichen Jerusalem betreffend, B. Kühlen, München—Gladbach, 1923. ამ გამოცემაზე იხ. აკად. კ. ქეკელიძის რეცენზია („მიმოხილველი“, I, 1926, გვ. 263—269). საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტში ინახება ზემოხსენებული ხელნაწერის ფოტოპირი (Q № 589).

² ა. ხახანაშვილი, პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერები, „როამბე“, I, განყ. II, გვ. 1,5-6; A. Хаканов, Грузинские рукописи в европейских книгохранилищах, ДВ, IV, 1913, გვ. 23, 25; ე. თაყაიშვილი, პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერები და ოცი ქართული საიდუმლო დამწერლობის ნიმუში. პარიზი, 1933. გვ. 24—30.

³ R. Blake and S. Der Nersessian. The Gospels of Bert'ay: an Old-Georgian Ms. of the Tenth Century. Byzantion, Vol. XVI, Fascicle 1 (Amor. Series, II), 1942—1943, Boston, 1944, გვ. 226—285; ა. შანიძე, ამერიკაში აღმოჩენილი ძველი ქართული ხელნაწერი, „ლიტერატურა და ხელოვნება“, 24, XI, 44, № 39 (49). ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია, სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით. გამოსცა ა. შანიძემ, თბ., 1945, გვ. 02⁷.

⁴ ა. ხახანაშვილი, პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერები, „როამბე“, 1890, I, განყ. II, გვ. 1,5—6, 11; A. Хаканов, Груз. рукописи..., ДВ, IV, 1913, გვ. 23, 27, 29; ე. თაყაიშვილი, პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერები, გვ. 45, 56. ვახუანის სამართლის დასახლებული წესბა დაედვა საფუძვლად ი. კარსტიის ფრანგულ თარგმანს (Code géorgien du roi Vakhtang VI, 1834—1837).

⁵ „დროება“, 1854, № 211.

⁶ ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია, გვ. 038—039.

⁷ ე. თაყაიშვილი, მოგონებები, „მნათობი“, 1958, № 7, გვ. 164—165.

აღსანიშნავია ერთი მომენტიც. ზოგჯერ ქართველი მოღვაწენი ძველ ქართულ ხელნაწერებს თვით უძღვნდნენ უცხო პირებს ან სწირავდნენ საზღვარგარეთის დაწესებულებებს. ეს გარემოება, რამდენადმე, შესამჩნევი ხდება ძველი ქართული მწერლობის ისტორიის უკანასკნელ ეტაპზე. ჩვენთვის ცნობილია მრავალი ფაქტი ქართული ხელნაწერების ბოძება-შეწირვისა. ასე, მაგალითად, თეიმურაზ ბაგრატიონმა (1782—1846) პარიზის სააზიო საზოგადოებას უძღვნა დავით ბაგრატიონის (1767—1819) გრამატიკის საკმაოდ მნიშვნელოვანი ნუსხა, გადაწერილი დავითისავე ზედამხედველობით¹. მანვე პრუსიის ჩეუეს ფრიდრიჰ-ვილჰელმ მესამეს (1770—1840) 1836 წელს უძღვნა სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონი², გრაფ. ნ. რუმიანცევს — „ქართლის ცხოვრების“ ფრიად საყურადღებო ნუსხა (H № 2080) და ა. შ. ქუთაისელმა კათოლიკემ ანტონ გლახოვმა 1841 წ. რომის პროპაგანდას უძღვნა რამდენიმე ქართული ხელნაწერი³; სამეგრელოს მთავარმა დავით დადიანმა 1848 წ. აკად. მ. ბროსეს (1802—1880) უძღვნა ფეშანგის „შაჰნავაზიანის“ უნიკალური ხელნაწერი⁴; ცნობილმა ისტორიკოსმა და არქეოლოგმა პ. იოსელიანმა (1809—1875) აკად. ა. შიოგრენს (1794—1855) უძღვნა ანტონ კათოლიკოსის გრამატიკა⁵; მისივე ხელით მწერალმა ა. ორბელიანმა (1802—1869) მთავარმართებელ მ. ვორონცოვს საჩუქრად გაუგზავნა „ვეფხისტყაოსნის“ ზაზა-სეული ხელნაწერი (Q № 1082)⁶ და ა. შ.

მართალია, უცხო პირთათვის მიძღვნილი ზოგიერთი ხელნაწერი შემდგომ ხანაში დაბრუნდა სამშობლოში, მაგალითად, რუმიანცევისეული „ქართლის ცხოვრება“ (H № 2080), ზაზა-სეული „ვეფხისტყაოსანი“ (Q № 1082) და სხვ., მაგრამ დიდი ნაწილი ძღვნად გაცემული ხელნაწერებისა ახლაც სხვათა ხელშია.

ძველ ქართულ კულტურულ-მემკვიდრეობას დიდ ვნებას აყენებდა ხელნაწერთა ადგილგადანაცვლება ან ხელნაწერთა მოგზაურობა, — როგორც პირობით ვუწოდებთ ჩვენ ამ ფაქტს, — რაც საკმაოდ გავრცელებულ მოვლენას წარმოადგენდა ძველ საქართველოში. მართალია, ბევრმა „მოგზაურმა ხელნაწერმა“ მოაღწია ჩვენამდე, მაგრამ ვინ იცის რამდენი ძვირფასი ხელნაწერი დაიხა, დაიკარგა, განადგურდა ასეთი მოგზაურობის ქაშს?

¹ ა. ხახანაშვილი, პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერები, „მოამბე“, 1898, I, განკ. II, გვ. 16—17; მისივე, Грѹз. рукописи..., ДВ, IV, 1913, გვ. 32; ე. თაყაიშვილი, პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერები, გვ. 51—52.

² ა. ხახანაშვილი, თეიმურაზ ბატონიშვილის საბიოგრაფიო მასალა, გაზ. „საქართველო“, 1908, № 17; მისივე, Грѹз. рукописи..., ДВ, IV, 1913, გვ. 20.

³ მ. თამარაშვილი, ქართული წიგნები ვატიკანის ბიბლიოთეკაში, „ივერია“, 1903, № 137.

⁴ M. Brosset, Histoire de la Géorgie, II, I livr., Addit. VIII, St-P., 1856, გვ. 601—614; ფეშანგი, შაჰნავაზიანი, გ. ლეონიძისა და ს. იორდანიშვილის რედაქციით, თბ., 1935, გვ. VII—IX; Р. Орбели, Собрание грузинских рукописей Института востоковедения АН СССР, УЗ ИВ, IX, 1954, გვ. 55.

⁵ Р. Орбели, Грузинские рукописи ИВ АН СССР, I, М.—Л., 1956, გვ. 147—149.

⁶ გ. ლეონიძე, გამოკვლევები და წერილები, თბ., 1958, გვ. 187—190; კ. კეკელიძე, რუსთველოლოგიური შტუდიები, ეტიუდები, IV, გვ. 10—11.

ძველ ხელნაწერებზე დაკვირვების შედეგად შეგვიძლია გამოვყოთ ხელნაწერთა მოგზაურობის რამდენიმე სახე: ა) საქართველოს ფარგლებში; ბ) საქართველოდან უცხოეთისაკენ და უკან; გ) უცხოეთში არსებული ქართული კულტურულ-საგანმანათლებლო კერებიდან სამშობლოსაკენ; დ) უცხოეთის ფარგლებში; ე) საქართველოდან უცხოეთისაკენ; ვ) უცხოეთიდან საქართველოსაკენ და უკან. რასაკვირველია, ყველა სახის მოგზაურობა ერთნაირი მნიშვნელობისა არ იყო და შედეგიც სხვადასხვა სახისაა. განვიხილოთ თითოეული მათგანი.

ა) ხელნაწერის მოგზაურობა საქართველოს ფარგლებში. ამ საკითხზე ჩვენ სიტყვას არ გვაგარდებლბთ, რადგან მაგალითების მოყვანა ძალზე შორს წაგვიყვანს. აქ შეიძლება რამდენიმე ასეული ხელნაწერის დასახელება. ჩვენ მხოლოდ რამდენიმეზე შევჩერდებით.

1. პირველ რიგში უნდა მოვიხსენიოთ სახარების უძველესი თარიღიანი ხელნაწერი (897 წლისა), რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში ადიშის ან შატბერდის ოთხთავის სახელითაა ცნობილი. დამზადებულია ის შატბერდის დიდებულ სავანეში, საიდანაც წამოუღია ნიკოლაოს ჯუმათელს. შემდეგ ინახებოდა სოფ. ადიშის ეკლესიაში. ამჟამად დაცულია მესტიის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.

2. საინტერესოა გზა განვლო პარხლის ოთხთავმაც (A № 1453). დაამზადა ის შატბერდში ცნობილმა კალიგრაფმა იოანე ბერაიმ (973 წ.), მანვე შესწირა პარხალს. თურქ-ოსმალთა მომძლავრების შედეგად ხელნაწერი მტრის ხელში აღმოჩნდა; ვახუშტი აბაშიძემ დაიხსნა, ხოლო მისმა ვაჟმა ნიკოლოზმა 1739 წელს ბუღბუღის ციხის ეკლესიას შესწირა. 1889 წ. აკად. ე. თაყაიშვილმა ხელნაწერი აღმოაჩინა ზემო კალაში (ქართლში), მ. სუხიაშვილის ოჯახში¹. შემდეგში ის გაუჩინარდა და, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მხოლოდ 1922 წელს გამოჩნდა და ქართულ ხელნაწერთა საგანძურს შეუერთდა².

3. საწელიწდო საწინასწარმეტყველოს საყურადღებო ხელნაწერი, რომელიც „დიდებულისა ლავრისა შატბერდისათვის“ დაუმზადებია 1085 წელს მოსე ხანძთელს, ერთ ხანს გარეჯის უდაბნოს წიგნსაცავს ამშვენებდა³. ამჟამად საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტშია დაცული (H № 1350).

4. მერაბ კალმახელმა და მისმა მეუღლემ ელენემ 1520 წელს მელქისედეკს დაამზადებინეს სახარების ნუსხა. შემდეგში ის სავანის წმ. გიორგის ეკლესიაში მოხვდა, ხოლო იქიდან—თბილისში. 1884 წელს ჯრუჭის არქიმანდრიტმა ს. აფაქიძემ ის „ამოიგო თბილისში“ და სავანეს დააბრუნა. ხელნაწერი ამჟამად კვლავ თბილისშია (H № 1721).

ბ) ხელნაწერის მოგზაურობა საქართველოდან უცხოეთისაკენ და უკან.

1. ძალიან ბევრი ხელნაწერი თუ ნაბეჭდი წიგნი წაიღო საქართველოდან რუსეთს ვახიზნულმა ვახტანგ მეექვსემ (1675—1737) 1724 წელს. მისი

¹ სამი ისტორიული ქრონიკა, გამოცემული ე. თაყაიშვილის მიერ, თბ., 1890, გვ. XLV—LVII, LXXIV—LXXXVI; Е. Та х а й ш в и л и, Пархальское четвероевангелие, МАК, XII, 1909, გვ. 139—151.

² ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია, გვ. 036—039.

³ პ. კ ა რ ბ ე ლ ა შ ვ ი ლ ი, საისტორიო და საბიბლიოგრაფიო მინაწერები დავით გარეჯის უდაბნოს ტყავზედ ნაწერის ხელნაწერებისა, „ივერია“, 1889, № 28.

მდიდარი ბიბლიოთეკა დარჩათ მის შთაშობებლებს, რომლებიც უკანასკნელად ს. ლისკოეოში (გორკის ოლქი) ცხოვრობდნენ; კერძოდ, ვახტანგის შვილი-შვილის ვაჟს, ცნობილ საზოგადო მოღვაწეს გიორგი ალექსანდრეს ძეს საკმაოდ მოზრდილი წიგნსაცავი ჰქონდა.¹ მისი გარდაცვალების შემდეგ ქართული სიძველენი მემკვიდრეობით მიიღო მისმა ასულმა ანამ, რომელიც ცოლად ჰყავდა დიდი რუსი მწერლის ლევ ტოლსტოის ნათესავს—გრაფ ა. ტოლსტოის. შემდგომში ქართული წიგნების ნაწილი ხელთ ჩაუვარდა მოქ. მ. სტოგოვს, რომელიც თავისთავს (—დედის ხაზით) ბაქარ მეფის შთაშობებულად თვლიდა. ზოგიერთი ძვირფასი ხელნაწერი გადაეცა ქ. გორკის მუზეუმსა და საჯარო ბიბლიოთეკას. ქართველ მეცნიერ მუშაკთა ენერგიული ძიებით ქართული ხელნაწერები მიკვლეულ იქნა. უკანასკნელ წლებში რამდენიმე საყურადღებო ხელნაწერი შეიძინა აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახ. მუზეუმმა (ამჟამად დაცულია საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტში). მათ შორისაა ზაზა ფანასკერტელის (XV ს.) „სამკურნალო წიგნი“, რომლის მნიშვნელობა ქართული კულტურის ისტორიისათვის განუზომელია (Q № 877)², ვახტანგ მეექვსის „ბაგრატიანთ ნათესაობის წიგნი“ (Q № 884)³, XII ს. ქართული სახარება (Q № 883) პავლე ჰალაბელის არაბული მინაწერით (1664 წ.)⁴ და სხვ.⁵

• ბევრი ხელნაწერი წაუღიათ საქართველოდან რუსეთს სხვა ქართველ მეფე-ბატონიშვილებსაც. მაგალითად, არჩილს წაუღია მდიდარი ბიბლიოთეკა. მის წიგნებს შორის ყოფილა „ქართლის ცხოვრება“, როგორც ამას გ. მაჩაბლის მიერ 1736 წელს მოსკოვში გადაწერილი ნუსხის ანდერძი გვაუწყებს⁶, კურთხევანი და კითხვა-მიგება ექვთიმე მთაწმიდლისა (955—1028) და საბაწმიდელი ხუცესისა⁷ და მრავალი სხვა. ბევრი ხელნაწერი წაიღეს

¹ ლ. მენაბდე, ვინ არის ე. ა. გრუზინსკი, გახ. „ახალგაზრდა სტალინელი“ (თსუ), 12. II. 60, № 5(290).

² ზაზა ფანასკერტელი, სამკურნალო წიგნი (კარაბადინი), მ. სააკაშვილის რედაქციით, თბ., 1950; ზაზა ფანასკერტელი-ციციშვილი, სამკურნალო წიგნი (კარაბადინი), ტექსტი დაამუშავა გამოსაცემად, გამოკვლევები და ლექსიკონი დაურთო მ. შენგელიამ, თბ., 1959; ხელნაწერთა აღწერილობა (Q), II, გვ. 281—285.

³ კ. გრიგოლია, ნარკვევები საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობიდან, I, ახალი ქართლის ცხოვრება, თბ., 1954, გვ. 331—351; ხელნაწერთა აღწერილობა (Q), II, გვ. 296—298.

⁴ თ. კეცელია, პავლე ჰალაბელის არაბული მინაწერი ქართული სახარების ბოლოს, „ლიტერატურა და ხელოვნება“, 7. VI. 47, № 22 (167). ხელნაწერთა აღწერილობა (Q), II, გვ. 294—296.

⁵ თ. კეცელია, გორკის ოლქში აღმოჩენილი ქართული სიძველენი, „ლიტერატურული ძიებანი“, IV, 1947, გვ. 255—287. იხ. აგრეთვე მისივე, Памятники грузинской старины в Горьковской области, „Заря Востока“, 25. IX. 46, № 193 (6327); მისივე, О собиравани и изучених памятников грузинской древности, „Заря Востока“, 22. III. 47, № 60 (695).

⁶ H № 7135, გვ. 665.

⁷ არქ. ხელნ. № 264, 107 რ; იხ. აგრეთვე A № 1448, 27 რ; A № 381, გვ. 491; H № 215, 139 რ; S № 427-ა, გვ. 11; საქართველოს სამოთხე, სრული აღწერაა დუაწლთა და ვნებათა საქართველოს წმიდათა, შერევილი ქრონოლოგიურად და გამოკეშული მ. საბინინის მიერ, სპბ., 1882, გვ. 436 (ქვემოთ—საქ. სამოთხე).

საქართველოდან რუსეთში დავით, იოანე, თეიმურაზ, ბაგრატ (1776—1841) და სხვა ბატონიშვილებმა. მათი მდიდარი კოლექციის ნაწილი ახლაც ლენინგრადის სიბველეთსაცავების კუთვნილებას წარმოადგენს (მარტო მ. სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის ლენინგრადის საჯარო ბიბლიოთეკის იოანე ბატონიშვილის კოლექცია 200-დე ხელნაწერს შეიცავს¹), ნაწილი კი თბილისში ინახება.

2. აქვე უნდა მოვიხსენიოთ ცნობილი ქართველი მწიგნობრის გივი თუმანიშვილის მიერ შედგენილი ძვირფასი კრებული არჩილ მეფის თხზულებებისა (S № 424). აღნიშნული კრებულის შედგენა ძირითადად 1701 წელს დასრულდა საქართველოში, შემდეგ ის არჩილს გაეგზავნა მოსკოვს, ხოლო ამ უკანასკნელს, წაკითხვისა და ჩასწორების შემდეგ, ის კვლავ სამშობლოსაკენ გამოუგზავნია².

3. 1724 წელს საქართველოდან გატანილ იქნა სულხან-საბა ორბელიანის (1658—1725) ლექსიკონის უაღრესად მნიშვნელოვანი ნუსხა, რომელზეც სულხან-საბა და მისი ძმა ზაალ-ზოსიმე ერთად მუშაობდნენ ქართლში (ქვიშხეთში). ეს იყო ლექსიკონის უკანასკნელი რედაქცია. მისი დასრულება დიდ ლექსიკოგრაფს აღარ დასცალდა, მისი სამუშაო ზაალ-ზოსიმემ დაასრულა მოსკოვში 1725 წელს, სულხან-საბას გარდაცვალების შემდეგ³. ლექსიკონის ეს ძვირფასი ხელნაწერი ახლა თავის სამშობლოშია (H № 1429)⁴.

4. ვეფხისტყაოსნის საყურადღებო ნუსხა (H № 54), რომელიც გიორგი მეთერთმეტის (1676—1688, 1703—1709) დაკვეთით დაამზადა 1680 წელს მდივანშა ბეგთაბეგმა, 1791 წელს მოსკოვში „იშოვა“ და სამშობლოში დააბრუნა ქაიხოსრო ჩოლოყაშვილმა.

5. ურბნისის ცნობილი ოთხთავი (A № 28), რომელიც მე-10 საუკუნეში გადაუნუსხავს იოანე ტატანელს, მე-16 საუკუნემდე ეკუთვნოდა კავკასიძეთა საგვარეულო ეკლესიას, მე-16 ს. პირველ ნახევარში—სვიმონ ქუთათელს, ამ საუკუნის მიწურულში—ბედიელს, ანტონ ევანიძეს. 1798 წელს ის ასტრახანის ეკლესიის წიგნსაცავში დაასვენა გრიგოლ ხარკაშენელმა. დიდგზაგანელილი ხელნაწერი მე-19 საუკუნის დამდეგს დაუბრუნდა საქართველოს, ინახებოდა ურბნისში, სადაც იშოვა ის დ. ბაქრაძემ (1826—1890)⁵.

¹ ლ. მეფარიშვილი, ლენინგრადის მ. სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის ქართულ ხელნაწერთა ფონდი, „მნათობი“, 1958, № 3, გვ. 158—162.

² ლ. მენაბდე, არჩილის ერთი თხზულების თარიღისათვის, გაზ. „ახალგაზრდა სტალინელი“, თსუ, 18. III. 58, № 8 (220).

³ ა. ბარამიძე, სულხან-საბა ორბელიანის ავტოგრაფული ლექსიკონები (წინასწარი ცნობა), ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, III, თბ., 1952, გვ. 337—343 (ქვემოთ—ნარკვევები).

⁴ ის გამოცემულიაა. იხ. სულხან-საბა ორბელიანი, სიტყვის კონა ქართული, რომელ არს ლექსიკონი, ს. იორდანიშვილის რედაქციითა და წინასიტყვაობით, თბ., 1949.

⁵ დ. ბაქრაძე, სამი ძველი ვარიანტი ქართულის ოთხთავისა ანუ სახარებისა, „ივერია“, 1883, V—VI, გვ. 113—114; მისივე, Древние варианты грузинского четвероевангелия. Труды V-го арх. съезда в Тифлисе в 1851 г., М., 1887, გვ. 216—217; Опмс. рукописей (A), I, გვ. 21—23; საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ძველ ხელნაწერთა საცავების გზამკვლევი, თბ., 1952, გვ. 104—106 (ქვემოთ—გზამკვლევი).

6. დიდი გზა განვლო „ქართლის ცხოვრების“ რუმინანცევისეულმა ხელნაწერმაც. მისი თავგადასავალი მოკლედ ასე წარმოგვიდგება: დაიწერა ის ქართლში 1699—1703 წლებში, შემდეგში ერთ ხანს იმერეთის მეფის სოლომონ პირველის (1756—1784) კარზე მოხვდა. მე-19 საუკუნის დაძლევის აღნიშნული ხელნაწერი ხელთ ჩაუვარდა ვილაც გერმანელს, რომელმაც ის პეტერბურგს წაიღო და მიჰყიდა თეიმურაზ ბაგრატიონს. ამ უკანასკნელს ძვირფასი ხელნაწერი შეუვისია, შეუჯანმაც და გრაფ. ნ. რუმინანცევისათვის მიუძღვნა 1821 წელს. ასე მოხვდა ეს ნუსხა რუმინანცევის მუზეუმში (მოსკოვი), სადაც დაჰყო საუკუნეზე მეტი ხანი და მხოლოდ 1923 წელს დაუბრუნდა თბილისს (H № 2080). აღნიშნული ხელნაწერი ვახტანგისეული „ქართლის ცხოვრების“ ნუსხათა შორის განსაკუთრებით საყურადღებოა. მას აღუბეჭდავს ვახტანგ მეექვსისა და სულხან-საბა ორბელიანის ერთობლივი მუშაობის კვალი. სხვათა შორის, ის საფუძვლად დაედვა (ორ სხვა ნუსხასთან ერთად) „ქართლის ცხოვრების“ პირველ გამოცემას. საკმაოდ იყენებდა მას „ქართლის ცხოვრების“ უკანასკნელი გამოცემელიც¹.

7. ხანმეტი მრავალთავის შემცველი ძვირფასი ხელნაწერი (S № 3902), რომელიც მე-8 საუკუნის პირველი ნახევრით თარიღდება, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებიდან წაიღო პროფ. ა. ხახანაშვილმა (1866—1912). მისი გარდაცვალების შემდეგ ხელნაწერი გადაეცა ლაზარაანთ ინსტიტუტს, ხოლო შემდეგ—სომხური კულტურის სახლს და მხოლოდ 1923 წელს გადმოეცა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმს².

8. უკანასკნელად უნდა აღვნიშნოთ, რომ 1921 წელს გატანილ იქნა საფრანგეთში და მხოლოდ 1945 წელს დაგვიბრუნდა ძვირფასი ხელნაწერთა კოლექცია. საკმარისია მოვიგონოთ „ვეფხისტყაოსნის“ ძველი ნუსხები 1646 (H № 599), 1671 (H № 757) და 1680 (H № 54) წლებისა, მიქაელ მოღრეკილის საგალობელთა კრებული (S № 425), პროკლე დიადოხოსის „კავშირის“ უძველესი ნუსხა (H № 1337), 1030 წელს გადაწერილი სვინაქსარი (A № 648), ყანჩაეთის ეპნ-გულანი (H № 1452), „თეთროსნის“ დავითნი (H № 75), ოთხთავები ქსნის (A № 509), ურბნისის (A № 28), ტბეთის (Q № 929), წყაროსთავის (Q № 907), ქვათახევის (A № 857), ალავერდის (A № № 482, 484), ყანჩაეთის (H № 1453), ბერთის (Q № 906), გელათის (Q № № 901, 908), მოქვის (Q № 902), ვარძიისა (Q № 899) და მრავალი სხვა³.

¹ ა. ნ. „ქართლის ცხოვრება“ რუმინანცევის მუზეუმისა, „ივერია“, 1887, № 205. А. Х а х а н о в, Грузинские рукописи Румянцевского музея, Труды VIII-го арх. съезда в Москве в 1890 г., М., 1895, გვ. 8—13 (ცალკე ამონაბეჭდი); Опис. рукописей (S), II, გვ. 9—21, 45—47, 74; ა. ბ ა რ ა მ ი ძ ე, „ქართლის ცხოვრების“ რუმინანცევისეული ხელნაწერის გამო, ნარკვევები, III, გვ. 332—336; კ. გ რ ი გ ო ლ ი ა, ნარკვევები, I, გვ. 123—36; მ ი ს ი ვ ე, ქართლის ცხოვრების ჩუბინაშვილისეული ნაწვევტი და მისი ადგილის საკითხისათვის, საქ. სსრ მეცნ. აკად. მოაზებ, V, № 9, 1944, გვ. 945—949; სუმბატ დავითის ძის ქრონიკა ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა შესახებ, გამოცემა მეცამე, ტექსტი გამოსცა შესავლით შენიშვნებით და ორი ვენეალოგიური ტაბულით აკად. გ. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ მ ა, მასალები საქ. და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 27, 1949, გვ. 6—7.

² ა. შ ა ნ ი ძ ე, ხანმეი მრავალთავი, თფ, VII, 1927, გვ. 98, შენ. 2.

³ ქართული განძვეულობა (აკად. ს. ჯანაშია მოხსენების ანგარიში), „კომუნისტი“, 18. VIII. 45, № 164 (7379). იხ. აგრეთვე Опись грузинских музейных ценностей, выв-

გ) ხელნაწერის მოგზაურობა უცხოეთში არსებული ქართული კულტურულ-საგანმანათლებლო კერებიდან სამშობლოსაკენ. ასეთი გზა მრავალ ხელნაწერს გაუვლია. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ჩვენი სიძველეთსაცავები დაწმენვებულა უცხოეთში არსებულ ქართულ კულტურულ საგანმანათლებლო კერებში დამზადებული ძვირფასი ფოლიანტებით. შეიძლება მოვიგონოთ შავი მთისა (Q № 37; A № № 484, 845; H № 2121; S № 1276; K № 76) და საბაწმიდის (H № № 1664, 2123), იერუსალიმისა (A № 1347; H № № 1348, 1661, 1741, 2336—2339; S № № 383, 4928) და სინას მთის (H № 2124), პალაერისა (H № № 1662, 2124) და ოლიმპის (H № 1346), ათონისა (A № № 558, 1101, 1103—1105, 1769; H № 1271) და ჰეტრიწონის (H № 1760), კონსტანტინოპოლისა (A № № 1, 96, 134, 648, 1335; S № 143; Q № 34) და სხვა ქართულ ეკლესია-მონასტრებში გადაწერილი ნუსხები.

ჩვენს სიძველეთსაცავებში ბევრი ხელნაწერია შემოსული მოსკოვიდან და ლენინგრადიდან, აგრეთვე ასტრახანიდან (A № № 15, 853, 1376, 1439; S № 39, 156, 1097), მოზდოკიდან (H № № 174, 2154, 2187, 2255, 2823), ყიზლარიდან (A № 317; H № 489; S № № 1097, 1506), რიაზანიდან (H № 2547; S № № 5314, 5316), კრემენჩუგიდან (S № № 29, 35; H № № 2372, 2662), ვორონეჟიდან (H № 2323; Q № 743), ვლადიმირიდან (H № 348), ლისკოვოლიდან (A № 1581; S № 326-ა), მირგოროლიდან (S № 1598), გეორგიევსკიდან (S № 11), იასიდან (S № 28), ნოვგოროლიდან (S № 162) და სხვა პუნქტებიდან. ამდენად ამ საკითხზე სიტყვის გაგრძელება აუცილებლობას არ წარმოადგენს და მხოლოდ ორიოდ მაგალითზე შევიჩერდებით.

1. იოანე ღვთისმეტყველის გამოცხადებისა და მისი თარგმანების საყურადღებო ხელნაწერი შესრულებულია „მთასა წმიდასა ოლიმპოს, ლავრასა შინა სახელით კრანისა“ 978 წელს. შემდეგში ის ბარნაბა თბილელს მიუღია ერთი იერუსალიმელი მღვდელმთავრისაგან და ნიქოზის ტაძრისთვის შეუწირავს. მე-17 საუკუნის მეორე ნახევარში ის იოსებ სააკაძის ხელთ ყოფილა. უკანასკნელად ინახებოდა შიომღვიმის მონასტერში. ამჟამად საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტშია (H № 1346)¹.

2. სახელგანთქმული სახარება (A № 484), რომელიც ალავერდის ოთხთავის სახელითაა ცნობილი, დაწერილია შავ მთაზე, „კალიპოსს, ლავრასა წისა ღვთისმშობლისასა“. შემდეგში ის მრავალჯერ გაიყიდა: მე-11 ს. იყიდა და ხანძრის შესწირა გიორგიმ. შემდეგში ივანე ლიპარიტის ძემ უბოძა კაცხის სავანეს. 1615—1616 წლებში გეგუთში იყიდა და ალავერდის ტაძარ-

всннхъ бывшнмъ меньшевнстескнмъ правнтельствомъ за границу въ 1921 г. и возвращенныхъ изъ Парнжа въ Грузню въ 1945 году, Т., 1946, гл. 3—8.

¹ ხელნაწერთა აღწერილობა, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფ. მუზეუმის ხელნაწერები (H კოლექცია), კ. კეკელიძის საერთო რედაქციით, III, შედგენილი და დასაბუქვად დამზადებული ქ. შარაშიძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბ., 1948, გვ. 292—293. უდრ. ვახუშტი, საქართველოს ისტორია, განმარტებული დ. შევსებული ახლად შექმნილს არქეოლოგიურისა და ისტორიულის ცნობებით დ. ბაქრაძის მიერ, I, თბ., 1885, გვ. 139, შენ.; დ. ბაქრაძე, ისტორია საქართველოსი, თბ., 1889, გვ. 242.

ში დაასვენა ზებედე წალენჯიხელმა. უკანასკნელად მრავალადგილნაცვალმა ფოლიანტმა თბილისში დაისადგურა¹.

3. გრიგოლ ღვთისმეტყველის ცხოვრებისა და თხზულებების შემკველი ხელნაწერი (A № 1) გადაწერილ იქნა ზაქარია ბანელის დაკვეთით კონსტანტინოპოლში 1030 წელს. ერთხელ ტყვედაც ჩავარდნილა. შემდეგში ეკუთვნოდა მცხეთის კათედრალის წიგნსაცავს, ხოლო იქიდან თბილისს გადმოინაცვლა².

4. საინტერესოა „ქართლის ცხოვრების“ მაჩაბლისეული ხელნაწერის თავგადასავალიც. აღნიშნული ნუსხა მოსკოვში დაუმზადებია გიორგი მაჩაბელს 1736 წელს. 1744 წ. ის ქართლშია, შემდეგში კვლავ რუსეთს დაუბრუნებიათ. უკანასკნელად ინახებოდა პეტერბურგის საჯარო ბიბლიოთეკის იოანე ბატონიშვილის ხელნაწერთა კოლექციაში და მხოლოდ 1923 წელს დაბრუნდა თბილისში (H № 2135)³.

5. მრავალი ხელნაწერი წამოიღეს უცხოეთის ქართულ კულტურულ-საგანმანათლებლო კერებიდან ქართული სიძველენით დაინტერესებულმა მოგზაურებმა, სასულიერო პირებმა, მეცნიერებმა (მათგან ბევრი ხელნაწერი დღეს საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის კუთვნილებას წარმოადგენს). იერუსალიმის ჯვრის მონასტერში გადაწერილი სვინაქსარი (1155 წ.) საქართველოში ჩამოიტანა 1806 წელს ოკრიბელმა ბერმა ლაერენტი გოგელაძემ (H № 1661)⁴. დიდებული ხელნაწერები წამოიღო იერუსალიმიდან 1820 წელს ცნობილმა მწერალმა და მოგზაურმა გ. ავალიშვილმა (1769—1850). ამ ხელნაწერთა ნაწილი ახლა თბილისშია (H № № 2336—2339)⁵. კილ-ეტრატის სახელგანთქმული კრებული საგალობლებისა (IX ს.) საბაწმიდიდან წამოიღო პ. უსპენსკიმ (H № 2123). რამდენიმე ძვირ-

¹ П. Иоселиани, Путевые записки по Кавказу, Т., 1846, гл. 63—68; А. Муравьев, Грузия и Армения, I, СПб., 1848, гл. 189; Д. Бакрадзе, Кавказ в древних памятниках христианства, Т., 1875, гл. 7; მ. ხელაევი, აღაიერდეს სობოროს ხელნაწერი სახარება, „ივერია“, 1886, № 190; ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი, ახსნილი და გამოცემული თ. ეორდანიას მიერ, I, თბ., 1892, გვ. 98, 203—204; П. Карбелов, Алавердское пергаментное четвероевангелие XI века, Прибавления к „Духовному нестию Груз. экзархата“, 1879, № 9—10, გვ. 15—22; А. Хаханов, Экспедиции на Кавказ 1892, 1893 и 1895 г., МАК, VII, 1898, гл. 10—19; Описание рукописей (A), II, гл. 46—51; კ. გრიგოლია, ზებედე მღვდელმონაზონი და მისი ანდერძი, აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახ. მეზეუმის მოამბე, XVII-ბ, 1953, გვ. 49—59.

² Описание рукописей (A), I, гл. 1—4.

³ ქართლის ცხოვრება, ანა დედოფლისეული ნუსხა, ს. ყაფხაიშვილის რედაქციით, თბ., 1942, გვ. XXVII—XXXIII; ქართლის ცხოვრება, I, გვ. 020, 052—054; კ. გრიგოლია, ქართლის ცხოვრების მაჩაბლისეული ხელნაწერი და მისი მნიშვნელობა მეცნიერებისათვის, საქ. სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე, VIII, № 7, 1947, გვ. 487—494; მისივე, ნარკვევები, I, გვ. 116—121.

⁴ ე. მეტრეველი, იერუსალიმის ერთი ხელნაწერი (მეცნიერული აღწერილობის ცდა), აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახ. მეზეუმის მოამბე, XV-ბ, 1948, გვ. 37—48.

⁵ ნაწილი დაცულია სსრკ მეცნიერებათა აკადემიის აზიის ხალხთა ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილების ხელნაწერთა სექტორში (P 13, M 13, K 4, E 16, H 18). ამ საკითხზე იხ. ე. მეტრეველი, გ. ავალიშვილი—ბიბლიოფილი და კოლექციონერი,

ფასი ხელნაწერი ათონის მთიდან ჩამოიტანა ი. ფანცულაიამ (A № №1101, 1103—1105).

ღი ხელნაწერის მოგზაურობა უცხოეთის ფარგლებში. როგორც ცნობილია, ბევრი ქართული ხელნაწერი დამზადებულ იქნა უცხოეთში არსებულ ქართულ კულტურულ-საგანმანათლებლო კერებში. მრავალი ხელნაწერი იქვე დარჩა (იერუსალიმი, სინა, ათონი), მაგრამ არა ერთი ხელნაწერი გატანილ იქნა იქიდან. დავასახელებთ ზოგიერთ ფაქტს.

1. სინას მთის რამდენიმე ხელნაწერი (მათ შორის განთქმული ხანმეტი ლექციონარი) გასული საუკუნის მიწურულში ვენელი მხატვრისაგან შეიძინა პროფ. პ. შუხართმა (1842—1927). მისი გარდაცვალების შემდეგ, მისივე ანდერძის თანახმად, ქართული ხელნაწერები გრაცის უნივერსიტეტს გადაეცა (ავსტრია)¹.

2. იერემიას წინასწარმეტყველების VI—VII საუკუნეების ხელნაწერი იერუსალიმში ინახებოდა. მე-11 საუკუნეში მას მნიშვნელობა დაუკარგავს და საწერ მასალად ქცეულა; მასზე დაუწერიათ ებრაული ტექსტი. შემდეგში ის ქ. კაიროში მოხვედრილა, სადაც ინახებოდა სინაგოგასთან არსებულ საგანძურში (გენიზა). შემდეგ ინგლისში წაულიათ. ამჟამად რამდენიმე ფურცელი დაცულია ოქსფორდის ბოდლეს ბიბლიოთეკაში, კემბრიჯის უნივერსიტეტსა და ბრიტანეთის მუზეუმში (ლონდონი)².

3. მე-11 საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში (1083 წ.) ტაოელმა ქართველმა გრიგოლ ბაკურიანისძემ დააარსა პეტრიწონის მონასტერი ბულგარეთში და დაუწერა წესდება, რომლის ტექსტი შედგენილ იქნა ქართულად და ბერძნულად. ის 1888 წლამდე პეტრიწონის მონასტერში ინახებოდა, შემდეგ უკვალოდ გაქრა. როგორც უკანასკნელ ხანს გამოიჩვენა, პეტრიწონის მონასტრის ტიბიკონი, რომელსაც წლების განმავლობაში ეძებდნენ ქართველი თუ არაქართველი მეცნიერები, დაცული ყოფილა კუნძულ ხიოსზე, კორაისის სახელობის ბიბლიოთეკაში³.

4. საგულისხმოა, რომ, როდესაც ამა თუ იმ მონასტერს გაუჭირდებოდა და მოძალებულ მტერთან გამკლავება აღარ შეეძლო, იქაური მოღვაწენი სხვა მონასტერში გადადიოდნენ და თავს უფრო მყუდრო ადგილს აფარებდნენ. მათ თან მიჰქონდათ თავისი საგანის ხელნაწერებიც. ვფიქრობთ, ამით აიხსნება ის გარემოება, რომ სინას მთაზე დაცული პალავრაში გადაწერილი (X ს.) მოზრდილი აგიოგრაფიული კრებული (ა. ცაგარლით № 50; ი. ჯავახიშვილით № 11) და საბაწმიდური ხელნაწერები: სვიმეონ მგალობლის მიერ გადაწერილი იადგარი (ა. ცაგარლით № 67; ი. ჯავახიშვილით № 40), გიორგი თბილელის მიერ გადანუსხული ეფრემ ასურის სწავლანი (ა. ცაგარლით № 78) საიუბილეო კრებული, მიძღვნილი აკად. კ. კეკელიძის დაბადების 80 წლისთავისადმი გვ. 247—261. შდრ. P. O p e t a K, Грyз. pyкoмиси ИВ АН СССР, I, გვ. 6, 159.

¹ ა. შანიძე, ქართული ხელნაწერები გრაცში, თბ., IX, 1929, გვ. 311; ხანმეტი ლექციონარი, ფოტოტიპიური რეპროდუქცია, გამოსცა და სიმფონია დაურთო ა. შანიძემ, თბ. 1944, გვ. 08.

² ა. შანიძე, ერთი წიგნის ბედი, ეფრ. „წიგნი“, 1933, № 2—3 (5—6), გვ. 21—2; მისივე, ხანმეტი იერემიას კემბრიჯული ნაწყვეტები, ენიშის მოამბე, II, 1, 193 გვ. 29—42.

³ ა. შანიძე, ქართული ხელნაწერი კუნძულ ხიოსზე, „კომუნისტი“, 23. VIII. 5 № 198 (9052).

ი. ჯავახიშვილით № 97), გიორგი მორკნეველისეული მარხვანი (ა. ცაგარლით № 56; ი. ჯავახიშვილით № 5), საყოველთაოდ ცნობილი მრავალთავი — პირველი ქართული თარიღიანი (864 წ.) ხელნაწერი (ა. ცაგარლით № 83; ნ. მართი № 32—33)¹ და სხვა.

ე) ხელნაწერის მოგზაურობა საქართველოდან უცხოეთისაკენ. ჩვენ ზემოთ უკვე აღვნიშნეთ რამდენიმე ფაქტი ხელნაწერთა საქართველოდან გატანისა. როგორც ვნახეთ, ქართული ხელნაწერები მიჰქონდათ მისიონერებს, დიპლომატებს და სხვ. ცალკე აღნიშვნას მოითხოვს ის დიდი ზარალი, რომელიც უცხოელმა დამპყრობლებმა მიაყენეს ქართულ წერილობით კულტურას ძველი ხელნაწერების დიდებული კოლექციების ტყვედ ჩაგდებათა და უცხოეთში გატანით (იხ. ქვემოთ). ამჯერად მხოლოდ ორიოდგ მავალითს მოვიხმობთ.

1. სახარების ერთი საინტერესო ნუსხა დამზადებულ იქნა ბასილ და დიმიტრი ბერების მიერ საქართველოში. შემდეგში ის სვიმეონ ხუცესმა წაიღო ჯვრის მონასტერში, ამჟამად კი პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში ინახება².

2. ოპიზის სახელგანთქმული სახარება, რომელიც 913 წლით თარიღდება, ამჟამად ათონის მთაზეა დაცული³. იქვე ინახება ოშკის დიდებულ სავანეში შესრულებული დიდმნიშვნელოვანი ხელნაწერები: სამოთხე (ი. ოქროპირის, ეფრემ ასურისა და სხვათა სწავლანი) გადაწერილი ათონელი მოღვაწეების იოანე-თორნიკესა და იოანე-ვარაზაზის დაკვეთით სტეფანე დეკანოზის მიერ 977 წელს (ა. ცაგარლით № 69; რ. ბლეიკით № 9)⁴; იოანე ოქროპირის ცხოვრება და კოზმანის „აღმოყვანებისათვის ნაწილთა წმიდისა... იოვანე ოქროპირისათა...“ გადაწერილი ზემოხსენებული ათონელი მოღვაწეების დაკვეთით იოანე ჩირაის მიერ 977—980 წლებში (ა. ცაგარლით № 52; რ. ბლეიკით № 3); ოშკის ბიბლიის უძვირფასესი ხელნაწერი 978 წლისა (ა. ცაგარლით № 1; რ. ბლეიკით № 1)⁵. ტაო-კლარჯეთში დამზადებული ქართული ხელნაწერები ათონზე სხვაც მრავალია. ეს გარემოება, ვფიქრობთ, ასე უნდა აიხსნას: ტაო-კლარჯეთის ქართული სავანეებისა და ათონის მოღვაწეთა შორის ადრევე ცხოველი კულტურული-ლიტერატურული ურთიერთობა და თანამშრომლობა არსებობდა. მას შემდეგ, რაც მტრის მოძალების გამო ტაო-კლარჯეთის ქართულ სავანეთა მნიშვნელობა დაეცა და იქ მოღვაწეობა შეუძლებელი შეიქმნა, იქაური ქართველი მწიგნობრები ათონის მთაზე სახლდებიან და თავიანთი წიგნსაცავები თან მიაქვთ. სხვათა შორის, ტაო-კლარჯეთში დამზადებული ხელნაწერები გვხვდება აღმოსავლეთის ქართულ სავანეებშიც. მავალითად, დავით თბილელის (XI ს.) მიერ გადაწერილი იოანე ოქროპირის თარგმანება იოანეს თავისა, რომელიც პალავრისათვის იყო გამიზნული, ამჟამად

¹ ეს კრებული ახლანდ დაიბეჭდა აკად. ა. შანიძის რედაქციით, წინასიტყვაობითა და გამოკვლევით (სინური მრავალთავი 864 წლისა, თბ., 1959).

² ე. თაყაიშვილი, პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერები, გვ. 61—64.

³ დ. ბაკაძე, ისტორია საქართველოსი, გვ. 228.

⁴ იოანე მოსხი, ლიმონარი, ტექსტი გამოკვლევითა და ლექსიკონით გამოსცა ილ. აბულაძემ, თბ., 1960, გვ. 09.

⁵ ამ ხელნაწერებზე იხ. ქვემოთ.

მად იერუსალიმის საპატრიარქო ბიბლიოთეკაში ინახება (ა. ცაგარლით № 119; ნ. მართთ № 30; რ. ბლეიკით № 32).

ვ) ხელნაწერის მოგზაურობა უცხოეთიდან საქართველოსაკენ და უკან. ეს ერთობ საგულისხნო სახეა ხელნაწერის მოგზაურობისა. როგორც ჩანს, უცხოეთში მოხვედრილი ქართველები ცდილობდნენ იქ მოპოვებული ქართული ხელნაწერების სამშობლოში ჩამოტანას, ზოგჯერ კიდევ ახერხებდნენ ამას, მაგრამ მოვლენების მსვლელობის შედეგად ხელნაწერი კვლავ უცხოეთს მიემგზავრებოდა. მაგალითად, საყურადღებო ნუსხა ე. წ. პალესტინის პატრიარქისა 1034—1042 წლებში დაამზადა იერუსალიმის ჯერის ნონასტერში იოანე შავმა. შემდეგში ის ზარზმაში ინახებოდა, 1837 წელს კი ბრიტანეთის მუზეუმმა შეიძინა ალექსანდრიელი მღვდლის კასანჯისაგან¹.

როგორც წარმოდგენილი მასალიდან ჩანს, ძველ ქართულ ხელნაწერებს ხშირად უბედობლათ ადგილგადანაცვლება, მოგზაურობა, რასაც სხვადასხვა მიზეზი განაპირობებდა. ბუნებრივია, ასეთი ადგილგადანაცვლება ზიანს აყენებდა ხელნაწერს. ის ცვდებოდა, იხეოდა და ხშირად სულ იღუპებოდა ან უცხოელთა ხელში ხვდებოდა. მართალია, ბევრი „მოგზაური“ ხელნაწერი დღესაც ამშვენებს ჩვენს სიძველეთსაცავეს (ა, 1—4; ბ, 1—8; გ, 1—5), მაგრამ ბევრი უცხოეთში დარჩა (დ, 1—4; ე, 1—2; ვ), ბევრი კი სამუდამოდ დაიკარგა. ასეთი მოგზაურობის შედეგად ქართული ხელნაწერი სულ სხვადასხვა ბუნქტში აღმოჩენილა. მაგალითად, ნ. ციციშვილის „ბარამგურიანის“ უაღრესად საყურადღებო ნუსხა მე-17 საუკუნისა (H № 932) ხარკოვში იქნა შეძენილი ბუკინისტისაგან²; „ქართლის ცხოვრების“ ერთი სრული ხელნაწერი (Q № 383) მ. ბელავენცევმა ბუკინისტისაგანვე შეიძინა უკრაინაში (ვინიციის ოლქი, ს. დუნაევცი)³; ცნობილმა ფოტოგრაფმა ა. როინიშვილმა დალესტანში იპოვა და ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას შესწირა „ქათალიკოზ ბაქარიანის“ უნიკალური ხელნაწერი (S № 953)⁴; სომხეთში აღმოჩნდა „ვეფხისტყაოსნის“ საყურადღებო ხელნაწერი მე-17 საუკუნის მეორე ნახევრისა (Q № 930). ის სომეხმა ხალხმა საჩუქრად მოართვა ქართველ ხალხს სსქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 25 წლისთავზე⁵. სომხეთშივე (ერმიადინში) აღმოჩნდა ძველი ალექსის

¹ ა. ხახანაშვილი, ბრიტანიის მუზეუმის ქართული ხელნაწერები, „ცნობის ფურცელი“, 1905, № 2369; მისივე, ბრიტანიის მუზეუმის ქართული ხელნაწერები, „მოამბე“, 1905, VIII, განყ. II, გვ. 2—7; მისივე, Груз. рукописи..., ДВ, IV, 1913, გვ. 2—4; კიმენი, II, გვ. 119—120.

² ი. აბულაძე, ბარამგურიანი (ახალი ხელნაწერი), „სახალხო გახეთი“, 1913, № 818; მისივე, ძველი ლიტერატურის ძეგლი, „მნათობი“, 1936, № 10—11, გვ. 250—251; ნ. ციციშვილი, შვიდი მთიები (ბარამგური), პროფ. კ. კეკელიძის რედაქციით, გამოკვლევით და ლექსიკონით, თბ., 1930, გვ. XXIX—XXX.

³ ა. ბარამიძე, ლ. ასათიანი, ბ. ელენტი, საქართველოსა და უკრაინის კულტურული ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1954, გვ. 9; კ. ხრიგოლია, ნარკვევები, I, გვ. 9.

⁴ Е. Тавайшвили, Материалы для истории Грузии, Т., 1895, გვ. 72; კათალიკოზ-ბაქარიანი, ე. თაყაიშვილის გამოცემა, თბ., 1895, გვ. 52.

⁵ ა. ბარამიძე, გურგენასეული ვეფხისტყაოსანი (მოკლე აღწერილობა), ნარკვევები, III, გვ. 230—234.

საინტერესო ფრაგმენტი¹; არქეოგრაფმა პ. სტროევმა (1796—1876) 1829 წ. ვოლოდაში იპოვა ექვთიმე ათონელის თარგმანების შემკველი ძვირფასი ხელნაწერი²; ქართული სახარება აღმოჩნდა პოლტავაში³; საინტერესო ხელნაწერები ინახებოდა ს. კახში⁴, მრავალი ხელნაწერი იყო გატანილი თურქეთში⁵; საყურადღებო სახარება იყო დაცული ართვინში⁶, რამდენიმე ხელნაწერი — სტამბოლში⁷. ქართული ხელნაწერები უნახავთ კიევშიც⁸ და ა. შ.

ამრიგად, ხელნაწერთა მოგზაურობას შედეგად მოჰყვა ქართული კულტურულ ლიტერატურული მემკვიდრეობის შემცირება და გაღარიბება, ძველი ნუსხების დაღუპვა-განადგურება ან უცხოელთა ხელში ჩაეარდა. რომ არა ასეთი გარემოება, ჩვენი მუხეუმები, —წერდა აკად. ე. თაყაიშვილი, —ახლა ერთიათად უფრო მდიდარი უნდა გვქონდეს ხელნაწერებითა და სამახსოვრო საგნებით, ხოლო უცხოეთის მუხეუმებში ამდენი ჩვენთვის სანუკვარი ძეგლი არ უნდა იყოს მოხვედრილი ქართული კულტურისა“⁹.

ძველი ქართული კულტურულ-ლიტერატურული მემკვიდრეობის ერთი ნაწილის დაღუპვისა და განადგურების მიზეზად მივიჩნევთ ჩვენ იმ წინააღმდეგობასა და ბრძოლას, რომელსაც ადგილი ჰქონდა სასულიერო-საეკლესიო მწერლობასა და საერო-მხატვრულ ლიტერატურას შორის.

როგორც ცნობილია, ძველ ქართულ მწერლობაში ორი დარგი (ნაქადი, მიმართულება) გამოიყოფა: ერთია ქართული სასულიერო-საეკლესიო მწერლობა, მეორე — საერო-მხატვრული ლიტერატურა. პირველი გაცილებით ძველია, ჩვენთვის ხელმისაწვდომი მასალებით მე-5 საუკუნიდან იწყება და მე-5—10 საუკუნეებში ქართული მწერლობის ერთადერთ დარგს წარმოადგენდა. შემდეგში ორივე დარგი პარალელურად არსებობდა და ვითარდებოდა, ვიდრე ძველი ქართული მწერლობის მიწურულამდე. აღნიშნულ დარგებში ასახვას პოულობდა შესაბამისი მსოფლმხედველობა¹⁰.

არ შეიძლება უგულებელყოფა იმ ფაქტისა, რომ ამ დარგებს შორის პრინციპული წინააღმდეგობანი არსებობდა, რაც, თავის მხრივ, განაპირობებდა მათ შორის ბრძოლას. მას შემდეგ, რაც სასულიერო-საეკლესიო მწერ-

¹ Н. Ма р р, Эпиграфический фрагмент древнегрузинской версии Ветхого Завета, XV, 1914, т. II, кн. III, гл. 378—388.

² А. Цагарели, Грузияские надписи, найденные в России, ЗВРАО, т. II, кн. III—IV, 1888, гл. 228—229; Р. Орбелян, Грузинские рукописи ИВ АН СССР, I, гл. 97—100.

³ „მწვემსი“, 1890, № 19, გვ. 15—16

⁴ ესომ, საინგილო, „ივერია“, 1894, № 219; მ. ჯანაშვილი, საინგილო, „ძველი საქართველო“, II, ე. თაყაიშვილის რედაქტორობით, 1913, გვ. 72-74; ხ. ედილი, საინგილო, თბ., 1947, გვ. 162-163.

⁵ ТРА-ГФ, VII, 1911, гл. 27.

⁶ იქვე, გვ. 189—201.

⁷ უიარაღო, თბულებათა სრული კრებული ორ ტომად, I, თბ., 1957, გვ. 626.

⁸ Д. Пурцеладзе, Грузинские древности в Киеве, „Кавказ“, 1880, № 299; მისივე, О грузинских древностях в Киеве, „Кавказ“, 1881, № 25.

⁹ ე. თაყაიშვილი, მოგონებები, „მნათობი“, 1958, № 7, გვ. 164.

¹⁰ ასეთივე მდგომარეობა შეინიშნება მუსიკაში (ი. ჯავახიშვილი, ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები, თბ., 1938, გვ. 223—230), არქიტექტურაში (გ. ჩუბინაშვილი, საქართველოს საერო ხუროთმოძღვრების რამდენიმე ნიმუში, თფმ, III, 1923, გვ. 107—126) და სხვ.

ლობასა და საერო-მხატვრულ ლიტერატურას შორის თავი იჩინა წინააღმდეგობამ და დაპირისპირებამ, სასულიერო-საეკლესიო მწერლობამ იწყო საპირისპირო ტენდენციების შეწყველი და მისთვის მიუღებელი მსოფლმხედველობით გამსკვალული საერო-მხატვრული ლიტერატურის დისკრედიტირება.

საეკლესიო და საერო დარგების ურთიერთობის გათვალისწინებისას არ შეიძლება არ მოვიგონოთ „ვისრამიანსა“ და „ვეფხისტყაოსანთან“ ეკლესიის დამიკიდებულების საკითხი.

„ვისრამიანი“ თავის დროზე უაღრესად პოპულარული იყო, რასაც ხელს უწყობდა ის გარემოება, რომ აღნიშნული ძეგლი კარგად ასახავდა ფეოდალური საზოგადოების ცხოვრების ინტიმურ მხარეს. ეკლესია „ვისრამიანში“ მისთვის მიუღებელ ტენდენციებს ამჩნევდა და მის წინააღმდეგ აშკარად ილაშქრებდა და იბრძოდა. მისი აზრია გადმოცემული შემდეგ სიტყვებში:

სიტყვას ვიტყვი მეტად მხრიანს, თუ შეესმის კაცსა მღვთიანს,
მოუახსენებ ბრძენა-კვირანს, არ ეამბილებ გიჟს ბნედიანს;
ვის ღმერთი სწამს ადამიანს, ნუ ჩახვდაეუ „ვისრამიანა“,
დაუბნელებს დღესა მზიანს, ჯოჯოხეთში ნახავს ზიანს¹.

კიდევ უფრო მკაცრად ეკიდებოდა ეკლესია „ვეფხისტყაოსანს“. კარგადაა ცნობილი ის შეფასება, რომელიც მას მისცეს ანტონ კათოლიკოსმა² და ტიმოთე გბაშვილმა³ ან კიდევ ნიკოლოზ იეროდიაკონმა⁴. „ვეფხისტყაოსნის“ არა ერთ ხელნაწერში გვხვდება პოემის სახელის გამტეხი სტროფი:

პირველ თავი, დასაწყისი, ნათქვამია იგ სპარსულად,
უხმობთ „ვეფხისტყაოსნობით“, არსსა შეიქს ხორცს არ სრულად,
საეროა, არ ახსენებს სამებასა ერთ-არსულად.
თუ უყურა მონაზონმან, შეიქნების გაპარსულად.

ან: არას გვარგებს საუკუნოს, რა დღე იქნას აღსასრულად⁵.

გვაქვს პირდაპირი ცნობა „ვეფხისტყაოსნის“ ცალკეული ხელნაწერებისა თუ ნაბეჭდი ეგზემპლარების ფიზიკური განადგურების შესახებ⁶.

¹ S № 3183, გვ. 1. შდრ. S № 3493, გვ. 89; Опис. рукописей (S), I, გვ. 293.

² ანტონ I, წყობილისიტყვაობა, პ. იოსელიანის გამოცემა, თბ., 1853, გვ. 284 (ქვემოთ—წყობილისიტყვაობა).

³ ტ. გბაშვილი, მიმოსლვა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ე. მეტრეველმა, თბ., 1956, გვ. 80, შენ. ვ. მეტრეველის ცდა ტ. გბაშვილის რეაბილიტაციისა (გვ. 046—062), სულ დამაჯერებელი არაა და დამატებით საბუთებს მოითხოვს.

⁴ H № 2055, 4 ვ; ხელნაწერთა აღწერილობა, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფ. მუხეუმის ხელნაწერები (H კოლექცია), V, შედგენილია და დასაბუქდად მომზადებული ლ. მეტრეველისა და ე. ვირსალაძის მიერ, ა. ბარამიძის რედაქციით, თბ., 1949, გვ. 32.

⁵ ვეფხისტყაოსანი, ჩანართი და დანართი, ტექსტი გამოსაცემად დაამზადა და წინასიტყვაობა შენიშვნებით დურთო ს. იორდანიშვილმა, თბ., 1948, გვ. 1; ვეფხისტყაოსანი, ჩანართი და დანართი ტექსტებით, ტექსტი გამოსაცემად დაამზადა, წინასიტყვაობა და საძიებლები დაურთო ს. ყუბანეიშვილმა, თბ., 1956, გვ. 1. აღნიშნული სტროფი გვხვდება მოკვალ ხელნაწერში (H № № 54, 757, 2074; Q № № 261, 1082; S № № 2829, 5006; არქ. ხელნ. № 301 და სხვ.). იბ. ს. ყუბანეიშვილი, ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა სტროფული შედგენილობა, თბ., 1957, გვ. 8—11; ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა ვარიანტები, I, გამოსაცემად მოამზადა ს. ყუბანეიშვილმა, თბ., 1960, გვ. 2.

⁶ Е. Божовичилов, Историческое изображение Грузии в поэтическом, церковном и учебном ее состоянии, СПб., 1802, გვ. 86 (ა. ბარამიძე, ნარკვევები ქარ-

როგორც არ უნდა აეხსნათ აღნიშნული მოვლენა¹, ფაქტი ფაქტად რჩება: საეკლესიო მოღვაწენი დევნიდნენ და სახელს უტეხდნენ საერო-მხატვრულ ძეგლებს. უცილობელია, ასეთი ქიშობისა და ბრძოლის ფაშს არა ერთი ლიტერატურული ქმნილება დაიღუპებოდა და განადგურდებოდა. რასაკვირველია, ზემოთქმული ისე არ უნდა გავიგოთ, რომ, თითქოს, სასულიერო-საეკლესიო მწერლობისა და საერო-მხატვრული ლიტერატურის წარმომადგენელთა შორის ყველგან და ყოველთვის გააფთრებული ბრძოლა წარმოებდა. ჩვენთვის ცნობილია არა ერთი შემთხვევა სასულიერო-საეკლესიო მწერლობისა და საერო მხატვრული ლიტერატურის წარმომადგენლების თანამშრომლობისა. საერო-მხატვრული ლიტერატურის ბევრი წარმომადგენელი მოღვაწეობდა სასულიერო-საეკლესიო მწერლობის ასპარეზზე.

არა ერთი საერო პირი თხზავდა (იოანე საბანიძე, დავით აღმაშენებელი, თეიმურაზ I, არჩილი, ვახტანგ VI, დ. გურამიშვილი, ვახუშტი, დიმიტრი ორბელიანი, მ. ბარათაშვილი, თეიმურაზ II, იესე ყულარაღასი, მზექაბუჯ ორბელიანი, თეიმურაზ ბაგრატიონი და ა. შ.) ან თარგმნიდა (არჩილი, ალექსანდრე არჩილის ძე, ვახუშტი, მირიან და თეიმურაზ ბაგრატიონები) სასულიერო-საეკლესიო შინაარსის ძეგლებს.

საერო პირი ხშირად სხვასაც მოუწოდებდა სასულიერო-საეკლესიო მწერლობაში მონაწილეობისაკენ. ასე, მაგალითად, დავით აღმაშენებლის (1089—1125) ბრძანებით არსენ საღირისძემ თარგმნა ანდრია კრიტელის „ღიღი კანონი“; გიორგი მეფერთმეტის ბრძანებით ი. დუმბაძემ (XVII ს.) გალექსა ბაგრატ მუხრანბატონის (XVI ს.) თხზულება („მოთხრობაჲ სჯულთა უღმრთოთა ისმაილიტთაჲ“); დარეჯან არჩილის ასულის (1665—1740) ბრძანებით გ. ჩხეიძემ თარგმნა რუსულიდან სასულიერო-საეკლესიო შინაარსის კრებული (H № 491) და სხვ.

საერო პირნი ხშირად კალიგრაფებს ამზადებინებდნენ სასულიერო საეკლესიო შინაარსის იგლებს. ეს ისე გავრცელებული მოვლენა იყო, რომ მაგალითების მოხმობაც კი ზედმეტად მიგვაჩნია. საგულისხმოა, რომ საერო-

თული ლიტერატურის ისტორიიდან, I, თბ., 1945, გვ. 401—402). ტ. გაბაშვილი, მოხილუა წმინდათა და სხვათა აღმოსავლეთისა ადგილთა, პ. იოსელიანის გამოცემა, თბ., 1852, გვ. 154, შენ. 90. ამ ცნობებს იყენებდა მრავალი მკვლევარი. ზოგი პოემის მდენელად ანტონ პირველს ასახელებდა (დ. ბაქრაძე, ზ. კვიციანი, ა. ხაზანაშვილი და სხვ.), ზოგი დომენტი კათალიკოსს (თ. ყორაღანი, მთავარეპისკოპოსი იოსებ სამებელი და ქართულის სტამბის საქმე XVIII საუკუნეში, „ივერია“, 1884, II, გვ. 48, შენ. 1; მისივე, მოკლე ისტორიული გამოკვლევა ქართულის სტამბის დაარსებისა და მოქმედების XVIII საუკუნეში და XIX საუკუნის პირველ წელს განმავლობაში, „ივერია“, 1885, X, გვ. 110; პ. გუგუშვილი, ქართული ჟურნალისტიკა, საზოგადოებრივი აზრის ისტორიისათვის, I, თბ., 1941, გვ. 32).

¹ П. Иоселиани, Шота Руставели, „Кавказ“, 1870, № 13; კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, II⁴, გვ. 125—126, შენ.; ა. ბარამიძე, შოთა რუსთაველი (მონოგრაფიული ნარკვევი), თბ., 1958, გვ. 367—375 და შმდ.; ა. გაწერელია, კლერიკალური წრეები და რუსთაველი, „ლიტერატურული საქართველო“, 24, VIII, 37, № 19 (41); ტ. რუხაძე, იდეური ბრძოლა „ეფესისტყაოსნის“ გარშემო, „მნათობი“, 1937, № 12, გვ. 187—194; მისივე, „ეფესისტყაოსნის“ წინააღმდეგ ბრძოლის სოციალურ-იდეური მოტივები, ა. პუშკინის სახელობის თბილისის სახ. პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, I, 1941, გვ. 79—88; ს. ყუბანეიშვილი, „ეფესისტყაოსნის“ ვახტანგისეული გამოცემისადმი დამოკიდებულება XVIII—XIX საუკუნეებში, „ლიტერატურული ძიებანი“, I, 1943, გვ. 109—123.

პირნი არა თუ არ უგულებელყოფდნენ სასულიერო საეკლესიო წიგნების გამრავლების საქმეს, აზამედ პირადადაც იღებდნენ მონაწილეობას ახალი ნუსხების დამზადებაში. მაგალითად, ვახუშტიმ 1750 წ. გადაწერა სასულიერო-საეკლესიო შინაარსის კრებული (H № 108), მუქაბუჯ ორბელიანმა 1758—1760 წლებში — მაქაიმე აღმსარებლის, ათანასე ალექსანდრიელისა და სხვათა თხზულებანი (A № 627), ნირიან ბაგრატიონმა (1767—1834) 1815 წელს — სვინაქსარი (H № 2728), ბაგრატ ბაგრატიონმა 1814 წელს — მეტათრასი (არქ. ხელნ. № 170) და სახარება,¹ 1815 წელს — „გვირგვინი“ (არქ. ხელნ. № 121) და სხვ.

თავის მხრივ სასულიერო პირნიც მოღვაწეობდნენ საერო-მხატვრული ლიტერატურის სარბიელზე. აქ პირველ რიგში უნდა დავასახელოთ თბილელი მიტროპოლიტი ი. სააკაძე, რომელსაც დაუწერია ცნობილი პოემა „დიდმოურავიანი“². მასვე შეუთხზავს 60-ზე მეტი სტროფი და დაუმატებია „ვეფხისტყაოსნისათვის“. აქვე შეიძლება მოვიხსენიოთ ანჩისხატის დეკანოზი სოლომონ მესხიშვილი, რომელსაც დაუწერია ლექსი: „ეტრფის მთიებსა შესამკობლად გული ურვილი...“³

ცნობილია, რომ საეკლესიო მოღვაწენი საერო პირებსაც კი მოუწოდებდნენ საერო-მხატვრული ლიტერატურის გამდიდრებისაკენ, შემოქმედებითი საქმიანობისაკენ. ამ მხრივ საყურადღებოა შემდეგი ფაქტი: კახთა მეფემ დავითმა (გარდ. 1602 წ.) „ქილილა და დამანას“ თარგმნას ხელი მიჰყო თილიპე ალავერდელისა და ზაქარია ბოდბელის რჩევით⁴.

საგულისხმოა, რომ ზოგჯერ საერო პირნი საეკლესიო მოღვაწეებს მოუწოდებდნენ საერო-მხატვრულ ლიტერატურაში საქმიანობისაკენ. ასე, მაგალითად, ვახტანგ მეექვსემ სულხან-საბა ორბელიანს დაავალა „ქილილა და დამანაზე“ მუშაობა.

ჩვენთვის მრავალადაა ცნობილი საერო-მხატვრულ თხზულებათა ისეთი ნუსხები, რომლებიც საეკლესიო მოღვაწეებს დაუმზადებიათ. ასე, მაგალითად, სასულიერო პირებს გადაუწერიათ ან შეუვისიათ „ვეფხისტყაოსანი“ (Q № 1082 — იოსებ თბილელი; H № 2323 — ონოფრე კანდელაკი; H № 288 — დიაკონი ზ. გაგუნოვი; H № 2055 — იეროდიაკონი ნიკოლოზი; K № 204 — დიაკონი ე. გაწერლოვი; Q № 246 — იკონომოსი ნიკიტორე; Q № 746 — დიაკონი ბ. ცხაკაია), „ამირანდარეჯანიანი“ (H № 14 — მღვდელი პეტრე)⁵, „ვისრამიანი“ (H № 716 — დეკანოზი ა. მესხიშვილი), „რუსუდანიანი“ (S № 3698 — მღვდელი ნ. ჩაჩიკაშვილი), „სიბრძნე სიერუსისა“ (Q № 744, S № 3047 — მღვდელი გ. მესხიშვილი), „ქილილა და დამანა“ (H № 2119 — მღვდელ-მონაზონი ეპიტაენე; Q № 418 — იეროდიაკონი ნეოფიტე; S № 3183 — მღვდელი ნ. მესხიშვილი), „ლელიმჯუნნიანი“ (Q № 573 — მღვდელი ს. ოქროაშვილი), „თიმსარიანი“

¹ ვ. თაყაიშვილი, არქეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი, I, თბ., 1907, გვ. 211.

² H № 390; A № 1164; S № 512, 1513, 3723.

³ ა. ბარამიძე, ნარკვევები, I, გვ. 355; ძველი ქართული ლიტერატურის კრესტომათია, II, შედგენილი ს. ყუბანგიშვილის მიერ, თბ., 1949, გვ. 338.

⁴ მ. სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის ლენინგრადის საჯარო ბიბლიოთეკაში, მ. საბინინის კოლექციაში, ინახება „ამირანდარეჯანიანის“ ერთი ნუსხა, რომლის ძირითადი ნაწილი გადაწერა დიმიტრი მონაზონმა 1808 წელს (ა. ბარამიძე, ნარკვევები, I, გვ. 34).

(H № 893 — მღვდელი გაბრიელი) და სხვა. საყურადღებოა სიონის დეკანოზის ნიკოლოზ მიქაძის მიერ გადაწერილი კრებული საერო ძეგლებისა (H № 1193). ცალკე უნდა დავასახელოთ მღვდელ ნიკოლოზ ჩაჩიკაშვილის მიერ გადაწერილი „შეხვეტილიანი“ (A № № 858, 860, 999), რომელიც მრავალ საერო თხზულებას შეიცავს. სხვათა შორის, ზოგჯერ სასულიერო პირი თავის ხელქვეითსაც ავალეზდა საერო-მხატვრული წიგნის გადაწერას. მაგალითად, „ვეფხისტყაოსნის“ ერთი ნუსხა დიაკონმა ე. გაწერლოვმა დაამზადა წინამძღვარ ი. ქალაგანიძის დაკვეთით (K № 204). არაა ინტერესმოკლებული ის ფაქტიც, რომ სვანეთის ზოგიერთი ეკლესია „ამირანდარეჯანიანის“ სიუჟეტით მოუხატავთ¹.

ყოველივე აღნიშნული უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ სასულიერო საეკლესიო მწერლობისა და საერო-მხატვრული ლიტერატურის წარმომადგენელთა შორის ზოგჯერ თანამშრომლობასაც ჰქონდა ადგილი, საერო პირნი მოღვაწეობდნენ სასულიერო-საეკლესიო მწერლობის ასპარეზზე, ხოლო ზოგიერთ საეკლესიო მოღვაწეს თავისი წვლილი შეჰქონდა საერო-მხატვრული ლიტერატურის ზრდა-განვითარებაში და ხელს უწყობდა მის პოპულარიზაციას. მაგრამ არ უნდა დაგვაფიწყდეს, რომ ასე მოქმედებდა ეკლესიის მსახურთა მცირე ნაწილი და მისი საქმიანობა, რასაკვირველია, ვერ გამოისყიდდა იმ დანაშაულს, რომელიც ეკლესიას მიუძღოდა საერო-მხატვრული ძეგლების დევნა-შევიწროებაში. ეკლესიის მსახურთა მრისხანებას აძლიერებდა ის გარემოება, რომ საზოგადოებრიობას აღარ აკმაყოფილებდა სასულიერო-საეკლესიო მწერლობა და სწრაფვა საერო-მხატვრული ლიტერატურისაკენ ერთობ დიდი იყო. თეიმურაზ პირველი (1589—1663) გულისტკივილით აღნიშნავდა: „არვის უნდა სახარება, არცა წიგნი მოციქულთა“ და „დალაქს ბევრი სამღთო წიგნი მიწაშიგან მოდებულო“². ამაზევე ამახვილებდა ყურადღებას არჩილიც:

საღვთო წიგნი ბევრი წახდა უყდოთა და უბუღობით,
საშაიროს ინახედენ სტაერის ბუღით, ან ნახლობით³.

ეკლესიის მსახურთა იერიშებისაგან თავდაცვის მიზნით საერო პირნი ბოდიშობდნენ და ამა თუ იმ მოტივით ამართლებდნენ თავიანთ საქმიანობას. მაგალითად, თეიმურაზ I ძალზე ხშირად მოტყევბას ითხოვდა საერო თემატიკის დამუშავებისათვის და თავს ასე იმართლებდა:

¹ И. Бартоломей, Поездка в поляную Сванетию, ЗКОРГО, III, 1855, გვ. 192; ტაბ. II, № 20; Д. Бакардзе, Сванетия, ЗКОРГО, VI, 1864, გვ. 91; П. Уварова, Поездка в Лшавию, Хевсуретию и Сванетию, МАК, X, 1904, გვ. 64—65; მისივე, Кавказ (путевые заметки), III, М., 1904, გვ. 293; А. Хахапов, Сванотские рукописные свангелия, МАК, X, 1904, დამატება, გვ. 38; ე. თაყაიშვილი, არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩაუბ-სვანეთში 1910 წელს, პარიზი, 1937, გვ. 330; III. Амиранашвили, История грузинского искусства, I, М., 1952, გვ. 276; ლ. შერვაშიძე, კედლის მონატულობანი „ამირანდარეჯანიანის“ სიუჟეტით სვანეთში, საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, XVII, № 5, 1956, გვ. 471—478; მისივე, კედლის მონატულობა „ამირანდარეჯანიანის“ სიუჟეტით სვანეთში, „საბჭოთა ბელოვნება“, 1957, № 1, გვ. 60—61. იხ. აგრეთვე პ. კარბელაშვილი, სვანეთში ორი კვირით, „ივერია“, 1904, № 148.

² თეიმურაზ პირველი, თხზულებათა სრული კრებული, ა. ბარამიძისა და გ. ჯაკობიას რედაქციით, თბ., 1934, გვ. 99. იხ. აგრეთვე გვ. 24.

³ არჩილიანი, I, გვ. 61.

თუ საღმთო რამე მესიბრძნა, შიგ არცინ ჩაიხედევდა,
რა ეს ლაყაბი შევკრიბე, ყველა ნახვასა ბედევდა¹.

ონანა მდივანი „ბარამგულიჯანიანის“ შესავალში ასე აცხადებდა:

იგ უჯობდა სულსა ჩემსა სამლოო ნიჭი მომეწადა,
მას ვერ ხელეჭყავ სიტყვა მცდარმან, კეთილი რამ დამეჭადა,
აქ შევაგმევე ბრძენთა თქმული, მოწვენილი სადით სადა,
ზღაპარი და უსარგებლო, მიკეირს, გულმან რად მე ხადა².

ანალოგიური სიტყვები გვხვდება საერო ლიტერატურის ბევრი წარმომადგენლის ნაწერებში. გასაგებია, თუ საერო პირი ბოდიშობდა და თავს იმართლებდა საერო თემატიკის დამუშავებისათვის, რა მდგომარეობაში იქნებოდა ის სასულიერო პირი, რომელიც საერო-მხატვრული ლიტერატურის ზრდა-განვითარებისათვის იღვწოდა. მძიმე მდგომარეობამ ათქმევინა თბილელ მიტროპოლიტს ი. სააკაძეს შემდეგი სიტყვები:

თქვენ გვედრები, ვინცა ხართ, სიტყვისა გამსინჯავია,
სიტყვა ყბედ ძრახვა არა ხამს, რაგინდ რომ მეთქვას ავია,
სოფლის ზღაპრისა წერისთვის შეიქმენ დამნაშაია!
მას დარჩა ჭკუის საუნჯე, ვინც ცრემლით აესო ნავია!
უქმი სიტყვა ცუდსა ჰქვიან, მეც ვარ მუდმად უქმის მოქმელი,
კაცი რომე უქმს ამბობდეს, ვით მორჩების დაუნთქმელი?
კეკა მათ ჰპოვეს, საღთოს წიგნის ვინცა იყენეს გარდამთქმელი,
მე შევიქმენ ენა ყბედი, სოფლის სიტყვის სამ წამთქმელი!
მე სოფლისა საქმეს მივყევე, მე ვინა და ამის წერა?
ის მიჯობდა, მოციქულთა რაც თქვეს, ყველა დამეჯერა,
სულის ღვწით და სინანულით ანგელოზნი შემეჯერა,
თათ ჩემო, შენთვის რა ჰქენ, ანუ კარგად გასინჯე რა?!³

საერო-მხატვრულ ლიტერატურაში მუშაობას უხერხულად მიიჩნევდა ბერად შემდგარი სულხან-საბა ორბელიანიც. ის საგანგებოდ აღნიშნავდა, რომ „ქილილა და დამანაზე“ მუშაობა მას ვახტანგ მეექვსის დავალებით მოუხდა. დიდი მწერალი გვაუწყებდა, რომ მას ვახტანგის ბრძანება მოუვიდა, „უარი აღარ იქნებოდა, თვარამ მონაზვნისაგან ამისთანა ამბავი უწესოა და ურიგოა“⁴.

სხვათა შორის, გარკვეულ უხერხულობას გრძნობდნენ ის საეკლესიო მოღვაწენიც, რომლებიც საერო-მხატვრული ძეგლების ნუსხებს ამზადებდნენ. მაგალითად, მღვდელი ნ. ჩაჩიკაშვილი „შეხვეტილიანის“ მინაწერში შენიშნავდა: „რიგი არ იყო ჩემგან ამისი წერისა, მაგრამ... დიად შეწუხებულნი ვიყავ და ამით უკუვიყრიდი“⁵. ასევე ბოდიშობდნენ ა. მესხიშვილი (H № 716; S № 5004) და სხვ.

¹ თეიმურაზ პირველი, თხზულებათა სრული კრებული, გვ. 109. იხ. აგრეთვე გვ. 14, 60, 98, 99, 100.

² დ. ბრეგაძე, ქართველი მწერლები რუსეთში (XVIII ს.), წიგნი I, თბ., 1958, გვ. 72.

³ იოსებ ტფილელი, დიდმოურავიანი, გვ. 64.

⁴ ქილილა და დამანა, ა. ბარამიძისა და პ. ინგოროს ყვას რედაქციით, თბ., 1949, გვ. 4.

⁵ Описание рукописей (S), II, გვ. 552.

აქვე უნდა აღენიშნოთ, რომ სამღვდელოება ძირითადად ხუცურ დამწერლობას იყენებდა, რის შედეგად სასულიერო-საეკლესიო შინაარსის ხელნაწერების მეტი ნაწილი ხუცური ანბანითაა შესრულებული, მაგრამ ცნობილია მხედრულით შესრულებული ნუსხებიც (H №№ 9, 19, 27, 29, 31, 32, 36, 37, 60, 64, 67, 102, 111, 121, 122, 125, 126, 131, 137, 162, 189, 241, 303, 370, 395, 501, 504, 624, 662, 913, 1057, 3044 და სხვ.)

შეგვიძლია დავასახელოთ სახარება (H № 162, H № 395; Q № 5), დავითნი (H № 913), თვენი (H № 303), ეამნი (H № 1057), სადღესასწაულო (H № 3044) და ა. შ.

ცნობილია ისეთი სასულიერო საეკლესიო შინაარსის ხელნაწერებიც, რომლებიც შესრულებულია მხედრულით სასულიერო პირთა მიერ (H № № 20, 24, 28, 30, 39, 70, 77, 109, 152, 174, 194, 211, 213, 256, 259, 296, 348, 405, 409, 805, 891, 973—975, 1074; Q № 644 და სხვ.). საყურადღებოა ეამნი გადაწერილი 1725 წელს მღვდელ დ. მაგრაქველიძის მიერ (H № 109), სადღესასწაულო გადაწერილი 1782 წელს ამბროსი წილკნელის მიერ (H № 973), ძველი აღთქმა გადაწერილი 1851 წელს მღვდელ ანტონ ხუცია ნოვის მიერ (H № 152) და სხვ¹. სხვათა შორის, ცნობილია ნუსხურით შესრულებული „ქართლის ცხოვრება“², სულხან-საბა ორბელიანის „მოგზაურობა ეგრობაში“³, მისივე „სიტყვის კონა“ (A № № 1113, 1157; S № 247; Q № № 18, 765; M № 2)⁴ და სხვ. ნუსხურით ყოფილა შესრულებული „ქართლის ცხოვრების“ ურბნული ხელნაწერიც⁵.

იდეოლოგიურ წინააღმდეგობას, ლიტერატურულ ბრძოლას ადგილი ჰქონდა არა მხოლოდ სასულიერო-საეკლესიო მწერლობასა და საერო-მხატვრულ ლიტერატურას შორის, არამედ საკუთრივ სასულიერო-საეკლესიო მწერლობის წიაღშიც. ცნობილია, რომ ლიტერატურული მტრები ჰყოლია ექვთიმე ათონელს. მიქელ დაღალისონელის ცნობით, ექვთიმე ათონელის თარგმანები წაურყენია ვილაც ოზანს⁶. მსავსი ცნობა აქვს დაცული გიორგი მთაწმიდელსაც: ექვთიმემ „დავითნი თარგმნა და მწერალსა ვისმე მისცა დაწერად, და

¹ საინტერესოა ერთი მხედრული ოთხთავის გადამწერის ანდერძი: „ვსწერ წიგნსა ამას წმიდისა სახარებათსა, რომელი არა ჯერ-იყო წერითა მხედრულითა... შენდობას ეითხოვ ამისთვის, რამეთუ მრავალთა კაცთა მკედრად და ერისგნად განწესებულთა გული უთქმსთ კეშმარიტთა სახებითა, რათამც ღირს იქმნენ გულისკმეისყოფად ესე ვითართა საქმეთა და გონება-მიუწოდმელთა საწაულთა და საკურთხეულთა მოქმედებათა უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესთა, და არა ძალ-უძს წიგნთა ხუცურთა აღპკითხვად...“ (Q № 752, 175 v; ხელნაწერთა აღწერილობა (Q), II, გვ. 201).

² Q № 1219; P. O p e e x, Грyг. pyxomex ИВ АН СССР, I, გვ. 15—18.

³ იქვე, გვ. 81.

⁴ იქვე, გვ. 129—131; ლ. ქუთათელაძე, „სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის რედაქციები (ავტოგრაფების მიხედვით), თბ., 1957, გვ. 267—272 და შმდ.

⁵ ამ ხელნაწერის ჩვენამდე მოღწეული ნაწილი ჩართულია „ქართლის ცხოვრების“ ფალავანდიშვილისეულ ნუსაში (H № 788). იხ. კ. გრიგოლია, „ქართლის ცხოვრების“ ურბნული ნაწყვეტი, ა. პუშკინის სახელობის თბილისის სახ. პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, IV, 1947, გვ. 121—136; მისივე, ნარკვევები, I, გვ. 168—170.

⁶ ათონის ივერიის მონასტრის 1074 წ. ხელნაწერი ალაპებით, თბ., 1901, გვ. 176 (ქვემოთ—ათონის კრებული).

მან განრყუნა და უკმარყო¹. ექვთიმე ათონელის თარგმანების დამახინჯების ფაქტები ცნობილი ყოფილა ევროემ მკირისათვისაც².

შევიწროებას განიცდიდა იოანე პეტრიწი³, რომლის თსზულებათა გადამწერი მკათბელებს სიფრთხილისაგან მოუწოდებდა⁴. სასულიერო-საეკლესიო მწერლობის წიაღში არსებულ წინააღმდეგობასა და შეუთანამებლობას მოწმობს მრავალი კრიტიკული შენიშვნა, რომელიც ძველ ხელნაწერთა მინაწერებში გვხვდება⁵. საინტერესო მინაწერი ახლავს ზ. შანშოვიანის „გრამატიკას“: „ჩეტარ თუმცა ეს პატივოსანი წიგნი ცალიერი ქალაღი იყოს, მპრომელთ სახელისა ისევე პატივოსნად ეგებოდა და ჩუშნც ერთს ჩუშნს გამოსადეგს რასმე დავჰსწერდით, რომ მეცნიერთა გამოსდგომოდათ“ (Q № 260, გვ. 54).

საუიქრებელია, სასულიერო-საეკლესიო მწერლობაში არსებული შინაგანი წინააღმდეგობა არა ერთ ძველ ხელნაწერს იმსახვერპლებდა⁶.

ძეგლების დაღუპვას ხელს უწყობდა შემდეგი გარემოება: იცლებოდა რა პოლიტიკურ-ეკონომიური პირობები და საეკლესიო-ქრისტიანული საზოგადოებრიობის მსოფლმხედველობა, ზოგი წიგნი კარგავდა თავის ძველ მნიშვნელობას, რადგან ია გაბატონებული აზრის საწინააღმდეგოს ამტკიცებდა, არასასიამოვნო ტენდენციას შეიცავდა. სამღვდლოება სპობდა ასეთ წიგნებს. ასე განადგურდა, მაგალითად, მონოფიზიტური ლიტერატურა. აღსანიშნავია, რომ ახლად გაბატონებული მსოფლმხედველობის მატარებელნი ზოგჯერ კი არ სპობდნენ ძეგლებს, არამედ უცელიდნენ მას აზრს, სხვა შინაარსს დებდნენ მასში, სხვა იერს აძლევენ მას. ასეთი მოქმედების შედეგად ძველი ძეგლი ახალ სახეს იღებდა. ასე გადაკეთდა და შეიცვალა ევსტათი მცხეთელის მარტილობა, ასურელ მოღვაწეთა ცხოვრებანი, პეტრე ქართველის ცხოვრება და მრავალი სხვა.

ძველი ძეგლების გადაკეთებასა თუ განადგურებაში ძალზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა პოლიტიკურ-იდეოლოგიურ მომენტს. ცნობილია, რომ ზოგჯერ მოწინააღმდეგენი ურთიერთის ისტორიოგრაფიას არ ინდობდნენ⁷.

ძველი ხელნაწერი შემკვიდრების შემცირებასა და გაღარიბებას იწვევდა ლიტერატურული გემოვნების ცვლაც. ადრე ლიტონი ენით დაწერილი

¹ H № 16, 211 v; H № 2709, 3v; საქ. სამოთხე, გვ. 468; მ. ჯანაშვილი, სოფ. მეტეხის ოთხთავი, „ივერია“, 1892, № 50; მისივე, ქართული მწერლობა, I, თბ., 1900, გვ. 110—111.

² კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, გვ. 193.

³ იოანე პეტრიწი, შრომები, II, გამოსცეს და გამოკლევა დაურთეს შ. ნუცუბიძემ და ს. ყაუხჩიშვილმა, თბ., 1937, გვ. 222.

⁴ იქვე, გვ. 9, შენ.; იოანე პეტრიწი, შრომები, I, ქართული ტექსტი გამოსცა და გამოკლევა და ლექსიკონი დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა, თბ., 1943, გვ. XVI.

⁵ H № 1031, 106 v; ხელნაწერთა აღწერილობა (H), III, გვ. 11; A № 1054, 33 v; საქართველოს სახ. მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი საეკლესიო მუზეუმის ხელნაწერები (A. კალექია, კ. კეკელიძის საერთო რედაქციით, IV, შეადგინა ქ. შარაშიძემ, თბ., 1954, გვ. 33.

⁶ კ. კეკელიძე, შემოქმედებითი პროცესი ძველ-ქართულ ლიტერატურაში იდეოლოგიური ხასიათის ზოგიერთ მომენტთან დაკავშირებით, ეტიუდები, II, თბ., 1945, გვ. 213—217.

⁷ ნ. ბერძენიშვილი, კლასობრივი და შინაკლასობრივი ბრძოლის გამოვლინება საქართველომ საგარეო-პოლიტიკურ ურთიერთობაში, აკად. ი. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის შრომები, I, 1955, გვ. 183.

ბევრი ძეგლი ველარ აკმაყოფილებდა მკითხველი საზოგადოების მოთხოვნილებას. ამიტომაც საჭირო გახდა ასეთი ძეგლების გადაკეთება-გადაკაზმვა. ასე განვითარდა მეტათრასული მწერლობა, რის შედეგადაც ბევრი კიმენური რედაქციის ძეგლი გაუფასურდა და დავიწყებას მიეცა, აღარ გადაინუსხა და დაიკარგა. მაგალითად, ჩვენამდე მოღწეულია ფრიალ მნიშვნელოვანი აგიოგრაფიული თხზულება ბასილ ზარზმელისა: „ცხოვრება და მოქალაქეობა ღმერთმემოსილისა ნეტარისა მამისა ჩუენისა სერაპიონისი“. სამწუააროდ, ის არაა შემონახული თავდაპირველი სახით, არაა მოღწეული ისე, როგორც ავტორის ხელიდან გამოვიდა. მისი კიმენური რედაქცია ისევე, როგორც სხვა მრავალი, დავიწყებას მიეცა და დაიკარგა.

ზელნაწერი წიგნების განადგურებას იწვევდა მათდამი უყურადღებობაც. ზოგიერთი ზელნაწერი ბედის ანაბარა იყო მიტოვებული, მას ქარი და წვიმა, ნესტი და მტვერი აზიანებდა. ამის შედეგად მრავლად გვაქვს ნაკლები, თავბოლო შემოდარცული, კიდევებშემოხეული, ყდა მოცილებული, გამკვარტლული (H № № 1436; 1437; A № 737), ჭუჭყიანი, დაშლილ-დაფურცლული ზელნაწერები. ბევრს ემჩნევა სინესტის კვალი (Q № 263), ხშირადაა აღბეჭდილი ქიის ნაკვალევი (Q № 265; A № 1390), ბევრია დაზიანებული წვიმისაგან (K № 248) და ა. შ. ასეთი დაზიანებული ზელნაწერი არა ერთ ადგილას აღმოჩენილა. სხვათა შორის, განსვენებული თ. სახოკია თავისი საინტერესო მოგზაურობის აღწერილობაში გვამცნობს, რომ მას გურიაში, აკეთის ეკლესიის საკურთხევლის ერთ კუთხეში უნახავს „ნაფლეთებად ქცეული საეკლესიო წიგნი, ტყავზე დაწერილი. ზოგი ფურცელი ჩრჩილისაგან საცოდავად დაბრული იყო, ზოგი სქელ მტვერს დაეფარა და ზოგსაც წვიმის წყალი მოხვედრია, დაობებულია და ერთმანეთს მიჰკვრია“¹. ცნობილი საეკლესიო მოღვაწის ბ. ბარკალაიას ცნობით, ათონელი ბერძნები ქართულ ზელნაწერთა ფურცლებისაგან ბოთლების საცობებს ამზადებდნენ².

ზელნაწერი მემკვიდრეობისადმი უყურადღებობა, მისი ბედის ანაბარა მიტოვება, რაც მის დაღუპვას იწვევდა, ძალზე აწუხებდათ და აფიქრებდათ ქართული კულტურის მესვეურთ. მაგალითად, ი. ქავჭავაძე წერდა:

„ვინ არ იცის, რამოდენა ძველი ნაშთია გაფუჭებული აქა-იქ ეკლესიებში, მონასტრებში, ტაძრებში. რა დიდძალი. გუჯრები, სიგელები და სხვა ნაწერები... უადგილო ადგილას ყრია დღეს აქა-იქ უპატრონოდ, მოუვლელად. რამდენი ამისთანა განძი ჩვენის ქვეყნის ისტორიისა და არქეოლოგიისა გამოუქვეყნებლად არის მიმალული და დროთა მიმავლობაში... იკარგება, ფუჭდება და იღუპება“³.

ძველ ზელნაწერთა ასე უყურადღებოდ მიტოვების შედეგად მათი პოვნა სულ სხვადასხვა ვითარებაში შეიძლებოდა. ასე, მაგალითად, სახელგანთქმული სახარება, რომელიც ქსნის ოთხთავის სახელითაა ცნობილი (A № 509),

¹ თ. სახოკია, მოგზაურობანი, თბ., 1950, გვ. 75.

² ბ. ბარკალაია, წერილი რედაქტორთან, „დროება“, 1880, № № 126, 128; მისივე ათონის შიდაშ, „დროება“, 1882, № 226.

³ ი. ქავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, IV, გვ. 205—206. შდრ. ლ. მენაბდე, ი. ქავჭავაძე და ძველი ქართული მწერლობა, თსუ შრომები, ტ. 69, 1958, გვ. 71. იხ. აგრეთვე ა. წერეთელი, თხზულებათა სრული კრებული (თხუთმეტ ტომად), XI, თბ., 1960, გვ. 164.

დ. ბაქრაძემ აღმოაჩინა 1880 წელს ახალგორის (—ლენინგორის) ეკლესიის ნანგრევებში. ორი წლის შემდეგ მან იქვე იპოვა კიდევ რამდენიმე ფურცელი ამ ხელნაწერისა;¹ ასეტიკურ თხზულებათა კრებულში გადაწერილი მე-10 ს. მეორე ნახევარში ილარიონ იმანელის დაკვეთით (A № 35) პოეტმა ი. დავითაშვილმა იპოვა ნიქოზის ტაძრის ეზოში²; საქართველოს სახელმწიფო წესწყობილების, ყოფა-ცხოვრებისა და შინაგანი ორგანიზაციის შესასწავლად უდიდესი მნიშვნელობის ძველი „ველწიფის კარის გარიგება“ (II № 3094) აკად. ე. თაყაიშვილმა ამოიღო ნაგვიდან, რომელიც მის თვალწინ გამოგავეს გაპარტაზებული სახლიდან³; მე-10 ს. ერთი ძეირთასი სახარება ბ. ნიქარაძემ იპოვა საარყე ქვაბში, რომელიც საესე იყო არჩვის რქებით, დაძველებული ხატებისა და ჯვრების ნამტვრევებით⁴; სინას მთის ქართულ ხელნაწერთა კოლექციაში აკად. ნ. მარმა იპოვა სავალაზლების კრებული (№ 921, რომელშიც უკანასკნელ ფურცლად ჩაყვრებული იყო X ს. ასომთავრულით შესრულებული ძეირთასი დოკუმენტი—კატალოგი ქართული ხელნაწერებისა⁵; ქუთაისში, ბაგრატის ტაძრის ნანგრევებთან თ. ყორღანიამ იპოვა ძველი აღთქმის წიგნების შემცველი ხელნაწერი, რომელიც გელათის ბიბლიის სახელითაა ცნობილი (A № 1108)⁶; თაბორის ეკლესიის ნანგრევებში მოპოვებულ იქნა კალიბოსის მონასტერში გადაწერილი (1060 წ.) ძეირთასი სახარება K № 76)⁷; ძველი ქართული ხელნაწერი ბიბლიის რამდენიმე ფურცელი საფარველ ფურცლებად აღმოაჩინდა სულ სხვა ხელნაწერს (S № 104)⁸; მე-10 ს. ბიბლიის ფრაგმენტი (A № 1119-ბ) მიკრული იყო ფიცრის ყდის შიგნით გერგეტის სანების სულთა მატეიანის (XV—XVIII სს.) ხელნაწერზე (A № 1085)⁹; ბიბლიური წიგნების საინტერესო ფრაგმენტები აღმოაჩინა ბეელ პალიმუსეს-

¹ დ. ბაქრაძე, სამი ძველი ვარიანტი ქართულის ოთხთავისა ანუ სახარებისა, „ივერია“, 1883, V—VI, გვ. 113; მისივე, Древние варианты грузинского четвероевангелия, Труды V арх. съезда в Тифлисе в 1881 г., М., 1887, გვ. 216.

² ქრონიკები, I, გვ. 91; Опис. рукописей (A), I, გვ. 26—27.

³ ველწიფის კარის გარიგება, ე. თაყაიშვილის გამოცემა, თბ., 1920, გვ. 1.

⁴ ბ. ნიქარაძე, სვანეთის ხელნაწერები. „მოამბე“, 1904. IX, განკ. II, გვ. 2—3.

⁵ Н. М а р р, Предварительный отчет о работах на Синае, водешных в содружестве с И. А. Джавахидим, и в Иерусалиме в поездку 1902 г. (апрель—ноябрь), СРПО, ტ. XIV, ნაწ. II, 1903, გვ. 44—45; მისივე, Описание грузинских рукописей Синайского монастыря, გვ. 267—268.

⁶ ქრონიკები, II, გვ. 36—39 (იხ. აგრეთვე თარგმანება ეკლესიასტისა მიტროფანე ხმზრნელ მიტროპოლიტისაჲ, პროფ. კ. კეკელიძის გამოცემა, თბ., 1920, გვ. XXVII, შენ. 1)

⁷ Ценная археологическая находка (древнегрузинское евангелие 1060 г.), „Кавказ“, 1891, № 245 (= „Вост. Кавказ“, Т., 1913, ნაწ. II, განკ. II, გვ. 11—12).

⁸ Р. Б а з и л, О древнегрузинских перенос Ветхого Завета, ИКОМО. VI, 1921, გვ. 32, შენ. 48; იღ. აბუღაძე, ქართული ბიბლიის ძველი ხელნაწერის რამდენიმე ფურცელი, თაუ შრომები, XVIII, 1941, გვ. 149—159.

⁹ საქართველოს სახ. მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფილი მუზეუმის ხელნაწერები (II კოლექცია), კ. კეკელიძის საერთო რედაქციით, IV, შედგენილია და დასაბუქდად დანაშაბული ე. მეტრეველისა და ე. ვიროსალაძის მიერ, ე. მეტრეველის რედაქციით, თბ., 1950, გვ. 47, 125.

ტებში აკად. ი. ჯავახიშვილმა¹; უკანასკნელ ხანს ქართული ხელნაწერის ფრაგმენტები აღმოჩნდა ქობთაეის გამოქვებულში (იერის ხეობაში)²; ალახან სოფ. ხონში (ორჯონიკიძის რაიონი) სახლის სხვენზე აღმოჩნდა XVI—XVII სს. თვენი (Q № 1220) და 1697 წ. გაღაწერილი „ქართლის ცხოვრება“ (Q № 1219)³.

სამწუხაროდ, ზოგ ძვირფას ქართულ ხელნაწერს თვით ქართველები აზიანებდნენ და არც კი უუქრდებოდნენ თუ რა ვნებას აყენებდნენ მას. ამ მხრივ საინტერესოა აკად. ე. თაყაიშვილის მიერ მოთხრობილი ერთი ეპიზოდი. მესტიის სახარება (XI ს.), რომელიც, სპეციალისტთა დაკვირვებით, ექვთიმე მთაწმიდლისეულ რედაქციას უნდა შეიცავდეს, სათანადო სამეცნიერო ლიტერატურაში ჯეროვნადაა შეფასებული და ოთხთაეის ერთ-ერთ საყურადღებო ნუსხადაა ჩიჩნული. ამ დიდებული ხელნაწერიდან ლატალის საზოგადოებაში მცხოვრებ სევასტი ჩარკვიანს ამოუჭრია ერთი ფურცელი და ყოველთვის ჯიბით ატარებდა. ამ შემთხვევაში მას ხელნაწერის სიყვარული კი არ ამოქმედებდა, არამედ ის გარემოება, რომ მის მიერ ველურად ამოჭრილი ფურცლის ქვემო არშიაზე გვიანდელი ხელით ეწერა: „სეტისა წმინდა გიორგის შემოგწირე მე თავადმა ზურაბ ჩარკვიანმან კატი ესე მაცხოვრისა და შეიწყალე მონა შენი, ამინ“. ს. ჩარკვიანი თურმე ამ მინაწერით ლამობდა ჩარკვიანთა თავადობის დამტკიცებას!⁴.

ცნობილი ჰომილეტიკური კრებული (X ს.), რომელიც გურიაში უდაბნოს სავანეში აღმოაჩინა ისტორიკოსმა დ. ბაქრაძემ⁵, ხოლო თბილისში ჩამოიტანა აკად. ა. შანიძემ და ამჟამად საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტში ინახება (A № 1109), ადრე ძალზე დაუზიანებიათ ყოფ. ოზურგეთის სასულიერო სასწავლებლის მოწაფეებს. მათ ამოუჭრიათ ფურცლები და ისინი ყდებად გამოუყენებიათ თავიანთი სახელმძღვანელოებისათვის. ასე ბარბაროსულად ამოჭრილი ფურცლები ყოფ. ოზურგეთის სასულიერო სასწავლებლის ინსპექტორმა გადასცა თ. ეორდანიას, რომელმაც ისინი ქართულ სიძველეთსაცავს შესწირა⁶. უკანასკნელ წლებში აკად. ა. შანიძემ შეძლო ამ ფურცლების მიკვლევა (A № 713, A № 1287; H № 2097) და უდაბნოს მრავალთავეთან შეერთება⁷.

¹ ი. ჯავახიშვილი, ახლად აღმოჩენილი უძველესი ქართული ხელნაწერები და მათი მნიშვნელობა მეცნიერებისათვის, თბ., II, 1922—1923, გვ. 313—391; მისივე, ქართული პალეოგრაფია, გვ. 274—366. ჩვენს განკარგულებაშია მრავალი პალიმნესტი (H № № 520, 525—529, 999, 1239, 1329, 1332, 1338, 1395, 1397, 1403, 1410, 1436, 1439, 1441, 1442, 1445, 1721, 1724, 1731, 1741, 1822, 1832, 1850, 1853, 1856, 1858, 1862, 1866, 1868, 1871, 1872, 1870, 1893, 1894, 1896, 1900, 2090—2092, 2401; S № 3902; A № № 44, 89, 146, 737, 844, 1390, 1695; Q № № 21, 267, 333 და სხვ.). მათგან გაშიფრულია მხოლოდ მცირე ნაწილი.

² ლ. გოთუა, წერილები ქობთაეის ქვაბებიდან, მგზავრული კრიალოსანი, თბ., 1960, გვ. 104—113; კ. ჯავახიშვილი, მიწისქვეშა სამკაროს საიდუმლოებანი, „კომუნისტი“, 15. IV. 67, № 89 (11700). ერთი ცნობით, ნაბეჭდი წიგნის ფურცლები საფლავშიც კი აღმოჩნდა ს. მოხისში (ეს ომ, საარქეოლოგიო ცნობა, „ივერია“, 1892, № 105).

³ შ. გოზალიშვილი, ა. კლიმიშვილი, სამეცნიერო ექსპედიციის „ნადავლი“, „თბილისი“, 14. XI. 59, № 269 (1967); ა. კლიმიშვილი, „ქართლის ცხოვრების“ ერთი ახალი ნუსხა 1697 წლისა, საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, XXIV, № 3, 1963, გვ. 371—376.

⁴ ე. თაყაიშვილი, არქ. ექსპედიცია ლეჩაუბ-სვანეთში 1910 წელს, გვ. 250.

⁵ Д. Бакрадзе, Археологическое путешествие по Гурии и Абхазе. СПб., 1878, გვ. 211.

⁶ Опис. рукописей (A), II, გვ. 181—182.

⁷ ხელნაწერთა აღწერილობა (A), IV, გვ. 100; (H), V, გვ. 59.

ვინაიდან ძველი ნუსხების დაზიანება ერთობ გავრცელებულ სენს წარ-
ცოდადებდა, ბელნაწერთა მფლობელები (დამკვეთნი, მყიდველნი, შემწირველ-
ნი, კალიგრაფები და სხვ.) საგანგებო მინაწერებში წყევლა-კრულვას უთვლიდ-
ნენ ყველას, ვინც კი რაიმე ზიანს ნიაყენებდა მათ ხელნაწერს. ამ მხრივ
ერთობ საინტერესოა შოშიტა ერისთავის დაკვეთით შესრულებული გულან-
ის მინაწერი: რომელმა „ჩემან კაცისამან ანუ დიდმან, ანუ მცირეჩან,
ანუ მეფეჩან, ანუ მთავარმან, ანუ ეპისკოპოსჩან, ნათესაემან ადამისამან ეს
გულანი გაძოახოს ამ საბლს ან ძალით წაილოს, ანუ ნებით გასცეს, ანუ სხვა-
მან, ანუ ნათესავმან ჩნძან, სახლისა ამის ჩნისაგან წარილოს და დაუკარგოს
სახლსა და ნათესავსა ჩნსა, ჩემსამც ცოდვისა და კანონს ქუმშ არის და ნე-
ორედ მოსლვას ჩემი ცოდვის პასუხის გამტემი ის იყოს. ვინც ეს წიგნი... ამ
სახლიდაჲ დასაკარგავად კელ-ყოს, ღმერთმან ნუ უხსნას მის სულსა ნურც
წირვითა, ნურც ლოცვითა, ნურცა გლახაკთ მიცემითა“¹.

საგულისხმოა, რომ ადგილი ჰქონდა არა მხოლოდ წიგნების მითვისე-
ბასა და დამალვას, არამედ ცალკეული ნაკვეთების ამოღებას, საინტერესო
ტექსტის შემცველი ფურცლების ამოხევის და ა. შ. ამით აიხსნება ის გარე-
მოება, რომ „შებვეტილიანის“ შემდგენელ-გადამწერი ცნობილი კალიგრაფი ნი-
კოლოზ ჩაჩიკაშვილი თავის ანდერძში საგანგებოდ ამახვილებს ყურადღებას ამ
საკითხზე და წყევლა-კრულვას უთვლის მის მიერ დამზადებული ნუსხის მიმ-
თვისებელსა და მიმტაცებელს, დამზიანებელსა და წარმყენელს: „წყვეული
იყოს ის კაცი თუ ქალი, რომელმაც თხოვნით წაილოს და ამის პატრონს
დაავიწყდეს და აღარ გამოუჩინოს. წყვეული იყოს, რომელსაც აქედამ ამბავი
მოეწონოს და ან რვეული ამოგლიჯოს და ან ფურცელი აღმოხიოს და ან
უბრალო არშიაზე ბლაჯვა დაუწყოს ან თინთად და უნაღვლეღად და ნისიათ
იგმაროს“.

აღნიშნული-სავალალო და სამწუხარო ჩვევა იძღვინად ხშირი და გავრ-
ცელებული ყოფილა, რომ ნ. ჩაჩიკაშვილს საჭიროდ დაუნახავს თავის ანდერძ-
ში ამ საკითხზე მეორეჯერ შეჩერებაც: „გაუწყრეს სამება, რამაც კაცმან ან
ბატონმან, ან ამბანაგმან, ან მცირემან, ან დიდებულმან შეიჯარბოს, წაართოს,
ან მოპაროს... დამალოს, ან რვეული და ფურცელი ამოგლიჯოს და ამოხიოს,
ან ვინც არ გაუფრთხილდეს“².

სელნაწერებზე ანალოგიურ წარწერებს აკეთებდნენ არა მხოლოდ
მათი შემსრულებელნი თუ დამკვეთნი, არამედ შემსყიდველნიც. მაგალითად,
ბაბტამანთ სტეფანეს შვილმა ბეჩანმა განჯაში იყიდა სულხან-საბას ლექსი-
კონი და მკაცრად წააწერა: „ვინც მამპაროს, ან მთხოვოს და აღარ მომცეს,
წმინდა სამება გაუწყრეს“³.

¹ A № 1582, 191 v; ხელნაწერთა აღწერილობა (A), V, გვ. 114.

² Опис. рукописей (S), II, გვ. 553; М. Джапашвили, Описание рукописей
порк. музея, III, Т., 1908, გვ. 88.

³ H № 3132, 4 v; საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწე-
რილობა, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფ. მუზეუმის ხელ-
ნაწერები (H კოლექცია), VI, შედგენილი და დასაბუქვად მომზადებული ნ. კასრაძის,
ე. მეტრეველის, ლ. მეფარიშვილის, ლ. ქუთათელაძისა და კ. შარაში-
ძის მიერ, ა. ბარამიძის რედაქციით, თბ., 1953, გვ. 417.

ქართველები ზრუნავდნენ არა მხოლოდ საქეთარი ბიბლიოთეკის ხელ-
შეუხებლობაზე. არამედ ეკლესია-მონასტრების წიგნსაცავების ბედზეც. ისინი
შესწირავდნენ რა ხელნაწერს ამა თუ იმ მონასტერს, წინასწარ უთელიდნენ
წყველა-კრულვას მას, ვინც გაბედავდა და მათ შეწირულებას მიითვისებდა
ან დააზიანებდა. ასეთი შინაარსის მინაწერი მრავალ ხელნაწერს შემოუნახავს.

მე-17--18 საუკუნეების ეამნ-გულანს მოეპოვება იოსებ წინამძღვრის მი-
ნაწერი: „...რამანც ჯორჯშესტმულმან კაცმან... მონასტერსა ეს ეამნ-გულანი
გამოსწიროს ანუ ტელმწიფემან, ან პატრიაქმან, ან ეფისკობოზმან, ანუ წინა-
მძღვარმან, ან ხუცესმან, ან სმც რისხავს ღმერთი“¹.

სახელგანთქმული ვანის სახარების შემწირველი იოსებ კათოლიკოსი
წერს: „ვინც ეს ჩემი ნაყიდი იმ ეკლესიას გამოსწიროს, შეჩვენებული იყოს“².

ნ. ორბელიანი ნის მიერ რუისის ტაძრისათვის შეწირული მარხვანის მინა-
წერში აღნიშნავს: „ვინც გამოსწიროს, ღმერთმან დასწყევლოს და შეაჩვენოს“³.

იოანე სახარების თარგმანების გარეჯის მონასტრისადმი შემწირველი
დავით ბერი წერს: „ვინც ეს ამ მონასტერს გამოსწიროს და გაიტანოს და-
ვით გარესჯის მონასტრიდამ, რისხავს დაუსაბამო, დაუსრულებელი ღმერთი
და მერმე წმინდა დავით“⁴.

იოანე ბოდბელმა მისი ტაძრისთვის შეწირულ ტიბიკონს წააწერა:
„რომელმანცა მართლმადიდებელმან ქრისტიანემ უსამართლოდ დატაცებით
ამის წიგნისა კელყოს გამოტყვებად მონასტრისა ამისგან, გინა დაკარგული და
დატყვევებული იშოვოს და იქსნას და ამასვე... ეკლესიას არ შემოსწიროს,
იგიმც გამოტყვების სასუფეველის დიდებისაგან“⁵.

ათონის სახელგანთქმულ კრებულს (1074 წ.) აწერია: „ვინცა ვინ ესე
წიგნი ამას წმიდასა ეკლესიასა რაჲთაცა მიზეხითა გამოაქუას, იგიმცა ნუ
არს კურთხეულ“⁶. სინას მთის ერთი სამოციქულოს მინაწერში ვკითხუ-
ლობთ: „აწ ნუმცავის კელეწიფების ამის წმიდისა წიგნისა გამოტყვებაჲ
ამის წმიდისა მთისა სინაჲსაგან და უკუეთუ ვინმე იკადროს და კელ-
ყოს ამის წიგნისა წარღებაჲ ამის წმიდისა ადგილისაგან, წაძმცა მოსე წინას-
წარმეტყველი მსაჯულ ექმნების...“⁷. სინას მთის ერთ საგალობელთა კრე-
ბულს აწერია: „ვინცა ესე წიგნი ქართველთა ეკლესიით გამოიღოს, ანუ
სხუასა ეკლესიასა წაიღოს, ანუ გაღმა გაიღოს, ანუ სენაკსა წინა დაიდვას, ანუ
ეკლესიასა შინა დამალოს, კრულმცა არს“⁸. იოანე ცაგერლის მიერ ლაბე-
ქინისთვის შეწირული მარხვანის მინაწერში იკითხება: ვინც ეს „ლაბექინის
ეკლესიას გამოახუას და გამოსწიროს ან მეფემან, ან დალიანმან, ანუ დიდე-

¹ H № 938, 289 წ; საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწე-
რილობა, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფ. მუზეუმის ხელ-
ნაწერები (H კოლექცია), II, შედგენილია და დასაბეჭდაჲ დამხადებელი ლ. ქუთათელაძე
ძის მიერ, ილ. აბულაძის რედაქციით, თბ., 1951, გვ. 312.

² A № 1335, 273 წ; ხელნაწერთა აღწერილობა (A), IV, გვ. 410.

³ A № 849, 394 გ; Опис. рукописей (A), III, გვ. 72.

⁴ A № 1340, 268 წ; ხელნაწერთა აღწერილობა (A), IV, გვ. 418.

⁵ A № 1487, 365 გ; ხელნაწერთა აღწერილობა (A), V, გვ. 30.

⁶ ათონის კრებული, გვ. 175—176.

⁷ H. Марр, Описание грузинских рукописей Синайского монастыря, გვ. 110.

⁸ ი. ჯაქაძის მიერ, სინის მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, თბ., 1947,

ბულძან, ან თავაღძან, ან ახნაურძან. ანუ დიდძან, ანუ მცირეძან, ანუ გლეხძან, ვინც იკადროს და გამოსწიროს, შეგვინებულ იყოს¹.

მიუხედავად ასეთი წყველა-კრულვისა, ძველ ხელნაწერთა დაზიანება მაინც გავრცელებულ სენს წარმოადგებდა. აქვე შეიძლება აღვნიშნოთ კიდევ ერთი ფაქტი: ზოგიერთი ქართული მწიგნობარი ცდილობდა სხვისი ნამუშევრის მითვისებას და ამ მიზნით ძველ ტექსტს სახეს უცვლიდა. ასე, მაგალითად, ი. ლუბაძემ ცადა ი. შავთელის „აბდულმესიანის“ მითვისება², იობ ფიტარელმა — სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონისა“³, დ. თურქისტანი-შვილმა — არჩილ მეფის პროზაული ქებისა, რომელიც გ. თუმანიშვილის კალამს ეკუთვნის⁴, მიტროფანე მთავარდიაკონმა — გერმანე ხუცეს-მონაზვნის თხზულებისა⁵ და ა. შ. მართალია, არც ერთი ზემოხსენებული ცდა წარმატებით არ დაგვირგვინდა, ძველმა ქართველმა მკითხველებმა დროულად აზნილეს სიყალბე (იხ. მაგალითად, Q № 260, 161 r)⁶, მაგრამ, საფიქრებელია, თითო-ოროლა შემთხვევა ასეთი ყალბისმქნელობისა მაინც მოუტანდა ვნებას ძველ ქართულ ძეგლებს.

ამრიგად, ძველი ქართული კულტურულ-ლიტერატურული მემკვიდრეობის სრული სახით მოუღწევლობის, ძველი ქართული ხელნაწერების გარკვეული ნაწილის დაღუპვისა და განადგურების მიზეზებად ჩვენ მიგვაჩნია მტრის შემოსევა და გამუდმებული ომი, ეკლესია-მონასტრების წიგნსაცაეების ძარცვარბევა, საქართველოში სხვადასხვა დროს გაბატონებულ უცხოელთა, — კერძოდ მაჰმადიანთა, — ძალმომრეობა. ხელნაწერების ტყვედ ჩაყარნა, მისიონერთა და დიპლომატიურ მოღვაწეთა მიერ ძვირფასი წიგნების უცხოეთში გატანა, ქართველ მოღვაწეთა მიერ ხელნაწერთა უცხოელთათვის ძღვნა და ბოქება, ხელნაწერთა ხშირი ადგილგადანაცვლება, სასულიერო-საეკლესიო მწერლობასა და საერო-მხატვრულ ლიტერატურას შორის, აგრეთვე საკუთრივ სასულიერო-საეკლესიო მწერლობის წიაღში არსებული იდეოლოგიური წინააღმდეგობა, პოლიტიკურ-ეკონომიური პირობებისა და ლიტერატურული გემოვნების ცვლა, ხელნაწერთა მემკვიდრეობისადმი უყუბაღღებობა ზოგიერთთა მხრივ, ძველი ნუსხების ნებისთი თუ უნებლიე დაზიანება და სხვ. ყველა აღნიშნული მიზეზი, რასაკვირველია, ტოლძალოვანი არ იყო, მაგრამ თითოეული მათგანი მეტნაკლებად ზიანს აყენებდა, ამცირებდა და აღარბებდა ძველ ქართულ კულტურულ-ლიტერატურულ მემკვიდრეობას. ეს გარემოება კი, როგორც აღვნიშნეთ, ერთობ აბრკოლებს და აძნელებს ძველი ქართული მწერ-

¹ Q № 642, 320 v; ხელნაწერთა აღწერილობა (Q), II, გვ. 95.

² ამით აიხსნება ის გარემოება, რომ „აბდულმესიანის“ ბევრი ხელნაწერი ქების თბიკტად არჩილ მეფის მიიჩნევს (S № № 395, 1512, 1516, 1547; A, № № 656, 1164; H № № 773, 1193, 2069).

³ სულხან-საბა ორბელიანი, სიტყვის კონა, გვ. 11—12.

⁴ ლ. მენაბდე, ქართული კულტურულ-საგანმანათლებლო კერების ისტორიიდან (არჩილის კოლონია მოსკოვში), თსუ შრომები, ტ. 101, 1962, გვ. 260.

⁵ Q № 250, 161 r; საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, მუზეუმის ხელნაწერთა ახალი (Q) კალექცია, I, შედგენილია ე. მეტრეველისა და ქ. შარაშიძის მიერ, ილ. აბულაძის რედაქციით, თბ., 1957, გვ. 268.

⁶ იხ. აგრეთვე არჩილიანი, I, გვ. XI.

ლობის კერების ისტორიის (ისევე, როგორც ძველი ქართული მწერლობის ისტორიის) სრული სახით წარმოდგენას.

ფიქრობთ, საქამათო არ უნდა იყოს, რომ ერთობ ძნელია ჩვენთვის საინტერესო საკითხის სრულად და აზომწურავად გაშუქება არსებულ ვითარებაში, როდესაც სათანადო მასალის ნაკლებობისა თუ მოუღწევლობის გამო ზოგჯერ გამოუვალ მდგომარეობაშიც კი ვართ. განა ძველი ხელნაწერი მემკვიდრეობის ნაკლები სახით მოღწევას არ მოწმობს ის გარემოება, რომ ჩვენ ზოგჯერ ხელთა გვაქვს საყურადღებო თხზულება, მაგრამ არ ვიცით, თუ ვის ეკუთვნის ის, რომ ვიცით არსებობა ისეთი ძველი ავტორებისა, რომელთა ნაწერებს ჩვენამდე არ მოუღწევიათ, რომ ვიცით არსებობა ჩვენამდე არ მოღწეული მრავალი თხზულებისა? განა ძველი ხელნაწერი მემკვიდრეობის ნაკლები სახით მოღწევას არ მოწმობს ის გარემოება, რომ ზოგიერთი ქართველი მწერალი მიიღო თითო ნაწარმოებიცაა ცნობილი, რომ ბევრი ძველი მიიღო ერთ ნუსხაშია დაკული, რომ არა ერთი თხზულება არასრული სახითაა შემონახული? ზემოთქმულის საილუსტრაციოდ მოვიხმობთ სათანადო მასალას.

როგორც ცნობილია, ჩვენამდე მოღწეულია ბევრი ანონიმური ძველი. მაგალითად, „მარტვლობა და ნოთმინება წმიდისა ეგსტათი მცხეთელისაჲ“ (VI ს.)¹, „ცხოვრება და წანება წმიდისა მოწამისა კოსტანტისი ქართველისაჲ, რომელი იწამა ბაბილონელთა მეფისა ჯაფარის მიერ“ (IX ს.)², „მოქცევაჲ ქართლისაჲ“, (IX ს.)³, „ცხოვრება და მოქალაქობაჲ წმიდისა მამისა ჩუენისა დავით გარეჯელისაჲ“ (X ს.)⁴, „ცხოვრება და საკვრველებანი წმიდისა და ნეტარისა შიოხსნი, რომელი იყო ანტიოქიადთ შუამდინარისაჲ“⁵, „ცხოვრება და მოქალაქობაჲ წმიდისა და ღმერთ-შემოსილისა მამისა ჩუენისა დავით გარეჯელისაჲ“⁶, „წამება და ლუაწლი წმიდათა და დიდებულთა მოწამეთა დავით და კოსტანტინესი“⁷, „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“⁸ და სხვ.

ჩვენ დავასახელებთ ისეთი ძველები, რომელთა ავტორები უცნობნი არიან. ამ მწერალთა შესახებ ჩვენ თუ რამ ვიცით, ვიცით მხოლოდ აღნიშნულ

¹ საქ. სამოთხე, გვ. 313—322; საისტორიო კრებული, III, 1928, გვ. 80—94; ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, შედგენილი ს. ყუბანეიშვილის მიერ, თბ., 1947, გვ. 44—54; ჩუენი საუნჯე, ტ. 1, თბ., 1950, გვ. 28—42.

² საქ. სამოთხე, გვ. 363—370; ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, გვ. 74—80; ჩუენი საუნჯე, ტ. 1, გვ. 73—82.

³ Опис. рукописей (S), II, გვ. 708—805.

⁴ ასურელ მამათა ცხოვრებათა არქტიპები, გამოსცა ს. კაკაბაძემ, „საისტორიო კრებულის“ I წიგნის დამატება, 1928, გვ. 36—42 (ქვემოთ—არქტიპები); ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, გვ. 163—167; ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები, ტექსტები გამოკვლევითა და ლექსიკონით გამოსცა ი. აბულაძემ, თბ., 1955, გვ. 144—187.

⁵ საქ. სამოთხე, გვ. 219—252; ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები, გვ. 69—143.

⁶ საქ. სამოთხე, გვ. 255—286; ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები, გვ. 144—187.

⁷ საქ. სამოთხე, გვ. 323—330; ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, გვ. 233—240; ჩუენი საუნჯე, ტ. 1, გვ. 435—446.

⁸ ქართლის ცხოვრება, II, გვ. 1—114.

თხზულებათაგან, რაც, რასაკვირველია, საკმარისი არაა. მათ შესაბამე ცნობების მოუღწევლობა, ვფიქრობთ, ძველი ქართული კულტურულ-ლიტერატურული მემკვიდრეობის ნაკულღევანებით უნდა აიხსნას. ამავე მიზეზით ვხსნით ჩვენ სხვა ფაქტებსაც, კერძოდ, იმ სამწუსარო გარემოებას, რომ ჩვენთვის ცნობილია ძველი ქართული მწერლობის რამდენიმე ისეთი წარმომადგენელი, რომლის ნაწერს ჩვენამდე არ მოუღწევია. მაგალითად, გიორგი მერჩულეს მოხსენიებული ჰყავს მე-9—10 სს. მწიგნობრები: „დიდი სოფრონ, სანატრელი მამაჲ, შატბერდისა ეკლესიისა განახლებით აღმაშენებელი და უკუნისამდე გვრგვნი ჰისი, და ღმერთშემოსილი მამაჲ ილარიონ პარეხელი, და ქრისტის მღვდელთ-ნონღუარნი ღირსნი გიორგი მაწყუერელი ეპისკოპოსი, და სტეფანე მტბევაწი ეპისკოპოსი-პირველი“¹. გ. მერჩულეს დასახელებული პირები ნიაჩნდა ისეთ მწერლებად, რომელთაც შესწევდათ ძალა და უნარი გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების სრულყოფილად აღწერისათვის. გიორგი მერჩულე ქართული პროზის თვალსაჩინო წარმომადგენელი და მსატრული სიტყვის დიდებული ოსტატია. მის მიერ მოწოდებული ცნობა მე-9—10 სს. მწერლებზე, უთუოდ, ყურადღებას იმსახურებს და ჩვენი წარსულის ბნელით მოსილ ერთ საკითხს ნაწილობრივ მაინც აშუქებს. სამწუსაროდ, საკითხის სრულად წარმოდგენა შეუძლებელი ხდება. თუ ჩვენ ცოტა რამ მაინც გავაჩნია ხელთ სტეფანე მტბევის ლიტერატურული მემკვიდრეობიდან და ასე თუ ისე წარმოდგენა გვაქვს სოფრონ შატბერდელზე, ამას ვერ ვიტყვი ილარიონ პარეხელსა და გიორგი მაწყუერელზე. მათი ლიტერატურული მემკვიდრეობიდან ჩვენამდე არაფერს არ მოუღწევია და ჩვენ მხოლოდ ისლა დაგვრჩენია, რომ გ. მერჩულის ცნობას დავეყრდეთ.

არსებობს იოანე ბაგრატიონის წერილობითი ცნობა რუსთაველის წინადროინდელ პოეტზე იასე ხემშიას ძე ძაგნაკორელზე, რომელსაც ახალი სალექსო ფორმა „ძაგნაკორული“ შემოუღია². მისი მემკვიდრეობიდანაც ჩვენ არაფერს არ ვიცნობთ³; ასევე არაფერს მოუღწევია ჩვენამდე ქართველი მწერლების ფომინისა ბერიძისა და სულხან აფთანდილიძის მსატრულ-ლიტერატურული მემკვიდრეობიდან. მათ შესახებ მხოლოდ კასტელის ნახატები და მწირო ცნობები გავაჩნია⁴; აქვე დავეუბატებთ, რომ ეამთაღმწერელს

¹ ТРА-ГФ, VII, 1911, გვ. 56.

² იო ა ნ ე ბ ა ტ ი ნ ი შ ვ ი ლ ი, კალმასობა, II, გვ. 185—186. იხ. ავრეთეე პ. ინ გ ო რ ო ყ ვ ა, რუსთაველის ეპოქის სალიტერატურო მემკვიდრეობა, „რუსთაველის კრებული“ თბ., 1938, გვ. 79—80.

³ თეიმურაზ II ასახელებს შირვების შტქმელ ბისტიკას და მას მიიჩნევს რუსთაველის წინარე ხანის მოღაწედ (თე ი მ უ რ ა ზ მ ე ო რ ე, თხზულებათა სრული კრებული, გ. ჯ ა კ ო ბ ი ა ს წ ა ნ ა ს ი ტ ყ ა ო ბ ი თ, რედაქციით, ლეკაიკონით და შენიშვნებით, თბ., 1938, გვ. 123) მისი ცნობა საეხებით შესაწესარებლად ცნო პ. ინგოროყვამ (იხ. მისი რუსთაველის ეპოქის სალიტერატურო მემკვიდრეობა, „რუსთაველის კრებული“, 1938, გვ. 75—79), მაგრამ მკვლევრის საბუთიანობა ნაკლებ დამაჯერებელია და ბისტიკას რუსთაველის წინარე ხანის პოეტად მიჩნევა ძნელი ხდება (ა. შ ა ნ ი ძ ე, ფისტიკაურის ისტორიისათვის, „ლიტერატურული ძიებანი“, II, 1945, გვ. 5—13; კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ქართული ლიტერატურის ისტორია, II⁴ გვ. 282, შენ. 2).

⁴ М. Джанашивили, К материалам по истории и древностям Грузии и России, Т., 1912, გვ. 102—103; ლ. ა ს ა თ ი ა ნ ი, ძველი საქართველოს პოეტი ქალები (გამოკვლევა და ტექსტები), თბ., 1936, გვ. 15.

(XIV ს.) მოხსენიებული ჰყავს უცნობი ქართველი მებატიასე „ვინმე ბერი მღვიმელი“¹, გაკვრით იხსენიებს ბააკა დვალძეს არჩილ მეფე², მე-18 ს. პირველი ნახევრის მწერალს ჯაფახიშვილს მხოლოდ დ. გურამიშვილის სიტყვით ვიცნობთ³ და სხვ. არც ერთი ზემოდასახელებული მწერლის ლიტერატურული მემკვიდრეობა ჩვენამდე მოღწეული არაა, ყოველ შემთხვევაში, ჩვენ მას არ ვიცნობთ. ასევე არაა მოღწეული ბევრი ცნობილი თუ უცნობი მწერლის ისეთი ლიტერატურული კმნილებანი, რომელთა არსებობის შესახებ ჩვენ პირდაპირი თუ არაპირდაპირი ცნობები მოგვეპოვება. მაგალითად, ბასილ ზარნმელისა და გიორგი მერჩულის თხზულებებში მოხსენიებული საეკლესიო მოღვაწის მიქელ პარეხელის ცხოვრება—„სწავლანი და ნიშნი და სასწავლანი“ მის მოწაფეებს „შემდგომად სიკუდილისა მისისა“ აღუწერიათ. ასეთი შინაარსის თხზულების არსებობას ჩვენ მხოლოდ ბასილ ზარნმელის ერთი ცნობით ვგებულობთ⁴; დღემდე არ ჩანს სარგის თმოგველის „დილარიანი“, თუ „დილარგეთიანი“, რომლის არსებობას ტრადიცია დაბეჯითებით აღნიშნავს; დაილუბა და განადგურდა თეიმურაზ პირველის⁵, არჩილის⁶, სულხან-საბა ორბელიანის⁷ და დ. გურამიშვილის⁸ არა ერთი ნაწარმოები; ასევე არაა მოღწეული ჩვენამდე კლასიკურ ხანაში თარგმნილი თუ დაწერილი ბევრი თხზულება⁹; არსად ჩანს იოანე კიმიკელის მიერ დაწერილი „ცხოვრება დიმიტრი მეფისა“¹⁰, პეტრე ლაგაძის—„ცხოვრება ალვანისა“¹¹, კოხმა ზუცეს-მონაზვნის—„შესხმა ქეთევან დედოფლისა“¹², იოსებ თელაველის—„წესნი მეფეთა აღწერილობისანი“¹³, ფეშანგის—„ფირმალიანი“¹⁴, ანტონ ჰყონდიდელ-გარეჯელის ცხოვრება¹⁵, სალომე იერუსალიმელის სეინაქსარული

¹ ქართლის ცხოვრება, II, გვ. 177.

² არჩილი, თხზულებათა სრული კრებული, ა. ბარამიძისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, II, თბ., 1937, გვ. 4.

³ დ. გურამიშვილი, თხზულებათა სრული კრებული, გვ. 94.

⁴ ადრინდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა, პროფ. კ. კეკელიძის რედაქციითა და გამოკვლევით, თბ., 1935, გვ. 151.

⁵ თეიმურაზ პირველი, თხზულებათა სრული კრებული, გვ. 99.

⁶ S № 424, გვ. 2; Опис. рукописей (S), II, გვ. 137 (იხ. ზემოთ გვ. 46).

⁷ [ახალი ამბები], „ივერია“, 1888, № 175; 1891, № 18; ი. დოლაშვილი, სულხან-საბა ორბელიანის დაკარგული თხზულება, „ლიტერატურული გაზეთი“, 17. V. 57, № 20 (1034); მისივე, სულხან-საბა ორბელიანის ლიტერატურული მოღვაწეობიდან (1698—1713 წწ.), თბ., 1959, გვ. 64—67.

⁸ იხ. ზემოთ, გვ. 46.

⁹ კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, II, გვ. 281—295; შდრ. პ. ინგოროყვა, რუსთაველის ეპოქის სალიტერატურო მემკვიდრეობა, „რუსთაველის კრებული“, 1938, გვ. 1—80.

¹⁰ ქართლის ცხოვრება, II, გვ. 3.

¹¹ მ. ჯანაშვილი, საქართველოს ისტორია, თბ., 1894, გვ. 205; კ. კეკელიძე, ქართული კულტურის ისტორიისათვის მონღოლთა ბატონობის ხანაში, ეტიუდები, II, გვ. 315.

¹² კალმასობა, II, გვ. 182.

¹³ კ. კეკელიძე, ახალი ლიტერატურული წყაროები ლაშა გიორგის ისტორიისათვის, ეტიუდები, I, 1956, გვ. 288.

¹⁴ არჩილიანი, II, გვ. 4.

¹⁵ კ. კეკელიძე, ახალი ლიტერატურული წყაროები ლაშა გიორგის ისტორიისათვის, ეტიუდები, I, გვ. 288.

ცხოვრება¹, „საულდავეითიანი“², „ირდუბტიანი“³ და მრავალი სხვა ძეგ-
ლი⁴. რასაკვირველია, ზოგიერთი ცნობა შეიძლება ყალბი და მცდარი იყოს,
მაგრამ უცილობელია, რომ ბევრი ცნობა სარწმუნო და სანდოა. აქვე შეი-
ძლება აღინიშნოს ის გარემოება, რომ ზოგიერთი ქართველი მწერალი მხო-
ლოდ თითო ნაწარმოებშია ცნობილი, რაც, ხშირ შემთხვევაში, საფიქრე-
ბელს ხდის, რომ მათი ლიტერატურული მემკვიდრეობა სრული საბით არაა
მოღწეული. მაგალითად, გამოჩენილი კალმისოსტატების იაკობ კურტაველი-
სა და იოანე საბანისძის სახელით მხოლოდ თითო ძეგლია ჩვენამდე მოღწე-
ული. მათი ნაწერების გაცნობა საფიქრებელს ხდის, რომ ამ მწერალთა ბე-
ლიდან სხვა თხზულებებიც უნდა გაშოსულიყო. ეს სავსებით შესაწინარებელი
აზრი სრულიად მართებულად დამკვიდრდა სამეცნიერო ლიტერატურაში⁵.
აღარას ვაიმობთ იმის შესახებ, რომ რუსთაველისა და ჩახრუბაძის სახელი-
თაც თითო კმნილებაა მოღწეული. ძნელად დაიძებნება მკითხველი, რო-
მელიც შოთას უკედავი პოემის გაცნობის შემდეგ უმაღლე არ დაასკვნის, რომ
ასეთი მალალმზატვრული თხზულების ავტორს, უთუოდ, სხვა ნაწერებიც ექ-
ნებოდა⁶. სამწუხაროდ, სპეციალურმა კვლევა-ძიებამ ჯერჯერობით სასურვე-
ლი შედეგი არ გამოიღო⁷. თითო ნაწარმოებით ცნობილი არიან სხვა მწერ-

¹ ტ. გ ა ბ ა შ ე ი ლ ი, მიმოსლეა, გვ. 0213—0214, 83, 124.

² იხსენიებენ იოანე ბაკრატიონი (კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ვტიუდები, I. გვ. 297 — 298)
დ. რეკტორი (А. Ц а г а р о в и, Судопина о памятниках грузинской письменности, ტ. I.
ნაკვ. III, СПб., 1894, გვ. 265—266), ა. იოსელიანი (Путешие описки по Кавказу,
გვ. 52—53; ა. იოსელიანის წერილები აკად. მ. ბროსეადმი, ს. ყ უ ბ ა ნ ე ი შ ვ ი ლ ი ს რედაქ-
ციითა და შენიშვნებით. ბათუმი, 1941, გვ. 153, 155, 163, 160, 195 — 196) და სხვ. უფრო
ადრე, 1470 წელს, დამოწმებულია შალვა ქსნის ერისთავის საბუთში (საქ. სიძველენი, III,
გვ. 558).

³ იხსენიება ქსნის ერისთავის დავითის ასულის ელენეს მხითეის წიგნში 1713 წელს
(საქ. სიძველენი, III, გვ. 497).

⁴ „ფარჰადშირინიანის“ მხოლოდ შინაარსის ფრაგმენტული ჩანაწერია მოღწეული
(ა. ბ ა რ ა შ ი ძ ე, ფარჰადშირინიანის ქართული ვერსიისათვის, გორის სახ. პედაგოგიური
ინსტიტუტის შრომები, I, 1942, გვ. 18—22. იხ. აგრეთვე А. Ц а г а р о в и, Сведения, ტ. I,
ნაკვ. III, გვ. 258; შფრ. II № 610, 1 რ).

⁵ ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ისტორიის მიხანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლა,
წიგნი I, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა (V—XVIII სს.), მეორე-მესამე შეესებული
გამოცემა, თბ., 1945, გვ. 45—54, 67—76; კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ქართული ლიტერატურის
ისტორია, I⁴, გვ. 113—122, 129—132.

⁶ ჩვენს საზოგადოებაში კარგა ხანია ტრიალებს აზრი რუსთაველის ლექსების არაბუ-
ლი თარგმანების არსებობის შესახებ (ბერძნული გახეთი შოთა რუსთაველის შესახებ, „ლო-
მისი“, 1922, № 5; ქართული პოეზია ბერძნულ ენაზე, „ბაბტიონი“, 1922, № 22; ს. ფ ი რ-
ც ხ ა ლ ა ე ა, რუსთაველის უცნობი ლექსები არაბულ ენაზე. „ლიტერატურა და ხელოვნება“,
9. I. 49, № 1 (246); ა. ბ ა რ ა შ ი ძ ე, შოთა რუსთაველი, გვ. 366—367; მ. მ ა მ უ ლ ა შ ვ ი-
ლი, რუსთაველის უცნობი ლექსი, „დროშა“, 1959, № 11. გვ. 10—11). სამწუხაროდ, საკითხ-
ის ამომწურავად შესწავლა დღემდე ვერ მოხერხდა.

⁷ ა. ი ნ გ თ რ თ ე ყ ა, რუსთაველიანა, I. თბ., 1925, გვ. 283—295; მ ი ს ი ე ე, შესავალი
წერილი „ეფესიტყაონის“ 1937 წ. გამოცემისა, გვ. XX—XXV; მ ი ს ი ე ე, რუსთაველის
ეპოქის სალიტერატურო მემკვიდრეობა, „რუსთაველის კრებული“, 1938, გვ. 11—19; ი ლ-
ა ბ უ ლ ა ძ ე, რუსთაველის ისტორიული თხზულების შესახებ, ენიშის მოამბე, III, თბ., 1939,
გვ. 201—207; ს. ი თ რ დ ა ნ ი შ ვ ი ლ ი, რუსთაველის ჩვენამდე არ მოღწეული პოემა-რომა-
ნის შესახებ, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, თბ., 1953, გვ. 56—71.

ლებიც. მაგალითად, იოახე ანჩელი (X ს.),¹ ს. შოთასძე (ΔVI ს.)² და სხვ. თითო სტროფითაა წარმოდგენილი დავით ჯაფარიძისა³ და ფარემ ჩეიძის⁴ პოეტური მემკვიდრეობა და ა. შ.

ძველი ქართული ლიტერატურული მემკვიდრეობიდან ზოგი ბელნაწერი სულ არ შენახულა, ზოგი თხზულება კი მოღწეულია მხოლოდ ერთი ნუსხით. ამ შემთხვევაში მხედველობაში გვაქვს იმდენად არა ის ძეგლები, რომლებიც ძველი ქართული მწერლობის მიწურულს მიეკუთვნებიან, მაგალითად, იოახე ბაგრატიონის ავტოგრაფები, თეიმურაზ ბაგრატიონის „სამსახეობა რაინდისა“⁵, გ. რატიშვილის „მცირედი რაიმე მოთხრობა როსიისა“ (S № 2910)⁶, გ. ავალიშვილის „მოგზაურობა იერუსალიმში“ (S № 450), გ. ბაგრატიონის „ხუბმარდიანი“ (H № 2205), პ. ლარაძის „სახე-მგოსანი“ (H № 495)⁷ და სხვ., არანედ ისეთი თხზულებანი, რომელთა დაწერას ადრეულ ხანაში ჰქონდა ადგილი. მაგალითად, უნიკუმის საბითაა მოღწეული არსენ საფარელის თხზულება: „მოქალაქობა და წამება წმიდისა აბიბოს ნეკრესელ ებისკოპოსისა“ (Δ № 832, 1 რ—2 ვ), ბასილ ზარზმელის „ცხოვრება და მოქალაქობა ღმერთშემოსილისა ნეტარისა მამისა ჩუენისა სერაპიონისი“ (Δ № 69, გვ. 469—548), გიორგი მერჩულის „შრომა და მოღუაწება ღირსად-ცხოვრებისა წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლისი არქიმანდრიტისა ხანძთისა და შატბერდის აღმაშენებლისა და მის თანა ქსენება მრავალთა მამათა ნეტართა“ (იერუსალიმის საპატრიარქო ბიბლიოთეკის ხელნაწერი № 2), „ბალავარიანის“ ვრცელი რედაქცია⁸, სვიმონ შოთასძის „სადგერის წმიდის გიორგის ქება“ (H № 1752, 131 რ—137 ვ), „იოსებზილიხანიანის“ უცნობი პოეტისეული თარგმანი (S № 1283)⁹, გალექსილი „ამირანდარეჯანიანი“ (S № 357)¹⁰, ფეშანგის „შაჰნავაზიანი“¹¹, „ბახთიარნამეს“ ვახტანგისეუ-

¹ Опис. рукописей (A), III, გვ. 308—312; ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, გვ. 381—383; ჩუენი საუნჯე, ტ. I, გვ. 528—531.

² И. Абуладзе, X. Шарашидзе, К вопросу об имени и родине. Руставели (предв. сообщение), საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, II, № 7, 1941, გვ. 681—688.

³ არჩილიანი, I, გვ. 19.

⁴ იკვე, გვ. 140. მხოლოდ სამი ლექსითაა ცნობილი მე-18 საუკუნის პოეტი თომა ბარათაშვილი (ს. ყუბანეიშვილი, თომა ბარათაშვილი, საქ. სსრ მეცნ. აკად. საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მოამბე, № 3, 1960, გვ. 133—151).

⁵ სამსახეობა რაინდისა, ს. იორდანიშვილის რედაქციით, წინასიტყვაობითა და და შენიშვნებით, თბ., 1947.

⁶ ტ. რუხაძე, გ. რატიშვილის „მცირედი რაიმე მოთხრობა როსიისა“, ლიტერატურული ძიებანი, II, 1945, გვ. 287—315.

⁷ ილ. აბულაძე, ახლად მიკვლეული ერთი ძველი ქართული პოემა: პეტრე ლარაძის „სახე-მგოსანი“, საქართველოს სახ. მუზეუმის მოამბე, XIV-ბ, 1947, გვ. 251—264.

⁸ ბალავარიანის ქართული რედაქციები, გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ილ. აბულაძემ, თბ., 1957.

⁹ იოსებზილიხანიანის ქართული ვერსიები (კრიტიკული ტექსტი ლექსიკონისა და საძიებლების დართვით), I (ტექსტები), გ. ჯაკობიას გამოცემა, თბ., 1927, გვ. 02—06, 1—98 (დადასტურებულია ადრე სხვა ნუსხის არსებობაც. იხ. ა. გვახარიანი, იოსებზილიხანიანის ქართული ვერსიების სპარსული წყაროები, I, თბ., 1958, გვ. 104—113).

¹⁰ ს. თანიანიშვილი, ამირანდარეჯანიანი, გ. ჯაკობიას რედაქციით, წინასიტყვაობით, ლექსიკონითა და შენიშვნებით, თბ., 1941, გვ. XVII.

¹¹ იხ. ზემოთ გვ. 48, შენ. 4.

ლი ვერსია (A № 1787, 59 r—99 v)¹, „ხოსროვშირინიანის“ ხოსროვ დეჰლე-
ლისეული ვერსიის პროზაული თარგმანი (A № 1787, 2 r—31 v),² „მეფეთა
სალარო“ (A № 617)³, „ქილილა და დამანას“ ონანა მდივნისეული ვარიანტი⁴,
ზ. შანშოვანის „გრაპატია“ (Q № 860)⁵, ანტონ პირველის „სპეკალი“ (A
№ 1743)⁶ და სხვ. შეიძლება ზოგიერთმა თხზულებამ გარკვეული მიზეზების
გამო ვერ მიიპყრო საზოგადოების ყურადღება და ვერ პოვა გავრცელება,
ძაგრამ, საფიქრებელია, ზოგიერთი ნაწარმოების მხოლოდ ერთი ხელნაწერით
მოდწევა ისევდაისევ ძველი ქართული კულტურულ-ლიტერატურული მემკვიდ-
რეობის ნაკლებევაანებით უნდა აიხსნას. თუ ამას დავუმატებთ იმასაც, რომ
დეფექტურად და არასრულადაა მოღწეული იაკობ ცურტაველის შუშანიკის
მარტილობა, ანასეული იოანე ზედაზნელის ცხოვრება (Q № 795, გვ. 425—
470), უცნობი მთარგმნელის „იოსებზილიხანიანი“ (S № 1283), ვალექსილი
„ამირანდარეჯანიანი“ (S № 357), სულხან-საბა ორბელიანის „მოგზაურობა
ევროპაში“⁷. პ. ლარაძის „სახე-მგოსანი“ (H № 495) და სხვა მრავალი ნაწარ-
მოები, მაშინ ზემოთქმული კიდევ უფრო სარწმუნო გახდება.

აქვე უნდა აღვნიშნოთ კიდევ ერთი საგულისხმო გარემოება: როდესაც
დაკარგულ ხელნაწერებზე ვმსჯელობთ, ჩვენს მოსაზრებას ვამყარებთ არა
მხოლოდ არა პირდაპირსა და საყარაულებელ ცნობებზე, არამედ ექვმიუტა-
ნელ საბუთებზეც. ჩვენამდე არ მოუღწევია, ან, ყოველ შემთხვევაში, მიკვლე-
ული არაა ზოგიერთი ისეთი ხელნაწერი, რომლის არსებობის შესახებ ჩვენ
პირდაპირი დოკუმენტური მონაცემები მოგვეპოვება, შემორჩენილი გვაქვს
მათი მინაწერები, ანდერძები და ა. შ. მაგალითად, ცნობილმა არქეოლოგმა
ი. ბართოლომეიმ (1813—1870) 1853 წ. სვანეთში ნახა ლაშთხეერის დიდე-

¹ ა. ბარაშიძე, „ბახტიარ-ნამეს“ ქართული ვერსიებისათვის, ნარკვევები, III, გვ. 322—
331; დ. კობიძე, „ბახტიარ-ნამეს“ ქართული ვერსიების შესახებ, საქ. სსრ. მეცნ. აკად.
შოამბე, VI, № 3, 1945, გვ. 235—243, ეახტანვისეული თარგმანის პუბლიკაცია იხ. „ლიტერა-
ტურული ძიებანი“, IV, 1948, გვ. 138—173.

² კ. კეკელიძე, „ხოსროვშირინიანის“ ქართული ვერსია, „ჩვენი მეცნიერება“, 1926,
№ 17—18, გვ. 24—23; მისივე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I⁴, გვ. 389—394;
ა. ბარაშიძე, „ხოსროვშირინიანის“ ქართული ვერსიები, ნარკვევები, III, გვ. 293—306.
ტექსტის პუბლიკაცია იხ. „ლიტერატურული ძიებანი“, I, 1943, გვ. 70—101.

³ კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, II⁴, გვ. 458—461; დ. კობი-
ძე, „მეფეთა სალარო“ წყაროს საკითხისათვის, საქ. სსრ მეცნ. აკად. შოამბე, VI, № 5, 1945,
გვ. 391—393. ძველის პუბლიკაცია იხ. ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, II,
გვ. 245—279.

⁴ წარმოადგენს დოც. ს. ყუბანეიშვილ ოს საკუთრებას.

⁵ ა. გაჩეჩილაძე, მე-18 საუკუნის იშვიათ ხელნაწერთა კრებული (გრაპატია, ფილოსოფია, თეატრი), „ლიტერატურა და ხელოვნება“, 20. V. 45, № 17 (70); მისივე, მე-18 საუკუნის იშვიათ ხელნაწერთა კრებული, ი. გოგებაშვილის სახელობის თელავის სახ. პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, I, 1947, გვ. 31—43.

⁶ კ. კეკელიძე, ვტიუდები, I, გვ. 270—282.

⁷ აღნიშნული თხზულება დეფექტურადაა წარმოდგენილი თითქმის ყველა ხელნაწერში
(H № № 93, 753; Q № 742; K № 27; არქ. ხელნ. № № 14, 419; სარკ მეცნ. აკადემიის
ახიის ხალხთა ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილების, ხელნ. E 69; შდრ. S № 2770).
ახლახან აღმოჩნდა სრული ნუსხა (გ. ლეონიძე, სულხან-საბა ორბელიანის თხზულე-
ბათა ახალი ხელნაწერები, „კოპუნიტი“, 11. X. 59, № 238 (11544), რომელიც გამოყე-
ნებულ იქნა თხზულების უკანასკნელ გამოცევაში (სულხან-საბა ორბელიანი, თხზუ-
ლებანი, I, თბ., 1959, გვ. 151—245, 311—312).

ბული სახარება, რომელმაც ის ძალზე აღაფრთოვანა¹. აღნიშნული სახარება 1860 წელს დ. ბაქრაძემაც გაიცნო², მხოლოდ შემდეგ რა ბედი ეწვია მას აღარ ვიცით; 1910 წელს აკად. ე. თაყაიშვილმა ის აღვილზე ველარ იპოვა³. ასევე გაუჩინარდა ზარტიელის სახარება გადაწერილი გ. საგინაშვილის მიერ 1711 წელს⁴, ე. წ. გორგიჯანიძისეული „ვეფხისტყაოსანი“-⁵ და სხვ. მხოლოდ შემორჩენილი ანდერძის მინაწერებიდან ვასკვნიტ, რომ არსებობდა ქარგლუხის ოთხთავი (H № 1697), ქურბუხის სახარება⁶, ნინოწმინდის სახარება (H № 3262), პერმის დაუჯდომელი (H № 1257), ანჩისხატის ტიბიკონი (H № 689), მოსკოვში გადაწერილი სახარება (S № 5228) და ა. შ. დღემდე არ ჩანს ხელნაწერი, რომელშიც აღნიშნული ყოფილა ბესიკის ქართლიდან განდევნის მიზეზი⁷. სამწუხაროდ, მიკვლეული არაა „ვეფხისტყაოსნის“ მე-15 საუკუნის ნუსხა, რომელსაც პ. იოსელიანი იცნობდა⁸.

როდესაც ძველი ქართული კულტურულ-ლიტერატურული მემკვიდრეობის ნაკლულევანი სახით მოღწევაზე ესაუბრობთ, არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ ყველა ძველი ხელნაწერი ჯერ კიდევ არაა გულდასმით შესწავლილი და, როგორც აკად. კ. ქეკელიძე შენიშნავს, „ჩვენი ძველი მწერლობის ბედნიერ მკვლევარს სრულიად ახალი, უცნობი მწერლის აღმოჩენაც კი შეუძლია“⁹. მართლაც, უკანასკნელ წლებში აღმოჩნდა როგორც უცნობი მწერლების, ისე ცნობილი მწერლების უცნობი ნაწარმოებები. მაგალითად, პროფ. ილ. აბულაძემ და კ. შარაშიძემ აღმოაჩინეს სავსებით უცნობი პოეტის სეიმონ შოთასძის „სადგერის წმიდის გიორგის ქება“, რომელიც მათ მე-15 საუკუნის ძეგლად მიიჩნიეს¹⁰, სხვებმა კი მე-16 ს. პირველი ნახევრით დაათარილეს¹¹;

¹ И. Бартоломей, Поездка в вольную Сванетию, ЗКОРГО, III, 1855, გვ. 192.

² Д. Бахрадзе, Сванетия, ЗКОРГО, VI, 1864, გვ. 83—94.

³ ე. თაყაიშვილი, არქ. ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წელს, გვ. 344.

⁴ ე. თაყაიშვილი, არქეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი, II, თბ., 1914, გვ. 111—113.

⁵ ლ. მელიქსეთ-ბეგი, გორგიჯანიძისეული ხელნაწერი „ვეფხისტყაოსნისა“, „კომუნისტი“, 4. IV, 23, № 75; მისივე, რუსთაველი და სომხური ლიტერატურა, კრებული: „შოთა რუსთაველი სკოლაში“, 1937, გვ. 287.

⁶ მ. ჯანაშვილი, საქართველოს ისტორია, გვ. 205—206; კ. ქეკელიძე, ქართული კულტურის ისტორიისათვის მონღოლთა ბატონობის ხანაში, ეტიუდები, II, გვ. 314—315.

⁷ სასოებაძე, სახელგანთქმული ქართველი მომღერალი მეთარე ასლან ბურდაყელიშვილი, „ივერია“, 1904, № 124.

⁸ თუ პ. იოსელიანი შეცდომით არ ათარილებდა ხელნაწერს (П. Иоселиани, Шота Руставели, „Кавказ“, 1870, № 13). ამ საკითხზე იხ. შ. რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, ვახტანგისეული გამოცემა 1712 წლისა, აღდგენილი ა. შანიძის მიერ, თბ., 1937, გვ. 338; ვეფხისტყაოსნის სიმფონია, შედგენილი ა. შანიძის ხელმძღვანელობით, მისივე წინასიტყვაობითა და გამოკვლევით, თბ., 1936, გვ. 216 (პ. იოსელიანის ცნობა, ვგონებ, არ მართლდება).

⁹ კ. ქეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, გვ. 30.

¹⁰ И. Абуладзе, Х. Шапашидзе, К вопросу об имени и родном Руставели (пробл. сасишопие), საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, II, № 7, 1941, გვ. 681—689.

¹¹ კ. ქეკელიძე, პოეტი შოთაძე, ეტიუდები, IV, გვ. 32—34; ტ. რუხაძე, პოეტი სეიმონ დეკანოზი შოთაძე (შოთაშვილი), „ლიტერატურული ძიებანი“, III, 1947, გვ. 379—381; ე. თაყაიშვილი, ჩხარის ეკლესიის სიძველენი, აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველო საზ. მუზეუმის. მოამბე, XV-ბ, 1948, გვ. 173—177; ა. ბარამიძე, შოთა რუსთაველი, გვ. 35.

უკანასკნელ წლებში გამოვლინდა გრიგოლ დოდორქელის „წამებაჲ ყოვლად-
დიდებულისა მოწამისა დედოფლისა ქეთევანისაჲ“¹, სულხან-საბა ორბელიანისა² და ვახტანგ მეექვსის³ ზოგიერთი ლექსი; არც თუ დიდი ხანია გამოჩნდებოდა ბესიკის რამდენიმე ნაწარმოები⁴, თანდათანობით ვლინდება საიათნოვას ქართული ლექსები⁵; უკანასკნელ ხანსავე იქნა მიკვლეული თეიმურაზ ბაგრატიონის დღიურები⁶, პ. ლარაძის პოემა „სახე-მგოსანი“⁷, გ. ბაგრატიონისა⁸ და გ. ხარქაშელის⁹ ლიტერატურული შემკვიდრება; ბოლო წლებში იქნა შესწავლილი დ. ქვარიანის შემოკმელება¹⁰ და სხვ.

ხელნაწერების გულდასმითი შესწავლით არა ერთი საკითხი გაირკვა და დაზუსტდა. მაგალითად, გარკვეულ იქნა, რომ ზოგიერთი აგიოგრაფიული ნაწარმოები, რომელსაც კლასიკური ხანით ათარიღებდნენ, ბესარიონ კათოლიკოსისა (1724—1737) ყოფილა¹¹; ვახტანგ მეექვსის ეპიტაფია, რომელიც

¹ ტ. რუხაძე, ახლად აღმოჩენილი „ცხოვრება და წამება ქეთევან დედოფლისა“, „ლიტერატურული ძიებანი“, V, 1949, გვ. 229—267.

² გ. ლეონიძე, სულხან-საბა ორბელიანის თხზულებათა ახალი ხელნაწერები, „კომუნისტი“, 11. X. 59, № 238 (11544).

³ თ. ქვონია, ვახტანგ VI თხზულებათა ფრაგმენტები, „ლიტერატურული ძიებანი“, VI, 1950, გვ. 269—291.

⁴ ს. გორგაძე, ბესიკის ავტობიოგრაფია აღმოჩნდა (მასალები ბესიკის ბიოგრაფიისა და კრიტიკული ტექსტისათვის), „ბახტრიონი“, 1922, № 1; მისივე, ბ. გაბაშვილის დღემდე უცნობი სამგლოვიარო ოდა „სამძიბარი“, მნათობი“, 1924, № 7—8, გვ. 293—308; ქ. სანიკიძე, ახალი მასალები ბესიკის შესახებ, ა. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახ. პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, VIII, 1948, გვ. 117—136.

⁵ 28 ლექსი გამოაქვეყნა ჯერ კიდევ 1918 წელს ი. გრიშაშვილმა (საიათნოვა, თხზულებანი, თბ., 1918). შემდეგ ცალკეული ლექსები აღმოაჩინდა და გამოაქვეყნეს ი. გრიშაშვილმა (საიათნოვას დაუბეჭდავი ლექსი, „კავკასიონი“, 1924, № 3—4, გვ. 127—128), გ. ლეონიძემ (მგოსანი საიათნოვა, თბ., 1930, გვ. 59—60; ძიებანი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, I, თბ., 1949, გვ. 302), ი. მეგრელიძემ (საიათნოვას უცნობი ლექსები და ცნობილზე შენიშვნები, „მნათობი“, 1934, № 7—8, გვ. 319—333; შტრ. ი. გრიშაშვილი, საიათნოვას უცნობი ლექსები? „ლიტერატურული გახეთქი“, 30. XI. 34, № 27; ი. მეგრელიძე, საიათნოვას ლექსების გამო, „საბჭოთა ხელოვნება“, 1935, № 3, გვ. 95—96), ი. ბალახაშვილმა (საიათნოვა დაუბეჭდავი ლექსი, „ლიტერატურული საქართველო“, 20. VII. 37, № 17), მ. ჩიქოვანმა (ფოლკლორული ეტიუდები, I, ა. პუშკინის სახელობის თბილისის სახ. პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, VI, 1949, გვ. 95—96) და სხვ.

⁶ თეიმურაზ ბატონიშვილი, მოგზაურობა ჩემი ევროპიისა სხვათა და სხვათა ადგილთა, ს. იორდანიშვილის რედაქციით, წერილითა და შენიშვნებით, თბ., 1944.

⁷ ილ. აბულაძე, ახლად მიკვლეული ერთი ძველი ქართული პოემა: პეტრე ლარაძის „სახე-მგოსანი“, საქართველოს სახ. მუზეუმის მოამბე, XIV-ბ, 1947, გვ. 251—264.

⁸ გ. ბაგრატიონის ლიტერატურული შემკვიდრება, „ლიტერატურა და ხელოვნება“, 25. VII. 48, № 29 (222); ლ. ქუთათელიძე, ბესიკის ზოგიერთი „სადაეო“ ლექსის ავტორისათვის, „მნათობი“, 1958, № 3, გვ. 113—125.

⁹ ქ. შარაშიძე, იესე ოქუაძის „ქორანიკონი“, ენიკის მოამბე, XII. 1943. გვ. 137; ტ. რუხაძე, მწერალი გრიგოლ ხარჭაშვილი, თსუ შრომები, XXIX-ბ, 1946, გვ. 79—86.

¹⁰ ახლად აღმოჩენილი ხელნაწერი, „კომუნისტი“, 4. II. 47, № 27 (7811); მ. ჩიქოვანი, უცნობი პოეტი დათუნა ქვარიანი, ა. პუშკინის სახელობის თბილისის სახ. პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, IV, 1947, გვ. 185—199; ს. კიკინაძე, დათუნა ქვარიანი, „ლიტერატურა და ხელოვნება“, 5. XII. 48, № 48 (241); მ. ჩიქოვანი, წერილი რედაქციის მიმართ, „ლიტერატურა და ხელოვნება“, 19. XII, 48, № 50 (243).

¹¹ მ. ქავთარია, ბესარიონ ორბელიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა. ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, I, 1959, გვ. 75—113.

მრავალჯერ გამოქვეყნდა ვახტანგის სახელით, დაუწერია მდივან გივი თუმანიშვილს¹; ქართულ ხელნაწერებში სშირად. წარმოდგენილი ლექსები „ალალებს ბაგებს“ და „ათენს ბნელს გულსა“ ეკუთვნის არა ბესიკს², არამედ ვახტანგ ორბელიანს; „თაგვებისა და კატის ომი“ დაუწერია არა ზ. გაბაშვილს, როგორც საყოველთაოდ იყო მიჩნეული, ან ბესიკს³, არამედ—ისაკ მცირეს⁴; მხოლოდ უკანასკნელ წლებში დადგინდა, რომ „ალსდევ გმირთ-გმირო“ არის არა ხალხური კმნილება, როგორც ძალიან ბევრ მკვლევარს მიაჩნდა, არამედ გ. ფირალიშვილის ნაწარმოები⁵ და ა. შ.

მიუხედავად აღნიშნულისა, ბევრი პრობლემა საკამათოა და ტექსტოლოგიურ ძიებას საჭიროებს. მაგალითად, საცილობელია გრიგოლ ხანძთელი-სა და გიორგი მერჩულის ლიტერატურული მემკვიდრეობის საკითხი, კამათს იწვევს საბა იზნენელის მთარგმნელობითი მოღვაწეობა⁶, საძიებელია თამარ მეფის პოეტური კმნილებანი⁷, გასარკვევია ბესიკისა და მისი ეპიგონების ლექსების საკითხი⁸ და სხვ. ასეთ საცილობელ საკითხთა ჩამოთვლა საკმაოდ შორს წაგვიყვანს.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ უკანასკნელ წლებში ჩატარებული კვლევადიების შედეგად გაშუქდა ქართული კულტურის ისტორიის მრავალი ფურცელი, კერძოდ, უფრო ნათელი გახდა ის წვლილი, რომელიც ქართველ ორგნოვან მოღვაწეებს შეუტანიათ მსოფლიო კულტურის საგანძურში, მსოფლიო ლიტერატურისა და აზროვნების ისტორიაში⁹. საყოველთაო ყურადღება მი-

¹ ვ. მეტრეველი, ვახტანგ VI-ის ეპიტაფიის ავტორი, თსუ შრომები, ტ. 43, 1951, გვ. 141—152.

² ზ. გაბაშვილი, თხზულებათა სრული კრებული, ა. ბარამიძისა და ე. თოფურისას რედაქციით, თბ., 1932, გვ. 103.

³ ლ. მელიქსეთ-ბეგი, საქართველოს ისტორიის წერილობითი წყაროების პუბლიკაციები, კატალოგი, I, თბ., 1949, გვ. 167.

⁴ ამ საკითხზე იხ. ნ. მაისურაძე, ისაკ მცირის ვინაობის საკითხისათვის, ა. წულუკიძის სახელობის ქეთაისის სახ. პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, VIII, 1948, გვ. 137—147; ტ. რუხაძე, XVIII საუკუნის ქართული სატირის ისტორიისათვის (ზაქარია გაბაშვილი და ისაკ მცირე), საიუბილეო კრებული, მიძღვნილი აკად. კ. კეკელიძის დაბადების 80 წლისთავისადმი, გვ. 295—303.

⁵ ს. გორგაძე, სალთერატურო შენიშვნები. 2. ხალხური სიტყვიერების ნაწარმოებია თუ არა ლექსი: „ალსდევ გმირთ-გმირო“, „ქართული მწერლობა“, 1927, № 2, გვ. 84—85; მ. ჩიქოვანი, ხალხურია თუ არა ლექსი „ალსდევ გმირთ-გმირო“? „ლიტერატურული ძიებანი“, VII, 1951, გვ. 353—355 (იხ. H № 1280, 109 v; H № 2562; A № 1249).

⁶ კ. კეკელიძე, ციტატი იპოლიტე რომაელიდან გიორგი მერჩულის შრომაში, ეტიუდები, I, გვ. 231—234; ილ. აბულაძე, ქართული და სომხური ლიტერატურული ურთიერთობა IX—X სს-ში, (გამოკვლევა და ტექსტები), თბ., 1944, გვ. 030, შენ.

⁷ კ. ინგოროყვა, თამარ მეფის იამბიკოსა, „მეათობი“, 1941, № 3, გვ. 115—153; კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, II⁴, გვ. 282—283, შენ.

⁸ დ. თუმანიშვილი, ლექსები, მ. ხელთუბნელის რედაქციით, თბ., 1938; ა. ბარამიძე, დ. თუმანიშვილი თუ ბეიკი, „ლიტერატურული საქართველო“, 30. IX. 38, № 24(77). მ. ხელთუბნელი, ბესიკი თუ დ. თუმანიშვილი, „ლიტერატურული საქართველო“, I, XI. 38, № 26 (81). იხ. აგრეთვე გ. ლეონიძე, გამოკვლევები და წერილები, გვ. 376—377 და ტ. რუხაძის რეკენზია („ლიტერატურული ძიებანი“, VII, 1951 გვ. 349—350).

⁹ შ. ნუცუბიძე, ქართული ფილოსოფიის ისტორია, I, გვ. 209—221.

იპყრო ევაგრე (IV ს.)¹ და პეტრე (V ს.)² იბერიელების საქმიანობამ. უცილობლად დადასტურდა ექვთიმე ათონელის ლიტერატურული მოღვაწეობა ბერძნულ ენაზე³. საფიქრებელია, ბერძნულადვე წერდნენ იოანე პეტრიწი⁴, გრიგოლ ბაკურიანისძე⁵, ზაქარია ვალაშკერტელი⁶ და სხვანი⁷. არანაკლები ინტენსივობით შრომობდნენ ქართველი მოღვაწენი სპარსული კულტურის ასპარეზზე. ცნობილი არიან არა მხოლოდ სპარსეთში მოღვაწე ქართველი მხატვრები (სიაოშ-ბეგი, ჯაბადარი და სხვ.)⁸, არამედ იქაური ქართველი პოეტებიც (ქაიხოსროხანი, ზურაბ-ბეგი, ფაზლ-ალი ბეგი და სხვ.)⁹. სპარსულად წერდა სვიმონ პირველიც (1558-1600)¹⁰. თურქულ-იტალიურ-ფრანგულად თხზავდა იოსებ ქართველი (XVIII ს.)¹¹. კარგადაა ცნობილი ანთიმოზ ივერიელის წვლილი რუმინული კულტურის ისტორიაში¹² და ა. შ.

რადგან ძველი ქართული კულტურულ-ლიტერატურული მემკვიდრეობის ნაკლულევანი, არასრული სახით მოღწევასა და მისი შესწავლის სიძნელეებზე

¹ კ. კეკელიძე, მეოთხე საუკუნის საზღვარგარეთელი ქართველი მოაზროვნე და მოღვაწე, ეტიუდები, VI, გვ. 5—17.

² Ш. Нунубидзе, Тайна Псевдо-Дионисия Ареопагита, Т., 1942; Ф. Хонингман, Петр Иер и сочинения Псевдо-Дионисия Ареопагита, тсუ შრომები, ტ. 59, 1955, გვ. 19—78.

³ კ. კეკელიძე, ზოგიერთი საკითხი ექვთიმე ქართველის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ, ეტიუდები, I, გვ. 158—163.

⁴ მ. შენგელია, იოანე პეტრიწონელის დღემდის უცნობი ნაწარმოების ძიებისათვის, „ლიტერატურა და ხელოვნება“, 22. VII. 51, № 29 (378); მისივე, იოანე პეტრიწონელი და Practica Petricolle-ს ავტორობის საკითხი, „მნათობი“, 1959, № 7, გვ. 139—141.

⁵ კ. კეკელიძე, რომანი „ტავრომენიანი“ ძველ-ქართულ ლიტერატურაში, ეტიუდები, II, გვ. 24, შენ. 2.

⁶ თ. ყაუხჩიშვილი, ზოგი ქართული ხელნაწერის ბერძნული მინაწერები, „მომხილველი“, II, 1951, გვ. 468.

⁷ მ. კახაძე, ქართველები ბიზანტიის პოლიტიკურსა და კულტურულ ცხოვრებაში, თბ., 1954.

⁸ შ. აშირანაშვილი, ქართული საერო მხატვრობის გენეზისისათვის, „ქართული მწერლობა“, 1927, № 6—7, გვ. 183; მისივე, შოთა რუსთაველის პოემა „ვეფხისტყაოსანი“ ძველ ქართულ ხელოვნებაში, ვნიშკის მოამბე, III, 1938, გვ. 149—150; ვ. ფუთურიძე, ისკანდერ მუნშის ცნობა მხატვარ სიაოშ-ბეგ ქართველის შესახებ, იქვე, გვ. 383—386; Ш. Амиранияшвили, История грузинского искусства, I, გვ. 280, 284.

⁹ ვ. ფუთურიძე, ქართველი მოღვაწენი ირანის ლიტერატურულ ასპარეზზე, „ანალები“, I, 1947, გვ. 287—296.

¹⁰ ს. ჯიქია, ეპიზოდი XVI საუკუნის საქართველოს ისტორიიდან (ნა'რმს-ს ერთი ცნობის განმარტება), მასალები საქ. და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 31, 1954, გვ. 53—58.

¹¹ ვ. გაბაშვილი, იოსებ ქართველი — XVIII ს. დიპლომატი და ისტორიკოსი, მასალები საქ. და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 32, 1955, გვ. 111—121.

¹² ა. შანიძე, ქართული სტამბის ისტორიისათვის, „ლიტერატურული მემკვიდრეობა“, I, 1935, გვ. 156—176; გ. ლელიძე, ანთიმ ივერიელი (ქართული ეროვნული სტამბის ისტორიისათვის), „დროშა“, 1951, № 2, გვ. 16—18; შ. კურდღელიაშვილი, ქართული სტამბის ისტორიიდან, თბ., 1959.

ვსაუბრობთ, აუცილებლად უნდა შევეხოთ კიდევ ერთ საკითხს. ძველ საქართველოში ესა თუ ის ტექსტი ხშირად ძნელად გასაგებად იწერებოდა, ზოგჯერ ის თვით იწვევდა გაუგებრობას დაწერილობის თვალსაზრისით. მხედველობაში გვაქვს ლექსის პროზის სახით, დაუყოფლად დაწერა, კრიპტოგრაფია, უცხო ტექსტების ქართული ასოებით შესრულება, თხზული, დაქსელილი დაწერილობის გამოყენება და ა. შ. ორიოდ სიტყვა მათ შესახებ.

ა) არაიშვიათად ხელნაწერში წარმოდგენილია ლექსი, მაგრამ დაწერილია არა დაყოფით, არამედ პროზის სახით. ამ გარემოებამ განაპირობა ზოგიერთი პოეტური ქმნილების პროზაულ თხრობად მიჩნევა და მასში რითმოდანი ლექსების უგულებელყოფა. მაგალითად, ხელნაწერში პროზაულად იყო წარმოდგენილი და ასევე დაიბეჭდა „წამებაჲ მიქაელ საბაწმიდელისაჲ“¹. შემდეგში პ. ინგოროყვამ გაარკვია, რომ აქ პოეტურ ნაწარმოებთან გვექონდა საქმე²; ათონის შთის სამოციქულოს (ა. ცაგარლით № 11; რ. ბლეიკით № 42) მომგებლის ანდრძი რამდენჯერმე გამოქვეყნდა³, მაგრამ მხოლოდ 1950 წელს გაიკვია, რომ ის ლექსს წარმოადგენდა⁴; პროზაულად დაიბეჭდა დავით II კახთა მეფის ე. წ. ღვთაების გუჯრის (1722 წ.) ტექსტი⁵, რომელშიც ახლახან აკად. კ. კეკელიძემ რამდენიმე ლექსი ამოიცნო⁶; იოანე ბოლნელის (X ს.) ქადაგებათა შემცველი ნუსხის მინაწერში (A № 144, 100r), რომელიც პროფ. მ. ჯანაშვილს პროზაულად მიაჩნდა⁷, აკად. ა. შანიძემ ოცმარცვლიანი ლექსი შენიშნა⁸; ლენჯერის ხატის წარწერაში, რომელიც პროზაულად დაბეჭდა პროფ. ა. ხახანაშვილმა⁹, შემდეგში ბორენა დედოფლის (XI ს.) ლექსი იქნა შენიშნული¹⁰; სხვათა შორის, აკად. ე. თაყაიშვილმა ურბნისის ერთ წარწერაში ამოიკითხა და დაბეჭდა ნ. ხერხეულიძის (XVIII ს.) ლექსი¹¹, მანვე შენიშნა და გამოაქვეყნა S № 1204 ხელნაწერში პროზით

¹ კიშენი, I, გვ. 165—173.

² პ. ინგოროყვა, რუსთაველის ეპოქის სალიტერატურო მემკვიდრეობა, „რუსთაველის კრებული“, 1938, გვ. 9. იხ. აგრეთვე ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, გვ. 350—351 (ტექსტი დაბეჭდილია პროფ. პ. ბერაძის დალაგებით). შდრ. წამება წმიდა მიქელ ტიბერიელისა, თბ., 1903.

³ А. Цагарели, Сводили о памятниках груз. словесности, ტ. I, ნაკვ. I, СПб, 1886, გვ. 76—77; ქრონიკები, I, გვ. 171.

⁴ საქმე მოციქულთა, ძველი ხელნაწერების მიხედვით, გამოსცა ილ. აბულაძემ, თბ., 1950, გვ. 020—021.

⁵ ისტორიული საბუთები, ს. კაკაბაძის გამოცემა, I, თბ., 1913 (იხ. გვ. 8, 12, 14, 15, 18—20).

⁶ კ. კეკელიძე, მეთვრამეტე საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ეტიუდები, IV, გვ. 236—241.

⁷ იოანე ბოლნელი ეპისკოპოსის ქადაგებანი (X საუკუნის ხელნაწერიდან), თბ., 1911, გვ. VI.

⁸ ა. შანიძე, ფისტიკაურის ისტორიისათვის, „ლიტერატურული ძიებანი“, II, 1945, გვ. 7—8. უკანასკნელად აკად. ა. შანიძემ იამბოკოს ტიპის ლექსი შენიშნა თიღვის (XII ს.) მონასტრის წარწერაში (დ. რჩეული შვილი, თიღვა, თბ., 1960, გვ. 36).

⁹ МАВ, X, 1904, დამატება, გვ. 37—38.

¹⁰ კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I⁴, გვ. 593. იხ. აგრეთვე პ. კარბელაშვილი, სვანეთში ორი კვირით, „ივერია“, 1904, № 148; ე. თაყაიშვილი, არქ. ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წელს, გვ. 316.

¹¹ ე. თაყაიშვილი, არქ. მოგზაურობანი და შენიშვნანი, I, გვ. 49—50. მოზრდილი ლექსი შემოგვიანა ს. ხოტევის (რაქა) ეკლესიის წარწერაში (გ. ბოქორიძე, რაქის ისტორიული ძეგლები, საქართველოს მუზეუმის მოამბე, VII, 1933, გვ. 222—223). ლექსი იკითხე-

წარმოდგენილი ლექსები¹; ადრე პროზაულად მიჩნეულ ტექსტებში სხვადასხვა სალექსო ფორმით გამართული ჰიმნები ამოიკნეს უკანასკნელ წლებში პ. ინგოროყვამ და პროფ. ი. იმნაიშვილმა². „დედაბარული“ ხელით პროზაულად დაწერილი ლექსი უნახავს თ. სახოკიას³ და სხვ.

ბ) მრავალ ხელნაწერში გვხვდება ანდერძები, მინაწერები, ჩანაწერები შესრულებული საიდუმლო (სამალავადი) დაწერილობით, რომლის ამოკითხვა ერთობ ქირს⁴. როგორც ჩანს, კრიპტოგრაფია, ... ეს სხვა კულტურული ერებისათვისაც დამახასიათებელი მოვლენა, — არც ქართველებისათვის ყოფილა უცნობი. ძველ საქართველოში კრიპტოგრაფიულად აღინიშნებოდა სახელები თხზულებათა ავტორების (მაგალითად, მიქაელ მოდრეკილი)⁵, კალიგრაფებისა (ივანე — სინას შთის პარაკლიტონი და „დასდებელთა“ წიგნები. ი. ჯავახიშვილით №№ 2, 26; მახარებელი — A № 911; ანა — S № 1746; ივანე — A № 824; გიორგი — Q № 820 და ა. შ.) და ნუსხათა მფლობელებისა (ტარასი — არქ. ხელნ. № 511). ზოგჯერ საიდუმლო დაწერილობით სრულდებოდა ლექსი (S № 428, გვ. 368; H № 2077, 225 r; A № 1164, 55 r)⁶, სამხედრო შენიშვნა (H № 2165) და საკმაოდ მოზრდილი ტექსტიც (№ A 131)⁷. კრიპტოგრაფიული წარწერა შემოუნახავს ატენის სიონსაც⁸. საიდუმლო (სამალავადი) დაწერილობის გაშიფრვა გარკვეულ სიძნელესთანაა დაკავშირებული და ბევრი მინაწერი ახლაც მკვლევარს ელის⁹.

ბა ს. ვაშლიანის კოშკის წარწერაშიც (ლ. რჩეულიშვილი, „კოშკი სალხინოდ ნაგები“, საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, XXI, № 1, 1958, გვ. 115). ლექსი უნდა იკითხებოდეს ს. ოსიაურის კოშკის წარწერაშიც (საქართველოს სახ. მუზეუმის ქართული ეპიგრაფიული ძეგლების კატალოგი, შედგენილია და დასაბუქდად მომზადებული ა. ბაქრაძისა და ს. ბოლქვაძის მიერ, ილ. აბულაძის რედაქციით, თბ., 1953, გვ. 45, ტაბ. XXVII, სურ. № 2). იხ. აგრეთვე П. Иоселиани, Описание древностей г. Тифлиса, გვ. 24.

¹ E. T'vashvili, Mat. dlia istorii Gruzi, გვ. 20—21.

² ი. იმნაიშვილი, მასალები ძველი ქართული ლექსის ისტორიისათვის, „ციცკარი“, 1960, № 7, გვ. 135—144.

³ თ. სახოკია, მოგზაურობანი, გვ. 244.

⁴ A №№ 131, 144, 246, 824, 911, 1164; S №№ 31, 79, 172, 371, 406, 425, 428, 436, 1746, 2829; H №№ 1050, 1343, 1384, 1738, 2077, 2165, 2794; Q №№ 171, 225, 243, 261, 518, 657, 741, 820 და სხვ.

⁵ S № 425, 205 v; პ. კარბელაშვილი, ქართული საერო და სასულიერო კილოები, თბ., 1898, გვ. 44—45; ძველი ქართული სასულიერო პოეზია, წიგნი I, ტექსტები (VIII—X საუკუნეები), პ. ინგოროყვას რედაქციით, თბ., 1913, გვ. 369, 389.

⁶ P. Orbeliani, Из криптографированных записей Теймурава Багратиды, УЗ ИВ, XVI, 1958, გვ. 393—403.

⁷ კ. გრიგოლია, ნარკვევები, I, გვ. 171; შდრ. Опис. рукописей (S), II, გვ. 23.

⁸ თ. ბარნაველი, ატენის სიონის წარწერები, თბ., 1957, გვ. 57—59.

⁹ ქართულ კრიპტოგრაფებს ჯერ კიდევ აკად. მ. ბროსე იცნობდა (Nouv. Journ. Asiatique, 1834, XIV, გვ. 244—248). მას შემდეგ მრავალი კრიპტოგრაფა გამოვლინდა და გაიშიფრა. ამ საკითხზე იხ. მ. ჯანაშვილი, ფ. გორგიჯანიძე და მისნი შრომანი, თბ., 1896, გვ. 72; H. Марр, Одни вид грузинского криптографического письма, XV, 1914, ტ. III, ნაკვ. II, 205—207; ა. შანიძე, ქართული კრიპტოგრაფიის ახალი ნიმუშები, საქართველოს მუზეუმის მოამბე, I, 1922, გვ. 63—68; მისივე, კრიპტოგრაფიული მასალები, „მომომხილველი“, I, 1926, გვ. 237—243; ი. ჯავახიშვილი, ქართული პალეოგრაფია, გვ. 131—136; ე. თაყაიშვილი, პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერები და ოცი ქართული საიდუმლო დამწერლობის ნიმუში, გვ. 2—14 და ტაბულები; გ. მიქაძე, ძველი ქართული საიდუმლო დამწერლობა, „დროშა“, 1951, № 3, გვ. 20;

გ) მრავლადაა ცნობილი ქართული ტრანსკრიპციით შესრულებული სპარსული ტექსტები. შეგვიძლია დავასახელოთ სპარსული სახარება (S № 16)¹, ფ. გორგიჯანიძის ქართულ-არაბულ-სპარსული ლექსიკონი (S № 174)² და სხვ. მოღწეულია მრავალი ხელნაწერი, რომელშიც სპარსული ფრაზები, სიტყვები, ზოგჯერ ლექსებიც შესრულებულია ქართული ასოებით (S № 418; H №№ 2193, 2290)³.

ასევე მრავლადაა მოღწეული ქართული ასოებით დაწერილი სომხური ტექსტები (H №№ 60, 160, 161; S №№ 1090, 2385, 3686; A №№ 434, 523; Q №№ 278, 368; არქ. ხელნ. № 297)⁴. ცალკე უნდა აღინიშნოს, რომ საიათნოვას ბევრი სომხური (და აზერბაიჯანული) ლექსი შესრულებულია ქართული ასოებით⁵. ბევრ ხელნაწერში ქართული ასოებითაა წარმოდგენილი ბერძნული (A №№ 830, 845, 1351; S № 182), ლათინური (H №№ 438, 439, 1231, 2819), სლავურ-რუსული (A №№ 295, 317; S № 2385; H №№ 1325, 2819, 2905; Q № 893), ოსური⁶, იტალიური⁷, თურქული (H № 160; S №№ 15, 418, 1103, 2385; Q №№ 98, 713)⁸, აზერბაიჯანული (Q №№ 620, 851)⁹, სირიული

მისივე, ქართული კრიპტოგრაფია, „დროშა“, 1953, № 6, გვ. 20; მისივე, ერთი კრიპტოგრაფიული მინაწერისათვის, „ახალგაზრდა კომუნისტი“, 9. VIII. 56, № 95 (6103), მისივე, ქართული ხელნაწერების შესწავლა და აღწერა, თბ., 1957, გვ. 10—16; მისივე, ძველი ქართული საიდუმლო დაწერილობის უცნობი ნიმუშები, საიუბილეო კრებული: მიძღვნილი აკად. კ. კეკელიძის დაბადების 80 წლისთავისადმი, გვ. 277—286.

¹ Н. Марр, Описание персидского рукописного четырехязычия, ЗВРАО, т. III, № 1, 1888, გვ. 37—381; Опис. рукописей (S), I, გვ. 121—122; მ. ხუბუა, საქართველოს სახ. მუზეუმის S № 16 სპარსული ხელნაწერის გრამატიკული ანალიზისათვის, საქ. სსრ მეცნ. აკად. მოაზბე, IV, № 9, 1943, გვ. 931—934; მისივე, ოთხთავის სპარსული ხელნაწერები XVII—XVIII სს. აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახ. მუზეუმში, ენათმეცნიერების ინსტიტუტის შრომები, აღმოსავლურ ენათა სერია, I, 1954, გვ. 163—185.

² ფ. გორგიჯანიძე, ქართულ-არაბულ-სპარსული ლექსიკონი, გამოსცა ვ. ფუთურაძემ, თბ., 1941.

³ М. Хубуа, О персидских рукописях в грузинской транскрипции, საქ. სსრ მეცნ. აკად. მოაზბე, II, № 3, 1941, გვ. 301—307. იხ. აგრეთვე ფ. გორგიჯანიძის ისტორია, გვ. 111.

⁴ ლ. მელიქსეთ-ბეგი, სომხურ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობის იშვიათი ძეგლი, თსუ შრომები, XXVI, 1944, გვ. 191—200; იხ. აგრეთვე А. Хахадон, Груз. рукописи..., ДВ, IV, 1913, გვ. 16.

⁵ Р. Орбели, Собрание грузинских рукописей ИВ АН СССР, УЗ ИВ, IX, 1954, გვ. 51—52; საიათნოვა, თხზულებანი, გვ. 40, 91; ლ. მელიქსეთ-ბეგი, საიათნოვას ვინაობა, გვ. 106—108; მისივე, საიათნოვას შემოქმედების ლიტერატურულ-ხალხური წყაროები, „ლიტერატურული მემკვიდრეობა“, I, 1935, გვ. 235; მ. ჩიქოვანი, ფოლკლორული ვტიუდები, I, ა. პუშკინის სახელობის თბილისის სახ. პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, VI, 1949, გვ. 101—102.

⁶ გ. ახვლედიანი, 1802 წ. ოსური ხელნაწერი, თუმ, VII, 1927, გვ. 90—97.

⁷ მ. ჯანაშიელი, შესანიშნავი ნაშთი, „ივერია“, 1895, № 149. ქართული ასოებით არის შესრულებული სომხური, თურქული და იტალიური სიტყვები სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში (H №№ 1429, 1658).

⁸ ს. ჯიქია, XVIII საუკუნეში შედგენილი ქართულ-თურქული სასწავლო წიგნი (წინასწარი შენიშვნები), ენათმეცნიერების ინსტიტუტის შრომები, აღმოსავლურ ენათა სერია, I, 1954, გვ. 187—207; ლ. მეფარიშვილი, ლენინგრადის მ. სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის ქართულ ხელნაწერთა ფონდი, „მნათობი“, 1958, № 3, გვ. 161.

⁹ Д. Ахкеева, Из истории азербайджанско-грузинских литературных связей, Баку, 1958, გვ. 38—39, 41 (სურათები 3, 4, 11, 12).

(E 158)¹ და სხვაენოვანი ტექსტები თუ ცალკეული სიტყვები; 1710 წ. გა-
მოქვეყნებული კონდაკის ბოლოს ქართული ასოებითაა დაბეჭდილი რუმინული
ლექსი და ა. შ.²

დ) ძველ საქართველოში ხშირად იყენებდნენ თხზულ, დაქსელილ დაწე-
რილობას. მრგლოვანი დაქსელილი ასოებით უწერიათ ი. დუმბაძეს³, ა. მეს-
ხიშვილს (A № 399, გვ. 536; A № 1093, 728 რ; II № 2077, 224 რ), გ. ები-
ტაშვილს (A № 849, 388 რ), ტ. გაბაშვილს (A № 119, გვ. 360), გ. მესხი-
შვილს (A № 239), ა. მიქაძეს (H № 1283, 156 რ), ოსე გაბაშვილს (Q № 233,
ყდა და 43 v), იოსებ გაბაშვილს (Q № 225, 29 რ—33 რ, 95 რ—118 რ), გ. ავა-
ლიშვილსა (S № 303, გვ. 255) და სხვ. მხედრული დაქსელილი ასოებით
წერდნენ ტ. მესხიშვილი (A № 288, 291 რ—v), შ. დედაბრიშვილი (S № 3179)
და სხვ. როგორც მრგლოვან, ისე მხედრულ თხზულ, დაქსელილ ასოებს
იყენებდნენ ნ. ორბელიანი (S № 303, გვ. 257—274; S № 2574, გვ. 1; A № 849,
391 რ—394 რ; A № 853, 5 v; H № 1035, 269 რ—272 რ), ზაალ-ზოსიმე ორბე-
ლიანი (H № 95, 307 რ; H № 1035, 22 რ, 62 v, 69 რ, 76 რ, 268 რ...), ნიკოლოზ
სიონელი (A № 347, 01 v, 28 რ, 81 რ, 82 რ, 90 რ), დავით რექტორი (H № 934,
გვ. 1, 149, 772) და სხვ.⁴ ცალკე უნდა მოვიხსენიოთ თეიმურაზ ბაგრატი-
ონი, რომლის მრგლოვანი და მხედრული ასოების ნიმუშები შემოუნახავს
მის საყურადღებო ავტოგრაფს (H № 2225, 50 v—63 v). სხვათა შორის, ცნო-
ბილია დაქსელილი წარწერები ზარზმის სამრეკლოსი⁵, არმაზისა⁶, ფიტარე-
თის საფლავის ქვებისა⁷ და სხვ.⁸

¹ P. Орбели, Груз. рукописи ИВ АН СССР, I, გვ. 156.

² ქართული წიგნი, ბიბლიოგრაფია, I (1629—1920), თბ., 1941, გვ. 15; ა. შანიძე,
ქართული სტამბის ისტორიისათვის, „ლიტერატურული მემკვიდრეობა“, I, 1935,
გვ. 161—165.

³ ლ. შერვაშიძე, მინიატურები ქუთაისის ხელნაწერისა № 115 და ლენინგრადის
ხელნაწერისა OI № 58, საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, XIV, № 1, 1953, გვ. 61—62.

⁴ დაქსელილი დაწერილობის საინტერესო ნიმუშებია დაცული H № 136 ხელნაწერში
(იხ. აგრეთვე H №№ 1745-ა, 2374, 2415; A №№ 1574-გ, 1729; S №№ 278, 954). მრგლოვანი
და მხედრული თხზულის რამდენიმე ლამაზი ნიმუში ინახება სსრკ მეცნიერებათა აკადემიის
ახის ხალხთა ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილების ხელნაწერთა სექტორშიც—H
55 (H 53). იხ. P. Орбели, Груз. рукописи ИВ АН СССР, I, გვ. 154—155.

⁵ E. Такайшвили, Арх. экскурсии, разведки и заметки. I, Т., 1905,
გვ. 23—25.

⁶ E. Такайшвили, Разбор армазской папируса, СМОЗПК, XXII, 1897,
გვ. 207—212; საქართველოს სახ. მუზეუმის ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების კატალოგი,
გვ. 14—15, ტაბ. XVI, სურათი № 2); თ. ბარნაველი, არმაზის მონასტრის წარწერის
თარიღისათვის, საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, XXIV, № 5, 1960, გვ. 625—632.

⁷ გ. ჩიტაია, პიტარეთისა და გუდარების საფლავის ქვები, საქართველოს მუზეუმის
მოამბე, III, 1927, გვ. 122—123, ტაბ. V.

⁸ ლ. შენაბდე, ნიკოლოზ ორბელიანი (ცხოვრება და მოღვაწეობა), თსუ საიუბი-
ლეო კრებული: „სულხან-საბა ორბელიანი“, გვ. 178—182.

ქართვალ მოღვაწეთა ზრუნვა კულტურულ-ლიტერატურულ
მემკვიდრეობის დაცვა-შენარჩუნებასა და ზრდა-განვითარებაზე

ზემოთ აღნიშნული იყო ის მიზეზები, რომელთაც განაპირობეს ქართული კულტურულ-ლიტერატურული მემკვიდრეობის არასრული, ნაკლულევიანი სახით მოღწევა და ის სიძნელები, რომლებიც თავს იჩენენ ძველი ქართული მწერლობის ისტორიის ცალკეული საკითხების, კერძოდ, ძველი ქართული მწერლობის კვების შესწავლისას. როგორც ვნახეთ, ქართული კულტურულ-ლიტერატურული მემკვიდრეობის დაცვა-შენარჩუნებასა და ზრდა-განვითარებას მრავალი მიზეზი უშლიდა ხელს, რის შედეგად ხშირად გამოუვალ მდგომარეობაშიც კი ვართ.

ყოველივე აღნიშნული ისე არ უნდა გავიგოთ, რომ, თითქოს, ხელთ აღარაფერი გაგვაჩნია. ეს იქნებოდა უგულვებელყოფა ჩვენი მრავალმხრივი და მრავალფეროვანი, ღრმაშინაარსიანი და მალალმხატვრული კულტურულ-ლიტერატურული მემკვიდრეობისა.

ყურადღებას იმსახურებს ის ფაქტი, რომ, მიუხედავად ზემოაღნიშნული მიზეზების მოქმედებისა, ჩვენამდე მოღწეულია პირველხარისხოვანი კულტურულ-ლიტერატურული მემკვიდრეობა, რომელიც კანონიერი სიამაყის გრძობით აღავსებს ჩვენს გულს. ამ მემკვიდრეობის დაცვა-შენარჩუნებასა და საუკუნეთა მანძილზე გამოტარებაში დიდი დამსახურება მიუძღვით ქართველ მოღვაწეებს, რომლებიც არას იშურებდნენ ამ კეთილშობილური საქმისათვის.

კულტურულ-ლიტერატურული მემკვიდრეობის დაცვა-შენარჩუნება და ზრდა-განვითარება საერთო საქმედ იყო მიჩნეული და ქართველ მოღვაწეთა მრავალრიცხოვანი კოლექტივი ამ საქმეს პირნათლად ემსახურებოდა.

კულტურულ-ლიტერატურულ საქმიანობაში ჩაბმული იყო საზოგადოების თითქმის ყველა ფენის წარმომადგენელი. წერდნენ, — ორიგინალურს თხზავდნენ ან თარგმნიდნენ, — მეფეები (ბაგრატ III, დავით აღმაშენებელი, დიმიტრი I, სვიმონ I, დავით I კახთა მეფე, თეიმურაზ I, გიორგი XI, არჩილი, ვახტანგ VI, დავით II-იმამყულიხანი, თეიმურაზ II, ერეკლე II) და დედოფლები (ბორენა, ქეთევანი), ბატონიშვილები (ბაგრატ მუხრანბატონი, ალექსანდრე არჩილის ძე, ვახუშტი, ლევან ბაქარის ძე, მარიამ-მაკრინე, ერეკლე მეორისა და გიორგი მეთორმეტის შვილები და სხვ.) და დიდებულები (ქ. ჩოლოყაშვილი, ნ. ციციშვილი, სულხან-საბა ორბელიანი, მ. ბარათაშვილი, დ. გურამიშვილი, გ. ჩოლოყაშვილი, ქ. ანდრონიკაშვილი, დ. ორბელიანი, მ. ორბელიანი და ა. შ.), მღვდელმთავრები — კათოლიკოსები (კირიონი, არსენ საფარელი, არსენ II, ბასილ კარიკისძე, ნიკოლოზ გულაბერისძე, არსენ ბულმანისიძისძე, ბესარიონ ბარათაშვილ-ორბელიშვილი, ანტონ I...) და ეპისკოპოს-მიტროპოლიტები (სტეფანე მტბევარი, იოანე ბოლნელი, ლეონტი მროველი, იოანე ანჩელი, იოსებ თბილელი, ევდემოზ ურბნელი, ნიკოლოზ თბილელი, ნიკოლოზ რუსთველი, ონოფრე ბოდბელი, დოსითეოს ნეკრესელი, ამბროსი წილკნელი, საბა ნინოწმინდელი და სხვ.), რიგითი სასულიერო პირები და საზოგადოების სხვა ფენების წარმომადგენლები (ფეოდალური მწერლობის ზრდა-განვითარებაში მშრომელთა არააქტიური მონაწილეობის მიზეზებზე ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი).

ზემოდასახელებული პირნი არა მარტო თვით მოღვაწეობდნენ კულტურულ-ლიტერატურულ არენაზე, არამედ სხვებსაც მოუწოდებდნენ ლიტერატურულ-შემოქმედებითი საქმიანობისაკენ. მეფე-დედოფლები, ბატონიშვილები და დიდებულები, მღვდელმთავრები და საზოგადოების სხვა ფენების წარმომადგენლები ხშირად იყვნენ ინიციატორები თარგმნის, გალექსვის, ახალი ნუსხების დამზადების, ძველი ნუსხების აღდგენისა და გაცხოველებისა და ა. შ. ქვემომოტანილი რამდენიმე მაგალითი სავსებით დაადასტურებს ზემოთქმულის სისწორეს. საჭიროდ მიგვაჩნია აქვე აღვნიშნოთ, რომ თითო-ორთა გამონაკლისის გარდა არ მოგვაქვს მაგალითები სასულიერო-საეკლესიო საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა საქმიანობის შესახებ, რადგან მათი ინიციატივით დაწერილი თუ თარგმნილი ძეგლებისა და დამზადებული ნუსხების რიცხვი ერთობ დიდია და, შეიძლება ითქვას, აურაცხელიცაა. გასაგები მიზეზების გამო ვერ ვჩერდებით მშრომელთა საქმიანობაზეც.

როგორც აღვნიშნეთ, ქართველ მოღვაწეთა ინიციატივით ფართოდ იყო გაჩაღებული მთარგმნელობითი საქმიანობა. ქართველი მოღვაწენი, კერძოდ, მეფეები, ხშირად მოუწოდებდნენ თავის ხელქვეით პირებს მთარგმნელობითი საქმიანობისაკენ. მაგალითად, დავით აღმაშენებლის ბრძანებით არსენ საღირისძემ თარგმნა ანდრია კრიტელის „დიდი კანონი“, ვახტანგ მეექვსის ბრძანებით მიხეილ ელივიჩმა თარგმნა „პლანიმეტრია“ (S № 167), ბაქარის ბრძანებით ს. მაკაცარიძემ — ფლორინოვის „ეკონომია“ (H № 68), ერეკლე მეორის ბრძანებით ფ. ყაითმაზაშვილმა და დოსითეოს ნეკრესელმა თარგმნეს „შემოკლებითი ახსნა პერიარმენის წიგნთა“ (A №№ 1301, 1415; S № 278; H № 1012), „მცირე ნაცვალსიტყვაობა“ (S № 250) და სხვ., იოანე ხუცეს-მონაზონმა და ისაყ მცირემ — რუსული სამართლის წიგნები (H № 1426), გაიოზ რექტორმა — სამხედრო შინაარსის წიგნები (H №№ 193, 2109; S № 249) და ა. შ.

არანაკლებ ინტერესს იჩენდნენ მთარგმნელობითი საქმიანობისადმი ბატონიშვილები. მათი ინიციატივითაა თარგმნილი არა ერთი ნაწარმოები. მაგალითად, დარეჯან არჩილის ასულის ბრძანებით გ. ჩხვიძემ თარგმნა სასულიერო-საეკლესიო შინაარსის კრებული (H № 491); ვახტანგ ლევანის ძის ბრძანებითაა თარგმნილი „ბახთიარნამე“ (A № 1787); ქაიხოსრო მეფის (1709—1711) ასულის ანას ბრძანებით დ. ბაგრატიონმა თარგმნა „ოქროს აღნაქესი“ (H №№ 213, 454, 1009, 1657, 2224; S №№ 326, 522; A №№ 1011, 1159, 1523; არქ. ხელნ. № 125); გიორგი ერეკლეს ძის ინიციატივით იოანე ოსეს ძე და მისი თანამოღვაწეები თარგმნიდნენ სომხურიდან (H № 2156; A №№ 652, 671, 1127; Q № 281; S №№ 225, 3467; K № 200); დავით ბატონიშვილის ბრძანებით გაიოზ რექტორმა თარგმნა მ. ავრელიუსის „საყოფაქციო ჰსჯა“ (H №№ 2206, 2313; K № 192), ხოლო ა. თუმანიშვილმა — „ღეოლორაფია და ბუნებითი ისტორია ასურეთისა“ (H №№ 388, 1004, 2171); იოანე ბატონიშვილმა გ. ავალიშვილს ათარგმნინა „უბნობანი გამომცდელისა და მორწმუნისა შორის“ (H № 2354), ხოლო ბაგრატ ბატონიშვილმა ი. ბაზლიძეს გადმოაღებინა „შუშუნის მომზადების წიგნი“ (H № 2834; არქ. ხელნ. № 528) და ა. შ.

აღნიშნული პირები გვევლინებიან არა მარტო თარგმნის, არამედ ამა თუ იმ პროზაული თხრობის გალექსვის ინიციატორებადაც. მაგალითად, სვიმონ

პირველის ბრძანებით ხოსრო თურმანიძემ თარგმნა და გალექსა „როსტომიანის“ ერთი ნაწილი, გიორგი მეთერთმეტის ბრძანებით ი. დუნბაძემ გალექსა ბაგრატ მუხრანბატონის თხზულება („მოთხრობაჲ სჯულთა უღწრთოთა ისმაილიტთაჲ“), ვახტანგ-მეთის ბრძანებით სულხან-საბა ორბელიანმა და ონანა მდივანმა გალექსეს „ქილილა და დამანას“ სათანადო ადგილები და ა. შ.

მათივე ინიციატივითაა დამზადებული მრავალი ხელნაწერი. მაგალითად, ლუარსაბ პირველის (1534—1558) ბრძანებითაა გადაწერილი სვინაქსარი (K № 65), გიორგი მეთერთმეტის ბრძანებით — „ვეფხისტყაოსანი“ (H № 54), ვახტანგ მეექვსის ბრძანებით — ჩახრუხაძის, არჩილისა და სხვთა თხზულებათა კრებული (Q № 548), პროკლეს „კავშირნი“ (A № 74), ა. მაკედონელის ცხოვრება (H № 462) და სხვ., ბაქარის ბრძანებით — „როსტომიანი“ (S № 1580), თეიმურაზ მეორის ბრძანებით — „დოგმატიკონი“ (H № 601), ერეკლე მეორის ბრძანებით — სამართლის წიგნები (H № 1426), სასულიერო-საეკლესიო შინაარსის კრებული (II № 406) და ა. შ. ინტენსიურად იღვწოდნენ ამ მიმართულებით დედოფლებიც. მაგალითად, კახთა მეფის, ალექსანდრე პირველის (1476—1511) მეუღლის, დედოფალ ანას ინიციატივით 1479—1495 წლებში გადაუწერიათ „ქართლის ცხოვრების“ დიდებული ნუსხა (Q № 795). ქეთევან წამებულის ბრძანებით ქვათახევის წინამძღვარს ი. ავალიშვილს გადაუწერია „იბაკონი ლეთისმშობლისანი“ (II № 284). ქართლის დედოფლის მარიამის ინიციატივითაა დამზადებული 1633—1646 წწ. „ქართლის ცხოვრების“ საყოველთაოდ ცნობილი ხელნაწერი (S № 30). ოდიშის დედოფლის გულქანის დაკვეთით სტეფანე ბერმა 1755 წელს გადაწერა საბას ლექსიკონი (H № 172). სოლომონ მეორის მეუღლის, იმერთა დედოფლის მარიამის ბრძანებითაა გადაწერილი 1804 წელს „თიმსარიანი“ და „სიბრძნე სიცრუისა“ (S № 3615), ერეკლე მეორის მეუღლის დარეჯან დედოფლის ინიციატივითაა გადაწერილი ანტონის თვენი (Q №№ 57—59). განსაკუთრებით ბევრი ხელნაწერია დამზადებული იმერთა დედოფლის ანას ინიციატივით. ამ უკანასკნელმა ი. მუსხელიშვილს გადააწერინა ანტონის გრამატიკა (H № 1071), გ. ჯათიშვილს — არისტოტელის კატილორია (H № 2365), ოსე გაბაშვილს — „მაგალითნი კეთილმსახურებისანი“ (A № 301), ჟანნი (Q № 328), ვახუშტის ისტორია-გიოგრაფია¹, სახარება-სამოციქულო² და სხვ.³ მანვე მიაჩიქოვანს დაამზადებინა ვახუშტის ატლასის პირი⁴, ხოლო ა. ათაბეგოვს — „ისტორია ორბელიანთა შთამომავლობისა“⁵ და ა. შ.

მეფე-დედოფლებს არც ბატონიშვილები ჩამორჩებოდნენ: გიორგი მეორის (1446—1466) ასულის ქეთევან ბატონიშვილის ბრძანებით ზებედე ნაუას ძეს გადაუწერია მოზრდილი კრებული (A № 1737), ზოსიმე კოკობაის ძეს —

¹ P. Orbeli, Груз. рукописи ИВ АН СССР, I, გვ. 67—68.

² ე. შიღდელი, ქ. ახალციხე და საფარის მონასტერი, „ივერია“, 1894, № 117.

³ იხ. აგრეთვე ზაქარია არქიმანდრიტისა და ოსე გაბაშვილის წერილები იმერეთის ყოფილი დედოფლის ანას მიზართ (1814—1824 წწ.), ს. კაკაბაძის გამოცემა, თბ., 1959, გვ. 1—2, 11—12, 37.

⁴ P. Orbeli, Груз. рукописи ИВ АН СССР, I, გვ. 77—78; ი. მათურელი, პირველი ქართული კარტოგრაფი ქალი, „ლიტერატურა და ხელოვნება“, 9. IV. 50, № 15 (312).

⁵ P. Orbeli, Груз. рукописи ИВ АН СССР, I, გვ. 67—68.

პარაკლიტონი (A № 1522). ვახტანგ ლევანის ძის ბრძანებით იესე გარსევანი- შვილს გადაუწერია გულანი (A № 856) და საწელიწდო სამოციქულო (H № 1032), გ. საგინაშვილს -სახარება¹, იოზ ფიტარელს - პარაკლიტონი (არქ. ხელნ. № 242, 151 r—276 r), სიონის დეკანოზის ძეს, გაბრიელს - გუ- ლანი (A № 910) და სხვ. სვიმონ ბატონიშვილის „ბრძანებითა და საფასითა“ გადაწერილი გულანი (არქ. ხელნ. № 244). მარიამ-მაკრინეს ინაციატივით გადაწერილია არა ერთი წიგნი (A №№ 366, 379, 380, 383). გიორგი ერეკ- ლეს ძის ბრძანებით ა. მიქაძეს გადაუწერია იოანეს თავისა (H № 3) და სა- მოციქულოს (H № 2141) თარგმანებანი, მღვდელ-მონაზონ გამალიელს — მათეს თავის თარგმანება (A № 284) და ანტონის გრამატიკა², ნიკოლოზ სიონელს — კონდაკი (II № 2239) და სხვ. ათეულობით ნუსხაა დამზადებული ერეკლე მეორისა და გიორგი მეთორმეტის შვილების ინიციატივით.

ხელნაწერთა გამრავლების, ახალი ნუსხების დამზადების ინიციატორებად გვევლინებიან ათაბაგები (A № 351), და დადიანები (II №№ 172, 374, 599, 786, 1014; A №№ 743—747, 824, 827, 1485, 1489; Q №№ 63, 76, 88, 89, 702; K № 103 და სხვ.), გურიელები (H №№ 75, 1714; A №№ 1488, 1526; K № 246; Q № 103 და სხვ.) და რაქის ერისთავები (A № 1582; H № 1070, S № 4541; K № 239), ლიპარიტ ბაღვაში (K №№ 19—21) და ვახტანგ ორბელიანი (A № 179; S № 1247; H №№ 885, 1207, 1755), მერაბ კალმახელი (H № 1721) და ვახუშტი აბაშიძე (A № 1454), ციციშვილები (H №№ 342, 1674, 1698; Q № 1082), ქსნისა და არაგვის ერისთავები და სხვ.

ზოგიერთი ხელნაწერის დამზადების ინიციატორებად ჩანან გლეხებიც. მაგალითად, გლეხთა დაკვეთითაა გადაწერილი XII ს. ოთხთავი (A № 281), რომლის მინაწერში ეს გარემოება საგანგებოდაა აღნიშნული: „ღირს ვიქმე- ნით ჩვენ, ცოდვილნი და უღირსნი მონანი და თავყანისმცემელნი და გლეხნი წმიდისა კვირიაკესნი, დაწერინებად წმიდისა ამის ოთხთავისა“³.

ქართველი მოღვაწენი ენერგიულად ზრუნავენ ხელნაწერი მემკვიდრე-ობის დაცვასა და შენარჩუნებაზე, ძველი ნუსხების აღდგენასა და გაცხოვე-ლებაზე. მათ კარგად ჰქონდათ შეგნებული ხელნაწერთა დაზიანებით გამოწვეული საშიშროება და ყოველმხრივ ცდილობდნენ ძველი ფოლიანტების აღდგენას, შეესებასა და შეკაზმვას. ჩვენს სიძველეთსაცავეებში მრავლადაა შე- მონახული აღდგენილი, გაცხოველებული და საგანგებოდ შემკული ხელნაწე-რები, რომელთა განახლება ხშირ შემთხვევაში ცნობილ ქართველ მოღვაწეთა სახელებთანაა დაკავშირებული. მაგალითად, სვიმონ პირველის ბრძანებითაა აღდგენილი „ფრიად დაშლილი და დაძულებული“ რჯულისკანონი (K № 17), არჩილ მეფის განახლებულია „განმარტებაჲ ეკლესიასტისაჲ“ (A № 61)⁴, სოლომონ პირველის შემკულია გელათის ოთხთავი (Q № 901); მარიამ დე- დოფალმა განახლებინა პარზლის მრავალთავი (A № 95), ს. კალის გულანი

¹ ე. თაყაიშვილი, არქ. მოგზაურობანი და შენიშვნანი, II, გვ. 111—113.

² P. O p e a u, Грчз. рукописи ИВ АН СССР, I, გვ. 149—150.

³ გზამკვლევი, გვ. 108—110.

⁴ თარგმანებაჲ ეკლესიასტისაჲ მიტროფანე ხმარნელ მიტროპოლიტისაჲ, გვ. LXXV—

(II № 936) და სხვ. მანვე „ახლად შეაკვრევინა“ ერთი მეტაფრასი¹; ვახტანგ ლევანის ძემ „თვითოველად ფურცლად დაშლილი კარაბადინი“ ზ. ფანასკერტელისა „შეაწყობინა და შეაკვრევინა“ (Q № 877)²; თეიმურაზ ბატონიშვილმა შეავსებინა „ქართლის ცხოვრების“ ნაკლული ნუსხა (II № 2080)³ და ა. შ.

ბევრი ხელნაწერის აღდგენა დაკავშირებული საეკლესიო მოღვაწეთა სახელებთან. მაგალითად, ეამისწირვის ერთი ნუსხა (A № 198) „განახლდა და შეიკაზმა“ ბესარიონ ბარათაშვილ-ორბელიშვილის ხელით; ნიკოლოზ ორბელიანმა აღადგინა ი. დამასკელის „სათელოსოფოსნო თავნი“ ანუ „დიალექტიკა“ („კათილორია“), რომლის მინაწერში ის საგანგებოდ შენიშნავს: „ქელითა ჩემ ცოდვილისათა მოვაცხოველე და ნაკლული შევასრულებინეო“ (S № 2574, გვ. 1); ანტონ მეორემ სოლომონ დეკანოზს დაავალა გულანის „შეკურა და განახლება“ (A № 932) და ა. შ. ხელნაწერთა აღდგენასა და „შემოსვაზე“ დიდად ზრუნავდა ცნობილი ქართველი მწიგნობარი იოანე-ზოსიმე (X ს.). გარკვეულ ინტერესს იჩენდა ამ საქმისადმი ჯვრის მონასტრის მოღვაწე ბენეა ჩოლოყაშვილი (XVI ს.). ცნობილია მის მიერ შეკაზმული ხელნაწერები: თენი (ა. ცაგარლით № 50; რ. ბლეიკით № 117), კონდაკი (ა. ცაგარლით № 100; რ. ბლეიკით № 114), სახარების თარგმანება (ა. ცაგარლით № 135; ნ. მარით № 13; რ. ბლეიკით № 21), სასულიერო შინაარსის კრებული (ა. ცაგარლით № 136; რ. ბლეიკით № 20; ნ. მარით № 14) და სხვ. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის დიდი სამუშაო, რომელიც მე-16 საუკუნის მეორე ნახევარში შეუსრულებიათ ბარნაბა თბილელსა და ვლასი ურბნელს. აღნიშნული პირნი ჯერ ქართლში, ხოლო შემდეგ იერუსალიმში, ჯვრის მონასტერში, მოღვაწეობდნენ. მათ აღვლევდნათ ის გარემოება, რომ ბევრი ქართული ხელნაწერი „უამთა სიგრძისაგან განრყუნულ და უკმარ ქმნილიყო“⁴, ამიტომაც ენერგიულად იღვწოდნენ მდგომარეობის გამოსწორების მიზნით. ცნობილია ვლასი ურბნელის მიერ შეკაზმული თენი (H № 2336), სვინაქსარი (H № 1661), სახარება⁵ და სხვ. ზოგი ხელნაწერი მას შეუკაზმავს ბარნაბა თბილელის ბრძანებით (ა. ცაგარლით № 51, 145; რ. ბლეიკით № 26). თავის მხრივ დამოუკიდებლად მუშაობდა ბარნაბაც. მაგალითად, მას გაუცხოველებია ჯვრის მონასტრის ხელნაწერი, რომელიც ბასილ დიდის თხზულებას შეიცავდა (ა. ცაგარლით № 125; რ. ბლეიკით № 74). ხშირად ვლასი და ბარნაბა თანამშრომლობდნენ და ერთად აცხოველებდნენ თუ კაზმავდნენ ხელნაწერებს. მარხვანის მინაწერში ბარნაბა გვაუწყებს: „შეიკაზნა წა ესე და სულთა განმანათლებელი მარხვანი კელითა ურბნელისა მთავარეპისკოპოზისა

¹ ე. თაყაიშვილი, ჩხარის ეკლესიის სიძველენი (მეორე ნაწილი), აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახ. მუზეუმის მოამბე, XVI—B, 1950, გვ. 206.

² ზაზა ფანასკერტელი, სამკურნალო წიგნი (კარაბადინი), გვ. VI.

³ პროფ. კ. გრიგოლიას დაკვირვებით, ამ ხელნაწერის დასაწყისი, რომლის აღდგენა საჭიროდ დაუნახავს თეიმურაზს, დაცულია სხვა ხელნაწერში—H № 3226 (კ. გრიგოლია, ქართლის ცხოვრების ჩუბინაშვილისეული ნაწყვეტი და მისი ადგილის საკითხისათვის, საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, V, № 9, 1944, გვ. 945—949; მისივე, ნარკვევები, I, გვ. 123—125).

⁴ H № 2336, 262 r; ხელნაწერთა აღწერილობა (H), V, გვ. 231.

⁵ ე. თაყაიშვილი, პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერები, გვ. 63.

კლასისათა და კელითა ჩემ ცოდვილისა ტფილელ მთავარებისკოპოზისა ბარნაბაჰსითა ესრე სახედ, რომელ მე ვაცხოველებდ და დაკლებულსა დაესწერდ და დაფარულსა განვაცხადებდ, ხოლო იგი ქაზმავენ და ჰკრავნ და ორნივე ზოგად ვიქირვოდით არა ხოლო ამის წიგნისა, (აღ) ყლვე წიგნთა, რაოდენიცა ახლად განვაქეთეთ“ (ა. ცაგარლით № 77; რ. ბლეიკით № 67). კიდევ უფრო საინტერესოა მეტაფრასის მინაწერი, რომელიც ასე იკითხება: „შეიკაზმა ჯლითა ურბნელ მთქზისა ვლასისათა და ბრძანებითა, ჯერჩინებითა და თანაშეწევნითა ტფილელ მთქზისა და ჯის მამისა ბარნაბასითა. რ მე შეკრავსა და შეიკაზმასა ვილუწიდ, ხ იგი დაბნელებლთა მთ და უკმარ ქნითა ასოთა გნაახლებნ, და დალათუ აკლნ წერილი, დასწერნ და სრლ ჰყოფნ. და ესრეთ ზოგად ვიქირვოდეთ და ვშურებოდეთ. ხ ხარჯი წიგნთა საძმთ და სამონასტრო იყვის, არა ხ მის წიგნისა, აღ ყთა წიგნთა, რავ ღენიცა შეიკაზმა ჯლითა ჩნითა“ (ნ. მარით № 38; რ. ბლეიკით № 30)¹.

წარმოდგენილი ორიოდე მაგალითიდან ნათლად ჩანს, თუ რა გულმოდგინედ ზრუნავდნენ ქართველი მოღვაწენი ძველი ხელნაწერების დაცვასა და შენარჩუნებაზე. არაა ინტერესმოკლებული ის ფაქტიც, რომ ზოგიერთი ხელნაწერი წიგნი ჩვენს წინაპრებს რამდენჯერმე აუკინძავთ და შეუკაზმავთ. მაგალითად, სინური მრავალთავი 864 წლისა იოანე-ზოსიმეს ხელით „მესამედ შეიმოსა“ 981 წელს²; სახარების ერთი ხელნაწერი სხვადასხვა დროს შეუკაზმავთ ვლასი ურბნელს, ანდრია მონაზონსა და მესხ ვაზნიძეს. ახლა მეოთხე ყდა ჰქონია³; გიორგი გურიელის დაკვეთით გადაწერილი გულანი (A № 1526) „მეხუთედ გააკეთებინა“ ქაიხოსრო გურიელმა და ა. შ. საგულისხმოა ერთი გარემოებაც: ქართველები არა მხოლოდ ქართულ ხელნაწერთა აღდგენასა და დაცვაზე ზრუნავდნენ, არამედ სხვა ხელნაწერთა ბედზეც. ამას ნათელყოფს შემდეგი ფაქტი: ბეშქენ ერისთავთ-ერისთავმა „უამთა სიგრძოჲთა დაშლილი“ კორიდეთის ბერძნული სახარება (ი. № 28) იპოვა და შეიკაზმა⁴. არ შეიძლება აქვე არ აღინიშნოს ერთი საყურადღებო გარემოებაც. ქართველი მოღვაწენი ზრუნავდნენ რა ხელნაწერთა ბედზე, არას იშურებდნენ ტყვედ ჩავარდნილ ნუსხათა დასახსნელად. ცნობილია მრავალი ფაქტი ქართველთა მიერ ტყვედჩავარდნილი ხელნაწერების დახსნისა. მაგალითად, ერეკლე მეორემ დაიხსნა სახარება (A № 401); დედოფალმა მარიამმა (XVII ს.) — სვეტიცხოვლის ეამნი (A № 84), ტბეთის სახარება (Q № 929) და სხვ. მის მიერ თურქ-ოსმალთა ტყვეობიდან დახსნილ პარზლის მრავალთავს (A № 95) საინტერესო მინაწერი შემოუნახავს: „ჩნ, კელმწიფემა პატრონმა დადიანისა ასულმა დედოფალთ-დედოფალმან მარიამ, ესე წიგნი ურუმის ქვეყნიდამ გამოვიხსენ

¹ ნ. მარ ი, იერუსალიმის ქართულ ხელნაწერთა მოკლე აღწერილობა, დასაბუქლად მოამზადა ე. მეტრეველმა, თბ., 1955, გვ. 80.

² სინური მრავალთავი 864 წლისა, გვ. 282.

³ ე. თაყაიშვილი, პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერები, გვ. 63—64.

⁴ Н. Марр, Грузинские приписки греческого свангелия из Корид(ет)и, ИАН, VI, № 4, 1911, გვ. 238; მ. ჯანაშვილი, კორიდეთის ოთხთავი და მისი ქართული მინაწერები, „ძველი საქართველო“, I, ე. თაყაიშვილის რედაქტორობით, 1909, გვ. 87. იხ. აგრეთვე ს. ყაუხჩიშვილი, კორიდეთის ბერძნული სახარების ქართული მინაწერების დათარიღებისათვის, „ჩვენი მეცნიერება“, 1924, № 11—12, გვ. 83—86.

და გაეაახლე დაშლილი და წამკდარი¹; კახთა მეფის ლევანის (1520—1574) ვაჟმა, ბატონიშვილმა იესემ დაიხსნა ვარძიის ოთხთაეი (Q № 897), ბატონიშვილმა თეიმურაზმა — რუმინ(ევისეული „ქართლის ცხოვრება“ (II № 2080) და ა. შ. ქართული ხელნაწერების ბედით დაინტერესებულნი იყვნენ დიდებულებიც, მათაც არაერთი ტყვედჩავარდნილი ხელნაწერი დაუხსნიათ. მაგალითად, რჯულისკანონი (A № 76) დაუხსნია იორამ ვაჩნაძეს. მისი მინაწერი გვაუწყებს: „მე, ვაჩნასძემა, როინისშვილმან ბოქაულთუხუცესმა იორამ ესე წიგნი სჯულისკანონი“ დაეხსენიო. „ოდეს ბატონი სუიმონ ურუმთაგან დატყუებდა და ჩუენ ხუანთქართანა ელჩად წავედით, ეს წიგნი დატყუებულნი ვიბოვეთ და დაეხსენით და ვიყიდეთ ოთხმოც ფლურად“²; პარხლის ოთხთაეი (973 წ.), როგორც მისი მინაწერი გვამცნობს, დაუხსნია ვახუშტი აბაშიძეს: „მას ეამთა, ოდეს საათაბაგონი წმინდისა სარწმუნოები-საგან განსრულ იყვნენ და სარკინოზნი შექმნილიყვნენ, ეს წმინდა სახარება იქაური ყოფილიყო და უსჯულოთაგან დატყვევებულიყო და... მეფის ვახტანგის სიძეს აბაშიძეს ვახუშტის ეს წმინდა სახარება თათრის ხელით დიდის სურვილით და სასოებიანის გულით დაეხსნა“³; მოსკოვში გადაწერილი განთვისული სახარება „თათართაგან“ დაუხსნია მამია IV გურიელს (S № 5228) და ა. შ.

ხელნაწერთა დახსნაზე ენერგიულად ზრუნავდნენ საზოგადოების სხვა ფენების წარმომადგენლებიც: მღივნამა ბეგთაბეგმა დაიხსნა „ვეფხისტყაოსანი“ (H № 3061), ვარდენ ფხვენაძემ — დიდი სვინაქსარი (A № 626), ბახტამანთ სტეფანეს შვილმა ბეჟანმა — სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონი (H № 3132), იოანე მოსესაშვილმა — სადღესასწაულო (A № 515) და ა. შ. კიდევ უფრო მეტად აქტივობდნენ ამ მიმართულებით საეკლესიო მოღვაწენი. ჩვენამდე მოღწეულია მათ მიერ ტყვეობიდან დახსნილი მრავალი ხელნაწერი. მათი მინაწერებიდან ირკვევა, რომ ხელნაწერების დახსნაზე ზრუნავდა ყველა განათლებული სასულიერო პირი — იქნებოდა ის კათოლიკოსი თუ ეპისკოპოსი, არქიმანდრიტი თუ რიგითი ბერი. საილუსტრაციოდ დიდძალი მისაღლის მოხმობა შეიძლება. ჩვენ მხოლოდ თითო შემთხვევას დავიმოწმებთ: ვანის ცნობილი სახარება შეისყიდა კათოლიკოსმა იოსებმა 1776 წელს (A № 1335, 273 რ); პარაკლიტონი (A № 49) სპარსეთში დაიხსნა ტყვეობიდან დომენტი მროველმა; სახარება-სამოციქულო (H № 2334) ლექთაგან დაიხსნა არქიმანდრიტმა დანიელ სააკაძემ; იესე ოსეს ძის „ქორანიკონის“ შემცველი ხელნაწერი ასტრახანში დაიხსნა გრიგოლ ხარკაშენელმა (A № 637) და ა. შ.

ხელნაწერთა მინაწერებზე დაკვირვება ერთ საგულისხმო გარემოებას წარმოაჩენს. როგორც ირკვევა, ჩვენს ქვეყანაში მოსული არც ერთი მტერი არ თაკილობდა ქართული ხელნაწერების ხელში ჩაგდებას, დატყვევებასა და დიდ ფასში გაყიდვას. ბარბაროს დამპყრობლებს, ჩანს, შეგნებული და გათვალისწინებული ჰქონდათ ქართული წიგნების ფასეულობა, თუმცა, რასაკვირველია, არ ესმოდათ მათი შინაარსობლივ-იდეური სიღრმე. ამის შედეგად

¹ A № 95, გვ. 102; Опис. рукописей (A), I, გვ. 111—114; მ. ჯანაშვილი, საისტორიო და საბიბლიოგრაფიო წერილები, წერილი ლთ, „ივერია“, 1897, № 267.

² მ. ჯანაშვილი, საისტორიო და საბიბლიოგრაფიო წერილები, წერილი მბ, „ივერია“, 1898, № 27, 28; В. Бешевелич, Грузинский великий помощник по спискам Тифлисского перк. музея, XV, 1914, ტ. II, ნაკვ. III, გვ. 354.

³ A № 1453, 239 რ; ხელნაწერთა აღწერილობა (A), V, გვ. 3; ქართული ოთხთაეის ორი ძველი რედაქცია, გვ. 036.

ხშირ მოვლენას წარმოადგენდა ქართული ხელნაწერი წიგნის ტყვედ ჩა-
ვარდნა და უცხოეთში გატანა. ჩვენთვის ცნობილია ხელნაწერები, ნაყიდი
სპარსელებისაგან (A № 49), თურქ-ოსმალებისაგან (A №№ 1. 76, 95, 1453;
H № 1660 და სხვ. მეტ წილად მათ ასეთი წარწერები აქვთ: „ურუმთა-
გან დატყუედა“, „ურუმთ ქვეყნიდამ გამოვიხსენ“ და ა. შ.), „თათართაგან“
(A №№ 626, 648, 734; H № 1349), ლეკებისაგან (H №№ 1207, 2334)
და სხვ.

ქართველი მამულიშვილები ხელნაწერებს იხსნიდნენ საკუთრივ საქარ-
თველოში და უცხოეთშიაც. საქართველოში ნაყიდ ხელნაწერთაგან დავასახე-
ლებთ ალავერდის სახარებას (A № 484), რომელიც ზებედე წალენჯიხელმა
იყიდა გეგუთში, მე-13 ს. ოთხთაეს (A № 1459), რომელიც ლელა ჯობრია-
შვილმა დაიხსნა, ლარგვისის ზატიკს (A № 25), რომელიც ხევისურებისაგან
დაიხსნა ქვენიფნეველმა 1607 წელს¹, „ვეფხისტყაოსანს“ (H № 3061), რო-
მელიც ალა-მაჰმად ხანის ლაშქრობის შემდგომ „საფასოთი“ შეისყიდა ბეგთა-
ბეგ მდივანმა და ა. შ.

სამშობლოს გარეთ მოხვედრილი ქართველები თუ კი სადმე თვალს
შეასწორებდნენ ქართულ ხელნაწერს და შეძლება ჰქონდათ, შემთხვევას არ
კარგავდნენ და ძვირფას მონაპოვარს ხელიდან არ უშვებდნენ. ჩვენამდე
მოდღეულია ქართველთა მიერ თურქეთში (A № 76), სპარსეთში (A № 49;
S № 135), განჯაში (H № 3132), პეტერბურგში (H № 2080), ასტრახანში
(A № 637; S № 15), მოზდოკში², არტანუჯსა (Q № 479) და სხვაგან შესყი-
დული ხელნაწერები.

იმის გასაგებად, თუ რა დიდ ინტერესს იჩენდნენ ქართველი მოღვაწენი
ძველი ხელნაწერების მიმართ, როგორ ზრუნავდნენ მათ ბედზე და როგორ
ცდილობდნენ ტყვედჩაყვარნილ ნუსხათა დახსნას, საკმარისია მოვიგონოთ
ერთი იერუსალიმელი ქართველის მინაწერი მარხეანზე: „...ღირსმყო მოგებად
წათა ამათ მარხუათა დიდსა სიგლახაკესა შა, შემდგომად ტყულობით გამოს-
ლვისა ხუარაზმელთაგან. ესე ყლი შემდგომითი-შემდგომად მოგეთხრას:
მაშინდელნი ყოველთა ქენანეთა ქირნი და განსაცდელნი, ოკრებანი მონას-
ტერთა და ეკლესიათანი, რლ არა სადა დარჩომილა ერთი წიგნისა ფურცე-
ლი. ირმს შუკათა შა შთასულმან ვნახენ ესე ორნი წიგნი: ერთი ესე და
ერთი საწინაჲსწარმეტყუელოჲ. სპარსსა კაცსა ჰქონდეს. მისგან თელაველსა
სპარსსა კაცსა ეყიდნეს. მატებითა და მატებითა ძლივ წაუხუშენ ესე. სადლე-
სასწაულო³ წარილო. მე სყიდვისა ღონე არა მქონდა...“ (ა. ცაგარლით
№ 77; რ. ბლეიკით № 67). საფიქრებელია, აქ ერთგვარ გადაქარბებასთან
გვაქვს საქმე. მინაწერის ავტორი, რამდენადმე, აზვიადებს შექმნილ მდგომარე-
ობას, მაგრამ მისი ჩვენება ქართულ ხელნაწერთა შესახებ მაინც საგუ-
ლისხმოა. ერთობ საინტერესოა ამ ქართველის ცდა მშობლიურ ენაზე დამზა-
დებული ხელნაწერების გადარჩენისა. როგორც ჩანს, სურვილის შესრულებას
ზოგჯერ ხელს უშლიდა ფინანსური დაბრკოლება. ამასვე ამოწმებს ერთი სვი-
ნაქსარის მინაწერიც: „მე, ხუდად თბილელმან დაწერე: ამა წიგნსა გარდე-

¹ ქრონიკები, II, გვ. 20, 386, 437.

² ტ. გაბაშვილი, მიმოსლვა, გვ. 021, შენ. 1.

³ აკად. კ. კეკელიძის მართებული შენიშვნით, აქ lapsus calami-ა. უნდა იყოს:
„საწინასწარმეტყუელო“ (ეტიუდები, IV, გვ. 204, შენ. 1).

კიდევ და ფასი არა მქონდა, რომე მეყიდა და ასრე დამრჩა ტყუეობასა შიგან. ვინცა ქართველი კაცი გარდევდოთ ანუ შეეყაროთ, რათაცა ეგებოდეს, ესე წიგნი დაიქსნათ ტყუეობიდეგან“ (A № 839)¹. ჩანს, ხუდად თბილელს არ ჰქონდა იმის შესაძლებლობა, რომ ტყვედჩავარდნილი წიგნი დაეხსნა. ვინ იცის. ეკონომიური ხელმოკლეობის გამო ქართველ მოღვაწეებს რამდენი ძვირფასი ხელნაწერი ვერ დაუხსნიათ და ტყვეობაში დაუტოვებიათ.

ჩვენ უკვე რამდენიმე შემთხვევა აღვნიშნეთ ძველი ქართული ხელნაწერის ტყვედ ჩავარდნისა და გაყიდვისა. საგულისხმოა, რომ ზოგიერთი ხელნაწერი რამდენჯერმე იყო გაყიდული. ასეთი ნუსხების მინაწერებში ზოგჯერ საგანგებოდ აღინიშნებოდა, რომ ის „მრავალთაგან განსყიდული იყო“ (A № 484). ცნობილია არა ერთი ასეთი ხელნაწერი. მაგალითად, ზემოხსენებული რჯულისკანონი (A № 76), რომელიც ი. ვაჩნაძემ (XVI ს.) „ურუმთაგან დაიხსნა“, შემდეგში კვლავ ტყვედ ჩავარდნილა და 1735 წელს ი. კანდელაკს დაუხსნია². ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა მინაწერები სვეტიცხოვლის ეამნისა:

1 „ჩნ, დედოფალმან პატრონმან მარიამ, დავიხსენით ეამნი ესე. მას ეამსა, ოდეს დიასამიძე კათალიკოზი ქალაქს ციხეში მოკვდა, ეს ეამნი თათრებს დარჩა, ერთს წელიწადს უკან ვიპოვეთ“ და სვეტიცხოველს შევსწირე, — აწერს ეამნს მარიამ დედოფალი 1645 წელს.

2 „ეს ეამნი ძუშლითგან ბიძის ჩემის კათალიკოზისა ყოფილიყო და ციხეში დატყუშუევებულიყო (!), მარიამ დედოფალს დაეხსნა და სვეტიცხოვლისათვის შემოეწირა. მას უკან ამილახორს კათალიკოზს საერისთაოს წაეღო და იქ დატყუშუევებულიყო (!) და მერმე ჩუშნ დავიხსენით“ და ისევ სვეტიცხოველს შევსწირეთო, — აწერს ხელნაწერს ი. დიასამიძე 1689 წელს.

3 „ეამნი ესე... ოდეს ჯერ ლეკთა გასტეხეს სვეტიცხოველი და მერმე ოსმალნი-ურუმნი მოვიდნენ, დაიპყრეს ქვეყანა ესე ჩვენი ქართლი; მაშინ იავარ ჰყვეს და წარმოსტყვევნეს საყდარი და ტყვე ჰყვეს საყდრისა ამის რაოდენი წიგნები ჰპოვეს და ჩუშნ ძიებდაჲ ვყავით, რაოდენი ვპოვეთ, დავიხსენით ფასითა და ისევ სვეტიცხოველს შევსწირეთ“, — ვკითხულობთ კათოლიკოს დომენტი მესამის წარწერაში (1725 წ.).

4. „ოდეს თამაზ-ხან ქალაქს შემოვიდა და მღვიმე გასტეხეს, მაშინ ყიზილბაშთ ემოვნათ ეს ეამნ-გულანი და მე ანჩისხატის კანდელაკმა დავიხსენ და ისევ სვეტიცხოველს შევსწირე“, — იკითხება დ. კანდელაკის მინაწერში (1735 წ.)³.

როგორც ჩანს, აღნიშნული ხელნაწერი რამდენჯერმე დაუტყვევებიათ, მაგრამ ქართველ მოღვაწეებს დაუხსნიათ და სვეტიცხოვლისთვის შეუწირაეთ.

¹ ე. თაყაიშვილი, არქ. მოგზაურობანი და შენიშვნანი, 1, გვ. 295; Опис. рукописей (A), III, გვ. 49—50.

² მ. ჯანაშვილი, საისტორიო და საბიბლიოთეკრაფიო წერილები, წერილ მბ, „ივერია“, 1898, № 27, 28; В. Б е л е ш е в и ч, Грузинский великий номоканон по списку Тифлисского церк. музея, XV, 1914, ტ. II, ნაკვ. III, გვ. 353—354.

³ A № 84, 165 v—166 r; პ. კ ა რ ბ ე ლ ა შ ვ ი ლ ი, ივრარქია საქართველოს ეკლესიისა, გვ. 125—126.

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ ქართული ხელნაწერები იყიდებოდა სპარსეთსა და თურქეთში, ლონდონსა და გრაცში, პეტერბურგსა და სხვა პუნქტებში. დამატებით დავსძენთ, რომ ქართული ხელნაწერები იყიდებოდა კონსტანტინოპოლის ბაზარზე¹, პარიზში², ვენელ ანტიკვარებთან³ და ა. შ. სხვათა შორის, ხელნაწერები ბაზარზე იყიდებოდა არა მხოლოდ უცხოეთში, არამედ საქართველოშიც. ცნობილია ის ფაქტი, რომ მე—11 საუკუნის ძვირფასი სახარება იყიდებოდა თბილისის ბაზარზე⁴; თბილისში, „თათრის მეძველისაგანა“ ნაყიდი XV¹⁸ ს. საღვთისწავლო (ქ. № 549); თელაველ მეწვრილმანეს ჰქონდა რამდენიმე ხელნაწერი, მათ შორის „ვეფხისტყაოსანიც“⁵. ქართული ხელნაწერები გაუყიდიათ სოფ. ხოდაშენშიც (კახეთი)⁶ და ა. შ. ზოგჯერ ხელნაწერებს ყიდდნენ სასულიერო პირებიც. მაგალითად, ონოფრე ბოდბელის მიერ ზოსიმე ხარკაშნელისათვის მიცემული კონდაკი „ფასით“ დაიხსნა იოანე ბოდბელმა (A № 1480), ნიკოლოზ კათოლიკოსის მიერ დაგირავებული ოთხთავი „დაიხსნა“ პროველმა (H № 2902), პროკლე დიადოხოსის „კავშირის“ ხელნაწერი გ. წერეთელმა იყიდა მაქსიმე ჯუმათლის მოძღვრის ნ. მაშაშვილისაგან (A № 1162) და ა. შ.

ამრიგად, ქართველი საზოგადოებრიობა ენერგიულად ზრუნავდა ძველი ხელნაწერი მემკვიდრეობის დაცვა შენარჩუნებასა და ზრდა-განვითარებაზე. ქართული კულტურისადმი დიდი სიყვარულით აიხსნება ის გარემოებაც, რომ ახალი ნუსხების დამზადებით, ხელნაწერთა გამრავლებით დაინტერესებული იყვნენ საზოგადოებრიობის სხვადასხვა ფენის წარმომადგენლები. საგულისხმოა, რომ ახალ ნუსხებს ამზადებდნენ არა მხოლოდ საეკლესიო მოღვაწენი და ე. წ. დაბალი ფენების წარმომადგენლები, არამედ ბაგრატიონთა ოჯახის წევრებიც. მაგალითად, თეიმურაზ მეორემ გადაწერა ერთი საყურადღებო კრებული (S № 149)⁷; ვახტანგ ლევანის ძემ — საბას ლექსიკონი (S № 2498)⁸, ვახუშტიმ — საბას „სამოთხის კარი“ და სხვ. თხზულებანი (H № 108), მარიამ-მაკრინემ — საბას ლექსიკონი (H № 1740), მირიან ირაკლის ძემ — სვინაქსარი (H № 2728), ბაგრატ გიორგის ძემ — „სიბრძნე სიცრუისა“⁹, „გვირგვინი“ (არქ. ხელნ. № 121) და სხვ. თეიმურაზ გიორგის ძემ — ვახუშტის „საუკუნო კინკლოსი“, ო. ხერხეულიძის — „მეთობა ირაკლი მეორისა“¹⁰,

¹ ბ. ბარკალაია, წერილი რედაქტორთან, „დროება“, 1880, №№ 126, 128; მისივე, ათონის მთიდან, „დროება“, 1882, № 226. (

² А. Цагарели, Сведения, т. I, ნაყ. III, გვ. XXVI—XXVII, 248; ი. ცინცაძე, საქართველო პოლონეთის სიძველეთსაცავებში, „თბილისი“, 5, VI, 59, № 131 (1829); ა. შანიძე, ქართული ხელნაწერები პოლონეთში, „საბჭოთა ხელოვნება“, 1959, № 10, გვ. 46. იხ. აგრეთვე ლ. ბელიაშვილი, რუსთველის და დანტეს იღუმალი, სიტყვა პირველი, პარიზი, 1956, გვ. 75.

³ А. Хахаиш, Груз. рукописи..., ДВ, IV, 1913, გვ. 15.

⁴ „მწვემსი“, 1887, № 11, გვ. 6 (იხ. აგრეთვე S №№ 52, 56, 63).

⁵ ვ. ბარნოვი, ქართული ხელნაწერები, „მოამბე“, 1898, IX, განყ. II, გვ. 89—94.

⁶ მ. ხელაევი, როგორ ექცევიან ზოგიერთი პირნი ძველ ხელნაწერებს, „მწვემსი“, 1889, № 15—16, გვ. 7—9.

⁷ ქრონიკები, I, გვ. 245; II, გვ. 107, შგნ.

⁸ მ. ქავთარია, სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის უცნობი ავტოგრაფი, ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, II, 1960, გვ. 1—11.

⁹ სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი, I, გვ. 278.

¹⁰ Р. Орсели, Груз. рукописи ИВ АН СССР, I, გვ. 25, 52.

გრიგოლ იოანეს ძემ — ამბროსი მედიოლანელის თხზულებანი (S № 378) და ა. შ. ცნობილია დიდებულთა მიერ დამზადებული ნუსხებიც. მაგალითად, გ. მაჩაბელმა გადაწერა „ქართლის ცხოვრება“ (H № 2135). ცალკეული ნუსხები დაუმზადებიათ დ. სააკაძეს (A № 293; H № 2319), მ. ორბელიანს (A №№ 627, 1309), რ. ერისთავსა (S №№ 1726, 1729) და სხვ.

ახალ ნუსხათა დამზადებაზე, როგორც აღვნიშნეთ, საზოგადოებრიობის სხვადასხვა ფენის წარმომადგენლები ზრუნავდნენ. აქ მაგალითების მოხმობას აღარ შევუძღვებით, მხოლოდ საჭიროდ მიგვაჩნია აღნიშვნა ერთი მომენტისა: ძველ საქართველოში ხელნაწერთა გამრავლება, ახალ ნუსხათა დამზადება ისე გავრცელებული იყო, რომ ეს საქმე მრავალ მუშაკს საჭიროებდა. ჩვენამდე მოღწეულია მრავალი ისეთი ხელნაწერი, რომლის დამზადებაში მონაწილეობას იღებდა რამდენიმე პირი. მაგალითად, ტბეთის სახელგანთქმული სახარება (995 წ.) დაიწერა „ველითა ორთა მწერალთათა“, ათონის ბიბლია (978 წ.) — „ველითა სამთა მწერალთათა“¹; ასევე სამ მწიგნობარს, — მაკარი ლეთეთელს, პიმენ კახსა და ვახტანგ მოძარლულის ძეს, — გადაუწერია სინას მთის ცნობილი მრავალთაფი (864 წ.)²; ქურმუხის მთავარეპისკოპოსი და „ყოვლისა მთელისა“ წინამძღვარი კირილე დონაური 1310 წელს გეაუწყებს, რომ ექვთიმე კათოლიკოსის ბრძანებით მან გადააწერინა წიგნები „კაკისა წმიდისა ბარბარეს ტაძრისა მღღელსა იასე ქიტიაშილსა და ათორმეტთა მისთა მოწაფეთა“³; ასევე მწერალთა ჯგუფს ამუშაებდა და ამრავლებინებდა ნუსხებს გიორგი ლაბეჭინელი⁴. როგორც ძველი წყაროებიდან ჩანს, ასეთ ჯგუფს თაბუნი ეწოდებოდა: გურიანთის გულანის მინაწერში საბა მწერალი შენიშნავს: „მე... მღღელმან საბა ჯელეყავ... პატიოსნისა გულანისა ამის აღწერად ბრძანებითა... ბატონის ნაკაშიძის ბეჟანისათა და პირმშოსა ძისა მისისა გიორგისითა... ამის წერაში ჯუმათის გულანი გავაკეთე მე და ჩემმა თაბუნმა“⁵.

ამრიგად, ხელნაწერის დამზადებაზე ყოველთვის ერთი პირი არ მუშაობდა. ზოგჯერ დამწერთა რიცხვი საკმაოდ იზრდებოდა. როგორც ირკვევა, ძველ საქართველოში გადამწერთა ამხანაგობანიც არსებობდა⁶.

უკანასკნელად საჭიროდ მიგვაჩნია იმის აღნიშვნაც, რომ მრავალრიცხოვან ქართველ კალიგრაფთა გვერდით ახალ ნუსხათა დამზადებაში მონაწილეობას იღებდნენ სხვა ეროვნების წარმომადგენლებიც. ბევრი ქართული ხელნაწერი დაუმზადებიათ სომხებს (H №№ 54, 757; S № 27; Q №№ 279, 511, 525, 550, 750, 779, 872 და სხვ.). განსაკუთრებით აღსანიშნავია მათ მიერ „ვეფხისტყაოსნის“ ნუსხების დამზადება: 1680 წელს ბეგთაბეგ მდივანმა გადაწერა რუსთაველის პოემა (H № 54), 1702 წელს — ვილაყ შემახელმა სომხის

¹ А. Пагарели, Снеденш, т. I, нақ. I, გვ. 20, 73.

² სინური მრავალთაფი 864 წლისა, გვ. 280.

³ მ. ჯანაშვილი, საქართველოს ისტორია, გვ. 205; კ. კეკელიძე, ქართული კულტურის ისტორიისათვის მონღოლთა ბატონობის ხანაში, ეტიუდები, II, გვ. 315.

⁴ A № 1563, 272 r—275 v; ხელნაწერთა აღწერილობა (A), V, გვ. 78.

⁵ Q № 104-ა, 599 v; ხელნაწერთა აღწერილობა (Q), I, გვ. 123—124.

⁶ ი. ჯავახიშვილი, ქართული კალიგრაფია, გვ. 55—56.

ქალმა¹, 1761 წელს — „აღმურანთ ბაღდასარასშიელმა მუშრები გასპარამა“ (H № 757)², 1826 წელს — ვილატ ყარაბაღელმა (Q № 279)³, 1839 წელს — ა. გორგიჯანიძემ⁴ და ა. შ. ქართული ნუსხების დამზადებაზე მუშაობდნენ ოსები (H № 300) და სხვ.

უაღრესად საყურადღებო ფაქტია, რომ ქართულ კულტურულ-საგანმანათლებლო და ლიტერატურულ-შემოქმედებით საქმიანობაში აქტიურად იყვნენ ჩაბმული ქალებიც. ჩვენ ზემოთ დავასახელებთ ბორენა და ქეთევან დედოფლები, მარიამ-მაკრინე ბატონიშვილი და სხვ. ახლა დაეუნატებთ მანანას, სალომეს, მათა გაბაშვილს, მარიამ, ქეთევან და თეკლე ბატონიშვილებს⁵, შუენიერს⁶ და სხვ. ლიტერატურული მუშაობით დაინტერესებული ყოფილან და თავიანთი კალამი უცდიათ ვახტანგ მეექვსის ასულს ანუკას და იმერთა მეფის არჩილის ასულს მარიამსაც. უკანასკნელ წლებში გამოუღინდა პოეტური მემკვიდრეობა სოფიოსი და ბარბარესი⁷, ახლახან გაიშეთრა ვანის ქვაბთა მონასტრის მობინადრე ქალთა ლექსები⁸ და ა. შ.

ქალები არა მარტო თხზავდნენ, ან სხვებს მოუწოდებდნენ ლიტერატურულ-შემოქმედებითი მუშაობისა თუ ხელნაწერთა გამრავლებისაკენ, არამედ თვითონაც ამზადებდნენ ახალ ნუსხებს. ცნობილია ქალების მიერ გადაწერილი მრავალი ხელნაწერი (H №№ 66, 166, 168, 169, 189, 333, 445, 585, 750, 769, 831, 958; A №№ 306, 382; S № 161; Q №№ 296, 775, 798, 974 და სხვ.). დახელოვნებული კალიგრაფი იყო ზემოხსენებული მარიამ-მაკრინე ბატონიშვილი. საყურადღებო ხელნაწერები დაუმზადებიათ რუთი მონაზონს (A №№ 306, 382, ხობის გულანი⁹, იერუსალიმის საპატრიარქო ბიბლიოთეკის ხელნაწერი № 3¹⁰ და სხვ.), მანანას (II № 958; Q № 296),

¹ ე. თაყაიშვილი, პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერები, გვ. 43—44.

² მასვე გადაუწერია „ვეფხისტყაოსნის“ სხვა ნუსხა (Q № 779), „ვისრამიანი“ (S № 27), „ამირანდარეჯანიანი“ და სხვ. (ა. ბარამიძე, ნარკვევები, I, გვ. 374—375).

³ ლ. მელიქსეთ-ბეგი, „ვეფხისტყაოსნის“ ყარაბაღელი ვარიანტი, თსუ შრომები, V, 1936, გვ. 200—224.

⁴ ლ. მელიქსეთ-ბეგი, გორგიჯანიძისეული ხელნაწერი „ვეფხისტყაოსნისა“, „კომუნისტა“, 4. IV. 23, № 75. იხ. აგრეთვე მისივე სომეხი გამაწერნი „ვეფხისტყაოსნისა“ „ლიტერატურული მემკვიდრეობა“, I, 1935, გვ. 665—670.

⁵ ლ. ასათიანი, ძველი საქართველოს პოეტი ქალები (გამოკლევა და ტექსტები), თბ., 1936.

⁶ ა. შანიძე, ფისტიკაურის ისტორიისათვის, „ლიტერატურული ძიებანი“, II, 1945, გვ. 8—9.

⁷ ტ. რუხაძე, უცნობი პოეტი ქალები, „ლიტერატურული საქართველო“, 24. I. 41, № 4 (136); მისივე, ძველი ქართული ლირიკის ისტორიიდან, თბ., 1954, გვ. 149—155, 160. იხ. აგრეთვე გ. მიქაძე, ძველი საქართველოს პოეტი ქალები, „ლიტერატურული გახეთი“, 21, X. 55, № 42 (952).

⁸ ქ. ქეკელიძე, კვლევებზე შერჩენილი სიცოცხლე (ვანის ქვაბთა მონასტრის წარწერების პოეზია), „კომუნისტა“, 24. II. 59, № 45 (11351); შ. ონიანი, ვანის ქვაბთა მონასტრის წარწერების პოეზია, „საბჭოთა ხელოვნება“, 1959, № 7, გვ. 33—40; 1960, № 8, გვ. 33—42.

⁹ ე. თაყაიშვილი, არქ. მოგზაურობანი და შენიშენანი, II, გვ. 159.

¹⁰ В. Бенешевич, О древнем Иерусалимском списке грузинской мшней—четьей, XV, 1912, ტ. I, ნაკვ. I, გვ. 68.

ნინო ამილახვარს (H № 66), სიდონია ზედგენიძეს (H № 585), ნინო ზედგენიძეს (S № 161: H № 831), მაკრინე ანანიაშვილს (H № 769), ეფემია გვარამაძეს (H № 750), ანა თუმანიშვილ-ამილახვარისას¹ და სხვ.

ქალებს ტყვეობიდან დაუხსნიათ არა ერთი ხელნაწერი. ამ მიმართულებით იღვწოდნენ არა მხოლოდ დედოფლები (მარიამი და სხვ.), არამედ სხვებიც. მაგალითად, დარეჯან ამილახვარმა დაიხსნა საგალობლები (A № 461), ლელა ჯიბრიაშვილმა — ოთხთავი (A № 1459) და ა. შ. იგივე შეიძლება ითქვას ძველ ნუსხათა აღდგენასა და შემკობაზე: მარიამ ციციშვილმა და დარეჯან მაჩაბელმა აღადგინეს „ნამეტნავად დაშლილი“ და „ლეკთაგან გაძარცული“ მარხვანი (A № 1404), ფარსადან ფანასკერტელის მეუღლემ გულდამ შალიკაშვილმა 1543 წელს შეამკო ოთხთავი (H № 2806) და ა. შ. ფრიად ნაყოფიერ კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობას ეწეოდნენ ქართველი ქალები მახლობელი აღმოსავლეთის მონასტრებში (კაპპათა, დელტავი, დერეთუთა)².

სხვათა შორის, ქალები წერდნენ სიგელ-გუჯრებსაც. მაგალითად, ციციშვილის ქალს დაუწერია სითარხნის წიგნი³, იაშვილის ქალს — ფიცის წიგნი (A № 1122, 64 r — 65 r) და ა. შ.

ამრიგად, ქართველი ქალები ძველთაგანვე აქტიურსა და ყოველმხრივ მონაწილეობას იღებდნენ კულტურულ-საგანმანათლებლო და ლიტერატურულ-შემოქმედებით საქმიანობაში. აღარაა გასაკვირი, რომ ქართველ ქალთა განსწავლულებას ასე გაუოცებია მე-18 ს. სამოცდაათიანი წლების რუსი მოხელე, კაპიტანი ნ. იაზიკოვი⁴.

ზემომოტანილი მასალა ნათლად წარმოაჩენს ძველ საქართველოში გაჩაღებულ კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობაში საზოგადოების დიდი ნაწილის მონაწილეობას (მართალია, ჩვენს მიერ მოხმობილ ცნობებში ნაკლებად ჩანდნენ მშრომელთა წარმომადგენლები, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ, რომ, ჯერ ერთი, როგორც აღვნიშნეთ, ფეოდალური მწერლობის ზრდა-განვითარებაში მშრომელთა მონაწილეობა არააქტიური იყო და მეორე — მშრომელთა წრიდან გამოსული ბევრი მწერალი ეკლესია-მონასტრის წიაღში მოღვაწეობდა, მაგალითად, ბასილ ზარზმელი).

ამჯერად ყურადღების გამახვილება გვსურს სხვა მომენტზე: ქართული კულტურულ-ლიტერატურული ფრონტის მუშაკები მოღვაწეობდნენ ყველგან, სადაც კი მოხვდებოდნენ, და ყოველგვარ პირობებში. ქართველი მოღვაწენი წერდნენ თბილისის, ქუთაისისა და თელავის სასახლეებში, დადიანის, გურიელისა და რაჭის ერისთავის კარზე, საციციანოში, გარეჯის სენაკებსა და ვარ-

¹ გ. მიქაძე. „ბარამიანის“ გადამწერის ვინაობისათვის, „ლიტერატურული გაზეთი“, 22. VI. 56, № 25 (1987).

² კ. ქეკელიძე, ქართველ ქალთა კულტურულ-საგანმანათლებლო კვრები მახლობელ აღმოსავლეთში, ერთუღები, IV, გვ. 202—216.

³ დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, II, ბატონყმური ურთიერთობა (XV—XIX სს.), ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., 1953, გვ. 34 (ქვემოთ — დოკუმენტები).

⁴ Грамоты и другие исторические документы XVIII столетия, относящиеся к Грузии, под редакцией А. Цагарели, I, СПб., 1891, гв. XXXVII, 187, 192 (ქვემოთ — Грамоты); А. Цагарели, Сведения, т. I, ნაკვ. III, გვ. XXIV.

ჩიის დარბაზებში, გელათის აკადემიასა და წყაროსთავის სემინარიაში, დასავლეთის, აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთის კულტურულ-საგანმანათლებლო კერებში (მათ შესახებ მეორე წიგნში ვისაუბრებთ), აგრეთვე სხვა პუნქტებშიც. მაგალითად, რუსეთსა და მის მომიჯნავე ტერიტორიაზე ქართველები წერდნენ არა მხოლოდ თავიანთ მნიშვნელოვან კულტურულ-საგანმანათლებლო კერებში — მოსკოვში, პეტერბურგში, ასტრახანში, ყიზლარში, მოზდოკში, იასაში, კრემენჩუგსა და მირგოროდში, არამედ ვლადიმირიკი (ანტონ I, ნ. მაღალაძე, ტრიფილე დიაკონ-მონაზონი, იუსტინე ბერი), ნოვგოროდში (ზ. ზებედოვანი, ი. სამებელი, ქ. გურამიშვილი), ლისკოვოში (A № 1581; S № 326-ა; ჰ. მესხიშვილი), პეტერგოფში (S № 3723, თეიმურაზ ბატონიშვილი), პეტროზავოდსკში (H № 2130, გ. ბაგრატიონი), გეორგიევსკში (S № 11, გ. ავალიშვილი), პერმში (H № 1257), ვორონეჟში (H № 2323, Q № 743), რიაზანში¹, ბენდერში (Q № 757), სტავროპოლში (H № 175) და ა. შ.

იგივე შეიძლება ითქვას დასავლეთისა და აღმოსავლეთის კერებზეც. ქართველები წერდნენ არა მხოლოდ კონსტანტინოპოლსა და ათონზე, ოლიმპსა და პეტრიწონში, იერუსალიმსა და საბაწმიდაში, შავ მთასა და სინაზე, არამედ სხვა პუნქტებშიც: რომში (სულხან-საბა ორბელიანი, დ. ტულუკაშვილი), პრაღაში (გ. ბაგრატიონი), ქ. ტენედოსზე (A № 66), „ქუეყანასა კარნისასა“ (არზრუმთან)², თავრიზში (A № 1224; H № 2225; თეიმურაზ II, თეიმურაზ ბაგრატიონი), ისპაანში (ფ. გორგიჯანიძე, ვახტანგ VI), ქირმანში (ვახტანგ VI), ყანდაარში (თეიმურაზ II), შირაზში (ქეთევან დედოფალი), შუშტარში (ფ. გორგიჯანიძე), იზმირხანაში (Q № 232), ხოსროვაბადში (H № 1735) და ა. შ.

ქართულ ნუსხებს ამრავლებდნენ აგრეთვე ყარაბაღში (Q № 279), შემახაში³, ბაქოში (S № 4990), „ვანის ქალაქს ზღვის შუა უდაბნოში“ (H № 2809)⁴ და სხვ.

საგულისხმოა, რომ ამა თუ იმ მიზეზის გამო ქართველ მწიგნობრებს ხშირად უხდებოდათ საცხოვრებელი ადგილის გამოცვლა, ერთი პუნქტიდან მეორეში გადასვლა, მოგზაურობა და ა. შ. მაგრამ ისინი არსად არ ისხდნენ გულზეხელდაკრეფილნი და ყველგან იღვწოდნენ მშობლიური კულტურის საკეთილდღეოდ, ყველგან წერდნენ, თხზავდნენ, თარგმნიდნენ. მაგალითად, ექვთიმე ათონელმა, — როგორც მისი ბიოგრაფი გვაუწყებს, — „არა თუ უღუმბათა და მთაწმიდას ოდენ თარგმნნა, არამედ სამეუფოსცა და გზასა და სხუათა ესევეითართა ადგილთა“⁵; გიორგი ათონელი თარგმნიდა „სამეუფოსა

¹ S №№ 5314, 5316; H № 2547 (გ. მუხრანბატონი, რ. იოსელიანი, დ. ოქროაშვილი). იხ. კ. გრიგოლია, ნარკვევები, I, გვ. 186—189.

² P. Peeters, Un colophon géorgien de Thornik le moine, AB, L, 1932, გვ. 360.

³ ე. თაყაიშვილი, პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერები, გვ. 43—44.

⁴ ლ. მელიქსეთ-ბეგი, გიორგი გორელი—უცნობი ქართველი და სომეხი მწერალი XV III საუკუნის პირველი ნახევრისა, საქართველოს სახ. მუზეუმის მოამბე, X—B, 1940, გვ. 89—122.

⁵ ათონის კრებული, გვ. 27; ცხოვება იოვანესი და ეფთჳმესი, გვ. 28.

გზასა, ულუმბას, ანტიოქიას, სვიმონწმიდასა და კალიპოსს და სხუათა ესევეთართა ადგილთა¹; არსენ იყალთოელი წერდა კონსტანტინოპოლში, შავ მთაზე, შიომღვიმეში, 'იყალთოში' და სხვ. ამბროსი წილკნელი — თბილისში, გარეჯაში, წილკანში, ნეკრესში... მსგავსი მაგალითის დაძებნა მრავლად შეიძლება, მაგრამ, ვფიქრობთ, ზემოთქმულის დასადასტურებლად დასახელებულიც საკმარისია.

საყურადღებოა, რომ ქართველი მოღვაწენი, რომლებიც ნებსითა თუ უნებლიეთ უცხოეთში ატარებდნენ თავისი ცხოვრების ნაწილს, გულდასმით ცდილობდნენ ერთგვარი წვლილის შეტანას ქართული წერილობითი კულტურის ზრდა-განვითარებაში. იქაც, შორეულ უცხოეთშიც, ზოგჯერ ტყვეობასა და მძევლობაში, ზოგჯერ მგზავრობასა და ხიზნობაში, ქართველი მწიგნობრები არ წყვეტდნენ შემოქმედებით მუშაობას. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ბევრი ქართული თხზულება დაიწერა და გადაიწერა უცხოეთში. ამჯერად ჩვენ გვინტერესებს არა უცხოეთში არსებულ კულტურულ-საგანმანათლებლო — კერებში მოღვაწე ქართველები, რომლებიც პირველ რიგში თავიანთი პირადი საკითხებისათვის, ცალკეული კერის წიგნადი ფონდის გამდიდრებისათვის მოქმედებდნენ, ან, უკეთეს შემთხვევაში, სხვა ქართული კერების ხელნაწერთა კოლექციის გაზრდაზე ზრუნავდნენ, არამედ ის ქართველები, რომლებიც უცხოეთში ყოფნის ქამს კვლავ თავისი სამშობლოს კულტურულ-საგანმანათლებლო კერების კეთილდღეობაზე ოცნებობდნენ, კვლავ საქართველოსათვის იღვწოდნენ. მაგალითისათვის აქ მხოლოდ რუისის მოღვაწეთა საქმიანობას მოვიგონებთ. ცნობილია, რომ მღვდელ-მონაზონმა იოსებ კლიმიაშვილმა მოსკოვს გადაწერა „მარგალიტი“ რუისის ეკლესიისათვის (A № 901). ცნობილმა საეკლესიო მოღვაწემ ნიკოლოზ ორბელიანმა 1728 წელს მოსკოვში გიორგი ებიტაშვილს გადააწერინა მარსენი (A № 849), მანვე ასტრახანში გადააწერინა ი. დამასკელის წიგნი (A № 853). ორივე წიგნი დამზადებული იყო რუისის ეკლესიისათვის. უკანასკნელი წიგნის ანდერძში, რომელიც ნ. ორბელიანს ეკუთვნის, ვკითხულობთ: „...ქართლიდამ რუსეთს მოვდიოდით, მეფეს ვახტანგს ვახლდით. იქ ქართლიდამ წანოლებული დიად ძეგლი წიგნი იყო, აღარც თავი ჰქონდა და აღარც ბოლო. რაც ჩნდა, ეს გარდმოვაწერინე დაუკარგაობისათვის და შუაზედაც ცხრამეტი და ოცი თავი ამოგლეჯილი იყო. რომელსაც ღმერთმან ქართლის თათრისაგან გამოქსნა გაღირსოსთ, ამის გათავებას ეცადენით“². ნ. ორბელიანის ანდერძი იმითაცაა საყურადღებო, რომ ნათლად გვიჩვენებს თუ რა გულმოდგინედ ცდილობდნენ ქართველი მოღვაწენი ხელნაწერი ფონდის გამდიდრებას. დასახელებული ხელნაწერები, როგორც აღვნიშნეთ, რუისისათვის იყო გამიზნული. მათ დანიშნულებისამებრ მიაღწიეს და კარგა ხანს რუისის ტაძარში ინახებოდნენ (იხ. აგრეთვე A № 866)³.

ქართველი მწიგნობრები ხშირად უჩიოდნენ თავიანთ ჯანმრთელობას, გულისტკივილს გამოთქვამდნენ მოხუცებულობის გამო, ხაზგასმით აღნიშნავდნენ თვალების ტკივილსა და მხედველობის დაქვეითებასა და ა. შ. მიუხე-

¹ ათონის კრებული, გვ. 310.

² A № 853, 137 v; Опис. рукописей (A), III, გვ. 78—79.

³ ე. თაყაიშვილი, არქ. მოგზაურობანი და შენიშვნანი, I, გვ. 117—119.

დაეად ამისა, ისინი მაინც განაგრძობდნენ თავიანთ საქმიანობას და ხელს არ იღებდნენ მუშაობაზე.

თავის მოხუცებულობას ხშირად აღნიშნავდა ცნობილი ქართველი მწერალი იოანე-ზოსიმე. მისი ცნობით, ის არა ერთ ნუსხას ამზადებდა „ეამსა ოდენ ბოროტად მოხუცებ ლებისათა“ (სინას მთის ხელნაწერი — ა. ცაგარლით № 53; ნ. მართთ № 47). ზოგჯერ ის წიგნს ასეთ მინაწერს ურთავდა: „დაეჩხრიკე წ'ჲ ესე წიგნი... დღეთა ოდენ ბოროტად მოხუცებ ლებისა ჩემისათა, დიდად ხაშმძან და ბრმამან“ (ა. ცაგარლით № 12; ი. ჯავახიშვილით № 38). მეორე ქართველი მწიგნობარი იოსებ სამებელი (XVIII ს.) სამღვდელმთავრო კონდაკის მინაწერში გვაუწყებდა: „მე წერა აღარ ძალ-მედებოდა, ორმოცდაცხრამეტი წელი გადმევლო. სურვილითა... ჰელად ვიღე კონდაკი ესე. თავიც დაძრული მქონდა და ჰელიც. თვალთა მცირედ განვიციდიდი ხატებაჲსა კაცისასა“¹. არა ნაკლებ საინტერესოა ა. მიქაძის ერთი მინაწერი: „ესეები შევიძელ უწინაცა და ახლა ამ დამწერ-დაქცეულობაშიაცა გავრჯილვარ და დაემაშვრალვარ და თუ კიდევ მოწადინე ვყოფილვარ და ვარ დღესაცა ჰემშარიტებით, თულა სოფელმა მაყალა. მაგრამ მეტმა აქაურმა მწუხარებამაცა და სნეულებამაცა და აწ მოხუცობამაცა სიცოცხლის ღონე მიმტაცა“².

მართალია, მოხუცი მწიგნობრები წერას თავს არ ანებებდნენ, მაგრამ წინასწარ იხდიდნენ ბოდიშს ნუსხის ამა თუ იმ ნაკლოვანებისათვის. მაგალითად, იოზ წინამძღვარი წერდა: „ნაკლულევნად და უნდო წერისათს შენდობას ვითხოვ... ფრიადსა სიბერესა და უძლურებასა ვიყავ მიწევნულ“ (A № 636, 4 v); ეახუშტის თხზულებათა გადამწერი მიხეილ დეკანოზიც აღნიშნავდა: თუ „ბოვოთ ცთომილი, მოხუცებულობის მიზეზი იქნების... ვიყავ ამ ეამად წლისა ეგ (=66) და თვისა დ (=4)“³.

ზემოხსენებული იოანე-ზოსიმე მოხუცებულობასთან ერთად ჯანმრთელობასაც უჩიოდა. უკვე ციტირებული ანდერძის გარდა შეგვიძლია მისი სხვა მინაწერიც დავიმოწმოთ. მაგალითად, სინას მთის ერთ სახარებას აწერია: „დაეჩხრიკე წ'ჲ ესე სახარებაჲ ოთხთავი ჰელითა ჩემ ცოდვილისაჲთა დიდად ხაშმძან და ბრმამან და დიდად უღონომან“ (ა. ცაგარლით № 8; ი. ჯავახიშვილით № 15). სხვა კრებულის მინაწერში ვკითხულობთ: „ფ'დ ხაშმსა და თულამორიღებითსა დამიჩხრეკიან“ (ა. ცაგარლით № 19; ი. ჯავახიშვილით № 34). ღვაწლმოსილი მწიგნობარი მორიდებით ბოდიშობდა: „უცბად ჩხრეკისათს ნუ ვინ დამწყევთ, გრწ'მინ, რ'ლ სნეულმან დაეწერენ უძლურებასა შინა დიდსა“ (ა. ცაგარლით № 54; ი. ჯავახიშვილით № 77). ასევე ბოდიშობდა მე-15 საუკუნის ოთხთავის გადამწერიც: „ავად ვიყავ. ურიგოდ წერას ნუ დამწყევლით“ (H № 1299, 281 r).

ჯანმრთელობაშერყეული მუშაობდნენ სხვა მწიგნობრებიც. მაგალითად, ნ. ორბელიანს თავისი უკანასკნელი შრომები ავადმყოფობაში დაუწერია. ამას ამოწმებს მისი მინაწერი: „ავად ვიყავ და ვერ ვჯდებოდი, წოლით დამიწერია, ვეშურებოდი, სიკვდილს მოველოდი“ (H № 90, 387 v). სხვათა

¹ A № 1344, 33 r; ხელნაწერთა აღწერილობა (A), IV, გვ. 427.

² H № 1116, 2r; ხელნაწერთა აღწერილობა (H), III, გვ. 104.

³ S № 4736; Опис. рукописей (S), II, გვ. 678.

შორის, ავადმყოფობის გამო არც ქალები წყვეტდნენ მუშაობას: ბეგან ერის-
თავის ასული ანა მის მიერ გადანუხსხული კრებულის დასასრულს შენიშნავს:
„მე დიდს სნეულებაში და უძლურებაში გადავწერეო“ (H № 168, 36 r).

ქართველი მოღვაწენი უჩიოდნენ რა თავის ჯანმრთელობას, მეტწილად,
მხედველობის დაქვეითებას აღნიშნავდნენ. ეს უკვე კარგად ჩანდა იოანე-
ზოსიმეს ზემოციტირებული ანდერძებიდან. ასეთსავე ცნობებს გვაწვდიან სხვა
მწერლებიც. მხედველობის დაქვეითებას უჩიოდნენ ნ. ორბელიანი (S № 303,
137 v), ი. სამებელი (A № 1344, 33 r) და სხვ. აქვე არ შეგვიძლია არ მო-
ვიტანოთ ერთი ნაწყვეტი დ. გურამიშვილის წერილიდან მირიან ბაგრატიო-
ნისადმი, რომელსაც პოეტმა „დავითიანთან“ ერთად სარწყავისა და წისქვი-
ლის მოხაზულობა გაუგზავნა: „ამის ავად მოხაზულობას ნუ დამიწუნებენ.
ცალის თვალთ სულ ბრმა ვიყავ, მეორითაც ავად ვხედვედი. ჩემის ჰელით
მაგის მეტი ვერ შევიძლე და სხვას ვერავის ვენდე“¹.

აღსანიშნავია, რომ მხედველობადაქვეითებული ქართველი მოღვაწენი
ხელს არ იღებდნენ მუშაობაზე, მათ სანატრელ ოცნებას წამოწყებული სამუ-
შაოს დასრულება წარმოადგენდა. ოთხთავის საკითხავების ერთი ნუსხის
უცნობი გადამწერი ნატრობდა: „ნეტამცა თვალმა არ მიკლოს, რომ კდ
ერთიცა განვასრულო“ (H № 1192, 261 r). ანალოგიური მინაწერი არა ერთ
ხელნაწერ წიგნში გვხვდება.

ქართველ მწიგნობრებს ნაყოფიერ მუშაობაში ხშირად უშლიდათ ხელს
სხვა საქმეებით გადატვირთვა და მოუკლევლობა, მაგრამ ეს გარემოება ვერ
აიძულებდათ მათ კულტურულ-საგანმანათლებლო და ლიტერატურულ-შემოქ-
მედებით საქმიანობაზე ხელის აღებას. ცნობილია, რომ ექვთიმე ათონელს
წინამძღვრობის პერიოდში (1005—1019) „ყოველი ზრუნვაჲ და საურავი მო-
ნასტრისაჲ ეტკრთა“, რაც, ბუნებრივია, ხელს უშლიდა ლიტერატურულ
საქმიანობაში—„მრავალფერთა ზრუნვათაჲთა დაეხრწეოდა თარგმანებისაგან
წმიდათა წერილთაჲსა“²; სულხან-საბა ორბელიანი „ერისაგანი იყო და წარ-
ჩინებული და სოფლისა საქმისაგან უცალო“³ და, შედარებით, ნაკლები დრო
რჩებოდა მხატვრულ-ლიტერატურული და ფილოლოგიური მუშაობისათვის.
მოუკლევლობას ჩივიან სხვა მწიგნობრებიც. მაგალითად, ერთი გადამწერი
შენიშნავს: „თუ რომ ჩემის უცოდინარობით შემცდარი იყოს რამე ან ავი
ხელი იყოს, რომ ვერ გამოიცინოთ, იმის გულისათვის, რომ საკრებულოსა
საქმესში ვიყავ-ხოლმე და ვეშურებოდი, ამისთვის მოტევენას ვითხოვ“⁴;
„ბარამგულიჯანიანის“ გადამწერი გვაუწყებს: „მე რომ... ამის დაწერას
ხელეჰყავ, მეწადა პირველად, რომ კარგა დავსწერო, მაგრამ... პატრონის
ქალის ძახილებით მიმოთრეულსა დრო და ნება უკეთესად წერისა არა
მქონდა“⁵; ა. მიქაძეც ჩიოდა „მრავალ ზრუნვა მაქვნიდაო“ (A № 317)
და ა. შ.

¹ დ. გურამიშვილი, თხზულებათა სრული კრებული, გვ. 284.

² ცხოვრება იოვანესი და ვფთვმესი, გვ. 30, 47.

³ სულხან-საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, პროფ. ი. ყიფშიძისა
და პროფ. ა. შანიძის რედაქციით, თბ., 1928, გვ. 477; სიტყვის კონა, გვ. 571.

⁴ A № 1318, 78v; ხელნაწერთა აღწერილობა (A), IV, გვ. 386.

⁵ S № 3705, 76 v; დ. ბრეგაძე, ქართველი მწერლები რუსეთში (XVIII ს.), წიგნი
1, გვ. 202, 254.

მოუცლელობისა თუ სხვა მიზეზების გამო ქართველ მწიგნობრებს ხშირად უხდებოდათ სწრაფი ტემპით მუშაობა და ხელნაწერების ნაჩქარევად დაბადება. მაგალითად, მდივანთ-მწიგნობართუხუცესის ძეს ავთანდილ ქვაბულოვს მოსკოვში სწრაფი ტემპით გადაუწერია (1742 წ.) ნინოს ცხოვრება. სათანადო მინაწერში ხელნაწერის დამამზადებელი გვაუწყებს: „...ეიხილე და ჯელეყავ მსწრაფლიად გარდმოლება... ვინც წაიკითხოთ, ავად დაწერისათვის ნუ უგულუბელს-მყოფთ; როდესაც ჯელთ ვიდე, სწრაფად გარდმოლების გული-სათვის არც კალაძს, არც მელანს, არც ჯელს გამოვეკიდე“¹; ანკ. კირილე ამირანიძე სვინაქსარის მინაწერში აღნიშნავს: „აღეწერე ეამსა დიდათ შწირობისასა, რომელ ასტრახანა ვიწყე, ესრეთ უგვანად და ჩქარად წერად. თითო რვეულსა დღედ ვასრულებდი“²; სწრაფად წერა უხდებოდათ ა. მესხიშვილსა (H № 1671) და ა. მიქაძეს (A № 317); სხვათა შორის, ცნობილია გადამწერი ათანასე მალემწერალი³.

საყურადღებოა ერთი გარემოებაც: ვინაიდან გადატვირთულობის გამო ზოგი ქართველი მწიგნობარი დღისით ვერ პოულობდა დროს ლიტერატურული საქმიანობისათვის, ის ღამეს ათენებდა და შრომაზე ხელს არ იღებდა. მაგალითად, გიორგი მთაწმიდელი დაბეჯითებით აღნიშნავს, რომ ექვთიმეა „უფროდსნი წიგნი ღამით სანთლითა უთარგმნიან... ფრიადისა უცალოები-საგან და საურავთა“⁴. ერთგან ექვთიმეც მორიდებით ითხოვს პატიებას: „ზომად წერისათვს შემინდევით, უცალო ვიყავ და უფროდსი ღამით მიწერიოა“⁵. ღამით მუშაობდნენ სხვა მწიგნობრებიც: ა. მესხიშვილი ხრონოგრაფის მინაწერში გვაუწყებს: „უფროსად ღამით ვნუსხევდი, რამეთუ ფრიად მასწრაფებდნენ და მეცა ვისწრაფდი, რათამცა მსწრაფლ ადრე აღმეწერნეს“⁶; ამბროსი წილკნელი სადღესასწაულოს მინაწერში შენიშნავს: „ეს ჩემმა მოსაყდრემ ეპისკოპოსმა სცნას, რაზე ვიწყალებ თვალებს, შუალამეა, რომ ვსწერ წილკანს“⁷; სიონის დეკანოზი იოანე ოსეს ძეც აღნიშნავს, რომ მას „უცალოებითა უმრავალჯერეს ღამით წერაჲ“ უხდებოდა⁸ და ა. შ.

აღნიშნული გარემოება თვალნათლივ მოწმობს, თუ რა დიდი სიყვარულით იყვნენ გამსჭვალული ზემოხსენებული პირნი ქართული წერილობითი კულტურისადმი. მათ ვერაფერი ვერ აშინებდათ, ვერავითარი დაბრკოლება ვერ აიძულებდათ ლიტერატურულ მუშაობაზე ხელის აღებას. ქართველი მწიგნობრები მუშაობდნენ განსაკუთრებულ მიზნე მდგომარეობაშიც კი — უბინაოდ, უსახლოდ, ულუკმაპუროდ და ა. შ.

მოღწეულია არა ერთი ცნობა იმის შესახებ, რომ ზოგიერთი მწიგნობარი უსახლკარობის გამო მძიმე გაჭირვებას განიცდიდა. მაგალითად, დიდი სვინაქსარის გადამწერი ათანასე გვაუწყებს: „ფრიადითა ქირითა და გულისმოდ-

¹ H № 963, 80 v; ხელნაწერთა აღწერილობა (H), II, გვ. 328.

² A № 1486, 201 r; ხელნაწერთა აღწერილობა (A), V, გვ. 29.

³ H. М а р р, Описание рукописей Синайского монастыря, გვ. 258 (იხ. აგრეთვე S № 244, გვ. 10).

⁴ ცხოვრება იოვანესი და ეფთვმესი, გვ. 30.

⁵ ქრონიკები, I, გვ. 139.

⁶ H № 1671, 321 v; ხელნაწერთა აღწერილობა (H), IV, გვ. 100.

⁷ H № 973, 24 r; ხელნაწერთა აღწერილობა (H), II, გვ. 341.

⁸ K № 90, 276 v; ხელნაწერთა აღწერილობა (K), I, გვ. 243.

გინებითა გარდმოვწერე... დიდითა ღუაწლითა. ღმერთმან იცის, — ვაჟმე და ვაჟმე, — ჭირნი უსანლობისა და უადგილობისანი, რომელ სხვაჲსა არავის წაჰკიდებია ესევეთარი, რამეთუ სოფლისა ლელვათა და განსაცდელთა შინა ვეფალ ყელამდის¹; ბერთუბანს შეხიზნული გ. საგინაშვილი გვამცნობს: „უკაროს სახლშიდ ვსწერდი. ქარმან და სიცხემ არ მომა[სვენა]“ (A № 624, 147r). ძველი მწიგნობრები არა მხოლოდ უბინაობასა და უკარობას ჩიოდნენ, არამედ ზოგჯერ უსკამობასაც. მაგალითად, ა. მიქაძე წერს: „უსკამოდ დავსჯლარბე, მუგლზე აღწერიით“ (H № 1380, 12r), არქ. კირილესაც „ათიოდენი რვეული მუგლზედ დაუწერია“ (H № 1426, 284r) და სხვ. ქართველ მწიგნობრებს შიმშილიც კი ვერ აშინებდათ და ვერ აჩერებდათ. შიმშილობის მიუხედავად მუშაობას განაგრძობდა მწერალი ზებედე, რომლის ერთი ანდერძი ასე იკითხება: „ავისა ნაშრომისათჳს ნუ დამწყევთ, რამეთუ თვთ ღწ იცის ამის წერაშიან არცა პატივი მქონდა და არცა ვინ იყო ჴელისა აღმპყრობელი ჩემი. შიმშილითა გლახ რუდუნებითა ვწერდი“².

ქართველი კალიგრაფები ეტრატის სიძვირეშიც კი არ იხევდნენ უკან. მაგალითად, ცნობილი ლარგველი მოღვაწე ავგაროზ ბანდაისძე „დიდსა სიგლახაკესა და ეტრატისა სიძვრესა და შფოთსა და უცალობასა შინა“³ ამზადებდა ახალ ნუსხებს. საგულისხმოა, რომ მათ ზოგჯერ არც თუ ხეირიანი დედანი ჰქონდათ, მაგრამ მაინც ცდილობდნენ ტექსტის ზუსტად გადმოცემას. ერთი რჯულისკანონის გადამწერი საგანგებოდ გვაუწყებს: „ღმერთმან იცის, დიდნი ჭირნი ვნახე უცთომელობისათჳს. დედაჲ წურილი მედვა წინა. აწ უცბათ ჩხრეკისათჳს ნუ მწყევთ“⁴.

აქვე გვსურს აღენიშნოთ ერთი გარემოებაც. ქართველ მწიგნობართა გულმოდგინეობას მოწმობს ის ფაქტიც, რომ ისინი ხშირად არ კმაყოფილდებოდნენ ერთი დედნით და რამდენიმეს შოულობდნენ, რომ მათ მიერ დამზადებული ხელნაწერი, შედარებით, სრულყოფილი გამოსულიყო. მაგალითად, ორი დედანი ჰქონდა შიო მღვიმელის ცხოვრების გადამწერს (არქ. ხელნ. № 307), ორი დედნით სარგებლობდა „ქართლის ცხოვრების“ სწავლული რედაქტორი, რომელიც სათანადო მინაწერში გვამცნობს: „ორი ქართლის ცხოვრება მქონდა. ამ ერთში თამარ მეფის ანბავი სხვა რიგად ეწერა, ამ მეორის — სხვა რიგად. ორივე დაწერე...“⁵ სამი დედანი იხსენიება ა. მიქაძის ანდერძებში⁶. კიდევ უფრო მეტი დედანი ჰქონია იოანე ანჩელის დისწულს ოქროპირს, რომელიც „წინაუკუმობისათვის“ ერთგვარ ბოდისშასაც კი იადის: „წნო მშანო და ძმანო! დიდად მეღმის და მტკივის, რწ წინაუკუმოდ და არა მიწყებით სწერია ესე საკითხავები და მიზეზი ესე არს: ოთხისა

¹ A № 640; Опис. рукописей (A), III, გვ. 52.

² A № 746; Опис. рукописей (A), II, გვ. 207.

³ A № 575; Опис. рукописей (A), II, გვ. 93.

⁴ K № 17; ხელნაწერთა აღწერილობა, (K), I, გვ. 87; В. Бенешевич, Грѹа. нолкиниѣи ѱоможапон по спискам Тифлисскаго церк. музея, XV, 1917, ტ. V, ნაკვ. II, გვ. 119.

⁵ H № 2135, გვ. 400; ხელნაწერთა აღწერილობა (H), V, გვ. 98; ქართლის ცხოვრება, II, გვ. 5, შენ. 2.

⁶ H № 988, 272r; ხელნაწერთა აღწერილობა (H), II, გვ. 365; ქართლის ცხოვრება, II, გვ. 325, 540.

თუ ხუთისა დედისაგან ეწერიდ ნათხოვისა სხვსა და სხვსა მონასტრისაგან და ჟამსა თქსა ვერ ვიპოვენი დედაჲ¹.

საყურადღებოა, რომ ქართველი მწიგნობრები გულმოდგინედ ეძებდნენ და არჩეოდნენ დედანს, ამასთანავე, ასწორებდნენ იმ შეცდომებს, რომელთაც ტექსტში შენიშნავდნენ. ერთი სიტყვით, არას იშურებდნენ ახალი ნუსხის სრულყოფისათვის. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ერთი ნაწყვეტი ა. მესხი-შვილის ანდერძიდან: „რადგოდენ შემეძლო... გულმოდგინებით მრავალჯამ ვძებნე და გამოვიძიე მრავალთა ძველთა წიგნთა შინა ხილვითა და მრავალთა მიფარულთა ადგილთა დაძველებულთა, დაშლილთა და დაყრილთა ფურცელთა შინაცა ვპოვე დიდის შრონით და ძიებით“². ან კიდევ: „თუცა რამ ამაში შეცთომილი, გინა სიტყვა მეტ-ნაკლები, ან წინა-უკანა იხილოთ რაიმე ცთომილნი, ნუ მწყევთ ღთის სიყვარულისათვის. უწყოდეთ, რომ დედანი ფრიად განრყუნილი იყო მწერალთაგან და მე... გულმოდგინებით დიდად ვეცადე გამართვასა და სისწორესა და თუ რამ დამიშთა დაეწყებინაგან და გინა ცთომით შემცილდა, თქუსნ, რომელნიც მოემთხვენეთ ცთომილსა, სიმშვიდით გამართვედეთ“³.

როგორც ცნობილია, საქართველოს მოსახლეობას ხშირად არბედა და აწიოვებდა მომხდური მტერი. სისხლისმღვრელი, უთანასწორო ბრძოლა, მტრის შემოსევა და ავაზაკური თარეში დიდ ვნებას აყენებდა მოსახლეობას. ძირს უთხრიდა ქვეყნის ეკონომიკას, აჩანაგებდა მეურნეობას, აფერხებდა კულტურულ-ლიტერატურულ საქმიანობას. ქართველ მწიგნობართა სასახლოდ უნდა აღინიშნოს, რომ ძნელბედობის ხანაში, მტრის თავდასხმის მოლოდინშიც კი, ბევრი მათგანი ენერგიულად განაგრძობდა მუშაობას. აქ საკმარისია მხოლოდ გარეჯელ მოღვაწეთა საქმიანობა მოვიგონოთ.

იოსებ არაგვის ერისთავის შვილი მის მიერ გადაწერილ ბასილ დიდის თხზულებათა ანდერძში გვაძენობს: „...ქართლი[სა] და კახეთ[ის] ოკრება დაიწყო. უდაბნოც სუსტდებოდა: ხან ოსმალს ეკირა, ხან ყიზილბაშს... დიად, ლეკთ შიში შეიქნა ჩვენ ქვეყანა[ში] და ნამეტანად კახეთ[ში]! დიად, დიდი შიში შეიქნა!“ (A № 100, გვ. 301—302). ნიუხედავად აღნიშნულისა, გარეჯის მონასტერში მწიგნობრულ-ლიტერატურული საქმიანობა მაინც გრძელდებოდა; მიუხედავად ლეკთა თავდასხმის მოლოდინისა, მუშაობას განაგრძობდა გ. საგინაშვილი, რომელიც აგიოგრაფიული კრებულის მინაწერში გვაუწყებდა: „ავად წერისათვის ნუ დამწყველით. ვეშურებოდი, ლეკისაგან გვეშინოდა. ამ წიგნს რომ ეწერიდი, მოუტდა ლეკის ჯარი დაეით-გარეჯას. მკათათვის ბ-სა. ღმერთმან და წმიდამან ღვთისმშობელმან და წმიდამან დავით დაიცვა მონასტერი“⁴. სახარების მინაწერში იგივე მოღვაწე აღნიშნავდა: „ვეცადე დიდად სიმართლესა და ჭვლს, მაგრამ ლეკთაგან გვეშინოდა. თუ რა უცბად მეწეროს, ნუ დამწყველით, გვედრებით“⁵. დაახლოებით ამავე ხანაში ამრავლებდა ნუსხებს ნათლისმცემლის მოღვაწე ექვთიმე ბარათაშვი-

¹ Н. М а р р, Описание грузинских рукописей Синайского монастыря, гв. 263.

² A № 1093, 727 r; ხელნაწერთა აღწერილობა (A), IV, გვ. 58.

³ A № 399; Описание рукописей (A), I, გვ. 399.

⁴ A № 130, გვ. 442; დ. ბ ა ქ რ ა ძ ე, ისტორია საქართველოსი, გვ. 224—225. შენ.

⁵ Q № 85. 171 v; ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, არქ. მოგზაურობანი და შენიშვნანი, II,

ლიც. „ჯამსა მას, ოდეს რავედენიგე მინი განგუშზორნეს მონასტრისა ამის-
გან შიშითა ლეკისათა და წარვიდეს ხიზნად ქართლს, მე დავრჩი მონასტერსა
ამას შინა“ და ამ წიგნს ვწერდიო, — გვაუწყებს ის გულანის ანდერძში¹. ასეთ
მოღვაწეთა დასახელება მრავლად შეიძლება. საყურადღებოა, რომ ზოგიერთი
ქართველი მწიგნობარი არა თუ მტრის თავდასხმის შიშით, არამედ მტრის
ხელით მიყენებული ქრილობის მიუხედავადაც არ წყვეტდა მუშაობას, ამ
მხრივ საინტერესოა ხელმწიფის კარის დეკანოზის იოაკიმის ძის დავით
მღვდლის მიერ 1726 წელს გადაწერილი სახარების ანდერძი: „ავაზაკთაგან
მოწყულულ ვიყავ და ბეჭნი ჩემნი წყლულ და უსჯულოთა აგარიანთაგან შეტულ
და რაჲც ნაშავე ნახოთ, ნუ ნწყევთ ღის გულისათჳს, არანედ შენდობით-
მომიხსენიეთ“².

მტრის მოძალების გამო ქართველი მწიგნობრები ზოგჯერ თავიანთ
სადგომებს ტოვებდნენ და გარბოდნენ, მაგრამ ლიტერატურულ საქმიანობას
მანც არ წყვეტდნენ. მაგალითად, სულხან-საბა და ზაალ-ზოსიმე ორბელია-
ნები ქვიშხეთში შეეხიზნენ ვ. აბაშიძეს და იქ განაგრძეს ერთობლივი მუშა-
ობა (H № 1429); ზემოხსენებული ნათლისმცემელი მოღვაწე ე. ბარათაშვილი
ახალგორს ეწვია; მან ქსნის ერისთავთა სახლს შეაფარა თავი და იქ განაგრძო
წერა (A № 515, 463 v); სპარსელთა შემოსევის გამო გაქცეული იოანე ოსეს
ძე დუშეთში განაგრძობდა მუშაობას: „ვიდევენდობით რა ტფილისით სპარს-
თაგან ჟამად და ჟამად და ადგილითი ადგილად ვიკუალებოდით და მიმოვეკ-
ვეთებოდით, ვიწყე წერად ამისსა ადგილისა შინა მწირობისა ჩემისასა ქა-
ლაქსა დუშეთს... უფროსლა მუქლთა ზედა... ვჰსწერენ კაბადონნი ამისნი“, —
შენიშნავს ის ერთი წიგნის მინაწერში³ და ა. შ.

სხვათა შორის, ქართველ მოღვაწეებს ზოგჯერ ეპიდემიის მომძლავრე-
ბის გამოც უხდებოდათ სადგომების დატოვება და გახიზვნა, მაგრამ ლიტე-
რატურულ მუშაობას არც ასეთ შემთხვევაში წყვეტდნენ. მაგალითად, 1799
წლის შენოდგომაზე თბილისში გავრცელებული ქირის გამო ბელოთს გაი-
ხიზნა და იქ მუშაობდა ი. ქართველიშვილი⁴, კახეთში განაგრძობდა მუშაო-
ბას ს. მესხიშვილი⁵ და სხვ.

ქართველი მწიგნობრები კულტურულ-საგანმანათლებლო და ლიტერა-
ტურულ-შემოქმედებით მუშაობას განაგრძობდნენ არა თუ ხიზნობაში, არა-
მედ, რაც განსაკუთრებით საყურადღებო და მნიშვნელოვანია, ტყვეობაშიც
კი. მაგალითად, ქეთევან დედოფალი წერდა სპარსელთა ტყვეობაში, შირაზში,
ფ. გორგიჯანიძე — შუშტარში, როგორც ამას მისი ლექსიც მოწმობს:

შუშტარს უბრალოდ ტყვეთ ვიყავ ფარსადან ლექსისწერია,
არა მყავს მშველი, მომვძარე, არც მეფე, არცა ერია...⁶

¹ A № 111, წიგნი IV, 36 r; Опис. рукописей (A), I, გვ. 125.

² ე. თაყაიშვილი, არქ. მოგზაურობანი და შენიშვნანი, II, გვ. 114.

³ A № 292, 407 r—v; Опис. рукописей (A), I, გვ. 293—294. აქ აღარას ვამბობთ
მტრის მოძალების გამო რუსეთს გახიზნულ ქართველ მწიგნობართა საქმიანობაზე. ამ სა-
კითხზე მეორე წიგნში ვისაუბრებთ.

⁴ A № 1303; იოანე ქართველიშვილი, მემუარები, ა. იოსელიანის
გამოკვლევით, რედაქციით და შენიშვნებით, თბ., 1952, გვ. 79—80.

⁵ „ქ. ეს სძლისობრი ქირისაგან რომ ავიყარენით, მაშინ ვსწერე აქა-იქ სოფლებში
და თელავს“, — აწერს ის ერთ ნუსხას (A № 356, 107 v; Опис. рукописей (A), I,
გვ. 354).

⁶ შაქ-ნაგეს ქართული ვერსიები, II, თბ., 1934, გვ. 366.

ტყვეობაში ყოფნისას მ. თავაქალაშვილს გაულექსავს „ზააქიანი“, გადაუწერია „ვეფხისტყაოსანი“ (H № 599), რომლის მინაწერში მორიდებით აღუნიშნავს: „თუ რამ აკლდეს, ნურავინ დამწყველით, ტყვეობაშიდ ესწერდი“ (267 v); ტყვეობაშივე გაულექსავს ბარძიმ ვაჩნაძეს „სამაიანი“; ფრიად წაყოფიერი მუშაობა ჩაუტარებია სპარსელთა ტყვეობაში ვახტანგ მეექვსეს: ტყვეობასა და ექსორიობაში განაგრძობდა კულტურულ-ლიტერატურულ საქმიანობას, კერძოდ, აგიოგრაფიულ-ლიტურგიკულ-ჰიმნოგრაფიული მასალის შეკრებას კათოლიკოსი დომენტი მესამე (1705—1741). 1734—1736 წლებში, უცხოეთში ყოფნისას მას დაუმზადებია ილარიონ ქართველის. იოანე და ექვთიმე ათონელების საკალობლების ნუსხა და შემდეგში. საქართველოში დაბრუნებულს, შეუტანია მის მიერვე შედგენილ კრებულში¹. მისავე ბრძანებით „მდივან-მწიგნობარ-მგალობელმა“ ელისე საგინაშვილმა კ. ტენედოსზე გადაწერა ერთი ნაწილი დიდი კრებულისა². საფიქრებელია, მისი დავალებით იქვე გადაიწერა მეორე საყურადღებო კრებულიც³; მუხურის ციხეში წერდა გ. ა. ბაგრატიონი⁴, პეტროზავოდსკის ციხეში—გ. ი. ბაგრატიონი (H № 2130) და ა. შ.

გაქირვებაში ჩავარდნილ ქართველებს კარგად ესმოდათ, რომ ტირილითა და კენესით არა გამოვიდოდა რა და მოთქმა-ვაგებით მდგომარეობა არ გამოსწორდებოდა. ისინი იმასლა ცდილობდნენ, რომ რაიმე წვლილი შეეტანათ მშობლიური ლიტერატურის ზრდა-განვითარებაში და, ამასთანავე, შემოქმედებით მუშაობაში ჩაეკლათ თავიანთი დარდი. გაქირვებაში ჩავარდნილ მწიგნობართა საერთო აზრია გამოიატული შემდეგ სიტყვებში:

მოდვაწება სჯობს სულისა უდებებითა გდებასა,
რა ძალუძე უქმად ყოფასა, კაცობის სულ დაღებასა,
უსარგებლოსა ტირილსა, მოთქმასა ან გოდებასა⁵

საყოველთაოდ ცნობილია, თუ რა ენერგიულად მუშაობდა ამ სიტყვების ავტორი — რუსეთს გახიზნული და სამშობლოს მოშორებით გულდასერილი არჩილ მეფე.

„ცულად ყოფნა მომეწყინა, სულა ფიქრმა დამალამა, ღონეს ვეძებ ღბენისასა, არამც მოვედღე ამალამა“⁶, — სასოწარკვეთით აცხადებდა პოეტი და შვებას ლიტერატურულ-შემოქმედებით საქმიანობაში პოულობდა. „მოცალეობასა შინა მყოფსა კმუნვა-ნავლლისა მაქარებელად“ არა ერთი ნაწარმოები

¹ A № 176; ე. მეტრეველი, ქართული აგიოგრაფიის კრებული და მისი შემდგენელი, ა. პუშკინის სახელობის თბილისის სახ. პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, VIII, 1950, გვ. 419—420.

² A № 66, 152 r—380 v; Опис. рукописей (A), I, გვ. 65—66; მ. ჯანაშვილი, საისტორიო და საბიბლიოგრაფიო წერილები, წერილი ოდ, „ივერია“, 1900. №№ 190, 191, 195, 198.

³ A № 56; მარტვირი ქართველი (VI—VII სს.) და მისი შრომა „სინანულისათვის და სიმდაბლისა“, კ. ქეკელიძის რედაქციითა და გამოკვლევით, „ლიტერატურული ძიებანი“, III, 1947, გვ. 265, 283.

⁴ ტ. რუხაძე, ქართული ეპოსი „გარდამავალი ხანის“ ლიტერატურაში, თბ., 1939, გვ. 25, 31—32.

⁵ არჩილიანი, I, გვ. 103.

⁶ იქვე, გვ. 140. იხ. აგრეთვე გვ. 97, 132.

დაუწერია სპარსელთა ტყვეობაში ვახტანგ მეექვსეს¹. სხვათა შორის, ჩვენს მწიგნობრებს გაჭირვების ეამს წერა ერთგვარ აუცილებლობადაც კი მიაჩნდათ. საგულისხმოა მ. ბარათაშვილის სიტყვები:

1 ცუდ-ყოფით ფიქრით შეკრულმან და უსაქმობით მარემან,
მაშ რა ჰქმნას მწირმან მწირს ალაგს, სოფლისგან შეუწყნარემან².

კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობაში კლავდნენ თავიანთ დარდს პირადი, ოჯახური მდგომარეობით შეღონებული მწიგნობრებიც. ინტერესს იწვევს „შეხვეტილიანის“ გადამწერის ნ. ჩაჩიკაშვილის ანდერძი: „...ესენი აღეწერე მე ცოდვილმან ჩაჩიკაშვილმან მღვდელმან ნიკოლოზ, რიგი არ იყო ჩემგან ამისი წერისა, მაგრამ ამ მიზეზით, რომ დიად შეწუხებული ვიყავ და მწუხარებისაგან გული დიად შეპყრობილი მქონდა ჩემის სასურველის შეიღების და მეუღლის ამიერ სოფლით გარდაცვალებით. იმის უკან პატრონი და ნუგეში არაეინ მყვანდა და მარტობით ვალამებდი და მათთვის ვსწუხდი, მამულიდამ მტრისაგან გამოვარდნილი ვიყავ და სამწყსო და საყდარი არა მქონდა, რომ მით შევეტეოდო და შემეშავა, ავდეგ და ეს მოვიგონე, ცუდაობას ესევ ვამჯობინე. ბევრი კარგი ანბავი ჩემს წყლულს გულს დაკოდისს მაღამოთ დავადე და ამით უკუვიყრიდი და მწუხარება გამეყრებოდა ხოლმე“³.

ასევე მძიმე მდგომარეობაში იყო თელავიდან გამოძევებული დავით რექტორი 1806 წელს, მაგრამ წერას მაინც განაგრძობდა. განსწავლული მწიგნობარი „ალექსანდრიანის“ მინაწერში გვამცნობს: „კელიასა ვსაჯე მარტო, მრავალთა მწუხარებათაგან გარემოცული, სევდანი შავთა ნავლელთა აღმორძინებდენ, ცუდად ჯდომას ცუდი შრომა ვირჩიე და ესე გარდავენუსხეო“⁴.

ემიგრაციის სიმწვავისა და მოზღვავებული მწუხარების დასაძლევად და გასაქარვებლად ინტენსიურად მუშაობდა ბევრი ქართველი მწიგნობარი, რომელთა აზრია გატარებული ბ. ბაგრატიონის ანდერძში, რომელიც მან მის მიერ გადანუსხულ „სიბრძნე სიცრუეს“ დაურთო: „თუმცალა არა ჯერ იყო ჩემ მიერ წიგნისა ამის აღწერა, გარნა ვინაითგან ვიყავ მწირ მამულით ჩემით დიდსა როსიასა შინა, ამად აღარ მივეც თავი ჩემი უქმობისა მწუხარებასა და მითი განვატიე დრო რაოდენიმე“⁵.

¹ ვახტანგ VI, თხზულებათა კრებული, ა. ბარამიძის რედაქციით, თბ., 1947, გვ. 176.

² ხელნაწერთა ინსტიტუტის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების (S) კოლექციისა, I, შედგენილია და დასაბეჭდად დამზადებული თ. ბრეგაძის, თ. ვნუქიძის, ნ. კასრაძის, ლ. ქუთათელაძისა და ქ. შარაშიძის მიერ, ე. მეტრეველის რედაქციით, თბ., 1959, გვ. 343.

³ Опис. рукописей (S), II, გვ. 552; (A), III, გვ. 87.

⁴ H № 376, 106 v; ხელნაწერთა აღწერილობა (H), I, გვ. 276 (იხ. აგრეთვე S № 136, გვ. 28—29).

⁵ ლ. მეთარიშვილი, ლენინგრადის მ. სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის ქართულ ხელნაწერთა ფონდი, „მნათობი“, 1958, № 3, გვ. 162; სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი, I, გვ. 278.

ამრიგად, ბევრი ქართველი მწიგნობარი მუშაობდა ერთობ მძიმე მდგონარეობაში. როდესაც ვაკვირდებით ჩვენ სახელოვან მწერალთა ცხოვრების გზას, ვრწმუნდებით, რომ ბევრ მათგანს შეეძლო გაემეორებინა ვახტანგ ჭექეჯისის სიტყვები: „ჩემი ჭირი ქვას ჰქონებოდა, დადნებოდა. ჩემი ფიქრი და ნაღველი ზღვის ალაგს აავსებდა“¹.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მდგომარეობის სირთულეს ვერ ჩაუკლავს ქართველთა შემოქმედებითი უნარი, ვერ შეუწყვეტია ლიტერატურული ცხოვრების მაჯისცემა, ვერ ჩაუხშია ქართველთა ინტერესი და სიყვარული მშობლიური კულტურისადმი. ჩვენს სახელოვან წინაპრებს ვერაფერი ვერ აშინებდათ, მათ გულს მომაელის იმედი უნათებდათ. მათ ღრმად სწამდათ, რომ ლიტერატურული საქმიანობა შეიძლებოდა ყოველგვარ პირობებში. მათ არ აშინებდათ ხიზნობა, ტყვეობა, ემიგრაცია თუ ექსორია; მათ არ აშინებდათ მარტოობის ურვა, ჯანმრთელობის შერყევა, მხედველობის დაქვეითება. დაბეჯითებით თვლიდნენ, რომ

სიბრმე უდროოდ კაცს არ აბერებს,

თუ გული მთლად აქვს, კიდევ ამღერებს (დ. გურაძისეული).

ასეთი აზრი ასულდგმულებადთ არა მხოლოდ სახელოვან მწერლებს, არამედ კულტურულ-ლიტერატურული ფრონტის რიგით მუშაკებსაც. მათ კარგად ესმოდათ მათი საქმიანობის მნიშვნელობა, სწამდათ, რომ მათი ნამუშავენი დარჩებოდა, რომ მათი კვალი არ წარიხოცებოდა. მომაელისადმი რწმენით განაგრძობდნენ ისინი კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობას და ამავე რწმენით ურთავდნენ თავიანთ ნუსხებს ასეთ მინაწერებს:

„ქელი მწერლისა მიწასა შინა ლპების და ნაწერნი ჰვიან“ (II № 76, 105 v),

„მშრომელთა კელი მიწდების და ნაშრომი განძად დაშთების“ (II № 507, 77 r),

„მშრომელი წარვალს და ნაშრომი ჰვიეს“ (A № 1048, 703 r) და ა. შ.

ზემოაღნიშნულ მძიმე პირობებში კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა ერთობ ძნელდებოდა და შედეგად ყოველთვის დამაკმაყოფილებელი არ იყო. ქართველი მწერლები და კალიგრაფები სხვებზე არანაკლებ გრძნობდნენ, რომ მათ მიერ ძნელბედობის ხანაში შეთხზული ძეგლები და დამზადებული ნუსხები ყოველთვის სრულყოფილი არ იყო. ამიტომ ისინი ხშირად მორიდებით მოითხოვდნენ პატიებას. „ერთისა და ორისა კლებისათჳს ნუ დაიწუნებთ, სრული გვიან საპოვნელია“,—ავტორიტეტულად აცხადებდა სულხან-საბა ორბელიანი²; „უკეთუ ცდომილი რამე იხილოთ, უდრტყნველად გამართეთ“,—ითხოვდა სვინაქსარის გადამწერი (H № 1028, 422 r); „თუ რაჲნე დაეაკლე ანუ შეემატე უგუნურებით, ნუ დამწყველით“,—წერდა ნ. ჭუმბურიძე (H № 1029, 206 v); „ნუ მწყვეთ უკეთუ იხილოთ რამე წერილი შეცთომილად, მე სიმაართლე ვიმეცადინე და დედანზე აღმოვიკითხე, გარნა უცთომელი მხოლოდ ღმერთი არს“,—აღნიშნავდა ა. მიქაძე (H № 3, 348 r) და ა. შ.

¹ ქილილა და დამანა, გვ. 2.

² ქართული ლექსიკონი, გვ. 465; სიტყვის კონა, გვ. 475.

ანასთანავე ისინი იმასაც აღნიშნავენ. რომ მათ გააკეთეს ყველაფერი, რაც შეეძლოთ. რომ არ დაიშურეს ძალა და ენერჯია, ცოდნა და გამოცდილება ნამუშევართა სრულყოფისათვის. „ვევედრნეთ ჩემთვის ღმერთსა, რადგან არა დამსაჯოს... რამეთუ მე ძალისაებრ ვილუწიდ სიძარტლესა“, — წერდა ეფრემ მცირე¹; „რაოდენ ძალ მედვა, აღვწერე“, — დასძენდა სულხან-საბა ორბელიანი²; „რაცა ოდენ ძალ მედვა და რაცა დედასა ეწერა, სხუა მეტი არა დამიწერია რა, არცა რა ჩამირთავს“, — აცხადებდა ნათანაელ ბედისწერილიშვილი (H № 16, 191 r); „უწყის ღმერთნან, რადგა ოდენ ძალ მედვად. სიძარტლესა ვეცადე“. — წერდა ა. მიქაძე (H № 1030, 303 r); „რაოდენ ძალ მედუა, სიძარტლესა ვსწადნოოდი“, — აღნიშნავდა მღვდელ-მონაზონი გამალიელი (H № 8, 153 r) და ა. შ.

ქველი ქართული წიგნსაცავები

ქართულ მოღვაწეთა ზრუნვას კულტურულ-ლიტერატურული მეგვიდრობის დაცვა-შენარჩუნებასა და ზრდა-განვითარებაზე მოწმობს ის ფაქტიც, რომ ძველ საქართველოში წიგნსაცავების სიმრავლე შეინიშნება. დიდი თუ პატარა წიგნსაცავი არსებობდა ყველა მნიშვნელოვან ეკლესია-მონასტერში, განათლებულ ოჯახში და ა. შ. მათი დაარსებისა და გამდიდრების მიზნით აქტიურად იღვწოდნენ ეკლესია-მონასტრის მესვეურნი თუ ოჯახის განსწავლული წევრები. აღსანიშნავია, რომ ეკლესია-მონასტრების წიგნსაცავების გამდიდრებაზე უკვე მათი დამაარსებლები ზრუნავდნენ. მაგალითად, ილარიონ ქართველმა (IX ს.) „მოიგნა წმიდანი წიგნნი და დასხნა“ მის მიერ აგებულ მონასტერში³; გრიგოლ ხანძთელმა მის მიერ დაარსებულ მონასტერში (უბეუბისი) განაწესა განსწავლული პირი და საფუძველი დაუდგა იქაურ ბიბლიოთეკას⁴; ჯვრის მონასტრის დამაარსებელმა პროხორემ (XI ს.) ახალი სავანისათვის თვენი გადააწერინა იოანე დვალს (ა. ცაგარლით № 36), იოანეს თავის თარგმანება — მიქელ ჩიხუარელს, საბაწმიდის მოღვაწეს (ა. ცაგარლით № 145), გ. ნაზიანზელისა და გ. ნოსელის თხზულებანი — კალიპოსელ ბერებს (ა. ცაგარლით № 144) და ა. შ. აღნიშნული ხელნაწერები მან შესწირა ჯვრის მონასტერს. ხელნაწერთა მინაწერებში საგანგებოდაა აღნიშნული, რომ პროხორემ „ალაშენა მონასტერი ჯუარისაჲ და დასხნა მას შინა ყოველნივე შუენიერნი და კეთილნი წიგნნი საღმრთონი“⁵; ბევრი წიგნი უძღვნა მის მიერ დაარსებულ პეტრიწონის მონასტერს გ. ბაკურიანისძემ (XI ს.)⁶; იტრიის ეკლესიის ამგებმა კათოლიკოსმა დოროთეოსმა (XVI ს.) ახალ ტაძარს შესწირა „წიგნები, რაც ერთს მონასტერს მოუნდების, ყუელა კარგი და პატი-

¹ რ. ბ ლ ე ი კ ი, ეფრემ მცირის ლიტერატურული მოღვაწეობიდან, „მიმომხილველი“, I, 1926, გვ. 165; საქმე მოციქულთა, გვ. 031.

² ქართული ლექსიკონი, გვ. 01; სიტყვის კონა, გვ. 10.

³ ათონის კრებული, გვ. 78—79.

⁴ TPA-ΓΦ, VII, 1911, გვ. კვ.

⁵ ნ. მ ა რ ი, იერუსალიმის ქართულ ხელნაწერთა მოკლე აღწერილობა, გვ. 18.

⁶ M. Tarchnisvili, Typikon Gregorii Bacuriani, Louvain, 1954, გვ. 74.

ოსანი¹: ქვემო ქართლში, სოფ. ტანძიანი ვასტანგ (ორბელ) ორბელიანმა ააგო კარის ეკლესია და წარავლად უბოძა წიგნები² და ა. შ.

ეკლესია-მონასტრების წიგნსაცაეების გამდიდრებაზე ზრუნავდნენ არა მხოლოდ მათი დამაარსებლები, არამედ განმაახლებლებიც. შეგვიძლია დავიმოწმოთ არა ერთი საბუთი. მაგალითად, მელქისედეკ კათოლიკოსის ანდერძი სვეტიცხოვლის ტაძრისადმი, რომელიც, აკად. ნ. ბერძენიშვილის დაკვირვებით, 1031—1033 წლებშია შესრულებული, ხოლო მასში შეტანილი „დაწერილი“, მისი პირვანდელი სახით, მელქისედეკს ჯერ კიდევ 1029 წელს დაუწერია³. ამ საინტერესო დოკუმენტში მელქისედეკი ჩამოთვლის იმ წიგნებს, რომლებიც მას მოუპოვებია მის მიერ განახლებული სვეტიცხოვლისთვის. აქ დასახელებულია სახარება, იოანეს გამოცხადება, ანდრია სალოსის ცხოვრება, დავითის თარგმანება, მრავალთაფი, რჯულისკანონი, მოწამეთა წიგნები, მარხვანი, მათიანენი და სხვ. სულ 25 წიგნი⁴. მელქისედეკის საბუთი მრავალმხრივ საინტერესოა, ის ნათლად გვიჩვენებს მე-11 საუკუნის ქართული მწერლობის სურათს და გვაცნობს ტაძრის განმაახლებლის ზრუნვას მისი წიგნსაცაეის გამდიდრებაზე⁵.

ბევრი წიგნი შეუწირავთ ლარგვისის მონასტრისათვის მის განმაახლებლებს გრიგოლ ბანდაისძესა (პარაკლიტონი, სამოციქულო, გულანი და სხვ.)⁶ და შალვა ერისთავს⁷, ლაბეჭინის მონასტრისათვის — გიორგი ლაბეჭინელს (მეტაფრასი, სვინაქსარი, მარხვანი, საწინასწარმეტყველო და ა. შ.)⁸.

ცალკე უნდა აღინიშნოს ის დიდი სამუშაო, რომელიც ამ მიმართულებით ჩაუტარებია გარეჯის „მეორედ მაშენებელს“, ძველი ქართული საფანის აღმდგენელს ონოფრე მაქუტაძეს. არა ერთი საბუთიდან ჩანს, რომ ონოფრეს არა მარტო სენაკები, კოშკები და სხვა ნაგებობანი აუშენებია თუ განუახლებია, არამედ მონასტრის წიგნსაცაეიც გაუმდიდრებია. ო. მაქუტაძის ერთი საბუთით, 1712 წელს დავით გარეჯის წიგნსაცაეში ყოფილა მრავალი წიგნი (სახარება, სამოციქულო, გულანი, მეტაფრასი, კლემაქსი, მამათა ცხოვრება, პარაკლიტონი, კურთხევანი, დავითნი, ნინოს ცხოვრება, ბალავარიანი, ასურელ მოღვაწეთა ცხოვრებანი და მრავალი სხვა)⁹. განსწავლული წინამძღვარი საგანგებოდ განმარტავს თუ რად მოუყარა თავი ამდენ წიგნს: „ეს ამდონი წიგნები ამისთვის დავაწყე აქა, რომ ან წინამძღვარი და ან მისის კრებუ-

¹ საქ. სიძველენი, III, გვ. 127.

² ე. თაყაიშვილი, სწიხით-საორბელოს ძეგლების წარწერები, I, „კავკასიონი“ (პარიზი), № 1—2, 1929, გვ. 93—94; შდო. ქრონიკები, II, გვ. 497.

³ ნ. ბერძენიშვილი, მცხეთის საბუთი XI საუკუნისა, საქართველოს მუზეუმის ნოანბე, VI, 1931, გვ. 229—296.

⁴ იქვე, გვ. 299—290; ქრონიკები, II, გვ. 32—33 (შდრ. I, გვ. 183—184).

⁵ ე. თაყაიშვილი, მცხეთის დოკუმენტი XI საუკუნისა და მისი ცნობები ქართული მწერლობის შესახებ, იტიუდები, I, გვ. 238—249; იხ. აგრეთვე ე. მუსხელიშვილი, მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძრის უძველესი წარწერები და მისი დამოკიდებულება მელქისედეკ კათოლიკოსის ანდერძთან, „ქართული ხელოვნება“, I, 1942, გვ. 133—142.

⁶ ქრონიკები, II, გვ. 204—205.

⁷ საქ. სიძველენი, III, გვ. 557—558.

⁸ იხ. მისი ანდერძი A № 1563, 272 r—275 v: ხელნაწერთა აღწერილობა (A), V, გვ. 78; ე. თაყაიშვილი, არქ. ექსპედიცია ლენინგრადში 1910 წელს, გვ. 16—22.

⁹ ქართლ-კახეთის მონასტრების საბუთები, გვ. 57—60, 62—63.

ლისაგან ვინმე რომ სოფლად წავიდენ სადნე მონასტრის სამსახურზე, თვითო კელი წიგნები თან იღვენონ; მონასტერში ხომ წიგნები არა აკლია-რა¹.

ეკლესია-მონასტრების წიგნსაცავები მდიდრდებოდა უხვი შეწირულებით, რომელსაც უშურველად იღებდნენ მეფე-დიდებულები, კათოლიკოს-ეპისკოპოსები, წინამძღვრები და ბერები. თითქმის ყველა ეკლესია-მონასტერი იღებდა წიგნებს შეწირულების სახით. ეს იმდენად გავრცელებული მოვლენა გახლდათ, რომ ამჯერად მაგალითის მოხმოზა ზედმეტად მიგვაჩნია. ქვემოთ თითქმის ყველა ეკლესია-მონასტრის შესახებ საუბრისას შევჩერდებით ამ საკითხზეც. აქ მხოლოდ ერთ მომენტზე გვსურს ყურადღების გამახვილება. ხელნაწერი წიგნების შემწირველთ, რასაკვირველია, სხვადასხვა მიზანი ამოქმედდებდათ. ზოგი მხოლოდ ეკლესიის მსახურთა მიერ მისი სახელის მოსენიებაზე ფიქრობდა და ამისთვის იღვწოდა, ზოგიერთი კი ამა თუ იმ ეკლესია-მონასტრის წიგნადი ფონდის გამდიდრებაზე ზრუნავდა (მაგალითად, გიორგი შავმთელი, ნიკოლოზ ორბელიანი, ამბროსი წილენელი და მრავალი სხვ.). ათონის მთის ერთ ხელნაწერში, რომელშიც სვიმეონ მესვეტის დედის მართასა და ბარლაამის ცხოვრებანია შემონახული, ყურადღებას იპყრობს ერთი საინტერესო ანდერძი: „მე, გლახაკა ბერსა გიორგი დაყუდებულსა, მასმოდა ვითა ესე წისა და დიდებულისა ნტრისა მართჲს ცხორებაჲ და წისა ბარლაამისი მთაწმიდას არა არსო და ამის ჯერისათჳს ვინებე აღწერაჲ ამისი და მავას წა ეკლესიასა შემოწირვაჲ“². როგორც ჩანს, გიორგი შავმთელს, რომელიც მე-11 საუკუნეში მოღვაწეობდა პალესტინის ქართულ სავანეში — „მახლობელად მონასტერსა წისა სჳმეონ საკჳრეელთმოქმედისასა“, გაუგია ათონის ივერიის მონასტრის წიგნსაცავის ნაკლებობა და უცდია მისთვის ერთგვარი დახმარების აღმოჩენა. ასეთი შემთხვევა მრავლადაა ცნობილი. ბევრი მოღვაწე ენერგიულად ცდილობდა „ჟამთა ვითარებისაგან“ განადგურებული სამონასტრო წიგნსაცავების შევსებასა და გამდიდრებას. მაგალითად, ნიკოლოზ ორბელიანმა დოდოს მონასტერს შესწირა მოზრდილი კრებული, რადგან „ჟამთა ვითარებისაგან მონასტერნი მოხრებულ იყვნეს და ყოველნი წიგნნი უჩინო ქნნილ იყვნეს“³. სხვათა შორის, რადგან „ჟამთა ვითარებისაგან უდაბნო იგი უსჯულოთა მიერ იავარ ქნნილ იყო“, გ. დადიანმაც შესწირა ერთი გულანი⁴. მრავალმხრივი შეწირულების შედეგად ბევრ მონასტერში შეიქმნა დიდი ბიბლიოთეკა. რასაკვირველია, ამისათვის მხოლოდ შეწირულება არ კმაროდა, ამა თუ იმ სავანის მოღვაწენი თვით იღებდნენ აქტიურ მონაწილეობას წიგნსაცავის გაზრდაში, ამ მიზნით ამრავლებდნენ ნუსხებს, იძენდნენ ხელნაწერებს და ა. შ. აღნიშნულის შედეგად შეიქმნა მდიდარი ბიბლიოთეკები საბაწმიდასა და სინას მთაზე, იერუსალიმის ჯერის მონასტერსა და ათონზე, გარეჯასა და შიომღვიმეში, მცხეთასა და გელათში, თბილისში და სხვ. შემთხვევითი არაა ის გარემოება, რომ ჩვენ სიძველეთსაცავების ხელნაწერთა ფონ-

¹ ქართლ-კახეთის მონასტრების საბუთები, გვ. 63.

² Н. Марр, Археологические материалы по грузинским рукописям Ивѳра, ЗВОРАО, XIII, 1901, გვ. 45.

³ А № 140, გვ. 164; Опис. рукописей (А), I, გვ. 148.

⁴ ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა და გურია-ოდისის სამთავროებისა (1466—1770 წწ.), I, ტექსტი გამოსცა, წინასიტყვაობა და სიძველეები დაურთო შ. ბურჯანაძემ, თბ., 1958, გვ. 153 (ქვემოთ — ისტ. დოკუმენტები).

დები დასახელებული პუნქტებიდან შემოსული ნუსხებითაა გამდიდრებული. ბევრი ხელნაწერია შემოსული აგრეთვე ალავერდიდან, ნეკრესიდან, შატბერდიდან, ქვათახევიდან, რუისიდან, ლარგვისიდან, მარტვილიდან, ჯრუჭიდან და ა. შ.

როგორც წყაროებიდან ჩანს, ეკლესია-მონასტრებთან წიგნსაცავეები უკვე აღრეულ ხანაში დაუარსებიათ. მაგალითად, სინას მთაზე, როგორც აკად. ნ. მარის მიერ მიკვლეული კატალოგი ცხადყოფს, უკვე მე-10 საუკუნეში მრავლად ყოფილა ქართული წიგნები (სახარება, სამოციქულო, კურთხევანი, იადგარი, ქართლის მოქცევა, მრავალთაფი და სხვ.). კატალოგში ჩამოთვლილია 20-ზე მეტი სახელწოდების წიგნი (52 ეგზემპლარი)¹.

სინას მთის ერთი ხელნაწერის (ა. ცაგარლით № 54; ი. ჯავახიშვილით— № 77) მინაწერიდან უცილობლად ირკვევა, რომ იქაურ ქართველებს ბიბლიოთეკა ჰქონიათ; წიგნებისათვის სპეციალური ოთახიც ყოფილა გამოყოფილი. მსურველს იქ შეეძლო ესარგებლა წიგნით, მაგრამ მისი გატანა აკრძალული იყო. მინაწერში ამის თაობაზე ვკითხულობთ: „ვინცა ესე წიგნი ქართველთა ეკლესიით გამოიღოს, ანუ სხ^{სა} ეკლ^{სიასა} წაიღოს, ანუ გაღმა გაიღოს, ანუ სენაკსა შ^ა დაიდვას, ანუ ეკლესიისა სენაკსა შ^ა დამალოს, კრულმცა არს ც^{თა} შ^ა... ისხ^ნ საწიგნეთა ზ^ა, ვის ონდენ (!), იგმარ^ნს, ვის არა, —მშვდობ^დ მის თ^ა.“² როგორც ჩანს, ხელნაწერი წიგნები ერთ ადგილას ინახებოდა და იქიდან გატანა აკრძალული ყოფილა, მსურველს შეეძლო ადგილზე გაეცნო იგი.

სინას მთის სხვა ქართული ხელნაწერის (ა. ცაგარლით № 55; ნ. მარით № 67) მინაწერით ჩვენ ვეცნობით იქ კერძო ბიბლიოთეკის არსებობის საინტერესო ფაქტსაც. ერთი ქართველი ბიბლიოთეკი ანდერძში წერს: „უკუეთუ შემდგომად ჩემისა სკდლისა ჩ^{მისა}(!) კაცი ქართველი სწავლული შემოვიდეს აქა, რომელ იგმარებდეს, ვითა რაჟცა მ^ს ჟამსა წიგნი ჩემი იპოოს, ყ^{ნი} მ^ს მიეცეს უნ^კლულდ და ეგ^{თვე} მ^ნ ს^ხთა დაუტეოს. და უკ^{თუ} ამათ ორთა ჩ^{მთა} ბერთაგ^{ნი} ც^ცხლ იყოს, მ^თ იზრუნონ. და თუ არა ვინ იყოს მთ^{გნი} და არცა ვ^ნ აქა შ^მვდეს სწ^ვლული, ვისცა ღ^ნ არწმუნოს, გ^ნყიდნეს და ფასი გ^ლხცთა გ^ნუყოს და მ^ღდლთა, რ^მ მ^ღლითა ღ^გთა ნ^ნსტ^რნი სავსენია წიგნითა და არა სადა უწყი ნკლ^ლევანი“³.

ჩვენთვის ცნობილია აღრეულ ხანაში არსებული სხვა ბიბლიოთეკებიც. ძველთაგანვე „დიდი წიგნის საცავე“ არსებობდა ათონის ივერიის მონასტერში (A № 1335, 266 v). მე-18 საუკუნეში ტ. გაბაშვილიც აღნიშნავდა: „წიგნის საცავესა (ათონის) მონასტრისასა არს ძველი ქართული წიგნი მრავალიო“⁴; ტბეთის წიგნსაცავეშიც „ძუძლნი წიგნნი მრავალნი“ ყოფილა (ი. № 929, 289 r); გელათის მონასტრის ბიბლიოთეკის სინდიდრეს განუცვიფრებია რუსი ელჩები — ნ. ტოლოჩანოვი და ა. იველევი⁵ და ა. შ.

¹ Н. Марр, Предл. отчет о работах на Синае., СРПО. т. XIV, № 5, ст. 44—45; მისივე, Описание грузинских рукописей Синайского монастыря, გვ. 267—268.

² ი. ჯავახიშვილი, სინის მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, გვ. 124.

³ Н. Марр, Описание грузинских рукописей Синайского монастыря, გვ. 168.

⁴ ტ. გაბაშვილი, მიმოსლვა, გვ. 043, 0206—0207, 21, 22, 106.

⁵ Посольство стольника Толочанова и дьяка Ивлева в Иверию (1650—1652). Документы издад и введенном списани М. Полиевктов, Т., 1926, გვ. 149.

სამონასტრო ბიბლიოთეკების წიგნადი ფონდი მდიდარი ყოფილა გვიან ხანაშიც. მაგალითად, შიომღვიმის მონასტერში 1804 წელს იმდენი ხელნაწერი იყო, რომ, თვითმხილველის ცნობით, 10 ურემიც ვერ დაიტევდა. ბევრი წიგნი იქიდან არქ. კესარიოსმა გადმოიტანა თბილისის ფერისცვალების მონასტერში¹, მაგრამ მაინც მრავალი დარჩა ადგილზე და შემდეგში ჩვენს სიძველეთსაცავს მოემატა².

გარეჯის წიგნსაცავის მდგომარეობა 1712 წლისათვის ჩვენ ზემოთ მოვიხსენიეთ. მოლწეულია მე-18 საუკუნის 60-იანი წლების დოკუმენტი, რომლითაც ვგებულობთ, რომ ქრისტეფორე ქარეშიძის წინამძღვრობისას გარეჯაში კვლავ მდიდარი ბიბლიოთეკა არსებულა, იქ 80-ზე მეტი წიგნი ყოფილა³. გასულ საუკუნეში 1886 წელს გარეჯაში 110 ხელნაწერი წიგნი ნახა პ. კარბელაშვილმა⁴.

არა ერთი საბუთი იხსენიებს „საუნჯეთა წიგნის საცავთა მცხეთისა ეკლესიისათა“ (S № 252-ბ; A № 201; H № 1283; Q № 71). ერთი ცნობით, ანტონ პირველს მცხეთის ტაძარში 7000-დე წიგნი ჰქონდა⁵ (მდიდარი ბიბლიოთეკა ჰქონია ანტონ მეორესაც⁶). სხვათა შორის, არსებობს ცნობა, რომ ვახტანგ მეექვსის დროს თბილისის სიონთანაც არსებობდა სპეციალური წიგნსაცავი, რომელშიც ძველი ხელნაწერები ინახებოდა⁷. წიგნსაცავები არსებობდა სხვა ეკლესია-მონასტრებთანაც⁸. საკულისხმოა, რომ ეკლესია-მონასტრებში ინახებოდა არა მხოლოდ სასულიერო-საეკლესიო შინაარსის წიგნები, არამედ სამოქალაქო ისტორიისა და სხვ⁹. დიდი ბიბლიოთეკის დაარსებას და იქ როგორც სასულიერო-საეკლესიო, ისე საერო-მხატვრული ძეგლების

¹ „დროება“, 1879, №№ 189, 193.

² შიომღვიმის ბიბლიოთეკაზე იხ. П. Иоселиани, Описание Школывимской пустыни в Грузии, Т., 1845, გვ. 40—48; ტ. ალექსი შვილი, უდაბნო ღირსისა... შიომღვიმისა, „საქართველოს სასულიერო მახარობელი“, 1864, IX, გვ. 84.

³ ქართლ-კახეთის მონასტრების საბუთები, გვ. 113—114.

⁴ პ. კარბელაშვილი, კატალოგი და ვით გარესჯის უდაბნოს ძველის ხელნაწერის წიგნებისა, შედგენილი 4 თებერვალს 1886 წელს, „ივერია“, 1886, № 159; მისივე, საისტორიო და საბიბლიოგრაფიო მინაწერები და ვით გარესჯის უდაბნოს ტყავზედ ნაწერი ხელნაწერებისა, „ივერია“, 1889, №№ 26, 28, 30, 32.

⁵ თ. ვორდანიძე, მთაწარისკოპოსოს იოსებ სამეხელი და ქართულის სტამბის საქმე XVIII საუკუნეში, „ივერია“, 1884, III, გვ. 89; А. Цыгарели, Сведения, ტ. I, ნაკვ. 1, გვ. V. გასული საუკუნის 70-იან წლებში მცხეთის დიდ ტაძარში 70-ზე მეტი ძვირფასი ხელნაწერი ინახებოდა („დროება“, 1879, № 175).

⁶ ანდერძი ანტონ II საქართველოს კათოლიკოსისა, დ. ფურცელაძის გამოცემა, თბ., 1890.

⁷ ხ. მთაწმინდელი, მთვარამეტე საუკუნის მწიგნობრობა საქართველოში, „დროება“, 1878, № 111.

⁸ ი. ჯავახიშვილი, ქართული პალეოგრაფია, გვ. 83—90; ა. როგავეა, სახალხო განათლება ერეკლე მეორის ხანის ქართლ-კახეთში და ანტონ პირველი, თბ., 1950, გვ. 150—160.

⁹ А. Натроев, Млхет и его собор Святи-Цховехи (историко-археологическое описание), Т., 1900, გვ. XIX—XX; მ. ჯანაშვილი, ქართველთა მატრიანე, თბ., 1905, გვ. 35 (იხ. აგრეთვე საქ. სიძველენი, I, გვ. 63).

თავმოყრას ითვისისწინებდა ი. ბაგრატიონის პროექტი¹, მაგრამ ძველ საქართველოში მისი განხორციელება აღარ მოხერხდა.

ეკლესია-მონასტრების წიგნსაცავებზე საუბრისას უნდა აღინიშნოს შემდეგი მომენტიც: მონასტრების წინამძღვრები ზრუნავდნენ რა წიგნსაცავების გამდიდრებაზე, განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდნენ მონასტრის დამაარსებლის ცხოვრების აღწერილობას და ხშირად ასეთი წიგნების შექმნის ინიციატორებადაც კი გამოდიოდნენ. ასე, მაგალითად, ხანძთის წინამძღვრის თედორეს ინიციატივით დაიწერა გ. ხანძთელის ცხოვრება², ზედაზნის წინამძღვრის მიქელის ინიციატივით—ანასეული იოანე ზედაზნელის ცხოვრება³, ონოფრე გარეჯელის ინიციატივით—დავით გარეჯელის ცხოვრების მეტაფრასული რედაქცია⁴ და ა. შ. არაა ინტერესმოკლებული ის ფაქტიც, რომ ქართველი მოღვაწენი არა მხოლოდ საქართველოში არსებულ ეკლესია-მონასტრების წიგნსაცავებისადმი იჩენდნენ ინტერესს და გულმოდგინედ ზრუნავდნენ მათ გამდიდრებაზე, არამედ ყურადღებით ეცნობოდნენ უცხოეთში არსებულ ბიბლიოთეკებს და ეძებდნენ იქ დაცულ ქართულ წიგნებსაც: რომში, პაპის „სამწიგნობროში“, ქართულ ხელნაწერებს ეძებდა სულხან-საბა ორბელიანი⁵, ათონის წიგნსაცავში—ტ. გაბაშვილი⁶, ი. გედევანიშვილი⁷ და სხვ.

ეკლესია-მონასტრებს გარდა დიდი ბიბლიოთეკები არსებობდა სამეფო ქარზეც, ბევრი წიგნი ჰქონდათ განსწავლულ ბატონიშვილებს (საყოველთაოდ ცნობილია თეიმურაზ ბატონიშვილის წიგნსაცავის კატალოგი)⁸. მრავალი ხელნაწერი ინახებოდა დადიანების⁹, გურიელების¹⁰, ალექსი-მესხიშვილებისა¹¹

¹ ი. ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი, სჯულდება (ქართლ-კახეთის სამეფოს საბელმწიფოებრივი რეფორმების პროექტი), ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ი. ს უ რ გ უ ლ ა ძ ე მ, თბ., 1957, გვ. 57.

² ТРА-ГФ, VII, 1911, გვ. VI.

³ ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები, გვ. 4.

⁴ იქვე, გვ. 145.

⁵ ს უ ლ ხ ა ნ - ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, თხზულებანი, I, გვ. 183.

⁶ ტ. გაბაშვილი, მიმოსლვა, გვ. 51.

⁷ მიმოსლვა ანუ მგზავრობა იონა რუისის მიტროპოლიტისა, პ. ი. ო ს ე ლ ი ა ნ ი ს გა-მოცემა, თბ., 1852, გვ. 34.

⁸ Catalogue de livres géorgiens tant imprimés que manuscrits, anciens et modernes. Recueil des actes de la séance publique de l'Académie Imp. des Sc. de SPb., 1838; А. Ц а г а р о з и, Сведения, т. I, ნაკვ. III, გვ. 149—186; თეიმურაზ ბატონიშვილის წიგნსაცავის კატალოგი, დამზადა გამოსაცემად, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ს. ი ო რ დ ა ნ ი შ ვ ი ლ მ ა, თბ., 1948. ცნობილია აგრეთვე ი. გ. გრუზინსკის კატალოგი (А. Ц а г а р о з и, Сведения, т. I, ნაკვ. III, გვ. 188—238).

⁹ უგანათლებულესის თეოდის ნიკოლოზის დავითის ძის მენგრელიისა მიერ საქართველოში წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისადმი შემოწირულთა წიგნთა სია, „ივერია“, 1885, № 12, გვ. 89—97; А. Ц а г а р о з и, Сведения, т. I, ნაკვ. III, გვ. 238—245. იხ. აგრეთვე დ. ბ ა ქ რ ა ძ ე, ბიბლიოთეკა თ. ნიკოლოზ სამეგრელოსისა, „დროება“, 1885, № 85.

¹⁰ ხ ო ტ ვ ე ე ლ ი, საბიბლიოგრაფიო წერილი, „ივერია“, 1889, № 138; ე. თ ა ყ ა ი - შ ვ ი ლ ი, ზოგიერთი ძველი ხელნაწერის შესახებ, „ივერია“, 1891, № 89; მ ი ს ი ვ ე, წერილი რედაქციის მიმართ, „ივერია“, 1891, № 229.

¹¹ ნ. მ ა რ ი, სია ხელნაწერებისა, რომელიც შესწირა „წერა-კითხვის საზოგადოებას“ ა. ბ - მ ა მ. დ. ალექსი-მესხიშვილმა, „ივერია“, 1888, № 236, 238—240, 254.

და სხვ. ოჯახებში. არა ერთმა ხელნაწერმა მოაღწია ერისთავების¹; წერეთლების², ქავკავაძეების³, ყიფიანების⁴, ვაჩნაძეების⁵, აბაშიძეებისა⁶ და სხვ. ოჯახებიდან. მართებულად შენიშნავდა ს. დოდაშვილი (1805—1836): „მრავალთა თავადთა აქენდათ მცირელი ბიბლიოტიკა წიგნთა ბუნებითა ენასა ზედა თვისაო“⁷.

გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით ქართველი მოღვაწენი მინაწერებში ხშირად აღნიშნავდნენ თუ ვის საკუთრებას წარმოადგენდა ესა თუ ის ხელნაწერი. მაგალითად, ბევრ წიგნს აქვს ასეთი წარწერა: „საქართველოს მეფის ძის იოანესი არის წიგნი ესე“. ანალოგიური წარწერა მფლობელის სახელის აღნიშვნით დაუტავს მრავალ ხელნაწერს (H №№ 913, 1341, 2106, 2143, 2165, 2166, 2176, 2250, 2333, 2350; Q № 549 და ა. შ.).

ძველ საქართველოში ხელნაწერ წიგნებს რომ დიდ პატივს სცემდნენ და ჯეროვნად აფასებდნენ, ეს არა მარტო იქიდან ჩანს, ყველა განათლებულ ქართულ ოჯახს რომ საკუთარი ბიბლიოთეკა ჰქონდა, არამედ იქიდანაც, რომ ძველად ჩვენში ერთგვარ აუცილებლობად იყო მიჩნეული გასათხოვარი ქალისთვის მზითვევში ხელნაწერი თუ ნაბეჭდი წიგნების გატანება. სათანადო ცნობებს ქარბად ვიღებთ იმ დოკუმენტებიდან, რომელთაც მე-17—18 საუკუნეებიდან მოუღწევიათ.

პირველ რიგში უნდა მოვიხსენიოთ მზითვის წიგნი ქსნის ერისთავის ასულის ანასი, რომელიც მიათხოვეს სარდალ ლუარსაბ ორბელიანს⁸. გამომცემელი ამ წიგნს 1692—1703 წლებით ათარიღებდა⁹, ი. ლორთქიფანიძემ კიდევ უფრო დააზუსტა ქრონოლოგია და აღნიშნული დოკუმენტი 1696—1701 წლებს მიაკუთვნა¹⁰. ამ წიგნიდან ჩანს, რომ ანას მზითვევში წაუღია

¹ მ. ჯანაშვილი, წერილი რედაქციის მიმართ, „ივერია“, 1891, № 165; მ. ხელაშვილი, საისტორიო მასალა, „მწყემსი“, 1894, № 10, გვ. 13—16; ე. თაყაიშვილი, არქ. მოგზაურობანი და შენიშვნანი, I, გვ. 273—396. რ. ერისთავისეულია S №№ 1726—1746 და სხვ. ხელნაწერები.

² ხოტეველი, საბიბლიოგრაფიო წერილი, „ივერია“, 1889, № 138.

³ ი. ქავკავაძისეულია S №№ 22—25, 32, 4988; Q №№ 552, 553 და სხვ. ხელნაწერები (შდრ. ლ. მენაბდე, ი. ქავკავაძე და ძველი ქართული მწერლობა, თსუ შრომები, ტ. 69, 1958, გვ. 69).

⁴ „დროება“, 1881, № 236.

⁵ კილილა და დამანა, ი. კუონიას რედაქციით, თბ., 1886, გვ. IV.

⁶ „ქვალი“, 1895, № 27, გვ. 3.

⁷ ს. დოდაშვილი, მოკლე განხილვა ქართულისა ლიტერატურისა ანუ სიტყვიერებისა, „სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანი“, 1832, № 2, გვ. 32 (= ქართული ლიტერატურული კრიტიკის ისტორიისათვის, კრესტომათია, I, შეადგინა, წინასიტყვაობა, შესავალი, შენიშვნები და საძიებელი დაურთო ს. ხუციშვილმა, თბ., 1954, გვ. 28; მ. გოცაძე, პირველი ქართული ეურნალი, „საისტორიო მოამბე“, VI, 1952, გვ. 275; ს. დოდაშვილი, თხზულებანი, თბ., 1961, გვ. 203).

⁸ საქართველოს სიძველენი, II, ე. თაყაიშვილის რედაქტორობით, თბ., 1909, გვ. 429—435. შდრ. პ. იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, ა. გაწერელიას შესავალი წერილებით, რედაქციითა და შენიშვნებით, თბ., 1936, გვ. 31.

⁹ საქ. სიძველენი, II, გვ. 430; შდრ. ი. ჯავახიშვილი, ქართული პალეოგრაფია, გვ. 41.

¹⁰ ი. ლორთქიფანიძე, კვებო ქართლი XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში ნაწ. I და II, წყაროების გამოკვლევა და საგეოგრაფიო ცნობები, თბ., 1935, გვ. 68.

რამდენიმე ხელნაწერი სასულიერო-საეკლესიო ხასიათისა (დავითნი, ჟამნი და სხვ.)¹. თუ ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს მხოლოდ სასულიერო-საეკლესიო ხასიათის წიგნების წაღებასთან, სხვა ანალოგიური დოკუმენტები გვამცნობენ მზითვეში საერო-მხატვრული თხზულებების წაღების ფაქტებსაც. ასე, მაგალითად, ქსნის ერისთავის ასულ ელენეს, რომელიც ქაიხოსრო ავალიშვილს მიათხოვეს 1713 წელს, მზითვეში წაუღია როგორც სასულიერო-საეკლესიო შინაარსის წიგნები („სამლო წიგნებისაგან: სახარება, დავითნი ჳელით ნაწერი, ვერცხლის ბირკებითა, ჟამნი ერთი ჳელით ნაწერი, პატარა ჟამნი, სტამბისა ჟამნი ერთი, ყოვლად წმინდის სავედრებელი ერთი, წმინდის მარინას ცხორება ერთი, სარწმუნოება ერთი“), ისე საერო-მხატვრული ძეგლებიც („გარეშეს წიგნისაგან: ვეფხისტყაოსანი, ზილიხანიანი ერთი, ირღუბტიანი ერთი“); სულ 11 ხელნაწერი თუ ნაბეჭდი წიგნი².

უფრო მეტად საინტერესოა მზითვის წიგნი ვახტანგ მეექვსის ასულის ანუკა ბატონიშვილისა, რომელიც 1712 წელს მიათხოვეს ვახუშტი აბაშიძეს³. ანუკას კიდევ უფრო მეტი წიგნი წაუღია მზითვეში. სათანადო დოკუმენტში ვკითხულობთ: „სახარება ერთი, კიდემე სახარება სტამბისა ერთი, სამოციქულო სტამბისა ერთი, ჟამნი სტამბისა ერთი, დავითნი სტამბისა ერთი, ჳელით დაწერილი პატარა დავითნი ერთი, სტამბის მხედრული დავითნი ერთი, სარწმუნოების სტამბის წიგნი ერთი თავისის ოქროქსოვილის ბოხჩე-ბითა... საეროს წიგნებისაგან: ვეფხისტყაოსანი ერთი, ჯაზულით დახატული ერთი, ლეილმეჯნური ერთი, უსუფზილიხანიანი ერთი, საამიანი ერთი“⁴.

აქვე უნდა მოვიხსენიოთ მზითვის წიგნი ელისაბედ ბატონიშვილისა (ეს უნდა იყოს ერეკლე მეორის და, რომელიც 1765—1766 წწ. შითხოვდა კაცია დადიანს). ელისაბედს მრავლად წაუღია სასულიერო-საეკლესიო შინაარსის წიგნები (სახარება, სამოციქულო, ჟამნი, ნინოს ცხოვრება და ა. შ.), „წიგნნი გარეშე სათილოსოფოსნი“ (გრამატიკა, რიტორიკა, დიალექტიკა და სხვ.), „ზლაპარის წიგნები შესაქცევი“ (ჩარდავრიშანი, შირიანი, ყარამანიანი, ვისრამიანი, სიბრძნე სიცრუისა, დიფნის ქალაქის ამბავი), „გარეშე წიგნისაგან“: „ქართლის ცხოვრება“, ლექსიკონი, „ვეფხისტყაოსანი“, „ლეილმეჯნურიანი“, „იოსებზილიხანიანი“, „ვარდბულბულიანი“, „სარკე თქმულთა“ და ა. შ.⁵

¹ სასულიერო-საეკლესიო შინაარსის წიგნები წაუღიათ მზითვეში მანუჩარ თუმანიშვილის ასულს ბარბალეს (Hd № 7799), იოსებ ორბელიანის ასულს ნინოს (Hd № 7144), გაბრიელ მალალაშვილის ასულს სოფიოს (Ad № 1665), მარიამ თარხან-მოურავს (Hd № 4202), სარდალ იოანე ორბელიანის ასულს ელენეს (Q № 369) და სხვებს (მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის, III (აღმშენებლობა, სახელმწიფო ეკონომიკა, კონება), მასალები შვარჩია და გამოსაცემად მოამზადა ნ. ბერძენიშვილმა, თბ., 1955, გვ. 406, 484, 513, 521; ქვემოთ—მასალები).

² საქ. სიძველენი, III, გვ. 492—501.

³ ეს ომ, მზითვის წიგნი ანუკა ბატონიშვილისა და მისი განმარტება, „ივერია“, 1889-90 № 234, 235; საქ. სიძველენი, III, გვ. 477—491.

⁴ საქ. სიძველენი, III, გვ. 483.

⁵ H № 1052; ს. ბარნაეელი, ელისაბედ ბატონიშვილის მზითვის წიგნი, საქართველოს სახ. მუზეუმის მოამბე, X—B, 1940, გვ. 205—222; იხ. აგრეთვე Н. Эрнстов — Шервашидзе, Клятва о приданом царевны Няны Георгиевны, М., 1916.

სასულიერო-საეკლესიო შინაარსის ძეგლებთან ერთად საერო-მხატვრული თხზულებანი წაუღიათ მზითევში მარიამ დადიანს (H № 2507, 21 r), ბერი წულუკიძის ასულს¹, იოანე დოლენჯის შვილის ასულს² და სხვ. ელენე თაზი-შვილს მზითევში წაუღია „ბარამგულანდამიანი“ (H № 1002), ზაალ ორბელიანის ასულს მარიამს—„ამირანდარეჯანიანი“ (S № 393), ხახული აბაშიძის ასულს ნინოს — „ვეფხისტყაოსანი“ (Q № 779) და ა. შ.

ამრიგად, ძველი ქართული განათლებული ოჯახი გათხოვებისას თავის ქალიშვილს მზითევში ატანდა როგორც სასულიერო-საეკლესიო შინაარსის ხელნაწერსა თუ ნაბეჭდ წიგნებს, ისევე საერო-მხატვრულ თხზულებებსაც. ყურადღებას იქცევს მზითევში „ქართლის ცხოვრების“, ლექსიკონისა და ფილოსოფიური ხასიათის ძეგლების შემცველი ხელნაწერების გატანება³. აღნიშნული გარემოება ნათლად ავლენს ძველ ქართველთა კულტურის მაღალ დონეს და ცხადყოფს მათ დიდ პატივისცემას წიგნებისადმი.

ძველი ძეგლების დიდი სიყვარულითა და პატივისცემითვე ვხვნივ ჩვენ იმ ფაქტს, რომ უკანასკნელ საუკუნეებში ადგილი ჰქონდა ბეჭდური გამოცემის გადაწერასა და ახალი ნუსხების დამზადებას. ჩანს, ისე დიდი იყო მოთხოვნილება ძველ ტექსტებზე, რომ სტამბის პროდუქტია ნაწილობრივად თუ აკმაყოფილებდა საზოგადოებრიობას, რომელიც იძულებული იყო ისევ ხელნაწერთა დამზადებისთვის მიეყო ხელი. ამის შედეგად ჩვენ მოგვეპოვება ბეჭდური გამოცემიდან მომდინარე მრავალი ხელნაწერი. მაგალითად, ბევრი ნუსხაა გადაწერილი „ვეფხისტყაოსნის“ პირველი გამოცემიდან (H №№ 167, 248, 288, 403, 741, 742, 1079, 1090, 1128, 1279, 1280, 1759, 2323, 2850; A №№ 656, 859; Q №№ 246, 280, 296, 375, 431, 566, 622, 780; K №№ 204, 209, 214; არქ. ხელნ. № 289 და მრავალი სხვა) თუ ამ გამოცემის ვახტანგისეული კომენტარიდან (A №№ 1171, 1754; S № 2526)⁴. ცნობილია აგრეთვე ხელნაწერი პირები სხვა ბეჭდური გამოცემებისა, მაგალითად, კვიპრიანე სამთავნელის თარგმანებისა—„კურთხევა ეკლესიისაჲ“ (Q № 69, K № 139) და „კურთხევაი“ (Q № 272), თ. პროკოპოვიჩის ნაწარმოების ქართული თარგმანისა (H № 347, Q № 903), დავით ბაგრატიონის „ისტორია-ნარკვევისა“ (H №№ 23, 883, 1130, 1251), დიმიტრი ბაგრატიონის „ქეთევან დედოფლის წამებისა“ (H №№ 33, 170, 197, 475, 782, 845, 1013, 3154), ჯამნისა (Q № 126), მარხვანისა (K № 82) და სხვ.

ძველ ქართველ მოღვაწეთა ენერგიულმა ზრუნვამ კულტურულ-ლიტერატურული მემკვიდრეობის დაცვა-შენარჩუნებაზე, წიგნსაცავების დაარსებასა და გამდიდრებაზე სასურველი შედეგი გამოიღო. ჯამთა სიავეს გადაურჩა და ჩვენამდე მოაღწია ათასობით ძვირფასმა ქართულმა ხელნაწერმა.

¹ ძეგლებური მზითვის წიგნი, „დროება“, 1868, № 26 (H № 2003-გ).

² საქ. სიძველენი, I, ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი ს რედაქტორობით, თბ., 1899, გვ. 403—408.

³ ამ საკითხზე იხ. ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული პალეოგრაფია, გვ. 82; ს. ბ ა რ - ნ ა ე ე ლ ი, გასათხოვარი ქალის მზითვეი XVIII საუკ. დასაწყისის საქართველოში, საქართველოს სახ. მუზეუმის მოამბე, XI—B, 1941, გვ. 94—96; შდრ. ი. გ რ ი შ ა შ ვ ი ლ ი, ძველი ტფილისის ლიტერატურული ბოქვა, თბ., 1928, გვ. 55—60.

⁴ შ. რ უ ს თ ა ვ ე ლ ი, ვეფხისტყაოსანი, ვახტანგისეული გამოცემა 1712 წლისა, აღდგენილი ა. შ ა ნ ი ძ ი ს მიერ, თბ., 1937, გვ. 403.

ამჟამად ძველი ქართული ხელნაწერების (აგრეთვე საბუთების) მდიდარი და მრავალფეროვანი ფონდები დაცულია საქართველოში — საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტში, სახელმწიფო ლიტერატურულ მუზეუმში¹, ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო არქივში², კ. მარქსის სახელობის სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკაში³, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში, მესტიის, ზუგდიდის, გორის⁴, თელავის, ახალციხის, ცაგერისა⁵ და სხვა მუზეუმებში. საქართველოს სიძველეთსაცავებს ბევრი ხელნაწერი ვაძმოვცათ რუსეთიდან — ყოფ. რუმიანცევის მუზეუმიდან (H №№ 2080—2083, 2085—2093; არქ. ხელნ. №№ 108—111 და სხვ.), მოსკოვის ცენტრალური არქივიდან (H №№ 2074—2077), მ. სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის ლენინგრადის სახ. საჯარო ბიბლიოთეკიდან (ი. ბაგრატიონის კოლექცია—II №№ 2130—2278, 2280—2289, 2291—2300 და სხვ.; მ. საბინინის კოლექცია—II №№ 2102—2110; ა. გრენის კოლექცია—H №№ 2094—2101. აგრეთვე H №№ 2111—2226, 2128, 2129; A № 1787; არქ. ხელნ. №№ 103—105, 107 და სხვ.), ყოფ. ლაზარევის ინსტიტუტიდან (Q №№ 24, 25; არქ. ხელნ. №№ 102, 106, 112—136, 138—197) და ა. შ. სხვათა შორის, ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდებში ბევრი ხელნაწერი შესულია როგორც ძველი ქართული ხელნაწერების საცავებიდან, ისევე სხვა დაწესებულებებიდან — ხელოვნების მუზეუმიდან (Q №№ 623—650), ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტიდან (Q №№ 990—999), რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტიდან (Q №№ 716—750, 752—767, 769—777, 780—784, 789—791, 794), ანტირელიგიური მუზეუმიდან (Q №№ 968—970) და ა. შ.

ხელნაწერი წიგნების ბედზე ენერგიულად ზრუნავდნენ ცნობილი ქართველი მოღვაწენი, რომელთა მეოხებით მრავალი ფოლიანტი შეემატა ჩვენი სიძველეთსაცავების საგანძურს. ამ შხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია პ. იოსელიანის (H №№ 916—920, 2263, 2272, 2279, 2307, 2308, 2317)⁶, დ. ჩუბინაშვილის, დ. ბაქრაძის, ა. ცაგარლის, ზ. ჭიჭინაძის (S №№ 7, 34, 38, 47, 48, 54, 56, 57, 59, 60, 66, 68, 77—79, 90, 130, 197, 233, 451, 525, 526, 533, 1084—1088, 1091...), ა. ქუთათელაძის (H №№ 1017—1032),

¹ საქართველოს სსრ სახ. ლიტერატურული მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობა, I. შედგენილი ი. ლოლაშვილის მიერ, „ლიტერატურის მატრიანე“, წიგნი 5, ნაკვეთი II, 1949.

² საქართველოს სსრ ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივის ქართულ ხელნაწერთა კოლექციის აღწერილობა, შედგენილი პროფ. ს. კაკაბაძისა და პ. გაგოშიძის მიერ, აკად. კ. ქეკელიძის რედაქციით, I, თბ., 1949; II, თბ., 1950.

³ ა. კოკაია, კულტურის მძლავრი კერა, „კომუნისტი“, 6. IX. 58, № 206 (11210).

⁴ ა. ლონტი, მოკლე შენიშვნები, IV, გორის მუზეუმის ქართული ხელნაწერები, ნ. ბარათაშვილის სახელობის გორის სახ. პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, II, 1947. გვ. 187—198. ვ. გაბაშვილი, დასტურლამალის 1729 წ. ხელნაწერი, მასალები საქ. და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 30, 1954, გვ. 83—99.

⁵ ვ. მახარობლიძე, ოცი წლისთავზე, „ახალგაზრდა კომუნისტი“, 11. II. 58, № 18 (6464).

⁶ ნ. ბაგრატიონი, ბურებთან, თბ., 1951, გვ. 36.

პოლიექტოს (S №№ 52, 64, 69, 137, 144; არქ. ხელნ. №№ 20, 201—233, 235—243, 325—349) და ვასილ კარბელაშვილების (H №№ 854, 925; A №№ 1779, 1780; Q №№ 298—307; არქ. ხელნ. № 244—250, 253—270, 274—282), კირონის (H №№ 601—615, 617, 618, 621—636, 638—669, 687—692, 704, 705, 1107, 1268, 1271—1275, 1373—1380; A № 388), ა. ხახანაშვილის, თ. ეორდანას¹, მ. ჯანაშვილის, ე. თაყაიშვილის (H №№ 1276—1294, 1296—1299, 1301—1307, 1309—1347, 1351—1364, 1411—1417, 1452, 1453, 1660, 1663—1665, 1667, 1669—1671, 1673, 1675—1681, 1701, 1702, 1704, 1707—1709, 1713, 1715, 1716, 1718, 1720, 1721, 2035—2037, 2041, 2042; Q № 964), ი. ჯავახიშვილის, დ. კარიჭაშვილის, ს. გორგაძის, ი. ლორთქიფანიძის (Q №№ 342—351), კ. კეკელიძის (H № 1365; Q № 1159—1168), ა. შანიძის (A № 1109, 1385, 1386, 1390, 1393—1399, 1401, 1402; H №№ 1229, 1237, 1870, 1871, 3090; Q № 333), გ. ახვლედიანის (A № 1781—1785), გ. ჩუბინაშვილის (Q №№ 34—98), გ. ლენინის (H №№ 1786, 2379, 3054, 3127, 3261, 3262; Q № 20), ა. ჩიქობავას (A № 1552), ი. აბულაძის (H № 821), ვ. ბერიძის (Q №№ 340, 353, 354, 401; A № 1335), ა. ბარამიძის (Q № 1149), ილ. აბულაძის, კ. გრიგოლიასა და სხვათა საქმიანობა.

მრავალი ხელნაწერი ინახება სსრკ მეცნიერებათა აკადემიის აზიის ხალხთა ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილების ხელნაწერთა სექტორში², მ. სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის ლენინგრადის სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკაში³, ვ. ლენინის სახელობის სსრკ სახელმწიფო ბიბლიოთეკაში (მოსკოვი)⁴, სომხეთში (ერზრატისა და ერევანში)⁵ და სხვ.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მრავალი ქართული ხელნაწერი სხვადასხვა მიზეზის გამო უცხოეთში დარჩა. ბევრი მათგანი ყოფილ ქართულ კულ-

¹ „ივერია“, 1901, № 60; შ. ხანთაძე, თ. ეორდანია როგორც ისტორიკოსი, იეს აპირანტთა სამეცნიერო შრომების კრებული, I, 1950, გვ. 108.

² [D. Tchoubinof], Catalogue des manuscrits géorgiens, conservés dans le Musée Asiatique de l'Académie des Sciences, წიგნში: B. Dorn, Das Asiatische Museum der k. Akademie der Wissenschaften zu St.-Petersburg, St.-P., 1846, გვ. 736—742; P. Орбелян, Собрание грузинских рукописей ИВ АН СССР, УЗ ИВ, IX, 1954, გვ. 30—66; მისივე, Грузинские рукописи ИВ АН СССР, I, М.—Л., 1956.

³ Н. Марр, Краткий каталог собрания грузинских рукописей, приобретенного публичной библиотекой в 1896 г., СПб., 1900; ლ. ალექსიშვილი, ლენინგრადის საჯარო ბიბლიოთეკაში, „სახალხო განათლება“, 21. VII. 54, № 29 (1297); ლ. მეფარიშვილი, ლენინგრადის მ. სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის ქართულ ხელნაწერთა ფონდი, „მნათობი“, 1958, № 3, გვ. 158—162. იბ. აგრეთვე ვ. ლამბაშიძე, წერილი რედაქციისადმი, „მწყემსი“, 1895, № 1, გვ. 7.

⁴ ლ. ქუთათელიძე, ვ. ლენინის სახელობის ლენინის ორდენისანი სსრკ სახელმწიფო ბიბლიოთეკის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, აკად. ს. ჯანაშის სახელობის საქართველოს სახ. მეზეუმის მოამბე, XVII—B, 1953, გვ. 189—196.

⁵ М. Броссе, Каталог книгъ Мчмядвинской библиотеки, СПб., 1840, გვ. 120; ლ. მეღლიქსეი-ბეგვი, მასალები ქართულ ხელნაწერთა კატალოგების ბიბლიოგრაფიისათვის, მასალები ამიერკავკასიის ბიბლიოგრაფიის ბიბლიოგრაფიისათვის, II—III, თბ., 1938, გვ. 5.

ტურულ-საგანმანათლებლო კერებშია დაცული (ათონი¹, სინას მთა², იერუსალიმი³), ბევრი კი უცხოეთის სიძველეთსაცავებში ინახება. ქართულ ხელნაწერთა ნახვა შეიძლება პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში⁴, ლონდონში, ბრიტანეთის მუზეუმში⁵, ოქსფორდის ბოდლეს ბიბლიოთეკაში⁶, კემბრიჯის

¹ А. Цагарели, Каталог грузинских рукописей и старопечатных книг Иверского монастыря на Афоне, წიგნში: Сведения о памятниках грузинской письменности, ტ. I, ნაკვ. I, СПб., 1886, გვ. 69—94; H. Марр, Агиографические материалы по грузинским рукописям Ивера, I. Описание пяти пергаментных рукописей, ВЮРАО, XIII, 1901, გვ. 1—88; R. Blake, Catalogue des manuscrits géorgiens de la Bibliothèque de la Laure d'Ivory au Mont Athos, Extrait de la Revue de l'Orient Chrétien, 3-e Série, VIII (XXVIII), № 3 et № 4 (1931—1932), გვ. 289—361, Paris, 1932; IX (XXIX), № 1 et № 2 (1933—1934), გვ. 114—159, Paris, 1934; IX (XXIX), № 3 et № 4 (1933—1934), გვ. 225—271, Paris, 1934.

² А. Цагарели, Каталог грузинских рукописей Синайского монастыря (დაბეჭდილი ორჯერ: А. Цагарели, Памятники грузинской старины в святой земле и на Синае, ППС, ტ. IV, ნაკვ. I, 1888, გვ. 193—240; მისივე, Сведения о памятниках грузинской письменности, ტ. I, ნაკვ. II, СПб., 1899, გვ. 50—98); H. Марр, Описание грузинских рукописей Синайского монастыря, М.—Л., 1940; ი. ჯავახიშვილი, სინას მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, თბ., 1947; G. Garitto, Catalogue des manuscrits géorgiens littéraires du Mont Sinai, Louvain, 1956.

³ Н. Чубиния, Описание Крестного монастыря, близ Иерусалима, и некоторых грузинских рукописей, хранящихся в нем, წიგნში: А. Цагарели, Сведения, ტ. I, ნაკვ. III, გვ. 47—52; А. Цагарели, Каталог грузинских рукописей монастыря св. Креста, близ Иерусалима (დაბეჭდილი ორჯერ: А. Цагарели, Памятники груз. старины..., გვ. 143—192; მისივე, Сведения, ტ. I, ნაკვ. III, გვ. 1—52); R. Blake, Catalogue des manuscrits géorgiens de la Bibliothèque patriarcale grecque à Jérusalem, Extrait de la Revue de l'Orient Chrétien, 3-e Série, III (XXIII), № 3 et № 4 (1922—1923), გვ. 345—413, Paris, 1924; IV (XXIV), № 1 et № 2 (1924), გვ. 190—210, Paris, 1924; IV (XXIV), № 3 et № 4 (1924), გვ. 387—429, Paris, 1924; V (XXV), № 1 et № 2 (1925—1926), გვ. 134—157, Paris, 1926; ნ. მარი, იერუსალიმის ქართულ ხელნაწერთა მოკლე აღწერილობა, დასაბეჭდად მოამზადა ე. მეტრეველმა, თბ., 1953. ა. ცაგარლის აღწერილობა იერუსალიმის ქართულ ხელნაწერთა კოლექციისა ო. უორდროპმა თარგმნა ფ. კონიბირის დახმარებით 1894 წელს. შემდეგ მანვე თარგმნა ა. ცაგარლის მიერვე შედგენილი აღწერილობა ათონის ივერიის მონასტრის ქართული ხელნაწერებისა (დ. ლანგი, ქართველლოგოგიური კვლევა-ძიება ოქსფორდში, „ციცკარი“, 1957, № 4, გვ. 146).

⁴ ა. ხახანაშვილი, საბიბლიოთეკო შენიშვნა (პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერები), „ივერია“, 1889, №№ 156, 167, 168; მისივე, პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერები, „მოამბე“, 1898, I, განყ. II, გვ. 1—20; F. Macler, Catalogue des manuscrits arméniens et géorgiens de la Bibliothèque nationale, Paris, 1908, გვ. 169—177; А. Хаханов, Грузинские рукописи в европейских книгохранилищах, ДВ, IV, 1913, გვ. 23—34; ე. თაყაიშვილი, პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერები და ოცი ქართული საიდუმლო დამწერლობის ნიმუში, პარიზი, 1933 (იხ. აგრეთვე „დროება“, 1875, № 42; А. Цагарели, Сведения, ტ. I, ნაკვ. I, გვ. XXI).

⁵ ა. ხახანაშვილი, ბრიტანიის მუზეუმის ქართული ხელნაწერები, „ცნობის ფურცელი“, 1905, № 2859; მისივე, ბრიტანიის მუზეუმის ქართული ხელნაწერები, „მოამბე“, 1905, VIII, განყ. II, გვ. 1—20; А. Хаханов, Груз. рукописи..., ДВ, IV, 1913, გვ. 1—14; O. J. Wardrop, Catalogue of Georgian manuscripts, წიგნში: Catalogue of the Armenian manuscripts in the British Museum by F. C. Conybeare, London, 1913, გვ. 397—410 (იხ. აგრეთვე „სახალხო გაზეთი“, 1913, № 1006).

⁶ P. Peeters, De codice hiberico Bibliothecae Bodleianae Oxoniensis, AB, XXXI, 1912, გვ. 301—318; ი. ჯავახიშვილი, ქართული პალეოგრაფია, გვ. 276—278, 309;

უნივერსიტეტში¹, ბერლინის სახელმწიფო ბიბლიოთეკაში², ქ. გრაცის (ავსტ-რია) უნივერსიტეტში³, ვენაში⁴, პრაღაში⁵, კრაკოვში⁶, ვატიკანში⁷, Torre del Greco-ში (ნეაპოლის ახლოს)⁸, სოფიის ბიბლიოთეკაში⁹, კუნძულ ხიოსზე, კორაისის სახელობის ბიბლიოთეკაში¹⁰, ქ. კვიპროსზე, ბერძენთა მონასტერში¹¹, ამერიკაში, ქ. ნიუტონში (ბოსტონის ახლოს)¹² და ა. შ.

* * *

როგორც აღვნიშნეთ, ქართული კულტურულ-ლიტერატურული ნეკეიდ-რეობის არასრული, ნაკლულევანი სახით მოღწევის შედეგად ძველი ქართული მწერლობის კერების ისტორიის სრულად და ამომწურავად გაშუქება შეუძლე-

დ. ლანგი, ქართველოლოგიური კვლევა-ძიება ოქსფორდში, „ცისკარი“, 1957, № 4, გვ. 151 (იხ. აგრეთვე II № 1154).

¹ R. Black, Catalogue of the Georgian Manuscripts in the Cambridge University Library, Harvard Theological Review, Volume XXV, № 3, 1932, გვ. 207—224. იხ. აგრეთვე ა. შანიძე, ხანმეტი იერემიას კემბრიჯული ნაწყვეტი, ენიშის მონაბე, II, 1, 1938, გვ. 29—42.

² A. Xaxanov, Груз. рукописи..., ДВ, IV, 1913, გვ. 17—22; მისივე, თეიმურაზ ბატონიშვილის საბიოგრაფიო მასალა, გაზ. „საეპრო გზა“, 1908, № 17.

³ ა. შანიძე, ქართული ხელნაწერები გრაცში, თუმ, IX, 1929, გვ. 310—353.

⁴ F. Alter, Ueber Georgianische Litteratur, Wien, 1798, გვ. 14—26; A. Xaxanov, Груз. рукописи..., ДВ, IV, 1913, გვ. 15—16.

⁵ ი. იედლიჩკა, სათავე რუსთაველია, „კომუნისტი“, 19. VIII. 60, № 192 (11803).

⁶ А. Пагарели, Сведениа. ტ. I, ნაკვ. III, გვ. XXVI—XXVII, 248; გ. ლეონიძე, თერთმეტი დღე პოლონეთში, „კომუნისტი“, 12. II. 56 № 36 (10430); Katalog rekopisów

ormiańskich i gruzińskich (Dział gruziński opracował Jan Braun). katalog rekopisów orientalnych ze zbiorów polskich, III, Warszawa, 1958, გვ. 49—59; ი. ცინცაძე, საქართველო პოლონეთის სიძველეთსაცავებში, „თბილისი“, 5—6. VI. 59, №№ 131—132 (1829—1830); ა. შანიძე, ქართული ხელნაწერები პოლონეთში, „საბჭოთა ხელოვნება“, 1959, № 10, გვ. 45—47.

⁷ მ. თამარაშვილი, ქართული წიგნები ვატიკანის ბიბლიოთეკაში, „ივერია“, 1903, № 137; გ. წერეთელი, ნეაპოლი-რომი-ბერლინი, „ახალი კავკასიონი“, 1925, № 1—2, გვ. 33—36; ე. თაყაიშვილი, ვატიკანის ბიბლიოთეკის ორი ქართული ხელნაწერი, თსუ შრომები: XXXIX, 1950, გვ. 177—187 (იხ. აგრეთვე A № 1804, 1 r—5 v; H № 1601-b, 1 v; ИКОМАО, III განყ. II, 1913, გვ. 19—20).

⁸ ჰ. შუხართი, წერილი ბუდაპეშტის მიმართ, „ივერია“, 1896, № 90; მისივე, Georgische Handschriften in Torre del Greco, Beilage zur Allgemeinen Zeitung, Augsburg, München, 1896, № 101; მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, თბ., 1902, გვ. 682—683; ე. ვირსალაძე, მასალები ქართული ფოლკლორის ისტორიისათვის, „ლიტერატურული ძიებანი“, IV, 1947, გვ. 365—367 (იხ. აგრეთვე H №№ 1067, 1601; A № 1804).

⁹ ა. შანიძე, სამეცნიერო ექსპედიცია ბულგარეთში და მისი შედეგები, „ლიტერატურა და ხელოვნება“, 29. V. 49, № 21 (266); ნ. ბერძენიშვილი, ძლევაჲ, თბ., 1949, გვ. 20—21, 43—47.

¹⁰ ა. შანიძე, ქართული ხელნაწერი კუნძულ ხიოსზე, „კომუნისტი“, 23. VIII. 51, № 198 (9052).

¹¹ ე. თაყაიშვილი, ევროპაში ნახული ქართული ძეგლები და იქვე შეკრებილი ცნობები სხვა ქართულ სიძველეთა შესახებ, საქ. სსრ მეცნ. აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების XXIV სამეცნიერო სესიის მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, თბ., 1947, გვ. 6.

¹² R. Blake and S. Der Nersessian, The Gospels of Bert'ay: an Old-Georgian Ms. of the Tenth Century, Byzantium, Vol. XVI, Fascicle 1 (American Series, II), 1942—1943, Boston, 1944, გვ. 226—285; ა. შანიძე, ამერიკაში აღმოჩენილი ძველი ქართული ხელნაწერი, „ლიტერატურა და ხელოვნება“, 24. XI. 44, № 39 (49).

ბელია, ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით მაინც. ჩვენ ვცდილობდით ვანოგ-ვეყენებინა ყოველი ცნობა, რომელზედაც კი ხელი მიგვიწვდებოდა და რომელსაც ჩვენი საკითხისათვის მნიშვნელობა ჰქონდა. ამ მიზნით მხატვრულიტერატურულ ძეგლებთან ერთად ქარბად ვიყენებდით ნემატიანეთა ნაწერებს, მაგრამ, როგორც ცნობილია, ჩვენს მატთანეს არსებითი პაპათის ნაკლოვანებანი აქვს, რაც უკვე გასული საუკუნის მოღვაწეებმა (დ. ბაქრაძე¹, ი. ჭავჭავაძე², ვაჟა-ფშაველა³ და სხვ.) შენიშნეს. „ქართლის ცხოვრების“ ცალკეული წიგნების ავტორები უგულვებელყოფდნენ ხალხის როლს ისტორიაში და მთელ ყურადღებას მეფეთა საქმიანობას უთმობდნენ. აიასთანავე „თითონ მეფეთა მოქმედებაც ნაჩვენებია საგარეო საქმეთა მესახებ და არა შესახებ შიდა-საქმეთა“ (ი. ჭავჭავაძე). ქართულთა იდეურ-კულტურული თუ სამეურნეო-ეკონომიური ურთიერთობანი სხვა ხალხებთან მემატთანეთა ყურადღებას მოკლებული იყო⁴. აღნიშნული გარემოების გამო განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა სიგელ-გუჯრებს, რომლებიც გვაცნობენ ჩვენი წინაპრების ისტორიას, მათ პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივ მოღვაწეობას, ქვეყნის ეკონომიურ მდგომარეობას, ეკლესიის ორგანიზაციას, სამონასტრო ცხოვრებას და ა. შ. „ქართლის ცხოვრების“ ხარეუბების შესავსებად, მის გასაცოცხლებლად, სიგელ-გუჯრები ძვირფას მასალას იძლევიან. ჩვენი საკითხისათვის, — ძველი ქართული მწერლობის კერების ისტორიისათვის, — სიგელ-გუჯრების მნიშვნელობა ერთობ დიდი და განუზომელია. ჩვენ ვცდილობდით მათი ჩვენებანი ჯეროვნად გამოვეყენებინა. ჩვენს საკითხზე საინტერესო ცნობებს გვაწვდიან ეკლესია-მონასტრების სპეციალური დოკუმენტები — აღაპები, რომლებშიც აღნიშნულია ამა თუ იმ მოღვაწის მიერ ეკლესია-მონასტრისათვის გაწეული დახმარება და მოხსენიებულია საყურადღებო ფაქტები საეანის ისტორიიდან. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აღაპთა კრებულები ათონის ივერიისა⁵ და იერუსალიმის ჯვრის მონასტრებისა⁶, აგრეთვე სულთა მატთანე სინას მთის მონასტრისა⁷; ყურადღებას იმსახურებს ნიკორწმინდის ხელნაწერის „მეფეთა და კათალიკოსთა სულთა მატთანე“ (Q № 964)⁸ და

¹ Д. Ба к р а ძ ე, История Грузии на основании новых изысканий, ЗАН, XXII, 1673, გვ. 193—194.

² ი. ჭ ა ვ ქ ა ვ ა ძ ე, თხზულებათა სრული კრებული, პ. ი ნ გ ო რ ო ვ ე ა ს რედაქტორობით, I, 1951, გვ. 370; IV, 1955, გვ. 175.

³ ვ ა ჯ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა, თხზულებათა სრული კრებული, V, თბ., 1961, გვ. 8, 98.

⁴ ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან XVI—XVII საუკუნეთა მიჯნაზე, მასალები საქ. და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 27, 1944, გვ. 4.

⁵ ათონის ივერიის მონასტრის 1074 წ. ხელთნაწერი აღაპებით, თბ., 1901, გვ. 216—277.

⁶ აღაპნი ჯვარის მონასტრისანი იერუსალიმსა შინა, ქართული დედანი 16 პალეოგრაფიული სურათითურთ გამოსცა ნ. მ ა რ მ ა ნ, სპბ., 1914. აღაპების უძველესი დედანი შემონახულია ტიშენდორფისეულ ნუსხაში, რომლის ფოტოპირები 1953 წელს ლაიპციგიდან მიიღო საქართველოს სახელმწიფო მუზეუმმა (ხელნაწერთა ინსტიტუტის ფოტოკოლექცია № 126). მას გამოსაცემად ამზადებს ე. მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი.

⁷ ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, სინის მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, გვ. 241—251.

⁸ ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, მეფეთა და კათალიკოსთა სულთა მატთანე ნიკორწმინდის ხელნაწერში, პარიზი, 1939; ხელნაწერთა აღწერილობა (Q), II, გვ. 375—377.

გერგეტის სამების „მატიანე მოსახსენებელი სულთაჲ“ (A № 1085)¹; საინტერესოა მეფეთ-მეფის გიორგის ასულის ქეთონ-ქრისტინეს სულთა მოსახსენებელი², შიომღვიმის ტიბიკონი (H № 1349), „სარწმუნოების ძეგლის წერის“ ცნობილი ტექსტისთვის დართული მოსახსენებლები (Q №№ 642, 969; H № 421; S № 1246)³ და სხვ. საყურადღებო მასალას გვაწვდიან ამა თუ იმ ეპოქის ისტორიული სურათის გასათვალისწინებლად ის ხელნაწერებიც, რომელთაც მოეპოვებათ ისტორიულ-ქრონოლოგიური ხასიათის ცნობები, ჩანაწერები და მინაწერები. ამ მხრივ საყურადღებოა შემოქმედის გულანი (Q № 103)⁴, ყანჩაეთის ეამნ-გულანი (H № 1452)⁵, ერისთავთა დაუჯდომელი (H № 98)⁶, იესე ჩხეიძის მიერ გადაწერილი ეამნ-გულანი (H № 1738)⁷, ვ. ორბელიანის ეამნი (H № 1755)⁸, ციციშვილთა ეამნ-გულანი (H № 342)⁹, ი. პატარიძის მიერ გადაწერილი ეამნ-გულანი (H № 381)¹⁰, ა. ნეკრესელის კრებული (H № 1283)¹¹, ყოფ. ქშუკეს ხელნაწერები S № 252, S № 1204 და S № 2515¹², ვ. კარბელაშვილისეული კონდაკი¹³, იკორთის ეამნ-გულანი¹⁴, ერთაწმინდის ეამნ-გულანი (A № 1058)¹⁵, ქრონიკა მესხური დავითნისა (S № 947)¹⁶, ოსე გაბაშვილის კრებული (H № 2955)¹⁷, ბაგრატი ბაგრატიონის პარაკლისი (H № 2108)¹⁸, გელათ-გარეჯის გულანი (A № 186)¹⁹, ტარასი ალექსიშვილის კრებული (A № 1448)²⁰, მე-15—16 სს-თა დავითნი

¹ ქ. შარაშიძე, საქართველოს ისტორიის მასალები (XV—XVIII სს.), მასალები საქ. და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 30, 1954, გვ. 217—257, 263—304.

² A № 1737; ხელნაწერთა აღწერილობა (A), V, გვ. 203—205; ქ. შარაშიძე, საქართველოს ისტორიის მასალები (XV—XVIII სს.), მასალები საქ. და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 30, 1954, გვ. 205—216, 259—261.

³ Д. Бакрадзе, Арх. путешестви по Грузии и Аджаре, гв. 212—214; ქ. შარაშიძე, ახალი ცნობები სამხრეთ საქართველოს XV—XVI სს. პოლიტიკურ და კულტურულ მოღვაწეებზე, აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის IV სამეცნიერო სესიის მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, თბ., 1956, გვ. 15—16.

⁴ ხელნაწერთა აღწერილობა (Q), I, გვ. 121—122; Д. Бакрадзе, Арх. путешестви по Грузии и Аджаре, гв. 150—154. იხ. აგრეთვე H № 3035.

⁵ Е. Такайшвили, Кавчаецкий „жам-гулани“ и исторические приписки его синклоса, СМОМПК, XXIX, 1901, гв. 115—137.

⁶ Е. Такайшвили, Хроника Эриванского Акафиста, СМОМПК, XXIX, 1901, гв. 95—114. შდრ. მისივე, არქ. მოგზაურობანი და შენიშვნანი, I, გვ. 274.

⁷ ხელნაწერთა აღწერილობა (H), IV, გვ. 168—169.

⁸ იქვე, გვ. 185.

⁹ ე. თაყაიშვილი, საისტორიო მასალანი, II, თბ., 1913, გვ. 48—54.

¹⁰ იქვე, გვ. 42—47.

¹¹ იქვე, გვ. 29—41.

¹² Е. Такайшвили, Мат. для истории Грузии, гв. 1—54.

¹³ იქვე, გვ. 54—56.

¹⁴ ს. კაკაბაძე, ქრონიკა იკორთის № 6 ეამნ-გულანისა, თბ., 1912.

¹⁵ შდრ. М. Джанашивили, Ист. приписки Эрташмяндыской минея, ИКОМАО, III, 1913, гв. 177—184.

¹⁶ სამი ისტორიული ქრონიკა, გამოცემული ე. თაყაიშვილის მიერ, თბ., 1890, გვ. 81—115.

¹⁷ ხელნაწერთა აღწერილობა (H), VI, გვ. 298—299.

¹⁸ ხელნაწერთა აღწერილობა (H), V, გვ. 67—68 (შდრ. H № 607).

¹⁹ Опис. рукописей (A), I, гв. 196—198.

²⁰ ხელნაწერთა აღწერილობა (A), IV, გვ. 550—551.

(H № 1717)¹, იყალთოს ლავსაიკონი², „ფურცელაანთეული“ ქრონიკა (არქ. ხელნ. № 137)³, იესე ოსეს ძის „ქორანიკონი“ (A № 637)⁴, „ქრონიკონის“ ფრაგმენტი (H № 3004)⁵ და ა. შ. არაა ინტერესმოკლებული სხვა ხელნაწერთა მინაწერებიც (H №№ 1658, 2209, 2357, 3009; A №№ 1058, 1110, 1153, 1168, 1230, 1272, 1319, 1370, 1418, 1776; K №№ 16, 114, 115, 173, 197 და სხვ.). თითო-ორი ქრონოლოგიური ცნობა გვხვდება მრავალ ხელნაწერში (H №№ 926, 958, 1235, 1735, 3046; S №№ 31, 111, 394; A №№ 1057, 1077, 1194, 1488; Q №№ 225, 475, 632, 652, 757, 913, 918; არქ. ხელნ. №№ 679, 703 და სხვ.). ჩვენი საკითხის ირგვლივ საინტერესო ცნობებს გვაწვდიან აგრეთვე „განგებამ დარბაზობისაჲ“ („წესი და განგებამ დარბაზობისაჲ, რომელ აღესრულების მცხეთას კურთხევისა მეფეთასა“)⁶, რომელიც არა უადრეს XV საუკუნისა უნდა შექმნილიყო, და XVI ს. ძეგლები: „კათოლიკოსის სამწყსო სამცხე-საათაბაგოს“⁷ და „სამცხე-საათაბაგოს მღუდელმთავარნი და მწყემსნი“⁸.

¹ ხელნაწერთა აღწერილობა (H), IV, გვ. 150; ქ. შარაშიძე, საქართველოს ისტორიის მასალები (XV—XVIII სს.), მასალები საქ. და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 30, 1954, გვ. 197—205, 258—259.

² ე. თაყაიშვილი, არქ. მოგზაურობანი და შენიშვნანი, I, გვ. 256—257.

³ გ. ბოქორიძე, ფურცელაანთეული ქრონიკა, „საისტორიო მოამბე“, 1925, I, გვ. 176—181.

⁴ ქ. შარაშიძე, იესე ოსეს ძის „ქორანიკონი“, ენიმკის მოამბე, XIII, 1943, გვ. 121—137.

⁵ ხელნაწერთა აღწერილობა (H), VI, გვ. 331—333.

⁶ ქრონიკები, I, გვ. 45—46; A. Цагарели, Следствия, ტ. I, ნაკვ. III, გვ. XXXV—XXXVI, 294—295; ე. თაყაიშვილი, არქ. მოგზაურობანი და შენიშვნანი, I, გვ. 83—85; Опис. рукописей (A), III, გვ. 257—259; იხ. აგრეთვე მ. ჯანაშვილი, საქართველოს საეკლესიო ისტორია, თბ., 1886, გვ. 146—148; პ. კარბელაშვილი, იერარქია საქართველოს ეკლესიისა, გვ. 43—46; „მნათობი“, 1872, № 1, გვ. 182—186; „დროება“, 1885, № 78; „მწყემსი“, 1887, № 17, გვ. 10—12; „საქართველოს კალენდარი“, 1890, გვ. 215—217; „მოამბე“, 1901, V, გვ. 49—50; „მწყემსი“, 1904, № 20, გვ. 8; „განათლება“, 1916, № 10, გვ. 585—586. თარგმნილია რუსულად: П. Иоселиани, Краткая история груз. церкви, СПб., 1843, გვ. 36—37; მისივე, Описание древностей г. Тифлиса, გვ. 59—63, შენ.; Д. Бакрадзе, О гуджаре грузино-имеретинской синодальной конторы. Пятый арх. съезд в Тифлисе. Труды предварительных комитетов, М., 1882, გვ. 420—426; Н. Марр, Исторический очерк грузинской церкви с древнейших времен. ЦР, 1907, № 3, გვ. 137—138, შენ. შემონახულია მრავალი ნუსხის სახით (S №№ 352, 5050; A №№ 1003, 1045, 1448, 1767; H №№ 628, 934; Ad №№ 560, 619; არქ. ხელნ. № 33 და სხვ.).

⁷ „ციცკარი“, 1863, № 1, გვ. 61—62; Д. Бакрадзе, Арх. путешествие по Гургии и Адваре, გვ. 79—80; A. Цагарели, Следствия, ტ. I, ნაკვ. III, გვ. 34—35; ვახუშტი, საქართველოს გეოგრაფია, რედაქცია მ. ჯანაშვილისა, თბ., 1904, გვ. 247—248, შენ. 436; ე. თაყაიშვილი, არქ. მოგზაურობანი და შენიშვნანი, I, გვ. 74—76; ს. კაკაბაძე, კვლევა-ძიებანი საქართველოს ისტორიის საკითხების შესახებ, თბ., 1920, გვ. 7—8. იხ. აგრეთვე გ. ტივიძე, ოსმალეთის დერეფობა და გლეხთა აჯანყებანი XVI საუკუნეში, თბ., 1946, გვ. 172—173 (Ad №№ 91, 697; A № 592, 280r; A № 1111, 240 v; H № 934, გვ. 769—770; K № 189, 2v—3r; არქ. ხელნ. № 33 და სხვ.).

⁸ „ციცკარი“, 1863, № 1, გვ. 62—64; 1871, № 4, გვ. 203—204; Д. Бакрадзе, Арх. путешествие по Гургии и Адваре, გვ. 81—82; A. Цагарели, Следствия, ტ. I, ნაკვ. III, გვ. 33—34; ქრონიკები, II, გვ. 53—54; ე. თაყაიშვილი, არქ. მოგზაურობანი და შენიშვნანი, I, გვ. 76—77; მ. ჯანაშვილი, მესხეთი, თბ., 1915, გვ. 7—8. იხ. აგრეთვე „მოამბე“, 1901, № 8,

საკურადლებო ცნობებია მოცემული „ეპისტოლეთა წიგნში“, რომელიც გვაცნობს მე-6 საუკუნის დამდეგის ქართულ ეპარქიებს¹.

გარკვეულ სამსახურს გვიწვედა ქართული ეპიგრაფიკა, რომლის მოზრდილი ნაწილი გამოქვეყნებულია (ფ. დიუბუა, მ. ბროსე, დ. ბაქრაძე, ი. როსტომაშვილი, ე. თაყაიშვილი, თ. ჟორდანიას, ი. ჯავახიშვილი, ა. შანიძე და სხვ.), მაგრამ ყოველთვის განვიცდიდით იმის სიმწვავეს, რომ ჯერ კიდევ არაა გამოცემული სრული კრებული: „Corpus Inscriptionum Geor-gicarum“.

გვ. 45—48; გ. ტივაძე, ოსმალეთის დერეიშობა და გლგნთა აჯანყებანი XVI საუკუნეში, გვ. 173—174 (A № 592, 280 v—281 v; H № 934, გვ. 770—772; H № 2854, გვ. 325; K № 129, 3r-v; არქ. ხელნ. № 33 და სხვ.).

¹ „ეპისტოლეთა წიგნის“ ქართულ მღვდელმთაერებზე იხ. ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I^ა, თბ., 1960, გვ. 300, შენ. 3; კ. კეკელიძე, კანონიკური წყობილება ძველ საქართველოში, ეტიუდები, IV, გვ. 333—334; ს. კაკაბაძე, ქართული სახელმწიფოებრიობის გენეზისის საკითხები, „საისტორიო მოამბე“, 1924, I, გვ. 50—52. იხ. აგრეთვე ს. ჯანაშია, ფეოდალური რევოლუცია საქართველოში, შრომები, I, თბ., 1949, გვ. 20.

ჩვენი წიგნის სტამბაში ჩაშვების შემდეგ ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ ზოგიერთი ქართული ხელნაწერი დაცულია ვაშინგტონში (R. Blake, A Georgian Menaion from Palestina, Byzantinisch-neugriechische Jahrbücher, 18 (1945—1949), 1960, გვ. 97—104. დამოწმებულია პროფ. ე. გარიტის მიხედვით. იხ. მისი Les récents catalogues des manuscrits géorgiens de Tiflis, Le Muséon, LXXIV, № 3—4, 1961, გვ. 388, შენ. 1. იხ. აგრეთვე მისივე რედაქციით გამოსული Le calendrier palestino-géorgien du Sinaiticus 34 (X^e siècle), SH, 30, Bruxelles, 1958, გვ. 411), დეტროიტში (G. Garitte, Un extrait géorgien de la Vie d' Étienne le Sabaitte, Le Muséon, LXVII, № 1—2, 1954, გვ. 76—77, 90—92; მისივე, Catalogue des manuscrits géorgiens littéraires du Mont Sinai (CSCO, Vol. 165, Subs. 9), Louvain, 1956, გვ. 8), ბალტიმორში (Census of Medieval and Renaissance Manuscripts in the United States and Canada de Seymour de Ricci et W. J. Wilson. I, New York, 1935, გვ. 868. დამოწმებულია პროფ. ე. გარიტის მიხედვით—CSCO, Vol. 165, Subs. 9, გვ. 318), ბირმინგამში (G. Garitte, Les feuillets géorgiens de la collection Mingana à Selly Oak (Birmingham), Le Muséon, LXXIII, № 3—4, 1960, გვ. 239—259). პრალაში დაცული ქართული ხელნაწერის შესახებ საინტერესო წერილები გამოაქვეყნა ი. იედლიჩკამ (Das Prager Fragment der altgeorgischen Jakobusliturgie, AO, Vol. 29, № 2, 1961, გვ. 183—196; იაკობის ეპისწიროვის ხელნაწერი პრალაში, „მნათობი“, 1961, № 6, გვ. 175—180).

მწერლობის კერები მუელ საქართველოში

ქ ა რ თ ლ ი

თ ბ ი ლ ი ს ი

საქართველოს სახელოვანი დედაქალაქი საუკუნეთა მანძილზე დიდ როლს ასრულებდა ქართველი ხალხის ცხოვრებაში და ხშირად წარმართავდა მის ისტორიულ მსვლელობას. არსებითად ის იყო ცენტრი ქართველთა პოლიტიკურ-ეკონომიური ცხოვრებისა; თბილისივე იყო ცენტრი ქართველთა საზოგადოებრივი ცხოვრებისა, ქართველთა კულტურულ-ლიტერატურული შემოქმედებითი მუშაობისა.

თბილისში აყვავდა და განვითარდა ქართული სასულიერო-საეკლესიო მწერლობა და საერო-მხატვრული ლიტერატურა, აქ მიაღწია განვითარების უმაღლეს მწვერვალს ქართულმა სულიერმა კულტურამ. აქაურ კულტურულ-ლიტერატურულ გარემოში გაიფურჩქნა პოეტური გენია მრავალი ქართველი კალმისოსტატისა. თბილისელი მწერლები ახლო კავშირსა და ცხოველ ურთიერთობაში იყვნენ საქართველოს სხვა პუნქტებში მოღვაწე მწიგნობრებთან, მწერლებთან და მეცნიერებთან, კულტურულ-შემოქმედებით მუშაობას ეწეოდნენ მოწინავე ერთა კულტურულ-ლიტერატურული ურთიერთშემოქმედების სფეროში და ენერგიულად იღვწოდნენ ქართული ლიტერატურის ზრდა-განვითარებისათვის. ამდენად თბილისი ძველი ქართული მწერლობის მძლავრ ცენტრს წარმოადგენდა და მასთან იყო დაკავშირებული განვითარება მრავალსაუკუნოვანი ქართული ლიტერატურისა, რომელიც ადრეულ ხანაში, მეტწილად, მეფე-დიდებულთა სასახლეებსა და ეკლესია-მონასტრებში იყო თავშეუარებული.

საგულისხმოა, რომ ძველი ქართული მწერლობის ადრინდელი ძეგლების დიდი უმრავლესობა თბილისს გარეთაა შეთხზული. ასე, მაგალითად, ჩვენამდე მოღწეულ ორიგინალურ ნაწარმოებთა შორის უპირველესი თხზულება, იაკობ ხუცესის „წამებაჲ წმიდისა შუშანიკისი დედოფლისაჲ“, ქვემო ქართლში, ცურტავშია დაწერილი 476—483 წლებში; მომდევნო ნაწარმოები: „მარტვლობაჲ და მოთმინებაჲ წმიდისა ევსტათი მცხეთელისაჲ“—მცხეთაში; შემდეგი ხანის თხზულებანი დაწერილია დასავლეთ საქართველოსა თუ საბერძნეთში („ცხოვრებაჲ და წამებაჲ წმიდისა მოწანისა კოსტანტისი ქართველისაჲ, რომელი იწანა ბაბილოვნელთა მეფისა ჯაფარის მიერ“), ტბეთში („წამებაჲ წმიდისა მოწამისა გობრონისი, რომელი განიყვანეს ყუელის ციხით“), ზარზ-

მაში („ცხოვრებად და მოქალაქეობად ღმერთ-შემოსილისა ნეტარისა მამისა ჩუენისა სერაპიონისი“), ხანძთასა („შრომად და მოლუაწებად ღირსად-ცხოვრებისად წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლისი არქიმანდრიტისაა ხანძთისა და შატბერდისა აღმაშენებლისაა და მის თანა ქსენებად მრავალთა მამათა ნეტართაა“) და სხვ.

ადრინდელი ხანის ქართული მწერლობიდან ამ მხრივ ბედნიერ გამო-
ნაკლისს წარმოადგენს გამოჩენილი ქართველი მწერლისა და მოაზროვნის
იოანე საბანისძის ფრიად საყურადღებო აგიოგრაფიული თხზულება, რომლის
სრული სათაური ასე იკითხება: „წამებად წმიდისა და ნეტარისა მოწამისა
ქრისტესისა ჰაბოასი, რომელი იწამა ქართლს შინა, ქალაქსა ტფილისს, ქე-
ლითა სარკინოზთაჲთა, გამოთქუმული იოვანე, ძისა საბანისი, ბრძანებითა
ქრისტეს მიერ სამოელ ქართლისა კათალიკოზისაჲთა“¹. ესაა ჩუენთვის ცნო-
ბილი პირველი ქართული ნაწარმოები, რომელიც თბილისშია დაწერილი. არ-
სებითად ის გვაცნობს ჩვენ ძველი თბილისის ლიტერატურულ ინტერესებს,
მისი მიხედვით შეგვიძლია შევიქმნათ წარმოდგენა ძველი თბილისის ლიტე-
რატურულ ცხოვრებაზე.

იოანე საბანისძე² ადრინდელი ფეოდალური ხანის ქართული მწერლო-
ბის თვალსაჩინო წარმომადგენელია. მისი სახელით ჩვენამდე მოღწეულია
ქართული მხატვრული პროზის შესანიშნავი ნიმუში.

ი. საბანისძე ძირითადად აგიოგრაფიის სარბიელზე მოღვაწეობდა, მაგ-
რამ, მიუხედავად მისი იდეური მიზანდასახულებისა და ენობრივი სპეცი-
ფიკით გამოწვეული შეზღუდულობისა, შედარებით, კარგად და სრულად ასა-
ხავდა სინამდვილეს. ის ვერ მოთავსდა სასულიერო-საეკლესიო მწერლობის
მიერ შემუშავებულ ჩარჩოებში, თავი აარიდა დამკვიდრებულ ტრადიციას
და შაბლონს, გასცილდა ქრისტიანული რელიგიის სარწმუნოებრივი დოგმა-
ბის ახსნა-განმარტებას; მან დაძლია ფორმალური და შინაარსობრივი ჩარ-
ჩოები და დაგვიტოვა ძალაღმსახურული ნაწარმოები, რომელშიც განავითარა

¹ დატულია მრავალ ხელნაწერში (A №№ 19, 70, 95, 130, 170, 176, 643, 1109; H №№ 1370, 1672, 2077, 2121; S № 3269; R № 233; არქ. ხელნ. № 239; Sin. № 11—
ი. ჯავახიშვილით; Ath. № 57—ნ. მარით). გამოცემები: საქ სამოთხე, გვ. 333—350; წმიდა
მოწამე აბო ტფილელი, პ. კ ა რ ბ ე ლ ა შ ვ ი ლ ი ს გამოცემა, თბ., 1899; ადრინდელი ფეოდა-
ლური ქართული ლიტერატურა, გვ. 7—96; ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია,
I, გვ. 55—71; ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, I, გამოსცა და ტაბულები და
ლექსიკონი დაურთო ი. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ მ ა, თბ., 1949, გვ. 177—204; მეორე გამოცემა, თბ.,
1953, გვ. 176—202; ჩუენი საუნჯე, ტ. 1, გვ. 43—59. თარგმნილია ის რუსულსა (М. С а н и -
н и я, Полное жизнеописание святых груз. церкви, I, СПб., 1871, გვ. 166—178; Памятник
древнегрузинской агнографической литературы, груз. текст перевел, исследованном
и примечаниями свабдих академик АН СССР, проф. К. С. Ю ж е л и д з е, Т., 1956, გვ.
42—60) და გერმანულ ენებზე (K. Schultze, Das Martyrium des heiligen Abo von
Tiflis, Texte und Untersuchungen, N. Folge XIII, 4, Leipzig, 1905). 1956 წელს აღმო-
საველეისა და დასავლეთის ეთიკური და რელიგიული კლასიკოსების თხზულებათა სერიის
მე-15 წიგნში ცნობილმა ქართველოლოგმა დ. ლანგმა გამოაქვეყნა მისი ინგლისური პერი-
ფრაზი (Lives and Legends of the Georgian Saints. Selected and Translated from the
original texts by D. M. Lang, Ethical and religious classics of East and West,
No 15, London, 1956, გვ. 115—133).

² სინას მთის ვრთ ქართულ ხელნაწერში ის იოანე საბანენადაა მოხსენიებული (ი. ჯ ა -
ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, სინის მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, გვ. 29).

პატრიოტული იდეები, ცხოვრება ასახა ღრმად, გმირის სახე დაგვიხატა ცოცხლად და დამაჯერებლად, პერსონალები წარმოგვიდგინა ადამიანური განცდებითა და მისწრაფებებით.

ი. საბანისძე კარგად გვაცნობს ჩვენი ხალხის ისტორიული ცხოვრების ერთ მონაკვეთს, მე-8 საუკუნის მეორე ნახევრის ქართლის პოლიტიკურსა და ეკონომიურ მდგომარეობას, საეკლესიო ორგანიზაციას. აღნიშნული ხანის შესწავლისას ი. საბანისძის თხზულებას პირველხარისხოვანი საისტორიო წყაროს მნიშვნელობა ენიჭება¹.

აბოს მარტივობა ორიგინალურად მოფიქრებული და გეგმაზეწონილად გააზრებული ნაწარმოებია. ამ დიდი მხატვრული ტილოს ავტორი, მართალია, გაქრისტიანებული არაბის თავგადასავალს გვაცნობს, მაგრამ ეს მისთვის არც მთავარია და არც არსებითი. ის მეტწილად ამ ფაქტის ისტორიული მნიშვნელობითაა დაინტერესებული, ი. საბანისძე უშუალო გულწრფელობითა და მარჯვე ოსტატობით მახვილგონიერულად წარმოგვიდგენს ქართლის პოლიტიკურ ვითარებასა თუ სარწმუნოებრივ მდგომარეობას. მგზნებარე პატრიოტს გულს უკლავს დამონებულ თანამომძმეთა ხილვა, უფლებააყრილ თანამემამულეთა ჩაგვრა და მშობელი ხალხის ეროვნულ-სარწმუნოებრივი კატასტროფის მოახლოება. ღრმა გულისტკივილითა და მწარე განცდით აღწერს ის თანამედროვეთა მდგომარეობას. „ნაშობნი ქრისტიანეთანი გარდაგულარძნნეს: რომელნიმე მძღაფრებით, რომელნიმე შეტყუვილით, რომელნიმე სიყრმესა შინა უმეცრებით, რომელნიმე მზაკუვარებით“, ხოლო სხვანი „მძღაფრებასა ქუეშე დამონებულნი და ნაკლულეფანებითა და სიგლასაკითა შეკრულნი, ვითარცა რკინითა, ხარკსა ქუეშე მათსა გუემულნი და ქენჯნილნი, ძვრძვრად ზღვეულნი, შიშითა განილვეიან და ირყევიან, ვითარცა ლერწამნი ქართაგან ძლიერთა“².

თანამომძმეთა მძიმე და აუტანელი მდგომარეობით აღელვებული და გულდასერილი მამულიშვილი ენერგიულად შეუდგა ქართველთა შორის შენელებული დაზიყუჩებული ეროვნული თვითშეგნების გაღვივებასა და განმტკიცებას. ეროვნული ფიზიონომიის შენარჩუნებისათვის მან საჭიროდ მიიჩნია ქართველთა დარაზმვა ქრისტიანული ღრმის ქვეშ, ქართველთა გაერთიანება ეროვნული ეკლესიის წიაღში. არსებითად ი. საბანისძე არის პირველი ქართველი მწერალი, რომელიც მკვეთრი ეროვნული ლოზუნგებით გამოვიდა ძველ ქართულ მწერლობაში და მთელი არსებით შეუდგა ეროვნული თვითშეგნების გაღვივებას³.

ი. საბანისძე საკმაოდ დახელოვნებული მხატვარი და ცხოვრებაში ღრმად-ჩახედული მოაზროვნეა. ის მომხიბლავ ძალას ანიჭებს ოსტატურად დახატულ სურათებს; მისი სტილი დარბაისლურია, ენა—გამართული და ჩამოყალიბებული, სიტყვიერი მარაგი—საკმაოდ მდიდარი. ყოველივე აღნიშნული ი. საბანისძეს

¹ ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ე ი ლ ი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 67—76; ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, არაბობა საქართველოში, შრომები, II, თბ., 1952, გვ. 393—398; მ ი ს ი ვ ე, О успа-мени и условах востановления Абхазского царства, იქვე, გვ. 333—339.

² ადრინდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა, გვ. 58.

³ იქვე, გვ. 39—45; შდრ. ს. ყ უ ბ ა ნ ე ი შ ე ი ლ ი, სამშობლოსათვის ბრძოლისა და თავდადების მოტივები ძველ ქართულ ლიტერატურაში (V—XII სს.), გვ. 9—14.

საკმაოდ საპატიო ადგილს ანიჭებს ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიაში¹. ამის გათვალისწინების შემდეგ ჩვენთვის აღარაა გაუგებარი თუ რატომ შეჩერდა სამოელ კათოლიკოსის (780—790) არჩევანი ი. საბანისძეზე, რად დაავალა ქართველმა მღვდელმთავარმა აბოს თავგადასავლის აღწერა მას და არა სხვა ეინმეს. მართალია, ი. საბანისძე აბოს თანამედროვე და თვითმხილველი იყო, ის ახლო იცნობდა აბოს და მეგობრობდა კიდევ მასთან, მაგრამ ეს არ კმარა იმისათვის, რომ სამოელის არჩევანი მასზე შეჩერებულიყო. როგორც ჩანს, მას უკვე ჰქონდა სათანადო სახელი მოხვეჭილი, მისი „წადიერებაა ღმრთისმსახურებისათვის და ღმრთიემიმაღლებული მეცნიერებაა საღმრთოთა წიგნთა და გულსმოდგინებაჲ კეთილთა საქმეთა მოღუწებისათვის“ ცნობილი ყოფილა სამოელისათვის². ეს გარემოება საფიქრებელს ხდის, რომ ი. საბანისძეს, ალბათ, სხვა თხზულებანიც ექნებოდა დაწერილი³. თუ ეს ვარაუდი სწორია, მაშინ ისიც შეიძლება დავუშვათ, რომ ი. საბანისძე სხვა თხზულებებსაც თბილისში დაწერდა, რადგან ის აქაურ მკვიდრად, აქაური მოვლენების კურსში მყოფ პირად გვევლინება.

საინტერესოა ქართული ეკლესიის საკეთმშპურობლის მოქმედებაც, როგორც მისი წერილიდან ჩანს, მას აღძვრია სურვილი: „რათა დაიწეროს სანატრელისა (აბოსი—ლ. მ.) მარტვლობაჲ, ვითარცა პირველთა მათ ქრისტუს მოწამეთაჲ, და დაიდვას იგიცა წმიდასა კათოლიკე ეკლესიასა შინა მოსაქსენებელად ყოველთა, ვინ იყვნენ შემდგომად ჩუენსა“⁴.

აღნიშნული გარემოება უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ მე-8 საუკუნის მეორე ნახევარში ქართული ეკლესიის წიგნსაცავში არა ერთი აგიოგრაფიული თხზულება ინახებოდა. საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ ქართველ მღვდელმთავარს აღძვრია სურვილი ქართული ეკლესიის მოწამის თავგადასავლის აღწერისა და სათანადო ლიტერატურული დოკუმენტის შესაქმნელად თბილელი მოღვაწის, იოანე საბანისძისათვის მიუმართავს. თავისთავად ეს ფაქტი უკვე მოწმობს თბილისში ლიტერატურული ტრადიციების არსებობას და აქაურ მოღვაწეთა დაინტერესებას სასულიერო-საეკლესიო მწერლობით, კერძოდ—აგიოგრაფიით.

სათანადო სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ აბოს საგალობელი („ქებაჲ წმიდისა აბოსის“), რომელიც კილ-ეტრატის იადგარში (H № 2123) გვხვდება, შეიძლება ეკუთვნოდეს ი. საბანისძეს. თუ ეს სწორია, მაშინ აღნიშნული თხზულებაც თბილისში დაწერილად უნდა მივიჩნიოთ⁵.

¹ კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, გვ. 129—132, 598—599; ქართული ლიტერატურის ისტორია, I, კ. კეკელიძე, ა. ბარამიძე, ძველი ქართული ლიტერატურა (V—XVIII სს.), გვ. 85—90. საყურადღებოა აგრეთვე აკად. ვ. ვასილევსკის, J. Marquart-ის, P. Peeters-ისა და სხვათა შრომები.

² ადრინდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა, გვ. 55.

³ ი. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 67, შენ. 1.

⁴ ადრინდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა, გვ. 55.

⁵ კ. კეკელიძე, ახალი საგალობლები აბო თბილელისა, ეტიუდები, VI, გვ. 414—417; მისივე, Литургические грузинские памятники в отечественных книгохранилищах и их научное значение. Т. 1, 1908, გვ. 357—358, შენ. 1; მისივე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, გვ. 599; ძველი ქართული სასულიერო პოეზია, I, გვ. ხ-ი; ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, გვ. 325—326; ჩვენი საუნჯე, ტ. 1, გვ. 449—451.

ი. საბანისძის შემდეგდროინდელი თბილისის ლიტერატურულ ცხოვრებაზე ჩვენ კარგა ხანს აღარაფერი ვიცით. საფიქრებელია, არაბთა ხანგრძლივმა ბატონობამ აქაური ლიტერატურული ძალები დაასუსტა, მწიგნობრულ-საგანმანათლებლო მუშაობა შეაფერხა, დასცა და დააქვეითა. თბილისი როგორც მძლავრი ცენტრი ქართული კულტურულ-ლიტერატურული ცხოვრებისა აღდგა და მთელი სიდიადით გამოჩნდა მე-12 საუკუნეში.

[დიდად ზრუნაედა ქართული მწერლობის ზრდა-განვითარებაზე გამოჩენილი ქართველი მეფე დავით აღმაშენებელი (1089—1125), რომელმაც ადრეული ხანიდან, ჯერ კიდევ ახალგაზრდობაში, ნათლად გამოავლინა თავისი ცხოველი ინტერესი კულტურულ-ლიტერატურული საქმიანობისადმი.]

ძნელ ხანაში მოუხდა დავითს სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის დაწყება. სამეფო დაუძღვრებული იყო და თურქთა თავაშვებულობას საზღვარი არ უჩანდა: „მოოკრებულ იყო ქართლი და თვნიერ ციხეთა სადამე არა სადა იყო კაცი სოფელსა შინა, არცაარა შენებულობა“¹. მრავალმხრივი და უაღრესად ნაყოფიერი საქმიანობით, ბუნებრივი ნიჭისა და გამჭირახობის წყალობითა და თავდადებული მოღვაწეობით დავითმა თავისი სამეფო გაკვირვებისაგან გამოიყვანა და წინ ნათელი პერსპექტივა გადაუშალა. „მოეშენა ქუეყანა ქართლისა“², „დღითი-დღე შეემატებოდა საზღვართა სამეფოსათა“³. სახელოვანი, ძლევამოსილი ბრძოლების შედეგად „ყოველი სამეფო აღივსო ოქროთი და ვეცხლითა“⁴. მემატიანის აღმართოვანებული განცხადებით, დავითმა თავისი სამეფო გააძლიერა და გააძლიერა, „განავსო და აღაშენა ყოველი ოკრქმნილი“⁵. მართლაც, საქართველომ არნახულ წარმატებას მიაღწია; ის გაფართოვდა ტერიტორიულად, გაძლიერდა პოლიტიკურად, მოლონიერდა ეკონომიურად. შეიქმნა და განმტკიცდა დიდ მანძილზე გადაქიმული მძლავრი ფეოდალური მონარქია, რომლის ცენტრს მაჰმადიან მპყრობელთაგან განთავისუფლებული თბილისი წარმოადგენდა. ქართველთა ძველი დედაქალაქი მრავალეროვანი სახელმწიფოს პოლიტიკურ-ეკონომიური და კულტურული ცხოვრების ცენტრად იქცა. თბილისში ქართული მწერლობის ზრდა-განვითარებას ხელს უწყობდა ქართველ მეფეთა (დავით აღმაშენებელი, დიმიტრი პირველი, თამარი) მეცენატობა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ქართველი მეფეები არა თუ მარტო ხელს უწყობდნენ მეცნიერებისა თუ ლიტერატურის უჩვეულო წინსვლასა და განვითარებას, არამედ, შეძლებისდაგვარად, წვლილიც შეჰქონდათ ამ დიდ საქმეში. აქ პირველ რიგში დავით აღმაშენებელი უნდა მოვიხსენიოთ.

დავითი, მემატიანის ცნობით, თავის თავს „უსწავლელსა“ და „სწავლულებისა და მეცნიერებისაგან დაშორებულს“ უწოდებდა⁶, მაგრამ ეს მხოლოდ მისი თავმდაბლობის გამოხატულება იყო და სინამდვილეს, რასაკვირველია, არ ასახავდა. დავითი იყო უაღრესად განსწავლული და ფრიად განათლებული პიროვნება, გულუხვი მეცენატი და ნაყოფიერი შემოქმედი. მან ადრევე ღრმად შეისწავლა ღვთისმეტყველება, სასულიერო-საეკლესიო მწერლობა,

¹ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 324.

² იქვე, გვ. 326, 331, 341.

³ იქვე, გვ. 346.

⁴ იქვე, გვ. 357.

ისტორია, ვარსკვლავთმრიცხველობა და მეცნიერების სხვა დარგები. ძირითად წყაროს ცოდნის შესაძენად დავითისათვის უშობლიურ ენაზე არსებული ლიტერატურა წარმოადგენდა¹, მაგრამ ის საკმაოდ გაწაფულა ძამქმადიანურ ლიტერატურაშიც, კერძოდ, კარგად, საფუძვლიანად შეუსწავლია ყურანიც (მუჰამედ ალ-ჰამავის ცნობა)².

დავითი უაღრესად მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი ამოცანების გადაჭრისას თუ სამხედრო ოპერაციების ჩატარების დროსაც არ ივიწყებდა წიგნებს და თან დაჰქონდა ისინი ლაშქრობაში, მგზავრობასა თუ ნადირობაში. ასეთ პირობებშიც კი ახერხებდა ის დროს გამონახვას კითხვისათვის. „დღე და ღამე მიმოსვლათა შინა მიმდემთა, ლაშქრობათა მოუწყენელთა, შრომათა განუსუენებელთა წიგნები ეტკრთა სიმრავლესა ჯორთა და აქლემთასა; და სადა გარდაცდის ჰუნესა, პირველ ყოვლისა წიგნი მოაქუნდიან ჯელითა, და არა დააცადის კითხვა, ვიდრე არა დაშურის“³. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ნადირობის ჟამსაც კი ის წიგნების კითხვით იყო გართული, „წიგნი აქუნდიან ჯელთა და, რაჟამს ჟამი იყვის, მისცნის ვისმე მსახურსა და ესრეთ დევნა უყვის“⁴. საბრძოლო ოპერაციის ჩატარებისას წიგნის კითხვამ ერთგზის დაღუპვის პირას მიიყვანა სახელოვანი მამულიშვილი და მხოლოდ საოცარმა ვაჟკაცობამ იხსნა ის მარცხისაგან⁵.

დღენიდაც კითხვამ და მეცადინეობამ სავსებით განსახლვრა დავით აღმაშენებლის კულტურულ-ლიტერატურული საქმიანობა, როგორც შემოქმედისა და მეცენატისა, და მას დიდი მეცნიერისა და მოაზროვნის სახელი მოუპოვა. საინტერესოა მემატეანის მიერ შემონახული სიტყვები არაქართველი მოღვაწეებისა, რომლებიც აღუფრთოვანებია და გაუოცებია დავითის განსწავლულობის დემონსტრაციას ქართულ-სომეხთა სარწმუნოებრივი პაექრობის დროს: „ჩუენ, მეფეო, მოწაფე გუეგონე ამათ მოძღუართა ზქუენტა, გარნა, ვითარ ვხედავთ, შენ სამე ხარ მოძღუარი მოძღუართა, რომლისა ბრქვალსა ვერ მიმწუთარ არიან ეგე მოძღუარ საგონებელნი თქუენნი“⁶.

(დავით აღმაშენებელი დიდ ყურადღებას უთმობდა საქართველოს ეკლესიის მდგომარეობას.) მის პოლიტიკურ ღონისძიებათა სფეროში ფრიად მნიშვნელოვანი ადგილი ეკირა ქართული ეკლესიის დემოკრატიზაციის საკითხს. მისი ენერგიული ღონისძიებების შედეგად რუის-ურბნისის კრებამ (1103 წ.)

¹ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 347; შდრ. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს რუსეთთან შეერთების ისტორიული მნიშვნელობისათვის, „მნათობი“, 1954, № 6, გვ. 122. შესაძლებელია დავითისათვის იყოს გადაწერილი საკითხავების კრებული S № 384 (ხელნაწერთა აღწერილობა (S), I, გვ. 466; ქრონიკები, I, გვ. 19, 221, 236; შდრ. ენიქის მოამბე, XIV, 1944, გვ. 363; ს. ყაუხჩიშვილი, ბერძნული ლიტერატურის ისტორია, II, თბ., 1949, გვ. 375—376, შენ.).

² M. Brosset, Additions et éclaircissements à l'Histoire de la Géorgie, St.-P., 1851, გვ. 237.

³ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 348.

⁴ იქვე.

⁵ იქვე, გვ. 349—350.

⁶ იქვე, გვ. 357. სხვათა შორის, დავით აღმაშენებლის ორატორულ ხელოვნებას ევროპელი ისტორიკოსებიც (მაგალითად, გოტიე) აღნიშნავენ (იხ. ხ. ავალიშვილი, ჯვაროსანთა დროიდან, გარეშეშეშე ერთის ომისა, პარიზი, 1929, გვ. 66—67; ქართული მკვლევრ-მეტყველება, გვ. 29, 153—154).

მოსპო წოდებრივი უპირატესობა ქართულ ეკლესიაში და განსაკუთრებულ მნიშვნელობა პირად ღირსებას მიანიჭა.

დავითი სხვა დროსაც არ აკლებდა ყურადღებას ქართულ ეკლესიას და შეუწელებელი ინტერესით ადევნებდა თვალს მის საქმიანობას, ძალზე გულუხვად ეხმარებოდა სასწრაფო არსებულ ქართულ ეკლესია-მონასტრებსა და კულტურულ-საგანმანათლებლო კერებს. შენიტიანის ცნობით, მან „ლავერანი და საკრებულონი და მონასტერნი არა თვსთა ოდენ სამეფოთა, არამედ საბერძნეთისნიცა, შთაწმიდისა და ბორღალეთისანი, მერმეცა ასურეთისა და კპარისა, შავისა მთისა, პალესტინისანი, აღავენა კეთილითა, უფროსლა სათლავი უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესი, და მყოფნი იერუსალემისანი თვთოფერთა მიერ შესაწირავთა განამდიდრნა. მთასა სინასა აღაშენა მონასტერი, და წარსცა ოქრო მრავალათასეული, და მოსაკიდელნი ოქსინონი, და წიგნები საეკლესიაო სრულებით“¹.

საქართველოში არსებულ ეკლესია-მონასტერთაგან საგანგებოდ უნდა დავასახელოთ შიომღვიმე, რომელიც დავითის ზედამხედველობის ქვეშ იყო და მისი მხარდაჭერითა და დახმარებით სარგებლობდა².

დავითი არ კმაყოფილდებოდა არსებულით. მან „მოიგონა აღშენება“ ახალი მონასტრისა და 1106 წელს გელათის ტაძრის მშენებლობას შეუდგა. მალე იქ თვალსაჩინო სასწავლო-სამეცნიერო ცენტრი აღმოცენდა. დავითმა იქ შეკრიბა „კაცნი პატროსანნი ცხოვრებითა და შეძკულნი ყოვლითა სათნოებითა, არა თვსთა ოდენ სამეფოთა შინა პოენილნი, არამედ ქუეყანასა კიდეთათ სადათცა ესმა ვიეთმე სიწმიდე, სიკეთე, სისრულე, სულიერითა და ქორციელითა სათნოებითა აღსავსეობა, იძინა და გამოიძინა, მოიყვანნა და დამკვდრნა მას შინა“. საგულისხმოა, რომ დავითი ახალგაზრდებს საბერძნეთში აგზავნიდა სასწავლებლად და განათლების მისაღებად (ვარდან დიდი)³, ხოლო იქიდან და მახლობელი აღმოსავლეთიდან იწვევდა ქართველ მეცნიერებს და სამშობლოში მოღვაწეობისაკენ მოუწოდებდა. ჩვენ მოგვეპოვება პირდაპირი ცნობა იმის შესახებ, რომ დავითის დროს, 1114 წელს, საქართველოში დაბრუნებულან არსენ იყალთოელი, იოანე ტარიჭისძე და სხვა ქართველი სწავლულები⁴.

დავითი თავგამოდებით ზრუნავდა ქართველ მეცნიერებსა და მწერლებზე, მხარში უდგა, ეხმარებოდა მათ. ცნობილი ფილოსოფოსი იოანე პეტრიწი სა-

¹ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 352—353; შდრ. ქართლის ცხოვრების ძველი სომხური თარგმანი, ქართული ტექსტი და ძველი სომხური თარგმანი გამოკვლევითა და ლექსიკონით გამოსცა ილ. აბუღაძემ, თბ., 1953, გვ. 253.

² Грузинские церковные гуджари (грамоты), составил Д. Пурпеладзе, Т., 1881, გვ. 94—96; Завещание царя Давида Возобновителя, данное Шно-Мгвинской цупре в 1123 г., издание Ф. Жордания, Т., 1895; ისტორიული საბუთები შიომღვიმის მონასტრისა და „ძველი“ ვახანის ქვაბთა, თ. ჟორდანიას გამოცემა, თბ., 1896, გვ. 14—19 (შდრ. ქრონიკები, I, გვ. 243; II, გვ. 94—96); ანდერძი დავით აღმაშენებლისა შიომღვიმისათვის დაწერილი, ტექსტი გამოსცა ს. კაკაბაძემ, თბ., 1912. დავითი შიომღვიმის მშენებლად იხსენიება გიორგი ზუცეს-მონაზვნის მიერ გადაწერილ ტიბიკონშიც (H № 1349, 116 r). იხ. აგრეთვე ა. შანიძე, დავით აღმაშენებლის მიერ შიომღვიმისათვის დაწერილი ანდერძის დასაწყისი სიტყვები, „ჩვენი მეცნიერება“, 1924, № 8, გვ. 47—48.

³ В ардан Велпкий, Всеобщая история, М., 1861, გვ. 147.

⁴ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 334; შდრ. ქრონიკები, I, გვ. 225, 241. აღნიშნული ცნობა შემოუნახავს „ქართლის ცხოვრების“ რამდენსამე ხელნაწერს (S №№ 25, 4770; A № 131; H № 2080).

განგებოდ აღნიშნავს, რომ ის „დავითის გამგონებისა და წყალობათა და თანადგომისა მიხედვით“ მოღვაწეობდა¹. დავითთან ახლო იყო არსენ იუალ-სოელიც.

დავითის ენერგიული ზომებითა და ქართველ მეცნიერთა მრავალმხრივი საქმიანობის შედეგად გელათის აკადემია იქცა „მეორედ იერუსალიმად, სასწავლოდ ყოვლისა კეთილისად, მოძღვრად სწავლულებისად. სხუად ათინად, ფრიად უაღრეს მისსა“². ე. ი. ის მიჩნეულ იქნა როგორც საერო-ფილოსოფიური, ისე სასულიერო-საეკლესიო განათლების თვალსაჩინო ცენტრად³.

დავითი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა თბილისში დასახლებულ მოღვაწეებს: მწერლებს, მეცნიერებს, მწიგნობრებს. არაბი ისტორიკოსის იბნ ალ-ჯაუზინის ცნობით, დავითმა თბილისში პოეტებისათვის თავშესაფარი ააგო, მათ ხშირად მატერიალურად ეხმარებოდა და სადღესასწაულო მეჯლისებსაც უმართავდა⁴.

დავით აღმაშენებელი არა მარტო ხელს უწყობდა და ეხმარებოდა მწერლობას, არა მარტო სხვებს მოუწოდებდა კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობისაკენ, არამედ თვით თხზავდა ჰიმნებს და, შეძლებისდაგვარად, წვლილი შექონდა ქართული ჰიმნოგრაფიის განვითარებაში. მისი სახელით მოღწეული თხზულება „გალობანი სინანულისანი“ ყურადღებას იქცევს სიტყვაკაზმულობით, აზრის სიღრმით, გრძნობის უშუალოებითა და განცდის გულწრფელობით⁵. ის კარგად გვიჩვენებს ავტორის საღვთისმეტყველო განათლებასა და ლიტერატურულ გემოვნებას, ნათლად გვაცნობს მის რელიგიურ-ფსიქოლოგიურ განწყობილებას. გამოთქმულია მოსაზრება, რომ გარდა დასახელებულისა, დავითს დაუწერია სხვა თხზულებანიც⁶. სამწუხაროდ, სათანადო მასალა ჯერ არაა მიკვლეული და გამომზეურებული, მაგრამ, თავისთავად, ძნელი დასაჯერებელი არაა, რომ დავითს სხვა თხზულებანიც დაუწერია. ასე წარმოგვიდგება ჩვენ დავითის კულტურულ-ლიტერატურული მოღვაწეობა⁷.

¹ იო ა ნ ე პ ე ტ რ ი წ ი, შრომები, II, გვ. 222.

² ქართლის ცხოვრება, I, გვ. 330—331.

³ გელათის აკადემიაზე ვრცლად იხილე ქვემოთ. სხვათა შორის, დავით აღმაშენებელი სომხურ ეკლესია-მონასტრებსაც ეხმარებოდა (ლ. მ ე ლ ი ქ ს ე თ - ბ ე გ ი, ძველი სომხური ლიტერატურის ისტორია, გვ. 118).

⁴ M. Brosset, *Addit.*, გვ. 241; ი. ჯ ა ე ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, II, თბ., 1948, გვ. 217; შდრ. მ. ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, პოეტთა აკადემია საქართველოში, თბ., 1932, გვ. 14, 26. დავითის მეფობაში, საფიქრებელია, განვითარდა საერო-მხატვრული ლიტერატურა, მაგრამ, სამწუხაროდ, სათანადო მასალას ჩვენამდე არ მოუღწევია.

⁵ შემონახულია რამდენიმე ხელნაწერში (A №№ 85, 290, 518, 1290; S №№ 149, 182, 303, 1462; K №№ 22, 94 და სხვ.). გამოცემები: „საქართველოს სასულიერო მახარობელი“, 1865, VIII, გვ. 1—12 (არსებობს ცალკე ამონაბეჭდიც); საქ. სამოთხე, გვ. 513—518; ქრონიკები, II, გვ. 104—107; ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, გვ. 374—376; პ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა, გიორგი მერჩულე, თბ., 1954, გვ. 600—606, 652; ჩვენი საუნჯე, ტ. 1, გვ. 518—521. იხ. აგრეთვე ქართული სიტყვა-კაზმული მწერლობის ანთოლოგია, I, თბილისი-ქუთაისი, 1928, გვ. 21—24 (ქვემოთ—ანთოლოგია). დავითის ზოგიერთი გამონათქვამი დაიბეჭდა „ივერიაში“ 1898 წელს (№№ 70, 103, 105, 111, 126...).

⁶ პ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა, თამარ მეფის იამბიკონი, „მნათობი“, 1941, № 3, გვ. 119, 121—122, 133—135.

⁷ დავით აღმაშენებლის კულტურულ-ლიტერატურულ მოღვაწეობაზე იხ. კ. კ ო ქ ე-ლ ი ძ ე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I⁴, გვ. 271—272; ი. ჯ ა ე ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 210—222.

დავითის ხანის ლიტერატურული წრის თვალსაჩინო წარმომადგენელია არსენ სალირისძე, ძმა ცნობილი ქართველი მოღვაწეების ანტონ ქუთათელი მთავარეპისკოპოსისა და იოანე ანჩელისა¹. ის დავითის ახლო მეგობარი და შესაძლებლად ყოფილა. თავის ნაწერებში არსენი წარმოგვიდგება როგორც დავით აღმაშენებლის პოლიტიკის მომხრე და ერთგული ქომაგი, ამ პოლიტიკის დამცველი და გამტარებელი. თავის მრავალწირივ საყურადღებო ისტორიულ თხზულებაში: „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი“², რომელიც ჩვენ უკვე დავიმოწმეთ ზემოთ, ის გვეუბნება როგორც მეფის პირადი ღირსებითა და სახელმწიფოებრივი საქმიანობით აღტაცებული მწერალი და თანამემამულეთა სასახელო გამარჯვებებით აღფრთოვანებული მგზნებარე პატრიოტი. ის, ჩანს, ყველგან და ყოველთვის თან ახლდა დავითს, იცნობს მის ინტიმურ ცხოვრებასაც კი, არ სცილდება ნადირობასა და ლაშქრობაშიც კი; იცის მისი აზრი, სულისკვეთება, გულისნადები და მისწრაფებანი. არსენი საკმაოდ სრულად გვაცნობს დავითის სანხედრო-პოლიტიკურ, სამოქალაქო-საეკლესიოსა და კულტურულ საქმიანობას. ის ღრმად განათლებული ისტორიკოსი და მეფის პიროვნებით აღტაცებული მესობტეა. მეფესთან მის ახლო ყოფნას ამოწმებს ის გარემოებაც, რომ დავითი მას „სასოს და განმანათლებელს“ უწოდებდა. გვარდა დასასელებული თხზულებისა დავითის მოძღვრის — არსენ სალირისძის ქალაქს მიეწერება დავითის ანდერძი „მომღვიმისადმი ბოძებული“³, მისივე ანდერძი გარდაცვალების წინ⁴, დავითის „მესხმა“⁵, საყურადღებო იურიდიული ძეგლი — რუის-ურბნისის საეკლესიო კრების ძეგლის წერა⁶ და ისტორიულ-აგიოგრაფიული თხზულება: „ცხოვრება და მოქალაქობა და ლუაწელი წმიდისა და ღირსისა დედისა ჩუენისა ნინოასი, რომელმან ქადაგა ქრისტე ღმერთი ჩუენი ქუეყანასა ჩრდილოეთისასა და განანათლა ნათესაჲი ქართ-

¹ პ. ცხელიძე, ტბეთის ტაძრის სახარება ტავაზედ დაწერილი, „ივერია“, 1900, № 229; E. Такашвили, Тбетское четвероевангелие XII века, МАН, XII, 1909, გვ. 158.

² უკანასკნელი გამოცემა იხ. ქართლის ცხოვრება, I, გვ. 318—368. ამ ნაწარმოებზე იხ. ს. კაკაბაძე, დავით აღმაშენებლის მემკვიდრის ვინაობა, თბ., 1913; ი. ჯაფარიძე, ილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 208—219; კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, გვ. 262—265.

³ იხ. ზემოთ გვ. 135, შენ. 2; ანდერძში მოხსენიებული არსენი არის არსენ ბერი, სალირისძე, და არა იყალთოელი, როგორც თ. გორდანიას ეგონა (ქრონიკები, I, გვ. 243). ზოგიერთ მკვლევარს ეს ანდერძი დავითის დაწერილად მიაჩნია (ს. ბარნაველი, საბა ტუისის-შვილის „ანდერძისებრი ლუწანი“, „ქართული ხელოვნება“, III, 1950, გვ. 218).

⁴ A № № 592, 1448; H № № 1196, 2854; S № № 427, 3052; K № 189; „ცისკარი“, 1863, № 1, გვ. 57—60; „მნათობი“, 1872, № 4—5, გვ. 53—54; საქ. სამოთხე, გვ. 512—513; ქრონიკები, II, გვ. 51—52.

⁵ A № № 76, 1102; S № 1547; H № 2226; Q № 205; K № № 17, 25; არქ. ხელნ. № 694 (იხ. აგრეთვე A № 1114, 2007). „ცისკარი“, 1863, № 2, გვ. 255—258; საქ. სამოთხე, გვ. 528—529; ქრონიკები, II, გვ. 68—69; ძველი ქართული ლიტერატურის კრესტომათია, I, გვ. 380; ქართული მკვლევარული ცენტრი, გვ. 155—156; ჩუენი საუნჯე, ტ. 1, გვ. 526. იხ. აგრეთვე ანთოლოგია, I, გვ. 24—26.

⁶ A № № 9, 76, 171, 741, 1102, 1755-ბ; K № № 17, 25, 26; „ცისკარი“, 1863, № 2, გვ. 240—255; საქ. სამოთხე, გვ. 518—530; ქრონიკები, II, გვ. 56—72.

კელთაჲ¹. ის ეწეოდა მთარგმნელობით მუშაობასაც: დაეით აღმაშენებლის ბრძანებით თარგმნა ანდრია კრიტელის „დიდი კანონი“, რომელიც ქართულ კილოზე იოანე კათოლიკოსმა გააწყო²; უთარგმნია მას სხვა თხზულებანიც³. არსენ საღირისძე ძველი ქართული სასულიერო-საეკლესიო მწერლობის საყურადღებო წარმომადგენელია⁴.

დაეით აღმაშენებლის ღირსეული თანამედროვე და თანამოღვაწე იყო გიორგი ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი, მემატიანის დახასიათებით, „კაცი სრული ყოვლითა სიკეთითა სულისა და გორცთასა, სავსე სიბრძნითა და გონიერებითა, განმზრახი, სვანი და ფრთხილი, თანააღზრდილი აღმზრდელი პატრონისა და თანაგანჰკათელი ყოველთა გზათა, საქმეთა და ლუაწლთა მისთა“⁵. ის დაეითის აღმზრდელი და ერთგული მოკავშირე, ხელისშემწყობი და მიმდევარი იყო 1103 წელს გიორგი მწიგნობართუხუცესის სახელის მფლობელად იხსენიება რუის-ურბნისის კრების დადგენილებაში („ღირსისა მეუფისა ჩუენისა და თუალად წმიდისა ამის კრებისა ცნობილისა გიორგი მონაზონისა და მწიგნობართუხუცესისა...“)⁶. <1103—1110 წლებში მან ჭყონდიდლობაც მიიღო⁷. ის იყო პირველი მოღვაწე, რომელმაც მწიგნობართუხუცესისა და ჭყონდიდლის თანამდებობანი გააერთიანა და შეათავსა ადრე ეს ორი სახელო ცალ-ცალკე არსებობდა. მე-12 საუკუნეში, როდესაც საქართველოს სახელმწიფოს ყოველი ხელისუფლის უფლება-მოვალეობა გართულდა და გაიზარდა, მწიგნობართუხუცესის ხელმაც განსაკუთრებული ცვლილება განიცადა. მწიგნობართუხუცესი შეფეს ერთგულებდა, მას ემხრობოდა, მის მოწინააღმდეგეებს ებრძოდა. დაეითმაც, თავის მხრივ, ხელი შეუწყო მწიგნობართუხუცესის განდიდებასა და გაძლიერებას. მას ჭყონდიდლობა უბოძა და უწარინებულეს მღვდელმთავრად განაჩინა. განსწავლულმა მეფემ უღირსი მღვდელმთავრები ჩამოიცილა, ეკლესიის მართვა-გამგეობა მის მესვეურთ ჩააბარა, მაგრამ მათზე უშუალო ზეგავლენის მიზნით ჭყონდიდლის ინსტიტუტი დააკაონა, ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესად თავისი ერთგული გიორგი განაწესა

¹ А №№ 518, 707; არსენი, ცხოვრება წმიდა ნინოსი, თბ., 1902. ამ ძეგლზე იხ. ს. ჯანაშია, ფსევდო-არსენი, სსრკ მეცნ. აკად. საქართველოს ფილიალის მოამბე, I, № 6, 1940, გვ. 475—482; მისივე, უძველესი ეროვნული ცნობა ქართველთა პირველსაცხოვრისის შესახებ მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის სინათლეზე, შრომები, II, გვ. 38—39, 48.

² გ. თაყაიშვილი, პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერები, გვ. 37—38; Н. Марр, Описание грузинских рукописей Синайского монастыря, гв. 203—204. პ. ინგოროვას აზრით, ანდრია კრიტელის „დიდი კანონი“ არსენ იყალთოელს უთარგმნია (იხ. მისი ანტიკური ხანისა და საშუალ-საუკუნეთა ქართული მუსიკალური დამწერლობის ამოხსნა და ძველი ქართული მუსიკის აღდგენა, „მნათობი“, 1958, № 2, გვ. 124).

³ К. Кекелидзе, Литургические грузинские памятники, гв. XXII.

⁴ არსენ საღირისძის შესახებ იხ. კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I⁴, გვ. 309—314.

⁵ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 336.

⁶ საქ. სამოთხე, გვ. 530; ქრონიკები, II, გვ. 71.

⁷ ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 197; შდრ. ისტორიანი და ახმანი შარავანდედთანი (ცვა ტექსტის აღდგენისა), აკად. კ. კეკელიძის რედაქციითა და გამოკვლევით, თბ., 1941, გვ. 49, შენ.

და საერო და საეკლესიო ხელისუფლებამ გააერთიანა¹. მის მიერ გიორგისა-
თვის ესოდეს დიდი პატივის მიგება ცხადყოფს თუ როგორ აფასებდა თავის
ერთგულ ადამიანს ქართველთა სახელოვანი მეფე.

საფიქრებელია, ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი ახლო ურთიერთობა-
ში იყო კულტურულ-ლიტერატურული ფრონტის ნუშაქებთან. მართალია,
მისი სახელით ლიტერატურულ პროდუქციას ჩვენამდე არ მოუღწევია², მაგ-
რამ მისი საპატიო თანამდებობა, რამდენადმე, გვაძლევს უფლებას ის განაო-
ლებულ პირად, მეცნიერად და მწიგნობრად მივიჩნიოთ. ჩვენთვის ცნობილი
ნასალებით აქ მხოლოდ ის შეიძლება აღვნიშნათ, რომ გიორგი სხვებს ავა-
ლებდა ხელნაწერთა გამრავლებას და ახალი ნუსხების დანახადებას. ასე, მაგა-
ლითად, მისი დაკვეთით სვიმონ მწერალს გადაუწახვავს მათეს სახარების
თარგმანება (ANe 1114).

დავით აღმაშენებელი არა მარტო თვით თხზავდა ორიგინალურ ნაწარ-
მოებებს ან სხვებს უწევდა დახმარებასა და მფარველობას, არამედ საკუთარ
ოჯახშიც ნერგავდა ლიტერატურულ ტრადიციებს. ჩვენამდე მოღწეული მასა-
ლებიდან სავსებით ნათლად ჩანს, რომ კულტურულ-საგანმანათლებლო მუშა-
ობითა და ლიტერატურული საქმიანობით დაინტერესებული ყოფილა დავითის
ეაქი დიმიტრი პირველიც (1125—1154). ის, იოანე ბაგრატიონის დახასიათე-
ბით, „იყო მშვენიერი რიტორი, პიტიკოსი და შემთხვევლი უცხოდ შაირთა,
რომელმანც მრავალნი სწავლანი გამოთქვა“³. ღრმად განსწავლული და მწიგ-
ნობრობას დაწაფებული დიმიტრი ახლო ურთიერთობაში ყოფილა მწერლებთან
და მეცნიერებთან. არაბი ისტორიკოსის იბნ ალ-აზრაყ ალ-ფარიკის ცნობით, დი-
მიტრის დამოკიდებულება „მეცნიერებისა და კეთილსათნოების ხალსთან მოკრ-
ძალებული და გულუხვი ყოფილა“⁴. მეამბოხე და ურჩი შვილის მიერ ტახტის-
დილი დიმიტრი, ზოგიერთი ცნობით, ბერად შემდგარა და გარეჯის უდაბ-
ნოში აღკვეცილა დანიილისა (ANe 186) თუ დამიანეს (პ. იოსელიანი) სახელით.
ანტონ პირველისა და პ. იოსელიანის ცნობით, იქ დიმიტრის ფრესკაც კი

¹ ჭყონდიდელზე იხ. ი. ჯაქაძის შვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი
II, ნაკვ. I, თბ., 1928, გვ. 124—140. ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის ინსტიტუტის აღმო-
ცენების, ისტორიისა და უფლება-მოვალეობის შესახებ იხ. ნ. ბერძენიშვილი, სავაზი-
რო ფეოდალურ საქართველოში, ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი, ენიშკის მოამბე, V—VI,
1940, გვ. 391—412; X, 1941, გვ. 281—302 (იხ. აგრეთვე მასალები საქ. და კავკასიის ის-
ტორიისათვის, ნაკვ. 29, 1951, გვ. 325—329).

² ხ. ჭიჭინაძე მას მიაწერდა ზოგიერთ თხზულებას („ალაპი“, „სიმონ კანანელისა
და ანდრია მოციქულის ცხოვრება“), მაგრამ მისი განცხადება უსაფუძვლო და მცდარი იყო
(ხ. ჭიჭინაძე, ქართული მწერლობა მეთორმეტე საუკუნეში, თბ., 1887, გვ. 29). საგულის-
ხმოა, რომ სხვა შრომაში მკვლევარი ერთი ხეზოდსახელდებული ძეგლის ავტორად ბასილ
მთავარეპისკოპოსს აცხადებდა (ხ. ჭიჭინაძე, ქართული მწერლობა მეცამეტე საუკუნი-
დამ მეთექვსმეტე საუკუნემდე, თბ., 1885, გვ. 23). ამ საკითხზე იხ. კ. კეკელიძე, ქართუ-
ლი ლიტერატურის ისტორია, I⁴, გვ. 67, შენ., გვ. 333, შენ.

³ კალმასობა, II, გვ. 180. დიმიტრი პირველი საუფქელიანად ფლობდა აღმოსავლერ
ენებს (TPA-Γფ, IV, СП6., 1902, გვ. 26, შენ. 1).

⁴ ვ. ფუთურიძე, არაბი ისტორიკოსი XII ს. თბილისის შესახებ, ენიშკის მოამბე,
XIII, 1943, გვ. 141. შდრ. გ. წერეთელი, სემიტური ენები და მათი მნიშვნელობა ქარ-
თული კულტურის ისტორიის შესწავლისათვის, თსუ სამეცნიერო სესიების მოხსენებათა კრე-
ბული, თბ., 1947, გვ. 40; მისივე, არაბული ქრესტომათია, თბ., 1949, გვ. 72.

იყო შემონახული¹. გარეჯის უდაბნოს მონასტერში დღესაცაა დაცული დიმიტრი II თავდადებულის პორტრეტული გამოსახულება². ეს მიიჩნეის დიმიტრი პირველის სურათად თუ არსებობდა მეორე ფრესკა, ამგვარად ძნელი გასარკვევია. სხვა მასალა დიმიტრის გარეჯაში მოღვაწეობის შესახებ არ გვაჩნია.

დიმიტრის სახელით მოღწეულია მცირე, მაგრამ საყურადღებო ლიტერატურული მემკვიდრეობა, იამბიკოები; მათ შორისაა უკანასკნელ ხანამდე გავრცელებული სიმღერის ტექსტიც („შენ ხარ ვენაჟი, ახლად აღყვავებული“)³. საფიქრებელია, დიმიტრის კარზე განვითარებული იყო სახოტბო პოეზიაც⁴.

ქართული ფეოდალური მონარქია კიდევ უფრო განმტკიცდა და ძლიერების მწვერვალს მიაღწია თამარის მეფობაში (1184—1213). ფართოდ გაიშალა კულტურულ-შემოქმედებითი მუშაობაც.

თამარი დიდი გულუხვობით ეხმარებოდა ეკლესია-მონასტრებს. ეს გარემოება იმდენად შესამჩნევი და მნიშვნელოვანი ყოფილა, რომ მისი აღნიშვნა საკიროდ დაუნახავს თამარის სამსავე ისტორიკოსს. „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ საგანგებოდ აღნიშნავს, რომ თამარმა „არა ოდენ საქართველოსა მონასტერნი ააშენა, არამედ პალესტინეს და იერუსალემს ააშენა პირველად მონასტერი; და კუალად კჳპრეს ღალია შეამკო და უყიდნა შესაველნი და აღაშენა მონასტერი და შეამკო ყოვლითა წესითა პატრიოსნისა მონასტრისაჲთა, და კუალად კოსტანტინოპოლის აღაშენა მეტოქი მათი“⁵.

თამარის მეორე ისტორიკოსის ცნობით, მეფემ დახმარება აღმოუჩინა „კერძოთა ელადისათა და შთაწმიდას, ეგრეთვე მაკედონისათა პეტრიწონს, კერძოთა თრაქიისათა და კოსტანტინეპოლის მონასტრებთა, რომანას და ყოველგან, კუალად ისაერის, კურუსეთს და ყოველთა მათ სანახებთა შავისა მთისათა“⁶. ანალოგიური ცნობები შემოუნახავს ლაშა გიორგის დროინდელ მემბტიანესაც⁷.

¹ წყობილიტყვაობა, გვ. 273 (შდრ. კალმასობა, II, გვ. 180). პ. იოსელიანის ცნობებს იმეორებს ხ. ჭიჭინაძე (ქართული მწერლობა მეთორმეტე საუკუნეში, გვ. 28).

² Г. Чубинашвили, Пещерные монастыри Давид-Гареджа, Т., 1948, გვ. 73—74, ტაბ. 14; III. Амирашвили, История грузинского искусства, გვ. 247.

³ А № 342; II №№ 983, 1274, 1283; К № 564; არქ. ხელნ. №№ 258, 264; მ. ჯანაშვილი, საისტორიო და საბიბლიოგრაფიო წერილები, წერილი მ, „ივერია“, 1898, № 128; „ჯუარი ვახისა“, 1906, № 8, გვ. 10; ანთოლოგია, I, გვ. 25; ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, გვ. 381; ჩვენნი საუნჯე, ტ. 1, გვ. 527. კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I⁴, გვ. 314—316. დიმიტრის ერთი იამბიკო სალიუსტრაციო მასალად შეუტანია თავის შრომაში: „გვარნი ანუ სახომი ქართულისა ენისა სტიხთა“ თეიმურაზ ბაგრატიონს („ლიტერატურული ძიებანი“, IV, 1948, გვ. 240). იხ. აგრეთვე ა. ლეონიძე, „შენ ხარ ვენაჟი“ (ფურცლები ქართული საბავშვო ლიტერატურის ისტორიიდან), „მნათობი“, 1960, № 1, გვ. 91—95.

⁴ დიმიტრის კარზე არსებული სახოტბო პოეზიის შესახებ ჩვენ, სამწუხაროდ, ნათელი წარმოდგენა არა გვაქვს (პ. ინგოროყვა, რუსთაველის ეპოქის სალიტერატურო მემკვიდრეობა, „რუსთაველის კრებული“, 1938, გვ. 71—72). კარის პოეტები ყოფილან გიორგი მესამის დროსაც (ქართლის ცხოვრება, II, გვ. 4—5).

⁵ ქართლის ცხოვრება, II, გვ. 91.

⁶ იქვე, გვ. 142.

⁷ იქვე, I, გვ. 368.

როგორც ჩანს, ფეოდალური მონარქიის ძლიერების ხანაში მოღვაწე ქართველ მეფეებს კარგად ჰქონდათ შეგნებული, რომ საქართველოში თუ მის საზღვრებს გარეთ არსებული ქართული ეკლესია-მონასტრები წარმოადგენდნენ არა მხოლოდ საკულტო, არამედ, ნაწილობრივ, სამეცნიერო-საგანმანათლებლოსა და მწიგნობრულ დაწესებულებებს, რომლებიც ღირსნი იყვნენ ქართველ ბაგრატიონთა ყურადღებისა და მთარეელობისა. თამარის შეუწელებელი ინტერესი ქართული ეკლესია-მონასტრებისადმი ნაწილობრივ მაინც მისი კულტურულ-საგანმანათლებლო ინტერესებით უნდა აიხსნას. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ თამარი ყოველთვის ენერგიულად ზრუნავდა ქართულ ეკლესიაზე, მის აწმყოსა და მომავალზე. მრავალმხრივი სახელმწიფოებრივი საქმიანობით გატაცებული მეფე განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა საეკლესიო-სარწმუნოებრივი საკითხების დაზუსტებასა და გარკვევას, თვალს ადევნებდა ქართული ეკლესიის ცხოვრებას, აქტიურ მონაწილეობას იღებდა მის ყოველდღიურ საქმიანობაში, ახლო იყო ქართველ მღვდელმთავრებთან (ნიკოლოზ გულაბერისძე, ანტონ გლონისთავისძე და სხვ.). მისი გამუდმებული ზრუნვისა და რუდუნების შედეგად ქართული ეკლესია აღმავლობის გზას დაადგა და განმტკიცდა („სარწმუნოება განმტკიცებოდა, წმიდანი ეკლესიანი შეიმკობოდა მრავალ-ფერთა მიერ სამკაულით“), ქართულმა სასულიერო-საეკლესიო მწერლობამ ახალ წარმატებებს მიაღწია.

როდესაც თვალს ვადევნებთ თამარის კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობას, ძალაუვნებრივ იზადება აზრი მისი ორიგინალური შემოქმედების შესახებ. საფიქრებელია, დიდებული ქართველი ქალი თვითაც იღებდა მონაწილეობას ლიტერატურულ პროცესში და, შეძლებისდაგვარად, კმნიდა ორიგინალურ ნაწარმოებებს.

მკვლევარმა პ. ინგოროყვამ კარგა ხანია გამოთქვა მოსაზრება ამ საკითხზე. მან თამარს მიაკუთვნა 6 იამბიკო, ნათვან ორი ადრეც კარგად იყო ცნობილი (ხახულის ხატის წარწერა და შამქორის გამარჯვების აღსანიშნავი ლექსი), ხოლო 4 (მარიამ მეგვიბტელის, გიორგისი, თეოდორესი და თამარისი)—ხელნაწერებში იქნა მიკვლეული¹. პატივცემული მეცნიერის ინტერესი თამარის პოეტური მემკვიდრეობისადმი სავსებით გასაგებია, მისი ცდა თამარის პოეტურ ქმნილებათა გამოვლენისა მისასაღმებელია და მოწონებას იმსახურებს, მაგრამ, სამწუხაროდ, კვლევა-ძიების შედეგად მოპოვებული მასალა არ გვაძლევს საფუძველს, რომ ის თამარის კუთვნილებად მივიჩნიოთ. თამარის ლიტერატურული მემკვიდრეობა ახლაც ისეთივე ბურუსითაა მოსილი, როგორც წინა წლებში. ამ საკითხის ღრმა და საფუძვლიანი შესწავლა ჩვენი ლიტერატურათმცოდნეობის საპატიო ამოცანას წარმოადგენს.

განსაკუთრებით აღსანიშნავია თამარის მეცენატობა, რაზეც მკვერმეტყველურად ლაპარაკობს თუნდაც ის გარემოება, რომ მისი სასახლე გადაიქცა მწერლებისა და მეცნიერების ნამდვილ საერთო საცხოვრებლად, როგორც ამას მართებულად შენიშნავს აკად. კ. კეკელიძე².

¹ პ. ინგოროყვა, თამარ მეფის იამბიკონი, „მნათობი“, 1941, № 3, გვ. 115—153. შდრ. ს. ყაუხჩიშვილი, „ისტორიანი და ახვანი შარაენდღეთანი“ და იოანე პეტრიწი. საქ. სსრ მეცნ. აკად. მოაზრე, III, № 1, 1942, გვ. 89 (იხ. აგრეთვე ქართლის ცხოვრება, II, გვ. 74, შენ. 5).

² კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, II, გვ. 35.

ძველ მემბტიანეთა წიგნებში არა ერთი ცნობაა შემონახული ამ საკითხზე. თამარის კარის ისტორიკოსებს საგანგებოდ აქვთ აღნიშნული სამეფო კარზე გამართულ მეჯლისებსა და დღესასწაულებში მგოსანთა მონაწილეობა. მემბტიანის ცნობით, ერთგუის „იქმნა სიხარული გამოუთქმელი, ვითა მართებს ნადიმსა და წყლიანობასა ამის სახლისა დიდებულთა მოყმეთა, უკლებლობასა მრავალგუარათა სახეობათა, მუტრიბთა და მოთამაშეთა“¹.

სხვა დღესასწაულის დროს „იყო ზმა მგოსანთა და მუშაითთა სახიობათა მქურეტელნი და რაზმთა სიმრავლე და სრულ-ქმნა ამასა შინა“². ან კიდევ: „იყო სიხარული და ზმა მგოსანთა და მოშაითთა“³. ეს უკანასკნელი გვაცნობს პოეტთა შეჯიბრს თბილისში, თამარის კარზე აღსართან II შირვან-შაჰის ყოფნისას. საყოველთაოდ ცნობილია, რომ აღსართანი მოყვარული და მეცენატი იყო პოეზიისა; მის კარზე, აგრეთვე ამაღლაში, მრავლად იყვნენ მგოსნები. საფიქრებელია, საქართველოში ჩამოსულს თან ახლდნენ კარის პოეტები, რომლებიც ადგილობრივ ოსტატებთან ცდიდნენ თავისი მხატვრული სიტყვის ძალას. გამოთქმულია მოსაზრება, რომ აღსართანს საქართველოში ახლდა გამოჩენილი აზერბაიჯანელი პოეტი ნიზამი განჯელი⁴. აქვე უნდა მოვიგონოთ მემბტიანის შემდეგი სიტყვები: „სახლთა ზედა აკროსტიხორად თამარის შესხმათა დასწერდეს, ბეჰედთა ზედა და დანათა და არგანთა შეამკობდეს, და ზედა თამარის ქებასა დასწერდეს“ და ყოველთა პირნი ერთბამად მზა იყვნეს, რათა ღირსი რამე თამარის საქებლობისა სიტყუა აღმოთქუან: ყრმანი მემროწლენი, განაპებასა შინა ორნატასა, თამარის ქებათა მეღეჭსეობდიან; ერაყს მყოფნი მეგბნენი, გინა მეჩანგენი თამარის შესხმათა მუსიკელობდიან; ფრანგნი და ბერძენნი, ზღუასა შინა მენავენნი, ნიავე-კეთილობათა შინა, თამარის ქებათა იტყოდინან, ესრეთ ყოველი სოფელი სავსე იყო მის-შიერითა ქებითა, და ყოველი ენა ადიდებდა, რომელსაცა ოდენ სახელი მისი ასმიოდეს“⁵.

მართალია, აქ გარკვეულ გადაპარბეზასთან გვაქვს საქმე, მაგრამ მემბტიანის ჩვენება მაინც საგულისხმოა, რადგან აქ შემორჩენილია ცნობა თამარის დიდებით აღფრთოვანებულ მეზობლეთა შესახებ. ეს გარემოება სხვა წყაროებითაც დასტურდება.

თამარის ხანაში არნახულ წარმატებას მიაღწია ქართულმა ლიტერატურამ⁶, დაიწერა თუ ითარგმნა უაღრესად მნიშვნელოვანი მალალმხატვრუ-

¹ ქართლის ცხოვრება, II, გვ. 43.

² იქვე, გვ. 47.

³ იქვე, გვ. 66.

⁴ K. K e k e l i d z e, Руставели и Низами Гауджеви (к вопросу об право-грузинских литературных связях), თსუ შრომები, V, 1936, გვ. 160; მისივე, საქართველო და ნიზამი განჯელი, ეტიუდები, IV, გვ. 83. საქართველოში ყოფილა შირვანის შაჰის კარზე მოღვაწე მეორე დიდი პოეტი ხაყანიც (დ. კ თ ბ ი ძ ე, ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობიდან, „ლიტერატურული ძიებანი“, III, 1947, გვ. 211; O. B и л ъ ч е в с к и й, Хакаши, СВ, 1957, № 4, გვ. 65; Д. А л и с е в а, Из истории азербайджанско-грузинских литературных связей, გვ. 12—17).

⁵ ქართლის ცხოვრება, II, გვ. 146.

⁶ ამ ხანაზე იხ. კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, საქართველოს პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული ვითარება რუსთაველის ეპოქაში, კრებული: „შოთა რუსთაველი სკოლაში“, 1937, გვ. 1—27.

ლი თხზულებანი: „ვეფხისტყაოსანი“, „აბდულმესიანი“, „თამარიანი“, „ეისრა-
მიანი“, „ამირანდარეჯანიანი“ და სხვ. მართალია, ჩვენ არ ვაგვაჩნია პირდა-
პირი ხასიათის ცნობები დასახელებული ძეგლების თბილისში დაწერისა თუ
ჩამოყალიბების შესახებ, მაგრამ მათში ისე სრულადაა გამოვლენილი ქართუ-
ლი სამეფოს ცენტრის ინტერესები და მისწრაფებანი, აზრები და ზრახვები,
სურვილები და იდეალები, რომ ძნელია მათი თბილისის კულტურულ-ლიტე-
რატურული გარემოდან გამოთიშვა. ყველა ზემოდასახელებული ძეგლი, სა-
ფიქრებელია, თბილისშია ჩამოყალიბებული.

თამარის ხანის ლიტერატურული ძეგლებიდან პირველ რიგში უნდა და-
ვასახელოთ ქართველი ხალხის უდიდესი სულიერი კულტურის დიდებულად
გამომხატველი ნაწარმოები, ჩვენი მდიდარი და ღრმაშინაარსიანი სიტყვაკაზ-
მული მწერლობის უქცნობი გვირგვინი „ვეფხისტყაოსანი“. ქართული მხატვ-
რული სიტყვის ჯადოქარი შოთა რუსთაველი უცილობლად თამარ ბეთის ახ-
ლობელი თანამოდგაწე იყო. არაა ინტერესმოკლებული ის ფაქტიც, რომ
პოემის ავტორი თავის უკვდავ ქმნილებას უძღვნის თამარს, რომელსაც გვი-
სახელებს თავის შთამაგონებლად. თამარის დიდბუნებოვანებითა და დავით
სოსლანის ძლევაგმოსილებით აღტაცებული მგოსანი სიყვარულით აღსაყვებ ქე-
ბათა-ქებას უძღვნის მათ. რუსთაველი ბრწყინვალედ გვიხატავს რთულსა და
მრავალფეროვან საზოგადოებრივ ცხოვრებას, კარგად ახასიათებს პატრონ-
ყმობის ინსტიტუტს, შესანიშნავად უმღერის ადამიანის გამაქეთილშობილებე-
ლი გრძნობების თავისუფლებას, სიყვარულის ამანაღლებელ ძალას, თავგამო-
დებით ქადაგებს სამშობლოს ღრმა სიყვარულის, ჰუმანიზმის, ხალხთა ძმობა-
მეგობრობის დიად იდეებს და თავისი სოციალურ-პოლიტიკური შეხედულე-
ბებით წინ უსწრებს მის ეპოქას. დიდი შემოქმედის დაუნჯებელი გონებით
შექმნილი პოემა დღესაც გვაჯადოებს თავისი ჩანაფიქრით, გვიბლავს მხატვ-
რული სამოსის ელვარებით, გვიტაცებს და აღგვაფრთოვანებს მაღალი იდე-
ებით, რომელიც მას ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობას ანიჭებს და მსოფლიო
კულტურის საგანძურში ფრიად საპატიო ადგილს უმკვიდრებს.

თამარის ხანაში განსაკუთრებული ძალით განვითარდა საქარო-სახოტბო
პოეზია. როგორც აღვნიშნეთ, საქართველოს სამეფო კარზე აღრეც მოღვა-
წეობდნენ პოეტები და ისტორიკოსები, რომლებიც მეფეთა ქება-დიდებათ
იყვნენ გატაცებულნი და თავიანთ ნაწერებში მათ ხოტბას იძლეოდნენ. სახოტბო
პოეზია და კარის ისტორიოგრაფია კიდევ უფრო მაღალ საფეხურს აღწევს
თამარის მეფობაში, როდესაც ქართულმა ფეოდალურმა მონარქიამ ძლიერე-
ბის მწვერვალს მიაღწია. მეფეთა სამსახურში მყოფი კალმისოსტატები მეფის
იდელაღიზაციას ახდენდნენ. რასაკვირველია, აქ ინიშენლოვან როლს თამაშობ-
და ის გარემოება, რომ ისინი უფლებრივად თუ მატერიალურად თავიანთ
ქების ობიექტებზე იყვნენ დამოკიდებულნი, მაგრამ, მიუხედავად გარკვეული
შეზღუდულობისა, ისინი მაინც ახერხებდნენ მაღალიდგური და მაღალმხატვ-
რული ნაწარმოებების შექმნას. ასეთი რიგის ნაწარმოებებიდან ჩვენამდე მოლ-
წეულია „აბდულმესიანი“ და „თამარიანი“.

„აბდულმესიანი“ ვრცელი და შინაარსიანი საყურადღებო სახოტბო ძეგ-
ლია. ის არსებითად თამარისა და დავითის ქებათა-ქებას წარმოადგენს. თხზუ-
ლების ავტორი, — თამართან ძალზე დაახლოებული მწერალი იოანე შავთელი, —
თამარის თაყვანისმცემელი და მიმდევარია, მისი პოლიტიკის დამცველი და

მისი საქმიანობის აპოლოგეტიკა. ის თავის ქების ობიექტებს წარმოგვიდგენს ძალზე იდეალურად, მიაწერს მათ ყოველგვარ დადებით თვისებას, მიიჩნევს მათ სიბრძნისა და გონიერების, სიწმინდისა და სიფაქიზის განსაზიარებლად; აქებს მათ განსწავლულობასა და მართლმსაჯულებას, მეუღლეობრივ სისპეტაკეს, ალტაკუბულია ქართველთა განარჯვებებითა და დაწინაურებით. მას გულს უხარებს თამარის დროის საქართველოს ძლიერება და სიმტკიცე. აღნიშნული გარემოება არანაკლებ აღაფრთოვანებს იმ ხანის მეორე მოღვაწეს, სახოტბო პოეზიის თვალსაჩინო წარმომადგენელს ჩახრუხაძეს, რომელმაც კიდევ უფრო ნათლად წარმოგვიდგინა თავისი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იდეალი „თამარიანში“. მძაფრი პოლიტიკური განწყობილების ამსახველ ნაწარმოებში ავტორმა დიდების ჰიმნი უძღვნა თამარის სიბრძნესა და ზნეფაქიზობას, ჰუმანურობასა და სწორუპოვრობას. პოეტს გულწრფელად უყვარს თავისი სამშობლო, მის გულს ახარებს თანამემამულეთა მიერ სამხედრო ოპერაციების სახელოვნად დამთავრება და ბრწყინვალე გამარჯვებათა მოპოვება; მას აღაფრთოვანებს ქართველთა დიდებული აწმყო, ის იმედის თვალთ შესტკეპრის მომავალს, რომელსაც აცისკროვნებს და სხივს ჰფენს ტახტის მემკვიდრე გიორგი ლაშა.

შეათელი და ჩახრუხაძე ქართული სახოტბო პოეზიის ბრწყინვალე წარმომადგენლები არიან. ისინი კარგად გვაცნობენ თამარის კარზე მოღვაწე მწერლების განწყობილებას და გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნიან ქართულ სახოტბო პოეზიაზე, რომელიც განსაკუთრებული ძალისა სწორედ მათ ხანაში იყო.

საფიქრებელია, თამარის კარზე ჩამოყალიბდა საგმირო-სათალავნო მოთხრობათა კრებული „ამირანდარეჯანიანი“, რომელსაც ტრადიცია მოსე ხონელს მიაწერს. ის ნათლად ასახავს სამხედრო-ფეოდალური საზოგადოების ყოფა-ცხოვრებას, იცავს პატრონყმობის საფუძვლებს, აღიღებს მეფეთა ღირსებას, ვაჟკაცთა გულოვნებასა და რაინდთა შემმართველობას და წარმოგვიდგენს რაინდის იდეალს. „ამირანდარეჯანიანი“ გვიჩვენებს ფეოდალური საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრების იმ სურათს, რომელიც მისი დროის საქართველოსათვის იყო დამახასიათებელი. მას ეხმაურება სარგის თმოგველის მიერ სპარსულიდან თარგმნილი „ვისრამიანი“, რომელიც ასახავს ე. წ. მაღალი საზოგადოების ცხოვრების ინტიმურ მხარეს და დაუცხრომელი სიყვარულის აპოლოგიას წარმოადგენს. სატრფიალო-სამიჯნურო თხზულების ქართველი მთარგმნელი საკმაოდ თავისუფლად ეკიდება დედანს, შეაქვს მასში რედაქციული ცვლილებანი, აძლიერებს პატრიოტულ მოტივს, აცხოველებს მშობლიური მამულის სიყვარულის დიად გრძნობას.

საქართველოს სამეფო კარზე მოღვაწეობდა მე-12 საუკუნის ქართული სასულიერო-საეკლესიო მწერლობის თვალსაჩინო წარმომადგენელი იოანე ჭიჭქიმელი. ის ძალზე განსწავლული და მომზადებული პირი ყოფილა. მართალია, ის ძირითადად ეგზეგეტიკური მწერლობის დარგში მოღვაწეობდა, მაგრამ ფილოსოფიისადმიც დიდ ინტერესს იჩენდა და თანამემამულეებსაც აჩვენებდა ფილოსოფიურ-რელიგიურ მსჯელობას. მისი სახელითაა მოღწეული თარგმანები მიტროფანე სმირნელის, ოლიმპიოდორე ალექსანდრიელისა და სხვათა შრომებისა.

მემატიანის ცნობით, ი. ჭიჭქიმელი საისტორიო მწერლობის ასპარეზზეც მოღვაწეობდა, კერძოდ, მას აღუწერია დიმიტრი პირველის მეფობა. მატიანეში

საგანგებოდაა აღნიშნული: დიმიტრის „დიდებითა, სიმკნითა და გუარითა ცხოვრებასა აღმოაჩენს იოვანე ფილოსოფოსისა კიმპიმელისა შესსმა-მოთხრობა“¹. სამწუხაროდ, აღნიშნულ ძეგლს ჩვენამდე არ მოუღწევია. არაა შემონახული იოანე კიმპიმელის სიტყვა, რომელიც მას წარმოუთქვამს თამარ მეფის დაკრძალვაზე. მისგან მხოლოდ ფრაგმენტია გადარჩენილი².

ი. კიმპიმელის სამეფო კარის ხელმძღვანელებთან ახლოს ყოფნა გვაძლევს უფლებას ის მივიჩნიოთ თბილელ მოღვაწედ³.

თამარის დროის გამოჩენილი მოღვაწეა ანტონ გლონისთავისძე, მეცატიანის განცხადებით, „ბრძენი და გონიერი, პატრონთათვის სუიანი და ერთგული“. ის აღრევე ქყონდიდელი იყო, მაგრამ მიქაელ კათოლიკოსმა წაართვა ეს საბელო და თვით მიიტაცა. ანტონი ერთ ხანს გარეჯაში მოღვაწეობდა. შემდეგში თამარმა შოიწვია და მიქაელის გარდაცვალების შემდეგ დაამტკიცა „ქყონდიდლად, მწიგნობართაუხუცესად და (ვაზირთა) ვაზირად“. ანტონი აქტიურ მონაწილეობას იღებდა საზოგადოებრივ საქმიანობაში, ის ხშირად იხსენიება საისტორიო წყაროებსა თუ სიგელ-გუჯრებში⁴. როგორც ირკვევა, ის თვალს ადევნებდა კულტურულ-ლიტერატურული ფრონტის მუშაების საქმიანობას და თვითაც ცდილობდა წვლილი შეეტანა ამ საქმეში. მისი ინიციატივითაა თარგმნილი სპარსულიდან (აკად. ნ. მარი) თუ არაბულიდან (აკად. ე. თაყაიშვილი, პროფ. ა. ხახანაშვილი) „წიგნი სააქიმოჲ“. ამ ძეგრთვასი და უაღრესად მნიშვნელოვანი ძეგლის შემსველ ხელნაწერს დაუცავს საინტერესო მინაწერი: „ესე წიგნი სააქიმოჲ, ოდეს რუქანდან სულტანი კარნუ ქალაქისა კართა ზედა გააქციეს, მუნით ალაფად მოიღეს. ქრისტეს მიერ პატრონმან ქყონდიდელმან, მისმან მწიგნობართუხუცესობამან, პროტოჲჟერტიმოსმან და ვაზირთა ყოველთა უპირველესმან, კაცმან გონება მოზავნან და საღმრთოჲთა მსჯავრითა მართლმსაჯულმან და ჯელისამპყრობელმან ულონოთა და ქურიეთამან, ქართულად მათარგმანინა მე, მიწასა მათსა ხოჯა ყოფილსა“⁵. საკამათო არ უნდა იყოს, რომ აქ საუბარია 1204 წლის ბრძოლაზე, როდესაც ქართველებმა ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს რუმის სულტანის რუქნადინის მრავალრიცხოვან ლაშქარზე.

როგორც ციტირებული მინაწერი ცხადყოფს, ანტონ გლონისთავისძის ინიციატივით შეიქმნა ქართულ სამედიცინო ლიტერატურას „წიგნი სააქიმოჲ“⁶.

¹ ქართლის ცხოვრება, II, გვ. 3.

² იქვე, გვ. 113—114. მსჯელობა თამარისა და დავით სოსლანის მეზობტე პოეტის მილისეველის შესახებ (პ. ი ნ გ ო რ ო ვ ე ა, რუსთაველის ეპოქის სალიტერატურო მეცნიერება, „რუსთაველის კრებული“, 1938, გვ. 56, 70, 71) არადამაჯგობრებელია. ამ საკითხზე იხ. ი. ლოლაშვილი, იყალთოელისა და კიმპიმელის იამბიკობისათვის, „ლიტერატურა და ხელოვნება“, 27. VIII. 50, № 35 (332).

³ კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I², გვ. 316—318.

⁴ ქართლის ცხოვრება, II, გვ. 25, 32, 69, 72, 122—123, 125; ქრონიკები, I, გვ. 278—279; II, გვ. 79—82. დადებითად ახსიათებს ანტონს ვახუშტი ბაგრატიონიც (ვახუშტი, საქართველოს ისტორია, I, გვ. 203).

⁵ S № 1274, 7r; ქრონიკები, II, გვ. 156; Опис. рукописей (S), I, გვ. 641.

⁶ თ. ჟორდანიას ანტონ გლონისთავისძის მიჩნევა ცნობილი ძეგლის—„ისტორიანი და ახმანი შარავანდედთანი“ ავტორად (ქრონიკები, I, გვ. L—LI). მისი არგუმენტაცია არადამაჯგობრებელი და მიუღებელია.

აქვე უნდა მოვიხსენიოთ თამარის კიდევ ერთი სახელოვანი თანამოღვაწე ნიკოლოზ გულაბერისძე. ის ჯერ კიდევ გიორგი მესამის დროს იყო კათოლიკოსად, „შემდეგ სიმდაბლისა ძალითა იჯნნა ქართლისა კათალიკოზობისაგან“ და იერუსალიმს წავიდა. თამარის მეფობაში დაბრუნდა და მხარში ამოუდგა გვირგვინოსან ქალს¹. საყვარელი მეფის დაცვისა და გამართლების მიზნით დაწერა მან „საკითხავი სუშტისა ცხოველისაჲ, კუართისა საუფლოჲსა და კათოლიკე ეკლესიისაჲ“². აღნიშნული ტრაქტატი დაწერილია ნინოზე, მაგრამ მასში დასმულია და განხილულია ის მტკივნეული საკითხი, რომელიც თამარის თანამედროვეებს ძალზე აღელვებდათ. ნ. გულაბერისძემ თამარის სახელისა და ავტორიტეტის განსამტკიცებლად, ტახტზე ქალის ასვლის გასამართლებლად ხაზი გაუსვა ქალის (—ნინოს) მოღვაწეობას, მის პატივსა და ღირსებას. ღრმადგანსწავლული და ესთეტიკური გრძნობით უზვად დაჯილდოვებული მწერალი თამარ მეფის ერთგული ქომაგი და თავდადებული დამცველია³.

კლასიკური ხანის ქართულ ლიტერატურულ ძეგლთა შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს თამარის პირველ ისტორიას, რომლის სრული სათაურია: „რომელმან წყლისა მოაბადნი რიტორთა მძლე ჰყავ ყოველთა, ენაუტყუ მეტყუელ ჰყავ ანგელოზთა მთავრისა მიერ, აწცა განმარტე ენა-ბრგუნილი ისტორიათა და აზმათა მეტყველებასა შინა შარავანდედთასა“. სამეცნიერო ლიტერატურაში ის მოკლე სახელწოდებითაა ცნობილი: „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“⁴.

მისი ავტორი უცნობია. რამდენჯერმე იყო ცდა მისი ავტორის ვინაობის დადგენისა და დაწერის დროის დაზუსტებისა. ძეგლის ავტორად ასახელებდნენ ანტონ გლონისთავისძეს (თ. ეორდანია), სარგის თმოგველს (პ. ინგოროყვა), მანდატურთუხუცეს ჭიბერსა (ს. კაკაბაძე) და არსენ იშხნელს (კ. კეკელიძე), მაგრამ დღემდე არაფერი არ გაირკვა. ჩვენ ისიც კი არ ვიცით დანამდილებით, ის საერო პირი იყო, თუ სასულიერო. უკანასკნელ ხანს განმტკიცებული აზრით, „ისტორიანი და აზმანი“ 1222 წლით თარიღდება:

¹ ქართლის ცხოვრება, II, გვ. 117—118. ნ. გულაბერისძე თამარის დავალებით ათონის მთასაც სწევია (ათონის კრებული, გვ. 257—259).

² A №№ 130, 160, 170, 176, 643; S №3269; H №№ 1672, 2121 და სხვ. საქ. სამოთხე, გვ. 69—118; ნ. გულაბერისძე, საკითხავი სუშტისა ცხოველისაჲ, კუართისა საუფლოჲსა და კათოლიკე ეკლესიისაჲ, ვ. კარბელაშვილის რედაქციით, თბ., 1908. იხ. აგრეთვე დაუჯდომელი სუეტისა ცხოველისა და კუართისა საუფლოჲსა, კ. კეკელიძის გამოცემა, თბ., 1917. ნაწყვეტები იხ. ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, გვ. 231—233, 386—388; ჩვენი საუნჯე, ტ. 1, გვ. 538—541.

³ კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I⁴, გვ. 318—322, 466, 472, 485, 507, 600; ი. ჯავახიშვილი, ნიკოლოზ კათალიკოზი, წიგნში: ქართული ენისა და მწერლობის ისტორიის საკითხები, თბ., 1956, გვ. 97—109. იხ. აგრეთვე პ. კარბელაშვილი, იერარქია საქართველოს ეკლესიისა, გვ. 67—72.

⁴ ქართლის ცხოვრება, მარიამ დედოფლის ვარიანტი, გამოც. ე. თაყაიშვილის რედაქტორობით, თბ., 1906, გვ. 362—635; ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი (ცდა ტექსტის აღდგენისა), აკად. კ. კეკელიძის რედაქციითა და გამოკვლევით, თბ., 1941; ქართლის ცხოვრება, II, გვ. 1—114. თარგმნილია რუსულ ენაზე: История и восхождение веневосцев; груз. текст перепел, предисловием и примечаниями спандица проф. В. С. Кекелидзе, Т., 1954.

უცნობი მემკვიდრე თამარის თანამედროვე და თვითმხილველია. ის სამეფო კარზე კარგად პილებული და სახელმწიფოებრივ საქმიანობაში ჯერონად გარკვეული პირი ჩანს; ძალზე ვრცლად და ზედმიწევნითი სისრულით აღწერს თამარის სამხედრო-პოლიტიკურ, სამოქალაქო-სახელმწიფოებრივსა და საეკლესიო-სარწმუნოებრივს საქმიანობას, აღტაცებულია თამარის დიდბუნებოვანებითა და ჰაეროვნებით, აღფრთოვანებულია მისი ჰუმანიზმითა და გონიერებით. ის ერთიანი, ცენტრალიზებული სახელმწიფოს მომხრე და ერთგულია, გადაქრით ილაშქრებს გამთიშველთა წინააღმდეგ, გმობს პარტიკულარიზმს. თავისი სამშობლოს ძლიერება და წინსვლა მას კანონიერი სიამაყის გრძნობით ალაესებს.

ჩვენი ავტორი დაუცხრომელი პანეგირისტია, ძალზე მაღალი შეხედულებისაა ქების ობიექტებზე და ერთობ გაზვიადებულად წარმოგვიდგენს მათ. დიდების შარავანდედით მოსაეს და აიდუალებს. ყურადღებას იპყრობს მისი უარესად დიდი განათლება და ნაკითხობა. თხზულებაში გამოყენებულია დასავლური თუ აღმოსავლური ლიტერატურის მრავალი თვალსაჩინო ძეგლი. საკმაოაა გამოყენებული ქართული წყაროებაც. ავტორის ენა ხელოვნურია, ქარბობს რიტორიკა და ენაწყლიანობა.

„ისტორიანი და აზმანი“ ღრმაშინაარსიანი ნაწარმოებია და ძვირფასი წყაროა ჩვენი ისტორიისათვის. ის, რამდენადმე, სცილდება ისტორიული მწერლობის სფეროს და წმინდა მხატვრული ლიტერატურის თვალსაჩინო ძეგლს წარმოადგენს¹.

მე-13 საუკუნის თბილელი მოღვაწე უნდა იყოს თამარის მეორე ისტორიკოსი, ავტორი თხზულებისა „ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი“². ის აღმოაჩინა აკად. ი. ჯავახიშვილმა 1923 წელს. მანვე ძეგლის ავტორად მიიჩნია ბასილი ეზოსმოდღარი³ და თხზულება 1210—1213 წლებით დაათარილა⁴. ეს მოსაზრება ძირითადად გაზიარებულ იქნა ჩვენს სამეცნიერო წრეებში. არსებითად განსხვავებული პოზიცია უჭირავს აკად. კ. კეკელიძეს. მას აეჭვებს ბასილის ავტორობა და ძეგლის თარიღიც გვიან ხანაში (მე-13 საუ-

¹ ი. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 220—241; კ. კეკელიძე, „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ როგორც ლიტერატურული წყარო, „რუსთაველის კრებული“, 1938, გვ. 121—158; მისივე, ქართული ლიტერატურის ისტორია, II, გვ. 265—276. იხ. აგრეთვე ს. ყაუხჩიშვილი, „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ და იონანე პეტრიწი, საქ. სსრ მეცნ. აკად. მოაზბე, III, № 1, 1942, გვ. 89—95.

² ბასილი ეზოსმოდღარი, ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი, გამოსცა ი. ჯავახიშვილმა, ენიქის მოაზბე, XIV, 1944, გვ. 317—357 + V; ცალკე წიგნად გამოვიდა იმავე წელს (გვ. IV + 41). ქართლის ცხოვრება, II, გვ. 115—150. რუსულად თარგმნა პროფ. ვ. დონდუამ (Василии. Историк ц. Тамары, კრებული: „Памятник эпохи Рус-тавели“, Л., 1938, გვ. 33—76).

³ პროფ. ს. ერემიანის ერთ წერილში („Юрий Боголюбский в армянских и грузинских источниках“) ბასილი ეზოსმოდღარი ყოვლად უსაფუძვლოდ გამოცხადებულია აზნატულ ეპისკოპოს ბარსელად. ამ მდღარი მოსაზრების კრიტიკა იხ. ი. ცინცაძე, ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან (X—XVI სს.), თბ., 1956, გვ. 141—170.

ეზოსმოდღარზე იხ. А. Шанидзе, Данные греческо-пхлевийской библии из Армави для истории терпина езоносмодгари-и эпохи селгугар-п в древнегрузинском, საქ. სსრ მეცნ. აკად. მოაზბე, II, № 1—2, 1941, გვ. 181—187.

⁴ ი. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 380—404.

კუნის ოცდაათიან წლებში) გადმოაქვს¹. როგორც არ უნდა იყოს, ერთი ცხადია, ჩვენი ავტორი სამეფო კარზე მოღვაწეობდა და თამართანაც ახლო ურთიერთობაში იმყოფებოდა. ის კარგად იცნობდა თამარის ცხოვრებას, მის მრავალმხრივ მოღვაწეობას, მაგრამ, შედარებით, მოკლედ აღწერს ისტორიულ ამბებს, ნაკლებ ყურადღებას უთმობს სამხედრო-პოლიტიკურ საქმეებს, არ იჩენს ინტერესს საქართველოს ბრწყინვალე კარის სადღესასწაულო ცერემონიალისადმი და მეტწილად თამარის სასულიერო-საეკლესიო საქმეთა შესახებ გვაწვდის ქარბ მასალას. მემატიაწე დიდი თაყუანისმცემელია თამარისა, მეტიწმეტ ღია და ნათელ ფერებში წარმოგვიდგენს მის პიროვნებას. მას საკმაოდ დაკვირვებული თვალი ჰქონია. ფრიად განსწავლული ჩანს სასულიერო-საეკლესიო მწერლობაში. მისი ნაწარმოები საეკლესიო სვინაქსარული საკითხავის შთაბეჭდილებას ტოვებს, მაგრამ არც მხატვრულობასაა მოკლებული.

აქვე უნდა მოვიხსენიოთ ლაშა გიორგის დროინდელი უცნობი მემატიაწე, რომელიც მოკლედ აღწერს დიმიტრი პირველის, გიორგი მესამის, თამარისა და მისი ძის—გიორგი ლაშას მეფობას². მართალია, მის ნაწარმოებში თხრობა ხშირად დაარღვეული, მაგრამ მას არა ერთი ძვირფასი ქრონოლოგიური თუ შინაარსობლივი ცნობა შემოუნახავს (განსაკუთრებით საყურადღებოა დიმიტრი პირველის მეფობის შესახებ ცნობები). მემატიაწე სხარტად აღწერს ისტორიულ ამბებს, უხვად გვაწვდის ქრონოლოგიურ ცნობებს, ზუსტად ასახელებს გეოგრაფიულ პუნქტებს. მისი თხზულება 1222—1223 წწ. უნდა იყოს დაწერილი³.

მომდევნო ხანაში, მონღოლთა შემოსევისა და გაბატონების შედეგად, საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობა ძალზე მძიმე, ხოლო ეკონომიური ცხოვრება აუტანელი შეიქმნა. დამპყრობელ თათართა ძლიერებამ, ქართველ მამულიშვილთა უთანასწორო ბრძოლამ და მონობის უღელმა კულტურულად დაწინაურებული საქართველო ჩამოარჩინა⁴. ქართული კულტურა დასუსტდა და დაკნინდა, ლიტერატურის დონე დაქვეითდა, სამეცნიერო-საგანმანათლებლო საქმიანობა მინელდა, მაგრამ, როგორც ჩანს, სულ არ შემწყდარა. ძალიან მცირე მასშტაბით, მაგრამ ამ ხანაშიც შეიგოძნობა კულტურული მაჯისცემა⁵. ამას ამოწმებს ის ფაქტიც, რომ თბილისის მონღოლთა ბატონობის დროსაც კი იზიდავდა უცხოელ სწავლულებს. აქ საქმარისია მოვიგონოთ ცნობილი სომეხი მოღვაწე, მწერალი და მეცნიერი იოანე ერზინკელი, რომელიც 1284 წელს სწვევია თბილისის და აქ წარმოუთქვამს მეცნიერული სიტყვა

¹ კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, II¹, გვ. 125—127, 276—278; მისივე, რუსთველოლოგიური შტუდიები, ეტიუდები, IV, გვ. 4, შენ. 1 (იხ. აგრეთვე „რუსთაველის კრებული“, 1938, გვ. 134, შენ. 1 და „ისტორიანი და აზნანი შარავანდედთანი“, გვ. 33—36).

² ლაშა-გიორგის-დროინდელი მემატიაწე, გამოსცა ი. ჯავახიშვილი, თბ., 1927; ქართლის ცხოვრება, ანა დედოფლისეული ნუსხა, თბ., 1942, გვ. 237—245; ქართლის ცხოვრება, I, გვ. 365—371.

³ ი. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 244—245.

⁴ ნ. ბერძენიშვილი, თათართა ბატონობის ხანა, თბ., 1941, გვ. 12.

⁵ კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, II¹, გვ. 299—300.

„ზეციურ სხეულთა მინოქცევისათვის“¹. როგორც ჩანს, თბილისი მონღოლთა ბატონობის ხანაშიც მნიშვნელოვან კულტურულ-ლიტერატურულ ცენტრს წარმოადგენდა.

ქართული მწერლობის აღორძინების ხანაში ლიტერატურული ტრადიცია აღრევე გაღვივდა ქართლის სამეფო კარზე. ფეოდალური საზოგადოების ინტერესებისა და სულისკვეთების შესაბამისად იწყება საგმირო-სარაინდო თხზულებების ჩამოყალიბება, კერძოდ, ფირდოუსის უკვდავი პოეტური ქმნილების „შაჰ-ნამეს“ თარგმნა და გალექსევა. ამ რთულსა და ხანგრძლივ პროცესში მონაწილეობა მიუღია რამდენსამე პირს, მათ შორის ხოსრო თურმანიძეს, რომელიც გვევლინება სერაპიონ სოგრატის ძე საბაშვილის საქმის გამგრობად. მას დაუსრულებია „როსტომიანის“ გალექსევა. საინტერესოა მისი განცხადება:

მე, ხოსროვ თურმანიძემან, ამბავი ეპოვე ესია:
უცხო, ტურჟა და ლამაზი, სპარსულად იყო ესია;
პატრონმან ჩემმან მიბრძანა: „ქართულად წერე ესია!“²

ის ერთის მხრივ გვაუწყებს მის მიერ „როსტომიანის“ ერთი ნაწილის გადმოთარგმნასა და გალექსევას, ხოლო მეორეს მხრივ გვისახელებს „პატრონს“, ვისი დავალებითაც მან შეასრულა აღნიშნული სამუშაო („პატრონი ჩემი სეიმაონ სვიანმცა არის სულთაგანი“). ჩანს, ხოსროს დამკვეთი ყოფილა ქართლის მეფე სვიმონ I (1558—1600), რომელიც, როგორც ჩანს, მიუხედავად ჯამთა სიავისა და დღენიდავ ბრძოლისა, მაინც პოულობდა დროს ლიტერატურულ-საგანმანათლებლო საქმიანობისადმი თვალის მიდევნებისათვის. მისი ინტერესი ლიტერატურისადმი ცნობილია სხვა წყაროებითაც. ერთი ცნობით, სპარსეთში ტყვედ ყოფნისას სვიმონმა შელექსეობით გამოიჩინა თავი და „შაჰ-ისმაილის წყალობაც დაიმსახურა“³. ოსმალთა ისტორიკოსის მუსტაფა ნა'ინის ცნობით, სვიმონ მეფეს სტამბოლშიც უწერია ლექსები⁴.

სვიმონის მეფობის ხანა საკმაოდ რთული და მშფოთთვარე იყო.

მისი დროის ლიტერატურული ცხოვრების გასათვალისწინებლად არაა ინტერესმოკლებული არჩილის სიტყვები: „როსტომიანი“ უთქვამსო თურმანი-

¹ И. Орбелян, Фрагмент крестного камня с арабской надписью в Тифлисе, XV, 1916. ტ. VI, ნაკვ. II, გვ. 197; Л. Мелксет-Бекоев, О жемдоусобице в Тифлисе в 1197 г., ИВИА-АИ, III, 1925, გვ. 59; შდრ. მისივე, საიათნოვას ვინაობა, გვ. 20—21 მისივე. ძველი სომხური ლიტერატურის ისტორია, გვ. 150—152; მისივე, ძალისი-თბილისი-ფაიტაკარანი, თბილისის სახ. უნივერსიტეტის საიუბილეო კრებული: „თბილისი, 1500“, თბ., 1958, გვ. 35; შ. მესხია, თბილისის როლი ქართველი ხალხის ისტორიაში, იქვე, გვ. 11; ვ. ნალბანდიანი, თბილისი ძველ სომხურ მწერლობაში, თბ., 1959, გვ. 108.

² შაჰ-ნამეს ქართული ვერსიები, თბ., 1934, გვ. 366.

³ იადიგარ დაუდი, ლ. კოტეტიშვილის გამოცემა, თბ., 1938, გვ. 24. სხვათა შორის, აღნიშნული კრებული სტამბოლში უთარგმნია სიმონის ძმას დავით მეფეთრემეტეს (1564—1579). ცნობილია მისი მრავალი ნუსხა (S №№ 19, 3971; Q №№ 245, 270, 281, 562 და სხვ.).

⁴ ს. ჯიქია, ეპიზოდი XVI საუკუნის საქართველოს ისტორიიდან (ნა'ინის ერთი ცნობის განმარტება), მასალები საქ. და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 31, 1954, გვ. 53—58.

ძესა ხოსროსა, სხვა წიგნი მაშინ ძვირობდა, დაუწერია მას როსა“¹. ნიუხე-
დავად ამისა, ლიტერატურულ ცხოვრებას ძერა და წინსვლა დაეცყო.²

ქართლის დედაქალაქში ლიტერატურული მუშაობა შემდგომ ხანაში კი-
დეც უფრო გაიშალა და შესამჩნევი გახდა. აქ კვლავ გაგრძელდა ძველი ლი-
ტერატურული ტრადიცია. ამას ამოწმებს ის ფაქტიც, რომ 1623—1632
წლებში, როდესაც დროებით ქართლ-კახეთის სამეფო გაერთიანდა და ტახტ-
ზე თეიმურაზ პირველი ავიდა, მან ხელი მიჰყო ლიტერატურულ მუშაობასაც,
კერძოდ, „ლეილმაჯუნნიანისა“ და „იოსებზილიხანიანის“ ახალი რედაქციების
შექმნას (სპარსულიდან თარგმნა-გადმოკეთებას). არჩილის ცნობილ საისტო-
რიო პოემაში: „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა“ თეიმურაზი აღნიშ-
ნავს მის მეფობას ქართლ-კახეთში და დასძენს:

ამ დროს ვთქვი „ლეილმაჯუნნი“, „ზილიხანიოსებისა“,
ქება, შეენება, სიტურფე, მიჯნურთა ცეცხლებრ დებისა,
გაკჭა მინდორად, ხელობა, გულთა ლახვრულად სობისა.
ტკბილად რამ აღმოემეტყველე ლექსები სხივ-შუქებისა.
გამოეარჩინე ნათქვამი მე ჩემის მუსიკობისა,
არ დაშერა ენა მეტყველი ტკბილად მათხედა მკობისა,
განმარტვითა ვთქვი ქართულად, თქმული სპარსთ არაკობისა,
არ დამორჩილდა შეძაესა იოსებ იაკობისა³.

როსტომი (1632—1658) საკმაოდ თავისებურად მართავდა ქართლს. ის
სპარსულ-მაჰმადიანური წესებით იყო აღზრდილი და ჩვენშიც აღმოსავლური
ცხოვრების დაკანონებას შეუდგა. როსტომი შაჰ-სეფის (1629—1642) დაუკი-
თხაველ არას აკეთებდა, ამიტომაც „აქენდა ძალი ყიზილბაშთა და ქართველ-
ნი მცირეთაგან კიდე, ყოველნი ერთგულობდნენ“. მისი მოხერხებული პოლი-
ტიკის შედეგად, სამეფოში, შედარებით, მშვიდობიანობა დამყარდა. თავისი
საქმიანობით ქართლის მაჰმადიანმა მეფემ „მოირთო ქართველნი და ყიზილ-
ბაშნი მონებდენ, ვითარცა ყეენსა“⁴.

დიდებულთა წრეში თავი იჩინა აღმოსავლურმა ტენდენციამ, სამეფო
ქარზე გაჩნდნენ მეჩანგენი და მგოსნები, რომელთაც ხელი შეუწყვეს სახოტბო
პოეზიის ტრადიციების განვითარებას⁵. იმ დროის მოღვაწეებს ესმოდათ,
რომ „ჯამს დიდება პატრონისა, ვის აქვს ლექსთა თქმის შეძლება“⁶, და, შეძ-
ლებისდაგვარად, ცდილობდნენ როსტომისა და მისი მეუღლის, დედოფალ
მარიამის შემკობას. ასე, მაგალითად, ზოგიერთი ცნობით, არსებულა როსტო-
მის ქება ლექსად⁷; შემონახულია ფრაგმენტები მარიამის ქებისა⁸; მარიამს

¹ არჩილიანი, II, გვ. 3.

² ხოსრო თურმანიძეზე იხ. კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, II⁴,
გვ. 333—336; ა. ბარაშიძე, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, II, თბ.,
1940, გვ. 75—78.

³ არჩილიანი, II, გვ. 82.

⁴ ქართლის ცხოვრება, II (1854 წ.), გვ. 48.

⁵ იქვე, გვ. 46; ქართლის ცხოვრება, II (1959 წ.), გვ. 424.

⁶ ნ. ციციშვილი, შვიდი მთიები, გვ. 1.

⁷ ზ. კიკინაძე, ქართული მწერლობა და ქართველი მწერლები მეჩვიდმეტე და მე-
თვრამეტე საუკუნეებში, თბ., 1888, გვ. 40.

⁸ ქრონიკები, II, გვ. 452.

აქებდა ცნობილი პოეტი ნ. ციციშვილიც¹. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ნოდარმა თავისი „ბარამგურიანი“ დედოფალს უძღვნა². საგულისხმოა, რომ როსტომი ზოგჯერ თვით მოუწოდებდა თავის კარის მწიგნობრებს ლიტერატურული საქმიანობისაკენ. სხვათა შორის, გრემის ნაქალაქარის ხილვისას მან ფ. გორგიჯანიძეს „მუნასიბი ლექსის“ თქმა დააეალა³.

სამეფო კარზე და დედაქალაქში ლიტერატურული ტრადიციების გაღვივებას განსაკუთრებით უწყობდა ხელს დედოფალი მარიამი, ასული მანუჩარ დადიანისა. ეს უკანასკნელი დიდად განათლებული და მწიგნობრობით ფრიად დაინტერესებული პიროვნება ყოფილა. მისი მოღვაწეობის დასახასიათებლად საკმარისია მოვიგონოთ „ქართლის ცხოვრების“ ძვირფასი ნუსხა (S № 3C), რომელიც მარიამის ბრძანებითაა დამზადებული 1633—1646 წლებში⁴. როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, მარიამ დედოფალმა ტყვეობიდან დაიხსნა ბთელი რიგი ხელნაწერები: პარხლის მრავალთავე (A № 95)⁵, სვეტიცხოვლის ჟამნი (A № 84)⁶, ტბეთის ოთხთავე (Q № 929)⁷ და სხვ. მანვე განაახლებინა პარხლის მრავალთავე (A № 95), ს. ქალის გულანი (H № 936)⁸, „ახლად შეაკვრევინა“ ერთი მეტაფრასი⁹ და ა. შ.

საკარო-სახოტბო პოეზია კიდევ უფრო განვითარდა ვახტანგ მეხუთის (1658—1675) მეფობაში.

ვახტანგ მეხუთე ენერგიულად მართავდა თავის სამეფოს, თავგამოდებით ებრძოდა მოწინააღმდეგეებს, ძალზე ცდილობდა ერთგულთა შემოკრებას. თავისი მრავალმხრივი საქმიანობით, მეფემ „მოიწყო ქართლი და კახეთი, იმერნი ჟამად ეპყრნეს, ჟამად მსახურებდნენ და უსმენდნენ, მესხნი მორჩილებდნენ“ (ვახუშტი). გაძლიერდა და განმტკიცდა სამეფო კარი, რომლის დიდებასა და ბრწყინვალებას ალტაცებაში მოჰყავდა უცხოელი მოგზაურებიც კი. სამეფო კარზე მომრავლდნენ მგოსნები და მომღერლები¹⁰, არაჩვეულებრივად განვითარდა სახოტბო პოეზია, რომლის ტიპური წარმომადგენელია ფეშანგი ბითარაშვილი. ამ უკანასკნელს 1664—1665 წწ. დაუწერია საკმაოდ მოზრდილი საისტორიო პოემა, რომელშიც მიზნად დაუსახავს ქართლის მეფის ვახტანგ მეხუთისა და მისი შვილის არჩილის განდიდება. პოეტი დეტალურად აღწერს

¹ ნ. ციციშვილი, შვიდი მთიება, გვ. 1.

² იქვე, გვ. XII.

³ ფ. გორგიჯანიძის ისტორია, გვ. 53.

⁴ კ. გრიგოლია, ნარკვევები, I, გვ. 114—116.

⁵ A № 95, გვ. 102; Опис. рукописей (A), I, გვ. 111—114; მ. ჯანაშვილი, საისტორიო და საბიბლიოგრაფიო წერილები, წერილი ლო, „ივერია“, 1897, № 267.

⁶ A № 84, 165 v; პ. კარბელაშვილი, იერარქია საქართველო ეკლესიისა, გვ. 124—125.

⁷ პ. ცხვილოელი, ტბეთის ტაძრის სახარება ტყავზე დაწერილი. „ივერია“, 1900, № 229; E. Такашвили, Тетекое четворауголиц XII века, МАН, XII, 1919, გვ. 154. შდრ. ხელნაწერთა აღწერილობა (Q), II, გვ. 357—358.

⁸ პ. კარბელაშვილი, გორის მახრის ს. ქალის ღვთისმშობლის მიძინების „გულანხედ“ წარწერანი, „ივერია“, 1877, № 43, გვ. 14—15.

⁹ ე. თაყაიშვილი, ჩხარის ეკლესიის სიძველენი (მეორე ნაწილი). აკად. ს. ჯანაშვიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XVI-13, 1950, გვ. 208.

¹⁰ ფეშანგი, შაჰნავაზიანი, გ. ლეონიძისა და ს. იორდანიშვილის რედაქციით, თბ., 1935, გვ. 32—33, 39, 45, 59.

ვახტანგის სახელმწიფოებრივ მოღვაწეობას, ქართლ-კახეთის პოლიტიკურ მდგომარეობას, ზედმიწევნითი სისრულით გვიხატავს ფეოდალური საზოგადოების ყოველდღიური ცხოვრების დამახასიათებელ სურათებს, უხვ ცნობებს გვაწვდის ქართლის სამეფო კარის შესახებ და ნათლად გვიმჟღავნებს თავის პატრიოტულ განწყობილებას. მიუხედავად იმისა, რომ „შაჰნავაზიანის“ ავტორი რიტორიკითაა გატაცებული და ყალბ პათოსს თავს ვერ აღწევს, მისი თხზულება საყურადღებო საისტორიო წყაროსა და მნიშვნელოვან ლიტერატურულ ძეგლს წარმოადგენს¹.

ვახტანგ მეხუთის კარზე, დროის შესათერად, კარგად იყო დაყენებული სწავლა-აღზრდის საქმე; მემატინის ცნობით, ვახტანგმა თავისი შვილები აღზარდა „საჯელმწიფოსა სწავლითა და სიბრძნე-მეცნიერებითა. პირველად განსწავლნა საღმთთა წერილთა სწავლა-თარგმანებათა და განმარტებათა მიერ, ხოლო უმეტესად საეროთა და საეაჯაკოთა მჭედრობითა გამოცდილობითა ყოვლითურთ, სამამაკაცო ზნეობითა ესრედ სახედ, რომე არაოდეს არ აღზრდილარს საქართველოსა შინა მათებრივ არცა ძენი მეფეთანი და არცა დიდებულთანი“².

საკამათო არაა, რომ, უთუოდ, კარგი სწავლა-აღზრდის შედეგი იყო ვახტანგის ძეთა (არჩილი, გიორგი, ლევანი) ჩინებული განსწავლულობა, ბრწყინვალე განათლება და ლიტერატურული მოღვაწეობის მრავალმხრივობა.

ქართლის სამეფო კარზე აღიზარდა და არსებითად მის დედაქალაქში დავაეკაცდა არჩილი (1647—1713), რომელსაც ფიზიკურ სიძლიერესა და ნობდენილ ვაეკაცობასთან ერთად დიდი ლიტერატურული ნიჭი და მალალმხატვრული გემოვნება ჰქონდა. თბილისში შეისწავლა და გაიცნო მან ძველი ქართული კულტურა, აქ შეითვისა და შეიყვარა ძველი ქართული მწერლობის სახელოვანი ტრადიციები. მშობლიური ლიტერატურის ღრმა და საფუძვლიანი ცოდნა აშკარად გამოსკვივის არჩილის პოეტური მემკვიდრეობიდან, რომელსაც, თავის მხრივ, უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ქართული კულტურის ისტორიაში.

არჩილს ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის ისტორიაში უაღრესად თვალსაჩინო ადგილი უჭირავს. ის იყო ახალი ლიტერატურული მოძრაობის სახელოვანი მეთაური, ისტორიულ-ნაციონალური თემატიკის ბრწყინვალედ დამმუშავებელი, მშობლიური ენის საწმინდისათვის თავგამოდებული მებრძოლი, გამოჩენილი პოეტი და დიდაქტიკოს-მორალისტი. მართალია, ჩვენ სათანადოდ არ ვიცნობთ არჩილის კულტურულ-ლიტერატურული მოღვაწეობის თბილისის პერიოდს, მაგრამ, ვფიქრობთ, მისი პოეტური გენია თბილისის კულტურულ გარემოში აყვავდა.

საფიქრებელია, არჩილის თბილისში ყოფნისას ჰქონდა ადგილი ლიტერატურულ პაექრობას მასა და სულხან-საბა ორბელიანს შორის³. ძველი ქართული ლიტერატურის სახელოვან ტრადიციებზე აღზრდილი პოეტი ცნობი-

¹ იხ. „შაჰნავაზიანის“ წინასიტყვაობა, გვ. V—LXVI (=გ. ლ. ე. ნ. ი. ძე, გამოკვლევები და წერილები, გვ. 5—64) და კ. კ. ე. კ. ე. ლ. ი. ძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, II¹, გვ. 497—512.

² ქართლის ცხოვრება, II, გვ. 440—441.

³ არჩილიანი, I, გვ. 273.

ლია თავისი მეცენატობით. მისი დავალებით ფეშანგიმ გალექსა „ფირმალიანი“ 1681 წლის ახლო ხანაში. არჩილი თვით შენიშნავს:

ფეშანგი ფაშვიბერტყაძემ ახლა თქვა „ფირმალიანი“,
მე ვათქმევინე, მარამე ვერა თქვა მარილიანი¹.

როგორც ჩანს, ფეშანგის არა სპარსულიდან უთარგმნია „ფირმალიანი“, როგორც ზ. ჭიჭინაძეს ეგონა², არამედ აულია პროზაული თხრობა: „მორქმადილებით ცხოვრება და მოქალაქობა ხელმწიფისა ფირმალისა და ძისა მისისა აბულ ისაყისა“ ანუ „ამბავი დიფნის ქალაქისა“³ და ლექსად გაუწყვია ის. სამწუხაროდ, ამ ლექსით რელაქციას ჩვენამდე არ მიუღწევია და მის „მარილიანობაზე“ ჩვენ ვერას ვიტყვით.

საკმაოდ ინტერესს იჩენდა კულტურულ-საგანმანათლებლო საქმისადმი არჩილის ძმა ქართლის მეფე გიორგი XI (1676—1688, 1703—1709). მეძატიანენი მას საკმაოდ კარგი გარეგნობისა და ვაჟკაცური ბუნების ადამიანად წარმოადგენენ.

ძლიერი გოლიათებრ, სამკედროთა საქმეთა სრული და კელგამომავალი. ასეთი სიტყუა ჰქონდა, მტერნი მოყურად შეცვალის“ (ბერი ეგნატაშვილი); მის „ხუმრობასა და სიტყვის მარჯობას არა გაეწყობოდა რა“ (სეხნია ჩხეიძე) და სხვ.

გიორგი XI ლიტერატურითაც საკმაოდ დაინტერესებული იყო, ის თვით იღებდა მონაწილეობას ქართული მწერლობის განვითარების საქმეში. მას უნდა ეკუთვნოდეს ერთი საინტერესო თხზულება: „თხრობანი სულთა და ჯორცთანი ურთიერთას, თქმული საქართველოს მეფის გიორგის მიერ“ (S №№ 1508, 2363), რომელიც ლექსნარევ პროზაულ თხრობას წარმოადგენს და საკმაოდ ვრცლად გვაცნობს ავტორის ნათქვამ-ნააზრებს, მის რელიგიურ განწყობილებას⁴.

გიორგი XI ცნობილი მეცენატი იყო. მის კარზე მრავლად იყვნენ მწიგნობრები, პოეტები, მესობტენი. ზოგიერთი მათგანი მეფის დავალებითა და მითითებით მუშაობდა. დავასახელებთ ორიოდე შემთხვევას. გიორგის დავალებით ცნობილ საეკლესიო მოღვაწეს იაკობ დუმბაძეს გაუღექსავს ბაგრატი მუხრანბატონის პოლემიკური თხზულება („უსჯულოს მაჰმადიანთა და ქრისტიანეთა გაბაასება, ნათქვამი შემოქმედელის იაკობისაგან ბრძანებითა მეფის გიორგისათა, ძისა შანაოზისათა“)⁵.

გიორგი XI ზრუნავდა ქართულ ხელნაწერთა გამრავლებაზე, თხზულებათა პოპულარიზაციაზე. მისი დაკვეთით დამზადებული ერთი ძვირფასი ხელნაწერის (S № 2785) მინაწერში საგანგებოდაა აღნიშნული, რომ მას „სუროდა მრავალთა საღთოთა და სამეცნიეროთა წერილთა კითხვა და თარგმანე-

¹ არჩილიანი, II, გვ. 4.

² ზ. ჭიჭინაძე, ქართული მწერლობა და ქართველი მწერლები მეჩრდადეთ და მეთვარამეთე საუკუნეებში, გვ. 14. „ფირმალიანის ისტორია, სპარსულიდამ თარგმნილი“ იხსენიება დავით რექტორის კატალოგში (A. Чагарян, Сведения, т. I. ნაკვ. III, გვ. 263).

³ S №№ 1145, 2778; H № 2069; Q № 570; არქ. ხელნ. № 169; „მოაბბე“, 1904, VI, დამატება, გვ. 1—58.

⁴ ბ. ჭიჭიძე, გაბაასება ძველ ქართულ ლიტერატურაში, ბათუმი, 1952, გვ. 175—179.

⁵ გვხვდება მრავალ ხელნაწერში (S №№ 342, 656, 951—გ, 1103, 1508, 1511, 1516, .2775; H №№ 38, 394, 2101; A № 860).

ბა¹. აღნიშნული კრებულის შესწავლა უცილობლად ადასტურებს გადამწერის გამონათქვამის ქეშმარიტებას. ცალკე უნდა მოვიხსენიოთ „ვეფხისტყაოსნის“ დიდებული ბელნაწერი (H № 54), რომელიც გიორგის დავალებითაა დამზადებული 1680 წელს. ის შესრულებულია მაღალმხატვრულად და კალიგრაფიული ხელოვნების შესანიშნავ ნიმუშს წარმოადგენს². მისი დამამზადებელი მდივანი ბეგთაბეგი აღნიშნავს: „მრავალნი მეფენი გარდაცვალებულან და არაჲის შეუმკია წიგნი „ვეფხისტყაოსანი“ მსგავსად“ გიორგისა, რომელმაც „წარაგო მრავალი წარსაგებელი“ მისი დამზადების მიზნით.

გიორგი XI ახლო ურთიერთობაში იყო სულხან-საბა ორბელიანთან. უებრო იგავთმწერალი „ქილილა და დამანას“ წინასიტყვაობაში საგანგებოდ აღნიშნავდა, რომ ის „გიორგი მეფის დედის ძმისწული იყო და მისგანვე შეილურად გაზრდილი და განსწავლებული“³. როგორც ჩანს, გიორგიმ ადრევე შენიშნა სულხან-საბას ნიჭი. გამოარჩია ის და შეუნელებელი ინტერესით თვალს ადევნებდა მის საქმიანობას. მანვე დაავალა თავის აღზრდილს ლექსიკონის შედგენა (იხ. ქვემოთ).

გიორგი XI ყურადღება მწერლობისადმი გარკვეულ იერს აძლევდა თბილისის ლიტერატურულ ცხოვრებას. განსწავლულ მეფეს მხარს უმშვენიებდა უმცროსი ძმა ლევანი „ბრძენი და მეცნიერი, შორდამნახავე საქმისა და განსწავლული სამეცნიერო წიგნითა“ (ბერი ეგნატაშვილი)⁴. გარკვეული ლიტერატურული ინტერესები ჰქონდა დედოფალ თამარსაც⁵. კარზე თავი მოიყარეს მეხოტბე პოეტებმა, რომელთა თვალსაჩინო წარმომადგენელია მდივანი ბეგთაბეგ თანიაშვილი. მას დაუწერია გიორგის საკმაოდ მოზრდილი პროზული ქება, რომელიც ანდერძის სახით ახლავს მის მიერ გადაწერილ „ვეფხისტყაოსანს“ (H № 54, 260r—261r). მასვე დაუწერია გიორგის ქება ლექსის სახით, ოდად, რომელშიც პათეტიკურად აღწერს მეფის გარეგნულ მხარეს და ახასიათებს მის სულიერ სამყაროს⁶. ბეგთაბეგს განუგრძია მისი ძმის სულხანის მიერ წამოწყებული საქმე და 1681 წლისთვის დაუსრულებია გალექსვა „ამირანდარეჯანიანისა“⁷.

გიორგი მეთერთმეტის კარზე მოღვაწეობდა და მასთან ახლო ურთიერთობაში იყო ისტორიკოსი სეხნია ჩხეიძე, რომელმაც თავის ნაწარმოებში:

¹ Опис. рукописей (S), II, გვ. 653.

² შ. ა მ ი რ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, შოთა რუსთაველის პოემა „ვეფხისტყაოსანი“ ძველ ქართულ ხელოვნებაში, ენიშნის მოამბე, III, 1938, გვ. 155; მ ი ს ი ე ვ, История грузинского искусства, გვ. 281—282, 287.

³ ქილილა და დამანა, გვ. 4.

⁴ ლევან დაუწერია „ვედრება“ იოანე ნათლისმცემლის, პეტრე-პავლესა და სხვა წმინდანებისადმი (კ. კ ე ე ლ ი ძ ე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I⁴, გვ. 601). მწიგნობრობით დანიტერესებული უნდა ყოფილიყო მისი ასული ხვარამბეც (K № 151).

⁵ მისი კუთვნილი წიგნებიდან ცნობილია „შაჰნავაზიანი“ (ფეშანგი, შაჰნავაზიანი, გვ. VIII—IX), სენაქსარი (ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, სომხით-საორბელოს ძეგლების წარწერები, I, „კავკასიონი“ (პარიზი), № 1—2, 1929, გვ. 93—94; შდრ. ქრონიკები, II, გვ. 497) და სხვ.

⁶ Опис. рукописей (S), II, გვ. 574—578.

⁷ S № 357; ე. თ ა ნ ი ა შ ვ ი ლ ი, ამირანდარეჯანიანი, გ. ჯ ა კ ო ბ ი ა ს რედაქციით. წინასიტყვაობით, ლექსიკონით და შენიშვნებით, თბ., 1941. ბეგთაბეგი იხსენიება ს. ვაყას სომხური ეკლესიის ერთ-ერთ წარწერაში (А. М е л я к с е т - Б е к о в, Усилиямица князя Бегтабегоса, Т., 1914, გვ. 8—9).

— „ცხოვრება მეფეთა“¹ აღწერა 1653—1739 წლების ამბები და სათანადო ადგილი მიუჩინა გიორგისაც².

გიორგის კარზე მოღვაწე მწიგნობართაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია დიდი ქართველი მწერალი და გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე სულხან-საბა ორბელიანი (1658—1725). ის ახლო ნათესაურ კავშირში იყო სამეფო კართან და აქტიურად მონაწილეობდა ქართლის პოლიტიკურ-ეკონომიურ ცხოვრებასა თუ კულტურულ-ლიტერატურულ საქმიანობაში. მისი, როგორც მომავალი დიდი მწერლის ჩამოყალიბებაზე, მის სულიერ თვისებათა წრთობასა და ხასიათის გამოკვეთაზე ძალზე დიდი გავლენა მოახდინა ქართლის პოლიტიკურ-ეკონომიურმა და კულტურულმა მდგომარეობამ, ქართლის სამეფო კარმა. არჩილი, გიორგი და ლევანი დიდად ეხმარებოდნენ მას, აქტიურად მონაწილეობდნენ მის გონებრივსა თუ ფიზიკურ აღზრდაში. ღრმად განსწავლული და ფრიად განათლებული სულხან-საბა მათ დახმარებასა და მფარველობას ერთგულებით უპასუხებდა. მან მთელი თავისი შემდგომი საქმიანობა, პოლიტიკური თუ დიპლომატიური მოღვაწეობა ვახტანგ მეხუთის შთამომავლობის კეთილდღეობისა და ქართლის ტახტზე დამკვიდრებისათვის ბრძოლას დაუკავშირა.

განათლებულსა და წარჩინებულ სულხან-საბას ლევან ბატონიშვილის ვაჟის ვახტანგის აღზრდა დაევალა. მან სერიოზულად ნოჰკიდა ამ საქმეს ხელი და არა მარტო ასწავლიდა ვახტანგს, არამედ საერთოდ ხელმძღვანელობდა მის აღზრდა-განათლებას და, შეძლებისდაგვარად, ყოველი დისციპლინის შესწავლას თვალს ადევნებდა. ამ დროს შეუშობდა ის „სიბრძნე სიკრუეზე“ (1678—1688)³. როგორც ცნობილია, ამ კრებულის პრაქტიკულ-აღმზრდელითი მნიშვნელობა ძალზე დიდია. მის ავტორს კონკრეტული პიროს—ვახტანგის სასწავლო-აღმზრდელითი ამოცანები ამოქმედებდა. უბადლო იგავთწერალი თავის პრაქტიკულ საქმიანობას წიგნში თეორიულად ასაბუთებდა და ამართლებდა⁴.

ქართლის სამეფო კარზე ყოფნისას დაუწყია სულხან-საბას მუშაობა ლექსიკონზეც. საინტერესოა მისი ცნობა: „მე, სულხან-საბა ორბელიანსა, კვაბუკობისა ეამსა და სიყრმესა, ფრიადი შრომა დამიცს ამა წიგნსა ზედა. რამეთუ ქართულთა ენათა ლექსიკონი აღარ იპოებოდა, რამეთუ ეამთა ვითარებითა უჩინო ქმნილიყო. ვინადგან პატიოსანი ესე წიგნი დაჰკარგოდათ. ენა ქართული თვსთა ნებაზედ გაერყუნათ. ვახტანგ მეფის ბიძამ, გიორგი მეფემ, მიბრძანა ამისი ჯელყოფა. ჯელი მივყავ და, რაოდენ ძალ მედვა, აღვწერე“⁵. დიდი ლექსიკოლოგი სხვა შემთხვევაში გვაუწყებს, რომ „მეფის არჩილისა და მეფის გიორგისა და ბატონის ლეონის... ბრძანებით აღიწერა“ ლექსიკონი⁶.

აღნიშნული ცნობიდან ნათლად ჩანს, რომ სულხან-საბამ უკვე კვაბუკობისას (1678—1688) დაიწყო ლექსიკონზე მუშაობა. საგულისხმოა მისი ჩვენება ქართული ენის სიწმინდეზე გიორგისა და მისი ძმების ზრუნვის შესახებ. რო-

¹ S № 37. ქართლის ცხოვრება, II (1854 წ.), გვ. 307—342.

² ი. ჯაქაძის შვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 362—368.

³ ლ. მენაბდე, სულხან-საბა ორბელიანი, თბ., 1953, გვ. 103.

⁴ ლ. მენაბდე, სულხან-საბა ორბელიანისა და ვახტანგ ნევექის ურთიერთობისათვის, თსუ შრომები, ტ. 71, 1958, გვ. 133—153.

⁵ სიტყვის კონა, გვ. 10.

⁶ იქვე, გვ. 571.

გორც ჩანს, შობლიური ენის კატასტროფის მოახლოების შეგნებამ ჩააფიქრა ისინი და გარკვეული ნაბიჯიც გადაადგმევინა.

მე-17 საუკუნის მეორე ნახევრის გამოჩენილი მოღვაწეა გიორგი მეფის ერთგული მოკავშირე, თბილისის მიტროპოლიტი იოსებ სააკაძე, რომელიც 1661—1688 წლებში ჩანს ამ პოსტზე¹. ის აქტიურად იღვწოდა სასულიერო-საეკლესიო მწერლობის არენაზე. მის კალამს ეკუთვნის ალექსის ცხოვრებისა² და მარინას წამების³ გალექსილი რედაქციები, ანბანთქება (S №№ 1512, 1547, 2704; II №№ 489, 771, 1193; არქ. ხელნ. № 201); ცნობილია მისი პაექრობა იაკობ ღუმბაძესთან⁴. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი ვრცელი საისტორიო პოემა „დიდმოურავიანი“, რომელიც 1684—1687 წლებით თარიღდება⁵. ავტორი მიუხედავად მისი მღვდელმთაფრობისა, არ ერიდება თანამოსდესთა მირიე კიცხვას და ხელს ჰკიდებს საერო თემის დამუშავებას და სახელოვანი მამულიშვილის გიორგი სააკაძის რეაბილიტაციას. თავის საკმაოდ მხატვრულ თხზულებაში ის კარგად წარმოგვიდგენს ქართლ-კახეთის პოლიტიკურ მდგომარეობას მე-17 საუკუნის დამდეგისა. ი. სააკაძეს გადაუწერია „ვეფხისტყაოსნის“ ერთი ძვირფასი ნუსხა (Q № 1082) და რამდენიმე ათეული სტროფიც დაუმატებია პოემისათვის⁶.

ი. სააკაძეს ჰქონია ძლიდარი წიგნსაცავი⁷. ჩვენთვის ცნობილია მის ხელში გამოვლილი რამდენიმე ხელნაწერი წიგნი (H №№ 43, 936, 1346,

¹ გუჯრები (საისტორიო მასალა), ა. ხახანაშვილის გამოცემა, ქუთაისი, 1891, გვ. 3 (ჭებოთ—გუჯრები); Грцц. перн. рукописи, გვ. 57; ქართლ-კახეთის მონასტრების საბუთები, გვ. 213—214; ქრონიკები, II, გვ. 483; საქ. სიძველენი, II, გვ. 133; ისტორიული საბუთები, ს. კაკაბაძის გამოცემა, IV, თბ., 1913, გვ. 43; დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან. I. ბატონყმური ურთიერთობა (XV—XVIII სს.), 6. ბერძენი შვილი ს რედაქციით, თბ., 1940, გვ. 67. ი. სააკაძე მოუკლავთ 1688 წელს (ქართლის ცხოვრება, II (1854 წ.) გვ. 59). ცნობილია ერთი საბუთი 1688 წლისა, რომელშიც დაჯამებულია ი. სააკაძის საქმიანობა (სცსსა, ფონდი № 1451, დავთარი № 1, ანაწერი № 277). ი. სააკაძის მიერ ს. ბობნევი (გორის რაიონი) ჩატარებული მუშაობის შესახებ იბ. შ. კვასხაძე, სააკაძის კარის ეკლესია, „კოპენჰაგენი“, 19. XII. 40, № 293 (5934); ი. თრალი შვილი, ბობნევის მხატვრობა და რეალისტური ტენდენციის შესახებ XVII საუკუნის ქართულ მხატვრობაში, თბ., 1952, გვ. 5, 10—13; თ. ყაუხჩიშვილი, ბერძენულ წარწერები საქართველოში, თბ., 1951, გვ. 193—199.

² S №№ 1203, 1511, 2694; H № 741; არქ. ხელნ. № 396; ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, გვ. 395—406.

³ S №№ 6, 1203, 1512, 2694; H №№ 771, 2949.

⁴ გუჯდება მრავალ ხელნაწერში (A №№ 1076, 1221, 1272, 1278, 1541, 1575—გ, 1735; H №№ 660, 771, 1132—ა, 1193, 2781; S №№ 1508, 1512, 1535, 2400, 3704; არქ. ხელნ. № 201). გამოცემულია რამდენჯერმე („ივერია“, 1879, № 7—8, გვ. 95; „სახალხო გახეთი“, 1912, № 572 და სხვ.).

⁵ H №№ 123, 124, 612, 1757, 2555; S №№ 15, 101, 111, 1125, 1536, 4629; A № 1378. 1851 წ. დაბეჭდა პ. იოსელიანმა, 1897 წ.—ს. კილაძემ და ი. იმედაშვილმა, 1939 წ.—გ. ლეონიძემ. 1960 წელს დაიბეჭდა „ჩვენს საუნჯეში“ (ტ. 4, თბ., 1960, გვ. 319—390).

⁶ კ. კეკელიძე, რუსთველოლოგიური შტუდიები, ეტიუდები, VI, გვ. 10—15; გ. ლეონიძე, გამოკვლევები და წერილები, გვ. 187—208; ს. ცაიშვილი, ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული რედაქცია, თბ., 1957, გვ. 75—118.

⁷ ხ. კიკინაძე, ქართული მწერლობა და ქართველი მწერლები მეზიდმეტე და მეტარბეტე საუკუნეებში, გვ. 32; A. Xaxaiov, Oчepтeн по иcтopии гpузинскoй cлoвeснoиcтeн, III, M., 1911, გვ. 200; გ. ლეონიძე, გამოკვლევები და წერილები, გვ. 89; ი. ბალაიშვილი, ძველი თბილისი, თბ., 1951, გვ. 167—168; ვ. სიღამონიძე, თბილისის წიგნსაცავის ფუძემდებელი, „თბილისი“, 28.XI. 61, № 275 (2590).

2074; A №№ 140, 1339 და სხვ.). როგორც ჩანს, იოსები სიეებს ავალმბდა ნუსხების დამზადებას (H № 43, H № 1112). სხვათა შორის, ის არჩილსაჲ ეხმარებოდა სასულიერო-საეკლესიო წიგნების შესწავლაში (II № 1346, 206v)¹. ცნობილია იოსების მიერ დაწერილი საბუთები².

ცალკე უნდა აღვნიშნოთ ის კულტურულ-საგანმანათლებლო ზეშედეგობა, რომელიც ვახტანგ ლევანის ძე ბაგრატიონის სახელთანაა დაკავშირებული.

ვახტანგი იყო დიდად განათლებული მწიგნობარი, უაღრესად გონიერი და გამჭრიახი მმართველი, მართლმსაჯული გასგებელი, ნიჭიერი პოეტი და დახელოვნებული მთარგმნელი, მათემატიკური კონსტრუქტორი და საყოველთაოდ ცნობილი მეცენატი. მისი ჯანიშინობისა (1704—1712) თუ მეფობის (1716—1724) ხანა მრავალმხრივ საყურადღებო და მნიშვნელოვანია. მან „დაამდაბლნა თათარნი და აღანაღლნა ქართველნი“, აღადგინა დარღვეული საეკლესიო სამართალი და, ქართლის კათოლიკოსად თავისი ძმის დომენტის არჩევით, ეკლესია შემოიმტკიცა; კახეთში აჰყარა ქარიღელ გლეხთა დიდნი ნაწილი და ქართლს ჩამოასახლა, ააგო და აღადგინა ხიდები და სასახლეები, სარწყავი არხები და ეკლესია-მონასტრები, დააარსა და აამუშავა პირველი სტამბა თბილისში (1709 წ.); გაშალა ფართო სასტამბო-საგამომცემლო საქმიანობა; მოაწესრიგა სახელმწიფო სამართალი და დაადგინა კანონთა კრებული³; „სწავლულ კაცთა“ კომისიის გაამართვინა საქართველოს ისტორია და ა. შ. მისი ასეთი ღრმაშინაარსიანი სახელმწიფოებრივი საქმიანობა და კულტურულ-ლიტერატურული მოღვაწეობა სულხან-საბა ორბელიანის დიდი აღმზრდელობითი მუშაობის ბრწყინვალე შედეგია. ეს უკანასკნელია ვახტანგის პოლიტიკური მრჩეველი და შესაიდუმლე, ისაა ვახტანგის ეკონომიური და კულტურული რეფორმების სულისჩამდგმელი. გადაუქარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ვახტანგის ყველა კულტურული წამოწყება მეტ-ნაკლებად მისი დიდებული აღმზრდელის სახელთანაა დაკავშირებული. მიუხედავად აღნიშნულისა, მაინც უნდა დავსძინოთ, რომ ეპოქის მთელი ინტელექტუალური საქმიანობის მეთაური იყო ვახტანგი.

ვახტანგი თვით იყო შესანიშნავი პოეტი და დიდად განათლებული მეცნიერი. ის თავისი პირადი მაგალითით, დაუღალავი შრომითა და უმრეტი ენერჯით აღაფრთოვანებდა თანამოღვაწეებს და მათ კიდევ უფრო აქტიური საქმიანობისაკენ მოუწოდებდა. მართალია, მისი ორიგინალური თხზულებების ლირიკული ლექსების დიდი უმრავლესობა სამშობლოს გარეთ, უცხო მხარეში, დაიწერა, მაგრამ ის არსებითად თბილისის კულტურას ნაზიარები მგოსანი და აქაურ ტრადიციებზე აღზრდილი მოაზროვნეა. ვახტანგი უაღრესად მრავალფეროვან და ნაყოფიერ კულტურულ-ლიტერატურულ საქმიანობას ეწეოდა; თხზავდა შესანიშნავ ლირიკულ ლექსებს, თარგმნიდა სპარსულიდან დიდაქტიკურ-აღმზრდელობითი ხასიათის ნაწარმოებსა („ამირნასარიანი,

¹ ქ. შარაშიძე, პირველი სტამბა საქართველოში, გვ. 45.

² ქრონიკები, II, გვ. 483; საქ. სიძველენი, II, გვ. 97—102. გარდა დასახელებულისა ი. სააკაძეზე იხ. კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, II⁴, გვ. 522—532; გ. ლეონიძე, გამოკვლევები და წერილები, გვ. 65—127.

³ ვახტანგ VI, სამართლის წიგნი, ტექსტი გამოსაცემად დაამზადა, გამოკვლევა და ტერმინთა საძიებელი დაურთო თ. ენუქიძემ, თბ., 1955.

თქმული სპარსთა ენისაგან ქართულად ბატონიშვილის განმკებლის ვახტანგისაგან¹) თუ იგავ-არაკთა სახელგანთქმულ კრებულს („ქილილა და დამანა“), ათარგმნივნებდა ლიტერატურულ ძეგლებს სპარსულიდან („ბახთიარნამე“, „ბარამგულანდამიანი“), ამრავლებინებდა ხელნაწერებს (A №№ 629, 856, 910; II № 1032; არქ. ხელნ. № 242), ეხმარებოდა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებს და ა. შ. აღნიშნულის შედეგად ქართლის გული—თბილისი იქცა ფართოდ გაშლილი კულტურულ-შემოქმედებითი მუშაობის დიდ ცენტრად.

ერთი მეცნიერის მართებული შენიშვნით, ვახტანგის სასახლე წარმოადგენდა ერთგვარ პატარა აკადემიას, სადაც თავს იყრიდა საქართველოს იმდროინდელი საზოგადოებრიობის მთელი ინტელექტუალური აქტივი. ვახტანგის ენერგიული ხელმძღვანელობით ეს აკადემია შესაფერისად ეხმარებოდა ეპოქის კულტურულ მაჯისცემას². ვახტანგის კარზე თავი მოიყარეს მეცნიერებმა და მწერლებმა, მთარგმნელებმა და კალიგრაფებმა, მესობტეებმა³ და კარის შემატრიანეებმა, მომღერლებმა და დამკვრელებმა⁴. ქართველი მეფის სასახლეში სხვა ქვეყნიდან მოსული მგოსნებიც კი მოღვაწეობდნენ (სომეხი იონათანი)⁵.

არსებითად თბილისში წოდვაწეობდნენ სულხან-საბა ორბელიანი, ონანა ქობულაშვილი, გივი თუშანიშვილი, დომენტი ბაგრატიონი და სხვანი. თბილისის კულტურულ გარემოში აღიზარდა და მომწიფდა ქართველ მეცნიერთა და მწერალთა ის სახელოვანი თაობა, რომელმაც შემდეგში რუსეთში არსებულ ქართულ კოლონიებში გაშალა თავისი მრავალმხრივი საქმიანობა (ვახუშტი, ბაქარი, ერასტი თურქისტანიშვილი, დიმიტრი ორბელიანი, მამუკა ბარათაშვილი, ფაველენიშვილი და სხვა მრავალი)⁶.

ფრიად ნაყოფიერ კულტურულ-ლიტერატურულ მუშაობას ეწეოდა ამ პერიოდში სულხან-საბა ორბელიანი. ის შეუწელებელი ინტერესითა და ენერგიის დაუზოგავად განაგრძობდა მუშაობას ლექსიკონზე, ავსებდა და ავრცობდა, ხედავდა და აზუსტებდა მას. ამის შედეგად მივიღეთ საკმაოდ დასრულებული ნაშრომი, რომელიც ხანგრძლივი და ინტენსიური საქმიანობის ფრიად სასახელო ნაყოფს წარმოადგენს და კარგად წარმოაჩენს ქართული სიტყვიერი საუნჯის უღვე არსენალს. ამავე პერიოდში იგავთმწერალი განაგრძობდა „სიბრძნე სიტყურზე“ მუშაობას და ამ უკვდავ ნაწარმოებს საბოლოო რედაქციას უკეთებდა. რასაკვირველია, სულხან-საბას საქმიანობა არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ ადრე წამოწყებული სამუშაოების გაგრძელებითა და დასრულებით. ის თხზავდა ახალ ძეგლებსაც: ევროპიდან დაბრუნების (1716 წ.) შემდეგ დაწერა „ქოჯანაურობა ევროპაში“, რომელიც ქართული სამოგზაურო-მემუარული ნწერლობის უებრო ძეგლს, ქართული დოკუმენტური პროზის ბრწყინვალე

¹ ა. ბარამიძე, ნარკვევები, II, გვ. 441.

² ვახტანგს არა ერთი თანამედროვე აქებდა და აღიბებდა (თ. ქუთონია, „ქება ვახტანგ მეექვსისა“, „ლიტერატურა და ხელოვნება“, 6. IV. 47, № 14 (159).

³ დასტურლამალი, პ. უშიკაშვილის რედაქტორობით, თბ., 1886, გვ. 68.

⁴ ლ. მელიქსეთ-ბეგი, იონათანი, „მნათობი“, 1933, № 5, გვ. 181—187; მისივე, ძველი სომხური ლიტერატურის ისტორია, გვ. 183—189.

⁵ ლიტერატურული მუშაობით დაინტერესებული ყოფილა და თავისი კალამით უძლია ვახტანგის ასულს ანუკა ბატონიშვილს (A № 1453, 2387).

ნიმუშს წარმოადგენს¹. ნონდევრო ხანაში მან მიიღო ვახტანგის საპატიო და საპასუხისმგებლო დავალება და ბრწყინვალედ შეასრულა იგი: იგავ-არაქთა ცნობილი კრებულის „ქილილა და დამანას“ ვახტანგისეული თარგმანი გადაამუშავა რედაქციულად, შეასწორა და სათანადო ადგილები გალექსა, სპარსიზმები წაშალა და რელიგიური ეპიზოდები გადააკეთა, რის შედეგად მას კანონიკური რედაქციის მნიშვნელობა მისცა².

აქვე დავსძენთ, რომ სულხან-საბასა და ვახტანგს შორის ცხოველი ლიტერატურული ურთიერთობა და მკიდრო თანამშრომლობა შეინიშნება. სათანადო ხელნაწერების („ქილილა და დამანას“, „ქართული ლექსიკონი“, „ქართლის ცხოვრება“...) შესწავლა საკაოდ სრულად ააშქარავებს მათი კულტურულ-ლიტერატურული თანამოღვაწეობის საინტერესო და საყურადღებო მომენტებს, გვაცნობს მათ ინტერესთა სიახლოვესა და სულიერ ნათესაობას. დასახელებული ძეგლების შემცველ ზოგიერთ ხელნაწერს კარგად აღუბეჭდავს აღმზრდელ-აღზრდილის ერთობლივი მუშაობის კვალი. უკანასკნელად მიკვლეული მასალებით ირკვევა, რომ მათ შორის ლიტერატურულ გაბეჭდვასაც ჰქონდა ადგილი (S № 5234).

ვახტანგის კარის მოღვაწეებად ჩანან მდივნები: ონანა ქობულაშვილი და გივი თუმანიშვილი.

ონანა მდივანი ქართული მწერლობის ისტორიაში საკმაოდ ცნობილი პირია³. მისი სახელით რამდენიმე საინტერესო ნაწარმოებია მოღწეული⁴. ის ვახტანგთან დაახლოებული პირი, მისი თანამოღვაწე და თანამშრომელი ყოფილა და ზოგიერთ სამუშაოს მისი დავალებით ასრულებდა. კერძოდ, სამშობლოში ყოფნის დროს ვახტანგის დაკვეთით უმუშავებდა „ქილილა და დამანას“ ქართულ რედაქციაზე. როგორც ონანას ანდერძი ცხადყოფს, ვახტანგს „ქილილა და დამანას“ საკუთარი თარგმანი მისთვის გამოუვზავებია „გასაჩაღხად“ და ლექსებით შესავსებად⁵. ონანამ პროზაულ თარგმანს ხელი არ ახლო. არ შეცვალა. მან მხოლოდ სათანადო ადგილები გალექსა და, ამასთანავე, უცვლელად გაიმეორა ვახტანგის მიერ ლექსად გაწყობილი მასალა. ამრიგად, მას ეკუთვნის ვახტანგის მიერ პროზაულად თარგმნილი სპარსული ლექსების ლექსად გაწყობა. ონანა საკმაოდ ნიჭიერი პოეტი იყო და დავალება კარგად შეასრულა, მაგრამ მისი ნამუშავევი სულხან-საბასა მიერ რედაქტირებულმა „ქილილა და დამანამ“ დაჩრდილა.

¹ სულხან-საბასა ორბელიანი. მოგზაურობა ევროპაში, ს. იორდანის მიხედვით რედაქციით, წინასიტყვაობით, შენიშვნებით და ლექსიკონით, თბ., 1940: მისივე, თხზულებანი, I, გვ. 151—249.

² ქილილა და დამანა, იგავ-არაქები, ქართულად გადმოღებული ვახტანგ VI-ისა და სულხან-საბასა ორბელიანის მიერ, ა. ბარამიძის და პ. ინგოროყვას რედაქციით, თბ., 1949.

³ გ. ჯაკობია, ონანა მდივნისათვის, საქართველოს საზ. მუზეუმის მოამბე, X-B, 1940. გვ. 133—140; დ. ბრეგაძე, ქართველი მწერლები რუსეთში (XVIII ს.), წიგნი I, გვ. 25—63.

⁴ როგორც ჩანს, ონანა ახალ ნუსხებსაც ამზადებდა. მისი გადაწერილი უნდა იყოს თეიმურაზ პირველის თხზულებათა კრებულის საუკეთესო ნუსხა (S № 403), რომელიც საფუძვლად დაედო პოეტის ნაწარმოებთა უკანასკნელ გამოცემას (თეიმურაზ პირველი, თხზულებათა სრული კრებული, გვ. Q11).

⁵ ძველი ქართული ლიტერატურის კრესტომათია, II, გვ. 341; დ. ბრეგაძე, ქართველი მწერლები რუსეთში (XVIII ს.), წიგნი I, გვ. 214—252.

გივი თუმანიშვილს ზოგჯერ მიიჩნევენ მოსკოვის ქართული კოლონიის წევრად¹, რაც, რასაკვირველია, სწორი არაა. ის ძალზე ხშირად იხსენიება მე-17 საუკუნის უკანასკნელი მეოთხედისა და მე-18 საუკუნის პირველი მეოთხედის დოკუმენტებში². როგორც ჩანს, გივი მდივანმწიგნობრის თანამდებობას ასრულებდა რამდენიმე მეფისა თუ გამგებლის კარზე (გიორგი XI, ეოეკლე I, ლევან ბატონიშვილი, ვახტანგ VI, ქაიხოსრო, სვიმონი, იესე, ბაქარი) და მრავალ დოკუმენტს ადგენდა თუ წერდა. ნაყოფიერად მოღვაწეობდა გ. თუმანიშვილი ლიტერატურულ ასპარეზზეც, მის კალამს მიეწერება ანბანთქება³, შაირი მალალაშვილის ცოლზე (S № 152; A № 1164), არჩილ მეფის ქება⁴, ვახტანგის ეპიტაფია⁵ და სხვ. გივის მონაწილეობა მიუღია ლიტერატურულ პაექრობაში სულხან-საბა ორბელიანსა და ვახტანგ მეექვსესთან⁶, ვახუშტი ბაგრატიონთან ერთად აღუწერია მეწინავე სადროშო⁷, 1701 წლისთვის შეუდგენია არჩილის თხზულებათა კრებული (S № 424), რომელსაც შემდეგ ხანაშიც აერკობდა და ავსებდა⁸. მასვე გადაუწერია „ვეფხისტყაოსანი“ (H № 3061), სულხან-საბას ლექსიკონი (H № 797)⁹, ვახტანგის სამართალი (Q № 164)¹⁰ და სხვ.

ვახტანგის ერთგული თანამოღვაწე იყო მისი ძმა დომენტი, რომელიც ქართლის კათოლიკოსად ჩანს 1705—1741 წლებში¹¹. იმდროინდელი წყაროვ-

¹ მ. ბარათაშვილი, ქაწიკი, გ. ლეონიძის გამოცემა, თბ., 1920, გვ. 41; ი. ბალახაშვილი, ქართველი მხედრები 1812 წ. სამაშულო ომში, თბ., 1942, გვ. 8; გ. ჰაპავა, ქართველების დასახლება რუსეთსა და უკრაინაში (XVIII ს.), ი. გოგებაშვილის სახელობის თელავის სახ. პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, II, 1957, გვ. 156.

² საქ. სიძველენი, I, გვ. 79, 82, 136, 390, 440, 444, 490; II, გვ. 105, 107, 114, 153, 185, 189, 202, 225, 245, 246, 265, 301, 445, 448, 509; III, გვ. 406—408; ისტ. საბუთები, ს. კაკაბაძის გამოცემა, V, თბ., 1913, გვ. 5, 8, 15; დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, I, გვ. 73, 84, 85, 104, 108, 109, 126, 127, 146, 169, 173, 175.

³ S № 390, 424; H № 153; Q № 545; Опис. рукописей (S), II, გვ. 137.

⁴ S № 424; Опис. рукописей (S), II, გვ. 136—137.

⁵ გვებდება მრავალ ხელნაწერში (S №№ 6, 536, 1203, 1508, 1512, 1516; A №№ 1164, 1183, 1221, 1541, 1735; H №№ 394, 1193; არქ. ხელნ. №№ 396, 495 და სხვ.). დაბეჭდილია მეტწილად ვახტანგის სახელით („ციხკარი“, 1852, № 3, გვ. 5; 1857, № 11, გვ. 6—7; „ივერია“, 1879, № 7—8, გვ. 104; 1880, № 2, გვ. 146—147; 1894, № 74; „მწყემსი“, 1886, № 31, გვ. 7; „კაკის თვიური კრებული“, 1899, № 6, გვ. 65; „სახალხო ფურცელი“, 1916, № 677; „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1947, № 14; თსუ შრომები, ტ. 43, 1951, გვ. 152 და სხვ.). დაბეჭდილია ვახტანგის თხზულებათა კრებულშიც (გვ. 64).

⁶ ე. მეტრეველი, ვახტანგ VI-ის ეპიტაფიის ავტორი, თსუ შრომები, ტ. 43, 1951, გვ. 141—152.

⁷ S № 3037; მასალანი საქართველოს სტატისტიკურის აღწერილობისა მეთვრამეტე საუკუნეში, I. აღწერა მეწინავე დროშისა საბარათაშვილოსა და სომხთისა, შედგენილი მეფის ვახტანგ მეექვსის ბრძანებით ვახუშტი ბატონიშვილისა და გივი თუმანიშვილის მიერ. 1721 წელს, ე. თაყაიშვილის რედაქტორობით, თბ., 1907.

⁸ ლ. შენაბდე, არჩილის ერთი თხზულების თარიღისათვის, გაზ. „ახალგაზრდა სტალინელი“ (თსუ), 18. III. 58, № 8 (220).

⁹ ლ. ქუთათელაძე, სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის რედაქციები, გვ. 266, შენ.

¹⁰ მასვე შეუდგენია სამართლის წიგნების კრებულის შესავალი (ვახტანგ VI, სამართლის წიგნი, გვ. 8—15).

¹¹ ბ. ლომიანიძე, მასალები საქართველოს XVII—XVIII საუკუნეთა ისტორიის ქრონოლოგიისათვის, მასალები საქ. და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 29, 1951, გვ. 69—70. ვახუშტის ცნობით, დომენტი რუსეთიდან დაბრუნების შემდეგ დაუდგენიათ კათოლიკო-

ბის ცნობით, ახალგაზრდობაში დომენტის ტახტზე ასელა უცდია, ქრისტიანობის დათმობა და მაჰმადიანობის მიღება განუზრახავს, რითაც ქართველი საზოგადოებრიობის რისხვა დაუმსახურებია. შემდეგში პატიოსნად იქცეოდა, აქტიურად იბრძოდა ეკლესიისა და სამეფოს განმტკიცებისათვის, ტყვეთა სყიდვისა და ქართველთა შორის მაჰმადიანობის გავრცელების წინააღმდეგ¹. როგორც მემპტიანეთა და სიველ-გუჯართა ჩეენებიდან ირკვევა, დომენტის უწარმოებია ნაყოფიერი აღმშენებლობითი საქმიანობა². ის იერუსალიმსაც კი სწვევია და ჯვრის მონასტრისათვის დახმარება აღმოუჩენია 1699 წელს³. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი ზრუნვა ქართული სასულიერო-საეკლესიო მწერლობის განდიდრებასა და ახალ ნუსხათა დამზადებაზე. მისი ინიციატივითა და დაკვეთითაა გადაწერილი ოთხთავი (A № 1097), სადღესასწაულო (A № 425), პარაკლიტონი (A № 452), ასკეტიკონი (A № 63), დავითნი (Q № 469), თხზულებანი ეფრემ ასურის (A № 62), იოანე ოქროპირის (A № 56), იოანე დამასკელისა (H № 97) და სხვ. მისი განახლებულია სვეტიცხოვლის საკითხავი ნ. გულაბერისძისა⁴. დომენტი ხელნაწერებს სწირავდა სვეტიცხოველს⁵, ათონის ივერიის მონასტერსა⁶ და სხვა ქართულ საეანეებს. მისი მითითების თანახმად მთარგმნელობით მუშაობას ეწეოდა კვიპრიანე სამთავნელი, რომელმაც დომენტის დავალებით თარგმნა ბერძნულიდან კურთხევანი, „განმარტება ეკლესიისა და კურთხევა მისი“ და სხვ. დომენტის სახელთანაა დაკავშირებული ქართული აგიოგრაფიული კრებულის შექმნა-ჩამოყალიბებაც⁷. მას მონაწილეობა მიუღია ვახტანგის სამართლის კრებულის შედგენაშიც⁸.

დომენტის წრეში ტრიალებდა პოეტი იესე ტლაშაძე, რომელმაც შემდეგში მისი თავგადასავალი აღწერა „კათალიკოზ-ბაქარიანში“⁹.

სად (ქართლის ცხოვრება, II (1854 წ.), გვ. 71. შდრ. მ. ბროსე, საქართველოს ისტორია, II, თბ., 1900. გვ. 50).

¹ ე. დონდუა, ვახტანგ VI-ის დროინდელი საქართველოს პოლიტიკური ისტორიიდან, „მიმოწილველი“, III, 1953, გვ. 30, 33—34, 36—38, 43; მისივე, დავით გურამიშვილი და საქართველოს ისტორია, თბ., 1959, გვ. 69—71; ბ. გიორგაძე, ახალი მასალები მეფე ვახტანგ მეექვსესა და სულხან-საბა ორბელიანზე, „მნათობი“, 1959, № 9, გვ. 122—126.

² H № 2513, 32r—33v; ხელნაწერთა აღწერილობა (H), VI, გვ. 13—14. შდრ. ქრონიკები, II, გვ. 490; I. Ч у н и а ш и л и, Архитектура Кахети, Т., 1959, გვ. 109, 497.

³ ამას ამოწმებს ჩვენება დერთუფისა (K № 181) და ჯვრის მონასტრების (ნ. მართი №№ 1, 17, 19; რ. ბლეიკით №№ 1, 8, 18, 51) ხელნაწერებისა. იხ. აგრეთვე ქრონიკები, I, გვ. 209, 289.

⁴ ნ. გულაბერისძე, საკითხავი სუტისა ცხოველისაჲ, გვ. 127—128.

⁵ A № 84, 166v; პ. კახეღლაშვილი, იერარქია საქართველოს ეკლესიისა, გვ. 125.

⁶ ტ. გაბაშვილი, მოხილუა, გვ. 30, შენ.

⁷ ე. მეტრეველი, ქართული აგიოგრაფიის კრებული და მისი შემდგენელი, ა. პეშკინის სახელობის თბილისის სახ. პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, VIII, 1950. გვ. 415—420.

⁸ ვახტანგ VI. სამართლის წიგნი, გვ. 16—17, 47.

⁹ თ. ჟორდანიას ბრალდება დომენტის მიმართ არ დასტურდება (თ. ჟორდანიას, მთავარეპისკოპოსი იოსებ სამეხელი და ქართულის სტამბის საქმე XVIII საუკუნეში, „ივერია“, 1884, II, გვ. 48, შენ. 1; მისივე, მოკლე ისტორიული გამოკვლევა ქართულის სტამბის დაარსებისა და მოქმედებისა XVIII საუკუნეში და XIX საუკუნის პირველ წელთ განმავლობაში, „ივერია“, 1885, X, გვ. 110. შდრ. პ. გუგუშვილი, ქართული ჟურნალისტიკა, გვ. 32).

აღსანიშნავია, რომ 1725—1738 წლებში დომენტი კონსტანტინოპოლსა და კუნძულ ტენედოსზე იყო ექსორირებული¹, მაგრამ იქაც განაგრძობდა კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობას: იქ გადააწერინა სასულიერო-საეკლესიო შინაარსის მოზრდილი კრებული (A № 56)², ნაწილი მეორე ასეთივე ხასიათის კრებულისა³ და ა. შ. როგორც ზემოთაღნიშნულ კუნძულ ტენედოსზე ყოფნისას დომენტის დაუმზადებია ილარიონ ქართველის, იოანე და ექვთიმე ათონელების საგალობლების ნუსხა⁴.

ვახტანგის ხანის კულტურულ წამოწვებათაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია თბილისში პირველი სტამბის დაარსება (1709 წ.) და საგამომცემლო საქმიანობის გაჩაღება. ვახტანგის ზრუნვითა და რუღუნებით, აგრეთვე სტამბის მუშაკების (მიხაილ უნგროვლახელი, ნიკოლოზ ორბელიანი, გერმანე მღვდელმონაზონი) ენერგიული შრომის შედეგად თბილისის პირველმა ქართულმა სტამბამ. მიუხედავად მცირე ხანს არსებობისა (1709—1722), ფრიად საყურადღებო ძეგლები გამოაქვეყნა (განსაკუთრებით აღსანიშნავია „ვეფხისტყაოსანი“) და უდიდესი როლი ითამაშა ქართული კულტურის ისტორიაში⁵.

ნაყოფიერი კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა გაიშალა თბილისში მას შემდეგ, რაც ქართლის ტახტზე ავიდა ბაგრატიონთა კახეთის შტოს წარმომადგენელი თეიმურაზ II (1700—1762). თითქმის საუკუნის განმავლობაში ქართლის ტახტი სპარსეთიდან თუ ოსმალეთიდან მოსულ მაჰმადიან მმართველებსა თუ გამაჰმადიანებულ ბაგრატიონებს ეპყრათ. 1744 წელს ქართლის ტახტზე ქრისტიანი ბაგრატიონი, თავდადებული მამულიშვილი თეიმურაზ II ავიდა და ენერგიულად შეუდგა სახელმწიფოებრივ მოღვაწეობას. იმ პერიოდში კახეთის ტახტზე მისი ვაჟი ერეკლე II იჯდა და მამასთან თანამშრომლობით სამშობლოს კეთილდღეობისათვის ენერგიის დაუზოგავად იღვწოდა. აღმოსავლეთი საქართველო ფაქტიურად გაერთიანდა მამა-შვილის ხელში.

ქართლში თეიმურაზისა თუ ერეკლეს მეფობაში (1762—1798) მდგომარეობა არსებითად შეიცვალა. ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის გაზრდამ და მოძალებული მტრის მრავალგზისმა დამარცხებამ ქართლს, ნაწილობრივ, აღუდგინა ძველი სახელი. ქართლის გამგებლების ყურადღების გარეშე საზოგადოებრივი ცხოვრების არც ერთი უბანი არ დარჩენილა. განახლდა და გაცხოველდა ვახტანგ მეექვსის წასვლის შედეგად შეწყვეტილი კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა; განსაკუთრებით აღსანიშნავია განათლების საკით-

¹ Е. Такашвили, Мат. для истории Грузии, гв. 61—72; საქ. სიძველენი, I, გვ. 269—270, 340—342; ი. გედევანიშვილი, გედევანიანთ გვარი მე-18 საუკუნეში, ს. კახაბაძის გამოცემა, თბ., 1914, გვ. 4.

² მარტვირი ქართველი (VI—VII სს.) და მისი შრომა „სინანულისათჳს და სიმდაბლი-სა“, კ. ქვეკელიძის რედაქციითა და გამოკვლევით, „ლიტერატურული ძიებანი“, III, 1947, გვ. 265, 283.

³ A № 66, 152r-380v; Описание рукописей (A), I, გვ. 65—66; მ. ჯანაშვილი, საისტორიო და საბიბლიოგრაფიო წერილები, წერილი ოდ, „ივერია“, 1900, №№ 190, 191, 195, 198.

⁴ A № 176; ე. მეტრეველი, ქართული აგიოგრაფიის კრებული და მისი შემდგენელი, ა. პუშკინის სახელობის თბილისის სახ. პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, VIII, 1950, გვ. 419—420.

⁵ ქ. შარაშიძე, პირველი სტამბა საქართველოში (1709—1722), თბ., 1955; შ. კურდელიაშვილი, ქართული სტამბის ისტორიიდან, თბ., 1959.

ხის მოგვარება. 1755 წ. თბილისში გაიხსნა სემინარია, რომელსაც თვალსაჩინო მეცნიერები და მწერლები ხელმძღვანელობდნენ (ანტონ I, ფილიპე ყაითმაზაშვილი, იოანე ოსეს ძე)¹.

აღნიშნულმა სასწავლო დაწესებულებამ ფრიად დიდი როლი ითამაშა ქართული კულტურის ისტორიაში. თბილისის ეკლესია-მონასტრებში გამრავლდა რიცხვი პირველდაწყებითი სკოლებისა (სიონი, მეტეხი, ანჩისხატი, კალოუბანი და სხვ.), სადაც ასწავლიდნენ წერა-კითხვას, გალობას, გრამატიკას, ძველ ისტორიას, რიტორიკასა და სხვა სამეცნიერო დისციპლინებს².

1749 წელს განახლდა და ამუშავდა ქართული სტამბა („სამეფოსა ქალაქსა ტფილისს, პალატსა საპატრიარქოსა“), გაჩაღდა საგამომცემლო საქმიანობა³. ამ ფაქტს უდიდესი კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა და თეიმურაზი და ერეკლე მას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ⁴. ერეკლეს კარზე საფუძველი ჩაეყარა ქართულ თეატრსაც⁵.

კულტურულ-ლიტერატურულ მუშაობაში აქტიურ მონაწილეობას იღებდა თეიმურაზ მეორეც. მართალია, მას საქმოდ რთულ ხანაში მოუხდა მოღვაწეობა, მაგრამ ლიტერატურული ინტერესი არასოდეს არ შენელებია. თავის ნაწერებში ის მართებულად შენიშნავს: „ესწერიდი ცხენს მჯდომი, ვლავშქრობდიო“. მართლაც, მას დღენიადაგ ვლავშქრობა და ბრძოლა უხდებოდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც პოულობდა დროს ლიტერატურულ ასპარეზზე მოღვაწეობისათვის.

თეიმურაზი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა თანამემამულეთა მწიგნობრულ მუშაობას, ძველი ხელნაწერი მემკვიდრეობის დაცვასა და პოპულარიზაციას და ა. შ. ის არა მარტო სხეებს ავალებდა ძველი ხელნაწერების გაძრავლებას (მაგ., მისი დავალებით ნიკოლოზ სიონელმა გადაწერა დოგმატიკონი 1746 წელს—H № 601), არამედ თვითაც არ უკადრისობდა ნუსხების დამზადებას⁶. ეამთა სიავის გამო თეიმურაზი ხშირად იყო თბილისის გარეთ. ერთგზის ის სწორად აღნიშნავს:

ვიყავ ქართლშიგან, მტრისაგან ერთს ალაგს ვერ დავდებოდი,
იქით და აქათ მუდამად ვლავშქრობდი, ვიარებოდი⁷.

¹ ა. როგავა, სახალხო განათლება ერეკლე მეორის ხანის ქართლ-კახეთში და ანტონ პირველი, თბ., 1950.

² Кирпич, Краткий очерк истории грузинской церкви и архархата за XIX столетие, Т., 1901, გვ. 161; პ. იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, გვ. 179; შდრ. მ. ჯანაშვილი, ქართული წიგნი და ქართული ბიბლიოთეკა, ქ. მარტის სახელობის საქართველოს სსრ საჯარო ბიბლიოთეკის შრომები, V, 1940, გვ. 274.

³ ქართული წიგნი, I, გვ. XI—XII, 51—74; ა. როგავა, სახალხო განათლება ერეკლე მეორის ხანის ქართლ-კახეთში და ანტონ პირველი, გვ. 123—137; შ. მესხია, დ. გერტიცილი, მ. დუმბაძე, ა. სურგულაძე, თბილისის ისტორია, თბ., 1958, გვ. 326—333.

⁴ სტამბაში მუშაობა ერეკლეს „საქვეყნიეროდ და სჯულის სამსახურად“ მიაჩნდა (А. Цагарели, Сведения, ტ. I, ნაკვ. III, გვ. 5).

⁵ ტ. რუხაძე, ძველი ქართული თეატრი და დრამატურგია, თბ., 1949. აქ მოცემულია ცნობები როგორც ერეკლეს დროის ქართულ თეატრზე, ისე იმ ხანის დრამატურგებზეც (დავით ჩოლოყაშვილი და სხვ.).

⁶ S № 149; ქრონიკები, I, გვ. 245; II, გვ. 107, შენ.

⁷ თეიმურაზ მეორე, თხზულებათა სრული კრებული, გ. ჯაკობიას წინასიტყვაობით, რედაქციით, ლექსიკონით და შენიშვნებით, თბ., 1939, გვ. 105.

მართლაც, ის ხშირად იყო სხვა მხარეში. ამის შედეგად თეიმურაზის ბევრი ნაწარმოები უცხოობაშია შეთხზული, ყანდაარს, თავრიზს, პეტერბურგსა და სხვაგან, მაგრამ გარკვეული ნაწილი მისი ლიტერატურული მემკვიდრეობისა თბილისის სასახლეებში ყოფნის ეამსაა დაწერილი („ქება სრისა“, „განზრახვანი და ვედრებანი“ და ა. შ.).

კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობას ინტერესით აღევნებდა თვალს ერეკლე მეორეც. ის ენერგიულად ეხმარებოდა ქართველ მწიგნობრებს და არ აკლებდა მათ ზრუნვასა და ყურადღებას¹. მისი ბრძანებითა და ინიციატივით გაჩაღდა და გაიშალა მთარგმნელობითი მოღვაწეობა: ანტონ პირველმა თარგმნა „კატილორიათა შეყვანილება“ (Q № 584; S №№ 41, 52), ფილიპე ყაითმაზაშვილმა და დოსითეოს ნეკრესელმა თარგმნეს „შემოკლებითი ახსნა პერიარმენის წიგნთა“ (AN №№ 1301, 1415; S № 278; H № 1012), „მცირე ნაცვალსიტყვაობა“ (S № 250) და სხვ. იოანე ხუცეს-მონაზონმა და ისაკ მცირემ— რუსული სამართლის წიგნები (H № 1426), გაიოზ რექტორმა— სამხედრო შინაარსის წიგნები (S № 249; H №№ 193, 2109) და სხვ. ერეკლე ზრუნავდა ხელნაწერთა ბელზეც: მან ტყვეობიდანაც დაიხსნა ქართული ხელნაწერი (A № 401). ცნობილია მისი თაოსნობით დამზადებული ნუსხებიც (A № 406; H № 1426). ზოგიერთი ცნობით, ერეკლეს თავისებური მონაწილეობა ლიტერატურულ-შემოკმედებით საქმიანობაშიც მიუღია².

თეიმურაზისა და ერეკლეს ოჯახებში დამკვიდრებულ ლიტერატურულ-ტრადიციებზე აღიზარდნენ ერეკლეს შვილები და შვილიშვილები. სიბრძნის-მოყვარე მამამ შვილებს შესაფერისი განათლება მიაღებინა და მწიგნობრობისადმი ინტერესიც გაუღვია. მის მრავალრიცხოვან ოჯახში თითქმის არ დაიძებნება პირი, რომელსაც, შეძლებისდაგვარად, მონაწილეობა არ მიეღოს კულტურულ-ლიტერატურულ საქმიანობაში.

ლევან ირაკლის ძეს თავისი კალამი პოეზიაში უცდია, მისი ლექსი მრავალ ხელნაწერშია შემონახული (S №№ 1512, 1516, 1540, 1543, 3686, 3723; Q № 318; H № 610; A № 1164)³; გიორგი ბატონიშვილი, — შემდეგში ქართლ-კახეთის მეფე გიორგი XII (1798—1800), — ახლო ურთიერთობაში იყო ლიტერატურული ფრონტის მუშაკებთან. მისი ინიციატივით იოანე ოსეს ძესა და მის თანამოღვაწეებს სომხური ენიდან უწარმოებიათ მთარგმნელობითი მუშაობა (H № 2156; A № 1127; S №№ 225, 3467; K № 200), მღვდელ-მონაზონ გამალიელს, ნიკოლოზ და ზაქარია (ამბროსი) მიქაძეებს გაუმრავლებიათ ძველი ნუსხები (A № 284; H №№ 3, 2141, 2239)⁴ და ა. შ. ერთი ცნობით,

¹ სხვათა შორის, ერეკლე მეორის კარზე ერთ ხანს მოღვაწეობდნენ ცნობილი აზერბაიჯანელი პოეტები ვიდადი (1709—1809) და ვაგიფი (1717—1797). იხ. *История Азербайджана*, I, Баку, 1958, გვ. 387—390.

² S № 182, გვ. 75—77; S № 1516, 64v; A № 1631, 2r-v; არქ. ნელნ. № 242, 120r. „ივერია“, 1891, № 94; 1895, № 194; 1898, № 7; მ. ჯანაშვილი, უკვდავთა ღალატებანი, თბ., 1900, გვ. 164—166. И. П е р а д з е, *Грузинский царь Ираклий II и его молитва. Прибалтия к „Духовному вестнику грузинского епархата“*, 1898, № 3, გვ. 1—3.

³ იხ. აგრეთვე სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ახიის ხალხთა ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილების ხელნაწერები: M 15, E 49 და E 96. შდრ. ბ. გაბაშვილი, თხზულებათა სრული კრებული, გვ. 92, 180—181.

⁴ P. О р б е ლ ი, *Грузинские рукописи ИВ АН СССР*, I, გვ. 149—150; შდრ. А. Ц а г а р е ლ ი, *Сведения*, ტ. I, ნაკვ. III, გვ. 192.

ვიორჯი თვით იღებდა მონაწილეობას მწერლობაში¹. მის სამეფო კარზეც მრავლად იყვნენ მგოსნები და მომღერლები².

ქართული მწერლობის ისტორიაში კიდევ უფრო მეტად არიან ცნობილნი მირიან, ფარნაოზ, ვახტანგ, დავით, იოანე, ბაგრატ, თეიმურაზ, ილია და სხვა ბატონიშვილები. ბევრი მათგანის ლიტერატურული მემკვიდრეობის მხატვრული ღირებულება და მეცნიერული მნიშვნელობა ერთობ დიდია. მართალია, მათი მრავალმხრივი კულტურულ-ლიტერატურული საქმიანობა ძირითადად რუსეთის ქართულ კოლონიებში გაიშალა, მაგრამ შეცდომა არაა მათი თბილისთან დაკავშირება. ჯერ ერთი, ისინი თბილისში აღიზარდნენ და გაიწაფნენ, აქ გაიცნეს და შეიყვარეს მშობლიური მწერლობის ტრადიციები, მეორე, — თბილისთანაა დაკავშირებული მათი შემოქმედებითი მუშაობის პირველი ნაბიჯები. ამდენად ბატონიშვილთა ლიტერატურული მემკვიდრეობის შექმნა-ჩამოყალიბების პროცესში დიდი როლი შეუსრულებია თბილისის კულტურულ-ლიტერატურულ გარემოს, თბილისელ მწიგნობართა, მწერალთა და მეცნიერთა წრეს.

რასაკვირველია, მე-18 საუკუნის მეორე ნახევრის ქართული საერო-მხატვრული ლიტერატურა თუ სასულიერო-საეკლესიო მწერლობა მხოლოდ ბატონიშვილთა ოჯახებით არ შემოიფარგლებოდა და მათი ნაღვაწით არ განისაზღვრებოდა.

იმდროინდელ მოღვაწეთაგან აქ პირველად უნდა მოვიხსენიოთ ქართული მხატვრული სიტყვის ბრწყინვალე ოსტატი, რითმის ვირტუოზი ბესარიონ გაბაშვილი (1750—1791), რომლის პოეტური ბიოგრაფია მკიდროდაა დაკავშირებული თბილისთან. არსებითად აქ, — საქართველოს ძველ დედაქალაქში, — დაუნჯდა მისი პოეტური გენია, აქაურ კულტურულ-ლიტერატურულ გარემოში აყვავდა და რელიეფურად გამოვლინდა მისი დიდებული ნიჭი. გრძნობიარე მგოსანი თბილისის სასახლეებსა და ბაღებში აფრქვევდა თავის პოეტურ მარგალიტებს, „რუსთველისებრ ხმატკბილობით“ ამღერებდა თავის ლექსებს. თბილისში ჩანს ბესიკი 1777 წლის დამდეგამდე (ჩათვლით)³. ჩანს, აქ ყოფნის დროს დაუწერია მას სამიჯნურო-სატრფიალო ლექსების დიდი უმრავლესობა, აქვე შეუთხზავს „რძალდედამთილიანი“, გამანადგურებელი ირონიით აღსავსე სატირიკულ-პოლემიკური ლექსები მზექაბუკ ორბელიანზე და სხვ⁴. აღნიშნული თხზულებებით ბესიკი წარმოგვიდგება როგორც მგზნებარე პატრიოტი და თავდავიწყებული მიჯნური, ნიჭით უხვად დაჯილდოებული და ფრიად განსწავლული პოეტი, რომელმაც მხატვრულ-გამომსახველობითი ხერ-

¹ П. Иоселиани, Путевые записки от Тифлиса до Микеты, Т., 1871, გვ. 71—73. ცნობილია აგრეთვე დარეჯან დედოფლის ინიციატივით გადაწერილი ნუსხები (Q №№ 57—59).

² ბ. იოსელიანი, ცხოვრება ვიორჯი მეცამეტისა, გვ. 262—265. ვიორჯის მომზადებასა და განათლებაზე, მის ინტერესზე მწერლობისადმი იხ. იქვე, გვ. 6—7, 36, 128—129, 190.

³ მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, I (ხელფაი, ქირა, ფასები), მასალები შვარჩია და გამოსცა ნ. ბერძენიშვილმა, თბ., 1938, გვ. 57—58.

⁴ ბ. გაბაშვილი, თხზულებათა სრული კრებული, ა. ბარამიძისა და ვ. თორიას რედაქციით, თბ., 1932, გვ. 3—8, 21, 25—28, 48—61, 80—87 და შმდ.

ხების მრავალფეროვნებითა და ლექსის მუსიკალობით საპატიო ადგილად დაიმკვიდრა ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის ისტორიაში.

ბესიკი თავისი გარეგნული მოხდენილობითა და უზადო პოეტური კულტურით ხიბლავდა და აჯადოებდა თანამედროვეებს, მას ადრევე მრავლად გაუჩნდნენ მიმბაძველები და თაყვანისმცემლები. მის „ციურსა მლერას“ შემდეგ ხანაშიც სიამით იგონებდნენ (ვ. ორბელიანი).

ბესიკის თანამედროვეა მისი ახლობელი მეგობარი, ერეკლე მეფის სიძე დავით ორბელიანი (1716—1796). ეს გულადი მეომარი და შესანიშნავი სარდალი ლიტერატურითაც საკმაოდ იყო დაინტერესებული. ეს გარემოება გამოხატულებას პოულობდა არა მხოლოდ დავითის მეგობრობაში მწერლებთან თუ მეცნიერებთან, არამედ წმინდა ლიტერატურული ხასიათის მუშაობაშიც. დავითს სპარსულიდან¹ უთარგმნია ცნობილი საღვთგმირო მოთხრობა „ყარამანიანი“², დაუწერია ლექსიც („პირზე გაქვს ხალი“)³ და ა. შ. აქვე უნდა მოვიხსენიოთ ერეკლეს კარზე საკმაოდ დაწინაურებული მოხელე მზექაბუკ ორბელიანი, „ძველთა ფილოსოფიათა ზედმიწევნითი, ღვთისმეტყველებას შინა გამოცდილი და პაექრობასა შინა მარჯვე“⁴. მას, როგორც განსწავლულ პირსა და ბრძენ ფილოსოფოსს ერეკლეს კარზე საპატიო ადგილი მოუპოვებია, მაგრამ თავისი ბოროტი და ავი ბუნებით მოწინააღმდეგენი გაუმრავლებია. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ გარდა ბესიკისა, მასზე სატირული ლექსები დაუწერიათ საიათნოვას (S № 3723), დავით რექტორსა (S № 105) და სხვებს. არც მზექაბუკი რჩებოდა ვალში, მასაც დაუწერია მწვავე პოლემიკური ლექსები ბესიკის საპასუხოდ⁵. მასვე უწერია სხვა ლექსებიც, მაგალითად, „ძეობაში თქმული“⁶, მიძღვნა თეიმურაზ მეორის ცოლისდის ანასტა-

¹ და არა თურქულიდან, როგორც შეცდომითაა აღნიშნული ზოგიერთ ხელნაწერში (S № 164; H №№ 57, 1376; A № 1128; Q №№ 253, 396).

² დავითთა დასახელებული მთარგმნელად „ყარამანიანის“ ხელნაწერთა დიდ უმრავლესობაში (H №№ 57, 290, 331, 1041, 1376, 2118; S № 164; A №№ 283, 860, 862, 1128, 1129; Q №№ 253, 396, 974; არქ. ხელნ. № 263). ზოგიერთი ხელნაწერი „ყარამანიანის“ მთარგმნელად ავთანდილ ორბელიანს დასახელებს (H №№ 4, 78, 3223; Q № 172), ზოგიერთი ამ საკითხზე არას გვაუწყებს (H №№ 55, 82, 402, 411, 1017, 1040, 1199, 1211, 1278, 1655, 2193, 2531; S №№ 38, 165; A № 655; Q №№ 162, 480, 481, 550, 759; არქ. ხელნ. №№ 374, 426 და სხვ.). დავით ორბელიანია დასახელებული მთარგმნელად „ყარამანიანის“ გამოცემებშიც (იხ. ქართული წიგნი, I, გვ. 126, 129, 134, 137, 142, 147, 169, 184, 191, 251, 259, 268, 291, 331, 338, 350, 363, 391, 411).

³ S №№ 1516, 1540, 1543, 3686, 3723; A № 1164. ანთოლოგია, II, თბ., 1928, გვ. 267. ამ ლექსს ზოგჯერ შეცდომით ბესიკსაც მიაწერდნენ (დ. ჩუბინაშვილი, ზ. კვიციანიძე). დავითს დაუწერია სხვა ლექსებიც (ბარბარე ქობულაშვილის ცნობები ზოგიერთ ისტორიულ პირთა და სომხით-საბარათიანოს აოხრების შესახებ, „საისტორიო კრებული“, IV, 1928, გვ. 118).

⁴ კალმასობა, II, გვ. 203 (იხ. აგრეთვე „ლიტერატურული ძიებანი“, IV, 1948, გვ. 234, შენ.).

⁵ S № 1612-ზ; H № 2130. იხ. აგრეთვე ბ. გაბაშვილი, თხზულებათა სრული კრებული, გვ. 152—156.

⁶ S №№ 1512, 1516, 1543, 1576-ბ, 3723; H №№ 21, 2041, 2056, 2686.

ქართული ქრისტიანობა ანუ გამოკრებილი ადგილები ქართულთა წერილთაგან დ. ჩუბინაშვილი, II, სპბ., 1846, გვ. 228—230; მეორე გამოცემა, სპბ., 1863, გვ. 87—88; ანთოლოგია, II, გვ. 247—248. ზოგი ხელნაწერთა ძეობის ობიექტი გიორგი ირაკლის ძეა, ზოგით—ქეთევან ბატონიშვილის ვაჟი გიორგი (ამ საკითხზე იხ. ანთოლოგია, II, გვ. XIV).

სიასადმი (S №№ 1512, 1516; არქ. ხელნ. № 495), კამათი ანახანუმ დედოფლის დასთან¹ და სხვ. მასვე ეკუთვნის განმარტება „მამაო ჩუენოსი“ (H № 1228; A № 1775). როგორც ჩანს, მზექაბუკი მონაწილეობდა ხელნაწერთა გამრავლებაშიც და თვით ამზადებდა ახალ ნუსხებს (A №№ 627, 1309)².

საკმაოდ ნაყოფიერ ლიტერატურულ საქმიანობას ეწეოდა ცნობილი სახელმწიფო მოღვაწე ერეკლეს მსაჯული სოლომონ ლიონიძე (1754—1811), რომლის სახელით რამდენიმე საინტერესო თხზულებას მოუღწევია ჩვენამდე, მათგან განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს „მოთქმით ტირილი საქართველოს მეფის, ღერკულეს ნეტარებისა ღირსისა“³, რომელიც საკნაოდაა ცნობილი სათანადო სამეცნიერო ლიტერატურასა თუ ფართო საზოგადოებრიობაში⁴.

მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში თბილისში მომრავლდნენ მგოსნები და მებოტბენი, კარის ისტორიკოსები და მომღერლები. კარის მგოსნები გარს ერტყნენ თეიმურაზ მეორეს⁵, ხოლო ერეკლეს, — იოანე ბატონიშვილს ცნობით, — საკუთრად ჰყოლია მგალობელ-მწიგნობრები⁶. განვითარება იწყოს სახობო პოეზიამ. მეფეთა თუ ბატონიშვილთა ქებამ თავი იჩინა როგორც მემატრიანეთა (პაპუნა ორბელიანი, ომან ხერხეულიძე), ისე მწერალთა (ბესიკი, ამბროსი წილკნელი, დავით რექტორი და სხვ.) შემოქმედებაშიც. განსაკუთრებით შესამჩნევი გახდა ერთი გარემოება: არისტოკრატიულ-მწიგნობრული ლიტერატურის გვერდით განვითარდა და აყვავდა აშუღური პოეზია⁷, რომლის თვალსაჩინო და ტიპიური წარმომადგენელი იყო თბილისის აღზრდილი და ქართულ სამეფო კართან დაახლოებული მგოსანი და მომღერალი საიათნოვა. „მეფეთაგან მეჯლისს მიწოდებული, თავადებთან პატივცემით ქებული, აღისფერის კაბით განშვენებული“⁸ პოეტი თავის ქართულ-სომხურ-აზერბაიჯანულ ლექსებში გამოხატავდა მოქალაქეთა და ხელოსანთა აზრებსა და მისწრაფებებს, მათ ზრახვებსა და ოცნებებს. ის მთელის მგზნებარებით აჟღერებდა

¹ S № 3686; ანთოლოგია, II, გვ. 248 (მზექაბუკ ორბელიანის ზოგიერთი ლექსი დაკულია Q № 1080 ხელნაწერში).

² მზექაბუკ ორბელიანზე იხ. პ. იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა. გვ. 16—18, 48, 78, 131, 196; გ. ლეონიძე, გამოკვლევები და წერილები, გვ. 338—342. ი. ბაგრატიონის ცნობით, მ. ორბელიანი მთარგმნელობით საქმიანობასაც ეწეოდა (კალმასობა, II, გვ. 203). მზექაბუკი დაკრძალულია თბილისის სიონში (იხ. ქართველ მოღვაწეთა ნეკროპოლი, შეადგინა ს. ხუციშვილმა, თბ., 1961, გვ. 78—79).

³ დატულია მრავალ ხელნაწერში (S №№ 50, 1492, 1630, 2441; A №№ 1182, 1270-იბ; H №№ 608, 1049, 2138, 2527, 2528). გამოცემულია რამდენჯერმე (უკანასკნელი გამოცემა ეკუთვნის ნ. კანდელაკს—ქართული მკვებრმეტყველება, გვ. 228—246).

⁴ ტ. რუხაძე, სოლომონ მსაჯული, „ლიტერატურული ძიებანი“, III, 1947, გვ. 177—188; მისივე, ძველი ქართული ლირიკის ისტორიიდან, გვ. 155—164; ნ. კანდელაკი, ქართული კლასიკური მკვებრმეტყველება, გვ. 305—318.

⁵ ქართლის ცხოვრება, II (1854 წ.), გვ. 392.

⁶ კალმასობა, II, გვ. 212. ცნობილი არიან ერეკლეს კარის საზანდრები (საიათნოვა, მაჩაბელი), მელგქსეები (გულია საგინაშვილი), ხუმარები (ოთარა) და ა. შ.

⁷ ი. გრიშაშვილი, საიათნოვა და ძველი ტფილისი, წიგნში: საიათნოვა, თხზულებანი, თბ., 1918, გვ. 7—85; მ. ჩიქოვანი, ფოლკლორული ეტიუდები, I, ა. პუშკინის სახელობის თბილისის სახ. პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, VI, 1949, გვ. 81—106.

⁸ იოანე ბატონიშვილი, კალმასობა, I, კ. კეკელიძისა და ა. ბარამიძის რედაქციით, თბ., 1936, გვ. 226.

რებდა თავის ჩანგს და კიდევ უფრო ამტკიცებდა ქართველი, სომეხი და აზერბაიჯანელი ხალხების მრავალსაუკუნოვან მეგობრობას¹.

თემურაზისა და ერეკლეს კარზე დამკვიდრებული ლიტერატურული ტრადიცია ერთობ დიდი ძალისა იყო და მისი გავლენა გვიან ხანამდე შეინიშნება. მე-18 საუკუნის მიწურულისა და მე-19 საუკუნის დამდეგის ბევრი ქართველი მწერალი არსებითად ამ სახელოვან ტრადიციებზე აღიზარდა. გასაგებია, რომ მათ ლიტერატურულ ძეგლებში ასე ძლიერად იჩენს თავს ძველი მწერლობის ცხოველყოფელი გავლენა². ამ გავლენას ვერც პოეტმა ქალებმა დააღწიეს თავი³.

მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში საკმაოდ გამოცოცხლდა და განვითარდა ქართული სასულიერო-საეკლესიო მწერლობა, რომლის მეთაური იყო კათოლიკოსი ანტონ I (1720—1788). უაღრესად განათლებული ქართველი მღვდელმთავარი აქტიურ მონაწილეობას იღებდა სახელმწიფოებრივ საქმიანობაში, ენერგიულად ხელმძღვანელობდა საეკლესიო ცხოვრებას, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ახალგაზრდა თაობის სწავლის საქმეს, პირადად მონაწილეობდა თბილისის სემინარიის მუშაობაში და „თვით წვრთიდა ტფილისის სკოლასა შინა მოწაფეთა თვისთა“⁴. ის იყო ინიციატორი ახალი, ორიგინალური თხზულებების შექმნის, ორიგინალური სასულიერო-საეკლესიო მწერლობის განვითარებისა; ის იყო წამომწყები იმ მთარგმნელობითი მუშაობისა, რომელიც ასე განსაკუთრებული ძალით გაიშალა აღნიშნულ პერიოდში. ამასთანავე ანტონი იყო უაღრესად ნაყოფიერი მწერალი და მეცნიერი. გაცოცხლებას იწვევს მისი კულტურულ-ლიტერატურული მემკვიდრეობის მრავალმხრიობა. როგორც ჩანს, მისი კალამი, მისი გონება თანაბარი ნაყოფიერებით ქმნიდა შრომებს მეცნიერების სხვადასხვა დარგში. ანტონის მოღვაწეობის კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობა ისე დიდია, რომ ზოგჯერ მეთერთმეტე საუკუნის მეორე ნახევრის სასულიერო-საეკლესიო მწერლობას ანტონ კათოლიკოსის ეპოქასაც კი უწოდებენ⁵. მაგრამ ისიც აღსანიშნავია, რომ ანტონ კათოლიკოსის სალიტერატურო მოღვაწეობა, რამდენადმე, ობიექტური გამოხატულება იყო ეკლესიურ-კლერიკალური რეაქციისა საზოგადოებრივ აზროვნებასა და მწერლობაში⁶.

აღნიშნულ პერიოდში ძალზე გაცხოველდა ქართულ-სომხური ლიტერატურული ურთიერთობა. ეს შეეხო როგორც საერო-მხატვრულს⁷, ისე სასუ-

¹ სა ი ა თ ნ თ ე ა , თხზულებანი, ი. გ რ ი შ ა შ ე ი ლ ი ს გამოცემა, თბ., 1918 (იხ. აგრეთვე ზემოთ გვ. 79, შენ. 5). საიათნოვას ლექსები გვხვდება მრავალ ხელნაწერში (S №№ 1543, 1576-გ, 3686, 3723; A № 1683; H № 2130; არქ. ხელნ. № 495 და სხვ.).

² ტ. რ უ ხ ა ძ ე , ძველი ქართული ლირიკის ისტორიიდან, თბ., 1954.

³ ლ. ა ს ა თ ი ა ნ ი , ძველი საქართველოს პოეტი ქალები (გამოკვლევა და ტექსტები), თბ., 1936.

⁴ მასალები საქართველოს ისტორიისათვის, შეკრებილი ბატონიშვილის დავით გიორგის ძისა და მისი ძმებისა, თბ., 1906, გვ. 12.

⁵ კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე , ქართული ლიტერატურის ისტორია, I⁴, გვ. 372—385.

⁶ ქართული ლიტერატურის ისტორია, I, კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე , ა. ბ ა რ ა მ ი ძ ე , ძველი ქართული ლიტერატურა (V—XVIII სს.), გვ. 468.

⁷ 1798 წელს სომხურიდან „მელის წიგნს“ თარგმნის მდივან-მწიგნობარი იო ა ნ ე პ ე ნ - ტ ე ლ ა შ ვ ი ლ ი , რომელიც გიორგი მეფის კარზე მოღვაწეობდა (საბუთებში ჩანს 1765—1812 წწ.). „მელის წიგნი“ შემონახულია რამდენსამე ხელნაწერში (A №№ 549, 1786; S

ლიერო-საეკლესიო მწერლობას. ჩვენთვის ცნობილია რამდენიმე მწიგნობარი მწერლობის ამ სფეროდან. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს „პარმანთა მღვდელი“ ფილიპე ყაითმაზაშვილი, რომელიც ერთ ხანს თბილისის სემინარიის რექტორადაც კი ყოფილა. ის პედაგოგიური მუშაობის გარდა ეწეოდა მთარგმნელობით საქმიანობასაც, თანამშრომლობდა ანტონ პირველთან, დოსითეოს ნეკრესელთან, ანტონ ცაგერელ-კუონდიდელთან და სხვ. ცნობილია მის მიერ სომხურიდან თარგმნილი თხზულებანი: „წიგნი საზღვართა“ (H № 69; S №№ 334, 1180, 2564), „შემოკლებითი ახსნა პერიარმენის წიგნთა“ (S № 278; A №№ 1301, 1415; II № 1012), „ახსნა პორფირისა“ (S №№ 203, 266, 334), რიტორიკა მხითარ სევასტიელისა (S № 1137; Q № 329; A № 1181) და სხვა. ფ. ყაითმაზაშვილს საპატიო ადგილი უჭირავს ქართული საფილოსოფიო-საღვთისმეტყველო ლიტერატურის განვითარების ისტორიაში¹.

ამავე პერიოდის მოღვაწეა „ძველთა ფილოსოფიისა სწავლათა შინა გამოცდილი და ღვთისმეტყველებასაცა ნიწვენილი, მშვენიერი რიტორი და უცხო მოქადაგე“² ზაქარია გაბაშვილი (1707—1783), რომელიც ერთ ხანს თბილისში ცხოვრობდა და ახლოს იყო სამეფო კართან. ზაქარია თავის პრაქტიკულ-საეკლესიო მოღვაწეობას კარგად ათავსებდა ლიტერატურულ მუშაობასთან, წერდა ახალ ნაწარმოებებს, ამრავლებდა ხელნაწერებს და ა. შ.³ აქვე უნდა მოვიხსენიოთ იმდროინდელი მწერალი, „მეცნიერი კაცი და მშვენიერი მესტიხე“⁴, კალიგრაფი (H № 2235), მთარგმნელი (H № 1426) და ორიგინალური თხზულების „თაგვებისა და კატის ომის“ ავტორი ისაკ მცირე⁵.

№ 2966; H № 59; არქ. ხელნ. № 467). ის 1895 წელს გამოაქვეყნა აკად. ფ. თაყაიშვილმა; 1937 წელს ზოგი არაკი დაბეჭდა აკად. ა. ბარამიძემ (თსუ შრომები, VI, გვ. 161—168). 1949 განმეორებით გამოაქვეყნა დოც. ს. ყუბანეიშვილმა (ძველი ქართული ლიტერატურის ქრისტომათია, II, გვ. 290—336). ი. პენტელაშვილი ამრავლებდა სასულიერო-საეკლესიო შინაარსის ტექსტებს (A № 308; არქ. ხელნ. № 393), მასვე გადაუწერია საიათნოვას ლექსთა კრებული 1765 წელს (საიათნოვა, თხზულებანი, გვ. 40—41; ლ. მელიქსეთ-ბეგის, საიათნოვას ვინაობა, გვ. 86—87; მ. ჩიქოვანი, ფოლკლორული ეტიუდები, II, ა. პუშკინის სახელობის თბილისის სახ. პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, VI, 1949, გვ. 101—102). ცნობილია მის მიერ გადაწერილი საბუთებიც (პ. კარბელაშვილი, ძველი ანჩისბატის ტაძარი ტფილისში, 1902, გვ. 52; საქ. სიძველენი, I, გვ. 209; III, გვ. 427; დოკუმენტები, II, გვ. 102, 107).

¹ ფ. ყაითმაზაშვილზე იხ. კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, გვ. 364—369; ლ. მელიქსეთ-ბეგის, ნაკვეთი XVIII ს. ქართული ლიტერატურის ისტორიიდან (ფილიპე ყაითმაზაშვილი), „ლომისი“, 1922, № 16; მისივე, К биографии священника Филиппа Каймазова (XVIII в.), XB, 1922, ტ. VI, ნაკვ. III, გვ. 281—284.

² კალმასობა, II, გვ. 195.

³ ხ. გაბაშვილზე იხ. ქვემოთ.

⁴ კალმასობა, II, გვ. 199.

⁵ აღნიშნულ ნაწარმოებს ერთ ხანს შეცდომით ხ. გაბაშვილს მიაწერდნენ, რადგან ზოგიერთი ნუსხა (H №№ 213, 1103) მის სახელსაც იხსენიებდა. ხელნაწერთა უმრავლესობის ზეგნებით, მისი ავტორი უცილობლად ისაკ მცირეა (H №№ 771, 1214, 1311; A №№ 890, 1164; S №№ 1511, 3723; არქ. ხელნ. № 396). ზოგიერთ ხელნაწერში ავტორი სულ არ იხსენიება (A № 1421; H № 287; S №№ 395, 3704 და სხვ.). ხ. გაბაშვილია დასახელებული ავტორად S № 1438 ხელნაწერში. „თაგვებისა და კატის ომი“ გამოაქვეყნეს პროფ. დ. ჩუბინაშვილმა (ქართული ქრისტომათია, II, 1863, გვ. 22—27) და აკად. ა. ბარამიძემ (ანთოლოგია, II, გვ. 232—237). ამ ძეგლზე იხ. ნ. მ. ა. სურაძე, ისაკ მცირის ვინაობის საკითხისათვის, ა. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახ. პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, VIII, 1948, გვ. 137—147; ტ. რუხაძე, XVIII საუკუნის ქართული სატირის ისტორიისა-

მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში თბილისში შეიქმნა კალიგრაფთა სკოლები. ძველ ხელნაწერთა გამრავლებისათვის ენერგიულად იღვწოდნენ მესხი-შვილები, ჩაჩიკაშვილები და სხვა გვარეულობანი.

აქ პირველ რიგში უნდა მოვიხსენიოთ მესხიშვილები.

აკად. კ. კეკელიძე მართებულად შენიშნავს, რომ მესხიშვილთა გვარამისცა ქართულ მწერლობას მთელი რიგი გამოჩენილ მოღვაწეთა, რომელთაც შექმნეს კალიგრაფიული სკოლა და ხელი შეუწყვეს ჩვენი მწერლობის გამდიდრებას XVIII—XIX სს. როგორც ახალ თხზულებათა თარგმნით თუ დაწერით, ისე უკვე არსებულთა გადაწერით¹.

მესხიშვილების სამოღვაწეო ადგილს მეტწილად ანჩისხატის ტაძარი წარმოადგენდა. როგორც ცნობილია, ერეკლე მეორეს სემინარია ანჩისხატის ტაძრის ეზოში, „საეპისკოპოსო სახლსა შინა“ მოუთავსებია. ეს გარემოება აღნიშნულ საეანეს კულტურულ-საგანმანათლებლო კერად აქცევდა, ხოლო იქ მოღვაწე პირთ—სამეცნიერო-ლიტერატურული დარგის მუშაეებად. ამას ერთოდა ისიც, რომ ანჩისხატში თავშეფარებული და დასადგურებული იყო მესხიშვილთა ოჯახი, რომელმაც არა ერთი მწიგნობარი მისცა მშობლიურ კულტურას.

მესხიშვილთა კალიგრაფიული სკოლიდან განსაკუთრებით გამოირჩევა ანჩისხატის დეკანოზი ალექსი—„ძე ტფილურთა მოქალაქექმნულის ჯელოანის მხატვრის“ გრიგოლ მესხიშვილისა². ის ანტონ კათოლიკოსის თანამოღვაწე და მასთან დაახლოებული პირი ყოფილა³. იოანე ბაგრატიონის ცნობით, მან „მრავალნი საღმრთო წერილნი და ისტორიანი გარდასწერნა“⁴. ჩვენს სიძველეთსაცავეებში მრავლადაა შემონახული ალექსის მიერ გადაწერილი ნუსხები, მეტწილად, როგორც მოსალოდნელია, სასულიერო-საეკლესიო შინაარსისა⁵, მაგრამ მას ზოგჯერ საერო-მხატვრული ლიტერატურის ძეგლებიც გადაუნუსხავს⁶.

თვის (ხაქარია ვაბაშვილი და ისაკ მცირე), საიუბილეო კრებული, მიძღვნილი აკად. კ. კეკელიძის დაბადების 80 წლისთაისადმი, გვ. 295—303. როგორც ჩანს, ისაკ მცირე თბილისის სტამბაშიც მუშაობდა (ქართული წიგნი, I, გვ. 52).

¹ კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I⁴, გვ. 361.

² გ. ლეთნიძე, გამოკვლევები და წერილები, გვ. 408—409.

³ ანტონს მასთან ურთიერთობა ქ. ვლადიმირში ყოფნის დროსაც არ გაუწყვეტია (S №№ 1158, 1512; A № 1448; H №№ 247, 2510, 2737; „ივერია“, 1879, № 7, გვ. 108—111; A. Ц а г а р а т и ა, С в е д е н и я, ტ. I, ნაკვ. III, გვ. 288—291).

⁴ კალმასობა, II, გვ. 200.

⁵ ოთხთავეები (S № 2715; H №№ 1114, 1666; Q № 264), ტიბიკონები (A №№ 399, 459), რჯულისკანონები (A №№ 344, 478), ხრონოგრაფი (H № 1671), წმიდათა ცხოვრება (H № 2077), ეპინი (S № 1096), ლოცვანი (Q № 295) და სხვ. მასვე გადაუნუსხავს სულხან-საბას სიტყვის კონა—S № 4748 (ლ. ქუთათელაძე, „სიტყვის კონის“ სათაური ასოები, „დროშა“, 1958, № 10, გვ. 7—8; მისივე, სულხან-საბა ორბელიანის მინიატურული პორტრეტი და მისი შემსრულებელი ალექსი მესხიშვილი, „საბჭოთა ხელოვნება“, 1959, № 10, გვ. 17—20. მღრ. კ. კეკელიძე, სულხან-საბა ორბელიანის პორტრეტისათვის, „კომუნისტური აღზრდისათვის“, 1960, № 3, გვ. 87—89).

⁶ „ეისრაშინი“ (H № 716), „ქილილა და დამანა“ (S 5004) და სხვ. დაუწერია მას მრავალი საბუთიც (საქ. სიძველენი, I, გვ. 286—287; II, გვ. 544—546; III, გვ. 453—456; დოკუმენტები, I, გვ. 239, 261, 263—264, 299, 305—306; ისტ. საბუთები, V, გვ. 45, 74—75).

ა. მესხიშვილი არ დაკმაყოფილებულა ხელნაწერთა გამბრავლებით. მას გარკვეული წვლილი შეუტანია სასულიერო-საეკლესიო მწერლობაში. კერძოდ, რუსულის მიხედვით გაუმართავს ქართული თვენი 1758 წელს (A № 1093). ამით ის რუსულ-ქართული კულტურულ-ლიტერატურული ურთიერთობის მნიშვნელოვან წარმომადგენლად გვევლინება¹.

ი. ბაგრატიონის მოწმობით, ალექსიმ „კეთილად აღზარდნა შვილნი თვისნი“, გააცნო და შეაყვარა მათ ქართული მწერლობა. მისი შვილებიდან ქართული კულტურის ისტორიაში საკმაოდაა ცნობილი დავით რექტორი (1745—1824), რომელიც თელავის სემინარიას ხელმძღვანელობდა. ნეორე ვაეი სოლომონი (1742—1808) ანჩისხატის ტაძარში დარჩა და იქ განავრძო მამის საქმე. ცნობილია მის მიერ გადაწერილი თუ გაცხოველებული მრავალი ნუსხა². საგულისხმოა, რომ ი. ბაგრატიონი მსჯელობს რა ნესიონიკლთა ოჯახზე, ალექსის შვილებზე, დასძენს: „ისწავეს ხუცურისა და მხედრულისა წერა, გარნა მხედრულის წერასა შინა ჯერეთა არც ძველად და არც ახლად არვინ თქმულან უკეთეს ამათსა, და მეტადრე სოლომონ დეკანოზისა“³.

ს. მესხიშვილს დაუწერია საყურადღებო ლექსი („ეტრფის მთიებსა“)⁴, დავით ბაგრატიონის შესხმა⁵ და სხვ.

ხელნაწერებს ამრავლებდნენ ალექსი მესხიშვილის სხვა შვილებიც: ნიკოლოზი⁶ და გიორგი⁷.

წინაპართა ტრადიციას არ ღალატობდა მომდევნო თაობაც. გაწაფული და დახელოვნებული კალიგრაფი ყოფილა დიმიტრი სოლომონის ძე ალექსიშვილი (1778—1862)⁸. ნაყოფიერ მთარგმნელობით მუშაობას ეწეოდა მისი ძმა იერონიმე⁹. საყოველთაოდ ცნობილია მესამე ძმის ტარასის კულტურულ-ლიტერატურული საქმიანობა¹⁰. ხელნაწერებს ამრავლებდა მეოთხე ძმაც—ანდრია

¹ კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I⁴, გვ. 361—364.

² A №№ 275, 276, 426, 618, 1106; S № 51; Q № 58 და სხვ. უწერია მას ავრეთვე ს. ბელოთში (Q № 268), თელავსა (A № 356) და ასტრახანში (A № 15).

³ კალმასობა, II, გვ. 200. ასეთსავე შეფასებას აძლევს სოლომონის კალიგრაფიას თეიმურაზ ბაგრატიონი (А. Пагриян, Сведения, т. I, ნაკვ. III, გვ. 169; თეიმურაზ ბატონიშვილის წიგნთსაცავის კატალოგი, გვ. 25).

⁴ H № 390; A № 1164; S №№ 1512, 1543, 3723. ამ ლექსს შეცდომით ზიწერენ დიმიტრი დეკანოზს (K № 580), მარიამ ირაკლის ასულს (H № 2130), დ. თუნანიშვილს (S № 2519), ვახტანგ ბატონიშვილს (S № 2385), ბესიკს (ს. გორგაძე), ს. ლიონიძეს (დ. ჩუბინაშვილი), დ. რექტორს (ე. თაყაიშვილი).

⁵ A № 355; S № 3282; Q № 1155; მ. ჯანაშვილი, საისტორიო და საბიბლიოგრაფიო წერილები, წერილი რა, „ივერია“, 1900, № 167. სოლომონი წერდა საბუთებსაც (საქ. სიძველენი, I, გვ. 309—311; დოკუმენტები, II, გვ. 146—147. 216: ისტ. საბუთები, V გვ. 106—107).

⁶ S №№ 419, 3183; H № 2256 და სხვ.

⁷ A №№ 114, 155, 239, 334; S №№ 295, 2563; H №№ 158, 1354, 2110; Q №№ 70 744; S № 3047 და სხვ. გიორგი წერდა საბუთებსაც (ისტ. საბუთები, V, გვ. 77—78).

⁸ S №№ 1149, 1152, 1153, 1156, 1224; H №№ 205, 212, 224, 225 და სხვ.

⁹ ი. ალექსიშვილი თარგმნიდა ქართულიდან რუსულად (S № 1821), რუსულიდან ქართულად (S №№ 198, 201, 209, 210, 214—219, 221—224, 231), წერდა საბუთებს (A. Пагриян, Сведения, т. I, ნაკვ. III, გვ. 3—4).

¹⁰ იხ. კვათახევი.

ალექსიშვილი¹. კულტურულ-შემოქმედებით მუშაობას ეწეოდნენ ეფრემ², იაკინ-
თე³, იოველ⁴, პარონ⁵ და სხვა ალექსიშვილები⁶.

ძველი ხელნაწერების გამრავლებისა და ახალი ნუსხების დამზადების
მხრივ ანჩისხატს არ ჩამორჩებოდა სიონი, სადაც სხვადასხვა დროს მრავალი
კალიგრაფი მოღვაწეობდა. ჩვენთვის ცნობილია არა ერთი კალიგრაფი, რო-
ნელიც „სანახებსა სიონისასა“ ამრავლებდა ძველ ნუსხებს. შეგვიძლია დავა-
სახელოთ გედეონი (K № 154), პაველ (A № 728), თომა (H №№ 15, 3132),
გერმანე (A № 169), სოლომონი (H № 319), ანდრია (A №637), აპრონი
(H № 1672; Q № 18; M 2), იოანე (A № 1552) და მრავალი სხვა მწიგნო-
ბარი. ცალკე უნდა მოვიხსენიოთ ისაკ სიონელი—„სალმრთო წერილსა შინა
გამოცდილი, მოეამნეთა შორის ჩინებული და ხუცურისა წერასა შინაცა
ქებული“⁷. მრავლადაა ცნობილი მის მიერ გადაწერილი ხელნაწერები
(A №№ 265, 822, 1385; S № 542; II № 2182) და მისი ხელით დაწერილი
საბუთებიც⁸. კიდევ უფრო მეტად ნაყოფიერი იყო კალიგრაფი ნიკოლოზ მი-
ქაძე, სიონის დეკანოზი. ი. ბაგრატიონი აღტაცებით შენიშნავს: „ჯერეთ
არეინ ყოფილა ამისთანა მშვენიერის ხელის მწერალიო“⁹. ჩვენამდე მოღწეუ-
ლია მის მიერ გადაწერილი რამდენიმე ათეული ნუსხა¹⁰. აქტიურად მუშაობ-
და ის ერეკლეს სტამბაშიც¹¹.

აქვე უნდა მოვიხსენიოთ „იკონომოს-დეკანოზი ტფილისის სიონისა“,
რექტორი თბილისის სემინარიისა—იოანე ოსეს ძე მიქაძე (1750—1801) და
მისი ოჯახი.

¹ A №№ 544, 1126; S №№ 107-გ. 164, 165, 415, 3706; H № 2296.

² ეფრემს დაუწერია ლექსად შაირები (ზმებით) „ღვინისათვის სახმართა სხვათა და
სხვათა ქურტელთათვის“ (პ. იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, გვ. 29—30). და-
უწერია მას სხვა ლექსებიც (H № 1132-ა). ცნობილია სხვა ეფრემიც (გ. გოხალიშვილი
1832 წლის შეთქმულება, თბ., 1935, გვ. 290—300, 338—341; გ. თაყაიშვილი, სახალხო
განათლებისა და პედაგოგიური აზროვნების ისტორია საქართველოში (1801—1870 წწ.), II,
თბ., 1948, გვ. 180).

³ H №№ 140, 1196, 1222.

⁴ A № 592; S №№ 49, 3653 და სხვ. მასვე გადაუწერია „დასტურლამალი“—S № 1507,
რონელიც საფუძვლად დასდებია ამ ძეგლის გამოცემას (დასტურლამალი, პ. უშიკაშვილი
ის რედაქტორობით, თბ., 1886. იხ. აგრეთვე ვ. გაბაშვილი, დასტურლამალის
1729 წ. ხელნაწერი, მასალები საქ. და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 30, 1954, გვ. 83,
89—93).

⁵ A № 1581; S № 326-ა. ის ერთ ხანს ლისკოვოში ახლდა ანტონ მეორეს.

⁶ მესხიშვილთა შესახებ იხ. პ. კარბელაშვილი, ძველი ანჩისხატის ტაძარი
ქ. ტფილისში, 1902.

⁷ კალმასობა, II, გვ. 199; შდრ. პ. იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა,
გვ. 4, 80, 85, 260.

⁸ საქ. სიძველენი, I, გვ. 99, 101, 150—151; დოკუმენტები, II, გვ. 67—68, 265; ისტ.
საბუთები, V, გვ. 76—77.

⁹ კალმასობა, II, გვ. 198.

¹⁰ A №№ 20, 347, 412, 848, 897, 1154, 1191, 1399, 1454, 1487; H №№ 334, 601, 656,
970, 1193, 1369, 2121, 2234, 2239, 2268; K №№ 80, 139; Q №№ 57, 78, 369; არქ. ხელნ.
№№ 64, 224, 284 და სხვ. ზოგი ხელნაწერი მას დაუმზადებია მოსკოვში (A №№ 389, 1702;
H № 1246; K № 56). წერდა ის საბუთებსაც (დოკუმენტები, I, გვ. 335—336; II, გვ. 119; ისტ-
საბუთები, V, გვ. 73—74, 79, 95).

¹¹ ქართული წიგნი, I, გვ. 52, 53, 56, 61.

მწიგნობრულ-ლიტერატურული ინტერესებით ცნობილია იოანეს მამა — სიონის მღვდელი, „სატფილელოს სახლთუხუცესი“ ოსე მიქაძე (1698—1758)¹. რომელსაც თეიმურაზ მეორის დავალებით 1750 წელს შეუდგენია ანბანური საძიებელი სამართლის წიგნების კრებულისა². მრავლადაა მოღწეული მის მიერ დაწერილი საბუთებიც³.

იოანე ოსეს ძე მიქაძე ან იოანე ოსეშვილი, — როგორც მას ჩვეულებრივ უწოდებენ, — ფრიად განსწავლული მწიგნობარი ყოფილა. ის თხზავდა ორიგინალურ შრომებს⁴, თარგმნიდა სომხურიდან⁵, ეწეოდა სარედაქციო მუშაობას ფილიპე ყაითმაზაშვილსა⁶ და იოანე ქსიფილინოს-პაპუწიშვილთან⁷ ერთად, ამზადებდა ახალ ნუსხებს⁸, წერდა საბუთებს⁹ და ა. შ.

იოანე ოსეს ძე ერეკლეს სტამბის აქტიური მუშაიკი ყოფილა. მისი მონაწილეობით („ღრამმატიკისა კანონსა ზედა განმართვთა და პრობის მართეთთა უღირსისა ხუცის ოსეს ძის იოანესითა“) დაიბეჭდა კონდაკი (1783 წ.), ლოცვანი (1784 წ.), სახარება (1786 წ.), ზატიკი (1788 წ.), სამოციქულო (1791 წ.) და სხვ. წიგნები¹⁰.

ასევე ნაყოფიერი შემოქმედი იყო მისი ძმა, ცნობილი მემუარისტი და პოეტი იესე ბარათაშვილი (1728—1786)¹¹. მის კალამს ეკუთვნის მრავალმხრივ საინტერესო „ცხოვრება-ანდერძი“¹², რომელიც საყურადღებო მოვლენ-

¹ A № 637, 40v, 46v; ქ. შ ა რ ა შ ი ძ ე, იესე ოსეს ძის „ქორანიკონი“, ენიშვის მოამბე, XIII, 1943, გვ. 128, 135, 136.

² აღნიშნული საძიებელი მრავალ ხელნაწერში გვხვდება, მაგრამ შემდგენლის სახელი მხოლოდ ორ ნუსხაში (H № 176; Q № 880) იხსენიება (ე ა ხ ტ ა ნ გ VI. ჭამართლის წიგნი, გვ. 33—34).

³ საქ. სიძველენი, I, გვ. 290—292; ისტ. საბუთები, V, გვ. 70—71; დოკუმენტები, I, გვ. 287, 328—329. საბუთებს წერდა მამამისი სიონის დეკანოზი იესეც (საქ. სიძველენი, II, გვ. 143—144).

⁴ იამბიკოებით ამკობდა ის თარგმნილსა თუ გადაწერილ ძეგლებს (A №№ 266, 292, 618, 663, 1565; S №№ 105, 121, 5049; H №№ 659, 766, 1296, 1365, 2117; Q № 228; არქ. ხელნ. № 325 და სხვ.).

⁵ უთარგმნია „განმარტებაჲ მამათ ჩუენოასაჲ“ (S № 3656; A. Цагарели, Сведения, ტ. I, ნაკვ. III, გვ. 109—110, 168; თეიმურაზ ბატონიშვილის წიგნთსაცავის კატალოგი, გვ. 24. იხ. აგრეთვე II. Иоселиани, Описание древностей г. Тифлиса, გვ. 119, 164).

⁶ A №№ 652, 671, 1127; S №№ 225, 3167; H № 2156; Q № 281; K № 200.

⁷ A №№ 525, 711, 787, 813, 988, 1296, 1565; H №№ 633, 658, 659, 766, 1272, 1296, 1365, 3127; S №№ 55, 80, 229, 1329, 4952; Q №№ 228, 391, 564, 599, 763, 828, 891 და სხვ.

⁸ A №№ 122, 292; S № 5049; K № 90.

⁹ ქართლ-კახეთის მონასტრების საბუთები. გვ. 122—125, 148—149; ისტ. საბუთები, V, გვ. 101—102, 104, 116; დოკუმენტები, II, გვ. 124; A. Цагарели, Сведения, ტ. I, ნაკვ. III, გვ. 3—5.

¹⁰ ქართული წიგნი, I, გვ. 62, 64—67.

¹¹ A № 637, 43v, 49r; ენიშვის მოამბე, XIII, 1943, გვ. 135, 137.

¹² პირველად დაიბეჭდა „ცისკარში“ (1871, № 11—12, გვ. 735—762; 1872, № 1, გვ. 3—30; № 2, გვ. 108—125; № 4, გვ. 207—222; № 10, გვ. 512—515; № 11—12, გვ. 576—591). 1913 წელს გამოაქვეყნა პროფ. ს. კაკაბაძემ. მესამედ დაიბეჭდა 1950 წელს (ი. ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი, ცხოვრება-ანდერძი, ტექსტი გამოსცა შესავლით, შენიშვნებით, ლექსიკონითა და საძიებლებით ა. ი ო ს ე ლ ი ა ნ შ ა, მასალები საქ. და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 28, 1950, გვ. 1—120).

ნას წარმოადგენს ქართულ მემუარულ ლიტერატურაში. აღსანიშნავია მისი „ლეკსნი სამიჯნურონი, რომელსა ეწოდების ეშხიხონია“¹ და „ქორანიკონი“²; ცნობილია მის მიერ დამზადებული ნუსხები³ და დაწერილი საბუთები⁴. იესე ბარათაშვილს ზოგიერთი მკვლევარი მიაწერს ერთ დიალოგს⁵. თავისი პრაქტიკული საქმიანობითა და მწიგნობრულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობით ი. ბარათაშვილი საკმაოდ ცნობილი ფიგურაა მე-18 საუკუნის მეორე ნახევრის თბილისში⁶.

ხელნაწერების გამრავლებას ადგილი ჰქონდა დედაქალაქის სხვა ეკლესია-წონასტრებშიც: კალოუბანში (N № 300; H № 3132), მეტეხში⁷, განსაკუთრებით ჯვრის მონასტერში („სანახებსა ჯუარის მონასტრისასა“), სადაც მოღვაწეობდა ცნობილი კალიგრაფი იოანე დეკანოზი⁸. არსებითად კალოუბნისა და სიონის მწიგნობრების მეთვალყურეობითა და ხელმძღვანელობით სწავლობდა ცნობილი ქართველი მემუარისტი იოანე ქართველიშვილი (1772—1816). ამ უკანასკნელის კულტურულ-ლიტერატურული მემკვიდრეობიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს მრავალმხრივ საინტერესო მემუარები⁹ და „ქართული ღრამბატიკა“, რომელიც ადრევე დაიბეჭდა¹⁰ და კარგა ხანს გამოიყენებოდა სახელმძღვანელოდ¹¹. ი. ქართველიშვილს უთარგმნია

¹ S №№ 118, 1087, 1511, 1516, 2267, 3704; H №№ 478, 771, 1193; Q № 318; არქ. ხელნ. № 201 და სხვ.

² ქ. შარაშიძე, იესე ოსეს ძის „ქორანიკონი“, ვნიშის მოამბე, XIII, 1943, გვ. 121—137.

³ A №№: 64, 122, 1790; S № 4738; H № 972 და ა. შ.

⁴ დოკუმენტები, I, გვ. 309, 352—353, 419—420.

⁵ H № 1334, 306r—308v; Q № 202; ა. იოსელიანი, მე-18 საუკუნის ქართული კონფიდური დიალოგი, „ლიტერატურა და ხელოვნება“, 23.IX.45, № 31 (84); ს. კაკაბაძე, 1761 წ. დაწერილი ქართული სასცენო მინიატურა, „მნათობი“, 1946, № 7, გვ. 135—139. ამ საკითხზე იხ. ტ. რუხაძე, ძველი ქართული თეატრი და დრამატურგია, გვ. 11—12.

⁶ ი. ბარათაშვილზე იხ. აგრეთვე ს. კაკაბაძე, მასალები მსაჯულის იესე ოსეს ძის შესახებ, „საისტორიო მოამბე“, 1924, II, გვ. 173—198; მისივე, დამატებითი მასალები მსაჯულის იესე ოსეს ძის შესახებ, „საისტორიო კრებული“, 1928, II, გვ. 81—87; თ. პაპუაშვილი, იესე ოსეშვილი და მისი „ანდერძის“ ისტორიული მნიშვნელობა, თბილისის სახ. უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებული, V, 1950, გვ. 50—80.

⁷ აქაურ მოღვაწეთაგან აღსანიშნავია დეკანოზი იესე, მასწავლებელი იონა ხელაშვილისა (S № 288, გვ. 22; ი. ხელაშვილი, რონინი, გამოცემა ს. კაკაბაძისა, თბ., 1959, გვ. 90—91). ცნობილია მის მიერ დამზადებული არა ერთი ხელნაწერი (A №№ 589, 597, 873 და სხვ.).

⁸ მოღწეულია მის მიერ გადაწერილი მრავალი ნუსხა (A №№ 122, 406, 1162, 1474, 1475, 1743; S №№ 25, 64, 131; H №№ 307, 1373; K №№ 26, 201; არქ. ხელნ. № 301 და სხვ.). უწერია მას საბუთებიც (საქ. სიძველენი, III, გვ. 160—161; ისტ. საბუთები, V, გვ. 61; დოკუმენტები, I, გვ. 404). იოანე მოღვაწეობდა თბილისის სტამბაშიც (ქართ. წიგნი, I, გვ. 51).

⁹ იოანე ქართველიშვილი, მემუარები, ა. იოსელიანის გამოკვლევით, რედაქციით და შენიშვნებით, თბ., 1952. ადრე დაიბეჭდა „ივერიაში“ (1889, №№ 203—205, 253, 255, 262, 266, 273).

¹⁰ 1815—1825 წლებში (ქართული წიგნი, I, გვ. 88, 97).

¹¹ A. Хаханов, Очерки, III, გვ. 350.

დელაპორტის „იმერეთისა და ქართლის აღწერა“¹, დაუმზადებია ხელნაწერები² და სხვ.

ჩვენი მსჯელობა ქართველი კალიგრაფების შესახებ სრული არ იქნება, თუ აქვე არ მოვიხსენიებთ ცნობილი ქართველი მწიგნობარი ნიკოლოზ ჩაჩიკაშვილი და მისი ოჯახი. როგორც შესავალშიც აღენიშნეთ, ნიკოლოზი მღვდელი იყო და მეტწილად სასულიერო-საეკლესიო შინაარსის თხზულებათა ხელნაწერებს ამრავლებდა³, მაგრამ საერო-მხატვრული ძეგლების ძვირფასი კრებულების შედგენასა თუ ცალკეული ნუსხების დამზადებასაც დიდი გულისყურით ეკიდებოდა⁴. საყურადღებო ნუსხებს ამზადებდნენ მისი ვაჟებიც, კორნილი და თომა ჩაჩიკაშვილები⁵.

* * *

წინამდებარე მოკლე მიმოხილვიდან ნათლად ჩანს, რომ საუკუნეთა მანძილზე თბილისი იყო ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების, ქართული სულიერი კულტურის მძლავრი ცენტრი. აქ გაიშალა და აყვავდა განსაკუთრებული ძალით ქართული კულტურა, აქ გამოჩნდა მკვეთრად და რელიეფურად მისი თვითმყოფადი სახე.

თბილისში იყრიდა თავს მოწინავე ქართველობა, აქ მუშავდებოდა და ვითარდებოდა ქართული საზოგადოებრივი აზრი. არსებითად კულტურულ-საზოგადოებრივ მოძრაობას საქართველოში თბილისი წარმართავდა.

თბილისში ითხზებოდა მალაღმბატურული და ღრმადშინაარსიანი ნაწარმოებები, რომლებიც დიდი სისწრაფით ვრცელდებოდა ქართველ საზოგადოებრიობაში; აქ ითარგმნებოდა საერო-მხატვრული და სასულიერო-საეკლესიო შინაარსის ძეგლები, რომელთა წყალობით კიდევ უფრო მდიდრდებოდა და იზრდებოდა ქართული მწერლობის დიდებული საგანძური; აქ მზადდებოდა ძვირფასი ნუსხები, ხოლო გვიან ხანაში აქ იბეჭდებოდა პირველი ქართული წიგნები, რომელთაც დიდის ინტერესით ეცნობოდა და ეწაფებოდა ცოდნას მოწყურებული ქართველობა; აქედან უკავშირდებოდნენ ქართველი მწიგნობრები როგორც საქართველოს სხვადასხვა კუთხეში არსებულ კულტურულ-საგანმანათლებლო კერებს, ისე უცხოეთის სამეცნიერო ცენტრებს. არსებითად თბილისს უკავშირდება ყველა საყურადღებო მოვლენა ძველი ქართული მწერლობისა, ქართული საზოგადოებრივი აზრის ისტორიისა. ყოველივე აღნიშნული უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ თბილისი იყო მძლავრი ცენტრი ქართველთა კულტურულ-ლიტერატურული შემოქმედებითი მუშაობისა, უპირველესი ცენტრი ძველი ქართული მწერლობისა⁶.

¹ H №№ 400, 608, 609 და სხვ.

² A № 1303; მემუარები, გვ. 69. მოღწეულია მისი მემუარების ავტორგრაფი (A № 1196). რამდენივე ხელნაწერს შემოენახავს გრამატიკის ტექსტიც (S № 4432; A № 1175; H № 239; Q № 732).

³ A №№ 465, 657, 1168, 1321, 1354, 1465; S №№ 4549, 4963; H №№ 90, 1198, 1264, 1675, 2270; K №№ 82, 96, 135; Q № 290; არქ. ხელნ. № 412 და სხვ.

⁴ A №№ 858, 860, 999; S №№ 342, 3698.

⁵ S №№ 1145, 1501, 3011, 3163; H №№ 181, 929. ლ. ქუთათელაძე, ვ. ი. ლენინის სახელობის ლენინის ორდენისანი სსრკ სახელმწიფო ბიბლიოთეკის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახ. მუზეუმის შოამბე, XVII-B, 1953, გვ. 192.

⁶ ეს თავი შემოკლებული სახით დაიბეჭდა თბილისის სახ. უნივერსიტეტის საიუბილეო კრებულში: „თბილისი, 1500“ (თბ., 1958, გვ. 131—160). იმავე წელს გამოქვეყნდა აკად.

კურთავი ქართლის პიტიახშის რეზიდენციას წარმოადგენდა¹. იქ იყო პიტიახშის სასახლე და საეპისკოპოსო კათედრალიც. მე-10 ს. სომეხი ისტორიკოსი უხტანეს ურპაელი (ედესელი) თავის ცნობილ შრომაში „ისტორია ქართველთა განყოფისა სომეხთაგან“ საინტერესო ცნობებს გვაწვდის ძველი ქალაქის შესახებ. ის წერს: „კურთავი—სახელი იგი, რომელი მარადის მოვიქსენეთ უწყებასა (შინა), აქაცა ვაქსენოთ. მაშინ იგი ერქუა სახელი, ხოლო აწ სახელად ჰრქვან გაჯენქი. მაშინ საესე და ვრცელი დედაქალაქი და სახელოვანი (იყო), ხოლო აწ დამცირებული და ზომიერი დაბა-ქალაქი (არს) კიდესამის მდინარისასა, რომელსა ეწოდების მისი სახელი—გაჯენაგეტი, კუთხესა, რომელსა ჰრქვან ვრაცდამტი (-ქართველთა ველი), რომელ არს შუა-ზღვარი ორთა მათ სოფელთა, სომხეთისა და ქართლისა; იხილვების პირისპირ მის მთისა კაეკასიისა, რომელ არს თანამოსაზღვრე საკვრველ-ნაშპნი და საკვრველისა, სახელოვანისა და საჩინოასა დიდისა მის დედაქალაქისა ტფილისისა. და იყო კურთავი სამკვდრებელი დიდისა პიტიახშისა გუგარელთაჲსა...“ (თარგმანი პროფ. ილ. აბულაძისა)². მოტანილი ვრცელი ამონაწერიდან ჩანს, რომ ძველ კურთავს მე-10 საუკუნეში გაჯენქი ეწოდებოდა. შემდეგში ეს სახელწოდებაც დავიწყებას მიეცა და კურთავის ადგილმდებარეობის დადგენა აღარ მოხერხდა.

ზემომოტანილი ცნობით, კურთავი ქვემო ქართლში მდებარეობდა. ასეთი ვარაუდის საფუძველს იძლევიან აგრეთვე იაკობ კურთაველისა და არსენ-საფარელის ჩვენებანი, თუმცა მათ კონკრეტულობა აკლიათ და კურთავის ადგილმდებარეობის დასაზუსტებლად არასაკმარისი ჩანან. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ვახუშტი ბაგრატიონმა დანამდვილებით არ იცოდა კურთავის ადგილმდებარეობა. მისი ვარაუდით, კურთავი სომხეთში, „პირისპირ ახტალისა, აღმოსავლით, ბერდუჯის მთასა შინა“ უნდა იყოს³.

აკად. მ. ბროსეს, თ. ჟორდანიასა და პროფ. ა. ხახანაშვილს კურთავი (შემდეგდროინდელი გადშენი, სოფ. კამენკა) გუგარეთში, ჰერეთისა და ქართლის საზღვარზე ეგულებოდათ⁴.

ა. ბარამიძის წერილი: თბილისი—ძველი ქართული სულიერი კულტურის კერა („ლიტერატურული გახეთი“, 17. X. 58. № 42 (1108). ოდნავ დაგვიანებით გამოქვეყნდა ავტორთა კოლექტივის „თბილისის ისტორია“, რომელშიც ადგილი დაეთმო აქ აღძრულ ზოგიერთ საკითხს (გვ. 68—74, 300—333).

¹ ადრე კურთავის მფლობელებს (არშუშა, ვარსკენი) ქვემო ქართლის პიტიახშებად მიიხნეოდნენ. უკანასკნელი წლების კვლევა-ძიებით ვაირკვა, რომ დასახლებული პირები არა მხოლოდ ქვემო ქართლის, არამედ მთელი ქართლის პიტიახშები ყოფილან. მათი ძალაუფლება მეტზე თუ არა, მთელ ქართლზე მაინც ვრცელდებოდა (კ. კეკელიძე, აშუშა პიტიახშის ბეჭდის წარწერის გაგებისათვის, ეტიუდები, I. გვ. 147—154; კ. გრიგოლია, V—VI საუკუნეთა ქართლის პიტიახშები და მათი საბელოს საკითხისათვის, „ნათობი“, 1959, № 4, გვ. 166—174).

² იაკობ კურთაველი, მარტვლობა შუშანიკისი, ქართული და სომხური ტექსტები გამოსცა, გამოკვლევა, ვარიანტები, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ილ. აბულაძემ, თბ., 1938, გვ. 051—052. იხ. აგრეთვე Л. Мслянсет-Бек, Гаджене-Гачуан, XV, 1917, ტ. VI, ნაკვ. I. გვ. 94—95.

³ ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა (საქართველოს გეოგრაფია), თ. ლომოურის და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., 1941, გვ. 36 (ქვემოთ—აღწერა).

⁴ M. Brosset, Addit., გვ. 109, შენა 3; ქრონიკები, I, გვ. 320, შენ. 42; А. Хаканов. Очерки, III, გვ. 265, შენ. 1.

პროფ. მ. ჯანაშვილის აზრით, ცურტავი ზურტაკერტი (ზურთაკერტი, ახლანდელი ყარაბულახი) უნდა იყოს¹. პროფ. ს. კაკაბაძე ცურტავს ხან მანგლისის დასავლეთით ეძებდა, ხან ხრამის ნარჯვენა ნაპირზე, უკანასკნელად — ხრამისა და მაშავრის შესართავთან². პ. ინგოროყვა ცურტავს გაჩინად მიიჩნევდა³.

აკად. ი. ჯავახიშვილმა ცურტავის ადგილმდებარეობა ვერ დაადგინა, მაგრამ ჰერეთის დედაქალაქად და მთავარ ადმინისტრაციულ ცენტრად კი მიიჩნია⁴.

საცილობელი საკითხი ვერ გაარკვიეს ვერც სომეხმა სწავლულებმა ლ. ალიშანმა და ნ. აკინიანმა.

რამდენჯერმე შეეხო ცურტავის ადგილმდებარეობის საკითხს პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგი. მკვლევარმა წყაროების ჩვენებათა შეჯერებით ცურტავად მიიჩნია ახლანდელი სოფ. არახლო (ვახუშტის ნახიდური) მდ. ხრამზე⁵. ამ აზრს შესაწყნარებლად მიიჩნევს პროფ. ილ. აბულაძე⁶.

როგორც არ უნდა იყოს, ერთი უცილობელია, ცურტავი ქვემო ქართლში მდებარეობდა და პიტიახშთა რეზიდენციას წარმოადგენდა.

მე-5 საუკუნეში კულტურულ-საგანმანათლებლო საქმეს ცურტავში განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა და სწავლა-განათლების საქმე ძალად დონეზე იყო აყვანილი. როგორც ირკვევა, ცურტავის საეპისკოპოსო კათედრალში შეიძლებოდა ქართული და სომხური მწიგნობრობის შესწავლა. ასეთი ვარაუდის საფუძველს იძლევა მოსე ცურტაველი ეპისკოპოსის წერილის (605—606 წწ.) ერთი ცნობა: „შემემთხუა მე დღეთა ყრმობისათა მიწვენაჲ საეპისკოპოსოსა მას ცურტავს, რომლისა ეკლესიისა მოწაფეცა ვიყავ წესისაებრ, სადა აღვიზარდე და ვისწავე მწიგნობრობაჲ სომხური და ქართული“. როგორც ჩანს, ცურტავში ორ ენაზე წარმოებდა სწავლა, რაც ორენოვანი მრევლის არსებობით უნდა აიხსნას⁷.

ცურტავში მოღვაწეობდა ცნობილი ქართველი მწერალი იაკობ ხუცესი. მას ეკუთვნის ჩვენამდე მოღწეული პირველი ქართული ორიგინალური თხზუ-

¹ ვახუშტი, საქართველოს გეოგრაფია, რედაქცია მ. ჯანაშვილისა, თბ., 1904, გვ. 51, შენ. 92.

² ს. კაკაბაძე, წმიდა ნინო და მისი მნიშვნელობა საქართველოს ისტორიაში, თბ., 1912, გვ. 8; მისივე, ქართული სახელმწიფოებრიობის გენეზისის საკითხები, „საისტორიო მოამბე“, 1924, I, გვ. 74—75; მისივე, К истории нашего г. Тбилиси, „საისტორიო კრებული“, 1928, II, გვ. 67.

³ პ. ინგოროყვა, ძველ-ქართული მატთანე „მოკცევაჲ ქართლიაჲ“ და ანტიკური ხანის იბერიის მეფეთა სია, საქართველოს სახ. მეცნიერების აკადემიის შრომათა კრებული, XI-IV, 1941, გვ. 297.

⁴ ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, გვ. 376—379; II, გვ. 43.

⁵ ლ. მელიქსეთ-ბეგი, თრიალეთ-ჭადკის მატერიალური კულტურის ნაშთებისა და ტოპონიმების შესწავლისათვის, ცალკე ამონაბეჭდი, თბ., 1934, გვ. 38—44. იხ. მისივე ნ. Вопросы о местоположении Цуртана, ИКОРГО, XXIV, № 3, 1916, გვ. 341—345.

⁶ იაკობ ცურტაველი, მარტვლობა შუშანიკისი, გვ. 050—055.

⁷ იქვე, გვ. 051. ცურტავში სწავლობდა სომეხი ისტორიკოსი ლაზარე თარგლერი (ლ. მელიქსეთ-ბეგი, „ჩრდილო მხარეთა სომეხნი მოძღვარნი“ და „შანი ვინაობა“, გვ. 24), იქვე აღიზარდა შუშანიკ დედოფალიც.

ლება „წამებაჲ წმიდისა შუშანიკისი დედოფლისაჲ“¹. ავტორს ის დაუწერია 476—483 წლებში. სამწუხაროდ, თხზულება ჩვენამდე არაა მოღწეული იმ სახით, რა სახითაც ის ავტორის ხელიდან გამოვიდა, მას აკლია დასაწყისი ნაწილი. მიუხედავად აღნიშნულისა, შუშანიკის მარტვილობა ფასდაუდებელია. იაკობი თვალთმზილველი და თანამედროვეა პიტიახზის კარზე დატრიალებული ტრაგედიისა და უშუალოდ, ბუნებრივად, გულწრფელად გვაუწყებს შუშანიკის თავგადასავალსა და მოწამებრივ აღსასრულს. ავტორის გასაგები და ლაქონიური ენა, ბუნებრივი თხრობა, მხატვრული გემოვნება, ღრმა ფსიქოლოგიური ანალიზი, თხზულების ისტორიულ-ბელეტრისტიკული ხასიათი, შუშანიკის მარტვილობას მართებულად აყენებს ქართულ პირველხარისხოვან ძეგლთა გვერდიან. იაკობ ხუცესი ამხელს სპარსელთა აგრესიულ ზრახვებს და მათი დამქაში ქართველი დიდებულის მუხანათობას, მკათიოდ გვიხატავს ქრისტიანობისა და სამშობლოსათვის თავდადებული ქალის, ქართლის ეროვნული ფიზიონომიის შენარჩუნებისათვის თავგანწირული დედოფლის სახეს, გვაძლევს უტყუარ სურათებს იმდროინდელი ყოფა-ცხოვრებისა და გვაცნობს ქართლის პოლიტიკურ-ეკონომიურსა და სოციალურ მდგომარეობას, სარწმუნოებრივ ვითარებას, საეკლესიო ორგანიზაციას, კულტურულ-ლიტერატურულ დონეს. იაკობ ხუცესი ქართული მხატვრული სიტყვის შესანიშნავი ოსტატია.

506 წლის საეკლესიო კრების მონაწილე ქართველ ეპისკოპოსთა სიაში იხსენიება „იაკობ ეპისკოპოსი (უ)ორტაეისა“. ფიქრობენ, იაკობ ხუცესს, რომელიც მე-5 ს. სამოცდაათიან წლებში დედოფლის მოძღვარი იყო, მე-6 საუკუნის დამდეგისათვის შეეძლო ეპისკოპოსის ხარისხამდე მიღწევა. მისი ამ ხარისხზე ასვლისთვის ხელისშემწყობი იქნებოდა ის გარემოებაც, რომ იაკობი ცნობილი იყო როგორც განსწავლული მწიგნობარი და დახელოვებული მწერალი². დღეს საყოველთაოდ შეწყენარებულია აზრი იმის შესახებ, რომ იაკობს დაწერილი უნდა ჰქონოდა სხვა თხზულებანიც, რომელთაც, სამწუხაროდ, ჩვენამდე არ მოუღწევიათ³.

აქვე უნდა აღვნიშნოთ ერთი სასურადადღებო გარემოებაც. შუშანიკის მარტვილობის ავტორის ცნობით, მე-5 ს. 70-იან წლებში ცურტავში კულტუ-

¹ შემონახულია მრავალ ხელნაწერში (A №№ 95, 130, 170, 176; II №№ 1370, 1672, 2077, 2121; Q № 300; S №№ 3637, 3697). გამოცემულია რამდენჯერმე: საქ. სამთხე, გვ. 181—192; იაკობ ხუცესი, წამებაჲ წმიდისა შუშანიკისი, ქუთაისი, 1917; იაკობ ცურტაველი, მარტვლობა შუშანიკისი, თბ., 1938; ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, გვ. 34—44; ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, I, გვ. 146—161; I², გვ. 145—160; ჩვენი საუნჯე, ტ. I, გვ. 13—27. თარგმნილია ის რუსულ (М.-С. Б. И. И. И., Полное жизнеописание, I, გვ. 140—150; Памятник древнегрузинской апографической литературы, გვ. 17—28), ლათინურსა (P. Peeters, Sainte Sousanik, martyre en Arméno-Géorgie, AB, LIII, fasc. III et IV, 1935, გვ. 24—40) და ინგლისურ ენებზე (Lives and Legends of the Georgian Saints, გვ. 44—56). ცნობილია მისი სომხური რედაქციაც.

² იაკობ ცურტაველი, მარტვლობა შუშანიკისი, გვ. 059—060.

³ იაკობ ცურტაველზე იხ. კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, გვ. 113—122; ი. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 45—54; შუშანიკის მარტვილობის ილ. აბულაძისეული გამოცემის წინასიტყვაობა (იქვეა დასახელებული და განხილული საკითხის ლიტერატურა). იხ. აგრეთვე ილ. აბულაძე, ქართული და სომხური ლიტერატურული ურთიერთობა IX—X სს-ში, გვ. 0153—0156, 0172—0181.

რულ-ლიტერატურული ინტერესები ცხოველი ყოფილა და იქაურ მოღვაწეებს ხელნაწერი წიგნებიც საკმაოდ ჰქონიათ (სახარება, დავითნი, მოწამეთა წიგნები). ეს გარემოება ერთხელ კიდევ ადასტურებს ცურტავში კულტურულ-საგანმანათლებლო კერის არსებობას აღრეულ ხანაში.

შ ი მ ე ლ ვ ი მ ე

მონასტრების აღმოცენება და სამონასტრო ორგანიზაციის დასაწყისი საქართველოში დაკავშირებულია ასურელ მოღვაწეთა მოსვლასთან. ძველი წყაროების ჩვენებით, მე-6 საუკუნის შუა წლებში¹ სირიიდან სამშობლოში დაბრუნებულა ქართველ საეკლესიო მოღვაწეთა ჯგუფი იოანე ზედაზნელის ხელმძღვანელობით. ამ ჯგუფში შედიოდნენ შიო, დავითი, იოსები, ისე, ეზდერიოსი და სხვ. აღნიშნულ მოღვაწეებს დიდი გავლენა მოუხდენიათ თანამემამულეებზე. ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ასურელ მოღვაწეთა მეოხებით მე-6 საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოში ფართოდ ჩაიდება სამონასტრო მშენებლობა. შემოდასახელებული მოღვაწენი დასახლდნენ ქართლისა და კახეთის სხვადასხვა პუნქტში და საფუძველი ჩაუყარეს ეკლესია-მონასტრებს. ერთიმეორის მიყოლებით აღმოცენდა მონასტრები ზედაზნზე, მღვიმეში, გარეჯასა და სხვაგან. ასურელ მოღვაწეთა საცხოვრებელი პუნქტებიდან არა ერთი იქცა ქართული მწერლობის თვალსაჩინო კერად. გარდა დასახელებული სავანეებისა, ცხოველი კულტურულიტერატურული საქმიანობა გაიშალა წილკანსა და სამთავეისში, ალავერდსა და იყალთოში და ა. შ. !

ვინაიდან ასურელ მოღვაწეთა მიერ საფუძველჩაყრილმა სამონასტრო ორგანიზაციამ დიდი კვალი დააჩინა ქართველი ხალხის ცხოვრებას, ხოლო მათ მიერ გაშენებულმა კულტურულ-საგანმანათლებლო კერებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ქართული მწიგნობრობის ისტორიაში, მიზანშეწონილად მიგვაჩნია თითოეულ სავანეზე სპეციალურად შეჩერება. პირველად შიომღვიმეს შევეხებით.

* * *

თბილისიდან ოცდაათიოდე კილომეტრის დაშორებით, მცხეთის დასავლეთით, მტკვრის მარცხენა ნაპირზე, დაბალი ბუჩქნარით დაფარული სხალტების ქედის ძირში, სართულებად განლაგებული ბუნებრივი თუ ხელოვნური გამოქვაბულების წინ მოჩანს დიდებულ შენობათა კომპლექსი. ესაა ერთ-ერთი უძველესი ქართული მონასტერი, რომელსაც დღემდე შიომღვიმეს უწოდებენ. ის დაუარსებია იოანე ზედაზნელის ერთ მოწაფეს, რომელიც შიო მღვიმელის სახელითაა ცნობილი.

შიო მღვიმელის შესახები ცნობები დაცულია მისი ცხოვრების წიგნებში. ჩვენამდე მოღწეულია არსენ II კათოლიკოსის (X ს.) თხზულება „ცხოვრება და მოქალაქობა ღირსისა მამისა ჩუენისა შიოასი და ვვაგრესი“, აგრეთვე მე-12 საუკუნის უცნობი მეტაფრასტის მიერ გადამუშავებული რედაქცია შიოს ცხოვრებისა („ცხოვრება და საკვრველებანი წმიდისა და ნეტარისა შიოასნი, რომელი

¹ სათანადო ცნობებს გვაწვდიან „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ავტორი (Опис. грузинск. еѣм (s), II, გვ. 723), მემარტინე ჯუანშერი (ქართლის ცხოვრება, I, გვ. 207), ვახუშტი ბაგრატიონი (საქ. ისტორია, გვ. 104), ანტონ პირველი (Q № 78, გვ. 175), იოანე ბაგრატიონი (H 2134, 567v—568r. შდრ. H № 2170, 288 v) და სხვ.

იყო ანტიოქიადთ შუამდინარისადათ. ხოლო მოიწვია ქუეყანად ქართლისა და დაემკვდრა სარკინისა მღვმესა, რომელი-ესე აღწერა ღირსმან მარტვრი, პირველ რომელსა ეწოდა იოანე, რომელი იყო მოწაფეთაგანი წმიდისა იოანესთა კოსტანტინეპოლით¹). პირველი მათგანი შემოუნახავს A № 199 (გვ. 28—41) და H № 1336 (164v—171v) ხელნაწერებს, გამოცემულია რამდენჯერმე². მეტაფრასული რედაქცია დატულია რამდენიმე ხელნაწერში (A №№ 130, 160, 170, 176, 515, 643, 928; H №№ 286, 1371, 1672, 2077, 2121; S №№ 449, 1133, 3269, 4621; არქ. ხელნ. № 307), გამოცემულია ორჯერ³; პერიფრაზირებული თხრობა გამოქვეყნებულია რუსულადაც⁴. ხელნაწერ A № 220-ში, რომელიც 1726 წელსაა გადანუსხული, შემონახულია მეტაფრასული რედაქციებიდან გამოკრებილი საკითხავი—შიოს ცხოვრება (A № 220, 531r—537v). რამდენჯერმე გამოქვეყნდა შიოს ცხოვრების მოკლე რედაქცია, რომელიც „ქართლის ცხოვრების“ კრებულშია შეტანილი⁴.

ბიოგრაფების ცნობით, შიო იყო „ღმრთის მსახურთა და აზნაურთა შვილი“, განათლებული და განსწავლული. მას ადრევე აღეძრა სურვილი ბერად შედგომისა და განმარტოებით ცხოვრებისა. როდესაც შიო ოცი წლის გახდა, დაემოწაფა იოანეს, „არარად შერაცხა სოფელი და სოფლისა შინა ყოველი სიყუარულისათჳს ღმრთისა, მშობელნი და ნათესავნი, სიმდიდრე და პატივნი და განსუენებაჲ ჳორცთაჲ, ვითარცა წარმავალი და მომაკუდინებელი სულისა მოიძულა“, მიეცა „ჳაერთა სიფიცხლესა, უცხოებასა, სიგლახაკესა, შიშლოებასა და ყოვლითურთსა უბოვარებასა“. შიო ერთ ხანს სირიაში მოღვაწეობდა (ავიოგრაფის ცნობით, შიომ იქ „აღასრულნა ოცნი წელნი მონაზონებასა შინა“), ხოლო შემდეგ ქართლში წამოჰყვა იოანეს და ზედაზენზე ცხოვრობდა მასთან ოთხი წლის განმავლობაში (543—547 წწ.). ერთხელ იოანემ უთხრა მას: „შვილო შიო, წარვედ, სადაცა უფალი მიგიძლუეს, რამეთუ გამომიცხადა მე ღმერთმან, ვითარმედ დაყუდებითაცა ცხოვრება წარვლო და მამაჲ იქმნა ღიდისა ლავრისა“.

547 წლის ახლოს შიო გაუდგა გზას, „წარემართა დასავალით კერძოთა

¹ არქტიპები, გვ. 26—36; ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I. გვ. 156—163; ასურულ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები, გვ. 69—141. იგივე რედაქცია შემონახული იერუსალიმის საპატრიარქო ბიბლიოთეკის ერთ ხელნაწერში (ნ. მარი, იერუსალიმის ქართულ ხელნაწერთა მოკლე აღწერილობა, გვ. 41—42).

² საქ. სამოთხე, გვ. 219—252; ასურულ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები, გვ. 69—143. ამ რედაქციის ავტორი ჩვენთვის უცნობია. მართალია, მას არა ერთი პირი მიიჩნევა იოანე მარტვირად, მაგალითად, ანტონ I (Q № 78, გვ. 157), ი. ბაგრატიონი (H № 2170, 288r), პ. ოსელიანი (Описаніе Шноиѣвнѣскоѣи пустыни у Грузіи, გვ. 18; გ. სივე, Житіеописаніе свѣтыхъ, проставленнѣыхъ урѣисланию грузіѣскоѣи церкѣи, Т., 1850, გვ. 85—86), აკად. მ. ბროსე (Addit., გვ. 129), მ. საბინინი (Полное житіеописаніе. I, გვ. 91, შენ. 2), აკად. ი. ჯავახიშვილი (საქართველოს ეკონომიური ისტორია, I, თბ., 1930, გვ. 149, 156, 158, 272, 284, 287), მ. თარხნიშვილი (Geschichte der kirchlichen georgischen Literatur auf Grund des ersten Bandes der georgischen Literaturgeschichte von K. Kekelidze. Bearbeitet von M. Tarchnisvili in Verbindung mit Dr. Julius Assfalg, 1955, გვ. 88, 109) და სხვ., მაგრამ არც ერთ მათგანს საბუთები არ წარმოუდგენია, ბოლო ძეგლის ფსევდოპიგრაფიკული სათაური სარწმუნო არაა.

³ М. Сабинин, Полное житіеописаніе свѣтыхъ грузіѣскоѣи цркви, I, გვ. 91—122.

⁴ უკანასკნელი გამოცემა იხ. ქართლის ცხოვრება, I, გვ. 210—312.

მცხეთისათა კაცთაგან ყოველად უვალთა მალნართა და კლდეთა საშინელთა¹ და „პოვა ჯევი ღრმაჲ ფრიად ფიცხელი, უდაბნოჲ და ურწყული და ნაკლულევანი ყოველთა საწმართაგან“, „სასე მჯეტთა მიერ ქუეწარმაველთა გესლიანთა“. ამ ხევის ბუნებრივი პირობები, კლიმატი, ძალზე მძიმე იყო: „ჰაერი ზაფხულისაჲ ფიცხელ და ეგრეთვე ზამთრისაჲ უფიცხელს“.

აი, ამ ხევში შიომ „პოვა მცირე ქუაბი“, „დაჯდა მას შინა დაყუდებით“ და იქ ცხოვრობდა „თვნიერ საზრდელისა, თვნიერ სასუმელისა, თვნიერ ყოვლისა ნუგეშინის-ცემისა“, თავის ცხოვრებას ატარებდა აუტანელ პირობებში, იგვემდა სხეულს, იკლავდა სურვილებს, იხშობდა მისწრაფებებს, „ტრენლითა დაალტობდა ქუეყანასა“, ყოველ დღეს ატარებდა „ფსალმუნებითა და ზეღგომითა, ლოცვითა ღმრთისა მიმართ“¹.

შიოს გამოკვებული შემდეგში (არა უადრეს მე-11 საუკუნისა) ეკლესიად გადააკეთეს. ეს მცირე ზომის მღვიმე-ეკლესია დღემდე დაცულია, მონასტრის ძირითადი კომპლექსისაგან დაშორებულია და განცალკევებით მდებარეობს მონასტრისკენ მიმავალი გზის პირას. ძველი სახე მას შენარჩუნებული აღარ აქვს. უკანასკნელად მე-19 საუკუნის მიწურულში გადააკეთეს და იმ სახით მოაღწია ჩვენამდე.

✠ შემდეგში შიოს დაემოწათა „ქრისტეს მოყუარე და საღმრთოთა წიგნთაგან სწავლული და ქრისტეანეთა შეილი“, „საჩინოჲ მთავარი ციხედიდისაჲ“—ევგარე². ამის შემდეგ შიომ სახელი კიდევ უფრო გაითქვა, მასთან მომრავლდნენ ბერები. „განცხადნა სახელი შიომასი ყოველსა მას გარემო სოფლებსა ევგარეს ძლითა, და მოვიდოდეს მრავალნი და მონაზონ იქმნებოდეს და დაემკვდრებოდეს მახლობელად ევგარესსა“³. თავი იჩინა ეკლესიის დაარსების აუცილებლობამ. შიოს რჩევით ეკლესიის აგება მღვიმელებმა ძმათა საცხოვრებელი ქვაბების ახლოს დაიწყეს. „სცა სათხარი... წმიდამან შიომ და აღაშენეს ეკლესიაჲ“⁴ მეტაფრასტის განცხადებით, იქ შიომ „იხილა მსგავსი ჯურღმულისა მღვმე ფრიად ღრმა და ბრძანა, რათა მას ზედა აღეშენოს ეკლესიაჲ ნათლის-მცემლისაჲ“. ამის შემდეგ კიდევ უფრო მეტად „განითქუა ჰანბავი მისი (შიოსი—ლ. მ.) და ყოვლით კერძო მოვიდოდეს და მონაზონ იქმნებოდეს“. შეკრებილთა რიცხვმა ორი ათასს მიაღწია. შიოს სახელმა, აგიოგრაფის ცნობით, მიაღწია მეფე ფარსმანამდე, რომელმაც დიდი საბოძვარი ნისცა მონასტერს: „მიანიქა... მონასტერსა მას ოთხნი რჩეულნი სამეუფოთა დაბათაგან და დაწერა ჯელითა თვისითა თვისუფლებაჲ მათი და მისცა ევგარის ოცდაათი ლიტრა ოქროჲ ეკლესიათა მათთვის საწმარად, ბარძიმი ოქროჲსა და ფეშხუმი და სხუაჲ ყოველი სამსახურებელი ვეცხლისა, ჯუარი დიდი ოქროჲსაჲ და სახარებაჲ, ფრიად შეუნიერად შემკობილი სანატრელი-სა შეთვისა ვახტანგის მიერ და განაჩინნა ზედა მდგომელნი საქმისანი, რათა სწრაფით ყონ აღშენებაჲ ეკლესიათა მათ“³.

✠ აგიოგრაფის მიერ ხსენებული ეკლესია ნათლისმცემლისა, რომლის აგება შიოს ღროს,—მე-11 საუკუნის მეორე ნახევარში,—დაიწყეს, გადაკეთებული სახით დღემდე შემონახულია. მისი სიძველე დასტურდება არა მარტო შიოს ბიოგრაფის ცნობით, არამედ არქიტექტურული მონაცემებითაც. ქართული

¹ ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები, გვ. 70, 78, 91—92, 96—98.

² იქვე, გვ. 98.

³ იქვე, გვ. 105, 107—108, 112—113.

ხუროთმოძღვრების ისტორიული განვითარების გზების გათვალისწინების საფუძველზე აღნიშნული ტაძარი მე-6 საუკუნის მეორე ნახევრით თარიღდება¹.

მონასტრის გაშენებისა და ბერთა კრებულის გაზრდის შემდეგ შიომხატოლისმცემლის ეკლესიის დასავლეთით შეარჩია ერთი მღვიმე, „ფრიალსა სიღრმესა მქონებელი და ყოვლად ბნელი“, „შთაქდა... მას შინა“ და იქ დაასრულა თავისი სიკოცხლე². შიოს უკანასკნელი საცხოვრებელი ადგილი მის საკრძალავად, მის საძვალედ იქცა. შემდეგში ამ სასათლაოზე ააგეს ეკლესია, რომელიც მომდევნო ხანაში ნათლისმცემლის ეკლესიას შეუერთეს. სხვათა შორის, ეს მღვიმე დიდ სიწმიდედ იქნა მიჩნეული და მონასტრის სახელიც იქიდან წარმოდგა (შიოს მღვიმე, შიოსმღვიმე, შიომღვიმე)³.

ღროთა განმავლობაში შიომღვიმე მძლავრ სამონასტრო ცენტრად იქცა, ის მრავალ სოფელს ფლობდა. იქაურნი ბინადარნი მონასტერს „დიდი მღვიმის უდაბნოს“⁴, „დიდ ლავრას“⁵ ან „დიდ უდაბნოს“⁶ უწოდებდნენ. ეს არ იყო გადაქარბება. მონასტრის მკვიდრი ბერებით ავსებული იყო სხალტბის ქედის გამოქვაბულები. ღრანტეებით დასერილი ქედის სხვადასხვა ხევი დღესაც დაფარულია კლდეში ნაკვეთი გამოქვაბულებით. ეს მღვიმეები ბუნებრივი იყო და ბინადართა პირველ მოთხოვნილებას ადვილად აკმაყოფილებდა, მაგრამ გაზრდილი მოთხოვნილების შესაბამისად შემდეგში საჭიროდ უცნიათ ბუნებრივი მღვიმეების გაუმჯობესება და სრულყოფა. სპეციალისტთა აზრით, შიომღვიმის ხელოვნური გამოქვაბულები ძველი ქართული სამშენებლო ხელოვნების მაღალი დონის მაჩვენებელია და ძველ ქართველთა ტექნიკურ განათლებასა და დაოსტატებას მოწმობს⁷. სხალტბის ქედის ფერდობებზე ახლაც შეინიშნება 100-დე გამოქვაბული, ხოლო ერთი საუკუნის წინ პ. იოსელიანმა ათასამდე მღვიმის არსებობა აღნიშნა⁸. კიდევ უფრო კარგად იყო შენახული მღვიმეები ვახუშტის დროს. დიდი ქართველი გეოგრაფი წერს: „არიან ქვაბნი, გამოკვეთილნი კლდისაგან, ნრავალნი, და კლდე ესე არს, ვითარცა ნაშენი ქვიტკირისა. არს აქა მონასტერი დიდი, გუნბათიანი და მღვიმე მას შინა, რომელსა შინა სცხორებდა წმიდა შიო, იგ (=13) ნამათავანი... არს აქა კვალად ეკლესია დიდი, უგუნბათო, კეთილნაშენი. ხოლო

¹ G. Tschubinaschwili, Die Schiomghwime-Lawra, თბ., V, 1925, გვ. 252—253; მისივე, ქართული ხელოვნების ისტორია, I, თბ., 1936, გვ. 62—63; შდრ. შ. ამირანაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, I, თბ., 1944, გვ. 161.

² ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები, გვ. 125, 130, 139.

³ შიოს სახელობის ეკლესია-მონასტრები ცნობილია კახეთშიც, რაც დაკავშირებული უნდა იყოს შიოს კახეთში ყოფნასთან (მ. ჯანაშვილი, მოგზაურობა კახეთში, „დროება“, 1881, № 116; Е. К., Две святыни в Кახетии. 2. Монастырь св. Шии в Кახетии, „Духовный вестник груз. епархиа“, 1901, № 8, გვ. 1—6; ი. აბრამიანიძე, თბილისიდან ალაზნის ველისაკენ (მხარეთმცოდნეობითი ნარკვევი), თბ., 1958, გვ. 223—225; Г. Чубин-нашвили, Архитектура Кახетии, გვ. 16, 78, 103—104, 154—156, 597).

⁴ საქართველოს სიძველენი, III, დამატება, თბ., 1926, გვ. 2, 5.

⁵ ქრონიკები, II, გვ. 180.

⁶ ი № 1344, 2547; ქრონიკები, II, გვ. 157.

⁷ ლ. მარუაშვილი, შიომღვიმის გამოქვაბულები, „ლიტერატურა და ხელოვნება“, 9. I. 49, № 1 (246); დ. მშვენიერაძე, საქართველოს უძველეს გამოქვაბულთა ნაგებობანი, „დროშა“, 1954, № 5, გვ. 15; მისივე, გამოქვაბული ნაგებობანი საქართველოში, I, თბ., 1955, გვ. 7—12, 31—39, ტაბ. 52—63. შდრ. გ. გაფრინდაშვილი, კლდის სახლები ნასოფლარ ფიაში, თბ., 1959, გვ. 36.

⁸ П. Иоселиани, Описание Шiomghwimской пустыни, გვ. 35.

იტყვიან, ძველად იდგა კ (= 5000) მონაზონნი ამით აღვილთა შინა*¹. რაოდენ გადაქარბებული არ უნდა იყოს ვახუშტის მოწმობა ბერთა რიცხვის შესახებ, ის, რამდენადნე, მაინც მოწმობს მღვიმის კრებულის მრავალრიცხოვანობას².

შიომღვიმის მონასტრის ახლომახლო არსებული ბუნებრივი თუ ხელოვნური გამოქვაბულები მტრის შემოსევის ეამს სინაგრის ნოვალეობას ასრულებდნენ და მღვიმელთა საიმედო თავშესაფარს წარმოადგენდნენ, მაგრამ მათ არ შეეძლოთ ყოველთვის დაეთარათ ქართველ ბერ-მონაზონთა კრებული და გადაერჩინათ ის დარბევა-აკლებისაგან.

მე-11 საუკუნის შუა წლებში შიომღვიმის მონასტერი თურქ-სელჩუკებმა დაარბიეს. მომხდური მტრის შეჩერება და მღვიმის გადარჩენა აოხრებისაგან ქართველთა მეფემაც ვერ მოახერხა. ბაგრატ მეოთხე (1027—1072) შიომღვიმისადმი მიცემულ სიგელში 1058 წელს აღნიშნავდა, რომ მტრის შემოტევა აიკლეს მამულნი „წმიდისა უდაბნოისა ლავრისა მღვიმისანი“. მეფემ დახმარების მიზნით მონასტერს უბოძა ბაღვაშთა ყოფილი მამული კლდეკარის ახლოს, ბორცვის ჯვარი³. აქ ორი გარემოება იქცევს ყურადღებას: სახელმწიფოს მეთაურის ზრუნვა შიომღვიმის მონასტრის მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე და მისთვის ბაღვაშთა დაუცხრობელი მემკვიდრეობის მამულის ბოძება საკმაოდ დაშორებულ კუთხეში (მანგლისის ხეობა).

შიომღვიმის მონასტერს ყურადღებას არ აკლებდა შემდგომი ქართველი მეფე გიორგი მეორეც (1072—1089). მასთან მეფობის პირველსავე წელს მივიდნენ მღვიმის წინამძღვარი მიქელი და მღვიმელი ბერები, წარუდგინეს ძველი სიგელები და კუთვნილი მამულების დამტკიცება სთხოვეს. მეფემ შიომღვიმის მონასტერს დაუმტკიცა მამულები ციხედიდს, ნიჩბისს, წინარეხს, შუარეხს, კოტმანს, ბორცვის ჯვარს, ცხირეთსა და სხვაგან⁴. სხვათა შორის, აღნიშნული წინამძღვარი არა მარტო მღვიმისეული მამულების შემომტკიცებაზე ზრუნავდა, არამედ აღმშენებლობით საქმიანობასაც ეწეოდა მონასტერში. კერძოდ, მიქელმა შიოს საფლავზე დააშენა ეკლესია, რომელიც შემდეგში ნათლისმცემლის ეკლესიას დაუკავშირეს (იხ. ზემოთ)⁵.

გიორგი მეფის ყურადღება შიომღვიმისადმი სხვა დოკუმენტიდანაც ჩანს. 1082 წელს იოანე ქართლის მთავარეპისკოპოსის თხოვნის საფუძველზე მეფემ მონასტრის მამული — სოფ. აგარა გადასახადისაგან გაათავისუფლა. თავის მხრივ, არც ისაა ინტერესმოკლებული, რომ მღვიმის საქმეს ქართლის მთავარეპისკოპოსი განაგებს და მისთვის იღვწის.

¹ ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა, გვ. 62.

² შდრ. ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, I. მშენებლობის ხელოვნება ძველ საქართველოში, თბ., 1946, გვ. 80; შ. ნ ე ლ - ხ ი ა, ხელოსნური წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის საკითხისათვის X—XII სს. ქართულ მონასტრებში, „იმომოხილელი“, I, 1949, გვ. 58.

³ ქრონიკები, I, გვ. 204—206. იხ. აგრეთვე თ. ე ო რ დ ა ნ ი ა ს ე ვ ე გამოცემები: I. К материалам по истории Грузии XI—XII вв., I. Грамота царя Баграта IV 1058 г., Чтения в обществе истории и древностей российских при Московском университете, III, ტ. 174, 1895, გვ. 38; 2. ისტ. საბუთები შიომღვიმის მონასტრისა, გვ. 3—7. შდრ. ე. თაყაი-შვილის პუბლიკაცია: Сигель груз. царя Баграта IV (1027—1072), ЗВРАО, IX, 1894, გვ. 59—68.

⁴ ისტ. საბუთები შიომღვიმის მონასტრისა, გვ. 9—12; შიომღვიმის სამი სიგელი ს. კ ა კ ა ბ ა ძ ი ს გამოცემა, თბ., 1912, გვ. 3—5.

⁵ ბ. ლ ო მ ი ნ ა ძ ე, შიომღვიმე, თბ., 1953, გვ. 9—11.

ცალკე უნდა აღინიშნოს ის დიდი პატივი, რომელიც დავით აღმაშენებელმა მიაგო შიომღვიმეს. მან გააშენა, გაამდიდრა და გააძლიერა მონასტერი. დავითს დიდი აღშენებლობითი საქმიანობა გაუჩაღებია შიომღვიმეში. მართალია, მათიანე ამის თაობაზე არას გვაუწყებს, მაგრამ ჩვენამდე მოღწეულია დავით აღმაშენებლის მიერ შიომღვიმის მონასტრისადმი ბოძებული ანდერძი, რომელიც ნათელს ჰყენს ჩვენთვის საინტერესო საკითხს¹. დავითის ანდერძი—ესაა კტიტორული ხასიათის ტიბიკონი, რომელშიც გარკვეულია შიომღვიმის მონასტრის შინაური წესწყობილება და მისი დამოკიდებულება მეფე-კათოლიკოსთან².

აღნიშნული დოკუმენტიდან ირკვევა, რომ დავით აღმაშენებელს ებრძოდა ურჩი დიდებული ძაგანი. ეს დიდგვარიანი ფეოდალი საქართველოს მეფის წინააღმდეგ ბრძოლისას სხვადასხვა ხერხს მიმართავდა და იარაღს არ ყრიდა. მეფე მოგვითხრობს: „ძაგანმან, შემაწუხებელმან ღმრთისა და მონათა მისთამან, მძლავრებით ღთისაცა არა-მკრიდმან, თანავე ძმისა თვისისა მოდისტოს, წინა-უქმოსა მღდელთმოძღურისა“ იწყო უწყსო მოქმედება; მეფესაც მეწინააღმდეგებოდა, მეურჩებოდა, მებრძოდა. მან თავი შეაფარა მღვიმეს. მოლაღატე ფეოდალს ბერების იმედი ჰქონდა, მაგრამ იმ უკანასკნელებმა მეფის ორგული არ შეიწყნარეს და არ დამალეს; „ძაგანი, მღუიმეს შელტოლვილი, მომცა ღმერთმან, რომელსა შინა არა-მკირედი ერთგულება აჩუშნეს ჩუშნდა მომართ მამათა მემღკმეთა“, — აღნიშნავს დავითი. გახარებულმა მეფემ მოინახულა მონასტერი: „თაყვანის ვეც... შიოჲს საფლავსა...“, „ვიხილე წმიდა მთავარმამა მენღკმე მიქელ, და სულითა ღმრთისაჲთა განათლებულნი მამანი“, „მხიარულებით აღვივსე სამოთხის მსგავსისა მის ლავრისათვის“.

მღვიმელთა ერთგულებითა და თავდადებით აღფრთოვანებულმა დავითმა მონასტერი თავის საპატრონოდ გამოაცხადა და იქ ღუთისმშობლის ეკლესია ააგო: „მყის მოუწოდე არსენის ბერსა და განუცხადე სათნოჲ ჩემი და ვარწმუნე აღშენებად ეკლესიაჲ საშუალ მონასტრისა, სახელსა ზედა ყოველად წმიდისა ღისმშობელისასა“.

აღნიშნული ეკლესიის მშენებლობა 1103 წ. ახლოს დაიწყო. დავითი მხოლოდ ტაძრის აგებაზე არ ზრუნავდა. ის სამონასტრო ცხოვრების ორგანიზაციის საკითხებითაც იყო დაინტერესებული და წეს-განგებულების სრულყოფისათვის იღვწოდა. ანდერძში ვკითხულობთ: „ნიბრძანა სასომან ჩემმან, ბერმან არსენი, და თვთ სულიერმან ბერმან, მოძღუარმან ჩემმან, იოანე, რათამცა წესსა ზედა სკმონ-წმიდისასა დავსხენ მონასტრისა მღკმისსა წესნი“.

როგორც ჩანს, დავითის დროს იოანე და არსენ ბერების თაოსნობით, სვიმეონ საკვირველთმოქმედის მონასტრიდან შემოსულა და პირველად შიომღვიმეში დამკვიდრებულა ახალი რედაქცია ტიბიკონისა³.

1123 წელს, შირვანს გალაშქრების წინ, დავითმა მოინახულა მის მიერ წამოწყებული მშენებლობა: „ჴამსა ჩემსა შირვანსა ზედა განმართვისასა შევევედრე შეწევნად ჩემდა შესავედრებელსა ჩემსა წა მამას შიოს. ვიხილე ეკლესიაჲ ჩემ მიერ აღშენებული დასრულებულად და ნივილე ლოცვა ყოველთა

¹ იხ. ზემოთ გვ. 135, შენ. 2.

² კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I⁴, გვ. 577.

³ К. Жевелидзе, Литургические грузинские памятники, гл. 509—510.

მამათაჲ“. ამ დროს ეკლესიის შენება თითქმის სრულდებოდა, მხოლოდ შიდა საწიფარო-ლა (მოლესვა-მოხატვა...) იყო დარჩენილი. ამის სრულყოფა და კურთხევა დავითის მორიგ საზრუნავს წარმოადგენდა.

„თუ მე ღირს-მყოს ღმერთმან ენკენობაჲ მისი ვიხილო, კურთხეულ არს სულგრძელებაჲ მისი, თუ არა — არსენი ბერსა, რომელ აქუს კოსტანტი და პერპერაჲ, კალაპოტი გამოუყარონ, მოლესონ, მოხატონ, და ძემან ჩემმან დემეტრე, თანადგომითა კთლის მწუხუცესისა და ჩემთა ბერთაჲთა, აკურთხონ ჰელითა იწე ქკზნისათაჲ,“ — დასძენდა მეფე.

დავითის ანდერძიდან ჩანს, რომ ქართველმა სახელოვანმა მეფემ შიომღვიმის მონასტერს უბოძა უანარაიე ქონება და განუსაზღვრა ცხოვრების წესი. ჰველი მამულები, — შეწირული თუ ნაყიდი, — დაუმტკიცა და გადასახადისაგან გაუთავისუფლა. შიომღვიმის მონასტერი გამდიდრდა და გაძლიერდა დავითის შეწირულებით, ის ნალე განთავისუფლდა მღვდელმთავართაგან და პირდაპირ, უშუალოდ მეფის განკარგულებაში გადავიდა. მეფე ზრუნავდა მის ცხოვრებაზე, ადგილ-მამულების მართვაზე, უმტკიცებდა მამულებსა და ქონებას, გამვედ უნიშნავდა მწიგნობართუხუცესს, ხოლო სასულიერო და შინაური საქმეების მართვას ანდობდა მთავარმღვინებს, რომელსაც ბერები წილისყრით ირჩევდნენ. მღვინელნი წირვა-ლოცვაში იხსენიებდნენ მხოლოდ იმ მღვდელმთავართ, რომელთაც რაიმე შეწევნა-დახმარება აღმოუჩენიათ მონასტრისათვის.

შიომღვიმის მონასტრის მართვა დავით აღმაშენებელმა ჩააბარა საქმოდ ცნობილსა და გამოჩენილ პირს სვიმონ არქიეპისკოპოსს — ბედიელ-ალავერდელს. სხვათა შორის, სვიმონს შემდგომში კყონდიდულობაც მიუღია. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ცნობით, შირვანის ალების (1123 წ.) შტმდე დავითმა „დაუტევენა ციხეთა და ქალაქთა შინა ლაშქარნი დიდნი, ჰერნი და კახნი და განმგებელად და ზედამხედველად ყოველთა საქმეთა მანდაურთა აჩინა მწიგნობართუხუცესი თკის სვიმონ, კყონდიდელი მთავარეპისკოპოსი, მაშინ ბედიელ-ალავერდელი, კაცი ყოელითურთ სრული და ბრძენი“¹. დავითის ერთგული სამღვდლო პირის გამოყოფა მონასტრის გამგებლად მოწმობს სამეფო კარის დიდ ყურადღებას შიომღვიმისადმი. საფიქრებელია, ესოდენ განსწავლული და გავლენიანი პირი ჯეროვან ყურადღებას მიაქცევდა შიომღვიმეს. მღვინის უდაბნოს წინამძღვრის რიგი, რომელსაც ჩვენამდე მოუღწევია, შესაძლებელია მის დროს იყოს შემუშავებული².

სამეფო კარის დახმარებითა და ხელის შეწყობით შიომღვიმის მონასტერი მძლავრ ფეოდალურ-საეკლესიო სენიორიად იქცა. ის უკვე მსხვილ სამეურნეო-ფეოდალურ ორგანიზაციას წარმოადგენდა, მის განკარგულებაში იყო მრავალი ყმა-მამული, სოფელი, საქონელი და სხვა. მისი მამულები მიმოფანტული იყო სხალტბას, წეროვანს, ძეგვს, შიოსუბანს, ნიჩბისს, ქვახერელს, თრიალეთზე და ა. შ. შიომღვიმე ეწეოდა ვაქრობა-ალბე-მიცემასა³ და ყმა-

¹ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 345; შდრ. ი. ჯაფახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 208—209.

² ისტ. საბუთები შიომღვიმის მონასტრისა, გვ. 19—21. დავით აღმაშენებლის შიგრ დადებული წესი დაუდასტურებია და დაუმტკიცებია არსენ კათოლიკოს მე-13 საუკუნეში (იქვე, გვ. 29—30, 50—52; ქრონიკები, II, გვ. 94—96).

³ III. М е с х и а, Города и городской строй феодальной Грузии (XVII—XVIII вв.), Т., 1959, გვ. 69.

გლებთა ექსპლოატაციას, აგროვებდა შეწირულებას. მის გაძლიერებას ხელს უწყობდა ის გარემოება, რომ ის მეფეთა სალოცავს წარმოადგენდა, იეფის გამგებლობაში ითვლებოდა და საეპისკოპოსო და საკათოლიკოსო გადასახადისაგან თავისუფალი იყო. შიომღვიმის აღმავლობის, ეკონომიურ-სამეურნეო წინსვლის პერიოდში (XI—XII სს.) მონასტერი დღითიდღე მდიდრდებოდა უხვი შეწირულებით¹.

1170 წელს ძველი გუჯრების საფუძველზე შიომღვიმეს მისი კუთვნილი მამულები (სხალტბა, გოროვანი და სხვა) დაუმტკიცა გიორგი მესამემ².

მამულების შეკრება-შემომტკიცება მონასტერს აძლიერებდა, მაგრამ წყლის ნაკლებობის გამო მღვიმის კრებული დიდ გაჭირვებას განიცდიდა. ამ მდგომარეობიდან მღვიმელთა გამოყვანის მიზნით, ვეზირმა ანტონ ჭყონდიდელ-მთავარეპისკოპოს-მწიგნობართუხუცესმა თამარის ნებაყოფლობით სოფ. სხალტბიდან მღვიმეში გამოიყვანა წყალი და სათავესთან „წყლისა მკაზმელად“ გლებები (ქოსოს ძენი) დაასახლა (1202 წ.). თამარის ვეზირის საბუთიდან ჩანს, რომ მან იხილა „სახლი ღთისა წმიდაჲ უდაბნოჲ მღუიმისა და მას შინა მყოფნი წმიდანი მამანი ჳირსა და იწროებასა შინა ურწყულობისა“ და მათი მძიმე მდგომარეობის გამოსწორების მიზნით გამართა წყალსადენი „დიდი ლუაწლითა და გულსმოდგინებითა და საფასოითა“, მოიყვანა წყალი „კარსა წსა ეკლესიისასა ეამთა წელიწადისა სამისათა დიდითა შრომითა და გულსმოდგინებითა“.

თამარმა ანტონის მიერ „წყლისა მკაზმელად“ დადგინებული პირნი გაათავისუფლა და მღვიმის მონასტერს დაუმტკიცა. ჩანს მონასტრის კეთილდღეობაზე მზრუნველ ჭყონდიდელს გათვალისწინებული ჰქონდა ის გარემოება, რომ წყალსადენს დროდადრო შეკეთება დასჭირდებოდა. ამიტომაც მან ორი კომლი გლები დაასახლა წყალსადენის სათავესთან და მუდმივ მომვლელებად დაადგინა ისინი³.

სხალტბა-შიომღვიმის წყალსადენი რთულ ჰიდროტექნიკურ ნაგებობას წარმოადგენს, შესრულებულია მძიმე გეომორფოლოგიურ-ტოპოგრაფიულ პირობებში და მოწინობს თამარის ხანის ქართული სააღმშენებლო ხელოვნების მაღალ დონეს⁴.

¹ შეწირულება უსასყიდლო საჩუქარს არ წარმოადგენდა. შეწირულების მიმღები ორგანიზაცია (ეკლესია-მონასტერი) ვალდებული იყო შემწირველისათვის სულის შესავადრებელი წირვა-ლოცვა და ადაპი განეჩინა (ბ. ლ. ო. შ. ი. ნ. ა. ძ. ე, სამწირველო XIII საუკუნეში, „მინომბილველი“, I, 1949, გვ. 309—332).

² ბ. კ. ა. რ. ბ. ე. ლ. ა. შ. ე. ლ. ი. ნ. ა. ძ. ე, გუჯარი საქართველოს მეფის გიორგი III-სა, „ივერია“, 1901, № 6, 7; საქ. სიძველენი, III, დამატება, თბ., 1926, გვ. 1—7.

³ Грузинские перс. гуджары, გვ. 96—97; ისტ. საბუთები შიომღვიმის მონასტრისა, გვ. 25; ქრონიკები, I, გვ. 278—279; II, გვ. 79—82; შიომღვიმის სამი სიგელი, ს. კ. ა. კ. ბ. ა. ძ. ი. ნ. ა. ძ. ე, თბ., 1912, გვ. 7—10. იხ. აგრეთვე თამარ მეფის სიგელი ბოძებული შიომღვიმის მონასტრისადმი, „თემი“, 1912, № 96.

⁴ შ. ხ. ი. დ. ა. შ. ე. ლ. ი. ნ. ა. ძ. ე, სხალტბა-შიომღვიმის 1202 წ. წყალსადენი (არქეოლოგიური გათხრების ანგარიში), კრებული: „შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა“, თბ., 1938, გვ. 229—264; ა. ლ. ო. ს. ბ. ე. რ. ი. ძ. ე, ძველი წყალსადენებისა და არხების ნაშთები, I. სხალტბა-შიომღვიმის 1202 წელს აგებული წყალსადენი, იქვე, გვ. 194—211.

თამარის ხანაში შიომღვიმის მამულების ზრდა კვლავ გრძელდებოდა. 1191—1212 წლებში¹ ამირსპასალარმა და მანდატურთუხუცესმა ქიაბერმა შიომღვიმეს შესწირა ეინვალს მოსახლე მიხითარაისძენი. ქიაბერის ცნობით, მას ეინვალის ყმა-მამული თამართან მოთათბირებისა და მისი ბრძანების საფუძველზე შეუწირავს მღვიმისათვის². ქიაბერის შეწირულების წიგნს შემოუნახავს მინაწერი ვილაც შოთასი: „ქ. ნე შოთაი ჩემს ეინოენის ქონებასაც შიგა ამას ვამტკიცებ, ვითა ამასა შიგან სწერია“. ეს პირი ბევრ მკვლევარს (თ. ჟორდანიას, ე. თაყაიშვილი, მ. ჯანაშვილი, ს. კაკაბაძე, პ. ინგოროყვა) „ვეფხისტყაოსნის“ ავტორად—შოთა რუსთაველად მიაჩნდა, მაგრამ ამ მოსაზრების დასაბუთება და დადასტურება არ მოხერხდა.

შიომღვიმე დღითი დღე ძლიერდებოდა, მამულებს იმატებდა. მდიდრდებოდა. მონასტერი მე-13 საუკუნის მეორე მეოთხედის დანდგეს ხვარაზმელებმა დაარბიეს³, მაგრამ მისი ძლიერება მალე აღდგა. რასაკვირველია, ეს გარემოება განაპირობა იმ დიდმა დახმარებამ, რომელიც შიომღვიმეს ქართველმა დიდებულებმა აღმოუჩინეს. ცნობილია, რომ მე-13 საუკუნის მეორე ნახევარში მღვიმის მამულების ზრდა კვლავ გრძელდებოდა, შეწირულება-დახმარება არ ნელდებოდა. მაგალითად, 1250 წელს მღვიმეს დაეძმარა ქართლის ერისთავი, მსახურთუხუცესი გრიგოლ სურამელი, რომელმაც ბეგარისაგან გაათავისუფლა სოფ. გაეაზი და კოტმანი, ააგო წისკვილები და სხვა⁴. 1258 წლის ახლოს ძაგან აბულეთის ძეს „ბაღდადს ქრძლით მისგან ნაშოების ოქროდთ“ უყიღია სოფ. ანგროინი და შეუწირავს მღვიმისათვის⁵.

მომდევნო ხანაში შიომღვიმის მონასტერი კვლავ გახდა მტრის ლაშქრის მსხვერპლი. საფიქრებელია, იქ მონღოლთა ლაშქარიც ნიიჭრა. თემურლენგის კარის ისტორიკოსს შერეფ ედდინს სპეციალურად აქვს აღწერილი თემურის 1393 წლის ლაშქრობა ჩვენს ქვეყანაში. მისი ცნობით, დამპყრობლებმა ციხე-მალაროებში შეხიზნულ ქართველთა წინააღმდეგ გაათორებული ბრძოლა გააჩაღეს, მალაროებში გამაგრებულ ქართველთა ამოსაბოცად ჯაქვთოკებით კიდობნები ჩაუშვეს და ისე შეუტყეს. აკად. ი. ჯაფარიშვილის აზრით, შერეფ ედდინის თხრობაში მოხსენიებულ მალაროებში შიომღვიმის

¹ თარღისათვის იხ. კ. გრიგოლია, ქიაბერის შეწირულების წიგნის დათარიღებისათვის, საქართველოს სახ. მუზეუმის მოამბე, XII-B, 1944, გვ. 177—182; თ. კობლაძე, XII—XIII საუკუნეთა ვახილების ქრონოლოგიისათვის საქართველოში, თავ ასპირანტთა შრომების კრებული, I, 1950, გვ. 68—70.

² ქრონიკები, I, გვ. 277—278; К материалам по истории Грузии XI—XII вв., II. Пергаментная грамота, данная амирспасаларом царицы Тамары (1184—1213) Шюмгвимскому монастырю, Чтения в обществе истории и древностей российских при Московском университете, III, т. 174, 1895, гв. 11—16; ისტ. საბუთები შიომღვიმის მონასტრისა, გვ. 21—23.

³ ისტ. საბუთები შიომღვიმის მონასტრისა, გვ. 63.

⁴ ისტ. საბუთები შიომღვიმის მონასტრისა, გვ. 52—58, 63—65; ქრონიკები, II, გვ. 127—128; სიგელი მსახურთუხუცესის გრიგოლ სურამელისა, 1250 წელს შიომღვიმისათვის დაწერილი, ს. კაკაბაძის გამოცემა, თბ., 1912. უკანასკნელ ხანს ამ საბუთს 1247—1251 წლებით დათარიღებენ (ნ. შოშიაშვილი).

⁵ ისტ. საბუთები შიომღვიმის მონასტრისა, გვ. 65—68; ქრონიკები, II, გვ. 145—148.

გამოქვაბულები ივარაუდება¹. თუ ეს მოსაზრება სწორია, მაშინ შიომღვიმე მონღოლ-ქართველთა საბრძოლო მოქმედების ასპარეზად უნდა მივიჩნიოთ. რასაკვირველია, თემურის მხედრობის მისვლა შიომღვიმეში ნიშნავდა მონასტრის დარბევასა და აკლემას, რაც, თავის მხრივ, დასცემდა და დააუძლურებდა იველ ქართულ საეანეს.

მე-14 საუკუნიდან შიომღვიმის მონასტერი ზევდგინიძეების გამგებლობაში გადადის, გიორგი ბრწყინვალემ (1299, 1314—1346) ის უბოძა ზევდგინიძე-ამილახორს, რომელმაც, წყაროების მოწმობით, სიკვდილისაგან იხსნა იმეფე და მის ნაცვლად თვით დააჭრევინა თავი მეფის მოკვლის მსურველებს.

ზევდგინიძე მოგვითხრობს: შეთქმულებმა „გამოარჩივეს ერთი უშვილო კაცი. უთბრეს: „მე“მე კელთა შევიპყრათ და ქართლი [ჩვენ დაგურ]ჩებისო“. ჭუკას გუარის კაცთან ჩემსა [გუარის კაცსა გა]ანდო. იმან მეფესა არ დაუშალა. [უთხრა მეფეს]ა: დასტურად გუილალატებენო. [ლამეს, რ]ომელსა ულალატებდეს, მეფის საგებ[ელში ის ჩუენი გუარის კაცი დაწვა და მეფე წაივიდა. მივიდეს და ჩემი გუარის კაცი დაირჩუნეს და მწოვედ დაკო[დეს და სიკუდილ]სა ულაამოდეს და, როგორც ეს [იცნეს, რომე ზ]ევდგინიძე არისო, აღარ მოკლეს... [უბოძა] მეფემა ნასისხლად მღვიმე მი[სითა შესავლი]თა სასაფლაოდ“². აღნიშნულ ეპიზოდს, რომელსაც შეცდომით მე-15 საუკუნის 50—60-იანი წლებით ათარიღებდნენ³, ადგილი ჰქონდა მე-14 საუკუნეში. აქედან მოყოლებული საუკუნეთა მანძილზე შიომღვიმე მეფის კუთვნილებას აღარ წარმოადგენს, სტაეროპიგია აღარაა⁴ და ზევდგინიძე-ამილახორთა საკუთრებად ჩანს. ამიერიდან აღნიშნული გვარეულობა ზრუნავს მონასტრის აღდგენა-ზრდა-განვითარებაზე, მღვიმე ზევდგინიძე-ამილახორთა საკრძალავადაც იქნა მიჩნეული⁵. სხვათა შორის, ამ ფეოდალურ სახლს სასაფლაოდ სამთავისიც ჰქონდა მიჩენილი⁶.

მე-15 საუკუნიდან მონასტერს ზევდგინიძენი ეხმარებიან, მაგრამ არც სანეფო კარი აკლებს ყურადღებას.

¹ ი. ჯაფახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, III, თბ., 1949, გვ. 302—307. პ. იოსელიანის აზრით, შერეფ ედღინის თხრობა ეხება ბოდორნის ეკლესიის ქვაბების აღებას (*Описание города Душета*, Т., 1860, გვ. 30). შერეფ ედღინის ცნობები დამახინჯებული სახით მოცემული აქვს ფ. გორგიჯანიძესაც (ისტორია, გვ. 94).

² ნ. ბერძენიშვილი, ფეოდალური ურთიერთობიდან XV საუკუნეში (დოკუმენტები კრიტიკული წერილით), მასალები საქ. და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 1, 1937, გვ. 39—42. შდრ. დ. გვრიტიშვილი, ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1955, გვ. 109—113.

³ ვახუშტი, საქ. ისტორია, გვ. 305—306; კალმასობა, I, გვ. 49; პ. ცხელითელი, მასალად ამილახვართა ისტორიისა, „ივერია“, 1891, № 237; ქრონიკები, II, გვ. 284—285; მისივე, ამილახვართა საგვარეულოს ისტორიული გუჯრები, „ძველი საქართველო“, II, 1913, გვ. 116—107; ი. ჯაფახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, IV, თბ., 1948, გვ. 78—79, 87—89. იხ. აგრეთვე А. Микеладзе, Сел. Квемочаха, СМОМПК, XXIX, 1901, გვ. 25. ზევდგინიძე-ამილახორს ზოგი უწოდებს იოთამს (ვახუშტი, ვახტანგ ირაკლის ძე), ზოგი—იორამს (ი. ბაგრატიონი). აკად. ნ. ბერძენიშვილის აზრით, მას თაყა ერქვა.

⁴ კელმწიფის კარის გარიგება, გვ. XXVII.

⁵ ვახუშტი, აღწერა, გვ. 25; II. Иоселиани. Описание Шюмгвинской пустыни, გვ. 59.

⁶ ვახუშტი, საქ. ისტორია, გვ. 307.

მე-15 საუკუნის დანდგეს მონასტერს დიდძალი ყმა-მამული შესწირა თუ დაუმტკიცა ალექსანდრე მეფემ (1412—1443)¹. მე-15 საუკუნის შუა წლებისათვის დავით აღმაშენებლის მიერ დადებული წესგანგებულება დარღვეულა, „ეამთა შილობისაგან დიადი წესი და საქმე“ შეცვლილა. მეფე გიორგი მე-9-ემ (1446—1466) და მისმა მეუღლემ ნესტან-დარეჯანმა, რამდენადმე, გამოასწორეს მდგომარეობა².

იმავე საუკუნეში თაყა ზევედგინიძემ შიომღვიმეში ააგო ეკლერა და მონასტერს შესწირა სოფ. კოდისწყარო³. 1475 წ. მამია ზევედგინიძემ მღვიმელთ საზრდოდ განუჩინა პური და შესწირა ვენახი⁴.

შიომღვიმის მონასტრისადმი ნამულების შეწირვა მე-15 საუკუნეშიც გრძელდებოდა. 1508 წელს ქართლ-იმერეთის მეფის ბაგრატ ნევექვის (1466—1478) დამ გაიანე მონაზონმა შესწირა კასპში ნაყიდი ვენახი⁵; 1523 წელს თაყა ამილახორ-ზევედგინიძემ და მისმა მეუღლემ ფანასკერტელის ასულმა ულუმპიამ შესწირეს ვენახი კასპში⁶; 1525 წელს დავით მეფის სახლის უხუცესმან და მწიგნობართმთავარმა ივანე სოლალაშვილმა შესწირა დილომში ნაყიდი ვენახი⁷.

1580 წელს ქართლის მეფე სვიმონ პირველმა (1558—1600) მღვიმის წინამძღვრის შილას თხოვნით გაათარხნა სხალტბა-ნასტაგისი⁸. მსგავსი თხოვნა შეუსრულა ქართლის გამაჰმადიანებულმა მეფემ როსტომმა (1632—1658). შიომღვიმის წინამძღვარს მელქისედეკს 1642 წელს⁹. აღნიშნული წინამძღვრის დროსვე როსტომ მეფემ გადასახადებისაგან გაათავისუფლა მღვიმე, რისთვისაც მელქისედეკმა ალაპი განუჩინა მას¹⁰; გიორგი მეთერთმეტემ (1678—1688, 1703—1709) შიომღვიმეს დაუმტკიცა სოფ. ოკამი, რომელიც მღვიმის „ყოფილიყო“, მაგრამ „ეამთა ვითარებისაგან“ „ალარ ჰქონებოდა“¹¹.

მე-17 საუკუნეში შიომღვიმეში გაჩაღდა საფუძელიანი აღდგენითი მშენებლობა. 1678 წელს გივი ამილახორმა და მისმა მეუღლემ—ვახტანგ მეხუთის (1658—1675) ასულმა თამარმა განაახლეს დავით აღმაშენებლის მიერ აგებული ეკლესია. როგორც ტაძრის წარწერა გვაუწყებს, მათ განუახლებიათ გუმბათი, კარიბჭე, სამრეკლო და სხვ.¹² ასეთი საფუძელიანი გადაკეთება-განახლების შედეგად ეკლესიამ საგრძნობლად იცვალა სახე. საფიქრებელია,

¹ ისტ. საბუთები შიომღვიმის მონასტრისა, გვ. 73—74.

² იქვე, გვ. 72—73.

³ ისტ. საბუთები შიომღვიმის მონასტრისა, გვ. 72; ქრონიკები, II, გვ. 241.

⁴ ისტ. საბუთები შიომღვიმის მონასტრისა, გვ. 76; ქრონიკები, II, გვ. 297; ისტ. საბუთები, III, ს. კ ა კ ა ბ ა ძ ი ს გამოცემა, თბ., 1913, გვ. 40—41.

⁵ ისტ. საბუთები შიომღვიმის მონასტრისა, გვ. 76; ქრონიკები, II, გვ. 326; ისტ. საბუთები, III, გვ. 25.

⁶ ისტ. საბუთები შიომღვიმის მონასტრისა, გვ. 77; ქრონიკები, II, გვ. 355—356; ისტ. საბუთები, III, გვ. 52—55.

⁷ ქრონიკები, II, გვ. 357; ისტ. საბუთები, III, გვ. 57—58.

⁸ ისტ. საბუთები შიომღვიმის მონასტრისა, გვ. 79; ისტ. საბუთები, II, გვ. 54.

⁹ ისტ. საბუთები შიომღვიმის მონასტრისა, გვ. 81.

¹⁰ იქვე, გვ. 80—81.

¹¹ გუჯრები, გვ. 71—74.

¹² ისტ. საბუთები შიომღვიმის მონასტრისა, გვ. 81—82. П. Носелиани, Описание Шкопгвмской пустыни, გვ. 28—29.

სრული რესტავრაციის აუცილებლობა განაპირობა მტრის (ალბათ, შაჰ-აბასის) მიერ მღვიმის დარბევამ.

1726 წელს მონასტერი კვლავ სასტიკად დაარბიეს. ერთი ხელნაწერის ცნობით, „წმიდის (შიოს) და ყოვლად წმიდის სამკაული ყოველი, საღმრთო სამსახური ყოველივე ამა ქუეყანას დახიზნდა და ურუმთა და ლეკთაგან ქუეყანას საქმე დიად მოეჭირნა ერისთობასა შანშესა და ამილახვრობასა გივისსა, ქრისტეს აქეთ ათას შვიდას ოცდაექვსსა, ქქსა უიდ. შენახულ იყო ყოველი ხატი, ჯუარი, წიგნი, შესამოსელი“¹.

შიომღვიმის ასეთი დარბევის შემდეგ აუცილებელი გახდა ზრუნვა მის აღდგენა-განახლებაზე. ამ საქმის წამოწყება დიდი ხნით არ დაგვიანებულა.

1733 წელს გივი ამილახორმა და მისმა მეუღლემ ბანგუამ განაახლეს შიომღვიმის ეკლესიები (ნათლისმცემლის, ღვთისმშობლის, შიოს საფლავი...) და ძველ ქართულ ლავრას საგრძნობლად შეუცვალეს სახე², მაგრამ მოკლე ხანში მტრის მხედრობამ კვლავ აიკლო მონასტერი. 1735 წელს შაჰ-ნადირის მარბიელი ლაშქარი შეესია მღვიმეს. მტრის მეომრებმა, მემატიანის ცნობით, „გააოხრეს მღვიმე ხატითა და მორთულობითა“. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მტრის ლაშქარს ზოგჯერ ქართველი დიდებულებიც ეხმარებოდნენ და შიომღვიმის მონასტერთან საადგილმამულო ნიადაგზე არაკეთილ განწყობილება-დამოკიდებულების გამო ღალატსაც არ ერიდებოდნენ. მაგალითად, ერთ-ერთი თავდასხმის დროს მტერს გაუჭირდა მონასტრის აღება, მაგრამ ლეონ მუხრანბატონის რჩევით წყალსადენის მიღები დაახიანა, ბერებისათვის წყლის მიწოდება შეაფერხა და მონასტერი ხელთ იგდო. ძველი დოკუმენტალური მოწმობით, „ოდეს ყიზილბაშნი იპყრობდნენ ქართლსა, მაშინ ეს მონასტერი გამაგრებული იყო და საესე კრებულითა და მოუშლელი ყოველითურთ და დახიზნულ იყვნენ ქვაბებთა შინა და თანა აქენდათ ყოველი საგანძურნი ეკლესიისა. მაშინ ბრძოდენ ამათ ყიზილბაშნი და სწადდათ აღება, მაგრამ ვერ შეუძლეს, ვინათგან აქენდათ მათ წყალი ესე ბოტკოსი და რადგან ცუდ იქმნა შრომა მათი, აღიღეს კელი ყიზილბაშთა“, მაგრამ აქ თავი იჩინა ღალატმა: ლეონ მუხრანბატონის მუხანათობის შედეგად „შეესივნენ ყიზილბაშნი და მოსრნეს მოღვაწენი მონაზონნი მახვლითა და იავარყვეს საქონელი მონასტრისა“³.

მტრის მრავალჯონის შემოსევის შედეგად შიომღვიმე დაეცა და დაუძლურდა, აურაცხელი ყმა-მამულიდან მცირედა დარჩა. 1787 წელს წინამძღვრად გერვასი მაქავარიანი (სამთავნელი) დაინიშნა⁴, მაგრამ მას უკვე აღარ შეეძლო მდგომარეობის გამოსწორება. ენერგიულად იღვწოდნენ მონასტრის საკეთილდღეოდ, ეხმარებოდნენ მას და ყმა-მამულის საკითხების მოგვარებაზე ზრუნავდნენ ერეკლე მეორე, გიორგი XII, დავით ბატონიშვილი⁵, მაგრამ მღვიმე ერთ ხანს კიდევ დაცარიელდა ლეკთა თარეშის გაძლიერების გამო⁶.

¹ ისტ. საბუთები შიომღვიმის მონასტრისა, გვ. 82.

² იქვე, გვ. 83.

³ იქვე, გვ. 88—89.

⁴ იქვე, გვ. 84.

⁵ იქვე, გვ. 84—85.

⁶ პ. იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, გვ. 36.

მე-19 საუკუნის დასაწყისს ბერები კვლავ მომრავლდნენ მღვიმეში¹. დაეთ-
ბატონი შეიღმა სპეციალური წერილი გაუგზავნა მღვიმელთ და მამულების შე-
ნარჩუნების იწვედი განუმტკიცა², მაგრამ დაპირების შესრულება მას უკვე
ალარ შეეძლო.

1804 წელს მონასტერი ერთხელ კიდევ უმოწყალოდ იქნა დარბეული და
აოხრებული³. ამჯერად ის აჯანყებულმა გლეხებმა აიკლეს. მომდევნო ხანაში
შიომღვიმის მონასტერში მოღვაწეობდა ცნობილი მღვდელმთავარი არქიმ.
დოსითეოსი, მაგრამ მანაც ვეღარ შესძლო მონასტრის გადარჩენა მოახლო-
ებული აღსასრულისაგან⁴.

1811 წელს შიომღვიმე ქვათახევის მონასტერს მიაწერეს⁵. შემდეგ თბილი-
სის ფერისცვალების მონასტერს (1822—1887). მე-19 საუკუნის სამოციანსი
წლებისათვის შიომღვიმის მონასტერი, როგორც ფეოდალური სენიორია,
ალარ არსებობს, ის საკულტო დაწესებულებად ღარჩება; ამკამად დაიწყო,
როგორც მატერიალური კულტურის ძვირფასი ძეგლი⁶.

შიომღვიმის მონასტერი ქართული კულტურის მნიშვნელოვანი კერა
ყოფილა. იქ საგრძობლად შეინიშნებოდა ლიტერატურული მუშაობა. სხვა-
დასხვა დროს მონასტერში არა ერთი პირი ეწეოდა შემოქმედებით მუშაობას.
შიომღვიმეში მოღვაწე ქართველ მწიგნობართაგან ჩვენთვის ცნობილია მონას-
ტრის დამაარსებელი შიომღვიმელი, ბასილ კარიკისძე, არსენ იყალთოელი,
არსენ საღირისძე, გიორგი ხუცეს-მონაზონი და სხვ.

ძველი ცნობებით, შიომღვიმის პირველი მწიგნობარი თვით შიომღვიმე-
ლია. მისი ბიოგრაფის სიტყვით, შიოს, ძმათა თხოვნის საფუძველზე, დაუწე-
რია „ასსამოცი თავი სწავლაჲ ყოვლად შეუნიერი და ტკბილი, რომლითა გა-
ნისწავლებოდეს ყოველნი იგი კრებულნი მარადის“⁷. სამწუხაროდ, ეს ასე-
ტიკურ-მისტიკური ხასიათის შრომა ჯერჯერობით მიკვლეული არ არის. სა-
მაგიეროდ ცნობილია ღრმა ლირიზმით აღსავსე 2 ძიწნოგრაფიული ნაწარ-
მოები: „თქუთულნი წმიდისა და ნეტარისა შიომღვიმის მიერ, რომელსა მარადის

¹ Акты. II. Т., 1868, გვ. 266.

² ისტ. საბუთები შიომღვიმის მონასტრისა, გვ. 84—85.

³ Грузинские церк.: руджари, გვ. 100.

⁴ იქვე, გვ. 100—102; ისტ. საბუთები შიომღვიმის მონასტრისა, გვ. 86—87.

⁵ Акты, VI. ნაწ. I. Т., 1874, გვ. 364.

⁶ შიომღვიმეზე გარდა დასაზღვრული ლიტერატურისა იხ. А. Муравьев, Грузия и Армения, I. გვ. 275—295; M. Brosset, Rapports sur un voyage archéologique dans la Géorgie et dans l'Arménie, exécuté en 1847—48, II livr., St.-P., 1850, გვ. 41—47; ტ. ალექსი შეილი, უდაბნო ღირსისა და საეპიტროპოსოქმედისა ბაშისა ზენისა შიომღვიმისა, „საქართველოს სასულიერო მახარებელი“. 1864, IX. გვ. 79—84; J. Гаг-
უაძე, Кавказ и древних памятниках христианства, გვ. 149—150; შიომღვიმის
მონასტერი და წმიდა ღირსი მამა ზენი შიომღვიმელი, თბ., 1889; Шюмгвиевский мона-
стырь, Кутаиси, 1899; შიომღვიმის მონასტერი, „მწვემსი“, 1889, № 3, გვ. 6—8; Н. Пр-кин,
Шюмгвиевский монастырь, „Кавказ“, 1894, №№ 224, 225; ა. ხახანაშვილი, შიომღ-
ვიმის მონასტერი, „ევერია“, 1896, № 51, გვ. 907—909; ს. გ. შიომღვიმე და მისი განვაზ-
ღებელი, „ევერია“, 1904, № 151; P. Шморгул, Ахтарные перегады в Грузии, „ქართუ-
ლი ხელოვნება“, III, 1950, გვ. 154—162; E. Tarkishvili, Antiquities of Georgia, 2. Some
Types of Iconostases of the Ancient Georgian Churches, Georgia, I, № 4—5, 1937,
გვ. 151—105.

⁷ ასტრეულ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები, გვ. 131.

იტყვან ოხითად მკვდარი მის მონასტრისანი¹. უცილობელია, რომ ორივე ნაწარმოები შიომღვიმეშია შეთხზული².

შიომღვიმის მონასტერში მე-11 საუკუნეში მოღვაწეობდა «ძე დიდი-სა პატრიკისა ვაჩესი», კათოლიკოსი ბასილი, რომელიც ეფერემ მცირის ძმა-უნდა იყოს, გვარად კარიჯისძე. მის განათლება მიუღია საბერძნეთში. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ შიომღვიმეში მოღვაწეობდა, ხოლო შენდევში ქართული ეკლესიის საქეთმწყობელიც გახდა³. შიომღვიმეში მოღვაწეობის დროს ბასილს თავი მოუყრია ცნობებისათვის შიომღვიმელის სასწაულთმოქმედებათა შესახებ და ლიტერატურულად დაუმუშავებია ისინი («თხრობაჲ ასსწაულთათჳს წმიდისა და ღმერთ-შემოსილისა მამისა შიოჲსთაჲ, რომელი-ესე სხუათა მიერ აღწერილი ადგილ-ადგილ ერთად შემოკრიბა ბასილი კათალიკოსმან, ძემან დიდისა პატრიკისა ვაჩესმან»⁴). მისი შრომა 18 თავისაგან შედგებოდა, ჩვენამდე მხოლოდ ექვსია მოღწეული, დანარჩენი დაკარგულია. სასწაულების აღწერილობის გვერდით ბასილს მოცემული აქვს საინტერესო ისტორიული ცნობებიც⁵. ბასილს უნდა ეკუთვნოდეს შიომღვიმელის დასდებელიც⁶.

შიომღვიმეში მოღვაწეობდა ქართული კულტურის გამოჩენილი მუშაკი არსენ იყალთოელი (XI—XII სს.). იქ გაუტარებია მას თავისი ცხოვრების უკანასკნელი წლები, იქ დაუსრულებია თავისი დიდი დოგმატიკურ-პოლემიკური კრებული—დოგმატიკონი. ამას გვაფიქრებინებს მინაწერები დასახელებული თხზულების ხელნაწერებისა: «არსენისსა მისრული მღვმეს, იტყვს დავით მეფე: მე მაშინდელი კაცი ვარ, ოდეს არსენი დაროჯიდი (?) კამა (sic); მარჯუმანსა გუშრდსა ზედა წვა, ნოსელსა იკითხვდა და დოგმატიკონსა აწამებდა და ცკლისა სოფია-წმიდასა იგივე მარტოჲ იქმოდაო»⁷. აქ მოხსენიებული დავით მეფე დავით აღმაშენებელი უნდა იყოს. ის შიომღვიმის მფარველი

¹ A №№ 130, 160, 170, 425, 515; S № 449; H №№ 40, 1243, 1672, 2735; საქ. სა-ბროზე, გვ. 252; ძველი ქართული სასულიერო პოეზია, გვ. 412—413; პ. ი ნ გ ო რ ო ყ ე ა. გიორგი ნერჩულე, გვ. 857.

² ქ. ქ ე ქ ე ლ ი ძ ე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I¹, გვ. 122—124.

³ ქ. ქ ე ქ ე ლ ი ძ ე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I¹, გვ. 269—271. ბასილის მოღვაწეობას შეცდომით ათარიღებდნენ მეცხრე (პ. კ ა რ ბ ე ლ ა შ ვ ი ლ ი, იერარქია საქარო-ველოს ეკლესიისა, გვ. 56—57), მეათე (ქრონიკები, I, გვ. 60—61, შენ.), მეოთხმეტე (ხ. კ ი-ქ ი ნ ა ძ ე, ქართული მწერლობა მეცამეტე საუკუნიდამ მეთექვსმეტე საუკუნემდე, გვ. 13) და მე-14—15 საუკუნეებით (საქ. სამოთხე, გვ. 253, შენ. 1).

⁴ A № 515; H №№ 256, 1371; S № 4621; საქ. სამოთხე, გვ. 253—264; ქრონიკები, I, გვ. 59—61, 343—345; ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები, გვ. 159—213.

⁵ სხუათა შორის, ბასილის თხზულება წყარო გამხდარა ანტონ პირველისათვის, რომელიც თვით ასახელებს ბასილს შრომაში: «შესნმაჲ და მოთხრობაჲ ღუაწლთა და ვნებათა მღვდელ-მოწამისა ნუფიეტე ჯრბნისის ეპისკოპოსისაჲ» (Q № 73, გვ. 178—203; საქ. სამოთხე, გვ. 303—312). უარბად უსარგებელია ბასილის ნაწარმოებით, —სიყვე რაგორც ანტონის პერი-ფრაზით, —იოანე ბაგრატიონსაც (H № 2170, 290r—293r).

⁶ ძველი ქართული სასულიერო პოეზია, გვ. 362.

⁷ S № 401, 191v; S № 1463, ფ. 181; Q №51, 208r; K № 15, 105v. ქრონიკები, I, გვ. 246, 311; ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, არქ. მოგზაურობანი და შენიშვნანი, I, გვ. 100; II, გვ. 90; ქ. ქ ე ქ ე ლ ი ძ ე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I¹, გვ. 274, 280.

იყო და, ალბათ, ხნირადაც დადიოდა მონასტერში. ჩანს, ის იქ შეესწრო არსენ იყალთოელის დოგმატიკონზე მუშაობის პროცესს¹.

არსენ იყალთოელი მრავალმხრივი და უალრესად ნაყოფიერი ნოღვაწე იყო. როგორც წარმოდგენილი მასალიდან ირკვევა, მას არც შიომღვიმეში შეუწყვეტია თავისი კულტურულ-ლიტერატურული საქმიანობა².

[შიომღვიმის ლიტერატურული წრის თვალსაჩინო წარმომადგენელია არსენ საღირისძე (XII ს.)—მმა ცნობილი ქართველი მოღვაწეების ანტონ ქუთათელი მთავარეპისკოპოსისა და იოანე ანჩელისა³. არსენი დავით აღმაშენებლისა და მისი ძის—დიმიტრი პირველის (1125—1154) თანამედროვეა, სამეფო კართან ძალზე დაახლოებული პირი. შიომღვიმისადმი ბოძებულ ანდერძში დავით აღმაშენებელი არსენ ბერს თავის „სასოს და განმანათლებელს“ უწოდებს. როგორც იმავე დოკუმენტიდან ჩანს, მეფემ არსენს შიომღვიმეში ეკლესიის მშენებლობა. არსენმა შიომღვიმის მონასტერში ახალი დისციპლინარული წესი განაჩინა და სვიმეონ საკვირველთმოქმედის მონასტრის ტიბიკონი შემოიღო (მეფის დასტურითა და იოანე ბერის დახმარებით).

არსენ ბერი განათლებული მწიგნობარია, კარგად იცნობს ძველ მწერლობას და, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გარკვეული წვლილიც შეუტანია მშობლიური კულტურის საგანძურში.]

შიომღვიმის ლიტერატურული კერის წარმომადგენელია საკმაოდ გაწაფული და დაოსტატებული გადამწერი გიორგი ხუცეს-მონაზონი. მისი სახელით ჩვენამდე მოღწეულია ორი საყურადღებო ხელნაწერი, სახელდობრ:

1. საეკლესიო ტიბიკონის მოზრდილი ხელნაწერი (H № 1349), რომელიც საკუთრივ ტიბიკონის ტექსტს უძღვის შიომღვიმელის სენაქსარული ცხოვრება (2r—r)⁴, ნინოს საგალობლები და სხვ. ტიბიკონში მსოფლიო ეკლესიის მიერ აღიარებულ მოღვაწეთა გვერდით იხსენიებიან გამოჩენილი ქართველი მოღვაწეებიც (ბაგრატ IV, დავით აღმაშენებელი, თამარი და ა. შ.). გადამწერის ვინაობას გვაძინობს სათანადო ანდერძი: „...გე, გიორგი, სახითა ოდენ მონაზონ-ხუცესი, ხოლო სხვთა ყოვლითა აღსაესე ცოდვითა, ღირს ვიქმენ აღწერად ამის წიგნისა და შემდგომად აღსრულებისა აღმზრდელისა ჩემისა, დავდე ეკლესიასა მღვმისასა“ (129v)⁵.

2. სახარება (H № 1344), რომელიც ლიტერატურაში შიომღვიმის ოთხთავის სახელითაა ცნობილი. ის გადამწერილია კარგად დამუშავებულ ეტრატზე ლამაზი (ნუსხური) ხელით, მოხატულია მდიდრულად და შემკულია მახარებლების პორტრეტებით. გიორგი ხუცეს-მონაზვნის როლს ამ ხელნაწერის დამზადებაში არკვევს ანდერძი: „ესე წმიდა... სახარებაჲ მოვიგე და დავწე-

¹ არსენ იყალთოელის მოღვაწეობას შიომღვიმეში ადასტურებენ ანტონ პირველი (წყობილისი) ცნობა, გვ. 262) და იოანე ბაგრატიონი (კალმასობა, II, გვ. 176).

² არსენ იყალთოელზე იხ. ქვემოთ (იყალთო).

³ იხ. ზემოთ გვ. 137—138.

⁴ გამთაქვეყნა თ. ყორღანიამ (ისტ. საბუთები შიომღვიმის მონასტრისა, გვ. 70—71).

⁵ ხელნაწერთა აღწერილობა (H), III, გვ. 303—306; ქრონიკები, I, გვ. 79—81, 145—147, 243; II, გვ. 157—158. К. Кекелидзе, Литургические грузинские памятники. გვ. 313—347. ახლახან გამოთქმული მოსაზრებით, გიორგი ხუცეს-მონაზონს ეკუთვნის მხოლოდ ხელნაწერის ანდერძი, ხოლო თვით ხელნაწერი სხვათა მიერაა დამზადებული (გ. მიქაძე, შიომღვიმის ტიბიკონის დათარიღებისათვის, გახ. „ახალგაზრდა სტალინელი“ (ოსუ), 3. VII. 59, № 17 (258)).

რე კელითა ზეცითა იე, გიორგი, სულითა საწყალობელცახ... დაიწერა V^ა ესე ოთხთაი დიდსა უდაბნოსა მღვმისასა* (254r)¹.

აღნიშნული სახარების ანდერძს შემოუნახავს საინტერესო ცნობა, რომელიც. რამდენადმე, შუქს ჰყენს გიორგის მოღვაწეობას. მღვიმის მწიგნობარი წერს: „შევსწირენ მამასა შიოს ოთხთაი სახარებაჲ, სრული ყოვლითა განგებითა, ჯამართა და ხატითა, ზანდუკითა და შეკვედითა... ერთნი მარხვანი ეტრატსავე ზედა, ერთნი ზატოკნი ეტრატსავე ზედა მე, გიორგი, სახითა ოდენ მონაზონ-ხუცესმან... და შემიწყალეს წინამძღუარმან ზოსიმე და ბასილმან თავაურმან, ზოდღურად წოდებულმან და სრულად კრებულმან მღვმისამან“ (255r). ჩანს, გიორგი ხუცეს-მონაზონს ჩვენთვის ცნობილი ხელნაწერების გარდა სხვაც გადაუწერია. ამ საქმეში მისთვის დახმარება აღმოუჩენიათ მღვიმელ მოღვაწეებს — ზოსიმე წინამძღვარს, ბასილ თავაურსა და სხვებს.

გიორგი ხუცეს-მონაზვნის მოღვაწეობის ხანის დაზუსტებაში გარკვეულ დახმარებას გვიწევს ანდერძის ცნობა იმის შესახებ, რომ სახარების გადაწერისას „ქრონიკონი წელნი იყვნეს ვე (=1085). წელნი, რომელ გარდასრულ არიან დასაბამითგან ვიდრე ჯუარცუმაღდე უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესა, ესრეთ იცნობების: ქელდ (=5534), ხოლო შემდგომად ჯუარცუმისა ვიდრე მოაკომამდე: ჩსო (=1270). ერთ რიცხუად ყოველნი წელნი დასაბამითგან ვიდრე აქამომდე: ხელ (=6804)* (II № 1344, 254r). სახარების გადაწერის დათარიღებას აძნელებს ის გარემოება, რომ აქ მოცემულ თარიღებში ერთხმად ირიაა, მონაცემთა ჩვენება განსხვავებულია. ზოგიერთი მკვლევარი ხელნაწერს 1270 წლით ათარიღებს², ზოგს კი 1304 წ. მიაჩნია უფრო ზუსტ თარიღად³. უკანასკნელად გამოქვეყნდა ერთი პატარა წერილი, რომლის ავტორი ცდილობს შიომღვიმის ოთხთაი 1200 წლით დაათარილოს⁴.

შიომღვიმის სხვა მოღვაწეთა შესახებ ჩვენ ნაკლები მასალა მოგვეპოვება⁵. ზოგიერთი ცნობით, იქ მოღვაწეობდნენ მე-18 საუკუნის ცნობილი ქართ-

¹ ხელნაწერთა აღწერილობა (H), III, გვ. 289—290.

² П. Иосефакани, Описание Шинюгвицкой пустыни, გვ. 46; Л. Бакраძე, Кавказ в древних памятниках христианства, გვ. 150; ქრონიკები, I, გვ. 79, 145—146; II, გვ. 156—157; ისტ. საბუთები შიომღვიმის მონასტრისა, გვ. 68—69. იხ. აგრეთვე МА, VIII, 1881, გვ. 61.

³ ხელნაწერთა აღწერილობა (H), III, გვ. 239. შდრ. გზამკვლევი, გვ. 190; ბ. ლომონაძე, შიომღვიმე, გვ. 49—50; ქართული წერის ნიმუშები (ძალეოგრაფიული აღბომი), შეადგინა ი. აბულაძემ, თბ., 1949, გვ. 317.

⁴ გ. მიქაძე, შიომღვიმის ოთხთაის დათარიღებისათვის, გახ. „ახალგაზრდა სტალინელი“ (თსუ), 19. IX, 56, № 22 (1958).

⁵ არ ვიცი, რა წყაროს ემყარებოდა ზ. კიკინაძე, როდესაც ჩახრუხაძესა და იოანე შავაშელს შიომღვიმეში აღზრდილებად მიიჩნევდა (ზ. კიკინაძე, ქართული მწერლობა მეთორმეტე საუკუნეში, გვ. 1, 15). ასევე დამატებით საბუთიანობას მოითხოვს პ. კარბელაშვილის ცნობა არსენ ბულმანისძისძის შიომღვიმეში მოღვაწეობის შესახებ (პ. კარბელაშვილი, იერარქია საქართველოს ეკლესიისა, გვ. 74). შიომღვიმეში ცხოვრება სურდა ი. პენტელაშვილს, მაგრამ არ ვიცი, დასაზღდა თუ არა იქ (ს. ყუბანეიშვილი, მგლის წიგნის ქართული ვერსია, „ლიტერატურული ძიებანი“, V, 1949, გვ. 211). გადაჭრით ვერ ვიტყვი, იქაური იყო თუ არა მეტატიანე „ბერი მღვიმელი“, რომელსაც ჟამთააღმწერელი იხსენიებს (ქართლის ცხოვრება, II, გვ. 177).

ველი მწიგნობრები იოსებ სამებელი (ქობულაშვილი), გამალიელ გამრეკელი, გერონტი სოლოლაშვილი¹ და იონა ხელაშვილი².

როგორც ჩანს, შიომღვიმის მოღვაწენი გვიან ხანამდე არ წყვეტდნენ კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობას—ხელნაწერთა გამრავლებასა და გავრცელებას. მაგალითად, მღვდელ-მონაზონმა თეოდოსიმ მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში (1878—1881 წწ.) გადანუსხა რამდენიმე ხელნაწერი³, მორჩილმა გ. გოგიბერაშვილმა განაახლა შიომღვიმის გულანი (არქ. ხელნ. № 302, 1890 წელს და ა. შ.

ამრიგად, შიომღვიმის, როგორც ქართული კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრისა და მწიგნობრობის მნიშვნელოვანი კერის,—შესახები ცნობები ჩვენამდე ნაკლებადაა შემონახული, მაგრამ მოღწეული მასალითაც ნათლად ჩანს, რომ სხალტბის ქედის ძირს გაშენებული ძველთაძველი ქართული მონასტერი მნიშვნელოვან კულტურულ-შემოქმედებით ძალებს აერთიანებდა. ვარდა ზემოგანხილული ცნობებისა, ამ ფაქტს ადასტურებს ის მდიდარი წიგნსაცავიც, რომელიც ამ ლავრაში არსებობდა. არა ერთი მოწმობით ჩანს, რომ შიომღვიმის მონასტერს დიდი ბიბლიოთეკა ჰქონდა. 1804 წლის ცნობით, იქ იმ დროს იმდენი ხელნაწერი ყოფილა, რომ 10 ურემიც ვერ დაიტევდა. მათ შორის ბევრი ეტრატზე იყო შესრულებული⁴. რასაკვირველია, შიომღვიმის ბიბლიოთეკა მხოლოდ იქაურ ბერთა მიერ გადაწერილი ნუსხებით არ მდიდრდებოდა. ცნობილია არა ერთი ისეთი ხელნაწერი, რომელიც სხვა პირთ შეუწირავთ შიომღვიმისათვის. მაგალითად, დაეთ ბატონიშვილს შეუწირავს იოანე ოკროპირის მათეს თავის თარგმანების ქართული თარგმანი (H № 1341)⁵. სხვათა შორის, აგოგრაფის მოწმობით, მონასტრისათვის სახარება შეუწირავს ფარსმან მეფესაც მეექვსე საუკუნეში⁶.

ჩვენამდე მოღწეულია მრავალი ხელნაწერი შიომღვიმის წიგნსაცავიდან⁷. განსაკუთრებით აღსანიშნავია ისეთი ძვირფასი ნუსხები, როგორიცაა ოლიმპის ქართულ მონასტერში 978 წელს გადაწერილი კრებული (H № 1346), იოანე პეტრიწის თარგმანი პროკლე დიადოხოსის „ქავშირისა“ განმარტებებით (H № 1337), შიომღვიმის ოთხთავი (H № 1344) და სხვ.⁸ მონასტერში ასეთი მდიდარი ბიბლიოთეკის არსებობა, რასაკვირველია, მოწმობს, რომ იქაური მოღვაწენი მხოლოდ წირვა-ლოცვით არ იყვნენ შემოფარგლულნი, დაინტერესებულ პირთ შეეძლოთ ეკითხათ და გონებრივი ჰორიზონტი გაეფართოებინათ.

¹ П. Иоселнани, Описание Шномгвимской пустыни, გვ. 57. ამ ცნობებს იმეორებენ ზ. კიკინაძე, ა. ხახანაშვილი და სხვ. ცნობილია გ. სოლოლაშვილის მიერ შიომღვიმეში დამზადებული ხელნაწერი (S № 349).

² S № 288, გვ. 45. ი. ხელაშვილი, რომინი, გვ. 97.

³ H №№ 1768, 1769, 1770, 1773-დ.

⁴ Д. Баградзе, Клятва в древних памятниках христианства, გვ. 150.

⁵ მასვე შეუწირავს ეფრემ ასურის თხზულებანიც (არქ. ხელნ. № 301).

⁶ ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები, გვ. 111.

⁷ შიომღვიმიდანაა მოღწეული H №№ 1336—1346, 1349, 1768—1770; S № 349; A № 626; არქ. ხელნ. № № 301—315 და სხვ.

⁸ შიომღვიმის ბიბლიოთეკაზე იხ. П. Иоселнани, Описание Шномгвимской пустыни, გვ. 40—48; ტ. ალექსი შვილი, უდაბნო ღირსისა და საკვირველთმოქმედისა ზამისა ჩუშნისა შიომღვიმისა, „საქართველოს სასულიერო მახარებელი“, 1864, IX, გვ. 83—84.

მცხეთა ძველთაგანვე ქართული ქრისტიანული ეკლესიის ცენტრს წარმოადგენდა. ძველ მატიანეთა ჩვენებით იქ გაიშალა ქართველთა განმანათლებლის ნინოს სამისიონერო ზოღვაწეობა, იქ გამოცხადდა ქრისტიანობა ქართლის საეპისკოპოსოებრივ რელიგიად; იქვე დაიწყო პირველი ქრისტიანული ტაძრების მშენებლობა. ძველ ნაგებობათაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია სვეტიცხოვლის დიდებული ტაძარი, რომელიც ქართული ხუროთმოძღვრების სიამაყეს, ქართული არქიტექტურის უბადლო ძეგლს წარმოადგენს.

სვეტიცხოვლის პრობორციები, გარეგანი მასების ჰარმონიული წყობა, გრანდიოზული შინაგანი სივრცე, ფასადების შესანიშნავი კომპოზიცია, მრავალფეროვანი მორთულობის გააზრებული სისტემა, რთულ ტექნიკურ ამოცანათა წარმატებით გადაწყვეტა მოწმობს როგორც იმდროინდელი (XI ს.) ქართული ხუროთმოძღვრების მხატვრულ მომწიფებას, ისე თვით არქიტექტორის—არსუკისძის შეუდარებელ ნიქს, დიდ პრაქტიკულ გამოცდილებასა და ოსტატობას¹.

მცხეთის საპატრიარქო ტაძარი ძალზე მსხვილ ფეოდალურ-საეკლესიო სენიორიას წარმოადგენდა. საუკუნეთა მანძილზე ის მეფე-დიდებულთა ყურადღების ცენტრში იდგა და უხვ შეწირულებას იღებდა². სვეტიცხოვლის ყმა-მანული მიმოფანტული იყო სულ სხვადასხვა კუთხეში³.

ძირითადად სვეტიცხოველთანაა დაკავშირებული ის კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა, რომელიც მცხეთაში⁴ იყო გაჩაღებული. ჩვენთვის ცნობილია რამდენიმე მცხეთელი წმინდობარი (ეგესტათის ბიოგრაფი, არსენ დიდი, არსენ მეორე, მალალაშვილები და სხვ.).

მცხეთაშია დაწერილი ერთ-ერთი უძველესი ქართული აგიოგრაფიული ნაწარმოები „მარტვლობაჲ და მოთმინებაჲ წმიდისა ეგესტათი მცხეთელისაჲ“⁵.

¹ ვ. ბერძენიძე, ძველი ქართველი ხუროთმოძღვრები, თბ., 1956, გვ. 24—26.

² Прусиакне перк. гуджарин, გვ. 102—115; ისტ. საბუთები, II, ს. კაკაბაძის გამოცემა, თბ., 1913, გვ. 3—10, 12—20, 24—25, 32—40, 42—45, 49—57; III, გვ. 3—46, 59, 64—67, 69—71, 88—89; IV, გვ. 9—17, 33—54, 64—67, 69—72; დოკუმენტები, I, გვ. 7—8, 10, 12—13, 41; II, გვ. 1, 22.

³ ქრონიკები, II, გვ. 193—198; „საისტორიო კრებული“, III, 1928, გვ. 118—121; დოკუმენტები, I, გვ. 183—185. იხ. აგრეთვე მცხეთის საკათალიკოზო მამულების გუჯარი 1447—1448 წწ. გიორგი IX მიერ ბოძებული, ს. კაკაბაძის გამოცემა, თბ., 1912; ვ. ჩაჩანიძე, მეფე გიორგი IX მიერ მცხეთის სვეტიცხოვლისადმი ბოძებული სიგელი 1447 წ., „საქართველოს არქივი“, 1927, III, გვ. 108—118.

⁴ მცხეთასა და მის სვეტიცხოველზე დიდძალი ლიტერატურა არსებობს (ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა, გვ. 224—225). უკანასკნელი წლების გამოკვლევებიდან აღსანიშნავია: ლ. მუსხელიშვილი, მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძრის უძველესი წარწერები და მათი დამოკიდებულება მელქისედეკ კათოლიკოსის ანდერძთან, „ქართული ხელოვნება“, I, 1942, გვ. 133—142; ვ. ბერძენიძე, მცხეთის კათედრალის „სვეტი-ცხოველი“ და ქართლის მოქცევის სიუჟეტები მის ფრესკებში, აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახ. მუზეუმის შიამბე, XV-B, 1948, გვ. 135—164; Д. Мшениерадзе, Строительное дело в древней Грузии, გვ. 80—86, 109—117; Г. Чубинашвили, К вопросу о первоначальных формах михетского кафедрала Свети-Ихонели, „ქართული ხელოვნება“, V, 1959, გვ. 123—134 და სხვ.

⁵ შემონახულია მრავალ ხელნაწერში (A №№ 130, 170, 176; S №№ 3269, 3637; H №№ 341, 1672, 2077, 2121). გამოცემები: საქ. სამთხე, გვ. 313—322; საისტორიო კრებული, III, 1928, გვ. 80—94; ძველი ქართული ლიტერატურის კრესტომათია, I, გვ. 44—54; ძველი

მასში აღწერილია განძაკელი სპარსელის გვირობანდაკის ქართლში მოსვლა და მცხეთაში დასახლება, ქრისტიანობის მიღება და თავის დადება ამ რელიგიის გამო 551 წლის ახლოს. ავტორი კარგად გვაცნობს ქართლის სახელმწიფოებრივ ვითარებას, სპარსელთა სარწმუნოებრივ-საეკლესიო პოლიტიკას და სხვ. აღნიშნული ნაწარმოები დაუწერია ევსტათის უმცროს თანამედროვეს, უცნობ მცხეთელ მოღვაწეს მე-6 საუკუნის 70-იან წლებში¹.

მცხეთის კულტურულ-საგანმანათლებლო კერის თელსაჩინო წარმომადგენელია კათოლიკოსი არსენ დიდი (IX ს.). მის შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდის გიორგი მერჩულე. როგორც მისი მონათხრობიდან ჩანს, გრიგოლ ხანძთელის ზოგადი თეოდორესა და ქრისტეფორეს მოუწადინებიათ მონასტრების დაარსება და ამ მიზნით აფხაზეთს გაპარულან. მათ გზად გაუვლიათ სამცხეში. აქ ისინი სახლში მიუპატიებებია ადგილობრივ დიდებულს— აზნაურ მირიანს. თეოდორესა და ქრისტეფორეს დაუმოწაფებიათ მირიანის ერთი ვაჟი, „რომელსა ეწოდა ღირსად დიდი არსენი, ქართლისა კათალიკოზი და მცხეთისა საყდრისა გკრგვნი დაუქნობელი“. ეს უკანასკნელი ერთ ხანს ხანძთაში მოღვაწეობდა, ხოლო შემდეგში, მიუხედავად საერო ხელისუფლებისა და სასულიერო-საეკლესიო საზოგადოებრიობის ზოგიერთი წარმომადგენლის მდგარი წინააღმდეგობისა, გრიგოლ ხანძთელის მხარდაჭერით კანონიერ და უფლებამოსილ კათოლიკოსად იქნა აღიარებული. მან თავი გამოიჩინა როგორც ენერგიულმა მღვდელმთავარმა. გიორგი მერჩულის სიტყვით, არსენმა „საყდარი მამათმთავრობისაჲ შეაქო სრულიად და შეიმკო მადლითა“, „ქართლისა ეკლესიათა და ყოველთა სიხარული მიჰქინა“. მისივე ცნობით, არსენის კათოლიკოსობა 27 წელს გრძელდებოდა².

არსენ დიდს მიაკუთვნებენ აბიბოს ნეკრესელის მარტვილობის აღრეულ რედაქციას („მოქალაქობაჲ და წამებაჲ წმიდისა აბიბოს ნეკრესელ ებისკოპოსისაჲ“), რომელიც მხოლოდ ერთი ნუსხითაა ცნობილი³. მის ავტორობას არკვევს ძველის მეტაფრასული რედაქცია, რომლის სათაურში ავტორად არსენ დიდი დასახელებული („წმიდისა მღვდელ-მოწამისა აბიბოს ნეკრესელ ებისკოპოსისა, რომელი იწამა ცეცხლის-მსახურთა მიერ ქართლს, თქუმული

ქართული ენის ისტორიული ჰრესტომათია, I¹, გვ. 161—177; I², გვ. 160—175; ჩვენი საუნჯე, ტ. 1, გვ. 28—42. თარგმნილია რუსულად (М. С а н и н и, И о ш и е ж и з н о о п и с а н и е с а м т х р у з и ц к о в о й ц е р к в и, II, С П б., 1872, გვ. 79—92) და გერმანულად (Das Martyrium des heiligen Eustatius von Mzchetha. Sitzungsberichte der königlich preussischen Akademie der Wissenschaften zu Berlin, 1901, XXV VIII. გვ. 875—902). ინგლისური პერიოდრაზი გამოაქვეყნა დ. ლანგმა (Lives and Legends of the Georgian Saints, გვ. 94—114).

¹ ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 55—60; კ. კ ე - კ ე ლ ი ძ ე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I¹, გვ. 508—515; მ ი ს ი ე ვ ე, ანტიმანდიან-ტური პოლემიკის ფილოსოფიური დასაბუთება უძველეს ქართულ მწერლობაში, ეტიუდები, III, გვ. 46—49.

² Т Р А - I ¹ Ф, VII, გვ. კბ, კხ, მე-მთ. არსენი 820 წელს დაბადებულა. მისი კათოლიკოსად კურთხევა 850 წლის ახლოს უნდა მომხდარიყო (30 წლამდე კათოლიკოსად კურთხევა არ შეიძლებოდა). არსენის მღვდელმთავრობა გრძელდებოდა 877 წლამდე. აკად. კ. კეკელიძე და პროფ. ლ. მელიქიეთ-ბეგი არსენის კათოლიკოსობას 860—887 წლებით ათარიღებენ, პ. ინგოროყვა—845/50—872/77 წლებით.

³ А № 332, 1v-2r; Опис. рукописей (А), III, გვ. 25—28; არქეტიპები, გვ. 42—46; ძველი ქართული ლიტერატურის ჰრესტომათია, I, გვ. 167—169; ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები, გვ. 188—195; ჩვენი საუნჯე, ტ. 1, გვ. 226—230.

არსენი დიდისა ქართლისა კათალიკოსისაჲ⁴). საფიქრებელია, ეს სათაურო ძველი ტექსტიდან იყოს გადმოტანილი¹.

არსენ დიდსავე მიაწერენ ერთ პოლემიკურ ტრაქტატს, რომლის სრული სათაური ასეთია: „თქმული წმიდისა მამისა ჩუენისა არსენისაჲ, მოძღუროსა² მცხეთელ კათალიკოზისა, რომელ იყო სანახებთაგან სამცხისათა საფარით, განყოფისათვის ქართლისა და სომხითისა“³.

სპეციალისტები დიდხანს ყოყმანობდნენ, არ იცოდნენ დაბეჯითებით ვისთვის უნდა მიეკუთვნებინათ აღნიშნული ტრაქტატი. დ. ბაქრაძეს ვერ გადაეწყვიტა ძველი მიეკუთვნებინა მე-10 საუკუნის კათალიკოსისათვის, არსენ იყალთოელისა⁴ თუ კიდევ სხვა პირისათვის⁵. თ. ჟორდანიძე, პროფ. ზ. ჯანაშვილი და აკად. ნ. მარი ტრაქტატს მიაკუთვნებდნენ მე-10 საუკუნის არსენ კათალიკოსს⁶, პროფ. ს. კაკაბაძე—მე-7 საუკუნის მოღვაწეს⁷. აღრეულ ხანას მიაწერს ამ ტრაქტატს პ. ინგოროყვაძე⁸.

რადგან ეს არსენი სამცხიდანაა (—საფარადან) და ზემოხსენებული არსენ დიდიც სამცხიდანაა, აკად. ი. ჯავახიშვილს შესაძლებლად მიაჩნდა, რომ არსენ საფარელი გრიგოლ ხანძთელის მოწაფე ყოფილიყო⁹.

¹ განსხვავებული აზრი აქვთ აკად. ი. ჯავახიშვილსა (ქართული ერის ისტორია, I, გვ. 361, 366) და პროფ. ილ. აბულაძეს (ასურულ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები, გვ. XXVI—XXXI). ამ საკითხზე იხ. კ. კეკელიძე, ეტიუდები, I, გვ. 47—50. აბიბოს ნეკრესელის მარტილობის ავტორად არსენს ასახელებენ ანტონ კათალიკოსი (Q № 78, გვ. 175) და იოანე ბაგრატიონი (H № 2170, 283r). მაგრამ არ აღნიშნავენ თუ რომელი საუკუნის მოღვაწეა ის.

² ამის შესახებ იხ. ლ. მელიქსეთ-ბეგის, ქართული ვერსია საპაპართელის წინასწარმეტყველებისა, თმბ. II. 1922—1923, გვ. 205; მისივე, „ჩრდილო მხარეთა სომეხთა მოძღვარნი“ და მათი ვინაობა, გვ. 12, შენ. 1 (შდრ. „საისტორიო მოამბე“, 1924, II, გვ. 261—262).

³ ეს თხზულება აღრე მ. საბინინმა და პროფ. ა. ხახანაშვილმა ნახეს გარეჯას, ნათლისმცემლის მონასტერში (МАК, VII, 1898, გვ. 41); 1887 წელს დ. ბაქრაძემ იპოვა კრებული „ფუტკარი“, რომელშიც აღნიშნული ძველიც იყო შემონახული (Арх. путешествие по Църкви и Аггаре, გვ. 156—158). 1890 წელს გურიაში მივლენილმა თ. ჟორდანიამ ინახულა შემოკმედის მონასტერი, წამოიღო „ფუტკარი“ და არსენისეული ტექსტი დამატების სახით დაურთო „ქრონიკების“ პირველ ტომს (გვ. 313—332). არსენის ტრაქტატი შემონახულია რამდენიმე ხელნაწერში (A №№ 691, 735; S № 3270; H № 24 და სხვ.). ის უკანასკნელად გამოაქვეყნა პროფ. თ. გარიტა (La Narratio de rebus Armeniae, CSCO, Vol. 132, Subs. 4, Louvain, 1952).

⁴ ამ ტრაქტატს ბევრი მკვლევარი მიაწერდა არსენ იყალთოელს. მაგალითად, აკად. მ. ბროსე (Addit., გვ. 126), პ. იოსელიანი (წყობილისიტყვაობა, შენ. 139), მ. საბინინი (H № 24, 53v—54r, შენ.), ხ. კიკინაძე (ქართული მწერლობა მეთორმეტე საუკუნეში, გვ. 31), პროფ. ა. ხახანაშვილი (Очерки, II, М., 1897, გვ. 316; მისივე, Кახетин, ПИВ, IX, СПб., 1908, გვ. 272), ა. ბუმშტარკი (Die christlichen Literaturen des Orients. II. Das christlich Schrifttum der Armenier und Georgier, Leipzig, 1911, გვ. 106), ი. კარსტი (Littérature géorgienne chrétienne, 1934, გვ. 101) და სხვ.

⁵ Д. Бакрадзе, Арх. путешествие по Гурии и Адчаре, გვ. 157, შენ. 1.

⁶ ქრონიკები, I, გვ. 79, 309, 311; Опис. рукописей (A), II, გვ. 169, 195; მ. ჯანაშვილი, ქართული მწერლობა, I, გვ. 91, შენ.; მისივე, ქართველთა მატარებელი, გვ. 21; Н. Марр, Крещенные армяны, грузины, абхазы и ахалы св. Григорием, ВВОРАО, ტ. XVI, ნაკვ. II—III, 1905, გვ. 154. იხ. აგრეთვე Н. Goussen, Die georgische Bibelübersetzung, OC, 1906, 6, გვ. 315.

⁷ ს. კაკაბაძე, საისტორიო ძიებანი, თბ., 1924, გვ. 38—55. აღრე, შემთხვევით გამოთქმული აზრით, მკვლევარი ტრაქტატს მე-9 საუკუნის არსენს მიაწერდა (ს. კაკაბაძე, წმ. ნინო და მისი მნიშვნელობა საქართველოს ისტორიაში, გვ. 6).

⁸ პ. ინგოროყვაძე, ქართული მწერლობის ისტორიის მოკლე მიმოხილვა, „მნათობი“, 1939, № 10—11, გვ. 263—268; მისივე, გიორგი მერჩულე, გვ. 347—348.

⁹ ი. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 85.

ამ საკითხს არა ერთგზის შეხებია პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგი. ადრე არსენი მასაც მე-10 საუკუნის მოღვაწედ მიაჩნდა¹, ხოლო 1920 წლის 23 იანვარს მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოების კავკასიის განყოფილების სხდომაზე წაიკითხა მოხსენება, რომელშიც ტრაქტატის ავტორად მე-9 საუკუნის არსენ კათოლიკოსი მიიჩნია². ამ აზრს ადგას ნეკლეარი შემდგომ წლებშიც³. ვრცლად შეეხო ის ამ საკითხს სომხურ ენაზე გამოცემულ შრომაში, სადაც გამოკვლევასთან ერთად მოგვცა თარგმანი არსენის ტრაქტატისა⁴.

აკად. კ. ქეკელიძე როგორც აბიბოს ნეკრესელის ზარტყვილობას, ისე ტრაქტატს მიაკუთვნებს მე-9 საუკუნის მოღვაწე არსენ საფარცლს--ქართლის კათოლიკოსს.

შეიძლება თუ არა მარტვილობისა და ტრაქტატის ავტორად მივიჩნიოთ ერთი პირი, მე 9 საუკუნის მოღვაწე არსენ საფარელი? ორივეს სახელად ეწოდებოდა არსენი, ორივე სამცხიდან იყო, ორივე განაგებდა ქართლის ეკლესიას. როგორც აკად. ი. ჯავახიშვილი შენიშნავს, „სამწუხაროდ, გიორგი მერჩულს დიდი არსენის სამშობლო სოფლის სახელი მოხსენებული არა აქვს“⁵, მაგრამ ეს გადაულახავი დაბრკოლება არ უნდა იყოს. საფიქრებელია, მერჩულის არსენი ახალციხის ზიდაშობიდან იყო⁶. თავისი მშობლიური ქუთხიდან ის ხანძთას გადავიდა. არაა გამორიცხული, რომ ხანძთიდან არსენი საფარას გადავიდა სამოღვაწეოდ. მართალია, ამის შესახებ მერჩულე არაფერს ანბობს, მაგრამ განა ის არსენის შესახებ ყველა ცნობას გვაწვდის? საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ, მკვლევართა დაკვირვებით, ზენოდასახელებული ორი ნაწარმოები „ენით, სტილითა და ტერმინოლოგიით“ ძალზე ჰგავს ერთიანობას. ყოველივე აღნიშნული საფიქრებელს ხდის, რომ აქ ნაწვდილად ერთ ავტორთან გვაქვს საქმე.

¹ Л. Меликсет-Бек, К вопросу о настоящем имени просветительницы Грузии. Т., 1914, гл. 24; მისივე, Грузинский извод сказания о поете „Араджанор“, XV, 1916, ტ. V, ნაკვ. II, გვ. 77.

² ИКОМАО, VI, 1921, гл. 55.

³ ლ. მელიქსეთ-ბეგი, ქართული ვერსია სპაქ ქართლის წინასწარმეტყველები, თუმ, II, 1922—1923, გვ. 205; მისივე, О грузинской переписи апокрифического жития Саака Парфянина о сущности Армении. ИКН-АН, II, 1927, гл. 65. მისივე, Описок источников по истории Азербайджана, II, Баку, 1939, гл. 4; მისივე, ძველი სომხურა ლიტერატურის ისტორია, გვ. 18, 85; მისივე, საქართველოს ისტორიის წვლილობითი წყაროების პუბლიკაციები, I, გვ. 35—36; მისივე, К вопросу о датировке псевдо-Исааковых памфлетов в греко-византийской литературе, ВВ, VIII, 1956, гл. 219—220.

⁴ ლ. მელიქსეთ-ბეგი, ქართული წყაროები სომხეთისა და სომხების შესახებ. ექსპოზიტი ქართული დედნებიდან სომხურად ნათარგმნი, შესავალით, შენიშვნებითა და დასკვნებით, I, ერევანი, 1934, გვ. 27—70 (სომხურ ენაზე).

⁵ ი. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 85.

⁶ ვალეს წარწერებში იხსენიება „ქრავაჲ“, რომელიც, მკვლევართა აზრით, არსენის დედა უნდა იყოს (Е. Такалшвили, Археологические раскопки, разведки и заметки, III, Т., 1907, гл. 9; ლ. მუსხელიშვილი, არქეოლოგიური ექსპურსიები მამეურის ხეობაში, თბ., 1941, გვ. 57. შდრ. კ. ინგოროსკეა, ქართული მწერლობის ავტორიის მოკლე მიმოხილვა, „მნათობი“, 1939, № 10—11, გვ. 264—265, შენ. 2. ცხ. აგროვუე ვ. ზეროძე, ვალეს ტაძარი და მისი აღმშენებლობის ორი ძირითადი პერიოდი, „ქართული ხელოვნება“, III, 1950, გვ. 27; მისივე, სამცხის ხელოვნობის ძეგლები, თბ., 1957, გვ. 36).

ამრიგად, მე-9 საუკუნის თელსაჩინო მოღვაწეს, ქართლის კათოლიკოსს არსენ დიდს დაუწერია ისტორიულ-აგიოგრაფიული თხზულება და პოლემიკური ტრაქტატი. ამ შრომებიდან ნათლად ჩანს, რომ მათი ავტორი დიდად განათლებული და საკმაოდ მომზადებული მწერალი ყოფილა¹.

ნაყოფიერი მწერალია კათოლიკოსი არსენ მეორე (X ს.), რომლის კალამს მიაკუთვნებენ ორ აგიოგრაფიულ თხზულებას: „ცხოვრება და მოქალაქობაა წმიდისა მამისა ჩუენისა იოვანე ზედაძნელისა და მოწაფეთა მისთაჲ, რომელთა განანათლეს ქუეყანაჲ ესე ჩრდილოეთისაჲ. ხოლო აღწერა არსენი ქართლისა კათალიკოზმან სარგებელად რომელნი ისმენდენ“² და „ცხოვრება და მოქალაქობაა ღირსისა მამისა ჩუენისა შიოხსი და ევაგრესი“³.

არსენი კარგად გვაცნობს ასურელ მოღვაწეთა ქართლში დაბრუნებასა და დასახლებას, სამონასტრო მშენებლობას, კულტურულ-საგანმანათლებლო და საკულტო კერების აღმოცენებას⁴. საცილობელი არ უნდა იყოს, რომ არსენ მეორე, რომლის კათოლიკოსობას 955 — 980 წლებში დებენ, მცხეთელი მოღვაწეა.

ასევე მცხეთელი მწიგნობარი უნდა იყოს მე-13 საუკუნის ის ქართველი მწერალი, რომელსაც ეკუთვნის „ცხოვრება და მოქალაქობაა ღირსისა და მოციქულთა სწორისა ნეტარისა ნინოხსი“⁵. ქართველთა განმანათლებლის

¹ კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, გვ. 136—142; ი. ჯაკვახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 83—93. ჩვენამდე მოღწეულია ერთი საინტერესო თარგმნილი ძველი „მოთხრობა პატიმონითისაგან“ (A №№ 735, 1132; S №№ 249, 312; K № 101; ქრონიკები, I, დამატება, გვ. 336—341), რომელსაც პროფ. ლ. ნელიქეთ-ბეგი არსენს მიაკუთვნებს (იხ. მისი სომხური „ეპისტოლეთა წიგნის“ ახალი ვარიანტი; და პეტრე იბერიელის მოწაფე იოანე მაიუმელი, საქართველოს სახ. მუზეუმის მონაბე. XI-B, 1941, გვ. 50, შენ. 3; მისივე, ძველი სომხური ლიტერატურის ისტორია, გვ. 18, მხ. მისივე, Саям „История Армянской церкви Византийского в древнегрузинской литературе, საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, III, № 4, 1942, გვ. 360). ამ საკითხზე იხ. ილ. აბულაძე, ქართული და სომხური ლიტერატურული ურთიერთობა IX—X სს-ში, გვ. 0146—0148, 0168.

² A № 199, გვ. 18—28; არქეტიპები, გვ. 19—26; ძველი ქართული ლიტერატურის კრესტომათია, I, გვ. 159—163; ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები, გვ. 2—67.

³ A № 199, გვ. 28—41; H № 1336, 164v—171v; არქეტიპები, №. 26—36; ძველი ქართული ლიტერატურის კრესტომათია, I, გვ. 156—163; ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები, გვ. 69—141. ზემოდასახელებული ორივე ძველი შემონახულია აგრეთვე იერუსალიმის საპატრიარქო ბიბლიოთეკის ერთ ხელნაწერში (ნ. მარო, იერუსალიმის ქართულ ხელნაწერთა მოკლე აღწერილობა, გვ. 41—42). შიოს ცხოვრებას იოანე ზედაძნელის ცხოვრების ჩანუყოფელ ნაწილად მიიჩნევენ (აკად. კ. კეკელიძე, პროფ. ილ. აბულაძე).

⁴ კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, გვ. 157—163. ვიდრე გაირკვეოდა ასურელ მოღვაწეთა ცხოვრებათა რედაქციების სხვადასხვაობა, ამ არსენს ზოგი ბეკლევარი მიაკუთვნებდა მეტაფრასულ ძეგლებს (M. Brosset, Addit., გვ. 126; ქრონიკები, I, გვ. 79, 103; ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა ანუ მეორე ნაწილი ქართლის მოქალაქისა, ე. თაყაიშვილის გამოცემა, თბ., 1891, გვ. XXVI—XXVIII). პროფ. ილ. აბულაძე ამ არსენა მიაკუთვნებს იოანე ზედაძნელის ცხოვრების იმ რედაქციას, რომელიც „ქართლის ცხოვრების“ ანა დედოფლისეულმა ნუსხამ შემოგვიწვინა (იხ. ზედახედი).

⁵ A № 587; S №№ 1499, 2453, 4284; H № 357; საქართველოს სახ. ლიტერატურული ნუხეუმის ხელნ. № 12862; არქ. ხელნ. № 20; ძველი ქართული ლიტერატურის კრესტომათია, I, გვ. 215—231; ჩუენი საუნჯე, ტ. 1, გვ. 413—434 (2 ხელნაწერი ინახება ლენინგრადში).

ცხოვრების სვინაქსარული ხასიათის მოკლე რედაქციის უცნობი ავტორი საქ-
მაოდ განათლებული პიროვნება ჩანს¹.

გვიანუყოფილ ხანაში მცხეთელ მწიგნობრებად გვევლინებიან მალა-
ლაძენი, რომელთაც მე-15 საუკუნიდან სვეტიცხოვლის ქადაგობა და ამ თანამ-
დებობისათვის განკუთვნილი მანულები ეპყრათ.

სათანადო სამეცნიერო ლიტერატურაში გარკვეულია, რომ აზნაურ მა-
ლალაძეთა დაწინაურება მე-15 საუკუნიდან იწყება². როგორც ჩანს, მალა-
ლაძეებს ქადაგობა და სათანადო მამულები მას შემდეგ მიუღიათ, რაც „სოფ-
ლის ვიზარებისაგან პატიოსანი ივანიძის ძეთა საქადაგო სახლი და საჯვლო
უმკვიდრო ქმნილიყო“³. 1449 წელს უკვე ცნობილია საბუთების დამწერი
„მცხეთის ქადაგი“ დიმიტრი მალალაძე⁴.

მალალაძეთა გვარეულობა განსაკუთრებით გაძლიერდა მე-17 საუკუნეში,
როდესაც ამ ფეოდალური სახლის მეთაური გახდა ნიკოლოზ ქადაგის ვაჟი—
პაპუა მალალაძე (1623—1681), რომელიც უკვე 1644 წლიდან ჩანს „სვეტი-
ცხოვლისა და სამცხეთოს სახლთუხუცესად“⁵. მას, როგორც მისი ანდერძიდა-
ნაც⁶ ჩანს, ჩაუტარებია მრავალმხრივი საქმიანობა⁷.

პაპუას მრავალრიცხოვანი ოჯახიდან განსაკუთრებით ცნობილია გიორ-
გი მეთერთმეტის ერთგული ქომაგი⁸, სვეტიცხოვლის ქადაგი ნიკოლოზ პა-
პუას ძე მალალაძე. ის მრავალმხრივი მოღვაწე ყოფილა⁹; ცნობილია მისი
აღმშენებლობითი საქმიანობაც¹⁰.

ნ. მალალაძე ამზადებდა ნუსხებს¹¹, იძენდა და სვეტიცხოველს სწირავდა
ძველ ხელნაწერებს¹², გამოდიოდა ხელნაწერთა დამზადების ინიციატორის
როლშიც¹³, წერდა საბუთებს¹⁴ და ა. შ. მისი კულტურულ-ლიტერატურული

¹ ქ. ცხადაძე, უცნობი ავტორის „ნინოს ცხოვრება“, საიუბილეო კრებული, მიძღვ-
ნილი აკად. ქ. ქეკელიძის დაბადების 80 წლისთავისადმი, გვ. 389—401.

² ვ. ბერიძე, წინარეხელ მალალაძეთა მშენებლობა XVI—XVIII სს., საქართველოს
სახ. მუზეუმის მოამბე, XIV-B, 1947, გვ. 195—217.

³ ქრონიკები, II, გვ. 191—193, 210.

⁴ ისტ. საბუთები, III, გვ. 32.

⁵ დოკუმენტები, I, გვ. 29. მცხეთის კათედრალის სახლთუხუცესის ფუნქციებზე იხ.
დ. მეგრელაძე, სახლთუხუცესი რიგი და შესაუალი, აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქარ-
თველოს სახ. მუზეუმის მოამბე, XVII-B, 1953, გვ. 209—214.

⁶ ვ. ბოკორიძე, ანდერძი პაპუა მალალაძისა 1681 წლისა, საქართველოს სახ. მუ-
ზეუმის მოამბე, IX-B, 1936, გვ. 51—58.

⁷ ვ. ბერიძე, დასახ. შრომა, გვ. 196—197, 203—211.

⁸ ქართლის ცხოვრება, II (1824 წ.), გვ. 61.

⁹ ხშირად გვხვდება საბუთებში (ქრონიკები, II, გვ. 516; საქ. სიძველენი, I, გვ. 258;
დოკუმენტები, I, გვ. 57, 73, 74, 86, 99—100, 102, 103 და სხვ.), იხსენიება 1674—1704
წლებში ქადაგად, ბუდედ-მონაზონ-ქადაგად. არქიმანდრიტად და ქადაგ-არქიმანდრიტად.

¹⁰ ვ. ბერიძე, დასახ. შრომა, გვ. 199—200; მისივე, წინარეხი-გომისჯვარი-მასხო-
რი, საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, IV, № 6, 1943, გვ. 609—610; მისივე, მალალაძე ეკლე-
სია, „ქართული ხელოვნება“, V, 1959, გვ. 205—219. იხ. აგრეთვე ს. მაკადათია, კავთუ-
რას ხეობა, თბ., 1962, გვ. 6—8, 21—26.

¹¹ A № 904; Опис. рукописей (A), III, გვ. 157—159.

¹² A № 37, 763; Опис. рукописей (A), I, გვ. 28—29; II, გვ. 215; К. К е х е л ი ძ ე,
„Литургические грузинские памятники“, გვ. 176.

¹³ A № 54; ქრონიკები, II, გვ. 496.

¹⁴ ქრონიკები, II, გვ. 490. შედგომა ნ. მალალაძის კათოლიკოსად მიჩნევა (ბ. კარ-
ბელაშვილი, იერარქია საქართველოს ეკლესიისა, გვ. 126—127; შტრ. ბ. ლომინაძე,

მეგვიდროებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია აგიოგრაფიული თხზულება: „ცხოვრება და შესხმა ახლად მოწამედ გამოჩენილისა შიოსი და ხუთთა მონაზონთა, რომელნი დაკოცნეს დავით გარეჯას ლექთა უღმრთოთა“, რომელიც სპეციალურად მოგვითხრობს ლექთა მიერ დავითის ლავრის დარბევის ისტორიას¹.

ასევე ცნობილი მოღვაწეა ნიკოლოზის ძმის, რევაზის, ვაჟი, კათოლიკოსის „მდივან-მწიგნობარ-მგალობელი“ სოლომონ ნალალაძე, რომელიც ხშირად იხსენიება 1690–1737 წწ. საბუთებში².

ს. ნალალაძე აწვადებდა ხელნაწერებს³. მასვე შეუდგენია საძიებელი სამართლის კრებულისა⁴. ქ. შარაშიძის დაკვირვებით, ს. ნალალაძეს გარკვეული წვლილი მიუძღვის ვანატანგის სტამბის საქმიანობაში. კერძოდ, ნგონი მას დაუზღადავია სტამბისათვის მხედრული წრიფტის ხელნაწერი ნიმუში⁵. უწერია მას საბუთებიც⁶.

აქვე უნდა მოვიხსენიოთ სვეტიცხოვლის კიდევ ერთი „მდივან-მწიგნობარ-ქადაგი“ ნიკოლოზ ნალალაძე, რომელიც საბუთებში ჩანს 1741–1769 და მომდევნო წლებში. ისიც გაწაფული კალიგრაფი ყოფილა; აწვადებდა ნუსხებს როგორც საქართველოში, ისე მოსკოვ-პეტერბურგში⁷. წერდა ის საბუთებსაც⁸.

გარდა დასახელებული მოღვაწეებისა, მცხეთაში ხელნაწერთა დაცვა-გამრავლებაზე ენერგიულად ზრუნავდნენ სხვა პირნიც. აქ შეგვიძლია მოვიგონოთ მცხეთელი დიაკონი ნიკოლოზი, რომელსაც 1047–1048 წწ. შეუმოსაგს თარგმანება მათეს თავისა (K №№ 19, 20); იხიალი, რომელსაც გადაუწერია (1787–1789 წწ.) თენი (A №№ 221, 235; II № 303) და სხვ. აღსანიშნავია, რომ მცხეთელი მწიგნობრები სხვაგანაც ნაყოფიერად მოღვაწეობდნენ. მაგალითად, მიქაელ მწირს, მცხეთელს, გეთსამანიაში 1048 წელს გადაუწერია ოთხთავი (H № 1741).

მცხეთის კათედრალურ ტაძარს ძალზე მდიდარი ბიბლიოთეკა ჰქონდა. „საუნჯეთა წიგნის საცავთა მცხეთისა ეკლესიისათა“ ხშირად ახსენებენ ძველი მოღვაწენი⁹. განსაკუთრებით გამდიდრებულა იქაური ბიბლიოთეკა მელქისე-

მასალები საქართველო XVII–XVIII საუკუნეთა ისტორიის ქრონოლოგიისათვის, მასალები საქ. და კავკასიის ისტორიისათვის, ნაგვ. 29, 195i, გვ. 73).

¹ A № 1367; საქ. სამოთხე, გვ. 611–615. ტ. რ უ ხ ა ძ ე, ვინ იყო ავტორი მოთხრობისა „ცხოვრება-მარტვილობა შიოსი“, „ლიტერატურა და ხელოვნება“, 12. IX. 47, № 34 (179).

² საქ. სიძველენი, I, გვ. 83, 286; II, გვ. 190, 351. 382–383; III, გვ. 14; დოკუმენტები, I, გვ. 141, 147, 158, 179, 193, 205, 212, 228–229, 256, 264, 403.

³ S № 286; ხელნაწერთა აღწერილობა (S). I, გვ. 310; Q № 575; თ. ე ნ უ ქ ი ძ ე, მასალები ვახტანგ VI სამართლის წიგნის გავრცელების შესახებ, ხელნაწერთა ინსტიტუტის შრომებ, I, 1959, გვ. 207.

⁴ ვ ა ხ ტ ა ნ გ VI, სამართლის წიგნი, გვ. 3–15, 18–20.

⁵ ქ. შ ა რ ა შ ი ძ ე, პირველი სტამბა საქართველოში, გვ. 112–114.

⁶ იქვე, გვ. 112. ლ. ქ უ თ ა თ ე ლ ა ძ ე, ე. ლენინის სახელობის ლენინის ორდენოსანი სსრკ სახელმწიფო ბიბლიოთეკის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახ. მუზეუმის შრომებ, XVII-B, 1953, გვ. 189–190.

⁷ A № 1361; H №№ 310, 1053. იხ. აგრეთვე ხელნაწერთა აღწერილობა (S), I, გვ. 306.

⁸ საქ. სიძველენი, I, გვ. 339–341; II, გვ. 455; III, გვ. 7–8, 425, 432; დოკუმენტები, I, გვ. 341; II, გვ. 43; ბ. ი ო ს ე ლ ი ა ნ ი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, გვ. 6.

⁹ A № 201; S № 252-ბ; H № 1283; Q № 71. იხ. აგრეთვე A. Натроев, Мухст и: его собор Святи-Цховели, გვ. X, XII, XVI, XIX.

დეკ კათოლიკოსის (XI ს.) დროს¹. როგორც შესავალშიც აღვნიშნეთ. ერთი ცნობით, ანტონ პირველს მცხეთის ტაძარში 7000-დე წიგნი ჰქონდა².

სვეტიცხოვლის ბიბლიოთეკა მდიდრდებოდა არა მხოლოდ ადგილზე გადაწერილი წიგნებით, არამედ უხვი შეწირულებითაც. ცნობილია, რომ კათედრალისათვის ძვირფასი ხელნაწერები შეუწირავთ კათოლიკოსებს: ეპიუანეს (XIII ს.)³, მალაქიას (XVI ს.)⁴, ნიკოლოზ ამილახორსა (XVII ს.)⁵ და სხვ. შესავალში ჩვენ მოვიხსენიეთ ერთი ეამნი, რომელიც სივადასხვა დროს დაუხსნიათ და სვეტიცხოვლისათვის შეუწირავთ მარიამ დედოფალს (1645 წ.), კათოლიკოს ი. დიასამიძეს (1689 წ.), კათოლიკოს დომენტი ნესამესა (1725 წ.) და დავით კანდელაკს (1735 წ.)⁶. ცნობილია შეწირულების ნოვალი სხვა ფაქტიც. მაგალითად, რჯულისკანონი (A № 76) შეუწირავთ ი. ვაჩნაძეს (XVI ს.), ხოლო შემდეგ (1735 წ.)—დავით კანდელაკს⁷; „ათარბთაგან დახსნილი“ განთვისული სახარება შეუწირავთ მამია IV გურიელსა (1726—1784) და მის მეუღლეს როდამს (N № 5228) და ა. შ.

როგორც ცნობილია, სვეტიცხოველი არა ერთგზის დაურბევია მტერს. ასეთ დროს კათედრალის წიგნსაცავსაც ეუდი დღე ადგებოდა. ნართალია, მცხეთელი მოღვაწენი ბევრ წიგნს მალაენდენ⁸ ან ხიზნაენდენ⁹. მაგრამ მათ არ შეეძლოთ ყველაფრის დაცვა. მომხდურმა მტრებმა რამდენჯერმე „გასტეხეს სვეტიცხოველი, იაგარ ჰყვეს და წარმოსტყვევნეს საყდარი და ტყვე ჰყვეს საყდრისა ამის რაოდენი წიგნები ჰპოვეს“¹⁰. მიუხედავად აღნიშნულისა, მცხეთიდან მოაღწია მრავალმა ხელნაწერმა¹¹, რომელთაგან აღსანიშნავია ზიბლია (A № 51), დავითნი (A № 38) და სხვ.

¹ ქრონიკები, I, გვ. 183—184; II, გვ. 32—33; ნ. ბერძენიშვილი ი. მცხეთის საბუთი XI საუკუნისა, საქართველოს მუზეუმის მოამბე, VI, 1931, გვ. 289—290; კ. კეკელიძე, მცხეთის დოკუმენტი XI საუკუნისა და მისი ცნობები ქართული მწერლობის შესახებ. ეტიუდები. I, გვ. 238—249 (იხ. აგრეთვე „მიმომხილველი“, I, 1949, გვ. 473—474; А. Натроев, Мухет и его собор Святи-Цховели, გვ. 211, 216—217).

² თ. უორდანიანი, მთავარეპისკოპოსი იოსებ სამეველი და ქართულის სტამბის საქმე XVIII საუკუნეში, „ივერია“, 1884, III, გვ. 89; А. Царепкин, Сведениа. ტ. I. ნაკვ. I, გვ. V.

³ ე. თაყაიშვილი. არქ. ექსკავიციის ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წელს, გვ. 347; ძი ს ი ე, Antiquities of Georgia, Georgica, I, № 4—5, 1937, გვ. 99.

⁴ A № 85; Опис. рукописей (A), I, გვ. 82; ქრონიკები, II, გვ. 377—378.

⁵ H № 98 (ხელნაწერთა აღწერილობა (H), I, გვ. 72—73; მ. ხელაშვილი, საისტორიო მასალა, „მწვემსი“, 1894, № 10, გვ. 13—15; ე. თაყაიშვილი, არქ. მოგზაურობანი და შენიშვნანი, I, გვ. 273—274); A №№ 30, 32 (Опис. рукописей (A), I, გვ. 23—25; ქრონიკები, II, გვ. 496; პ. კარბელაშვილი, გორის მახრის ს. კალის ლეთისმშობლის მიძინების „გულანხედ“ წარწერანი, „ივერია“, 1877, № 43). იხ. აგრეთვე ისტ. საბუთები, IV, გვ. 65.

⁶ A № 84, 165v—166r; პ. კარბელაშვილი, იერარქია საქართველოს ეკლესიისა, გვ. 125—126.

⁷ მ. ჯანაშვილი, საისტორიო და საბიბლიოგრაფიო წერილები, წერილი მბ, „ივერია“, 1898, №№ 27, 28; В. Бенешович, Грузинский великий монохалон по спискуам Тифлисского церк. музеа, XB, 1914, ტ. II, ნაკვ. III, გვ. 353—354.

⁸ А. Натроев. Мухет и его собор Святи-Цховели, გვ. XVI.

⁹ პ. კარბელაშვილი, იერარქია საქართველოს ეკლესიისა, გვ. 136; ნ. გულაბერიძე, საკითხავი სუშტისა ცხოველისა, გვ. 1.

¹⁰ A № 84, 166v; პ. კარბელაშვილი, იერარქია საქართველოს ეკლესიისა, გვ. 125

¹¹ A №№ 1, 30, 32, 37, 38, 51, 74, 76, 84, 85, 201, 205, 221, 235, 253, 254, 426, 490, 570, 648, 734, 763, 904; H №№ 98, 303; Q №№ 762, 968 და მრავალი სხვა.

აი, თითქმის ყველა ცნობა, რომელიც ჩვენ მოგვეპოვება მცხეთის კულტურულ-საგანმანათლებლო კერის შესახებ.

ბო ლ ნ ის ი

ბოლნისის ტაძარი მდებარეობს ქვემო ქართლში, ბოლნისის რაიონული ცენტრიდან 8—9 კმ-ზე, მდ. ფოლადაურის მარცხენა ნაპირზე. უგუმბათო, ბაზილიკური ტიპის ნაგებობა თავისი საუცხოო ჩუქურთმებით, საინტერესო ბარელიეფებითა და უძველესი წარწერებით გამოირჩევა ქართულ არქიტექტურულ ძეგლთა შორის და მიუთითებს ქართული ხუროთმოძღვრების დამოუკიდებლობაზე¹.

„მოკცევაჲ ქართლისაჲთ“, ბოლნისის სიონი აუშენებიათ ბაკურ მეფისა და ელია მთავარებისკობოსის დროს. ე. ი. მე-5 საუკუნის პირველ ნახევარში². ლეონტი მროველის ცნობით, ბოლნისის ტაძარი აუგია ფარსმან მეოთხეს³. ამრიგად, ძველი მემატიანენი აღნიშნულ ტაძარს მე-5 საუკუნით ათარიღებენ. მათი ჩვენება დაადასტურა უკანასკნელ ხანს აღმოჩენილმა საამშენებლო წარწერამ, რომელიც 493 წელს მიეკუთვნება. ამ წარწერით, ბოლნისის ტაძარი მე-5 საუკუნით თარიღდება, კერძოდ, მისი მეორე ნახევრით, უფრო ზუსტად—უკანასკნელი მეოთხედით. წარწერა ასე იკითხება: „[შეწევნითა წმიდისა სამებისაჲთა ოც წლისა პერო[ზ] მეფი[სა ზე] [ხიქმნა დაწყებაჲ] ამის ეკლესიაჲსაჲ და ათხუთმეტ წლის[ა შემდგომად განხეშორა. ვი]ნ აქა შინა თავყანის ხცეს, ღწ შეიწყალენ და ვინ [ამის ეკლესიაჲსა ღწ] ეპისკოპოსსა ხულოცოს, იგიცა ღწ შეიწყალენ. აწ[“⁴. მაშასადამე, ტაძრის შენება დაუწყიათ პეროზის (458—484) მეფობის მეოცე წელს, მშენებლობა გაგრძელებულა ხუთმეტ წელიწადს და დასრულებულა 493 წლისთვის⁵.

¹ ბოლნისზე იხ. ლ. მუსხელიშვილი, ბოლნისი, ენიშვის მონაბე, III, 1938, გვ. 311—352; Г. Чубинашвили, Боинский снн (Исследование по истории груз. архитектуры), ენიშვის მონაბე, IX, 1940 (იქვეა დასახელებული და განხილული ლიტერატურა); მისივე, Архитектура Кахетии, გვ. 37, 64—65, 67, 70 და შმდ.; შ. ამირანაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, I, გვ. 138—148; მისივე, История грузинского искусства, გვ. 99—106; Л. Мшиенеридзе, Строительное дело в древней Грузии, გვ. 72—79.

² Опис. рукописей (S), II, გვ. 721.

³ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 138. ამას ადასტურებს ვახუშტიც (აღწერა, გვ. 37).

⁴ წარწერა რამდენჯერმე გამოკვეყნებული. ვიყენებთ აკად. ა. შანიძისა და პროფ. ილ. აბულაძის პუბლიკაციას (ქართული წერის ნიმუშები, პალეოგრაფიული აღბოძი, გვ. 2—3, 291). წარწერიანი ქვა ამჟამად აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახ. მუზეუმშია დაცული (საქართველოს სახ. მუზეუმის ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების კატალოგი, გვ. 23—24, ტაბულა 1). აღნიშნულ წარწერას რამდენადმე განსხვავებული სახით კითხულობდა მ. თარანიშვილი (იხ. მისი Les récentes découvertes épigraphiques et littéraires en géorgien, Le Muséon, LXIII, № 3—4, 1950, გვ. 249—250. იხ. აგრეთვე J. Molitor, Monumenta Iberica Antiquiora, CSCO, 166, 1956, გვ. 1).

⁵ საამშენებლო წარწერას სხვაგვარად კითხულობს და ბოლნისის ტაძარს ადრეული ხანით (462—477 წწ.) ათარიღებს აკად. შ. ამირანაშვილი (ბოლნისის ტაძრის აგების თარიღის დახუტებისათვის, ს. კიროვის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუ-

ვახტანგ გორგასალმა ბოლნისში საეპისკოპოსო კათედრალი დააარსა¹. იქაური მღვდელმთავარი დავითი, რომელიც სიონის წარწერაშიც იასენიება, მალე დაწინაურდა და 506 წლის საეკლესიო კრებასაც კი დაესწრო².

XI—XII სს. ბოლნისი მსხვილ დასახლებულ პუნქტს წარმოადგენდა³. შემდგომ ხანაში ის არა ერთგზის დაურბევიათ შტრებს (მონღოლებს, სპარსელებს...). „შემდგომად შემუსვრილი (სიონი—ლ. მ.) აღაშენა დედოფალმან მარიამ“⁴ მე-17 საუკუნეში. მრავალი შეწირულებით კათედრალი, რაბუნად-მე, მოლონიერდა და მომძლავრა⁵.

1678—1688 წლებში ბაგრატ მუხრანბატონის ძემ ნიკოლოზ ბოლნელმა ააგო სამრეკლო, ქარვასლა, დუქნები, მოახატვინა კანკელი და ა. შ.⁶.

მე-18 ს-ში ბოლნისი ძალზე შეაწუხა ლეკიანობამ. მემატიანეთა ჩვენებით, ბოლნისი ლეკებმა დაარბიეს 1717, 1730 (ვახუშტი, სეხნია ჩხვიძე), 1742, 1744, 1745, 1747 წლებში (პაპუნა ორბელიანი)⁷. ბოლნისში განართულ ერთ-ერთ ბრძოლას სპეციალურად აგვიწერს პაპუნა ორბელიანი: „მოვიდა ცხენოსანი ლეკის ჯარი, დაყარეს ცხენები ტყეთა შინა, დააკეთის კიბეები, მივიდნენ ბოლნისისა ციხესა ზედა, მიდგეს კიბენი და გარდვიდნენ ციხეში. მაშინ ბოლნისის ციხეში დადგენილ იყო იოთამისშვილი დავით. შეუტყვეს, მაშინვე აცვიდნენ კოშკებში, გაამაგრეს ბურჯები და საყდრის თავში აიყვანეს დედაკაცნი ანუ ყმაწვილნი, რომელნი იყვნეს ციხესა შინა. დაუზინეს თოფი, დახოცეს ლეკნი, რომ გალავანი სულ ლეკის სისხლით შეღებნეს.

ტის შრომები, № 4, 1953, გვ. 3—5), მაგრამ ის უშუალოდ არსებითი ხასიათის შეცდომა და არასწორად შიფრავს ძველ ტექსტებს. ამ საკითხზე იხ. კ. კეკელიძე, ბოლნისის ტაძრის წარწერების ინტერპრეტაციისათვის, ეტიუდები, VI, გვ. 418—420. შდრ. ლ. მუსხელიძე, სამშვილდის სიონის წარწერები და აშენების თარიღი, ვნიმკია მოაძე, XIII, 1943, გვ. 97, შენ. 2.

¹ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 198.

² ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, გვ. 300, შენ. 3. იხ. მისივე, ქართული პალეოგრაფია, გვ. 141, 163—166, 280—282; ა. შანიძე, თხზულებანი, I, თბ., 1957, გვ. 278—280. აკად. ვ. თაყაიშვილის აზრით, დავით ეპისკოპოსი დაქრძალული უნდა იყოს ბაზილიკაზე აღმოსავლეთის მხრივ მიშენებულ ეკლესიაში (ე. თაყაიშვილი, როდის შეიკვალა იბერთა სახელმწიფო ქართველთა სახელმწიფოდ? „მნათობი“, 1948, № 8, გვ. 96—97, შენ. 2).

³ III. М е с х и а, Г о р о д а и г о р о д с к о й с т р о и т ф е о д а т с к о й Г р у з ი ი, გვ. 46, 112.

⁴ ვახუშტი, აღწერა, გვ. 37.

⁵ Г р у з . н е р ц . г у д ж а и р и, გვ. 35; ისტ. საბუთები, IV, გვ. 6—8.

⁶ ყოველივე ამას გვაუწყებს სამრეკლოს წარწერა (ენიმიკსინოაძე, III, 1938, გვ. 349—351; IX, 1940, გვ. 76—77). ნიკოლოზ ბოლნელს 1672 წელს მოუხატვინებია (მგონი აუჯია კიდევ) კახრეთის სამების ეკლესია (ე. თაყაიშვილი, სომხით-საორბელოს ძველების წარწერები, II, თსუ შრომები, ტ. 43, 1951, გვ. 156—157). ნიკოლოზ ბოლნელი იხსენიება საბუთებში (ქრონიკები, II, გვ. 497; დოკუმენტები, I, გვ. 76).

⁷ ბოლნისი რამდენიმე იყო. ძველი მემარტიაენი (ვახუშტი, სეხნია ჩხვიძე, პაპუნა ორბელიანი) ხშირად იხსენიებენ ბოლნისებს. საბუთებში გვხვდება როგორც ქვემო (საქ. სიძველენი, I, გვ. 75, 252, 298, 302—303; II, გვ. 185, 244, 382; დოკუმენტები, I, გვ. 74, 88, 107, 122, 12, 203, 296, 343), ისე შუა (საქ. სიძველენი, II, გვ. 175, 184, 185, 244, 256, 258, 382; დოკუმენტები, I, გვ. 87, 296, 330; II, გვ. 11, 53) და ხემა ბოლნისი (საქ. სიძველენი, I, გვ. 75, 304; II, გვ. 110, 138, 253, 382; დოკუმენტები, I, გვ. 93, 107; II, გვ. 52; მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, II (ვალი, იჯარა, ვაჭრობა), მასალები მე-არჩია და გამოსცა ნ. ბერძენიშვილმა, თბ., 1953, გვ. 10; III, გვ. 167).

ხოცდენ ლეკთა გალავანზე და არა შეიწინეს და კიდევ გარდადიოდენ ლეკნი ციხესა შინა. აიესო ლეკითა ციხე. იყო ერთი დღე და ღამე ერთმანერთში სროლა, ლეკნი სახლებში იყვნენ და ციხის კაენი კოშკსა და ბურჯებში...“ „მაჰაყურად იყვნენ ბოლნელები“, „ლომგულად ომი გარდაიხადეს“ და უკუაქციეს მომხდურთა ბრბო¹.

პტრის მრავალგზისმა შემოსევამ, ნიადაგ ბრძოლამ და ვაებამ დაასუსტა კათედრალი. მას მამულებიც შემოეცალა. ვახტანგ ნეექვისის შემდგომ ხანაში ბოლნისის მამულების ნაწილი „ან გასყიდულა, ან გაცემულა ჟამთა ვითარებისაგან“ ოსმალთა და ყიზილბაშთა ბატონობის დროს². აღნიშნულმა გარემოებამ ვარკვეული კვალი დააჩინა ბოლნისის ეპარქიას, მისი მნიშვნელობა საგარეოხობლად შემცირდა, რის შედეგად ბოლნელის პატივი თბილელს მიაპყრეს. 1701—1728 წლების საბუთებში ბოლნელად დომენტი ორბელიანი-თბილელი ჩანს³. ირკვევა, რომ ბოლნელობა თბილელს შეუთავსებია.

1747 წელს ბოლნისი ჯერ კიდევ დამოუკიდებელ ეპარქიას წარმოადგენდა⁴. 1749 წელს ბოლნელად ცნობილი ქართველი მწერალი და მოგზაური ტიმოთე გაბაშვილი ჩანს⁵.

1762—1788 წლებში საეპისკოპოსო კათედრალი გაუქმდა⁶, რადგან ეპარქია აოხრებული და დაცლილი იყო⁷.

ბოლნისი კარგა ხანს იყო უპატრონოდ მიტოვებული და მოუყვლედი. 1936 წლიდან იქ მუშაობა დაიწყო სსრკ მეცნ. აკადემიის საქართველოს ფილიალის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (საერთო ხელმძღვანელი აკად. ი. ჯავახიშვილი, კონსულტანტი აკად. გ. ჩუბინაშვილი). გაწმენდისა და შესწავლის შემდეგ ბოლნისის ტაძარი წარმოგვიდგა მთელი თავისი სიდიადით, რითაც დღესაც აჯადოებს მნახველს.

ბოლნისის ტაძარში მწიგნობრული საქმიანობაც იყო გაშლილი. იქ მოღვაწეობდა გამოჩენილი მწერალი და ცნობილი მქადაგებელი იოანე ბოლნელი. ის „იყო გამოცდილი სათილოსოფოსთა სწავლათა შინა, და აღძრევილი ღვთისმეტყველი. და წერილთა მალალთა ენათა ზედა დამთხზველი“⁸. ანტონ კათოლიკოსი მას ბრძენს, ფილოსოფოსს, უწოდებს⁹.

¹ ქართლის ცხოვრება, II (1854 წ.). გვ. 466. იხ. აგრეთვე Q № 85, 171v; ე. თაყაიშვილი. არქ. მოგზაურობანი და შენიშვნანი, II, გვ. 113.

² გუჯრები, გვ. 36. ბოლნისი თურქ-ოსმალებსაც დაუბრუნებიათ 1734 წელს (ომან ხერხედიძე).

³ П. Поселгани. Описание древностей г. Тифлиса, გვ. 181, 214, 219; საქ. სიძველენი, II, გვ. 243—244.

⁴ ქართლის ცხოვრება, II (1854 წ.). გვ. 417. ვახუშტის დროს იქ იჯდა მწყემსი „ქართლის სომხითისა“ (აღწერა, გვ. 37).

⁵ საქ. სიძველენი, I, გვ. 307; დოკუმენტები, I, გვ. 345. ამ წელს ანტონ პირველმა ბოლნისის ეპარქიის ღალა და კულუხი ტიმოთეს უბოძა (გუჯრები, გვ. 36; Грзу. перк. гуджарии. გვ. 35; ტ. გაბაშვილი, მიმოსლუა. გვ. 0108).

⁶ ე. თაყაიშვილი, არქ. მოგზაურობანი და შენიშვნანი, I, გვ. 87.

⁷ Грамоты и другие исторические документы XVIII столетия, относящиеся к Грузии. Под редакцией А. Цагарели, ტ. II, ნაკვ. II, СПб., 1902, გვ. 17—18.

⁸ კალმასობა, II, გვ. 167.

⁹ წყობილისიტყვაობა, გვ. 222.

იოანე ბოლნელის სახელით ჩვენანდღე მოღწეულია რანდენინე ქადაგება (A. №№ 70, 95, 144; არქ. ხელნ. № 239; Sin. № 44—ნ. მართი; Atl. № 80—ა. ცაგარლით; № 11—რ. ბლეიკით)¹. მისი ქადაგებანი ეგზეგეტიკური ხასიათის საკითხავენს წარმოადგენენ. მათში ძირითადად სახარების ცალკეული ეპიზოდების შინაარსი და აზრია ვადმოცემული. გვხვდება ყოფა-ცხოვრებითი ხასიათის ქადაგებანიც². იოანეს მიზანს წარმოადგენდა ქრისტიანული სარწმუნოებისა და მორალის განმტკიცება. მის ქადაგებებს, როგორც საორატორო ხელოვნებისა და მხატვრული მკვერმეტყველების ძეგლებს, დღესაც დიდი კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობა აქვთ³.

იოანე ბოლნელს ზოგი მკვლევარი მე-9 საუკუნის მოღვაწედ მიიჩნევს⁴. ზოგი კი მე-10 საუკუნის გასულისა და მე-11 საუკუნის დამდეგის მოღვაწედ (პროფ. მ. ჯანაშვილი, აკად. კ. კეკელიძე, აკად. გ. ჩუბინაშვილი). აკად. კ. კეკელიძეს შესაძლებლად მიაჩნია იოანე ბოლნელის გაიგივება ექვთიმე ათონელის ახლობელ მოღვაწესთან—იოანე ხახულელთან, რომელიც 1019 წელს მისულა ათონზე. ამ ვარაუდს, თითქოს, მხარს უჭერს ის გარემოება, რომ იოანე ხახულელს მკვერმეტყველების გამო ოქროპირის უწოდებდნენ. მკვლევარის დასკვნით, ოქროპირის წოდება სწორედ მქადაგებელ იოანე ბოლნელს შეჰფეროდა. აკად. კ. კეკელიძის განცხადებით, იოანემ ჯერ ბოლნელობა მიიღო, შემდეგ ხახულის ეპარქია ჩაიბარა და უკანასკნელად ეწვია ათონს⁵. ამ საინტერესო მოსაზრების დასადასტურებლად მყარი საბუთი არ ჩანს. ამასთანავე მის შეწყნარებას ართულებს ერთი გარემოებაც: განსვენებულმა ლ. ნუსხელიშვილმა ბოლნისის სიონის შესწავლის დროს იპოვა იოანე ბოლნელის საფლავის ქვა სათანადო წარწერით, რომელიც პალეოგრაფიული ნიშნებით სწორედ მქადაგებლის ხანისა უნდა იყოს⁶. ჩანს, იოანე ბოლნელი ბოლნისშია დაკრძალული. თუ ზემოაღნიშნულ კონცეფციას შევიწყნა-

¹ გამოსცა მ. ჯანაშვილმა. იხ. იოანე ბოლნელი ეპისკოპოსის ქადაგებანი (X საუკუნის ხელნაწერიდან), თბ., 1911 (იხ. აგრეთვე მ. ჯანაშვილი, საისტორიო და საბიბლიოგრაფიო წერილები, წერილი ნ. „ივერია“, 1898, №№ 184, 185). იოანე ბოლნელის ერთი ქადაგება („ღვნის-მსუმელთა და მომთრეაღეთათჳს“) უკანასკნელ წლებში გასაოქვენეს პროფ. ი. იმნაიშვილმა (ქართული ენის ისტორიული კრესტომათია, I, გვ. 302—304) და დოც. ნ. კანდელაკმა (ქართული მკვერმეტყველება, გვ. 140—142).

² თ. კეკელიძე, იგავ-არაკელი ენარის საწყისები უძველეს ქართულ ლიტერატურაში, „ლიტერატურული ძიებანი“, V, 1949, გვ. 288.

³ ნ. კანდელაკი, ქართული კლასიკური მკვერმეტყველება, გვ. 251—255; ქართული მკვერმეტყველება, გვ. 134—140.

⁴ კ. ივგოროყვა, ქართული მწერლობის ისტორიის მოკლე მიმოხილვა, „მნათობი“, 1939, № 10—11, გვ. 258—261; მისივე, გიორგი მერჩულე, გვ. 871. ახლახან მ. თარანიშვილმა იოანე ბოლნელი მე-7 ს. მოღვაწედ გამოაცხადა (Geschichte der kirchlichen georgischen Literatur, გვ. 90, 382).

⁵ კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, გვ. 182—183 იხ. აგრეთვე ქართული მკვერმეტყველება, გვ. 134.

⁶ ლ. მუსხელიშვილი, ბოლნისი, ენიშკის მოამბე, III, 1938, გვ. 337—338. იხ. აგრეთვე Г. Чубинишвили, Болнисский список, ენიშკის მოამბე, IX, 1940, გვ. 110—111, ნენ. შდრ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების კატალოგი, გვ. 22—23, ტახულა VII, სერათი 1.

რებთ, მაშინ უნდა დაეუშვათ, რომ იოანე ათონიდან კვლავ ბოლნისს დაბრუნდა და იქ აღესრულა. ეს კი დამატებით საბუთებს მოითხოვს¹.

მე-17 საუკუნის მეორე ნახევრიდან ცნობილია ბოლნელი ეპისკოპოსი იოსებ რევიშვილი, რომელიც ხშირად იხსენიება ძველ საბუთებში². მას უწარმოებია აღმშენებლობითი საქმიანობა, ზემო-ბოლნისში აუგია ეკლესია³; ის დაინტერესებული ყოფილა ხელნაწერებითაც: უყიდა სასულიერო-საეკლესიო შინაარსის კრებული (A № 142)⁴.

მე-17 საუკუნის მიწურულში ბოლნისის კათედრაზე ჩანს მაქსიმე მაჭუტაძე, ძმა გარეჯის ცნობილი წინამძღვრის ონოფრესი⁵. მისი „სათნო ყოფითა“ ბესარიონ ბარათაშვილ-ორბელიშვილმა 1696 წელს განაახლა და შეკაზმა ეამისწირვის ხელნაწერი (A № 198)⁶.

ჩ ქ ი ს ი

გორიდან ხუთმეტოდე კილომეტრის დაშორებით მდებარეობდა „დაბადიდი რუისი და ეკლესია ლეთაებისა, გუნბათიანი, დიდი, დიდშენი“⁷. ამჟამად იქ საკმაოდ კეთილმოწყობილი საკოლმეურნეო სოფელია გაშენებული და ძველი კათედრალიც სათანადოდ დატული. ტრადიციული ცნობით, რომელიც „კალმასობაშიცაა“ შეტანილი, რუისის ეკლესია ვახტანგ გორგასალს აუგია⁸. ყოველ შემთხვევაში, იქაური მღვდელმთავარი მე-6 საუკუნის დამდეგის დოკუმენტში უკვე იხსენიება⁹. ჩანს, კათედრალი საკმაოდ ძველია და ტაძარიც ქართლში ქრისტიანობის გავრცელების ახლო ხანაში უნდა იყოს აგებული. რასაკვირველია, მხედველობაში გვაქვს რუისში აგებული პირველი ქრისტიანული ეკლესია და არა ის შენობა, რომელიც ახლა აღმართული იქ. დღემდე შემორჩენილი ნაგებობა ყურადღებას იპყრობს მაღალი გუმბათისა

¹ თავისი „ქართული ლიტერატურის ისტორიის“ პირველი ტომის უკანასკნელ გამოცემაში აკად. კ. კეკელიძე წერს: „ჯერ უნდა სათანადოდ დამტკიცდეს, რომ საფლავის ქვის წარწერა უფოდ X საუკუნისაა და ის უეპველად ჩვენს იოანე ბოლნელს გულისხმობს“ (გვ. 182). სხვათა შორის, ჩვენთვის ცნობილია სხვა იოანე ბოლნელიც (რევიშვილი), მოღვაწე მე-17 საუკუნის მეორე ნახევრისა და მე-18 ს. დამდეგისა (საქ. სიძველენი, I, გვ. 301; II, გვ. 110, 200, 253; დოკუმენტები, I, გვ. 93, 108; მასალები, II, გვ. 10), მაგრამ, რასაკვირველია, საფლავის ქვის წარწერა მას არ გულისხმობს.

² ქრონიკები, II, გვ. 486—487; საქ. სიძველენი, I, გვ. 298—299; II, გვ. 133, 138—139, 185; დოკუმენტები, II, გვ. 11.

³ გ. ჩუბინაშვილი, ბოლნისების მდებარეობის საკითხისათვის, სსრკ მეცნ. აკად. საქართველოს ფილიალის მოამბე, I, № 3, 1940, გვ. 233—235; დ. მუსხელიშვილი, ქვემო ქართლის ისტორიულ-გეოგრაფიული ექსპედიციის საველე სამუშაოთა (1956—1958 წწ.) შედეგები, საქ. ისტორიული გეოგრაფიის კრებული, I, 1960, გვ. 27, 47 (ტაბ. VII).

⁴ Опис. рукописей (A), I, გვ. 149; მ. ჯანაშვილი, საისტორიო და საბიბლიოგრაფიო წერილები, წერილი ნხ, „ივერია“, 1898, № 236.

⁵ ქრონიკები, II, გვ. 516; ქართლ-კახეთის მონასტრების საბუთები, გვ. 68, 70; პ. კარბელაშვილი, იერარქია საქართველოს ეკლესიისა, გვ. 130, შენ. 1; დოკუმენტები, I, გვ. 108. იხ. აგრეთვე პ. ცხელიძე, დავით გარეჯის უდაბნო, „ივერია“, 1893, № 64; მისივე, გუჯრეთი დავით გარეჯის უდაბნოსი, „ივერია“, 1893, № 90.

⁶ Опис. рукописей (A), I, გვ. 223.

⁷ ვახუშტი, აღწერა, გვ. 78.

⁸ კალმასობა, I, გვ. 49.

⁹ ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I⁸, გვ. 300, შენ. 3.

და კორპუსის ქვემო წელის არაპროპორციულობითა და შეუთანხმებლობით, რაც საფიქრებელს ხდის, რომ აქ ჩვენ საქმე გვაქვს სხვადასხვა ეპოქის თორმეობის აღრევასთან. ძველის ხუროთმოძღვრული ანალიზით აკად. გ. ჩუბინა-შვილმა გამოავლინა ძველი ნაგებობის ფრაგმენტული ნაშთი, რომელიც წრომის (VII ს.), გურჯაანის ორგუმბათიანი ტაძრისა (VIII ს.) და ანალოგიური ძეგლების მსგავსია. ძველი შენობა (VIII—IX სს.) განახლებულ და აღდგენილ იქნა მე-10 საუკუნეში, ხოლო მე-11 საუკუნის დასაწყისში ის რადიკალურად გადააკეთეს და შალალი ხელოვნებითა და ოსტატობით დაამუშავეს.

მე-11—12 საუკუნეებში რუისი საქმაოდ მნიშვნელოვან ცენტრს წარმოადგენდა. სხვათა შორის, გიორგი მეორე (1072—1089) მეფედ იქ აკურთხეს¹. ტაძარს შემდეგ ხანაში ბურღუხან დედოფალი ეხმარებოდა².

რუისმა კატასტროფა განიცადა მონღოლთა შემოსევისას. მემკვიდრით, თემურ-ლენგის მეომრებმა შეუტეეს რუისს, „მოიკვეს იგიცა და იავარ-ყვეს და ეკლესია წმიდისა ღთაებისა ძირითურთ აღმოუხურეს და მოაოქრეს ყოველივე ქუეყანა“³.

დანგრეული და დარბეული ტაძარი ალექსანდრე პირველმა (1412—1443) აღადგინა. ამას ამოწმებს როგორც ტაძრის წარწერა, ისე ძველ ავტორთა ჩვენებაც⁴.

მე-16 საუკუნეში აღმშენებლობითი მუშაობა უწარმოებია იქაურ ეპისკოპოსს—დიონისე ლარაძეს: მას აუშენებია (-მეორედ) ორსართულიანი კოშკი-სამრეკლო⁵.

მე-17 საუკუნეში რუისის ტაძარი „კეალად განახლა და შეამკო დედოფალმან მარიაშ“⁶. ამავე პერიოდში მას ეხმარებიან მეფე-დიდებულებიც⁷.

რუისის ეპარქია საქმაოდ დიდ მანძილზე იყო გადაქიმული და მისი მღვდელმთავარი სათანადო პატივით სარგებლობდა. მეფეთა კურთხევისას ქართულ საეკლესიო მოღვაწეთა შორის მროველს 22-ე ადგილი ექირა⁸.

მე-18 საუკუნის შუა წლებში მროველის სამწყსო დიდ ტერიტორიას მოიცავდა. ვახუშტი წერს: რუისს „ზის ეპისკოპოზი, მწყემსი ამ რუისა ზეითის ქართლისა, ლიხ-ტაშის-კარამდე და აწ ესევ მწყსის ხეობასა და სადგერს, ვინადგან მაწყვერელი არლარა არს“⁹.

ჩვენამდე მოღწეულია მროველის „სამწყსოს დაეთარი“ (H № 1294), რომელიც 1715 წელს შეუდგენია რუისის ნღვდელმთავარს ნიკოლოზ ორბელიანს (1672—1732)¹⁰. ის შეიცავს საინტერესო მასალებს საქართველოს

¹ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 304.

² ქრონიკები, I, გვ. 268.

³ ქართლის ცხოვრება, II, გვ. 329, 453; შტრ. ვახუშტი, აღწერა, გვ. 78.

⁴ ქართლის ცხოვრება, II, გვ. 340; ვახუშტი, აღწერა, გვ. 78; ტ. გაბაშვილი, მიმოსლვა, გვ. 21, 105; ქრონიკები, II, გვ. 252; ე. თაყაიშვილი, არქ. მოგზაურობანი და შენიშვნანი, I, გვ. 106.

⁵ ე. თაყაიშვილი, არქ. მოგზაურობანი და შენიშვნანი, I, გვ. 108, 126.

⁶ ვახუშტი, აღწერა, გვ. 78.

⁷ Грив. перх. гуджарш, გვ. 44; ისტ. საბუთები, IV, გვ. 5—6, 44.

⁸ ის. ხემოთ გვ. 125, შენ. 6.

⁹ აღწერა, გვ. 78.

¹⁰ ხელნაწერთა აღწერილობა (H), III, გვ. 243—244; ე. თაყაიშვილი, არქ. მოგზაურობანი და შენიშვნანი, I, გვ. 126—207.

ეკონომიური ისტორიისათვის და ნათლად გვაცნობს რუისის ეპარქიის ეკონომიურ მდგომარეობას¹.

მცირე აღმშენებლობითი საქმიანობა რუისში ჩატარდა მე-19 საუკუნის დაბლევს: 1803 წელს ტრაპეზ-ამბიონი ააგო იუსტინე მაღალაძემ². მის მღვდელმთაფრობაში კათედრალი 46 სოფელს ფლობდა³.

1811 წელს რუისის ეპარქია გაუქმდა⁴. უპატრონოდ მიტოვებული ტაძარი გავერანდა. 1920 წელს ის ძალზე დაზიანდა მიწისძვრის შედეგად. 1936 წელს რუისში ჩატარდა აღდგენითი სამუშაოები და ძველი ნაგებობა გადარჩა დანგრევასა და განადგურებას. ამჟამად ის დატულია როგორც ქართული ხუროთმოძღვრების ერთი საყურადღებო ძეგლი⁵.

რუისის კათედრალი თავისებურ კულტურულ-საგანმანათლებლო კერას წარმოადგენდა. ჩვენთვის ცნობილია იქაურ მწიგნობართა წრის რამდენიმე წარმომადგენელი.

მე-9—10 საუკუნეთა მოღვაწე ჩანს ანტონ მროველი. მის ლიტერატურულ საქმიანობას ჩვენ არ ვიცნობთ, მაგრამ საგულისხმოა ის ფაქტი, რომ მას წერილი გაუგზავნა და დავითნის თარგმანების გადმოქართულებული ტექსტი უძღვნა დაჩიმ⁶. საფიქრებელია, დაჩის მიმართვა ანტონისადმი შემთხვევითი არ იყო. მათი ურთიერთობა მროველი მღვდელმთაფრის მწიგნობრულ ინტერესებზე უნდა მიგვითითებდეს.

მე-11 საუკუნიდან ცნობილია გამოჩენილი ქართველი მწერალი ლეონტი მროველი. ზოგიერთი მკვლევარი მას მერვე საუკუნის მოღვაწედ მიიჩნევდა⁷, მაგრამ ეს აშკარა შეცდომაა. ათონისა და პარიზის მე-11 ს. ქართულ ხელ-

¹ ი. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, I, გვ. 10—14.

² ი. მაღალაძე 1780 წელს ურბნელად ჩანს (დოკუმენტები, I, გვ. 66; II, გვ. 111), ხოლო მე-18 საუკუნის დაბლევსა და მე-19 საუკუნის დაბლევს—მროველად (Груз. церк. гуд-жарн. გვ. 39; საქ. სიძველენი, III, გვ. 432; დოკუმენტები, II, გვ. 195; მასალები, II, გვ. 186, 202, 218—219). ურბნელად იხსენიება ის 1786 წელსაც (ე. თაყაიშვილი, არქ. მოგზაურობანი და შენიშვნანი, I, გვ. 54).

³ Акты, I, Т. 1866, გვ. 531.

⁴ Акты, VI, ნაწ. I, გვ. 364.

⁵ А. Муравьев, Грузия и Армения, III, СПб., 1849, გვ. 112—113; М. Brosset, Rapports, III, St.-P., 1851, გვ. 11—13; Д. Бакрадзе, Кавказ в древних памятниках христианства, გვ. 108—109; П. Уварова, Христ. памятники, МАК, IV, 1894, გვ. 145—147; მისივე, Кавказ (Путевые заметки), II, М., 1891, გვ. 58—61; ე. თაყაიშვილი, არქ. მოგზაურობანი და შენიშვნანი, I, გვ. 105—126; გ. ჩუბინაშვილი, რუისის ტაძრის ისტორიისათვის, ენიმკის მოამბე, V—VI, 1940, გვ. 427—458 (იქვეა დასახელებული და განილული ლიტერატურა); მისივე, Архитектура Кахетии, გვ. 326—327, 353 და შმდ.; ე. ბერიძე, ძველი ქართველი ხუროთმოძღვრები, გვ. 53—54, 75.

⁶ ქრონიკები, I, გვ. 101; Опис. рукописей (S), II, გვ. 644.

⁷ Н. Марр, Об единстве задач армяно-грузинской филологии. КВ, 1902, № 3, გვ. 18; М. Джанишвили, Картлис-Цховреба—Изданы Грузии, СМОМПК, XXXV, 1905, გვ. 235; მისივე, ქართველთა მატანე, გვ. 6; მისივე, ქართული მწერლობა, II, თბ., 1909, გვ. LVII; პ. ინგოროყვა, ლეონტი მროველი, ქართველი ისტორიკოსი „კამბავთა მწერალი“ მე-8 საუკუნისა, ენიმკის მოამბე, X, 1941, გვ. 93—152; А. Боятунова, К вопросу об Армази, ВДИ, 1949, № 2, გვ. 229. პროფ. ს. კაკაბაძეს ლეონტი მროველი მიანიდა ჯერ მე-11 საუკუნის (О древнегрузинских летописцах XI столетия, Т., 1912, გვ. 27), ხოლო შემდეგ—მე-10 ს. მოღვაწედ (საისტორიო ძიებანი, გვ. 182). მ. თარხნიშვილმა ლეონტი კიდევ უფრო ადრეული ხანის მწერლად მიიჩნია (Geschichte der kirchlichen georgischen Literatur, გვ. 92, 407—408).

ნაწერებში ლეონტი მროველი იხსენიება როგორც ცოცხალი პირი¹. ჩანს, ის მე-11 საუკუნის მოღვაწეა, როგორც ამას საფუძვლიანად ადგენენ აკად. ი. ჯავახიშვილი და აკად. კ. კეკელიძე. აღნიშნულ მკვლევართა მეცნიერული მტკიცების სისწორე საესებით დაადასტურა უკანასკნელ ხანს აღმოჩენილმა ლეონტისეული ქვაჯვარის წარწერამ, რომელიც 1066 წლით თარიღდება².

ლეონტი მროველს მიეწერება მეფეთა ცხოვრება („ცხოვრება ქართულეთა მეფეთა და პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა“), წინოს ცხოვრება და არჩილის წამება („წამება წმიდისა და დიდებულისა მოწამისა არჩილისი რომელი იყო მეფე ქართლისა“) ³. აღნიშნულ შრომებში ლეონტი გვევლინება როგორც ნიჭიერი მწერალი და ფრიად განსწავლული მწიგნობარი, რომელიც კარგად იყენებს ქართულ-სომხურ-სპარსულ-ბერძნულ წყაროებს⁴. მასვე მიეწერება თარგმანი ერთი აპოკრიფული თხზულებისა („თქმული წმიდისა მამისა ჩუენისა ეფრემისი: თარგმანი დაბადებისათვის ცისა და ქუეყანისა და ადამისთვის, ვითარ მისცულაჲს გუამი მისი და დამარხეს გოლგოთას..“) ⁵.

ლეონტი მროველი ძველი ქართული მწერლობის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია⁶.

მე-12—13 საუკუნეთა მოღვაწე უნდა იყოს გიორგი მროველი. მისი დავალებით „ლავრასა დიდსა“ შატბერდს გადაუწერიათ გამოკრებილი საკითხავები (S № 4939)⁷. გიორგი მროველი იხსენიება კიდევ ერთ ხელნაწერში, რომელსაც საწელიწდო იადგარის ერუშნულ კრებულს უწოდებენ⁸.

ვილაც უცნობ მროველს მე-13 საუკუნეში გადაუწერია რჯულისკანონი (K № 17)⁹. ხელნაწერთა გამრავლებით დაინტერესებული ყოფილა ზემოსხგ-

¹ Н. Марр, Агиогр. материалы по грузинским рукописям Иверы. ЗВОРАО, XIII, 1901, გვ. 84; ე. თაყაიშვილი, პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერები, გვ. 42.

² ლ. ხუბულური, საინტერესო აღმოჩენა, „კომუნისტი“, 6. VII. 57, № 158 (10855). ლ. გოთუა, საოცარი მოგზაურობა XI საუკუნეში, „ახალგაზრდა კომუნისტი“, 16. VII. 57, № 85 (6345); 18. VII. 57, № 86 (6346); მისივე, მგზავრული კრიალოსანი, გვ. 114—121; გ. გაფრინდაშვილი, ლეონტი მროველის საზიხარ მღვიმეებში, „კომუნისტი“, 25. VII. 58, № 143 (11147); მისივე, Новострелая надпись Л. Мроветя, „Заря Востока“, 24. VII. 67, № 173 (9977); მისივე, ლეონტი მროველის 1066 წ. სამშენებლო წარწერა თრეხვის ქვაბებიდან, საქ. სსრ მეცნ. აკად. საზოგადოებრივ მეცნ. განყოფილების მოამბე, 1961, № 1, გვ. 239—257.

³ უკანასკნელი გამოცემა: ქართლის ცხოვრება, I, გვ. 3—138, 245—248.

⁴ კ. კეკელიძე, ლეონტი მროველის ლიტერატურული წყაროები, თემ, V, 1923, გვ. 27—56. იხ. აგრეთვე ე. თაყაიშვილი, საიდან და როგორ გაჩნდა „ქართლის მოქცევის“ ქრონიკაში სახელწოდება „არიან ქართლი“? საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, IX, № 9—10, 1948, გვ. 624—626.

⁵ S № 30, 1r—52r; ქართლის ცხოვრება, მარიამ დედოფლის ვარიანტი, გვ. 786—846. ე. თაყაიშვილი, აპოკრიფული მოთხრობა, რომელიც წინ უძღვის „ქართლის ცხოვრების“ მარჯვნივით ხელნაწერს, აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს საზ. მუზეუმის მოამბე, XVII-B, 1953, გვ. 25—47.

⁶ ი. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 171—184; კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I¹, გვ. 236—243, 437—441; II¹, გვ. 252—259; მისივე, „წინოს ცხოვრების“ მატეიანისეული რედაქციის ავტორი, ეტიუდები, II, გვ. 269—280.

⁷ გაბაშვილი, გვ. 80.

⁸ პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, გვ. 039.

⁹ ხელნაწერთა აღწერილობა (K), I, გვ. 87; В. Беспешевч, Грузинский великий помокацион по святым Тифлисского церк. музея, XV, 1917, ტ. V, ნაკვ. II, გვ. 119.

ნებული დიონისე ლარაძეც: ჩვენთვის ცნობილია მის მიერ მოგებული საწე-
ლიწოდ საკითხავების ხელნაწერი (A № 1341). როგორც ჩანს, აღნიშნული პი-
რი ზრუნავდა როგორც კათედრალის მშენებლობაზე, ისე მისი წიგნსაცავის
გამდიდრებაზე¹.

თეიმურაზ პირველისა და გიორგი სააკაძის ხანაში რუისის ეპარქიას
მართავდა დომენტი ავალიშვილი. იოსებ თბილელი მას ასე იხსენიებს: „ავა-
ლიშვილი დომენტი, ქკვიანი კაცი, მროველი“². ამავე ავტორის თქმით,
გ. სააკაძემ ის მიუგზავნა თეიმურაზს და მისი. მეშვეობით იმართლა თავი³.
დომენტი მროველს მარაბდის ბრძოლაშიც მიუღია მონაწილეობა⁴.

დ. ავალიშვილის სახელს უკავშირდება ზოგიერთი ხელნაწერი. სპარსეთ-
ში ყოფნისას დომენტის დაუხსნია გულანი (A № 49)⁵. სხვათა შორის, მისი
ერთი ხელნაწერი კურთხევენი არჩილ მეფეს გადაჰყვლია რუსეთში⁶.

1715 წლიდან რუისში მოღვაწეობდა ნიკოლოზ ორბელიანი⁷. ის არამც-
თუ საქართველოში, არამედ რუსეთში ყოფნის დროსაც კი ზრუნავდა რუისის
ეკლესიის ბიბლიოთეკის გამდიდრებაზე, ამზადებდა ახალ ნუსხებს და სწირავ-
და (-უგზავნიდა) რუისს. ასე, მაგალითად, მან ასტრახანში გადააწერინა
იოანე დამასკელის „მოკლე წინამძღვარი“ (A № 853), მოსკოვში—მარხვანი
(A № 849) და ა. შ. აღნიშნული წიგნები მან რუისის ღვთაებას შესწირა.
ნ. ორბელიანის მიერ რუსეთში დამზადებული და რუისისათვის გამოგზავნი-
ლი წიგნები დ. ბაქრაძემ და აკად. ე. თაყაიშვილმა რუისის ეკლესიაში ნახეს⁸.
ჩანს, მიუხედავად ძნელბედობისა და ეამთა სიავისა, ნ. ორბელიანის შეწირუ-
ლებამ დანიშნულებისამებრ მიაღწია.

მე-18 საუკუნის მეორე ნახევრიდან ცნობილია ძველი ქართული ხელნა-
წერების გამრავლების ერთ-ერთი ინიციატორი გერმანე მროველი. მის სა-
ხელთანაა დაკავშირებული მოზრდილი კრებული (A № 903)⁹; მისივე დაკვეთით
1768 წელს ერთი კრებული გადაწერა ნიკოლოზ სიონელმა (A № 897)¹⁰. გერ-
მანემ შეაკვრევინა მროველის „სამწყსოს დაეთარი“ 1763 წელს (H № 1294).

¹ დიონისე მროველი იხსენიება ზებედე ალავერდელის ცნობილ ანდერძში (კ. გ რ ი გ ო-
ლი ა, ზებედე მღვდელმონაზონი და მისი ანდერძი, აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართვე-
ლოს სახ. მუზეუმის მოამბე, XVII-B, 1953, გვ. 51, 58). პროფ. ა. ხაბანაშვილის ცნობით,
დიონისე მროველი 1537—1577 წლების მოღვაწეა (MAK, VII, 1898, გვ. 19, შენ. 3). თ. ყო-
რანია მას მე-17 ს. მოღვაწედ მიიჩნევდა (ქრონიკები, I, გვ. 209).

² დიდმოურავიანი, გვ. 6.

³ იქვე, გვ. 6, 40; შდრ. ქართლის ცხოვრება, II, გვ. 385.

⁴ ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა, გვ. 27; П. Носелиани, Путешые записки от Тифлиса
до Ахтала, Т., 1850, გვ. 10—11; მ. ჯანაშვილი, წარსულიდან (მეომარი ეპისკოპოსი),
„ივერია“, 1902, № 38.

⁵ Опис. рукописей (A), I, გვ. 39.

⁶ სათანადო ცნობა იხ. A № 381, გვ. 496; A № 1448, 27r; S № 427-ა, გვ. 11; H №
215, 139r; არქ. ხელნ. № 264, 107r; საქ. სამოთხე, გვ. 436.

⁷ კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, გვ. 346—349; ლ. შენაბ-
დე, ნიკოლოზ ორბელიანი (ცხოვრება და მოღვაწეობა), თსუ საიუბილეო კრებული: „სულ-
ხან-საბა ორბელიანი“, გვ. 147—186.

⁸ Д. Баградзе, Кавказ в древних памятниках христианства, გვ. 109; ე. თა-
ყაიშვილი, არქ. მოგზაურობანი და შენიშვნანი, I, გვ. 114—116, 118—119.

⁹ ე. თაყაიშვილი, არქ. მოგზაურობანი და შენიშვნანი, I, გვ. 119—120.

¹⁰ იქვე, გვ. 117—118.

ძველი ქართული მწერლობის საყურადღებო წარმომადგენელია იონა გელევანიშვილი (1737—1821)—ცნობილი მოგზაურ-მემუარისტი. ის 1775—1780 წლებში მართავდა რუისის ეპარქიას და, შეძლებისდაგვარად, მონაწილეობდა იქაურ ლიტერატურულ ცხოვრებაში.

მწიგნობრობით დაინტერესებული ყოფილა ზემოდასახელებული მღვდელმთავარი ი. მაღალაძეც, რომელსაც რუისის ტაძრისათვის შეუწირავს საყურადღებო კრებული (A № 903)¹. კარგადაა ცნობილი იოსებ პროველის (ჯანდიერიშვილის), შემდგომში კათოლიკოსის (1755—1764), კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობაც².

რუისის კათედრალს ჰქონდა საკმაოდ კარგი ბიბლიოთეკა, რომელიც იზრდებოდა შეწირულებით. ცნობილია რუისისათვის შეწირული მრავალი ხელნაწერი: A №№ 849, 853, 866 (ნ. ორბელიანი), A № 901 (იოსებ კლიმიაშვილი), A №№ 897, 903 (გერმანე პროველი) და ა. შ. გარდა დასახელებული ხელნაწერებისა, რუისიდან მოღწეულია სხვა ნუსხებიც (A №№ 49, 863, 867, 870, 1341, 1552; H №№ 1294, 2902 და სხვ.). განსაკუთრებით აღსანიშნავია რუისის სახარება (A № 845), გადაწერილი მე-11 საუკუნეში შავი მთის ქართულ კოლონიაში³.

უ რ ბ ნ ის ი

ურბნისი მდებარეობს ქარელის აღმოსავლეთით 7—8 კილომეტრზე, მტკვრის მარცხენა ნაპირზე. ძველი წყაროებით, იქ ადრევე არსებობდა ქალაქი. თავი რომ დაეანებოთ ლეონტი პროველის ზღაპრულ ცნობებს უფლოსის მიერ ურბნისის აგების შესახებ⁴, მე-4 საუკუნეში (ძვ. წ.) ურბნისში ქალაქის არსებობა უცილობელი ფაქტია⁵. ეს საგვებით დადასტურდა უკანასკნელ წლებში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრებით. ახალი წელთაღრიცხვის მეოთხე საუკუნეში იქ კვლავ ქალაქი ჩანს⁶. ქართლში ქრისტიანული სარწმუნოების გავრცელების შემდეგ ურბნისში მალე აშენდა ეკლესია. გადმოცემა ურბნისის ტაძრის აგებას იოანე ზედაზნელის ერთ-ერთ მოწაფეს, თათეს, მიაწერს⁷. დღემდე შემონახული ძველი ბაზილიკური ეკლესია თავისი მასშტაბითა და მოცულობით ბოლნისის სიონსა და მის მსგავს ძეგლებს მოგვაგო-

¹ მოღწეულია ი. მაღალაძის ქონების სია, რომელშიც მოპნენიებულია რამდენიმე ხელნაწერი წიგნი (მასალები, III, გვ. 422—423).

² ი. ბ ა რ ა თ ა შ ე ი ლ ი, ცხოვრება-ანდერძი, მასალები საქ. და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 28, 1950, გვ. 4; ქ. შ ა რ ა შ ი ძ ე, იესე ოსეს ძის „ქორანიკონი“, ვნიშკის მოამბე, XIII, 1943, გვ. 123—126, 132.

³ Опис. рукописей (A), III, გვ. 59—67.

⁴ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 10.

⁵ Опис. рукописей (S), II, გვ. 709; შდრ. ქართლის ცხოვრება, I, გვ. 17. III. М е с - х л а, Города и городской строй феодальной-Грузии, გვ. 16—17.

⁶ Опис. рукописей (S), II, გვ. 749—750; ქართლის ცხოვრება, I, გვ. 87.

⁷ П. И о с е л я н я, Святых Мамеба, Т., 1871, გვ. 8; ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, არქ. მოგზაურობანი და შენიშვნანი, I, გვ. 42; Г. Ч у б н и а ш в и ლ ი, Пещерные монастыри Давид-Гареджы, გვ. 3. იხ. აგრეთვე Д. Б а к რ ა დ з е, Кавказ в древних памятниках христианства, გვ. 136.

ნებს, მაგრამ მისი ზუსტი დათარიღება ძნელდება. მეცნიერთა აზრით, ურბნისის ტაძარი მე-5—6 საუკუნეთა მიჯნას მიეკუთვნება¹.

ძველი ქალაქი და ქრისტიანული ეკლესია არაბთა შემოსევას უმსხვერპლია. ვახუშტის ცნობით, ურბნისი „იყო ქალაქი ყრუსადმდე“².

მე-8 საუკუნეში ურბნისის ეპარქიას მართავდა გაქრისტიანებული არაბი უმარი, რომელსაც მამაპაპეული სარწმუნოების დაგმობის შემდეგ ნეოფიტე ეწოდა. აღნიშნული მღვდელმთავარი არაქრისტიან პირებთან ბრძოლის გამო მტრებმა „დაქოლეს ქვითა“³.

საუკუნეთა მანძილზე ურბნისი არა ერთგზის დაურბევია ნტერს, მაგრამ ქართველთა შეწევნით ის კვლავ აღმდგარა და განახლებულა.

1103 წელს დავით აღმაშენებლის თაოსნობით ურბნისის ახლოს მოწვეული იყო საეკლესიო კრება, რომელიც რუის-ურბნისის კრების სახელითაა ცნობილი. მემბრანის თხრობით, დავითმა „სამეფოსა თვისისა კათალიკოსი. მღვდელთ-მთავარი, მეუღაბნოენი, მოძღუარნი და მეცნიერნი შემოკრიბნა წინაშე მისსა ჟამსა და აღგილსა ჯეროვანსა, და დღეთა მრავალთა ფრიადითა გამოწულილეთა კეთილად გამოიძიეს და ყოველი ცთომა განმართეს, კეთილი და სათნო ღმრთისა წესი ყოველი დაამტკიცეს“⁴. კრებამ გადააყენა უღირსი მღვდელმთავარნი, გვარიშვილობის მნიშვნელობა ეკლესიის მსახურთათვის უარყო და პირად ღირსებას მიანიჭა შესაფერისი პატივი⁵. რუის-ურბნისის კრებას ერთობ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართული ეკლესიის ისტორიაში⁶.

დროთა განმავლობაში, მტერთა შემოსევის გამო, ურბნისის კათედრალი დაეცა და შესუსტდა. ის რამდენადმე მოლონიერდა მე-16 საუკუნეში, ლუარსაბ პირველის (1534—1558) დროს. შემდეგში ლუარსაბის ბოძებული მამულები მას დაუმტკიცა სვიმონ პირველმა (1558—1600). ეს უკანასკნელი 1566 წ. საგანგებოდ აღნიშნავდა, რომ „ძველითგან მრავალგამ დავიწყებული საყდარი საეპისკოპოსო ურბნისი... მოშლილ იყო ჟამთა ვითარებისაგან და უღმრთოთა აგარიანთა ჰელითა ტყუე ქმნილიყო განძი და გუჯარი მისი“⁷.

მე-17 საუკუნეში ურბნისის ტაძარს ქართლის სამეფო კარი კვლავ უშურველად ეხმარება. 1655 წელს როსტომ მეფემ და დედოფალმა მარიამმა დახმარება აღმოუჩინეს ზაქარია ურბნელს⁸, ხოლო 1668 წელს მარიამმა სულ განაახლა ტაძარი, როგორც ამას სათანადო წარწერა გვაუწყებს („წმიდაოსტეფანე, შემწე მექმენ ორსავე შინა ცხოვრებასა რომელმან აღვაშენეთ ძირი-

¹ გ. ჩუბინაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, I, გვ. 32; III. А м и р а п а ш в и л и, История грузинского искусства, I, გვ. 106.

² აღწერა, გვ. 78.

³ ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები, გვ. 206—207; შტრაქრონიკები, I, გვ. 343—345. იხ. აგრეთვე ანტონ კათოლიკოსის თხზულება: „შესხმა და მოთხრობა ღუაწლთა და ენებათა წმიდისა მღვდელ-მოწამისა ნეოფიტე ურბნისის ეპისკოპოსისა“ (საქ. სამოთხე, გვ. 303—312).

⁴ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 3/7.

⁵ იხ. ზემოთ გვ. 137, შენ. 6.

⁶ ი. ჯაფახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 212—214; მისივე, ქართული სამართლის ისტორია, I, 1928, გვ. 39—46.

⁷ ქრონიკები, II, გვ. 407; საქ. სიძველენი, I, გვ. 321—323.

⁸ Груз. церк. гуджари, გვ. 25.

თურთ აღმოფხვრილი ტაძარი შენი ჩვენ, დადიანის ასულმან, დედოფალმან, პატრონმან მარიამ...“)¹. 1669 წელს გიორგი და ლევან ბატონიშვილებმა ურბნისს შესწირეს ყმა-გლეხი², 1694—1698 წწ. ერთეულე პირველმა შესწირა 5 კომლი გლეხი³ და ა. შ.

ცალკე უნდა აღინიშნოს ის დახმარება, რომელიც ურბნისს ვახტანგ ლევანის ძემ გაუწია. 1706 წელს მან დიდი აღმშენებლობითი სამუშაო ჩაატარა ურბნისში. ქრისტეფორე ფალავანიშვილის ურბნელობის გამს ვახტანგმა ააგო სამრეკლო, გალავანი, პალატები, შეამკო ეკლესია, ნოქედა ხატები, უბოძა წიგნები. სამრეკლოს წარწერაში ვახტანგი აღნიშნავს: „აღვაშენე სამრეკლო ესე გალავან-პალატითა და სხვა სახლებითა“⁴. ვახუშტიც დასძენს, რომ ვახტანგმა „შემუსვრილი აღაშენა და განაახლა“ ურბნისის ტაძარი და „მოზღუდა ქვიტკირითა“⁵.

მომდევნო ხანაში ურბნისი მტერს დაურბევია. 1739 წელს კვლავ გაუმაგრებია ურბნელ მღვდელმთავარს—ნიკოლოზ ხერხეულიძეს. მას ხელმეორედ აუშენებია გალავანი, კოშკები და ა. შ.⁶.

მე-18 საუკუნეში ურბნისის მღვდელმთავარი კვლავ დიდ საწესს განაგებდა. ის ადრეც საკმაო პატივით სარგებლობდა⁷, ხოლო მე-18 ს. შუა წლებში ურბნისში იჯდა ეპისკოპოსი—„მწყემსი დიდის ლიახვისა და რომელი ირწყვის ლიახვითა მით“⁸.

მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში ურბნისი კვლავ იღებდა დახმარება-შეწირულებას⁹; მე-19 საუკუნის დამდეგს ურბნელი ეპისკოპოსი ოცამდე სოფელს ფლობდა¹⁰.

1811 წელს ურბნისის ეპარქია გაუქმდა¹¹, ძველი ტაძარი კი დარჩა ქართველ ხუროთმოძღვართა მოსაგონებლად¹².

¹ ქრონიკები, II, გვ. 485; ე. თაყაიშვილი, არქ. მოგზაურობანი და შენიშვნანი, I, გვ. 48 (იხ. აგრეთვე A № 1449, 137).

² საქ. სიძველენი, I, გვ. 323—324.

³ იქვე, გვ. 326; Грѹз. церк. гуджарн, გვ. 25.

⁴ ე. თაყაიშვილი, არქ. მოგზაურობანი და შენიშვნანი, I, გვ. 50.

⁵ აღწერა, გვ. 78. ვახტანგი შემდეგშიც ეხმარებოდა ურბნისს (Грѹз. церк. гуджарн, გვ. 25—26).

⁶ ე. თაყაიშვილი, არქ. მოგზაურობანი და შენიშვნანი, I, გვ. 49—50.

⁷ მეფეთა კუროთხვისას ქართველ მღვდელმთავართა შორის ურბნელს 21-ე ადგილი ეკირა (იხ. ზემოთ გვ. 125, შენ. 6).

⁸ ვახუშტი, აღწერა, გვ. 78.

⁹ Грѹз. церк. гуджарн, გვ. 27—28.

¹⁰ АѲты, I, გვ. 531.

¹¹ АѲты, VI, ნაწ. I, გვ. 364. ამ წელს გარდაიცვალა იულიუს თუბარელი, ურბნელი (H № 2108, 163r; H № 607, 140v).

¹² ურბნისზე იხ. Fr. Dubois de Montpéroux, Voyage autour du Caucase, chez les Tcherkesses et les Abkhases, en Colchide, en Géorgie, en Arménie et en Crimée, III, Paris, 1839, გვ. 183—184; П. Носсипани, Города, существовавшие и существующие в Грузии, Т., 1850, გვ. 66—67; M. Brosset, Rapports, III, გვ. 7—17; Д. Букардье, Кавказ в древних памятниках христианства, გვ. 135—136; П. Уварова, Христ. памятники, МЛС, IV, 1894, გვ. 141—145; მისივე, Кавказ, II, გვ. 54—58; ურბნელი გლეხი, ს. ურბნისი, „ივერია“, 1888, № 9; ს. გამრეკელი, ურბნისის დიდებული ტაძარი და მისი განახლება, „ივერია“, 1897, № 84; ე. თაყაიშვილი, არქ. მოგზა-

ურბნისის მწიგნობართა შესახებ მასალას ჩვენამდე ძალზე ნაკლები სახით მოუღწევია, მაგრამ უცილობლად დასტურდება, რომ ურბნისის მოღვაწენი ნაყოფიერ კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობას ეწეოდნენ. ურბნისში ერთგვარი ლიტერატურული ტრადიციებიც კი შეინიშნება.

მე-16 საუკუნეში ურბნისში მოღვაწეობდა ძველი ქართული კულტურის თავდადებული მუშაკი ვლასი ურბნელი, რომელმაც არა ერთი დიდებული ხელნაწერი გადაარჩინა დაღუპვასა და განადგურებას. მის მიერ შეკაზმული მრავალი ხელნაწერი ჯვრის მონასტერში ინახებოდა.

საკმაოდ ცნობილი ფიგურაა ევდემოზ რატიშვილი, გლონისთავის ძე. ის ქსნის ერისთავთა სახლის ძედ იხსენიებდა თავს, რაც საფიქრებელს ხდის, რომ ის დედის ხაზით ქსნის ერისთავთა დიდ ფეოდალურ სახლს ენათესავებოდა¹. ევდემოზი ჯერ ურბნელად იყო², შემდეგ მანგლელად, უკანასკნელად — ქართლის მთავარეპისკოპოსად. დამარხულია სამთავროში. იქაური ეპიტაფიიდან ჩანს, რომ ის გარდაცვლილა 1710 წელს 87 წლის ასაკში, ე. ი. დაბადებულა 1623 წელს³.

ევდემოზ რატიშვილის დაკვეთით საბა მღვდელსა და ზაქარია მწერალს 1674 წელს დაუმზადებიათ საკმაოდ ცნობილი ხელნაწერი — ყანჩათის ჯამნგულანი (H № 1452)⁴. ის მოხატულია მდიდრულად, ზოგიერთ ილუსტრაციას არმიაზე კალიგრაფიული მხედრულით მიწერილი აქვს ევდემოზის სასულიერო წინაარსის ლექსები⁵, დაუცავს ფერადებით შესრულებული პორტრეტიც ევდემოზისა⁶. როგორც სათანადო მინაწერიდან ირკვევა, ევდემოზს მის მიერ მოკებული ხელნაწერი შეუწირავს კაბენის მონასტრისათვის.

ურობანი და შენიშვნანი, I, გვ. 41—59; გ. ჩუბინაშვილი, რამდენიმე თავი ქართული ხელოვნების ისტორიიდან, თბ., 1926, გვ. 67—70; მისივე, ქართული ხელოვნების ისტორია, I, გვ. 32, 49—50; მისივე, Архитектура Кахетии, გვ. 37, 63, 70 და შმდ.; შ. ამირანაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, I, გვ. 148—149; მისივე, История грузинского искусства, გვ. 106—109; ნ. შოშიაშვილი, ურბნისი — საქართველოს უძველესი ქალაქი, „ციცქარი“, 1958, № 4, გვ. 131—140; დ. მურმანიშვილი, ურბნისის ტაძარი. „ლიტერატურული გახეთი“, 26.1V.59, № 26 (1144); პ. ზაქარაია, ნაქალაქარი ურბნისი, „საბჭოთა ხელოვნება“, 1960, № 2, გვ. 85—89; მისივე, საქართველოს საერო ხელოვნების ძეგლები, თბ., 1960, გვ. 8—9; გ. ლომთათიძე, არქეოლოგიური კვლევები ურბნისის ნაქალაქარში, „ბუნებრივი და ტექნიკა“, 1954, № 1, გვ. 28—31.

¹ ქრონიკები, II, გვ. 495; ქართლ-კახეთის მონასტრების საბუთები, გვ. 227—228; საქ. სიძველენი, I, გვ. 123, 324; ისტ. საბუთები, IV, გვ. 63. რატიშვილების ქსნის ერისთავთა სახლთან ახლო ყოფნის ადასტურებს „შემოკლებითი აღწერა საქართველოსა შინა მცხოვრებთა თავდათა და ახანურთა გვარებისა“ („ივერია“, 1884, V—VI, გვ. 23).

² სხვათა შორის, ზოგჯერ ერთი და იგივე პიროვნება იყო მროველი და ურბნელად. მაგალითად, ნ. ორბელიანი 1717 წელს მროველ-ურბნელად იხსენიება (ე. თაყაიშვილი, არქ. მოგზაურობანი და შენიშვნანი, I, გვ. 59, 113). ცნობილია აგრეთვე მე-18 ს. მეორე ნახევრის მოღვაწე „მროელ მიტრაპოლიტი ურბნელი ნიკოლოზი“ (საქ. სიძველენი, I, გვ. 343).

³ ე. თაყაიშვილი, არქ. მოგზაურობანი და შენიშვნანი, I, გვ. 46—48.

⁴ ა. ნ., შესანიშნავი ძველი ხელნაწერი „ჯამნგულანი“, „ივერია“, 1897, № 103; Е. Ткачешвили, Капчатский „жам-гулани“ и исторические приписки его конца, СМОМПК, XXIX, 1901, გვ. 115—137; ხელნაწერთა აღწერილობა (H), II, გვ. 381—391.

⁵ „ივერია“, 1897, № 103; СМОМПК, XXIX, 1901, გვ. 120—121.

⁶ Е. Такашвили, Арх. эскирени, разсылания и заметки, V, Т., 1915, გვ. 131. ე. რატიშვილი წერდა საბუთებსაც (საქ. სიძველენი, I, გვ. 123). მას, ვგონებ, აღმშენებლობითი საქმიანობაც უწარმოებია (საქართველოს სახ. მუზეუმის ქართული ეპიგრაფიული ძეგლების კატალოგი, გვ. 37, ტაბ. XXV, სურათი № 1).

მე-18 ს. პირველ ნახევარში ურბნისში მოღვაწეობდა ნიკოლოზ ხერხეულიძე¹, რომელმაც იქ მნიშვნელოვანი აღმშენებლობითი საქმიანობა ჩაატარა (იხ. ზემოთ). როგორც ირკვევა, ის ლექსებსაც წერდა. აკად. ე. თაყაიშვილმა იპოვა მისი ერთი ლექსი, რომელიც ქვაზე იყო ამოკვეთილი².

ძველი ქართული სასულიერო-საეკლესიო მწერლობით დაინტერესებული ყოფილა იოსებ ურბნელიც. მისი დავალებით სიონის დეკანოზს ნიკოლოზს გადაუწერია (1768 წ.) საგალობლები (II № 656)³.

ურბნისის კათედრალს ჰქონდა მდიდარი ბიბლიოთეკა. ამ წიგნსაცავიდან ჩვენამდე მოღწეულია რამდენიმე ხელნაწერი. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ურბნისის სახარება (A № 28), რომელიც მე-10 ს. გადაუწერია იოანე ტატანელს. როგორც აღვნიშნეთ, საინტერესოა ამ ნუსხის მოგზაურობა: მე-16 საუკუნემდე ის კავკასიძეთა საგვარეულო ეკლესიას ეკუთვნოდა, მე-16 ს. პირველ ნახევარში—სე. ქუთათელს, ამ საუკუნის მიწურულში—ანტონ ბედიელს; 1798 წელს ის ასტრახანის ეკლესიის წიგნსაცავში დაასვენა გრიგოლ ხარჭაშენელმა. მე-19 საუკუნეში გადმონაცვლა ურბნისში, სადაც ის აპოვა დ. ბაქრაძემ⁴. საყურადღებოა აგრეთვე გულანი (A № 856), რომელიც ვახტანგ ლევანის ძემ და მისმა მეუღლემ რუსუდანმა გადააწერინეს (1707 წ.) იესე გარსევანიშვილს და შესწირეს ურბნისის ტაძარს⁵.

ღ ა რ გ ვ ი ს ი

ქსნის ხეობის ყველაზე მნიშვნელოვანი სამონასტრო ცენტრი—ლარგვისი მღებარეობდა მდ. ქსნისა და ქუართის წყლის შესაყართან. ვინაიდან მონასტერი დაბალ კონცხზე იყო გაშენებული და წყალდიდობა დიდ ზიანს აყენებდა, შემდეგში შესეუერებმა სამონასტრო ნაგებობანი მთის ფერდობზე განალაგეს. აღრეული პერიოდის შენობათაგან მცირედილა შემოგვრჩა⁶.

¹ ნ. ხერხეულიძე-ურბნელი იხსენიება მრავალ საბუთში (საქ. სიძველენი, I, გვ. 96, 329, 331, 332; დოკუმენტები, I, გვ. 240, 270—271, 281; მასალები, II, გვ. 31). შემდეგ ხანაში (1741—1744 წწ.) ის კათოლიკოსად ყოფილა.

² ე. თაყაიშვილი, არქ. მოგზაურობანი და შენიშვნანი, I, გვ. 49—50. „ქართლის ცხოვრების“ ერთი ნუსხა დაკავშირებულია ნიკოლოზ ურბნელის,—პროფ. კ. გრიგოლიას აზრით, ხერხეულიძის,—სახელთან (კ. გრიგოლია, „ქართლის ცხოვრების“ ურბნული ნაწყვეტა, ა. ქუჭინის სახელობის თბილისის სახ. პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, IV, 1947, გვ. 121—136; მისივე ნარკვევები, I, გვ. 168—170).

³ ხელნაწერთა აღწერილობა (H), II, გვ. 111. შდრ. ე. თაყაიშვილი, არქ. მოგზაურობანი და შენიშვნანი, I, გვ. 57.

⁴ დ. ბაქრაძე, სამი ძველი ვარიანტი ქართლის ოთხთავისა ანუ სახარებისა, „ივერია“, 1883, V—VI, გვ. 113—114; მისივე, Дровине варианты грузинского четвероевангелия. Труды V-го арх. съезда в Тифлисе в 1881 г., M., 1887, გვ. 216—217; Опис. рукописей (A), I, გვ. 21—23; მ. ჯანაშვილი, ურბნისის სახარება, „ივერია“, 1904, №21; გზამკლევი, გვ. 104—106. პროფ. მ. ჯანაშვილმა ურბნისის სახარება გადაწერა და გამზადა სასტამბოდ (A № 1732).

⁵ Опис. рукописей (A), III, გვ. 82—83. შდრ. ე. თაყაიშვილი, არქ. მოგზაურობანი და შენიშვნანი, I, გვ. 56. ურბნისიდანაა აგრეთვე A № 1550, არქ. ხელნ. №№ 47, 48 და სხვ. ნუსხები.

⁶ პ. ხაქარაია, ქსნის ხეობის ციხე-სიმაგრეები, აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახ. მუზეუმის მოამბე, XVI-B, 1950, გვ. 181.

მონასტერს გარს ერტყა ძლიერი ზღუდე, რომელიც თავისებური ციხე-სიმაგრის იერს აძლევდა მას. დღეს შემორჩენილია ციხე-გალავანი კოშკებით, საცხოვრებელი ნაგებობანი, გუმბათოვანი ეკლესია და ცალკე მღვარი კოშკი.

ქსნის საერისთაოში ერისთავთა რეზიდენციის—ახალგაორის (აწინდელი ლენინგორის) შემდეგ პირველი ადგილი ლარგვისის ციხე-სიმაგრეს უნდა სჭეროდა. ის წარმოადგენს მონუმენტურ სამხედრო-ტექნიკურ ნაგებობას, ყურადღებას იქცევს ხუროთმოძღვრულ-მხატვრული თვალსაზრისითაც. ლარგვისის არქიტექტურული ანსამბლი შუა საუკუნეების ერთ-ერთი დიდებული ძეგლია¹.

ქსნის ერისთავთა საგვარეულო მატიანის („ძველი ერისთავთა“) მიხედვით, ლარგვისის მონასტერი იუსტინიანე კეისრის (VI ს.) მიერ პირველ ერისთავად განწესებული როსტომის დროს უკვე მოქმედებდა („როსტომ აღაშენა ქალაქი ლარგვსს და განასრულა და შეამკო ყოვლითურთ ეკლესიამ“)². ეს ცნობა, რასაკვირველია, მცდარია; სხვა წყაროებით არ დასტურდება და ნაგებობაც,—ასე ადრეული ხანისა, არ შემონახულა. ამასთანავე, ქსნის საერისთაო მე-6 საუკუნეში კი არა, მე-10 საუკუნეშიც არ ჩანს³.

„ძველი ერისთავთა“ უფრო მეტ ცნობას ლარგვისის შესახებ გვაძლევს მე-14 საუკუნის დამდეგიდან. მისი თხრობიდან ჩანს, რომ ლარგვისის მონასტერს დიდ დახმარებას უწევდნენ ქსნის ერისთავთა სახლის წევრები (ამას მრავალი საბუთი ადასტურებს). მაგალითად, შალვა ერისთავმა, ვირშელ პირველის ძემ,—დავით მეორის (1293—1311), ვახტანგ მესამისა (1302—1308) და გიორგი ბრწყინვალის (1299, 1314—1346) თანამედროვემ,—„განადიდა პატივი მონასტრისა ამის და შექმნა ყოველი სამსახური ეკლესიისაჲ: ოქრომსა და ვეცხლისაჲ ბარძიმი, ტაბაქნი, კანდელი და სხუაჲ ყოველი საძკაული და მოქედნა ხატნი“⁴. მონასტერს დახმარებია მისი ძე ლარგველ მეორეც⁵. ამ უკანასკნელის ვაჟის ვირშელ მეორის ძემ ქვენიფნეველ პირველმა (გარდ. 1373 წ.) „იწყო შენებად ზღუდეთა ამის მონასტრისათა და აღაშენა სამრეკლოჲთა და ყოვლითა სამკაულითა შეამკო ეკლესიაჲ და შეკრიბნა მღვდელნი და მონაზონნი“⁶.

როგორც აღვნიშნეთ, წყალდიდობა დიდ ვნებას აყენებდა სამონასტრო კომპლექსს. ეს გარემოება საგანგებოდაა აღნიშნული დასახელებულ ქრონიკაში. მისი ცნობით, ლარგველ მეორის ზეობაში „ადიდდა ქსანი და წარილო ერთ კერძი ზღუდე აღმოსავლით კერძო და სამრეკლონი დიდნი და შუენიერ-

1 პ. ზაქარაია, ლარგვისის არქიტექტურული ანსამბლი, აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახ. მუზეუმის მოამბე, XIX-B, 1956, გვ. 47—83.

2 ქრონიკები, II, გვ. 4; ძველი ერისთავთა (ქსნის ერისთავთა საგვარეულო მატიანე), ტექსტი გამოსცა, გამოკლევა, ლექსიკონი და სძიებელი დაურთო შ. მესხიამ, მასალები საქ. და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 20, 1954, გვ. 346.

3 ა. ბაკრაძე, X საუკუნის წარწერა მეჯუდას ზეობიდან, აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახ. მუზეუმის მოამბე, XIX-B, 1956, გვ. 5—9.

4 ქრონიკები, II, გვ. 7; მასალები საქ. და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 30, 1954, გვ. 348.

5 ქრონიკები, II, გვ. 8; მასალები საქ. და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 30, 1954, გვ. 349.

6 ქრონიკები, II, გვ. 10; მასალები საქ. და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 30, 1954, გვ. 352.

ნი“. იმავე მე-14 საუკუნეში, — უფრო ზუსტად — ამ საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში, — იქმნა წვდ მძაფრი და აღიღნა ქსანი და მიჰმართა მონასტერსა ამას და წარიხუნა ზღუდენი და სამრეკლონი და გამოთხარა ძირი ეკლესიისაჲ“. ქსნის ერისთავთა სახლი ენერგიულ ზომებს იღებდა წყალდიდობის შედეგების სალიკვიდაციოდ. „ჩეგლი ერისთავთა“ გვაუწყებთ რა უკანასკნელი წყალდიდობის შედეგს, იქვე დასძენს: „მაშინ ერისთავმან იოვანე ქვენიფნეველ პირველის ძმამ — ლ. მ.) მასვე კვრიასა შინა იწყო შენებად ზემოჲსა ამის ეკლესიისა, რომელი სამ წელ აღაშენა და მოაქმნა ბეე და სამრეკლოჲ და იწყო ზღუდესა ხატვად ეკლესიისა“¹.

იოვანე ერისთავის მიერ აშენებული ეკლესია მალე (1400 წ.) თემურ-ლენგის შემოღობმა „დააქცივეს“. ამის შემდეგ იქ დიდი აღმშენებლობითი სამუშაოები ჩაატარა ლარგველმა მოღვაწემ გრიგოლ ბანდაისძემ (XV ს.). ეს უკანასკნელი გვაცნობს თემურის ლაშქრობის ეითარებას, მის განანადგურებულ შედეგებს საქართველოსათვის, ამასთანავე, აგვიწერს მომდევნო ხანაში მის მიერ ჩატარებულ სამუშაოს: „მეთობასა შინა მეთეთ-მეფისა გიორგი ბაგრატიის ძისასა და ერისთაობასა შინა ერისთავთ-ერისთავისა ქვენიფნეველისა ვირშელისასა... მოვიდა თემურ-ბეგ სულტანი სამარყანელი... სიმრავლისა მათისა არა იყო რიცხვი და მოვლეს ყოველი ქუშყანაჲ და წარტყუშნეს და დააქცივნეს საყდარნი, მონასტერნი და ეკლესიანი და აღიხუნეს ყოველნი ციხენი და მოსრეს, ტყუშ-ქმნეს და მოაოჯრეს ყოველი ქუშყანაჲ დასაყლეთაზღის. მას უამსა შინა დამიცვა ღმერთმან ჯელთაგან მათთა და შეინდგომად მკირედისა ეამისაჲ დაერჩი ობოლი ხუთთა ძმათაგან და ესტიროდი თავსა ჩემსა მე, გრიგოლ ბანდაისძე ავგაროზის შვილი. დაწვისაგან მოკრებული აღვაშენე ხუთი სახლი... შევიმოსე სახე მონაზონისაჲ და საფლავსა ზედა ჩემსა აღვაშენე კარიბჭე და დაეხატე ჯელითა ჩემითა, დაეკიდე კანდელი ვეცხლისაჲ და ორი საცეცხლური... შიგნით ეკლესიაჲ მოვხატე და შევაძკეე ყოველი მოშლილი ხატები. დაესხენ წიგნნი: პარაკლიტონი, სამოციქულოჲ, გულაჲ, ავგაროზი და ავაგე მარანი და ჩავდგი ორი ქური, ავაგე ზედა სამყოფი სახლი, ბელელი, საწოლი, ღერეთანი, სამრეკლოჲ და ბოსელი დავბურე ყოველი სიპითა“².

გრიგოლ ბანდაისძის ვრცელი ანდერძი ნათლად გვაცნობს ლარგვისის მონასტრის ამ თავდადებული მოღვაწის მრავალმხრივ საქმიანობას. როგორც ჩანს, გრიგოლმა აღადგინა, განაახლა, მოხატა და შეამკო ძველი მონასტერი, შემატა ახალი დამხმარე ნაგებობანი და შესწირა ხელნაწერები.

მე-15 საუკუნის მეორე ნახევარში მონასტერი აღადგინა და განაახლა შალვა ერისთავმა. როგორც 1470 წლის საბუთი გვამცნობს, მან განაახლა „საძუალე“ მონასტერი, შემოავლო ზღუდე, ზღუდის კარზე ააშენა სამრეკლო, ააგო ტრაპეზი, დაახატვინა კამარა, გადააწერინა ხელნაწერები, შეაკვრევეინა მეტათრასები, უბოძა დიდი შეწირულება, წინამძღვრად დაუდგინა გიორგი ეურული და ა. შ.³

¹ ქრონიკები, II, გვ. 8, 13; მასალები საქ. და კავკასიის ისტორიისათვის, 5 აქვ. 30, 1954, გვ. 349, 355.

² M. Brosset, Rapports, III, გვ. 77—78; ქრონიკები, II, გვ. 204—205.

³ საქ. სიძველენი, III, გვ. 555—561. გიორგი ეურული ჩანს უკვე 1460 წელს (საქ. სიძველენი, I, გვ. 3—7; ქრონიკები, II, გვ. 278—280). მგონი ის უნდა იხანებოდეს გერ-

მე-16 საუკუნეში იესე ერისთავმა და მისმა ოჯახმა ლარგვისის მონასტერს უბოძეს სოფ. ქურთა და სოფ. ციხია¹.

ვიღრე ქსნის ერისთავთა რეზიდენციად ქვენიფნევი ითვლებოდა, მათი საგვარეულო საძვალე ლარგვისი იყო, ხოლო როდესაც ახალგორი დაწინაურდა, საგვარეულო სამარხად იკორთა იქნა მიჩნეული. მიუხედავად ამისა, ძველ საძვალეს ერისთავნი მაინც ეხმარებოდნენ, მზრუნველობას არ აკლებდნენ და თავგამოდებით ცდილობდნენ, რომ ეს საკულტო ადგილი არ მოშლილიყო. ამის შედეგად ლარგვისი ქსნის ხეობის მთიანი ნაწილის ცენტრად ბოლომდე დარჩა².

1759 წელს ლარგვისის მონასტერში წმ. თევდორეს ეკლესია ააგო დავით ერისთავმა. ამას ადასტურებს როგორც ერთი ხატის წარწერა 1762 წლისა³, ისე დავითის საბუთი (1761 წ.) გერმანე ლარგველი არქიმანდრიტი-სადმი⁴.

1777 წელს ქსნის საერისთაო გაუქმდა, ლარგვისის მონასტერი დაეცა⁵, ხოლო მე-19 საუკუნის დამდეგიდან უბრალო ეკლესიად იქცა. მიუხედავად დანგრევისა და გაპარტახებისა, თავისი საინტერესო ისტორიული წარსულითა და ძვირფასი ხელნაწერი მემკვიდრეობით ლარგვისი ყოველთვის ცხოველ ინტერესს იწვევდა⁶.

ლარგვისის მონასტრის მოღვაწეთაგან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ავგაროზ ბანდაისძე (XIV ს.). ის საკმაოდ მომზადებული და დახელოვნებული მწიგნობარი ჩანს. როგორც აღენიშნეთ, პარაკლიტონის მინაწერში ავგაროზი საგანგებოდ გვაუწყებს, რომ მას შეუსწავლია რამდენიმე ხელობა: „წყალობითა ღმრთისაჲთა მომეცა თვნიერ მოძღურისა, ჯელოვნებაჲ ესევეითარი: პირველად ჯელი სწავაჲ ჯუცობისაჲ, ჯელი მეორე მწიგნობრობისაჲ... წერაჲ ხუცური-საჲ... შექმნაჲ ეტრატისაჲ... შეკრვაჲ წიგნისაჲ... მხატვრობისაჲ... მკერვალო-ბისაჲ... ტყაიის კერვისაჲ... ხუროვნობისაჲ... ჯელი მეათე მსოფლიო მუშა-ობისაჲ“⁷. ეს ამონაწერი იმითაცაა საყურადღებო, რომ გვაძლავს თუ რას სწავლობდნენ ძველი ქართველები, როდესაც მათ კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის ჩასატარებლად ამზადდებდნენ.

ჯგტის სამების სულთა მატთანეში (მასალები საქ. და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 30, 1954, გვ. 280). იხ. აგრეთვე საქ. სიძველენი, III, გვ. 435—439.

¹ საქ. სიძველენი, III, გვ. 561—563.

² პ. ხ ა რ ა ი ა, ლარგვისის არქიტექტურული ანსამბლი, აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახ. მუზეუმის შობაზე, XIX-B. 1956, გვ. 47—83.

³ Е. Такайшвили, Арх. экскурши, V, გვ. 89—91.

⁴ გუჯრები, გვ. 27.

⁵ უკვე ვახუშტის დროს ის „ხუცის სამარ“ იყო (აღწერა, გვ. 69).

⁶ ლარგვისის შესახებ დამატებით იხ. M. Grosset, Rapports, III, გვ. 73—88; Д. Баградзе, Кавказ в древних памятниках христианства, გვ. 71; А. Хаханов, Экспедиция на Кавказ, МАК, VII, 1898, გვ. 49—53; Е. Такайшвили, Арх. экскурши, V, გვ. 77—104 (იქვეა დასახელებული ლიტერატურაც). ლარგვისის ახალი კომპლექსის აგების პერიოდად აკად. გ. ჩუბინაშვილმა მართებულად მიიჩნია არა მე-14—16 სს., როგორც ადრე ფიქრობდნენ, არამედ მე-18 საუკუნე (И. Чубинашвили, Арх. памятники VIII и IX века в Ксанском ущелии, „ქართული ხელოვნება“, I, 1942, გვ. 27).

⁷ А № 575, გვ. 311; Опис. рукописей (A), II, გვ. 94.

ჩვენ ზემოთ ვახსენეთ ერთი საინტერესო თხზულება — „ძველი ერისთავთა“. დღეს სავსებით გარკვეულია, რომ ის დაწერილია ქსნის ერისთავთ-ერისთავის ვიოშელ მესამის სიციოცხლეში, 1348—1400 წლებს შორის. აკად. მ. ბროსემ, თ. ეორდანიამ და აკად. ი. ჯავახიშვილმა ჯერ კიდევ ადრე ნიიჰინეს ის ლარგველი მოღვაწის მიერ დაწერილად¹. უკანასკნელ ხანს გამოთქმული საკმაოდ დამაჯერებელი მოსაზრებით აღნიშნული თხზულების ავტორად ავგაროზ ბანდაისძეა მიჩნეული (პროფ. შ. მესხია). ლარგველი მოღვაწის თხზულება საინტერესო ცნობებს შეიცავს ქსნის ხეობაზე, მაგრამ მისი აზროვნება ვიწრო და შეზღუდულია, მისი თხრობა ქსან-არავგს არ ცილდება. ჩანს, ავგაროზ ბანდაისძეს ქართლის მხოლოდ ერთი კუთხის ისტორიის გადმოცემა სურდა და თხრობის გავრცობისა ეშინოდა².

ავგაროზი ნიკიერი მბატყარი და დაოსტატებული გადამწერი ყოფილა. 1348—1365 წლებში მან ლამაზი კალიგრაფიული ნუსხურით გადაწერა პარაკლიტონი (A № 575). მისი ხელითაა შესრულებული მბატყრობა (მახარებელთა მინიატურები, თავკაზმულობანი) სახარების ერთ ხელნაწერში (II №№ 2122, 2125), რომელიც გადანუსხულია მისი თანამედროვე მოღვაწის გიორგი თაბაურის მიერ³. მუშაობისას ავგაროზი არ უშინდებოდა სიძნელეს. „ვიწყე წერად დიდსა სიგლახაკესა და ეტრატის სიძვრესა და შფოთსა და უცალობასა შინა“, — შენიშნავს ის პარაკლიტონის მინაწერში⁴.

მამის კვალს ადგა ავგაროზის ვაჟი გრიგოლიც. მას გაუცხოველებია პარაკლიტონი (A № 576), როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, გრიგოლ ბანდაისძეს მრავალი წიგნი შეუწირავს ლარგვისის მონასტრისათვის. აქვე აღვნიშნავთ, რომ ლარგვისის სავანეში კარგი ბიბლიოთეკა არსებობდა. ის მდიდრდებოდა ქსნის ერისთავთა სახლის წევრებისა და სხვათა შეწირულებით. იქაური ბიბლიოთეკიდანაა ნიკოლოზ კატარაწისძის ხელით გადაწერილი სახარება (A № 26)⁵, იქიდანავეა ზატიკი, (A № 25), პარაკლიტონი (A № 575), ოთხთაეები (A №№ 496—498, 585) და სხვ⁶.

¹ ი. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 264.

² იქვე, გვ. 264—267. იხ. აგრეთვე ს. ჯანაშია, ადრეული ფეოდალიზმი, შრომები, II, გვ. 167—171; მისივე, საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე, შრომები, I, გვ. 163—167; ი. სურგულაძე, „ძველი ერისთავთა“ და მისი ნიშნულობა საქართველოში სახელმწიფოს წარმოშობის ზოგიერთი საკითხისათვის, ენიშკის მოამბე, XIII, 1943, გვ. 219—231; ე. გამრეკელი, სოციალური ბრძოლის ისტორიიდან ქართლის მთიანეთში („ძველი ერისთავთა“ მიხედვით), საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, XIX, № 2, 1957, გვ. 239—245.

³ ხელნაწერთა აღწერილობა (H), V, გვ. 75, 79.

⁴ გამოთქმულია მოსაზრება, რომ „ძველი ერისთავთა“ ის ტექსტი, რომელიც უკანასკნელ წლებში ლენინგრადში იქნა მიკვლეული, შესრულებულია ავგაროზ ბანდაისძის მიერ. მასვე ეკუთვნის ტექსტში ჩართული პორტრეტი ვიოშელ მესამისა (მახალები საქ. და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 30, 1954, გვ. 370—321).

⁵ ქრონიკები, II, გვ. 19—20; Опис. рукописей (A), I, გვ. 19—20; მ. ჯანაშვილი, საისტორიო და საბიბლიოგრაფიო წერილები, წერილი ობ, „ივერია“, 1900, №№ 173, 174.

⁶ ქრონიკები, II, გვ. 19—21; Опис. рукописей (A), I, გვ. 19; II, გვ. 54—56. როგორც აღვნიშნეთ, ლარგვისში ზოგჯერ სეპტიცხელის ხელნაწერებაც ხიზნავდნენ (ი. კარბელაშვილი, იერარქია საქართველოს ეკლესიისა, გვ. 136; ნ. გულახერიძე, საკითხავი სუშტისა ცხოველისა, გვ. 1). ცნობილია ლარგველ მოღვაწეთა მიერ დაწერილი საბუთებიც (დოკუმენტები, II, გვ. 15). იხ. აგრეთვე „აღწერა ვნებათა ლარგვისის არქიმანდრიტის პაფნოტისათა“ (S № 1821).

აქვე ვიძლევიტ ცნობებს ქსნის საერისთაოს კიდევ ორი მნიშვნელოვანი მონასტრის—იკორთისა და კაბენის შესახებ.

გორიდან 25 კილომეტრის დაშორებით „ორბოდლის მთის სამცრით არს, მთის კალთასა შინა, იკორთას, მონასტერი დიდი, გუნბათიანი, კეთილად ნაშენი კარგს ალაგს“¹. ქართული ხუროთმოძღვრების ამ შესანიშნავ ქმნილებას მე-12 საუკუნით ათარილებენ. აქ არ შეიძლება არ მოვიგონოთ აკად. ე. თაყაიშვილის სიტყვები: „იკორთის ტაძრის აშენება ნამდვილად ღირდა თავმოწონებად! ისეთი მშენიერი ნაგებობა, თამარის დროისა, ჩვენ მეტი არა გვაქვს. რა შესანიშნავი დეკორი აქვს! მისი ტოლებია ბეთანიაც, კაბენიც, მაგრამ მასთან ვერც ერთი ვერ მივა. დეკორით თითქოს XI საუკუნის ძეგლებს უფრო ჩამოვაგეს, მაგრამ მაშინ ჯერ კიდევ არ იცოდნენ ასე მრავალფეროვანი დეკორი. სამთავისიც კი ვერ შეედრება ამ მხრივ იკორთას. იკორთა უნიკუშია და ასეთი ძეგლები განსაკუთრებით კარგად უნდა შევიხანოთ“².

იკორთის ტაძარს ძალზე ეხმარებოდნენ ქსნის ერისთავთა სახლის წევრები³, იოვანე ერისთავმა (XIV ს.) განაახლა კიდეც⁴. როგორც აღენიშნეთ, ახალგორის დაწინაურების შემდეგ ქსნის ერისთავთა საგვარეულო საქმეაღდ იკორთა იქნა მიჩნეული⁵.

იკორთის სავანიდან⁶ ჩვენთვის ცნობილია რამდენიმე მწიგნობარი. მაგალითად, წინამძღვარი იოაკიმე თითასმანელისძე, რომელსაც შალვა ქვენიფნეველის ძე ერისთავის დაეალებით 1446 წელს გადაუწერია ზატიკი⁷; განსაკუთრებით საყურადღებო ფიგურაა წინამძღვარი გამალიელ გამრეკელი—„წერილთა და გალობათა შინა გამოცდილი და არიხმატიკოსი და მონაზონებითაცა კარგი, მწერალი უცხო, რომელმანც მრავალნი წერილნი საღმრთონი და საერონი გარდასწერნა“⁸. გამალიელი წერდა საბუთებს⁹, ამრავლებდა ნუსხებს¹⁰, აქტიურად მონაწილეობდა მონასტრის სამეურნეო საქმიანობაში¹¹

¹ ე ა ზ შ ტ ი. აღწერა, გვ. 70.

² ე. თაყაიშვილი, მოგონებები, „მნათობი“, 1959, № 9, გვ. 171.

³ ქრონიკები, II, გვ. 22—25, 258.

⁴ იქვე, გვ. 13; მასალები საქ. და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 30, 1954, გვ. 356.

⁵ იკორთაში არიან დაკრძალულნი 1659 წლის აჯანყების გმირები (შალვა და ელიხბარ ერისთავები, ბ. ჩოლოყაშვილი), შანშე ერისთავი, იესე ყულარალასი, პოეტი ელიხბარ ერისთავი (-ძე ვიორგი ყულარალასისა), ჩვენი სასიქადლო დრამატურგი გ. ერისთავი და სხვ.

⁶ П. Иоселиани, Икортеклъ монастырь в Капталыни, „საქართველოს სასულიერო მანარებელი“, 1865, V, გვ. 67—93 (გამოვიდა ცალკე წიგნაკად იმავე წელს); Д. Бакрадзе, Кавказ в древних памятниках христианства, გვ. 57; П. Шарова, Христианские памятники, МАК, IV, 1894, გვ. 154—158; [კორესპონდენცია], „ივერია“, 1859, № 168; ე. უნაფქოშვილი, იკორთის ტაძარი, „ახალი ქართლი“, 1915, № 55; ე. თაყაიშვილი, მატერული ნაქარგობანი იკორთის ტაძრიდან, საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, X, № 1, 1949, გვ. 61—68.

⁷ ქრონიკები, II, გვ. 258.

⁸ კალმასობა, II, გვ. 193.

⁹ საბუთები უწერია 1772—1816 წლებში (საქ. სიძველენი, III, გვ. 19; ისტ. საბუთები, V, გვ. 82—83; დოკუმენტები, II, გვ. 101, 247).

¹⁰ მას გადაუწერია H № 8, A № 284, S № 1744 და სხვ. ნუსხები. იხ. აგრეთვე Р. Орбели, Груз. рукописи ИВ АН СССР, I, გვ. 149—150.

¹¹ პ. იოსელიანი, ცხოვრება ვიორგი მეცამეტისა, გვ. 59, 166—167, 259. პ. იოსელიანის ცნობით, გამალიელი გარდაიცვალა 1816 წელს, დაკრძალულია იკორთაში.

და ა. ნ. საკმაოდ ნაყოფიერი მწიგნობარი იყო მღვდელი დიმიტრი ოქროაძე (ოქროაშვილი), რომლის სახელით მრავალი ხელნაწერია მოღწეული (იხ. გორი).

კაბენის მონასტერი მღვდარეობს ქსნის მარჯვენა მხარეს, მაღლობზე, ლენინგორიდან დაახლოებით 7 კილომეტრის დაშორებით, სოფ. ყანჩაეთის (ყანჩაეთის, ყანჩიეთის) ახლოს. მას ხშირად ყანჩაეთის წონასტერსაც უწოდებენ¹.

ვახუშტი წერს: „წირქვალს ზეით. ჩდილოთ, არს მონასტერი კაბენი, გუნბათიანი, ყანჩიეთს, კეთილად ნაშენი, შეენიერს ადგილს“².

კაბენის მონასტერი თავისი ხუროთმოძღვრული მონაცემებით ადრეულ ძეგლებს ემსგავსება. მას მეცხრე საუკუნით ათარიღებენ³. მე-14 საუკუნის მეორე ნახევარში მონასტერი განუახლებია იოვანე ერისთავს, რომელსაც „ძველი ერისთავთა“ ტაძრის „მეორედ აღმაშენებელს“ უწოდებს⁴.

მე-18 საუკუნის შუა წლებში მონასტერი დაცარიელდა; ვახუშტის ცნობით, „ხუცის სამარ“ დარჩა⁵. შემდეგში ის სოფ. ყანჩაეთის ეკლესიას მიაწერეს და სულ უპატრონოდ დატოვეს. ძველი შშენიერი ნაგებობა, რომელიც ქსნის ხეობის ერთ-ერთ უღამაზეს ტაძრად იყო აღიარებული, თანდათანობით დაზიანდა და გაპარტახდა⁶. კაბენის ხელნაწერები ყანჩაეთის ეკლესიაში გადაიტანეს. ჩვენამდე მოღწეულია რამდენიმე ძვირფასი ხელნაწერი, რომელთა მიხედვით შეიძლება წარმოვიდგინოთ თუ რა მდიდარი ბიბლიოთეკა ჰქონია კაბენის მონასტერს. კარგი წიგნსაცავის არსებობა კი გვაფიქრებინებს, რომ მონასტრის კრებული თავისი დროის განათლებულ საზოგადოებრიობას არ ჩამორჩებოდა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ყანჩაეთის ეამნ-გულანი (II №1452), რომელიც 1674 წელს დაამზადებინა ევდემოზ რატიშვილმა და შესწირა მის „საძულეს“, „კაბენის მონასტერსა გესამანიისაჲ ღთისმშობელსა“⁷. ყურადღებას იქცევს ყანჩაეთის ოთხთავი (II № 1453)⁸, რომელიც მე-12—13 საუკუნეებით თარიღდება და სხვ.⁹

¹ ადგილობრივი მოსახლეობა, აკად. გ. ჩხბინაშვილის ცნობით, მას გეთსიმანიასაც უწოდებს. ასევე უწოდებს მას ევდემოზ რატიშვილი 1674 წელს (იხ. ქვემოთ). სხვათა შორის, გუაშიმანიის სახელის მატარებელი ქართული ტაძრები ცნობილია პალესტინაში (H № 1741), იმერეთში (ვახუშტი, აღწერა, გვ. 82), ქართლში (ა. ლეონიძე, ნამკვერევი, „ნათობი“, 1960, № 9, გვ. 154) და ა. შ.

² აღწერა, გვ. 68.

³ Г. Чубинашвили. Арх. памятники VIII и IX века в Кахетском уезде, „ქართული ხელოვნება“, I, 1942, გვ. 19—27; მისივე, Архитектура Кахетии, გვ. 324, 361.

⁴ ქრონიკები, II, გვ. 13; მასალები საქ. და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 30, 1954, გვ. 356.

⁵ აღწერა, გვ. 68.

⁶ კაბენზე დამატებით იხ. Д. Бахрадзе, Кавказ в древних памятниках христианства, გვ. 61; Е. Такайшвили, Арх. экскурсия, V, გვ. 108—116. უკანასკნელში მოცემულია ცნობები ყანჩაეთის შესახებაც (გვ. 116—123), იქვეა დასახელებული ლიტერატურა: ია. აგრეთე თ. ყაუხჩიშვილი, ბერძნული წარწერები საქართველოში, გვ. 199—200.

⁷ ა. ნ., შესანიშნავი ძველი ხელნაწერი „ეამნ-გულანი“, „ივერია“. 1897, № 103; Е. Такайшвили, Кахететский „жам-гулани“ и исторические приписки его кисти, СМОШК. XXIX, 1901, გვ. 115—137; ხელნაწერთა აღწერილობა (H), III, გვ. 381—391.

⁸ ქრონიკები, II, გვ. 25, 171—172; ე. თაყაიშვილი, საისტორიო მასალები, I, თბ., 1913, გვ. 61—74.

⁹ აქვე აღვნიშნავთ, რომ ჩვენამდე მოღწეულია მელქისედეკ ყანჩაელი წინამძღვრის დაკვეთით გადაწერილი შიოს ცხოვრება (არქ. ხელნ. № 307). ყანჩაეთიდანაა აგრეთვე დავიით-

ქართლში, საქართველოს სამხედრო გზის დასაველეთით, დუშეთიდან ხუთმეტრიოდე კილომეტრის დაშორებით მდებარეობს სოფ. წილკანი, სადაც ქართული კულტურის ერთ-ერთი საყურადღებო ძეგლი—ძველი საეპისკოპოსო კათედრალია შემონახული. წილკანში ქრისტიანული ეკლესიის აგებას ქართლში ქრისტიანობის გავრცელების პირველსავე წლებში ჰქონდა ადგილი.

„მოქცევაჲ ქართლისაჲ“ გვაუწყებს, რომ აღნიშნულ მხარეში ქრისტიანობის ქადაგება და გავრცელება უკვე მეოთხე საუკუნეშივე იწყება. ქრონიკით, ნინო „დადგა წობენს და მოუწოდა მთეულთა, ქართალელთა და ფხოელთა და წილკანელთა და უქადაგა სარწმუნოებაჲ“¹. უფრო სრული ცნობები დაუცავს მე-11 საუკუნის მემკვიდრე ლეონტი მროველს. მისი მოთხრობიდან ნათლად ირკვევა, რომ ქართლის ხელისუფალთ სათანადო ძალის გამოყენება დასჭირდა აღნიშნულ მხარეში ქრისტიანობის გასაერთოებლად. ლეონტის ცნობით, ნინო, ერისთავი და ეპისკოპოსი იოვანე „დადგეს წობენს, და მოუწოდეს მთეულთა... ქართალელთა, ფხოელთა, წილკანელთა და გუდამაყრელთა. და უქადაგეს ნათ სჯული ქრისტიანეთა ქეშმარტტი, მიმყვანებელი ცხოვრებად საუკუნოდ. ხოლო მათ არა ინებეს ნათლისღება. მაშინ ერისთავმან მეფისაჲმან მცირედ წარმართა მახვლი მათ ზედა, და ძლევით შემუსრნა კერანი მათნი“².

წილკანის მიდამოებში ქრისტიანობის გავრცელებას მალე მოჰყვა იქ ეკლესიის აგება. „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ცნობით, მეფე „ბაკურ დაიწყო წილკანისა ეკლესიასა და განიშორა ოცდამეათხუთმეტესა წელსა“³. ლეონტი მროველი წილკანის ტაძრის აგებას შირიანის ძეს—ბაქარ მეფეს მიაწერს⁴. ამრიგად, ქართული ისტორიოგრაფიით, წილკანის ტაძარი მე-4 საუკუნეში აუგიათ. მალე ის საეპისკოპოსო კათედრალად იქცა. 506 წლის საეკლესიო კრებას, სხვა ქართველ მღვდელმთავრებთან ერთად, წილკნელი ეპისკოპოსიც დასწრებია⁵.

ნი (II № 1454). კონდაკი (არქ. ხელნ. № 12) და სხვ. სხვათა შორის, კაბენის მონასტრის არსებობდა კოჯრის ახლოსაც (ვახუშტი, აღწერა, გვ. 47; П. Иоселиани, Кабениский монастырь, КК, Т., 1853, გვ. 489—492; მისივე. კაბენის მონასტერი, „ცისკარი“, 1873, № 1, გვ. 7—12; Д. Баградзе, Кавказ в древних памятниках христианства, გვ. 60—61; Л. Меликсет-Бек, Надписи Кабена, ИКН-АИ, III, 1925, გვ. 31—36. იქვე დასაბელებული ლიტერატურაც).

¹ Опис. псковской (S), II, გვ. 716.

² ქართლის ცხოვრება, I, გვ. 125. იბ. ს. ჯანაშია, ადრეული ფეოდალიზმი, შრომები, II, გვ. 209; მისივე, საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე, შრომები, I გვ. 222.

³ Опис. псковской (S), II, გვ. 720. შდრ. იქვე „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ქელიშური რედაქცია: „...განასრულა ოცდამეათმეტესა წელსა“.

⁴ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 131. წილკანის ეკლესიას გარს ერტყა გალაგანი, მაგარი ზღუდე, რომელიც იცავდა არა მხოლოდ ტაძარს, არამედ მოსახლეობასაც (П. Баграш, Некоторые вопросы древней истории Грузии XVI—XVIII вв., აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახ. მეხეუმიხ მოამბე, XIX-A და XXI-B, 1957, გვ. 185—186).

⁵ ი. ჯაფარიძის მიხედვით, ქართველი ერის ისტორია, I⁵, გვ. 300, შენ. 3.

მეექვსე საუკუნის მეორე ნახევარში წილკნის ეპარქიას განაგებდა იოანე ზედაზნელის ერთ-ერთი მოწაფე და თანამოღვაწე ისე. ნისი ცხოვრება აღუწერია კათოლიკოს ბესარიონ ორბელიშვილს („დაძინებამ წმიდათაგანისა მამისა ჩუენისა ისე წილკნელ ეპისკოპოსისა საკვრველთმოქმედისა, რომელი იყო ერთი ათორმეტთა მამათაგანი, რომელნი მუამდინარით მოიწინეს“)¹. ცნობილია ისე წილკნელის სვინაქსარული საკითხავიც². აღნიშნული ტექსტები გვიან ხანაში შედგენილი მოთხრობებია და ძუნწ ცნობებს შეიცავენ; ისინი ისეს ცხოვრებას სრულად ვერ გვაცნობენ. საკითხის გარკვევაში, რამდენადღე, გვეხმარება იოანე ზედაზნელის ცხოვრება, რომელშიც ისეს შესახები ცნობებიც გვხვდება. ისე წილკნელის ცხოვრების მოკლე რედაქცია შესულია „ქართლის ცხოვრების“ კრებულშიც³.

ძველ ავტორთა თქმით, ისე იყო „განთქმული ყოვლითავე სათნოებითა, ნერგი იგი სამოთხისაჲ, ყუავილი შუენიერი და ყოელისა კეთილისა ძირი“. ის იოანესთან მოღვაწეობდა ზედაზნის მთაზე. როდესაც წილკნის კათედრა განთავისუფლდა, ქართველმა სამღვდლოებამ იქ ისე განაწესა, რაც ისეს სურვილის წინააღმდეგ მოხდა. აგიოგრაფის ცნობით, „შეიპყრა წმიდამან მამათაგარმან კათალიკოზმან⁴ და აკურთხა იგი ეპისკოპოზად საყდარსა ზედა წილკნისასა. და დაღაცათუ იგი არა თავს იღებდა საქმესა მას და შეერლომით ითხოვდა განტევებასა“.

ისემ აქტიურად დაიწყო მოღვაწეობა. მან არა თუ თავისი სამწყსოს მოვლა-პატრონობა დაივალა, არამედ მიხედა ისეთ მხარეებსაც, სადაც ქრისტიანობა ჯერ კიდევ არ იყო დამკვიდრებული და მოსახლეობა ძველებურად კერპებს სტეწდა თავყანს: მან „იწყო სწავლად და წურთათ სამწყსოთა თვსთა და მიჰმართა ჩრდილოდთ კერძო, რამეთუ ჯერეთ მოუქცეველ იყვეს და მტკიცედ ეპყრა კერპთმსახურებამ“. ისე ყოველ ღონეს ხმარობდა, რათა წილკნის ჩრდილოეთით მოსახლეეთათვის ქრისტიანობა მიეღებინებინა, „ასწავებდა ბილწთა მათგან კერპთა განშორებასა და მოყუანებად ქრისტეს სარწმუნოებასა“.

აგიოგრაფი აღწერს რა ისეს სამისიონერო მოღვაწეობას, ერთობ აზვიადებს მის დამსახურებას და ასე აჯამებს ამ მღვდელმთავრის საქმიანობას: „მრავალნი შეეძინეს სარწმუნოებასა ქრისტიანეთასა მოძღურებითა ამის ღირსისა მამაკაცისაჲთა. და მრავალნი ტაძარნი კერპთანი დაარღვნა და ბომონნი დაამჟუნა, ბოლო ეკლესიანი აღაშენნა და ყოველთა ნათელ-სცა და

¹ S №№ 300, 3269; A № 170; H №№ 40, 1672, 2854. მ. ქავთარიი. ბესარიონ ორბელიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა, ხელნაწერთა ინსტიტუტის მოაზბე, I, 1959, გვ. 89—93.

² H №№ 2077, 2121; საქ. სამოთხე, გვ. 209—211. რუსული ჟერიფრაბი იხ. М. Савинин. Полное жизнеописание святых грузинской церкви, III. СПб., 1873, გვ. 19—28.

³ უკანასკნელი გამოცემა იხ. ქართლის ცხოვრება, I, გვ. 212. იხ. აგრეთვე ცხოვრება წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩვენისა ისე წილკნელ ეპისკოპოსისა, თბ., 1909.

⁴ ისე წილკნელის სვინაქსარული საკითხავის ნაბეჭდ ტექსტში იკითხება კოზმან კათოლიკოსის სახელი (საქ. სამოთხე, გვ. 209), მაგრამ ეს ტექსტის გამოცემალი მ. საბინინის შეცდომაა. ჩანს, ხელნაწერის ქარაგმა: „კიზმან“ (H № 2077, 221r; H № 2121, 261v) ბას ქარაგად ვერ გაუხსნია.

ქრისტეს სარწმუნოებასა ზედა განამტკიცნა ანიერ დამადგინებელი ნუნ მლუ-
დელთა და დიაკონთა“¹.

ისე წილკნელის მიერ განმტკიცებული კათედრალი შემდეგში კიდევ
უფრო ძლიერდება და ქართლის ეკლესიაში საკმაო პატივს იმსახურებს. მე-
ფეთა კურთხევისას ქართველ მღვდელმთავართა შორის წილკნელს მე-19 ად-
გილი ეკირა². ვახუშტის ცნობით, წილკანში იჯდა ეპისკოპოსი „მწყემსი მუხ-
რანისა, ორისავე არაგვისა და ბაზალეთისა“³. ჩანს, მთელი მთიულეთი წილკ-
ნელს მორჩილებდა⁴.

წილკნელის სამწყსოს მატერიალურ შესაძლებლობას, რამდენადმე, გვირ-
კვევს „წილკნელის სამწყსოს დრანისა და საწირავის გარიგების სიგელი“,
რომელიც 1699 წელს შეუდგენია რომანოზ წილკნელს დომენტი ბატონიშვი-
ლის ბრძანებითა და დასტურით⁵. ეს ძეგლი შეიცავს საინტერესო ცნობებს
საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. მართალია, ის არაა შემოსავლის
დავთარი, მასში წილკნელის სამწყსოს მთელი გამოსალებელი და გადასახადი
არაა აღწერილი, მაგრამ როგორც „საეპისკოპოზო გამოსალეებისა და საწი-
რავის“ ნორმების განმსაზღვრელი საკანონმდებლო ძეგლი, უთუოდ, ყურად-
ღებებს იმსახურებს⁶. აღნიშნული დოკუმენტი უცილობლად ადასტურებს წილ-
კნის კათედრალის სიმდიდრესა და ძლიერებას.

გვიანი ხანის სიგელ-გუჯრებში არა ერთჯერაა აღნიშნული წილკნის
ტაძრისათვის მეფე-დიდებულთა მხრივ დახმარების აღმოჩენის ფაქტები. მა-
გალითად, 1619 წელს წილკნის ტაძარს სამეფო კარმა მთელი სოფელი და-
უმტკიცა; 1629 წელს ზურაბ ერისთავმა შესწირა ორი კომლი გლეხი, 1631
წელს თეიმურაზ პირველმა შესწირა რამდენიმე კომლი; 1632 წელს იმავე
მეთის ბრძანებით წილკნის ეკლესია განთავისუფლდა გადასახადებისაგან⁷.

წილკნის კათედრალს ეხმარებოდნენ გამაჰმადიანებული ქართველი მე-
ფეებიც. მაგალითად, 1648 წელს როსტომმა დაამტკიცა წილკნის ეკლესიის
გლეხთა სახელმწიფო გადასახადებისაგან განთავისუფლების წესი, 1668 წელს
შაჰნავაზმა ორი კომლი გლეხი შესწირა და ა. შ.⁸.

შეწირულება გრძელდებოდა შემდეგშიც. 1670 წელს თეიმურაზ მუხრან-
ბატონმა შესწირა მამულები, 1695 წელს—პაპუა მუხრანბატონმა უბოძა ყმა-
მამული⁹. გარკვეულ დახმარებას უწევენ წილკანს არაგვის ერისთავები და
გუდამაყრელები¹⁰. მფარველობს მას, ზრუნავს მის კეთილდღეობაზე ვახტანგ
იბაკლის ძე¹¹. როდესაც წილკნელი მიტროპოლიტი ქრისტეფორე მუხრან-

¹ საქ. სამოთხე, გვ. 209—211; ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქ-
ციები, გვ. 67. 87—90.

² იხ. ზემოთ გვ. 125, შენ. 6.

³ აღწერა, გვ. 63.

⁴ ს. მ ა ქ ა ლ ა თ ი ა, მთიულეთი, თბ., 1930, გვ. 30.

⁵ Црѣхъ перхъ гуджарин, გვ. 22—24; გუჯრები, გვ. 41—60; შ. ჩხეტიია, წილკნ-
ლის სარგოს გარიგების წიგნი 1699 წლისა, „საისტორიო მოამბე“, 1925, II, გვ. 9—26.

⁶ ი. ჯ ა ე ხ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ეკონომიური ისტორია. I, გვ. 65—71. იხ.
აგრეთვე ბ. ლ ო მ ი ნ ა ძ ე, საეკლესიო—„სამწყსო“ გადასახადთა საბუთების მნიშვნელობისა-
თვის, მასალები საქ. და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 33, 1960, გვ. 104—107.

⁷ Црѣхъ перхъ гуджарин, გვ. 22.

⁸ იქვე.

⁹ იქვე, გვ. 24.

¹⁰ იქვე; გუჯრები, გვ. 68—69.

¹¹ გუჯრები, გვ. 69—70; ქართლ-კახეთის მონასტრების საბუთები, გვ. 263.

პატონის შვილი ანანურს ზევით აღარ შეუშვეს, ქართლ-კახეთის მეფემ ერეკლე მეორემ და მისმა ძემ ვახტანგმა მიხედეს ამ საქმეს, მისი მოგვარება ცადეს და მთელი მთიულეთ-გუდამაყრის სამწყსო წილკნელს დაუმტკიცეს¹.

ნიუხედავად ერთგვარი დასუსტებისა და ლეკთა თარეშის გაძლიერებისა, წილკანი მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში მსხვილ დასახლებულ პუნქტს წარმოადგენდა² და ზოგჯერ ქალაქადაც კი იხსენიებოდა³. მე-19 საუკუნის დამდეგს წილკნელის სამწყსო კვლავ დიდი იყო და 40-ზე მეტ სოფელს წოცავდა⁴, მაგრამ სხვა ქართულ ეპარქიებთან ერთად ისიც ძალე დაიხურა და გაუქმდა.

წილკანში⁵ ლიტერატურული საქმიანობა ადრევე გაჩაღებულა. ჩვენთვის ცნობილია რამდენიმე მოღვაწე წილკნის ლიტერატურულ-მწიგნობრული კერიოდან (ბასილ წილკნელი, ამბროსი მიქაძე...).

პირველ რიგში უნდა მოვიგონოთ ეფრემ წილკნელი, რომლის სახელი იკითხება იაკობის ჟამისწირვის ცნობილი ხელნაწერის (A № 86) მინაწერში: „უფალო, აღიდე მომგებელი ამა ჟამის წირვათა სმწ ქართლისა კათალიკოზი და შეიწყალენ და აღიდენ იოვანე აწყურელი ეპისკოპოზი და ეფრემ წილკნელი“⁶. ხელნაწერში წარმოდგენილი ტექსტი დიდი მეცნიერული ღირებულებისაა. ის გამოცემულია რამდენიმე ენაზე⁷. სათანადო სამეცნიერო ლიტერატურაში ხელნაწერი მე-11 საუკუნის დამდეგითაა დათარიღებული. ძვირფასი ხელნაწერის მომგებელთან—სვიმეონ ქართლის კათალიკოსთან ეფრემ წილკნელის მოხსენიება შემთხვევითი არ უნდა იყოს, მაგრამ მისი როლის გარკვევა აღნიშნული ხელნაწერის ისტორიაში ამჯერად ჩვენს ძალას აღემატება, ხელთ არაერთადი მასალა არ გავაჩნია.

მე-16 საუკუნეში წილკანში მოღვაწეობდა გადამწერი ბასილი. მის მიერ გადაწერილ წიგნთაგან ჩვენთვის ცნობილია თეენი (H № 76). გადამწერი ანდერძში შენიშნავს, რომ აღნიშნული ნუსხა მას დაუმზადებია „ბრძანებითა და საფასითა მეფეთ-მეფისა კოსტანტინეს ძისა ბაგრატიისათა“ (H № 76,

¹ გუჯრები, გვ. 70—71. იხ. ავრთეე ნ. ბერძენი შვილი, ვ. დონ დუა, მ. დუმბაძე, გ. მელიქი შვილი, შ. მესხია, პ. რატიანი, საქართველოს ისტორია, I, თბ., 1958, გვ. 315.

² III. Месхиа, Города и городской строй феодалной Грузии, გვ. 115—117, 143.

³ ა. ხახანაშვილი, საქართველოს წარსულის სასტატისტიკო საეკონომიო შესასწავლად, „კვალი“, 1898, № 11, გვ. 194; ს. კაკაბაძე, კვლევა-ძიებანი საქართველოს ისტორიის საკითხების შესახებ, გვ. 28.

⁴ Акты, I, გვ. 531. 1811 წელს წილკნელს 20 კომლი გლეხი ჰყავდა, მის სამწყსოში 80-მდე ეკლესია იყო (Акты, IV, T., 1870, გვ. 164—165).

⁵ გარდა დასახლებული ლიტერატურისა წილკანზე იხ. А. Муравьев, Грузия и Армения, III, გვ. 81—85; П. Носелани, Описание г. Душета, გვ. 17—18; Д. Бакрадзе, Капказ и древних памятниках христианства, გვ. 146; პ. ცხვილოელი, წილკნის ტაძარი, „ივერია“, 1894, № 131; რ. აფციაური, ისტორიკოსთა და არქეოლოგთა საყურადღებოდ, „ივერია“, 1895, № 16; А. Хаханов, Экспедиция на Кавказ, МАН, VII, 1898, გვ. 54—60.

⁶ Опис. рукописей (A), I, გვ. 85.

⁷ ქართულად (Дрепнегрузинский архиепратикон, груз. текст под ред. и с предисловием К. Кекелидзе, Т., 1912), რუსულად (К. Кекелидзе, Литургические грузинские памятники, გვ. 6—22) და ინგლისურად (The Georgian version of the Liturgy of Saint-James by Fr. Conybeare and Ol. Wardrop, Revue de l'Orient Chrétien. XIX, 1914).

105v). საქმათო არაა, რომ აქ იგულისხმება ბაგრატ მუხრანბატონი, ძე კონსტანტინე მეორისა (1479—1505). აღსანიშნავია, რომ ბასილ წილკნელის ანდერძში იკითხება ის ფრაზა, რომელიც ხშირად გვხვდება ძველ ქართველ მწიგნობართა ანდერძ-მინაწერებში: „ველი მწერლისა მიწასა შინა ლპების და ნაწერნი ჰვიან“ (II № 76, 105v)¹.

წილკანში ერთ ხანს მოღვაწეობდა ცნობილი ქართველი მწიგნობარი იოსებ სამეგელი². ძველი წერილობითი ძეგლებისადმი ინტერესს იჩენდნენ სხვა წილკნელი მღვდელმთავრებიც, — ქრისტეფორე³, არსენი⁴ და ა. შ., — მაგრამ იქაურ მოღვაწეთაგან განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ამბროსი წილკნელი.

ამბროსის გვარი მიქაძეა. ასეა მოხსენიებული ის სათანადო დოკუმენტებში⁵ და ასეა მიჩნეული მეცნიერებაშიც⁶. მისი ოჯახი ლიტერატურულ ტრადიციებს მოკლებული არ იყო. მამა — გაბრიელი (ამბროსი) და ძმა ნიკოლოზი, — ცნობილი დეკანოზები თბილისის სიონისა, — ხელნაწერთა გადაწერაში საკმაოდ გაწაფულნი იყვნენ.

ამბროსის ერისკაცობის სახელი ზაქარია უნდა ყოფილიყო, როგორც იოანე ბატონიშვილი გვაცნობებს⁷ და ხელნაწერთა ჩვენებაც ადასტურებს⁸. დაბადებულა ის 1728 წელს (II № 367, 35r). მისი სწავლა-აღზრდის შესახებ გარკვეული ცნობები არ გავაჩნია. პ. იოსელიანის განცხადება: ამბროსი იყო „არა დახელოვნებული სწავლათა შინა“⁹, შესაწყენარებელი არაა. ანგარიშგასაწევია ის მოზრდილი ლიტერატურული მემკვიდრეობა, რომელმაც ამბროსის სახელით მოაღწია ჩვენამდე. საყურადღებოა იოანე ბატონიშვილის სიტყვებიც: ამბროსი „იყო მეცნიერი საღმრთო წერილსა შინა გამოცდილი, კვა-

¹ ქრონიკები. II, გვ. 186; ხელნაწერთა აღწერილობა (II), I, გვ. 61.

² თ. ურდანიძე, მთავარეპისკოპოსი იოსებ სამეგელი და ქართულის სტამბის საქმე XVIII საუკუნეში, „ივერია“. 1884, II, გვ. 35, 37. იხ. აგრეთვე Описание документов и дел, хранящихся в архиве св. Синода, XII, СПб., 1902, სვ. 719; ს. ყუბანეიშვილი, დავით გეორგიშვილი ქართულ ჰესართა პოლკში, თბ., 1955, გვ. 176.

³ მის ხელში გამოგულია მრავალ ხელნაწერს, მაგალითად, „ქართლის ცხოვრების“ მაზაბლისეულ ნუსხას (II № 2135). იხ. ქართლის ცხოვრება, ანა დედოფლისეული ნუსხა, გვ. XXVIII, შენ. 1.

⁴ ერთი საინტერესო კრებული გადაწერილია 1732 წელს არსენ მანგლელ-წილკნელ-თბილელის დაკვეთით (აქართველოს სსრ სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობა, I, „ლიტერატურის მატრიანე“, წიგნი 5, ნაკვეთი II, 1949, გვ. 20).

⁵ Грузинские церковные акты и родственные рописи (Мат. для истории Грузии), изданные с предметным и предметным А. Хачапурян, М., 1893, გვ. 8—9; A № 1651, 1r; H № 1334, 212v; არქ. ბელნ. № 201, 118r. იოანე ბაგრატიონის ცნობა ამბროსის გვარი ყოინისძეა (კალმასობა, II, გვ. 193), გაუგებრობაა.

⁶ А. Хачапурян, Очерки, III, გვ. 327; კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, გვ. 350. დაბეჯითებით ამტკიცებს ამას დოც. ს. ყუბანეიშვილი (იხ. მისი ვრცელი ნარკვევი: ამბროსი ნეკრესელი (ცხოვრება და სალიტერატურო მოღვაწეობა), „ლიტერატურული ძიებანი“, III, 1947, გვ. 225—253).

⁷ კალმასობა, II, გვ. 198.

⁸ H № 3, 348r; H № 988, 272r; H № 1283, 225v; H № 1334, 198r; F № 1684, 170r; H № 2141, 148r. ქართლ-კახეთის მონასტრების საბუთები, გვ. 131, 135; ისტ. საბუთები, V, გვ. 89—90; ს. კაკაბაძე, წერილები და მასალები საქართველოს ისტორიისათვის, I, თბ., 1914, გვ. 75.

⁹ პ. იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, გვ. 46.

ლად უცხო მწერალი, ვითარცა ხუცურისა, ეგრეთვე მხედრულის ხელისა. ესე იყო კარგი პიტიკოსი, მუსიკოსი და სრული მგალობელი“¹. სხვათა შორის, დ. ჯანაშვილის ცნობით, ამბროსის სწავლა-განათლება მიუღია ბესარიონ ბართაშვილ-ორბელიშვილთან და ნიკ. ხერხეულიძესთან². ამ ცნობის წყარო ჩვენთვის უცნობია.

ამბროსი თავდაპირველად, 1776 - 1777 წწ., გარეჯაში, ნათლისცემლის მონასტერში მოღვაწეობდა (იხ. გარეჯა)³. შენდევნი ის იკორთის არქიმანდრიტია (A № 317), ხოლო 1777—1778 წლებიდან მას უკვე წილკნელად ვხედავთ (A № № 317, 1631). მისი მღვდელმთავრობა ბედნიერებით აღსაყვს არ ყოფილა. ლეკიანობა ავერანებდა არაგვის მხარეს, ხალხი აუტანელ მდგომარეობაში იყო, საეკლესიო ცხოვრება მოისუსტებდა, ლეთისისახურება ქირდა. ამბროსი წილკნელი დიდად ცდილობდა მდგომარეობის გამოსწორებას, ქადაგებდა ხალხში, მოგზაურობდა სამისიონერო მიზნით, ცდილობდა მთიულეთში ქრისტიანული მოძღვრების დანერგვა-განტკიცებას⁴. თავისი ბედით ამბროსი კმაყოფილი არ იყო. ის თავის გაკვირვებას შესჩიოდა ერეკლე მეფეს და სამწყსოს შეეცვლას სთხოვდა. ლეკიანობისაგან გულმოკლული და მრევლის ნოქმედებით შეწუხებული ამბროსი ჩამოსულა თბილისს და მეფისთვის ზოუბანებია:

კვალად ისმინე. ევლმწიფევე, აღარ ედგები წილკანს მეო.
ვერც უშენოდ გაესძლებ სადმე. თუ გინდ კარში გამაგდო.
ჩემი გაძლება ჩემს გლაააკს, ჩემს სახლს ახლოს მიმაგდო,
სასტატოს არასა ვთხოვ, მანდ შენს მლოცვლად დამაგდო (A № 1631.2v).

დაბეჯითებითი თხოვნის შედეგად ამბროსი წილკნელობიდან გაათავისუფლეს და მანგლელად განაწესეს 1792 წელს. იქ ჩანს ის 1794 წლანდე, ხოლო შემდეგში ნეკრესის მიტროპოლიტობას იღებს.

მიუხედავად მძიმე პირობებისა, ამბროსი მიქაძე წილკანში გულმოდგინედ მუშაობდა, წერდა, თხზავდა, კმნიდა. მის მიერ წილკანში დაწერილ თხზულებათაგან აღსანიშნავია „წიგნი აღსარებისა“ (H № 1380)⁵, რომელიც მან 1789 წელს დაასრულა ერთობ მძიმე ყოფაში. საინტერესოა მისი მინაწერი: „უსკამოდ დავსჯარბე, მუქლზე აღწერით. რა ვყო უბინაო მწერალმა...“ (H № 1380, 12r). ამბროსი ენერგიის დაუშურავედ იღვწოდა. ის ლამითაჲც წერდა, რათა წილკნის ტაძარი წიგნებით უზრუნველყო. „ეს ჩემმა მოსაყდრემ ეპისკოპოსმა სცნას, რაზე ვიწყალებ თვალებს. შუალამეა, რომ ვსწერ წილკანს, 1782, სეკდემბერს კდ (= 24). წილკნელი ამბროსი. ამიტომ, რომ ღმერთი გაუწყრა რომელთამე აქაურთ, წიგნი აღარ დამახვედრეს მოკლეთ და

¹ კალმასობა, II, გვ. 198.

² ამბროსი ნეკრესელი, სიტყვანი და მოძღვრებანი, თბ., 1881, გვ. III.

³ რამდენიმე ხელნაწერი მას დაუმზადებია ჯერ კიდევ ადრე. თბილისში მოღვაწეობის დროს, მაგალითად. კონდაკი (H № 367, 1742 წ.), იოანე ოქროპირის იოანეს საბარების თარგმანება (H № 3, 1768 წ.), სამოციქულოს თარგმანება (H № 2141, 1769 წ.), ანტონ პირველის კატეხიზმი (S № 69, 1769 წ.) და სხვ. საყოველთაოდ ცნობილია მისი როლი „ქართლის ცხოვრების“ ფლავიანდიშვილისეული ნუსხის დამზადებაში (H № 988).

⁴ პ. იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, გვ. 46—47, 73—75.

⁵ „წიგნი აღსარებისა“ დაიბეჭდა „საქართველოს სასულიერო მახარებელში“ 1865 წლის მარტში (გვ. 215—226).

არცა ერთი საკმარი საყდრისა და სახლისა, და ყოვლითურთ ყოველივე გაკრებული დამხედა, მაშ რა ექნა, ამ სატანჯველში ვარ“,—შენიშნავს ის მის მიერ გადანუსხული სადღესასწაულოს მინაწერში (H № 973, 24r)¹. მართლაც, წილკანი იმხანად ისე ხელყოფილი და დასუსტებული იყო, რომ ნიქიერსა და მუყაით მწიგნობარს დასასვენებლად არ ეცალა. წილკანშივე გადაწერა ამბროსიმ „განგებაჲ წირვისაჲ“ (A № 317), „განგებაჲ თუ ვითარ ჯერ არს მომზადებად ლიტურჯიჲ“ (A № 813), ლეთისმშობლის საგალობლები (Q № 808) და სხვ. ის წილკნის ტაძარს სწირავდა არა მხოლოდ მის მიერ გადაწერილ წიგნებს, არამედ მის მიერ შეძენილებსაც (A № 4).

ა. მიქაძე ნაყოფიერი პოეტი ყოფილა. მას დაუწერია ლექსები ისე წილკნელზე (H № 983, 38r), ლექს-მიმართვები ანტონ მეორისადმი, ერეკლესადმი, ვახტანგ² და ლევან ბატონიშვილებისადმი (A № 1631; არქ. ხელნ. №№ 169, 201 და ა. შ.).

საყურადღებო პიროვნებაა წილკნელი მღვდელმთავარი იოანე ონისიფორეს ძე ქარუმიძე. მის შესახებ ცნობებს გვაწვდის იოანე ბაგრატიონი. მისი განცხადებით, ი. ქარუმიძეს აღზრდა გარეჯის მონასტერში³ მიუღია, „იქ ისწავა ფილოსოფია და სხვანი სწავლანი. იყო მშვენიერი მოუბარი და მამათ ცხოვრების მკოდნე“. სხვათა შორის, მას აღუზრდია ცნობილი მწერალი იოანე იაღლუხისძე⁴. 1800 წლის საბუთიდანაც ჩანს, რომ ი. ქარუმიძე ახალგაზრდებს მეცნიერულ დისციპლინებს (ლოგიკას და სხვ.) ასწავლიდა⁵.

ი. ქარუმიძის სახელით ჩვენამდე მოღწეულია მოხსენება პავლე პირველისადმი⁶ და ლოცვა, რომელიც მას წარმოუთქვამს 1802 წელს ანანურში რუსეთიდან დაბრუნებული ნინოს ჯვრის („ჯვარი ვახისა“) შეხვედრისას (ლოცვა თქმული ყდ სამღვდელოსა წილკნელ მიტროპოლიტისა იოანეს მიერ მხურვალ ვედრებათ ნინოს მიმართ მოციქულისა და ჯუარისა მისისა, რომელი წარმოსთქუა ანანურს, რაემს მიეგება ჯუარსა ნინოსსა“)⁷. დაუმზადებია მას ახალი ნუსხებიც⁸.

¹ საინტერესოა საგალობელთა კრებულის ანდერძიც (Q № 845, 1r; ხელნაწერთა აღწერილობა (Q), II, გვ. 256).

² ს. ყუბანეიშვილი, „აბდელმესიანის“ ახლად აღმოჩენილი სტროფები, საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, V, № 8, 1944, გვ. 849—854.

³ პ. იოსელიანი შეცდომით წერდა: ი. ქარუმიძე წილკნიდან გარეჯას გადაიყვანესო (ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, გვ. 140, შენ.). მისი ცნობით, ი. ქარუმიძე 1804 წელს გარდაიცვალა (იქვე, გვ. 258).

⁴ კალმასობა, II, გვ. 197. შდრ. H № 2130, 14r; ხელნაწერთა აღწერილობა (H), V, გვ. 83.

⁵ АКТЫ, I, გვ. 533. შდრ. გ. თაყვიშვილი, სახალხო განათლებისა და პედაგოგიკური აზროვნების ისტორია საქართველოში, II, გვ. 112, 174. იხ. აგრეთვე კალმასობა, II, გვ. 22—23.

⁶ „საქართველოს სასულიერო მახარებელი“, 1866—1867, VII—IX, გვ. 221—229; შდრ. თ. ყრუაშვილი, დუშეთის მახრიდან, „მწყემსი“, 1887, № 14, გვ. 11—12; АКТЫ, I, გვ. 531—534.

⁷ S № 1612-b; Опис. рукописей (S), II, გვ. 453.

⁸ მაგალითად, რჯულისკანონი (A № 741). ამ ნუსხის გადამწერად თ. გორდანია შეცდომით მიიჩნევა ონისიფორე ქარუმიძეს (Опис. рукописей (A), II, გვ. 204), სინამდვილეში კი გადაწერილია ონისიფორეს ძის იოანე წილკნელის მიერ ჯერ კიდევ გარეჯაში ყოფნის დროს (В. Беляшевич, Грузинский великий номоканон по спискам Тифлисского церк. музея, XV, 1914, ტ. II, ნაკვ. III, გვ. 356).

წილკნის ტაძარს ჰქონდა საუურადღებო წიგნსაცავი, რომელიც მდიდრ-დებოდა შეწირულებით. ცნობილია არა ერთი ხელნაწერი, რომელიც წილკანს მიემატა შეწირულების სახით. ხელნაწერებს სწირავდნენ ა. ნიქაძე, დონენტი კათოლიკოსი, გერვასი ნაქავარიანი და სხვ.¹

ს ა მ თ ა ე ი ს ი

სამთავისის დიდებული ტაძარი მდებარეობს ქართლში. მდ. რეხულას მარცხენა ნაპირზე, კასპიდან 30 კმ-ზე (ჩრდილოეთის მიმართულებით). დღემდე შესანიშნავად შემონახული გრანდიოზული ნაგებობა შორიდანვე ხიბლავს და აჯადოებს მხილველთ. მისი ბრწყინვალე მორთულობა, საუცხოო დეკორი უკვდავყოფს ქართველი არქიტექტორის ღვაწლს. მართებულად შენიშნავდა ვახუშტი: სამთავისს არის „ეკლესია დიდი, გუნბათიანი, დიდწვენიერად შენებული“².

სამთავისში ეკლესიის აგების ზუსტი თარიღი ჩვენთვის უცნობია. ლეგენდარული ცნობებით, რომელთა გაზიარება ერთობ ძნელია. სამთავისის ტაძარი თბილისის სიონის, წილკნის, ერთაწმინდისა და მეტეხის ეკლესიებთან ერთად აუგია ვახტანგ გორგასალს³.

ვახუშტი სამთავისის ტაძარს მე-6 საუკუნის შუა წლებით ათარილებს. მისი განცხადებით, სამთავისის ეკლესია „ქმნული არს იგ (=13) მამათაგანისა ისიდორესაგან“⁴. ამ ცნობის შეწყნარებაც ძნელი ჩანს, რადგან 508 წლის დოკუმენტში უკვე იხსენიება სამთავნელი ეპისკოპოსი⁵. ამრიგად, მე-6 საუკუნის დამდეგისათვის სამთავისში უკვე არსებობდა საეპისკოპოსო კათედრა.

მე-6 საუკუნის მეორე ნახევარში იქ მოღვაწეობდა იოანე ზედაზნელის ერთი მოწაფე ეზდერიოსი, რომელიც იოანეს ცხოვრების აღმწერის ცნობით, „ქალაქსა სამთავისისასა“ დაემკვიდრა⁶. ეზდერიოსი უნდა იყოს ის პირი, რომელიც იოანე ზედაზნელის მოწაფეთა სიაში ისიდორე სამთავნელის სახელითგა ცნობილი⁷.

სამთავისის ახლანდელი ტაძარი მე-11 საუკუნით თარიღდება. სათანადო წარწერა, რომელიც ეკლესიის აგების შესახებ ცნობას გვაწვდის, თ. ჟორდანias ტაძრის ეზოში უპოვია და ასე ამოუკითხავს: „[ილ]არ[იონ] სამთავნ[ელ]-მან აღ[ა]შენა ტაძარი ესე... ქრ[ის]ტ[ო]ს ს[ა]ნ[ა]სა“—ე. ი. 1030 წელს. მასვე შეუნიშ-

¹ წილკნიდანა. A №: 4, 973, 1380, 1553; Q №: 662, 727, 808 და სხვ. ხელნაწერები.

² აღწერა, გვ. 72.

³ კალმასობა, I, გვ. 49; სოფელი მეტეხი და მისი ნაშთი, „მოგზაური“, 1502, № 9—10, გვ. 685; კ. უ მ ი კ ა შ ე ი ლ ი, ბალხური სიტყვიერება, I, რედაქცია, ბიოგრაფია, წინასიტყვაობა და შენიშვნები ფ. გოგოჩაიშვილისა, თბ., 1937, გვ. 563; შდრ. ქ. ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე, ქართული ბალხური საგმირო-საისტორიო სიტყვიერება, გვ. 114—115.

⁴ აღწერა, გვ. 72.

⁵ ი. ჯ ა ე ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, I¹, გვ. 303, ნენ. 3.

⁶ ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები, გვ. 38.

⁷ იქვე, გვ. 2.

ნავს ასომთავრული წარწერა ტაძრის აღმოსავლეთ კედელზე: „ქ. ხატო ღვთაებისაო, შ^ე სული ილარიონისი, ძისა ვაჩე ყანჩაელისი“¹.

ილარიონ ყანჩაელის საქმიანობა სამთავისში მხოლოდ აღნიშნულით არ ამოიწურება. ტაძრის ერთი შენობის კედელზე (ამ შენობას საწნახელად მიიჩნევენ) იკითხება: „ხატო ღ^ვთაებისაო, აღიდე ილარიონ სამთავნელი ყანჩოელის ძე, რომელმან ეკლესია, მარანი და საწნახელი აღაშენა ქქ^ს სო“. ჩანს, ეკლესია ადრე (1030 წ.) დაასრულა ილარიონმა, ხოლო მარანი და საწნახელი, რამდენადმე, მოგვიანებით—1050 წელს².

სამთავისის საყდრის კედელზე ამოჭრილია კიდევ ერთი ასომთავრული წარწერა 1168 წლისა: „ხატო ღ^ვთაებისაო, აღიდე შენ მიერ დამყარებული და უძლეველი ღვთივ გვრგვინისანი ყოვლისა აღმოსავლეთისა მეფეთა-მეფე გიორგი. მე იოვანე სამთავნელმან... აღვაშენე კარიბჭე ესე სალოცველად მეფობისა მათისა ინდიქტიონსა მეფობისა მათისასა იბ, ქორონიკონი იყო ტპჄ“³. ამრიგად, სამთავისის დიდი კათედრალის მშენებლობა მე-11 საუკუნეში მიმდინარეობდა. ქართლის შუაგულში აგებული მშვენიერი ტაძარი უფლებას აძლევდა აკად. ი. ჯავახიშვილს განეცხადებინა შემდეგი: „ვისაც უნდა იმდროინდელი საქართველოს დაწინაურებული ცხოვრება გაითვალისწინოს, მან ქართული ხელოვნების იმდროინდელი ძეგლები ნახოს, მაგ. სამთავისის, ბოკორმისა და სხვა ტაძრები“⁴.

ნე-15—16 სს. სამთავისის ტაძარი ახლად აღუშენებიათ, მისი რესტავრაცია მოუხდენიათ. საყდრის დასავლეთის ფასადის წარწერაში, რომელიც სარკმლის ზემოთაა მოთავსებული, აღბეჭდილია სამთავისის „მეორედ აღმშენებლის“ სახელი. ის ასე იკითხება: „პოჲ, დიდისა ამილახორისა თანამეცხედრესა, მეფეთ-მეფისა ასულსა, მეორედ აღმშენებელსა გაიანეს შეუნდენეს ღმერთმან, ამინ“. ეს გაიანე არის არა ვახტანგ მეხუთის ასული, გივი ამილახორის მეუღლე თამარი, როგორც აკად. მ. ბროსესა და პროფ. ა. ხახანაშვილს ეგონათ⁵, არამედ ქართლ-იმერეთის მეფის ბაგრატ მეექვსის (1468—1478) და გაიანე⁶, რომელიც ადრე მეუღლედ ჰყავდა ანირინდო ზევედგინიძე-

¹ ილარიონ სამთავნელს მშენებელ ოსტატად მიიჩნევენ. როგორც ჩანს, ის სავსებით ნომწიფებული ოსტატი და გაბედული შემოქმედი ყოფილა. მის მიერ აგებული კათედრალის გეგმასა და მოცულობაში ნათლად შეინიშნება სიახლე. მის მიერ შემოტანილმა დეკორატიულმა სისტემამ დიდი გავრცელება პოვა ქართულ ხუროთმოძღვრებაში (ვ. ბერიძე, ძველი ქართველი ხუროთმოძღვრები. გვ. 39—40). ილარიონ სამთავნელს 1032 წელს აუგია აგრეთვე აშუოიანის ეკლესია (იქვე. შტრ. მისი ცე, სავანე (XI ს. ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი). „ქართული ხელოვნება“, I, 1942, გვ. 91. იხ. აგრეთვე M. Brosset, Rapports, III, გვ. 12ა—12ბ; П. Иоселиани, Святый Мамеба, გვ. 7; Л. Баградзе, Кавказ в древних памятниках христианства. გვ. 22).

² ქრონიკები, I, გვ. 171, 201. იხ. აგრეთვე МАК, VII, გვ. 43.

³ ქრონიკები, I, გვ. 259. იოანე სამთავნელი იხსენიება წყაროსთავის (ჯავახეთი) ეკლესიის წარწერაშიც (И. Ростомов, Ахалкалакский уезд и археологическом отпощении. Т., 1894, გვ. 67; Е. Такайшишли, Христианские памятники. Эскурсия 1902 года. МАК, XII, 1909, გვ. 49).

⁴ ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 191.

⁵ M. Brosset, Rapp., III, გვ. 3; МАК, VII, 1898, გვ. 44—45.

⁶ J. კარბელაშვილი, ამილახვართა საგვარეულოს ისტორიული გუჯრები, „ძველი საქართველო“, II, 1913, გვ. 109.

ამილახორს¹. გაიანე მე-15 ს. ნიწურულისა და მე-16 ს. დამდეგის მოღვაწე პირია. მან, როგორც ზემოთ აღენიშნეთ, 1508 წელს შიომღვიმეს ეენახი შესწირა. ამრიგად, სამთავისის რესტავრაციას, „მეორედ აღშენებას“, ადგილი ჰქონდა მე-15 ს. დასასრულსა თუ მე-16 საუკუნის დასაწყისში“².

სამთავისის ეპისკოპოსი გარკვეული პატივით სარგებლობდა, ქართველ ნღვდელმთავართა ნუსხაში ის 23-ე ადგილზე იხსენიება³. სამთავენელს ადგილობრივი დიდებულები—ამილახორები დიდ პატივს სცემდნენ, კარგი დამოკიდებულება ჰქონდათ მასთან და მის ყმებს ხელს არ ახლებდნენ: თავიანთ დამოკიდებულებას სპეციალური საბუთებით აფორმებდნენ (მაგალითად, იხ. ამილახორთა საბუთები პაისიოს სამთავენლისადმი 1776—1783 წწ.)⁴.

ვახუშტის ხანაში სამთავისს იჯდა ეპისკოპოსი, „მწყემსი ქსნისა და ლეხურას კეობისა“⁵.

სამთავისი ადრევე დიდ შეწირულებას იღებდა და მდიდრდებოდა. მას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ მეფე-დიდებულნი⁶, კათოლიკოსები. დიდ დახმარებას იღებდა სამთავისი ამილახორთაგან⁷, რომელთა საკრძალავადაც კი იყო მიჩნეული გიორგი ბრწყინვალის დროიდან⁸. ჩვენამდე მოღწეული ზოგიერთი დოკუმენტი სავსებით ადასტურებს ზემოთქმულის სისწორეს.

მე-14 საუკუნეში ქართლის სამეფო კარმა სამთავისის ეპარქიას შესწირა ერთი კომლი გლეხი;⁹ 1457 წელს მეფე გიორგი მერვემ (1448—1466) შესწირა მამულები არწვევანში;¹⁰ 1513 წელს თავა ამილახორმა შესწირა სოფ. ნადარბაზევი და ვენახები კასპსა და რეხს¹¹. გულმოდგინედ ეხმარებოდა სამთავისის ერეკლე მეორე¹². მსგავსი ფაქტების მოხმობა კიდევ შეიძლება.

სამთავენელის სარგო ერთობ დიდი იყო. იქაური ეპისკოპოსი ადრეული ხანიდანვე იღებდა შემოსავალს ქართლის მრავალი სოფლიდან (ყინვალი, ხიდარი, წობენი, ახალდაბა, ახალკალო და ა. შ.).

¹ ქრონიკები, II, გვ. 354.

² ს. ბარნაეელი. სამთავისის „მეორედ აღშენების“ ვინაობა, საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, XII, № 9, 1951, გვ. 571—578.

³ იხ. ზემოთ გვ. 125. შენ. 6.

⁴ ისტ. საბუთები შიომღვიმის მონასტრისა, გვ. 83.

⁵ აღწერა, გვ. 72.

⁶ საყურადღებოა ის ფაქტი, რომ სამთავისი ჯერ ქართლის კათოლიკოსის, ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცეს მიქაელის კუთვნილებას წარმოადგენდა, ხოლო შემდეგ ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცეს ანტონ გლონისთავისძეს მიეცეს (ქართლის ცხოვრება, II, გვ. 122—123). სამთავისის ბოძება მწიგნობართუხუცესისათვის და ამ ფაქტის აღნიშვნა მემატინის მიერ, უთუოდ, კათედრალის დიდ მნიშვნელობას მოწმობს.

⁷ ამილახორთა სახლის წარმომადგენლები სამთავისის ხატების მოკვდევანზე ზრუნავდნენ (ქრონიკები, II, გვ. 486; МАК, VII, 1898, გვ. 45).

⁸ ვახუშტი, საქართველოს ისტორია, გვ. 307; ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, IV, გვ. 87.

⁹ Груз. церк. гуджари, გვ. 47.

¹⁰ ისტ. საბუთები, II, გვ. 11—12. გიორგი მეფის მიერ სამთავისისადმი დახმარებას ადასტურებს კათოლიკოსი ნიკოლოზ ამილახორიც (გუჯარები, გვ. 38—39).

¹¹ ქრონიკები, II, გვ. 332—333.

¹² Груз. церк. гуджари, გვ. 51—52.

ჩვენამდე მოღწეულია „სამთავნელის სამწყსოს დრამისა და შესავლის გარიგების წიგნი“, რომელიც შეუდგენიათ მე-15 საუკუნეში, 1459 წელს¹. ის კარგად და ნათლად ასახავს სამთავისის ტაძრის კუთვნილი სოფლების ეკონომიურ მდგომარეობას. ჩვენამდე მოღწეული საბუთი განახლებულია 1673 წელს ვახტანგ მეხუთის მიერ. მასში ჩართულია ძველი ძეგლის პირი. ამ დოკუმენტში აღნიშნულია თუ რა შემოსავალს იღებდა სამთავნელი სხვადასხვა სოფლიდან (პური, ღვინო, თივა და ა. შ.). მთელ წიგნში სულ 77 სოფლის გადასახადის გარიგებაა განსაზღვრული². მისი გაცნობა უცილობელს ხდის, რომ სამთავისის საქმოდ ძლიერსა და მდიდარ ეპარქიას წარმოადგენდა.

სამთავისის სამწყსო მე-19 საუკუნის დამდეგს 17 სოფელს მოიცავდა³. მას ჯერ კიდევ ჰქონდა ერთგვარი ძალა, მაგრამ მისი ისტორია დიდხანს აღარ გაგრძელებულა. 1811 წელს სამთავისის ეპარქია გაუქმდა⁴, ხოლო მომხიბლავი ნაგებობა დარჩა ძველ ქართულ დიდოსტატთა მოსაგონებლად⁵.

სამთავისიდან ჩვენთვის ცნობილია რამდენიმე ქართველი მწიგნობარი, მწერალი თუ ლიტერატურით დაინტერესებული პირი. უკვე მე-16 საუკუნეში სამთავისის ტაძრისთვის ვინმე ილიას გადაუწერია მარხვანი (A № 562)⁶. მე-17 საუკუნის მეორე ნახევარში სამთავისში მოღვაწეობდა არქიეპისკოპოსი ევდემონი⁷, რომელსაც გადაუწერია საგალობელთა კრებული (A № 520)⁸.

სამთავისის მოღვაწეთაგან განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს მე-17 საუკუნის მიწურულისა და მე-18 საუკუნის პირველი ნახევრის ცნობილი ქართველი მწიგნობარი კვიპრიანე სამთავნელი, დომენტი კათოლიკოსის თანამოღვაწე და თანამშრომელი. მისი ბიოგრაფია ცნობილი არაა. უცოდინარობა იქამდეც კი მივიდა, რომ პ. იოსელიანმა კვიპრიანე იოანე ბოლნელის (X—XI სს.) თანამედროვედ მიიჩნია⁹.

როგორც ირკვევა, კვიპრიანე არაგვის ერისთავთა სახლს ეკუთვნოდა, „იყო ნათესავით არაგვის ერისთავთაგან“ (ანტონ კათოლიკოსი)¹⁰. საბუთებ-

¹ Груз. перс. гуджари, გვ. 48—51; ქრონიკები, II, გვ. 272—277. იხ. აგრეთვე ს. კაბაძე, თრი სამეფოსავლო ნუსხა. სამთავნელის სარგოს წიგნი X საუკუნისა და სამთავნელის საქანონისი XIV—XV სს. მიჯნის აბლოს, „საისტორიო კრებული“, IV, 1929, გვ. 5—15.

² ი. ჯაფარიძე, საქართველოს ეკონომიური ისტორია, I, გვ. 61—65.

³ Акты, I, გვ. 531. 1811 წელს სამთავისის ეპარქიაში 44 ეკლესია იყო, სამთავნელს 30 კომლი გლეხი ჰყავდა (Акты, IV, გვ. 164—165).

⁴ Акты, VI, ნაწ. I, გვ. 364.

⁵ გარდა დასახელებული ლიტერატურისა სამთავისზე იხ. А. Муравьев, Грузия и Армения, III, გვ. 85—89; М. Grosset, Rapports, III, გვ. 2—6; Д. Бахрадзе, Кавказ в древних памятниках христианства, გვ. 113; А. Хахиянов, Экспедиции на Кавказ, МАК, VII, 1898, გვ. 43—46; Д. Гордеев, Материалы к обследованию памятников груз. зодчества, примущественно по архивным данным, I. Самтавис, ИКП-АН, IV, 1926, გვ. 89—122 (იქვე დასახელებული ლიტერატურაც).

⁶ Опис. рукописей (A), II, გვ. 87.

⁷ Груз. перс. гуджари, გვ. 51; ხელნაწერთა აღწერილობა (H), VI, გვ. 222.

⁸ Опис. рукописей (A), II, გვ. 72.

⁹ წვობილსიტყვაობა, გვ. 222, შენ. 110.

¹⁰ H № 1283, 110r; S № 252-ბ, გვ. 46; Q № 71, 24v; A № 201.

ში ის ზოგჯერ ასე იხსენიება: „ბატონის ერისთვის შვილი სამთავნელი კიბ-
მან“¹.

კვიპრიანე სამთავნელი საკმაოდ ენერგიული მუწაკი და ნაყოფიერი შე-
მოქმედი ყოფილა. 1685 წელს ის იერუსალიმში იყო², ხოლო 1691—1692 წწ.
მოსკოვში ცხოვრობდა. იქვე გადაუწერია მას ბერძნული ენის მოკლე გრამა-
ტიკა³.

ქართლში დაბრუნებული კვიპრიანე დომენტი კათოლიკოსის დავალებით
იწყებს თარგმნას ბერძნული ენიდან⁴. უთარგმნია მას ევრობევანი, რომელ-
ც შემდეგში სლავურის მიხედვით აღარ შეუსწორებიათ და ბოლომდე დაარჩენი-
ლა ქართულ ლიტურგიკულ პრაქტიკაში⁵ (ეურობევანი ვაგრცელებული იყო
ორი რედაქციით: ვრცელითა და მოკლეთი)⁶.

დომენტისავე დავალებით კვიპრიანეს ბერძნულიდან უთარგმნია „განსარ-
ტება ეკლესიისა და კურთხევა მისი“⁷. მასვე გადმოუღია ბერძნულიდან „საქ-
მენი შვიდთა სასიკუდიანთა ცოდვითანი“ (A №№ 712, 1096). ანტონ პირვე-
ლის ცნობით, კვიპრიანეს დომენტის ბრძანებით უთარგმნია „წესი განორჩე-
ვისა და ჯელდასხმისა მღუდელმთავრობისა“⁸. უკანასკნელ ხანს განოთქმული
მოსახრებით, ბერძნული სამართლის წიგნი ვახტანგის კრებულისათვის კვიპ-
რიანეს უთარგმნია⁹.

კვიპრიანე სამთავნელი წერდა საბუთებსაც¹⁰. ცნობილია მისი ბრუნვა

¹ პ. ცხელიძე, გუჯრები დავით გარეჯის უდაბნოში, „ივერია“, 1893, № 91.
„კოხმა ყოფილ კვიპრიანედ“ იხსენიება ის იერუსალიმის ერთი ქართული ბელნწერის ბინა-
წერში (ნ. შარი, იერუსალიმის ქართულ ხელნაწერთა მოკლე აღწერილობა, გვ. 78).

² ნ. შარი, იერუსალიმის ქართულ ხელნაწერთა მოკლე აღწერილობა, გვ. 78.

³ С. Смирнов, История Московской славяно-греко-латинской академии, М.,
1855, გვ. 44, 47; თ. ბრეგვაძე, ვახტანგ VI სამართლის წიგნთა კრებულში შესული ბერძ-
ნული სამართლის წყაროსათვის (წინასწარი ცნობა), აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართვე-
ლოლოგ. სახ. მუზეუმის მოამბე, XIX-A და XXI-B, 1957, გვ. 88.

⁴ ბერძნული ენა მას შეუსწავლია დოსითეოს პატრიარქთან. ევრობევანის წინასიტყ-
ვაობაში კვიპრიანე აღნიშნავს: „მცირედისა რისამე ბერძნულთა წიგნთა და ენაჲა სწავლულ
ვიყავ იმრუსალემისა პატრიარქს დოსითეოს თანა“ (ქართული წიგნი, I, გვ. 22). კვიპრიანეს
მეორე თარგმანის („ეურობევა ეკლესიისაჲ“) წინასიტყვაობაში დომენტი კათოლიკოსი აღ-
ნიშნავს, რომ კვიპრიანე „ეკითხილად სწავლულ იყო ბერძნულთა ენისაჲან“ (ქართული წიგნი,
I, გვ. 26).

⁵ К. Кекелдзе, Литургические грузинские памятники, გვ. XVII—XVIII.

⁶ ნუსხები: A №№ 11, 407, 412, 465; H №№ 875, 1743; Q №№ 176, 272, 849, 971;
K №№ 136, 138; არქ. ხელნ. № 284 და სხვ. ცნობილია გამოკრებილი ევრობევანიც (A №
1191). ეურობევანი დაიბეჭდა 1713, 1764, 1784, 1803 და მომდევნო წლებში (ქართული წიგ-
ნი, I, გვ. 22—24, 55—56, 64, 83). უკანასკნელ გამოცემებში კვიპრიანეს ტექსტი ჩასწორდა
(იქვე, გვ. 55—56).

⁷ აღნიშნული შრომა დაიბეჭდა თბილისში 1719—1720 წწ. (ქართული წიგნი, I, გვ. 26).
ცნობილია ნაბეჭდი წიგნიდან გადაწერილი ნუსხებიც (Q № 69; K № 139). იმ. აგრეთვე
ე. თაყაიშვილი, არქ. მოგზაურობანი და შენიშვნანი, II, გვ. 98.

⁸ H № 1283, 110r; S № 252-ბ, გვ. 46; Q № 71, 24v; A №№ 201, 814.

⁹ თ. ბრეგვაძე, ვახტანგ VI სამართლის წიგნთა კრებულში შესული ბერძნული სა-
მართლის წყაროსათვის (წინასწარი ცნობა), აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოლოგ. სახ.
მუზეუმის მოამბე, XIX-A და XXI-B, 1957, გვ. 81—90.

¹⁰ Ad №№ 337, 348; პ. ცხელიძე, გუჯრები დავით გარეჯის უდაბნოში, „ივე-
რია“, 1893, № 90; ქართლ-კახეთის მონასტრების საბუთები, გვ. 39—40; ისტ. საბუთები, V,
გვ. 23—24.

ქართულ ეკლესია-მონასტრებზე, კერძოდ. გარეჯის მრავალმთის დოდოს საფანეზე¹.

მე-18 საუკუნეში სამთავისში მოღვაწეობდნენ ანტონ პირველი², ბენედიქტე სამთაველი, რომელმაც 1753 წელს სამთავისს შესწირა ილუსტრაციებით შემკული სახარება (II № 290!)³, ანტონ პირველის აღზრდილი, „ტი-ბიკონთა შინა გამოცდილი და მშვენიერი ცერემონიოსი“⁴—გერეასი მაჭაყარიანი და სხვ.

ქ ვ ა თ ა ხ ე ვ ი

ქათაურას ხეობაში, საღვ. ქათახევიდან 10—12 კმ-ზე, ხშირ ტყეში მდებარეობს შუა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების ღირსშესანიშნავი ძეგლი—ქათახევის ტაძარი, „გუნბათიანი, შეენაერნაშენი“ (ვახუშტი). მოხდენილი ადგილმდებარეობა, მომხიბლავი გარეწო, ლამაზი ბუნება, დიდებული ნაგებობა, უბადლო ჩუქურთმები—ყველაფერი ხელს უწყობს არქიტექტურული ანსამბლის სიდიადეს.

ქათახევის ტაძარს დღემდე შენარჩუნებული აქვს თავდაპირველი ზომები და პროპორციები, გარდა გუმბათის სახურავისა, რომელიც შეცვლილ იქნა მე-19 საუკუნის შუა წლებში ჩატარებული კაპიტალური რემონტის დროს. ნკვლევართა დასკვნით, ქვათახევის ტაძარი გეგმით, კომპოზიციისა და დეკორის ხერხებით, ჩუქურთმების მოტივებითა და შესრულების ტექნიკით მე-12 საუკუნის პირველი ნახევრის უნდა იყოს⁵. ზოგიერთი ცნობით, ქვათახევის მონასტერი დავით აღმაშენებლის მეფობით თარიღდება⁶. როგორც არ უნდა იყოს, ქვათახევის ტაძარი მე-12—13 საუკუნეთა ქართულ ხუროთმოძღვრულ ძეგლთა ჯგუფს ენათესავება (ბეთანია, წულრულაშენი, ახტალა...) და გვიან ხანაში აგებულიად ვერ მივიჩნევთ.

ქვათახევის მონასტერი აღრევე დედათა საკრებულოს წარმოადგენდა და მრავალ ქართველ მოღვაწე ქალს იფარებდა. შემდეგში იქ ბერებიც ჩანან.

მონასტერმა სასტიკი რბევა განიცადა მონღოლთა შემოსევისას. მემბტიანის თხრობით, თემურ-ლენგის მეომრებმა „შეიპყრეს მუნ მყოფნი კაცნი, მამანი და დედანი, მღღელნი და დიაკონნი და მონაზონნი და შეამწყუდიეს

¹ ისტორიული დოკუმენტები, I, გვ. 152—154. კვიპრიანე სამთავენელზე იხ. კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I^ა, გვ. 338—339.

² კ. კ ა რ ბ ე ლ ა შ ვ ი ლ ი, იერარქია საქართველოს ეკლესიისა, გვ. 143—144.

³ ხელნაწერთა აღწერილობა (II), VI, გვ. 276. იხ. აგრეთვე МАК, VII, 1898, გვ. 44.

⁴ კალმასობა, II, გვ. 195.

სამთავისიდანაა А №№ 461, 555, 562; Н №№ 1366, 1367; Q № 263; არქ. ხელნ. № 243 და სხვა ნუსხები.

⁵ ნ. ს ვ ე ე რ ო ვ ი, ქვათახევის ტაძრის არქიტექტურა, საქ. სსრ მეცნ. აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების XXII სამეცნიერო სესიის მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, თბ., 1946, გვ. 5.

⁶ П. Иоселиани, Жизнь великого воюрана Георгия Саакадзе, родоначальника владетельных Тархан-Мураповых, с приложением описания Эрцатавицского храма и Кватахевского монастыря, Т., 1848, გვ. 123; ტ. ა ლ ე ქ ს ი შ ვ ი ლ ი, მონასტერი ქვათახევის ლუთისმშობლის მიძინებისა, „საქართველოს სასულიერო მახარებელი“, 1864, III, გვ. 85.

ტადარსა წინდისა ქუაბთა ჴევისა ღთისმშობელისასა და შუუგზნეს ცეცბლი შინაგან ეკლესიისა და დაწვეს, რომელიცა იყოფებოდეს ეკლესიასა მას შინა¹.

ჩვენამდე მოღწეულია ერთი ისტორიულ-აგიოგრაფიული თხზულება, რომელიც სპეციალურად გვაცნობს თემურ-ლენგის მადრების მიერ ქვათახეველთა წაწებას („შესხნა და მოთხრობა ლუაწლთა და ვნებათა წმიდათა დიდთა მოწამეთა, რომელნიცა ბრძანებითა უღწერთოჲსა თენურ-ლენგისა ლაშქართა მისთაგან დაიწუნეს ეკლესიასა შინა მონასტერსა დედისა ლუთისასა ქუაბთა-ჴევს“) ². ეს უკანასკნელი დამატებით გვაუწყებს, რომ მონღოლებმა „გაძლიეს სიძლიდრენი მონასტრისა საუნჯეთა არა პიორედი“, „განიტაცნეს ჴურქელი“ და ა. შ.

მიუხედავად აღნიშნული დარბევისა, ქვათახევის მონასტერი შემდეგში მაინც მძლავრ საეკლესიო სენიორიას წარმოადგენდა. მეფე-დიდებულთა დახმარებითა და შეწირულებით ის მალე მოლონიერდა. ჩვენთვის ცნობილი საბუთებით ქვათახევისთვის დახმარება აღმოუჩენია არა ერთ ქართველს მეფესა თუ დიდებულს. ასე, მაგალითად, ალექსანდრე პირველი (1412—1443) ქვათახევს მის მიერ „მრავლითა ჴირითა და რუდუნებითა“ აშენებულად იხსენიებს. საფიქრებელია, მან ერთგვარი აღმშენებლობითი სამუშაოც კი ჩაატარა იქ³. მე-15 საუკუნეშივე დახმარებიან ქვათახევს გიორგი ბერვე (1446—1466)⁴, ავგაროზისძენი, ქვლივიძენი და ა. შ.⁵

მე-16 საუკუნის დასაწყისში, 1519 წელს ქართლის მეფის დავითის პალატის უხუცესმა და მწიგნობართმთავარმა ივანე სოლალაშვილმა ქვათახევის მონასტერს შესწირა კავთისხეველი გლეხები⁶; 1520 წელს ყვარყვარე ათაბაგის მეუღლემ ნინომ უბოძა ყმა-მამული⁷, მერაბ ციციშვილმა — გლეხები⁸; 1550 წელს ლუარსაბ პირველმა (1534—1558) დაუნტკიცა ძველი თარხნობა და ხელშეუვალობა⁹; 1567 წელს სვიმონ პირველმა (1558—1600) დაუნტკიცა ს. სეელნეთი¹⁰; 1568 წელს დაეხმარნენ ლალანიძენი¹¹, 1560 წ. მონასტერმა კვლავ დიდი დახმარება მიიღო ქართლის სანეფო კარისაგან¹².

¹ ქართლის ცხოვრება, II, გვ. 328—329, 452—453; შდრ. ვახუშტი, აღწერა, გვ. 55—56.

² საქ. სამოთხე, გვ. 554—567. გამოქვეყნებულია რუსული პერიფრაზიც (М. Сагункин, Полное жизнеописание, III, гл. 155—163). აღნიშნული მოთარობა წარმოადგენს ანტონ პირველის „მარტირიკის“ ნაწილს. შდრ. კალმასობა, II, გვ. 124—131 (= მთხრობა ქვათახევის მონასტრისა შინა წამებულთა მოწამეთათვის. თბ., 1882).

³ Рус. перс. рукописи, გვ. 88—89; ქრონიკები, II, გვ. 251—252.

⁴ ქრონიკები, II, გვ. 260.

⁵ ისტ. საბუთები, II, გვ. 20—24.

⁶ Рус. перс. рукописи, გვ. 69; ქრონიკები, II, გვ. 344—345; ისტ. საბუთები, III, გვ. 46—50.

⁷ ქრონიკები, II, გვ. 347; ისტ. საბუთები, III, გვ. 51—52.

⁸ ქრონიკები, II, გვ. 346—347; ისტ. საბუთები, II, გვ. 29—31.

⁹ ქრონიკები, II, გვ. 390—391.

¹⁰ იქვე, გვ. 408—409.

¹¹ ისტ. საბუთები, II, გვ. 45.

¹² ქრონიკები, II, გვ. 419; ისტ. საბუთები, III, გვ. 75—77.

ქვათახევის, როგორც მსხვილი საეკლესიო სენიორიის, შესახებ ნათელ წარმოდგენას გვაძლევს ერეკლე პირველის სიგელი, რომელიც დეტალურად აღწესსახავს ძველ ნეფე-დიდებულთა შეწირულებას მონასტრისადმი და უმტკიცებს მას მანულებს. აღნიშნული დოკუმენტიდანვე ჩანს, რომ მონასტერი ყნა-ნაწულს საკმაოდ კარბად ფლობდა¹.

ქვათახევის მონასტერი ხშირად ქართლის მეფეთა ყურადღების ცენტრ-ნი იყო. სხვათა შორის. ქართლის მეფემ ლუარსაბ მეორემ (1606—1615) გიორგი სააკაძის დაზე ქვათახევეში დაიწერა ჯვარი².

ძველი საეანე მე-18 საუკუნეში ძალზე დასუსტდა, ლეკიანობამ ის კატას-ტროფის პირას მიიყვანა. წინამძღვრის რეზიდენცია კავთისხევეს იქნა გადა-ტანილი, რადგან მონასტერში ყოფნა ფრიალ საშიში შეიქნა³.

ენერგიულად იღვწოდა მონასტრის კეთილდღეობისათვის წინამძღვარი ათანასე თარხნიშვილი. ის „ბრძოდა ძლიერად ლეკისა ჯართა“ და მრავალ-გზის „გაიმარჯვა მათ ზედა“⁴. თავდადებით შრომობდა მომდევნო წინამძღ-ვარი დოსითეოს ფიცხელაური. მან „განაახლა ხელახლად მონასტერი და და-ადგინა ბერები“, ძველ საეანეს „განუმრავლა შემოსავალი“⁵. არანაკლები ანაგი ნიუძღვის მონასტერზე ტარასი ალექსიშვილს (1793—1874).

მე-19 საუკუნის ნახევარში ქვათახევის ტაძარი კაპიტალურად გაარემონ-ტეს. გადახურეს, შელესეს და შეამკეს⁶.

ამჟამად ქვათახევის მონასტერი დაცულია როგორც ქართული ხუროთ-ნონძღვრების კლასიკური ხანის ბრწყინვალე ძეგლი.

როგორც ირკვევა, ქვათახევი კულტურულ-საგანმანათლებლო კერას წარმოადგენდა და არა ერთ ქართველ მწიგნობარს იფარებდა.

მე-16 საუკუნიდან ცნობილია ქვათახევის წინამძღვარი ფილიპე ბარა-თაშვილი. რომელიც დახელოვნებული ყოფილა სიგელ-გუჯრების წერაში. მას გადაუწერია მცხეთის ეკლესიის მამულების სია 1392 წლისა⁷. ჩვენამდე მოლ-წეულია მის ნიერ დაწერილი რამდენიმე საბუთი: სვიმონ მეფის 1569 წ. სი-გელი მცხეთის ტაძრისადმი, მისივე სიგლები 1560 და 1674 წლებისა და სხვ⁸.

¹ ქვათახევის მონასტრის გუჯარი, „მოამბე“, 1903, IX, განყ. II, გვ. 1—36. ამ დოკუ-მენტის დიდი მნიშვნელობა საქართველოს ისტორიისათვის ადრევე შენიშნა აკად. ი. ჯავახი-შვილმა (ივ. XII, 1906, გვ. 426—427). საბუთის დამწერი, — ორბელიანი, — ქვათახევეს „ცათა უნაღლესს“, „დიდებულსა და დიდს უდაბნოს“ უწოდებს. ქვათახევის გუჯრები იხ. Грив. перж. гуджарин, გვ. 88—92; შდრ. П. Поселпани, Жизнь великого моурава..., გვ. 146—156. იხ. აგრეთვე ქვათახევის გუჯარი, „ივერია“, 1902, № 129.

² იოსებ ტფილელი, დიდმოურავიანი, გვ. 18.

³ П. Поселпани. Жизнь великого моурава..., გვ. 127—128.

⁴ კალნასობა, II, გვ. 207.

⁵ იქვე.

⁶ ქვათახევე იხ. П. Поселпани, Жизнь великого моурава..., გვ. 115—160; X. Кессифоитов, Описание Кватахевского монастыря. 1848, ЗКВ, №№ 40—43; ტ. ალექსიშვილი, მონასტერი ქვათახევის ღუთისმშობლის მიძინებისა, „საქართველოს სა-სულიერო მთარბელო“, 1864, III, გვ. 85—89; დ. Бакрадзе, Кавказ в древних памятниках христианства, გვ. 61—62; А. Хахалов, Экспедиции на Кавказ, МАК, VII, 1898, გვ. 61—62; ს. მაკალათია, კავთურას ხეობა, გვ. 4, 9, 28—33; ვ. ბერიძე, ქვათახევი, თბ., 1960.

⁷ ქრონიკები, II, გვ. 198.

⁸ იქვე, გვ. 400—401, 413—415; საქ. სიძველენი, I, გვ. 246—248; ისტ. საბუთები, II, გვ. 42—44.

სხვათა შორის, საბუთებს წერდნენ ქვათახევის სხვა მოღვაწენი: წინამძღვარი რომანოზი¹, კანდელაკი იოანე², ნგალობელი ნიკოლოზი³, წინამძღვარი ზაქარია⁴, დეკანოზი შიო⁵, წინამძღვარი ქრისტეფორე⁶ და ა. შ.

საისტორიო წყაროებში განსაკუთრებით ცნობილია ქვათახევის წინამძღვარი იოანე ავალიშვილი. ძველი საბუთებით მისი ბიოგრაფია შეიძლება ასე წარმოვიდგინოთ: 1595—1600 წლებში ცხოვრობდა სამცხეში, მე-17 საუკუნის დამდეგს მგონი საფარის წინამძღვრად იყო, 1605 წელს უკვე ქართლში ჩანს⁷. 1609 წელს ქვათახევის წინამძღვარია. ამ წელს ქეთევან დედოფლისათვის (წამებულისათვის) გადაუწერია „იბაკონი ღვთისმშობლისანი“. ხელნაწერს შემოუნახავს სათანადო ანდერძი: „ქრისტე ღმერთო, აღიდეგე ორთავე შინა ცხოვრებათა და ამხეგრძელე დედოფალთ-დედოფალი პატრონი ქეთაონ, რომლისა ბრძანებითა აღიწერა წმიდაჲ ესე წიგნი .. ქელითა ფრიად ცოდვილისა ქუათაჲევის წინამძღვრისა ავალისშვილისა იოანესითა“⁸.

ი. ავალიშვილი 1612 წელს ალავერდის მთავარეპისკოპოსია (ამ წელს დაუწერია მას თეიმურაზ პირველის სიგელი ალავერდისადმი)⁹. 1630 წელს ის ქართლის მთავარეპისკოპოსად ჩანს¹⁰, ხოლო 1639 წელს უკვე გარდაცვლილად იხსენიება¹¹.

პროფ. ს. კაკაბაძე ი. ავალიშვილს მიაწერს „ვეფხისტყაოსნის“ ერთი საყურადღებო ნუსხის (H № 2074) გადაწერასა და მოხატვას¹², მაგრამ მისი საბუთიანობა დამაჯერებლობას მოკლებულია. აღნიშნული ხელნაწერი ი. ავალიშვილის გადანუსხული არ უნდა იყოს¹³, ამასთანავე, მხატვრობაში რამდენიმე კაცის ხელი ჩანს¹⁴.

ზოგიერთი მკვლევარის (პ. იოსელიანი, ზ. ჭიჭინაძე) აზრით, ქვათახევის მონასტერში აღიზარდა ცნობილი ქართველი მწერალი იოსებ სააკაძე (XVII ს.).

¹ ისტ. საბუთები, III, გვ. 84—86.

² დოკუმენტები, I, გვ. 171.

³ დოკუმენტები, II, გვ. 46.

⁴ საქ. სიძველენი, II, გვ. 29.

⁵ დოკუმენტები, I, გვ. 291.

⁶ საქ. სიძველენი, III, გვ. 412. იხ. აგრეთვე დოკუმენტები, I, გვ. 160, 278; II, გვ. 42.

⁷ საქ. სიძველენი, III, გვ. 533, 539.

⁸ H № 284, 137v—138r; ხელნაწერთა აღწერილობა (II), I, გვ. 201. შდრ. ქრონიკები, II, გვ. 438; თეიმურაზ ბატონიშვილის წიგნთსაცავის კატალოგი, გვ. 27.

⁹ გ. ჩ ა ჩ ა ნ ი ძ ე, თეიმურაზ I-ის სიგელი 1612 წლისა, მიცემული ალავერდის ტაძრისადმი. „საისტორიო მოამბე“, 1925, I, გვ. 146—154. შდრ. ქრონიკები, II, გვ. 439—440.

¹⁰ საქ. სიძველენი, II, გვ. 539.

¹¹ Переписка на иностранных языках, грузинских царей с российскими государями, от 1639 г. по 1770 г., СПб., 1861, გვ. 8 (ქვემოთ—Переписка).

¹² ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, „ვეფხისტყაოსნის“ 1600 წ. ახლოდროინდელი მხატვრული ხელნაწერი, „საისტორიო მოამბე“, 1924, II, გვ. 152—158. შდრ. მისივე „ვეფხისტყაოსნის“ პრობლემის გარშემო, „საისტორიო მოამბე“, 1924, II, გვ. 124. ამ მკვლევარის მოსახრებას იზიარებს პროფ. ს. მაკლათაიძე (კეთურას ხეობა, გვ. 31).

¹³ ვეფხისტყაოსანი, ი. ა ბ ზ ლ ა ძ ი ს რედაქტორობით, თბ., 1926, გვ. XVII; შ. ა მ ი რ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, შოთა რუსთაველის პოემა „ვეფხისტყაოსანი“ ძველ ქართულ ხელნაწერებში, ენიშვის მოამბე, III, 1938, გვ. 150—151; ს. ი ო ს ე ლ ი ა ნ ი შ ვ ი ლ ი, „ვეფხისტყაოსნის“ ეგრეთ-წოდებული „უძველესი ხელნაწერის“ შესახებ, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, გვ. 3—28; ს. ო ა ი შ ვ ი ლ ი, ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული რედაქცია, გვ. 26—29.

¹⁴ III. А м и р а н и ш в и ლ ი, История грузинского искусства, I, გვ. 284—285.

სამწუხაროდ, სათანადო საბუთი არ ჩანს და ჩვენ არ შეგვიძლია დოკუმენტა-
ლურად დავადასტუროთ აღნიშნული მოსახრების სისწორე¹.

მე-19 საუკუნის დამდეგს ქვათახევის მონასტერში მოღვაწეობდა გამოჩე-
ნილი წიგნობარი იონა ხელაშვილი (გარდ. 1837 წ.). თავის ერთ-ერთ თხზუ-
ლებაში — „რონინში“ იონა მოგვითხრობს, რომ ის შიომღვიმიდან ქვათახევს
ეწვია. მონასტერი კარდახშული დახვდა, ლეკთა შიშით ბერები მიმალულიყ-
ნენ. იქ გაატარა მან სამი წელი. ზაფხულობით ენერგიულად შრომობდა,
ხოლო ზამთრობით ბერთა კრებული იზრდებოდა („ზამთართა შინა აღივსე-
ბოდის სახლი დიდი მონასტრისა“) და იონა სხვებთან ერთად იღვწოდა მო-
ნასტრის საკეთილდღეოდ². იოანე ბაგრატიონის ცნობით, ი. ხელაშვილი ქვა-
თახევიდან გაუდგა გზას საკალმასოდ³.

ნაყოფიერი მუშაკი ყოფილა ზემოხსენებული დოსითეოს ფიცხელაური.
მას უთარგმნია რუსულიდან „სვინაქსარი ოთმშაბათსა განზოგებისასა“⁴, ხო-
ლო რუსულად — ი. გედევანიშვილის ანდერძი⁵. ი. ბაგრატიონის დახასიათებით,
ის იყო „წერილთა შინა გამოცდილი და უბნობათა შინა რიტორი“⁶.

უკანასკნელად უნდა მოვიხსენიოთ მე-19 საუკუნის გამოჩენილი საეკლე-
სიო მოღვაწე ტარასი მესხიშვილი (ალექსიშვილი). ადრე ის პეტერბურგში
მოღვაწეობდა, თეიმურაზ ბატონიშვილთან იყო, შემდეგ საქართველოში დაბ-
რუნდა და ერთ ხანს ქვათახევში დასადგურდა, დამკვიდრდა. როგორც ირკ-
ვევა, ტარასი ფრიად ნაყოფიერი შემოქმედი ყოფილა. მას დაუწერია ორიგი-
ნალური შრომები, უთარგმნია არა ერთი თხზულება, გადაუწერია მრავალი
ძეგლი.

ტ. მესხიშვილმა თარგმნა „წესი თანამდებობათათვის სამრევლოთა მღუ-
დელთასა“⁷, ეფრემ ასურის „წერილნი სულიერ-ყოფაქცევითნი“⁸, სახარების
„ნეტარებათა“ განმარტება⁹, ახალი აღთქმის გეოგრაფიული ლექსიკონი¹⁰,
ვრცელი კატეხიზმო¹¹, იოანე ოქროპირის „სიტყუა მღუდელობისათვის“¹²
და სხე.

ტ. მესხიშვილს, როგორც აღვნიშნეთ, დაუწერია ორიგინალური შრომე-
ბიც. ზოგი მათგანი დაუბეჭდავს კიდეც. მაგალითად, 1864 წელს გამოქვეყნ-

¹ შდრ. გ. ლეონიძე, გამოკვლევები და წერილები, გვ. 86.

² S № 288, გვ. 45—47; ი. ხელაშვილი, რონინი, გვ. 97.

³ კალმასობა, I, გვ. 1, 4, 6, 37, 92, 154, 169 და ა. შ.

⁴ Q № 777, 20r—26r; ხელნაწერთა აღწერილობა (Q), II, გვ. 220.

⁵ თ. ქყონია, ახალი მასალები იონა გედევანიშვილის ბიოგრაფიისათვის, „ლიტე-
რატურული ძიებანი“, II, 1945, გვ. 245; ტ. რუხაძე, ძველი ქართული ლირიკის ისტორი-
იდან, გვ. 214.

⁶ კალმასობა, II, გვ. 207.

⁷ H № 1213. დაიბეჭდა მოსკოვში 1861 წელს (ქართული წიგნი, I, გვ. 109).

⁸ A № 1438. ხელნაწერს წინ უძღვის სია ტარასის ნათარგმნი წიგნებისა (1); ხელნა-
წერთა აღწერილობა (A), IV, გვ. 527—528).

⁹ A № 1450.

¹⁰ A № 927; S № 4968. დაიბეჭდა პეტერბურგში 1824 წელს (ქართული წიგნი, I,
გვ. 96).

¹¹ დაიბეჭდა მოსკოვში 1827 წელს (ქართული წიგნი, I, გვ. 98).

¹² დაიბეჭდა თბილისში 1845 წელს (ქართული წიგნი, I, გვ. 103).

და მისი „მოკლე აღწერა საქართველოს მონასტერთა“¹. ცალკე უნდა აღინიშნოს მისი ორიგინალური თხზულება „ქუყნიერი სამოთხე“, რომელიც მხატვრულ-ლიტერატურული ნაწარმოების შექმნის ცდას წარმოადგენს და ამჟღავნებს ავტორის ინტერესს მხატვრობისადმი².

1825 წელს ტარასის დაუბეკდავს „ქართული ანბანი სასწავლებლად ყრმათა“³. განსაკუთრებით ნაყოფიერად უმუშავია მას ქართულ ხელნაწერთა გამრავლებაზე⁴.

ამრიგად, ტ. მესხიშვილი ქვათახევის ლიტერატურული ტრადიციების გულმოდგინე გამგრძელებელი ყოფილა და გარკვეული წვლილიც შეუტანია ძველი ქართული მწერლობის ისტორიაში⁵.

ქვათახევეში თავის დროზე კარგი ბიბლიოთეკა არსებობდა⁶. ჩვენამდე მოღწეულია რამდენიმე ხელნაწერი იმ ბიბლიოთეკიდან⁷. ზოგიერთი იქაური ხელნაწერი გვაცნობს ქვათახევის უცნობ მოღვაწეთა სახელებს. მაგალითად, გამოკრებილი სადღესასწაულო (არქ. ხელნ. № 442) მოუგია ქვათახევის კანდელაკის ძეს იოანე ხუცესს, პარაკლიტონი (A № 290) ქვათახევეში გადაუნუსხავს პარონ მწერალს და ა. შ.

შ ი ზ ა კ ა თ ი

ფიტარეთის მონასტერი მღებარეობს მდ. ხრამის ხეობაში, თეთრი წყაროდან ოციოდე კილომეტრის დაშორებით. ის ქართული ხუროთმოძღვრების ბრწყინვალე ნიმუშს წარმოადგენს. ვახუშტის განცხადებით, ფიტარეთის ტაძარი არის „შენიერნაშენი, გუნბათიანი“, „შენიერს ადგილს“⁸.

ფიტარეთის სამონასტრო კომპლექსი დროთა განმავლობაში შეცვლილა, მაგრამ მთავარი ტაძარი, შედარებით, ხელუხლებლადაა შემონახული. მის აგებას ქართველ მეომარს, გიორგი მეფის თანამოღვაწეს—ამირეჯიბ ქაეთარ

¹ „საქართველოს სასულიერო მახარებელი“, 1864, VII, გვ. 24—26; VIII, გვ. 36—50; IX, გვ. 72—89; XI, გვ. 132—135. შემონახულია ამ შრომის ქართული (Q № 315) და რუსული (Roz. № 144) ტექსტები.

² S № 1447; „საქართველოს სასულიერო მახარებელი“, 1865, V, გვ. 202—208; ს. ბარნაველი, ტარასი ალექსიშვილის „ქუყნიერი სამოთხე“, აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახ. მუზეუმის მოამბე, XVII-B, 1953, გვ. 251—260.

³ ქართული წიგნი, I, გვ. 96.

⁴ მას გადაუწერია A №№ 286, 288, 299, 312, 323, 325, 326, 343, 348, 354, 373, 374, 375, 377, 663, 938, 1201, 1426, 1428, 1448 და მრავალი სხვა ნუსხა.

⁵ ტ. მესხიშვილზე იხ. ლ. მეღიქსეთ-ბეგი, არქ. მოგზაურობიდან კაეთურის ხეობაში 1923 წელს, თუმ, V, 1925, გვ. 144—145; ტ. რუხაძე, ძველი ქართული ლირიკის ისტორიიდან, გვ. 52—53.

⁶ ქვათახევის ბიბლიოთეკაზე იხ. П. Носслиани, Жизнь великого мурвана..., გვ. 145—146; ქართული ხელნაწერები ქვათახევეში, „დროება“, 1877, № 172; ბ. კიკინაძე, ქვათახევის ბიბლიოთეკა, „დროება“, 1877, № 190; მ. ხელავეცი, საისტორიო მასალა, III, მონასტერი ქვათახევისა, „მწყემისი“, 1885, № 5, გვ. 12—13; უებარი წამალი, „მწყემისი“, 1887, № 19, გვ. 14.

⁷ A №№ 272, 292, 345, 857, 1427, 1430, 1438, 1441; H №№ 182, 281; არქ. ხელნ. № 211 და სხვ.

⁸ აღწერა, გვ. 44.

ქაჯიფაისძეს მიაწერენ. მონასტრის მთავარი ტაძრის წარწერა გვაუწყებს შემდეგს: „ღირს ვიქმენ მე, ქავთარ ქაჯიფაისძე ამირეჯიბი თვთმპყრობელისა, ძლიერის მეფეთ მეფისა გიორგისი, აღშენებად ამის მონასტრისა და საყდრისა დედის ღმრთისა. არაჲ ვისი ჰრთავს თვნიერ ჩემისა ლაშქრისა და ჯრმლითა მოგებულისა. ვიციდენ ტანძიაჲ და თეედორწმიდანი ჩემითავე ჯრმლითა მონაგებითა საფასითა... შევსწირენ მას ყოვლად წმიდასა ღმრთის მშობელსა ფიტარეთისასა“¹.

როგორც ჩანს, ქავთარ ამირეჯიბს „ჯრმლით მოგებულით“ უყიდია ტანძია და თეედორწმიდანი და შეუწირავს ფიტარეთის საყდრისთვის. მეფე, რომლის დროს ამ ფაქტს ჰქონდა ადგილი, ზოგი მკვლევრის აზრით უნდა იყოს გიორგი ბრწყინვალე (აკად. მ. ბროსე, თ. ეორდანი, აკად. ე. თაყაიშვილი), ზოგის აზრით კი გიორგი ლაშა (პ. ზაქარაიძე). ამის მიხედვით ფიტარეთის ტაძარს მე-13, ხან მე-14 საუკუნის პირველი ნახევრით ათარიღებენ. აქვე უნდა აღინიშნოს ერთი გარემოება: ქავთარის წარწერა „კლასიკური ხანის სილამაზეს არ მოგვაგონებს“ და გვიანდელი ხანის წარწერებს ჰგავს. საფიქრებელია, „აღშენება“ პირველად აგებას კი არ ნიშნავდეს, არამედ ადრე აგებული ეკლესიის განახლებას. აკად. ს. ჯანაშია შესაძლებლად სთვლიდა ქავთარ ამირეჯიბის მე-14 საუკუნის დამლევის მოღვაწედ მიჩნევას. ძეგლის ხუროთმოძღვრული ანალიზიდან ჩანს, რომ ფიტარეთი მე-12—13 სს-თა მიჯნის ქართულ ძეგლთა ჯგუფს (ბეთანია, ქვათახევი, წულრულაშენი...) მიეკუთვნება. მაშასადამე, ქავთარ ამირეჯიბი მონასტრის განმანახლებელი ყოფილა და არა ამგები. აკად. გ. ჩუბინაშვილის დაკვირვებით, ქავთარს აუგია არა დიდი ტაძარი, არამედ მინაშენი, საძვალე, რომლის კედელმა შემოგვიინახა ზემოციტირებული წარწერა².

აკად. ს. ჯანაშიას შესაძლებლად მიაჩნდა ქავთარ „ქჯ“ფხსძის“ დაკავშირება ქაჩიბაძეთა გვარეულობასთან. მართლაც, ძნელი არაა „ქაჯიფაისძე“ ვიცნოთ „ქაჩიბაძის“ ვარიანტულ ტრანსკრიფციად³. ასეთ ვარაუდს მხარს უჭერს ის გარემოება, რომ აღნიშნული მხარის (ფიტარეთი — ტანძია — თეედორწმიდანი) მფლობელებად ქაჩიბაძე-ქაჩიბაძეთა შთამომავლები — ბარათაშვილ-ორბელიშვილები ჩანან.

მე-16 საუკუნის პირველ მეოთხედში ფიტარეთი გიორგი ბარათაშვილის სახლს ეკუთვნოდა; 1536 წელს, — ორბელ და იოთამ ბარათაშვილების გაყრის შედეგად, — სოფ. ფიტარეთი და ფიტარეთის საყდარი სანახევროდ ერგო ორბელ ბარათაშვილს⁴. შემდეგში ფიტარეთი წარმოადგენდა ყაფლან ორბელიშვილის საკუთრებას⁵. ეს უკანასკნელი ქართლის მდივანბეგი და სახლთ-

¹ ე. თაყაიშვილი, სომხით-საორბელოს ძეგლების წარწერები, I, „კავკასიონი“, № 1—2, 1929, გვ. 88. წარწერა რამდენჯერმე გამოქვეყნებული (იხ. მაგალითად, ქრონიკები, II, გვ. 177). ქავთარის გვარს სხვადასხვაგვარად კითხულობენ: ქუჯაფაძე (აკად. მ. ბროსე), ქაჯაფაძე ან ქუჯაფაძე (აკად. ე. თაყაიშვილი), ქოტფაძე (თ. ეორდანი), ქაჯიფაისძე (აკად. ს. ჯანაშია).

² Г. Чубинашвили, К вопросу о национальном типе и архитектуре прошлого. „ქართული ხელოვნება“, III, 1950, გვ. 199—200.

³ ს. ჯანაშია, ბარათაშვილთა გენეალოგიისათვის, შრომები, II, გვ. 471—473.

⁴ ს. კაკაბაძე, ბარათანთ გაყრის წიგნი, „საისტორიო მოამბე“, 1924, I, გვ. 183.

⁵ საქ. სიძველენი, II, გვ. 123.

უზუცესი იყო, იღებდა დიდ სარგოს, რაც ძალზე აღიდებდა და ამდიდრებდა. ყაფლანმა დაიწყო ახალი სათავადოს შენება, 61 სოფელი ააშენა და დაასახლა, განაახლა ფიტარეთის საყდარიც, როგორც ამას გვაუწყებს მისი ეპიტაფია, რომელიც ფიტარეთის მონასტრის საფლავის ქვას შემოუნახავს: „ქ. წყალობითა და შეწვევითა ღმრთისათა, მე, ორბელის შეილმა ყაფლან მეორეთ შევამკე მონასტერი ესე და ბარსა და მთაში მტრისაგან გაოჯრებული მკვიდრი მამული ჩემი აღვაშენე, სოფელი ჯა (= 61), და ამას გარეთ შენი მამებარა სოფელი იზ (= 17). ესე ყოველი დაუტევე ძეთა ჩემთა ე (= 5) და დაეეყვიდრე ამასა შინა, ქორონიკონსა ტნთ (= 1671)“¹.

ეპიტაფიაში მოხსენიებული საქმიანობა ყაფლანს ჩაუტარებია 1627—1671 წლებში. ამის შემდეგ ფიტარეთი მტკიცედ დაუმკვიდრდა ორბელიშვილთა ფეოდალურ სახლს, ის ამ გვარეულობის საძვალედ იქცა (ფიტარეთში არიან დაკრძალულნი ყაფლან ორბელიშვილი, მისი ძე პაპუნა — „სომხითის მოურავი, საორბელოს პატრონი“, სულხან-საბა ორბელიანის მეუღლე დარეჯან ბაგრატიონი და სხვანი)².

ფიტარეთი, როგორც აღვნიშნეთ, ორბელიანების საკუთრებას წარმოადგენდა. იქაური მოღვაწენი ორბელიანებს ეხმარებოდნენ და ემსახურებოდნენ, მათ სიველ-გუჯრებსაც წერდნენ. მაგალითად, ცნობილია ორბელიანთა სახლის ნასყიდობის წიგნები (1736 წ.), რომლებიც ფიტარეთის დეკანოზს დაუწერია³.

მე-17—18 სს. მიჯნაზე ფიტარეთში მოღვაწეობდა წინამძღვარი იოზი, რომელსაც იქ მცირეოდენი აღმშენებლობითი საქმიანობაც უწარმოებია, კერძოდ, აუგია მარანი (1696 წ.)⁴.

მე-18 ს. შუა წლებში ფიტარეთში კიდევ იყო წინამძღვარი⁵, ხოლო შემდეგში მტრის მოძალების გამო დაცარიელდა. როგორც ძველ მემბტიანეთა ცნობებიდან ჩანს, ფიტარეთი ლეკებსაც კი დაურბევიათ. პაპუნა ორბელიანის სიტყვით, 1752 წელს „აიღეს ციხე ფიტარეთისა ლეკთა და იავარპყეეს საქონელი ურიცხვი საყდრისა: წაასხეს ტყვე ფრიადი“⁶. ჩანს, გვიანფეოდალურ

¹ ე. თაყაიშვილი, სომხთ-საორბელოს ძეგლების წარწერები, I, „აკეკასიონი“, № 1—2, 1929, გვ. 89; შდრ. გ. ჩიტაია, პიტარეთისა და გუდარების საფლავის ქვები, საქართველოს მუზეუმის მოამბე, III, 1927, გვ. 119.

² გ. ჩიტაია, პიტარეთისა და გუდარების საფლავის ქვები, საქართველოს მუზეუმის მოამბე, III, 1927, გვ. 109—128. ე. თაყაიშვილი, სომხთ-საორბელოს ძეგლების წარწერები, I, „აკეკასიონი“, № 1—2, 1929, გვ. 89—93. მეფე-ბატონიშვილები დაბეჯითებით აღნიშნავდნენ, რომ ფიტარეთი ორბელიანთა საძვალე იყო (ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები, ტექსტი დაადგინა, თარგმანი და შენიშვნები დაურთო ვ. ფუთურაძემ, თბ., 1955, გვ. 327).

³ H № 2511, 12r; საქ. სიძველენი, II, გვ. 388—389. იხ. იქვე, გვ. 380—381. აქვე უნდა დავსძინოთ, რომ ფიტარეთის მოღვაწენი ენერგიულად მონაწილეობდნენ ორბელიანთა სამეურნეო საქმეებშიც (საქ. სიძველენი, I, გვ. 292; II, გვ. 281, 284, 285, 346, 367, 382, 365, 386; დოკუმენტები, I, გვ. 467).

⁴ გ. ჩიტაია, პიტარეთისა და გუდარების საფლავის ქვები, საქართველოს მუზეუმის მოამბე, III, 1927, გვ. 118. ის ასრულებდა არა მარტო მარნის, არამედ საცხოვრებელი და თავდაცვითი შენობის ფუნქციებსაც (პ. ზაქარაია, თავდაცვით ნაგებობებთან მარნის კავშირის საკითხისათვის გვიანი შუასაუკუნეების საქართველოში, საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, XXII, № 6, 1959, გვ. 759—766).

⁵ ვახუშტი, აღწერა, გვ. 44.

⁶ ქართლის ცხოვრება, II (1854 წ.), გვ. 444.

ხანაში ტაძარი ციხედ იყო გადაქცეული (ციხის ზღუდის როლს, ალბათ, გალავანი ასრულებდა).

შემდეგ ხანაში ფიტარეთი სულ გაუქაცრიელდა, უბატრონოდ დარჩენილი საუანე შამბნარმა დაფარა. მიუხედავად ამისა, ძველი ტაძარი დღესაც ინარჩუნებს თავის ღირსებას და ქართული არქიტექტურის პირველხარისხოვან ძეგლად ითვლება¹.

ფიტარეთის მწიგნობართაგან ჩვენთვის ცნობილია წინამძღვარი იობი—ვახტანგ მეექვსისა და სულხან-საბა ორბელიანის თანამედროვე და ახლობელი პირი².

იობ ფიტარელი იყო „სამშროთთა წერილთა შინა გამოცდილი, უცხო მქადაგებელი და მესაძნოე მსმენელთა, მწერლობასა შინა პირველი, და მუსიკობითა ქებული“³. მისი ქადაგებანი მოუსმენია ანტონ პირველსაც⁴.

პ. იოსელიანის ცნობით, იობ წინამძღვარმა თავისი ცხოვრების უკანასკნელი ხანი გაატარა თბილისში, კათოლიკოსის კარზე. აქ მან „კეთილისა შრომითა დაასრულა ცხოვრება თვისი“ (იოანე ბატონიშვილი). იობის გარდაცვალებას 1731 წ. ახლოს დებენ (პ. იოსელიანი, ზ. გულისაშვილი)⁵.

იობ ფიტარელი აქტიურ მონაწილეობას იღებდა ხელნაწერთა გამრავლებაში⁶.

მას ახლო ურთიერთობა ჰქონია სულხან-საბა ორბელიანთან და მისი ლექსიკონის შითვისებაც კი უცდია. საბა ახსენებს იობის დადებით მხარეებს, მაგრამ არც ნაკლსა და სიყალბის ჩადენის მცდელობას ჩქმალავს. დიდი ლექსიკოლოგი წერს: „იყო ტფილისის ქალაქთაგანი წინამძღვარი, სახელით იობ, ჩუენის ეამისა, კეთილად სწავლული, შუენიერი მზრახველი, მექამნე, მეფსალმუნე, კათიამომრეტყველი, მგალობლად ქებული, მწერლად გამოჩენილი, ლოცვა-დაუცადებელი, შეიღეულით მმარხველი, შესაყრელად საყუარელი. ამა სიტყვის კონასა რა ჯელი მივყავ, მგმობდა და მეკიცხოდა. ოდეს გავასრულე, ნახა, მოეწონა და გარდასაწერად ვათხოე და გარდაწერა. სადაც ჩემი სახელი ეწერა, აღმოკოცა. თჳს ნაწერთა შინა და თჳსი სახელი და გარჯილობა დაწერა. ეს დიდად გამიკვირდა: ვით იკადრა მან, სახელოვანმან კაცმან?! „ნუ მიაგებ ბოროტისა წილ ბოროტსაო“. ვინაიღვან ჩემს ქირნა-

¹ ფიტარეთზე დამატებით იხ. Д. Бакрадзе, Кавказ в древних памятниках христианства, გვ. 104—105; А. Хаханов, Экспедиции на Кавказ, МАК, VII, 1898, გვ. 63—64; ზ. გულისაშვილი, დიდებული ფიტარეთის ტაძარი, „ივერია“, 1903, № 167; თ. ყაუხჩიშვილი, ბერძნული წარწერები საქართველოში, გვ. 294—299; პ. ხაქარაია, ფიტარეთი, თბ., 1955; ლ. თამარაშვილი, კვებო ქართლის ისტორიული ძეგლები. ფიტარეთი, გაზ. „საკოლმეურნეო გზა“ (თეთრი წყარო), 6. X. 57, № 119 (2188). იხ. აგრეთვე МА, 1856, II, გვ. 113—116.

² იობ ფიტარელი ჩანს 1696—1730 წლებში (საქ. სიძველენი, II, გვ. 274, 300, 346, 351, 355). 1698 წელს მას დაუწერია ყმის ნასყიდობის წიგნი (დოკუმენტები, I, გვ. 106).

³ კალმასობა, II, გვ. 182.

⁴ წყობილისიტყვაობა, გვ. 278.

⁵ იქვე, შენ. 155. П. Иоселиани. Описание древностей г. Тифлиса, გვ. 159—160.

⁶ იობ ფიტარელმა ვახტანგ ბატონიშვილის დავალებით 1708 წელს გადაწერა პარაკლიტონი (არქ. ხელნ. № 242, 151r—276r). საფიქრებელია, ვახტანგ ორბელიანის დავალებით მან მონაწილეობა მიიღო ძველი ალექსის წიგნების გადაწერაშიც (H № 835). მისივე გადაწერილი უნდა იყოს ოთხთავი (Q № 326).

ხულში მან ჩემი სახელი არ ჩაურთო და თავისი დაწერა, მე ჩემს პირნახულში მისი ქება ამისთვის დაწერე. ესე ამისთვის ვიჩიველ¹.

როგორც ჩანს, იობ ფატარელს ბოროტად გამოუყენებია საბას ნაცნობობა და მისი ნაწარმის მისაკუთრება უცდია. თავისდათავად საგულისხმოა ის ფაქტი, რომ სულხან-საბა ორბელიანი, ანტონ პირველი და იოანე ბატონიშვილი იობ ფიტარელს წარმოგვიდგენენ ჩინებულ მწერლად. სამწუხაროდ, სათანადო მასალას ჩვენამდე არ მოუღწევია და იობის ლიტერატურულ საქმიანობაზე საუბარი ჯერჯერობით შეუძლებელია².

ფიტარეთის მონასტერს ჰქონდა ბიბლიოთეკა, რომელიც მდიდრდებოდა შეწირულებით. მაგ., ცნობილია სახარება (A № 517), რომელიც ასლან ორბელიანიშვილმა და მისმა მეუღლემ თამარ დიასამიძემ 1673 წელს დაამზადებინეს იესე ბედისმწერლიშვილს და შესწირეს ფიტარეთის საყდარს³.

ცნობილია ფიტარეთის ძლისპირები (Q № 298) — გადაწერილი მე-17 საუკუნეში ფიტარეთის ძველ საგალობელთა კრებულიდან. მასში შემონახულია ნევემატური ნიშნები, რომელთაც ძველი ქართული სანოტო სისტემის შესწავლისათვის დიდი მნიშვნელობა აქვთ⁴.

მ ძ მ ვ რ ე თ ი

ტაოში საკმაოდ გამაგრებულ პუნქტს წარმოადგენდა ფანასკერტი. იქ „კლდესა ზედა“ არსებობდა „დიდშენი, მაგარი“ ციხე, რომელშიც ტაოელი ერისთავები ისხდნენ⁵. იკაური ფეოდალური სახლი, ფანასკერტელთა გვარეულობა, ქართველ მეფეებს ერთგულებდა და მათ პოლიტიკას ატარებდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მნიშვნელოვან სექტორში. როდესაც სამცხე ბაგრატიონთა სამეფოს ჩამოსცილდა, სარგის ჯაყელმა ტაოც დაიპყრო და ტაოს ერისთავი სამცხის ათაბაგს დაუმორჩილა. ფანასკერტელთა სახლის ერთმა შტომ ტაოში დარჩენა შეუძლებლად მიიჩნია და ქართლს გადმოვიდა. ფანასკერტი დაეცა, მისი ციხე განადგურდა⁶.

ფანასკერტელთა ქართლს გადმოსახლება მე-14 საუკუნის მეორე ნახევრით თარიღდება. 1467 წელს ქართლში უკვე ჩანს გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე, ზაზა ფანასკერტელი. საფიქრებელია, ყვარყვარე ათაბაგის გამარჯვების შემდეგ ზაზას, ქართველი მეფის ერთგულ დიდებულს, მე-

¹ სიტყვის კონა, გვ. 11—12. ს. ბარნაველი, სულხან-საბა და წინამძღვარი იობი, „ლიტერატურული გახეთი“, 28. VIII. 59, № 35 (1153).

² იობ ფიტარელს ხშირად მიიჩნევენ საგალობელთა ავტორად (II. Иоселиани, Критика истории грузинской церкви, გვ. 131; შ. ჯანაშვილი, საქართველოს საეკლესიო ისტორია, გვ. 135; პ. კარბელაშვილი, ქართული საერო და სასულიერო კილოები, გვ. 76).

³ Опис. рукописей (A), II, გვ. 67—68.

⁴ ხელნაწერთა აღწერილობა (Q), I, გვ. 311—312; გაბეკელევი, გვ. 224. იხ. აგრეთვე ე. გვანარია, იოანე ბაგრატიონის პირველი ქართული მუსიკალური ნიშნების შესასწავლი სახელმძღვანელო (XVIII ს) და „კრებების ნუსხა“, „საბჭოთა ხელოვნება“, 1958, № 5, გვ. 53.

⁵ ვახუშტი, აღწერა, გვ. 138.

⁶ ე. თაყაიშვილი, არქეოლოგიური ექსპედიცია კოლა-ოლთისში და ჩანგლში 1907 წელს, პარიზი, 1938, გვ. 70—72.

ქურქლეთუხუცესს¹, ტაოში არ ედგომებოდა და ის ქართლს დამკვიდრებულა. 1467 წელს მას კონსტანტინე მეფემ (1478—1505) წყალობის წიგნი უბოძა (Hil № 11587), რომელშიც საგანგებოდ აღნიშნავდა: „თქუენი მკვლარი მამული დასთმეთ და ჩუენად საერთგულოდ მოხუედით“, ჩვენ გიბოძეთ „ქუედურეთს ორბოძლელისეული მამული“, ქვახერელი, უფლისციხე, კარალეთი და ა. შ.²

ქართლში მიღებული მამული ზაზა ფანასკერტელმა თანდათანობით გააფართოვა, განამტკიცა და იქ ჩამოაყალიბა ახალი ფეოდალური სახლი, ახალი სათავადო, რომლის ტერიტორია დროთა განმავლობაში ხვედურეთიდან ნიზბისის ხეობამდე გადაიჭიმა (მტკვრის მარჯვენა მხარეს). ზაზამ ენერგიულად იწყო თავისი სათავადოს მშენებლობა, სოფლების გაშენება და დასახლება. მან მცირე აღმშენებლობითი სამუშაო სოფ. ყინწისის ეკლესიაშიც ჩაატარა³.

ახალი სათავადოს შექმნისა და განმტკიცების გამო ზაზა დიდი პატივით სარგებლობდა და კრძალვით იხსენიებოდა; „დიდი ფანასკერტელი ციციშვილი პატრონი ზაზა“, — ასე იხსენიებს მას მე-16 საუკუნის დოკუმენტი⁴. შექმნილი ვითარების გამო მისმა მემკვიდრეებმა ახალი საგვარეულო სახელი მიიღეს და ციციშვილებად იწოდნენ, ხოლო სათავადოს საციციანო ეწოდა⁵.

საციციანო საკმაოდ ძლიერ ფეოდალურ ერთეულს წარმოადგენდა, მისი ცენტრი მძოვრეთი (ამჟამად სოფ. ორთუბანი, ქაჯელის რაიონში) იყო.

ვახუშტის ცნობით, „ძამაზუნდ არს მძორეთი, მცირე ქალაქი. მოსახლენი სომეხნი, ურიანი. ციხე არს ნალალს კლდესა ზედა ნაშენი. ამ ციხის ქვეშ სასახლე ციციანთა“⁶.

ზოგიერთი ცნობით, იქ ჯერ კიდევ ადრეულ ხანაში არსებობდა ციხე-ქალაქი. ყოველ შემთხვევაში, ქართული ფეოდალური მონარქიის ძლიერების ხანაში იქ ქალაქის არსებობა საკამათო არ უნდა იყოს⁷. მე-15 საუკუნეში ის აღუდგენია და განუახლებია ზაზა ფანასკერტელს. მასვე აუგია სასახლე,

¹ ე. თაყაიშვილი, არქეოლოგიური ექსპედიცია კოლა-ოლთისში და ჩანგლში 1907 წელს, პარიზი, 1938, გვ. 62—63.

² დ. გვრიტიშვილი, ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 121—122. უჯანსკნელ წლებში გამოთქმული მოსახრებით, ახალი სათავადოს თავდაპირველი რეზიდენცია, თითქოს, სამწევრისში ყოფილა (პ. ხაქარაია, საციციანოს XVI—XVIII სს. ციხე-სიმაგრეები, საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, XIX, № 6, 1957, გვ. 767—774). იხ. აგრეთვე დ. ბერძენიშვილი, ფანასკერტელთა ფეოდალური საგვარეულოს ისტორიიდან, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, I, 1960, გვ. 95—111.

³ ვახუშტი, აღწერა, გვ. 58, 224; თ. ყაუხჩიშვილი, ბეჰნული წარწერები საქართველოში, გვ. 188—190; III. А х и р а в а ш в и л и, История грузинского искусства, I, გვ. 191—192. ყინწისში დატეულია ზაზას ფრესკაც.

⁴ ქრონიკები, II, გვ. 347; ისტ. საბუთები, II, გვ. 29.

⁵ ფანასკერტელები ციციშვილებად იწოდებიან 1520 (ქრონიკები, II, გვ. 347; ისტ. საბუთები, II, გვ. 29), 1536 (H № 1698, 131v) და მომდევნო წლებში. იხ. აგრეთვე ნ. ბერძენიშვილი, ფეოდალური ურთიერთობიდან XV საუკუნეში, მასალები საქ. და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 1, 1937, გვ. 51, 67—68.

⁶ აღწერა, გვ. 58.

⁷ ნ. ბერძენიშვილი, ერთი უძველესი საბაქოს ადგილმდებარეობისათვის საქართველოში, საქართველოს სახ. მეზემის მოამბე, X-II, 1940, გვ. 17—22; III. М е с х и ა, П о р о ბ ა и г о р о დ კ ა ი ს ი ს ტ რ ი ი ქ ი ს დ ა ჰ ს ი ი ს I რ უ ა ი ს, გვ. 45, 99 (შდრ. იქვე, გვ. 96—97, 117, 128).

ციხე-კოშკები და სხვ. დღემდე შემორჩენილია თანასკერტელ-ციციშვილთა რეზიდენციის ნაშთი--სასახლის, ქარვასლის, აბანოებისა და ციხის ნანგრევები. აღრიხდელ ნაგებობას იქაური მეპატრონენი გვიან ხანამდე იყენებდნენ¹. აღმშენებლობით საქმიანობაში ზახას არ ჩამორჩებოდა მისი ვაჟი შერაბიძე².

საციციანო ხშირად გამხდარა მტრის დარბევის ობიექტი³, მაგრამ იქაურ მოსახლეობას მოუხერხებია ბრძოლაში მიღებული იარაღების მოშუშება და ფეხზე წამოდგომა. ერთი ცნობით, თითქოს, ისეთი პერიოდიც კი ყოფილა, როდესაც 4 წლის განმავლობაში „არც ხენა იყო, არცა თესვა, არცა ეცხლი ანთებულა, არც კალო გაღეწილა და არც მამალს უყვილია“⁴. მიუხედავად აღნიშნულისა, საციციანო საუკუნეთა მანძილზე მძლავრ სათავადოს წარმოადგენდა და აქტიურ მონაწილეობას იღებდა ქართლის პოლიტიკურ-ეკონომიურსა თუ კულტურულ-საზოგადოებრივ ცხოვრებაში⁵.

საციციანო ჩვენს ყურადღებას იპყრობს არა მხოლოდ ისტორიული წარსულითა და ხუროთმოძღვრებისა და მხატვრობის შედეგებით⁶, არამედ მდიდარი კულტურულ-ლიტერატურული ტრადიციებით, რომელთაც სათავედოს დაარსებიდანვე ვამჩნევთ.

საციციანოში მწიგნობრული ინტერესები აღრეული ხანიდანვე შეინიშნება. ლიტერატურულ ასპარეზზე მოღვაწეობდა ზემოდასახელებული ზაზა თანასკერტელ-ციციშვილი. მის სახელთანაა დაკავშირებული ერთი ძვირფასი ხელნაწერი კარაბადინი (ღ № 877), რომელიც მიკვლეულ იქნა ქ. გორაკის სახელმწიფო არქივში 1945 წელს⁷. მის მინაწერებში იხსენიება „ზაზა მკურნალი“, „ზაზა თანასკერტელი ბრძენთმთავარი“ (კარაბადინი ძირითადად

¹ ამ პუნქტის სახელწოდებას სხვადასხვაგვარად წერენ: ზოგეთი (ფ. გორგიჯანიძე), მძორეთი (ვახუშტი), მძოვრეთი (პ. ორბელიანი) და ა. შ. ჩვენ უკანასკნელი ვიჩინეთ. მძოვრეთზე იხ. II. Иоселиани, Города, გვ. 52—53; П. Макарая, Некоторые подробности крещенных сооружений Шидра Карели XVI—XVIII вв., აკად. ს. ჯანაშიას სახელობა საქართველოს სახ. მუზეუმის მოამბე, XIX-A და XXI-B, 1957, გვ. 173—174, 236; მისივე, საქართველოს საერო ხუროთმოძღვრების ძეგლები, გვ. 26—27; მ. შენგელთა, ზახასული სსახლე. „ლიტერატურული გაზეთი“, 31. X. 58, № 41 (1110). გარკვეულ ინტერესს იწვევს პროფ. ს. მაკალათიას წიგნაკი: „ძამის ხეობა“ (თბ., 1961).

² ნ. სევეროვი, სამწევრისი, „ქართული ხელოვნება“, II, 1948, გვ. 1—6; გ. ჩუბინაშვილი, მასალები სამწევრისის ტაძრის შესწავლისათვის, იქვე, გვ. 12—26; მისივე, ქართული ხელოვნების ისტორია, I, გვ. 179—182 შდრ. ზ. მანისურაძე, ქართული შორენკეების საკითხისათვის, „ქართული ხელოვნება“, III, 1950, გვ. 206—207.

³ მაგალითად, თათარხანის მხედრებმა (1609 წ.) „დაწვეს და დადაგეს საციციანო“ (ქართლის ცხოვრება, II, გვ. 387).

⁴ დ. გვრიტიშვილი, ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 131.

⁵ იქვე, გვ. 121—131, 172—173, 269—270, 438—449.

⁶ ძველი საციციანოს მატერიალური კულტურის დიდებული ნაშთი ახლაც საოცარ შთაბეჭდილებას ახდენს მნახველზე (კ. ჯავრიშვილი, ვახუშტის კვლადაკვალ, „ლიტერატურული გაზეთი“, 9. VIII. 57, № 32 (1046); ლ. გოთუა, ვახუშტის გზა-კვლით—აბუხალომდე, „ახალგაზრდა კომუნისტი“, 27. VIII. 57, № 103 (6363); მისივე, მგზავრული კრიალოსანი, გვ. 122—128).

ძველი წერილებიდან დამატებით იხ. ი. ციციშვილი, საციციანოს მთა და მისი არქეოლოგიური ნაშთები. „კვალი“, 1897, № 8, გვ. 171—174.

⁷ თ. ჭყონია, გორაკის ოლქში აღმოჩენილი ქართული სიძველენი, „ლიტერატურული ძიებანი“, IV, 1948, გვ. 255—287.

გადაწერილია მცხეთის ქადაგის მახარებელ მალალაძის¹ მიერ №479—1505 წლებში). ჩანს, ზაზა სახელმწიფოებრივ მოღვაწეობასთან ათავსებდა და აკავშირებდა მეცნიერულ-ლიტერატურულ საქმიანობასაც. ის უბრალო მოტრფიალე კი არაა მწერლობისა, არამედ დიდი მეცნიერით, კარაბადინის გადაწყვეტი საგანგებოდ გახაზავს ზაზას ღრმა განსწავლულობასა და დიდ მეცნიერულ ცოდნას.

ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილი მედიცინის კარგი მკოდნე და შესანიშნავი მკურნალია, ის მშობლიური მედიცინის განვითარებაში გარკვეული წვლილის შემტანია². ზაზას მეცნიერულ ინტერესს ამოწმებს ის ფაქტიც, რომ მას შეუქრებია და ერთ წიგნად გადაუწერიანებია იოანე ოქროპირის სწავლანი (H № 1674)³.

ქართული ლიტერატურის ისტორიაში საკმაოდ ცნობილი პირია ნოდარ ციციშვილი, ვაგი ძლიერი და გავლენიანი ფეოდალის, როსტომ მეფის დაუცხრომელი მოწინააღმდეგის ფარსადან ციციშვილისა⁴. 1641 წელს ნოდარიც მონაწილეობდა როსტომის წინააღმდეგ მიმართულ შეთქმულებაში⁵. დამარცხების შემდეგ ნოდარმა როსტომს დედა მიუგზაუნა და სამცხეს წასვლის ნება სთხოვა. მეფის ნებართვით ის ერთ ხანს გაეცალა ქართლს და სამცხეს გადავიდა⁶. როსტომისავე მეფობაში ნოდარი დაბრუნდა ქართლში და მეფეს ერთგულება აღუთქვა და მორჩილებას დაჰპირდა. როსტომმაც „შეიწყალა და საციციანო მისი ნაქონი მასვე უბოძა“⁷. 1653 წელს ის კიდევ ცოცხალია. მემატინით, ამ დროს ვახტანგ მუხრანბატონმა (— შემდეგში მეფე ვახტანგ მეხუთემ) მას ასული სთხოვა თავისი ვაჟის— არჩილისათვის⁸. საფიქრებელია, ნოდარ ციციშვილი 1658 წელს გარდაიცვალა⁹. დაკრძალულია მძოვრეთში¹⁰.

¹ ცნობილია მის მიერ 1477—1492 წლებში დაწერილი საბუთები (ქრონიკები, II, გვ. 306, 309—310; საქ. სიძველენი, II, გვ. 475—476; III, დამატება, გვ. 16—18; ისტ. საბუთები, II, გვ. 20—23; III, გვ. 41—42).

² ზაზა ფანასკერტელი, სამკურნალო წიგნი (კარაბადინი), მ. სააკაშვილის რედაქციით, თბ., 1950; ზაზა ფანასკერტელი-ციციშვილი, სამკურნალო წიგნი (კარაბადინი), ტექსტი დაამუშავა გამოსაცემად, გარკვევები და ლექსიკონი დაურთო მ. შენგელიამ, თბ., 1959.

³ ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილი ცნობილია მე-16 საუკუნეშიც. „წელითა ფანასკერტელისა ციციშვილისა სახლისუხუცესისა ზაზასითა“ დაწერილია სვიმონ მეფის სიგელი 1558 წლისა (ისტ. საბუთები, III, გვ. 65—67; შდრ. H № 2513, 7).

⁴ ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, გვ. 32. ზოგი ცნობით, ერთ ხანს ის ქართლსაც კი მართავდა (ა. ფურცელაძე, გიორგი სააკაძე და მისი დრო, თბ., 1911, გვ. 192, 198).

⁵ ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, გვ. 37—41; ქართლის ცხოვრება, II, გვ. 422. საქ. სიძველენი, III, გვ. 69. იხ. აგრეთვე მოჰამედ თაქერის ცნობები საქართველოს შესახებ, ტექსტი, თარგმანი და შენიშვნები ვ. ფუთურაძისა, მასალები საქ. და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 30, 1954, გვ. 381.

⁶ ქართლის ცხოვრება, II, გვ. 422; ფ. გორგიჯანიძის ისტორია, გვ. 41.

⁷ ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, გვ. 43.

⁸ იქვე, გვ. 55, 60, 65.

⁹ იქვე, გვ. 60, 65.

¹⁰ M. Brosset, Rapports, III, გვ. 98. 5. ციციშვილი გვხვდება მე-18 საუკუნეშიც (საქ. სიძველენი, II, გვ. 300—301; დოკუმენტები, I, გვ. 256, 275; II № 2830, 72; Sd № 256).

ნ. ციციშვილი აეტორია ფრიად პოპულარული თხზულების „ბარამგურ-რიანისა“¹. ეს ნაწარმოები წარმოადგენს აღმოსავლეთში გავრცელებული და ლიტერატურულად გაფორმებული (ნიზამი განჯელი, დეკლავი, ნავოი...) ამბის ქართულ გადამუშავებას. მართალია, ნ. ციციშვილი აღმოსავლურ თხზულებებს იყენებდა, მაგრამ საკმაოდ უცვლიდა სახეს თავის ორიგინალს, აძლევდა სხვა იერს და ანიჭებდა რამდენადმე განსხვავებული რედაქციის ფორმას. ნ. ციციშვილს „ბარამგურიანი“ დაუწერია 1655 - 1656 წლებში².

მე-17 საუკუნის მოღვაწე ჩანს ნანუჩა (მანუჩარ) ციციშვილი³. ზ. ჭიჭინაძე მას 1670 წლის მოღვაწედ და როსტომ მეფის თანამედროვედ მიიჩნევდა⁴, რაც რასაკვირველია, მცდარია. სხვა არა იყოს რა, 1670 წელს როსტომი კარგა ხნის მკედარი იყო. საგულისხმოა ის გარემოება, რომ მამუკა მდივანი მე-17 საუკუნის მეორე მეოთხედში მას წარსული დროის მწერლად იხსენიებს. საფიქრებელია, ნანუჩა მე-17 საუკუნის პირველი ნახევრის მოღვაწე იყოს. ის მგონი იხსენიება ამ საუკუნის მეორე ათეულში⁵.

ნანუჩა ციციშვილი „ეფეხისტყაოსნის“ ერთ-ერთი ინტერპოლატორია. მის შესახებ ცნობებს გვაწვდის არჩილი:

ნანუჩას რუსთელის ნათქვამში ბევრი რამ ჩაურევია,
საბრალოს ვერ შეუწყვია, წმინდა რამ აუმღერევია,
მასთან რას სწერდა მისს ლექსსა, სირგვენე მით მორვეია!
რუსთველი სიბრძნის ტბა არის, არცა თუ იგ მორვეია⁶.

არჩილი არაა კარგი შეხედულებისა ნანუჩას ლიტერატურულ მოღვაწეობაზე; ის ემიჯნება მას და რამდენადმე დაცინვის ტონითაც კი იხსენიებს:
კარგადა ვთქვა ყველაკაი, არ მგონია ვნანუჩაო⁷.

¹ A №№ 664, 86C; H № 932; S № 4529. ნო დ ა რ ც ი ც ი შ ვ ი ლ ი, შვიდი მთიები (ბარამ-გური), პროფ. კ. კეკელიძის რედაქციით, გამოკლევით და ლექსიკონით, თბ., 1930.

² ნ. ციციშვილზე იხ. Ошк. рукописей (S), II, გვ. 525—539; ი. აბულაძე, ბარამგურიანი (ახალი ხელნაწერი), „სახალხო გაზეთი“, 1913, № 818; მისივე, ძველი ლიტერატურის ძეგლი, „მნათობი“, 1936, № 10—11, გვ. 240—255; კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, II^ა, გვ. 394—406; მისივე, „ბარამგურიანის“ ნოველათა სიუჟეტური პარალელები ქართულ ფოლკლორში, ეტიუდები, II, გვ. 81—86 (იხ. აგრეთვე „შვიდი მთიების“ წინასიტყვაობა, გვ. I—XXXIV); დ. კობიძე, „ბარამგურიანის“ მეზუთე ნოველის ლიტერატურული წყაროს შესახებ, საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, V, № 9, 1941, გვ. 955—958.

³ ნანუჩა ციციშვილად პირველად მიიჩნია აკად. მ. ბროსემ (იხ. „ეფეხისტყაოსნის“ 1841 წლის გამოცემის წინასიტყვაობა, გვ. XIV).

⁴ ზ. ჭიჭინაძე, ქართული მწერლობა და ქართველი მწერლები მეჩვიდმეტე და მეთვრამეტე საუკუნეებში, გვ. 15.

⁵ საქ. სიძველენი, II, გვ. 60.

⁶ არჩილიანი, II, გვ. 3.

⁷ იკვე, გვ. 5. ნანუჩას მდარე პოეტად მიიჩნევა თეიმურაზ ბაგრატიონი: „დიხ ცუდი პაიტიკოპი ბრძანებულაო“ (გ. იმედაშვილმა, თეიმურაზ ბაგრატიონის რუსთველოლოგიური ცდანი, „ლიტერატურული ძიებანი“, V, 1949, გვ. 175—176).

საგულისხმოა, რომ, მიუხედავად არჩილის ასეთი შეხედულებისა, ნანუჩას მოქმედება საზოგადოებაში შეწყნარებული და მოწონებული ყოფილა; ნანუჩა ზოგჯერ ქებასაც კი იმსახურებდა (მაგ., მამუკა მდივანი ნანუჩას „ტკბილის სიტყვით მკობელს“ უწოდებდა)¹. ამ ფაქტით აღელვებული არჩილი გულისტკივილით წერდა: „რუსთველს არ ვიტყვი, ნანუჩას რისთვის აქებთ და მე არა“².

როგორც ხელნაწერთა ანალიზით ირკვევა, ნანუჩას რამდენიმე სტროფი ჩაურთავს საკუთრივ პოემის ტექსტში, ხოლო 11 სტროფი მიუმატებია აეთანდრის ანდერძისათვის³.

საყურადღებო პიროვნებაა მე-17 საუკუნის მოღვაწე ზაზა პაპუნას ძე ციციშვილი. ის ქართლის სამეფო კარზე საკმაოდ დაწინაურებული დიდებულის იყო, სარდლობა და სახლთუხუცესობა ეპყრა. მისი დაკვეთითაა გადაწერილი „ვეფხისტყაოსნის“ ერთი ძვირფასი ხელნაწერი, რომელიც, ზაზასეული ნუსხის სახელითაა ცნობილი⁴. აღნიშნული ხელნაწერი პოეტ-აკადემიკოს გ. ლეონიძის დაკვირვებით 1661—1664 წლებშია დამზადებული⁵.

ციციშვილთა სახლიდან ცნობილი არიან სხვა პირებიც, რომლებიც გამოდიოდნენ ხელნაწერთა გამრავლების, განახლების, გაცხოველებისა და შეკვრის ინიციატორების როლში. ასე, მაგალითად, ქაიხოსრო ზაალის ძე ფანასკერტელ-ციციშვილის ბრძანებით 1538 წელს აწყურში გადაუწერიათ მარხვანი (H № 1698)⁶. ფარსადან ფანასკერტელის თანამშეცხედრის, გულდამ შალიკაშვილის მიერაა შემკული 1543 წელს გადაწერილი ოთხთავი (H № 2806,⁷; „ფანასკერტელ-ციციშვილის სარდლის პალატ-უხუცის“ პაპუნას ძის ზაალის (-ვეფხისტყაოსნის“ მომგებლის ძმის) და მისი მეუღლის მარიამ ამირეჯიბის ბრძანებით 1661 წელს გადაუწერიათ ეამნ-გულანი (H № 342)⁸; ფარსადან ნოდარის ძე ციციშვილმა ნათანაელ ბედისმწერლიშვილის მიერ გადაწერილი სახარება შესწირა „ცხოველს ჯვარს“ (არქ. ხელნ. № 318)⁹; როდამ ციციშვილმა, —ამილახორის მეუღლემ,—1709 წელს იესე ჩხებიტს გადააწერინა ცხოვრება ანდრია სალოსისა და იოანე მოწყალისა და შესწირა შიომღვიმეს (არქ. ხელნ. № 312). უკანასკნელად უნდა მოვიხსენიოთ ერეკლე მეორის

¹ შაჰ-ნამეს ქართული ვერსიები, I, თბ., 1916, გვ. 2.

² არჩილიანი, I, გვ. 221.

³ ვეფხისტყაოსანი, ს. კაკაბაძის რედაქტორობით, თბ., 1913, გვ. 244—245 (სტრ. 1742, 1—11). ნანუჩაზე იხ. კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, II, გვ. 367—369.

⁴ Q № 1082.

⁵ გ. ლეონიძე, გამოკვლევები და წერილები, გვ. 187—208; კ. კეკელიძე, რუსთველოლოგიური შტუდიები, ეტიუდები, IV, გვ. 10—15.

⁶ ხელნაწერთა აღწერილობა (H), IV, გვ. 122—123.

⁷ ხელნაწერთა აღწერილობა (H), VI, გვ. 195—196; ქრონიკები, II, გვ. 356.

⁸ ხელნაწერთა აღწერილობა (H), I, გვ. 252—255; ეთაყაიშვილი, საისტორიო მასალები, II, გვ. 49.

⁹ ფარსადან ნოდარის ძე ციციშვილი იხსენიება 1697 წლის საბუთში (ქრონიკები, II, გვ. 516. იხ. აგრეთვე გვ. 511). ის ხემოხსენებული პოეტის ვაჟი უნდა იყოს.

შეილიშვილი, თბილისის შოურაეი, პოეტი ევსტათი დავითის ძე ციციშვილი (გარდ. 1828 წ.)¹ და მისი ვაეი, ცნობილი პოეტი და მთარგმნელი დავით ევსტათის ძე ციციშვილი². აქ აღარას ვამბობთ რუსეთში მოღვაწე დიმიტრი, პავლე და სხვ. ციციშვილებზე.

მ უ ხ რ ა ნ ი

მუხრანი მდებარეობს მცხეთის რაიონში, მდ. ქსნის მარცხენა ნაპირზე³. ძველად ის საქართველოს სამეფო გვარეულობის — ბაგრატიონთა ერთი შტოს სამეკიდრო იყო. იქაური სათავადო (—სამუხრანბატონო) ჩამოყალიბდა მე 16 საუკუნის დასაწყისში. თავისდათავად ეს იყო ქართლის პოლიტიკურ-ეკონომიური დასუსტების შედეგი და ცენტრალური ხელისუფლების მარცხი⁴.

მე-16 საუკუნის დასაწყისში ქართლის მდგომარეობა საკმაოდ გართულდა. ქართლის ძეუეს დავით მეათეს (1505—1525) უჭირდა სახელმწიფოს მმართველობისთვის თავის გართმევა. მან ეერ შესძლო კახეთის შემოერთება-შემომტკიცება, რის გამოც მას უსაყვედურებდა უმცროსი ძმა ბაგრატი, რომელმაც მეუეს „გამოსთხოვა მუხრანი საუფლისწულოდ და არაგვისა და ქსნის-ქვენი მთიულ-მოხვეიართ თქსსა მორჩილებასა ქვეშე, რომელი არს მიერთ-გან ერთ სასპასპეტოდ ანუ სადროშოდ“ (ვახუშტი)⁵.

¹ ე. ციციშვილი იყო „კაცი წერილთაცა შინა დახელოვნებულნი“ (პ. იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, გვ. 200, 253); მისი პოეზია (S № 1512) თავის დროზე დიდად პოპულარული იყო (ბარბარე კობულაშვილის ცნობები ზოგიერთ ისტორიულ პირთა და სომხით-საბარათიანოს აობრების შესახებ, „საისტორიო კრებული“, IV, 1929, გვ. 118). ევსტათი რუსეთში წაჰყვა თავის ბიძას ანტონ მეორეს და ამ უკანასკნელის გარდაცვალებ. მდე მისი „სახლთუბუცესის მოვალეობას ასრულებდა (პ. კარბელაშვილი, იერარქია საქართველოს ეკლესიისა, გვ. 194—202). ცნობილია კდევე მეორე ევსტათი ციციშვილი (გარდ. 1767 წ.), რომელსაც მოსკოვში დაუწერია „ისტორიული და ტოპოგრაფიული აღწერილობა საქართველოსი“ (Н. Н о в и к о в, Опыт исторического словаря (1772). Издраннне произведешя, М.—Л., 1951, გვ 363; Е. Б о л х о в и т и н о в, Словарь русских счетехих писателей, соотечественников и чужестраннов, писавших в России, II, М., 1845, გვ. 240).

² ლ. ასათიანი, ვოლტერიანობა საქართველოში, თბ., 193¹, გვ. 79—88. რასაკვირველია, „კალმასობაში“ (I, გვ. 5—9) მოხსენიებულია არა ეს პიროვნება (შდრ. „მნათობი“, 1934, № 7—8, გვ. 345—346; მასალები საქ. და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 23, 1944, გვ. 164, შენ 15; „მიმომზილეული“, I, 1949, გვ. 437), არამედ სხვა ციციშვილი; პროფ. ვ. დონდუას დაკვირვებით, ნიკოლოზ მდივანბეგი (И о ш и н Б а г р а т и о ш и, К а л м а с о б ი, или Хождение по сбору. Перепод с грузинского, шведские и комментарии В. Д о н д у а, Т., 1945, გვ. 201).

³ მუხრანი (მუხნარი) „ქართლის ცხოვრებაში“ ძალზე ხშირად იხსენიება (ქართლის ცხოვრება, I, გვ. 43, 55, 109, 150, 202, 270, 311; II, გვ. 296, 303, 305, 308, 373, 392, 405 და მრავალი სხვ.). იხ. აგრეთვე ი. დოლიძე, გიორგი ბრწყინვალის სამართალი, თბ., 1957, გვ. 103.

⁴ სამუხრანბატონოს წარმოქმნის ვითარება არსებითად გასხვავდება სხვა სათავადოთა წარმოქმნის პირობებისაგან. მართალია, ის, როგორც ყველა სხვა სათავადო, კონკრეტულ-ისტორიულ პირობებში წარმოიქმნა, მაგრამ ის წარმოადგენდა არა რომელიმე დიდუბლის სამოხელეო სარგოს, არამედ უშუალოდ სამეფო მამულის ნაწილს. მის გამონაყოფს. სამუხრანბატონოზე იხ. დ. გვრიტიშვილი, ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 102—109, 167—170, 191—193, 358—385.

⁵ ქართლის ცხოვრება, II (1854 წ.), გვ. 17. შდრ. ქართლის ცხოვრება, II (1959 წ.), გვ. 352, 433, 488.

ბაგრატიმა სამეფო მამულიდან მიიღო საუთლისწულო ნაკვეთი და საფუძველი ჩაუყარა მუხრანბატონთა სახლს. ამ ფაქტს 1512 წელს ჰქონდა ადგილი. ახალი სათაფადო მალე საკმაოდ გაძლიერდა და დიდ ტერიტორიაზე გადაიქიმა. ვახუშტის ცნობით, „საზღვარი მუხრანისა არს ძეგვის-წყლიდამ დიღმის იწრომდე. არამედ აწ აღმოსავლით მზღერის არაგვი, სამკრით მტკეაოი, ჩრდილოთ ციხე ბოდავისა და ტინის მთა, დასავლით გორა ოკამისა, სამკრითკენ გარდაკრილი ხაზი შავ-ტყესა და წლევისა კასპის ბოლომდე“¹.

ბაგრატი ენერგიულად შეუდგა თავის სათაფადოს მართვას. მან იწყო მზადება ავ-გიორგის წინააღმდეგ საბრძოლველად, განაახლა და გაამაგრა ქსნის ციხე²; ის აქტიურად მონაწილეობდა ქართლის პოლიტიკურ ცხოვრებაში, ებრძოდა ავ-გიორგის და სხვა³.

ცნობილი ქართველი მწერალი სერაპიონ სოგრატის ძე საბაშვილი ასე აჯამებს ბაგრატის საქმიანობას:

ბაგრატ ვნახე, მარანას ჯდა, მუხრანს შექნა ნადიმობა;
კეცყო საყდართ აშენება, დაიჭირა ბატონობა;
ძველი ტახტი განაახლა, ჰპოა ღვთითა მორკმეულობა⁴.

როგორც ვახუშტის ზემოციტირებული სიტყვებიდანაც ჩანს, უკვე პირველი მუხრანბატონი ხელმძღვანელობდა სადროშოს, რომელიც სამუხრანბატონოს გარდა აერთიანებდა ქსნისა და არაგვის საერისთავოებსაც. ასე, რომ, მუხრანბატონი მთელი ამ მხარის მეთაურის როლში გამოდიოდა და აქტიურად მონაწილეობდა ქართლის ცხოვრებაში.

სამუხრანბატონოში ხშირად ძალზე მძიმე მდგომარეობა იქმნებოდა: შემოჭრილი მტერი იქ ბინადვებოდა და იქიდან უტევდა ქართველობას, უმოწყალოდ არბევდა და ანადგურებდა სოფლებსა და მოსახლეობას.

თუ როგორ ნადგურდებოდა და უკაცრიელდებოდა იქაური სოფლები, კარგად ჩანს არა მხოლოდ მემპრტიანეთა თხრობიდან, ან იმდროინდელი საბუთებიდან, არამედ სამუხრანბატონოს ციხე-სიმაგრეების წარწერებიდანაც. მაგალითად, თეიმურაზ მეორის სახლთუხუცესის, განთქმული სარდლის კონსტანტინე მუხრანბატონის მიერ აგებული მკადისჯვრის ციხის (1746 წ.) წარწერაში აღნიშნულია: „ოდეს ეამთა ქცეულებისაგან... მოოხრებულიყო ქვეყანა ქართლისა ლეკთაგან, თვინიერ ციხეთა არსადა ეგებოდა გება კაცთა არცა

¹ აღწერა, გვ. 60.

² პ. ზაქარაია, ქსნის, მკადისჯვრის და მუხრანის ციხე-სიმაგრეები, აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახ. მუხუშუმის მოამბე, XVIII-B, 1954, გვ. 132—141, 156—159; მისივე, საქართველოს საერო ხუროთმოძღვრების ძეგლები, გვ. 24—26. პ. ზაქარაია ბაგრატს მიაწერს ქსნის ციხის აგებას, რაც, რასაკვირველია, შეცდომაა (დ. გვირიტიშვილი, დასახ. შრომა, გვ. 360).

³ ბაგრატ მუხრანბატონი ხშირად გვხვდება „ქართლის ცხოვრებაში“. იხ. ქართლის ცხოვრება, II, გვ. 350—352, 433, 489—490 და სხვ. შდრ. ი. ჯაფარიშვილი, ქართველი ერის ისტორია, IV, გვ. 222—226, 235, 238.

⁴ შაჰ-ნაშეს ქართული ვერსიები, II, გვ. 90—91. იხ. აგრეთვე I, გვ. 411—412. პროფ. ს. კაკაბაძის აზრით, აქ ბაგრატ მეფე იგულისხმება („ვეფხისტყაოსნის“ პრობლემის გარშემო, „საისტორიო მოამბე“, 1924, I, გვ. 161—163; მისივე, საისტორიო ძიებანი, გვ. 88, 117). ეს მცდარი მოსაზრება დღეს საბოლოოდ უარყოფილია (კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, II¹, გვ. 327—329; ა. ბარამიძე, ნარკვევები, II, გვ. 72—74).

თუ ერთსა სოფელსა და დაბაცა ესე ოხერქმნილიყო, რომელ არარასა ცნობილ იყო თუცაღა სოფელსა ამას პირველ შენობა ყოფილიყო... - იმავე კონსტანტინეს მიერ აგებული მეორე ციხის (1756 წ.) წარწერაში გვითხულობთ: „ოდესაცა მტერნი უსჯულონი მძლავრობდნენ ქვეყანასა ქართლისასა, ადგილითი-ადგილად მოოჭრებულ იყო სოფელნი და დაბანი და ესეცა... მკვიდრთაგან თვისთა ცარიელ იყო და მიმოდებულ იყვნენ მოსახლენი ამისნი“¹.

მიუხედავად აღნიშნულისა, სამუხრანბატონოს დიდხანს არ დაუქარგავს თავისი ადრინდელი მნიშვნელობა და ძლიერება და ქართლის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სათავადოდ დარჩა რუსეთთან საქართველოს შეერთებამდე.

მუხრანში ლიტერატურული ტრადიცია საკმაოდ ძალისა ყოფილა. იქ მწიგნობრულ-საგანმანათლებლო მუშაობა ადრეული ხანიდან, სათავადოს და-არსებიდანვე გაჩაღებულია. იქაურ პირველ მწერლად ბაგრატი მუხრანბატონი გვევლინება.

როგორც ცნობილია, ლუარსაბ პირველის (1534—1558) გამეფების ახლო ხანში, ზოგიერთი ცნობით, 1539 წელს², ბაგრატი ბერად შედგა. ამის შემდეგ მან ხელი მიჰყო ლიტერატურულ საქმიანობას, კერძოდ, დაწერა პროზაული თხზულება „მოთხრობაჲ სჯულთა უღმრთოთა ისმაილიტთაჲ“ („მოთხრობა სჯულთა უღმრთოთა მაჰმადიანთა, გამოკრებული და სიტყვს-საგებელი ქრისტიანთა მიერ, ქმნილი ბატონისშვილის ბაგრატისაგან“)³. მასში დაგმობილია მაჰმადიანთა რჯული, გაკრიტიკებულია ამ სარწმუნოების აღმსარებელი საზოგადოებრიობა. ბაგრატის თხზულება მე-17 საუკუნეში გალექსა ი. დუმბაძემ. მე-18 საუკუნეში ანტიმაჰმადიანურ ტრაქტატში ზოგი რამ ჩამატეს ინტერპოლატორებმა⁴.

ბაგრატი მუხრანბატონი ენერგიულად იბრძოდა სამშობლოს პოლიტიკური და კულტურულ-სარწმუნოებრივი დამოუკიდებლობისათვის როგორც იარაღით, ისე კალმით. როგორც ჩანს, ის სხეებსაც მოუწოდებდა მწიგნობრულ-საგანმანათლებლო საქმიანობისაკენ, სხეებსაც ავალებდა ხელნაწერთა გამრავლებას. მაგალითად, მისი „ბრძანებითა და საფასით“ გადაიწერა თვენი (H № 76)⁵.

ლიტერატურული საქმიანობით დაინტერესებული იყვნენ მუხრანბატონთა სახლის სხვა წარმომადგენლებიც. ასე, მაგალითად, სახლთუხუცესმა თემურაზ კონსტანტინეს ძე მუხრანბატონმა (XVII ს.) გადააწერინა თვენი

¹ პ. ზაქარაია, კსნის, მკადისჯვრის და მუხრანის ციხე-სიმაგრეები, აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახ. მუზეუმის შოამბე, X\III-B, 1954, გვ. 160—163; მისივე, კსნის ხეობის ციხე-სიმაგრეები, აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახ. მუზეუმის შოამბე, XVI-B, 1950, გვ. 168—174. იხ. აგრეთვე მისივე, საქართველოს საერო ხეროთმოდგრების ძეგლები, გვ. 33—34 (შდრ. Q № 821, ყდის წარწერა).

² ქართლის ცხოვრება, II (1854 წ.), გვ. 23. შდრ. ქრონიკები, II, გვ. 527.

³ A №№ 186, 1087; S №№ 126, 1288, 1338, 1358; H №№ 137, 186, 486, 226!; Q №№ 91, 300, 336.

⁴ Н. Марр, Из книги царевича Баграта о грузинских переводах духовных сочинений в героической повести „Дареджаваниан“, ИАН, X, № 2, 1899, გვ. 233—246.

⁵ ბაგრატიზე დამატებით იხ. ხ. ჭიკინაძე, ქართული მწერლობა მეცამეტე საუკუნეიდან მეთექვსმეტე საუკუნემდე, გვ. 27; А. Х а х и ш и, Очерки, III, გვ. 323; კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, II¹, გვ. 16—17, 337—338.

(Δ № 21)¹; მუხრანბატონის შეიღმა ნიკეთორემ 1704 დაამზადებინა სახარება-აპრაკოსის ხელნაწერი (Q № 897)²; ცალკე უნდა მოვიხსენიოთ ერეკლე მუხრანბატონის ვაეი ჩამუკა, რომელსაც 1724–1725 წწ. ხელთ ჰქონდა წანჩათის ეამნ-გულანი (H № 1452), რომელზეც საინტერესო ცნობები მიაწერა. უალრესად საგულისხმოა მისი სიტყვები: „საქართველოს დარბაისელნი: მუხრანისბატონი, არაგვის ერისთავი, ქსნის ერისთავი, ამილახვარი... ერთმანეთის მტერნი და მოჭიშნნი იყვნენ, არც ერთმანეთს ასვენებდნენ და არც ქეყანასა და ამით მტერმა უფრო ძალა წამოატანა და დაჩაგრა. თორემ თუ ამათ ერთი პირი ქონებოდათ, ვერცა რას უზამდენ, ვერცა რას სხვა მტერი წაართმევდათ რასმე. ამათი საქმე ნიადაგ ასე ერთმანეთის მესისხლეობით გათავებულა და წამკდარა, მაგრამ ამ საქმეს არც (მოკლებიან) და არც მოუშლიათ“³.

კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობაში მონაწილეობას იღებდნენ მუხრანბატონთა სახლის მანდილოსნებიც. აქ პირველ რიგში უნდა მოვიხსენიოთ უკანასკნელ წლებში გამოვლენილი პოეტი ქალი, კონსტანტინე მუხრანბატონის მეუღლე ბარბარე⁴ (—ასული ბარძიმ არაგვის ერისთავისა)⁵. ხელნაწერებს ამრავლებდა მუხრანბატონის ასული, „საქართველოს მეფის სძალი“ ქეთევანი (Q № 821)⁶.

ფრიად ნაყოფიერი მწიგნობარი ყოფილა გრიგოლ იოანეს ძე ბაგრატიონ-მუხრანელი. მას დაუწერია დიმიტრი ბაგრატიონის ქება⁷. ცნობილია მისი ავტობიოგრაფიული თხზულება „გრიგოლიანი“ (S № 531; H № 2547). უწერია მას სხვა ლექსებიც (S №№ 1512, 2455, 3670). მასვე ეკუთვნის „მოთხრობა ივერიისათვის“. ერთი მისი თარგმანი რუსულიდან („ქეშმარიტნი ისტორიულნი დამტკიცებანი ნამძღვმყოფობისა ქრისტესნი ქუეყანასა ზედა“) 1819 წელს სტამბურადაც დაიბეჭდა⁸.

აქ არაფერს ვამბობთ მუხრანბატონთა სახლის იმ წარმომადგენლებზე, რომელთა საქმიანობა ქართლ-კახეთის სამეფო კარზე წარიმართა (გიორგი XI, არჩილი, ლევანი, ვახტანგ ლევანის ძე და სხვ.).

¹ Опис. рукописей (A). I, გვ. 23—24; ქრონიკები, II, გვ. 487, 528.

² ხელნაწერთა აღწერილობა (Q), II, გვ. 306. იხ. აგრეთვე Опись памятников древности в некоторых храмах и монастырях Грузии, составленная проф. Н. Кондаковым. Груз. надписи прочтены и истолкованы Д. Бакрадзе, СПб., 1890, გვ. 160—161.

³ Е. Ткач и Ш. Вилли, Капчаотский „жам-гулани“ и исторические приписки его князю, СМОНПК, XXIX, 1901, გვ. 135—136. მამუკას სიტყვებიდან ნათლად ჩანს, რომ ქართველთა ნაწილს კარგად ჰქონია შეგნებული მისი უბედურების მიზეზი, მაგრამ, ცხადია, მდგომარეობის სირთულის შეგნება საქმარისი არ იყო. მდგომარეობას გამოსწორება სჭირდებოდა, სამისო ძალა კი იმხანად არავის შესწევდა.

⁴ ბარბარე, დედა სახლთუხუცეს იოანე მუხრანბატონისა, გარდაიცვალა 1790 წელს. დაქრძალულია სვეტიცხოვლის ტაძარში (А. Натроев, Мухом и его собор Святи-Цховесаи, გვ. 329).

⁵ ტ რ უ ხ ა ძ ე, უცნობი პოეტი ქალები, „ლიტერატურული საქართველო“, 24. I. 41, № 4 (136); მისივე, ძველი ქართული ლირიკის ისტორიიდან, გვ. 150—152; გ. შ ი ქ ა ძ ე, ძველი საქართველოს პოეტი ქალები, „ლიტერატურული გახეთი“, 21. X. 55, № 42 (952).

⁶ ეს უნდა იყოს ერეკლე მეორის ვაეის ვახტანგის მეუღლე.

⁷ დ. ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი, წამება ქეთევან დედოფლისა, სპბ., 1819, გვ. 1—3.

⁸ ქართული წიგნი, I, გვ. 90.

ქართლის შუაგულში ძველთაგანვე მნიშვნელოვან პუნქტს წარმოადგენდა ქ. გორი. საუკუნეთა მანძილზე ის ფრიად სერიოზულ, ზოგჯერ გადამწყვეტ როლსაც კი ასრულებდა ქართლის პოლიტიკურ ცხოვრებაში. გორისათვის ბრძოლა ხშირ შემთხვევაში ქართლის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ერთ-ერთი ძირითადი ნაწილი იყო.

მნიშვნელოვანი ადგილი ექირა გორს ქვეყნის ეკონომიურ ცხოვრებაშიც: ფეოდალურ საქართველოში ის ვაჭრობის ერთ-ერთ ცენტრს წარმოადგენდა. მაგრამ გორი იყო არა მხოლოდ სავაჭრო გზათა თავსაყარი და ძალზე გამაგრებული სამხედრო-თავდაცვითი ციტადელი, არამედ კულტურულ-შემოქმედებითი მუშაობის მძლავრი კერა¹.

ჩვენთვის ცნობილია მრავალი მწიგნობარი გორის კულტურულ-საგანმანათლებლო კერიდან. იქაურ კულტურულ-ლიტერატურულ ტრადიციებზე აღზრდილი ზოგიერთი მწერალი სხვაგანაც ეწეოდა ნაყოფიერ საქმიანობას. მოღწეული მასალებით გორელ მწიგნობართა მოღვაწეობას მე-17 საუკუნიდან ვეცნობით. როგორც ჩანს, ეს საქმიანობა გვიან ხანამდე გრძელდებოდა².

ქართული კულტურის ისტორიაში საკმაოდ ცნობილია მემატიაწე ფარსადან გორგიჯანიძე — „განსწავლული კაცი ქართულსა და სხვათა აღმოსავლეთისა ენათა ზედა, მრავალთა დროთა და საქართველოვსა და სხვათადასხვათა შემხვეულებათა დამსწრი. საქართველოსა მეფეთაგან და სპარსეთისადაცა ქარსა ზედა პატივეცემული“³. თეიმურაზ ბაგრატიონის წიგნსაცავის კატალოგის ცნობით, ის ყოფილა „ქართლისა ქალაქისა გორიდან“⁴; დაბადებულა 1626 წელს.

ფ. გორგიჯანიძე ქართლში როსტომ მეფის წყალობითა და ხელის შეწყობით დაწინაურდა, შემდეგ 40 წლის მანძილზე სპარსეთში მოღვაწეობდა, ემიკალასად იყო. იქვე მიიღო მაჰმადიანობა (ისქანდერ მუნში), ერთ ხანს ისპაანას ტარულობაც დაიმსახურა⁵. გარდაცვლილა 1696 წლის ახლოს.

ფ. გორგიჯანიძე მრავალმხრივი მოღვაწე ყოფილა. მის კულტურულ-ლიტერატურულ მემკვიდრეობაში განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს საისტორიო ხასიათის შრომა, რომელშიც გადმოცემულია საქართველოს ისტორია ადრეული ხანიდან მე-17 საუკუნის მიწურულამდე⁶; ეწეოდა ის მთარგმ-

¹ გორზე მრავალფეროვანი ლიტერატურა არსებობს. უკანასკნელი წლების შრომებიდან აღსანიშნავია: დ. გ ვ რ ი ტ ი შ ვ ი ლ ი, გორის ისტორიიდან, თბ., 1947; მ ი ს ი ე ვ ე, გორის წარსულიდან, თბ., 1951; მ ი ს ი ე ვ ე, გორის ისტორია, თბ., 1954.

² ი. ბ ა ლ ა ხ ა შ ვ ი ლ ი, ლიტერატურული და რეოლოგიური წიგნები გორში, თბ., 1940.

³ თ ე ი მ უ რ ა ზ ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი, ისტორია დაწყებითგან ივერიისა. ესე იგი გიორგისა, რომელ არს სრულიად საქართველოვსა, სპბ., 1848. გვ. 294.

⁴ თეიმურაზ ბატონიშვილის წიგნთსაცავის კატალოგი, გვ. 43.

⁵ იქვე შდრ. მოჰამედ თაქერის ცნობები საქართველოს შესახებ, ტექსტი, თარგმანი და შენიშვნები ვ. ფ უ თ უ რ ი ძ ი ს ა, მასალები საქ და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 30, 1954, გვ. 386—387.

⁶ აღნიშნული ნაშრომი სრული სახით გამოცემული არაა. პირველი ნაწილის ნაწყვეტი გამოაქვეყნა აკად. ა. ბარამიძე („ლიტერატურული ძიებანი“, I, 1943, გვ. 102—106). შესამე ნაწილის დასასრული და მეოთხე ნაწილი — პროფ. ს. კაკაბაძემ (ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, თბ., 1926), მხოლოდ მეოთხე ნაწილი — პროფ. დ. ჩუბინაშვილმა (ქართლის ცხოვრება, II (1854 წ.), გვ. 517—569).

ნელობით საქმიანობასაც, კერძოდ, უთარგმნია მაჰმადიანთა სამარტლის წიგნი—„ჯამი აბასი“¹; პრაქტიკული მიზნებისათვის შეუდგენია პოლიგლოტური ლექსიკონი². ცნობილია მისი სხვა შრომებიც („ოსმალეთის ხელმწიფეთა ამბავი“ და სხვ.)³.

ფ. გორგიჯანიძეს დაუწერია ლექსები⁴, გაუმრავლებია ხელნაწერები⁵ და ა. შ. ყოველივე აღნიშნული მას ერთობ მნიშვნელოვან ადგილს უმკვიდრებს ქართული კულტურის ისტორიაში⁶.

გორიდან, ხითარაშვილების გვარეულობიდან იყო ცნობილი პოეტი ფეშანგი, რომლის შესახებ ჩვენ ზემოთ უკვე ვისაუბრეთ⁷.

მე-18 საუკუნის პირველი ნახევრის გორელ მოღვაწეთაგან ცნობილია პაპისტური ლიტერატურის წარმომადგენელი დავით ტულუქაშვილი, რომელმაც განათლება რომში მიიღო და შემდგომში იქვე განაგრძო მუშაობა (გარდ. 1734 წელს).

დ. ტულუქაშვილს ეკუთვნის „საქრისტიანო მოძღვრება“, რომელიც რამდენჯერმე დაიბეჭდა⁸. მასვე უკავშირებენ მეორე კატეხიზმოსაც—„საქრისტიანო მოძღვრება მოკლედ დარიგებული მარტვლთათვის“⁹. უთარგმნია მას აგრეთვე თომა კემუელის „ქრისტეს თანაშედეგობა“¹⁰. დ. ტულუქაშვილმა ქართველთა შორის პირველმა დაიცვა დისერტაცია და მოიპოვა სათანადო ხარისხი¹¹.

მე-18 საუკუნის პირველ ნახევარშივე მოღვაწეობდა გიორგი გორელი—კაკაბანთ ავთანდილაშვილი გეორჯ ვარდაპეტი. როგორც მისი ხელნაწერი მემკვიდრეობიდან ჩანს, ის ვანის ტბის კუნძულის ერთ-ერთ მონასტერს შეფარებულია და იქ უწარმოებია კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა. ჩვენამდე მოღწეულია გიორგი გორელის როგორც ორიგინალური, ისე თარგმნილი შრომებიც¹².

¹ S № 174; გახმეული, გვ. 52—53; ხელნაწერთა აღწერილობა (S), I, გვ. 191—193; P. O p e a u. P y z. p y k o n i s e n I B A H C C C P, I, გვ. 113—114.

² მ. ჯანაშვილი, ფარსადან გორგიჯანიძე და მისნი შრომანი, გვ. 29—72; ფ. გორგიჯანიძე, ქართულ-არაბულ-სპარსული ლექსიკონი, გამოსცა ე. ფუთურაძემ, თბ., 1941.

³ მ. ჯანაშვილი, ფარსადან გორგიჯანიძე და მისნი შრომანი, გვ. 72—78 და შმდ.

⁴ ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, გვ. 20, 53.

⁵ გადაუწერია მას „როსტომიანის“ ერთი ნუსხა. მასვე გაუღესავეს პროზაული სათაურები და რედაქციული ჩაღბი გაუკრავს ტექტისათვისაც.

⁶ ი. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 284—298; კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, II⁴, გვ. 544—545.

⁷ „შაჰნავაზიანის“ წინასიტყვაობა, გვ. XVI—XVII (= გ. ლეონიძე, გამოკვლევები და წერილები, გვ. 15—17)

⁸ ქართული წიგნი, I, გვ. 42—43, 74.

⁹ იქვე, გვ. 43. ამ საკითხზე იხ. A. A б р а м ш в и л я н, Из истории грузинского книгопечатания за пределами Грузии. Книга (Исследования и материалы), III, М., 1960, გვ. 266—268.

¹⁰ H №№ 434, 594, 3133; Q №№ 235, 488, 493, 513, 541 და სხვ.

¹¹ მ. თაძარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 343—346. იხ. აგრეთვე ხ. კიკინაძე, უმთავრესი მიზეზები საქართველოს მიმართ რომის ყურადღებისა და გორელი პატრი ტულუქაშანთ დავითა, თბ., 1898.

¹² Arm. № 45; H № 2809; Q № 368. ლ. შელიქსეთ-ბეგი, გიორგი გორელი—უცნობი ქართველი და სომეხი მწერალი XVIII საუკუნის პირველი ნახევრისა, საქართველოს სახ. მეზღუდის მოამბე, X-IX, 1940, გვ. 89—122.

მე-18 საუკუნის მეორე ნახევრისა და მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის მოღვაწეა პოეტი სტეფანე ფეშანგიშვილი. მისი ლექსები შრავალ ხელნაწერშია მოთავსებული¹. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ლექსი, რომელშიც ავტორმა გამოხატა ის სულიერი ტკივილი, რომელიც ქართველმა საზოგადოებამ განიცადა 1795 წლის შემოდგომაზე. როგორც ჩანს, სულ ახალგაზრდა, 22 წლის კაბუკმა, ძალზე მგრძობიარედ განიცადა კრწანისის ველზე დატრიალებული ტრაგედია და თბილისის ბარბაროსული დარბევა ალა-შაჰმადხანის ველური ურდოების მიერ².

ძველ გორელ კალიგრაფთა წარმომადგენელია დიმიტრი ოქროაშვილი (ოქროაძე), რომელიც ახალი ნუსხების დამზადებაზე ინტენსიურად მუშაობდა 1811—1835 წლებში. მას ხელნაწერები გაუმრავლებია როგორც გორში (H №№ 23, 347)³, ისე მოსკოვში⁴, რიაზანში (S № 5314), პეტერბურგსა (H № 258) და სხვაგან⁵.

არსებობდა გორის კულტურულ-ლიტერატურულ ტრადიციებზე აღიზარდა მწიგნობარ თუმანიშვილთა მთელი თაობა: თავის დროზე უაღრესად პოპულარული პოეტი დიმიტრი (გარდ. 1821 წ.)⁶, რომლის ერთი ლექსი ა. პუშკინსაც კი გაუცენია⁷; „მოყვარე მწიგნობრობისა და მწერლობისა“⁸, პოეტი

¹ S №№ 21, 1543, 1576; H №№ 935, 2130, 2559, 2732 და სხვა. ზოგიერთი მათგანი ადრეც დაიბეჭდა „ისიკარში“, „კრებულსა“ და „ველში“. უკანასკნელი გამოცემები: ი. ბაღაშვილი, გორელი პოეტი სტეფანე ფეშანგიშვილი, თბ., 1942, გვ. 21—56; ტ. რუხაძე, ძველი ქართული ლირიკის ისტორიიდან, გვ. 204—211.

² სხვათა შორის, თბილისის დაცემას გამოეხმაურნენ როგორც სომხები (ლ. მელიქსეთ-ბეგი, საქართველოს ისტორიის წერილობითი წყაროების პუბლიკაციები, გვ. 291—293, 304; ვ. ნალბანდიანი, თბილისი ძველ სომხურ მწერლობაში, თბ., 1959, გვ. 148—171. საკითხი სრულად განიხილა პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგმა სომხურ შრომაში: ანონიმი ისტორიკოსის ახლად აღმოჩენილი ნაშრომი თბილისის აოხრების შესახებ 1795 წელს, სსრკ მეცნ. აკად. სომხეთის ფილიალის შობამე, 1941, № 3—4), ისე აზერბაიჯანელებიც (И. Ф. Едиев, Историческое содружество азербайджанского и русского народов в его отражении в азербайджанской классической литературе (XII—XVIII вв.), УЗ АГУ им. С. М. Кирова. Публцинтарпж серия, 1956, № 6, გვ. 21).

³ საქართველოს სსრ სახ. ლიტერატურული მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობა, I, „ლიტერატურის მატრიანე“, წიგნი 5, ნაკვეთი II, 1949, გვ. 47.

⁴ იქვე, გვ. 58—59.

⁵ H №№ 206, 220, 228, 346; არქ. ხელნ. № 532 და ა. შ. დ. ოქროაშვილს მიაკუთვნებენ ერთ შრომას—„ქართულისა პოეზიისათჳს“ (ქართული პოეტიკის ქრესტომათია (XVIII—XIX სს.), გ. მიქაძის რედაქციითა და შენიშვნებით, თბ., 1954, გვ. 58—61, 259. შდრ. ტ. რუხაძე, გაშიფრული ანონიმი ავტორები, „ლიტერატურული გახეთი“, 21.XI.56. № 35 (1000).

⁶ S №№ 1512, 1516, 1543. 1635-ბ, 2385, 3686, 3723; A № 1164; H №№ 101, 2130, 2543, 2685; არქ. ხელნ. №№ 386, 495; Q № 851 და სხვ. დ. თუმანიშვილი, ლექსები, მ. ხელთუბნელის რედაქციით, თბ., 1938; ტ. რუხაძე, ძველი ქართული ლირიკის ისტორიიდან, გვ. 171—186.

⁷ გ. ლეონიძე, ა. პუშკინი და დიმიტრი თუმანიშვილი. „ქართული მწერლობა“, 1929, № 8—9, გვ. 112—114; მისივე, ა. პუშკინი და ქართული სიმღერა. კრებული: „ა. პუშკინი საქართველოში“, თბ., 1938, გვ. 133—135; მისივე, საქართველოში ა. პუშკინის ყოფნის გამო, იქვე, გვ. 203.

⁸ პ. იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, გვ. 240, 264.

და. მეცენატი გიორგი (1744—1837 წ.)¹; მისი ძმა—პოეტი და კალიგრაფი დავითი²; გორის პირველი ისტორიკოსი³, ნაყოფიერი მთარგმნელი, პოეტი და პოლემისტი ავთანდილი (დაიბადა 1795 წ.)⁴ და სხვ.

გორში ძველი ძეგლების გადაწერა გრძელდებოდა მე-19 საუკუნეშიც (H №№ 58, 164, 950; Q №№ 324, 484; არქ. ხელნ. № 283 და სხვ.).

შ ე ნ ძ ი ა

მე-15 საუკუნეში ქვემო ქართლის ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა მძლავრი სათავადო—საბარათიანო, რომელიც თანდათანობით გაიზარდა და მე-16 საუკუნის დასაწყისისათვის მაშაერის, ქციისა და ალგეთის ხეობებს მოიცავდა. სათავადოს ცენტრს წარმოადგენდა სამშვილდე, სადაც ბარათაშვილთა უფროსი იჯდა. ამ ახალი ფეოდალური სახლის შვილები სხვადასხვა კუთხეში ცხოვრობდნენ. შემდგომ ხანაში, — ბარათაშვილთა გაყრის საფუძველზე, — მათ ცალკე, დამოუკიდებელი სათავადოებიც ჩამოაყალიბეს (საგოსტაშაბიშვილო, საზურაბიშვილო, საიარალიშვილო, საგერმანოზიშვილო და ა. შ.).

1536 წელს იოთამ და ორბელ ბარათაშვილების გაყრის შედეგად წარმოიქმნა ორი სათავადო — საიოთამიშვილო და საორბელო ან საორბელიშვილო. ეს უკანასკნელი ფეოდალური სახლი გამოეყო რა ძირითად გვარეულობას, შეუდგა დიდი სათავადოს შენებას. მე-17 საუკუნის ნახევრიდან ორბელიშვილთა სახლი ძლიერდება და სომხით-საბარათიანოში წამყვან ადგილს იკერს. განსაკუთრებული წვლილი ამ ახალი სათავადოს ზრდა-განვითარებაში მიუძღვის ყაფლან ორბელიშვილს (იხ. ფიტარეთი). ამის საფუძველზე სათავადოს საყაფლანიშვილო ეწოდა.

საყაფლანიშვილო ძალზე დიდ ტერიტორიაზე იყო გადაკიმული (ქციის, ზურტაკერტისა და დმანისის ხეობები, ტაშირი...)⁵. მასში შედიოდა სოფ.

¹ მისი ლექსები, რომელთაც მრავალ ხელნაწერში ვხვდებით, სხვადასხვა დროს გამოაქვეყნეს პროფ. დ. ჩუბინაშვილმა, აკად. ა. ბარამიძემ და სხვ. უკანასკნელად დაბეჭდა დოც. ტ. რუხაძემ (ძველი ქართული ლირიკის ისტორიიდან, გვ. 186—193). მოღწეულია მის მიერ შეესებულ „ვეფხისტყაოსნის“ ერთი ნუსხა (H № 1079. ა. ბარამიძე. შოთა რუსთაველი, გვ. 321—322). ცნობილია მისი დაკვეთით დამზადებული ხელნაწერებიც (მაგალითად, S №№ 103, 105, 106, 170, 1511, 1512; H № 302).

² ტ. რუხაძე, ძველი ქართული ლირიკის ისტორიიდან, გვ. 194—195. დავითის გადაწერილია H №№ 382—384, 388—390, 392—398 და სხვა ნუსხები.

³ Описание грузинского города Гори, СПб., 1816.

⁴ ცნობილია მისი ლექსები (H № 2130, S № 3686 და სხვ. ტ. რუხაძე, ძველი ქართული ლირიკის ისტორიიდან, გვ. 193—194). თარგმნიდა ის რუსულიდან ქართულად („ლეონრაფია და ბუნებითი ისტორია ასურეთისა“—H №№ 388, 1004, 2171), აგრეთვე ქართულიდან რუსულად (Р. О р е з и. Л'р у з. рукописи ИВ АН СССР, I, გვ. 59—60, 69—70).

⁵ ს. ჯანაშია, ბარათაშვილთა გენეალოგიისათვის, შრომები, II, გვ. 464—481; გ. ჯამბურია, ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან (სომხით-საბარათიანოს სათავადოები), თბ., 1955; დ. გერიტიშვილი, ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 132—144, 173—175, 449—458.

ტანძია¹, რომელიც ყაფლან ორბელიშვილის შვილთა „სამკვიდროს“ წარმოადგენდა².

როგორც აღენიშნეთ, ტანძია მე-14 საუკუნეში უყიდა ქავთარ ამირეჯიბს და ფიტარეთის ტაძრისთვის შეუწირავს. ამის შემდგომ ხანაში ტანძია ბარათაშვილთა მფლობელობაშია. მე-16 საუკუნის დამდეგს ის გიორგი ბარათაშვილის სახლს ეკუთვნოდა³, ხოლო შემდეგში ორბელ ბარათაშვილისა და ყაფლან ორბელიშვილის შთამომავლებს დაუმკვიდრდათ.

იმ პერიოდში, როდესაც ტანძიას ყაფლანის შვილები ფლობდნენ, იქ მწიგნობრულ-საგანმანათლებლო საქმიანობაც გაჩაღებულა.

ყაფლანის ოჯახიდან რამდენიმე პირი შეემატა ქართლის პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივსა თუ კულტურულ-ლიტერატურულ ცხოვრებას. განსაკუთრებით აღსანიშნავია ვახტანგ ორბელიშვილი (ზოგ საბუთში ასე იხსენიება: ბარათაშვილ-ორბელიშვილი, ყაფლანიშვილი...)—დიდი თავადი და დაწინაურებული მოხელე. 1676 წ. მან მიიღო მდივანბეგობა „ქართლისა, ქალაქისა, საბარათაშვილოსა, სომხითისა და თათრისა“. შეთქმ მას „სამართლის ქნა“ დაავალა⁴. ვახტანგი ძალზე ცდილობდა თავისი სამფლობელოს გაზრდასა და განმტკიცებას, მამულების შეძენასა და ყმათა მომრავლებას. ამ მიზნით ყიდულობდა მამულებს: 1677 წელს იყიდა ზემობოლნური მამული, 1678 წელს შიომ ბარათაშვილის წილი მამულები შეიძინა სოფ. ღორისთავსა და ჯალდამს, ხოლო მომდევნო წლებში სხვა ბარათაშვილთა წილიც შეისყიდა; 1685 წელს მან მამულები შეიძინა სოფ. კრეშში, ასევე სოფ. თაფანსა და სხვ.⁵

ვახტანგ ორბელიშვილმა ტანძიაში საკმაოდ დიდი კულტურულ-ლიტერატურული ტრადიციების ოჯახი შექმნა. ნათქვამის საილუსტრაციოდ საკმარისია მოვიგონოთ, რომ მის ოჯახში აღიზარდნენ მისი სახელოვანი შვილები:

¹ სოფ. ტანძია მდებარეობს ბოლნისის რაიონში, ცენტრიდან 15 კილომეტრის დაშორებით. ის შეფენილია ლამაზ ფერდობზე და ამაყად გადმოსცქერის არე-მარგს. იხ. კ. ჯ ა ე რ ი შ ვ ი ლ ი, ტანძია, „ლიტერატურული გახეთი“, 16.X.59, № 42 (1160); 23.X.59, № 43 (1161).

² ქრონიკები, II, გვ. 497. ტანძია საორბელოს რეზიდენციად მიჩნეული სულხან-საბა ორბელიანის მონაწილეობით შედგენილ რუკაზე, რომელიც 1723 ფრანგულად დაბეჭდა აკად. გილიომ დელილმა, ხოლო 1745 წელს—ფ. ბუაშმა (Q № 958). ამ რუკაზე იხ. М. Б р о с с е. О бытагах астронома Деаниа, хранившихся в архиве имп. Русского географического общества, СПб., 1865, გვ. 8—9 (ყალკე ამონაბეჭდი): გ. ზ ა რ დ ა ლ ი შ ვ ი ლ ი, სულხან-საბა ორბელიანის რუკა, „დროშა“, 1951, № 1, გვ. 19; მ ი ს ი ვ ე, გამორჩენილი ქართველი მოგზაურები, გვ. 30—31 (შდრ. გ. გ ე ბ მ ა ნ ი. ნარკვევები გეოგრაფიის ისტორიიდან. გვ. 411—413); К. Ш а ф р а п о л с к и й, Е. К н я ж е ц е в а я. А. С у д а к о в. О карте Кавказа и Расписного моря 1723 г. ИВГО, 1953, ტ. 85, ნაკვ. 4, გვ. 468—470; ე. მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი, სულხან-საბა ორბელიანის მონაწილეობით შედგენილი რუკა, აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახ. მუზეუმის მოამბე. XIX-B, 1956, გვ. 227—232.

³ ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, ბარათაანთ გაყრის წიგნი, „საისტორიო მოამბე“, 1924, I, გვ. 187.

⁴ საქ. სიძველენა, II, გვ. 137. მდივანბეგის უფლება-მოვალეობაზე იხ. ე. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, დარბაზის რიგის მოხელენი დასტურლამალის მიხედვით, ენიშქის მოამბე, XIII, 1943, გვ. 179—185; ი. ს უ რ გ უ ლ ა ძ ე, საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის, I, გვ. 313—338.

⁵ საქ. სიძველენი, I, გვ. 74—75; II, გვ. 138, 142, 144.

სულხან-საბა, ნიკოლოზ თბილელი¹, დიმიტრი (დემეტრე)² და ზაალ-ზოსიმე³. როგორც ცნობილია, ამ პირებმა დიდი წვლილი შეიტანეს ქართული კულტურის ისტორიაში.

1683 წ. ვახტანგ (—ორბელ) მდივანბეგმა ტანძიაში ააგო კარის ეკლესია და ფრიად შეამკო იგი⁴. როგორც ირკვევა, მას შრავლად შეუწირავს ხელნაწერებიც. ცნობილია ერთი სვინაქსარი, რომელსაც ასეთი მინაწერი მოეპოვება: „ქქს ტოა (= 1683 წ.) მე, ფრიად ცოდვილმან... საქართველოს მოსამართლემან, ქართლისა და კახეთისა კელწიფეთა და მეფეთა დედის ძმამან, დიდის ორბელისშვილის ბატონის ყაფლანის ძემან, მდივანბეგმან ორბელ, აღვაშენე ჩემს სამკვიდროს სასახლესა შინა ტანძიას კარის ეკლესია... და შევამკევი ყოვლითა წესიერებითა საეკლესიოსა რიგითა, წიგნითა და ხატებითა, შესამოსლითა და მოფენილობითა და მოვახსენე და შევწირე თავად ბარაკლიტონი ერთი, მარხვანი ერთი, სვინაქსარი ესე ერთი, განთვისული სამოციქულო ერთი, განუთვისავი ოთხთავი-სახარება ერთი, დავითნი ერთი, აპრილის თვე ერთი, ყდ წმიდის მეტაფრასი ა (= 1)“⁵.

უკვე ამ ანდერძ-მინაწერიდან ჩანს, თუ როგორ ზრუნავდა ვახტანგ ორბელიშვილი ტანძიის ეკლესიის წიგნებით უზრუნველყოფისათვის (აქვე შევნიშნავთ, რომ ვახტანგის აგებული ეკლესია დღემდე კარგადაა დაცული).

ვახტანგი ქართული წიგნების გადაწერის ინიციატორადაც ჩანს. ცალკე უნდა აღინიშნოს ის დიდი დამსახურება, რომელიც მას მიუძღვის ქართული ბიბლიის წიგნების შეკრების, შესწავლის, აღდგენისა და გამოსაცემად მომზადების საქმეში. როგორც ირკვევა, მის ოჯახში უკვე მე-17 საუკუნის 60—70-იანი წლებიდან დაწყებულია მზადება ძველი ალთქმის წიგნების შეკრება-შესწავლისათვის. ვახტანგის დაკვეთით იესე ბედისმწერლიშვილმა 1669 წ. გადაწერა ძველი ალთქმის წიგნები (A № 179)⁶, ნათანაელ ბედისმწერლიშვილმა გადაწერა ძველი ალთქმის რამდენიმე წიგნი (მაგ., გამოსლვათა, ლევიტელთა და სხვა) მე-17 საუკუნეშივე (H № 1207)⁷; ეს ტექსტი ნასწორებია, არშიებზე აღნიშნულია თავები და მუხლები, რამდენიმე ადგილას

¹ ლ. მენაბდე, ნიკოლოზ ორბელიანი (ცხოვრება და მოღვაწეობა), თსუ საიუბილეო კრებული: „სულხან-საბა ორბელიანი“, გვ. 147—186.

² ლ. მენაბდე, დიმიტრი ორბელიანი, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის საიუბილეო კრებული: „სულხან-საბა ორბელიანი“, გვ. 151—175.

³ ლ. მენაბდე, ზაალ-ზოსიმე ორბელიანი, „ციცკარი“, 1959, № 10, გვ. 112—120.

⁴ ვახტანგის ბრძანებით ტანძიის ეკლესიისათვის მოქმდილი ხატი ევროპაში უნახავს აკად. ე. თაყაიშვილს (იხ. მისი ევროპაში ნახული ქართული ძეგლები და იქვე შეკრებილი ცნობები სხვა ქართულ სიძველეთა შესახებ, საქ. სსრ მეცნ. აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების XXIV სამეცნიერო სესიის მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, თბ., 1947, გვ. 6).

⁵ ე. თაყაიშვილი, სომხით-საორბელოს ძეგლების წარწერები, I, „კავკასიონი“, № 1—2, 1929, გვ. 93—94. შდრ. ქრონიკები, II, გვ. 497.

⁶ Опис. рукописей (A), I, გვ. 187—188: მ. ჯანაშვილი, საისტორიო და საბიბლიოგრაფიო წერილები, წერილი მე, „ივერია“, 1898, № 79.

⁷ ბედისმწერლიშვილები გაწაფული კალიგრაფები ყოფილან. იესეს 1673 წ. გადაუწერია ოთხთავი (A № 517). ფარემუხ ბედისმწერლიშვილთან ერთად მას 1664 წელს გადაუწერია კურთხევანი (H № 1742), 1667 წელს—მარხვანი (Q № 663) და ა. შ. სხვებთან ერთად მონაწილეობდა სასულიერო-საეკლესიო კრებულის დამზადებაში (H № 972), გელათ-გარეჯის გულანის (A № 186) ზოგი ნაწილის გაცხოველებაში და სხვ. ასევე ნაყოფიერი კალიგრაფი

სულხან-საბას ხელითაა გაკეთებული მხედრული შენიშვნები. ვახტანგი-სავე ბრძანებითაა გადაწერილი H № 885 (ნეშტა, მსაჯულთა და სხვა წიგნები). მასში ტექსტის თავებად დაყოფა, თავნაკლული წიგნების მითითება (ზოგან) და შენიშვნები ვახტანგ მეექვსეს უნდა ეკუთვნოდეს¹.

ვახტანგ ორბელიშვილის დაეალებითაა დანიშნებული სხვა ხელნაწერებიც. მაგალითად, ეამნი (H № 1755), ოთხთავი (S № 1247) და სხვ. ვახტანგსა და მის მეუღლეს თამარს 1682 წელს უყიდიათ და ტანძრის ეკლესიისათვის შეუწირავთ დეკემბრის თენი (S № 4999), გადაწერილი „უღაბნოსა ხანძთისასა“².

1696 წლის შემდეგი ხანის საბუთებში ვახტანგი აღარ ჩანს. საფიქრებელია, ის ამ დროს ცოცხალი აღარაა. მისი საფლავი, აკად. ე. თაყაიშვილის ვარაუდით, ფიტარეთის მონასტერშია საგულეებელი. იქ დაკულია ერთი ქვა მშვენიერი ასომთავრული (თხზული, დაქსელილი) წარწერით: „ესე არს განსასვენებელი ჩემი უკუნითი უკუნისამდე. ამას დავემკვდრო, რამეთუ მთნავს ესე“³. საფიქრებელია, ეს ქვა ვახტანგის საფლავისა იყოს⁴.

მწიგნობრობით დაინტერესებული პირი ჩანს ვახტანგ ორბელიშვილის ძმა ასლანიც (A №№ 517, 850).

ა ხ პ ჯ მ რ ი

ქსნის საერისთავოს წარმოშობის შესახებ პირდაპირი ცნობები არ მოგვეპოვება. ნარატიული წყაროების მიხედვით ერისთავობა ქსნის ხეობაში უკვე მე-6 საუკუნიდან არსებობდა. მაგალითად, ქსნის ერისთავთა საგვარეულო მატიაზე „ძეგლი ერისთავთა“ როსტომის გაერისთავებას მე-6 საუკუნეში, იუსტინიანე კეისრის დროს, დებს⁵. ლარგველი მემატიაზე აქ უცილობლად აკარბებს; მას, როგორც ჩანს, ქსნის ერისთავთა განდიდების სურვილი ამოკმედებს. სინამდვილეში ქსნის საერისთავო მე-6 საუკუნეში კი არა, მე-10 საუკუნეშიც არ ჩანს: მეჯუღას ხეობაში, სოფ. ქალისუბანში აღმოჩენილი ეპიგრაფიკული ძეგლი ცხადყოფს, რომ მე-10 საუკუნეში ქსნის საერისთავო ჯერ კიდევ არ არსებობს და ცხრაძმის ხევისუფალი მას არც იხსენიებს⁶.

ყოფილა ნათანელ ბედისმწერლიშვილიც. მას გადაუწერია ეამნი (H № 1765), სახარება (არქ. ხელნ. № 318), დავითნი (H № 16) და სხვა წიგნები. იესე და ნათანელ ბედისმწერლიშვილები წარდნენ საბუთებსაც (საქ. სიძველენი, II, გვ. 147, 154—155, 165—167, 255—257, 315—316; ისტ. საბუთები, IV, გვ. 50—51; დოკუმენტები, I, გვ. 71—72).

¹ ხელნაწერთა აღწერილობა (H), II, გვ. 256—258; III, გვ. VII, 157—158.

² გზამკვლევი, გვ. 79—80.

³ გ. ჩ ი ტ ა ი ა, პიტარეთისა და გუდარების საფლავის ქვები, საქართველოს მეზემის მოამბე, III, 1927, გვ. 122—123, ტაბ. V.

⁴ ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, სომხით-საორბელის ძეგლების წარწერები, I, „კავკასიონი“, № 1—2, 1929, გვ. 92—93. შდრ. Д. Б и р д а з е, Кавказ в древних памятниках христианства, გვ. 104.

⁵ ქრონიკები, II, გვ. 4; მასალები საქ. და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 30, 1954, გვ. 346.

⁶ გ. ბ თ კ ო რ ი ძ ე, ორი ფიქალწერილი, „საისტორიო მოამბე“, 1925, I, გვ. 96—106; ა. ბ ა ქ რ ა ძ ე, X საუკუნის წარწერა მეჯუღას ხეობიდან, აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახ. მეზემის მოამბე, XIX-B, 1956, გვ. 5—9.

სამეცნიერო ლიტერატურაში დღეს საბოლოოდ გარკვეულია, რომ ქსნის საერისთავო მაშინ ჩამოყალიბდა, როდესაც ანალოგიური საერისთავოები შეიქმნა საქართველოში. ადრე ის ქართლის საერისთავოში შედიოდა. როდესაც შინა თუ საგარეო პოლიტიკური ვითარების შედეგად ქართლის საერისთავო დაიშალა, ქსნის საერისთავო გამოეყო და დამოუკიდებლობა მოიპოვა. ქსნის საერისთავოს სათავადოდ გადაქცევის პროცესი მე-15 საუკუნისათვის ძირითადად დამთავრდა, მაგრამ მისი ტერიტორია შემდეგ ხანაშიც განუხრელად იზრდებოდა.

ქსნის ერისთავებს იმთავითვე ახასიათებდათ სამეფო ხელისუფლების უგულვებლყოფა, მეზობლების რბევა, მამულების მიტაცება. ცენტრალური ხელისუფლებისადმი დაუმორჩილებლობის გამო ერეკლე მეორემ ქსნის ერისთავი—გიორგი ყულარალასი შეიპყრო (1777 წ.), ხოლო საერისთავო გააუქმა¹.

ქსნის საერისთავოს რეზიდენცია ადრე ქვენიფნევი² იყო (ორიოდე კილომეტრზე ლარგვისის სამხრეთით). როდესაც მეზობელი სათავადოების ხარჯზე ქსნის საერისთავო გაიზარდა, ამ გაფართოებულ ტერიტორიისათვის მთაში მომწყვდელი ქვენიფნევი რეზიდენციად აღარ გამოდგა და ახალ ცენტრად ახალგორი (აწინდელი ლენინგორი) იქნა შერჩეული³.

ახალგორი XVI—XVIII საუკუნეებში ქსნის ერისთავთა რეზიდენციას და საერისთავოს პოლიტიკურ-ეკონომიური ცხოვრებისა და კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის ცენტრს წარმოადგენდა. ძველ წყაროებში ის, ჩვეულებრივ, „მცირე ქალაქად“ იწოდებოდა⁴.

ქსნის საერისთავოში, კერძოდ, ახალგორში ინტერესი ძველი ქართული წერილობითი კულტურის ძეგლებისადმი საკმაოდ დიდი ყოფილა. წმინდა სასულიერო-საეკლესიო, პრაქტიკული საქიროებისათვის აუცილებელ წიგნთა გვერდით იქ ითხზებოდა ლიტერატურული ნაწარმოებებიც. ჩვენამდე მრავლადაა მოღწეული ის ხელნაწერები, რომლებიც ოდესღაც ქსნის ერისთავთა სახლის წარმომადგენლების ინიციატივით იქნა დამზადებული, ან მათ ხელშია გამოვლილი და მათი მინაწერებითაა შემკული⁵.

ქსნის ერისთავთა სახლიდან ცნობილია რამდენიმე მწერალი. პირველ რიგში უნდა მოვიხსენიოთ იესე ყულარალასი, ცნობილი პოლიტიკური მოღვა-

¹ დ. გვრიტიშვილი, ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 55—84, 146—164, 311—331. იხ. აგრეთვე H №№ 138, 2499, 2747-ბ, S № 3677.

² ქვენიფნევი ასეა ნაწარმოები: ქენა (შდრ. ზენა)—იფნ—ეფ (= ებ)—ი—ქუენიფნევი—ქვენიფნევი. იხ. ა. შანიძე, ევ კილოს კვალი საქართველოს გეოგრაფიულ სახელებში, საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, II, № 8, 1941, გვ. 765—766.

³ პ. ზაქარაია, ქსნის ზეობის ციხე-სიმაგრეები, აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახ. მეზემის მოამბე, XVI-B, 1950, გვ. 166—167, 190—195; მისივე, ლარგვისის არქიტექტურული ანსამბლი, იქვე, XIX-B, 1956, გვ. 47; მისივე, Некоторые вопросы крепостных сооружений Шиды Карглы XVI—XVIII вв., იქვე, XIX-A და XXI-B, 1957, გვ. 177, 235—236.

⁴ ვახუშტი, აღწერა, გვ. 68. III. Месхиа, Города и городской строй феодальной Грузии, გვ. 115—117, 128, 143.

⁵ A №№ 1, 16, 25, 26, 496, 498, 569, 576, 585, 839 და სხვ. მაგალითად, ზატიკი (A № 25) გადაწერილია შალვა ერისთავისათვის (XV ს.). იხ. Опис. рукописей (A), I, გვ. 19; კრონიკები, II, გვ. 20; К. К о в е х и д в е, Литургические грузинские памятники, გვ. 404.

წე, ძმა მეამბოხე შანშე ერისთავისა. ის ძმასთან ერთად იბრძოდა სპარსე-
ლების წინააღმდეგ. დანარცხების შემდეგ იძულებული გახდა ძმასთან ერ-
თად ხლებოდა შაჰს. ამ უკანასკნელმა ისინი ჯერ დარუბანდის, ხოლო
შემდეგ მაშათის ციხეში დააწვედია. ქსნის ერისთავები 1745 წელს გა-
ათავისუფლეს, მაგრამ იესეს სანშობლოს ხილვა აღარ ეღირსა, ის გზაზე
გარდაიცვალა¹.

იესე ერისთავი საკმაოდ განათლებული მწიგნობარი ჩანს. ის ყოფილა
„კარგი შაირთა შემთხვეელი“²; დაუწერია აკოლოთია შალვა და ელიზბარ
ქსნის ერისთავებისა და ბიძინა ჩოლოყაშვილისა³ და აკროსტიხული შესხმა
ისე წილკნელისა⁴. მასვე გაულებსავს სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის
თავსართი ასოები⁵. იესეს დაკვეთითაა დამზადებული ზოგიერთი ხელნაწერი⁶.
იესე ერისთავის ცხოვრება და კულტურულ-ლიტერატურული მემკვიდრეობა,
სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არ გამხდარა სპეციალური შესწავლის საგანი⁷.

საინტერესო და საყურადღებო ლექსების ავტორია ზემოხსენებული
გიორგი ყულარაღასის ვაჟი ელიზბარ ერისთავი, სიძე იმერთა მეფის სოლო-
მონ პირველისა. ქართლიდან დევნილი ელიზბარი იმერეთს ეწვია, საკმაოდ
დაწინაურდა იქაურ სამეფო კარზე და ქსნის საერისთავოს დაბრუნებაზეც ოცნე-
ბობდა, მაგრამ ამოდ. მიმდღეაქარგული გადმოვიდა ქართლში, სადაც მე-19
საუკუნის დამდეგს გარდაიცვალა⁸. თავისი მგრძნობიარე ლექსებით ე. ერის-
თავი ბესიკის პოეტური სკოლის წარმომადგენლად გვევლინება⁹.

საკმაოდ განათლებული მწიგნობარი ყოფილა მისი ვაჟი—იოანე ერისთა-
ვიც, როგორც ამახ ერთხმად ამოწმებენ იოანე ბატონიშვილი¹⁰ და სხვა იმ-

¹ დ. გვირიტიშვილი, ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის
ისტორიიდან, გვ. 324—326. პ. იოსელიანი იესეს გარდაცვალების თარიღად შეცდომით
1739 წელს ასახელებს (წყობილისტყუაობა, გვ. 289, შენ. 165). მის შეცდომას სხვებიც იმე-
ორებენ.

² კალმასობა, II, გვ. 205.

³ S № 3269, 224r — 225r. ესაა საგალობლები, რომელთა თავნი იტყვან: „ქრისტეს
მოწამეო შალვა, შეიწყალე ძის ძე შენი იესე“.

⁴ H № 1672, 316r; H № 2077, 231r; H № 2121, 263r; საქ. სამოთხე, გვ. 211—212.

⁵ H № 1740, 3r, 21v, 35v, 54v, 71r, 81v და ა. შ. გამოცემა: ხელნაწერთა აღწერი-
ლობა (H), IV, გვ. 172—173.

⁶ მაგალითად, გრიგოლ ლეთისმეტყველის თხზულებათა შემცველი დიდი ხელნაწერი
(A № 16). იხ. ქრონიკები, II, გვ. 21. სხვათა შორის, იესესა და მისი ძმის დახმარებითა და
შეწევნით ეწვოდა ლიტერატურულ საქმიანობას ახალგორს თავშეფარებული გარეუკლი
მწიგნობარი ექვთიმე ბარათაშვილი (A № 515, 463v, 487v).

⁷ იესე ერისთავზე იხ. კ. ქეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I⁴, გვ.
341, 352, 354, 601; მისივე, მეთერამეტე საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიი-
დან, ეტიუდები, IV, გვ. 244—245, შენ. 1.

⁸ პ. იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, გვ. 254, 268—269; ა. ბარამიძე,
ნარკვევები, II, გვ. 385, 397—398, 407, 413—414.

⁹ ელიზბარ ერისთავის ლექსები რამდენიმე ხელნაწერშია დაცული (A № 1164; S № 16
1512, 2385, 2519, 3723). მათ ზოგიერთი გამოცემული ბესიკის სახელით ბეჭდავდა (დ. ჩუბი-
ნაშვილი, ზ. კიკინაძე, ს. გორგაძე). უკანასკნელად გამოაქვეყნა დოც. ტ. რუხაძემ (ძველი ქარ-
თული ლირიკის ისტორიიდან, გვ. 228—232).

¹⁰ H № 214, 1Vr; H № 2202, 3r; ხელნაწერთა აღწერილობა (H), I, გვ. 153; V,
გვ. 141.

დროინდელი მოღვაწენი. ი. ერისთავი ახლოს ყოფილა დავით ბატონიშვილთან¹, მისი დავალებით რუსულიდან თარგმნიდა ნ. ჩუბინაშვილი². იოანე წერლა ლექსებსაც³.

აქვე უნდა მოვიხსენიოთ „საფილოსოფოსა სწავლასა და ღვთისმეტყველებასა შინა მეცნიერი, უცხო რიტორი და მშვენიერი მოქადაგე“⁴ ვარლამ დავითის ძე ერისთავი (1763—1830). ის ერთ ხანს ახტალის შვედელმთაფრად ყოფილა⁵, ხოლო შემდეგში რუსეთში მოღვაწეობდა და იქაურ სასულიეროსაეკლესიო ცხოვრებაში მონაწილეობდა⁶.

ვ. ერისთავი ახლოს ყოფილა რუს სწავლულებთან, მას გარკვეული დახმარება აღმოუჩენია ე. ბოლხოვიტინოვისათვის (1767—1837), როდესაც ეს უკანასკნელი ქართულ მასალებს ეცნობოდა⁷. მანვე 1805 წელს მოსკოვში გამართა სტამბა და გამოაქვეყნა „სადღესასწაულო“⁸.

1811—1817 წწ. ვ. ერისთავი საქართველოშია და ეგზარხოსის პოსტი უჭირავს. შემდეგში კვლავ რუსეთს მიდის და უკანასკნელად მოსკოვში ცხოვრობს⁹.

ჩვენამდე მოღწეულია ვარლამ ერისთავის ლექსები¹⁰ და სიტყვები¹¹. დაუწერია მას „Краткая грузинская грамматика“¹²; ის თარგმნიდა რუსულიდანაც¹³. 1825 წელს მოსკოვში დაუბეჭდავს „განმარტება სახარებისა საუფლოთა და ღვთისმშობლის დღესასწაულთა და მსწავლანი კეთილჩულებათა მასწავლებელნი“¹⁴. მისი ქადაგებანი რუსულადაც ყოფილა თარგმნილი¹⁵.

¹ Н № 198, 98v; Н № 2254, 47r; ხელნაწერთა აღწერილობა (Н), I, გვ. 140; V, გვ. 182.

² Н № 2068; А. Цагарели, Сведения, ტ. I, ნაკვ. III, გვ. 15.

³ Н № 1733, 65v; ხელნაწერთა აღწერილობა (Н), IV, გვ. 161. ცნობილია მისი კეთენილი ხელნაწერებიც (Н №№ 206, 220 და სხვ.).

⁴ კალმასობა, II, გვ. 191. ი. ქართველთაშვილი მას „აკაცა ფრიად მეცნიერსა“ უწოდებდა (მეშუარები, გვ. 8, 69, 94).

⁵ П. Иоселиани, Путешье записки от Тифлиса до Ахтызы, გვ. 33.

⁶ S № 2910, 55r; ტ. რუხაძე, გაბრიელ რატიშვილის „მცირედი რაიმე მოთხრობა როსისა“, „ლიტერატურული ძიებანი“, II, 1945, გვ. 269.

⁷ Е. Шмурло, Митр. Евгений как ученый, СПб., 1886, გვ. 341—348; თ. შაქარაიანი, ერთი საყურადღებო წიგნის შესახებ, კ. შარქის სახელობის საქ. სსრ სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკის შრომები, III, 1937, გვ. 216—217, 220.

⁸ ქართული წიგნი, I, გვ. 83—84.

⁹ A № 1148, 96v; Н № 607, 140 r; Н № 2108, 161v.

¹⁰ A № 1164; S №№ 1512, 3723.

¹¹ „ცისკარი“, 1852, № 5, გვ. 39—41; № 7, გვ. 57—59.

¹² Е. Болховитинов, Историческое изображение Грузии в политическом, церковном и учебном ее состоянии, СПб., 1802, გვ. 76, 78. იხ. Краткая грузинская грамматика, сочиненная на российском языке, СПб., 1802.

¹³ Е. Болховитинов, Ист. изображение..., გვ. 81.

¹⁴ ქართული წიგნი, I, გვ. 96.

¹⁵ პ. იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, გვ. 257. ვ. ერისთავი ეწეოდა აღმშენებლობით საქმიანობასაც (П. Иоселиани, Описание древностей г. Тифлиса, გვ. 78—79, 137—138; А. Натроев, Мдхет и его собор Святи-Цховели, გვ. 182, 220). იხ. აგრეთვე ა. გულისაშვილი, მიტროპოლიტი ვარლამი, პირველი ექსარხოსი საქართველოსა, „მწვემისი“, 1884, № 21, გვ. 12.

ქსნის ერისთავთა ოჯახიდან იყვნენ გიორგი იესეს ძე ერისთავი (1760—1863), ჩეენი სასიქადულო დრამატურგი გიორგი დავითის ძე ერისთავი (1813—1864), მისი ვაჟი დავითი (1847—1890) და სხვა ცნობილი ქართველი მოღვაწენი.

* * *

ისტორიულ ქსნის საერისთავოში, პატარა ლიახვის ხეობაში მდებარეობს სოფელი ბელოთი. იქ ადრევე წარმოებდა კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა. მე-18 საუკუნის 70-იან წლებში ბელოთში მოღვაწეობდნენ თბილისელი მწიგნობრები იესე ბარათაშვილი (1728—1786)¹ და სოლომონ მესხი-შვილი (1742—1808)².

ქსნის საერისთავოს გაუქმების (1777 წ.) შემდეგ პატარა ლიახვის ხეობა ერგო იულონ ერეკლეს ძეს. ამ უკანასკნელმა რეზიდენციად აირჩია ბელოთი³. მის სასახლეში მე-18 საუკუნის დამლევეს მოღვაწეობდა იოანე ქართველი-შვილი (1772—1816)⁴.

რ ე ზ ე თ ი

ქსნის საერისთავოს აღმოსავლეთით მდებარეობდა არაგვის საერისთავო. ეს უკანასკნელიც ადრე ქართლის საერისთავოში შედიოდა, ხოლო მე-16 საუკუნიდან ცალკე სათავედოს სახით ჩამოყალიბდა.

არაგვის საერისთავოს საზღვრები ხშირად იცვლებოდა. მასში ძირითადად შედიოდა ის ტერიტორია (ხევი, მრეველი, ცხაოტი, გუდამაყარი, ხანდო, კართალი და სხვ.), რომელიც დასავლეთით ებჯინებოდა ქსნის საერისთავოს, აღმოსავლეთით—კახეთს, სამხრეთით—სამუხრანბატონოს და ჩრდილოეთით—დარიალს, მაგრამ ზოგჯერ არაგვის ერისთავები ერწო-თიანეთსაც ფლობდნენ.

არაგვის ერისთავების რეზიდენციას წარმოადგენდა დუშეთი, რომელიც მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში, —რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის გაუხიფელისა და ჩრდილოეთის გზის მნიშვნელობის გაზრდის გამო, —ქალაქად იქცა⁵.

¹ ი. ბარათაშვილი, ცხოვრება-ანდერძი, მასალები საქ. და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 28, 1950, გვ. 57—58.

² ს. მესხი-შვილმა იქ გადაწერა სახარება Q № 268.

³ П. Захаряя, Некоторые вопросы крепостных сооружений Иида Картли XVI—XVIII вв., აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახ. მეზეუმის მოამბე, XIX-A და XXI-B, 1957, გვ. 178, 243—244.

⁴ ი. ქართველი-შვილი, მემუარები, გვ. 79—81.

⁵ П. Иоселиани, Описание города Душета, Т., 1860. არაგვის ერისთავების მეორე რეზიდენციას წარმოადგენდა ანანური (П. Иоселиани, Города, გვ. 15—18; Д. Бакрадзе, Кавказ в древних памятниках христианства, გვ. 9—10; Г. Садава-гелов-Ивериели, Анаурский Успенский собор, МАИ, VП, 1898, გვ. 69—80; დ. გორდევი, ანანურის არქიტექტურული ანსამბლის შესწავლისათვის, „საბჭოთა ხელოვნება“, 1939, № 3, გვ. 14—21; პ. ხაქარაია, ანანურის ხუროთმოძღვრული ანსამბლი, თბ., 1953; მისივე, ანანური, თბ., 1957; მისივე, საქართველოს საერო ხუროთმოძღვრების ძეგლები, გვ. 30—33; III: Месхи, Города и городской строй феодальной Грузии, გვ. 113—117, 128 და შმდ. იქვეა ცნობები დუშეთის შესახებ—გვ. 113—115, 117 და შმდ.)

არაგვის ერისთავები განუწყვეტლივ ეწინააღმდეგებოდნენ და ებრძოდნენ ქართლ-კახეთის მეფეებს და ენერგიულად ისწრაფოდნენ დამოუკიდებლობისაკენ. ისინი ხშირად აწუხებდნენ მეზობლებს (კახეთი, ფშავ-ხევსურეთი...) და თავისი სამფლობელოს გაზრდა-გათართობას ცდილობდნენ. სამეფო ხელისუფლების უგულვებელყოფისა და თვითნებური მოქმედების გამო არაგვის ერისთავთა სახლი სასტიკად დაისაჯა: 1743 წელს თეიმურაზ მეორემ საერისთავო გააუქმა და მისი ტერიტორია სამეფო მიწებს შეუერთა. შემდგომ ხანაში არაგვის ყოფ. საერისთავო საუფლისწულოდ ჰქონდათ ერეკლე მეორის შვილებს—ვახტანგს, ლევანსა და ვახტანგს (ალმასხანს)¹.

დღშეთში, არაგვის ერისთავთა ოჯახში არსებულ კულტურულ-ლიტერატურულ ტრადიციებზე აღიზარდა არა ერთი ქართველი მწიგნობარი. შეგვიძლია დავასახელოთ ცნობილი მღვდელმთავარი, „ბატონის ერისთვის შვილი კოზმან“—კვიპრიანე სამთავნელი (XVII—XVIII სს.), რომლის შესახებ ჩვენ ზემოთ უკვე ვისაუბრეთ; აქვე შეგვიძლია მოვიხსენიოთ პოეტი ოძარ გიორგის ძე ერისთავი (S № 390, გვ. 144—145), რომელმაც არაგვის ერისთავობა ბაქარისაგან მიიღო (1723 წ.), მაგრამ რუსეთისაკენ სწრაფვის გამო ოსმალთაგან დაისაჯა² და სამფლობელო ჩამოერთვა. ის ვახტანგის ამალას შეუერთდა და შემდგომი ცხოვრება რუსეთში გაატარა³; ფრიად ნაყოფიერი მუშაკი იყო მისი ძმა მიტროპოლიტი რომანოზი, რომელიც ძირითადად რუსეთსა და გარეჯაში მოღვაწეობდა; გარეჯაშივე მოღვაწეობდნენ არაგვის ერისთავთა ოჯახის სხვა წარმომადგენლებიც: კალიგრაფები იოსებ (XVIII ს.) და სოფრონიოს (XIX ს.) ერისთავის შვილები⁴. ამავე ოჯახიდან ყოფილა მიტროფანე ნინოწმიდელიც (XVIII ს.)⁵.

სხვადასხვა დროს დღშეთში ყოფილა მრავალი ქართველი მწერალი: თეიმურაზ პირველი (1626 წ.)⁶, იესე ბარათაშვილი (1747 წ.)⁷, თეიმურაზ II (1760 წ.), იოანე რუსთველი (1760 წ.)⁸, ამბროსი მიქაძე—წილკნელი, იოანე ოსეშვილი (—მიქაძე), იოანე ქართველიშვილი (1795 წ.)⁹ და სხვ. გვაქვს პირდაპირი ცნობა იმის შესახებ, რომ ზოგიერთი მათგანი დღშეთშიც განაგრძობდა კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობას. ასე, მაგალითად, ა. მიქაძე თხზავდა ლექსებს (A № 1631, 1r—v), ი. ოსეშვილი ამრავლებდა ნუსხებს (A № 292, 407r—v) და ა. შ.¹⁰

¹ დ. გვრიტიშვილი, ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 84—102, 164—167, 331—358.

² Переписки, გვ. 153.

³ ს. ყუბანეიშვილი, დაეით გურამიშვილი ქართულ პუსართა პოლკში, გვ. 39, 42, 49, 124, 162.

⁴ იხ. ქვემოთ გარეჯა.

⁵ იხ. ქვემოთ ნინოწმინდა.

⁶ ქართლის ცხოვრება, II, გვ. 411.

⁷ ი. ბარათაშვილი, ცხოვრება-ანდერძი, მასალები საქ. და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 28, 1950, გვ. 9.

⁸ იქვე, გვ. 29.

⁹ ი. ქართველიშვილი, მემუარები, გვ. 72—77.

¹⁰ დღშეთშია გადაწერილი ზოგიერთი საეურადღებო კრებული (S № 13, Q № 556 და სხვ.). აქ აღარას ვაზნობთ პ. იოსელიანის მოაზრებაზე ჩაბრუნებისა და ძანაკორას დღშეთისა თუ მისი მიადამოებიდან წარმომავლობის შესახებ (იხ. მისი Описание города Душета, გვ. 61—66).

არაგვის საერისთავოში ცნობილია ერთი მოზრდილი ხეობა მრევლის სახელწოდებით¹. მასში შედიოდა სოფ. გრემისხევი², სადაც მოღვაწეობდა ძველი ქართული მწერლობის ცნობილი წარმომადგენელი სერაპიონ სოგრა-ტის ძე საბაშვილი.

„როსტომიანში“ ვკითხულობთ:

ამ როსტომთა გამლექსავი, სოგრატისძე საბაშვილი,
მხატვარია ჯელივანი, ლექსთ-უღევი, სიტყვა ტკბილი;
მრევლთა თავი, ჯევის ბერი, ჯელმწიფეთა თანა-ზრდილი³.

თხულების დასასრულს ეს სტროფი მეორდება მცირეოდენი ცვლი-ლებით:

როსტომიანთ გამლექსავი, სოგრატისძე საბაშვილი,
ზალის შობით ლორასპამდის ლექსი მითქვამს სიტყვა ტკბილი;
გრემელთ თავი, ჯევის ბერი, ჯელმწიფეთა თანა-ზრდილი⁴.

მრტანილი სტროფებიდან ჩანს, რომ „როსტომიანის“ ნაწილი „ზალის შობით ლორასპამდის“ გაულექსავს სერაპიონ სოგრატის ძე საბაშვილს. სხვა ცნობით, ის კედელაური ყოფილა⁵.

დღეს უკვე დადგენილია, რომ სერაპიონ საბაშვილის ლიტერატურული მოღვაწეობა მე-15 საუკუნის მიწურულსა და მე-16 საუკუნის დასაწყისს მიეკუთვნება.⁶ ზემომოტანილი სტროფებიდან ჩანს, რომ სერაპიონი ხევის ბერი, მრევლთა (ან გრემელთ) თავი ყოფილა. მას დიდი სამსახური გაუწევია ქართ-ველი საზოგადოებრიობისათვის „როსტომიანის“ ვერსიების ჩამოყალიბების საქმეში მონაწილეობის მიღებით⁷.

¹ მასალანი საქართველოს სტატისტიკურის აღწერილობისა მეთერთმეტე საუკუნეში, ე. თაყაიშვილის რედაქტორობით, თბ., 1907, გვ. 448—453.

² ქართლის ცხოვრება, II (1854 წ.), გვ. 59, 86; საქ. სიძველენი, I, გვ. 253; დოკუმენ-ტები, II, გვ. 15; მასალები საქ. და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 30, 1954, გვ. 355; „მი-მომხილველი“, II, 1951, გვ. 369. იხ. აგრეთვე ვახუშტი, აღწერა, გვ. 64, 199; დ. გვრი-ტიშვილი, ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 96—97, 101, 108—109, 165.

³ შაჰ-ნამეს ქართული ვერსიები, II, გვ. 25.

⁴ იქვე, გვ. 367.

⁵ ქაიხოსრო, ომაინიანი, გ. ჯაკობიას რედაქციით, თბ., 1937, გვ. 3. კედელა-ური ყოფილა განშტოება საბაშვილთა გვარისა (ქრონიკები, II, გვ. 291—293).

⁶ პროფ. ს. კაკაბაძის ცდა ს. საბაშვილის მე-14 საუკუნის მოღვაწედ მიჩნევისა (იხ. მისი „გეფხისტყაოსნის“ პრობლემის გარშემო, „საისტორიო მოამბე“, 1924, I. გვ. 161—163), უნაყოფოა.

⁷ ს. საბაშვილზე იხ. ა. ბარამიძე, ნარკვევები, II, გვ. 67—75; კ. ქეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, II¹, გვ. 325—333; დ. კობიძე, სპარსული ლიტერა-ტურა, II, თბ., 1947, გვ. 101—124; მისივე, შაჰ-ნამეს ქართული ვერსიების სპარსული წყაროები, თბ., 1959, გვ. 25—70, 119—138, 250—264.

ქ ა ხ ე თ ი

ზ ე რ ა ზ ე ნ ი

მცხეთის ჩრდილო-აღმოსავლეთით, არაგვის მარცხენა ნაპირზე, ზედაზნის მთაზე მდებარეობს უძველესი ქართული სამონასტრო ცენტრი, რომლის დაარსება მიეწერება ასურელ მოღვაწეთა წინამძღოლს იოანეს.

აღნიშნულ მთაზე აღრეულ ეპოქაში ზადენის კერპი იყო აღმართული. „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ გვაწვდის მოკლე ცნობას: „მეფობდა ფარნაჯობ და აღმართა კერპი ზადენ მთასა ზედა და აღაშენა [ციხე]“¹. ლეონტი მროველის (XI ს.) წიგნში უფრო გავრცობილი ცნობაა დატული: „ფარნაჯომ მეფემან უმატა ყოველთა ციხე-ქალაქთა შენება, და ამან აღაშენა ციხე ზადენი, და შექმნა კერპი სახელით ზადენ, და ამართა ზადენს“². ფარნაჯომი, ვახუშტის ქრონოლოგიით, 112—93 წწ. (ძვ. წ.) მეფობდა. მაშასადამე, ზადენის კერპის აღმართვას, ქართული ისტორიოგრაფიით, ქრისტიანობამდე ჰქონდა ადგილი³.

ზადენის მთის კერპი ზადენი „ქართლის ცხოვრებაში“ არა ერთხელ იხსენიება მეორე ქართულ წარმართულ ღვთაებასთან არმაზთან ერთად⁴. ფიქრობენ, მთის შემდეგდროინდელი სახელწოდება ზედაზენი ან ზედაზადენი კერპის სახელიდანაა წარმომდგარი. ვახუშტი წერს: „მთის თხემსა ზედა მკვრეტელი არაგვისა, მუხრანისა, ხერკისა, მცხეთისა და ტფილისისა, აღაშენა ციხე დ (==4) მეფემან ფარნაჯომ და აღმართა მუნ კერპი ზადენი, და ამითი ეწოდა მთასა ამას ზედაზადენი“⁵.

¹ Опис. грузинскѣх (S), II, გვ. 709.

² ქართლის ცხოვრება, I, გვ. 29.

³ აქამად ფარნაჯომის მეფობას 155—140 წწ. (ძვ. წ.) ათარიღებენ (საქართველოს ისტორია, I, თბ., 1958, გვ. 60).

⁴ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 85, 106, 112. კერპ ზადენის შესახებ იხ. Н. Марр, Боги азиатской Грузии по древнегрузинским источникам, ЗВОРАО, ტ. XIV, ნაკვ. II—III. 1902, გვ. 7; მ. წერეთელი, ხეთის ქვეყანა, მისი ხალხები, ენები, ისტორია და კულტურა, კონსტანტინოპოლი, 1924, გვ. 83—84; ს. მაკალათია, ღვთაება მითრას კულტი საქართველოში, საქართველოს მუზეუმის მოამბე, III, 1927, გვ. 193—194; ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია. I³, გვ. 109—110; შ. აშირაძე, შვილი, ქართული რელიგიური ქანდაკების უძველესი ნიმუში, საქართველოს სახ. მუზეუმის მოამბე, XII-B, 1944, გვ. 116—117. იხ. აგრეთვე M. Tsereteli, The Asiatic Elements in National Georgian Paganism, Georgica, I, № 1, 1935. გვ. 30, 45—50, 62—65.

⁵ აღწერა, გვ. 93. იხ. აგრეთვე А. Муравьев, Грузин и Армяни, I, გვ. 256; Д. Бакрадзе, Кавказ в древних памятниках христианства, გვ. 55—56; ქრონაკები, I, გვ. 14. შგნ. 20. შდრ. П. Иоселиани, Жизнь и описание святых..., გვ. 65; А. Натроев. Мухет и его собор Святи-Цховели, გვ. 10, შგნ. 1. სხვათა შორის, ცნობილი გვარი ზედაძნელაშვილი (საქ. სიძველენი, I, გვ. 11).

აკადემიკოს ი. ჯავახიშვილს ეს მოსაზრება სარწმუნოდ არ მიაჩნდა. მისი აზრით, ზედაზადენი-ზედაზენი ზადენისაგან არ უნდა იყოს ნაწარმოები. „ზადენი“, თითქმის, არსად გვხვდება ქართულ გეოგრაფიულ პუნქტთა შორის¹, „ზედაზენი“ კი „ქვედაზენის“ არსებობასაც ვვაგულისხმებინებს. ზადენისაგან ზედაზენის ან ზედაზადენის წარმომავლობა დამტკიცებულად ვერ ჩაითვლებაო².

ძველი ქართული ლეთაების ზადენის ადგილზე მოგვიანებით ქართული მონასტერი დააარსა ოთანემ, რომელსაც სამოღვაწეო ადგილის მიხედვით ზედაზნელი ეწოდა. თავისი საქმიანობით იოანე ზედაზნელმა ადრევე მიიპყრო ქართველი საზოგადოებრიობის ყურადღება და მისი ცხოვრება რამდენჯერმე აღიწერა. საფიქრებელია, იოანესა და მის მოწაფეთა ცხოვრება ადრეც აღიწერა, მაგრამ მე-10 საუკუნეზე უწინარესი ჩვენ არ ვაგვაჩინა³. ჩვენამდე მოღწეულ ძეგლთა შორის უძველესი რედაქცია („ცხოვრებაა და მოქალაქობაა წმიდისა მამისა ჩუენისა იოვანე ზედაძნელისა და მოწაფეთა მისთაა, რომელთა განანათლეს ქუეყანაა ესე ჩრდილოეთისაჲ“) შემონახულია A № 199 ხელნაწერში (გვ. 18—28), გამოცემულია სამჯერ⁴. მე-11 საუკუნეში ეს რედაქცია გადაუმეტაფრასებია უცნობ აგიოგრაფს და მოუცია საკმაოდ გავრცობილი თხზულება („ცხოვრებაა წმიდისა მამისა ჩუენისა იოანე ზედაძნელისაჲ, რომელი ბრძანებითა ღმრთისაჲთა და წინამძღურობითა სულისა წმიდისაჲთა მოივლინა ქუეყანით შუამდინარით ქუეყანად ქართლისა ათორმეტთა მოწაფეთა მისთა წმიდათა თანა“)⁵, რომელიც გვხვდება მრავალ ხელნაწერში (A №№ 160, 170, 176; H №№ 1557, 1672, 2077, 2121; S №№ 449, 3269 და სხვა). ცნობილია კიდევ ერთი მეტაფრასული რედაქცია იოანე ზედაზნელის ცხოვრებისა (იხ. ქვემოთ). იოანე ზედაზნელის ცხოვრების შემოკლებული რედაქცია შესულია „ქართლის ცხოვრების“ კრებულშიც⁶.

ზემოხსენებული ძეგლების მონაცემების საფუძველზე იოანე ზედაზნელის თავგადასავალი ზოგადად ასე შეიძლება წარმოვიდგინოთ:

იოანე ერთ ხანს სირიის ერთ-ერთ მონასტერში მოღვაწეობდა. მის ძირითად საზრუნავს განმარტოებით ცხოვრება წარმოადგენდა. მონოფიზიტთა დევნის დროს, 543 წელს, თავისი მოწაფეებითურთ მოვიდა ქართლში, შეარჩია „მთაჲ... მახლობელად მცხეთას აღმოსავალით-რე და ცხოველსა ჯუარსა ჩრდილოჲთ კერძო“, „აღვიდა მთასა მას მაღალსა, რომელსა ჰრქვან ზედაზადენ“. აგიოგრაფებს, თავისებურად, განმარტებულიც კი აქვთ ზედაზენზე

¹ უკანასკნელად გაიჩვენა, რომ სოფ. ზადენი არსებობდა ახალციხის ახლოს (გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დაეთარი, თურქული ტექსტი გამოსცა, თარგმანი, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ს. ჯიქიაშვილმა, II, თბ., 1941, გვ. 11, 128; ს. ჯიქია, გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დაეთარი, III, თბ., 1958, გვ. 173).

² ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I⁴, გვ. 109—110.

³ შდრ. ბ. ბაქრაძე, ისტორია საქართველოს, გვ. 182; ა. კეცელია, ისტორიული ნარკვევი ანუ ქრესტომათია საქართველოს ისტორიისათვის, თბ., 1890, გვ. 316.

⁴ არქიტაქები, გვ. 19—26; ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, გვ. 159—153; ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები, გვ. 2—67.

⁵ საქ. სამოთხე, გვ. 193—208; ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები, გვ. 3—68. რუსული პერიოდრაზი გამოაქვეყნა მ. საბინინმა (Полное собрание..., I, გვ. 67—89).

⁶ უკანასკნელი გამოცემა იხ. ქართლის ცხოვრება, I, გვ. 208—209. იხ. აგრეთვე იოანე მღვდელ-მონაზონი, ცხოვრება ღირსისა მამისა ჩუენისა იოანე ზედაზნელისა, თბ., 1904.

იოანეს დასაღვურების მიზეზი: „ესე ამისთვის ყო ღმერთმან, რამეთუ პირველად სამკაულ ექმნა ეკლესიათა და გარემო ქართველთა ერთა, და მეორედ ამისთვის დაეყუდა ადგილსა მას, რამეთუ გოლოლი აღეშენა წარმართთა“. ჩანს, ძველი სახსხვერპლო კიდევ შემორჩენილი იყო და იოანეს მისი განადგურება სურდა. ზედაზენზე იოანემ „პოვა მცირე ქუაბი და შექმნა იგი წმიდად ეკლესიად, და დაემკვდრნეს მუნ“. შემდეგში მან თავისი მოწათენი დაგზავნა სამოღვაწეოდ ქართლისა და კახეთის სხვადასხვა კუთხეში, ხოლო თვით ერთი მოწათით დარჩა ზედაზენზე, სადაც ცხოვრობდა მძიმე პირობებში: „მისცა თავი თვისი თიცხელთა შრომათა მოღვაწეობისათა და ყოვლადვე არა დასცხრებოდა ლოცვისაგან და მარხვისა სამარადისოჲსა, რომლისა მიერ სრულად განილინა ჯორცნი თვისნი და მოუძღურებულ ყვნა იგინი“.

თავისი სამოღვაწეო ადგილი იოანეს არ გაუმშვენიერებია, არ გაუშენებია; „შენებაჲ ადგილისაჲ მის არა ინება, არამედ მარტოდ მყოფობაჲ აღირჩია, რამეთუ პოვა. მუნ ქუაბი რამემ მცირე და მუნ შინა აღასრულა მწირობაჲ მისი“. თავისი მოღვაწეობით მან მალე გაითქვა სახელი, „განჴდა ანბავი მისი ქუეყანასა ქართლისასა“.

იოანე ზედაზენზე დაბერდა. აღსასრულის წინ მოუწოდა მოწათეებს ილიისა და თათას, „რომელსა აღეშენა მონასტერი ქუეშე კერძო მთისა მის და იყოფოდა მას შინა ძმათა თანა მრავალთა მის მიერ შეკრებულთა მონასტერსა მას შინა“¹, აუწყა აღსასრულის მოახლოება და მწირობის ადგილს დაკრძალვა სთხოვა. როდესაც იოანე გარდაიცვალა, მისმა მოწათეებმა და თანამოღვაწეებმა მისი გვაში თათას მონასტერში დაკრძალეს, ხოლო შემდეგში ზედაზნის მთაზე გადაასვენეს².

ძველ ქართულ ხელნაწერებში შემონახულია ზედაზნის მონასტრის წინამძღვართა სია („სახელები წათა მამათა, ქრისტეს მიერ აღსრულებულთა ზედაძენს შინა შემდგომად იოანესსა“), რომელსაც არსენ მეორეს მიაწერენ³. ამ დოკუმენტით, „ცხოვრდა ნეტარი იოანე შემდგომად მოსვლისა მისისა ასურეთით ლ (= 30) წელ“⁴. თუ სწორია მოსაზრება იოანე ზედაზნელის ქართლში 543 წელს მოსვლის შესახებ და მართებულია ზედაზნის წინამძღვართა სიის ჩვენება იოანეს 30 წლის განმავლობაში ზედაზენზე ცხოვრების შესახებ, მაშინ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ იოანე ზედაზენზე მოღვაწეობდა 543—573 წლებში და აღესრულა 573 წელს. ამრიგად, ზედაზენზე ქართული სამონასტრო ცენტრის აღმოცენებას ადგილი ჰქონდა მე-6 საუკუნის 40-იან წლებში. შემდეგში

¹ ზოგი ცნობით, თათას აუგია ტაძარი მდ. რეზულას დასავლეთითაც. ვახუშტი წერს: „ქასს ზეთ, წლევის მთაში, არს მონასტერი მამებას, სტეფან-წმიდისა, თათესაგან, იგ (= 13) მამათაგანის ქმული“ (აღწერა. გვ. 72). ამ აზრს მკვლევარნიც იზიარებენ (П. Иоселиани, Святыхъ Мамеба, გვ. 3—4; Д. Бакрадзе, Кавказ в древнихъ памятникахъ христіанства, გვ. 77; М. Сагвиши, Полное жизнеописание, III, გვ. 60, შენ. 6). გადმოცემა თათას მიაწერს ურბნისის ტაძრის აგებასაც (იხ. ზემოთ გვ. 213, შენ. 7).

² ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები, გვ. 24, 26—28, 38—43, 46, 50—65.

³ ქ. ქეკელიძე, საკითხი სირიელ მოღვაწეთა ქართლში მოსვლის შესახებ, ეტიუდები, I, გვ. 21, შენ. 4.

⁴ ქრონიკები, I, გვ. 73; Опис. рукописей (A), I, გვ. 163. წინამძღვართა სია შემონახულია რამდენიმე ხელნაწერში (A №№ 160, 170; H №№ 1557, 1672, 2077, 2121 და სხვ.).

იოანეს ქვაბი ეკლესიად გადააკეთეს, იქ ეკლესია ააგეს („შემდგომად მისა ალაშენეს ეკლესიაჲ“).

როგორც ზედაზნის წინამძღვრების სიიდან ჩანს, იოანეს შემდეგ მონასტერში მოღვაწეობდნენ ილია დიაკონი, სამოელ დიდი, „რომელმან ქუაბი ქმნა ჯუარისაჲ“, გაბრიელ, „რომელმან სტოეა ალაშენა“, იოანე, „რომელი მოიკლა სარკინოზთაგან ზედაზნის შინა მახვლითა“, მიქაელ, „რომელ სადიაკონე ალაშენა“, მიქაელ, „რომელმან აკლდამასა თანა ეგუტერი ქმნა“, ზაქარია, „რომელმან ეკლესია განადიდა“, სამოელ, „რომელმან მარანი ქვითკირითა ქმნა“ და სხვანი¹. ზედაზნის მოღვაწენი ზრუნავდნენ მონასტრის გაშენებასა და კეთილმოწყობაზე, ეწეოდნენ აღმშენებლობით საქმიანობას. ზემომოტანილი დოკუმენტალური მოწმობით ცხადი ხდება, რომ არაბ მამადიანთა ლაშქარს ზედაზნის მონასტერი დაუბრუნებია და იქაური მოღვაწენი დაუხოცავს.

იოანე ზედაზნელის სადგომის ახლოს, მის აღმოსავლეთით, კათოლიკოს კლემენტოსს ნათლისმცემლის ეკლესია აუგია. აგიოგრაფთა არც თუ სულ ზუსტი ცნობით, „შემდგომად მრავლისა ეამისა წმიდან კლემენტოზ კათოლიკოზმან აღმოსავალით კერძო ეკლესიისა სხუაჲ ეკლესიაჲ ალაშენა სახელსა ზედა წმიდისა ნათლისმცემლისასა“².

იოანე ზედაზნელის მიერ დაარსებულ მონასტერში დღემდე დაცულია ნათლისმცემლის ეკლესია. ის წარმოადგენს სამნაეიან ბაზილიკას, რომლის ერთი ნაწილი, ჩრდილოეთის ნაეი, ეკუთვნის ადრეულ ხანას, დანარჩენი ნაწილები კი VIII—IX და მომდევნო საუკუნეებისაა. მასალისა და გეგმის მიხედვით ის კახური არქიტექტურის ტიპური ძეგლია³.

ზედაზნის მონასტერი (და ციხე) კახეთს ეკუთვნოდა. როდესაც დავით აღმაშენებელმა თურქ-სელჩუკთა თვითნებობა ალაგმა და თავისი სამფლობელოების საზღვრების გაფართოება დაიწყო, კახთა მეფეს კვირიკესაც შეუტია და 1101 წელს „წარულო ციხე ზედაზენი“⁴.

ზედაზნის ციხესა და მონასტერს ამის შემდეგაც გადახდა რამდენიმე ბრძოლა. განსაკუთრებით სავალალო იყო მონასტრისათვის ლეკთა ბრძოების აულაგმავი თარეში. ჩრდილო კავკასიიდან შემოპარული მტაცებლები ზედაზ-

¹ ქრონიკები, I, გვ. 73—74; Опис. рукописей (A), I, გვ. 143—164.

² ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები, გვ. 66. კათოლიკოსი კლემენტოსი ზოგ მკელეუარს (პ. იოსელიანი, მ. საბინინი) მე-9 საუკუნის მოღვაწედ მიაჩნდა, ზოგი კი მის მოღვაწეობას მე-8 საუკუნით ათარიღებდა (თ. ვორდანიანი). უცანასკნელად აკად. გ. ჩუბინაშვილმა კლემენტოსი მე-8 საუკუნის მესამე მეოთხედის მოღვაწედ მიიჩნია და ზედაზნის დასახლებული ნაგებობაც შესაბამისად დაათარიღა (Г. Чубинашвили, Архитектура Кахети, გვ. 106).

³ ზედაზენზე იხ. F. Dubois, Voyage autour du Caucase, II, Paris, 1859, გვ. 43; IV, Paris, 1840, გვ. 239, 244; A. Muraviev, Грузия и Армения, I, გვ. 254—262; Д. Баградзе, Кавказ в древних памятниках христианства, გვ. 55—56; К. Б. Зедзипицкий св. Иоанна монастырь, „Кавказ“, 1890, № 118; A. Натроев, Мухет и его собор Святи-Цховели, გვ. 10—14; შ. ამირანაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, I, გვ. 158, 161; Г. Чубинашвили, Архитектура Кахети, გვ. 97—109; ბ. კანდელიაკი, ზედაზენი, თბ., 1959.

⁴ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 326; ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 195. შტრ. Г. Чубинашвили, Архитектура Кахети, გვ. 109, შენ. 3.

ნის შთის კალთებზე გაშენებულ ხშირ ტყეში ბუდობდნენ და იქიდან ეს-
მოდნენ თავს ქართველ მშრომელ მოსახლეობას¹. გასაგებია, ლეკთა მოთა-
რეშე რაზმების სიახლოვე კარგს არას მოუტანდა ქართულ მონასტერს. მართ-
ლაც, მონასტერი დაცარიელდა, გაუკაცრიელდა და ჩაკვდა, მაგრამ დღემდე
შემორჩენილი ნანგრევების მიხედვითაც შეიძლება დავასკვნათ, რომ აღრეულ
ხანაში იქ მრავალი ბერ-მონაზონი იყო თავშეფარებული.

იოანე ზედაზნელის მიერ დაარსებულ მონასტერში, უთუოდ, გაჩაღდებოდა
კულტურულ-ლიტერატურული საქმიანობა, მაგრამ სათანადო მასალა
ჩვენამდე ნაკლებადაა მოღწეული. ვთქვამთ, ეს გარემოება იმით აიხსნება,
რომ ჯერ ერთი, მტრის მოძალადე რაზმების, თარეშის გამო ზედაზნეზე კულ-
ტურულ-ლიტერატურული საქმიანობა, ალბათ, შედარებით, სუსტი იყო და
მეორე — მონასტრის ხშირი დარბევის გამო ლიტერატურული მემკვიდრეობა
განადგურდა და აღარ შემოგვრჩა.

ზედაზნის მოღვაწე ქართველ მწიგნობართა თუ ლიტერატურით დაინტე-
რესებულ პირთაგან ჩვენთვის ცნობილია მიქაელ წინამძღვარი — ინიციატორი
იოანე ზედაზნელის ცხოვრების მეტაფრასული რედაქციის დაწერისა.

აკად. ი. ჯავახიშვილმა 1913 წელს სოფ. ლამისყანაში აღმოაჩინა „ქართ-
ლის ცხოვრების“ საინტერესო ხელნაწერი (Q № 795), რომელიც ანა დედოფ-
ლისეული ნუსხის სახელითაა ცნობილი². ამ ხელნაწერს საქუთრივ „ქართ-
ლის ცხოვრების“ ტექსტის ბოლოს ერთვის იოანე ზედაზნელის მეტაფრა-
სული რედაქციის ნაკლები ტექსტი: „ცხოვრებაჲ წმიდისა მამისა ჩუენისა
იოვანე ზედაძნელისაჲ, რომელი ბრძანებითა ღმრთისაჲთა და წინამძღურო-
ბითა სულისა წმიდისაჲთა მოივლინა ქუეყანით შუამდინარით ქუეყანად ქართ-
ლისად ათორმეტთა მოწაფეთა მისთა წმიდათა თანა“ (Q № 795, გვ. 426—
470)³. მას შემოუნახავს ავტორის წერილი ზედაზნის წინამძღვრის მიქაელი-
სადმი: „წიგნი ვედრებისა შენისაჲ აღმოვიკითხე ძმაო მიქაელ, და თხოვისა
შენისა წადიერებაჲ გულისქმა-(ე)ყავ და ფრიალ მთნდა სწავლის მოყუარებაჲ
შენი, რამეთუ გენება, რაჲთამცა დიდისა იოვანე ზედაძნელისა ცხოვრებაჲ
აღვწერე და მიუძღუანე თქუენსა მას უდაბნოსა, პირველად, რაჲთა არა
სიღრმესა შინა დაფარულ იყუნენ სათნოებანი წმიდისა მის მამისა და მოძღუ-
რისანი, და მერმე, მათ გამო, რაჲთა სარგებელი ვპოოთ. და ქარტაჲ იგი
წულილი, რომელი წარმოგედღუანა ჩუენდა, რომელთაგანი საქმეთა მამისა
ჩუენისა ზედაძნელისანი [წარვიკითხე] და ზოგი რაჲმე გამოვიკითხეთ მისთვის
და მისთა მათ მოწაფეთა მათთა“⁴. ამ წერილით ნათლად ირკვევა, რომ ახალი
რედაქციის ავტორისათვის მიქაელს დაუეალებია ძველის შეთხზვა და გაუგ-
ზავნია „ქარტაჲ წულილიც“, რომელშიც აღწერილი იყო „საქმენი ზედაძნე-
ლისანი“. მიქაელს სურდა მწერალს აღეწერა იოანეს ცხოვრება და მიეძღვნა
მისი უდაბნოსთვის. საკამათო არაა, რომ აქ ზედაზნის უდაბნო, ზედაზნის
მონასტერი იგულისხმება. ჩანს, მიქაელ წინამძღვარს იოანე ზედაზნელის ცხოვ-

¹ ამ გარემოებას საგანგებოდ აღნიშნავს პ. იოსელიანი (ცხოვრება გიორგი მეცამე-
ტისა, გვ. 76).

² ქართლის ცხოვრება, ანა დედოფლისეული ნუსხა, ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი ს რედაქციით,
თბ., 1942.

³ ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები, გვ. 3—58.

⁴ იქვე, გვ. 4.

რების ძველი აღწერილობა აღარ აკმაყოფილებდა და აღარ მოსწონდა. მას უკვე რიტორული შევერმეტყველება და ფილოსოფიური მსჯელობა აინტერესებდა, ამას კი ძველ, ლიტონად აღწერილ, ცხოვრებაში ადგილი არ ჰქონდა. სწორედ ამან აიძულა მიქაელი მიემართა მეტაფრასტიკისათვის და იოანე ზედაზნელის ცხოვრების ახლად აღწერა ეთხოვა¹.

ანა დედოფლისეული ნუსხის მიერ შემონახული იოანე ზედაზნელის ცხოვრების გამომცემელი პროფ. ილ. აბულაძე ფიქრობს, რომ ხსენებული ძველი არის არა მეტაფრასული რედაქცია, არამედ მე-10 საუკუნის მოლვაწის — არსენ II კათოლიკოსის თხზულება². ამ საინტერესო მოსაზრების დასამტკიცებლად მკვლევრის მიერ წარმოდგენილ საბუთებს დაზაჯერებლობა აკლიათ; უკანასკნელად მიკვლეული ტექსტის მე-10 საუკუნისეულად ჩათვლა და მის ავტორად კათოლიკოს არსენ მეორის მიჩნევა ძნელია (არასარწმუნოა მიქაელ წინამძღვრის მიერ კათოლიკოსისათვის დავალების მიცემა, აგრეთვე მოულოდნელია კათოლიკოსისაგან თავის უმეცრებასა და ენაბრვენილობაზე საუბარი, რასაც ადგილი აქვს ძეგლში). საფიქრებელია, ანა დედოფლისეული ხელნაწერის იოანე ზედაზნელის ცხოვრების მეტაფრასული რედაქცია ვილაც უცნობ ქართველ ავტორს დაუწერია მე-11 საუკუნეში ზედაზნის წინამძღვრის მიქაელის დავალებით³.

აი, ყოველივე ის, რაც მიქაელ ზედაზნელის შესახებ შეიძლება აღვნიშნოთ. რაიმეს დამატება ზედაზნზე მოლვაწე ქართველი მწიგნობრების შესახებ ჯერჯერობით არ ხერხდება. ზედაზნზე ქართული ხელნაწერების არსებობას ამოწმებს ის ფაქტი, რომ 1922 წელს აკად. ა. შანიძემ იქ იპოვა დოროთეს „სწავლანი სამონაზვნონი“ (A № 1386).

ბ ა რ ე ჯ ა

საგარეჯოს რაიონში, რაიონული ცენტრიდან 30-ოდე კილომეტრის დაშორებით ხრიოკ, უწყლო და მოუსავლიან ტრამალეზში მდებარეობს ქართული კულტურის დიდებული კერა — გარეჯის უდაბნოს სამონასტრო ანსამბლი, სადაც საუკუნეთა მანძილზე ცხოვრობდნენ ქართველი მწიგნობრები, მხატვრები და ხუროთმოძღვრები. მართებულად წერდა განსვენებული აკად. ი. ჯავახიშვილი: „ეს კუთხე ოდესღაც ქართული კულტურის დიდებული კერა იყო. საკმარისია ადამიანმა დაათვალიეროს ქართული ხუროთმოძღვრების ისეთი შესანიშნავი ძეგლი და ქართული მხატვრობის მრავალი განსაკუთრებული ნაწარმოები, რომელნიც დავით გარეჯის უდაბნოში შენახული არიან და ყოველგვარ მტრის გამანადგურებელ შემოსევას გადაურჩნენ, რომ ნათლად წარმოიდგინოს რამდენად დაწინაურებული ქართული კულტურული ცხოვრების ასპარეზი იყო ეს კუთხე“⁴.

¹ ი. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 39—40; კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I¹, გვ. 534—535.

² ასურელ მოლვაწთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები, გვ. VII, IX—XXIII.

³ კ. კეკელიძე, საკითხი სირიელ მოლვაწთა ქართლში მოსვლის შესახებ, ეტიუდები, I, გვ. 44—47; მისივე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I⁴, გვ. 534—535.

⁴ ი. ჯავახიშვილი, საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული, თბ., 1919, გვ. 4.

გარეჯის მონასტრების დაარსება იოანე ზედაზნელის მოწაფის დავითის სახელთანაა დაკავშირებული. მონასტრების აღმოცენებისა და განვითარების პირველი ეტაპის შესახებ საინტერესო ცნობები სწორედ დავით გარეჯელის ცხოვრების ძველი წიგნების უცნობ ავტორებს შემოუნახავთ. რამდენიმე სიტყვა აღნიშნულ წყაროებზე.

დავით გარეჯელის ცხოვრების უძველესი რედაქცია („ცხოვრება და მოქალაქობაა წმიდისა მამისა ჩუენისა დავით გარესჯელისაჲ“) ეკუთვნის მე-10 საუკუნის პირველი ნახევრის უცნობ ქართველ მწერალს. ის მხოლოდ ერთი ხელნაწერით (A № 833) იყო ცნობილი და გამომცემლებიც იძულებულნი იყვნენ ამ დეფექტური, ნაკლული ტექსტის შემცველი ნუსხით გამოეკვეყნებინათ აღნიშნული თხზულება¹. უკანასკნელ ხანს აღმოჩნდა დავით გარეჯელის ცხოვრების ძველი რედაქციის სრული ტექსტი (II № 1336, 171 v—179 r), გადაწერილი 1699 წელს ზებედე დეკანოზ-ყოფილის მიერ². 1955 წელს დავით გარეჯელის ცხოვრების მე-10 საუკუნისეული ტექსტი ორივე ხელნაწერის მიხედვით გამოაქვეყნა პროფ. ილ. აბულაძემ³.

მე-12 საუკუნეში დავით გარეჯელის ცხოვრების ძველი წიგნი გადაუშუშავებია ვილაც უცნობ მეტაფრასტს, რომელსაც მოუყია საკმაოდ გავრცობილი თხზულება („ცხოვრება და მოქალაქობაა წმიდისა და ღმერთ-შემოსილისა მამისა ჩუენისა დავით გარესჯელისაჲ“). ის შემონახულია მრავალ ხელნაწერში (A №№ 126, 130, 160, 161, 170, 176, 1561; H №№ 1672, 2077, 2121; S №№ 140, 449, 4975; Q № 300; არქ. ხელნ. №№ 67, 252; K № 406 და სხვ.), გამოქვეყნებულია ორჯერ⁴. დავით გარეჯელის ცხოვრების განსხვავებული რედაქცია, — მეტაფრასულიდან გამოკრებილი, — გვხვდება ღომენტი ჯანდიერიშვილის მიერ 1726 წელს გადაწერილ ნუსხაში (A № 220, 537v—545v). დავითის ცხოვრების მოკლე რედაქცია შესულია „ქართლის ცხოვრების“ კრებულშიც⁵.

ზემოხსენებული ძეგლების მიხედვით შესაძლებელი ხდება დავით გარეჯელის ცხოვრებისთვის თვალის გადევნება და მონასტრების აღმოცენების (ავრეთვე განვითარების პირველი წლების) ისტორიის გათვალისწინებაც.

აგიოგრაფების ცნობით, დავითი უკვე სირიაში ყოფნისას დაემოწაფა იოანეს და მასთან ეწეოდა ბერ-მონაზვნულ ცხოვრებას. ქართლისაკენ წამოსულ იოანეს, როგორც აღვნიშნეთ, თან წამოაყუა (543 წ.) მოწაფეთა ჯგუფი, რომელშიც დავითიც იყო. სამშობლოში, ქართლში მოსულმა იოანემ თავისი

¹ არქეტიპები, გვ. 36—42; ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, გვ. 163—167. პროფ. ს. კაკაბაძე აღნიშნულ ნაწარმოებს შეცდომით 690—700 წლებით ათარიღებდა (არქეტიპები, გვ. 14). ამ დებულებას, — სხვასთან ერთად, — ისიც დაარღვევდა, რომ ძეგლში ილარიონ ქართველის (IX ს.) მოღვაწეობაზეა საუბარი.

² ლ. მენაბდე, „ასურელ მამათა“ საკითხისათვის, სადისერტაციო ნაშრომი ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 1949 (ხელნაწერი). მოკლე ცნობა მოცემულია H ფონდის ხელნაწერთა აღწერილობის შესამე ტომში (გვ. 275).

³ ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები, გვ. 144—187.

⁴ საქ. სამოთხე, გვ. 265—286; ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები, გვ. 144—187 რუსული პერიფრაზი გამოაქვეყნა მ. საბინინმა (Полное жизнеописание, I, გვ. 123—140), ინგლისური — დ. ლანგმა (Lives and Legends of the Georgian Saints, გვ. 81—93).

⁵ უკანასკნელი გამოცემა იხ. ქართლის ცხოვრება, I, გვ. 209—210.

მოხატეხი დაგზანა სხვადასხვა კუთხეში¹. დავითმა გარეჯას შიამურა; „წარვიდა ადგილთა უდაბნოთა და ურწყულთა სჯად თავისა თვისისა“, „რამეთუ ევლტოდა იგი ამბოხთა და შფოთთა სოფლისათა“. დავითის ცხოვრების ძველი რედაქციის ავტორის ცნობით, დავითმა „აღირჩია აქა სჯაჲ გარეგან უდაბნოთა შინა. ამისთვის ეწოდების უდაბნოსა მას გარესჯაჲ“.

დავითი აღზრდილი და გაწაფული იყო სირიის მონოთეიზიტი ბერ-მონაზვნების უაღრესად მკაცრსა და სასტიკ რეჟიმში. ის არ გაურბოდა საფრთხეს, არ უშინდებოდა ცხოვრების ძნელ პირობებს, ხელს არ იღებდა მკაცრ ბერ-მონაზვნულ იდეალებზე. მეტიც, ის გვევლინება სირიული, მონოთეიზიტური ბერ-მონაზვნული სასტიკი რეჟიმის დამწერავად ჩვენში.

აგიოგრაფების ცნობით, დავითი „მოსწრაფე იყო მსოფლიოთა ყოველთაგან განშორებასა და მის მიერთა გემოთაგან განყენებასა და ყოვლითურთ განსლვასა სხეულისა მარხვისა მიერ და შეიწრებისა ჯორჯთაჲსა“. ჩანს, განმარტოების მოპოვების მიზნითა და ასკეტობის სურვილით მიაშურა მან გარეჯის მრავალმთას. უდაბნოში მისულ დავითს ახლდა ერთი მოწაფე ლუკიანე. მათ პოვეს, შედარებით, მოხერხებული ადგილი, აღმოაჩინეს წყაროც: „ვითარცა მიიწიენეს უდაბნოსა მას ურწყულსა, მოეწყურა მათ თრიად და პოვეს მცირე წყალი შეკრებული წვემისაგან ნაპარალსა შინა კლდისასა და სუეს მისგან და დასხდეს განსუენებად ჩრდილსა რასმე კლდისასა“.

მართალია, დავითი და ლუკიანე „შეიშთებოდეს წყურვილითა და თანად სიციხითა შეიწუებოდეს, რამეთუ ესე ადგილი მრავლად შემწუელი არს მზისა მცხინვარებითა“, მაგრამ დავითი არ შეუშინდა „ფრიალსა იწროებასა და სიფიცხლესა ამის უდაბნოსისასა“ და შიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ადგილი „უპოვარ“ იყო „ყოვლისაგან საჭმრისა საზრდელისა და წყლისა“, საცხოვრებლად ის აირჩია. ეს გასაგებია. დავითი სირიის უდაბნოებში ძალზე მკაცრ პირობებში ცხოვრობდა, მეტისმეტად სასტიკ გარემოში მოღვაწეობდა და გარეჯის მრავალმთის ბუნება მისთვის განსაკუთრებული აღარ იყო².

¹ დავითი, გადმოცემით, ერთ ხანს თბილისში მოღვაწეობდა, მთაწმიდაზე, რის გამო აღნიშნულ მთას ხოჯჯარ მამა დავითის მთასაც უწოდებენ (Ш. Иосеѣвѣвичи, Гора св. Мѣтѣи и Тѣфлисѣ, Т., 1858, გვ. 2—3; მისივე, Описание древностей г. Тѣфлиса, გვ. 42; М. Сабанин. Полное житиеосписание, I, გვ. 124—125; საქ. სამოთხე, გვ. 268—269; ნ. ყუბანეიშვილი, ღირსი მამა დავით გარეჯელი, თბ., 1893, გვ. 6—10. იხ. აგრეთვე გ. კიკოძე, ფრაგმენტები, II, ლევენდა და სინამდვილე, „მნათობი“, 1956, № 8, გვ. 144—147; გ. ლეონიძე, ჩვენი დედაქალაქის წარსულიდან, „ლიტერატურული გაზეთი“, 25. I. 57, № 4 (1018). აღნიშნული გადმოცემა ცნობილი ყოფილა თეიმურაზ ბატონიშვილისათვისაც. იხ. მისი „უკუშმართესი უწყება ტფილისისათს“ (შ. მესხია, XIX საუკუნის ზოგი ცნობა ძველი თბილისის შესახებ, „ციცკარი“, 1958, № 10, გვ. 159).

მაშვერის მარჯვენა ნაპირას, ტყით დაფარული მთის ფერდობზე. სოფელ კიანეთის სამხრეთ-აღმოსავლეთით სამიოდე კილომეტრზე მდებარეობს ნანგრევი — დავით-საგარეჯო. ოდესღაც იქ მონასტერი ყოფილა გაშენებული (ლ. მუსხელიშვილი, არქ. ექსკურსიები მაშვერის ხეობაში, გვ. 33—34; ე. თაყაიშვილი, სომხით-საორბელოს ძეგლების წარწერები, II, თსუ შრომები, ტ. 43, 1951, გვ. 165). ძნელი გასარკვევია, რა კავშირშია ეს მონასტერი დავით გარეჯელთან. გადმოცემით, დავითი ერთ ხანს, თითქოს, იქაც მოღვაწეობდა. იხ. აგრეთვე ვახუშტი, აღწერა, გვ. 39.

² როგორც აღვნიშნეთ, მე-10 საუკუნის ქართველი იწერალი საკმაოდ თავისებურად ხსნის დავითის სამოღვაწეო ადგილის („გარესჯა“ || „გარეჯა“) სახელწოდებას. საგულისხმოა, რომ იოანე ზედახელის ცხოვრების ერთ-ერთ რედაქციაში აღნიშნულ პუნქტს „გარეშეთი“

დავითმა და ლუკიანემ საცხოვრებელი ადგილიც შეარჩიეს: „მიმოვლეს იმიერ და ამიერ და პოვეს პარეხი რაძმე კლდისაჲ, რომელსა ქუეშე დაივანეს“. ეს გამოქვაბული გახდა მათი სადგომ-სამყოფი, ეს იყო მათი საცხოვრებელი. „რაცანს დასცხის ანუ იყვის წვამა, პარეხსა მას ქუეშე განისუენიან“. გარეჯის უდაბნოს ახალმოსახლენი მცირედით იკმაყოფილებდნენ თავიანთ ბუნებრივ მოთხოვნილებას, მათ საზრდოს ბალახეულობა წარმოადგენდა: „საზრდელი მოირეწიან ძირთაგან რომელთაჲმ მდგლოთა და მწუანვილთაგან მუნ აღმოცენებულთა“. მოუხარშავი საკვების მიღებაც საკმაოდ ართულებდა განდევნილთა მძიმე ყოფას, მაგრამ მათ კიდევ უფრო მეტი განსაცდელი ელოდათ. მალე აღარც ბალახ-მწვანილი გადაურჩა მზის მცხუნვარებას: „გარდავდეს დღენი რაოდენნიმე, დაბერდეს მდელონი იგი და განკმეს სიციხისაგან“. დავითი და ლუკიანე უკიდურეს გაჭირვებაში აღმოჩნდნენ, მაგრამ შერჩეული სადგომი არ დატოვეს, მონასტრის ორგანიზაციაზე ხელი არ აიღეს და კვლავ განაგრძობდნენ თავის პარეხში ცხოვრებას¹. საფიქრებელია, მათ საცხოვრებლად შეარჩიეს ის ბუნებრივი გამოქვაბულები, რომელთაც ძველი სახე დღემდე შენარჩუნებული აქვთ დავითის ლავრის ქვემო ეზოში, ხესთან, მღვიმის ეკლესიას პირდაპირ².

გარეჯაში ცხოვრების მომდევნო პერიოდში დავითი და ლუკიანე, აგიოგრაფთა მოწმობით, თითქოს, ირმის რძითა და მისი ნაწარმით იკვებებოდნენ (ეს ეპიზოდი ასახულია რამდენიმე მონასტრის — დავითის ლავრის, უდაბნოსა და ბერთუბნის მხატვრობაში).

ასე ჩაეყარა საფუძველი გარეჯის ერთ-ერთ მონასტერს მე-6 საუკუნის შუა წლებში. ნიუხედავად მძიმე საცხოვრებელი პირობებისა, იქ მალე მომრავლდნენ ბერები, დავითმა დაიწყო ზრუნვა მონასტრის გაზრდა-გაფართოებასა და კეთილმოწყობაზე. ახლადმოსულებმა, დავითის ბრძანებით, აღმოკეთენეს ლაკუანი შემწყნარებლად წყალთა³, ქუაბნი საყოფელად მათდა,

ეწოდება, ზოლო სტეფანოს ორბელიანი (XIII ს.) მას „გარშტეს“ უწოდებს. საფიქრებელია, დავითის სამოღვაწეო ადგილს „გარეშეთი“ იმიტომ ჰქმნოდა, რომ ქართლ-კახეთისათვის ის გარეშეს || გარეშენს წარმოადგენდა (მღრ. შიგნი კახეთი და გარე კახეთი). ამ საკითხზე იხ. ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები, გვ. XX—XXI. იხ. აგრეთვე П. Иосифианн, Гора св. Лаврѣи и Тифлисе, გვ. 10, შენ. 18.

პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგის მოსაზრებით, „გარუსჯა“ უნდა განიმარტოს არა ასკეტიზმის ინსტიტუტის საზღვრით, არამედ — როგორც ფილოსოფიური ტერმინი — „გარეთი მათიქრებლობის“, „გარეშე სიბრძნის“, „ხე მსჯელობის“ გაგებით. იხ. მისი დავით უძლეველი და დავით გარეშესჯელი, საიუბილეო კრებული, მიძღვნილი აკად. კ. კეკელიძის დაბადების 80 წლისთავისადმი, გვ. 224—226 (აღნიშნულ წერილში, რომელიც ადრე სომხურად დაიბეჭდა, ავტორი არა ერთ საინტერესო დაკვირვებას გვაცნობს, მაგრამ საერთოდ მისი კონცეფცია მიუღებელი ჩანს).

სხვათა შორის, იონა გედევანიშვილი იხსენიებს „მრავალმთის გარეჯურების მონასტერს“ (მიმოსულა, გვ. 88—89).

¹ ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები, გვ. 151, 153—155, 156.

² Г. Ч у р и н а ш и л и, Пещерные монастыри Давид-Гареджа, გვ. 27, ტაბ. 54.

³ გარეჯის მთის კლდოვან ზედაპირზე ახლაც კარგადაა შენახული ხელოვნურად ნაკეთი ღარები, რომლებიც კლდემივე ამოკვეთილ დიდ აუზებში იყრიან თავს (ს. ბეღუ-კაძე, მ. ჩართოლანი, სამგორის ახალი მოსახლეობის საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობანი, აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახ. მუზეუმის მოამბე, XIX-A და XXI-B, 1957, გვ. 18).

რონელთაცა შინა დაემკვდრნეს სიმრავლენი ღამაკატანი უდაბნოებითა ცხოვრებასა შემტკობელნი“.

შემდეგში ძნობა კიდევ უფრო გაიზარდა. „განმრავლდეს ძმანი“, „შემოკრებოდეს ყოვლით კერძო“, მოვიდა დოდოც (ეს დავითის ერთ-ერთი გამოჩენილი მოწაფე და თანამოღვაწეა). მალე დავითის მონასტერში ტევა აღარ იყო, ძველებს ახალი მოღვაწენი მიემატნენ. „წარკდეს მცირედნი დღენი. შემოკრება სიმრავლე სხუათაცა ძმათაჲ“. დავითმა გადაწყვიტა სხვა მონასტრის დაარსებაზე ზრუნვა. მან მოუწოდა დოდოს: „წარვედ, ძმაო, რქასა ამის კლდისასა, რომელ არს პირისპირ ჩუენსა, და წარიტანენ თანა სხუანიცა ძმანი“. იწყე იქ ახალი სავანის მშენებლობაო. მას სურდა დოდოს თვით დაედო საფუძველი ახალი მონასტრისათვის („აღეშენოს მუნცა სამკვდრებელი და საყოფელი ძმათაჲ და ქალაქი და სამკვდრებელი ღმრთისა მონათა, იქმნეს უდაბნოჲ...“). დავითი იმედოვნებდა, რომ ამ ნაბიჯით, ჯერ ერთი, საფუძველი ჩაეყრებოდა ახალ სამონასტრო ცენტრს, მეორეც — მისი მონასტერი განიტვირთებოდა მომრავლებულ მოწესეთაგან. დავითის მორჩილი დოდო „წარვიდა და აღაშენა უდაბნოჲ იგი სახელსა ზედა ყოვლად წმიდისა დედოფლისა ჩუენისა ღმრთისმშობელისასა“.

მეტაფრასტის ცნობით, დოდომ და მისმა ჯგუფმა „ველ ყო შენებად ადგილსა მას ქუაბთა გამომკუეთელმან და ლაკუათა სიმრავლისა აღმომკრეღმან და მცირესა ეამსა შინა აღსავეს იქმნა სიმრავლისა მიერ მარტოდ მცხოვრებელთაჲ ყოველი იგი უდაბნოჲ“¹.

დოდოს მონასტერი² ან დოდოს-რქა, დოდორქა, როგორც მას ხშირად უწოდებდნენ, მდებარეობს დავითის მონასტრის (—დავითის ლავრის) პირდაპირ. ეს საკმაოდ გრძელი სამონასტრო კომპლექსი წარმოადგენს პირველ მონასტერს, რომელიც დავითის ლავრას გამოეყო და ცალკე ერთეულად ჩამოყალიბდა.

მაშასადამე, დავით გარეჯელის მოღვაწეობის ხანაში (VI ს.) აღმოცენდა დავითის ლავრა და დოდორქა. ეს გარკვევითაა მითითებული დავით გარეჯელის ცხოვრების ძველ წიგნებში. საფიქრებელია, მე-6—7 საუკუნეებში შეიქმნა გარეჯის კიდევ ერთი განშტოება — ნათლისმცემლის მონასტერი (12 კმ-ზე ლავრიდან). მისი აგება-აღმოცენების ზუსტი თარიღი არ ჩანს. ა. მურავიოვი მონასტრის წინამძღვრის ჩვენების საფუძველზე ნათლისმცემლის მონასტერს ლუკიანეს აგებულად მიიჩნევდა³, მაგრამ ამის დამამტკიცებელი საბუთები არ ჩანს. მონასტრის ეკლესიის შესასვლელთან შეინიშნება ევსტათის ნაღირობის სცენა ქართული ასომთავრული წარწერით, რომელიც დაახლოებით მე-6—7 სს-ით თარიღდება⁴.

ამრიგად, გარეჯის მრავალმთის სამონასტრო კოლონიზაცია იწყება მე-6 საუკუნის შუა წლებში. პირველად აღმოცენდა დავითის მონასტერი, ლავრა, რომელსაც დავითის სიკოცხლეშივე მრჩვევა დაარსება სხვა მონასტრე-

¹ ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები, გვ. 166—167.

² ი. ბერძენოვი, წმინდა დოდოს მონასტერი, „ღრობა“, 1881, № 118. იხ. აგრეთვე საქ. სამოთხე, გვ. 636—639.

³ А. Муравьев, Грузия и Армения, I, გვ. 68.

⁴ Г. Чубицашвили, Пещерные монастыри Давид-Гареджи, გვ. 30—31, ტაბ. 7, 37.

ბისა, ლაერის განშტოებისა. ერთია — დოდოქა, რომელიც დავითის მოწათმეობით დააარსა, მეორე — იოანე ნათლისმცემლის მონასტერი, რომელიც შეიძლება ლუკიანეს დაარსებული იყოს. უკვე აქედანვე ჩანს, რომ დავითის მონასტერმა ადრევე დაიწყო დიდი როლის შესრულება ქართული კულტურის ისტორიაში. სირიული ასკეტიზმის მკაცრი ბერ-მონაზვნული რეგიმის დამამკვიდრებელმა დავითმა საფუძველი ჩაუყარა მძლავრ სამონასტრო ცენტრს, რომელიც შემდეგში საყურადღებო კულტურულ-საგანმანათლებლო კერად იქცა.

დავითის სიცოცხლეშივე იწყება ფართო აღმშენებლობითი ხასიათის სამუშაოები ლავრაში. იქ დიდი მუშაობა ჩატარებია „ადგილთაგან „რუმს-თავისათა“ მოსულ პირს ბუბაქარს¹, რომელმაც „თანა მიატანნა სათხარნი და მუშაკნი და შეუქმნა ეკლესიაჲ სალოცველად ძმათა, რომელი-იგი უკუნადს-კნელ წმიდამან და ღმერთ შემოსილმან ილარიონ განავრცელა და აკურთხა“. ესაა ფერისცვალების ეკლესია მონასტრის ქვედა ეზოში, დავით-ლუკიანეს გამოქვაბულთა პირდაპირ. ჩანს, კლდეში უკვე დავითის სიცოცხლეშივე გამოუქვითათ ეკლესია.

დავითის მონასტერი მალე გაიზარდა, გაძლიერდა, მრავალრიცხოვანი გახდა. უკვე დავითის დროს გარეჯის მრავალმთის მონასტრებში ცხოვრობდნენ განდევნილები და განდევნილთა ჯგუფებიც. „ყოვლით კერძო შემოკრებოდეს მისა და დღითი-დღე ფრიადი სიმრავლე მოიწეოდა უდაბნოსა ამას შინა, რომლისა ძლით აღსავსე იქმნა კაცთა მიერ სათნოთა და ღირსთა ყოველი იგი ადგილი. და რომელნიმე მათგანნი მარტოებით იყოფებოდეს ნაპრაღთა შინა კლდისათა დამკვდრებულნი, ხოლო სხუანი კრებულსა თანა ძმათასა დაეწესებოდეს“.

დავითი ყურადღებას არ აკლებდა თავის თანამოღვაწეებს. ის „ღლითი-დღე განვიდის მოკითხვად ძმათა მათ განშორებულთა მარტოდმყოფთა დაყუდებულთა და ყოველთა ნუგეშინის სცემდა, განამტკიცებდა და განაძლიერებდა“. ე. ი. ის ხელმძღვანელი, მეთვალყურე და ზედამხედველი იყო გარეჯელი ბერებისა. აგიოგრაფი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ დავითი იყო გარეჯის მრავალმთის უდაბნოს გამშენებელი („ბრძანებითავე მამისა დავითისათა აღუშენა უდაბნოდ მრავალმთისაჲ სახელსა ზედა წმიდისა იოანე ნათლისმცემლისასა“) ².

გარეჯის მონასტრების დამაარსებელი და იქ ბერ-მონაზვნული ცხოვრების საფუძვლის ჩამყრელი დავითი ლავრაში გარდაიცვალა და იქვე დაკრძალეს. ტაძარი, რომელიც ბუბაქარმა გამოკვეთა, დავითის საძვალე გახდა.

ვიდრე გარეჯის მრავალმთის მონასტრების შემდგომ ისტორიას გავეცნობოდეთ, საკიროდ მიგვაჩნია ყურადღების გამახვილება ერთ საკითხზე. გარეჯის მრავალმთაში ტრადიციულად 12 მონასტერს ითვლიან. როგორც ცნობილია, უკანასკნელ ხანამდე გარეჯის მონასტრების მაკურთხეველად ითვ-

¹ აგიოგრაფების ცნობით, დავითი ბუბაქარს სომხურად ესაუბრებოდა (შდრ. Н. М а п р, Архив. монгольское название христиан, в связи с вопросом об армянах-халкедонитах, ИВ, XII, 1915, გვ. 7).

² ასურულ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები, გვ. 175, 182—184.

ლებოდა ნინოწმიდელი მღვდელმთავარი (ეს გარემოება ძველ დოკუმენტებში ხშირად იჩენს თავს), რომელიც „ათორმეტა უდაბნოთა“ მაკურთხეველად იხსენიება. მაგალითად, კახეთის მეფე ლევანი (1520 - 1574) ასხენებს „ათორთა უდაბნოთა მაკურთხეველს არქიმანდრიტ ნინოწმიდელს ზაქარიას“, „ნინოწმიდას და ათორმეტა უდაბნოთა არქიმანდრიტს მამა სილოანს“¹; ალექსანდრე II (1574 - 1605) - „ათორმეტა უდაბნოთა საქეთმპყრობელ“ ნინოწმიდელს²; 1690 წლის დოკუმენტში იხსენიება „ათორმეტა უდაბნოთა მაკურთხეველი არქიმანდრიტი ნინოწმიდელი არსენი“³. ანტონ კათოლიკოსსაც მოხსენიებული ჰყავს „ათორმეტა უდაბნოთა არქიმანდრიტი“ საბა ნინოწმიდელი⁴, რომელიც თავისთავს ასეთივე ტიტულით იხსენიებდა⁵. მსგავსი მაგალითების მოხმობა შრავლად შეიძლება, მაგრამ, ვფიქრობთ, საკმარისია, ბუნებრივად იხადება კითხვა: მართლა 12 მონასტერი იყო გარეჯის უდაბნოში? ამ კითხვაზე დადებითი პასუხის გაცემა შეუძლებელია.

ვახტანგ მეექვსე ერთ თავის პოეტურ კმნილებაში ასახელებს გარეჯის მრავალმთის რამდენიმე მონასტერს (დავითის ლავრა, ბერთუბანი, ჩიჩხიტური, ნათლისმცემელი, დოდორქა)⁶, ყველა მათგანი მოხსენიებული აქვს ვახუშტის⁷. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი ავტორიტეტული ავტორები მხოლოდ რამდენიმე (5) მონასტერს ასახელებენ, ტრადიცია, როგორც აღვნიშნეთ, მაინც დაბეჯითებით ამტკიცებდა გარეჯის უდაბნოში 12 მონასტრის არსებობას. პ. იოსელიანი კიდევ ჩაწოთვლიდა ამ მონასტრებს (გარეჯა, აღდგომისა წამებულნი, ბერთუბანი, დოდო, ნათლისმცემელი, ჩიჩხიტური, თეთრსენაკები, მალაზანა ანუ მღვიმე, ქოლაგირი, მოხატული, ვერანგარეჯა, პირუკულმართი)⁸. ტრადიციულ აზრს იწყნარებდა პროფ. მ. ჯანაშვილიც⁹.

გარეჯის შესახებ დოკუმენტების გულდასმით გაანალიზებისა და უდაბნოს სამონასტრო კომპლექსების საფუძვლიანი შესწავლით აკად. გ. ჩუბინაშვილმა შესძლო გამოველინებინა მხოლოდ 6 მონასტერი (დავითის ლავრა, უდაბნო, დოდორქა, ნათლისმცემელი, ბერთუბანი, ჩიჩხიტური). რასაკვირვე-

¹ ქრონიკები, II, გვ. 396; ისტ. საბუთები, III, გვ. 64.

² ისტ. საბუთები, III, გვ. 89.

³ პ. ცხელილოელი, გუჯრები დავით გარეჯის უდაბნოსი, „ივერია“, 1893, № 89; ქართლ-კახეთის მონასტრების საბუთები, გვ. 10-11.

⁴ Грѹз. перк. гуджарин, გვ. 31. იხ. აგრეთვე ისტ. საბუთები, V, გვ. 91-92; საბას „ათორთა უდაბნოთა მაკურთხეველ მიტროპოლიტს“ უწოდებდა იოანე გაბაშვილიც, ბესიკის ძმა (არქ. ხელნ. № 259, 106 v).

⁵ ისტ. საბუთები, V, გვ. 92. „ათორმეტა უდაბნოთა გარეჯისათა“ იხსენიებდა ეპითაღმწერელიც (ქართლის ცხოვრება, II, გვ. 272).

⁶ ვახტანგ VI, თხზულებათა კრებული, გვ. 18.

⁷ აღწერა, გვ. 50, 90.

⁸ П. Иоселиани, Гора св. Давида в Тифлисе, გვ. 3; მისივე, Описание древностей г. Тифлиса, გვ. 43. შდრ. Д. Бакрадзе, Кавказ в древних памятниках христианства, გვ. 42.

⁹ ვახუშტი, საქართველოს გეოგრაფია, გვ. 6¹, შენ. 122. ტრადიციულ აზრს იწყნარებდნენ ტ. მესხიშვილი (მოკლე აღწერა საქართველოს მონასტერთა, „საქართველოს სასულიერო მახარებელი“, 1864, VII, გვ. 26), პ. ცხელილოელი (დავით გარეჯის უდაბნო, „ივერია“, 1893, № 64), მ. საბინინი (Полное жизнеописание, II, გვ. 94-95) და სხვ. ქოლაგირისა და მალაზანის კლდეში ნაკვეთი ტაძრები ივრის ხეობაშია (დ. გონაშვილი, ისტორიული ძეგლები ივრის ხეობაში, „სახალხო განათლება“, 9. VIII, 50, № 32 (1092).

ლია, თუ პ. იოსელიანისა და პროფ. მ. ჯანაშვილის მსგავსად ცალკეულ ეკლესიებს ჩავთვლით დამოუკიდებელ მონასტრებად (მაგალითად, აღდგომის ეკლესია), მაშინ მონასტერთა რიცხვი თორმეტს ძალზე გადააჭარბებს, მაგრამ ეს არ იქნება სწორი და გამართლებული. ჩვენ არავითარი საბუთი არ მოგვეპოვება იმის სამტკიცებლად, რომ გარეჯის უდაბნოში 12 მონასტერი იყო. საფიქრებელია, „ათორმეტი უდაბნო“ Termini tecnici ა, რომელიც ერთიმეორის ახლო მდებარე უდაბნოთა ანუ მონასტერთა კომპლექსს აღნიშნავდა. რიცხვი 12 სიმბოლურია და შეიძლება 12 ნოტიქულის ანალოგიით იყოს შექმნილი (შდრ. 12 მოწაფე იოანე ზედაზნელისა)¹.

ამრიგად, გარეჯის მრავალმთის უდაბნოში მხოლოდ 6 მონასტრის არსებობა დასტურდება, მათგან სამი (დავითის ლავრა, დოდორქა, ნათლისმცემელი) უკვე მე 6—7 საუკუნეებიდან არსებობდა. საყოველთაოდ შეწყნარებული აზრით, უპირველესი და ყველაზე მნიშვნელოვანი მონასტერი დავითის ლავრა იყო. ერთი გვიანდელი ცნობით, ის იყო „მონასტერი ყოვლად სახელოვანი და პატივთა პირველ მდგომარე ყოველთა მონასტერთა გარეკსჯისათა“².

რა გზით წარიმართა გარეჯის მონასტრების ცხოვრება მე-7—8 საუკუნეებში, ჩვენთვის არაა ცნობილი, სათანადო მასალა ხელთ არა გვაქვს. საფიქრებელია, მყარ საფუძველზე დამკვიდრებული ლავრა მომდევნო ხანაშიც აღმავლობის გზას ადგა. მის ისტორიაში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება გამოჩენილ საეკლესიო მოღვაწეს ილარიონ ქართველს (822—875) ის 15—16 წლის ასაკში მივიდა დავითის ლავრაში და დაიწყო იქ მოღვაწეობა. მისი ბიოგრაფი, გვაწვდის რა სათანადო ცნობას ილარიონის გარეჯას მისვლის შესახებ, ამასთანავე გვაცნობს დავითის ლავრის კრებულის ყოფაცხოვრებასაც. ილარიონმა „განიზრახა წარსლვამ უშინაგანესსა უდაბნოსა, და აღდგა და წარკიდა უდაბნოსა გარესჯისასა“. „ხოლო ადგილი იგი უდაბნო და ყოველითურთ განშორებულ იყო სოფლისაგან, ფიცხელი ფრიალ და უნუგეშინისმცემო, სადა იგი არათუ ყოვლად სენაკებსა აშენებნ მუნ მყოფნი იგი

¹ ლ. მელიქსეთ-ბეგის, გარეჯის „მრავალმთის“ სომხური ეპიგრაფიკა და პოლიგლოტური წარწერა ქართულ-სომხურ-სპარსულ-უიღურული, ვენიკის მოამბე, V—VI, 1940, გვ. 153—157.

² საქ. სამოთხე, გვ. 575. საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ დავითის მონასტრის დაუმკვიდრდა ლავრის სახელი (ლავრა, დავითის ლავრა). როგორც ცნობილია, ბერთა მრავალრიცხოვანი კრებული არა ერთ ქართულ მონასტერში ცხოვრობდა; ამ მონასტერთაგან ზოგიერთს ლავრასაც კი უწოდებდნენ (მაგალითად, ოპიხის, შტებერდს, ხახულს, ოშქს, საფარას, შრომღვიმეს, გელაისა და სხვ.), მაგრამ ეს სახელი დავითის მონასტრის გარდა სხვას არავის დამკვიდრებია (შდრ. ი. ჯაქაძის შვილი, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, I, გვ. 79). აქვე აღნიშნავთ, რომ გარეჯის მრავალმთის ერთ-ერთ მონასტრს უდაბნოს სახელი დაუმკვიდრდა. ასეთი სახელწოდების საფუძველზე საქართველოში არა ერთი იყო უდაბნო ცნობილია გურიაში (Л. Баградзе, Кавказ в древних памятниках христианства, გვ. 135), ლეჩხუმში (აჩიქოვანი, ტაბონიმიური ლექსიკონი, თსუ შრომები, IX, 1939, გვ. 149; გ. ჩიტაია ლეჩხუმის ექსპედიციის მოკლე ანგარიში, საქართველოს სახ. მუზეუმის მოამბე, XII-Б, 1944, გვ. 259, 261), ქართლში (ეახუშტი, აღწერა, გვ. 76; ე. თაყაიშვილი, არქ. მოგზაურობანი და შენიშვნანი, I, გვ. 65), ჯავახეთში (გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, II, გვ. 18, 285; III, გვ. 417) და ა. შ. უდაბნოს უწოდებდნენ აგრეთვე ოპიხის, ხანძთის, წყაროსთაის, ზედაზნის, შრომღვიმის, კელიშის, ჯრუჭისა და სხვ. ეკლესია-მონასტრებს.

მოლუაწენი, არამედ ქუაბთა შინა და ნაპრალთა კლდესა მკუდრ არიან: არათუ ოდენ გემოთაგან და საშუებელთა სოფლისათა განუშორებიან თავნი თვსნი, არამედ თვთ საჭიროსა მისგან ხორცთა სახმარისა, რომელ არს პური და წყალი ფრიად ნაკლულევან არნ და უნუგეშინისცემო¹.

ილარიონის მისვლისას ლაერის კრებული საკმაოდ მრავალრიცხოვანი იყო. ახლადმისულმა მოლუაწემ ერთი გამოქვაბული აირჩია საცხოვრებლად („პოვნა მუნ მრავალნი კაცნი მოლუაწენი და მახლობელად ღათსა ქუაბი ერთი მცირე, განიხარა სიხარულითა დიდითა და შევდა და დაემკვდრა მას შინა“)².

ილარიონმა თავისებური ფილიალი შექმნა დავითის მონასტრისა და პატარა ჯგუფიც კი შემოიკრიბა: „აღემენებოდეს ყოველნი იგი ძმანი სწავლითა მისითა, და შეუერდებოდეს მას. რათა იყოფოდინ მისთანა; და შეიწყნარნა მან მისთანა ვითარ ათერთმეტნი ძმანი, მოლუაწენი მშვიდნი და მდაბალნი“³.

ილარიონის მოღვაწეობა გარეჯაში მხოლოდ აღნიშნულით არ შემოფარგლულა. ის შემდეგში კვლავ ეწვია აქ მხარეს, 855 წელს მეორედ მივიდა ლაერაში და ფართოდ გაშალა აღმშენებლობითი საქმიანობა, ააგო და მდიდრულად შეამკო ეკლესია: „და კუალად უდაბნოდ გარესჯისა მივიდა, სადა იგი დაეტევნა ძმანი პირუელ; ხოლო წმიდისა მამისა დავითის სამარტკროსა შინა ეკლესიად შექმნა, განაგო და შეწირა სახმარი“⁴.

ამჯერად ილარიონმა 9 წელი დაყო გარეჯაში. ზემოაღნიშნული საქმიანობა, რომელიც მას ლაერაში გაუწევია, დამოწმებულია დავით გარეჯელის ცხოვრებაშიც.

ილარიონს გაუფართოვებია, განუეცრცია და უკუერთხებია ეკლესია, რომელშიც დავითი და ლუკიანე არიან დაკრძალულნი (ეს ეკლესია დღემდე შემონახულია). ირკვევა, რომ ის გამბდარა ნიმუში, რომლის მიხედვით შენდებოდა მთავარი ეკლესიები ცალკეულ მონასტრებში.

საყურადღებოა, რომ მე-9 საუკუნიდან ლაერაში შეინიშნება სწრაფვა მონასტრის კეთილმოწყობისაკენ. ძველი მკაცრი ბერ-მონაზვნული ცხოვრების პირობები გვიანი ხანის მოსახლეთათვის აღარ ყოფილა დაბაკმაყოფილებელი, ნელა-ნელა იწყება გადაკეთება ძველ ნაგებობათა.

დავითის მიერ დაარსებული ლაერა საგრძნობლად გაძლიერდა. უკვე აღნიშნულ ხანაში (IX ს.) მას აქვს მეტოქე თელავის ახლოს, მამა დავითის მონასტერი სოფელ აკურაში (შემონახულია ბაზილიკის ტიპის დიდი ეკლესია და ნამარნევი)⁵.

ის ფაქტი, რომ მე-9 საუკუნეში ლაერას მეტოქე აქვს შიდა კახეთში. მოწმობს თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა დავითის ლაერას კახეთის ცხოვრე-

¹ საქ. სამოთხე, გვ. 373; ათონის კრებული, გვ. 72.

² საქ. სამოთხე, გვ. 374; ათონის კრებული, გვ. 72.

³ ათონის კრებული, გვ. 78.

⁴ საქ. სამოთხე, გვ. 378. ილარიონის მოღვაწეობა დავითის ლაერაში ერთლად აქვს მიმოხილული აკად. გ. ჩუბინაშვილს (იხ. მისი Пещерные монастыри Кавказа, Тбилиси, 1935, გვ. 35—42).

⁵ ი. Чубинашвили, Архитектура Кавказа, გვ. 110—123.

ბაში. ცხადი ხდება, რომ დროთა განმავლობაში ლავრა იზრდებოდა და ძლიერდებოდა.

გარეჯის მონასტრების სრდა-განვითარება შეაფერხა თურქ-სელჩუკთა შეპოსევამ. სამონასტრო მშენებლობა დაეცა, მაგრამ საესებით არ მომსპარა და არ ჩამკედარა, რადგან ამ პერიოდში გარეჯის უდაბნოს მონასტრები დიდძალ ყმა-მამულს ფლობდნენ, მტრის ურდოების უკუქცევისას მათ ადვილად მოახერხეს წელში გამართვა და საერთო პოლიტიკურ-კულტურული აღმავლობის ხანაში სათანადო წარმოჩენაც.

გარეჯის მრავალმთის სამონასტრო კოლონიზაცია არ დასრულებულა სამი მონასტრის — დავითის ლავრის, დოდორქისა და ნათლისმცემლის დაარსება-ზრდა-განვითარებით, ბერთა ოდენობა უდაბნოში ერთობ გაიზარდა და დასახელებული მონასტრების სენაკები საკმარისი აღარ აღმოჩნდა. იწყება ახალი განშტოება. მე-12 საუკუნის მიწურულში აღმოცენდა ახალი სამონასტრო კერა — ბერთუბანი, სადაც ჩამოყალიბდა დიდად განვითარებული მხატვრული სკოლა.

— აღნიშნულ ხანაში გარეჯის მონასტრებში საგრძნობლად შეინიშნება მხატვრობის განვითარება. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ბერთუბნის მხატვრობა, კერძოდ, თამარისა და გიორგი ლაშას ფრესკა. რადგან იქ დავით სოსლანის პორტრეტული გამოსახულება არაა, საფიქრებელი ხდება, რომ ის 1207 წლის შემდეგაა შესრულებული, სახელდობრ, დედა-შვილის მმართველობის ხანაში¹. საყურადღებოა ბერთუბნის სატრაპეზოს ფრესკებიც (XII—XIII სს.), რომლის შემსრულებელი დიდ ნიჭს იჩენს კომპოზიციაში და ანგარიშს უწევს ადგილს, სივრცეს, ზომასა და მოყვანილობას².

ის ფაქტი, რომ გარეჯის მონასტრებში მე-12—13 საუკუნეებში სამხატვრო სკოლა გაძლიერდა, მოწმობს, რომ მრავალმთა ნამდვილად აღმავლობის გზაზე იდგა. მას შეწირულებას უძღვნიდნენ სამეფო კარის წარმომადგენლები, დიდებულები. თამარისა და ლაშას გამოხატვა ბერთუბანში შემთხვევითი არ უნდა იყოს. საფიქრებელია, დასახელებული ქართველი მეფეები სათანადოდ ეხმარებოდნენ გარეჯის მონასტრებს. მართალია, მე-11—13 საუკუნეებიდან გარეჯის შესახები სიგელ-გუჯრები ნაკლებად მოგვეპოვება, მაგრამ

¹ Г. Чубиннашвили, Пещерные монастыри Давид-Гареджи, გვ. 60, 68, 73, 80, ტაბ. 18. შტრ. III. Амкринашвили, История грузинского искусства, I, გვ. 245—246. იხ. აგრეთვე რ. ბარამიძე, თამარ მეფის სურათი ბერთუბანში, „ივერია“, 1900, № 157.

თამარის პორტრეტით აღფრთოვანებულ თეიმურაზ პირველს უთქვამს:

მეფენი მოუღენ სურვილით, შენსა სახესა ჰმონებენ,
შეურაცხყოფენ მნათობთა, ნათლად არ მოიგონებენ,
სხივ-მოსიერად გიმხერენ, უკვდავ-ყოფელად გგონებენ,
იშებენ, მათთა პატიეთა მათ ლხინთა შეუწონებენ

(თეიმურაზ პირველი, თხზულებათა სრული კრებული, გვ. 143).

² შ. ამირანაშვილი, ბერთუბნის სატრაპეზოს ფრესკები, „ილიონი“, II, 1922, გვ. 24—28. გარეჯის მრავალმთის მონასტრების მხატვრობა ვრცლად მიმოიხილა აკად. შ. ამირანაშვილმა თავის ფუნდამენტალურ შრომაში — История грузинской монументальной живописи, I, T., 1957, გვ. 30—35, 41—65, 72—77 და შტდ. იხ. აგრეთვე კ. მელოითაური, ბერთუბნის მონასტრის სამშენებლო-ხუროთმოძღვრული ორგანიზაცია, საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, XXIV, №1, 1960, გვ. 115—120.

გვიანდელი დოკუმენტებიდანაც ნათლად ჩანს გარეჯის ძლიერება აღნიშნულ ხანაში.

ინტერესმოკლებული არაა ის ფაქტი, რომ ივანე მხარგრძელის მიერ 1216 წელს დვინში გაძარტულ სამსჯავროს, რომელზეც სომხურ ქალკედონიტურ მონასტრებს შორის წამოჭრილი სადავო საკითხი ირჩეოდა, ესწრებოდა „დიდი მამათმთავარი გარესჯისა“¹. სტეფანოს ორბელიანის მიერ შემონახული ცნობა გვაძლევს საფუძველს დავასკვნათ, რომ მე-13 საუკუნის დამდგმის საქართველოში გარეჯა საკმაოდ დიდი პატივით სარგებლობდა და მას გარკვეულ ანგარიშს უწევდნენ.

მონღოლთა შემოსევამ და ბატონობამ გარეჯა ძალზე დაასუსტა და განადგურების პირს მიიყვანა². შემოსეული მტრის მონობის უღელი ისეოდენ მძიმე იყო, რომ ბერთუბნის მონასტერი სულ გაუქმდა, ხოლო სხვა მონასტრებში ბერთა ოდენობამ საგრძნობლად იკლო. ამ გაუმეობლას ყურადღება მიაქცია სამეფო კარმაც. დიმიტრი თავდადებულის დროს (1272—1289) დაწინაურებულმა დიდებულმა სადუნ მანკაბერდელმა საეკლესიო წრეების გულის მოსაგებად გარეჯის მონასტრები გადასახადებისაგან გაათავისუფლა, „მისცა ყალანი და მალი ათორმეტთა უდაბნოთა გარესჯისათა და განათავისუფლნა ქვეყანა გარესჯისა“³. მონასტრის მიწების გადასახადისაგან განთავისუფლების საგანგებო მოხსენიება ვამთავალწერლის მიერ, უთუოდ, იმას მოწმობს, რომ ეს საკმაოდ მნიშვნელოვანი ეროვნულ-კულტურული ფაქტი იყო და გარეჯის სამონასტრო მშენებლობის განვითარებას უწყობდა ხელს.

საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ დიმიტრი მეორე გარკვეულ ანგარიშს უწევდა გარეჯას და ზოგჯერ ეთათბირობოდა კიდევ იქაურ მოღვაწეებს. მაგალითად, როდესაც დიმიტრი თავდადებულმა ურდოში მიწვევა მიიღო და აღსასრულის მოახლოება იგრძნო, სათათბიროდ კათოლიკოს-ეპისკოპოსებთან და დიდებულებთან ერთად გარეჯელნიც მიიწვია, „მოუწოდა კათოლიკოსსა აბრაჰამს და ეპისკოპოსთა, მონასტერთა და უდაბნოთა გარესჯისა მღვდელმონაზონთა“ და მათთან განიხილა საჭირობოროტო საკითხი⁴. დასახელებული მეფის გარეჯის მონასტრებისადმი ყურადღებას უნდა ამოწმებდეს უდაბნოს მონასტერში დაკული დიდებული ფრესკა, რომელმაც შემოგვინახა საქართველოსათვის თავდადებული მეფის პორტრეტული გამოსახულება⁵.

¹ ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 307; მისივე, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი II, ნაკვ. II, გვ. 479—480; ილ. აბულაძე, სტეფანოს ორბელიანის ისტორიის ერთი ცნობის განმარტების გარშემო, თსუ შრომები, XXXIII, 1948, გვ. 111; ზოგჯერტი წყაროს ჩვენებით, გარეჯაში მოღვაწეობდა თამარის ეპოქის თელასაჩინო მღვდელმთავარი ანტონ გლონისთავისძე (ქართლის ცხოვრება, II, გვ. 127; წყობილსიტყვაობა, გვ. 223; კალმასობა, II, გვ. 167).

² სხვათა შორის, „მთათა შინა გარეჯისათა“ იყო დაბანაკებული და იქვე გარდაიცვალა (1265 წ.) ბერკა ყენი (ქართლის ცხოვრება, II, გვ. 254; შდრ. ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, III, გვ. 188).

³ ქართლის ცხოვრება, II, გვ. 272. შდრ. ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, III, გვ. 225.

⁴ ქართლის ცხოვრება, II, გვ. 287.

⁵ Г. Чубинашвили, Пещерные монастыри Давид-Гареджи, გვ. 73—74, 80 ტაბ. 14; III. Амрашашвили, История грузинского искусства, I, გვ. 247.

აღნიშნულ ხანაში გარეჯელი მოღვაწენი სხვა მხარეებში მოგზაურობასა და ქრისტიანობის გავრცელება-განმტკიცებასაც კი ახერხებდნენ. ამ მხრივ საინტერესო პიროვნებას წარმოადგენს პიმენ გარეჯელი, რომელმაც, ეამთა- აღმწერლის ცნობით, „მოაქცივნა ნათესაენი ლექთა წარმართობისაგან“¹. აღნიშნულ მოღვაწეზე ცნობები შემოუნახავთ ანტონ კათოლიკოსსა და იოანე ბატონიშვილსაც. მათი ცნობებით, „პიმენ სალოსი იყო კახი, კეთილშობილთა-განი“, რამდენიმე წელს მოღვაწეობდა გარეჯაში, „მერე წარვიდა ლექთა შორის და უქადაგა ქრისტე. და მრავალნი მათგანი მოიყვანა ქრისტეს სარწმუნოებად. აგრეთვე ფშავთა და თუშთა უქადაგა და მრავალნი მოაქცივნა. და მერე მივიდა ბელაქანს და მოაქცივნა იგინიცა“². რაოდენ გადაქარბებული არ უნდა იყოს ზემოხსენებულ ავტორთა მიერ შემონახული ცნობები, გარეჯელი მოღვაწის მისიონერული საქმიანობა (თუნდაც მცირე მასშტაბით!) საცილობელი არ უნდა იყოს. თავისთავად ის ფაქტი, რომ გარეჯელი ბერი დალესტნის მოსახლეობაში ქრისტიანობას ქადაგებს და ავრცელებს, გარკვეულ ინტერესს იწვევს. უკვე აქედანაც ჩანს გარეჯის მონასტრების კრებულის გაძლიერება აღნიშნულ ხანაში³.

✓ გარეჯის მონასტრების შემოსავალი ძველთაგანვე დიდი იყო; უდაბნოს მრავალწიის მოღვაწენი სპეციალურ ძღვენსაც კი უზღავნიდნენ სამეფო კარს. „კელმწიფის კარის გარიგება“, რომელიც გიორგი ბრწყინვალის დროისაა, მაგრამ უფრო ადრეულ ხანაში დაკანონებულ წესს გვაცნობს, გვაუწყებს, რომ სამეფო კარს მიდიოდა „გარეჯული ძღვენი“ (კაპარი, კალამი, ცოცხი, თაფლი, ჩურჩხელა და სხვ.)⁴. ამასვე ამოწმებს მე-18 ს. მინაწერი ერთი ძველი საბუთისა (1479 წ.). აღნიშნული დოკუმენტების შედარება ცხადყოფს, რომ გარეჯელთა მოვალეობა სამეფო კარის წინაშე უცვლელი დარჩენილა საქართველოს სამ სამეფოდ გაყოფის შემდეგაც⁵.

გარეჯის მონასტრების გაძლიერებისა და მოღონიერების პროცესი დიდხანს არ გაგრძელებულა. თემურ-ლენგის მხედრობის შემოსევამ დაასრულა ის ნგრევა, რომელიც მონღოლებმა ადრევე დაიწყეს ჩვენში.

მე-15 საუკუნიდან გარეჯის უდაბნოს მონასტრები ძალას იკრებენ, მაშულებს იბრუნებენ, მაგრამ მათ ჯერ კიდევ არ შეეძლოთ დამოუკიდებელი არსებობა, მეტიც, მათ არ შეეძლოთ ემართათ ის დიდძალი მამულები, რომლებიც ადრეული ხანიდან მათ მფლობელობაში იყო.

დიდი დახმარება გაუწია გარეჯას ალექსანდრე მეფემ (1412—1443), მანვე გარეჯის მამულების ნაწილი მცხეთის საკათოლიკოსო კათედრას მიამაგრა.

¹ ქართლის ცხოვრება, II, გვ. 283.

² წყობილისიტყვაობა, გვ. 270; კალმასობა, II, გვ. 179.

³ ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, III, გვ. 322. დალესტანში ქართულთა სამისიონერო მოღვაწეობის კვალია შესახებ იხ. კ. კეკელიძე, ქართული კულტურის ისტორიისათვის მოწოდება ბატონობის ხანაში, ეტიუდები, II, გვ. 314—318 და შმდ. იხ აგრეთვე ა. ჩიქობავა, ქართულ-ზუნძური წარწერა XIV საუკუნისა დალესტნიდან, სსრკ მეცნ. აკად. საქართველოს ფილიალის მოამბე, I, № 4, 1940, გვ. 321—327; ტ. გუდავაძე, ორი წარწერა (ქართული და ქართულ-ზუნძური) დალესტნიდან, მასალები საქ. და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 30, 1954, გვ. 185—196.

⁴ კელმწიფის კარის გარიგება, გვ. 7, 15.

⁵ იქვე. გვ. XX—XXI. შდრ. ქრონიკები, II, გვ. 300—301.

1428 წ. სვეტიცხოვლისადმი მიცემულ გუჯარში ალექსანდრე I წერდა: „ჩუენ-თა პაპათა და ნათესაეთაგან გამართულნი უდაბნონი გარესჯისანი ეანთა ვითარებითა აგარიანთ ქელისაგან მოშლილ იყო და ჩუენ, ვითარ გუმართებდა ეგრეთ ჯერ ვიჩინეთ და სანაცვლო მამული დავიკირეთ და თქუენ საგარეგო მოგაქსენეთ და დაგიმტკიცეთ“¹. ქართველ მეფეთა მიერ გარეჯის მონასტრების (დავითის ლავრა, დოდორქა) გათარხნება და სვეტიცხოვლისთვის დამტკიცება სხვა დოკუმენტითაც დასტურდება². გარეჯის მონასტრები და მათი მამულები არა ერთგზის იხსენიება მცხეთის კათედრალის მამულების ნუსხაში³. საკმაოდ დარბეული და განადგურებული მონასტრების მოვლა-პატრონობასა და კეთილმოწყობაზე ზრუნვა საკათოლიკოსო ტაძარს დაევალა. ეს უკვე იყო საწინდარი იმისა, რომ გარეჯის მონასტრების ისტორიაში იწყებოდა აღმავლობის ხანა. ალექსანდრე დიდი ენერგიულად იღვწოდა საქართველოს განსაკუთრებულ მონღოლთა შემოსევებით მიღებული ქრილობებისაგან. გარეჯაზე ზრუნვა მისი მრავალმხრივი აღმშენებლობითი საქმიანობის ერთ-ერთი დამახასიათებელი დეტალია. შემდეგ ხანაში სხვა ქართველი მოღვაწენიც ცდილობენ დახმარების აღმოჩენას გარეჯის კრებულისათვის, მრავლად სწირავენ ყმა-მამულს, ათავისუფლებენ გადასახადებისაგან და ა. შ.

1503 წელს ალექსანდრე კახთა მეფემ (1476—1511) ლავრის მამულების შემოსავლის ნახევარი მასვე დაუმტკიცა, ხოლო მცხეთას მეორე ნახევარი განუჩინა⁴; 1566 წელს კახთა მეფე ლეკანმა (1520—1574) ლავრას შესწირა სამი კომლი გლეხი⁵; 1571 წ. მისმა ძემ—ალექსანდრე მეორემ (1574—1605) შესწირა გლეხები და მამულები ბედიყარს⁶; 1582 წელს კათოლიკოსმა ნიკოლოზმა შესწირა გლეხები ხოდაშენის ბოლოს იფნიანში⁷; 1590 წელს სახლთუხუცესმა იასონ ქავექაიძემ გრემში შესწირა ერთი კომლი⁸; იმავე წელს მეფე ალექსანდრემ შესწირა ლავრასა და დოდორქას სოფ. ეპტი, ტაზრები და მატანი⁹ და ა. შ. აღნიშნულ ხანაში ლავრაში გაჩაღდა მშენებლობა, აშენდა კოშკები, სამეთვალყურეო პუნქტები, სენაკები. სათანადოდ გამოცოცხლდა მონასტრის მეტოქე აკურაც, სადაც ალექსანდრე პირველმა თავისი და, — ტყვეობიდან დაბრუნებული ქეთევანი, — დააბინავა 1597 წელს¹⁰.

გარეჯის მონასტრების კრებულს მალე ახალი უბედურება დაატყდა თავს: ის სასტიკად დაარბიეს შაჰ-აბასის მეომრებმა. ერთი აგიოგრაფიული თხზულება („შესხმა და მოთხრობა ლუაწლთა და ენებათა წმიდათა ღირსთა

¹ АКТЫ, I, გვ. 14; ქრონიკები, II, გვ. 230—232.

² პ. ცხელითელი, გუჯარები დავით გარეჯის უდაბნოსი, „ივერია“, 1893, № 78. შტრ. ქრონიკები, II, გვ. 244.

³ ქრონიკები, II, გვ. 195—198, 259—260.

⁴ იქვე, გვ. 319.

⁵ Грѹз. церк. гуджарш, გვ. 67.

⁶ ისტ. საბუთები, III, გვ. 67—69.

⁷ იქვე, გვ. 79—81.

⁸ იქვე, გვ. 82—83.

⁹ იქვე, გვ. 81—82; II, გვ. 57; იხ. აგრეთვე Грѹз. церк. гуджарш, გვ. 67—68.

¹⁰ პ. ცხელითელი, გუჯარები დავით გარეჯის უდაბნოსი, „ივერია“, 1893, № 87; ქრონიკები, II, გვ. 429—430. იხ. აგრეთვე АКТЫ, I, გვ. 13; Грѹз. церк. гуджарш, გვ. 68. შტრ. ს. კაკაბაძე, წერილები და მასალები საქართველოს ისტორიისათვის, I, გვ. 5—7.

მოწამეთა გარეჰსჯისათა¹⁾ სპეციალურად მოგვიტხრობს მაჰმადიანთა მიერ გარეჯელ მოღვაწეთა აწიოკების შესახებ. მისი ავტორის, ანტონ პირველის, ცნობით, გარეჯის მონასტრებში მრავლად იყვნენ ბერები „სხუადასხუათაგან საქართველოჲსათა კერძოთა მოსრულნი და სხუათადასხუათა მონასტერთა შინა ზოგადად ცხოვრებულნი“. ისინი ხშირად ხედებოდნენ ერთმანეთს ლავრისა და უდაბნოს გამყოფ მთაზე დღემდე შემორჩენილ აღდგომის ეკლესიაში, რომელიც მე-8—9 საუკუნეებით თარიღდება¹. ანტონი მოგვითხრობს: „ჩუეულება იყო ზოგად ცხოვრებულთა ყოველთა მონასტერთა შინა გარეჰსჯისათა, ვითარმედ აღასრულიან რა ორმოცი დღენი წმიდისა მარხუხანი, შესაბამ თვისისა ქრისტეს მოყუარებისა ყოველთა მათ მამათა და ძმათა ყოველისა გარეჰსჯისა მონასტრისათა და ყოველად ვნებანი საღმრთონი უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესნი, შესაბამ თვისისა კეთილ მსახურებისა იკლესიან და წმიდასა დიდსა შაბათსა, მწუხრ ჰხსენებულსა მას აღდგომისა ეკლესიისა შინა შეკრბიან და ღამე იგი ყოველი, ვითარ იგი განწესებულ არს მამათაგან, ეგვევითარითა ღამისთევეთა განათევიან. ხოლო აღასრულიან რა ლოკუა ცისკრისა, იმლუდელმოქმედიან მლუჯელთა განწმედილთა საღმრთოჲ ლიტურღიაჲ და ყოველი იგი კრებული მამათა ცხოველს-ყოფელსა საიდუმლოსა ეზიარნიან და ესრეთ მმადლობელნი ღუთისანი თჳს თჳსთა მონასტერთა წარვიდიან“. ერთი ასეთი შეკრების ჟამს გარეჯელ ბერებს მიუხდნენ სპარსელი მეომრები და მუსრი გაავლეს. დამპყრობნი, „მოდულენი“ ქრისტეანთა, „ვერ თავს იღებიან სიმრაველსა მას მონასტერთასა და მათ შინა... შეკრებულებასა ძმათა მრავალთასა და ღონესა აღსპობისა მათისასა ეძებდეს“. იცოდნენ რა ბერთა შესაკრები ადგილი, მტარვალნი მაშინ მიეკრნენ, როდესაც იწყეს ლიტანიობად გარემო ეკლესიისა სიმრავლემან წმიდათა მამათამან და ჯელთა შინა მათთა სანთელნი აღნთებულნი“ ჰქონდათ და უმოწყალოდ ამოხოცეს ისინი. როდესაც უმწეო და უიარალო ბერების ხოცვა დასრულდა, სპარსელები „სხუათა მონასტერთა მიმართ წარვიდეს ოჯრებად“. სპარსელი მეომრების მიერ დარბეულ და აკლებულ იქნა გარეჯის მონასტრები, აწიოკებულ იქნა იქ თავშეფარებული კრებული ქართველი მოღვაწეებისა. „უღმრთოთა მათ აღაოჯრნეს ყოველნი მონასტერნი, რამეთუ მომზრახობენ მათგან მოოჯრებულთა მათ ათთორმეტ მონასტრად, რომელნიცა გარეჰსჯისა უდაბნოსა შინა და კიდეთა მცირისა აღაზნისათა შენნი იყუნეს“².

გარეჯის დარბეულ მონასტრებს დამხმარე ხელი გაუწოდა თეიმურაზ პირველმა. მართალია, ის უხერხულად გრძნობდა თავს იმის გამო, რომ გარეჯის მონასტრების შემოსავლის ნაწილი მას მიჰქონდა, მაგრამ ამას იმით ხსნიდა, რომ სამეფო მძიმე მდგომარეობაში იყო. ამასთანავე, იმედს გამოთ-

¹ ვ. დოლიძე, დავით-გარეჯის ერთი ბუროთმოძღვრული ძეგლის დათარიღების საკითხისათვის, საქ. სსრ მეცნ. აკად. შოაბზე, XI, № 9, 1950, გვ. 607—611.

² საქ. სამოთხე, გვ. 568—579. რუსული პერიოფრაზი იხ. М. Сабинин, Полное жизнеописание, II, гл. 93—103. იხ. აგრეთვე I. Хелидзе, Избиение инок в обители св. Давида Гурджиского. Принадлежит к „Духовному вестнику грузинского епархята“, 1892, № 9, гл. 14—22. გარეჯელთა შემუსვრას 1615 წლით ათარიღებენ პ. კარბელაშვილი, იერარქია საქართველოს ეკლესიისა, გვ. 129. იხ. აგრეთვე ლ. თამარაშვილი, მასალები გარე კახეთის ისტორიისათვის, პ. სპარსელთა მტარვალობა გარეჯაში, გაზ. „სტალინური სიტყვა“ (საგარეჯო), 31. X. 50, № 89 (1127).

ქვამდა, რომ მომავალში შეძლებდა გარეჯელთა ვალის გადახდას. მრავალ-ქირნახული ქართველი მეფე 1639 წელს აღნიშნავდა: მოვიდნენ „სისხლის-მსმელი და მტერი ქრისტიანეთა შაჰ-აბაზ და სპანი აგარიანთა კახეთსა ზედა და ალაოხრნეს მონასტერნი, უდაბნონი, სოფელნი და ქალაქნი და წარ-სტყუენეს, რომელნიმე ტყუე ყუეს და რომელნიმე მახელითა აღასრულეს... და კვალად ხელ-ყვაეთ აწ შენებად უდაბნოთა თქუენთა, განვაგეთ და დავა-ყენეთ წინამძღურად კაცი ღირსი და ლუთისმოშიში, მარკოზ, ასრე რომ წინა-უკანა საგარეჯოს განოსაღები ნახევარი უდაბნოს მიიღებოდეს საზრდელად იქ მდგომთა მონაზონთათჳს... და ჩუენ განსრულებით ვერ დავანებეთ ვერცა კმა და ვერცა საზრდო პური ამისთჳს, რომე ჩუენი სახელმწიფო აობრე-ბული იყო უსჯულოთაგან, ვითარ ზემორე ვთქუთ, და იქ მდგომნი მონაზონ-ნიცა ცოტანი იყვნეს და რა ეხმარება სრულობით, რომელიცა იმათ არ ეხმა-რებოდათ, ჩუენ ვხარჯევდით“¹.

თეიმურაზის გარდა მე-17 საუკუნეში სხვა პირნიც დაეხმარნენ გარეჯის მონასტრებს. მაგალითად, ზაქარია რუსთველის შუამდგომლობით ლავრა გან-თავისუფლდა სახელმწიფო გადასახადებისაგან²; 1648 წელს კათოლიკოსმა ქრისტეფორემ მას დაუმტკიცა ძველი მამულები³; იმავე ხანაში არაგვის ერისთავის მეუღლეს — თამარ ციციშვილს გარეჯელთათვის განუჩენია საზრ-დო⁴ და ა. შ.

გარეჯის მონასტრების ისტორიაში ერთგვარი გამოცოცხლება იწყება მე-17 საუკუნის მესამე მეოთხედში. 1672 წელს აღმშენებლობითი საქმიანობა წამოიწყო არჩილ მეფემ, მაგრამ ფერულადქცეული სენაკებისა და დანგრე-ული ტაძრების აღდგენა არც ისე ადვილი იყო. არჩილმა მოინახულა ლავრა, შეკრიბა ძმობა, დაადგინა წინამძღვარიც, გაუთავისუფლა გლეხებიც (არჩილმა „შენობა ჩაადგო, მღვდელ-მონაზონები და წინამძღვარი დაუდგინა, წლითი-წლად გამოსაზრდელი საზრდო განუჩინა; პირველებრ გარეგებას უპირებდა, აღარ დასცალდა“⁵, — აღნიშნავენ ქართველი მღვდელმთავრები 1690 წლის დოკუმენტში)⁶. მანვე ააგო მოწამეთა ეკლესია. ამავე პერიოდში (1672 წ.) პაველე წინამძღვარმა მამულები შეისყიდა სოფ. ნინოწმინდაში⁷; მალე მრავლ-დებიან ბერები ნათლისმცემლის მონასტერში, რომელსაც 1689 წელს ბარძიმ მღვიანბეგმა შესაწირავი საზრდოც განუჩინა⁷.

¹ Акты, I, გვ. 17; პ. ცხელითელი, გუჯრები დავით გარეჯის უდაბნოსი, „ივე-რია“, 1893, № 88. თეიმურაზის აღმშენებლობით საქმიანობას გარეჯაში ამოწმებს საბა ნი-ნოწმინდელიც (ისტ. საბუთები, V, გვ. 76—77).

² Груз. церк. гуджария, გვ. 76—77. შდრ. П. Иоссакиши, Путевые записки по Кახети, გვ. 12; მისივე, Описание Марткопского монастыря, Т., 1847, გვ. 21—22.

³ ქართლ-კახეთის მონასტრების საბუთები, გვ. 1—2.

⁴ იქვე, გვ. 3.

⁵ პ. ცხელითელი, გუჯრები დავით გარეჯის უდაბნოსი, „ივერია“, 1893, № 89. იხ. აგრეთვე Груз. церк. гуджария, გვ. 68; ქრონიკები, II, გვ. 511. შდრ. მ. ჯანაშვილი, დიდი ხელნაწერი „მოამბე“, 1901, VI, განყ. II, გვ. 41. არჩილი დაბმარება რაოგორც ლავ-რას, ისე ნათლისმცემლის მონასტერს (ი. ლოლაშვილი, სულხან-საბა ორბელიანის ლი-ტერატურული მოღვაწეობიდან, გვ. 24—26). შდრ. ქართლ-კახეთის მონასტრების საბუთები, გვ. 9, 69.

⁶ Груз. церк. гуджария, გვ. 68.

⁷ იქვე, გვ. 77; გუჯრები, გვ. 93; ქართლ-კახეთის მონასტრების საბუთები, გვ. 8—9.

გარეჯის მონასტრების ცხოვრებაში ძირეული გარდატეხა მოსდა 1690 წლის 12 მარტს, როდესაც ერეკლე პირველის მიერ მოწვეულმა საეკლესიო კრებამ დავით გარესჯის უდაბნოს წინამძღვრად დაადგინა ენერგიული და შრომისმოყვარე მოღვაწე ონოფრე მაჭუტაძე. კათოლიკოსი იოანე დიასამიძე, ნიკოლოზ ალავერდელი, „ათორმეტთა უდაბნოთა შაკურთხეველი არქიმანდრიტი ნინოწმიდელი არსენი“ და სხვა ქართველი მღვდელმთაფრები აღნიშნავენ: ერეკლეს ბრძანებით „ვიგულსმოდგინეთ, განვაწესეთ და განუარიგეთ და დავადგინეთ მამად და ვინც იქ მღვდგია მის უფროსად და წინამძღვრად მაჭუტაძე ონოფრე“, ყველა მას უნდა დაემორჩილოსო¹.

ონოფრე მაჭუტაძე წარმოშობით გურული იყო. ქართლში გადმოჰყვა თავის ძმას მაქსიმეს (ირიციხეზოდა ლევან ბატონიშვილის მეუღლის თუთა გურიელის ასულის ამაღაში)². როგორც ირკვევა, მას ერისკაცობაში ოთარი ერქვა³.

ონოფრე მაჭუტაძე ენერგიულად შეუდგა გარეჯის მონასტრების მართვას. დანგრეული და გაპარტახებული ლავრა მისი შრომისმოყვარეობითა და მუყაითობით მალე დაადგა აღმავლობის გზას. იწყება სხვა მონასტრების აღორძინებაც, ცოცხლდება სამონასტრო ცხოვრება, ჩაღდება აღმშენებლობითი მუშაობა, მრავლდება ბერ-მონაზვნობა, მაგრამ მტრის ლაშქრის შემოსევამ საკმაოდ შეაფერხა მისი წინსვლა. როგორც აღვნიშნეთ, ჩვენამდე მოღწეულია ნიკოლოზ მაღალაშვილის ერთი აგიოგრაფიული თხზულება („ცხოვრებაჲ და შესხმა ახლად მოწამედ გამოჩენილისა შიოსი და ხუთთა მონაზონთა, რომელნი დაჯოცნეს დავით გარეჯას ლეკთა ულ[მრ]თოთა“), რომელიც სპეციალურად მოგვითხრობს ლეკთა მიერ დავითის მონასტრის დარბევის ისტორიას⁴. მისი ცნობით, ერთგზის „მოვიდეს დაწყეულნი ლეკნი, ვითარცა პირველ ლავრას ბარბაროზნი“, მრავლად დახოცეს გარეჯელი მოღვაწენი, „ალიგსო სისხლითა მათითა სახლნი და საყდარნი“. თვით ონოფრე მაჭუტაძე ასე იგონებს ლეკთა შემოსევას: „უსჯულონი ლეკნი დაგვესხენ თავსა და მონასტრის კრებულნიც დაჯოცნეს და მონასტრის საკმარნი ქურქელნი და საეკლესიო იარაღი ყველა წარსტყუენეს, იავარყუეს და მოაოხრეს“⁵.

¹ პ. ცხვილოელი, გუჯრები დავით გარესჯის უდაბნოსი, „ივერია“, 1893, № 89; ქრონიკები, II, გვ. 511; ქართლ-კახეთის მონასტრების საბუთები, გვ. 9—11.

² მაქსიმე მაჭუტაძე, როგორც აღვნიშნეთ, ბოლნისის ეპისკოპოსი — „მაქსიმე ბოვნელი“ უნდა იყოს (ქრონიკები, II, გვ. 516; ქართლ-კახეთის მონასტრების საბუთები, გვ. 68, 70; პ. კარბელაშვილი, ივრარქია საქართველოს ეკლესიისა, გვ. 130, შგნ. 1; დოკუმენტები, I, გვ. 108. იხ. აგრეთვე პ. ცხვილოელი, დავით გარესჯის უდაბნო, ივერია, 1893, № 64; მისივე, გუჯრები დავით გარესჯის უდაბნოსი, „ივერია“, 1893, № 90).

³ ქრონიკები, II, გვ. 498; ქართლ-კახეთის მონასტრების საბუთები, გვ. 8; საქ. სამოთხე, გვ. 613. ერთ საბუთში მაჭუტაძე „ონოფრე-ყოფილ ონისიფორედ“ იხსენიებს თავს (ქართლ-კახეთის მონასტრების საბუთები, გვ. 51; შდრ. პ. ცხვილოელი, გუჯრები დავით გარესჯის უდაბნოსი, „ივერია“, 1893, № 90). საფიქრებელია, სქემის შემოსვის შემდეგ მას ონისიფორე ეწოდა.

⁴ A № 1367; საქ. სამოთხე, გვ. 611—615.

⁵ ქართლ-კახეთის მონასტრების საბუთები, გვ. 69. იხ. აგრეთვე ლ. თამარაშვილი, მასალები გარე კახეთის ისტორიისათვის, 4. ლეკიანობა გარე კახეთში, გახ. „სტალინური სიტყვა“ (საგარეჯო), 16. XII. 50, № 104 (1142).

ლექთა მიერ გარეჯის დარბევას გამოცხადურა ერეკლე პირველიც. ის გულისტკივილით აღნიშნავდა ამ ფაქტს: „მოიწივნენ ულთონი ლეკნი საფლავსა და მონასტერსა წმიდისა დავითისასა, წმიდანი მღვდელთმონაზონნი და კრებულნი მოსრნეს და ყოველნი სანჯარნი და ქურქელნი და სიგელნი მონასტრისანი იავარ-ყუეს ძუელთაგან მამა-პაპა ჩვენთაგან და ბედნიერთ კელმწიფეთაგან დადებულნი სითარხნისა“¹. მალე მეფესთან მივიდა ონოფრე მაჭუტაძე და მონასტრის ძველი უფლებების აღდგენა და გადასახადებისაგან განთავისუფლება სთხოვა. ერეკლეს ბრძანებით ლავრა გათარხნებულ იქნა. სათანადო სიგელში ვკითხულობთ: „გაუახლეთ სიგელი ესე და დაუმტკიცეთ საფლავსა და მონასტერსა წმიდისა დავითისასა, როგორათაჲცა ძველად თარხანი და აზატნი ყოფილიყუნენ მამულნი და ყმანი წმიდისა დავითისანი, არა საჩვენო გამოსაღები და ბეგარი, არა საური, არა ლაშქარ-ნადირობა, არა სამოურავო და სამოხელო, არას ნიეთისა სათხოვრისა და გამოსაღებისაგან წმინდის დავითის მამულის ყმასა არა ეთხოვებოდეს რა. თვნიერ თავის მონასტრის და წინამძღვრის სამსახურის მეტი, ჯელი არავის ჰქონდეს“². როგორც ჩვენამდე მოღწეული სიგელ-გუჯრებიდან ჩანს, ქართლის გამაჰმადიანებული მეფე არც შემდეგ ხანაში აკლებდა ყურადღებას დავითის მონასტერს, სამხედრო ბეგარას არ ადებდა და მისი ყმები სალაშქროდ არ გაჰყავდა, რადგან „დავითის საფლავს ხან ლეკი ანჯღლევს და ხან თათარი“ და დამცველები ადგილზეც საკვირონი არიანო³. მანვე მონასტრის წინამძღვარს განუჩინა და გაუზარდა საზრდო⁴, გაუთარხნა ყმები⁵ და ა. შ.

სამეფო კარის ყურადღება და დახმარება მეტ ძალას აძლევდა ონოფრე მაჭუტაძეს, რომელიც ენერგიულად იღვწოდა გარეჯის მონასტრების კეთილმოწყობისა და იქაურ ბინადართა ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის. ონოფრე ზრუნავდა ყმათა მომრავლებასა და მამულების გაფართოებაზე, ეკლესია-მონასტრების აღდგენასა და განახლებაზე. ის 42 წელი, რომელიც ონოფრე მაჭუტაძის წინამძღვრობაზე მოდის, განსაკუთრებით ნაყოფიერი და მნიშვნელოვანი პერიოდია გარეჯის მონასტრების ისტორიაში. ონოფრე მაჭუტაძეს ნ. მალალაშვილი მართებულად უწოდებდა გარეჯის „მეორედ აღმშენებელს“⁶. მან ააშენა ახალი გალანები, გაამაგრა კოშკები, შეაკეთა გზები, გააძლიერა თავდაცვითი ნაგებობანი⁷. მისი წინამძღვრობის დროს ძალზე წინაურდება ლავრა, აღმავლობის გზას ადგებიან ნათლისმცემელი და დოდორქა. ონოფრემ აღნიშნული მონასტრები ისე გააძლიერა, რომ წინამძღვრებიც კი დაუყენა (1702 წელს ნათლისმცემელს წინამძღვრად დაუნიშნა ხარიტონი, ხოლო დოდორქას — 1704 წ. ზაქარია). გარეჯის მონასტრების გაძლიერებას ხელს უწყობდა დიდძალი შეწირულება, გარეჯელთა მიერ ძველი მამულების დაბრუნება და ახალი ყმა-მამულის შექმნა. აღნიშნულ ხანაში ქართველი მოღვაწენი ძალასა და ენერგიას არ იშურებდნენ იმისათვის, რომ

¹ დოკუმენტები, I, გვ. 372—373.

² იქვე.

³ ქართლ-კახეთის მონასტრების საბუთები, გვ. 12.

⁴ იქვე, გვ. 12—13; ქრონიკები, II, გვ. 518.

⁵ АСТЫ, I, გვ. 25—26.

⁶ А № 1367, 4 ვ; საქ. სამოთხე, გვ. 613.

⁷ Г. Ч у б н а т и я п. и. и., Пещерные монастыри Давид-Гареджи, გვ. 47—70.

გარეჯის „მონასტერსა ძუელთა კელმწიფეთა და მორწმუნეთა მეფეთაგან შეწირული არა მოშლოდა-რა“. ამისთვის ეძებდნენ „კაცთა მეცნიერთა და ძუელთა მახსოვართა, რომელთაც კემშარიტი უწყოდიან“. მათ ცნობათა საფუძველზე გარეჯის მონასტრებს მრავლად დაუბრუნდა ძველი ყმა-მამული. მაგალითად, 1701 წელს კახეთის მდივანწიგნობართუხუცესის ძემ ნიკოლოზ სამებელმა ნათლისმცემლის მონასტერს დაუბრუნა ძველი მამულები და მისი საყდრის ყმებსაც ხელი ააღებინა გარეჯისეულ მიწებზე¹. სამეფო კარის დაც-მარებით ონოტრემ სოფ. აკურაც დაიბრუნა².

გარეჯის მონასტრების მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდა ქართ-ლის გამგებლად ვახტანგ ლევანის ძის დანიშვნის შემდეგ. ვახტანგი განსაკუთრებულად მფარველობდა ნათლისმცემლის მონასტერს, სადაც იმხანად მისი ახლობელი ნათესავი და აღმზრდელი სულხან-საბა ორბელიანი მოღვა-წეობდა. მან ჯერ კიდევ 1703 წელს დაუნიშნა ყოველწლიური სარგო—5 ლიტრა სანთელი ლავრას³, ხოლო 1707 წელს ნათლისმცემლის მონასტერს უბოძა თრიალეთზე მისი სახასო სოფელი „უზნარიანი და ძველ უზნარიანი, რომელსა კარუკულმართობით აწ სახელსდებენ“, გაათავისუფლა რა ისინი ყოველგვარი გადასახადისა და ვალდებულებისაგან. იქაური მოსახლენი ვახ-ტანგს მხოლოდ ლაშქრობა-ნადირობაში უნდა ხლებოდნენ, რადგან „ლაშქ-რობა ქუეყნის სიმაგრე არის და ნადირობა ლაშქრობის მასწავლებელი“⁴.

1708 წელს ბატონიშვილმა კონსტანტინემ ნათლისმცემელს შესწირა თავისი გლეხები⁵. 1709 წლის ახლოს დედოფალმა ანამ დოდორქის კრებულს განუჩინა საზრდო⁶, ასევე ზაქარია ბოდბელმა და ნიკოლოზ ალავერდელმა⁷; 1710 წელს კახეთის მეფემ დავითმა ნათლისმცემლის მონასტერს უბოძა „ნაოჯარი, უშენი, სალალო სოფელი იორს გაღმა ბალბიანი“, რადგან „ნაშენი სოფელი არა იყო“ საბოძველად. იმამყულიხანი გვაწვდის ცნობებს ნათლისმცემლის მონას-ტერში გაჩაღებული ალდგენითი სამუშაოების შესახებაც („უდაბნო მოოკრე-ბულიყო ეამთა ვითარებისაგან და სხვითი სხვად ცვალებადის დროსაგან აღარაფერი შენობა აღარა ყოფილიყო-რა საყდრის მეტი და ისიც მოშლილი და დაქცეული“. შემდეგში „წმინდანი მღვდელ-მოლოზონნი დამდგარიყუნენ, დიდი შრომა და გულსმოდგინება დაედვათ, რაც ძალედვათ, გაეახლათ მო-ნასტერი და შენობა ჩაეგდოთ“⁸. 1711 წელს სვიმონ ბატონიშვილმა დოდო-

¹ ისტ. საბუთები, V, გვ. 3—4.

² АСТН, I, გვ. 15—16; ქართლ-კახეთის მონასტრების საბუთები, გვ. 66—67. შდრ. პ. ცხვილოელი, გუჯრები დავით გარეჯის უდაბნოსი, „ივერია“, 1893, № 90; ს. კაკაბაძე, წერილები და მასალები საქართველოს ისტორიისათვის, I, გვ. 6—9.

³ ქართლ-კახეთის მონასტრების საბუთები, გვ. 15. იმავე წელს ლავრამ მიიღო ვენახი (იქვე, გვ. 15—16). გარეჯელ მოღვაწეებს ეზმარებოდა ლევან ბატონიშვილიც (Ad № 90).

⁴ ისტ. საბუთები, V, გვ. 9—15. შდრ. იქვე, გვ. 15—17. გარეჯის მონასტრების ყმები ხშირად ლაშქრობა-ნადირობისაგანაც თავისუფლდებოდნენ (ქართულ-სპარსული ისტ. საბუ-თები, გვ. 365—365).

⁵ ქართლ-კახეთის მონასტრების საბუთები, გვ. 23; ისტ. საბუთები, V, გვ. 17.

⁶ ქართლ-კახეთის მონასტრების საბუთები, გვ. 31.

⁷ იქვე, გვ. 31—32.

⁸ იქვე, გვ. 37—38, 71—73; ისტ. საბუთები, V, გვ. 21—22. იხ. აგრეთვე გუჯარი, „აკაკის თვიური კრებული“, 1900, II, გვ. 111—117.

რქას შესწირა 15 თუმანი¹. იმავე წელს საგარეჯოს მოურავმა გიორგი ჩოლოყაშვილმა დოდორქას უბოძა ვენახი². 1719 წელს ბაქარ მეფემ ნათლისმცემელს უბოძა თავისი სახასო სოფელი კარწახი³ და ა. შ.

აღნიშნულ პერიოდში გარეჯის ეპისკოპოსი ყიდულობდნენ მამულებს, იფარებდნენ გლეხებს, იმრავლებდნენ ყმებს. მაგალითად, 1702 წელს ონოფრე მაკუტაძემ ყმა-მამული შეისყიდა ხაშში⁴, 1709 წ. ნათლისმცემელმა ბერებმა იყიდეს „ოქნეზანთ“ მამული⁵; 1721 წელს ონოფრე მაკუტაძემ შეისყიდა ჯავახიშვილების ყმა⁶, 1722 წელს მანვე შეისყიდა სხვა გლეხებიც⁷. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ონოფრეს წინამძღვრობაში გახშირდა ცალკეულ პირთა მიერ გარეჯის მონასტრებისადმი თავის შესწირვა. მაგალითად, 1708 წელს ნათლისმცემლის მონასტრის ბერებს ეყმით ოქან პაფუზაშვილი⁸, 1712 წელს დოდორქას ეყმო დირბის დეკანოზის გაბრიელის ვაჟი⁹, 1713 წელს ნათლისმცემელს ეყმო გოგია ნონიაშვილი¹⁰, 1715 წელს — ვინმე პაპუნა¹¹ და სხვა.

გარეჯის მრავალმთის მონასტრების ბერები ზრუნავენ თბილისში სადგომის დაარსებისთვის, მიმართავენ ქართლის სამეფო კარს, ითხოვენ მიწას, ადგილს და სახლს თბილისს ჩასული გარეჯელი ბერებისთვის. 1704 წელს პავლე თბილელი აღნიშნავდა, რომ ნათლისმცემლის ბერებს ბატონიშვილებმა თბილისში ადგილი დაუთმეს, „საბატონიშვილო სასახლიდამ“ ნაკვეთი მისცეს და სამყოფად უბოძეს, მაგრამ გზა არ ჰქონდათ. თბილელმა ეს გაითვალისწინა და გზაც მისცა¹². ვახტანგ ლევანის ძის მიერ აღნიშნული მონასტრის ბერებისათვის თბილისში სადგომის მიცემა 1705 წ. სიგელშიცაა დამოწმებული¹³. 1708 წელს ვახტანგმა „ერთგულსა და წესისაებრ ნამსახურს, უდაბნოს მყოფს ორბელიშვილს მონაზონს საბას“, რომელმაც ნათლისმცემლისათვის თბილისში გლეხები ითხოვა, შეუსრულა წადილი¹⁴. თბილისში მიჩენილ სადგომში ნათლისმცემლის მონასტრის ბერებმა თავისი გლეხებიც ჩაასახლეს¹⁵.

ონოფრე მაკუტაძის წინამძღვრობაში საკმაოდ გაიზარდა ბერთა კრებულიც. კლდეში ნაკვეთ სენაკებში საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან (მეტწილად ქართლ-კახეთიდან) მოსული ბერები, ნინოწმიდლის ცნობით, ცხოვრობდნენ „ლამის თევითა, დაუცხრომელად ფსალმუნებითა, გალობითა და

¹ ქართლ-კახეთის მონასტრების საბუთები, გვ. 39—40; პ. ცხვილოვლი, გუჯარები დავით გარესჯის უდაბნოსი, „ივერია“, 1893, № 90.

² ქართლ-კახეთის მონასტრების საბუთები, გვ. 39.

³ ისტ. საბუთები, V, გვ. 30—33.

⁴ Груз. пере. гуджарп, გვ. 45.

⁵ ისტ. საბუთები, V, გვ. 19—20.

⁶ იქვე, გვ. 33—34.

⁷ იქვე, გვ. 34—36. იხ. აგრეთვე დოკუმენტები, I, გვ. 394.

⁸ ქართლ-კახეთის მონასტრების საბუთები, გვ. 19.

⁹ პ. ცხვილოვლი, გუჯარები დავით გარესჯის უდაბნოსი, „ივერია“, 1893, № 91.

¹⁰ ქართლ-კახეთის მონასტრების საბუთები, გვ. 70; ისტ. საბუთები, V, გვ. 25—26.

¹¹ ისტ. საბუთები, V, გვ. 26—27.

¹² იქვე, გვ. 5.

¹³ იქვე, გვ. 7; ქართლ-კახეთის მონასტრების საბუთები, გვ. 20—21.

¹⁴ ქართლ-კახეთის მონასტრების საბუთები, გვ. 23—24; ისტ. საბუთები, V, გვ. 18.

¹⁵ ქართლ-კახეთის მონასტრების საბუთები, გვ. 70—71; ისტ. საბუთები, V, გვ. 26.

შესხმითა სულიერითა და შემდგომად ამისა არა რა იყო ნუგეშინისსაცემელი [მათი] ჯორციელისა საჯრდელისათვის მოსარეწვლად“¹.

1702 წელს ქართველმა მღვდელმთავრებმა (ეგდემოს კათოლიკოსი, ნიკოლოზ ალავერდელი, იოსებ ნინოწმიდელი და სხვ.) დაადგინეს სპეციალური წესი, როლის მიხედვით ბერებს მონასტრების დატოვება და ადგილგადანაცვლება ეკრძალებოდათ: „რომელიც ბერი დავით გარესჯას, თუ ნათლისმცემელს, თუ დოდოს, თუ ბერთუბანს მივიდეს მეტანიად და დასადგომად და აღთქმა ყოს მუნ მონასტერსა შინა საწყოფად და მერმე კვალად უკუნეიქცეს და დაუტევოს თვისი ჩეტანია მონასტერი და სხვად მონასტრად მივიდეს ჩენად უშენდობოდ და ერის განოურჩეველად, დაუპატიჯებლად, თავისი ნებით და წადილით... წყუელ იყოს და შეჩვენებულ“².

ონოფრე წინამძღვარი თვალს ადევნებდა სხვა მონასტრების ზრდა-განვითარებას, ხელს უწყობდა, ეხმარებოდა, საგარეჯოს შემოსაველს ლავრას, დოდორქასა და ნათლისმცემელს უყოფდა³. საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ ონოფრე მონასტრების ერთხმეობაზეც ზრუნავდა და მათ შორის გაუგებრობის, შეუთანხმებლობის წინააღმდეგაც გამოდიოდა. ის კიდევ შეუთანხმდა დოდორქელ მოღვაწეებს: „ამიერთგან... ერთმანერთის მონასტრის ბერი აღარ შევიწყნაროთ და თუ ვინმე გულისკლებით მოვიდეს, ისევე იმავ თავისი კრებულს შევარიგოთ“⁴.

თავისი მრავალმხრივი საქმიანობა ონოფრე მაკუტაძემ ნაწილობრივ დააჯამა სპეციალურ ანდერძში 1712 წელს⁵. მონასტრის კეთილდღეობისათვის თავდადებული წინამძღვარი აღნიშნავს იმ დამსახურებას, რომელიც მას მიუძღვის დავითის ლავრის წინაშე, ჩამოთვლის მის მიერ ჩატარებულ მშენებლობებს, მის მიერ შეძენილ თუ დაბრუნებულ მამულებს და კანონიერი სიამაყის გრძნობით უბარებს მომავალ მოღვაწეებს: „შემდგომად ჩუენსა ვინცა წმიდასა ამას მონასტერსა შინა პატიოსანნი და ღვთისა შემოსილნი წინამძღვარნი და კრებულნი ბრძანდებოდეთ, ამას მოგახსენებთ: მოსვენებული, გარიგებული და რიგიანი საქმე მოგებარათ, სხვაც რომ არა გაისარჯნეთ და ამას მოუაროთ, ესეც გეყოფათ“⁶.

¹ ქართლ-კახეთის მონასტრების საბუთები, გვ. 51—56, 60.

² იქვე, გვ. 13—15. ასეთი მკაცრი დადგენილების მიღება, რასაკვირველია, შემთხვევითი არ იყო. როგორც ჩანს, ადგილი ჰქონდა ბერების ადგილგადანაცვლებას. ასე, მაგალითად, გაბრიელ საგინაშვილსა და სხვა ბერებს 1707 წელს მიუტოვებიათ ნათლისმცემლის ხალხმრავალი მონასტერი, გადასულან გაუკაცრიელებულ „ბერთუბანს, ტაძარსა წმიდასა დმრთისმშობლისასა“ და იქ დაუყვიათ სამი თვე (ბერთუბანი მაშინ „ოჯერი იყო, არავინ იდგა“). აღნიშნული პირები იმედოვნებდნენ, რომ, რადგან ნათლისმცემელში მოწყვნილი მრავლად იყვნენ, მათი წასვლა შეუძნეველი დარჩებოდა („ჩვენ არას დავედგებოდით“), მაგრამ მათი წასვლა გამეღაცნებულა, კათოლიკოსი გამწყრალა. მალე ისინი ნათლისმცემელში დაუბრუნებიათ (A № 624, 147 r—v). მსგავსი მოვლენების თავიდან აცილების, ბერ-მონაზონთა თვითნებური მიმოსვლის აღკვეთისა და სამონასტრო დისციპლინის განმტკიცების მიზნით, როგორც აღვნიშნეთ, სპეციალური დადგენილება იქნა მიღებული (შდრ. ი. ლოლაშვილი, სულხან-საბა ორბელიანის ლიტერატურული მოღვაწეობიდან, გვ. 38—40).

³ ქართლ-კახეთის მონასტრების საბუთები, გვ. 19—20.

⁴ იქვე, გვ. 80—81.

⁵ იქვე, გვ. 47—70.

⁶ იქვე, გვ. 67. აკად. გ. ჩუბინაშვილის დაკვირვებით, ო. მაკუტაძე წინამძღვრად ყოფილა 1690—1728/35 წლებში (Педерные монастыри Давид-Гареджик, გვ. 100). ახლახან მ. ქავთარიამ შენიშნა, რომ ო. მაკუტაძე 1733 წლის მარტში გარდაცვლილად იხსენიება. პ. კარბე-

ვაშთა სიავემ კვლავ დააუძლურა გარეჯის მრავალმთა. სპარსელთა და ოსმალთა ურდოების მოძალეზამ, ქართლ-კახეთში დატრიალებულმა სახელმწიფოებრივმა ტრაგედიამ ერთობ უარყოფითი გავლენა მოახდინა გარეჯის ზრდა-განვითარებაზე, ის თანდათანობით დაღმავალ გზას ადგება.

ვახუშტი მე-18 ს. შუა წლებში ასეთ ცნობებს გვაწვდის გარეჯაზე: „გარეჯის მთას არს მონასტერი, კლდესა შინა გამოკვეთილნი, სენაკნი, ტრაპეზნი, პალატნი; ზამთარ თბილი, ზაფხულს გრილი. ნათლისმცემელს ზის არქიმანდრიტი, ჩიჩხიტურს ზის წინამძღვარი, დავით გარეჯას არქიმანდრიტი, ბერთუბანს წინამძღვარი. არამედ ყოფილან მონასტერნი მრავალნი, ვიდრე მწარე-წყლამდე, და მოწესითა სავსენი, ხოლო აწ არს ხუთი მოწესითა მყოფი. არა არს აქა წყალი, არამედ იპყრობენ წვიმისაგან კლდის ქათა შინა და სმენ მას. არა არს ტყე, არამედ ძეძვი, მით ხარშვენ და აცხობენ. არს ეკლესიანი, შემკულნი და დახატულნი ძველითგანვე. მონასტერად ქმნული არს იგ(=13) მამათაგანისა დავეითისაგან, მერმე შემკული, მომატებული მეფეთაგან“; ნათლისმცემელსა და ლავრას შორის არის „მონასტერი დოღო, რომელი ქმნა მამამან წმიდამან დოღომ, რომელიცა იყო ნათესავით და ქვეყნით კახი“¹.

სამეფო კარი შემდეგშიც არ აკლებდა ყურადღებას გარეჯას. ერეკლე პირველის ძე თეიმურაზი (ქართლის მეფე თეიმურაზ II) საგანგებოდ აფრთხილებდა საგარეჯოს მოურავს გარეჯის მონასტრის ყმები ლაშქარად არ გაიყვანო („წმინდის დავითის ყმა არც უწინ ყოფილა ლაშქარს და ახლაც კელინუ გაქვს — ლაშქარს ნუ გამოიყვან“)². თეიმურაზი გარეჯელ მოღვაწეებს უშურველად ეხმარებოდა, 1750 წელს მან თბილისში სიონის ახლოს საცხოვრებელიც კი მიუჩინა დოდორქის ბერებს³. ერეკლე მეორე ჯერ კიდევ 1742 წელს დაეხმარა გარეჯელთ⁴, ხოლო 1748 წელს ნათლისმცემლის მონასტრის ბერებისთვის ერთი ოთახი გამოყო ვახტანგ ლევანის ძის მიერ შეწირული სახლის გვერდით⁵. 1768 წელს მან საზრდო განუჩინა გარეჯელებს⁶, 1769 წელს დაამტკიცა დავით მეფის სიგელი ნათლისმცემლის მონასტრისადმი სოფ. ბალბიანის ბოძების შესახებ, 1770 წელს საგანგებო სიგელით დაადასტურა გარეჯელთა თავისუფლება გადასახადებისაგან⁷ და ა. შ.

ერეკლეს ზრუნვას გარეჯის დაცვასა და გამაგრებაზე ნათლად მოწმობს მისი წერილი ჭკერმანე წინამძღვრისადმი 1773 წელს: „ოთფები და ტყვიანაწამალი გამოგვიგზავნია. ესენი ახლა მოგივათ. მანდ მყოფნი ვინცა ხართ, ნურვინ შეორგულდებით და ნურვინ შეშინდებით და ამაზე სარწმუნო იყავით: ერთი ბერი რომ არ დადგეს, მე მაგ მონასტერს არ დავსკლი და არც უკაცოდ გავუშვებ. ბერი რომ არ ვინ დადგეთ, ერის კაცს და ხუცესს ხომ

ლაშვილის ცნობით ონოფრე ანჩისხატშია დაკრძალული (ძველი ანჩისხატის ტაძარი ქ. ტფილისში, გვ. 49).

¹ აღწერა, გვ. 50—51. 90.

² ქართლ-კახეთის მონასტრების საბუთები, გვ. 93—94. შდრ. Грив. церк. гуджарц, გვ. 46.

³ ქართლ-კახეთის მონასტრების საბუთები, გვ. 99—101; შდრ. Грив. церк. гуджарц, გვ. 46.

⁴ ქართლ-კახეთის მონასტრების საბუთები, გვ. 95—96.

⁵ იქვე, გვ. 98—99; ისტ. საბუთები, V, გვ. 69—70.

⁶ ქართლ-კახეთის მონასტრების საბუთები, გვ. 116—117.

⁷ АБТМ, I, გვ. 45—46.

ბეერს ვიზოენი, რომ დაეყენო¹. ქართლ-კახეთის სახელოვანი მეფე გარეჯელთ მამაკობისა და გამბედაობისაკენ მოუწოდებდა, მათ მაგალითად უსახვედა ქართლ-კახეთის მოსახლეობის თავდადებას მამულისა და ხალხისათვის: „ან უწინ წინამძღვრები იყვნენ და ან ახლა შენა ხარ, — წერდა ის გერმანე წინამძღვარს, — თუ მაგ ყარაული და მაგ კაცი თუ ყოფილხარ — დიდი ნაკლებობა ყოფილა; ან ღმერთთან დიდი დანაშაული გაქვთ, თორემ ამაში მე სულ ბრალი არა მაქვს რა. რომ არა იყოს რა, ორმოცი-ორმოცდაათი კომლი კაცი ხომ გყავსთ. რატომ უნდა კაცი არ შეინახოთ. ქართლი და კახეთი რომ სულ ლაშქრობს და იხოცებიათ, მაგისი ყმანი რატომ უნდა განებევრებულნი იყვნენ? აბა რა გზა აქვს, რომ ხუთი კაცი და ექვსი კაცი მანდ გამოუწყვეტელნი არ იყვნენ და არ იმსახურებდნენ“².

სამეფო კარის წარმომადგენლების პარალელურად გარეჯის მრავალმთის მონასტრებს ეხმარებიან დიდებულები, ერისთავები, კათოლიკოსი. მაგალითად, 1741 წელს გივი ამილახორმა ნათლისმცემელს შესწირა გლეხები³, 1750 წელს ოტია დადიანმა და რაჭის ერისთავის ასულმა გულქანმა ლავრას ყოველწლიურად 10 ლიტრა სანთელი დაუნიშნეს⁴, 1764 წელს ანტონ კათოლიკოსმა ნათლისმცემელს განუჩინა ყოველწლიური პურ-ღვინო⁵, 1767 წელს გარეჯას დახმარება აღმოუჩინა რაჭის ერისთავმა როსტომმა⁶, 1768 წელს ნათლისმცემელს ყმა-მამული შესწირეს ანდრონიკაშვილებმა⁷ და ა. შ.

კვლავ გრძელდება თავისი შეწირვა. 40-იან წლებში, „მას ეამსა, ოდეს ბრძანდებოდა წინამძღვრად ენისელთ მოურავის ძე იოვანე“, დავითის ლავრას თავი შესწირა დემეტრე ბერიშვილმა⁸, 1776 წ. ნათლისმცემლის მონასტერს შესწირა თავი ტყვედ ყოფილმა გოგია შაბათაშვილმა⁹ და ა. შ.

¹ ქართლ-კახეთის მონასტრების საბუთები, გვ. 119—120.

² იქვე, გვ. 120. ერეკლე მეორე იოანე ნინოწმიდელს სწერდა 1792 წელს: გარეჯელთა განთავსა გვესმის, ყურადღება მიაქციეთ (იქვე, გვ. 268. იხ. აგრეთვე ვ. დონდუა, კალმასობა როგორც ყოფაცხოვრებითი მოვლენა ძველ საქართველოში, თბ., 1949, გვ. 15—16).

³ ისტ. საბუთები, V, გვ. 60. სხვათა შორის, ქართლელი დიდებულები გარეჯაში მშენებლობასაც აწარმოებდნენ (ვ. ბერიძე, XVIII საუკუნის ქართველ ხუროთმოძღვართა ნახაზები, საქართველოს სახ. მუზეუმის მოამბე, XVI-B, 1947, გვ. 219—225. შტრ. დ. მ შ ხ ე მ პ е р в а д з е, Строительное дело в древней Грузии, გვ. 218 — 222, 225 — 227, ტბ. 207—210).

⁴ ქართლ-კახეთის მონასტრების საბუთები, 102—103; ისტ. დოკუმენტები, I, გვ. 155. გარეჯას ეხმარებოდა კაცია დადიანიც (ისტ. დოკუმენტები, I, გვ. 157).

⁵ გუჯრები, გვ. 91—92.

⁶ ქართლ-კახეთის მონასტრების საბუთები, გვ. 158; ისტ. დოკუმენტები, I, გვ. 116—117.

⁷ ისტ. საბუთები, V, გვ. 79.

⁸ ქართლ-კახეთის მონასტრების საბუთები, გვ. 94—95.

⁹ ისტ. საბუთები, V, გვ. 88—89. გარეჯის მონასტრის წარწერებიდან ჩანს, რომ იქ ქართველ ბერებთან ერთად სხვადასხვა დროს ქალკედონიტი სომხებიც მოღვაწეობდნენ (ლ. მელიქსე თ-ბეგი, გარეჯის „მრავალმთის“ სომხური ეპიგრაფიკა და პოლიგლოტური წარწერა ქართულ-სომხურ-სპარსულ-უიღურული, ენიმკის მოამბე, V—VI, 1940, გვ. 153—175; მისივე, Гареджинская тетралингва эпохи монголов 1352 г., ЭВ, VIII, 1953, გვ. 56—62. იხ. აგრეთვე მისივე, ტფილისის ვანკის დაარსების საკითხისათვის, თფმ, IV, 1924. აღ. 87).

გარეჯის მრავალმთის მონასტრების სიგელ-გუჯრებს მე-18 საუკუნიდან ქარბად მოუღწევიათ. მათი ნეოხებით ჩვენთვის ცნობილი ხდება რამდენიმე წინამძღვრის საქმიანობა. ძველ დოკუმენტებში იხსენიებიან შემდეგი წინამძღვრები: ხარიტონი (ნათლისმცემელი)¹, ზაქარია (დოდორქა)², იოანე ნეტარსელი (ლაერა)³, სვიმეონი (ნათლისმცემელი)⁴, აბრაამი (ნათლისმცემელი)⁵, სვიმეონი (დოდორქა)⁶, ქრისტეფორე ქარუმიძე (ლაერა)⁷, გერმანე (ლაერა)⁸, ნიკოლოზი (ნათლისმცემელი)⁹, თეოდოსი, იგივე თომა გარსევანიშვილი (ლაერა)¹⁰, იოაკიმი (ლაერა)¹¹ და სხვ.

დასახელებული წინამძღვრები ცდილობენ შეინარჩუნონ ძველი სახელი და დიდება, შემოიმტკიცონ ყმა-მამული, გააზაგრონ და დაიცვან მათი სამოღვაწეო პუნქტები, მაგრამ მიზნის მიღწევა უხელოდებათ და არ უხერხდებათ. მათ საქმიანობას აფერხებდა ლეკთა თარეშიც. მტაცებელთა ბრბომ დოდორქა სულ გააუჟაცრიელა. ერთი ხელნაწერის ცნობით, 1755 წელს „წმინდის დოდოს ქართველის საფლავის ლაერა დაიცალა უღმრთოთა ლეკთაგან“ (A № 1044, 1 r). დოდორქის მოღვაწენი ლაერაში გადასახლდნენ, მაგრამ არც იქ ადგათ კარგი დღე, რადგან „მრავალმთისა გარესჯისა უდაბნოსა

¹ იხსენიება 1702—1718 წლებში (ქართლ-კახეთის მონასტრების საბუთები, გვ. 19, 20—22, 23, 37, 39, 70—72; ისტ. საბუთები, V, გვ. 5—8, 26—28; Ad № 331).

² იხსენიება 1704—1714 წლებში (ქართლ-კახეთის მონასტრების საბუთები, გვ. 19, 28, 31—32, 39—43, 46; პ. ცხვილოელი, გუჯრები დაეით გარესჯის უდაბნოსი, „ივერია“, 1893, № 91).

³ იხსენიება 1736—1751 წლებში (Груз. перк. гуджари, გვ. 75; ქართლ-კახეთის მონასტრების საბუთები, გვ. 95—98, 103—104, 107; დოკუმენტები, I, გვ. 414—415. A № 86).

⁴ იხსენიება 1760—1772 წლებში (გუჯრები, გვ. 91—92; ქართლ-კახეთის მონასტრების საბუთები, გვ. 110—111; ისტ. საბუთები, V, გვ. 79, 81—82; Ad № 144. შდრ. Ad № 272; Груз. перк. гуджари, გვ. 82; ისტ. საბუთები, V, გვ. 64).

⁵ იხსენიება 1749—1751 წლებში (ისტ. საბუთები, V, გვ. 71; Груз. перк. гуджари, გვ. 82).

⁶ იხსენიება 1748—1752 წლებში (ისტ. საბუთები, V, გვ. 72—73; ქართლ-კახეთის მონასტრების საბუთები, გვ. 99, 101—102, 104—105; დოკუმენტები, I, გვ. 423; H № 2121, 280 r).

⁷ იხსენიება 1764—1768 წლებში (ქართლ-კახეთის მონასტრების საბუთები, გვ. 112—117).

⁸ იხსენიება 1769—1781 წლებში (იქვე, გვ. 117—119, 121, 125—128; ისტ. საბუთები, V, გვ. 81—82, 86—88). იხ. აგრეთვე კალმასობა, II, გვ. 196.

⁹ იხსენიება 1773—1774 წლებში (ქართლ-კახეთის მონასტრების საბუთები, გვ. 129—130; ისტ. საბუთები, V, გვ. 84—85). შემდეგ ხანაში ის იმერეთში ჩანს. როგორც სათანადო წარწერიდან ვგებულობთ, „საქართველოს ნათლისმცემლის უდაბნოს მამაყოფილმან და მერმეთ ვარძიის მონასტრის წინამძღვარმან, ღობთ და იმერთ მეფის ძის ბატონის, ბატონის-შვილის კარის არქიმანდრიტმა ყოფიანმა ნიკოლოზ⁹ 1777 წელს ალაღვინა ვარძიის მონასტრის (იმერეთი) სამრეკლო (თ. ხუ ს კ ი ვ ა ძ ე, ყვარლიდგან ვარძიამდის, „დროება“, 1885, № 163; გ. ც კ ი ტ ი შ ე ი ლ ი, წარწერა იმერეთის სოფ. ვარძიის მონასტრის სამრეკლოზე, მასალები საქ. და ქვეყნის ისტორიისათვის, ნაკვ. 31, 1954, გვ. 5—9; ვ. ბ გ რ ი ძ ე, ძველი ქართველი ხელოვნობის ძეგლები, გვ. 43—44, 70, 77, 79). მანვე განაახლა და შეაკურთხინა ერთი საყურადღებო კრებული (H № 882).

¹⁰ იხსენიება 1781—1789 და 1793—1800 წლებში (ქართლ-კახეთის მონასტრების საბუთები, გვ. 136—143, 146—156, 164—168, 174—175; გუჯრები, გვ. 97—98). იხ. აგრეთვე კალმასობა, II, გვ. 197. პ. იოსელიანის ცნობით, გარდაიცვალა 1802 წელს (ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, გვ. 43, ზენ.).

¹¹ იხსენიება 1790—1793 წლებში (ქართლ-კახეთის მონასტრების საბუთები, გვ. 159—163; ისტ. საბუთები, V, გვ. 58).

მონასტერსა შინა შეყენებულნი მამანი შეიწირებულ [იყვნეს] ეამთა ამთ, ვინათგან მტერნი ქრისტესნი უღმრთონი ლეკნი ჰბრძანან ერთ ქრისტესთა და ალაოკრეს ყოველი ესე საქართველო“¹.

1782 წელს ლაგრაში დაკრძალეს გიორგი ბატონიშვილის მეუღლე ქეთევანი². ამის შემდეგ სამეფო კარის წარმომადგენლები კიდევ უფრო ზრუნავდნენ მონასტერზე და სათანადო დახმარებასაც უწყევდნენ³. ასეთი ყურადღების შედეგად ლაგრა რამდენადმე მოლონიერდა, მაგრამ არა დიდი ხნით, მალე ის კვლავ დასუსტდა და დაეცა.

მე-18 საუკუნის 70-იანი წლების დამდეგს ნათლისმცემლის მონასტერიც დაუძლურებული იყო, მისი „მამული მოოკრებულიყო ეამთა ვითარებისა და მტრისაგან“. ერეკლე მეორისა და საბა ნინოწმიდლის დასტურით სხვა მონასტრების მოღვაწენი დაეხმარნენ ნათლისმცემლის მონასტრის ბერებს⁴. შემდეგში ნათლისმცემელი დაწინაურდა და წინ გაუსწრო მრავალმთის სხვა მონასტრებს. ამ ფაქტს ადგილი ჰქონდა ექვთიმეს წინამძღვრობაში.

იოანე ბატონიშვილის ცნობით, ექვთიმე იყო „კაცი ფილოსოფოსი და ლეთისმეტყველი, სათნოებათა ზედა უცხო მოქადაგე. ამან ფრიად იღვაწა მონასტრისათვის და აღაშენა სოფელი ხაშში, რომელიც იყო ქსნის ერისთავთა ლეკთა მოყვანის მიზეზით დამწვარი; აღუშენა უცხო ვენახი და წისკვილინი... მრავალი შემატა მონასტერსა, ვითარცა ნიეთნი, ეგრეთვე მამულნიცა“⁵.

ექვთიმე წინამძღვარი დოკუმენტებში მე-18 ს. 70-იანი წლებიდან ჩანს. ის ასე იხსენიება: „ნათლისმცემლის მონასტრის მეურნე წინამძღვარი უღირსი არქიმანდრიტი ევთიმე II ევთიმი“⁶.

ექვთიმე იძინდა მამულებს, ყიდულობდა გლეხებს⁷. მისი წინამძღვრობის დროს მონასტერი ძლიერდება უხვი შეწირულებითაც. 1780 წელს მას გლეხები

¹ იქვე, გვ. 110—111. გარეჯაში ლეკთა თარეშის შესახებ საყურადღებო ცნობებს გვაწვდის იკაური მწიგნობრები — გაბრიელ საგინაშვილი (1713 წ.), იოსებ ერისთავის შვილი (1713 წ.), ექვთიმე ბარათაშვილი (1733 წ.), გერმანე მღვდელ-მონაზონი (1755 წ.) და სხვ. აღსანიშნავია, რომ გარეჯის ეკლესია-მონასტრების დარბევა ზოგჯერ შინა ღალატითაც ხდებოდა (დავით ბატონიშვილი, ახალი ისტორია, გამოსცა თ. ლომოურმა, თბ., 1941, გვ. 14).

² ბაგრატი ბატონიშვილი, ახალი მოთხრობა, გამოსცა თ. ლომოურმა, თბ., 1941, გვ. 58.

³ Грив. перк. гуржару, გვ. 76; Ad № 434. იხ. აგრეთვე პ. იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, გვ. 10—12. ამ პერიოდში გარეჯას ეხმარებიან დიდებულებიც (Qd № 2854).

⁴ ისტ. საბუთები, V, გვ. 81—82.

⁵ კალმასობა, II, გვ. 197.

⁶ ექვთიმე საბუთებში იხსენიება 1776—1798 წლებში (ქართლ-კახეთის მონასტრების საბუთები, გვ. 129—132, 135, 148, 160—161, 170; ისტ. საბუთები, V, გვ. 86, 89—94, 96—97, 99—103, 116, 170; ს. კაკაბაძე, წერილები და მასალები საქართველოს ისტორიისათვის, I, გვ. 74). მის შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდის პ. იოსელიანი. ექვთიმე მკედელაშვილი, კავკავაძეთა ყმა, „მდაბალთა გვართაგანი, გარნა მალლად მალალთა ხედა გვაროვანთა მდგომარე მონაზონების სიწმინდითა და ღირსებითა“, ყოფილა დიდად განათლებული მოძღვარი გიორგი მეთორმეტისა. ის მოსწრებია უკანასკნელი ქართველი მეფის გარდაცვალებას და რუსთა დამკვიდრებას (ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, გვ. 120, 132, 155—156, 181—182, 209, 213, 245, 258). პ. კარბელაშვილის ცნობით, ექვთიმე 1804 წელს გარდაიცვალა (ივრარქია საქართველოს ეკლესიისა, გვ. 189).

⁷ ისტ. საბუთები, V, გვ. 93—94.

შესწირა ზაალ ყაფლანიშვილმა, 1782 წელს — საგარეჯოს მოურავის რძალმა; 1789 წელს დარეჯან დედოფალმა შესწირა მანულები, 1795 წელს გიორგი ბატონიშვილმა უბოძა გლეხები¹; საკმაოდ იზრდებოდა ყმათა რიცხვი თავ-შეწირულების წყალობით: 1778 წელს მონასტერს თავი შესწირა თრიალეთელმა გლეხმა, 1781 წელს — ბარალეთელმა ჯაეახებმა, 1786 წელს — გოგია მიწაქამიასშვილმა, 1787 წელს — მეკურკლე ოსეფამ და ა. შ.²

ყოველივე ზემოაღნიშნული ხელს უწყობდა მონასტრის გაძლიერებასა და გამდიდრებას. მნიშვნელოვანი სამუშაოები ჩაატარა ნათლისმცემლის მონასტერში იოანე მაყაშიელმა-ბოდბელმა. მან გაამაგრა და გაამშვენა საფანე, ააგო პალატები, სამრეკლო და კოშკი (მე-19 ს. დამდეგს)³. 1808—1810 წლებში მცირე მშენებლობა ჩატარდა ლავრაშიც⁴, მაგრამ ამან მდგომარეობა ვეღარ გამოასწორა.

მე-19 საუკუნის ორმოციან წლებში გარეჯის მონასტრები დაათვალიერა ა. მურავიოვმა, რომლის ჩანაწერებიდან ცხადი ხდება, რომ დავითის მიერ წამოწყებული სამონასტრო კოლონიზაცია გარეჯისა დასასრულს უახლოვდებოდა⁵.

დაღმავალ გზაზე დამდგარ მონასტრებს ლეკთა თარეშიც არ ასვენებდა. მე-19 საუკუნეში არა ერთი გარეჯელი მოღვაწე გახდა მოთარეშე ბრბოების მსხვერპლი. ერთი მინაწერის ცნობით, 1851 წლის ზაფხულში ლეკებს გარეჯაში უწყამებიათ მღვდელ-მონაზონი გერონტი, მღვდელ-მონაზონი სერაპიონი, ბერები: გერმანე, ბესარიონი და სხვანი (II № 40, გვ. 277)⁶. ჩვენამდე მოღწეულია ლეკთა მიერ 1851 წელს გარეჯის დარბევისა და ბერთა დახოცვის ამსახველი ძეგლი („წაბება წმიდათა მამათა. შემოკლებული ისტორია“), რომელიც აღუწერია გელათის მღვდელ-მონაზონ ისაკს 1853 წელს (II № 649). აღნიშნული პირი მომსწრეა გარეჯის დარბევისა და ბერთა ამოხოცვისა, უშუალო მონაწილეა ლავრაში დატრიალებული ტრაგედიისა („...მეცა ტყვედ მყოფი ვიყავ მათ თანა. რომელსა ვხედვედი თვალითა, დავსწერე“...), ამდენად მის თხრობას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ის ნათლად გვაცნობს გარეჯის მონასტრის ბინადრების მოწამებრივ აღსასრულს.

1867 წელს ლეკებმა ერთხელ კიდევ დალაშქრეს დავითის ლავრა, დახოცეს თუ ტყვედ წაიყვანეს იქაური ბერები, გაიტაცეს საეკლესიო ნივთები და წიგნებიც⁷.

აღნიშნული გარემოების გამო გარეჯის მრავალმთის მონასტრებში ცხოვრება შეუძლებელი შეიქნა. მართლაც, მალე გარეჯის მონასტრები, როგორც

¹ ისტ. საბუთები, V, გვ. 95—96, 101—102, 108, 116.

² იქვე, გვ. 91—92, 99—100, 106—107, 130—131, 148.

³ Г. Чубинашвили, Пещерные монастыри Давида-Гареджа, გვ. 112—116, ტაბ. 33—34.

⁴ მასალები, I, გვ. 266—273, 280—298, 326—329; III, გვ. 24—34, 456—458

⁵ А. Муравьев, Грузия и Армения, I, გვ. 55—116.

⁶ იხ. აგრეთვე პ. იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა. გვ. 133.

⁷ ს. გძელიძევი, ახსრება წმიდის დავითის გარეჯის უდაბნოთა. „საქართველოს სასულიერო მახარებელი“, 1868, III, გვ. 81—85.

ფეოდალური ერთეულები, აღარ ჩანან, ძველი ძალა დაკარგეს და მხოლოდ საკულტო დანიშნულება შეინარჩუნეს.

ამგამად გარეჯა დასულია, როგორც ქართული კულტურის დიდებული ძეგლი, რომელიც ნათლად გვაცნობს ძველ ქართველ ხუროთმოძღვართა და მხატვართა უკვდავ ქმნილებებს და ცხადყოფს ძველი ქართული კულტურის მაღალ დონეს¹.

გარეჯის მრავალმთა მხოლოდ ქართველ მხატვართა და მშენებელთა კერას არ წარმოადგენდა. ის მძლავრი კულტურულ-ლიტერატურული კერაც იყო. საუკუნეთა მანძილზე ლაერაში, დოდორქასა და ნათლისმცემელში მოღვაწეობდნენ ქართველი კალმისოსტატები, რომლებიც მხოლოდ საკუთარი სხეულის გვემითა და ლოცვით კი არ კმაყოფილდებოდნენ, არამედ აქტიურად შრომობდნენ მშობლიური კულტურის სარბიელზეც. სხვადასხვა დროს გარეჯის მონასტრებში მოღვაწეობდნენ ცნობილი ქართველი მწერლები, მქადაგებლები, კალიგრაფები. შეგვიძლია დავასახელოთ სულხან-საბა ორბელიანი, ბესარიონ ბარათაშვილ-ორბელიშვილი, ნიკოლოზ ჩერქეზიშვილი, გრიგოლ ვახვახიშვილი, ანტონ პირველი, რომანოზ ერისთავი, ტიმოთე გაბაშვილი, ამბროსი მიქაძე, გაბრიელ მცირე და მრავალი სხვა. მათ გარს ეხვია მრავალრიცხოვანი არმია კულტურულ-ლიტერატურული ფრონტის მუშაკებისა. რამდენიმე სიტყვა გარეჯელ მოღვაწეებზე.

მწიგნობრულ-ლიტერატურული ინტერესების გაღვივებას გარეჯელთა შორის უკვე აღრეული ხანიდან ვამჩნევთ². აქ პირველ რიგში უნდა მოვიხსენიოთ მე-12 საუკუნის მოღვაწე ონოფრე გარეჯელი. ჩვენ ზემოთ უკვე დავიმოწმეთ დავით გარეჯელის ცხოვრების მეტაფრასული რედაქცია („ცხოვრება და მოქალაქობაა წმიდისა და ღმერთ-შემოსილისა მამისა ჩუენისა დავით გარესჯელისაა“). მისი ავტორი გვაცნობს ძეგლის დაწერის ინიციატორის სახელს (მეტაფრასტი წერს: „მინდობილმან ლოცვათა ზოგადისა მამისა, სულთა მწყემ-

¹ გარეჯის მონასტრებზე გარდა დასახლებული ლიტერატურისა იხ. ტ. ალექსი-შვილი, უდაბნო ღირსისა მამისა ჩუენისა დავით გარესჯელისა, „საქართველოს სასულიერო მახარებელი“, 1864, VIII (აგვისტო), გვ. 36—50; მისივე, უდაბნო წმიდისა წინამორბედისა იოანე ნათლისმცემლისა, „საქართველოს სასულიერო მახარებელი“, 1864, IX, გვ. 72—76; Д. Бахрадзе, Кавказ в древних памятниках христианства, გვ. 42—43, 95—96; А. Хакнаш, Экспедиции на Кавказ, МАК, VII, 1898, გვ. 39—42; კალისტრატე, წმიდა დავით გარეჯელის უდაბნო, თბ., 1884; მ. ხელაევი, იოანე ნათლისმცემლის უდაბნო ყარაიხზე, „ივერია“, 1886, № 243; პ. ცხვილოელი, დავით გარესჯის უდაბნოში, „ივერია“, 1895, №№ 116, 117, 122, 179; ერთი მკინახეთაგანი, იოანე ნათლისმცემლისა და დავით გარეჯელის უდაბნო, „ივერია“, 1899, № 855; ე. კ., ამავე დავით გარესჯის უდაბნოს საკვირველმოქმედის მადლის ქვისა, თბ., 1899; მისივე, Давид Гареджели и его завра, Т., 1901; მისივე, Повествование о чудодействепож камне Давид-Гареджильской пустыни, Т., 1901; ცხოვრება ღირსისა მამისა ჩუენისა დავით გარესჯელისა, თბ., 1901; ლ. თამარაშვილი, გარეკახეთის ისტორიული ძეგლები, 4. გარეჯა, გახ. „სტალინური სიტყვა“ (საგარეჯო), 21. VIII. 51, № 68 (1214); ი. არჯვანიძე, თბილისიდან ალაზნის ველისაკენ, გვ. 107—112.

² ცნობა და მსჯელობა დავით გარეჯელის ლიტერატურულ შემკვიდრობაზე გაუგებრობას წარმოადგენს (Иоанн Петрици, Рассмотрение платоновской философии в Прокла Диадохе. Перевод с грузинского и исследование И. Панджава, Т., 1942, გვ. 25; შ. ზ. შ. ბიდაშელი, ქართული საზოგადოებრივი და ფილოსოფიური აზრის ისტორიიდან, გვ. 66).

სისა ონოფრესთა, რომლისა იძულებითა კელ-ვყავ აღწერად წინამძღებარისა ამის მოთხრობისა...“)¹.

ონოფრე გარეჯელი, რომლის მოწოდებით, დაეალებითა და შთაგონებითაა დაწერილი დავით გარეჯელის ცხოვრების მეტაფრასული რედაქცია, უნდა იყოს არა მე-17—18 საუკუნეთა ცნობილი მოღვაწე, წინამძღვარი ონოფრე მაქუტაძე, როგორც აღრე მიაჩნდათ², არამედ „დიდი ბერი და მოძღვარი ონოფრი გარეჯელი“, რომელიც საკმაოდ დახმარებია ათონის ივერიის მონასტერს, რის გამოც ათონის ალაპებშიცაა მოხსენიებული (ალაპი № 143)³. ონოფრე გარეჯელი მე-12 საუკუნის პირველი ნახევრის მოღვაწე, დავით აღმაშენებლის თანამედროვე უნდა იყოს. ასეთი ვარაუდის საფუძველს გვაძლევს ის გარემოება, რომ აღნიშნულ ალაპში ის ცნობილი დიდებულის — არიშიანის თანამედროვედაა მიჩნეული⁴. აქვე შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ დავით გარეჯელის ცხოვრების მეტაფრასული რედაქციის ავტორი, რომელიც პეტრიწონული სკოლიდან უნდა იყოს გამოსული, ზუსტად, ზედმიწევნით აღწერს და ახასიათებს გარეჯის ადგილმდებარეობასა და ბუნებას, კარგად იცნობს მრავალმთას, მის კლიმატს, იქაურ გარემოს და ა. შ. არ შეეცდებით, თუ ამ უცნობ მეტაფრასტს გარეჯელ მოღვაწედ მივიჩნევთ. საფიქრებელია, თავისი ცხოვრების ერთი პერიოდი მან გარეჯაში გაატარა, ღრმად და საფუძველიანად გაიცნო იქაური მონასტრები და იქვე შეასრულა ონოფრე წინამძღვრის დავალება.

- დაახლოებითაა მათვე პერიოდში მოღვაწეობდა გარეჯაში დავით აღმაშენებლის ვაჟი დიმიტრი პირველი, რომლის შესახებ ჩვენ ზემოთ საკმაოდ ვისაუბრეთ⁵. ასევე ვისაუბრეთ XVII—XVIII საუკუნეთა მიჯნის ცნობილი მოღვაწის ონოფრე მაქუტაძის შესახებ. ამჯერად მხოლოდ მის მწიგნობრულ საქმიანობაზე გავამახვილებთ ყურადღებას.

როგორც ჩანს, ო. მაქუტაძე გარკვეულ ყურადღებას უთმობდა კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობას. მან არა მარტო სამონასტრო მეურნეობა გამოაცოცხლა და მოაღონიერა, არამედ ხელი შეუწყო მწიგნობართა საქმიანობის გაშლა-გათართობას და მას გარკვეული ორიენტაციაც კი მისცა. სწორედ მისი წინამძღვრობის პერიოდში მომრავლდნენ გარეჯის მონასტრებში მწერლები და მქადაგებლები, კალიგრაფები და ბიბლიოფილები. არსებითად სწორედ ამ პერიოდში იქცა გარეჯა ქართული მწერლობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კერად.

ო. მაქუტაძის დროისათვის ქართულ ორიგინალურ აგიოგრაფიას მრავალსაუკუნოვანი ისტორია ჰქონდა. ქართულ ენაზე არსებობდა მრავალი თხზულება, რომელშიც ეროვნულ წმინდანთა ცხოვრება-წამება იყო აღწერილი. იზრდებოდა რა ქართველთა ეროვნული თვითშეგნების გრძნობა, მეტი ძალით

¹ ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები, გვ. 145.

² ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ე ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, I², გვ. 365—366.

³ კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I¹, გვ. 533—534.

⁴ არიშიანი ისტორიული პირია. მის ხაყნებას ვხვდებით „ქართლის ცხოვრებაში“ 1104 წლის ქვეშ (ქართლის ცხოვრება, I, გვ. 328; ისტ. საბუთები შიომღვიმის მონასტრისა, გვ. 21; ი. ც ი ნ ც ა ძ ე, დავით მეფის სიგელი, „საქართველოს არქივი“, 1927, II, გვ. 14—16).

⁵ იხ. ზემოთ გვ. 139—140.

იწყებოდა ეროვნულ წმინდანთა გამოვლენა, მათი ღვაწლის დაფასება, წარმოჩენა, პოპულარიზაცია. ორიგინალური აგიოგრაფიის ზრდა-განვითარებამ განაპირობა ორიგინალური აგიოგრაფიული კრებულის შედგენა-შემუშავება. მე-17 საუკუნის ნიწურულში ასეთი კრებულიც შეიქმნა. ესაა ხელნაწერი A № 160, რომელიც 1699 წელს ონოფრე მაქუტაძის დაკვეთით გადაწერა შიო გარეჯელმა. კრებულში წარმოდგენილია წინოს ცხოვრება, სვეტიცხოვლის საკითხავი, დავითის, იოანესა და შიოს ცხოვრებანი და სხვა¹. საესებით გასაგებია, თუ რატომ დაეთმო კრებულში ასე დიდი ადგილი ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნებს. აღნიშნული კრებული ძირითადად დავითის მონასტრის სამსახურისთვისაა შექმნილი; შემდეგში ასეთი კრებულის მიზანდასახულება გაფართოვდა, შედგენილობა გავრცობილ იქნა და საფუძველი დაედო ქართული აგიოგრაფიული კრებულის საკმაოდ ჩამოყალიბებულ სახეს. ონოფრე მაქუტაძის დაკვეთით გადაწერილი კრებული მოწმობს, რომ კურსი ქართული აგიოგრაფიული კრებულის შედგენისაკენ აღებული იყო ჯერ კიდევ მე-17 საუკუნეში².

აღნიშნული კრებულის გადამწერი შიო მღვდელ-მონაზონი გვაუწყებს, რომ ხელნაწერი აღიწერა ონოფრე მაქუტაძის „ნებითა და ბრძანებითა“ (A № 160, გვ. 431)³. ონოფრესავე ხელშეწყობითა და დახმარებით ამრავლებდნენ ქართულ ხელნაწერებს ბესარიონ ბარათაშვილ-ორბელიშვილი (A № 105), იოანე მონაზონი (A № 418), გაბრიელ საგინაშვილი (H № 1557, A № 130) და სხვანი. ცალკე უნდა აღინიშნოს ის დიდი წდამსახურება, რომელიც ონოფრე მაქუტაძეს მიუძღვის გარეჯის წიგნადრე ფონდის გაზრდის, გაფართოებისა და დაცვის საქმეში (იხ. ქვემოთ).

მე-17 საუკუნის ნიწურულში გარეჯის მონასტრის მკვიდრი ხდება დიდი ქართველი ნწერალი და გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე სულხან-საბა ორბელიანი. როგორც მისი ბიოგრაფიიდან ცნობილია, 1698 წლის 18 მარტს სულხანი ბერად შედგა და საბად იწოდა, მრავალტანჯულმა მამულიშვილმა და ღვაწლმოსილმა მწერალმა გარეჯას მიაშურა და ნათლისმცემლის მონასტერში დასადგურდა⁴. გულადმა მემპოხემ და მამაცმა მებრძოლმა პოლიტიკური სარბიელიდან საეკლესიო-სასულიერო ასპარეზზე გადაინაცვლა და ბნელი სენაკების ბინადარი გახდა⁵. ნათლისმცემლის მონასტერში სულხან-საბას მოღვაწეობის დროს შეინიშნება ქართლის სამეფო კარის ზრუნვა

¹ Опис. рукописей (A), I, გვ. 162—164.

² ე. მეტრეველი, ქართული აგიოგრაფიის კრებული და მისი შემდგენელი, ა. ჭეშკინის სახელობის თბილისის სახ. პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, VIII, 1950, გვ. 415—416.

³ აღნიშნული ხელნაწერის გადამწერი შიო მღვდელ-მონაზონი, სატიკრებელია, იყოს ის შიო ვეტელი, რომელიც ლეკებმა მოკლეს ლაერაში (იხ. ზემოთ).

⁴ სულხან-საბა ორბელიანის ნათლისმცემლის მონასტერში მოღვაწეობაზე იხ. გ. ლეონიძე. გამოკვლევები და წერილები, გვ. 141—151; ლ. ზენაბდგი, სულხან-საბა ორბელიანი, გვ. 36—39; ა. ბარამიძე, სულხან-საბა ორბელიანი. გვ. 63—72; ი. ლოლაშვილი, სულხან-საბა ორბელიანის ლიტერატურული მოღვაწეობიდან გვ. 45—49 და შმდ.

⁵ გარეჯელ მოღვაწეთა ჩვენებით, სულხან-საბა ორბელიანი ერთ ხანს ლაერაში, ორსართულიან კოშკში (ე. წ. ალექსანდრეს ტახტი) ცხოვრობდა (Г. Ч у р н и а ш в и л и, Пещерные монастыри Давид-Гареджи, გვ. 90).

მონასტრის მატერიალური კეთილდღეობის ამაღლებაზე (იხ. ზემოთ). ვახტანგის დიდი ყურადღება მონასტრისადმი გვაფიქრებინებს, რომ საბას ბერად შედგომის შემდეგ ნათლისმცემლის მონასტერი ბაგრატიონთა მეთვალყურეობის ქვეშ იყო.

საბა აქტიურ მონაწილეობას იღებდა სამონასტრო ცხოვრებაში, დღენიადაგ მონასტრის გაძლიერებისა და განმტკიცების ცდაში იყო¹, მაგრამ დიდ მოაზროვნეს არ აკმაყოფილებდა ღამისთევია და ლოცვა. მისი შემოქმედებითი უნარი ვერ ჩაკლა გარეჯის ხრიოკმა უდაბნომ. ნათლისმცემლის მონასტერში დაწერა საბამ 1698—1710 წწ. ქადაგებათა კრებული „სწავლანი“, (A № 479)², რომელშიც ნათლად ჩანს ავტორის მგზნებარე პატრიოტიზმი და მსურველ მამულიშვილური გრძნობა. ამ წიგნში ნათლად ჩანს, რომ უდაბნოში გახიზნული მწერალი კვლავ მწვავედ განიცდიდა სამშობლოს პოლიტიკურ-ეკონომიურ ძნელებდობას, მას გულს უსერავდა ქართველთა ნაწილის მიერ მამაპაპეული ქრისტიანული სარწმუნოების დაგმობა და ანგარებისა და პატივმოყვარეობის გამო მაჰმადიანობის მიღება. სულხან-საბას კარგად ესმოდა, რომ ძველი სარწმუნოების დაგმობა და დამპყრობელთადმი მიკერძოება გამოიწვევდა ქართველთა ეროვნული ფიზიონომიის გადაგვარებას, ქართული სახელმწიფოებრივი ორგანიზმის გახრწანასა და ეროვნულ კატასტროფას. ქადაგებათა ავტორი დაუღელვლად იბრძოდა ერთიანი სახელმწიფოებრივი ორგანიზმისათვის, ქრისტიანობის სიმტკიცისათვის, ქართველთა შორის ეროვნული გრძნობის გაღვივებისა და ამაღლებისათვის³.

ქართლის პოლიტიკური მოვლენების მსვლელობამ კვლავ მოითხოვა სულხან-საბას გამოსვლა სამოქმედო არენაზე. ვახტანგ ლევიანის ძის სახელმწიფოებრივ-კულტურული მოღვაწეობის გაშლისას სამშობლოს სიყვარულით აღგზნებული საბა კვლავ აქტიურად ჩაება ქართლის პოლიტიკურ ცხოვრებასა და კულტურულ საქმიანობაში, გაძლიერებული ენერჯით დაუბრუნდა სახელმწიფოებრივ მოღვაწეობას.

მე-17 საუკუნის მიწურულიდან 1724 წლამდე ნათლისმცემლის მონასტერში მოღვაწეობდა ცნობილი მწერალი ბესარიონ ბარათაშვილ-ორბელი-შვილი, რომელიც ზოგიერთ ხელნაწერში ასე იხსენიება: „ნათესავეთ ბარა-

¹ ქართლ-კახეთის მონასტრების საბუთები, გვ. 20—21, 23—24, 37—38, 70—73; ისტ. საბუთები, V, გვ. 5, 7, 18—23, 25—27.

² უკანასკნელ წლებში მიკვლეულ იქნა „სწავლანის“ რაქდენიმე ხელნაწერი (S № 1168, K № 574 და სხვ.). მათი აღწერილობა და დახასიათება მოცემული აქვს ი. ლოლაშვილს (სულხან-საბა ორბელიანის ლიტერატურული მოღვაწეობიდან, გვ. 55—64).

³ ი. ლოლაშვილი, სულხან-საბა ორბელიანის ლიტერატურული მოღვაწეობიდან, გვ. 50—103 (იქვეა დასაბუღებული და განხილული ლიტერატურა). საბას ერთი ქადაგება დაიბეჭდა „ქართულ მკვერმეტყველებაში“ (გვ. 185—188). ნათლისმცემლის მონასტერში ყოფნის დროს, 1701 წელს, დაუწერია სულხან-საბას კატეხიზმო — სახელმძღვანელო „სამოთხის კარი“ („საქრისტიანო მოძღვრება პირველად სასწავლო ყრმათათვის აღწერალი სულხან-საბა ორბელიანისაგან და მის მიერ თქმული, რომელსა ეწოდების სამოთხის კარი“). მის ერთ-ერთ ნუსხაში საგანგებოდაა აღნიშნული, რომ „აღიწერა გარჯითა მრავლითა სულხან-ყოფილი ორბელისშვილისა, ზოლო აწ მონაზონისა საბა უნდოესა. უდაბნოესა ბერისა ნათლისმცემლის მონასტრისა...“ (S № 2951, 71 r). ამ ნაწარმოებზე იხ. ი. ლოლაშვილი, სულხან-საბა ორბელიანის ლიტერატურული მოღვაწეობიდან, გვ. 104—132. გარეჯში ცხოვრების დროს სულხან-საბა განაგრძობდა მუშაობას თავის „სიტყვის კონახეც“.

თაშვილი, ტომობით ორბელისშვილი¹. ის აქტიურ მონაწილეობას იღებდა მონასტრის ცხოვრებაში და იქაურ მოღვაწეებთან (წინამძღვარი ხარიტონი, სულხან-საბა ორბელიანი) ერთად ხშირად იხსენიება ძველ საბუთებში. როგორც ჩანს, ბესარიონი ენერგიულად იღვწოდა მონასტრის გამდიდრება გაძლიერებისათვის². ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდა ის კულტურულ-ლიტერატურულ ასპარეზზეც, რის გამო დიდი სახელითა და ავტორიტეტით სარგებლობდა. მისი თანამედროვე მწიგნობრები, — გაბრიელ საგინაშვილი და იოსებ არაგვის ერისთავის შვილი, — მას „ღირსსა მოძღვარსა და მასწავლელს“ უწოდებენ³. ანტონ კათოლიკოსის ცნობით, ბესარიონი „მაღალ გონება“, ფრიად განათლებული, ბრწყინვალე მქადაგებელი და ჩინებული მწერალი იყო. ამასვე აღნიშნავს იოანე ბატონიშვილიც⁴.

ნათლისმცემლის მონასტერში მოღვაწეობის დროს, უფრო ზუსტად — 1713—1724 წლებში, ბესარიონმა დაწერა ქართველ წმინდანთა წამება-ცხოვრებანი, „ქართულთ წმიდათა მოთხრობა-ისტორია“ (ანტონ I). ცნობილია მისი რამდენიმე აგიოგრაფიული თხზულება: „შესხმაჲ წმიდათა მოწამეთა ბიძინასი, შალვასი და ელიზბარისი და უწყებაჲ წამებისა მათისაჲ“⁵, „ლუაწლი წმიდისა და სანატრელისა მოწამისა და მეფისა ლუარსაბისი, რომელი იწამა შაჰ-აბაზ უსჯულოჲსა მიერ სპარსთა მეფისა“⁶, „წამებაჲ და ლუაწლი წმიდისა დიდისა მოწამისა რაქდენისი, რომელი იწამა ქამთა დიდისა მეფისა ვახტანგისთა, სპარსთა მიერ ქართლს შინა, სოფელსა შინა წრომს“⁷; „შესხმაჲ და წამებაჲ წმიდისა და დიდებულისა მოწამისა არჩილისი, მეფისა მის ქართველთაჲსა, რომელი იყო ნათესავი და ტომი ხუასროვანთა სპარსთა მეფისა და იწამა ქართლს შინა ჰიკუმ მსაჯულისა მიერ, რომელსა ეწოდა ასიმ“⁸ და „დაძინებაჲ წმიდათაგანისა მამისა ჩუშნისა ისე წილკანელ ეპისკოპოსისა საკვრველთმოქმედისა, რომელი იყო ერთი ათორმეტთა მამათაგანი, რომელნი შუამდინარით მოიწინეს“⁹.

¹ ქრონიკები, II, გვ. 516. იოანე ბატონიშვილის მიერ ბესარიონის მიჩნევა ლევან ბაგრატიონის (ვახტანგ მეექვსის მამა) შვილად — გაუგებრობას წარმოადგენს (კალმასობა, II, გვ. 166).

² ქართლ-კახეთის მონასტრების საბუთები, გვ. 21—22, 37—38, 70—73; ისტ. საბუთები, V, გვ. 5, 19—22, 25—27, 38. ბესარიონს ნათლისმცემლის მონასტრის ერთ-ერთ აღმშენებელ-რესტავრატორადაც კი ასახელებენ (A № 624, 147 v. შდრ. პ. კ ა რ ბ ე ლ ა - შ ვ ი ლ ი, იერარქია საქართველოს ეკლესიისა, გვ. 139; მ. ხ ე ლ ა ე ვ ი, ნათლისმცემლის უდაბნო კახეთში, „ივერია“, 1886, № 208).

³ A № 100, გვ. 300; R № 1557, 11 v.; Q № 85, 171 v. სხვათა შორის, ზოგიერთი ცნობით, ტიპოზე გაბაშვილიც, თითქოს, ბესარიონის მოწაფე ყოფილა (ტ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, მოხილვა, გვ. 5. შდრ. A. X a x a n o v, O t e p e n a, III, გვ. 301).

⁴ წყობილსიტყვაობა. გვ. 217—218; კალმასობა, II, გვ. 166.

⁵ S №№ 300, 3269; A №№ 170, 210, 1167, 1325; H №№ 40, 286, 1370, 2077, 2121; Q №№ 300, 743; არქ. ხელნ. № 402. საქ. სამოთხე, გვ. 599—609.

⁶ S № 3269; A №№ 170, 1325; H № 40. ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, გვ. 407—416.

⁷ S №№ 300, 3269; A №№ 170, 176; H №№ 40, 286. 1672, 2121, 2077. საქ. სამოთხე, გვ. 169—180; ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, გვ. 241—246.

⁸ S №№ 300, 3269; A № 170; H № 40. მ. ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, ქართული მწერლობა, I, გვ. 253—292; ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, გვ. 247—252.

⁹ S №№ 300, 3269; A № 170; H №№ 40, 1672, 2854. სამი უკანასკნელი თხზულების თარიღი და ავტორის ვინაობა მხოლოდ ახლახან გაირკვა (მ. ქავთარია).

აღნიშნულ ძეგლებში ბესარიონი სამშობლოს წარსულის ღრმა და საფუძვლიანი ცოდნით, დიდი სითბოთი და სიყვარულით გვაცნობს სახელოვან მოღვაწეთა საქმეებს და არა მხოლოდ საეკლესიო-სარწმუნოებრივ გრძნობებს განამტკიცებს. არამედ პატრიოტულ ალტყინებასაც იწვევს გკითხველებში¹.

ნათლისმცემლის მონასტერში ცხოვრების პერიოდშივე დაუწერია ბესარიონს ვრცელი პოლემიკური თხზულება — „გრდემლი“, რომელიც კათოლიკობის წინააღმდეგაა მიმართული („სიტყვს-გება ლათინთა მიმართ, ჩუნ მართლმადიდებელთა მიერ, თუ რაჲ არს ჩუნგან მათი განყოფილებაჲ, თქმული უნდოსა და გლახაისა ხუტეს-მონაზონისა ბესარიონის მიერ, რომელი იყო უდაბნოთ გარესჯით, მრავალმთისაჲთ მონასტერსა წმიდისა იოანე ნათლისმცემლისასა. ხოლო წიგნსა ამას ეწოდების გრდემლი“)². ჩანს, გარეჯაში თავმჯდომარეებულ ქართველ მწიგნობარს აფიქრებდა და აშინებდა საქართველოში კათოლიკობის გავრცელება და საზოგადოების ერთი ნაწილის მიერ რომაული აღმსარებლობის შეწყნარება. ამიტომაც შეუქმნია მას კათოლიკობის განმეპქიებელი ნაწარმოები, რომლითაც ის „ლათინთ მეხ იქმნა“ (ანტონ კათოლიკოსი)³.

ბ. ბარათაშვილ-ორბელიშვილი ნაყოფიერი კალიგრაფიკ ყოფილა. ნათლისმცემელში მას არა ერთი ხელნაწერი დაუმზადებია (A №№ 105, 121, 196 და სხვ.). 1696 წელს მან განაახლა, შეკაზმა და მაქსიმე მაქუტაძეს უძღვნა ჯამისწირვის საყურადღებო ნუსხა (A № 198). სხვათა შორის, ერთი ხელნაწერი მან ნ. მაღალაძესაც უბოძა (A № 59).

საყურადღებოა ის გარემოება, რომ ბესარიონი არა მარტო თვით ამრავლებდა ხელნაწერებს, ან სხვებთან თანამშრომლობდა (მაგალითად, წინამძღვარ იობთან), არამედ სხვებსაც აწერინებდა და ამზადებინებდა ახალ ნუსხებს. ასე, მაგალითად, მისი დავალებით იოსებ არაგვის ერისთავის შვილმა გადაწერა 1713 წელს ბასილ დიდის თხზულებანი (A № 100). გაბრიელ საგინაშვილმა 1719 წელს—სახარება (Q № 85) და საქმე მოციქულთა (Q № 86) და ა. შ.

ბ. ბარათაშვილ-ორბელიშვილმა 1724 წელს დატოვა ნათლისმცემლის მონასტერი და ქართული ეკლესიის საქეთმპყრობელობა იკისრა⁴.

ბ. ბარათაშვილ-ორბელიშვილის ნათლისმცემლის მონასტერში მოღვაწეობის დროს იქვე ცხოვრობდნენ და ნაყოფიერ მწიგნობრულ-საგანმანათლებლო საქმიანობას ეწეოდნენ ნიკოლოზ ჩერქეზიშვილი, იობ წინამძღვარი, გაბრიელ საგინაშვილი, იოსებ არაგვის ერისთავის შვილი, ექვთიმე (ზაზა) ბარათაშვილი და სხვ.

¹ ბ. ბარათაშვილ-ორბელიშვილს უმუშავია ლიტურგიკაშიც. კერძოდ, დაუწერია „კანონი საგალობელი პირველმოწამისა რაქდენისა“, „კანონი სავედრებელი“ ისე წილკნელისა და სხვ. საფიქრებელია ზოგიერთი მათგანი ნათლისმცემლის მონასტერში დაიწერა.

² A №№ 119, 156, 298, 1395, 1591, 1791; S №№ 286, 1596, 3269; H № 1530; Q № 92; K № 130 და სხვ.

³ თ ბ ი ლ ე ლ ი, „გრდემლი“—თხზულება ბესარიონ კათოლიკოსისა, „მწყემსი“, 1885, № 6, გვ. 12—13; გ. ა ფ შ ი ნ ა შ ვ ი ლ ი, მტირე საარქეოლოგიო შენიშვნა, „ივერია“, 1890, № 267.

⁴ ბ. ბარათაშვილ-ორბელიშვილზე იხ. კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I⁴, გვ. 349—354; მ. ქ ა ვ თ ა რ ი ა, ბესარიონ ორბელიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა, ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, I, 1959, გვ. 75—113.

ნ. ჩერქეზიშვილი, შემდგომში ნიკოლოზ რუსთველი, — ქართული მწერლობის ცნობილი წარმომადგენელია. როგორც უკანასკნელ წლებში გაიკრეა, მე-18 საუკუნის დამდეგს ის ნათლისმცემლის მოწესე ყოფილა და იქვე დაუწყია ხელნაწერთა გამრავლება „ქართველთა და კახთა მეფეთ-მეფის ასულის ელენეს“¹ დაკვეთითა და ბრძანებით. კერძოდ, 1704 წელს გადაუწერია დავითნი (Q № 430), 1705 წელს — სახარება (Q № 919) და ა. შ.

ნათლისმცემლის მონასტრის მოღვაწე წინამძღვარი იობი ბესარიონ-ბაჩათაშვილ-ორბელიშვილის აქტიური თანამშრომელი ყოფილა. ზემოთ ჩვენ მოვიხსენიეთ ბესარიონის მიერ დამზადებული ხელნაწერები (A №№ 105, 121, 198; S № 3269). ამგვარად უნდა დავსძინოთ, რომ ყველა დასახელებული ნუსხა ბესარიონს დაუმზადებია იობ წინამძღვართან ერთად. ზოგიერთ ანდერძ-მინაწერში იობი საგანგებოდ გვამცნობს, რომ მუშაობდა „ბრძანებითა და მორჩილებითა მამისა ბესარიონისათა“ (A № 121, გვ. 470). ზოგჯერ იობი დამოუკიდებლადც ამრავლებდა ნუსხებს. მაგალითად, 1715 წელს გადაწერა და დოდოს მონასტერს შესწირა საბას ლაერის ტიბიკონი (A № 1348). მასვე გადაუწერია მაქსიმე აღმსარებლის ცხოვრება და თხზულებანი (A № 636), რომელიც 1728 წელს მარიამ-მაკრინეს ნათლისმცემლის მონასტრისათვის შეუწირავს². იობ წინამძღვარს გარკვეული ღვაწლი უნდა მიუძღვოდეს ქართული აგიოგრაფიული კრებულის ფორმირების საქმეში³.

ნათლისმცემლის მონასტრის მოღვაწე წინამძღვარი იობს ზოგჯერ ურევნ იობ ფიტარელში⁴. ვფიქრობთ, აქ ერთ პირთან არა გვაქვს საქმე; იობ ფიტარელი და ნათლისმცემლიზ მონასტრის მოღვაწე იობ წინამძღვარი სხვადასხვა პირია⁵.

¹ ეს უნდა იყოს ერაკლე პირველის ასული, რომელიც 1715 წელს გამაჰმადიანებულმა იესე მეფემ შეირთო.

² თ. გორდანიას მარიამ-მაკრინეს ერთ-ერთ გადამწერად მიიჩნევდა (Опис. рукописей (A), II, გვ. 123). საკითხის გარკვევაში გვეხმარება მწიგნობარი ქალის ვრცელი ანდერძი „შენდობით მოიხსენებდეთ მშრომელსა ამისა წინამძღვარს იობს, რომელ მასცა სწადოდა თავის ნაშრომის წიგნების შეწირვა წმიდისა ნათლისმცემლის მონასტრისათვის, მაგრამ სოფლის განსადეგმა... არა და დროსცა და აწ მე, ყოვლად უღირსსა... მაქენდა წიგნი ესე. ვინადგან თვითცა სურვიელ იყო ყოველი მისი ნაშრომი და საცხოვრებელი მონასტრისა ამისთვის მიუძღვანა და მეცა, ყოვლად უღირსს, თავი ჩემი და ყოველი საცხოვრებელი ჩემი მონასტრისა ამისათვის განმეგულა, სურვილიცა და საწადელი მისი ამით ოდენ აღვასრულე. ვინადგან მოწაფე ვიყავ მისი. ესრეთ ჯერ იყო მცნება მისი აღმსრულებინა და მე ამისა: უმეტესი მისი არა-არა მაქენდა. ესე ესრეთ ვყავ“ (A № 636, 4რ—5რ).

³ ე. მეტრეველი. ქართული აგიოგრაფიის კრებული და მისი შემდგენელი, ა. პუშკინის სახელობის თბილისის სახ. პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, VIII, 1950, გვ. 418—419 (შდრ. A № 170, 160r; Опис. рукописей (A), I, გვ. 180).

⁴ Опис. рукописей (A), II, გვ. 123; ს. ბარნაველი, სულხან-საბა და წინამძღვარი იობი, „ლიტერატურული გახეთი“, 28. VIII, 59, № 35 (1153).

⁵ როგორც აღვნიშნეთ, იობ ფიტარელი იხსენიება 1696—1730 წლებში, კერძოდ, 1696 (საქართველოს მუზეუმის მოამბე, III, 1927, გვ. 118), 1698 (დოკუმენტები, I, გვ. 107), 1707, 1717, 1728, 1729, 1730 (საქ. სიძველენი, II, გვ. 274, 300, 346, 351, 356) წლებში. იობ გარეჯელი კი ამ დროს ნათლისმცემლის მონასტრის ბინადარია; გვხვდება 1696 (A № 198), 1697 (A № 105), 1715 (A №№ 121, 1348) და მომდევნო წლების ნუსხებში; პირველი 1731 წლის აბლოს გარდაიცვალა (იხ. ზემოთ გვ. 244), ყოველ შემთხვევაში, 1730 წელს კოცხალა (საქ. სიძველენი, II, გვ. 356). მეორე კი 1728 წელს გარდაცვლილად იგულისხ-

საკმაოდ ნაყოფიერი მწიგნობარია მღვდელ-მონაზონი გაბრიელ საგინაშვილი, ძმისწული ცნობილი საეკლესიო მოღვაწის ელისე თბილელისა (XVII ს.)¹. მისი ვრცელი და საინტერესო ანდერძი შემოუნახავს იოანე ზედაზნელის ცხოვრების შემკველ ხელნაწერს (II № 1557), რომელიც, თავის მხრივ, წარმოადგენს დასაწყის ნაწილს უაღრესად მნიშვნელოვანი აგიოგრაფიული კრებულისა (A № 130). აღნიშნული ანდერძით ირკვევა ქართული აგიოგრაფიული კრებულის შექმნა-ჩამოყალიბების ისტორია, შუქი ეფინება დომენტი კათოლიკოსის ლიტერატურულ საქმიანობას. საკითხის ნათელსაყოფად აქვე ვებეჭდათ ამ ანდერძს: „ველ-ვეყავ... მე, უღირსმან ხუცეს-მონაზოანმა გაბრიელ საგინაშვილმან, წმიდისა ანის წიგნისა აღწერად უდაბნოსა მას გარესჯისასა, მონასტერსა მრავალმთის ნათლისმცემელისა...“ დომენტი პატრიარქმა შეკრიბა „წიგნი ესე ერთად განბნეულნი, რომელი ეამთა დავიწყებისაგან მიფარულ იყო ცხოვრებაანი და ღვაწლნი მათნი, რომელნიცა ჩვენ ქართველთა წმინდანი გამობრწყინებულ იყვნეს... ხოლო მე ესე, რომელი მკვდრ ვეყავ მონასტერსა მას, რომელი ზემო ვახსენე და ვიქცეოდე ველ შინა სულიერთა მათ მამათა ჩემთათა, ვიტყვი: წმიდა ონოფრეს, მამასა ხარიტონს და ღირსსა მოძღვარსა და მასწავლელსა ჩემსა ბესარიონს ორბელის ძესა, რომელთა ბრძანებითა და ლოცვითა კელად ვიბვენ წიგნი ესე და არა ურჩ ვექმენ ბრძანებასა მათსა, არამედ სრულ ვეყავ ძალითა ღმრთისა მათა და შევსწირე მასვე მონასტერსა ჩემსა... ქორონიკონსა უა (= 1713 წ.)“².

ამრიგად, გაბრიელ საგინაშვილს დომენტი კათოლიკოსის მიერ შექმნილი აგიოგრაფიული კრებული გადაუწერია გარეჯის უდაბნოს მრავალმთის ნათლისმცემლის მონასტერში 1713 წელს. ამ სამუშაოს დამკვეთად და ინიციატორად გაბრიელი ასახელებს სამ გამოჩენილ მოღვაწეს: ლაერის წინამძღვარს ონოფრე მაკულტაძეს, ნათლისმცემლის წინამძღვარს ხარიტონსა და ნათლისმცემლის მღვდელ-მონაზონს ბესარიონ ბარათაშვილ-ორბელიშვილს.

გაბრიელ საგინაშვილის მიერ გადაწერილი ქართული აგიოგრაფიული კრებული (H № 1557, A № 130) შეიცავს მრავალ ძეგლს. აქ წარმოდგენილია ცხოვრება თუ მარტილობა იოანე ზედაზნელის, დავით გარეჯელის, შიო მღვიმელის, აბიბოს ნეკრესელის, ევსტათი მცხეთელის, შუშანიკის, ლუარსაბის, არჩილისა და სხვათა. აღნიშნული კრებული საფუძვლად დაედო

მება მარიამ-მაცრინეს ზემოციტირებულ ანდერძში (A № 636, 4v—5v); იობ ფიტარელის ხელი (არქ. ხელნ. № 242; H № 885; Q № 326) საგრძნობლად განსხვავდება იობ გარეჯელის ხელიდან (A №№ 105, 121, 198, 636, 1348; S № 3269). აქ აღბრუნდით საკითხებს ჩვენ შევხებით ერთ საეკლესიო მოხსენებაში (ლ. მენაბდე, ქართული კულტურული-საგანმანათლებლო ცენტრების ისტორიიდან, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო სესიის მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, თბ., 1959, გვ. 37—38. იხ. აგრეთვე მ. ქავთარია, ბესარიონ ორბელიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა, ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, I, 1959, გვ. 85—87).

¹ ე. თაყაიშვილი, არქ. მოგზაურობანი და შენიშვნანი, II, გვ. 112. ერთი ცნობით, გ. საგინაშვილი ნათლისმცემლის მონასტრის იკონომოსი ყოფილა, რის გამო მას „გაბრიელ დიდს“ უწოდებდნენ (მ. ხელაევი, ნათლისმცემლის უდაბნო კახეთში, „ივერია“, 1886, № 208).

² H № 1557, 11r—r; ხელნაწერთა აღწერილობა (H), IV, გვ. 45—46.

მომდევნო წლებში გადაწერილ ნუსხებს (A № 170—1733 წ.; H № 2077—1736 წ.; H № 1672—1740 წ.; A № 176—1743 წ. და სხვ.)¹.

გაბრიელ საგინაშვილს გადაუწერია სხვა ძეგლებიც, მაგალითად, დავითნი (Q № 1142), სახარება (Q № 85), საქმე მოციქულთა (Q № 86), კონდაკი (A № 624), საგალობლები (H № 3233) და სხვ.²

გაბრიელ საგინაშვილი თავის სამუშაოებს ასრულებდა საკმაოდ რთულ პირობებში, ლეკთა მოთარეშე რაზმების მოხდომის შიშის ქვეშ. ერთ მინაწერში (A № 130) ის კიდევ აღნიშნავს ამ გარემოებას: „აჲად წერისათვის ნუ დამწყველით. ვეშურებოდი, ლეკისაგან გვეშინოდა. ამ წიგნს რომ ვწერდი, მოუტდა ლეკის ჯარი დავით-გარეჯას მკათათვის ბ-სა. ღმერთმან და წმიდამან ღვთისმშობელმან და წმიდამან დავით დაიცივა მონასტერი“³.

რაოდენ დიდი უნდა ყოფილიყო მშობლიური კულტურის სიყვარული, რომ ესოდენ ძნელ პირობებში ქართველ მწიგნობრებს შინაც განეგრძოთ მუშაობა და უარი არ ეთქვათ უანგარო სამსახურზე⁴.

აქვე უნდა მოვიხსენიოთ გაბრიელ საგინაშვილის ძმისწული „მდივან-მწიგნობარ-მგალობელი“ ელისე, რომელიც 1713 წელს ექვსი წლის „ყრმა მცირე“ მიიყვანეს ნათლისმცემლის მონასტერში (H № 1557, 11 v)⁵. იქაური მწიგნობრების, პირველ რიგში, ალბათ, თავისი ბიძის, დახმარებით ელისე ეზაარა ქართულ კულტურულ-ლიტერატურულ ტრადიციებს, საკმაოდ გაიწაფა ხელნაწერთა დამზადებაში. შემდეგში ის დომენტი კათოლიკოსს დაუახლოვდა და ექსორიაშიც კი ახლდა მას კონსტანტინოპოლსა⁶ და კ. ტენედოსზე, სადაც მისი „საფასითა“ და დავალებით ამზადებდა საყურადღებო კრებულებს⁷.

¹ ე. მეტრეველი. ქართული აგიოგრაფიის კრებული და მისი შემდგენელი, ა. პუშკინის სახელობის თბილისის სახ. პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, VIII, 1950, გვ. 417—420. ახლახან ხელნაწერი H № 1557 შეუერთეს კრებულის ძირითად ნაწილს (A № 130).

² იხ. აგრეთვე ე. თაყაიშვილი. არქ. მოგზაურობანი და შენიშვნანი, II, გვ. 111—113. წერდა ის საბუთებსაც. მაგალითად, 1724 წელს დაუწერია ნასყიდობის წიგნი (საქ. სიძველენი, I, გვ. 89—90).

³ A № 130, გვ. 442; დ. ბაკრაძე, ისტორია საქართველოსი, გვ. 224—225, შენ. იხ. აგრეთვე ახალი, ეარიანტი წმიდა ნინოს ცხოვრებისა, გვ. VII—VIII. შდრ. Q № 85, 171 v.

⁴ თუ 1774 წლის საბუთში მოხსენიებული „მღვდელ-მონახონი მამა გაბრიელი“ (ქართლ-კახეთის მონასტრების საბუთები, გვ. 130) ჩვენი გაბრიელია, მაშინ ის, ჩანს, გვიან გარდაცვლილა.

⁵ ხელნაწერთა აღწერილობა (H), VI, გვ. 46. ნათლისმცემლის მონასტერში ყრმათა მიყვანა აღსაზრდელად უჩვეულო მოვლენას არ წარმოადგენდა (შდრ. პ. ცხვილოელი, გუჯრები დავით გარეჯის უდაბნოსი, „ივერია“, 1893, № 91).

⁶ იხსენიება იქაურ საბუთებში 1737—1738 წლებში (E. T a k a ო შ ვ ა ი ლ ი, Mat. ძარ. история Грузии, გვ. 69—71). 1742 წელს ის უკვე სამშობლოში ჩანს (დოკუმენტები, I, გვ. 306).

⁷ A № 56; A № 66, 152r—380v. Опис. рукописей (A), I, გვ. 46—48. 65—66; შ. ჯანაშვილი, საისტორიო და საბიბლიოგრაფიო წერილები, წერილი ოდ. „ივერია“, 1900, №№ 190, 191, 195, 198; მარტვირი ქართველი (VI—VII სს.) და მისი შრომა „სინანულისათვის და სიმდაბლისა“, კ. კეკელიძის რედაქციითა და გამოკვლევით, „ლიტერატურული ძიებანი“, III, 1947, გვ. 265, 283.

ელისე საგინაშვილს (—გარეჯელს) ზოგჯერ ურევნ ელისე თბილელში (—საგინაშვილში)¹, რაც, რასაკვირველია, შეცდომაა².

ბესარიონ ბარათაშვილ-ორბელიშვილის მოწაფე და მისი მწიგნობრულიტერატურული წრის, მისი „კრებულის“, საინტერესო წარმომადგენელია იოსებ არაგვის ერისთავის შვილი, რომელმაც 1713 წელს გადაწერა ბასილ დიდის თხზულებანი (A № 100). მის მიერ დამზადებულ ხელნაწერს შემოუნახავს მრავალმხრივ საყურადღებო ანდერძ-მინაწერი, რომელიც შედარებით სრულად მოგვაქვს.

„ველ-ვყავ მეცა ძალისაებრ ჩემისა მე, უღირსმან ხუცეს-მონაზონმან იოსებ, არაგვის ერისთავის შვილმა, წმიდისა ამის წიგნისა აღწერად უდაბნოსა მას გარესჯისასა, მონასტერსა მრავალმთის ნათლისმცემლისასა... ოდეს მოვიწიე აქა, ვიყავ ათის წლის... ხოლო მე, ესე რომელი მკვიდრ ვიყავ მონასტერსა მას, რომელი ზემო ვაჯსენე და ვიქცეოდე კელთა შინა სულიერთა მათ მამათა მათთანა, — ვიტყვი: წმიდასა ხარიტონს და ღირსსა მოძღვარსა ჩუენსა და მასწავლელსა ბესარიონს, დიდის ორბელის ძესა; და მას მონასტერსა შინა იქცეოდ[ენ] სულიერნი მამანი, ვიტყვი: იოანეს კახთბაზიერთ-ხუცის შვილს, წმიდასა ეფთვიმეს, კაცსა გულსათქმელსა, სიონის დეკანოზის იესეს შვილსა, [რომელი] მრავალ გარჯილ იყო ჩემზედა... და პატიოსან[ს] გაბრიელ საგინაშვილს, — და ველ-ვყავ ბრძანებითა ზემოქსენებულისა მოძღვრისა ჩემისა ბესარიონისითა, რომლისა ბრძანებითა და ლოცვითა კელთ ვიხუენ წიგნი ესე და არა ურჩ ვექშენ ბრძანებათა მათთა, არამედ სრულ ვყავ ძალითა ღმრთისათა და შევწირე მასვე მონასტერსა ჩუენსა... ქორონიკონსა უა (=1713 წ.).

ამ ქორონიკონსა ქართლი[სა] და კახეთ[ის] ოჯრება დაიწყო. უდაბნოც სუსტდებოდა: ხან ოსმალოს ეკირა, ხან ყიზილბაშს.

ამ წიგნის წერაში ავიყარენით ამ მონასტრიდამ.

ღიად, ლეკთ შიში შეიქნა ჩვენ ქვეყანა[ში] და ნამეტანად კახეთ[ში]!

ღიად, დიდი შიში შეიქნა!

გავიყავით: ნახევარი მამანი და ძმანი აქ დადგენენ; თვთ დიდი ბესარიონ და მისი კრებულნი ზოგნი ქალაქს, სადა სასახლე გვექონდა. — დიდი ილარიონ იქ იყოფებოდა, — ზოგნი — რკონსა, ზოგნი — ყინცივის[ის] წმიდის ნიკოლოზის ტაძარში, ზოგნი — თვით ბესარიონთან. მე, ცოდვილი იოსებ, მის თანა გაუყრელად ვიყოფებოდი; ზოგნი — დედოფალთან, კახი ბატონიშვილთან, რომელსა ეწოდებოდა სახელად ელენე და ჟამსა მოლოზნობისასა — ელისაბედ. ღიად, დიდი ჭირნახული იყო ამ მონასტრისა! რაც ამ მონასტერში იყო, სულ იმისი იყო³.

¹ Опис. рукописей (A), I, გვ. 65.

² ლ. მე ნ ა ბ დ ე, ქართული კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრების ისტორიიდან. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო სესიის მუშაობის გეგმა და მოახსენებათა თეზისები, თბ., 1959, გვ. 37—38.

³ კახი ბატონიშვილი, ელენე-ყოფილი ელისაბედი უნდა იყოს იესე მეფის მეუღლე. დედა კათოლიკოს ანტონ პირველისა, ერეკლე პირველის ასული, როგორც აღვნიშნეთ, მისი დავალებით მუშაობდა ნათლისმცემლის მონასტრის მოწვევს დიაკონ-მონაზონი ნიკოლოზ ჩერქეზიშვილი.

აქილამ რომ ავიყარენით, გამოვიდა შუაზედ ჩვიდმეტი წელი. ვინც ჰემი ანხანაგები იყვნენ, სულ გარდაცვლილიყვნენ ორმოც წელიწადში. არ მოველოდი ამას. ამასობაში შევიქენ მე წლისა ოცდათერთამეტისა. ბატონს ბესარიონს საქართველოს კათალიკოსობა მისცეს¹. იმისი არქილიაკონი ვიყავ. დაყო პატრიარქობასა შინა ექესი წელი და უფლისა ზივიდა² და დავრჩით ობლად და დავიწყეთ რევად მისმან კრებულმან და მოვიწიე აქვე მონასტერსა. მის ჟამის საქმე, ნამეტანად საქართველოს საქმე და ჩვენი მონასტერი განკყენილიყო. აქვე მოვიწიე, ეს ანდერძი დავწერე“ (A № 100. გვ. 301—302. იხ. აგრეთვე გვ. 554).

იოსებ არაგვის ერისთავის შვილის ანდერძი მრავალ საინტერესო ცნობას შეიცავს. ამ ანდერძით ერთხელ კიდევ დასტურდება ნათლისმცემლის მონასტერში აღსაზრდელად და მომავალი მუშაობისათვის მოსამზადებლად ბავშვების მიყვანა და მრბარება. თვით იოსები იქ 10 წლისა (ე. ი. 1702 წელს) მისულა.

ანდერძის ავტორი გვაცნობს როგორც მონასტერში მიბარებული ბავშვების აღზრდელებს (ხარიტონი, ბესარიონი), ისე იქ მოღვაწე მწიგნობრებსაც (ექვთიმე ბართაშვილი, გაბრიელ საგინაშვილი და სხვ.). მისი ცნობით, ბასილ დიდის თხზულებანი მას ბესარიონის ბრძანებით გადაუნახავს.

ფრიად საყურადღებოა ცნობები ოსმალობისა და ყიზილბაშობის, აგრეთვე ლეკთა თარეშის შედეგად სამონასტრო ცხოვრების შეფერხების, საცხოვრებელი პირობების გაუარესების, ბერ-მონაზონთა კრებულის დაშლისა და მოწესეთა დაქსაქსვის შესახებ.

იოსებ არაგვის ერისთავის შვილის ანდერძი ძვირფას მასალას წარმოადგენს ძნელბედობის ხანის ქართველ მწიგნობართა კულტურულ-შემოქმედებითი მუშაობის პირობების გასაცნობად.

დაახლოებით ამავე პერიოდის მოღვაწეა ნათლისმცემლის მონასტრის კიდევ ერთი მწიგნობარი ექვთიმე ბართაშვილი, ერისკაცობაში ზაზა, ძე სიონის დეკანოზის იესესი³. ის უკრ თბილისის სიონში მოღვაწეობდა, მაგრამ ოჯახური უბედურების გამო ბერად შემდგარა⁴ და ცხოვრება და-

¹ ბ. ბართაშვილ-ორბელიშვილმა უკვე 1724 წლიდან მეფე იესეს გამო დაიპყრა კათალიკოსობა“ (ვახუშტი), მაგრამ მისი კურთხევა რამდენადმე დაგვიანებით, 1730 წლის 7 თებერვალს მოხდა (K № 28, 189 v). ანდერძის ავტორს, უთუოდ, ეს უკანასკნელი თარიღი აქვს მხედველობაში. აქედანვე ირკვევა იოსებ არაგვის ერისთავის შვილის დაბადების თარიღი: 1730—38 = 1692 წ.

² ბესარიონი გარდაიცვალა არა 1735 წელს, როგორც ამას მისი ეპიტაფია (A. Hap-roev, Мухет и его собою Святи-Пхонезя, გვ. 326—327; პ. კარბელაშვილი, ივრარქია საქართველოს ეკლესიისა, გვ. 139—140) აღნიშნავს და ზოგიერთი შემატიანე (ს. ჩხეიძე) თუ მინაწერის ავტორი (A № 16, 232 r—v; ქრონიკები, II, გვ. 21) ადასტურებს, არამედ ოდნავ გვიან. ყოველ შემთხვევაში, ის ცოცხალი ჩანს 1736 წელს (H № 2077, 334v). საფიქრებელია, სწორ ცნობას გვაწოდის ვახუშტი, რომელიც ბესარიონის გარდაცვალებას 1737 წელს დებს (ქართლის ცხოვრება, II (1654 წ.), გვ. 92). ამ საკითხზე იხ. მ. ქავთარია, ბესარიონ ორბელიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა, ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, I, 1959, გვ. 78—84; ბ. ლომინაძე, მასალები საქართველოს XVII—XVIII საუკუნეთა ისტორიის ქრონოლოგიისათვის, მასალები საქ. და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 29, 1951, გვ. 70—71, 74.

³ დაბადებულია ის 1684 წელს (A № 637, 38 v; ვნიშკის მოამბე, XIII, 1943, გვ. 135).

⁴ ამ საკითხზე ის საგანგებოდ გვესაუბრება სადღესასწაულოს ანდერძში (A № 515, 463v).

უწყია გარეჯაში, სადაც კარგი ავტორიტეტი დაუმსახურებია (შდრ. A № 100, გვ. 301).

მე-18 საუკუნის პირველ წლებში „ფრიადითა შრომითა და ძებნითა წესსა ზედა ტვიბიკონისასა, რაც ოდენ დედა იშოვებოდა მწირსა და უნუგე-შისცემოს უდაბნოსა მრავალმთის ნათლისმცემლისასა“ დაუწყია გულანის გადაწერა. ენერგიული ძიებით მას მოუპოვებია დედნები და გულდასმით გადაუწერია ხუთი ვეებერთელა წიგნი (A № 111)¹. ის მუშაობდა „რამც ოდენ ძალ-ედვა“ (წიგნი III, 86 r), „განსაცდელ მრავალ შემთხვეული“ (წიგნი V, 36 v). საგულისხმოა, რომ „ეამსა მას, ოდეს რადენიმე ძმანი განეშორნეს მონასტრისა ამისგან მიშითა ლეკისათა და წარვიდეს ხიზნად ქართლს“, ის იქვე დარჩა და განაგრძო მუშაობა (წიგნი II, 36 r).

გვიან ხანაში ის ქსნის საერისთავოში გადავიდა და ახალგორის სასახ-ლეში განაგრძო კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა, კერძოდ, იქ გადა-წერა სადღესასწაულო (A № 515) 1733 წელს. მისი ცნობით, მისთვის შემ-წეობა აღმოუჩენიათ შანშე ქსნის ერისთავსა და მის ძმას იესე ყულარა-ლასს (A № 515, 463 v, 487 v)².

მე-18 საუკუნის პირველი ნახევრის გარეჯელი მოღვაწე ყოფილა კოხმა ხუცეს-მონაზონი, ანტონ კათოლიკოსის დახასიათებით— „კაცი უმანკო“, „კმ-თილ-მწიგნობარ, შუენიერ მეფსალმუნე, სიბრძნით გამომთქმელ, წერილთ ჯეროვან აქსონ“³. მას აღუწერია ქეთევან დედოფლის წამება, რომლის ტექსტს, სამწუხაროდ, ჩვენამდე არ მოუღწევია.

მე-18 საუკუნის დამდეგს დოდორქის მონასტერში მოღვაწე მწიგნობარ-თავან ჩვენთვის ცნობილია ხუცეს-მონაზონი გრიგოლ ვახეაზიშვილი, ძე კახე-თის ბაზიერთუხუცესისა. მის შესახებ ცნობებს გვაწვდიან ანტონ პირველი⁴, იოანე და თეიმურაზ ბატონიშვილები⁵, პ. იოსელიანი⁶ და ზ. კიკინაძე⁷. ყველა ავტორი გრიგოლს ერთხმად მიიჩნევს დოდორქის მოღვაწედ და წარ-მოგვიდგენს განათლებულ მწიგნობრად. ჩვენს ხელთ არსებული მასალა ამას სავესებით ადასტურებს⁸.

გრიგოლ დოდორქელს 1703—1713 წლებში დაუწერია მრავალმხრივ საინტერესო და საყურადღებო აგიოგრაფიული თხზულება („წამებაჲ ყოვლად-დიდებულისა მოწამისა დედოფლისა ქეთევანისაჲ, რომელი იწამა სპარსთა მეფისა შაჰ-აბაზ უსჯულოჲსა მიერ ქალაქსა შირაზისასა“). ის დამყარებულია

¹ Опис. рукописей (A), I, გვ. 124—126.

² ექვთიმე მალე მიიღო თბილლობა. იხსენიება 1736 (საქ. სიძველენი, II, გვ. 384; დოკუმენტები, I, გვ. 253), 1737 (ისტ. საბუთები, V, გვ. 51, 54; საქ. სიძველენი, II, გვ. 391), 1738 (დოკუმენტები, I, გვ. 274), 1739 (დოკუმენტები, II, გვ. 35) და 1740 წწ. (საქ. სიძვე-ლენი, I, გვ. 95). გარდაიცვალა 1740 წლის 22 მაისს (ისტ. საბუთები, V, გვ. 55).

³ წყობილსიტყვაობა, გვ. 277. ტრადიციული ცნობით, კოხმა ლეკებმა მოკლეს 1735 წელს (იქვე შენ. 154. შდრ. კალმასობა, II, გვ. 182).

⁴ წყობილსიტყვაობა, გვ. 276.

⁵ კალმასობა, II, გვ. 181.

⁶ წყობილსიტყვაობა, გვ. 276. შენ. 153.

⁷ ზ. კიკინაძე, ქართული მწერლობა და ქართველი მწერლები მეჩვიდმეტე და მუ-თერამეტე საუკუნეებში, გვ. 14—15.

⁸ ქართლ-კახეთის მონასტრების საბუთები, გვ. 31, 39 და შდ.

საიმედო პირველ წყაროზე¹, წარმოადგენს ქეთევან დედოფლის მოწამეობ-
რივი აღსასრულის საკმაოდ სრულ და უტყუარ აღწერილობას. ამასთანავე
ნათლად გვაცნობს ავტორის პატრიოტულ განწყობილებას. გრიგოლის შრო-
მას იცნობდნენ და იყენებდნენ ბერი ეგნატაშვილი, ვახუშტი ბაგრატიონი,
ანტონ პირველი და სხვანი².

გრიგოლ ვახეაბიშვილს დაუწერია აგრეთვე ჰიმნოგრაფიული შრომა
აკოლოთია (S № 3269), რომელშიც შეუქია ქეთევან დედოფალი; მასვე
წვლილი შეუტანია საეკლესიო-კალენდარული რეფორმის გატარებაში 1703
წელს³.

გარეჯაში მოღვაწეობდა ცნობილი ქართველი მწერალი ანტონ პირვე-
ლიც. მისი ბიოგრაფის, პ. იოსელიანის, ცნობით, ანტონი — ერისკაცობაში
თეიმურაზი) გარეჯაში აღიზარდა⁴. საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოსვლის
შემდეგაც ის რამდენჯერმე დაუბრუნდა ძველ სავანეს. როდესაც გივი ამილა-
ხორის ასული ნადირ-შაჰს გაუგზავნეს, აღმფოთებულმა ბატონიშვილმა მოზ-
ღვავებული გრძნობის დასაოკებლად და სულიერი ტკივილის დასაცხრობად
გარეჯას მიაშურა⁵.

ტიმოთე გაბაშვილის ერთი მინაწერით ირკვევა, რომ ანტონი 1743
წელსაც სწვევია გარეჯას: „წლისა ოცდაორისა დაეწესა მონასტერსა წმიდისა
ნათლისმცემლისასა იოანესსა, თვესა იანვარსა ე(=5), დღესა ორშაბათსა,
დამტყვებელი სამწყსოსა და ეკლესიისა თვისისა. ქრისტეს აქათ ჩღმგ
(= 1743)“⁶.

საფიქრებელია, ანტონი გარეჯაშიც განაგრძობდა იმ მწიგნობრულ-ლი-
ტერატურულ საქმიანობას, რომელსაც შესწირა მან მთელი თავისი შეგნე-
ბული სიცოცხლე. მართლაც, გარეჯელ წამებულთა საგალობლები მას და-
უწერია ნათლისმცემლის მონასტერში (A № 386, 369 r — 372 r). ტექსტში
საგანგებოდაა აღნიშნული, რომ „მამათა მონასტრისა წმიდისა იოანე ნათ-
ლისმცემლისა გარეჯისათა მასვე მონასტერსა შინა ყოფასა მისსა“ სთხოვეს
და დააწერინეს აღნიშნული საგალობლები⁷.

¹ კ. გრიგოლია, ზებუნე მღვდელმონაზონი და მისი ანდერძი, აკად. ს. ჯანაშიას
სახელობის საქართველოს სახ. მუზეუმის მოამბე, XVII-B, 1953, გვ. 56—57.

² შემონახულია მრავალ ხელნაწერში (A №№ 130, 170, 176; S № 3269; H №№ 611,
1672, 2077; Q № 300; არქ. ხელნ. № 402 და სხვ.). იხ. ტ. რუხაძე, ახლად აღმოჩენილი
„ცხოვრება და წამება ქეთევან დედოფლისა“, „ლიტერატურული ქიბანი“, V, 1949, გვ.
229—267.

³ კ. კეკელიძე, ანტონ კათოლიკოსის სალიტურგიკო მოღვაწეობიდან, ეტიუდები,
IV, გვ. 182.

⁴ წყობილსიტყვაობა, გვ. V.

⁵ კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I⁴, გვ. 372. გარეჯელ მოღვა-
წეთა ჩვენებით, ანტონი ერთ ხანს დაეითის ლავრაში, ორსართულიან კოშკში (ე. წ. ალექ-
სანდრეს ტაბტი), ცხოვრობდა (Г. Ч у р н и а ш в и л и, Пещерные монастыри Давид-
Гареджы, გვ. 90).

⁶ A № 123, 121 v; მ. ჯანაშვილი, საისტორიო და საბიბლიოგრაფიო წერილები,
წერილი 2, „ივერია“, 1898, № 242; პ. კარბელაშვილი, ივრარქია საქართველოს ეკლე-
სიისა, გვ. 142.

⁷ ანტონის გარეჯაში ყოფნა დამოწმებულია მის სხვა ნაწარმოებებშიც (წყობილსიტ-
ყვაობა, გვ. 273; საქ. სამოთხე; გვ. 574).

გარეჯელ მწიგნობართა რიცხვს ეკუთვნის მღვდელ-მონაზონი გერმანე. მას, თ. ჟორდანიას დაკვირვებით, 1748 წლის ახლოს გადაუწერია „ქართლის ცხოვრების“ ერთი საინტერესო ნუსხა (A № 131), რომელიც ჩამოტანილია ნათლისმცემლის მონასტრიდან და აწ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტში ინახება¹. სამწუხაროდ, საბუთები მკვლევარს არ წარმოუდგენია და მეცნიერებისათვის ძნელი აღმოჩნდა გერმანეს მიჩნევა აღნიშნული კრებულის გადამწერად (ხელნაწერის თარიღი—მე-18 საუკუნის პირველი ნახევარი ექვს არ იწვევს)². სხვათა შორის, გერმანეს თ. ჟორდანიამ მიიჩნევდა ვახტანგ ლევანის ძის მომბრედ და ახლობლად, მას მიაკუთვნებდა მათეს სახარების თარგმანების მინაწერს: „ქკს უ (= 1712), აპრილს კბ (= 22) მეფე ვახტანგ წაბძანდა ისპაანს ყაენთან. ვნახოთ, ღმერთი რა მოწყალებას მოუვლენს საქართველოს“³. ეს მინაწერი აქვს იმ ნუსხას, რომელიც გერმანე მღვდელ-მონაზონის დავალებით ახალციხელმა მღვდელმა იოანემ იყიდა ვარძიაში. გერმანემ მოპოვებული ნუსხა შეაკვრევინა და გააცხოველებინა (A № 365). ამრიგად, თუნდაც რომ არ დადასტურდეს მოსაზრება გერმანეს მიერ „ქართლის ცხოვრების“ გადაწერის შესახებ, მაინც შეგვიძლია დავასკვნათ, რომ გერმანე მღვდელ-მონაზონი მწიგნობრობის მოყვარული პირი ყოფილა და ერთგვარი წვლილიც შეუტანია ძველი ქართული ხელნაწერების დაცვა-გაცხოველებაში.

თ. ჟორდანიასავე დაკვირვებით, ზემოხსენებული გერმანე დოდოს მონასტერში მოღვაწეობდა და იქაურ ხელნაწერთა ანდერძებშიც იხსენიება (A №№ 140, 174, 191) 1740—1755 წლებში⁴.

ანტონ კათოლიკოსის ცნობით, გერმანე ხუცეს-მონაზონი გამოჩენილი მკადაგებელი და შესანიშნავი მგალობელი იყო, მისი ქადაგება იყო „მსმენთად სასიამოვნო“⁵. ამასვე ადასტურებს იოანე ბატონიშვილიც („ესე იყო ჩინებული მგალობელი ქართულთა ხმათა ზედა და ახალთა ხმებთა და კილოთა დამთხზველი“)⁶. აკად. კ. ქეკელიძეც გერმანეს თავისი დროის გამოჩენილ მკადაგებლად მიიჩნევს. მისი აზრით, გერმანე 1748 წელს გარდაიცვალა⁷. საფიქრებელია, პატივცემული მეცნიერი აქ ეყრდნობა პ. იოსელიანს, რომელსაც „წყობილსიტყვაობის“ შენიშვნებში ანალოგიური ცნობა აქვს მოცემული⁸. წყაროს არც ეს მკვლევარი ასახელებს, ხოლო თ. ჟორდანიას დაკვირვებით, გერმანე 1748 წლის შემდეგ ხანაშიც ცოცხალი ჩანს⁹. სამწუხაროდ, გერმანეს ლიტერატურულ საქმიანობაზე ჩვენ გარკვევით ვერას ვიტყვი.

¹ ქრონიკები, I, გვ. VI—VII.

² Опис. рукописей (S), II, გვ. 21—26; კ. გ რ ი გ ლ ი ა, ნარკვევები, I, გვ. 172. შდრ. ქართლის ცხოვრება, I, გვ. 014, 2.

³ ქრონიკები, I, გვ. VII. შდრ. ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, არქ. მოგზაურობანი და შენიშვნანი, I, გვ. 245.

⁴ ქრონიკები, I, გვ. VII. Опис. рукописей (A), I, გვ. 146, 184, 215. იხ. აგრეთვე გვ. 267.

⁵ წყობილსიტყვაობა, გვ. 279.

⁶ კალმასობა, II, გვ. 182.

⁷ კ. ქ ე კ ე ლ ი ძ ე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, გვ. 341, 557.

⁸ წყობილსიტყვაობა, გვ. 279, შენ. 156.

⁹ მხოლოდ ჯერ კიდევ გასარკვევია ხელნაწერთა ანდერძებში მოხსენიებული „ცოდვილი გერმანე“ (A № 140), „ხუცეს-მონაზონი გერმანე“ (A № 174) და „წინამძღვარი გერმანე“ (A № 175).

ერთ ხანს გარეჯაში, ნათლისმცემლის მონასტერში, მოღვაწეობდა ცნობილი ქართველი მღვდელმთავარი რომანოზ გიორგის ძე ერისთავი. ის ჯერ კიდევ მე-18 საუკუნის პირველ მეოთხედში ყოფილა იქაური ბინადარი. დავით გარეჯელის ცხოვრების ერთ-ერთი ხელნაწერის ანდერძში (1737 წ.) რომანოზი პირდაპირი ხასიათის ცნობასაც გვაწვდის: „წმიდაო ღმერთშემოსილო დავით გარესჯელო... მრავალ წელ ვიყოფოდი უდაბნოსა და თვთ საფლავსა ზედა შენსა მონასტრისა“¹. ჩვენთვის ცნობილია რომანოზის მიერ ამ პერიოდში ნათლისმცემლის მონასტერში დამზადებული ხელნაწერიც (A № 914). როგორც ცნობილია, შემდეგში რომანოზი კარგა ხანს რუსეთში ცხოვრობდა. 1748 წელს მან რუსეთის ეკლესიის მესვეურებსა და ხელისუფლების წარმომადგენლებს სამშობლოში გამოშვება სთხოვა. მისი განცხადებით, მას სურდა ეცხოვრა გარეჯაში, სადაც ბერად შემდგარა. მართალია, პირველ თხოვნაზე რომანოზს უარი უთხრეს, მაგრამ განმეორებითი თხოვნა (1749 წ.) საგარეო საქმეთა კოლეგიამ დააკმაყოფილა² და რომანოზი მართლაც დაუბრუნდა გარეჯას. იქ ის განაგრძობს მოღვაწეობას ლიტერატურულ ასპარეზზე, ამზადებს ახალ ნუსხებს და ა. შ. ამ პერიოდში შესწირა მან იქაურ წიგნსაცავს სადღესასწაულო (A № 152), იოანე სინელის კლემაქსი (A № 149), გარდამოცემა სარწმუნოებისა იოანე დამასკელისა (A № 1346), ასკეტიკონი, ლავსაიკონი და სხვა თხზულებანი (A № 154). მისი შრომის („წინწილა ლადებისა“) ერთი ნუსხის მინაწერთ (A № 150, 1 r) რომანოზი ასვენია ლავრაში, წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში³.

გარეჯის მონასტერში მცირე ხანს გამოჩენილი ქართველი მწერალი და მოგზაური ტიმოთე გაბაშვილიც ცხოვრობდა. საფიქრებელია, ის 1724 წლამდე ბერად იყო შემდგარი ნათლისმცემლის მონასტერში, სადაც ბესარიონ ბარათაშვილ-ორბელიშვილის „გრდემლიც“ (A № 119) გადაუწერია. გვიან ხანაში ის კვლავ ეწვია გარეჯას. როგორც ცნობილია, „წმიდა“ ადგილების გაცნობისა და დათვალიერების შემდეგ ტიმოთე მთავარეპისკოპოსი სამშობლოში დაბრუნდა, მაგრამ მისი მოგზაურობის დიპლომატიური და პოლიტიკური შედეგებით უკმაყოფილო სამეფო კარმა და ანტონ კათოლიკოსის წინააღმდეგ ამხედრებულმა ეკლესიამ იგი არ შეიწყნარა, ეპარქია არ დაუბრუნა და გარიყა. როგორც ირკვევა, ეპარქიამიხდომმა მღვდელმთავარმა ამ დროს გარეჯას მიაშურა. ამ საკითხზე ჩვენ მოგვეპოვება პ. იოსელიანის ცნობა: „შემდგომად პალესტინისა და საბერძნეთისა მოხილვსა, უკუმოიქცა

მანე“ (A № 191) არის თუ არა ერთი და იგივე პიროვნება(?). ამასთანავე საგულისხმოა, რომ ქ. შარაშიძე „ვარძიის კრებულის“ (A № 365) ანდერძს მიაკუთვნებს ვახტანგის სტამბის ცნობილ მუშაკს გერმანე მღვდელ-მონაზონს (იხ. მისი პირველი სტამბა საქართველოში, გვ. 139—142). გარეჯელი მწიგნობარი, მკადაგებელი გერმანე და სტამბის მუშაკი გერმანე, რასაკვირველია, ერთი და იგივე პიროვნება არაა. პირველი ბოლომდე საქართველოში ჩანს, ხოლო მეორე რუსეთში წაყვავა ვახტანგს და იქ განაგრძო სასტამბო-საგამომცემლო მუშაობა.

¹ საქ. სსრ ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივის ქართულ ხელნაწერთა კოლექციის აღწერილობა, 1, გვ. 219.

² Описание документов и дел, хранящихся в архиве св. Синода, XX, СПб., 1908, სვ. 522—523.

³ ზოგიერთი ცნობით, ის ასტრახანშია დაკრძალული (П. Иоселиани, Описание древностей г. Тифлиса, გვ. 124, შენ. შტრ. А. Хавханов, Очерки, III, გვ. 151).

ქართლადვე 1757 წელსა და დაშენილმან უეპარხიოდ აღირჩია სადგურად დავით-გარესჯისა უდაბნო და იწოდებოდა, ანუ უწოდებდა თვთ თავსა თვსსა, იერუსალიმელად.

როოდენტა წელთა დაჰყო აქა, არა ჰსჩანს, მხოლოდ დღესცა არს მას მონასტერსა საფლავისა მისისა ქუა, თვთ მისგანვე განმზადებული. და დღესცა ძმათა ამა უდაბნოჲსა უწყიან მტკიცედ, რომელ მთავარეპისკოპოსი ტიმოთე, რომელმანცა შეიმზადა თვსდა ქუა საფლავისა, არა არს მუნ დასაფლავებული¹.

ტ. გაბაშვილი გარეჯაში დიდხანს არ დარჩენილა, მას მალე რუსეთში ეხედავთ.

მე-18 საუკუნის 70-იან წლებში ნათლისმცემლის მონასტერში მოღვაწეობდა ცნობილი ქართველი მწიგნობარი ამბროსი მიქაძე, რომელიც ჩვენ უკვე რამდენჯერმე მოვიხსენიეთ. მან აღნიშნულ სავეანეში 1776 წელს გადაწერა „ითიკა“ (H № 1283, 36 r — 40 r) და „დაუჯდომელი ჯუარისა“ (H № 1283, 224 r — 225 r). უკანასკნელი თხზულება ამბროსიმ გადაწერა საბა ნინოწმიდლის დავალებით². 1776—1777 წლებში დაუწერია მას ნათლისმცემლის მონასტრის საბუთებიც³.

ჩვენ ზემოთ უკვე გავიციანით მე-18 საუკუნის უკანასკნელი მეოთხედის გამოჩენილი საეკლესიო მოღვაწე, ნათლისმცემლის წინამძღვარი ექვთიმე. როგორც აღვნიშნეთ, ამ პირს იოანე ბატონიშვილი ასე ახასიათებს: „კაცი ფილოსოფოსი და ღვთისმეტყველი, სათნოებათა ზედა უცხო მოქადაგე“; მან შეასწავლაო „როოდენტამე მოწაფეთა ფილოსოფია და ღვთისმეტყველება“⁴. ხელნაწერებზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ ექვთიმე წინამძღვარს ლიტერატურულ ასპარეზზე მართლაც უცდია თავისი ძალა. მას დაუწერია ნინოს საგალობლები (H № 1283, 216 r — 223 r). ავტორის ცნობით, აღნიშნული ძეგლი მას დაუწერია საბა ნინოწმიდლის დავალებით: „ათორთა უდაბნოთა მაკურთხეველმან, ყოვლად სამღვდელმან, ნინოწმიდელ მიტროპოლიტმან საბა მიბრძანა მე ნათლისმცემლის მონასტრის არქიმანდრიტს უღირსს ევთიმის აღწერად მუქლედნი „გიხაროდენი“ საქართველოსა განმანათლებელისა, მოციქულთა სწორისა, დედისა ნინასი“ (H № 1283, 216 r)⁵.

ექვთიმეს ქადაგებები ჩვენთვის უცნობია, მათ ჩვენამდე არ მიულწევიან, მაგრამ იოანე ბატონიშვილის ცნობა ამ საკითხზე მკდარი არ უნდა იყოს. ამას გვაფიქრებინებს საბა ნინოწმიდლის საბუთი, რომელიც დაწერილია „სიტყვათა მქვერმთხველობითა ნათლისმცემლის უდაბნოს ყოვლად ღირსისა მამისა და არხიმანდრიტისა ევთიმისათა“⁶.

¹ ტ. გაბაშვილი, მოხილუა, გვ. 6. შდრ. მისივე, მიმოსლვა, გვ. 078—079, 0120.

² იხ. აგრეთვე H № 1684 (1777 წ.)

³ ქართლ-კახეთის მონასტრების საბუთები, გვ. 131; ისტ. საბუთები, V, გვ. 89 — 90; ს. კაკაბაძე, წერილები და მასალები, საქართველოს ისტორიისათვის, I, გვ. 73—75.

⁴ კალმასობა, II, გვ. 197.

⁵ შდრ. შ. ჩიჯაძე, ერთი ისტორიულ-მხატვრული პერსონაჟის ნამდვილი სახელის საკითხისათვის, ი. გოგებაშვილის სახელობის თელავის სახ. პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, II, 1957, გვ. 314, შენ. 5.

⁶ ა. გულისაშვილი, საქართველოს ისტორიის მოყვარულთა საყვარდლებოც, „ივერია“, 1901, № 159.

როგორც ირკვევა, ექვთიმე წინამძღვარს ნათლისმცემელში შეუკრებია წიგნები. ის ზოგჯერ საერო პირებსაც კი აძლევდა მონასტრის ბიბლიოთეკით სარგებლობის შესაძლებლობას. ასეთი ვარაუდის საფუძველს გვაძლევს „ქართლის ცხოვრების“ ერთი საყურადღებო ხელნაწერის (A № 131) საცავ ფურცელზე მკრთალად შესრულებული კრიპტოგრამა, რომელიც ასე იკითხება: „ქ. ამაღლებულის მეფის გიორგის ძემან თეიმურაზ ვცნათხოვრე წიგნი ესე ქართველთ ცხოვრება მალალ ღირსის წინამძღვრის ეფთუიმისაგან ეამსა მას, რაემს ვიყავ ათწიღმეტისა წლისა“¹.

ამრიგად, ნათლისმცემლის მონასტრის კეთილდღეობისათვის თავდადებული მოღვაწე წინამძღვარი ქართული მწიგნობრობითაც საკმაოდ დაინტერესებული ყოფილა.

1780 წელს გარეჯას სწვევია ცნობილი ქართველი მწერალი-მოგზაური იონა გედევანიშვილი, რომელსაც ერაკლე მეორის მითითებით საეკლესიო კრებამ ეპარქია ჩამოართვა, მღვდელმსახურება აუკრძალა და საცხოვრებლად გარეჯა მიუჩინა (დაუდგრომელი მღვდელმთავარი გარეჯიდან მალე იმერეთს გაიქცა). მართალია, ჩვენ არ ვიცით რა ხასიათის მოღვაწეობას ეწეოდა ი. გედევანიშვილი გარეჯაში, მაგრამ, საფიქრებელია, განსწავლული მწიგნობარი არც იქ შეწყვეტდა თავის ლიტერატურულ საქმიანობას².

მე-18 საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში გარეჯაში ცხოვრობდა ცნობილი მწიგნობარი გაბრიელ მცირე. ბაგრატ ბატონიშვილის ცნობით, გაბრიელი იყო „ტფილისით მოქალაქეთაგანი“, „ხელოვნებით მკერვალი“, დატოვა თავისი ოჯახი, ახლობლები და ბერად შედგა ნათლისმცემლის მონასტერში³. თავისი ნიჭითა და განათლებით მან მალე მიიპყრო საზოგადოებრიობის უზრაღდება, სახელი გაითქვა როგორც განსწავლულმა კალმისოსტატმა. 1802 წელს „მრავალწყაროსა ხევსა შინა“ ლექებმა მიუსწრეს და მოკლეს (არქ. ხელნ. № 121)⁴.

გაბრიელი მრავალმხრივი მუშაკი ყოფილა, მას საკმაოდ დიდი წვლილი შეუტანია ქართული მწერლობის საგანძურში, დაუწერია ორიგინალური შრომები (მაგ., „მღვდელმთავრისა ლიტურდიისა განმარტებაჲ სახისმეტყუელე-ბითი, ვითარმედ ყოველსავე მღვდელმოქმედებასა მისსა საიდუმლოებითი

¹ ქ. გ რ ი გ ლ ი ა, ნარკვევები, I, გვ. 171. ზოგიერთ ხელნაწერში (S № 1147; A № 1119-ა; H № 5; K № 91) იონან დამასკელის მოკლე წინამძღვრის მთარგმნელად დასახელებულია ექვთიმე გრძელი. დღეს უკვე გარკვეულია, რომ მთარგმნელი უცილობლად ექვთიმე მთაწმიდელია, ხოლო ექვთიმე გრძელი ძველი კრებულის გადამწერი უნდა იყოს. ფიქრობენ, რომ ექვთიმე გრძელი ნათლისმცემლის მონასტრის წინამძღვარი ექვთიმე (კ. კ ე კ ლ ი ძ ე, ორი ექვთიმე ძველ ქართულ მწერლობაში, ეტიუდები, IV, გვ. 102—104). ამ მოსახრების შეწყნარება თითქოს შეუძლებელი არ უნდა იყოს, მაგრამ პ. იოსელიანის ცნობით, ექვთიმე წინამძღვარი ძალზე პატარა ყოფილა და ვბითეტი „გრძელი“ გაუგებარი რჩება (ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, გვ. 120, შენ. 32).

² კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I⁴, გვ. 385—386. გარეჯაში ყოფნა რამდენადმე აირუკლა იონა გედევანიშვილის „მიმოსულაში“ (გვ. 58, 88—89).

³ ნათლისმცემლის მონასტრის 1774 წლის ერთ საბუთში იხსენიება მღვდელ-მონაზონი მამა გაბრიელი“ (ქართლ-კახეთის მონასტრების საბუთები, გვ. 130). ეს, როგორც აღვნიშნეთ, შესაძლებელია, გ. საგინაშვილი იყოს. გაბრიელ მცირე 1785 წელსაც იეროდიაკონად იხსენიებს თავს (H № 2406).

⁴ შ ლ რ. პ. ი ო ს ე ლ ი ა ნ ი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, გვ. 43, შენ.

ძალი უპყრიეს¹). მასვე შეუდგენია „მაჩვენებელი“ და ბოლოსიტყვაობა ექვთიმე ათონელის მიერ თარგმნილი მეექვსე მსოფლიო კრების რეჯული-კანონისათვის (A № 229). სასულიერო-საეკლესიო საკითხების გასაგები, მარტივი ენით გადმოცემისა და პოპულარიზაციის მიზნით გაბრიელ მცირეს შეუდგენია რამდენიმე ასკეტიკურ-ჰომილეტიკური კრებული: „ღმრთივეშუენიერნი თხრობანი, სულისა ფრად სარგებელნი, რომელსა ეწოდების გვრგვნი“², „ღმრთივეგანათლებულნი თხრობანი, სულისა ნაყოფიერ მყოფელნი, რომელსა ეწოდების სამოთხის ყვაილი“³, „ღმრთივედიდებულთა წმიდათვს შესხმანი სულისა დამატკობელნი, რომელსა ეწოდების მანანა“⁴, „სამასეული“⁵, „კლიტე“⁶, „ღმრთივეშუენიერნი სწავლანი, რომელსა ეწოდების ოქროჲს წყაროჲ“⁷, „ღმრთივეშუენიერნი სწავლანი, რომელსა ეწოდების სუფეჲა“⁸. გარკვეულ ყურადღებას იმსახურებს მისი „ცხოვრება და მოქალაქობა ღირსისა და ნეტარისა მამისა ჩვენისა სქემოსან ონისიფორისი“⁹ და უკანასკნელ წლებში გამოვლენილი მემუარული ხასიათის თხრობა¹⁰.

გაბრიელ მცირე განსაკუთრებით ნაყოფიერად მუშაობდა ხელნაწერთა გამრავლებაზე. მისი გადაწერილია მრავალი ნუსხა (A №№ 224, 227, 229, 232, 233, 238, 240, 244, 770; S № 94; II № 2406; Q № 725 და სხვ.). რამდენიმე ხელნაწერი მას დაუმზადებია სტეფანე რუსთველისათვის.

თავის ორიგინალურსა თუ კომპილაციურ შრომებში გაბრიელ მცირე ავლენს დიდ განათლებას, ერუდიციასა და ფართო მომზადებას¹¹.

მე-18 საუკუნის უკანასკნელ წლებში ნათლისმცემლის მონასტრის ბერთა კრებულს შემატებია ერეკლე მეორის კარის არქიმანდრიტყოფილი მღვდელ მონაზონი გერონტი სოლოლაშვილი. ერთი ცნობით, მეფის კარის მოძღვარე გერონტი გარეჯას დაძვეიდრდა 1796 წლის 24 აპრილს (A № 1394, 43 r)

¹ A № 228; Q №№ 330, 654, 718, 828.

² A №№ 228, 341, 427, 537, 723, 1052, 1185, 1492; II №№ 186, 221, 409, 607, 608, 667, 902, 1242, 2275; S №№ 1380, 2331; Q №№ 171, 330, 332, 335, 567, 654, 718, 724, 769; K №№ 117, 190, 191; არქ. ხელნ. №№ 121, 658 და სხვ. გამოქვეყნდა 1892—1894 წწ (ქართული წიგნი, I, გვ. 190, 199, 204). ვ. ბ ა რ ს ო ვ ი, გვირგვინი, „ნწყმსი“, 1884, № 12 გვ. 13—14; № 13, გვ. 14—15.

³ A №№ 244, 588, 852, 854, 1693; S № 128; H №№ 892, 1043; Q № 46; K № 19C გამოქვეყნდა 1895 წელს (ქართული წიგნი, I, გვ. 212).

⁴ A №№ 403, 522, 1310, 1441, 1510; H №№ 251, 833, 1247, 1417, 1748, 1764, 308; Q №№ 269, 753; S №№ 2330, 3643; არქ. ხელნ. №№ 430, 447. დაიბეჭდა 1904 წელს (ქართული წიგნი, I, გვ. 276).

⁵ A № 224; H № 1248; S № 77.

⁶ A № 227; S № 127; H № 2113.

⁷ H №№ 211, 257, 860, 902, 1074, 2351; S №№ 2436, 2600, 3650; K № 11' Q № 330, 654, 743, 864. დაიბეჭდა 1905 წელს.

⁸ A №№ 22, 232; S №№ 54, 120; H № 906.

⁹ H № 436, 17v—36r.

¹⁰ G. Peradze, Georgian Manuscripts in England, Georgica, I, № 1, 1935, გ. 66; D. Lang, Georgian Studies in Oxford. OSP, VI, 1955, გვ. 140. შდრ. დ. ლ ა ი გ ი, ქართველოლოგიური კვლევა-ძიება ოქსფორდში, „ცისკარი“, 1957, № 4, გვ. 151 (ნაწყვეტები პროფ. გ. ფერაძეს ჯერ კიდევ 1934 წელს გამოუქვეყნებია). იხ. აგრეთვე ს. თ უ რ ნ ა ვ ახალი მასალები დავით გარეჯაზე, „კომუნისტი“, 3. VII, 58, № 150 (11154).

¹¹ კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I⁴, გვ. 398—403.

მაგრამ, სხვა ცნობით, გერონტი სოლოლაშვილი 1788 წელსაც ნათლისმცემლის მოღვაწედ ჩანს¹.

გ. სოლოლაშვილი არა მხოლოდ ნაყოფიერი კალიგრაფი², არამედ მწერალიც ყოფილა. ცნობილია მისი იამბიკოები (H № 296; A № 1046). განსაკუთრებით აღსანიშნავია 1801 წელს დაწერილი თხზულება — „ნაცვალსიტყვაობა“ („წარმოთქმა მართლისა სარწმუნოებისა, ესე იგი ღმრთისმეტყველებისათა და განგებულებითა, ხოლო პირველად არსებისა და ბუნებისათვის, პირისა და გვამისათვის, კითხვა-მიგებით განკარგულნი, რომელსა ეზედწოდების ნაცვალსიტყვაობა“)³, რომელსაც უძღვის ავტორის წინასიტყვაობა — მიმართვა ნინოწმიდელი მიტროპოლიტისა და ექვთიმე არქიმანდრიტისადმი. აღნიშნული ნაწარმოები ავტორს, მისივე განცხადებით, დაუწერია ქართველთა განათლების საქმეში მციროდენი წვლილის შეტანის მიზნით⁴.

გარეჯის მრავალმთას მცირე ხნით სწვევია გამოჩენილი ქართველი მწიგნობარი იონა ხელაშვილი. გიორგი მეთორმეტის გარდაცვალების შემდეგ ის ჯერ ლავრაში მივიდა, მაგრამ თომა წინამძღვარმა არ მიიღო, გვიქირს, ჩვენი სამყოფი პური არ გაგვაჩნიაო. იონამ ნათლისმცემლის მონასტრის წინამძღვარს, ექვთიმესაც მიმართა, მაგრამ თავშესაფარი ვერ მიიღო და იძულებული გახდა შიომღვიმეს გადასულიყო⁵.

აკად. გ. ჩუბინაშვილის დაკვირვებით ნათლისმცემლის მონასტერში ცნობილი მწერალი გიორგი ავალიშვილიც მოღვაწეობდა⁶.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის გარეჯელ მწიგნობართაგან ცნობილია სპირიდონ გძელიევი, რომლის სახელითაა მოღწეული ერთი აგიოგრაფიული თხზულება: „ცხოვრება და მოღვაწეობა სანატრელისა მამისა ქრისტესისა მონაზონისა, შემდგომ ქრისტეფორედ წოდებულისა, რომელიცა ჰსცხოვრებდა უდაბნოსა შინა მრავალმთისა იოანე ნათლისმცემლისასა, გარეჰსჯას წოდებულსა, თავსა ყარაიასსა“⁷. ქრისტეფორე (—ჯიქაძე) 1871 წელს გარდაცვლილა. მისი ცხოვრება ს. გძელიევს აღუწერია 1880 წელს.

ამრიგად, კულტურულ-შემოქმედებითი მუშაობა გარეჯაში გრძელდებოდა თითქმის მე-19 საუკუნის უკანასკნელ წლებამდე.

გარეჯელ მწიგნობართა რიცხვი, რასაკვირველია, ზემოდასახელებული პირებით არ ამოიწურება⁸. ჩვენამდე მოღწეული მასალებიდან ცხადი ხდება, რომ გარეჯის მონასტერში დასაღვურებული ქართველი მოღვაწეებიდან ბევრი ზრუნავდა ძველი ნუსხების დაცვა-გამრავლებაზე. არა ერთ ქართველ მოღვა-

¹ A № 1355, 193 v; Q № 593, 115 r; არქ. ხელნ. № 249, 363 r.

² A №№ 183—185, 230, 408, 1083, 1355, 1359; S №№ 58, 1734, 4932; Q №№ 593, 597; არქ. ხელნ. №№ 248, 249 და სხვ.

³ A № 1046; S №№ 349, 1521; H № 296.

⁴ ერთი ხელნაწერის ცნობით, გერონტი 1757 წ. დაბადებულა (არქ. ხელნ. № 249). პ. კარბელაშვილის ახრით, ის 1813 წელს გარდაიცვალა (ქართული საერო და სასულიერო კილოები, გვ. 80).

⁵ S № 288, გვ. 44—45; ი. ხელაშვილი, რომანი. გვ. 96. შტრ. ვ. დონდუა, კალმასობა როგორც ყოუთხოვრებითი მოვლენა ძველ საქართველოში, გვ. 26.

⁶ Г. Чубинашвили, Пещерные монастыри Давида-Гареджаи, გვ. 113—114, ტაბ. 36.

⁷ A №№ 1036, 1072; H № 40. იხ. ზემოთ გვ. 297, შენ. 7.

⁸ გარეჯის ლიტერატურულ კრასთან დაკავშირებული არიან აგრეთვე ნ. მაღალაშვილი, კვაპრიანე სამთაველი და სხვა მოღვაწენი.

წეს გადაუწერია ნუსხები ლაერაში, ნათლისმცემლის მონასტერსა და დოდორკაში. სხვადასხვა დროს იქ ახალი ხელნაწერები დაუმზადებიათ არქივისკოპოს ევდემონს (A № 520), მღვდელ-მონაზონ ნიკოლოზ ჯორჯაძეს (A №№ 166, 398), მონაზონ მიხეილს (A № 415; S № 367), დიმიტრი ალექსიძეს (S № 1156), ბესიკის ძმას—იოანე გაბაშვილს¹, მღვდელ-მონაზონ გაიოზს (H №№ 256, 259, 891, 1012, 2281), ცნობილ ქართველ მწიგნობარს დავით რექტორს (A № 1304), იოსებ უთრუთისშვილს (A № 1318), მაკარი ბერს (A №№ 200, 1296, 1394, 1403-ა), ნეოფიტე ბერს (A № 1052), ალათონს (H № 1751), მღვდელ-მონაზონ იოსტოს ანდრონიკაშვილს², დიმიტრი დიაკონს (Q № 20; S № 1508), ნიკოლოზ ვაჩნაძეს (H №№ 805, 1247, 1248, 1398; A №№ 172, 403; Q №№ 269, 300; არქ. ხელნ. № 458), დავით ჯანდიერს (S № 179), გრიგოლ ვაჩნაძეს (A № 1561; არქ. ხელნ. № 402), თეოფილე ხუცეს-მონაზონს (A № 436), დანიელ მწირ-მონაზონს (A № 1392), სოფრონიოს ერისთავის შვილს³, თეოდოსი მღვდელ-მონაზონს (H № 1370) და ა. შ. აღნიშნული პირები XVII—XIX საუკუნეებში ამზადებდნენ ახალ ნუსხებს და ამით ხელს უწყობდნენ ძველი ტექსტების გავრცელებასა და გადარჩენას. საგულისხმოა, რომ გარეჯის მონასტრების მოღვაწეებს მე-19 საუკუნის მეორე ნახევარშიც არ შეუწყვეტიათ ზრუნვა ხელნაწერთა გამრავლებაზე. ხელნაწერებზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ გარეჯელი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდნენ იქ შეთხზულ ძველთა გავრცელებას და სპეციალურად ამრავლებდნენ ასეთ ნაწარმოებთა ნუსხებს. მაგალითად, ბესარიონ ბარათაშვილ-ორბელიშვილის „გრდემლი“ გარეჯაში გადაწერეს ტიმოთე გაბაშვილმა (A № 119) და რომანოზმა (A № 1395), გაბრიელ მცირის „გვირგვინი“—ნეოფიტემ (A № 1052), „ოქროს წყარო“—დიმიტრი მღვდელ-მონაზონმა (H № 1074), „სამასეული“—ნ. ვაჩნაძემ (H № 1248), გერონტი სოლოლაშვილის „ნაცვალსიტყვაობა“—ნიკოლოზ ბერმა (H № 296) და ა. შ.

გარეჯის მონასტრების მწიგნობრები ისე გაწაფულნი იყვნენ ხელნაწერთა გამრავლება-დამზადებაში, რომ სხვა მოღვაწეებსა და სავანეებსაც კი ეხმარებოდნენ. ასე, მაგალითად, ბესარიონ ბარათაშვილ-ორბელიშვილმა მაქსიმე ბოლნელს უძღვნა წამისწირვა (A № 198); გაბრიელ მცირეს მთელი რიგი ხელნაწერებისა დაუმზადებია სტეფანე რუსთველისათვის (A №№ 229, 232...); ნიკოლოზ ვაჩნაძემ გადაწერა და შუამთის მონასტერს შესწირა „მანანა“ და სხვა თხზულებანი (A № 403).

¹ ი. გაბაშვილს ნათლისმცემლის მონასტერში ყოფნისას დავით ბოდბელის დაკვეთით 1778 წელს გადაუწერია დოგმატიკური შინაარსის კრებული (A № 267). იქვე საბა ნინოწმიდლის დავალებით 1779 წელს დაუმზადებია კიდევ ერთი ნუსხა (არქ. ხელნ. № 259).

² ი. ანდრონიკაშვილი წერდა ახალ ნუსხებსა (S №№ 42, 77; H №№ 1657, 1749; A №№ 1336, 1388, 1396 და სხვ.) და საბუთებსაც (საქ. სიძველენი, I, გვ. 327, 336). ცნობილია მისი ინიციატივით დამზადებული ხელნაწერებიც (S №№ 117, 158). კალმახობა, II, გვ. 201.

³ მას გადაუწერია H №№ 215, 221 და სხვ. ნუსხები. გარკვეულ ინტერესს იწვევს მის მიერ გადაწერილი ნინოს ცხოვრება (H № 215, 6r—61r), რომელიც ახალი რედაქციის ჩამოყალიბების ცდას წარმოადგენს (ქ. ცხა და ძვე. უცნობი ავტორის „ნინოს ცხოვრება“, საიუბილეო კრებული, მიძღვნილი აკად. კ. კეკელიძის დაბადების 80 წლისთავისადმი, გვ. 393—394).

გარეჯის, — როგორც დიდი კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრის, — ზრდა-განვითარებას ხელს უწყობდა ის გარემოება, რომ იქაურ მონასტრებს საკმაოდ მოზრდილი ბიბლიოთეკები ჰქონდათ. როგორც აღვნიშნეთ დიდი ღვაწლი მიუძღვის ლავრის ბიბლიოთეკის დაარსება-გამდიდრებაში ონოფრე მაკუტაძეს. მის წინამძღვრობაში გარეჯის ბერებს ჰქონდათ მრავალი ათეული ხელნაწერი (სახარება, სამოციქულო, გულანი, მეტაფრასი, კლემაქსი, მამათა ცხოვრება, ბალავარიანი, პარაკლიტონი, კურთხევანი. დავითნი, სადღესასწაულო, სვინაქსარი და სხვ.). იქვე იყო სტამბაში დაბეჭდილი წიგნებიც (სახარება, სამოციქულო)¹. განსწავლული წინამძღვარი წინასწარდასახული მიზნით კრებდა წიგნებს. მას სურდა გარეჯელ მოღვაწეებს არა მარტო ადგილზე ეკითხათ წიგნები, არამედ რაიმე საქმის გამო მონასტრიდან გასვლის დროსაც კი თან ჰქონოდათ საკითხავი მასალა. „ეს ამდონი წიგნები ამისთვის დავაწყევ აქა, რომ ან წინამძღვარი და ან მისის კრებულისაგან ვინმე რომ სოფლად წავიდენ სადმე მონასტრის საშსახურზე, თვითო ჰელი წიგნები თან იდევნონ; მონასტერში ხომ წიგნები არა აკლია-რა“² — შენიშნადა ღვაწლმოსილი წინამძღვარი.

გარეჯის მონასტრების წიგნადი ფონდი დღითი დღე იზრდებოდა ხელნაწერთა შეწირულებით. ჩვენთვის ცნობილია არა ერთი ფაქტი გარეჯის მონასტრებისათვის ხელნაწერების შეწირვისა. მაგალითად, გიორგი აბაშიძემ ლავრას შესწირა გულანი (A № 186), ხოლო მისმა სიძემ — გიორგი დადიანმა გულანი შესწირა დოდოს მონასტერს³. გარეჯის მონასტრებისათვის ხელნაწერები შეუწირავთ იოსტოს ანდრონიკაშვილს (A №№ 1336, 1338), ოთარ ამილახორს (A № 143), რომანოზ ერისთავს (A №№ 149, 152, 154, 1346), ბესარიონ ბარათაშვილ-ორბელიშვილს (A № 105), ნიკოლოზ ჯორჯაძეს (A № 166), იოანე ბოდბელს-ჯორჯაძეს (A № 1399) და ა. შ.

ქართველი მოღვაწენი ყურადღებას აქცევდნენ მონასტრების ბიბლიოთეკების მდგომარეობას და საჭიროების შემთხვევაში უშურველად ეხმარებოდნენ მათ. მონასტრების დარბევისა და ბიბლიოთეკების განადგურების შემდეგ პერიოდში ქართველი მწიგნობრები კიდევ უფრო მეტად ეხმარებოდნენ ქართულ სავანეებს. ამ მხრივ საინტერესოა ის სიტყვები, რომლებიც ნიკოლოზ ორბელიანმა მის მიერ დოდორქისათვის შეწირულ ხელნაწერს წააწერა 1705 წელს: „შემოვწირე ესე შესაწირავი წეს დოდოს, რლ ვიხილე. ვინათგან ეამთა ვითარებისაგან მონასტერი თქვენნი მოხრებულ იყვნეს და ყლნი წიგნნი რათაჲა მიზეზითა უჩინო კმნილიყვნეს... შემოვწირეთ ესე მეტაფრასი“ (A № 140, გვ. 164)⁴.

საკმაოდ დიდი ბიბლიოთეკა იყო ლავრაში ქრისტეფორე ქარუმიძის წინამძღვრობაშიც. ერთ დოკუმენტში (1764 წლის ახლო დროისა) მოხსენიებულია ოთხმოცზე მეტი წიგნი იქაური ბიბლიოთეკისა (სახარება, პარაკ-

¹ ქართლ-კახეთის მონასტრების საბუთები, გვ. 57—60, 62—63.

² იქვე. გვ. 63.

³ ისტ. დოკუმენტები, I, გვ. 152—154.

⁴ Опис. рукописей (A), I, გვ. 148.

ლიტონი, ხატიკი, კონდაკი, ეამნი, მამათა ცხოვრება, ხრონოგრაფი, გრდემლი...)¹. მრავლად ჰქონდა ხელნაწერები იოანე ბოლბეღსაყ².

მე-19 საუკუნეში გარეჯის მონასტრებში ბევრი ქართული ხელნაწერი აღმოჩნდა. იქ ძველ ქართულ ხელნაწერთა დიდი კოლექცია ნახეს ტ. მესხი-შვილმა, პ. კარბელაშვილმა, მ. ხელაშვილმა და ა. ხახანაშვილმა³. გარეჯაში ქართული ხელნაწერების აღმოჩენამ ალაფრთოვანა დიდი ქართველი მწერალი ილია ჭავჭავაძე, რომელიც „ივერიის“ შეთურში წერდა: „დავით-გარესჯის მონასტერში ასხედ შეტი წიგნი აღმოჩენილა და მათ შორის ზოგი იმისთანაა თავისი სიძველით, რომ ფასდაუდებელია“⁴.

გარეჯის მონასტრების ბიბლიოთეკებიდან მოღწეული ბევრი ხელნაწერი ახლა ჩვენი სიძველეთსაცავების მშვენებას წარმოადგენს და ნათლად წარმოაჩინეს იმ დიდ კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობას, რომელსაც საუკუნეთა მანძილზე ეწეოდნენ ქართველი მწიგნობრები⁵.

ამრიგად, გარეჯაში საკმაოდ მძლავრად ჩქეფდა ლიტერატურული ცხოვრება. გარეჯელი მწიგნობრები თხზავდნენ ახალ, ორიგინალურ ძეგლებს, ამრავლებდნენ ძველ ქართულ ხელნაწერებს, ამზადებდნენ ახალ ნუსხებს და ეწეოდნენ წერილობითი ძეგლების პოპულარიზაციას, ადგენდნენ ორიგინალური აგოგრაფიული ძეგლებისა და ასკეტიკურ-ჰომილეტიკურ თხზულებათა კრებულებს, ეხმარებოდნენ სხვა ქართულ კულტურულ-საგანმანათლებლო კერებს და ა. შ. აღნიშნული გარემოების გამო გარეჯის ლიტერატურულ კერას ქართული კულტურის ისტორიაში ფრიად მნიშვნელოვანი ადგილი ენიჭება⁶.

¹ ქართლ-კახეთის მონასტრების საბუთები, გვ. 113—114.

² იქვე, გვ. 172—173. იხ. აგრეთვე Ad №№ 144, 317, 416.

³ ტ. მესხი-შვილი, უდაბნო ღირსისა მამისა ჩუშნისა დავით გარესჯელისა, „საქართველოს სასულიერო მახარებელი“, 1864, VIII, გვ. 39; მისივე უდაბნო წმიდისა წინამორბედისა იოანე ნათლისმცემლისა, იქვე, IX, გვ. 73—74; პ. კარბელაშვილი, კატალოგი დავით გარესჯის უდაბნოს ძველის ხელნაწერის წიგნებისა, შედგენილი 4 თებერვალს, 1886 წელს, „ივერია“, 1886, № 159; მ. ხელაშვილი, ნათლისმცემლის უდაბნო კახეთში, „ივერია“, 1886, № 207 (შდრ. „ღრობა“, 1879, № 48); А. Хахадон. Экспедиции на Кахетию, МАК, VII, 1898, გვ. 41—42.

⁴ ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, IV, გვ. 188.

⁵ გარეჯის მონასტრებიდანაა А №№ 96, 100, 104, 105, 111, 112, 119, 121, 124, 130, 137, 140, 143, 149, 152, 154, 156, 160, 165, 166, 171, 172, 174, 177, 183, 186, 191, 196, 200, 224, 227, 229, 232, 233, 238, 256, 267, 398, 404, 415, 418, 430, 515, 520, 624, 647, 741, 770, 1046, 1157, 1158, 1304, 1318, 1336, 1339, 1340, 1346, 1348, 1355, 1358, 1359, 1361, 1363, 1368, 1383, 1392, 1399, 1402, 1403-გ, 1561; S №№ 55, 94, 126, 179, 364, 367, 3269; H №№ 215, 221, 256, 259, 296, 306-ბ, 805, 891, 902, 1012, 1030, 1074, 1247, 1248, 1323, 1347, 1350—1358, 1370, 1557, 1751, 2128, 3233; Q №№ 20, 85, 86, 224, 269, 330, 430, 725; K № 194; არქ. ხელნ. №№ 217, 248, 249, 257, 402, 459 და შრავალი სხვა ნუსხა. გ. ფერაძეს ენაში უნახავს ნიკოლოზ ნიკრაის შიერ 1160 წელს გარეჯაში გადაწერილი მოხრდილი კრებული (იხ. მისი Über die georgischen Handschriften in Österreich, WZKM, XLVII, № 3—4, 1940, გვ. 226—230).

⁶ აღნიშნულ საკითხზე ჩვენ მოხსენება წავიკითხეთ 1957 წლის 10 აპრილს (ლ. მე-ნახდე, ქართული კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრების ისტორიიდან (გარეჯის ლიტერატურული სკოლა), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო სესიის მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, თბ., 1957, გვ. 5, 30—31). შემდეგში ამავე საკითხს შეხებია ი. ლოლაშვილიც. რომელსაც წაუკითხავს მოხსენება: „დავით გარეჯის ლიტერატურული სკოლა და გაბრიელ მცირის უცნობი მემუარული თხრობანი“ („კომუნისტი“, 3. VII, 58. № 150 (11154)).

ყვარლის ახლოს, კავკასიონის ქედის ფერდობზე, შთის შუა წელზე დღემდე შენახულია ერთ-ერთი უძველესი ქართული არქიტექტურული ანსამბლი — ნეკრესის ტაძარი. ალაზანგალმა მხარის ეს უდიდესი ძეგლი თავისი არსებობის მრავალ საუკუნეს ითვლის და დღესაც აოცებს მნახველს შესანიშნავი ადგილმდებარეობით, დიდებული ნაგებობით, ქართველ ხუროთმოძღვართა და მხატვართა ბრწყინვალე ნამუშევრით. იქ ახლაც შემორჩენილია რამდენიმე ეკლესია, სალოცავი, აგრეთვე ძველ შენობათა გრძელი კომპლექსი ეპისკოპოსის დარბაზით, სენაკებითა და სათავსოებით. დაცულია ძველი საოსტიგნის ნაშთიც. დიდი ორსართულიანი შენობა ქართული საერო ხუროთმოძღვრების საყურადღებო ნიმუშს წარმოადგენს. დღეს ყველაფერი ეს, მეტწილად, ნანგრევების სახითაა მოღწეული. აქა-იქ კიდეც შეინიშნება ძველი დიდებული მხატვრობის ნაშთი. რამდენადმე ქარგადაა შენახული მე-4 საუკუნის პატარა ბაზილიკა უკანასკნელ ხანს ნეკრესში ჩატარდა მცირე სამუშაო, რომლის მიზანს ძველი ძეგლების გამაგრება და შემდგომი ნგრევისაგან გადარჩენა წარმოადგენდა. ახლახან აღადგინეს საურმე გზაც, რომელიც მრავალწლოვანი მუხების, რცხილებისა და ნეკერჩხლებს შორის მიიმართება მალამალა, მე-4—9 სს. ძეგლებისაკენ.

ძველი წყაროებით, ნეკრესი ქალაქს წარმოადგენდა. ლეონტი მროველის ცნობით, ფარნაჯომ მეფემ „იწყო შენებად კახეთს ქალაქსა ნელქარისსა, რომელ არს ნეკრესი“¹. ფარნაჯომი, ვახუშტის ქრონოლოგიით, მეფობდა 112—93 წლებში, ე. ი. ძველი ქართული ისტორიოგრაფიით ქალაქ ნეკრესს საფუძველი ჩაეყარა ჯერ კიდევ ქრისტიანობის წინარე ხანაში. „ქართლის ცხოვრებაში“ ქალაქი ნეკრესი შემდეგშიც იხსენიება. ძველი წელთაღრიცხვის უკანასკნელ საუკუნეში (—ვახუშტის ქრონოლოგიით) ის გაუშენებია მეფე არშაკ მირვანის ძეს. „განაშუენა ნელქარ, ქალაქი კახეთისა, რომელ არს ნეკრესი“². მირიანის მეფობაში (IV ს. ახ. წ.) მისმა მამამძღუძემ „მირვანოზ კმატა ყოველთა სიმაგრეთა ქართლისათა და უმეტეს ყოველთასა მოამტიცნა ზღულენი ნეკრესისა ქალაქისანი“³.

აღმოსავლეთ საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების ახლო ხანაში ნეკრესში ეკლესია აუგიათ. „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ცნობით, თრდატ მეფემ „ნეკრესს კახეთისასა ეკლესიაჲ აღაშენა განსრულებით“⁴. ამას ლეონტი მროველიც ადასტურებს⁵. ვახუშტი დასძენს, რომ თრდატმა „აღაშენა ეკლესია დიდშენი, გუმბათიანი“⁶.

ამრიგად, ქართული წყაროებით ნეკრესში ეკლესია აუშენებიათ მე-4 საუკუნის მესამე მეოთხედში. შემდეგში მას ეპისკოპოსი განაგებდა. მე-6 სა-

¹ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 29.

² იქვე, გვ. 33.

³ იქვე, გვ. 65.

⁴ Опис. рукописей (S), II, გვ. 720.

⁵ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 137.

⁶ აღწერა, გვ. 99 (შდრ. Г. Чубяпашвили, Архитектура Кახетии, გვ. 7, შენ. 1).

უკუნის მეორე ნახევარში ნეკრესის მღვდელმთავრად ჩანს იოანე ზედაზნელის თანამოღვაწე აბიბოსი.¹

აბიბოს ნეკრესელის მოქალაქობისა და წამების წიგნი მოღწეულია ორი რედაქციით. პირველი („მოქალაქობა და წამება წმიდისა აბიბოს ნეკრესელ ბისკოპოსისაჲ“) მოღწეულია მხოლოდ ერთი დეფექტური ნუსხით (A № 832, 1 r — 2 v), დაბეჭდილია რამდენჯერმე². ნაკლული ადგილების შესავსებად გამომცემლები მეტაფრასული რედაქციის შემცველ ხელნაწერებს იყენებდნენ. მეტაფრასული რედაქცია („წმიდისა მღვდელ-მოწამისა აბიბოს ნეკრესელ ეპისკოპოსისა, რომელი იწამა ცეცხლის-მსახურთა მიერ ქართლს, თქუმული არსენი დიდისა ქართლისა კათალიკოსისაჲ“) მოღწეულია რამდენიმე ხელნაწერით (A №№: 130, 170, 176, 210; H №№: 286, 1672, 2077, 2121; K № 233), გამოცემულია სამჯერ³; გამოქვეყნებულია მისი რუსული პერიფრაზი⁴. აღნიშნული ძეგლები საკნაოდ საინტერესო ცნობებს გვაწვდიან აბიბოს ნეკრესელის შესახებ.

აბიბოსისა თუ სხვა ასურელ მოღვაწეთა ბიოგრაფების ცნობებით, აბიბოსი სირიიდან მოჰყვა იოანე ზედაზნელს და ერთ ხანს მასთან მოღვაწეობდა ზედაზნეზე, ხოლო შემდეგში ნეკრესის ეპარქია ჩაიბარა. მისი მღვდელმთავრობა ძალზე მძიმე პერიოდს დაემთხვა. აგიოგრაფის ცნობით, იმ დროს „დაეპყრა ქართლი მეფესა სპარსთასა და ივინი ჯელმწიფე იყვნეს ჩუნესა ამას სოფელსა, და ბილწსა მას კერპთ მსახურებასა, — ცეცხლისა მის თაყუანის-ცემასა და მსახურებასა, — აღასრულებდეს მარადის“. სპარსელი დამპყრობლები ყოველი ხერხით ცდილობდნენ მაზღვიანობის გავრცელებას, ქრისტიანთა შეცდენასა და გადაბირებას. მათ „ადგილნი მრავალნი განჰმზადნეს მათისა მის სამსახურებელისა ცეცხლისათჳს ქუეყანისა და მრავალთა შეიკთუნებდეს, დაუმტკიცებელთა სარწმუნოებასა, გონებითა ნაკლულევანთა“.⁵

აბიბოსმა მკაცრად გაილაშქრა მაზღვიანთა წინააღმდეგ, „დალწნა კერპნი და უღმრთოთა მათ არწმუნა ქრისტე და ნათელ-სცა მათ“. ქართველმა მღვდელმთავარმა სპარსელთა ღმერთი — ცეცხლიც შეურაცხყო, „დაასხა მცირედ წყალი ხენეში და დაშრიტა“ იგი. ამ მოქმედებამ აღაშფოთა დამპყრობლები. სპარსელებმა შეიპყრეს აბიბოსი, „ფრიად გუემეს, კინილა ვიდრემელა მოკლეს“, წამოიყვანეს ქართლისკენ, მიჰგვარეს მარზპანს „ზენა სოფლად, სოფელსა, რომელსა ჰრქვან რეტი“ (მარზპანის ადგილ-სამყოფელი რეხირება მდებარეობდა არა გორთან⁶, ან წალკასთან, სადაც გვიან ხანაში „აბი-

¹ Опис. рукописей (A), III, გვ. 25—28; არქტიპები, გვ. 42—46; ძველი ქართული ლიტერატურის კრესტომათია, I, გვ. 167—169; ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები, გვ. 188—195. ჩუენი საუნჯე, ტ. 1, გვ. 226—230.

² ქართული კრესტომატია ანუ გამოკრებილი ადგილები ჭართულთა წერილთაგან დ. ჩუბინოვის მიერ, I, სპზ., 1863, გვ. 14—19; საქ. სამოთხე, გვ. 23—216; ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები, გვ. 188—196 (იხ. აგრეთვე „საქართველოს სასულიერო მახარებელი“, 1865, XI, გვ. 97—101).

³ М. Сабклип, Полное жизнеописание, II, გვ. 49—55.

⁴ П. Иоселиани, Краткая история груз. церкви, გვ. 42; მ. ჯანაშვილი, საქართველოს საეკლესიო ისტორია, გვ. 45; პ. კარბელაშვილი, იერარქია საქართველოს ეკლესიისა, გვ. 35, შენ. 5; დ. ჯანაშვილი, ისტორიული სურათები. გორი, 1914, გვ. 24—25.

ბოს მონასტერიც¹ კი გაშენდა¹, არამედ შიდა ქართლში, რეხულას (ლეხუ-რას) ხეობაში — სამთავის-ქალას ხეობით². აბიბოსი არც მარზპანს შეუშინდა, არ დაგმო თავისი მოქმედება, რისთვისაც „ქვეთა განტუნეს, მოკლეს და განათ-რიეს გარეშე ქალაქსა“³. ჯუანშერისა და ვახუშტის ცნობებით, აბიბოსის გეგამი მცხეთას⁴ დაკრძალეს, სხვა წყაროებით — სამთავისს.

აბიბოს ნეკრესელის დამსახურება კახეთის მთიანეთის მოსახლეობის გაქრისტიანებაში იმდენად დიდი ყოფილა, რომ მისი აღნიშვნა საკიროდ მიუჩ-ნევიათ მე-11 საუკუნის მემარტიანეებს ლეონტი პროველსა და ჯუანშერს⁵.

მომდევნო საუკუნეებში ნეკრესის ეპარქია საკმაოდ ძლიერ ფეოდალურ ერთეულს წარმოადგენდა და ერთობ მნიშვნელოვან როლს ასრულებდა კახე-თის სამხედრო-პოლიტიკურსა თუ სასულიერო-საეკლესიო ცხოვრებაში⁶. ნეკ-რესელი მღვდელმთავარი სასპასპეტო დროშით უძღოდა ახლოს მოსახლე ქართველობას. ვახუშტის ხანაში ეპარქიას ძველი დიდება ჯერ კიდევ შერჩე-ნილი ჰქონდა. დიდი გეოგრაფი წერს: ნეკრესში „არს აწცა საეპისკოპოზო, და ზის ეპისკოპოზი, არამედ არღარა არს ქალაქი. ამასვე აქუს დროშა სასპასპეტო, და არიან სადროშონი მისნი გაღმა-მჭარნი ელისენით და მემარ-ჯვენე“⁷.

მე-18 საუკუნის 40-იანი წლებიდან ვიდრე ნეკრესის ეპარქიის გაუქმე-ბამდე (1811 წ.) იქ მოღვაწეობდნენ ცნობილი ქართველი მღვდელმთავრები იოანე ჯორჯაძე, დოსითეოს ჩერკეზიშვილი და ამბროსი მიქაძე. ისინი ენერ-

¹ Л. Мелнксет-Бек, Из материалов поездки на Цалку в 1924 году, ИКН-АН, IV, 1926, გვ. 131—135; მისივე, თრიალეთ-წალკის მატერიალური კულტურის ნაშთებისა და ტოპონიმების შესწავლისათვის, ცალკე ამონაბეჭდი, თბ., 1934, გვ. 36—37; მისივე, მეგალითური კულტურა საქართველოში, თბ., 1938, გვ. 42. შდრ. ს. ჯანაშია, აღმო-საველურ-ქართული სახელმწიფოს უძველესი კულტურულ-პოლიტიკური ცენტრების საკითხი-სათვის, შრომები, II, გვ. 294—295.

² М. Савиниш, Полное жизнеописание, II, გვ. 51, შენ. 2.

³ ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები, გვ. 80, 88, 169, 191, 193—194.

⁴ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 229; აღწერა, გვ. 99.

⁵ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 126, 229.

⁶ ნეკრესზე იხ. П. Иоселиани, Города, გვ. 57—58; მისივე, Путевые записки по Кахети, გვ. 110—118; Д. Бакрадзе, Кавказ в древних памятниках христианства, გვ. 96; რ. ძამსაშვილი, კორესპონდენცია კახეთიდან, „ივერია“, 1879, № 2, გვ. 137—142; გ. მირიანაშვილი, ნეკრესი, „ივერია“, 1888, № 203; ე. შილდელი, შილა (არქეოლოგიური წერილი). „მოამბე“, 1895, IV, განყ. II, გვ. 1—26; А. Хахапов, Экспедиция на Кавказ, МАК, VII, 1898, გვ. 3—4; Л. Гордеев, Краткий отчет о командировках в Кахию и Горийский уезд летом 1917 г., ИКОМАО, V, 1919, გვ. 8—14, 22—24; გ. ჩუბინაშვილი, საქართველო: საგრო ბუროთმოდერების რამდენიმე ნიმუში, თუმ, III, 1923, გვ. 108—112; მისივე, რამდენიმე თავი ქართული ხელოვნების ისტორიიდან, გვ. 36—40; მისივე, ქართული ხელოვნების ისტორია, I, გვ. 24—27; მისივე, Архитектура Кахети, გვ. 37—45, 173—176, 321—325, 531—533, 555—557 და შმდ.; შ. ამი-რანაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, I, გვ. 132—134; მისივე, История грузинского искусства, I, გვ. 98—99; თ. ყაუხჩიშვილი, ბერძნული წარწერები საქარ-თველოში, გვ. 346—350; ე. ხედგენიძე, ნეკრესი, „დროშა“, 1953, № 6, გვ. 19; ი. არ-ჯევანიძე, თბილისიდან ალაზნის ველისაკენ, გვ. 291—294.

⁷ აღწერა, გვ. 99. შდრ. S № 1557; საქ. სიმეველნი, III, გვ. 512; ისტ. საბუთები, I, გვ. 43.

გიულაუ მოქმედებდნენ სამწყსოს მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, დიდად ზრუნავდნენ ეპარქიის გაძლიერებაზე და, შეძლებისდაგვარად, იღვწოდნენ ქართული მწერლობის სარბიელზე.

ნეკრესის ცნობილი მოღვაწეა ენისელთ მოურავის გივი ჯორჯაძის ძე იოანე ნეკრესელი. ის ძველ დოკუმენტებში ასე იხსენიება: „იოანე ნეკრესელ მიტროპოლიტი და დავით გარეჯის მამა“, „დავითის მონასტრის მამა და მოურნე“ და ა. შ.¹ როგორც აღვნიშნეთ, ის ჯერ გარეჯის მონასტერში მოღვაწეობდა, ლავრას უვლიდა. გელათ-გარეჯის გულანის (A № 186) მინაწერით, იოანე ჯორჯაძეს ლავრის წინამძღვრობა 1736 წელს მიუღია.²

1740 წელს თეიმურაზის, თამარ დედოფლისა და ქართლ-კახეთის სამღვდელთა პირთა თხოვნით დომენტი კათოლიკოსმა ნეკრესის საეპისკოპოსო კათედრა სამიტროპოლიტოდ გადააქეთა და პირველ მიტროპოლიტად იოანე ჯორჯაძე განაწესა.³ ბისონი მას ალავერდელმა უქურთხა.⁴

1740 წლიდან იოანე ნეკრესელ მიტროპოლიტად ჩანს, მაგრამ გარეჯასთან დიდხანს არ გაუწყვეტია კავშირი. მას გარკვეული მიდრეკილება ჰქონდა სასულიერო-საეკლესიო მწერლობისადმი, ზრუნავდა ხელნაწერთა გამრავლებაზე. ჩვენთვის ცნობილია მისი თაოსნობით გადაწერილი წიგნები, რომლებიც იოანემ ლავრას შესწირა (მაგალითად, ასკეტიკურ თხზულებათა კრებული A № 169—1746 წ., გრიგოლ ღვთისმეტყველის ცხოვრება, დიალოგონი A № 167—1748 წელს და სხვა). სათანადო ანდერძ-მინაწერებიდან ნათლად ჩანს იოანე ნეკრესელის როლი აღნიშნული ხელნაწერების დამზადებაში. ანდერძებში ვკითხულობთ: „მე, უღირსმან ენისელთ მოურავის შეილმან, ნეკრესელ მიტროპოლიტმან და მამისა მამათასა ღირსისა მრავალმთის დავითის მონასტრის მამამან და მოურნემან მონაზონმან იოანემ... ვიღვაწე... და აღვაწერინე საფასითა ჩემითა და დავდეე მონასტერსა ამას წმიდის დავით მამისა ჩწისასა“⁵.

მომდევნო ხანაში იოანე ნეკრესელს ბოდბეში ვხვდავთ (იხ. ქვემოთ).

ნეკრესის გამოჩენილი მოღვაწეა დოსითეოს ჩერქეზიშვილი, „კაცი მეცნიერი და ღვთისმეტყველებისაჲ მცოდნე“ (იოანე ბატონიშვილი). ის ნეკრესის ეპარქიას განაგებდა მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში. 1758 წელს დოსითეოს ნეკრესელმა აკურთხა თელავის საფილოსოფოსო-საღვთისმეტყველო სკოლა და, მიუხედავად საკმაო განათლებისა და მომზადებისა, თითონაც ჩაირიცხა პირველ მსმენელთა შორის, შეიქმნა „თანამესხოლე პირველთა მესხოლეთა“ (H № 69, 137 r—140 v). შემდეგში დოსითეოსმა საკუთარ

¹ პ. ცხვილოელი, გუჯრები დავით გარეჯის უდაბნოსი, „ივერია“, 1893, №№ 93, 95, 97.

² Опис. рукописей (A), I, გვ. 197. შტრ. მ. ჯანაშვილი, დიდი ხელნაწერი, „მოამბე“, 1901, VI, განყ. II, გვ. 59.

³ Груз. церк. гуджари, გვ. 39.

⁴ ქართლ-კახეთის მონასტრების საბუთები, გვ. 252—253, 255 (Aდ № 327). ალავერდელსა და ნეკრესელს შორის გაჩაღებული დავის დროს ურეკლე მეორემ გრემი ნეკრესის ეპარქიას დაუქვემდებარა (Груз. иерее. гуджари, გვ. 18). იოანე ჯორჯაძე ზოგჯერ ასე იხსენიება: „იოანე ქალაქ ნეკრესის, ქალაქ გრემის ეპისკოპოსი და გარეჯის არქიმანდრიტი“ (მეფე გრეკლეს დროს მომზადარი საეკლესიო კრება, „კვალი“, 1894, № 37, გვ. 19; ვ. მეტრეველი, 1748 წლის საეკლესიო კრების დადგენილება, აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახ. მუზეუმის მოამბე, XIX-A და XXI-B, 1957, გვ. 429).

⁵ Опис. рукописей (A), I, გვ. 174, 177—178.

ეპარქიაშიც დააარსა პირველდაწყებითი სკოლა სამწყსოსათვის. ამ დიდმნიშვნელოვანმა წამოწყებამ დააინტერესა და გაახარა ერეკლე მეორე, რომელიც დოსითეოს ნეკრესელს სწერდა: მეტად სასიამოვნოდ დამირჩება, თუ ბეჯითად იზრუნებთ სკოლისთვისო (Ad № 215)¹.

დოსითეოს ჩერქეზიშვილი აქტიურად შრომობდა, ენერგიულად იღვწოდა ნეკრესის გაძლიერება-გამდიდრებისათვის. იმ ხანის დოკუმენტებში დოსითეოსი არა ერთგზის გვხვდება².

იოანე ბატონიშვილის დახასიათებით, დოსითეოს ჩერქეზიშვილი „ვითარცა მონაზონებასა შინა, ეგრეთვე ერისკაცულთაცა შინა გამოცდილ იყო, რომელ ეამსა მტრიანობისა და ომიანობისასა ყოველთვის ამხნობდის ერთა და კეთილისა რჩევითა თვისითა კარგად წარემართევედის საქმეთა“³. დოსითეოს ნეკრესელისთვის, პ. იოსელიანის ცნობით, ერეკლე მეფეს კათოლიკოსობაც სწადოდა, მაგრამ ბატონიშვილის რჩევით გადაუფიქრებია⁴.

1788 წელს დოსითეოსს უსიამოვნება შეემთხვა: მღვდლის თვითნებურად კურთხევისთვის ის სასტიკად გაიციხა ანტონ II კათოლიკოსმა⁵.

ჩვენთვის ცნობილ დოკუმენტებში დოსითეოსი ნეკრესელად უკანასკნელად იხსენიება 1789 წელს⁶. პ. იოსელიანის მოწმობით, დოსითეოსი ამ წელს გარდაიცვალა⁷. ამ დროისთვის ის საკმაოდ მოხუცებული ყოფილა. „მოხუცებულობისა ეამსა დაასრულა ცხოვრება თვისიო“,—წერს იოანე ბატონიშვილი⁸.

დოსითეოს ნეკრესელი მნიშვნელოვანი ლიტერატურული ფიგურაა, ჩინებული წარმომადგენელი ანტონ კათოლიკოსის სკოლისა. ის ენერგიულად მუშაობდა ლიტერატურულ ასპარეზზე და ქართულ ფილოსოფიურ მწერლობას ამდიდრებდა სომხურიდან თარგმნილი ძეგლებით. იოანე ბატონიშვილის განცხადებით, დოსითეოსმა „უწყოდა სომეხთა ენა კეთილად“⁹. მეზობელი ხალხის ენის კარგი ცოდნა და ღრმა განათლება დოსითეოსმა გამოიყენა ქართულ-სომხური ლიტერატურული ურთიერთობის განსამტკიცებლად.

სომხურიდან წიგნების გადმოღებისას დოსითეოსი მუშაობდა ფილიპე ყაითმაზაშვილთან ერთად (საფიქრებელია, ისინი თელავში დაახლოდნენ). უკანასკნელი, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, იყო სომხურიდან მთარგმნელი, ხოლო დოსითეოსი ქართული ტექსტის რედაქტორ-სტილისტი, გამმართველ-გამწყობი. ამ გარემოებას დოსითეოსი ხშირად აღნიშნავს თავის ნაწერებში

¹ Грѹз. перк. руджари, გვ. 40.

² იხსენიება 1759, 1762, 1775, 1784, 1785. 1788 წწ. საბუთებში (Грѹз. перк. руджари, გვ. 40—42; გუჯარები, გვ. 81—86; დოკუმენტები, II, გვ. 264). მოღწეულია სანეკრესლოს გეგმა, რომელშიც აღნიშნულია დოსითეოსის მიერ აგებული შენობებიც (Ad № 690).

³ კალმასობა, II, გვ. 199.

⁴ პ. იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, გვ. 179.

⁵ გუჯარები, გვ. 85—86.

⁶ Грѹз. перк. руджари, გვ. 43. ვინ განაგებდა ნეკრესის ეპარქიას 1789—1794 წწ. საბუთებში არ ჩანს. ლეკიანობის შიშით კათედრა, შესაძლებელია, უმწყემსმთავროდაც კი იყო დატოვებული (ს. ყუბანეიშვილი, ამბროსი ნეკრესელი, „ლიტერატურული ძიებანი“, III, 1947, გვ. 234).

⁷ პ. იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, გვ. 179.

⁸ კალმასობა, II, გვ. 199.

⁹ იქვე. ამას ადასტურებს პ. იოსელიანიც (ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, გვ. 179).

(II № 69; S № 2564)¹. ფილიპესა და დოსითეოსის ერთობლივი მუშაობის ნაყოფია შემდეგი ქართული თარგმანები: დაიით უძლეველის „წიგნი საზღეარ-თა“ (II № 69; S №№ 334, 1180, 2564), მხითარ სევასტიელის რიტორიკა (S № 1137; Q № 329; A № 1181)², „ახსნა პორფირისა“ (S №№ 203, 266, 334), „შემოკლებითი ახსნა პერიარმენის წიგნთა“ (A №№ 1301, 1415; H № 1012; S № 278), „მცირე ლოლიკა“ ან „მცირე ნაცვალსიტყუაობაჲ“ (S № 250) და სხვა. აღნიშნული წიგნების თარგმნას ადგილი ჰქონდა 1758—1764 წლებში.

დოსითეოს ნეკრესელი ნაყოფიერად მუშაობდა პოეზიაშიც. მისი სახე-ლით ჩვენამდე მოღწეულია რამდენიმე საინტერესო ლექსი, მაგალითად, კიდურწერილობა: „დოსითეოს ნეკრესელი“ (ვრცელი ლექსი, თავისებუ-რი წინასიტყვაობა „შემოკლებითი ახსნის“ თარგმანისა, გადმოგვცემს ძეგ-ლის ისტორიას და აღნიშნავს ერეკლეს კულტურულ-საგანმანათლებლო საქ-მიანობას—H № 1012, 77 r—78 v; A № 1415, 104 r—106 r), ანბანთქება-ნი: „არიოზ ბნელ-გულ დასახავს ესრეთ, ვერ ზომით შეობს თვთებათადა“ (S №№ 1512, 3704; A № 1164, № 1541; H № 1193), „აღვაგო ბაგე, გონე-ბით დაეხსნე, ესე ენებული ზე შეთერ თასი“ (A №№ 1164, 1541; S № 3704), „ჭოი, ჰაი, ქერკვალ ჯმაჲ, ხელი კირით წერ ძნელ ცბი ჩქურით“ (A №№ 1164, 1541; S № 3704), სულხან-საბა ორბელიანის ქება (II № 1100, 18 r; S № 105, 47 v—48 r)³, თავის ქება ჭაბუა ორბელიანის მაგიერ, „ეთომ მზექაბუჲ აქებდეს ნეკრესელს დოსითეოსს“ (დ. რექტორი)⁴. მასვე დაუწერია ლექსი შილდის ციხეზე (H № 1631, 2 v).

დოსითეოსი ხელნაწერთა გამრავლებაზეც ზრუნავდა. ის, მგონი, თვითაც წერდა ახალ ნუსხებს⁵ და სხვა პირებსაც ავალბდა ხელნაწერთა გადანუსხვას. სხვათა შორის, მის აღზრდილ-გაწაფულ გერმანე ხუცეს-მონაზონს 1763 წელს გადაუწერია იოანე პეტრიწის თარგმანი პროკლე დიადოხოსის „კაიჴირნისა“ (H № 1283, 155 r).

დოსითეოსი დაუღლედი მუშაკი იყო, ერთობ პროდუქტიული. ასეთი დასკვნის მიღების საფუძველს გვაძლევს არა მხოლოდ მისი განცხადება: „არა დავსცხრებოდი მე, მდაბალი, მუშაკობასაცა გარდმოლებისასა ფილასოფოსურთა

¹ დოსითეოსი და ფილიპე ასე იხსენიებიან: „მდაბლნი მუშაკნი და მოღუაწენი მთარ-გმნელი მღუდელი ჰარმანთა ფილიპე და მწერალ-მწყობელ-მოღუაწე დოსითეოსი“ (H № 1012, 145r), „მთარგმნელი ფილიპე და მწერალ-მწყობელ-მოღუაწე დოსითეოს“ (S № 278, გვ. 175).

² ახლავს ლექსი: დოსითეოს არს სურვილით მომუშაჲე.

დამთხვეულ-დამწყობელ სიმკაცრით რიტორებისა,

ჩვენ ქართველთამებრ ენათა კანონისა.

და ესე თარგმნილ ფილიპე, ჰრმან ხუცისა,

ჰრმანულთაგან, თან შრომითავე მისითა (A № 181, 5r, 124 v, 189 r).

³ აღნიშნული ლექსი ეხმაურება ნ. ონიკაშვილის ლექსს სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონზე (H № 602, 188 v; S № 20, გვ. 283; Q № 610, 197 r; K № 206, 161 r; გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ხელნაწერი № 84 (1887), გვ. 358).

⁴ S № 105, 48 r; H № 1100, 18 v.

⁵ დოსითეოსის მიერ გადაწერილი თათეს ცხოვრება (?) უნაზეს პ. იოსელიანს (Cm Mamea, გვ. 14).

ნათქვამსა, რომელნიცა აკლდენ ენასა ჩუენსა“ (S № 1137, გვ. 9), არამედ მისი ნაწერების სიუხვე. ისიც საფიქრებელია, რომ დოსითეოსის ყველა შრომას ჩვენამდე არ მოუღწევია. პროფ. ა. ხახანაშვილის აზრით, მას სომხურიდან უთარგმნია აპოკრიფები (მაგ., სიყრმე უფლისა), ყოფილა მქვერმეტყველი და ნიჭიერი მქადაგებელი¹. სამწუხაროდ, ამის დასამტკიცებელი მასალა ჩვენთვის უცნობია.

თანამედროვენი დოსითეოსს დიდად აფასებდნენ და აქებდნენ. მასზე ლექსი დაუწერია დავით რექტორს (H № 1100, 18 v—19 r; S № 105, 48 r). საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ 1783 წელს თელავის სემინარიის რექტორს უთქვამს „სიტყუა მადლობისა... ყოვლად სამღუდელთების ნეკრესის ეპისკოპოსის დოსითეოსის ჩერქეზისადმი“ (H № 2291, 4 r)².

1794 წლიდან ნეკრესის სამიტროპოლიტო კათედრას განაგებს ზემოხსენებული ამბროსი მიქაძე, რომელმაც ნეკრესამდე რამდენიმე ეკლესია-მონასტერი გამოიცვალა (გარეჯა, იკორთა, წილკანი, მანგლისი). მას არც ნეკრესი დახვდა კარგ მდგომარეობაში. იქ 1789 წლიდან (დოსითეოსის შემდეგ) იწვემბთავარი აღარ ყოფილა და ნეკრესი თუ შილდა გაძარცულ-გაპარტახებული იყო. ამბროსი შილდაში დასახლდა, სამწყსოს იქიდან უვლიდა. რადგან ნეკრესში დადგომა ლეკთა თარეშის გაძლიერების გამო ფრიად საშიში იყო³, ამბროსიმ სოფ. შილდაში, ღვთისმშობლის ეკლესიაში გადაიტანა კათედრა. მას მნიშვნელოვანი აღმშენებლობითი სამუშაოები ჩაუტარებია შილდაში, აუშენებია ეკლესიის გალავანი და სხვა⁴. საინტერესოა ამბროსის ლექსი (— პასუხი) დოსითეოს ჩერქეზიშვილისადმი:

მე, შემდგომ შენსა მოსრული, მიქაძე, ამვროსი ძეო,
წილკნელ-მანგლელ-ნეკრესელი, ვის ამვროსი სახელ მძეო,
აქ მყოფს არ მციროდ გიღწვია, დიდად გამდლობ შენი ძეო,
აწ დახვდა ციხე განძრეილი, შესამოსი კარგი (მ)ძეო⁵.

ამბროსი ნეკრესშიც ნაყოფიერად მუშაობდა, „იღვაწა კეთილად“ (იოანე ბატონიშვილი). ახლო ურთიერთობაში იყო სამეფო კართან, ბატონიშვილებთან (H № 607, A № 1631), მაგრამ ერთგვის დავით ბატონიშვილის რისხვა

¹ A. Х а х а н о в, Очерки, III, გვ. 409, შენ. 1. შდრ. ა. შ ა ნ ი ძ ე, თომას სახარების აპოკრიფის ქართული ვერსიის ნაწყვეტი და მისი გაუგებარი ადგილები, თსუ შრომები, XVIII, 1941, გვ. 31, შენ. 2.

² ამ ხელნაწერის აღწერილობა და ჩვენთვის საინტერესო ტექსტი გამოაქვეყნა აკად. ა. ბარამიძემ (იხ. მისი საჯარო პაექრობა თელავის სემინარიაში, მასალების კრებული: „სწავლა-აღზრდის ისტორია საქართველოში“, I, თბ., 1937, გვ. 51—65).

³ ლეკები ნეკრესს თავს ეხზნოდნენ არა მხოლოდ მე-18 საუკუნეში, არამედ მე-19 საუკუნის შუა წლებშიც (I. Ч у с т и н а ш в и л а, Архитектура Кахетии, გვ. 531).

⁴ ე. შ ი ლ დ ე ლ ი, შილდა (არქეოლოგიური წერილი), „მოამბე“, 1895, IV, განყ. II, გვ. 6—7.

⁵ A № 1631, 2 v; H № 1334, 283 r; არქ ხელნ. № 242, 124 v. ესაა პასუხი დოსითეოსის შემდეგი ლექსისა:

შემდგომად ჩემსა მოსრულო, ეკლესიისა სიძეო,
თუ ჩემებრ ქცევით იცხოვრო, დოსითეოსმან გიძეო,
იყავ ცნობითა მაღლითა, გონება განაღვიძეო,
აწ თუ სცნობ, სიბრძნით ადვილ არს, არ მციროდ უნჯი გიძეო.

დაიშსახურა, რისთვისაც 1801 წ. ღროებით ნეკრესელობიდანაც კი გადა-
აყენეს¹. როდესაც მთიულეთში ანბოხებამ იფეთქა, ამბროსის, როგორც მთი-
ულების მცნობ პირს, საქართველოს გამგებელმა თ. ვოლკონსკიმ აჯანყებულე-
ბთან მოლაპარაკება მიანდო, მაგრამ ამან უშედეგოდ ჩაიარა.

ამბროსი აღშფოთებული იყო აღმ. საქართველოში მეფობის მოსპობით,
მაგრამ თავის თანამემამულეებს რუსთა სადღეგრძელოდ მოუწოდებდა, რათა
მათ „ძლიერებამ ქართლისა და კახეთის მტერი დაამდაბლოს“, „საქართვე-
ლოს მშვიდობა ელიჩოსს“. როგორც ჩანს, ნეკრესის განათლებულ მღვდელ-
მთავარს სწორად ჰქონდა შეგნებული, რომ ქართლ კახეთის გადაარჩენა მოძა-
ლებული მტრისაგან და ომით გადალლილი მოსახლეობის შესვენება რუსთა
მფარველობა-მხარდაჭერით შეიძლებოდა. ამით იყო გამოწვეული ის სიხარული
და აღტაცება, რომელიც მასში გამოიწვია რუს-ქართველთა მხედრობის გამარ-
ჯვებამ ომარ-ხანის ლაშქარზე.

ამბროსის ნეკრესელობა დიდხანს არ გაგრძელებულა. 1811 წელს აღმო-
საველეთი საქართველო ორ ეპარქიად გაიყო (მცხეთა-ქართლისა და კახეთ-ალა-
ვერდისა), ნეკრესის ეპარქია გაუქმდა². ამბროსის მოღვაწეობა ნეკრესში
დასრულდა, ის თბილისს გადამოსახლდა და აქვე აღესრულა. პ. იოსელიანის
ცნობით, ამბროსი ნეკრესელი დაკრძალულია თბილისის სიონში³.

ამბროსი მიქაძე ნეკრესში მრავალმხრივ კულტურულ-ლიტერატურულ
მუშაობას ეწეოდა. ნეკრესში მოღვაწეობის პერიოდში ამბროსის დაუწერია
მრავალი ქადაგება⁴. თავის ქადაგებებში ავტორი ამტკიცებდა ფილოსოფიისა
და ლეთისმეტყველების ღრმასა და საფუძვლიან ცოდნას, მსმენელთა ყურად-
ღებას ამახვილებდა საქართველოს იმდროინდელ მძიმე პოლიტიკურ-ეკონო-
მიურსა თუ კულტურულ-სარწმუნოებრივ მდგომარეობაზე, ქართველ საზოგა-
დოებას უღვივებდა ეროვნულ გრძნობებს, თვალნათლივ უხატავდა მოძალე-
ბული მტრის გამარჯვების საშიშროებას და მოუწოდებდა მხნეობისა და
სიმამაცისაკენ, თანამომძვებებს უნერგავდა გამარჯვების რწმენას⁵.

¹ АКТЫ, I, გვ. 323. შტრ. პ იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, გვ. 222.
ა. მიქაძის ავტოგრაფული მინაწერით მას ნეკრესელობა 1793 წლის ოქტომბერში მიუღია
(Q № 845, 1 r).

² ამ დროს ნეკრესის ეპარქიაში შედიოდა მრავალი გლეხი, 56 ეკლესია, 49 მღვდელი,
17 დიაკონი (АКТЫ, IV, გვ. 164—165). სხვათა შორის, „აღწერა საქართველოს საკათალი-
კოზო უწყებისა და მის ხელქვეითთა“ გვაუწყებს, რომ 1800 წელს ამბროსის სამწყსოში
14 სოფელი შედიოდა („საქართველოს სასულიერო მახარებელი“, 1866—1867, VII—IX,
გვ. 221; АКТЫ, I, გვ. 531).

³ П. Иоселиани, Описание древностей г. Тифлиса, გვ. 166. მისი ცნობა
ამბროსი გარდაიცვალა 1796 წ. ახლოს (იქვე), ან 1799 წელს (ცხოვრება გიორგი მეცამეტისა,
გვ. 258), სწამნდვილეს არ შეეფერება. ამბროსი 1813 წელსაც ცოცხალია (H № 1116).

⁴ გვხვდება მრავალ ხელნაწერში (S №№ 177, 4970; H №№ 447, 692, 974; A № 1216),
გამოცემულია „საქართველოს სასულიერო მახარებელში“ (1864, VII, გვ. 1—10; 1868, VIII,
გვ. 206—240; IX, გვ. 241—268; X, გვ. 269—284; XI, გვ. 285—302; XII, გვ. 303—316).
ცალკე წიგნად დაიბეჭდა 1881 წელს (ქადაგებანი და მოძღვრებანი თქმულნი ამბროსი ნეკ-
რესელ ეპისკოპოსის მიერ, გამოცემული საფასითა ალექსანდრე ეპისკოპოსის მიერ, თბ.,
1881). ამბროსის ზოგიერთი ქადაგება დაბეჭდილია რუსულადაც (Прибавления к „Духовно-
му пестимку грузинского народа“, 1894, № 19, გვ. 1—9; № 21, გვ. 1—2; 1895,
№ 5, გვ. 1—7; 1896, № 4, გვ. 1—5). იხ. აგრეთვე ქართული მკვებრმეტყველება, გვ. 218—227.

⁵ ბ. კ ა ნ დ ე ლ ა კ ი, ქართული კლასიკური მკვებრმეტყველება, გვ. 319—326.

ცალკე უნდა აღვნიშნოთ ის მოზრდილი ხელნაწერები, რომლებიც ამბროსი ნეკრესელის კრებულების სახელითაა ცნობილი (II №№ 974, 975, 1283...). მათი უმეტესი ნაწილი შედგენილი და გადაწერილია ამბროსის მიერ. სასულიერო-საეკლესიო შინაარსის კრებულებში მას ჩაურთავს თავისი ლექსებიც (მაგალითად, II № 1283, 306 v, 308 v)¹. ამბროსის დაუწერია პ. ციციშვილის შესხმაც (A № 1245).

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ამბროსი ნეკრესელს სხვადასხვა დროს გადაუწერია მრავალი ხელნაწერი (H № 1293; S № 1168; A №№ 280, 338, 756 და ა. შ.), მაგრამ ჩვენთვის ძნელია გარკვევა გადაწერის ადგილისა. ზოგი მათგანი (მაგ., A № 280), საფიქრებელია, წილკანს იყოს გადაწერილი, ზოგი კი — ნეკრესს (Q № 845 და სხვ.).

ამბროსის მრავალი წიგნი შეუწირავს ნეკრესისთვის. ერთ-ერთ უკანასკნელ წიგნს (—სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონს), რომელიც ამბროსიმ 1813 წელს შესწირა ნეკრესს, დაცული აქვს შემწირველის ანდერძი. ის საინტერესო ცნობებს შეიცავს და კარგად გვაცნობს ამბროსის მოღვაწეობის ზოგიერთ მხარეს: „ქ. ნეკრესელი ამროსი ვსწერ რაც ჩემს შეწირულობის წიგნებში სწერია, რომელიც შემიწირავს: წიგნი დაბადებისა, წიგნი კარგი კურთხევანი და ეამნი... ახლა ეს ლექსიკონის წიგნიცა სამს თუმნად ნასყიდი და ეგრე ზემოწერილი წიგნებიცა და სხვები, ზოგი დამიწერია და ყველას ვერ დავსწერდი და ან აქ რალა დავსწერია. ესეები შევიძელ უწინაცა და ახლა ამ დამწვარ-დაქცეულობაშიაცა გავრჯილვარ და დავმაშვრალვარ და თუ კიდევ მოწადინე ვყოფილვარ და ვარ დღესაცა, ქეშმარიტებით, თულა სოფელმა მაძალა. მაგრამ მეტმა აქაურმა მწუხარებამაცა და სნეულებამაცა და აწ მოხუცობამაცა სიცოცხლის ღონე მიმტაცა“ (H № 1116. 1r—2r)².

ამბროსი მიქაძეს არც ნეკრესში შეუწყვეტია ლექსების წერა. იქ ყოფნისას დაუწერია მას დოსითეოს ჩერქეზიშვილის პასუხი, იროიკონი აბიბოს ნეკრესელზე (H № 974, 1v—3r; A № 1631, 2v—4r) და სხვა ლექსები³.

უკანასკნელ ხანს ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში ადგილი აქვს უცნობი ნეკრესელი ებისკოპოსის მწერლად მიჩნევის ცდას. რამდენიმე სიტყვა ამ საკითხზე.

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, აბიბოს ნეკრესელის მოქალაქობისა და წამების წიგნი ორი რედაქციითაა მოღწეული. პირველ რედაქციას („მოქალაქობაჲ და წამებაჲ წმიდისა აბიბოს ნეკრესელ ებისკოპოსისაჲ“) მიაწერენ მე-9 საუკუნის მოღვაწეს არსენ საფარელს, მეორე რედაქციას („წმიდისა მღვდელ-მოწამისა აბიბოს ნეკრესელ ებისკოპოსისა, რომელი იწამა ცეცხლის-მსახურთა მიერ ქართლს, თქუმული არსენი დიდისა ქართლისა კათალიკოსისაჲ“) მე-12 საუკუნის მეტაფრასტს⁴. ახლახან აკად. კ. კეკელიძემ წამოაყენა მოსაზრება, რომ აბიბოს ნეკრესელის ცხოვრების გადამკაზმველი პირი უნდა იყოს ნეკრე-

¹ ამბროსის შედგენილად მიიჩნევენ სხვა ხელნაწერ კრებულებსაც. მაგალითად, H № 983 (ს. ყუბანეიშვილი, „აბდულმესიანის“ ახლად აღმოჩენილი სტროფები, საქ. სსრ მეც. აკად. მოამბე, V, № 8, 1944, გვ. 850).

² ხელნაწერთა აღწერილობა (H), III, გვ. 104.

³ ამბროსი ნეკრესელზე იხ. კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, გვ. 390—391; ს. ყუბანეიშვილი, ამბროსი ნეკრესელი, „ლიტერატურული ძიებანი“, III, 1947, გვ. 22ა—253. ძველი წერილებიდან იხ. გ. ლეთონიძე, ამბროსი ნეკრესელი, „სახალხო გაზეთი“, 1914, № 1160.

⁴ არსებითად განსხვავებული მოსაზრება წამოაყენეს ამ საკითხზე აკად. ი. ჯავახიშვილმა და პროფ. ილ. აბულაძემ. იხ. ზემოთ გვ. 198, შენ. 1.

სის კათედრის ან ეპარქიის უცნობი ეპისკოპოსი. ასეთი ვარაუდის საფუძველს მკვლევარს აძლევს აღნიშნული ძეგლის ავტორის ერთი განცხადება აბიბოსის შესახებ: „ჩემი არს მოწამე ესე და არა სხვსა. ჩემისა ამისგან საყდრისა, ნაყოფი შეუენიერი, მხიარულებისა ჩემდა მომღებელი“¹. აკად. კ. კეკელიძის დაკვირვებით, ნეკრესის ეპისკოპოსის გამოუყენებია არსენ საფარელისა და გიორგი ამარტოლის შრომები². მისი რედაქციული მუშაობა გამოიხატება პროლოგის, ცეცხლთაყვანისმცემლობასთან პოლემიკური დიალოგისა და ეპილოგის ჩართვითა თუ დართვით³.

აქვე უნდა აღნიშნოთ, რომ გარდა მიტროპოლიტებისა და ეპისკოპოსებისა, ნეკრესში სხვა პირნიც მოღვაწეობდნენ. ასე, მაგალითად, 1802 წელს ნეკრესელმა დიაკონმა მოსემ გადაწერა ამბროსის „სწავლა გამოკრებილი“ (H № 447). საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ნეკრესელ მწერალთა შრომების გამრავლებაზე ისევ ნეკრესელი მოღვაწენი ზრუნავდნენ⁴. საფიქრებელია, ნეკრესში შექმნილი ბევრი ლიტერატურული ძეგლი ლექთა ბრბოების შეუწყვეტელი თარეშის მსხვერპლი გახდა.

იყაღთო

თელავის ჩრდილოეთით, 7—8 კილომეტრის დაშორებით მდებარეობს კობტა და ლამაზი მწვანითმოსილი სოფელი იყალთო, რომლის განაპირას, დაახლოებით ნახევარი კილომეტრის მანძილზე, დღემდე შემონახულია ძველი ქართული მონასტერი და ქართული კულტურის დიდებული კერის—იყალთოს აკადემიის ნანგრევები. ამ სავანეს ადგილობრივი მკვიდრნი დღესაც ღვთაების მონასტერს უწოდებენ. მისი სამივე ეკლესია ისე, როგორც თითქმის ყველა ეკლესია კახეთში, შეღებილია თეთრად და მწვანე მთების ფონზე შორიდანვე იპყრობს ყურადღებას.

აღნიშნული მონასტრის დაარსება დაკავშირებულია იოანე ზედაზნელის მოწაფისა და თანამოღვაწის ზენონის სახელთან. აგიოგრაფის ცნობით, იოანე ზედაზნელის ერთმა მოწაფემ „ქუაბი იულთისაჲ სამკვდრებელად ღმრთისა მოღუაწეთა და მოწესეთათჳს შეჰმზადა“⁵. ამას ადასტურებს აბიბოს ნეკრესელის ბიოგრაფიცი⁶. მართალია, აქ „იულთა“ იხსენიება და არა „იყალთო“, მაგრამ ეს გარემოება დაბრკოლებას არ წარმოადგენს, ესაა ქარაგმინი სიტყვის „იულთსაჲს“ ხუცური დაწერილობის უმართებულო წაკითხვით დაშვებული შეცდომა. მართებულადაა მოცემული ეს სიტყვა H № 1336 ხელნაწერში (171 v)⁷. ამრიგად, იყალთოს მონასტერი დაარსებულია იოანე ზედაზნელის მოწაფის მიერ მე-6 საუკუნის მეორე ნახევრის დამდეგს. მონასტრის

¹ ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები, გვ. 189.

² კ. კეკელიძე, ანტიმახლდისტური პოლემიკის ფილოსოფიური დასაბუთება უძველეს ქართულ მწერლობაში, ეტიუდები, III, გვ. 53—60.

³ კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I², გვ. 537—538.

⁴ „ნეკრესლის ყმისა და შეგიარდის“ დიაკონ გ. აღნიაშვილის მიერ გადაწერილი „მირიანი“ დაცულია ზუგდიდის მუზეუმში (ც. ქირია, საყურადღებო ხელნაწერი. „ლიტერატურული გახეთი“, 16. II. 62, № 8 (1282).

⁵ ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები, გვ. 67.

⁶ იქვე, გვ. 196.

⁷ კ. კეკელიძე, საკითხი სირიელ მოღვაწეთა ქართლში მოსვლის შესახებ, ეტიუდები, I, გვ. 24, შენ. 3.

დამაარსებლის სახელს იმავე იოანე ზედაზნელის მოწაფეთა სიიდან ვგებულობთ, ისაა ზენონ იყალთოელი¹.

ზენონ იყალთოელის აგებულად მიიჩნევენ მონასტერს ვახუშტი ბაგრატიონი: იყალთოს-ხევეზე „კახეთის მთის კალთას, არს იყალთოს მონასტერი, კეთილშენ-გუნბათიანი, ქმნული იგ (=13) მამათაგანის წმიდის ზენონისა და დაფლულ არს მუნეე“².

იყალთოს მონასტერში ადრე ძალზე მრავალრიცხოვანი კრებული იყო დასადგურებული. ასეთი ვარაუდის საფუძველს გვაძლევს მონასტრის ეზოში თუ გალავანს გარეთ შემორჩენილი მრავალი ნაგებობა, რომელთა რიცხვი ახლა ოცამდეა, ხოლო ერთი საუკუნის წინ სამოცამდე აღწევდა³. ხალხმრავალ ძმობას, ბუნებრივია, ეკლესიაცა და სენაკიც მრავლად დასჭირდებოდა. ეს კი იწვევდა ზენონის მიერ დაარსებული მონასტრის ზრდასა და განვითარებას.

დროთა განმავლობაში, ჩვენი ქვეყნის ძნელბედობის გამო, იყალთოს მონასტერი დაცემულა და განადგურებულა, მისი დიდებული ნაგებობანი მტრის ხელსა თუ დროის სისასტიკეს შეუშუსრავს. უძველეს ნაგებობათაგან (VI ს.) ახლა მხოლოდ სამების ეკლესიაა შემორჩენილი (—ისიც დამახინჯებული სახით)⁴, სხვა შენობებს იოანე ბოდბელის (—მაყაშვილის)⁵ მიერ ჩატარებული მშენებლობის დროს (XIX ს.) მიღებული სახე აქვთ დაცული და ძველ მონასტერზე ნათელ წარმოდგენას ძნელად-ლა გვიქმნიან⁶. მიუხედავად აღნიშნულისა, იყალთოს მონასტერი თავისი დიდებული წარსულითა და აკადემიის (—დღემდე შემონახული) შენობით ახლაც ცხოველ ინტერესს იწვევს.

ჩვენს ლიტერატურაში კარგა ხანია გვხვდება აზრი იყალთოს მონასტერში სასწავლებლის არსებობის შესახებ. ჯერ კიდევ დავით რექტორი წერდა: არსენ იყალთოელს „აქვნდა შკოლა იყალთოს მონასტერსა და იყო მოძღუარი სამეცნიეროსა დავით აღმაშენებლისა მეფისაო“⁷. თეიმურაზ ბატონიშვილი გვაუწყებს, რომ მას თვით უნახავს იყალთოს მონასტერი და სკოლა, რომლისგან, —მტრის თავდასხმების გამო, —კედლებილა იყო დარჩენილი. მისი ცნობით, როდესაც არსენ იყალთოელი დავით აღმაშენებლის კარზე მოღვაწეობდა, იყალთოს სკოლის მსმენელებს მის ნაცვლად სხვა, ფრიად განათლებული მასწავლებლები წაფავდნენ. სწავლული ბატონიშვილის აზრით, არსენის მიერ სკოლის იყალთოში გამართვა იმით აიხსნება, რომ არსენი იქაური იყო

¹ ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები, გვ. 2, შენ.

² აღწერა, გვ. 101. ზენონის საფლავს იყალთოს მონასტერში ახლაც უჩვენებენ.

³ А. М у р а в з е в, Грузия и Армения, I, გვ. 192; П. Иоселиани, Путешие записки по Кавказу, გვ. 90.

⁴ გ. ჩუბინაშვილი, რამდენიმე თავი ქართული ხელოვნების ისტორიიდან, გვ. 91—92; მისივე, ქართული ხელოვნების ისტორია, I, გვ. 62—63; მისივე, Архитектура Кавказа, გვ. 258—261.

⁵ ი. მაყაშვილმა არა მხოლოდ განაახლა მონასტერი, არამედ უზეად შეამკო ის ძვირფასი საეკლესიო ნივთებით (ე. თაყაიშვილი, არქ. მოგზაურობანი და. შენიშვნანი, I, გვ. 253—254).

⁶ მიუხედავად აღნიშნულისა, სპეციალური კვლევა-ძიებით აკად. გ. ჩუბინაშვილმა გაარკვია, რომ მთავარი ტაძარი — ღვთაების ეკლესია VIII—IX სს. ეკლესიის (Архитектура Кавказа, გვ. 339—349).

⁷ ე. თაყაიშვილი, არქ. მოგზაურობანი და შენიშვნანი, I, გვ. 94.

წარმოშობით¹. იყალთოში სკოლის არსებობას ამოწმებენ თავიანთ შრომებში ა. მურავიოვი და პ. იოსელიანი².

იყალთოს აკადემიის მეცნიერულ შესწავლას საფუძველი ჩაუყარა აკად. გ. ჩუბინაშვილმა, რომელმაც გამოკვლევაში „საქართველოს საერო ხუროთმოძღვრების რამდენიმე ნიმუში“ სრულად განიხილა საკითხი, შეისწავლა და დაახასიათა მონასტრის გალავნის შიგნით შემორჩენილი ორსართულიანი ნაგებობა და ის აკადემიის შენობად მიიჩნია³.

შემდეგში (1938 წ., 1944 წ.) თელავის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმისა და მეტეხის მუზეუმის მეცნიერ თანამშრომლებმა აკად. გ. ჩუბინაშვილის კონსულტაციითა და ა. მამულაშვილის ხელმძღვანელობით დაიწყეს იყალთოს აკადემიის ისტორიულ-არქეოლოგიური შესწავლა. გულდასმით ჩატარებულმა ძიებამ დიდად საყურადღებო მასალა გამოავლინა. დადგენილ და შესწავლილ იქნა აკადემიის შენობა, წარმოდგენილ იქნა რეკონსტრუირებული ფასადის სახე, გამოვლინდა სამკედლო და სხვა.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ დღესაც არ გავგაჩნია ხელთ იყალთოს აკადემიის შესახები რაიმე ძველი სარწმუნო წყარო, წერილობითი, დოკუმენტალური მოწმობა, მაინც გადაქრით შეგვიძლია ვამტკიცოთ იყალთოში აკადემიის არსებობა. ზემომოტანილ ცნობათა ავტორების დაბეჯითებით განცხადებასთან ერთად ამას ადასტურებს ზემოხსენებულ ძიებათა შედეგიც. დღეს უკვე საეჭვო აღარაა, რომ იყალთოს ლეთაების მონასტრის გალავნის შიგნით, სამხრეთ ნაწილში დაცული გრძელი ორსართულიანი სამოქალაქო ნაგებობა, რომელსაც აღმოსავლეთიდან საწნახელი ეკვრის, არის ქართული საერო ხუროთმოძღვრების ღირსშესანიშნავი ძეგლი—მე-12 საუკუნის ქართული აკადემიის შენობა.

იყალთოს აკადემიის შენობას მრავალი მსგავსი ნიშანი აკავშირებს გელათის აკადემიასთან, მაგრამ ის უფრო გრანდიოზულია, მოცულობით გელათის აკადემიაზე დიდია, ორსართულიანია; მთავარი დარბაზი მოთავსებული ყოფილა მეორე სართულზე.

იყალთოს აკადემიის შენობა რამდენჯერმე გადაუკეთებიათ. უკანასკნელად ხანძარი გაჩენია და დანგრეულა, რის შემდეგ ის აღარ აღუდგენიათ. ნხოლოდ მეცნიერ მუშაკთა მიერ გაჩაღებული მუშაობის შედეგად გაიწმინდა ძველი ნაგებობის ნანგრევები კედლებზე ამოსული ნარგავებისა და ღორღისაგან⁴.

¹ თ ე ი მ უ რ ა ხ ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი, ისტორია დაწყებითგან ივერისა, გვ. 282—283.

² А. Муравьев, Грузия и Армения, I, გვ. 192; П. Носевичани, Путевые записки по Кахети, გვ. 89; მისივე, Описание селения, გვ. 26, შენ. 28; წყობილ-სიტყვაობა, გვ. 260, შენ. 139. შემდეგში ამ აზრს იწყნარებდნენ და იმეორებდნენ დ. ბაქრაძე, პროფ. ა. ხახანაშვილი, პროფ. მ. ჯანაშვილი და სხვ.

³ თუმ, III, 1923, გვ. 117—120, 127.

⁴ Г. Чубинашвили, Архитектура Кахети, გვ. 563—569; ა. მამულაშვილი, იყალთოს აკადემია, თბ., 1948. იხ. მისივე, იყალთოს აკადემიის შენობა, „კომუნისტი“, 18. X. 38, № 240. შდრ. ე. თაყაიშვილი, მოგონებანი, 1958, № 8, გვ. 164.

იყალთოზე დამატებით იხ. M. Brosset, Rapports, II, გვ. 75—76; P. III მე რ-ლი, Азтарыхе преград в Грузии, „ქართული ხელოვნება“, III, 1950, გვ. 164—165; ი. არჯევანიძე, თბილისიდან ალაზნის ველისაკენ, გვ. 228—230.

იყალთოს აკადემიაში ისწავლებოდა იმდროინდელ სასწავლებლებში მიღებული ზოგადსაგანმანათლებლო დისციპლინები (ღვთისმეტყველება, ფილოსოფია, ასტრონომია, რიტორიკა, ვალობა და ა. შ.) და, საფუძვრებელია, გამოყენებითი მეცნიერების დარგებიც—მეტალურგია (მჭედლობა), აგრონომია (მევენახეობა-მეღვინეობა) და სხვა¹.

იყალთოს აკადემიას, უთუოდ, ჰქონდა მდიდარი წიგნსაცავი, რომლითაც სარგებლობდნენ როგორც ადგილობრივი მასწავლებლები, ისევე მსმენელიც. სამწუხაროდ, იქაურ ხელნაწერებს ჩვენამდე არ მოუღწევიათ (ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით გამოვლინებული არაა). ის რამდენიმე ხელნაწერი, რომელიც იყალთოდანაა შემოსული ჩვენს სიძველეთსაცავში, გვიანი ხანისაა და აკადემიის შესახებ ცნობებს არ შეიცავს².

იყალთოს აკადემიის დაარსება დაკავშირებულია ქართული კულტურის გამოჩენილ მოღვაწესთან, ცნობილ ქართველ ფილოსოფოსსა და სახელოვან მწერალთან არსენ იყალთოელთან³. მას კარგად იხსენიებენ და ახასიათებენ მისი თანამედროვე თუ მომდევნო ხანის მწერლები. უკვე მისი თანამედროვე ძველი ქართული მემატიანე, დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი ახსენებს „არსენის იყალთოელსა, თარგმანსა და მეცნიერსა ბერძენთა და ქართველთა ენათასა, და განმანათლებელსა ყოველთა ეკლესიათასა“⁴. „წელმწიფის კარის გარიგება“ არსენ იყალთოელს იხსენიებს როგორც უაღრესად საპატიო, სანდო და სარწმუნო პირს, იშველიებს მის ავტორიტეტს⁵.

ანტონ კათოლიკოსი საგანგებოდ გახაზავს არსენის ღრმა განსწავლულობასა და საფუძვლიან განათლებას, აღნიშნავს მის მრავალმხრივ მოღვაწეობას და მიიჩნევს დიდ მწერლად⁶.

იოანე ბატონიშვილის სიტყვით, არსენ იყალთოელი იყო „ღვთისმეტყველ-ფილოსოფოსი, და ფიზიკოსი, და ანატომიკოსი, ალილორიულთა შეთხზვათა შინა ქებული, საღმრთოთა საგალობელთა კეთილად დამთხზველი, უცხო და მალალი მესტიხე და საეკლესიოთა ტიბიკონთა მეცნიერი“⁷.

¹ ა. მ. მულაშვილი, იყალთოს აკადემია, გვ. 4, 23—32; ი. ყიფშიძე, უმაღლესი ტექნიკური განათლების ისტორიისათვის საქართველოში, თბ., 1953, გვ. 6. არ ვიცი, რას ემყარებოდა პროფ. ა. ხახანაშვილი, როდესაც წერდა იყალთოში ქართველებთან ერთად ბერძნებიც სწავლობდნენო (Экспедиции на Кавказ, МАК, VII, 1898, გვ. 8). იხ. აგრეთვე გ. თაყაიშვილი, უმაღლესი განათლების ისტორიისათვის საქართველოში, I, თბ., 1938, გვ. 48—54 და შმდ.

² იყალთოს ხელნაწერებზე იხ. მ. ხელაევი, საისტორიო მასალა, „მწყემსი“, 1835, № 22, გვ. 8—11; № 23. გვ. 9—10; ე. თაყაიშვილი, არქ. მოგზაურობანი და შენიშვნანი, I, გვ. 256—258. იხ. აგრეთვე А №№ 1041—1046; Н №№ 902—908.

³ არსენ იყალთოელზე იხ. კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, გვ. 273—284.

⁴ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 356.

⁵ წელმწიფის კარის გარიგება, გვ. 12.

⁶ წუბოილისიტყვაობა, გვ. 260—262. ტ. გაბაშვილსაც მოხსენიებული ჰყავს არსენ იბადის ძე ვიჩაძე, „კაცი ფილოსოფოსი და მთარგმნელი ღრმათა წერილთა, მოძღვარი დავით აღმაშენებლისა“ (მიმოსლვა, გვ. 82, 85, 123).

⁷ კალმასობა, II, გვ. 175. სხვათა შორის, უკანასკნელ ხანს არსენ იყალთოელს დაბეჯითებით მიიჩნევენ ანატომად (მ. შენგელია, არსენ იყალთოელი—ანატომი, „ახალგაზრდა კომუნისტი“, 16. IV. 55, № 46 (5994); მ. სააკაშვილი, ა. გელაშვილი, საქართველოს მედიცინის ისტორია, ტ. III, წიგნი I, გვ. 195—196; ი. ბერიტაშვილი, მოძღვრება ადამიანის ბუნების შესახებ საქართველოში, გვ. 138—139).

დავით რექტორის დახასიათებით არსენი იყო „აკცი ბრძენი და მეცნიერი და ელინურისა ენისა ზედმიწევნლი... და იყო მოძღუარი სამეცნიეროსა დავით აღმაშენებლისა მეფისა“¹.

როგორც ვხედავთ, ყველა ავტორი დადებითად ახასიათებს არსენ იყალთოელს და მას წარმოგვიდგენს დიდ მოაზროვნედ და მაღალნიჭიერ მწერლად. არსენ იყალთოელის სახელით მოღწეული კულტურულ-ლიტერატურული მემკვიდრეობის გაცნობა უცილობელს ხდის ზემოდასახელებულ ავტორთა ცნობების უტყუარობას.

ტრადიციული ცნობებით, არსენი იყო იბადის ძე, გვირად ვაჩნაძე (ტ. გაბაშვილი, თეიმურაზ ბატონიშვილი, დავით რექტორი), კახი (ვახუშტი და იოანე ბატონიშვილები), სოფელ იყალთოდან (თეიმურაზ ბატონიშვილი). განათლება მიიღო კონსტანტინოპოლში, საიდანაც დაბრუნდა 1114 წელს და მოღვაწეობა განაგრძო გელათში. არსენი ახლოს იყო დავით აღმაშენებელთან (ტ. გაბაშვილი, დავით რექტორი, თეიმურაზ ბატონიშვილი), მისი მხარდაჭერითა და დახმარებით დააარსა აკადემია იყალთოში 1120 წლის ახლოს. უკანასკნელად მოღვაწეობდა შიომღვიმეში².

რა შეიძლება დავადასტუროთ ამ ტრადიციული ცნობებიდან?

არსენის გვარის შესახებ გადაჭრით ვერას ვიტყვი, მხოლოდ შევნიშნავთ, რომ მაყაშიელთა გადმოცემით არსენ იყალთოელი ამ საგვარეულოს წარმომადგენელი ყოფილა³. დღეს ცნობილი მასალებით არ ხერხდება გარკვევა იმისა, არსენი ვაჩნაძე იყო, მაყაშიელი თუ სხვა გვარისა. არც ის ჩანს, რომ არსენი ნამდვილად იბადის ძე იყო⁴. ხელნაწერი მემკვიდრეობის საფუძველზე არსენ იყალთოელი ვაჩეს ძედაა მიჩნეული.

საკამათო არაა, რომ არსენ იყალთოელმა ღრმა და საფუძვლიანი განათლება მიიღო კონსტანტინოპოლში, მანგანის აკადემიაში. შემდეგში, მე-11 ს. ოთხმოციან წლებში, ის ეთრემ მცირესთან მოღვაწეობდა შვე მთაზე, ხოლო თავისი ხელმძღვანელის გარდაცვალების შემდეგ კვლავ მანგანას დაუბრუნდა. 1114 წელს დავით აღმაშენებლის მოწვევით ის სხვა ქართველ ცნობილ მწიგნობრებთან ერთად ჩამოვიდა საქართველოში⁵. ამის შემდეგ არსენი ერთ ხანს გელათის მონასტერში მოღვაწეობდა, ხოლო შემდეგ იყალთოს აკადემია დააარსა.

¹ ე. თაყაიშვილი, არქ. მოგზაურობანი და შენიშვნანი, I, გვ. 94. არსენის ფილოსოფოსობას აღნიშნავს თეიმურაზ ბატონიშვილიც (ისტორია დაწვებითგან ივერიისა, გვ. 282—283).

² А. Муравьев, Грузия и Археина, I, გვ. 192; П. Носелиани, Путевые записки по Кавказу, გვ. 88; Д. Бахрадзе, Кавказ в древних памятниках христианства, გვ. 57; საქ. სამოთხე, გვ. 530, შენ.; А. Хаканов, Экспедиции на Кавказ, МАК, VII, 1898, გვ. 8.

³ ე. თაყაიშვილი, არქ. მოგზაურობანი და შენიშვნანი, I, გვ. 255. А № 1044, 1r.

⁴ М. Brosset, Addit., გვ. 205; მ. ჯანაშვილი, მოსე ხონელი და მისი ამირან-დარეჯანიანი, თბ., 1895, გვ. 41; მისივე, ქართული მწერლობა, II, გვ. XX, LXIV.

⁵ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 334; შდრ. ქრონიკები, I, გვ. 225, 241. აღნიშნული ცნობა შემოუნახავს „ქართლის ცხოვრების“ რამდენსამე ხელნაწერს (S №№ 25, 4770; A № 131; H № 2080).

არსენ იყალთოელის სიახლოვე დავით აღმაშენებელთან უცილობელი ფაქტი უნდა იყოს. მართალია, პირდაპირი ცნობებით არ ჩანს, რომ არსენი დავითის მოძღვარი იყო¹, მაგრამ ახლო დამოკიდებულება კი საკამათო არ უნდა იყოს. ჯერ ერთი, დავით აღმაშენებელი თვით ცდილობდა განათლებული პირების შემოკრებას და მათთან მჭიდრო კონტაქტის დამყარებას. საფიქრებელია, ის თვით ეცდებოდა ახლო ჰყოლოდა ისეთი განსწავლული მწიგნობარი, როგორც არსენ იყალთოელი იყო². მეორე — იყალთოს აკადემიის დაარსება დიდი მნიშვნელობის ნოვლემა იყო და თუნდაც ამ წამოწყების განხორციელების გამო მეფე და აკადემიის დამაარსებელი დაახლოვდებოდნენ. შემდეგ: თავისი ცხოვრების უკანასკნელი პერიოდი არსენმა შიომღვიმეში, — დავითის საყვარელ მონასტერში, — გაატარა. სავარაუდებელია, ისინი ხშირად ხვდებოდნენ ერთმანეთს ამ ძველ ქართულ საფანეში (ამ ვარაუდს საფუძველს უმაგრებს არსენ იყალთოელის მიერ თარგმნილი დოგმატიკონის მინაწერი)³. არც ისაა ინტერესმოკლებული, რომ „ველმწიფის კარის გარიგების“ ცნობით, არსენ იყალთოელს დაუწერია ეპიტაფია დავით აღმაშენებლისა⁴.

როგორც აღვნიშნეთ, ცხოვრების უკანასკნელი წლები არსენმა შიომღვიმეში გაატარა. იოანე ბატონიშვილის ცნობით, ის იქვე აღესრულა⁵. დაბეჯითებით ვერას ვიტყვიტ არსენის გარდაცვალების ადგილის შესახებ, ოღონდ დავსძენთ, რომ არსენის საფლავს ახლაც უჩვენებენ იყალთოს მონასტრის სამების ეკლესიაში. ზემოხსენებული ეპიტაფია საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ არსენი 1125 წლის შემდეგ გარდაიცვალა⁶.

აი, ყველაფერი ის, რაც ვიცით ჩვენ იყალთოსა და იქაურ მოღვაწეთა შესახებ⁷.

¹ არსენ იყალთოელი არ ყოფილა არც კათოლიკოსი (საქ. სამოთხე, გვ. 350; მ. ჯანაშვილი, საქართველოს საეკლესიო ისტორია, გვ. 71. შტრ. გვ. 79) და არც ეპისკოპოსი (И. Иоселиани, Описание Шпотишской пустыни, გვ. 17—18; А. Хахапов, Экспедиции на Кавказ, МАК, VII, 1898, გვ. 8; ველმწიფის კარის გარიგება, გვ. 21).

² მემბტიანის ცნობით, არსენი ქართველ-სომეხთა სარწმუნოებრივ პაექრობასაც დასწრებია და მონაწილეობაც მიუღია (ქართლის ცხოვრება, I, გვ. 356).

³ იხ. ზემოთ გვ. 192.

⁴ აღნიშნული ეპიტაფია ბევრჯერ დაიბეჭდა („ცისკარი“, 1863, № 1, გვ. 60—61; „მწვეში“, 1884, № 18, გვ. 10; 1885, № 22, გვ. 9; 1897, № 8, გვ. 14; „მოამბე“, 1903, IV, გვ. 63—64; „თემი“, 1915, № 209; „თეატრი და ცხოვრება“, 1916, № 18, გვ. 16 და ა. შ.). ზოგი მას ხალხურად მიიჩნევდა (ქართული ქრისტიანობა, II, 1846, გვ. 242; ს. ცაიშვილი, თამარ მეფე ხალხურ სიტყვიერებაში, თბ., 1943, გვ. 76), ზოგი — თამარის ეპიტაფიად (ქრონიკები, II, გვ. 52); ზოგი მის ავტორად თეიმურაზ მეორეს ასახელებდა (А. Хахапов, Очерки, III, გვ. 155). „ველმწიფის კარის გარიგებამ“ საბოლოოდ გაარკვია, რომ დავითის ეპიტაფიის ავტორი არის არსენ იყალთოელი. შტრ. И. Мегрелидзе, Руставели и фольклор, Т., 1960, გვ. 248—259.

⁵ კალმასობა, II, გვ. 176.

⁶ რუის-ურბნისის კრების დადგენილების ზოგიერთი ხელნაწერი არსენს 1103 წლისათვის გარდაცვლილად მიიჩნევს (საქ. სამოთხე, გვ. 530), რაც, რასაკვირველია, შეცდომაა.

⁷ გადმოცემით იყალთოს აკადემიაში თითქოს შოთა რუსთაველსაც უსწავლია (მ. ჯანაშვილი, მოგზაურობა კახეთში, „დროება“, 1881, № 116. შტრ. И. Мегрелидзе, Руставели и фольклор, გვ. 29, 32, 51, 54, 284).

თელაეის ჩრდილო-დასავლეთით, ოციოდე კილომეტრის დაშორებით, ალაზნის ველზე (მდინარის მარცხენა ნაპირზე) აღმართულია ქართული არქიტექტურის ღირსშესანიშნავე ძეგლი — ალავერდის ტაძარი, რომლის ცადატყორცნილი გუმბათი და თეთრად შეღებილი კორპუსი შორი მანძილიდანაც კარგად მოჩანს, ხოლო მიახლოებისას სულ უფრო და უფრო ხიბლავს და აჯადოებს მნახველს.

ალავერდის საკათედრო საყდარი ერთ-ერთი უდიდესი და ულამაზესი ნაგებობაა ქართულ ხუროთმოძღვრულ ძეგლებს შორის. მის არქიტექტორს, ჩანს, სურდა მოეცა გრანდიოზული, კომპოზიციურად შეკრული შენობა. ძეგლი ქართული ხელოვნების მიღწევებისა და მონაპოვრის ჯეროვანი გამოყენებითა და საკუთარი შემოქმედებითი ნიჭის სრული გაშლით მან შესანიშნავად მიაღწია დასახულ მიზანს, მისი დიდებული ქმნილება ახლაც წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებს.

ალავერდის ტაძარს გარს აკრავს დიდი გალავანი, მყარი და მაგარი კედელი (ალაგ-ალაგ კოშკებით შემკული), რომელიც კათედრალის ბინადართ მტრისგან იცავდა.

ვახუშტი ბაგრატიონი ასე წარმოგიდგენს აღნიშნულ საყდარს: „შტორის-კეცს ზეით, ალაზნის დასავლით, არს ალავერდი, კახეთის მთის კალთის ველსა ზედა, დიდშენი, ზღუდე პალატებიანი, გუნბათიანი“¹.

ალავერდში ეკლესიის აგება და განდევილთა მოღვაწეობის დაწყება ადრეულ ხანას მიეწერება და დაკავშირებულია იოანე ზედაზნელის ერთ-ერთი მოწაფის იოსების სახელთან. იოანეს ბიოგრაფის ცნობით, „ნეტარისა იოვანეს მოწაფეთაგანმან აღაშენა ალავერდი, რომლისაგან გამოვლენ დიდნი საკვრველებანი“². ეს დადასტურებულია აბიბოს ნეკრესელის მარტილოზაშიც³. აღნიშნულ ავტორებთან არ ჩანს სახელი იოანე ზედაზნელის იმ მოწაფისა, რომელმაც ალავერდში ქართული მონასტერი დააარსა. საკითხის გარკვევაში დახმარებას გვიწევს იოანე ზედაზნელის მოწაფეთა სია, რომელშიც, სხვა მოწაფეთა გვერდით, იოსებ ალავერდელიცაა დასახელებული⁴. ცხადია, ესაა ის პირი, რომელიც იოანეს თანამოღვაწეთა შორისაა მოხსენიებული შიო მღვიმელის ცხოვრების მეტაფორასულ რედაქციაში⁵.

¹ აღწერა, გვ. 101. ცნობილია სახელი ალავერდი (საქ. სიძველენი, I, გვ. 482; III, გვ. 568; დოკუმენტები, I, გვ. 3, 131; მასალები, I, გვ. 119; ქართულ-სპარსული ისტ. საბუთები, გვ. 158), ალავერდა (საქ. სიძველენი, I, გვ. 299; დოკუმენტები, I, გვ. 93, 138, 281, 388; II, გვ. 211; ქართულ-სპარსული ისტ. საბუთები, გვ. 383), გვარი — ალავერდაშვილი (საქ. სიძველენი, I, გვ. 117; დოკუმენტები, I, გვ. 108, 301; ქართულ-სპარსული ისტ. საბუთები, გვ. 78—80).

² ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები, გვ. 66—67.

³ იქვე, გვ. 96.

⁴ იქვე, გვ. 2, შენ.

⁵ იქვე, გვ. 80.

ვახუშტი აღწერს რა ალავერდის განთქმულ საეპისკოპოსოს, ასახელებს მის დამაარსებელსაც: „ალაშენა იგ (=13) მამათაგანმან წმიდამან იოსებ და ყო მონასტერი“¹.

საკვლევ საკითხს შუქს ქვენს იოსებ ალავერდელის მოკლე სენაქსარული ცხოვრება, რომელიც გვიან ხანაშია (XVIII ს.) შექმნილი და მხოლოდ რამდენიმე ხელნაწერშია წარმოდგენილი². მის ავტორს ნაკლებად აქვს მოცემული ფაქტობრივი მასალა. მას სურს ხაზი გაუსვას იოსების დამსახურებას, წარმოაჩინოს მისი ღვაწლი, მაგრამ მიზნის მიღწევას ცდილობს არა ფაქტობრივი ვითარების აღწერით, არამედ არაარსებითი მასალის მოწოდებით. მიუხედავად აღნიშნულისა, ეს ძეგლიც ადასტურებს, რომ იოსები თან მოჰყვა იოანე ზედაზნელს და მოღვაწეობდა მისი ხელმძღვანელობით. შემდეგში იოსებმა იწყო სამოღვაწეო ადგილის შერჩევა, გადავიდა კახეთს, მივიდა იმ ადგილს, „რომელსა ეწოდების ალავერდი“ და „დაემკვდრა მას შინა ადგილთა უდაბნოთა, უშენთა და უვალთა კაცთაგან და უნაყოფოთა“. თავისი საქმიანობით იოსებმა მიიპყრო საზოგადოების ყურადღება, დიდებულთა დახმარებით ტაძარიც ააგო, მალე მთელი მხარე განანათლა; „ურწმუნოება სრულიად წარდევნა და ღუთისმსახურება ესრეთ პატიოსნად აღაორძინა და ადგილი ესე განავრცელა კაცთა მიერ და აღავსო კრებულითა სულიერითა“³.

იოსების მიერ დაარსებული მონასტერი მომდევნო ხანაში საკმაოდ გაძლიერდა.

მე-11 საუკუნეში იქ აშენდა დიდებული ეკლესია, რომელიც შემდეგში მიწისძვრამ საგრძნობლად დააზიანა.

მე-15 საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში კახეთის მეფემ, ალექსანდრემ (1476—1511), აღადგინა და განაახლა დანგრეული საყდარი. ანასეული „ქართლის ცხოვრების“ გადამწერი საგანგებოდ აღნიშნავს ალავერდის ტაძრის აღდგენაში ალექსანდრე მეფის, მისი დედის ნესტან-დარეჯანისა და მისი მეუღლის ანა დედოფლის ღვაწლს: „ესენი იყუნეს უმეტეს ყოველთა ქართლისა მეფეთა და მთავართა მორწაუნენი, მაშენებლნი ეკლესიათანი. რამეთუ ალავერდი წარტუხუნულ იყო წარმართთაგან, რომელ სხუათა მეფეთა ვერ ჰელ-ყო განწმენად და აღშენებად; ამით აღაშენეს და განწმიდნეს ყოვლისაგან ღუარძლისა, აღაშენნეს ცაჲ და გუმბათი და სამკრონი რაბამ რამე აღმატებულად და შემსგავესებულად, ვითარცა ჯერ იყო წინანდელთა ქმნულთა ნივთთა სიკეთითა და მოქმნულებისა შეუსწორებელობისა. და აღავსო სიწმიდეთა მიერ პატიოსანთა ნაწილთა წმიდათათა, წმიდათა ხატთა და სიწმიდისა სამსახურებელთა,

¹ აღწერა, გვ. 101. მისი ცნობით, ალავერდმა სახელი მიიღო „ალონის გამო, რომელ არს ალონ-გვერდს და შემდგომად ყრუსა უწოდეს ალავერდი“ (იქვე. შტრ. П. Иоселияни, Алавердский храм в Кахетии, КК, Т., 1845, გვ. 146; მისივე, Путевые записки по Дагестану в 1861 году, Т., 1862, გვ. 18. ამ საკითხზე განსხვავებული მოსახრებები წამოაყენეს აკად. ა. შანიძემ, პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგმა, პროფ. ბ. აღბოროვმა და სხვ. (იხ. Г. Чубиашвили, Архитектура Кахетии, გვ. 369).

² Н №№ 1672, 2077, 2121; S № 3269; საქ. სამთხე. გვ. 217—218. გამოქვეყნებულია მისი რუსული პერიფრაზიცი (М. Саганини, Полное жизнеописание, III, გვ. 29—34).

³ ძველ მწერალთა მოწმობითა და ადგილობრივი ტრადიციით იოსები ალავერდში დაკრძალული.

ყოვლად დიდებულთა ყოვლითა სიკეთითა, შესწირნა მრავალნი გლეხნი სამსახურებელად წმიდისა გიორგისა და მოწესეთა მისთათჳს¹.

ეს ფაქტი მემატიანეს ასე აქვს აღნიშნული: ალექსანდრემ (და ნესტანდარეჯანმა) „დაქცეული და დაძველებული აღუშენა ალავერდსა სამკერენი და გუმბათნი, და დაახატინა და შეამკო ჯუართთა და ხატითა, წიგნითა და ეკლესიის შესამკობელითა“².

როგორც მოტანილი ცნობებიდან ჩანს, ალექსანდრე ნეფეს ერთობ საყურადღებო მუშაობა ჩაუტარებია ალავერდის დანგრეული კათედრალის გასაწმენდად, აღსადგენად და გასაცხოველებლად. სპეციალისტთა დაკვირვებით, მის მიერ შეკეთებულსა და გადაკეთებულ ტაძარს აქა-იქ დღემდე შემორჩენია ალექსანდრეს მიერ აღდგენილი ადგილები (გუმბათი, ზოგიერთი კედელი).

ალავერდის ტაძარი არა ერთგზის დაურბევია და იქაური კრებული აუწიოკებია მტრის მომხდურ ლაშქარს. კახეთის მძიმე პოლიტიკური ცხოვრება შესაბამის კვალს აჩენდა ალავერდის ისტორიას. როგორც ერთი ძველი ქართველი მწიგნობარი შენიშნავდა „მრავალგზის მიეცა ტყუენვასა ქუეყანა ესე და უსჯულოთა მიმართ სრულიად ოხრებასა და უფროსლა მონასტერი ესე მრავალგზის სრულიადცა დაიპყრეს უსჯულოთა და თჳსად სამკვდრებელად შესცუალეს წმიდა ესე ადგილი და წარსტყუენეს“³. გასაგებია, მაჰმადიანების მისვლა და ალავერდში დასადგურება კარგს არას მოუტანდა ქართულ მონასტერს.

ალავერდს დიდი ვნება მიაყენეს სპარსელებმა მე-17 საუკუნის პირველ მეოთხედში, როდესაც შაჰ-აბასის მეომრები უღმობლად ელვტდნენ და აწიოკებდნენ ქართლ-კახეთის მოსახლეობას. მემატიანის ცნობით, შაჰ-აბასმა „გამოიღო ყოველივე საგანძური კახეთისა, და შემუსრა ქელითა თჳსითა წმინდა გიორგი ალავერდისა, და შემუსრნა პატიოსანნი ხატნი და ჯუარნი, და შემოსძარცუნა პატიოსანნი თუალნი და მარგალიტი... და შეაგინა წმიდანი ეკლესიანი კახეთისანი“⁴.

სპარსელთა მიერ ალავერდის ტაძრის ხელყოფას თეიმურაზ პირველი სპეციალურად აცნობებდა რუსთა ხელმწიფეს: „В нашей же земле монастырь великово чудотворца Георгия, а в нем была иконолия, и тот монастырь разорен до основанья, в церкви был поставлен шахов шатер, и в том шатре шах сам стоял с месяц и, наругаясь нашей истинной православной христьянской вере, блуд всякой творил, чтоб осквернить божию церковь“⁵.

მტრის მიერ დარბეულსა და აკლებულ მონასტერში გარკვეული აღმშენებლობითი სამუშაოები ჩაატარა როსტომ მეფემ. არსენ ავალიშვილისადმი ბოძებულ სიგელში (1651 წ.) როსტომი წერს: „ძრვისაგან დაქცეული წმინდა

¹ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 363—364. შტრ. ქართლის ცხოვრება, ანა დედოფლისეული ნუსხა, გვ. 236.

² ქართლის ცხოვრება, II, გვ. 487. შტრ. Грив. церк. гуджари, გვ. 13.

³ საქ. სამოთხე, გვ. 218.

⁴ ქართლის ცხოვრება, II, გვ. 393.

⁵ Материалы по истории грузино-русских взаимоотношений (1615—1640). Документы к печати подготовил и предисловием снабдил М. Позневков, Т., 1937, გვ. 50.

მონასტერი ალავერდისა ხელახლად აღვაშენეთო¹. ამას ვახუშტიც ადასტურებს („როსტომ იწყო შენებად, არჩილ შეასრულა“)². მომდევნო ხანაში ალავერდი კვლავ სპარსელთა სადგომს წარმოადგენდა. მტერმა ის ციხე-სიმაგრედ აქცია, გაამაგრა და იქიდან უტევდა კახეთის მშვიდობიან მოსახლეობას. მემპტიანე წერს: „თათართა ეპყრა მონასტერი ალავერდი ციხედ და იყენენ შიგა და სხუაცა მრავალი ადგილი კახეთისა დაეპყრათ, ბახტრიანი ციხედ ჰქონდათ“³.

1659 წელს აჯანყებულმა ქართველებმა ბახტრიონის ციხე აიღეს და ალავერდში გამაგრებული მაჰმადიანებიც ამოწყვიტეს; ბახტრიონიდან „მიპყუნენ... ჯოცითა, ჩავიდნენ ალავერდს და, რომელნიცა მუნ იყუნენ, თათარნი და ელი, რაც ესახლა, ყოველი მოსრეს პირითა მახვლისათა და ამოსწყუტეს“⁴. ამ საყოველთაო-სახალხო აჯანყების მესვეურებმა ალავერდიც გაათავისუფლეს თურქმანთა ჩამოსახლებული ტომებისაგან.

მე-18 საუკუნის ორმოციანი წლების დამდეგს მიწისძვრამ ერთხელ კიდევ დაანგრია და დააზიანა ძველი ტაძარი. ერთი ხელნაწერის მიხედვით, 1742 წელს „იქმნა ძრვა საშინელი ერთსა შინა დღესა ექვსგზის, და კახეთის სამეფოსა შინა პირუელი სამლუდელმაფრო ალავერდის ეკლესია დაიქცა“ (S № 2515, გვ. 4)⁵.

ალავერდის ტაძარი ამჯერად თეიმურაზ მეორის მეუღლის თამარის თაოსნობით იქნა აღდგენილი და განახლებული. აღდგენითი სამუშაოები მისმა ძემ, ერეკლე მეორემ, დაამთავრა.

ალავერდი აღრევე მძლავრ საეკლესიო ფეოდალურ სენიორიას წარმოადგენდა. იქ იყო მნიშვნელოვანი კათედრალი და საყურადღებო მონასტერი, რის გამოც ქართველი მეფე-დიდებულები უშურველად ეხმარებოდნენ მას. მოვიტანთ მხოლოდ რამდენიმე ცნობას ხსენებულ პირთა მიერ ალავერდისადმი დახმარების აღმოჩენის შესახებ. 1578 წელს ალექსანდრე მეორემ (1574—1605) შესწირა ყმა-მამული სოფ. კონდოლში; 1612 წელს თეიმურაზ პირველმა ანა დედოფლის მოსახსენებლად უძღვნა დიდი საბოძვარი⁶; 1650 წელს ზაალ ერისთავმა უბოძა ყმა-მამული⁷; 1651 წელს როსტომ მეფემ გაუთარხნა გლეხები⁸; 1675 წელს ქეთევან დედოფალმა (—არჩილის მეუღლემ)

¹ Акты, I, გვ. 18—19. როსტომის მიერ ალავერდის ტაძრის აღდგენის ცდას საგანგებოდ აღნიშნავს ფ. გორგიჯანიძე (იხ. მისი ისტორია, გვ. 53).

² აღწერა, გვ. 101.

³ ქართლის ცხოვრება, II, გვ. 434. აკად. გ. ჩუბინაშვილის დაკვირვებით, ალავერდის ტაძრის ეზოში სპარსული ხანისათვის სასახლეც აუგიათ მე-17 ს. პირველ მეოთხედში (იხ. მისი Архитектура Кавкази, გვ. 573—576).

⁴ ქართლის ცხოვრება, II, გვ. 438. ალავერდის მონასტერს დიდ ვნებას აყენებდნენ ლეკებიც (Груз. джор. акты, გვ. 15—16).

⁵ Е. Такашвили, Мат. для истории Грузии, გვ. 43—44. შდრ. გ. ბოკორიძე, ფურცელაანთელი ქრონიკა, „საისტორიო მოამბე“, 1925, I, გვ. 178 (იხ. აგრეთვე А. Цагарели, Сведения, ტ. I, ნაკვ. III, გვ. 296). ამ ფაქტს ადასტურებენ ვახუშტი და პაპუნა ორბელიანიც (ქართლის ცხოვრება, II (1854 წ.), გვ. 256, 353. შდრ. აღწერა, გვ. 101).

⁶ Груз. церк. гуджари, გვ. 13; ქრონიკები, II, გვ. 439—440; „საისტორიო მოამბე“, 1925, I, გვ. 146—154.

⁷ ისტ. საბუთები, IV, გვ. 32—33.

⁸ Акты, I, გვ. 18—19; Груз. церк. гуджари, გვ. 13.

უბოძა ყმა-მამული ს. ხოდაშენში¹; 1699 წელს ნაზარალიხანმა შესწირა გლეხები²; 1703 წელს მანვე უბოძა დიდძალი მამულები³; 1711 წ. ავთანდილ ამილახორმა დაუმტკიცა კასპელი გლეხები⁴; 1733 წ. სახლთუხუცესმა გივი ჩოლოყაშვილმა უბოძა უჯარმელი გლეხები⁵; 1743 წელს იესე სოლოლაშვილმა შესწირა ყმა-მამული⁶; 1745 წელს ერეკლე მეორემ ალავერდის ტაძარს დაუქანონა და დაუმტკიცა ორიანობაში კახეთს მისული ქართლელი წითურადენი⁷; 1757 წელს თეიმურაზ მეორემ და ერეკლე ზეორემ ქერემის ეპარქია გაყვეს და ერთი წილი ალავერდს უბოძეს⁸; 1761 წელს ერეკლემ ხარკაშენლის სამწყსოც ალავერდელს მიაბარა „ყამამდე მოხედვისა“ ხარკაშენის კათედრისა⁹. სულ უკანასკნელ ხანს, მე-19 საუკუნის დამდეგს (1811 წელს), ალავერდის სამწყსოში ითვლებოდა 113 ეკლესია, კათედრალს ეკუთვნოდა 342 კომლი გლეხი¹⁰. მოტანილი ცნობებით ნათელი ხდება თუ რაოდენ დიდ შეწირულებას იღებდა ალავერდის კათედრალი. აღნიშნული გარემოება კი მას დღითი დღე აძლიერებდა და ამდიდრებდა.

ალავერდელი ეპისკოპოსი თუ მიტროპოლიტი დიდი პატივით სარგებლობდა ქართველ მღვდელმთავართა შორის. ძველად ის შეექცეს ადგილზე იყო კათოლიკოსის, კყონდილის, სომხითის მიტროპოლიტის, მთავარეპისკოპოსისა და მაწყვერლის შემდეგ¹¹, ხოლო გვიან ხანაში სომხითის მიტროპოლიტის პატივიც მას მიაბყრეს¹².

ვახუშტის მოწმობით, ალავერდელის სამწყსო საკმაოდ მოზრდილი იყო. ალავერდს იჯდა „ეპისკოპოზი და მწყემსი თურდის-კეცს შტორს ზეით კახეთის მთად კავკასამდე, და უპირველეს კახთა ეპისკოპოზად“¹³.

ალავერდელი ზოგჯერ კათოლიკოსსაც კი ეკამათებოდა და მღვდელმსახურების წესების დამკველად გამოდიოდა¹⁴, ზოგჯერ მეფესთანაც ჰქონდა უთანხმოება და არ ეპუებოდა¹⁵. თავის მხრივ, კახეთის მეფეები ანგარიშს უწევდნენ ალავერდელს, ზოგიერთი მათგანი ალავერდელს თავისი პირადი საქმეების გარიგებასაც კი ანდობდა (მაგალითად, ავ-გიორგიმ 1511 წელს

¹ ისტ. საბუთები, III, გვ. 52—53.

² Груз. церк. гуджари, გვ. 14—15.

³ იქვე, გვ. 15.

⁴ ისტ. საბუთები, V, გვ. 23—24.

⁵ Груз. церк. гуджари, გვ. 16.

⁶ ისტ. საბუთები, V, გვ. 61—62.

⁷ იქვე, გვ. 63.

⁸ Груз. церк. гуджари, გვ. 18; გუჯარები, გვ. 98—102; ქართლ-კახეთის მონასტრების საბუთები, გვ. 255—256.

⁹ ქართლ-კახეთის მონასტრების საბუთები, გვ. 254—255.

¹⁰ Акты, IV, გვ. 164.

¹¹ იხ. ზემოთ გვ. 125, შენ. 6.

¹² ე. თაყაიშვილი, არქ. მოგზაურობანი და შენიშვნანი, I, გვ. 87. იხ. აგრეთვე Ad № 155.

¹³ აღწერა, გვ. 101.

¹⁴ მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 123.

¹⁵ Сводения России с Кавказом. Материалы, извлеченные из Московского главного архива МИД С. Б е л о ж у р о в ы х, I, 1578—1613, М., 1889, გვ. 164, 180, 185. შდრ. ი. ჯაფარიშვილი, ქართველი ერის ისტორია, IV, გვ. 343—344.

თავისი „კოდვის საქმის“ გასაბჭობად იოანე ალავერდელიც მიიწვია)¹, სასულერო-საეკლესიო საკითხებზე ეთათბირებოდა და ა. შ. (ალავერდელი კახეთში პირველობას იჩემებდა და მცხეთის ეკლესიისაგან დამოუკიდებლობის მოპოვებას ცდილობდა. პოლიტიკური მოსაზრებით ამაში მას კახთა მეფეებიც უჭერდნენ მხარს)².

თეიმურაზ მეორე საგანგებოდ აღნიშნავდა ერთ სიგელში: „ალავერდი ჩვენს მამა-პაპათ აემალღებინათ და უმეტეს ყოველთ კახთ ეპისკოპოსთაგან განელიდა და გვირგვინოსან ექნა ალავერდელი და მისი წინააღმდეგი და უნდომი და დაუმოწმებელი კახთეპისკოპოზებისა კურთხევაჲ არ იქნებოდა“³. 1764 წელს ერეკლე მეორეც ადასტურებდა, რომ ალავერდის მწყემსმთავარი განსაკუთრებული პატივით სარგებლობდა⁴.

ალავერდი ხშირად მეფეთა სამყოფს წარმოადგენდა. ჯერ კიდევ მე-10 საუკუნის დამდეგს ალავერდს მივიდა სალოცავად აფხაზთა მეფე კონსტანტინე⁵. თეიმურაზ პირველი იქ იღებდა აბას მეორის დესპანებს⁶. ალავერდში იდგნენ რუსთა ელჩებიც (მაგალითად, 1589 წლის 9—10 ოქტომბერს იქ იყო ს. ზენიგოროდსკი)⁷. მე-17 საუკუნეში იქ ხდებოდა რუსთა ელჩებს თეიმურაზ პირველი⁸. გვიან ხანაში იქვე ცხოვრობდა კათოლიკოსი ანტონ მეორე, რომელიც ალავერდელადაც ითვლებოდა⁹.

ალავერდი ქართველ მეფეთა საკრძალავად იყო მიწნეული. იქ კრძალავდნენ კახთა მეფეებსა თუ მათი ოჯახის წევრებს. ალავერდში დაასვენეს ქეთევან დედოფლის გვამის ნაწილი, იქ არიან დაკრძალულნი ალექსანდრე I კახთა მეფე, თეიმურაზ პირველი, მარიამ-მაკრინე ბაგრატიონი, დედოფალი ანა და სხვანი.

ამრიგად, მე-6 საუკუნის მეორე ნახევარში გაშენებული მონასტერი ქართველ მეფე-დიდებულთა დახმარებით საკმაოდ მძლავრ კათედრალად იქცა. მიუხედავად მტრის მიერ არა ერთჯერის დარბევისა და მიწისძვრით რამდენჯერმე დანგრევისა, ძველი ქართული ნაგებობა დღემდე კარგადაა შემონახუ-

¹ ისტ. საბუთები, III, გვ. 45. შდრ. ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, IV, გვ. 720.

² ბე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან XVI—XVII საუკუნეთა მიჯნაზე, მასალები საქ. და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 22, 1944, გვ. 89.

³ ქართლ-კახეთის მონასტრების საბუთები, გვ. 252—253.

⁴ იქვე, გვ. 241—242; Грив. церк. гуджари, გვ. 19.

⁵ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 264.

⁶ Посольство князя Мышенского и дьяка Ключарева в Кахетию (1640—1643). Документы издали и введешном спабднх М. Полкенин, Т., 1928, გვ. 144, 146—147. სხვათა შორის, ე. მიშეკი საყურადღებო ცნობებს გვაწვდის ალავერდის მდგომარეობის შესახებ (შდრ. ი. ცინცაძე, ზეოთმოდღერებისა და ხელოვნების ძეგლების მოვლის საკითხისათვის, „საბჭოთა ხელოვნება“, 1960, № 1, გვ. 18).

⁷ Спомениа России с Кавказом, გვ. 155—156.

⁸ Материалы по истории грузино-русских взаимноотношений, გვ. 256, 258—259, 261, 265, 274, 281, 289, 359—360, 419. შდრ. ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, V, თბ., 1953, გვ. 55—56.

⁹ კალმასობა, II, გვ. 190—191; ბ ა გ რ ა ტ ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, ახალი მოთხრობა, გვ. 69.

ლი. დღეს ის დაკულია სახელმწიფოს მიერ როგორც ქართული ხუროთმოძღვრების ბრწყინვალე ძეგლი¹.

ალავერდი მხოლოდ საეკლესიო ცენტრს არ წარმოადგენდა. სხვადასხვა დროს იქ მოღვაწეობდნენ ქართული კულტურის უანგარო მუშაკები, მწერლები, ხელნაწერთა გადამწერნი და მკაზმავნი. რომელნიც ღამეებს ათენებდნენ ეტრატის ფოლიანტებზე მუშაობაში. ალავერდის კულტურულ-საგანმანათლებლო კერიდან ჩვენთვის ცნობილია რამდენიმე პირი, სახელდობრ, ფილიპე ალავერდელი, ზებედე მთავარეპისკოპოსი, ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი, მარიამ-შაქრინე ბაგრატიონი, კირილე ამირანიძე და იოანე ლარაძე.

ფილიპე ალავერდელი (XVI—XVII სს.) ახლოს იყო სამეფო კართან, მკიდრო ურთიერთობა ჰქონდა დავით კახთა მეფესთან. ამ უკანასკნელის ცნობით, ალექსანდრე კახთა მეფეს „ჰყუეს... საღმთონი მღრდელთმოძღვარნი თავისა თვისისანი, ერთი საკედმპყრობლად ეკლესიისა მის მოწამეთ შორის უძლეველისა გიორგისა, სამთავროსა მას ალავერდისასა, და სახელი მისი ფილიპე“ და მეორე — ზაქარია ბოდბელი. ისინი „ღირსნი და წარჩინებულნი და წარმატებულნი იყუნეს წიგნთა სამეცნიეროთა სულაძვრით მოყვარე, გარნა მრავალნი წიგნნი საფილასოფოსო ჰქონდა წმინდათა მამათა მიერ თარგმნილნი“². როგორც დავით მეფე გვაუწყებს, მას ამ პირთა რჩევით დაუწყია „ქილილა და დამანას“ გადმოთარგმნა სპარსული ენიდან. უთუოდ, საგულისხმო ფაქტია: სასულიერო პირი, გამოჩენილი მღვდელმთავარი საერო წიგნის თარგმნისკენ მოუწოდებდა ქართველ მეფეს.

ფილიპე ალავერდელს წიგნებიც მიუძღვნია თავისი კათედრალისთვის. ასე, მაგალითად, ალავერდს შესწირა მან ეთრემისეული სამოციქულო შემკული არსენ იყალთოელის იამბიკოებით (A № 482)³.

მე-17 საუკუნის პირველ ნახევარში ალავერდის მონასტერში მოღვაწეობდა ზებედე მღვდელ-მონაზონი, შემდგომში მთავარეპისკოპოსი⁴.

¹ П. Иоселиани, Алавердский храм в Кахетии, КК, Т., 1815, გვ. 146—150; მისივე, Путевые записки по Кахетии, გვ. 61—75; А. Муравьев, Грузия и Армения, I, გვ. 156—190; М. Brosset, Rapports, II, გვ. 64—73; ი. სულხანოვი, ეკლესია ალავერდისა და წმიდა მოწამე დედოფალი ქეთევან, „საქართველოს სასულიერო მახარებელი“, 1865, I, გვ. 177—187; Д. Бахრაдзе, Кавказ в древних памятниках христианства, გვ. 6—7; მ. ხელაევი, საისტორიო მასალა, ალავერდის სობორო, „მწყემსი“, 1885, № 3, გვ. 6—9; № 4, გვ. 7—9; ალავერდის ტაძარი, „კვალი“, 1893, № 6, გვ. 11—13; ნ. ჩხიკვაძე, ალავერდის ტაძარი და წმინდა მოწამე ქეთევან დედოფალი, „ივერია“, 1893, № 51; А. Хачапов, Экспедиции на Кавказ. МАК, VII, 1898, გვ. 8—19; მათე, ს. ალავერდი, „ივერია“, 1900, № 203; გ. ჩუბინაძე, ქართული ხუროთმოძღვრება საშუალო საუკუნეებში და მისი სამი მთავარი კათედრალი, „არილი“, თბ., 1925, გვ. 107—126; მისივე, Архитектура Кахетии, გვ. 369—404, 525—528 და შმდ.; Ш. Ахрианишвили, История грузинского искусства, I, გვ. 158—162; ი. არჯევანიძე, თბილისიდან ალაზნის ველისაკენ, გვ. 237—239.

² ა. ბარამიძე, ნარკვევები, I, გვ. 355; ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, II, გვ. 338.

³ Опис. рукописей (A), II, გვ. 45—46. ფილიპე ალავერდელს რამდენჯერმე იხსენიებს არჩილი (არჩილიანი, II, გვ. 42, 88).

⁴ კ. გრიგოლია, ზებედე მღვდელმონაზონი და მისი ანდერძი, აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს საზ. მუზეუმის მოამბე, XVII—ნ, 1953, გვ. 49—59.

ზებედე თავდაპირველად დადიანების საფლავის (წალენჯიხაში) წინამძღვარი იყო და როგორც წინამძღვარი და სულიერი მამა ლაშქრობაშიც ახლდა ლევან დადიანს. კერძოდ, როდესაც ეს უკანასკნელი კახთა მეფის საშველად გამოეშურა, ზებედეც ახლდა თან. ამ ლაშქრობისას (1615—1616 წწ.) ზებედემ გეგუთში შეისყიდა ალავერდის სახელგანთქმული ოთხთავი (A № 484). სათანადო მინაწერში ქართული ხელნაწერების შენახვა-დაცვით დაინტერესებული ზებედე გვაუწყებს: „მივედით გეგუთს იმერეთს მეფეთ-მეფობასა გიორგისსა. მუნ მოილეს კაცთა სარწმუნოთა და ვიყიდე ჩემითა ალალითა თეთრითა და განემზადე სადა იგი დამარხვად ვარ“¹.

სამეგრელოში ზებედე დიდხანს აღარ დარჩენილა². ის ქართლს გადმოსულა (წარმოშობით ქართლელი უნდა ყოფილიყო) და ზოგიერთი ხელნაწერიც (მაგალითად, ცაიშის გულანი) თან წამოუღია. წალენჯიხის წინამძღვრის სვიმონ კილაძის ცნობით, ზებედეს სამეგრელოდან წამოღებული ხელნაწერები დააბრუნებინეს³.

ქართლში ზებედე აქტიურად ჩაება საზოგადოებრივ ცხოვრებაში. როდესაც ზურაბ ერისთავმა ტახტი თეიმურაზს ჩამოართვა და სვიმონ-ხანს გადასცა, ზებედემ ის სასტიკად გაკიცხა ამ მოქმედებისათვის⁴. საგულისხმოა, რომ ზურაბმა შემდეგში კვლავ თეიმურაზი დააბრუნა ტახტზე. ჩანს, ზებედესა და თეიმურაზის სხვა მომხრეთა გამოსვლას უშედეგოდ არ ჩაუვლია. ზებედე მღვდელ-მონაზონი ეროვნულ ნიადაგზე იდგა და ქვეყნის კეთილდღეობისათვის მებრძოლთა რიგებში იღვწოდა⁵. შემდეგში მას კახეთის სამეფოში ვხვდავთ, თეიმურაზის წრეში. ჩანს, ზებედე ქართლიდან გაძევებულ თეიმურაზს გადაჰყვა კახეთში და ალავერდში დასადგურდა. თუ ადრე ის თავისთავს ასე უწოდებდა: „სახითა ოდენ მონაზონი, ხოლო საქმით ჩემებული მღვდელობისა წინამძღვარი ზებედე“, კახეთში მთავარეპისკოპოსობამდეც კი აღწევს (1612 წელს თეიმურაზ პირველი ახსენებს „ამბა ალავერდელსა მთავარეპისკოპოსსა სულიერს მოძღვარს ზებედეს“)⁶.

ზებედე ალავერდში ჩანს მე-17 საუკუნის ოცდაათიანი წლების მიწურულშიც. 1639 წელს ის იქ ხვდება და ეკამათება რუსეთიდან მოსულ სამღვდელო პირთ⁷. საგულისხმოა, რომ რუსებთან პაექრობისას ის მაინცდამაინც

¹ იქვე, გვ. 50. ზებედეს ანდერძი შეიცავს მრავალ საყურადღებო ცნობას.

² აკად. ვ. თაყაიშვილმა მარტივლად და ხობში ნახა ზებედეს სახელით შეწირული ვერცხლის ნივთები (არქ. მოგზაურობანი და შენიშვნანი, II, გვ. 71, 156) ძნელია თქმა, ეს ზებედე წალენჯიხელია თუ სხვა ვინმე. აქვე აღვნიშნავთ, რომ ზებედე დასავლეთ საქართველოს მოღვაწეთა შორის იხსენიება ჯერის მონასტრის აღაპებში (აღაპნი ჯუარის მონასტრისანი, გვ. XXIV).

³ ვ. თაყაიშვილი, არქ. მოგზაურობანი და შენიშვნანი, II, გვ. 191—192.

⁴ მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის. გვ. 124.

⁵ ზებედეს სამეგრელოდან გადმოსვლას ასე ხსნიან: ვიდრე ლევან დადიანი ეროვნულ ნიადაგზე იდგა, ზებედე მას ემხრობოდა. როდესაც ლევანი თავისი სამთავროს ვიწრო კუთხური ინტერესებისათვის სპარსეთს დაუახლოვდა, ზებედემ მას ზურგი შეაქცია და ქართლს მოაშურა (პროფ. კ. გრიგოლია).

⁶ ქართლ-კახეთის მონასტრების საბუთები, გვ. 242—243.

⁷ Материалы по истории грузино-русских взаимоотношений, გვ. 260—265, 267—270, 272, 275, 281—283, 295, 298, 303, 316, 318, 334 და შმდ.

განსწავლულ პირად ვერ იჩენს თავს¹, კერძოდ, კარგად არ იცის ალავერდის ისტორია².

ზებედე ალავერდელი ქართული კულტურის ისტორიაში დარჩა როგორც ძველი ქართული ხელნაწერების მოყვარული და დამცველი პირი. თუ ჩვენ გვაქვს ალავერდის დიდებული ოთხთავი, ეს ზებედეს დამსახურებაა. მან გადაარჩინა იგი, შეისყიდა გეგუთში და უბოძა ალავერდის კათედრალს. რომ არა ზებედეს უნაგარო მოქმედება, შესაძლებელია, ხსენებული ოთხთავიც ისე დაკარგულიყო, როგორც დაიკარგა ძველი ქართული წერილობითი კულტურის მრავალი დიადი ძეგლი³.

მე-18 საუკუნის პირველ მეოთხედში ალავერდში მოღვაწეობდა ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი. ის საკმაოდ ზრუნავდა ქართული ხელნაწერების დაცვასა და გამრავლებაზე. მისი ბრძანებითაა გადაწერილი დიდი ხელნაწერი „საღღესასწაულო თუენი“, რომელიც ნაწილებადაა წარმოდგენილი საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტში (A № 366, A № 379, A № 380), ის 1714—1716 წწ. გადაუწერიათ დემეტრე მგალობელსა და ზაქარია ქალაიშვილს „ბრძანებითა ამბა ალავერდელის ნიკოლოზისაჲთა და წარსაგებელითა საფასეთაჲთა ძმისწულისა მისისა ჩოლოყაშვილის სახლთხუცის ედიშერისა და თანამეცხედრისა მისისა კახის ბატონის ასულის მარიამისაჲთა“⁴.

ამავე ნიკოლოზ ალავერდელს⁵ დაუხსნია ტყვეობიდან „მარბეველთაგან“ გატაცებული მარხვანი მე-16 საუკუნისა (A № 1404).

როგორც ერთი ხატის წარწერიდან ირკვევა, ნიკოლოზს აღმშენებლობითი საქმიანობაც უწარმოებია ალავერდში: „მრავლითა გულსმოდგინებითა და ფრიადითა საფასისა წარგებითა მოვაქედინეთ ხატი ესე წმიდისა გიორგისა ალავერდისა და კუალად ამისა შემდგომად ლორთინითა დავხურეთ წინა-სამხროჲ ქვთა და დაბალნი სამხრონი ურთხელისა ფიცრითა... მერმე გკრგვნი ქვთა ან ოქროთი შევამკვეით და სახარება მოვაქედინე ოქროთი სრულად და გალავანი დარღუძული განვაახლე მეფობასა დავითისასა, ქორონიკონსა უთ (= 1721)“⁶.

¹ შტრ. К и р и о н, Культурная роль Иверии в истории Руси, Т., 1910, გვ. 112—113.

² ი. ცინცაძე, რუსული თქმულების „დინარას“ საკითხისათვის, თსუ შრომები, X, 1939, გვ. 64—66. ეს, ალბათ, იმით აიხსნება, რომ ზებედე კახეთში არც თუ დიდი ხანია მოღვაწეობდა.

³ პროფ. ა. ხახანაშვილი ზებედეს მოღვაწეობას 1589—1651 წლებში დებდა (Экспедиции на Кавказ, МАК, VII, 1898, გვ. 16, 19). რუსი ელჩების მცდარი ცნობით, ზებედე 1609 წელს დაიბადა (Материалы по истории грузино-русских отношений, გვ. 371). ასევე მცდარ ცნობებს გვაწოდის ზ. კიკინაძეც (ქართული მწერლობა და ქართველი მწერლები მეჩვიდმეტე და მეთვრამეტე საუკუნეებში, გვ. 38).

⁴ Описание рукописей (A), I, გვ. 360—361, 366—267.

⁵ ხოლოყაშვილი ხშირად იხსენიება მე-18 ს. პირველი ნახევრის საბუთებში (Груз. церк. гуджари, გვ. 15; ქართლ-კახეთის მონასტრების საბუთები, გვ. 232—234, 244, 250—252). იმამყულიხანი მას ხარკაშნელადაც იხსენიებს (ქართლ-კახეთის მონასტრების საბუთები, გვ. 232—234). მას, მგონი, სამეზლობაც ჰქონდა („აკაკის თეიური კრებული“, 1899, IX, განყ. II, გვ. 118). ცნობილია სხვა ნიკოლოზ ალავერდელი ჩოლოყაშვილიც.

⁶ П. Иоселиани, Род князей Чолокаевых и мученик св. Влдиана Чолокаев, Т., 1866, გვ. 16—17.

ალავერდის ლიტერატურული კერის თვალსაჩინო წარმომადგენელი მარიამ-მაკრინე¹. მისი ბიოგრაფია დიდხანს არ იყო ცნობილი, ამიტომ მკვლევარნი ხშირად უხეშ შეცდომებს უშვებდნენ. ზოგს ის მე-16 საუკუნის მწერალი ეგონა², ზოგს — თეიმურაზ პირველის და³. დღეს, რამდენაღმე, გარკვეულია მისი ბიოგრაფიის ზოგიერთი საკითხი.

მარიამი, — ასული ერეკლე პირველისა, — დაბადებულია 1696 წლის ახლოს, მიუღია კარგი განათლება; იყო სწავლულ ქართულსა ენასა ზედა ფრიად⁴ (თეიმურაზ ბატონიშვილი). შეუსწავლია უცხო ენებიც (ბერძნულში გაწაფულა მიტრ. პართენიოსის ხელმძღვანელობით). მარიამი ადრე გათხოვილა, ცოლად გაჰყოლია ზემოხსენებული ნიკოლოზ ალავერდელის ძმის. დურმიშხან სახლთუხუცესის შვილს — ედიშერ ჩოლოყაშვილს, რომელსაც კახთა მეფის კარზე სახლთუხუცესის თანამდებობა ეკავა. 1714 წელს მარიამი უკვე გათხოვილად იხსენიება (A № 366), ხოლო 1716 წელს უკვე მონაზონია (A № 379). როგორც ირკვევა, მონაზვნად შედგომის მიზეზი დაქვრივება ყოფილა. ედიშერ ჩოლოყაშვილი ლეკებთან ბრძოლაში დაეცა, მარიამის სიტყვით, „კახეთის სალთუხუცესი ედიშერ ქვეყნისა ჩვენისა აღმაოკრებელთა უსჯულოთა და ხენეშთა ლეკთა მიერ წყობასა შინა აღსრულდა“, მეუღლემ ის ალავერდს დაქრძალა და თვითაც იქ დაიწყო მოღვაწეობა⁴. მარიამს მონაზვნად შედგომის შემდეგ მაკრინე ეწოდა⁵.

თავისი ცხოვრების მომდევნო წლები მარიამ მაკრინემ ალავერდის მონასტერში გაატარა „დიდისა მოღვაწეებითა კეთილითა და შრომითა საქებელითა“ (თეიმურაზ ბატონიშვილი). მისი გარდაცვალების თარიღი დაზუსტებული არაა. მოსაზრება — მარიამ-მაკრინე 1732 წელს გარდაიცვალა⁶, სწორი არაა. მას ჩვენ ვხვდებით 1736 და 1741 წლის დოკუმენტებში⁷. საფიქრებელია, მარიამ-მაკრინემ მე-18 საუკუნის შუა წლებამდე მიაღწია და თავისი ღვაწლმოსილი სხეული ალავერდის სავანეს მიაბარა (თეიმურაზ ბატონიშვილი).

მარიამ-მაკრინე ქართული კულტურის თავდადებული მუშაკია. ის ნაყოფიერად მოღვაწეობდა კულტურულ ლიტერატურულ ასპარეზზე. ძველი ხელ-

¹ კ. ქეკელიძე, მეურამეტე საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ეტიუდები, IV, გვ. 232—236, 241—251; მისივე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I⁴, გვ. 343—346. იხ. აგრეთვე მ. ჯანაშვილი, მაკრინე ბატონიშვილი, „სახალხო გაზეთი“, 1913, № 868; მისივე, მგოსანი მეფე დავითი და მისი დაი მაკრინა, „საქართველო“, 1919, № 94, 95; ლ. ასათიანი, ძველი საქართველოს პოეტი ქალები, გვ. 37—45.

² А. Хуханов, Очерки, III, გვ. 64.

³ П. Иоселиани, Краткая история груз. церкви, გვ. 46, 130; მისივე, Исторический взгляд на состояние Грузии под властью царей-магометан, T., 1849, გვ. 21.

⁴ ისტ. საბუთები, V, გვ. 38—44. შდრ. Груз. церк. гуджарк, გვ. 15—16.

⁵ კ. იოსელიანის მცდარი აზრით, მაკრინე იყო მეუღლე გარსევან ჩოლოყაშვილისა, მონაზვნად შედგომის შემდეგ ეწოდა მარიამი (П. Иоселиани, Под князем Чолоквашим, გვ. 10, 13).

⁶ П. Иоселиани, Путешествия записки по Кавказу, გვ. 71; მ. ჯანაშვილი; მგოსანი მეფე დავითი და მისი დაი მაკრინა, „საქართველო“, 1919, № 94; ლ. ასათიანი, ძველი საქართველოს პოეტი ქალები, გვ. 44.

⁷ Груз. церк. гуджарк, გვ. 87; ქართლ-კახეთის მონასტრების საბუთები, გვ. 252—253.

ნაწერი შემკვიდრობის შესწავლით ცხადი ხდება. რომ მარიამ-მაკრინე საკმაოდ პროდუქტიული მწიგნობარი ყოფილა. მას დაუწერია ორიგინალური შრომები: იოსებ ალავერდელის ცხოვრება (•ცხოვრებაჲ წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა იოსებ ამაჲ ალავერდელისაჲ, რომელი იყო ათორმეტთა მამათაგანი“) ¹, მისივე საგალობლები ² და ლეთისმშობლის შესხმა კიდურწერილობით: „მაკრინა არის გარდნომწერელი ლექსიკონისა ამის“ (H № 1740, 371 v) ³.

მარიამ-მაკრინე ცნობილია როგორც გაწათული კალიგრაფიც. მის გადაწერილ ნუსხათაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონი (H № 1740). მასვე გადაუწერია სვიმეონ თესალონიკელის „წიგნი სამოძღუროჲ“. მისი ხელნაწერიდან მომდინარე პირებს შენახული აქვთ მარიამ-მაკრინეს ანდერძი, რომლითაც ცხადი ხდება ამ მოღვაწის მუშაობის მიზანდასახულება: „ფრიადი შრომა დავსდევ ამას ზედა და გამოწლეილევით გამოვიძიე და სადაც რამ ეპპოვე, შეეპკრიბე და გაემართე... ფრანგთა და სომეხთაცა ჰქონდათ ესევეითარი აღსარების წიგნი. მეც ამისთვის დავშვერ, რამეთუ ჩვენდა არა სადა ყოფილიყო“ (H № 1242, 129 r—130 r; A № 1155, 25 v—26 v; Q № 427, 72 v—74 r).

მარიამ-მაკრინეს დაუწერია საბუთებიც, მაგალითად, თეიმურაზ მეორის სიგელი ნინოწმინდისადმი (1733 წ.) ⁴, მისივე სიგელი ალავერდისადმი (1741 წ.) ⁵, მასვე დაუწერია ნაწილი მისი ძმის დავით იმამყულიხანის ე. წ. ლეთაების გუჯარისა ⁶.

მარიამ-მაკრინე არა მარტო თხზავდა თუ წერდა, არამედ სხვებსაც მოუწოდებდა ლიტერატურული საქმიანობისაკენ. ის გვევლინება როგორც დაუცხრომელი ინიციატორი ძველი ქართული ხელნაწერების გამრავლებისა. ჩვენამდე მოღწეული ზოგიერთი ხელნაწერი (A №№ 366, 379, 380, 383) მისი „სათვასითა“ გადაწერილი დემეტრე მგალობლის, ზაქარია ქალაიშვილისა და გრიგოლ ორქოდაშვილის მიერ. თითოეული ხელნაწერი მოკაზმულია და შემკული მხატვრული, ლამაზი ასოებით. აღნიშნულ ხელნაწერთა მოკაზმვაში მარიამ-მაკრინეს უშუალო მონაწილეობა მიუღია ⁷.

მარიამ-მაკრინეს მრავალი ხელნაწერი შეუწირავს ქართული ეკლესიებისათვის. ალავერდის კათედრალს შესწირა მან „მცირე გულანი, თორმეტი თვე სრული და უნაკლულო პარაკლიტონით, მარხვანით და ზატყკით ყოვლითურთ განსრულებული“ ⁸ და სხვა წიგნები, ნინოწმინდას—სახარება ⁹, ნათ-

¹ იხ. ზემოთ გვ. 336, შენ. 2.

² H №№ 1672, 2077; S № 3269; A №№ 386, 387, 1637; ლ. ასათიანი, ძველი საქართველოს პოეტი ქალები, გვ. 46—70 რამდენჯერმე დაიბეჭდა „სადღესასწაულოში“.

³ ხელნაწერთა აღწერილობა (H), IV, გვ. 170—171. ერთი ცნობით, მარიამ-მაკრინეს ისტორიული ხასიათის ნაშრომიც ჰქონია (გ. ლეონიძე, გამოკვლევები და წერილები, გვ. 122).

⁴ ისტ. საბუთები, V, გვ. 46—48.

⁵ ქართლ-კახეთის მონასტრების საბუთები, გვ. 252—253.

⁶ ისტ. საბუთები, I.

⁷ Опис. рукописей (A), I, გვ. 360—361, 366—367, 377.

⁸ ისტ. საბუთები, V, გვ. 42.

⁹ ა. გ., საქართველოს სიძველეთა მორტუალეთა საყურადღებოდ, „ივერია“, 1902, № 70. იხ. აგრეთვე H № 3262.

ლისმცემლის მონასტერს — მაქსიმე აღმსარებლის ცხოვრება და თხზულებანი (A № 636)¹ და ა. შ.

ამრიგად, მარიამ-მაკრინე ბაგრატიონი ძველი ქართული კულტურულ-ლიტერატურული ფრონტის ერთ-ერთი საყურადღებო წარმომადგენელია. თავისი უანგარო მუშაობა მას უმთავრესად ალავერდის მონასტერში უწარმოებია.

მე-18 საუკუნეში ალავერდში ცხოვრობდა არქიმანდრიტი კირილე, რომელმაც არა ერთი წიგნი გადაწერა იქ. ასე, მაგალითად, 1760 წელს ერეკლე მეორის დავლებით ალავერდში „მუკლზედ გადასწერა“ (H № 1426, 284 v) სამართლის წიგნები თარგმნილი რუსული ენიდან (H № 1426). ის შემდეგში რუსეთს გამგზავრებულა და იქაც განუგრძია ქართული ხელნაწერების გაზრავლება. მაგალითად, იქ გადაუწერია სვინაქსარი, რომლის ანდერძში გვაუწყებს შემდეგს: „სვინაქსარი ესე აღწერე მე, უღირსმან ბერმან ამირანძემ არქიმანდრიტმა კირილემ, ჟამსა დიდათ მწირობისასა, რომელ ასტრახანს ვიწყე, ესრეთ უგვანად და ჩქარად წერად. თითო რვეულსა დღედ ვასრულებდი, და მოსკოვს შევასრულე აგვისტოს იწ (= 18), წელსა ჩღმე (= 1765)“ (A № 1486, 201 r).

შემდეგში არქიმ. კირილე მოსკოვში ცხოვრობდა. 1771 წელს იქ გადაწერა კონდაკი, რომელსაც დაურთო ქართული ტრანსკრიფციით შესრულებული რუსული ტექსტები (A № 1439). მგონი, ამავე პირს გადაუწერია ნაწილი სხვა კონდაკისაც (H № 977), ანდრია კრიტელის „დიდი კანონი“ (S № 3645) და ა. შ.

მე-18 საუკუნის მიწურულს ალავერდის მონასტერში მოღვაწეობდა იოანე ლარაძე. ის, იოანე ბატონიშვილის ცნობით, „აღზარდა საფილოსოფოსა სწავლასა შინა მზექაბუკ ორბელიანმან“; იყო „მშვენიერი მწერალი და კარგი დიალექტიკოსი“². იოანე ლარაძე შეძლებისდაგვარად მუშაობდა ლიტერატურულ არენაზე. მას უნდა ეკუთვნოდეს იამბიკო ანტონ მეორეზე (დავით რექტორის ცნობა)³. მასვე გადაუწერია ვახტანგის სამართლის წიგნი (A № 533). აკად. ე. თაყაიშვილს ევროპაში უნახავს სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონი გადაწერილი იოანე ლარაძის მიერ მზექაბუკ ორბელიანისათვის⁴.

¹ აღნიშნული ხელნაწერი დაუმზადებია იობ წინამძღვარს და მისი სურვილისამებრ მარიამ-მაკრინეს შეუწირავს ნათლისმცემლის მონასტრისათვის. მინაწერში მარიამ-მაკრინე იობის მოწოდებებს თავის თავს (A № 636, 44v). მარიამ-მაკრინეს დაუწერია ლექსი სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონზე (A № 1113, 339v). ოდნავ შეცვლილი სახით ეს ლექსი მეორდება რამდენიმე ხელნაწერში (A № 873; S №№ 386, 1608; 1609; Q № 401; H № 3132; არქ. ხელნ. № 106).

² კალმასობა, II, გვ. 202.

³ A № 1164, 119r—120r (ხელნაწერთა აღწერილობა (A), IV, გვ. 231). მასვე დაუწერია „ქრისტეს შობის მილოცვა ირაკლი მეფისადმი“ (S № 2588).

⁴ ე. თაყაიშვილი, ევროპაში ნახული ქართული ძეგლები და იქვე შეკრებილი ცნობები სხვა ქართულ სიძველეთა შესახებ, საქ. სსრ მეცნ. აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების XXIV სამეცნიერო სესიის მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, თბ., 1947, გვ. 7. იხ. აგრეთვე Sotheby, Catalogue of Fine Oriental Manuscripts, London, 1952, გვ. 8—9. დამოწმებულია დ. ლანგის მიხედვით (იხ. მისი The Last Years of the Georgian Monarchy, New York, 1957, გვ. 126, შენ. 11).

ერთი ხელნაწერი ლოცვანის მინაწერით, იოანე ლარაძე გარდაიცვალა ალავერდში 1804 წელს¹.

ალავერდის მონასტერში არსებობდა საკნაოდ მოზრდილი ბიბლიოთეკა, რომელიც იზრდებოდა და მდიდრდებოდა იქვე გადაწერილი თუ სხვაგან დამზადებული ხელნაწერი წიგნებით. გასულ საუკუნეში იქ ბევრი საინტერესო ხელნაწერი ნახეს პ. იოსელიანმა, მ. ხელაშვილმა, ზ. ჩხიკვაძემ, პროფ. ა. ხანაშვილმა. ალავერდის მონასტრის ზოგიერთი ხელნაწერი ახლა საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტში ინახება².

მ ა რ ვ ყ ო უ ი

დიდი სამამულო ომის დამთავრების შემდეგ ჩვენმა ხალხმა თბილისის სამხრეთ-აღმოსავლეთით ააშენა ახალი ქალაქი—რუსთავი, რომლის მშენებნას ამიერკავკასიის მეტალურგიული კომბინატი წარმოადგენს. ის გაშენებულია იმ ადგილას, სადაც ძველადვე არსებობდა ქართული ქალაქი რუსთავი, რომელსაც თავდაპირველად ბოსტან-ქალაქი ეწოდებოდა³. ლეგენდარული ცნობებით, ის თითქოს ქართლოსის მეუღლემ ააშენა⁴. მას საკნაოდ მნიშვნელოვანი სტრატეგიული მდებარეობა ჰქონდა და საყურადღებო როლს ასრულებდა ქართველთა ცხოვრებაში. გემატიანენი მას ერთობ ხშირად იხსენიებენ⁵. თეიმურაზ ბატონიშვილით, რუსთავი „ძველად სამთავრო ქალაქი იყო და საზამთროდ სადგური შეფუთა“⁶. მონღოლთა შემოსევის შემდეგ ძველი ქალაქი აოხრდა და განადგურდა.

რუსთავში ეკლესია აუშენებია თრდატ მეფეს⁷, ხოლო საეპისკოპოსო კათედრა დაუარსებია ვახტანგ გორგასალს⁸. ქალაქის მოსპობის შემდეგ რუს-

¹ Е. Такашвили, Арх. экзекуции, размышлений и заметки, IV, Т., 1913, გვ. 95. ცნობილია სხვა იოანე ლარაძეც (S №№ 10, 305, 387).

² მაგალითად, A №№ 205, 366, 379, 380, 382, 398, 401, 425, 482, 484, 544; H №№ 1426, 3091 და სხვ. გამოთქმულია მოსახრება, რომ ალავერდის მონასტერში ჩამოყალიბდა ერთი წყარო, რომელშიც კახეთის ისტორიული მასალები იყო მოცემული (ხ. კინცაძე, ქართული მწერლობა და ქართველი მწერლები მეჩვიდმეტე და მეთვრამეტე საუკუნეებში, გვ. 38; ი. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 324. შდრ. ი. კინცაძე, ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 272).

³ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 8—9. „ქართლის ცხოვრების“ ძველ სომხურ თარგმანში რუსთავს „რიშა“ ეწოდება. როგორც ირკვევა, „რიშა“ (← არიშა) რუსთავის ძველი სახელწოდებაა (ქართლის ცხოვრების ძველი სომხური თარგმანი, გვ. VIII. 021, 25, 131, 135, 182, 199). იხ. აგრეთვე ნ. ბერძენიშვილი, ერთი ფურცელი ისტორიულ გეოგრაფიული დღიურიდან, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, I, 1960, გვ. 144—145.

⁴ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 8.

⁵ იქვე, გვ. 18, 131, 137, 159, 181, 200, 202, 310, 312, 316, 331, 333; II, გვ. 55, 252.

⁶ Опис. рукописей (S), II, გვ. 586; თეიმურაზ ბაგრატიონი, განმარტება ჰოემა ვეფხისტყაოსანისა, გ. იმედაშვილის რედაქციით, გამოკლევითა და საძიებლით, თბ., 1960, გვ. 291.

⁷ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 137.

⁸ იქვე, გვ. 199. შდრ. ვახუშტი, აღწერა, გვ. 50. რუსთველი მღვდელმთავარი დასწრება 506 წლის საეკლესიო კრებას (ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია I⁸, გვ. 300, შენ. 3).

თველი ეპისკოპოსის სადგომად მიჩნეულ იქნა მარტყოფი, სადაც იყო „ეკლესია ღვთაებისა, გუნბათიანი, დიდშენი, გარზლულდე-გოღლოსანი, მგზავისი ციხისა, კეთილს შეენიერს ადგილს“. როგორც ვახუშტი შენიშნავს, „რაგამს მოოქრდა რუსთავი, მუნებური ეპისკოპოზი მისცვალეს აქა“¹. საგულისხმოა, რომ მარტყოფს მცხოვრები მღვდელმთავარი კვლავ რუსთველად იხსენიებოდა. ის იყო მწყემსი მარტყოფ-საგურამო-ხერკისა, ჰქონდა სასპასპეტო დროშა. მის დროშასთან შეიყრებოდნენ „სამებელი, უჯარმო, და ავალის-ძენი, აქადგანე იორთა ზედა და სამგორთა შინა ნაპირის სახლნი, არაგვის პირნი, ძაგნაკორანი და გურამისშვილნი, და ხერგის ჯეენი; მიერთგან გარდაღმა კახეთნი, თიანეთნი, ფშავნი და ჯეესურნი, ერწონი, ეალელნი“ და ა. შ.² რუსთველი მღვდელმთავარი შესაფერი პატივით სარგებლობდა სამეფო კარზე, მეფის კურთხევისას მას მე-18 ადგილი ექირა³. ის მრავალ სოფელს ფლობდა, 1811 წელსაც კი მ სოფელი იყო მის განკარგულებაში⁴.

რუსთავის საეპისკოპოსო კათედრალში, რომელიც მარტყოფში იყო გადმოტანილი⁵, წარმოებდა ლიტერატურული მუშობაც.

იქაურ მოღვაწეთაგან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ნიკოლოზ ჩერქეზიშვილი. მისი ბიოგრაფია უცნობია, ზოგ რამეს სიგელ-გუჯარებიდან ვგებულობთ. რუსთველობა მისთვის უბოძებია დავით იმამყულიანს⁶, ე. ი. მისი თანამედროვე ყოფილა. 1711 წ. დომენტი კათოლიკოსმა (ვახტანგ ლევანის ძისა და დავითის თხოვნით) ბისონი ჩააცვა⁷. ზუსტად არც ის ვიცით როდის მიიღო რუსთველობა და არც ის, თუ როდის ჩამოშორდა კათედრას. ყოველ შემთხვევაში, 1724 წელს ამ პოსტზე უკვე ბესარიონი ჩანს⁸.

¹ აღწერა, გვ. 95.

² Опис. рукописей (S), II, გვ. 587, 673; საქ. სიძველენი, III, გვ. 510—514; ისტ. საბუთები, I, გვ. 42—45; S № 1557. იხ. აგრეთვე არჩილიანი, II, გვ. 29, 88; აღწერა, გვ. 95.

³ იხ. ზემოთ გვ. 125, შენ. 6.

⁴ Ажты, I, გვ. 531.

⁵ რუსთავსა და მარტყოფზე იხ. А. Муравьев, Грузия и Армения, III, გვ. 1—9; П. Иоселиани, Города, გვ. 36—38; მისივე, Путешье записки по Кавказу, გვ. 10—14; მისივე, Описание Марткопского монастыря, Т., 1847; მისივე, Восстановление марткопского монастыря, ЗКВ, 1847, № 18, გვ. 140—144; М. Grossé, Rapports, II, გვ. 52—55, 58; Н. Бердзенов, Гвтааба, „Кавказ“, 1854, № 65; Марткопский монастырь, „Кавказ“, 1863, № 183; Д. Бакрадзе, Кавказ в древних памятниках христианства, გვ. 81—83; ა. ქუთათელაძე, ს. მარტყოფი და ხელთუქმნელი ღვთაების ეკლესია, „კვლი“, 1897, № 31, გვ. 577—579; პ. ინგოროყვა, რუსთველიანა, გვ. 169—178; ვეფხისტყაოსანი, ს. კაკაბაძის რედაქტორობით, თბ., 1927, გვ. LV—LVIII და შმდ. (იქვეა დასახელებული ლიტერატურა); ლ. კილაშვილი, ქალაქი რუსთავი, თბ., 1958; ი. არჯევანიძე, თბილისიდან ალაზნის ველისაკენ, გვ. 68—71; Ш. Месхиа, Города и городской строй феодалной Грузии, გვ. 7, 9, 16, 19—20, 49—51, 57—59 და შმდ. საინტერესო ცნობებია მოცემული ე. წ. ღვთაების გუჯარშიც (ისტ. საბუთები, I).

⁶ Груз. церк. гуджари, გვ. 2; ისტ. საბუთები, I, გვ. 22. 1711 წელს (14 სექტემბერს) ის უკვე რუსთველად იხსენიება (დოკუმენტები, I, გვ. 382).

⁷ ქართლ-კახეთის მონასტრების საბუთები, გვ. 250—252 (Ad № 228).

⁸ Переписка, გვ. 172.

ნიკოლოზ ჩერქეზიშვილი 1724 წელს ვახტანგ გაყყოლია, მაგრამ რუსეთს აღარ წასულა, იმერეთს დარჩენილა ალექსანდრე (V) მეფესთან. ცოცხალი ჩანს 1733 წელსაც¹.

ნიკოლოზ რუსთველი განათლებული მწიგნობარი ყოფილა, მას მრავალმხრივი მუშაობა ჩაუტარებია. ის მუშაობდა ლიტურგიკულ მწერლობაში, დაუწერია ანტონ მარტყოფელის აკოლოთია, მისი ხსენება (—გ. დოდორქელთან ერთად) დაუწესებია 17 იანვარს². მასვე დაუწერია დოდოს საგალობელი³. მის კალამს ეკუთვნის ლექსებიც: მიძღვნა ალექსანდრე მეფისადმი⁴, ანბანთქება («ზოგენი, ჰათხაზნი, ჯიქ-ქადელეზი ხედავ ქართლელთ წირდალს ძრავს ცაცა...») ⁵. როგორც ჩანს, ნიკოლოზი დახელოვნებულია სიგელ-გუჯარების წერაშიც. მას დაუწერია მზითვის წიგნი 1717 წელს⁶, ალავერდის ტაძრის საბუთი 1721 წელს⁷, ჩოლოყაშვილების მიერ სამებისათვის ხაშმელი გლეხების ბრძობის საბუთი⁸, გრიგოლ კათოლიკოსის შეწირულების წიგნი ბიჭვინთისადმი 1733 წელს⁹ და სხვ.

ნიკოლოზ რუსთველი როგორც განათლებული მღვდელმთავარი თანამედროვეთა ქებას იმსახურებდა. მის ქებას ეხედებით ე. წ. ლეთაების გუჯარში, შემდეგ ხანაში ანტონ პირველთან და იოანე ბატონიშვილთან. მათი დახასიათებით, ნიკოლოზი იყო «სწავლული სათილოსოფოსთა ხელოვნებასა შინა», «მქადაგებელი ყოველს გვარზედა და მალალ მოუბარი»¹⁰.

ამრიგად, ნიკოლოზ რუსთველი ძველი ქართული მწერლობის თვალსაჩინო წარმომადგენელია.

მე-18 ს. მეორე ნახევრიდან ჩვენთვის ცნობილია არაჩივბ. იოანე ქობულაშვილი რუსთველი. ის თეიმურაზ მეორეს წაჰყვა რუსეთში¹¹, სადაც ადგილობრივი ხელისუფლების ნებართვით ერთ ხანს საცხოვრებლად დარჩა.

¹ დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, გამოცემული ს. კაკაბაძის მიერ, I, თბ., 1921, გვ. 131—147.

² კ. კეკელიძე, ანტონ კათოლიკოსის სალიტურგიკო მოღვაწეობიდან, ეტიუდები, IV, გვ. 182.

³ A № 386, 373 r—376 r.

⁴ Опис. рукописей (S), II, გვ. 49—50; ხელნაწერთა აღწერილობა (K), I, გვ. 169—170; Р. Орбели, Груз. рукописи ИВ АН СССР, I, გვ. 17, 3¹.

⁵ S №№ 6, 1203, 1512, 1547, 2676-ა, 3704; H № 1193; A №№ 1164, 1541; არქ. ხელნ. №№ 201, 386, 396.

⁶ АКТЫ, I, გვ. 34—35.

⁷ ქართლ-კახეთის მონასტრების საბუთები, გვ. 232—234.

⁸ ისტ. საბუთები, V, გვ. 27—29.

⁹ დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, I, გვ. 131—147. ცნობილია მის მიერ დამხადებული ხელნაწერი წიგნები (Q №№ 43), 919; H № 1112). პროფ. კ. გრიგოლიას დაკვირვებით, შეიძლება მისი გადაწერილი იყოს თეიმურაზისეული «ქართლის ცხოვრება» (ნარკვევები, I, გვ. 155—168). მოღწეულია ნ. ჩერქეზიშვილის პორტრეტული გამოსახულება (Р. Орбели, Груз. рукописи ИВ АН СССР, I, გვ. 94).

¹⁰ წყობილსიტყვაობა, გვ. 227; კალმასობა, II, გვ. 168. შდრ. ისტ. საბუთები, I, გვ. 22.

¹¹ კ. იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, გვ. 8. შდრ. მისივე, Описание древностей г. Тифлиса, გვ. 150, შენ. 101. საინტერესო ცნობები შემოუნახაეს ი. ბარათაშვილს (იხ. მისი ცხოვრება-ანდერძი, მასალები საქ. და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 28, 1950, გვ. 29).

1764—1766 წლებში მონაწილეობდა სამეფო დღესასწაულებსა და პარაკლი-სებში¹. ამვე დროს აქტიურ მონაწილეობას იღებდა იმ დროის ლიტერა-ტურულ საქმიანობაში.

იოანე ქობულაშვილი დასწრებია პეტრე მესამის დამხობასა და ეკატე-რინეს გამეფებას (1762 წ.). დაუწერია სპეციალური თხზულება: „შეთქმულება პეტრე მესამის წინააღმდეგ“² და გამოუგზავნია თავისი ძმის ოთარ მღი-ნისთვის³. იოანე ზრუნავდა ხელნაწერთა გამრავლებაზე. ქართული ეკლესია მონასტრების წიგნადი ფონდის გაზრდაზე; მან შუამთას უძღვნა მათეს თავის თარგმანება (A № 396), ქობულაშვილების კარის ეკლესიას შესწირა სადღესასწაულო (A № 385) და ა. შ.

უკანასკნელად უნდა მოვიხსენიოთ ნინოწმიდელი ნიტროპოლიტი და რუსთავის არქიეპისკოპოსი სტეფანე ჯორჯაძე, ძე ენისელთ მოურავისა⁴. მისი ლიტერატურული ინტერესების მაჩვენებელია ის გარემოება, რომ გარე-ჯის მოღვაწე გაბრიელ მცირე სპეციალურად მისთვის მუშაობდა. გაბრიელმა მე-18 ს. მიწურულში მისთვის დაამზადა კრებული „კლიტე“ (A № 227), მის-თვისვე გადაწერა სასულიერო-საეკლესიო შინაარსის კრებულები (A № № 229, 238), „მარგალიტი“ (Q № 725) და სხვ.

ნ ი ნ ო წ მ ი ნ ე რ ა

საგარეჯოს რაიონში, რაიონული ცენტრის ახლოს მდებარეობს სოფ. ნინოწმიდა, რომლის შუაგულში აგებულია დიდებული ტაძარი, რომელიც ახლა ნანგრევების სახითაა მოღწეული, მაგრამ დღესაც წარუშლელ შთაბეჭ-დილებას ტოვებს. ძველი წყაროები მის აგებას ქრისტიანობის ზრდასა და გაძლიერებას უკავშირებენ.

ვახუშტი წერს: საგარეჯოს „დასავლით ერთვის იორს ნინოწმიდის-კვეი. ამ კვეზედ არს ნინოწმიდა, ეკლესია დიდშენი, გუნბათიანი, რომელი აღაშენა გორგასალ და დასეა ეპისკოპოზი, და ზის აწამდე, მწყემსი ამ ქვეყ-ნისა ქისიყადმდე“⁵. გამოჩენილი ქართველი გეოგრაფის განცხადება სიმართ-ლეს რომ არაა მოკლებული, ამას ძველი მემკვიდრის ცნობაც ცხადყოფს.

¹ ი. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, მასალები საქართველოს ისტორიისათვის (მე-18 საუკ.), მასალები საქ. და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 15, 1940, გვ. 15; მ ი ს ი ე ვ, მოსკოვისა და პეტერბურგის „წყებათა“ 1762—1767 წლების ცნობები ქართველებისა და საქართველოს შესახებ, საქართველოს სახ. მუზეუმის მოამბე, X-8, 1940, გვ. 170—171, 173—174.

² დატულია მრავალ ხელნაწერში (H № 1374; A № 563; არქ. ხელნ. № 280 და სხვ.). რუსული თარგმანი გამოაქვეყნა პროფ ა. ხახანაშვილმა (О вступлении на престол императрицы Екатерины II, М., 1900).

³ ტ. რ უ ხ ა ძ ე, გაშიფრული ანონიმი ავტორები, „ლიტერატურული გახეთი“, 21. XI. 56, № 38 (1090). შდრ. მ ი ს ი ე ვ, მწერალი გრიგოლ ხარჭაშენელი, თსუ შრომები, XXIX-B, 1946, გვ. 85—86.

⁴ ს. ჯ ო რ ჯ ა ძ ე ხ ე ი ბ. პ. ი ო ს ე ლ ი ა ნ ი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, გვ. 50, 115, 130, 157, 207—208, 229, 244; მ ი ს ი ე ვ, Города, გვ. 38; მ ი ს ი ე ვ, Описание Мартыновского монастыря, გვ. 23. იბ. აგრეთვე Груз. церк. гуджари, გვ. 6; А. Цагарели, Сведешия, ტ. I, ნაკვ. III, გვ. 11—12.

⁵ აღწერა, გვ. 90.

ჯუანშერსაც (XI ს.) შენიშნული აქვს, რომ ვახტანგ გორგასალს დაუსხანს ეპისკოპოსნი წუნდას, მანგლისს, ბოლნისსა და სხვაგან, აგრეთვე „ნინოწმიდას, უჯარმის კარსა, რომელი გორგასალსა აღეშენა“¹. ვახტანგ გორგასლის მიერ საეპისკოპოსოების დაარსება მე-5 საუკუნის უკანასკნელი მეოთხედით თარიღდება, მაშასადამე, ნინოწმინდის საეპისკოპოსო კათედრალის დაარსებაც ამ ხანაზე მოდის.

ნინოწმინდის ტაძარი, რამდენადმე, მცხეთის ჯვარს მოგვაგონებს. დღემდე შემორჩენილი ნაგებობა მე-6 საუკუნით თარიღდება. აკად. გ. ჩუბინაშვილი ნინოწმინდის კათედრალის ანალიზს ასე აჯამებს: ნინოწმინდის კათედრალი მთელი რიგი მუხლით წარმოადგენს წინამორბედ ეტაპს, უშუალოდ გარდამავალ საფეხურს ქართული ხუროთმოძღვრების შემდეგი, უმაღლესი მიღწევისათვის — მცხეთის ჯვრის დიდი ტაძრისათვის. ნინოწმინდის კათედრალი წარმოადგენს იმ დიდი ხუროთმოძღვრის მიერ მოფიქრებულ შენობას, რომელსაც ჰქონდა უეჭველი უნარი ტაძრის სივრცის დიდებულების შეგროვებისა. ეს ტაძარი, ზოგიერთი შედარებითი ხუროთმოძღვრული ცნობის მიხედვით, ეკუთვნის იმავე დროს, როდესაც მცხეთის ჯვრის მცირე ტაძარია აგებული, ე. ი. დაახლოებით მე-6 საუკუნის მესამე მეოთხედს.

მიუხედავად იმისა, რომ კათედრალი სახეშეცვლილი, გადაკეთებული და დანგრეულია, მაინც ხერხდება მისი შეკეთების რამდენიმე ხანის დადგენა. როგორც ჩანს, ის არა ერთჯერად გადაუკეთებიათ. პირველი დიდი გადაკეთება მე-9—11 საუკუნეებს მიეკუთვნება, შემდეგი — მე-13—14 საუკუნეებს. ამას მოსდევს შეკეთება მე-16 საუკუნის მეორე ნახევარში. როგორც 1597 წ. სიგელი გვაუწყებს: „ჟამთა სიგრძისა და ვითარებისაგან... ტაძარი მოშლილი და დაქცეული იყო. მეფემან პატრონმან ლეონ... მეორედ აღაშენა და შეამკო ყოვლითურთ და დასუა ეპისკოპოზი და შესწირნა სოფელნი და აგარაკნი“². ეს აღექსანდრე მეფის სიგლის ნაწყვეტია. მისი ჩვენებით, ნინოწმინდის ტაძარი მე-16 საუკუნის მეორე ნახევარში განუახლებია ლევან კახთა მეფეს (1520—1574).

მე-17 საუკუნეში, 1671 წელს ეკლესია განუახლებია, — როგორც ამას კარიბჭის წარწერა გვაუწყებს, — ნიკოლოზ ანდრონიკაშვილს („ნებითა და შეწევნითა ღვთისათა კელ-ეყავ განახლებად ენდრონიკაშვილმა ნინოწმიდელმა ნიკოლოზ და განვაახლე: აგურითა დავახატვინე კანკელი და შევამკვე სრულიად და აღვაშენე“).

1750 წელს ნინოწმინდის ტაძრისთვის გუმბათი დაუდგამს საბა ტუსის-შვილს — ნინოწმიდელ ეპისკოპოსს; დაუმშენებია, მაგრამ ძალზე დაუმძიმებია იგი. გადმოცემით, სილნალისაქენ „მიმავალ ერეკლე მეორეს გაუვლია ნინოწმინდაში. თავმომწონე ეპისკოპოსს მისი ნამუშევარი მეფისთვის უჩვენებია. დიდ სარდალს გულმოდგინედ დაუთვალა იერებია შენობა და გულისტკივილით უთქვამს: „ტაძარი მართალია გაგიმშვენებია, მაგრამ მოგიკლავს კიო“; „მერწმუნე, მღვდელმთავარო, რომ ეკლესია შენ დაგინგრევიდა და არ ავიშენებია, საპალნე დიდი დაგიდგამს, ფეხები გამოგიცლიაო“.

¹ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 199.

² Грива. церк. гуджари, გვ. 28; ქრონიკები, II, გვ. 429; ისტ. საბუთები, III, გვ. 90.

ერეკლეს წინასწარმეტყველება ასრულდა: 1824 წლის მიწისძვრის დროს ათასწლოვანმა კედლებმა დიდი ტვირთი ველარ შეიწავრეს და თალი და გუმბათი ჩამოიქცა ზათქითა და გრიალით, 1848 წელს სხვა კედლებიც დაინგრა.

ნინოწმინდის ეკლესია საკმაოდ გამოჩენილი ოსტატების მიერ იყო მოხატული. სპეციალისტთა დაკვირვებით, იქ რუს მხატვრებსაც უმუშავიათ¹. მე-16 საუკუნის ფრესკების ნაშთი აქა-იქ კიდევ შეინიშნება. ძველთაგანვე ტაძარს ერტყა დიდი გალავანი, რომელიც კოშკებით იყო შემკული და დიდი ციხის შთაბეჭდილებას ტოვებდა. ძველი ზღუდე ნაწილობრივ დღესაცაა დაცული. შემონახულია კოშკი-სამრეკლო (XVI ს.), რომელიც ხშირად მტრისაგან იფარავდა ხალხს².

ვახტანგის მიერ დაარსებული კათედრალის გამგებელი — ნინოწმიდელი საკმაოდ გავლენიანი პირი იყო ძველ საქართველოში. ჩვენს მიერ ზემოთ მრავალჯის გამოყენებული და დამოწმებული ძეგლი, რომელიც გვაცნობს ქართველ მღვდელმთავართა დაჯდომის წესსა და რიგს ქართველ მეფეთა კურთხევის დროს, გვაუწყებს, რომ ნინოწმიდელი მეცხრე ადგილზე მჯდარა³. შემდგომ ხანაში ქართლ-კახეთის სამეფოში ნინოწმიდელი მეხუთე ადგილზე იხსენიებოდა⁴.

ნინოწმიდლის სამწყსო დროდადრო იზრდებოდა და მცირდებოდა. 1757 წელს მას მიემატა ნაწილი ქერემის ეპარქიისა, რომელიც აობრებისა და განადგურების გამო სამეფო ხელისუფლებისა და კათოლიკოსის დასტურით გაიყვეს კახეთის მღვდელმთავრებმა⁵. 1758 წელს ნინოწმიდელს მიემატა ქერემის ეკლესია. ერეკლე მეორის განაჩენში ვკითხულობთ: „ჩვენ კახთა მეფემან პატრონმან ირაკლი, ვიგულისმოდგინეთ და განვაჩინეთ და უშენი ქერემის ქალაქ-ეკლესია და საქერემლო მთა და მალნარი ყოვლად სამლუდელს ნინოწმიდელ მიტროპოლიტს საბას მიუწყალობეთ ვიდრე ესამდმდე აღშენებისა მისისა, რათა შემოსაეალსა მის მთისასა მხოლოდ ნინოწმიდელი ალიღბდეს და თვისსა ეკლესიასა ახმარებდეს და სხვანი ეპისკოპ-

¹ ლ. მელიქსეთ-ბეგი, ძველი მხატვრობა გარე კახეთში, „ჩვენი მეცნიერება“, 1924, № 9—10, გვ. 59.

² ნინოწმინდაზე იხ. П. Иоселиани, Путевые записки по Кახетии, გვ. 29—31; მისივე, Описание древностей г. Тифлиса, გვ. 132—133; А. Муравьев, Грузия и Армения, I, გვ. 115; Д. Баградзе, Каква в древних памятниках христианства, გვ. 98; ა. გულიანი, შვილი, ნინოწმინდა, „დროება“, 1884, № 225; სოფ. ნინოწმინდა და მისი ნაშთი, „მოგზაური“, 1901, № 7; ლ. მელიქსეთ-ბეგი, არქ. მოგზაურობა გარე კახეთსა და ქერემის ხეობაში, „სახალხო საქმე“, 1920, №№ 964, 974; გ. ჩუბინაშვილი, რამდენიმე თავი ქართული ხელოვნების ისტორიიდან, გვ. 101—107; მისივე, ქართული ხელოვნების ისტორია, I, გვ. 69—74; მისივე, Архитектура Кახетии, გვ. 232—246, 497—500; თ. ყაუხჩიანი, ბერძნული წარწერები საქართველოში, გვ. 318—319; ლ. თამარაშვილი, გარე კახეთის ისტორიული ძეგლები, 3. ნინოწმინდა, გახ. „სტალინური სიტყვა“ (საგარეჯო), 30. VI. 51, № 53 (1199).

³ იხ. ზემოთ გვ. 125, შენ. 6.

⁴ ე. თაყაიშვილი, არქ. მოგზაურობანი და შენიშვნანი, I, გვ. 87. შდრ. Груз. церк. гуджари, გვ. 31—32 (Ад № 115).

⁵ Груз. церк. гуджари, გვ. 18; გუჯარები, გვ. 98—102; ქართლ-კახეთის მონასტრების საბუთები, გვ. 255—256.

პოსნი არავენ იყენენ მაცილობელ მისა¹. ჩვენ ზემოთ ვაჩვენეთ, რომ ნინო-წმიდელი გარეჯის მრავალმთის ზოგიერთ სავანესაც განაგებდა პერიოდულად; მე-18 საუკუნის 50-იანი წლების მიწურულს მის სამწყვსოს კერემიც შეემატა.

ნინოწმინდის კათედრალის გაძლიერება და იქაური მღვდელმთავრის პატივი განაპირობა იმ გარემოებამაც, რომ აღნიშნულ კათედრალს სამეფო ხელისუფლება ეხმარებოდა, ხელს უწყობდა, მხარში ედგა. როგორც ჩვენამდე მოღწეული მასალებიდან ჩანს, ნინოწმინდის ეკლესიისათვის დახმარება აღმოუჩენიათ კახთა მეფეებს ლეიანს (1520—1574), ალექსანდრესა (1574—1605) და დავით პირველს (1602 წ.), ქართლის მეფეს როსტომს (1632—1658), ცნობილ მეფე-პოეტს არჩილსა და სხვებს. დასახელებულ მეფეთა შეწირულებით ნინოწმინდის კათედრალს გაეზარდა ყმა-მამული, გლეხები გათავისუფლდნენ გადასახადებისაგან და ა. შ.² ნინოწმინდა განსაკუთრებით დაწინაურდა მე-18 საუკუნეში. 1733 წელს ნინოწმინდის კათედრალს თეიმურაზ მეორემ შესწირა ვენახი³, 1767 წელს ერეკლე მეორემ მიაბარა დოდორქისა და ბერთუბნის მამულები⁴; იმავე წელს ერეკლემ განაახლა ძველი საბუთები, რომლებშიც აღნიშნული იყო ქართველ მეფეთა შეწირულებანი ნინოწმინდის ეკლესიისადმი (H № 2110, 1r—27r; H № 607, 36r—54r); 1768 წელს მანვე განაახლა და დაამტკიცა დავით პირველის სიგელი ნინოწმინდისადმი (H № 2110, 27r—32r; H № 607, 54r—57r) და ა. შ. ნინოწმიდელი მღვდელმთავარი მე-19 საუკუნის დამდეგსაც ძლიერი იყო, ის 30 სოფელს ფლობდა⁵, მაგრამ ეპარქიის შენარჩუნება მაინც შეუძლებელი შეიქნა და ქართლ-კახეთის სხვა ეპარქიებთან ერთად მანაც მალე შეწყვიტა არსებობა.

ნინოწმინდის მწიგნობრებზე ჩვენ ბევრი რამ არ შეგვიძლია ვთქვათ. მაგრამ მოკლედ მაინც უნდა აღვნიშნოთ ის ლიტერატურული საქმიანობა, რომელიც იქაურ მოღვაწეებს გაუწევიათ.

ადრეულ ხანაში ცნობილია არსენ ნინოწმიდელი — ათონის ლიტერატურული სკოლის თვალსაჩინო მოღვაწე, ეკვთიმე ათონელის ახლობელი თანამშრომელი. მე-18 საუკუნის მოღვაწეთაგან ჩვენთვის ცნობილია სამი პირი — მიტროფანე ნინოწმიდელი, იოანე ნინოწმიდელი და საბა ტუსის-შვილი.

მიტროფანე ნინოწმიდელი ძველი ქართული ხელნაწერების გამრავლების ინიციატორი ყოფილა. მისი დაკვეთით ვინმე გიორგის 1763 წ. გადაუწერია სახარება-სამოციქულოს საკითხავები (K № 104)⁶. ასეთსავე საქმიანობას ეწე-

¹ გუჯარები, გვ. 102.

² Грѹз. цѹрѣ. гѹджари, გვ. 28—29; ისტ. საბუთები, III, გვ. 63—64, 87—91; IV, გვ. 3.

³ ისტ. საბუთები, V, გვ. 46—48.

⁴ Грѹз. цѹрѣ. гѹджари, გვ. 30.

⁵ АѢТМ, I, გვ. 531.

⁶ მიტროფანე ნინოწმიდელი ბაინდურ არაგვის ეროსთავის ძმა ყოფილა (მასალები საქ. და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 30, 1954, გვ. 285). მას განუხადებია ბოდორნის ტაძარი 1772 წელს (Е. Т л к а м ш и н и и, Арх. записки, V, გვ. 47—49).

ოდა იოანე ნინოწმიდელიც, რომელმაც 1795 წელს ნათლისმცემლის მონასტერში გადააწერინა სასულიერო-საეკლესიო შინაარსის კრებული (H № 902)¹.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ფიგურა ჩანს საბა ტუსისშვილი². როგორც ხელნაწერთა მინაწერებიდან ირკვევა, საბა მრავალ პირს ავალებდა ქართული ხელნაწერების გამრავლებას, მოუწოდებდა თანამოღვაწეებს ახალი ნუსხების შედგენისაკენ. მისი ბრძანებითა და შეკვეთით ნათლისმცემლის მონასტრის წინამძღვრის შვილმა, მღვდელმა დიმიტრიმ 1746 წელს გადაწერა დიდი რჯულისკანონი (A № 1402)³, ანჩისხატის დეკანოზმა გიორგიმ (1782 წ.) — ლიტურგიკული კრებული (A № 114); ნათლისმცემლის არქიმანდრიტმა ექვთიმემ აღწერა ნინოს საგალობლები (H № 1283, 216r—223r), ზაქარია მღვდელმა (—ამბროსი წილკნელ-ნეკრესელმა) გადაწერა „დაუჯდომელი ჯუარისა“ (H № 1283, 224r—225v), იოანე გაბაშვილმა — ერთი კრებული (არქ. ხელნ. № 259) და ა. შ.

საბა ნინოწმიდლის სახელთანაა დაკავშირებული ნინოს დაუჯდომელი⁴ და მისივე ლოცვა⁵. ცნობილია მისი „ანდერძისებრი ლუწანი“ (H № 2110, 33r—38v; H № 607, 57v—70v). მასში აღწერილია საბას ნინოწმიდლად დანიშვნა, მისი მეცადინეობა ნინოწმინდის ეკლესიის მიტროპოლიად გარდაქმნასა და „ძველთა მეფეთაგან ძღვანვილთა“ გუჯართა განახლებაზე, მისი შრომა (ნინოწმინდის ტაძრის შემკობა, გამაგრება და დანგრევის შემდეგ ახლად აშენება, გუმბათის ჯვრით შემკობა, კართა გაკეთება, წიგნების შექმნა, მარნის აგება, გალავნის აშენება და სხვ.), ნინოწმინდის ყმისა და ზამულის საქმეთა წარმართვა და სხვა⁶.

საბა ტუსისშვილის „ანდერძისებრი ლუწანი“ დაწერილია ღვთისმეტყველის ენითა და სტილით, მისი ნაწილი მხატვრული პროზის სახეს ატარებს. მას ერთობ დიდი მნიშვნელობა აქვს ქართული ეკლესიის, სამართლის, ეკონომიკის, მატერიალური კულტურის, კერძოდ, ხელოვნების ისტორიისათვის.

¹ იოანე ნინოწმიდელი, ჯანდიერის შვილი, ყოფილა „სწავლული კაცი, მეცნიერი და სრული მგალობელი“ (კალმასობა, II, გვ. 199). იხ. აგრეთვე ზემოთ გვ. 294, შენ. 2.

² მისი მღვდელმთავრობა საბუთებში დადასტურებულია 1745—1780 წლებში (Грвз. перек. гуджарн, გვ. 29—31; ისტ. საბუთები, V, გვ. 64—65, 75—76, 82, 97). 1784 წელს გარდაცვლილად ჩანს (Грвз. перек. гуджарн, გვ. 33). ერთი ცნობით, 1782 წელს გარდაცვლილა (S № 443, გვ. 411; ხელნაწერთა აღწერილობა (S), I, გვ. 576). დაკრძალულია ნათლისმცემლის მონასტერში (მ. ხელავევი, ნათლისმცემლის უდაბნო კახეთში, „ივერია“, 1886, № 208).

³ ა. გ., საქართველოს სიძველეთა მოტრფიალეთა საყურადღებოდ, „ივერია“, 1902, № 70.

⁴ H № 1684, 87r—129v; H № 46; საქ. სამოთხე. გვ. 156—166.

⁵ H № 1283, 223r—224r; H № 1684, 130r—133r; H № 46, გვ. 28—30; საქ. სამოთხე, გვ. 166—167. აღნიშნული დაუჯდომელი და ლოცვა გამოცემულია ცალკე წიგნაკის სახითაც: დაუჯდომელი წმიდისა მოციქულთა სწორისა ქალწულისა ნინო ქართველთ განმანათლებელისა, თბ., 1901.

⁶ ს. ბარნაველი, საბა ტუსისშვილის „ანდერძისებრი ლუწანი“, „ქართული ხელოვნება“, III, 1950, გვ. 211—236. საინტერესოა იქვე დაბეჭდილი მეორე წერილიც: ლ. რჩეული შვილი, საბა ტუსისშვილისეული სასახლე სოფ. ნინოწმინდაში (გვ. 237—247). იხ. აგრეთვე ვ. ბერიძე, ძველი ქართველი ხეროთმოდღვრები, გვ. 45—48, 71—72.

აღნიშნულ ძეგლში საბა ტუსისშვილი არა მარტო ჩამოთვლის ფაქტებს, არამედ დეტალურადაც გვაცნობს ამა თუ იმ სამუშაოს შესრულების ვითარებას. სხვა მასალებით დასტურდება, რომ საბა ტუსისშვილის მონათხრობი სწორი და უტყუარია. ჩვენამდე მოღწეული დოკუმენტებიდან ჩანს, რომ საბა ნინოწმიდელი ენერგიულად იღვწოდა კათედრალის გაძლიერებისათვის, იძენდა ყმა-მამულს, ეხმარებოდა გარეჯის მრავალმთის მონასტრებს, უვლიდა მათ მეურნეობას, აქტიურ მონაწილეობას იღებდა აღმოსავლეთ საქართველოს საეკლესიო-საზოგადოებრივ ცხოვრებაში და ა. შ.¹

ბ რ ე ბ ე

ბოდბის განთქმული ტაძარი მდებარეობს ქიზიყში, ქ. სიღნაღიდან 3-ოდე კმ-ის დაშორებით. მისი აგება მიეწერება მეფე მირიანის (IV ს.) ხანას. კახეთს გადასული ნინო, თითქოს, ბოდბეს (ბოდინი, ბოდისი, ბუდი, ბოდი) დასადგურებულა და იქ გარდაცვლილა. „მოქცევაჲ ქართლისაჲთ“, ქართველთა განმანათლებელი იქვეა დაკრძალული²; მირიან მეფეს ნინოს პატივისცემის ნიშნად ბოდბეში აუგია ეკლესია³. ზემომოტანილ ცნობებს ადასტურებს ლეონტი მროველიც⁴. გარკვეული აღმშენებლობითი სამუშაოები ჩაუტარებია ბოდბეში ბაქარ მირიანის ძესაც⁵. მცირე ეკლესია მე-7 თუ მე-8—9 საუკუნეებში გავრცობილ იქნა.

ბოდბის ეპარქია საკმაოდ თვალსაჩინო როლს ასრულებდა ქართველთა ცხოვრებაში. იქაური მღვდელმთავარი მე-7 ადგილზე იჯდა საქართველოს მეფის კურთხევისას⁶. მე-18 ს. შუა წლებში, ვახუშტის ცნობით, ბოდბეში იჯდა „ეპისკოპოზი, მწყემსი ქისიყისა და ვიდრე კონდოლამდე, აქუს სასპასპეტო დროშაცა, და არიან სადროშონი მისნი ქისიყით კონდოლამდე და მანავადმდე, და არს ბრძოლასა მეწინავე. ბოდბელი არის პირველი ეპისკოპოზი კახეთისა, პატივისათჳს წმიდის ნინოსა“⁷.

ბოდბეს პატივს მატებდა ის გარემოება, რომ სამეფო კარი მას ყურადღებით ეკიდებოდა და ეხმარებოდა. ასე, მაგალითად, 1757 წელს თეიმურაზ მეორემ და ერეკლე მეორემ ჭერემის ეპარქიის ნაწილი ბოდბეს უბოძეს⁸. სხვათა შორის, არაა ინტერესმოკლებული ის ფაქტიც, რომ თეიმურაზ პირველი ბოდბეში აკურთხეს მეფედ⁹.

¹ ისტ. საბუთები, V, გვ. 64—65, 68—69, 71—72, 75—78, 97—98. ბიბლიოფილი ყოფილა მიხეილ ნინოწმიდელიც (H № 1363).

² Опис. рукописей (S), II, გვ. 717—718, 790—791, 803.

³ იქვე, გვ. 803—804.

⁴ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 121, 126, 128.

⁵ ვახუშტი, აღწერა, გვ. 97. ბოდბელი მღვდელმთავარი დასწრებია 506 წლის საეკლესიო კრებას (ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I⁴, გვ. 300, შენ. 3).

⁶ იხ. ზემოთ გვ. 125, შენ. 6. ქართლ-კახეთის სამეფოში ბოდბელი კიდევ უფრო დაწინაურდა (Ad № 115).

⁷ აღწერა, გვ. 97.

⁸ Грив. порк. гуджари, გვ. 19; გუჯრები, გვ. 101; ქართლ-კახეთის მონასტრების საბუთები, გვ. 255—258.

⁹ ქართლის ცხოვრება, II (1854 წ.), გვ. 114. სხვათა შორის, იქ ეკურთხნენ კახეთის სხვა მეფეებიც (იქვე, გვ. 103—104).

მეფე-დიდებულთა დახმარება-შეწირულებით ბოდბე საკმაოდ მნიშვნელოვან საეკლესიო სენიორიას წარმოადგენდა¹. 1811 წ. მას 729 კომლი გლეხი ჰყავდა და მის ეპარქიაში 100 ეკლესია მოქმედებდა². უთუოდ, საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ ეპარქიების რიცხვის შემცირებისას, 1811 წელს, კახეთ-ალავერდის მიტროპოლიტად დაადგინეს ბოდბელი მღვდელმთავარი იოანე მყაუშვილი, ბოდბის ტაძრის რესტავრატორი³.

ამჟამად ბოდბის კათედრალი, შედარებით, კარგადაა დაცული. სპეციალისტთა დაკვირვებით, გვიანი დროის სამნავიანი ბაზილიკის ნაწილი ძველია და ადრეულ ხანას მიეკუთვნება⁴. თავისი ლამაზი ადგილმდებარეობითა და მომხიბლველი ნაგებობით ბოდბის ტაძარი კარგა ხანია იპყრობს ყურადღებას⁵.

როგორც ირკვევა, ბოდბეში მალალ დონეზე ყოფილა დაყენებული კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა. იქ არსებობდა საკმაოდ მდიდარი ბიბლიოთეკა, რომელიც შეწირულებით იზრდებოდა⁶, იქ არსებობდა სასწავლებელი, სადაც ცოდნას იძენდნენ მომავალი საეკლესიო მოღვაწენი და კულტურულ-ლიტერატურული ფრონტის მუშაკები⁷. სხვათა შორის, იქაურ სასწავლებელში აღიზარდა ძველი ქართული კულტურის გამოჩენილი მოღვაწე იონა ხელაშვილი⁸.

¹ ბოდბეს ყურადღებას აქცევდნენ და ეხმარებოდნენ თეიმურაზ I, არჩილი, ერეკლე II და სხვ. (ისტ. საბუთები, IV, გვ. 18—19, 36—38; დოკუმენტები, I, გვ. 369—370). სხვათა შორის, ბოდბელ მღვდელმთავარს თბილისშიც ჰქონია სახლი (П. Иоселиани, Описание древностей г. Тифлиса, გვ. 270).

² АКТЫ, IV, გვ. 164—165.

³ იქვე, გვ. 162.

⁴ გ. ჩუბინაშვილი, რამდენიმე თავი ქართული ხელოვნების ისტორიიდან, გვ. 40—41; მისივე, ქართული ხელოვნების ისტორია, I, გვ. 27; Архитектура Каветии, გვ. 83—86.

⁵ ბოდბეზე დამატებით იხ. П. Иоселиани, Путевые записки по Каветии, გვ. 129—141; А. Муравьев, Грузия и Армения, I, გვ. 117—138; ნ. გამრეკელი, წმ. ნინოს ტაძარი, 1859, № 8, გვ. 263—275; Д. Бакрадзе, Кавказ в древних памятниках христианства, გვ. 24—25; მ. ხელაევი, წმ. ნინოს სობორო, „მწყემსი“, 1885, № 11, გვ. 8—10; Д. Пурцеладзе, Историко-археологическое описание Бодбийского собора св. Нины, Т., 1888; მისივე, Бодбийский собор, „Кавказ“, 1888, № 181; სოფ. ბოდბე, „ივერია“, 1894, № 15; გ. წ., ბოდბის ტაძარი, „კვალი“, 1895, № 4, გვ. 9—10; А. Хачапов, Экспедиции на Кавказ, МАК, VII, 1898, გვ. 20—26; ა. ჯორჯაძე, ბოდბის წმ. ნინოს დედათა მონასტერი, „სახალხო გახეთი“, სურათებიანი დამატება, 1910, №№ 5, 6.

⁶ ბოდბის კათედრალის ბიბლიოთეკა უნახავს და აღწერია გასული საუკუნის მოღვაწეს ნ. გამრეკელს (H № 2876). მასვე შეუდგენია ტაძრის აღწერილობაც (H № 2861). კარგი ნუსხები უნახავთ იქ პ. იოსელიანს, დ. ფურცელაძეს, პროფ. ა. ხახანაშვილსა და სხვ. ბოდბიდანაა მოღწეული მრავალი ხელნაწერი (A №№ 3, 7—9, 14, 16, 163, 1474, 1477, 1480, 1484, 1487; H № 792; არქ. ხელნ. № 458 და სხვ.).

⁷ ი. კერესელიძე, დედოფლის წყარო, „ციცქარი“, 1861, № 5, გვ. 45—53. შტრ. ბუნდაძე, საერო განათლება საქართველოში მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში, მასალების კრებულში: „სწავლა-აღზრდის ისტორია საქართველოში“, I, 1937, გვ. 103.

⁸ ი. ხელაშვილი, ჩონჩი, გვ. 92—93. იხ. აგრეთვე ხელნაწერთა აღწერილობა (S), I, გვ. 361.

ჩვენთვის ცნობილია რამდენიმე ბოდბელი მწიგნობარი თუ ლიტერატურული საქმიანობით დაინტერესებული პირი.

მე-17 საუკუნიდან ცნობილია ზაქარია ბოდბელი, რომელსაც ფილიპე ალავერდელთან ერთად დავით კახთა მეფისთვის ურჩევია „ქილილა და დამანას“ გადმოთარგმნა (იხ. ალავერდი). დავითის ანდერძით, ზაქარია ყოფილა „ღირსი და წარჩინებული და წარმატებული, წიგნთა სამეცნიეროთა სულაღძვრით მოყვარე“¹. ზაქარია ბოდბელი ზრუნავდა არა მარტო თავის ეპარქიაზე, არამედ სხვა ქართულ საყანებზეც. 1709 წ. მან საზრდო განუჩინა დოდოს მონასტერს².

მე-18 ს. პირველ ნახევარში მოღვაწეობდა ონოფრე ბოდბელი. მისი სახელითაა მოღწეული რამდენიმე ხელნაწერი თუ პოეტური კმნილება. ონოფრეს დაუწერია ანბანთქება „არ ბალი გამცენ დღე ესე ვით ზიშერსა თანადო“ (S №№ 1512, 1547, 2676-ა, 3704; A №№ 1164; H № 1193; არქ. ხელნ. №№ 201, 386); მასვე ერეკლე ბატონიშვილის საყვარელი შელის გამზრდელი თხის ბიეინას სიკვდილზე დაუწერია სამსტროფიანი ლექსი: „როს მოკვდა თქვენი ბიეინა“ (S №№ 1512, 2676-ა, 3704; არქ. ხელნ. № 201; H №№ 771, 1193)³; მგონი, მასვე დაუწერია ლექსი „ანზე ვისი ყმა ხარ“ (A № 1236)⁴. მისი მოგებული უნდა იყოს კონდაკი (A № 1397), მის საკეთრებას წარმოადგენდა კურთხევანი (A № 1480) და სხვა ხელნაწერები.

ზოგიერთი მკვლევარი (დ. ბაქრაძე, ა. ხახანაშვილი) ონოფრე ბოდბელს 1739 წ. დაღუპულად მიიჩნევს, მაგრამ ეს სწორი არ უნდა იყოს. ამ წელს ის ამოწმებს ანდრონიკაშვილთა საბუთს⁵; ბოდბელის პოსტზე ჩანს ონოფრე 1743—1748 წლებშიც⁶.

მე-18 ს. შუა წლებში მოღვაწეობდა იოანე ბოდბელი ჯორჯაძე, ძე ენისელთ მოურავისა. ის ჯერ გარეჯაში ცხოვრობდა (1736 წ. ლავრის წინამძღვრობა მიიღო), 1740 წლიდან ნეკრესის ეპარქიას მართავდა, ხოლო შემდეგ ბოდბელად დაადგინეს. 1764 წელს უკვე გარდაცვლილად იხსენიება (A № 20)⁷.

იოანე ჯორჯაძეს მოუგია ტიბიკონი (A № 1399), გადაუწერინებია ტიბიკონი ნიკოლოზ სიონის დეკანოზისთვის (A № 1487), დაუხსნია ხელნაწერი

¹ ა. ბ ა რ ა მ ი ძ ე, ნარკვევები, I, გვ. 355; ძველი ქართული ლიტერატურის კრესტომათია, II, გვ. 338.

² ქართლ-კახეთის მონასტრების საბუთები, გვ. 31.

³ თ ე ი მ უ რ ა ზ მ ე ო რ ე, თხზულებათა სრული კრებული, გვ. XXXIX—XL.

⁴ ხელნაწერთა აღწერილობა (A), IV, გვ. 293.

⁵ ისტ. საბუთები, V, გვ. 55.

⁶ დოკუმენტები, I, გვ. 415; В. Бенешевич, Грузинский великий воевода по спискам Тифлисского церк. музея, ХВ, 1914, т. II, нак. III, гв. 356. ონოფრე ბოდბელი (ანდრონიკაშვილი) დასწრებია თეიმურაზ მეორის კორონაციას 1745 წელს (ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, არქ. მოგზაურობანი და შენიშვნანი, I, გვ. 87). ესპოპოსი ხორნაბუჯისა და სრულიად ქიზიყის სამიტროპოლიტოსი ონოფრე ხელს აწერს 1748 წლის კრების დადგენილებას (მეფე ერეკლეს დროს მომხდარი საეკლესიო კრება, „კვალი“, 1894, № 37, გვ. 19; ე. მ ე ტ რ ა ვ ე ლ ი, 1748 წლის საეკლესიო კრების დადგენილება, აკად. ს. ჯანაშიას საბელობის საქართველოს სახ. მეზემის მოამბე, XIX-A და XXI-B, 1957, გვ. 428).

⁷ Опис. рукописей (A), I, гв. 22. ი. ჯორჯაძე საბუთებში გვხვდება 1736—1761 წლებში (Груз. церк. рукописи, гв. 74—75; ქართლ-კახეთის მონასტრების საბუთები, გვ. 95—98, 103—104, 107; დოკუმენტები, I, გვ. 414—415; A № 186). იხ. ხემოთ გვ. 295, 323.

А № 1480, თავისი კათედრალის წიგნსაცავისათვის შეუწირავს ხელნაწერები (А № № 1480, 1487), დაუწერია საბუთები¹ და ა. შ.

იოანე ჯორჯაძის შემდეგ ბოდბელად ჩანს დავითი. მის სახელთანაა დაკავშირებული რამდენიმე ხელნაწერი. დავისახელებთ ზოგიერთს: 1764 წ. მისი დავალებითა და საფასურით სიონის დეკანოზს ნიკოლოზს გადაუწერია მათეს თავის თარგმანება იოანე ოქროპირისა (А № 20). ეს სამუშაო წამოუწყია იოანე ბოდბელს, მაგრამ დასრულება აღარ დასცალგებია. 1778 წ. მისი დავალებით იოანე გაბაშვილმა გადაწერა სასულიერო შინაარსის კრებული (А № 267), დიმიტრი ხუცესმა გადანუსხა რამდენიმე ხელნაწერი (А № № 269, 561 და სხვ.). დავითმავე გადააწერინა რჯულისკანონი (А № 9) და შესწირა ბოდბეს², მანვე გააცხოველებინა ფსევდოდოღონისე არეოპაგელის თხზულებათა შემკველი ხელნაწერი (А № 163) და ა. შ. ზემოდასახელებულ ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერებიდან ვიღებთ ცნობებს დავითის შესახებ. ირკვევა, რომ ის მშობლებს 1729 წელს მიუყვანიათ გარეჯას, სადაც იზრდებოდა „სულიერად სწავლითა“ ოსებ ვაჩნაძე ნინოწმიდლისაგან, რომლის „სისხლითა ზიარ“ იყო. შემდეგში მის აღზრდას ხელმძღვანელობდა იოანე ჯორჯაძე ნეკრესელი. როდესაც ამ უკანასკნელმა ბოდბელობა მიიღო, ერეკლე მეორესა და ანტონ პირველს გარეჯის უდაბნოს არქიმანდრიტად დავითი დაუდგენიათ, ხოლო 11 წლის შემდეგ მას ბოდბელობაც მიუღია და გარდაცვლილი იოანეს კათედრა ჩაუბარებია (А № № 20, 269)³.

უკანასკნელად უნდა მოვიხსენიოთ ენერგიული და ნიჭიერი მღვდელმთავარი იოანე მაყაშვილი (1743—1837). ის არის, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბოდბის ტაძრის რესტავრატორ-განმაახლებელი. დიდი დახმარება აღმოუჩენია იყალთოს სავანისთვისაც⁴. ის საკმაოდ ახლოს ყოფილა ქართლ-კახეთის სამეფო კართან. სხვათა შორის, იოანემ პანაშვიდი გადაუხადა (სხვა მღვდელმთავრებთან ერთად) ერეკლე მეორეს⁵. შემდეგში ალექსანდრე ბატონიშვილთან ჰქონდა კავშირი, რისთვისაც გიორგი მეფემ შერისხა; უკანასკნელად იულონს მიემხრო⁶. თავისი მრავალმხრივი საქმიანობით ადრევე მიიპყრო ყურადღება და 1811 წელს კახეთ-ალავერდის მიტროპოლიტადაც დააღვინეს⁷. ამ პოსტზე ჩანს გარდაცვალებამდე (1837 წ.)⁸. იოანე თანამედროფეთა ქებასაც კი იმსახურებდა (А № 2789)⁹.

¹ ქართლ-კახეთის მონასტრების საბუთები, გვ. 95—96.

² В. Венешев и ч. Гривинский великий воможаи по спискам Тифлисского церк. музея, XV, 1914, ტ. II, ნაკვ. III, გვ. 357.

³ ლავრის წინამძღვრად დავითი ყოფილა 1752—1763 წლებში. მაშინ გადაუწერია იამბიკონი (А № 415, გვ. 13—25). ერთი ცნობით, დავითი 1790 წელს გარდაცვლილა. (А № 1475, 162 გ.).

⁴ ე. თაყაიშვილი, არქ. მოგზაურობანი და შენიშენანი, I, გვ. 253—254. მასვე, როგორც აღვნიშნეთ, მნიშვნელოვანი სამუშაო ჩაუტარებია ნათლისმცემლის მონასტერში.

⁵ ა. იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, გვ. 50.

⁶ იქვე, გვ. 177, 221 (იხ. აგრეთვე გვ. 217, 244, 257). შდრ. შ. მესხია, თეიმურაზ ბატონიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა, მასალები საქ. და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. II, 1939, გვ. 27.

⁷ Акты, IV, გვ. 162.

⁸ H № 2108, 163 ვ; H № 607, 141 გ. მისი საფლავის ეპიტაფია დაბეჭდილი აქვს ე. თაყაიშვილს (არქ. მოგზაურობანი და შენიშენანი, I, გვ. 264—265).

⁹ კალმასობა, II, გვ. 212.

იოანეს 1811 წ. გადაუწერიანებია პეტრე პირველის „რელამენტი, ე. ი. მოძღურება სულიერისა კოლეჯისა“ (H № 794). მასვე ბოდბესთვის შეუწირავს შთელი რიგი ხელნაწერებისა (A №№ 3, 8, 1474, 1484)¹; ხელნაწერი უძღვნია შუამთისათვის (A № 481). უკანასკნელად უნდა აღვნიშნოთ ის საგულისხმო გარემოება, რომ იოანე მაყაშვილმა კარგად შეიგრძნო, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართველებისთვის რუსულ კულტურას და იოანე დოდაშვილს ურჩევდა თავისი ვაჟი სოლიმონი (შემდგომი ცნობილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე) რუსეთს გაეგზავნა სასწავლებლად².

აი, თითქმის ყველა ის ცნობა, რომელიც ჩვენ გვაქვს ბოდბის კულტურულ-ლიტერატურული კერის შესახებ³.

გ ა მ ე ნ ი

გრემი მდებარეობს თელავ-ყვარლის გზაზე, ყვარლიდან 15 კილომეტრის დაშორებით. მნახველის თვალს ახლაც ხიბლავს, შედარებით, კარგად შემონახული ეკლესია და აოცებს სიმრავლე ნაგებობათა, რომელთაგან ახლა მხოლოდ ნანგრევებია მოღწეული. ადრეულ ხანაში იქ მძლავრი ქალაქი იყო გაშენებული⁴.

მე-15—16 საუკუნეებში კახეთი საგარდნობლად დაწინაურდა სხვა ქართულ სამეფო-სამთავროთა შორის. იმხანად შექმნილი პოლიტიკური და ეკონომიური პირობების წყალობით ის ერთობ მომძლავრდა და მოღონიერდა. აღმავლობის გზას დაადგა სოფლის მეურნეობა, ვაპოცოცხლდა ხელოსნობა, განვითარდა ვაჭრობა. ზემოაღნიშნული გარემოება ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა საქალაქო ცხოვრების განვითარებისათვის. სწორედ ამ პერიოდში (XV ს.) დაწინაურდა ქალაქი გრემი.

¹ მანვე დაიხსნა და ბოდბის ტაძარს შესწირა „დროსა აღოცრებასა ტფილისის ქალაქისა უსჯულოთა თათართაგან დატყვევებულნი“ ხელნაწერი (A № 16, 4r; ქრონიკები, II, გვ. 21).

² ს. ბუციშვილი, სოლომონ დოდაშვილი (ცხოვრება და მოღვაწეობა), მასალები საქ. და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 23, 1945, გვ. 14—15. ზოგი მკვლევრის აზრით, ს. დოდაშვილი ბოდბას სამონასტრო სკოლაში სწავლობდა. ეს სწორი არ უნდა იყოს. პროფ. გ. გოზალიშვილის დაკვირვებით, ს. დოდაშვილი თავდაპირველად სიღნაღის სასულიერო სასწავლებელში სწავლობდა (იქვე, გვ. 14).

³ პ. ინგოროყვა მე-9—10 სს. ბოდბელ ჰიმნოგრაფს შიჭერს ნინოს ზოგიერთ საგალობელს (იხ. მისი გიორგი მერჩულე, გვ. 654, 681, 871).

⁴ П. Иоселиани, Города, გვ. 43—45; В. Клявядзе, Памятники древности Телавского уезда Тифлисской губернии, СМОМПК, VII, 1889, გვ. 40—44; А. Хатаинов, Экопедия на Кавказ, МАК, VII, 1898, გვ. 2—4; გულკეთილი, გრემის ნაშთები, „ივერია“, 1898, № 199; Д. Гордеев, Краткий отчет о командировках в Кяхтию и Горныйский уезд летом 1917 г., ИКОМО, V, 1919, გვ. 9, 19—20, 24—25 (იხ. აგრეთვე მისივე, Мгвмская резная дверь, საქართველოს მუზეუმის მოამბე, III, 1927, გვ. 226); ი. არჯევანიძე, თბილისიდან აღახნის ველისაკენ, გვ. 15, 284—290; Г. Чубинашвили, Архитектура Кавказа, გვ. 30, 446—450 და შმდ.; III. Месхиа, Города и городской строй феодальной Грузии, გვ. 70, 101, 107—108, 149 და შმდ. გრემის სახელწოდების შესახებ იხ. აკად. ნ. ბარის შენიშვნა (ИАН, VI серия, № 18, გვ. 971—972).

გრემს შესანიშნავი ადგილმდებარეობა ჰქონდა. ის თვალსაჩინო სტრატეგიულ პუნქტს წარმოადგენდა, ამასთანავე მდებარეობდა კახეთის ერთ-ერთ ძირითად სავაჭრო მაგისტრალზე. ყოველივე ამან განაპირობა მისი დაწინაურება. კახთა მეფეთა მიერ ის მალე სატახტო ქალაქადაც კი იქნა მიჩნეული¹. მე-15 საუკუნის მეორე ნახევრიდან მე-17 საუკუნის დამდეგამდე გრემში წარმოადგენდა კახეთის მეფეთა რეზიდენციას.

სატახტო ქალაქში ფართო აღმშენებლობითი საქმიანობა გაჩაღდა. აგებული იქნა მრავალი დიდებული შენობა. ცალკე უნდა მოვიხსენიოთ სასახლე, რომლის მშენებებს ხაზგასმით აღნიშნავენ თეიმურაზ პირველი თუ არჩილი, მთავარანგელოზთა ეკლესია, რომელიც ლევან მეფის (1520—1574) დროს იქნა აგებული და მოხატული², ხოლო მე-17 საუკუნის დამდეგს რუსი მხატვრების მიერ იქნა გაცხოველებული³ და სხვ. საგულისხმოა, რომ აღმშენებლობით საქმიანობას ეწეოდნენ არა მხოლოდ მეფე-დიდებულები, არამედ, შედარებით, დაბალი რანგის მოხელენიც. ასე, მაგალითად, გრემის ეკლესიის ნანგრევების სამენოვანი წარწერიდან ჩანს, რომ მე-16 საუკუნის სამოცდაათიან წლებში იქ ეკლესია აუგია კარის მდივანს მითარსის⁴.

გრემში საქალაქო ცხოვრების განვითარებასა და მოსახლეობის სიმრავლეს ამოწმებს მატერიალური კულტურის მრავალი ნაშთი, რომელიც ნაქალაქარის ტერიტორიაზე შემორჩენილი (წყალსადენი, ქარვასლები, ქულბაქები, აბანო და ა. შ.)⁵.

გრემმა, — როგორც კახეთის სატახტო ქალაქმა და პოლიტიკურ-ეკონომიური ცხოვრების ცენტრმა, — იარსება შაჰ-აბასის შემოსევამდე. სპარსელთა ლაშქარმა სასტიკად დაარბია ქალაქი, მიწასთან გაასწორა მისი შენობები, დაანგრია დიდებული სასახლეები. აოხრებული ქალაქი ველარ წამოდგა, ველარ აღდგა. ვახუშტის შენიშვნით, „ოღეს მოაოჯრა შააბაზ, მიერით არს დაბა და არღარა ქალაქი“⁶.

ძველი დიდი ქალაქის დანგრევა და გაპარტახება გულს უკლავდა ქართველობას. სხვათა შორის, ფ. გორგიჯანიძეს აღნიშნული აქვს როსტომ მეფის მისვლა ნაქალაქარში და ხილვა იქაური ნანგრევებისა. ისტორიკოსი წერს:

¹ ქართლის ცხოვრება, II (1854 წ.), გვ. 103; აღწერა, გვ. 99.

² Д. Гордеев, О второй выставке древнегрузинской архитектуры, состоявшейся в Тифлисе в мае 1924 г., „საისტორიო მოამბე“, 1924, II, გვ. 238; ა. შანიძე, ვ. ფუთუჩიძე, სამენოვანი წარწერა გრემში, ენიშკის მოამბე, V—VI, 1940, გვ. 10—11; ი. ჯაფარიშვილი, ქართველი ერის ისტორია, IV, გვ. 284—285; თ. ყაუხჩიშვილი, გრემის ბერძნული წარწერა, თსუ შრომები, XXXVII, 1949, გვ. 225—240; მისივე, ბერძნული წარწერები საქართველოში, გვ. 332—346.

³ შ. ამირანაშვილი, ქართული კედლის მხატვრობის დასურათებული დენდის ფრაგმენტები, „არილი“, 1925, გვ. 42; მისივე, История грузинского искусства, I, გვ. 270.

⁴ ა. შანიძე, ვ. ფუთუჩიძე, სამენოვანი წარწერა გრემში, ენიშკის მოამბე, V—VI, 1940, გვ. 1—11 (შდრ. А. Цагарели, Сведения, ტ. I, ნაკვ. III, გვ. XLVIII—XLIX).

⁵ ა. მამულაშვილი, კახეთის ძველი აბანოები, საქართველოს სახ. მეზემის მოამბე, XI-V, 1947, გვ. 174—184, 189—190. იხ. აგრეთვე მისივე, გრემის სარწყავი არხი, საქართველოს სახ. მეზემის მოამბე, XI-V, 1941, გვ. 173—181.

⁶ აღწერა, გვ. 100. გრემი ზოგჯერ ოსმალთა ლაშქარსაც აუღია (გ. ფუთუჩიძე, ველია ჩელების ცნობები თბილისის შესახებ, თსუ საიუბილეო კრებულები: „თბილისი, 1500“, გვ. 45).

„მრავალი კარგად ნაშენები სასახლენი დაქცეულ-დანგრეული ვნახეთ, უკარო და უქერო, ნადირთ სადგომ-ქმნილი. რა როსტომ მეფემ ამ რიგი საკლემწითო სასაქლე ასრე აოხრებული ნახა, საწუთროს გაუტანლობას შეუწყინდა“ და „სასახლის ასრე მინგრეულობისათვის ერთი მუნასიბი ლექსი“ მათქმე-ვინა¹.

როგორც აღვნიშნეთ, ძლიერი ქალაქიდან ნაქალაქარი, ნანგრეების გროვა-ლა დარჩა.

იმ პერიოდში, როდესაც გრემი კახთა მეფეების რეზიდენციას წარმოადგენდა, იქ კულტურულ-შემოქმედებითი მუშაობაც გაშლილა. ლიტერატურული ინტერესი კახთა დედაქალაქის მკვიდრთ ადრეც საკმაოდ ჰქონიათ, ხელნაწერთა გამრავლება ადრევე დაწყებულა (აქ შეგვიძლია სანიმუშოდ მოვიგონოთ ანა დედოფლის ინიციატივით 1479—1495 წლებში დამზადებული ძვირფასი ნუსხა „ქართლის ცხოვრებისა“ — Q № 795, თინათინ დედოფლის დავალებით 1535 წელს გადანუსხული სვინაქსარი — A № 139² და ა. შ.), მაგრამ მწიგნობრულ-საგანმანათლებლო საქმიანობა განსაკუთრებით გაიშალა მე-16 საუკუნის მიწურულიდან, როდესაც ლიტერატურულ ასპარეზზე გამოვიდნენ დავით მეფე და ქეთევან დედოფალი, ხოლო უფრო გვიან — თეიმურაზ პირველი.

დავით ალექსანდრეს ძე „მრისხანე და ამაყი“ კაცი იყო (ბერი ეგნატა-შვილი). მან მძლავრობით ჩაიგდო ხელთ ტახტი, „პატიმარ-ჰყო მამა თვისი“ და მით შეძლო ბოროტი წადილის შესრულება. როგორც ცნობილია, მამამისის რეზიდენციას გრემი წარმოადგენდა (არჩილი, ბერი ეგნატაშვილი, ვახუშტი, რუსი ელჩები, პოლონელი ს. მურატოვიჩი), იქვე ცხოვრობდა დავითიც³. ვერაგულად მიტაცებული ტახტი დავითს დიდხანს არ შერჩენია, რ თვის შემდეგ (1602 წ.) მოულოდნელად გარდაცვლილა⁴.

დავითი მწიგნობრობით დაინტერესებული ყოფილა. მას ერთგვარი წვლილიც შეუტანია ქართული ლიტერატურის განვითარებასა და გამდიდრებაში, კერძოდ, „ქილილა და დამანას“ ქართული რედაქციის ჩამოყალიბებაში.

„ქილილა და დამანას“ თარგმანის ანდერძში ვახტანგ VI გვაუწყებს: „ბატონს დავითს, ბატონის თეიმურაზის მამას, კუსა და მორიელის არაქამდის ეთარგმნა, მაგრამ არც ლექსი გამოელო და ზოგი სიტყვაც დაეკლო, და არც დასრულება დასცალებოდა“⁵. აღნიშნული თარგმანი ხელთ ჩაუვარდა ვახტანგ მეექვსეს. ამ უკანასკნელმა ჯერ სპარსელს, ხოლო შემდეგ სომეხს დაავალა დავითის შრომის გაგრძელება და დასრულება. საბოლოოდ შემუშავებული ვერსია მეცნიერებაში ცნობილია A ვერსიის სახელით. ის ჩვენამდე (—სრულად თუ ნაწილობრივ) მოღწეულია რამდენიმე ხელნაწერით (S №№ 110, 3177, 5044; H № 450; ლიტ. მუზეუმის ხელნ. № 03628). ადრე ის კლასი-

¹ ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, გვ. 53.

² Опис. рукописей (A), I, გვ. 147; ქრონიკები, II, გვ. 380. იხ. აგრეთვე მ. ჯანა-შვილი, საისტორიო და საბიბლიოგრაფიო წერილები, წერილი ნე. „ივერია“, 1898, № 231.

³ Сношения России с Кавказом, I, გვ. 363.

⁴ იქვე, გვ. 389—390; ქართლის ცხოვრება, II, გვ. 382.

⁵ ქილილა და დამანა, გვ. 1.

კური ხანის თარგმანად მიაჩნდათ¹, მაგრამ დღეს ეს საკითხი საესეებით გარკვეულია და ცილობას აღარ იწვევს².

დავითის თარგმანს უძღვის ვრცელი ანდერძი, რომელშიც თეოლოგიური ენაწყლიანი შესავლის შემდეგ მოცემულია საინტერესო ისტორიულ-ლიტერატურული ხასიათის ცნობები³. აქედან ვგებულობთ, რომ ალექსანდრე მეფე თვით იყო განათლებული და განსწავლული პიროვნება, ამასთანავე, მწიგნობრობის მოყვარული და მის განვითარებაზე მზრუნავი. მის გარშემო შემოკრებილან მწიგნობრობით დაინტერესებული პირები, მათ შორის საეკლესიო მოღვაწენიც (ფილოპე ალავერდელი, ზაქარია ბოდბელი). დავითის ცნობით, ამ უკანასკნელთა შერწობით დაუწყია მას „ქილილა და დამანას“ თარგმნა.

დავითის ანდერძი ნათლად ადასტურებს, რომ მე-16 საუკუნის მიწურულსა და მე-17 საუკუნის დამდეგს კახეთი წარმოადგენდა კულტურის, განათლებისა და მწიგნობრობის ცენტრს⁴.

კულტურულ-ლიტერატურულ ტრადიციებზე ყოფილა აღზრდილი დავითის მეუღლე ქეთევან დედოფალი, ასული აშოთან მუხრანბატონისა. მოლატე კონსტანტინე ბატონიშვილის დამარცხებისა და კახელი მამულიშვილების სასახელო გამარჯვების შემდეგ კახეთის მართვას ქეთევანი შეუდგა. ისიც გრემში ცხოვრობდა და იქიდან განაგებდა სამეფოს. ვახუშტი საგანგებოდ გვამცნობს: „მეერთგან განაგებდა კახეთს გრემს მყოფი ქეთევან დედოფლობით“⁵. როგორც ცნობილია, შემდეგ ხანაში, 1614 წელს, შაჰ-აბასმა მუხანათურად გაიწვია ქეთევანი და ბარბაროსული წამებით მოაკლევინა 1624 წელს შირაზში. ქართველი დედოფლის გმირულმა თავდადებამ, საწმობლოსა და სარწმუნოებისათვის თავგანწირვამ სათანადო ასახვა პოვა ქართულსა (თეიმურაზ I, გრიგოლ დოდორქელი, ანტონ I, დიმიტრი ბაგრატიონი და სხვ.) თუ უცხოურ (გ. ორსინი, ა. გრიფიუსი) მწერლობაში.

ქეთევანის ლიტერატურულ ინტერესზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ მას ერთგვარი წვლილის შეტანა უცდია ქართულ მწერლობაში. მისი სახელითაა მოღწეული ერთი საინტერესო ანბანთქება („ამას ესტირი ბნელსა მჯდომი...“)⁶,

¹ А. Хаханов, Грузинский отрывок Калилы и Димны, ДВ, II, 1901, გვ. 40—93 (ეს წერილი დაბეჭდილა გერმანულად: Grusisches Bruchstück der Kalilag und Dimnag, Wiener Zeitschrift für die Kunde des Morgenlandes, XIV, 1900).

² ქ. ქეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, II¹, გვ. 462—463; ა. ბარამიძე, ნარკვევები, I, გვ. 244—245, 286—287, 351—358.

³ ა. ბარამიძე, ნარკვევები, I, გვ. 354—356; ძველი ქართული ლიტერატურის კრესტომათია, II, გვ. 337—339. დავითისეულ ვერსიაზე დამატებით იხ. მ. ხუბუა, დავითისეული „ქილილა და დამანას“ (A ვერსია), საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, VII, № 8, 1946, გვ. 529—536; მისივე, ორი ადგილის განმარტებისათვის „ქილილა და დამანას“ ქართულ ვერსიებში, იქვე, VIII, № 1—2, 1947, გვ. 83—88; მ. თოდუა, „ქილილა და დამანას“ დავითისეული თარგმანი, თსუ საიუბილეო კრებული: „სულხან-საბა ორბელიანი“, გვ. 117—135.

⁴ ა. ბარამიძე, ნარკვევები, I, გვ. 357—358.

⁵ ქართლის ცხოვრება, II (1854 წ.), გვ. 114.

⁶ მოღწეულია რამდენიმე ხელნაწერით (S №№ 1512, 3704; H №№ 33, 479, 497, 1193, 12.9; A № 1664; არქ. ხელნ. №№ 101, 201, 396). გამოცემები: „დროება“, 1882, № 251; Опис. рукописей (S), II, გვ. 203; ლ. ასათიანი, ძველი საქართველოს პოეტიკალური კრებული, გვ. 36; ტ. რუხაძე, ქეთევან დედოფლის უცნობი ლექსები, „ლიტერატურული გახეთი“, 31. VIII. 56, № 35 (997).

რომელიც მას ტყვეობაში დაუწერია. ეს ელეგიური ლექსი ქეთევანის პოეტური შთაგონების საყურადღებო ნაყოფს წარმოადგენს. ის კარგად გვაცნობს ტყვედრჩავარდნილი დედოფლის სულიერ განწყობილებას, მის განცდებსა და გრძნობებს. სხვათა შორის, ქეთევანის აღნიშნული ლექსი პირველი ანბანთქებაა ქართულ ლიტერატურაში. ყოველ შემთხვევაში, მასზე უწინარესს ჩვენამდე არ მოუღწევია. ქეთევანსავე ეკუთვნის „ვედრება-ჰიმნი“¹. მას მიაწერენ კიდევ რამდენიმე ლექსს („ალვალს ბედსა“, „ამისთვის ბაგე გაესწირე“, „ან ალვისა“) ².

გრემის კულტურულ-ლიტერატურულ ტრადიციებზე აღიზარდა და გაიწაფა თეიმურაზ პირველი. მართალია, ერთი ხანი მან შაჰის კარზე დაყო და იქაურ კულტურას ეზიარა, მაგრამ ბაეშვობის წლები, აგრეთვე მეფობის გარკვეული ხანა გრემში გაატარა.

სათანადო წყაროებში არა ერთხელაა აღნიშნული, რომ თეიმურაზი სპარსეთიდან მოვიდა გრემში, იქ მეფობდა, იქვე იქორწინა და სხვ. ³ საყურადღებოა ის სიტყვები, რომელთაც არჩილი თქმევინებს თეიმურაზს:

რა ნადირობა გათავდის, გრემისკენ წავეყრებოდით,
მუნ მოყვარულნი ქალ-ყმანი ერთმანეთს შევეყრებოდით;
ვარდი დაგვიხედის გაშლილი, ვაკრეფდით და შიგ ვყურებოდით,
ასე გვიამის იქ მისელა, მალ აღარ გავეყრებოდით.
გრემსა იყო ბევრის ქვეყნის უცხოები იქ მოსული,
ბაღებშიგან კვიპაროხი, ალვის ხითა ამოსული,
ფშოდა სული სულნელისა, ყვაელთაგან ამო სული,
მისი ნახვით გაყმდებოდა, სიკაბუქის ძალწასული.
ერთი ბაღი და სასახლე გრემს იდგა ლევან მეფისა,
მას შენობაზედ ეტყობის გაცემა სიიფისა;
ყოველი ყვაელი, ბეხილი გარმოცულიყო სეფისა,
განციფრდებოდა მნახავი, იქმნის სიბრძნისა მკრეფისა ⁴.

თეიმურაზს რომ გრემში დაუწყია ლიტერატურული საქმიანობა, ამას უნდა ადასტურებდეს მისი ლექსი „გრემის სასახლეზე“, რომელშიც მოცემულია საინტერესო ცნობები გრემის სასახლისა და ბაღის შესახებ ⁵. აღნიშნულ ლექსში ვკითხულობთ:

აქ არის აშტი, გუმბაზი, ბაღას დგას შუა გულოსა,
შიგ ათასფერნი ყვაელინი, ვარდი გაშლილი გულოსა...
აქ არის ბაზმის სოჰბათი, სუფრისა შემკობილობა,
დრო ახალ ნერგთა ყვაელთა, ტურფა ეარდისა შლილობა,
ბრულებულთა ბგერა, ყივილი, ხმა-მჭევერად შეწყობილობა,
მუტრბითა რასტი მუღამი, სასმენელთათვის ტკბილობა.

¹ შ. ჯანაშვილი, უკვდავთა ღალადებანი, გვ. 124—127.

² ტ. რუხაძე, ქეთევან დედოფლის უცნობი ლექსები, „ლიტერატურული გაზეთი“, 31. VIII. 56, № 35 (1997). როგორც აღვნიშნეთ, ქეთევანის დაკვეთითაა გადაწერილი „იბაკონი ღვთისმშობლისანი“ (H № 284). იხ. ზემოთ გვ. 239.

³ ქართლის ცხოვრება, II (1854 წ.), გვ. 114—115. იხ. აგრეთვე არჩილიანი, II, გვ. 15, 33.

⁴ არჩილიანი, II, გვ. 40—41.

⁵ თეიმურაზ პირველი, თხზულებათა სრული კრებული, გვ. 142—143. იხ. აგრეთვე გ. ქიქოძე, ენკელე მეორე, თბ., 1942, გვ. 13—14.

სახლი შემზადდეს სალხინოდ, მე მეფემ თეიმურასო,
შევაშვევ კედელ-ყურენი, ვეკვ, თავსაც კარგად ბურავსო,
დავხატე ფერად-ფერადად, ჰგავს რამე იყოს მურასო,
ტალახიანის ფერხითა ნურავინ გამიმურავსო.

სამწუხაროდ, ჩვენ არ ვიცნობთ თეიმურაზის მიერ გრემში დაწერილ სხვა თხზულებებს, მაგრამ ამ პოეტის პირველი ნაბიჯები რომ გრემის სასახლესთან, იქაურ კულტურულ ტრადიციებთანაა დაკავშირებული, ეს საეჭვო არ უნდა იყოს.

გრემის ლიტერატურულ გარემოსთან უნდა იყოს დაკავშირებული ქაიხოსრო ჩოლოყაშვილი, რომელსაც დაუწერია „ვეფხისტყაოსნის“ გაგრძელებათა გაგრძელება „ომანიანი“ 1609—1613 წლებში¹.

უკანასკნელად უნდა შევეხოთ ერთ საცილობელ საკითხს. ჩვენს საზოგადოებრიობაში კარგა ხანია ტრიალებს აზრი გრემში უმაღლესი სასწავლებლის—აკადემიის არსებობის შესახებ. ამ აზრს ვხვდებით არა მხოლოდ გასული საუკუნის ავტორებთან (თეიმურაზ ბაგრატიონი, დ. ბაქრაძე, ა. ხახანაშვილი, ა. ცაგარელი და სხვ.), არამედ სულ უკანასკნელი წლების შრომებშიც². სხვათა შორის, ზოგჯერ აკადემიის დამაარსებელთა თუ რექტორთა ვინაობასაც გვაცნობენ, კერძოდ, ასახელებენ „იოანე კიმკიმელს პეტრიწად სახელდებულს“³, არსენ იყალთოელს⁴, იოანე ტარიკისძეს⁵. გადმოცემით, თითქოს, იქ სწავლობდა შოთა რუსთაველიც⁶.

რა შეიძლება ითქვას აღნიშნულ საკითხზე? არავითარი საბუთი, არავითარი დოკუმენტალური მოწმობა ან მატერიალური კულტურის ნაშთი არ მოგვეპოვება აღნიშნული მოსაზრების დასადასტურებლად. მართალია, როგორც შენიშნავენ, „საბუთების არარსებობა არარსებობის საბუთად“ ყოველთვის არ შეიძლება გამოდგეს, მაგრამ ამ შემთხვევაში კატეგორიული და დაბეჭოთებითი მტკიცებისაგან თავის შეკავება გვმართებს. უხერხულია აკადემიის

¹ ქაიხოსრო, ომანიანი, გ. ჯაკობიას რედაქციით, თბ., 1937. ხელნაწერები: S №№ 110, 1284, 3163, 4529, 4988; H №№ 1066, 1212, 2318; A № 654; Q № 421 და სხვ.

² ა. მამულაშვილი, გრემის სარწყავი არხი, საქართველოს სახ. მუზეუმის მოამბე, XI-ბ, 1941, გვ. 179, 181; ფ. Бегияшвили, История древнегрузинской литературы (V—XII вв.), Т., 1949, გვ. 85; Г. Каландарашвили, Очерки по истории логики в Грузии. გვ. 17; ლ. მადნარაძე, გ. ქოლოშვილი, მათემატიკურ მეცნიერებათა მიღწევები, თსუ საიუბილეო კრებული, მიძღვნილი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 40 წლისთავისადმი, გვ. 606; ი. არჯევანიძე, თბილისიდან ალანის ველისაკენ, გვ. 15, 286; მ. სააკაშვილი, ლ. კვიციანი, ც. ხაჩიძე, მეგობრობის ნათელი ფურცლები, „კომუნისტი“, 28. III. 59, № 72 (11378); რ. კოკოშაშვილი, გარდასულ დღეთა უტყვი მოწმენი, „ახალგაზრდა კომუნისტი“, 20. VI. 59, № 73 (6675).

³ თეიმურაზ ბაგრატიონი, ისტორია დაწვევებითგან ივერიისა, გვ. 295. შდრ. მ. ჯანაშვილი, საქართველოს საეკლესიო ისტორია, გვ. 95.

⁴ მ. ჯანაშვილი, ქართული მწერლობა, II, გვ. XXI. იბ. აგრეთვე ვახუშტი, საქართველოს გეოგრაფია, გვ. 164, შენ. 375.

⁵ გ. თავზიშვილი, უმაღლესი განათლების ისტორიისათვის საქართველოში, I, გვ. 54—57 და შმდ.

⁶ ცნობა რუსთაველზედ, „დროება“, 1881, № 3; И. Мегрелидзе, Рустанели и философия, გვ. 29, 51, 284.

მესვეურების ძებნა მე-11—12 საუკუნეთა მოღვაწეებში მაშინ, როდესაც იმ პერიოდში გრემის არსებობის შესახებაც კი არა გვაქვს ნათელი წარმოდგენა. არავინ უწყის, თუ რას წარმოადგენდა გრემი აღნიშნულ ხანაში. რაც შეეხება მე-15 საუკუნის შემდგომი ხანის გრემს, მასზე არც თუ ისე მცირე ცნობა მოგვეპოვება, მაგრამ აკადემიაზე არაფერი გვხვდება, მისი არსებობა არსად არაა დამოწმებული. რუსი ელჩები საკმაოდ ხშირად და დეტალურად ჩერდებიან გრემზე და ძნელი დასაჯერებელია არაფერი ეთქვათ იქაურ აკადემიაზე. ყოველივე აღნიშნულის გამო, სათანადო საბუთების აღმოჩენამდე, გრემის აკადემიაზე მსჯელობა არამართებულად მიგვაჩნია.

თ ე ლ ე ვ ი

თელავი ადრევე გამოცხადდა კახეთის სატახტო ქალაქად (IX ს.)¹, მაგრამ მე-12 საუკუნის დამდეგს დაეით აღმაშენებელმა „დაიპყრა სრულად ყოველი ჰერეთი და კახეთი“, თავისი სამფლობელო გაათართოვა და განამტკიცა, ხოლო თელავის, — როგორც კახთა მეფეების რეზიდენციის მნიშვნელობა, — დასცა და დაამდაბლა. მართალია, საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების შემდეგაც თელავი მნიშვნელოვანი პოლიტიკური და ეკონომიური პუნქტი იყო, მას გავლენიანი დიდებულებიც ელოდნენ (მაგალითად, საღუნ მანკაბერდელი), მაგრამ მან კარგა ხანს დაკარგა სატახტო ქალაქის მნიშვნელობა.

გვიან ხანაში, როგორც აღვნიშნეთ, კახთა მეფეების რეზიდენციას გრემი წარმოადგენდა, ხოლო თელავი ამ პატივს მოკლებული იყო.

მე-17 საუკუნის მეორე ნახევარში, არჩილის მეფობის დროს, თელავს დაუბრუნდა ძველი პატივი. არჩილმა განაახლა ძველი ქალაქი, აავო სასახლე და კახეთის ტახტი იქ გადაიტანა². ამ პერიოდიდან თელავში, ქართველ ბაგრატიონთა სასახლეში, ლიტერატურულ-საგანმანათლებლო საქმიანობაც გაიშალა. არჩილი 1664—1675 წლებში მართავდა კახეთს. საფიქრებელია, ქართლის სამეფო კარზე აღზრდილი და ძველ ქართულ კულტურულ-ლიტერატურულ ტრადიციებს გაცნობილი პოეტი არც კახეთში შეწყვეტდა მწიგნობრულ საქმიანობას. მართალია, ჩვენთვის არაა ცნობილი არჩილის შემოქმედებითი მოღვაწეობის თელავის პერიოდის თხზულებანი, მაგრამ, ვფიქრობთ,

¹ ქართლის ცხოვრება, II (1854 წ.), გვ. 99; აღწერა, გვ. 100. ზ. ლორთქიფანიძე. ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების ისტორიიდან (კახეთის სამთავრო), მასალები საქ. და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 31, 1954, გვ. 24—25. თელავზე იხ. А. Муравьев, Грузия и Армения, I, გვ. 145—155; П. Иоселиани, Города, гв. 63—64; М. Вроссет, Rapports, II, გვ. 59—64; В. Клишидзе, Памятники древности Телавского уезда Тифлисской губернии, СМОМПК, VII, 1889, გვ. 39—40; შ. ჯანაშვილი, მოგზაურობა კახეთში, „დროება“, 1881 № 117; А. Хаханов, Экспедиция на Кавказ, МАК, VII, 1898, გვ. 2; ტ. ი. ძე, „ძველი გალავნი“ ვკლესია თელავში, „ივერია“, 1900, № 98; ბ. ლი, ქ. თელავი, „ივერია“, 1904, № 22; ე. თაყაიშვილი, არქ. მოგზაურობანი და შენიშვნანი, I, გვ. 241—253; ი. არჯევანიძე, თბილისიდან ალაზნის ველისაკენ, გვ. 217—222; I. Чуппашвили, Архитектура Кавказа, გვ. 30—32, 517—519, 576—577 და შმდ.; III. Месхиа, Города и городской строй феодальной Грузии, გვ. 37—38, 46, 59, 101 და შმდ.

² ქართლის ცხოვრება, II (1854 წ.), გვ. 127; აღწერა, გვ. 100.

ნიკიერი მგოსანი არც თელავის სასახლეში აიღებდა ხელს ლიტერატურულ საქმიანობაზე.

თელავის კულტურულ-ლიტერატურულ წრეში მოღვაწეობდნენ დავით მეფე. თეიმურაზ მეორე, საიათნოვა და სხვ.

დავით მეორე (1703—1722) ან იმამყულიხანი, — როგორც უფრო ცნობილია ის საქართველოს ისტორიაში, — იყო ძე ვრეკლე პირველისა. დაიბადა ის ისპაანში 1678 წელს, მიიღო სპარსული აღზრდა-განათლება, შეისწავლა მაჰმადიანური წესები და ჩვევები. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ დავითი იყო „უმეტარი ზნეთა და სამხედროთა საქართველოსათა“. მიუხედავად აღნიშნულისა, დავითმა 25 წლის ასაკში, 1703 წელს მიიღო კახეთის ტახტი, დაჯდა ყარაღაჯს და იწყო მმართველობა. შემდეგში „ჰყო სასახლე თვისი თელავს“ (1706 წ.) და იქიდან განაგებდა კახეთს¹.

მართალია, დავითი სპარსულ გარემოში აღიზარდა, მაგრამ ქართული ენა, ქართული მწერლობა მისთვის უცნობი არ ყოფილა. ვახუშტი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ დავითმა ქართული „წიგნი და ენაც წარჩინებულად უწყოდა“². ამ განცხადების სისწორეს თვალნათლივ ადასტურებს დავითის სახელით მოღწეული ლიტერატურული მემკვიდრეობა. განსაკუთრებით საყურადღებოა ე. წ. ღვთაების გუჯარი (1722 წ.), რომელიც მას მიუძღია მარტყოფის ტაძრისადმი³. აღნიშნული დოკუმენტი ამჟღავნებს დავითის ღრმა განსწავლულობასა და დიდ ცოდნას. როგორც ჩანს, დავითი კარგად ერკვეოდა რელიგიასა და ფილოსოფიაში, ისტორიასა და ბუნებისმეტყველებაში, საფუძვლიანად ფლობდა ქართულ ენას. ამავე გუჯარს შემოუნახავს დავითის ლექსებიც⁴. დავითის სახელითაა მოღწეული ერთი ანბანთქებაც⁵.

დავითის ძმა თეიმურაზ მეორე ქართული ლიტერატურის თვალსაჩინო წარმომადგენელია. ის ადრეც, ხოლო 1731—1744 წლებში განსაკუთრებით, ენერგიულად განაგებდა კახეთს. მის რეზიდენციას თელავი წარმოადგენდა⁶.

როგორც აღვნიშნეთ, თეიმურაზს მოღვაწეობა უხდებოდა საკმაოდ ძნელ პირობებში. დღენიადაგ სამშობლოს კეთილდღეობაზე მხრუნავსა და მისი ნათელი მომავლისათვის მებრძოლ მამულიშვილს სათანადო დრო აღარ რჩებოდა კულტურულ-მწიგნობრული საქმიანობისათვის, მაგრამ მისი სახელით მოღწეული ლიტერატურული მემკვიდრეობა მას მაინც საკმაოდ საპატიო ადგილს უმკვიდრებს ქართული მწერლობის ისტორიაში. როგორც ჩანს, თავის თხზულებათა ნაწილი თეიმურაზს კახეთში მოღვაწეობის ჟამს დაუწერია. ასეთ ნაწარმოებთა რიცხვს ეკუთვნის „დღისა და ღამის გაბაასება“ (1736 წ.), ხუთსტროფიანი შაირი ბიეინას სიკვდილზე და სხვ.⁷

¹ ქართლის ცხოვრება, II (1854 წ.), გვ. 131, 133.

² იქვე, გვ. 131.

³ ისტ. საბუთები, I, თბ., 1913. იხ. აგრეთვე Груз. перс. гуджарп, გვ. 1—6.

⁴ კ. კეკელიძე, მეთვრამეტე საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, იტიულები, IV, გვ. 236—241.

⁵ შემონახულია მრავალ ხელნაწერში (S №№ 6, 1203, 1512, 1547, 1704, 2676-ა, 3704; H № 1193; A № 1164; არქ. ხელნ. №№ 201, 386, 396). იხ. აგრეთვე ზ. კიკინაძე, ქართული მწერლობა და ქართველი მწერლები შეჩვიდმეტე და მეთვრამეტე საუკუნეებში, გვ. 11.

⁶ ქართლის ცხოვრება, II (1854 წ.), გვ. 134, 141.

⁷ თეიმურაზ მეორე, თხზულებათა სრული კრებული, გვ. 1—103, 136.

ლიტერატურული ტრადიციები გრძელდებოდა თელავში ერეკლეს მეფობაშიც, 1744 წლის შემდგომ ხანაშიც. თელავი, კერძოდ, ბაგრატიონთა სასახლე, კვლავ პოეტური ტურნირების მომსწრე ხდება. იქ ერთმანეთს ხედებიან გამოჩენილი მგოსნები და აშულები. სხვათა შორის, იქ მოღვაწეობდა ერთ ხანს ცნობილი სახალხო მომღერალი საიათნოვა. პირდაპირი დოკუმენტალური მოწმობით, საიათნოვას იქ უთქვამს თავისი ცნობილი ლექსი: „ზღვას ვით გააშრობს ვარსკვლავის სხივი“ (1751 წ.)¹.

საიათნოვა, რასაკვირველია, თელავის სასახლეში მარტო არ იქნებოდა; მის გვერდით, უთუოდ, იქნებოდნენ სხვა მგოსნები, აშულები, მომღერლები და დამკვრელები, რომელთა მოღვაწეობას დიდად უწყობდა ხელს მეცენატობით განთქმული პატარა კახი.

თეიმურაზისა და ერეკლეს ოჯახებში დამკვიდრებულ ლიტერატურულ ტრადიციებზე აღიზარდა ქართველ ბატონიშვილთა მთელი თაობა.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ თელავში ადგილი ჰქონდა ხელნაწერთა გამრავლებას, ახალი ნუსხების დამზადებას. ასე, მაგალითად, 1763 წელს გერმანე უდაბნოურთაგანს გადაუწერია პროკლე დიადოხოსის „კაეშირნი“ (H № 1283, 155 r), 1791 წელს ალავერდის დეკანოზს იოსებს გადაუწერია დავით უძღველის „წიგნი საზღვართა“ (S № 1180), 1799 წელს სოლომონ მესხიშვილს გადაუწერია საგალობლები (A № 356), სიმონ დიაკონს — დავით ბაგრატიონის ერთი თბხულება² და სხვ. ბესარიონ ბარათაშვილ-ორბელი-შვილის დავალებით მახარობელ ბაკურიძემ დაიდვა ძველი ქორონიკონი და „ქელთით“ დაიანგარიშა მოძრავ და უძრავ დღესასწაულთა ნუსხა 1735—2266 წწ. ფარგლებში³.

სპეციალურად უნდა შევიჩერდეთ თელავის სემინარიასა და იქაურ მოღვაწეებზე.

მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში ქართლ-კახეთი კულტურული აღმავლობის გზას დაადგა. ერეკლე მეორის ენერგიული და მრავალმხრივი მუშაობის შედეგად სახალხო განათლების საქმეს ერთობ გაუმჯობესება დაეტყო. ერეკლეს დროის საგანმანათლებლო პოლიტიკის ერთ-ერთი გამოვლინება იყო დაარსება თელავის საფილოსოფოსო-საღვთისმეტყველო სკოლისა (— შემდეგ სემინარიისა), რომელიც თეორიული და პრაქტიკულ-გამოყენებით ცოდნის გავრცელებას ემსახურებოდა. აღნიშნული სასწავლებლის დაარსება მე-18 საუკუნის მეორე ნახევრის აღმოსავლეთ საქართველოს ეკონომიური და კულტურული აღმავლობის შედეგი იყო⁴.

თელავის სკოლა დაარსებულ იქნა 1758 წელს. ამ საკითხზე საინტერესო ცნობები შემოუნახავს დოსითეოს ჩერქეზიშვილს. ეს უკანასკნელი მოგვითხრობს: „(ერეკლემ) შემზადა სხოლა თვისა პალატსა შინა, სახელსა ზედა წმიდისა მღუდელმთავრისა ვასილი კესარიელისათა წელთა მეფობის თვისისათა იდ(= 14), დასაბამითგან წელთა ქსავ, ქრისტეს აქეთ ჩნდ(= 1758), თთუჲსა

¹ ლ. მელიქსეთ-ბეგი, საიათნოვას ვინაობა, გვ. 35, 42—43.

² Р. Орбейн. Груз. рукописи ИВ АН СССР, I, გვ. 57.

³ А №103, 637. მ. ჯანაშვილი, საისტორიო და საბიბლიოგრაფიო წერილები. წერილი მა, „ივერია“, 1899, № 16; ქ. შარაშიძე, იესე ოსეს ძის „ქორანიკონი“, ენიშვის მოამბე, XIII, 1943, გვ. 121—122.

⁴ ა. როგავა, სახალხო განათლება ერეკლე მეორის ხანის ქართლ-კახეთში და ანტონ პირველი, თბ., 1950.

ოკლომბერსა კვ(=26), ქსენებასა დიდისა მოწამისა დიმიტრისასა, დღესა კვირიაკესა, ეამსა მასამესა. იყურთხა ჩემ მიერვე მდაბლისა ნეკრესელ ეპისკოპოსისა დოსითეოსისგან“ (H № 69).

ახლადღაარსებულ სკოლაში ერეკლემ თავი მოუყარა მოსწავლეებს, შეარჩია მასწავლებელთა კადრები და ა. შ. დოსითეოსისავე მოწმობით, ერეკლემ „შეკრიბნა ყრმანი საბრძანებელისა თვისისანი, ხოლო ყრმად ვიტყვი უმეტერების ძლით და არა ჰასაკით, რომელნიმე ეპისკოპოსნი, რომელნიმე მლუდელნი და რომელნიმე ახალმოსწავლენი ეკლესიის მსახურნი და ინება განმრავლებად კეთილმცნობისა“ (H № 69). მართლაც, მოსწავლეთა რიცხვში რამდენიმე გამოჩენილი მოღვაწე იყო; მაგალითად, დოსითეოს ნეკრესელი, აგრეთვე ანტონ ცაგერელ-ჰყონდიდელი და სხვა.

სამეთოს გონიერ მეთაურს თელავის სკოლა მხოლოდ სასწავლო დაწესებულებად არ მიაჩნდა და მხოლოდ ასეთ მიზანს არ უსახავდა მას. მეფის სურვილით იქ გაჩაღდა ფართო შემოქმედებითი მუშაობა, კერძოდ, მთარგმნელობითი საქმიანობა. სწავლის დაწყების შემდგომ ერეკლემ „იგულვა და იწანდნებრა ჰელყოფა თარგმანებისაცა“ (H № 69). მთარგმნელობითი მუშაობა თელავში გაიშალა სკოლის პირველი რექტორის ფილიპე ყაითმაზაშვილის მეთაურობით.

ფილიპე ყაითმაზაშვილი, როგორც აღვნიშნეთ, ძველი ქართული მწერლობის საყურადღებო წარმომადგენელია. ის აქტიურად მონაწილეობდა ქართულ-სომხური ლიტერატურული ურთიერთობის გაცხოველებაში, რომელიც ასე განსაკუთრებულად შეიგრძნობა მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში. ფილიპე ადრე თბილისის სემინარიის რექტორად იყო. ხოლო 1758 წლიდან თელავს გადაიყვანეს და იქაური სკოლის ხელმძღვანელობა დააქისრეს.

დავით ბატონიშვილის ცნობით, ერეკლემ „თელავს სკოლასა შინა დაადგინა სომეხთა მღვდელი ტერ-ფილიპე ყაითმაზაშვილი, ფრიად მეცნიერი და ფილასოფოსი, ვითარცა ძველისა მცოდნე ფილასოფიისა, ეგრეთვე ახლისაცა ფრიად გამოცდილი“¹. მსგავსი ცნობა შემოუნახავს ანტონ ცაგერელ-ჰყონდიდელსაც: „ბრწყინვალესა ირაკლი მეორესა, დიდსა მეფესა, აღეგო სხოლა ქალაქსა თელავს... და ამასვე მეფესა მოეპოვა სხოლაპეტად და მოძღურად სიბრძნისა ჰარმანთა მღვდელი ფილიპე, რომელი ღირს იყო ესევითარსა მოძღურებისა პატივსა“ (IX № 95).

ფილიპე ყაითმაზაშვილი თელავის სკოლაში მოღვაწეობისას, გარდა სასწავლო-პედაგოგიური მუშაობისა, ეწეოდა ნაყოფიერ მთარგმნელობით საქმიანობასაც. თანამშრომლობდა დოსითეოს ნეკრესელთან, ანტონ ცაგერელ ჰყონდიდელთან და სხვ. თელავში მუშაობისას ფილიპემ დოსითეოს ნეკრესელთან ერთად თარგმნა დავით უძლეველის „წიგნი საზღვართა“ (H № 69; S №№ 334, 1180, 2564), „ახსნა პორთირისა“ (S №№ 203, 266, 334), რიტორიკა მხითარ სევასტიელისა (S № 1137; Q № 329; A № 1181), „შემოკლებითი ახსნა პერიარმენიას წიგნთა“ (A №№ 1301, 1415; S № 278; H № 1012) და „მცირე ლოლიკა“ (S № 250); ანტონ ცაგერელ-ჰყონდიდელთან ერთად თარგმნა „შემოკლებითი წიგნი ქეშმარიტებითისა ღმრთისმეტყუელებისა“ (IX № 95) და

¹ მასალები საქართველოს ისტორიისათვის, შეკრებილი ბატონიშვილის დავით გიორგის ძისა და მისი ძმებისა, გვ. 12.

„დიდი ლოლიკა“ (S № 250). უკვე ამ უბრალო ჩამოთვლიდან ჩანს, თუ რა ადგილი უქირავს ფილიპე ყაითმაზაშვილს ქართული საფილოსოფიო-საღვთისმეტყველო ლიტერატურის განვითარებაში¹.

ნაყოფიერი პედაგოგიური და მთარგმნელობითი მუშაობისათვის ფილიპე სამეფო კარის ყურადღებითა და დახმარებით სარგებლობდა. ცნობილია ერეკლეს სიგელი 1777 წლისა: „ვინათგან შენ, ტერ-ფილიპე, ჩვენი ერთგულად ნამსახური იყავ და სამეცნიეროს წიგნთ თარგმანზე და სწავლებებზე ღვაწლ-დადებული იყავ“, ამისთვის გიბოძეთ ყმა-მამულიო².

1782 წელს თელავის სკოლის ბაზაზე დაარსებულ იქნა სემინარია³. ის მოსკოვის სლავურ-ბერძნულ-ლათინური აკადემიის ყაიდისა იყო. იქ ისწავლე-ბოდა გრამატიკა, რიტორიკა, ფილოსოფია, მათემატიკა, ლეთისმეტყველება, ისტორია, ფსიქოლოგია და სხვა. სწავლა-აღზრდის მეთოდები სავსებით შეესაბამებოდა იმ დროის განათლების პრინციპებს. მართალია, მისი სასწავ-ლო პროგრამები და წესდებები ჩვენთვის ცნობილი არაა, მაგრამ მოღწეული მასალითაც საფიქრებელი ხდება, რომ რაიმე არსებითი სხვაობა ქართულ და რუსულ სემინარიებს შორის არ ყოფილა.

თელავის სემინარია სახსრებს იღებდა სახელმწიფო ხაზინიდან და კერძო თანამდებობის პირთაგან. დიდად ეხმარებოდა მას ერეკლე მეფე. ეს უკანასკ-ნელი ნიშნავდა რექტორს (Qd № 1068), უნიშნავდა მას სარგოს და უსაზ-ღვრავდა ულუფას (Qd № 1065), უბოძებდა ტანსაცმელს (Qd № 1069) და ა. შ.⁴

თელავის სემინარიის პირველ რექტორად დაუნიშნავთ გაიოზ ბარათა-შვილი (1746—1821). ამ პოსტზე ჩანს ის ერთი წლის მანძილზე (1782—1783)⁵. მან შეარჩია (მეფესთან ერთად) მასწავლებელთა კადრები, რუსული-

¹ სხვათა შორის, ფილიპეს გარკვეული დახმარება აღმოუჩენია ანტონ კათოლიკოსი-სათვისაც (ლ. შ ე ლ ი კ ს ე თ-ბ ე გ ი, ანტონ პირველის „მზამეტყველების“ ლათინურ-სომხური წყაროები, თსუ შრომები, XXX-მ—XXXI-მ, 1947, გვ. 97—98).

² ა. როგავა, დასახ. ნაშრომი, გვ. 26.

³ მოღწეულია სემინარიის გახსნის ცერემონიალის ამსახველი დოკუმენტი—„მოქმედება დღესასწაულობითი დაწყებასა ზედა ახლისა სემინარიისა“ (ნ. მ თ ვ ა რ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, თელა-ვის სემინარია და მისი პირველი რექტორი გაიოზ ნაცელიშვილი, „ივერია“, 1881, VIII, გვ. 98—114; შდრ. ა. გ უ ლ ი ს ა შ ვ ი ლ ი, გაიოზ ნაცელიშვილი, პირველი რექტორი თელავის სემი-ნარიისა, „მწყემსი“, 1884, № 10, გვ. 10—11; № 11, გვ. 11—12). როგორც ამ საოქმო ჩანაწერი-დან ჩანს, სემინარიის გახსნის დღეს გაიოზ რექტორს წარმოუთქვამს რამდენიმე სიტყვა, ხოლო სემინარიისტებს თავიანთი აზრები „იამბიკურად ქმნილი სტიხით“ გამოუხატავთ. ახლახან გაიოზის სიტყვები გამოაქვეყნა დოც. ნ. კანდელაკმა (ქართული მკვებრეტყველება, გვ. 194—202, 327—329).

⁴ ეს საკითხები ვრცლად აქვს განხილული თავის წიგნში დოც. ა. როგავას (შდრ აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XVII-მ, 1953, გვ. 261—272).

⁵ გაიოზ რექტორზე იხ. კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I¹, გვ. 387—390. ერთ საგაზეთო წერილში გაიოზის რექტორობის წლებად შეცდომით 1782—1801 წლებია დასახელებული (ტ. რ უ ხ ა ძ ე, გაიოზ რექტორი, „სახალხო განათლება“, 26. IX. 56, № 39 (1411)). ზოგი ხელნაწერის ჩვენებით, გაიოზი, თითქოს, 1784 წელსაც იყო რექტორად (H № 2109). ესეც, რასაკვირველია, შეცდომაა. გ. ბარათაშვილი 1783 წლის 28 მაისს თელავშია, 24 ივლისს—გეორგიევსკში, 20 აგვისტოს—თბილისში (შ. ხ ა ნ თ ა ძ ე, გაიოზ რექტორის სიტყვა, „დროშა“, 1959, № 5, გვ. 10), ხოლო შემდეგ—რუსეთში.

დან თარგმნა თ. პროკოპოვიჩის მიერ შედგენილი და პეტრე პირველის მიერ დამტკიცებული, საგანმანათლებლო იდეებით გატენილი „წესდება“ ანუ „საზოგადო რეღლამენტი ესე იგი არს კანონი ანუ რიგი“. თელავში მოღვაწეობის დროს უთარგმნია მას აგრეთვე როლენის ძველი ისტორია (H № 2208; შდრ. H № 385). განსაკუთრებით აღსანიშნავია ის სიტყვა, რომელიც მას წარმოუთქვამს თელავის სემინარიის წლისთავზე (28. V. 1783) გამართული საჯარო დისპუტის დროს. ჩვენამდე შემონახულია დავით რექტორის მიერ დაწერილი ნუსხა (1792 წ.) ამ პაექრობისა (H № 2291). ამ დოკუმენტს შემოუნახავს გაიოზის „მოკლედ ცხადყოფისათვის საღრამმატიკოთა პაზრთა სარგებლობისა“ (გვ. 5—11). იქვეა 12 მუხლისაგან შემდგარი თეზისები ანუ „დადებულება საღრამმატიკო საზოგადოისა პაექრობისათვის“ (გვ. 12—14). ამ თეზისების გარშემო სემინარიაში გაშლილა საჯარო პაექრობა, რის საფუძველზე შეჯამებულ იქნა სემინარისტთა მუშაობა¹. მოსწავლეთა სიტყვა-პასუხიც 12 მუხლისაგან შედგება და გაიოზის თეზისებს განმარტავს (გვ. 15—20). პაექრობის ანგარიშს დართული აქვს სპეციალური თავი „საზღვარი ღრამმატიკისა“ (გვ. 20—24). საჯარო დისპუტის დასასრულს გაიოზს სიტყვით მიუმართავს დოსითეოს ნეკრესელისათვის.

თელავის სემინარიაში ჩატარებული საჯარო პაექრობის ოქმი კარგად გვაცნობს მე-18 საუკუნის მეორე ნახევრის ქართული სასწავლებლის პრაქტიკულ-პედაგოგიური ცხოვრების დონეს და იქაურ მოღვაწეთა მომზადებასა და განათლებას².

ამ პერიოდში თელავის სემინარიაში სწავლობდა არა ერთი მომავალი მწიგნობარი. მაგალითად, მოგზაურ-მემუარისტი ნიკოლოზ ონიკაშვილი. მას 1783 წელს, თელავის სემინარიაში სწავლის დროს გადაუწერია სულხან-საბას ლექსიკონის ნუსხები³. და დაუწერია ლექსი დიდ ლექსიკოლოგზე⁴. დაახლოებით იმავე პერიოდში გადაუწერია მას ანტონის მეტაფიზიკა⁵, არისტოტელის „კატილორია“ (H № 2143)⁶, ალაპიტ დიაკვნის „სამეფო ქარტა ანუ ტომარი“ (H № 70) და სხვ. წიგნები⁷.

¹ თელავის სემინარიის მსმენელებს სემინარისტებს უწოდებდნენ. აღნიშნულ ხელნაწერში (H № 2291) ეს რამდენჯერმეა დამოწმებული. ზოგჯერ მათ სტუდენტებსაც უწოდებდნენ (H № 602, 188 v; K № 206, 161 r; Q № 610, 197 r).

² ა. ბარამიძე, საჯარო პაექრობა თელავის სემინარიაში, მასალების კრებული: „სწავლა-აღზრდის ისტორია საქართველოში“, I, 1937, გვ. 51—65. იხ. აგრეთვე ა. ხაჩანაშვილი, თელავის რექტორის გაიოზის სიტყვა სწავლის შესახებ, „მომამბე“, 1902, V, გვ. 1—16. შდრ. თელავის რექტორის გაიოზის სიტყვა, „ივერია“, 1902, № 144. ქართული მკვლევარ-მეტყველება, გვ. 203—205, 330.

³ H № 602; გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ხელნაწერი № 84 (1887).

⁴ H № 602, 188 v; გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ხელნაწერი № 84 (1887), გვ. 358; S № 20, გვ. 283; Q № 610, 197 r; K № 206, 161 r. ა. დლოტი, ნარკვევები, I, სტალინბრი, 1955, გვ. 133—134, 147; ლ. ქუთათელაძე, სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის რედაქციები, გვ. 10, 13, 273.

⁵ A. Цагарелии, Сведения, ტ. I, ნაკვ. III, გვ. 227.

⁶ ხელნაწერთა აღწერილობა (H), V, გვ. 105.

⁷ მისი განცხადებით, ის წერდა „თელავის სემინარიის წარჩინებულ სტილზე“ (H № 602, 190 v; გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ხელნაწერი № 84 (1887), გვ. 363). სხვათა შორის, „თელავის სემინარიის სტილსა ზედა“ წერდა იოანე კარის დიაკონიც (არქ. ხელნ. № 366, 94 v). სსრკ მეცნიერებათა აკადემიის აზიის ხალხთა ინსტიტუტის ლენინგრად-

თელავის სემინარიის რექტორად დაეთით დაუნიშნავთ 1790 წლის 19 სექტემბერს¹. შემონახულია ერეკლეს სათანადო სიგელი: „ჩვენ, მეფემან ირაკლიმ განგაწესეთ თელავის ქალაქის სემინარიის რექტორად შენ, ალექსიშვილი დავით“ (Qd № 1068)². მეფეს მისთვის განუჩინია და განუსაზღვრავს ულუფა. ერთ სპეციალურ სიგელში ერეკლე მოძღვართ-მოძღვრის მოხელეებს ავალებს, რომ „მოძღვართ-მოძღვრის შემოსავლიდამ ხუთი თუმანი და ერთი საპალნე ლინო“ მისცენ დაეთის; „შაგირდები მივაბარეთ და იმისთვის განუჩინეთ ეს ულუფა“,—შენიშნავს მეფე (Qd № 1065). სხვა სიგელში ერეკლე აღნიშნავს, რომ თელავის სემინარიის რექტორს შემოსავალი უნდა მიუვიდეს ბოდბელისაგან, ნეკრესელისაგან, ალავერდელისაგან, სამეფო კარიდან და ა. შ. (Qd № 1068). საფიქრებელია ასეთი ჯამაგირი და ულუფა წინათაც არსებობდა, მაგრამ ამჯერად ერეკლე დაეთის რექტორად დანიშნასთან დაკავშირებით სპეციალურად აღნიშნავს ამას. ქართლ-კახეთის მეფე დაეთ რექტორის ჩაცმულობის საკითხსაც კი არ ტოვებდა ყურადღების გარეშე (Qd № 1069)³.

რექტორად დანიშნისას, „როდესაც მეფემან ირაკლი მეორემან სრულიად კახეთის რექტორად დაადგინა, ესე იგი სამეცნიეროთა მოძღვრად ქალაქსა თელავს, სასახლესა შინა, პალატსა სამეფოსა და მუნ სემინარიასა“, დაეთს წარმოუთქვამს სიტყვა „ძნაიდ აღმოსაცნობი“ (H № 1100, 17r—18r)⁴.

მას შემდეგ, რაც თელავის სემინარიას ასეთი მომზადებული და განსწავლული პირი ჩაუდგა სათავეში, იქ კიდევ უფრო მეტის ძალით გაიშალა ფართო საგანმანათლებლო საქმიანობა. დაეთმა „ასწავლა სკოლასა შინა თელავს მრავალთა მოწაფეთა საფილოსოფოსო სწავლანი“⁵; თვით შენიშნავს „მოწაფეთა ჩემთა ღრამატიკასა ვასწავებდიო“ (H № 2209, 100 v). მასვე უხდებოდა სხვა დისციპლინების სწავლება. ის ასწავლიდა „ფისიკა-თეორეტიკებს“ და „ითიკასაც“ (Q № 401). მისი ხელმძღვანელობით თელავში აღიზარდა მრავალი მოღვაწე.

¹ ზოგიერთი მკვლევარი შეცდომით დაეთს 1783 წლიდან მიიჩნევს რექტორად, (პ. უმიკაშვილი, გარდაღწერელი ქართულის წიგნებისა დაეთ რექტორი, „ივერია“, 1877; № 39, გვ. 11; A. XaxaioB, OчepкИ, III, გვ. 284).

² ა. როგავა, დასახ. ნაშრომი, გვ. 41. იხ. აგრეთვე ვ. ბერიძე, დაეთ რექტორი—ალექსიკოვარდის საბა ორბელიანის გამგრძელბელი, თსუ შრომები, I, 1936, გვ. 316, შენ. კ. სანიკიძე, თელავის სემინარია და დაეთ რექტორი, ა. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახ. პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, VI, 1946, გვ. 66.

³ ა. როგავა, დასახ. ნაშრომი, გვ. 55—57.

⁴ რექტორად დანიშნის შემდეგ დაეთი ასე იხსენიება: „თელავის ქალაქის სემინარიის რექტორი“ (H № 1082, 13 r; H № 2273, 110 r; S № 112, გვ. 298; S № 170, 101 r), „კახეთის სამეფოს რექტორი“ (არქ. ხელნ. № 14), „სრულიად კახეთის სამეფოსა დირექტორი“ (არქ. ხელნ. № 352). „სრულიად კახეთის სამეფოს რექტორი ფილოსოფიისა და ლისმეტყუელების მოძღვარი“ (S № 192, გვ. 255), „სრულიად კახეთის სამეფოს რექტორი“ (S № 105, 8 r, 13 r).

⁵ კალმასობა, II, გვ. 192. დაეთი თავის თავს „ფილოსოფიის მოძღვარს“ უწოდებდა (S № 180). თეიმურაზ ბატონიშვილის ცნობით, ის „ფილოსოფიისა და ლისმეტყუელების მოძღვარიც იყო და ისტორიისა და სხვათა რომელთამე სამათემათიკოთა და სამეცნიეროთა მასწავლებელი ჯელოვნებათა“.

„კალმასობის“ ავტორის განცხადებით, დავითმა „თელაგის ქალაქის სკოლასა შინა აღზარდნა ეიდრე სული ოცდაათამდის“¹. ჩვენთვის ცნობილია დავითის რამდენიმე მოწაფე (ნიკიფორე მიქელისშვილი, ვასილ ლალიხანი-შვილი, გიორგი სვიმონ მუხრანბატონის ძე, სოლომონ ქობულაშვილი და სხვ.). მისი ხელმძღვანელობითა და ზედამხედველობით მისმა მოწაფეებმა „მიიღეს სწავლა აზნაურებითი კეთილად, და ისტორია, და ხელწერილთა წერა—მხედრულ-ხუცურისა დია მშვენიერ, და სხვებ სიბრძნითაცა კებულნი გამოვიდნენ“². დავითს აღუზრდია თეიმურაზ ბატონიშვილი (S № 4797)³, გარკვეული წვლილი მიუძღვის მას დავით ბატონიშვილის სწავლა-განათლების საქმეშიც⁴. იონა ხელაშვილიც აცხადებს: „მეცა ვიყავ მასთანა რიცხვთა შორის მოწაფეთაცა“, „თელაგს დავით რექტორს ვებარეო“⁵.

დავით რექტორის ხელმძღვანელობით თელაგის სემინარიაში ხშირად ეწყობოდა საჯარო დისპუტი, პაექრობა, შეხედრა მეფე-ბატონიშვილებთან. დავითი ასეთ ღონისძიებებს ახორციელებდა წინასწარდასახული გეგმის მიხედვით. სხვათა შორის, ერთ-ერთ საჯარო პაექრობას, რომელსაც ადგილი ჰქონდა უკვე სემინარიის დახურვის შემდეგ, საკმაოდ საინტერესოდ აღწერს იოანე ბატონიშვილი⁶.

დავით რექტორს თელაგში დაუარსებია ერთგვარი ლიტერატურულ-შემოკმედებითი წრე, რომელიც აერთიანებდა რამდენიმე სემინარისტს. ჩანს, ახალგაზრდობის ენერგიული აღმზრდელი არ კმაყოფილდებოდა მხოლოდ სასწავლო დისციპლინების სწავლებით და თავის შეგირდებს შემოკმედებითი მუშაობის პრაქტიკასაც აცნობდა. მის წრეში გაერთიანებული ყოფილან მერაბ ანდრონიკაშვილი, ევგენი ქობულაშვილი, დავით მიქელაძე, იოველ გარეჯელი და სხვ. (სახელდებით ცნობილია 14 პირი). შემონახულია მათი სახელით წარწერილი ლექსები. დავითის მოწაფეებს ეს ლექსები მოუხსენებიათ ერეკლესათვის, დავით და ვახტანგ ბატონიშვილებისათვის (S № 105, II № 1100). ზოგს ჰგონია, რომ ამ სახობრო ლექსების ავტორები დავითის მოწაფენი იყვნენ⁷, მაგრამ ეს არ უნდა იყოს სწორი. სემინარისტთა ლექსებს ახლავს რამდენიმე მინაწერი: „ესენი მე, ალექსის ძემან რექტორმან დავითმან გაუუკეთე ჩემს მოწაფეთ თელაგს ქალაქსა, სემინარიასა შინა, მეფის ირაკლის

¹ კალმასობა, II, გვ. 202.

² იქვე, გვ. 192.

³ შ. მესხია, თეიმურაზ ბატონიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა, მასალები საქ. და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 11, 1939, გვ. 20—21; ტ. რუხაძე, ძველი ქართული ლირიკის ისტორიიდან, გვ. 123, 130. იხ. აგრეთვე გ. იმედაშვილი, თეიმურაზ ბატონიშვილის რუსთველოლოგიური ცდანი, „ლიტერატურული ძიებანი“, V, 1949, გვ. 191.

⁴ პ. იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, გვ. 246; ტ. რუხაძე, ძველი ქართული ლირიკის ისტორიიდან, გვ. 97—98.

⁵ კალმასობა, I, გვ. 4—5, 68, 71, 200; II, გვ. 192. სხვა შემთხვევაში ის აღნიშნავს, რომ „თელაგისა შკოლასა აღსაზრდელად“ გიორგი ერეკლეს ძეს მიუბარებია (II № 791, I რ; ხელნაწერთა აღწერილობა (H), II, გვ. 187; S № 306, გვ. XI; ხელნაწერთა აღწერილობა (S), I, გვ. 359. იხ. აგრეთვე რონინი, გვ. 93; კალმასობა, I, გვ. 177).

⁶ კალმასობა, I, გვ. 74—77.

⁷ პ. კარბელაშვილი, ძველი ანჩისხატის ტაძარი ქ. ტფილისში, გვ. 29—30; ტ. რუხაძე, ძველი ქართული ლირიკის ისტორიიდან, გვ. 44—51.

შესხმად. ახლად იყვებ დაშვებნი პირველის ნაწილის ღრამმატიკისანი“. ან კიდევ: „ეს იამბიკონი მე... რექტორმან დავითმან, ჩენს მოწაფეთ მოვახსენებინე ვახტანგ ბატონიშვილისათვის თელავს სკოლაში, ნარჯუნე და მარცხნივ თქმითა თითო-თითოს მიმოგდებით. ახლად იყო ჰსწავლის დაწეება და ესენი გაუუკეთე“. მოტანილი მინაწერებიდან ცხადი უნდა იყოს, რომ დავითი წერდა ლექსებს და შემდეგ წარმოათქმევინებდა თავის მოწაფეებს. ამით ის დახმარებას უწევდა თავის შეგირდებს პოეტური ხელოვნების დაუფლებასა და დეკლამაციის ჩვევის გამომუშავებაში¹.

ერეკლე კმაყოფილი იყო დავითის მუშაობით და დიდად უმადლიდა მუყაით საქმიანობას: „შენი დიდი გარჯა და შრომა გვესმის. დიად, მადრიელნი ვართ. შენ იცი, რასაც უმეტესსა ეცდები და ღვთით მაგ ქვეყანაშიდ კეთილს ნაყოფს გამოიღებ... ამაზე სარწმუნო იყავ, რომ შენი შრომის მაგიერ ჯილდოს მიიღებ სულიერადაც და ხორციელად“ (QI № 1069)².

დავითი არ იფარგლებოდა მხოლოდ სემინარიის ასპარეზით, აქტიურად მონაწილეობდა საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ახლო იყო ქართლ-კახეთის სამეფო კართან. როდესაც ქართველებმა გიორგი მეთორმეტის ერთგულებაზე დაიფიცეს, მან იამბიკო მოახსენა, შემდეგ მოწაფენი აახლა და უგალობა³. გიორგი მეფის დავალებით ის ნათლისმცემლის, კალოუზნის, სიონის, ქაშვეთის, მეტეხისა და ანჩისხატის სკოლებს ამოწმებდა⁴. 1800 წელს დავით ბატონიშვილს ახლდა ფშავ-ხევსურეთში (H № 934, გვ. 767)⁵ და სხვ.

თელავის სემინარიამ იარსება მე-19 საუკუნის დამდეგამდე. პირდაპირი ცნობა ამ საკითხზე სემინარიის უკანასკნელ რექტორს შემოუნახავს: „მას ეამსა რუსნი მოვიდეს, იმპერატორებასა აღექსანდრე პირველისასა, ძისა პავლე პირველისა იმპერატორისა, და სხოლა შეურაცხევეს და სადა სახელი ღვთისა იქადაგებოდა, ჰყვეს ქვაბ ავაზაკთა, ხოლო მე პირადპირადნი განსაუდელნი შემამთხვიენეს და მრავალნი ბოროტნი მოაწიენეს ჩემზედა. რექტორი დავით, თვესა ივნისსა, ქორონიკონსა უბთ“ (=1801 წ.)⁶. ამ ცნობით, თელავის სემინარიას თავისი არსებობა 1801 წლის მარტ-ივნისში დაუსრულებია. ასეთივე ვარაუდის საფუძველს იძლევა დავით ბატონიშვილის განცხადებაც: „სკოლა ესე იყო... აქამომდე თელავს და სწავლობდნენ მრავალნი კეთილშობილნი და სამღვდელონი ფრიად გულმოდგინედ ვიდრე დაპყრობამდე რუსთაგან საქართუქლომსა“⁷.

¹ კ. ბ ა ს ი ლ ა შ ვ ი ლ ი, დავით რექტორის პოეტური მემკვიდრეობისათვის, „ახალგაზრდა კომუნისტი“, 14. VI. 56, № 71 (6175). შდრ. ტ. რ უ ხ ა ძ ე, ძველი ქართული თეატრი და დრამატურგია, გვ. 76, 82, 109—111.

² კ. ს ა ნ ი კ ი ძ ე, თელავის სემინარია და დავით რექტორი, ა. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახ. პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, VI, 1946, გვ. 67.

³ პ. ი ო ს ე ლ ი ა ნ ი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, გვ. 159.

⁴ ი ქ ვ ე, გვ. 179. თეიმურაზ ბატონიშვილის სიტყვით, დავითი ქართლ-კახეთის „სასწავლებლების დირექტორი“, „ინსპექტორი და უპირველესი მოძღვარი“ იყო.

⁵ ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, არქ. მოგზაურობანი და შენიშენანი, I, გვ. 72.

⁶ კ. ს ა ნ ი კ ი ძ ე, თელავის სემინარია და დავით რექტორი, ა. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახ. პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, VI, 1946, გვ. 72.

⁷ მასალები საქართველოს ისტორიისათვის, შეკრებილი ბატონიშვილის დავით გიორგის ძისა და მისი ძმებისა, გვ. 12. შდრ. АХТІ, I, გვ. 530.

1810 წელს შეუდგენია მას ძველი ქართული ძეგლების კატალოგი, რ. მელსაც შემოუნახავს საყურადღებო ცნობები ქართული ლიტერატურის საკითხებზე¹. მასვე მიაწერენ მეორე კატალოგს — „ძველთა ქართველთა მთარგმნელთათვის“².

დავით რექტორს შეუდგენია სახელმძღვანელოები: ოთხნაწილენი სწავლანი (H № 2144; Q № 204-ბ), არითმეტიკა³ და სხვ. მასვე ეკუთვნის „საქართველოს მეზობელ მხარეთა აღწერა“⁴. დავითს დაუწერია „ცერემონია“ ერეკლე მეორის დასაფლავებისა⁵ და „შესხმა მილოცვითი“ გიორგი მეთორმეტისადმი⁶. დავითს ეკუთვნის მრავალი საყურადღებო ლექსიც⁷.

დავით რექტორი არა მარტო კომენტარებს ურთავდა ძველ ავტორთა ნაწერებს, არამედ ზოგჯერ აერცობდა კიდევ მათ. მაგალითად, თეიმურაზ მეორის მიერ თარგმნილ „თიმსარიანს“ დაურთო 12 არაკი⁸, განაგრძო და განაწერა გარსევან ჩოლოყაშვილის „ხილთა ქება“⁹, შეავსო სულხან-საბას ლექსიკონი¹⁰, თავებად დაყო „დიდმოურავიანი“ და ა. შ.

ცალკე უნდა აღინიშნოს ის დიდი მუშაობა, რომელიც დავითს ჩაუტარებია ძველი ქართული ძეგლების შეკრებისა და გამრავლების მიზნით. ჩვენს

¹ А. Цагарели, Сведения, т. I, наж. III, гв. 252—266. ტ. რუხაძე, ენ არის 1810 წლის „ძველი ქართული მწერლობის კატალოგის“ ავტორი, „ლიტერატურული საქართველო“, 24. I. 40, № 3 (122).

² А. Цагарели, Сведения, т. I, наж. III, гв. 267. ორივე კატალოგი დაუღლია სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ახიის ხალხთა ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილების ხელნაწერთა სექტორში (H № 46). იქვე ინახება მათი რუსული თარგმანი (H № 9, H № 9) და თეიმურაზ ბატონიშვილისეული პირი (H № 27). იხ. Р. Орбели, Груз. рукописи ИВ АН СССР, I, გვ. 160—162. იხ. აგრეთვე А № 1580, 42 v; А № 1767, 12v—17v.

³ А. Цагарели, Сведения, т. I, наж. III, гв. 229.

⁴ H №№ 1082, 1292, 1361; S №№ 2316, 4989, 5050. ლ. მელიქსეთ-ბეგი, „საქართველოს მეზობელ მხარეთა აღწერა“ XVIII საუკუნის მეორე ნახევრისა როგორც მასალა ამიერკავკასიის საისტორიო გეოგრაფიისათვის, თბ., 1936; მისივე, „Описание сопредельных с Грузиею стран“ второй половины XVIII века, თსუ შრომები, XVIII. 1940, გვ. 113—140. იხ. აგრეთვე მ. ჯანაშვილი, საინგილო, „ძველი საქართველო“, II, 1913, გვ. 61—64.

⁵ S № 105, 19r—26r; „ივერია“, 1887, №№ 89, 90; 1898, № 39; „მწყემსი“, 1887, № 12, გვ. 8—9.

⁶ S №№ 105, 5359; H № 2744.

⁷ S №№ 105, 1512, 1516, 1543, 2385, 3686, 3723, 5269; A №№ 701, 1164, 1417; H №№ 934, 1045, 1100, 2661; Q № 30-ბ; K № 580; არქ. ხელნ. № 396 და სხვ. დავით რექტორის ლექსები გამოაქვეყნეს პროფ. დ. ჩუბინაშვილმა, აკად. ა. ბარამიძემ და სხვ. უკანასკნელად—დოქ. ტ. რუხაძემ (ძველი ქართული ლირიკის ისტორიიდან, გვ. 57—86).

⁸ H № 1045. ქ. სანიკიძე, დავით რექტორის დამატებანი „თიმსარიანში“, ა. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახ. პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, II, 1941, გვ. 249—271.

⁹ ქ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, II⁴, გვ. 626—627; მ. ჩიქოვანი, ფოლკლორული ეტიუდები, II, ა. პუშკინის სახელობის თბილისის სახ. პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, VI, 1949, გვ. 111.

¹⁰ ხ. კიკინაძე, საბა-სულხან ორბელიანის ლექსიკონის ახალი ვარიანტი, „ბატონიონი“, 1923, № 23; ე. ბერიძე, დავით რექტორი—ლექსიკოგრაფის საბა ორბელიანის გამგრძელბელი, თსუ შრომები, I, 1936, გვ. 310—332; ლ. ქუთათელიძე, სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის რედაქციები, გვ. 6, 12—13, 273—274, 279—281.

სიძველეთსაკაეებში შემონახულია რაზდენიმე ათეული ხელნაწერი, დამზადებული დავითის მიერ¹. განსაკუთრებით საინტერესოა მის მიერ შედგენილი ანთოლოგიები (S №№ 1511, 1512; № A 1164).

დ ა ს კ ე ნ ა

როგორც წარმოდგენილი მასალიდან ჩანს, საუკუნეთა მანძილზე აღმოსავლეთ საქართველოს მთელი ტერიტორია ძველი ქართული მწერლობის კერებით იყო დაფარული. მწერლობა ვითარდებოდა როგორც დიდ (თბილისი, გორი, გრემი, თელავი), ისე მცირე ქალაქებშიც (მძოვრეთი, ახალგორი, დუშეთი), ზოგჯერ სოფლებშიაც კი (გრემისხევი, ჭუხრანი, ტანძია, ბელოთი).

ძველი ქართული მწერლობის კერებად იქცნენ სასახლეები მეფეების (თბილისი, გრემი, თელავი), ბატონიშვილებისა (ჭუხრანი, ბელოთი) და დიდებულებისა (ცურტავი, მძოვრეთი, ტანძია, ახალგორი, დუშეთი). ერთიმეორის მიყოლებით აღმოცენდა მწერლობის კერები საციციანოში (მძოვრეთი), საჭუხრანბატონოში (ჭუხრანი), საყაფლანიშვილოში (ტანძია), ქსნის საერისთავოში (ახალგორი, ბელოთი), არაგვის საერისთავოში (დუშეთი, გრემისხევი) და სხვ.

ცალკე უნდა აღინიშნოს ის მრავალმხრივი და უაღრესად საყურადღებო კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა, რომელიც ინტენსიურად წარმოებდა ძველ კათედრალებსა (სვეტიცხოველი, ბოლნისი, რუისი, ურბნისი, წილკანი, სამთავისი, ნეკრესი, ალავერდი, მარტყოფ-რუსთავი, ნინოწმინდა, ბოლბე) და მონასტრებში (შიომღვიმე, ლარგვისი, იკორთა, კაბენი, ქვათახევი, ფიტარეთი, ზედაზენი, გარეჯა, იყალთო, ალავერდი).

ზემოთქმული, რასაკვირველია, არ ნიშნავს, რომ მხოლოდ დასახელებულ პუნქტებში წარმოებდა კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა. ცნობილია, რომ ძველი ხელნაწერების გამრავლება, ახალი ნუსხების დამზადება წარმოებდა ყარაბულახში (S № 158), მეჯვრისხევიში (S №№ 198, 206), ვეჯინში (H № 203; საქართველოს სახ. ლიტერატურული მუზეუმის ხელნ. № 20068-ბ), ხირსაში (H № 813), ახმეტაში (H № 281), სიღნაღში (A № 1710), სართიქალაში (S № 38) და სხვ. ზოგიერთი პუნქტი მცირე კერასაც კი წარმოადგენდა, მაგალითად, ქვიშხეთი².

¹ A №№ 342, 1414, 1427, 1739; S №№ 5, 61, 65, 81, 103, 106, 112, 136, 145, 170, 180, 189, 200-ა, 202-204, 207, 272, 1143, 1154, 1596, 2596; H №№ 156, 376, 385, 391, 393, 934, 1079, 1362, 2146, 2185, 2307; A №№ 1414, 1427, 1739; არქ. ხელნ. №№ 14, 352; Q № 401 და მრავალი სხვა. დავით რექტორი წერდა საბუთებსაც (საქ. სიძველენი, III, გვ. 12; დოკუმენტები, II, გვ. 234).

² ქვიშხეთის მებატონე ვახუშტი აბაშიძემ ტყვეობიდან დაიხსნა პარხლის ოთხთავი (A № 1453). მისივე ბრძანებით აღნიშნული ოთხთავი დამუხლეს და სამიებლებიც შეედგინეს (1744 წ.). მისი დაეალებით ნიკოლოზ სიონელმა 1746 წელს გადაწერა სასულიერო შინაარსის კრებული (A № 1454). ვახუშტის მეუღლე ანუკა, — ასული ვახტანგ მეექვსისა, — წერდა ლექსებს. (A № 1453, 238 ვ). 1723—1724 წწ. ქვიშხეთში თავმჯდომარეული სულხან-საბა ორბელიანი და მისი ძმა ზაალ-ზოსიმე იქ წერდნენ „სიტყვის კონის“ ერთ ძვირფას ნუსხას (H № 1429). შემდეგში, 1755 წელს, იქ ყოფილა ტიმოთე გაბაშვილიც (მიმოსლვა, გვ. 031, 0109, 101).

აღმოსავლეთ საქართველოში ადრეული ხანიდანვე დიდ წარმატებას მიაღწია ქართულმა მწერლობამ. აქ აღმოცენდა და განვითარდა სასულიერო-საეკლესიო მწერლობა, ხოლო რამდენადმე გვიან—საერო-მხატვრული ლიტერატურა. არსებითად აქედან დაიწყო ძველი ქართული მწერლობის მრავალსაუკუნოვანი ისტორია, აქ დაიწა აკვანი ძველი ქართული კულტურისა, აქ შეიქმნა დიდი ნაწილი ქართული მწერლობის შედევრებისა.

აღმოსავლეთ საქართველოში ადრევე აღმოცენდა (ჩვენამდე მოღწეული მასალით—მე-5 საუკუნეში) და სწრაფი ტემპით განვითარდა ძველი ქართული სასულიერო-საეკლესიო მწერლობა. აქაურ კერებში მოღვაწეობდნენ გამოჩენილი მწიგნობრები, მწერლები, მთარგმნელები, კალიგრაფები და სხვ. აქაურ კულტურულ-ლიტერატურულ გარემოში წერდნენ იაკობ კურტაველი, შიო მღვიმელი, იოანე საბანისძე, არსენ დიდი, არსენ მეორე, იოანე ბოლნელი, ლეონტი მროველი, ბასილ ეაჩეს ძე, დავით აღმაშენებელი, არსენ იყალთოელი, არსენ საღირისძე, დიმიტრი პირველი, ნიკოლოზ გულაბერისძე, ბაგრატი მუხრანბატონი, ნიკოლოზ რუსთველი, გრიგოლ ვახვახიშვილი, სულხან-საბა ორბელიანი, ნიკოლოზ ორბელიანი, ბესარიონ ბარათაშვილ-ორბელიშვილი, ტიმოთე გაბაშვილი, დოსითეოს ჩერქეზიშვილი, ანტონ პირველი, ზაქარია გაბაშვილი, ამბროსი მიქაძე, გაბრიელ მცირე და სხვანი, რომელთაც არა ერთი მნიშვნელოვანი თხზულებით გაამდიდრეს მშობელი ხალხის სულიერი კულტურის საგანძურს; აქაურ კულტურულ-ლიტერატურულ გარემოში მოღვაწეობდნენ ის მთარგმნელები, რომლებიც ბერძნულიდან, სომხურიდან, რუსულიდან თუ სხვა ენებიდან გადმოღებული ძეგლებით ამდიდრებდნენ ძველ ქართულ მწერლობას, აფართოებდნენ მკითხველი საზოგადოების გონებრივ ჰორიზონტს (ლეონტი მროველი, არსენ იყალთოელი, არსენ საღირისძე, ნიკოლოზ გულაბერისძე, კვიპრიანე სამთაველი, ფილიპე ყაითმაზაშვილი, დოსითეოს ჩერქეზიშვილი, ანტონ პირველი, ტარასი მესხიშვილი და სხვ.); აქაურ კულტურულ-ლიტერატურულ გარემოში ამრავლებდნენ ძველ ხელნაწერებს ლეწლმოსილი კალიგრაფები (ბედისმწერალიშვილები, მესხიშვილები, ჩაჩიკაშვილები და სხვ.).

აღმოსავლეთ საქართველოს მოღვაწენი ინტერესს იჩენდნენ სასულიერო-საეკლესიო მწერლობის ყველა დარგისადმი. ამის დასადასტურებლად სავსებით საკმარისია გაცნობა ძველ ქართულ ხელნაწერთა იმ მრავალფეროვანი კოლექციისა, რომელმაც აღმოსავლეთ საქართველოს კულტურულ-საგანმანათლებლო კერებიდან მოაღწია.

ბიბლიური წიგნებისადმი დიდ ინტერესს ამოწმებს ის ფაქტი, რომ აქაური კერებიდანაა მოღწეული ძვირფასი ნუსხები: მცხეთის ბიბლია (A № 51), მცხეთის დავითნი (A № 38), სახარებანი ურბნისის (A № 28), ქსნის (A № 509), ალავერდის (A № 484), რუისის (A № 845), ყანჩაეთის (H № 1453), შიომღვიმისა (H № 1344) და სხვ. მართალია, დასახელებულ ხელნაწერთაგან ყველა აღმოსავლეთ საქართველოში არაა დამზადებული, მაგრამ მათი დაცულობა აქაურ ეკლესია-მონასტრებში, უთუოდ, ადგილობრივ მოღვაწეთა ბიბლიური წიგნებით დაინტერესებაზე მეტყველებს. ამასთანავე მრავლადაა მოღწეული თბილისში, გარეჯასა და სხვ. გადაწერილი ბიბლიური წიგნები. საგულისხმოა, რომ თბილისის სტამბის ისტორია სახარების, დავითნის, სამოციქულოსა და სხვა წიგნების გამოცემით იწყება. გვაქვს საფუძველი ვიფიქ-

რომ, რომ ბიბლიის ძველ ქართველ მთარგმნელთა შორის აღმოსავლეთ საქართველოს მოღვაწენიც იქნებოდნენ.

ასევე დიდი იყო ინტერესი აპოკრიფული მწერლობისადმი. ამას ამოწმებს არა მარტო სიმრავლე აპოკრიფების შემცველი ხელნაწერებისა, არამედ ნაყოფიერი მთარგმნელობითი მუშაობა, რომელიც მე-18 საუკუნის მიწურულამდე გრძელდებოდა (დოსითეოს ჩერქეზიშვილი).

ყურადღების გარეშე არც ეგზეგეტიკური მწერლობა დარჩენილა (ნიკოლოზ გულაბერისძე, ანტონ პირველი, იონა ხელაშვილი და სხვ.).

ჩვენი წინაპრები ერთობ დიდ ყურადღებას უთმობდნენ ქრისტიანულ დებულებებს, დოგმატებს, საკმაოდ ქარბად თარგმნიდნენ დოგმატიკური მწერლობის ნიმუშებს (არსენ იყალთოელი, ნიკოლოზ გულაბერისძე), თხზავდნენ საყურადღებო ძეგლებს (სულხან-საბა ორბელიანი, გერონტი სოლოლაშვილი).

კონკრეტული ისტორიული პირობების გამო აღმოსავლეთ საქართველოს მოღვაწენი იძულებული იყვნენ ლიტერატურული პაექრობა გაემართათ როგორც არაქრისტიანებთან, ისევე ქრისტიანობის წიაღში აღმოცენებული, — მართლმადიდებლური აღმსარებლობისაგან განსხვავებული, — მიმდინარეობის წარმომადგენლებთან. ამან კი განაპირობა ცხოველი დაინტერესება პოლემიკური მწერლობით, რაც უკვე უძველეს ძეგლებში შეიგრძნობა („მარტკლობაჲ და მოთმინებაჲ წმიდისა ეესტათი მცხეთელისაჲ“, „მოქალაქობაჲ და წამებაჲ წმიდისა აბიბოს ნეკრესელ ებისკოპოსისაჲ“). ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდნენ ან მიმართულებით არსენ დიდი („განყოფისათჳს ქართლისა და სომხითისა“), არსენ იყალთოელი („დოგმატიკონი“), ბაგრატ მუხრანბატონი („მოთხრობაჲ სჯულთა უღმრთოთა ისმაილიტთაჲ“), ბესარიონ ბარათაშვილი-ორბელიშვილი („გრდემლი“), ანტონ პირველი („მზამეტყველება“) და სხვ.

განსაკუთრებულ წარმატებას მიაღწია აღმოსავლეთ საქართველოში აგიოგრაფიამ (არა მხოლოდ თარგმნილმა, არამედ, რაც უფრო საინტერესოა, — ორიგინალურმა). ერთიმეორის მიყოლებით შეიქმნა პირველხარისხოვანი აგიოგრაფიული თხზულებანი: „წამებაჲ წმიდისა შუშანიკისი დედოფლისაჲ“ (იაკობ ცურტაველი), „მარტკლობაჲ და მოთმინებაჲ წმიდისა ეესტათი მცხეთელისაჲ“ (ანონიმი), „წამებაჲ წმიდისა და ნეტარისა მოწამისა ქრისტესისა ჰაბოჲსი“ (იოანე საბანისძე), „მოქალაქობაჲ და წამებაჲ წმიდისა აბიბოს ნეკრესელ ებისკოპოსისაჲ“ (არსენ დიდი), „ცხოვრებაჲ და მოქალაქობაჲ და ლუაწლი წმიდისა და ღირსისა დედისა ჩუენისა ნინოჲსი“ (არსენ საღირისძე) და სხვ. გვიან ხანაში ჩამოყალიბდა მოზრდილი აგიოგრაფიული კრებულიც (დომენტი მესამე).

გარკვეული ყურადღება დაეთმო ასკეტიკურ-მისტიკურ მწერლობასაც (გაბრიელ მცირე).

საკმაოდ განვითარდა ჰომილეტიკა, დაიწერა და შეითხზა მრავალი საყურადღებო მოძღვრება-ქადაგება. ამ მხრივ თავი გამოიჩინეს იოანე ბოლნელმა, სულხან-საბა ორბელიანმა, ნიკოლოზ ჩერქეზიშვილმა, იობ ფიტარელმა, ამბროსი მიქაძემ და სხვ.

საეკლესიო სამართლისადმი დიდ ყურადღებას მოწმობს არა მხოლოდ რჯულისკანონის მრავალი ნუსხის დამზადება აღმოსავლეთ საქართველოში, არამედ სპეციალური საეკლესიო კრების მოწვევა და სავალდებულო იურიდიული ნორმების დაკანონება (რუის-ურბნისის „ძეგლის-წერაჲ“ 1103 წლისა).

ღვთისმსახურების შესრულების აუცილებლობამ განაპირობა ლიტურგიკული მწერლობის განვითარება და სათანადო წიგნების თარგმნა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ქართულ ლიტურგიკულ პრაქტიკაში შემუშავებული და შედგენილი წიგნები—გულანები სეეტიცხოვლის (A №№ 30, 32), გელათ-გარეჯის (A № 186), ყანჩათისა (H № 1452) და სხვ.

აღმოსავლეთ საქართველოში აღმოცენდა მდიდარი და მრავალფეროვანი, სასულიერო-საეკლესიო პოეზია, როგორც ლიტურგიკული (ნიკოლოზ გულაბერისძე, გრიგოლ ვახვახიშვილი, ლევან ბაგრატიონი, მარიამ-მეგრინე ბაგრატიონი, იესე ყულარაღასი, ნიკოლოზ ჩერქეზიშვილი და სხვ.), ისე სამოძღვრო-მოთხრობითი (არსენ იყალთოელი, დოსითეოს ჩერქეზიშვილი და სხვ.).

ყოველივე აღნიშნული გვაძლევს უფლებას დავასკვნათ, რომ აღმოსავლეთ საქართველოს კერებში თავშეფარებული სასულიერო-საეკლესიო მწერლობა ერთობ მყარ ნიადაგზე იდგა და შესამჩნევ წარმატებას აღწევდა. მის ზრდა-განვითარებასა და გამდიდრებაზე გულმოდგინედ ზრუნავდნენ ძველი ქართული მწერლობის სახელოვანი წარმომადგენლები.

აღმოსავლეთ საქართველოში აღმოცენდა და განვითარდა საერო-მხატვრული ლიტერატურა. სამეფო კარსა და დიდებულთა სასახლეებში (თბილისი, გრემი, თელავი და სხვ.) მოღვაწეობდნენ ცნობილი ქართველი მწერლები: შოთა რუსთაველი, მოსე ხონელი, სარგის თმოგველი, იოანე შავთელი, ჩახრუხაძე, თეიმურაზ პირველი, ნოდარ ციციშვილი, იოსებ სააკაძე, არჩილი, სულხან-საბა ორბელიანი, ვახტანგ მეექვსე, თეიმურაზ მეორე, ბესარიონ გაბაშვილი და სხვ. დასახელებული პირები გულმოდგინედ იღვწოდნენ მშობლიური ლიტერატურის გამდიდრებისათვის, ყოველგვარ პირობებში წერდნენ, თხზავდნენ თუ თარგმნიდნენ და ახალ-ახალ ძეგლებს მატებდნენ ეროვნულ სულიერ საგანძურს.

საერო-მხატვრულმა ლიტერატურამ დიდ წარმატებას მიაღწია უკვე კლასიკურ ხანაშივე. ამ პერიოდში ძალზე განვითარდა ეპოსი: ითარგმნა შესანიშნავი სატრფიალო-სამიჯნურო ნაწარმოები „ვისრამიანი“ (სარგის თმოგველი), ჩამოყალიბდა საგმირო-სათალავნო მოთხრობათა კრებული „ამირან-დარეჯანიანი“ (მოსე ხონელი), დაიწერა ქართული პოეზიის გვირგვინი—„ვეფხისტყაოსანი“. ამავე პერიოდში გარკვეულ წარმატებას მიაღწია ქართულმა ლირიკამ, შეიქმნა სახობტო პოეზიის ბრწყინვალე ნიმუშები—„აბდულ-მესიანი“ (იოანე შავთელი) და „თამარიანი“ (ჩახრუხაძე).

ემათა სიამისაგან შენელებული და თითქმის შეწყვეტილი კულტურულ-შემოქმედებითი მუშაობა ახალი ძალით გაჩაღდა მე-16 საუკუნიდან. გამოცოცხლდა ლიტერატურული ცხოვრება, გაფართოვდა თემატიკა, გაჩნდა რამდენიმე ახალი ლიტერატურული მიმდინარეობა და ენარი, გაღვივდა და გაძლიერდა ეროვნული თვითშეგნების გრძნობა და სხვ.

XVI—XVIII საუკუნეებში საგრძნობლად განვითარდა ეპოსი, როგორც საგმირო (როსტომიანი, ყარაბანიანი, ვალექსილი ამირანდარეჯანიანი), ისე რომანტიკული (ვეფხისტყაოსნის დამატებანი, იოსებზილიხანიანი, ლეილმაჯნუნიანი, ბარამგურიანი), საზღაპრო (ვალექსილი ფირმალიანი), დიდაქტიკურ-მორალური (სიბრძნე სიცრუისა, ქილილა და დამანა, თიმსარიანი, მელის წიგნი) და საისტორიო (ქეთევანიანი, შაჰნავაზიანი, დიდმოურავიანი). როგორც ამ უბრალო

ჩამოთვლიდან ჩანს, აღორძინების ხანიწ ქართული ეპოსი წარმოდგენილია როგორც ორიგინალური, ისე თარგმნილი ძეგლებით.

არანაკლებ საინტერესოა ამ პერიოდის ლირიკა, რომელიც კარგად გვაცნობს ჩვენი სასიქადულო პოეტების (თეიმურაზ პირველი, არჩილი, ვახტანგ მეექვსე, თეიმურაზ მეორე, ბესიკი და სხვ.) ნაფიქრსა და ნააზრევს, მათ მსოფლმხედველობას, მათ სულიერ ზრახვებს.

მე-18 საუკუნის მიწურულში სამეფო კარზე საფუძველი ჩაეყარა თეატრსა და დრამატურგიას.

აღმოსავლეთ საქართველოში შექმნილი საერო-მხატვრული ლიტერატურის ძეგლების სიმრავლე და მაღალი ღირსება უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ არსებითად აღმოსავლეთ საქართველოში ჩამოყალიბდა ქართული საერო-მხატვრული ლიტერატურის ოქროს ფონდი, არსებითად აქ შეიქმნა ის დიდი კულტურული საგანძური, რომელიც კანონიერი სიამაყის გრძნობით ალავსებს თითოეულ ჩვენთაგანს და ნათლად წარმოაჩენს იმ წვლილს, რომელიც ქართველობას შეუტანია ზოგადსააკაცობრიო კულტურის ისტორიაში.

აღმოსავლეთ საქართველოში საკმაოდ განვითარდა საისტორიო მწერლობაც. უკვე აღრეულ ხანაში (XI—XIII სს.) აქ მოღვაწეობდნენ ლეონტი მროველი („ცხოვრება ქართველთა მეფეთა და პირველთაგანთა მანათა და ნათესავთა“), არსენ საღირისძე („ცხოვრება მეფეთ-მეფისა დაეითისი“), თამარის უცნობი ისტორიკოსი („ისტორიანი და აზმანი შარავეანდნდთანი“), ბასილ ეზოსმოდვარი („ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი“) და სხვ. შემდეგში სანწერლო ასპარეზზე გამოვიდნენ ეამთააღმწერელი, ავგაროზ ბანდაისძე (XIV ს.), ბერი ევანტაშვილი, სეხნია ჩხეიძე, პაპუნა ორბელიანი, ომან ხერხეულიძე (XVIII ს.) და სხვ.

აღმოსავლეთ საქართველოში განვითარდა მედიცინა („წიგნი სააქიმოჲ“, ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის სამკურნალო წიგნი), ლექსიკოლოგია (სულხან-საბა ორბელიანი) და სხვა დარგები.

ბუნებრივად იბადება კითხვა: რამ განაპირობა ძველი ქართული მწერლობის ასეთი ძალით განვითარება აღმოსავლეთ საქართველოში, რამ უზრუნველყო მისი ზრდა და წინსვლა გაუთავებელი ომების ხანაში, რამ შეუწყო ხელი აქაური კერების დაწინაურებას?

აუცილებელია, აღმოსავლეთ საქართველოში მწერლობის ასეთ განვითარებასა და კულტურულ-საგანმანათლებლო კერების მომრავლებასა და გაძლიერებას დიდად შეუწყო ხელი ქვეყნის პოლიტიკურმა და სოციალურ-ეკონომიურმა ვითარებამ. მართალია, V—X საუკუნეებში და გვიან ხანაშიც აღმოსავლეთი საქართველო დაყოფილი იყო ცალკეულ პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ ერთეულებად, მაგრამ საქართველოს სხვა სამეფო-სამთავროებთან შედარებით აქ მაინც მეტად შეიგრძნობოდა ცენტრალური ხელისუფლების ძალა; საქართველოს სხვა კუთხეებთან შედარებით აღმოსავლეთი საქართველო ძლიერი იყო პოლიტიკურად და ღონიერი—ეკონომიურად.

მწერლობის განვითარებას შესამჩნევად შეუწყო ხელი კულტურულმა გარემოცულობამ, ლიტერატურული ცხოვრების მაჯისცემის გამოცოცხლებამ, განათლების დონის თანდათანობითმა აღმავლობამ, სწავლულთა რიცხვის შეუწელებელმა ზრდამ, ქართველთა ეროვნულ პოლიტიკურმა გათვითცნობიერებამ. გარკვეული როლი შეასრულა ქართველთა ურთიერთობამ სხვა ხალ-

ხებთან, უცხო ლიტერატურულ სამყაროსთან. ქართველ მწიგნობართა მიერ სხვადასხვა ენიდან (ბერძნული, სომხური, სირიული, კოპტური, არაბული, სპარსული, რუსული და სხვ.) შესრულებული თარგმანებით ყოველდღიურად მდიდრდებოდა ქართული მწერლობა და ფართოვდებოდა მკითხველი საზოგადოების გონებრივი ჰორიზონტი. აღსანიშნავია, რომ ქართველ მოღვაწეებს მკიდრო, უშუალო კავშირთაიერთობა ჰქონდათ მეზობელი ხალხების კულტურულ-ლიტერატურულ კერებთან, მეცნიერული აზროვნების ცენტრებთან. ჩვენი მწიგნობრები უშუალოდ ადგილზე (იერუსალიმი, კონსტანტინოპოლი, მოსკოვი, პეტერბურგი...) ეცნობოდნენ და ეწაფებოდნენ უცხოეთის სულიერ კულტურას, ხოლო შემდეგ ეროვნულ ნიადაგზე გადმოჰქონდათ უცხო ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშები. ქართული მწერლობის გამდიდრებასა და განვითარებაზე, უთუოდ, გავლენა ჰქონდა უცხო მწერლების (ნიზამი განჯელი, ხაყანი, იოანე ერზინკაელი, იონათანი, ვიდადი, ვაგიფი და სხვ.) ყოფნას თბილისში. უთუოდ, ხელშემწყობ ფაქტორს წარმოადგენდა ის გარემოება, რომ ქართველი მეფე-დიდებულები მეცენატობას იჩენდნენ, გულუხვად ეხმარებოდნენ კულტურულ-ლიტერატურული დარგის მუშაკებს და, შეძლებისდაგვარად, კიდევ მონაწილეობდნენ ლიტერატურულ ცხოვრებაში.

აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე არსებული კერების გაძლიერებასა და დაწინაურებას საგრძნობლად შეუწყობ ხელი აქაურ მოღვაწეთა ცხოველმა კავშირთაიერთობამ როგორც ადგილობრივ, ისე უცხოეთის კულტურულ-ლიტერატურულ წრებთან.

შ ი ნ ა ს რ ს ი

პირველი ნაკვეთი

| | |
|--------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|---------|
| II. რედაქტორის საგან | 3 |
| II. წინასიტყვაობა | 4 |
| II. შესავალი | 5—126 |
| W. შერლობის კერები ძველ საქართველოში | 127—382 |
| აღმოსავლეთ საქართველო | 129—382 |
| ქართლი | 129—267 |
| თბილისი (129—175), ქუტათაუ (176—179), ჭშიომღვიმე (179—195), მცხეთა (196—204), ბოლნისი (204—208), რუისი (208—213), ურბნისი (213—217), ლარგვისი (217—221), იკორთა (222—223), კაბენი (223), წილკანი (224—231), სამთავისი (231—236), ქვათახევი (236—241), ფიტარეთი (241—245), მძღვრეთი (245—251), მუხრანი (251—254), გორი (255—258), ტანძია (258—261), ახალგორი (261—265), ბელითი (265), დუშეთი (265—266), გრემისხევი (267). | |
| კახეთი | 268—377 |
| ჭვიალენი (268—273), ჭვარცხა (273—319), ნეკრესი (320—322), ივალთო (329—331), ალავერდი (335—347), მარტყოლი (347—350), ნინოწმინდა (350—355), გოლგოთა (355—357), გრემი (359—365), თელავი (365—377). | |
| დასკვნა | 377—382 |

რედაქტორი **აკად. კ. კეკელიძე**

გამომცემლობის რედაქტორი **ლ. ცერცვაძე**
ტექნორედაქტორი **ნ. ბერიძე**
კორექტორი **ე. ქვანია**
კონტროლიორ-კორექტორი **ლ. გამცემლიძე**

Леван Васильевич Менабде

**Очаги
древнегрузинской литературы**

**Том I
Выпуск первый**

(На грузинском языке)

**Издательство
Тбилисского университета
Тбилиси — 1962**

გადაეცა წარმოებას 1/IX-61 წ.

ბელოწერილია დასაბეჭდად 6/V-62 წ.

ანაწყოების ზომა $7 \times 11\frac{1}{2}$

კალაღის ზომა $70 \times 108\frac{1}{16}$

ნაბეჭდ თაბახთა რაოდენობა 33,57

საღარიცხო-საგამომცემლო თაბახთა რაოდენობა 32,04

შეკვეთის № 1240

უფ 02806

ტირაჟი 2000

შპსი 2 შპს. 54 კპპ.

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობის სტამბა,
თბილისი, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 1.

**Типография Издательства Тбилисского университета,
Тбилиси, проспект И. Чавчавадзе, 1.**